


சென்னை



Ճեշտի Խճճաբա ուղեգիր...

Ճեշտի Խճճաբա ուղեգիր,
պարզաբան/ ճեշտաբան երգեր,
մեր եմ, ՅՈՒ ՅՈՒՄՆԵՐ,
յոյժի յարուցումն իմեցի...
պեկեկաբան թագեր
յոյժաբան յոյժնաբան և յոյժնաբան,
Ճեշտի թագ յոյժնաբան
և ԿԻՄ ԳՐԻՄԻՍ ԲԱՆԱԿՆԵՐ:
ԲԱՆԱԿՆԵՐ, յոյժնաբան երգեր,
ԿԻՄ ԳՐԻՄԻՍԻՍ ԲԱՆԱԿՆԵՐ,
ԳՐԻՄԻՍԻՍ ԿԻՄԻՍԻՍ ԲԱՆԱԿՆԵՐ
և Ճեշտի ԲԱՆԱԿՆԵՐ ԿԻՄԻՍԻՍ,
այ բանաբանաբան ԲԱՆԱԿՆԵՐ,
ԿԻՄԻՍԻՍ ԿԻՄԻՍԻՍ ԲԱՆԱԿՆԵՐ,
Կ ԿԻՄԻՍԻՍ ԲԱՆԱԿՆԵՐ, -
Ճեշտի ԿԻՄԻՍԻՍ ԲԱՆԱԿՆԵՐ...

1989 թվականի Երևանում:



ჩასტი / ცაცო / ნინუა



სინდგაჲდ მუზღჳაჳნდ

ერთტომეჳლი



„ეროვნული მწერლობა“
თბილისი 2010

ეს კრებული ეძღვნება დედაუნივერსიტეტის კედლებში აღზრდილ 100-ზე მეტ ფილოლოგს, პოეტს, მწერალს, რომლებმაც ახალგაზრდობიდანვე მოასწრეს „სიტყვის თქმა“ და ანგელოზები დარჩნენ მარად...

რედაქტორები:

ზეზვა ქავთარაძე, ავთანდილ ბესელია,
გიორგი გორთამაშვილი

მხატვრული რედაქტორები:

თამარ ჯავახიშვილი,
რუსუდან ქანტურიშვილი,
თამარ ინჯია

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ლია ბერუაშვილი

მხატვარი:

ზურაბ ხარაბაძე

ფოტო მასალები:

გურამ სოხაძე

შემდგენლები:

ჯანიკო და თამაზ ნინუები

ტექნიკური რედაქტორები:

ცისანა, ნატო და ზურაბ ნინუები,
ნატო, ვაკა, ანანო, რატი კორკელიები,
ვერიკო ზამთარაძე

კორექტორები:

ანი ბალიაშვილი, ნინო ნანუაშვილი,
ქეთი ნასყიდაშვილი

დაკაბადონება:

სალომე პაიჭაძე
ლექსო ოთარაშვილი

წინასიტყვაობა

ჩვენი დროების საქართველო სულ მცირე ხნის განმავლობაში მრავალი, ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავი ამბის მომსწრე გახდა. ჩვენ, მონობაში მთვლემარე ერი, გავხდით მოზიარენი თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდების და იქ, სადაც ქრისტეს ჯვარცმა არა გაცრეცილი ეტრატებიდან, არამედ ჩვენივე რეალობიდან ცოცხალ ხილვად იქცა, რის დასტურადაც ერის რჩეულებმა ცხრა აპრილის ღამეს საკუთარი ჯვარი აღმართეს, მერე ისევ ჩვენ უარვყავით ეკლის გვირგვინი, რადგან ალბათ ერთეულებს ძალუმთ ააგონ უფლის ტამარი კლდეზე. ყველას ახსოვს ის კითხვაც, რომელიც სთავაზობდა ხალხს არჩევანს - ბარაბას გზას გაჰყოლოდა თუ უფლისას და ბევრმა, ისევე როგორც მაშინ, ბარაბა აირჩია. რატი ნინუას ბედიც, მისი მომავალიც მაშინ დაისაზღვრა. რატი ნინუამ თავისი სიკვდილით ცხრა აპრილის გმირთა მოწამეობრივი გზა გააგრძელა. რა შორს იყო იგი იმ ადამიანებისაგან, ვისაც საკუთარი პიროვნების სიმცირემ მაღალი კედლები აღმართვინა თავის გარშემო, ვისაც ყოველგვარი სიახლის, თანადროულის მიმართ გაუცნობიერებელი შიში ასაზრდოებდა და სჭირდებოდა ძლიერი მამა, რომელიც დაიფარავდა მას. მასა იჩოქებს გმირების წინაშე, რადგან მასში ცოცხალია კრძალვა გაღებულ მსხვერპლის, გმირის თავისუფალი ნების მიმართ, მაგრამ ათავისუფლებს კი ადამიანს სხვის მიერ გაღებულ მსხვერპლს საკუთარი სამსხვერპლოსაგან?! - განასულის სიბერე არ იწყება იქ, სადაც კვდება საკუთარი არჩევანის თავისუფლება და სხვისი თავისუფლების ხარისხი იქცევა კულტად. თავისუფლება არის საზრისი მყოფობისა და საწყისი პიროვნების თვითრეალიზაციისა. მხოლოდ თავისუფალი ნება აქცევს ადამიანს სამყაროს ერთ პატარა ნატეხად და ამ გზით ხდება იგი შემოქმედი, სახე და ხელი ღვთისა.

მასა იჩოქებს ცრუგმირების წინაშე, რადგან ისინი ჰპირდებიან მოლოდინის აღსრულებას და თუკი გმირი ვერ მოუტანს მათ სასურველ შედეგს, თავად ამზობს ასეთ ბელადებს. ძალიან დიდი ნაბიჯი უნდა გადადგას ადამიანმა, რათა გადალახოს ზღურბლი იმის მიღმა, რასაც ჰქვია «ჩვენ» და «ისინი» და მიადწიოს იმ ადგილს, სადაც სუფევს «მე» და «ის». კოლექტიური «ჩვენ» ნთქავს ინდივიდს, რადგან მასა ერთიანდება მიზნის გარშემო, მიზანი კი ყოველთვის მარტივია - «კეთილი მომავალი», მაგრამ ინდივიდი მომავლით არ ცხოვრობს, ის დროის მიღმა დგას, იგი აწმყოთი ცოცხლობს, მისთვის ამ სიცოცხლის ხარისხია უმთავრესი. ადამიანს შეუძლია გაიმეტოს მომავალი და იცხოვროს ამ წამით, ერთი ამოსუნთქვით, ან ეს მცირედი, დროში დაუსაზღვრელი შესწიროს «კეთილ მომავალს». დრო წააგავს ვაჭარს, რომელიც მომავალს ყიდის რაღაცის საფასურად და ეს რაღაცა ძალიან ძვირფასია, ის არის განძი ადამიანისა, ერთადერთი რამ რაშიც ვლინდება მისი თავისუფალი ნება, სადაც «მე» ყოველთვის მარტო დარჩება, რადგან ის იპოვნის საკუთარი თავის ზღვარს, საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვით გაივლის სიკვდილის წიაღს და ამის მერე რაღაა ფიზიკური სიკვდილი მისთვის. დრო, მომავალი, სინდისის, სიმართლის სულის თმობას მოითხოვს, იგი ამ მსხვერპლით იკვებება, მაგრამ ასეთი მსხვერპლის გაღება კლავს ადამიანს. ხელოვანი ადამიანად ყოფნის განსაკუთრებული განცდით გამოირჩევა, იგი ვერასდროს შესწირავს სიმართლის სულს «კეთილ მომავალს». ასეთი იყო რატიც, იგი ვერ მიიღებდა ცრუ გმირებს, ვერც ჭეშმარიტ გმირებს გააღმერთებდა.

რატი არ იყო სიახლის შიშით შეპყრობილი ადამიანი, მას უბრალოდ არ შეეძლო ეცხოვრა დროში, იგი თვლიდა, რომ განვითარება, ტექნიციისტური პროგრესი არაფერს არ მატებდა

ადამიანის სულს, პირიქით აღარიბებდა მას, რადგან ადამიანი მის მიერვე შექმნილ ნივთზე ხდებოდა დამოკიდებული. მას უყვარდა მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია იმდენად, რამდენადაც მათში რომანტიზმის სულს ხედავდა, პრაგმატიზმის სანაცვლოდ – იდეალიზმს. პრაგმატიზმი საწყისია დროის განვითარებისა. აქ იმარჯვებს ის იდეა, ის ფასეულობა თუ პიროვნება, რომელიც მაქსიმალურად კარგად არის მორგებული დროს და პასუხობს მის მოთხოვნას, მაგრამ რომანტიზმის სული დროის მიღმაა, რომანტიკოსი არასდროს არ მოჰყვება დროს, პირიქით იგი ამარცხებს მას მსხვერპლის გაღებით. რომანტიკოსისათვის მიზანია თავად ცხოვრება, სიცოცხლე სრული სისავსით აქ და ამ მომენტში ყოველგვარი მომავლის გარეშე, რადგან მომავალს, მიზანს ეწირება აწმყო, სიცოცხლე. ის რაც რეალურად არსებობს, შეგრძნებადია, ეწირება მიზანს, როგორც ეფემერულ მოჩვენებას. სწორედ სიცოცხლის ასეთ გაგებას ხედავდა რატი მერაბის და ზვიადის პიროვნებებში, საქართველოს სულიერი მისიაც ამ გადასახედიდან ალბათ აღარ მოჩანს «პროვინციული ფაშიზმის» (როგორც მას ზოგიერთი იხსენიებდა) იდეოლოგიად. რატი ფიქრობდა, რომ მსხვერპლად შეწირული ადამიანები ქმნიან ერის სახეს, განსაზღვრავენ მის ადგილს სამყაროში. ერის სულიერი მისია არ არის უდარდებლობის განცდის იდილია, სხვაზე აღმატებულობის შეგრძნება. ეს არის, პირველ რიგში, მითოლოგემა სინდისის მაფხიზლებელი, ის თითოეულ ადამიანს აკისრებს პასუხისმგებლობას დაღვრილი სისხლის წინაშე, თანამოზიარეს ხდის მას ერის წარსულთან. სულ სხვაა უწარსულო ადამიანი, ადამიანი, რომელიც წარსულის ხსოვნას თავისი დაბადებიდან იწყებს და ადამიანი, რომლის მიღმაც თაობები დგანან, მისი სინდისი წინაპართა საფლავებიდან, დაღვრილი სისხლიდან, მათ მიერ შექმნილი კულტურიდან მოდის და ეს ადამიანიც სცილდება საკუთარი ბიოგრაფიის საზღვრებს, ალბათ ეს არის საფუძველი სწორედ ეროვნული სიამაყის შეგრძნებისა და ამ შეგრძნების გაღვიძება იყო სწრაფვა საქართველოს სულიერი მისიის ავტორისა და მერე ამ სულით ნასაზრდოები პოეტისა.

ვფიქრობ რატი ნინუას პოეზია, მისი კრიტიკული წერილები თუ ესეები ბევრ კითხვას გაცემს პასუხს, ბევრს დააფიქრებს და სიტყვის მიზანიც ხომ ეს არის...

გიორგი გორთამაშვილი



✻ ნაკვეთი ✻

ბიოგრაფია

რატი (ტატო) ნინუა დაიბადა 1977 წლის 27 თებერვალს, ქალაქ თბილისში, მეტეხის უბანში, "მტკვრის პირზედ", სადაც "ღამით თბილისში" უცქერდა "შემოღამებას მთაწმინდაზედ".

უნიჭიერესი ქართველი პოეტი, მწერალი, ფილოლოგი, მკვლევარი, მთარგმნელი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, პედაგოგი; 1989 წლის 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სადამოების აქტიური მონაწილე; მიხეილ მესხის სახელობის ბავშვთა ფეხბურთის სკოლა "ავაზას" გუნდის ფეხბურთელი; თსუ-ს მთარგმანის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი წრის აქტიური წევრი. გამოირჩეოდა თავისი განსაკუთრებული იუმორითა და იმიტაციის უნარით, უყვარდა ცხენები და დაღლამდე ჯირითი, შემდეგ განმარტოება...

დაიბადა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, ზურაბ ნინუასა და პედაგოგ ცისანა ნინუას ოჯახში.

მამა - ზურაბ ნინუა წარმოშობით ბათუმელი, პროფესიით რეჟისორი (კაცობისა და თეატრალური ცხოვრების სიკეთეს მან ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრში ეზიარა), პირველი კატეგორიის მსახიობი, სხვადასხვა დროს მუშაობდა: საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში, ტელევიზიაში; მეტეხის ახალგაზრდული თეატრის დირექტორად; შემდეგ დამარსებელი და დირექტორი ერთი მსახიობის სახელმწიფო თეატრისა - დარეჯანის სასახლე „საჩინოში“. იყო აგრეთვე დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრისა, რომლის შექმნის იდეის ავტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი ტატო გახლდათ.

მაღალი რანგის პროფესიონალი, რომელიც სერგო ზაქარიაძის, დოდო ანთაძის, არჩილ ჩხარტიშვილის, ეროსი მანჯგალაძის, ედიშერ მაღალაშვილის, შალვა მაჭავარიანის, ვახტანგ გურგენიძის, გიორგი გამსახურდიას, ვალერიან დოლიძის, გუგული ყიფიანის, ნიკოლოზ მოსეშვილის, პეტრე გრუზინსკის, ნოდარ ხურწარიას, გიორგი ცაბაძის, დოდო ალექსიძის, ოთარ ეგაძის, ვახტანგ ნინუას და სხვა მოღვაწეების გვერდით განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში. კოლეგებში ცნობილი გახლდათ, როგორც ქართული კულტურის სამსახურისათვის თავდადებული, ერთგული და პრინციპული მეზრძოლი. მისი სახელმწიფოებრივი ხედვა, ტრადიციულის შენარჩუნებასთან ერთად სიახლისადმი სწრაფვა და გამბედაობა პატივისცემას იწვევდა ოპონენტებსა თუ მაღალი რანგის ნომენკლატურაშიც.

დედა ცისანა ნინუა - სათნო და ღიმილიანი ქალბატონი, რომელმაც ქვეყანას ღირსეული შვილები აღუზარდა, პროფესიით პედაგოგი, ქორწინებამდე მერაბ კოსტავას ეზოში მდებარე იაკობ გოგებაშვილის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მუშაობდა, სადაც აქტიურად ეხმარებოდა დისიდენტური ლიტერატურის გამოცემაში მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას.

ბებია - ნინა ქუთათელაძე - ქალაქ ხონის ყოფილი სახელმწიფო თეატრის თვალსაჩინო მსახიობი და მომღერალი ყოფილა. იგი დებ იზხნელებთან მეგობრობდა და მათთან ერთად ხშირად უმღერია სცენაზე. ქალბატონ ნინას ნიჭი სათანადოდ დაუფასებიათ ცნობილ რეჟისორსა და სახელგანთქმულ მსახიობს - ნიკოლოზ შენგელაიასა და ნატო

ვაჩნაძეს. მათ ნინა ქუთათელაძისათვის თბილისში გადმოსვლა და კინოსტუდიაში თანამშრომლობა შეუთავაზებიათ, მაგრამ ქ-ნ ნინას ოჯახი უარზე დამდგარა და ქალბატონ ნინას წინააღმდეგობა ვერ გაუწევია. ბებიის უნარი რატისაც გადაეცა. ბავშვობაში ტატო ზაფხულობით დედულეთში – სოფ. რუისში ისვენებდა და რუისელი ბავშვებისათვის სპექტაკლებს დგამდა. ამ სპექტაკლებში თანასოფლელებსაც ათამაშებდა და თვითონაც მონაწილეობდა.

რეატი (ტატო) ნინუა თავის დასთან, ნატოსთან ერთად იზრდებოდა თბილ და კულტურულ გარემოში. მეტეხის უბანში ხშირად იყრიდნენ თავს კულტურისა და ხელოვნების ღირსეული წარმომადგენლები - პოეტები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები, რეჟისორები, მომღერლები... იყო სჯა-ბაასი საქართველოს თავისუფლებაზე, ქართული კულტურის გადარჩენა-აღორძინებაზე, რამაც ტატო ჩამოაყალიბა კეთილ და ნიჭიერ შემოქმედად. ტატო სევდიანი სიხარულით იხსენებდა იმ საოცარ დღეს, როცა სახლში დაბადების დღე ბატონებმა მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ მიულოცეს და გზა დაულოცეს.

ფაქიზი, თავმდაბალი და ამაყი; ვაჟკაცი და ვაჟკაცურად დამნდობი; ხელჩართულ ჩხუბში მეგობრის გადასარჩენად დაკაპიწებული მკლავებით შევარდნილი და დანებ-გახსნილი ჯგროს ქართულ-ხალხურად მიმტყეპავი; უნიჭობის, უსამართლობის, დამსმენის მოძულე... 2000 წლის 10 მაისი... «გულით იცხოვრა, გულით იფიქრა და წერა, გულით იწამა და ეწამა, და ბოლოს... გულითვე გამოკრა ჩახმახს!» - **ზეზუა ქათვარაძე**

«...ფურცლები ტატოს თარგმნილ ბაირონის ერთ ლექსზე გადაშლილიყო „შენი დღეები, აჰა, დასრულდა“. უხილავმა ძალამ შუაგული სტროფით შემომანათა და შემეხმინა: „ჩვენს გულს სიცოცხლე ვიდრე ახარებს, დავიწყებისთვის შენ ვერ გაგწირავს. იმ წმინდა სისხლმა, რაც შენ დაღვარე, ფუჭად მიწაში ჩასვლას დასცინა“ - **ინესა მერაბიშვილი**

«აქ ვიღაც თვალებს ცრემლებით დარგავს,
ქალწულ თითებით დაშლის ყვავილებს.
გექნება ეზო და მომცრო ბან-კარს
ალუბლის მტვერი დაამარილებს... »

გოგიტა არაბული

«რეატი ნინუას შემოქმედების წყაროსთვალი შორეული გენებიდან მოდის.

არაგვის ხეობაში, ფხოვის კარიბჭესთან, წმინდა ნინოს ქვა დევს – ეს ქვა პირამიდაა, საიდანაც წმინდა ნინომ პირველი სიტყვა წარმოთქვა! ამ ხეობაშივე ამოჩქეფენ მისივე სახელობის ანკარა წყარონი და სიწმინდეს მატებენ დიდ მდინარეებს...

ამბობენ, რომ ნინუების გვარიც ამ ხეობიდან მოდის და წმინდა ნინოს სახელთან არის დაკავშირებული» - **კობა არაბული**

«აჰა, მერანი მოჰქრის, უმხედრო ტატო ნინუას მერანი და თქარათქურით ამაღლებულ პოეზიას მოაჯირითებს...» - **ავთანდილ ადეიშვილი**

«სხვა კაცი იყო, საკუთარ ალში დაიფერლა და ადრე წასულ გენიალურ ჭაბუკთა გუნდს შეუერთდა» - **ჭაბუა ამირეჯიბი**

«ძალზე სჭირდება მის ხალხს ის, რაც სიკვდილს გადაურჩა» - **ოტია იოსელიანი**

«ზღვურის ხმაურში ძალზე შორს გაჰყოლია გრძნეულ იალქნებს»- **ანა კალანდაძე**

«და იგი კვლავაც განაგრძობს წვას იმ ხატის წინაშე – საქართველო რომელსაც ჰქვია» -

მუხრან მაჭავარიანი

«დამცირებული საქართველოს და გატანჯული ხალხის ყურებას ვერ გაუძლო...» - **ნოდარ ჯალალონია**

«იგი ქართველია თხემით ტერფამდე, ღმერთმა გამოგვიგზავნა, რათა თვალნათლივ გვეხილა თუ როგორები იყვნენ დიდი საქართველოს შვილები ოდესღაც, ვამაყოფ, რომ ჩემმა ერმა დაბადა რატი ნინუა» - **გურამ პეტრიაშვილი**

«ეს ხომ მთელი საქართველოს ობოლი ცრემლია» - **თამარ ჯავახიშვილი**

«ტატოს ნიჭის ნაშუქი სხივი, მჯერა, ქართულ კაზმულ სიტყვიერებას, ოქროს სირმად ჩაეწნება» - **ფრიდონ ხალვაში**

განათლება

1983-1994 წლებში რატი ნინუა თბილისის № 1 კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა, 1994-1999 წლებში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, თარგმანის სპეციალობით.

ლექსების წერა და რუსული პოეზიის თარგმნა გიმნაზიაში დაიწყო, თითქმის ზეპირად იცოდა «ვეფხისტყაოსანი», უნივერსიტეტში სწავლის დროს ეუფლებოდა მხატვრული თარგმანის ისტორიასა და თეორიას, თარგმნის ხელოვნების პრინციპებს, რასაც ოსტატურად იყენებდა რუსული, გერმანული თუ ინგლისური პოეზიისა და პროზის თარგმნისას. მან რუსული, გერმანული ასევე ინგლისური ენას რუსულყოფილად იცოდა. დაინტერესებული იყო იტალიური და ბერძნული ენის ცოდნით. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე პროგრამით გათვალისწინებული საგნების გარდა, ბევრს კითხულობდა და ამუშავებდა ლიტერატურას ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის დარგში. ამ პერიოდში დაინტერესდა იგი ნიცშეს პოეზიითა და ფილოსოფიით.

შემოქმედება

გიმნაზიაში სწავლის დროს რატი (ტატო) ნინუა წერდა ლექსებს, რომლებიც გამოქვეყნდა მისი ლექსების კრებულ «ალუბლის იალქნებში», როცა XI კლასში იყო. კრებულს ტატო ნინუა აწერია, რადგან ოჯახის წევრები და მეგობრები ტატოს ემახდნენ. ამ კრებულში მისი 1988-1994 წწ.-ში შექმნილი 43 ლექსია შესული. ლექსების უმეტესობა პატრიოტულ თემაზეა დაწერილი. მათში ასახულია 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, ეროვნული მოძრაობის უმძიმესი პერიოდი, ომები, აფხაზეთის დამხობა... ამ მხრივ გამოირჩევა ლექსები: «მერაბ კოსტავას», «გადამწვარი ღრუბლები», «რუსთაველის რაინდები», «აფხაზეთს სისხლი მეწამული». იგი გახლავთ იდეის ავტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრისა.

რატის ამ პერიოდის ლექსებში უკვე გამოკვეთილია ჩამოყალიბებული, კარგი განათლებისა და გემოვნების მქონე პიროვნება თავისი მორალური კრედოთი და მისაბამი გმირებით («ვაჟას», «დავით აღმაშენებელს...») ამ და სხვა ლექსებში («ნუგზარ ფსუტურს», «ცხრაჯერ შევბღავლე ქარაფებს», «მწყემსის სიმღერა...»). განსაკუთრებით იგრძნობა, რომ

პოეტი არამარტო კარგად იცნობს ხალხურ შემოქმედებას, პოეზიას, არამედ გათავისებულებულიც აქვს იგი. ამასთანავე, ლექსებში «წარწერა წიგნზე «გრაფი მონტე-კრისტო», «დონ კიხოტი ჩემს მაგიდაზე» და «სადღაც ლერწმებში სევდიანი ტიროდა ქარი... (ოსკარ უაილდს)», გამოჩნდა ა. დიუმას, მ. სერვანტესისა და ოსკარ უაილდის შემოქმედების რატისეული ღრმა წვდომა და ლირიკული აღქმა.

რატის ამ პერიოდის ლექსების ენა უკვე ძალიან დახვეწილია და ნატიფი. მდიდარი მხატვრული სახეებით. ხშირად, მაგრამ ყოველთვის დროულად ხმარობს არქაიზმებსა და ოკაზიონალურ სიტყვებს, რომლებიც განსაკუთრებით უხდება მის ეფემერულ ჩვენებებით აღსავსე პოეზიას («უდაბნო», «სიჩუმის ხმა», «სანთლები ლაჟვარდში», «ზღვაში ჩამენტქა ოცნება», «არაფრისმთქმელი მდუმარება», «ვარძიის მონოლოგი», «ანგელოზი რომ დაფრთიანდება», «ალუბლის იალქნები» და სხვ.)

გიმნაზიაში სწავლის დროს რატის (ტატოს) ლექსები ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: «ნობათი», «თბილისი», «ახალგაზრდა ივერიელი», «ალაზანი», «ხიდი», «ვეჩერნი თბილისი», «ლიტერატურული საქართველო», «აჭარა», «ნერგი» და «გუშაგი» (პარიზის ქართული სათვისტომოს ჟურნალი).

«ალუბლის იალქნებში» არ შესულა ზღაპრები, რომლებსაც რატი 6 წლიდან წერდა. ისინი შემდეგ, 2005 წ. რატის ლექტორის, ქ-ნ თამარ ინჯიას წინასიტყვაობით დაიბეჭდა რატის კრებულში «ავფრინდებით მე და შენ».

რატის შემოქმედებაზე ვერ ვიტყვით, რომ მისი ლექსები დროთა განმავლობაში იხვეწებოდა, რომ მან რომელიმე ლიტერატურული სკოლის გავლენა განიცადა. რატი თავიდანვე უნატიფესი, თვითმყოფადი პოეტური ხელწერით მოვიდა და თუმცა რომანტიკოსებსაც შეიძლება მივაკუთნოთ, რეალისტებსაც და სიმბოლისტებსაც, მისი პოეზია მაინც რაღაც სხვაა, რომელიც დიდი პოეტების ლექსებსაც შეიძლება შევადაროთ, მაგრამ შედარებისას ბევრ სხვაობას დავინახავთ. თვითონ რატი თავის თავს, ვფიქრობ, უფრო რომანტიკოსად თვლიდა. მისი ხილვები რომანტიკულია, მაგრამ იმდენად რეალისტურადაა გადმოცემული, რომ ეჭვი არ გვეპარება: ნამდვილად ძერა უწერდა ლექსებს, მართლა უდაბნო უყვებოდა თავის თავგადასავალს, ისევე, როგორც ვარძია – თავისას და ყველივე ეს მონათხრობი ფერად-ფერად ხილვებად გადადიოდა ფურცლებზე. რატის, ისევე როგორც ბარათაშვილს, ცის «ხატება» «ჯერ კიდევ გულზე აქვს დაჩნეული», მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სული ვერ აღწევს «ზენნართ სამყოფს», რადგან «ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს». რატიმ იცნო ეს ციური განგება: თავის ვარსკვლავსაც მიაღწია და უფალი იხილა, რომელმაც დაავალა სამშობლოსათვის ლექსების მსხვერპლად მიცემა. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში რატის ეგზიუპერის «პატარა უფლისწულის» მსგავსად თავის ვარსკვლავზე დაბრუნება ენატრებოდა.

სიმბოლისტების ხილვები რომანტიკოსთა ხილვებისაგან მეტი სიმძაფრით გამოირჩევა. ამ მხრივ რატის გიმნაზიის პერიოდის შემოქმედებაც, ზოგჯერ, უფრო სიმბოლიზმის ჭრილში შეიძლება გავიაზროთ.

1994 წლიდან ტატო თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია, თარგმანის სპეციალობის განხრით. ამ დროიდან პროფესორ-მასწავლებლები და თანაკურსელები მას მხოლოდ რატის სახელით იცნობენ. უნივერსიტეტის კედლებში რატი თავიდანვე ცნობილი გახდა, როგორც მეტად ერუდირებული ახალგაზრდა, გარეგნულადაც მიმზიდველი და ვაჟკაცური. ამ პერიოდში იგი ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიითა და ლირიკით დაინტერესდა. თავის ნაშრომში, რომელშიც ნიცშეს პიროვნება ფილოსოფურ-რელიგიურ-ლიტერატურულ

ასპექტში განიხილა, რატი შეეცადა დაეცვა იგი იმ ოპონენტებისაგან, რომლებმაც თავის დროზე მისი ნააზრევი «შემლილის ბოდვად» გამოაცხადეს. რატიმ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ნიცშეს ლირიკას და თვითონაც საკუთარი ლექსით შეეხმიანა ამ ცნობილ, თუმცა ბოლომდე შეუცნობელ პიროვნებას და მისი პირით ბედისადმი სამდურავი წარმოთქვა:

«ერთიც არ მცდება განატყორცილი შენგან ისარი,
ერთიც არ არის ისართაგან ბალღამუვლები,
ვერ მათმობინებ – ლამაზია ჩემი მიზანი,
და ვერც მაშინებ უბადრუკი შენი ყმუვლებით».
ამავე ლექსში ვკითხულობთ:
«მაქვს სული – თეთრი მარმარილო დაულაქველი,
მიწიდან არა, ცის სიღრმიდან ამოტანილი,
სული – არწივი, ამაყი და ბევრგზის ნაგვემი,
ღორ-ძაღლ-ტურათა დასერილი და დადანილი».

სევდა, რომელმაც თავი სკოლის მერხიდანვე იჩინა, უნივერსიტეტში სწავლისას კიდევ უფრო გაღრმავდა; კიდევ უფრო დიდი ზღვარი დაიდო ზეციურსა და გაუსაძლის მიწიერ ყოფას შორის. ეს კარგად გამოჩნდა მის ლექსებში: «ორი მზე», «უძღვები შვილი», «ტ.გ.»...

სათარგმნად ამორჩეული ნაწარმოებებიც სევდით გამოირჩევა. თარგმნიდა ოსკარ უაილდის ზღაპრებს, ბაირონის, პუშკინის, ესენინის ლექსებს, თარგმნიდა იულიუმ სლოვაცკის ერთი სონეტი, ბუნინის მცირე მოთხრობები. მისი თარგმანები ხშირად იბეჭდებოდა თსუ-ს აღმანახ «ექო სახიერში», ორენოვან პოეტურ კრებულებში, «ლიტერატურულ საქართველოში»... უნივერსიტეტში რამდენჯერმე მოეწყო მისი ლექსებისა და თარგმანების განხილვა. ერთ-ერთი ასეთი განხილვის შესახებ გაზეთ «თბილისის უნივერსიტეტში» (7 მაისი, 1996 წ.) რატის თანაკურსელი, აწ გარდაცვლილი ნინო მურმანიშვილი წერილში «ოსკარ უაილდის ზღაპრების ახალი ქართული თარგმანი» წერს: «თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრაზე გაიმართა თარგმანის სპეციალიზაციის სტუდენტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი წრის სხდომა, რომელზეც განიხილეს ოსკარ უაილდის ზღაპრების ქართული თარგმანი, შესრულებული მეორე კურსის სტუდენტის, რატი ნინუას მიერ. აღნიშნული კათედრის სტუდენტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი წრე, რომლის ხელმძღვანელია დოცენტი ქეთევან ბურჯანაძე, დაარსების დღიდან აქტიურ საქმიანობას ეწევა: მართავს ლიტერატურულ საღამოებს, საინტერესო შეხვედრებს, სტუდენტთა სამეცნიერო შრომებისა და თარგმანების განხილვას. წრის მუშაობა მეტად ნაყოფიერი და ბევრის მომტანია, რადგან ხელს უწყობს ახალბედა, ნიჭიერი მთარგმნელებისა და მკვლევარების გამოვლენას. სწორედ ამის მაგალითი იყო წრის ეს ბოლო სხდომაც. სხდომა გახსნა წრის თავმჯდომარემ, მეოთხე კურსის სტუდენტმა მარეხ ლოლაძემ, რომელმაც თავმჯდომარეობას თხოვა დოცენტრუსუდან ჭანტურიშვილს. რატი ქალბატონირუსუდანის სტუდენტია, იგი მას მხატვრულ თარგმნაში პრაქტიკულ მეცადინეობას უტარებს, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ძალიან კარგად იცნობს ახალგაზრდა მთარგმნელს და მის ნაშრომებს. ქალბატონმა რუსუდანმა მოკლედ ისაუბრა რატის თარგმანზე, თვით

მთარგმნელზე, მის შესაძლებლობებზე. აქვე აღნიშნა, რომ რატის ოსკარ უაილდის ზღაპრების გარდა თარგმნილი ჰქონია ბუნინის მცირე მოთხრობები, შექსპირის «მაკბეტის» I კარი, პუშკინის «ქვის სტუმარი» და სხვ. რატი ნინუამ წაიკითხა თავისი ერთ-ერთი თარგმანი «ბულბული და ვარდი». დამსწრე საზოგადოება დიდი სიამოვნებით უსმენდა ახალგაზრდა მთარგმნელს. შემდეგ კი სიტყვა რეცენზენტებს დაუთმეს. რეცენზიები ოსკარ უაილდის ზღაპრების ქართული თარგმანის შესახებ რატის თანაკურსელებმა ვარდი თვალაძემ და ნატო ფოფხაძემ წაიკითხეს. მათ რატის მიერ თარგმნილი: «ბულბული და ვარდი», «ჭაბუკი მეფე» და «მისი ბრწყინვალეობა სანთებელა» ქ. კანდელაკისა და ნ. ჩიგოგიძის თარგმანებთან მიმართებაში განიხილეს. აღსანიშნავია, რომ ამ ქალბატონების მიერ თარგმნილი ოსკარ უაილდის ზღაპრების კრებული «ბროწეულის სახლი», რომელიც ჯერ 1960 წელს, შემდეგ კი 1991 წელს გამოიცა, დღესაც გამოჩნდა წიგნის მაღაზიებში. ნამდვილად მისასალმებელია, რომ კარგ მთარგმნელებს კიდევ ერთი კარგი მთარგმნელი შეემატა. რეცენზენტებმა საქმის დიდი ცოდნით განიხილეს რატის მიერ თარგმნილი ზღაპრები, ოსტატურად შეუდარეს იგი ორიგინალსა და უკვე არსებულ თარგმანებს. მათ მოიწონეს რატის გამართული ქართული, სიტყვათა წყობა, წერის მანერა და რაც მთავარია ის, რომ ახალგაზრდა მთარგმნელმა კარგად გადმოსცა დიდი მწერლის შემოქმედებითი სული. უნდა აღინიშნოს, რომ განხილვაში თარგმანის კათედრის თანამშრომლებთან (პროფ. ო. ბაქანიძე, დოც. ქ. ბურჯანაძე, დოც. რ. ჭანტურიშვილი, პროფ. ნ. გაფრინდაშვილი, მეც. თანამშრომლები: ნ. წერეთელი, კ. ჭეიშვილი) ერთად მონაწილეობდნენ ქართული ენის, ინგლისური ენისა და რუსული ენის სპეციალისტები: პროფ. ზ. ჭუმბურიძე, დოც. თ. ინჯია, პროფ. ზ. გაჩეჩილაძე, პროფ. მ. ოძელი, დოც. ტ. სიხარულიძე. საერთო აზრი ასეთია: რატის თარგმანი უნდა დაიბეჭდოს. სხდომის ბოლოს თავისი აზრი და დიდი სიხარული გამოთქვა რატის მიერ წამოწყებული საქმის მიმართ ქალბატონმა ქეთევან ბურჯანაძემ, ხოლო დასკვნითი სიტყვით გამოვიდა ბ–ნი ოთარ ბაქანიძე. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის, ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებისათვის. მან ხაზი გაუსვა ქალბატონ რუსუდან ჭანტურიშვილის დამსახურებას, რომლის ინიციატივითაც მოეწყო ეს სხდომა. ახალგაზრდა მთარგმნელსა და რეცენზენტებს კი საქმიანი სიტყვა მოუწონა და შემდგომი წარმატებები უსურვა. ამას წინათ ახალგაზრდა რეცენზენტები თავიანთ ხელმძღვანელებთან ერთად რადიომაწუყელობის სტუდიაში მიიწვიეს, სადაც მათგან ინტერვიუ აიღო ჟურნალისტმა ნ. დათუკიშვილმა. შემდეგ კი რადიომსმენელებმა მოისმინეს ნაწყვეტი რატი ნინუას თარგმანიდან «ჭაბუკი მეფე».

აქვე მოვიყვან ნაწყვეტს რატის მეორე თანაკურსელის, ვარდი თვალაძის ჩანაწერიდან, რომელშიც მან ისაუბრა რატის შემოქმედებასთან დაკავშირებით თსუ–ში გამართული კიდევ ერთი საღამოს შესახებ: «სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრამ ამ დღეებში მოაწყო შემოქმედებითი საღამო. წარმოდგენილი იყო ამ კათედრასთან არსებული მთარგმნელობითი ჯგუფის III კურსის სტუდენტ რატი ნინუას შემოქმედება – როგორც ორიგინალური პოეტური ნაწარმოებები, ასევე თარგმანები. წელს ახალგაზრდა მთარგმნელმა ქართულად აამეტყველა პუშკინისა და ესენინის შემოქმედება (პუშკინის «ქვის სტუმარი» და ესენინის ლექსები). თავდაპირველად საზოგადოებამ ორიგინალები მოისმინა, შემდეგ კი რატიმ გაგვაცნო თარგმანები ლექსებისა: «Зимняя дорога», «Зимний вечер», «Шаганэ», «Хулиган», «Ты сказала...», «Собака Качалова», «Всё живое особой метой»...

რეცენზენტი გახლდათ ქალბატონი ქეთევან ბურჯანაძე. ქალბატონმა ქეთევანმა მოკლედ მიმოიხილა შესავალ სიტყვაში, საერთოდ რა მოეთხოვება მთარგმნელს: რამდენად სწორად გაიაზრა დედნის იდეა, რამდენად მიესადაგება თარგმანის მხატვრული სახეები, მისი რიტმი, ინტონაცია, ჟღერადობა და საერთოდ სტილი დედანს; ქმნის თუ არა თარგმანი და მისი ლირიკული გმირის სახე იმავე განწყობილებას, რასაც დედანი? ქ. ბურჯანაძის აზრით, რატიმ, როგორც მთარგმნელმა, კარგად გაართვა თავი პუშკინის ორიგინალური ლირიკული გმირის განწყობილების გადმოქართულებას. რატი ნინუას მიერ თარგმნილ ესენინის ლექსებს შორის ქალბატონმა ქეთევანმა განსაკუთრებით მოიწონა «შაგანე» და «ხულიგანი». შემდეგ აუდიტორიაში მყოფნი გაეცნენ რატის ორიგინალურ შემოქმედებას. უნდა ითქვას, რომ ამკარად ეტყობა პოეტს სიმბოლისტურ-რომანტიკული სკოლის გავლენა. აღსანიშნავია ისიც, რომ რატი ლექს-ჯგუფ «დემონის» წევრი გახლავთ. ქალბატონი ქეთევანის შემდეგ საკუთარი რეცენზია წაიკითხა იმავე ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა რომან ავაქიძემ. მან ისაუბრა პოეტურ მიმდინარეობათა თავისებურებაზე, დაახასიათა რატი უაღრესად ნიჭიერ პოეტად. სასიამოვნო მოსასმენი იყო ის, თუ როგორ აქტიურად უჭერდა მხარს ახალგაზრდა მთარგმნელსა და პოეტს მისი თანატოლი. შეხვედრას მხიარული განწყობილება შემატა ამ ჯგუფის დამაარსებლის, სერგი ლომაძის გამოსვლამ, რომელმაც გაგვაცნო ჯგუფის შექმნის ისტორია, მათი იდეები და დღევანდელი საქმიანობა. ქალბატონმა რუსუდანმა ამ ახალგაზრდა პოეტა შემოქმედება, ერთმანეთთან მეგობრული დამოკიდებულება და სულის ბოზოქრობა შეადარა «ცისფერყანწელთა» შემოქმედებით სტილს. შემდეგ კი სიტყვა გადაეცა პოეტს და მკვლევარს, უნივერსიტეტის თანამშრომელს ქალბატონ ციური ხეთერელს, იგი სწორედ «ცისფერყანწელთა» შემოქმედებას იკვლევს. ქალბატონი ციური მიესალმა ახალგაზრდა მელექსეთა წამოწყებას, უსურვა დაწყებული საქმიანობის ნაყოფიერად გაგრძელება და მიზნის მიღწევა. ბევრი საქებარი სიტყვა ითქვა. მართლაც, მის პოეზიაში უაღრესად საინტერესო პოეტური სახე-ხილვებია: უდაბნოს, ზღვის, ზამთრის, მიჯნურის, სამეფო მეჯლისის ხატება ენაცვლება ერთმანეთს და უჩვეულო განწყობაზე აყენებს მსმენელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მრავალი შემოქმედი აღუზრდია. მათი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები ხომ ჩვენი უნივერსიტეტის აუდიტორიებიდან დაიწყო. ახლა ბევრი მათგანი ქართული ლიტერატურის ისტორიას ამშვენებს. ღმერთმა ინებოს, ჩემი ამხანაგიც მათი ღირსეული შთამომავალი აღმოჩნდეს!».

რატისთვის თარგმნა დიდი სიამოვნება იყო. ამავე დროს დედნის მიმართ დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა. მთარგმნელისაგან პროფესიონალიზმს მოითხოვდა. თავის სადიპლომო ნაშრომში – „პაოლო იაშვილის თარგმანის სტილისა და თავისებურებათათვის,, ახალგაზრდა მკვლევარმა შეძლო პოეტის პიროვნების მართებულად დანახვა და მისი ორიგინალური შემოქმედებისა თუ თარგმანების პიროვნებასთან მიმართებაში განხილვა. თარგმანების განხილვისას რატიმ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა პუშკინის ორი ლექსის – «Зимний вечер» და «Зимняя дорога» პაოლოსეული თარგმანების მიმართ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რატიმაც თარგმნა ეს ლექსები, მაგრამ ამის შესახებ არც ნაშრომში, არც სადიპლომო ნაშრომის დაცვის დროს არ უსაუბრია. იგი გულწრფელად უქებს პაოლო იაშვილის თარგმანს იმას, რაც თვითონ განსხვავებულად აქვს თარგმნილი. სადიპლომო ნაშრომში ვკითხულობთ: «პაოლო იაშვილმა დედნისეული «Мгла» შეცვალა «გლოვით» (ალბათ, ეს ცვლილება სიტყვათა ბგერობრივმა მსგავსებამაც უკარნახა). სიტყვა «წყვდიადი»

საღიქსო სტრიქონის ზომამში არ ჯდებობდა, «გლოვამ» კი ავტორის აზრს არაფერი ავნო». აქვე მოჰყავს შესაბამისი სტროფი პაოლოს თარგმანიდან:

«ქარმა გლოვით ცა დაფარა,
თოვლის ბუქით ჰაერს ავსებს,
ხან გრიალებს მხეცის გვარად,
ხან კი ტირის ბავშვის ხმაზე».

პაოლოს მშვენიერ თარგმანს, ვფიქრობ, არც რატის თარგმანი ჩამოუვარდება. რატიმ სიტყვა «Мгла»-ს კარგი შესატყვისი მოუძებდა – «თალხი» – და მართლაც პუშკინის ლექსისდაგვარად თქვა თავის თარგმანში:

«ქარიშხალი ტატნობს თალხავს,
ნამქრავს არეს თოვლის ფრთილით,
ნადირივით ღმუის ახლა,
მერე ტირის, როგორც ჩვილი»

საინტერესოა, რომ «вихри снежные» რატიმ გადმოთარგმნა როგორც თოვლის ფთილა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: «ფთილა – გაჩეჩილი ან გაპენტილი მატყლის (ბამბის) ხელისგულისოდენა ნაწილი, რომელიც შემდეგ უნდა დაართონ, – ფარტენა». ფარტენას შესახებ კი წერია: «ფარტენა – 1. იგივეა, რაც ფთილა; 2. იგივეა, რაც თოვლის ფიფქი (მნიშვნ.1). თოვლის ფიფქი».

რატიმ სიტყვა «ფთილას» ჩაურთო ასო «რ» და გახადა ფრთიანი. ფრთილა უკვე მართლაც მოფარფატე, უფრო სწორად კი ქარიშხლის დროს სწრაფად მფრენი ფიფქის ასოციაციას იწვევს.

პუშკინის ლექსი «Зимняя дорога» პაოლო იაშვილმა თარგმნა სათაურით «ზამთრის შარა». თავის სადიპლომო ნაშრომში რატიმ კარგ მიგნებად მიიჩნია პაოლოსეული სათაური: «დედანში ლექსს «Зимняя дорога» ჰქვია, რაც პირდაპირი თარგმანით «ზამთრის გზა» გამოვიდოდა, მაგრამ მთარგმნელმა არჩია «შარა» და სწორადაც, ვინაიდან ეს სიტყვა უფრო უხდება იმ გზას, რომელზეც მიჰქრის პუშკინის ეტლი».

პუშკინის ზემოაღნიშნული ლექსი რატიმ თარგმნა სათაურით «ზამთრის გზა». ვფიქრობ, პაოლო იაშვილი რომ მოსწრებოდა და ენახა რატისეული თარგმანი, გულით გაიხარებდა, რომ მის ლამაზ თარგმანს უახლეს თაობაშიც კარგი მემკვიდრე გამოუჩნდა და ქართულმა თარგმანმა «შარასთან» ერთად «გზაც» კარგად მოირგო:

«ზამთრის თეთრ და პირქუშ გზაზე
მირბის ეტლი ჩემი მკვირცხლი,
ჟამხშირად და მომქანცველად
აწკარუნებს ეფვანს ვერცხლის.»
(რატის თარგმანიდან)

პუშკინის ლექსებთან ერთად პაოლო იაშვილის მიერ თარგმნილი არტურ რემბოს,

შარლ ბოდლერის, ოსკარ უაილდის ნაწარმოებების განხილვის შემდეგ რატი ასკვნის, რომ «ზოგიერთი მთარგმნელისაგან განსხვავებით პაოლო იაშვილს არა აქვს ამოჩემებული საკუთარი მთარგმნელობითი მანერა და თარგმნის რა სხვადასხვა ავტორს, ითვალისწინებს, თუ რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას ეკუთვნოდნენ ისინი, გულდასმით არჩევს ლექსიკურ მარაგს, აყალიბებს შესაფერის სტილს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ცდილობს ცნობიერად გარდაისახოს იმ ავტორად, ვისაც თარგმნის». ვფიქრობ, იგივე შეიძლება ითქვას რატიზე, როგორც მთარგმნელზე.

რატი არასოდეს ეძებდა ისეთ პოეტს, ისეთ ლექსსა თუ მოთხრობას, რომელიც ჯერ არავის უთარგმნია. მისთვის მთავარი იყო საყვარელი ნაწარმოების ავტორად გარდასახვა, მისი განცდის გათავისება და ქართულ ენაზე იმავე ემოციით გადმოტანა. თავის უკიდველურ სევდასთან ერთად მან ესენინის, პუშკინის, ბაირონის, ბუნინისა და იულიუმ სლოვაცკის სევდაც იტვირთა. საკუთარი თარგმანის მიმართ ყოველ კეთილგანწყობილებით მიცემულ შენიშვნას, თუ ის მართებული იყო, რატი უეჭველად იღებდა. ყურად იღო ქალბატონ ქეთევან ბურჯანაძის რჩევა და პუშკინის ლექსი «Пророк», რომელიც პირველად თარგმნა სათაურით «მოგვი», ხელახლა თარგმნა და წინასწარმეტყველი უწოდა. არქაიზმებითაც შედარებით ნაკლებად დატვირთა იგი.

1999 წელს რატიმ სადიპლომო ნაშრომი დაიცვა და უნივერსიტეტი დაამთავრა. მაგრამ ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრასთან კავშირი არ გაუწყვეტია.

პირველი პოეტი, რომელმაც რატის თარგმნა მოანდომა და შეაყვარა, იყო სერგეი ესენინი. ვინ წარმოიდგენდა, რომ თვითონაც ესენინისა და პაოლო იაშვილის ბედს გაიზიარებდა...

სერგეი ესენინის ლექსების რატისეული თარგმანების განხილვისას არ შეიძლება პარალელები არ გავავლოთ ესენინის შემოქმედებასა და რატის შემოქმედებას შორის. ამით უფრო გასაგები ხდება სათარგმნი ნაწარმოების შერჩევის პრინციპი. ესენინის ლექსების რატისეულ თარგმანებში («ხულიგანი», «დაბადებიდან ეს ბედი იქავ», «შაგანე», «...შენ თქვი, დიაცმარტომკერდზე...» «კაჩალოვისმადლს») შენარჩუნებულია დედნისაზრიცადაემოციაც. ცალკეული ჩანაცვლებანი, რაც საერთოდ მნიშვნელოვანია თარგმნის პროცესისათვის, არ ცვლის დედნის არსს და პირიქით, კიდევ უფრო წარმოაჩენს ესენინის პოეზიის ემოციურ მხარეს. ამ თარგმანებისა და მისი სხვა თარგმანების განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ მნიშვნელობა ნიკოლოზ გუმბოლოვის წერილისა «Переводы стихотворные», რომელიც რატიმ ნინუამ თარგმნა («ლექსის თარგმნა»), უნდა გავითვალისწინოთ ის პრინციპები, რომლებიც რატიმ ჩამოაყალიბა თავის სადიპლომო ნაშრომზე («პაოლო იაშვილისეული თარგმანის სტილისა და თავისებურებათათვის») და თარგმანის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი წრის სხდომაზე რატის მიერ წაკითხული რეცენზია, რომელშიც მან ს. ესენინის რამდენიმე ლექსის II კურსის სტუდენტის – ნინო ნასყიდაშვილის მიერ შესრულებული თარგმანები შეაფასა. (რ. ჭანტურიშვილი, «სერგეი ესენინის ხუთი ლექსი რატი ნინუას თარგმანებში», თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2007, გვ. 90-91).

ინტერვიუში, რომელიც მესამეკურსელ რატისაგან სალიტერატურო ჟურნალ «ადამიანისათვის» ჩაიწერეს თარგმანის სპეციალობის I კურსის სტუდენტებმა: მანანა მათიაშვილმა და ნესტან ჭუმბურიძემ, ვკითხულობთ რატის აზრს საკუთარი თარგმანის

შესახებ: «ჩემს თარგმანებში შეგნებულად მივმართავ არქაიზმს, ძველი ქართული სიტყვების გაცოცხლების მცდელობას. ასეთი მშვენიერი სიტყვებია: «ბრპენი», «ღაფალი», «ბაბრაბი», «წვრილთვალა», «კაზიმიტი» და სხვა. ეს სიტყვები განმარტებულია საბას ლექსიკონში და დასაკარგავად არ მემეტება. ჩემი თარგმანების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად ვიყენებ არქაიზმებს». (ლალი ნემსაძე, მანანა მათიაშვილი, ნესტან ჭუმბურიძე, «ადამიანი», სამეცნიერო-ლიტერატურული წერილები, რუსთაველი, 2007, გვ. 493-514).

ესენინის ხუთი ლექსის რატისეული თარგმანები, მისსავე ტერმინოლოგიას რომ დავესესხოთ, «კეთილად მშვენიერია». ვკითხულობთ 16-17 წლის ვაჟის თარგმანებს და ეჭვიც არ გვეპარება, ესენინი ქართველი რომ ყოფილიყო, ზუსტად ამ სიტყვებით იტყოდა:

«ჩემო შაგანე, სათნო შაგანე!
ჩრდილოეთიდან ვარ მე რადგანაც,
მოგიტხოვრობ, მთვარის შუქნაფენ ყანას
ქარი მღელვარი ვითარ აქანებს,
ჩემო შაგანე, სათნო შაგანე!»

მართალია, დედანში სიტყვა «სათნო» არ არის («Шагане, ты моя Шагане!»), მაგრამ ქართულ თარგმანს მის გარეშე თითქოს მარილი დააკლდებოდა.

ლექსში «Хулиган» და მის რატისეულ თარგმანში კი ქარივით ონავარი ახალგაზრდა წარმოგვიდგება:

«ჰგვის სველი ცოცხით ტირიფის ფოთლებს
ეს წვიმა მინდვრად. – დაე, წარილოს,
ქარო, ნაფურთხი მიდამოს მოსდე,
ხულიგანი ვარ, შენი არ იყოს».

ამ ლექსმა გამახსენა III კურსელი რატის მიერ პირველკურსელებისთვის მიცემული ინტერვიუ, რაც სტუდენტებმა ხელნაწერ სალიტერატურო ჟურნალ «ადამიანისათვის» ჩაწერეს. პირველკურსელთა შეკითხვებზე იგი ერთი შეხედვით ოდნავ აგდებულად, ირონიულად პასუხობდა, მაგრამ დღეს, როცა «ურემი უკვე გადაბრუნდა», კარგად ჩანს, რომ რატი ხუმრობის გარეშე ამბობდა: «ადამიანს სჭირდება მოცინარის ნიღაბი, როცა ძალიან უჭირს».

სხვების თარგმანებსა თუ ორიგინალურ შემოქმედებაში რატი სიკეთეს ეძებდა. კეთილი და მშვენიერი მისთვის სინონიმები იყო. 2000 წლის აპრილში, უკვე კურსდამთავრებულ რატის II კურსელი ნინო ნასყიდაშვილის მიერ ესენინიდან ნათარგმნი ლექსები გადავეცი სარეცენზიოდ. დიდი პასუხისმგებლობით მოევიდა ამ საქმეს და თარგმანის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი წრის სხდომაზე, რომელსაც პროფ. გიზი ფაშალიშვილი ესწრებოდა, რატიმ ყურადსაღები შენიშვნებიც მისცა სტუდენტს და დადებითი მხარეც გულწრფელად შეუქო. რეცენზიაში ვკითხულობთ: «მთარგმნელი ჭემმარიტად ფაქიზი, ლირიული ბუნების ადამიანი ჩანს, რადგან მან იმთავითვე კარგად აულო ალლო ესენინის ასეთსავე ფაქიზ პოეტურ სამყაროს და ამიტომაც თარგმანებში გვაქვს არა მხოლოდ მშრალი, ინფორმაციულად ზუსტი ანგარიში, არამედ სწორედაც პოეტურობით

მსუნთქავი, ხალასი სტრიქონები, რაც მთარგმნელის უდავო ნიჭზე მეტყველებს. ვფიქრობთ, მთარგმნელი თავადაც უნდა წერდეს ლექსებს, ყოველ შემთხვევაში, მისი თარგმანები ამ აზრს ბადებენ მკითხველში. გვაქვს ცალკეული არაარსებითი ხასიათის შენიშვნებიც, რომელთა გამოსწორებას მხოლოდ ხელის გაწაფვა სჭირდება, პროფესიონალიზმის ჩამოყალიბება დროს მოითხოვს და ნ. ნასყიდაშვილი, ჩვენი მოსაზრებით, ახლო მომავალში სრულყოფილად დაეუფლება ლექსწერის ტექნიკურ, ვერსიფიკაციულ მხარეს და უფრო სრულყოფს თავის ნიჭს ამ მიმართულებით».

სხვის შემოქმედებაში სიკეთეს ეძებდა და თვითონაც იმაზე წერდა, რაც «კეთილად მშვენიერია». 1999 წელს რატიმ სათაურით: «მშვენიერება, სიკეთის სული და ბედნიერება» ნარკვევი დაწერა, სადაც იმ აზრს ავითარებს, რომ მშვენიერია მხოლოდ ის, რაც კეთილია და ზნესრული და რომ ხელოვნებას მხოლოდ მაშინ შეუძლია ადამიანის გაბედნიერება, როცა იგი არა მათემატიკურად სრულყოფილი ფორმებით, არამედ სიკეთის სულით არის აღსავსე. რომანტიზმიც ამ რაკურსში აქვს განხილული. ნარკვევში ვკითხულობთ: «რომანტიზმი უანგარო განცდაა. მას ვერ დავარქმევთ სიამოვნებას, რადგან უფრო ამაღლებულია, ვერც მარტოდენ სიკეთეს, რადგან უფრო უხევეროვანია. რომანტიზმი ზეადმტაცია და სწორედ მას ძალუძს ადამიანი ამყოფოს ბედნიერების საოცნებო განცდაში. რომანტიზმი – ყველაფერია, ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც სული პრაგმატიზმის ანგარებით არ დამძიმებია და ვინც ბედნიერების განცდისათვის ბოლომდე არ დაყრუბულა. რომანტიზმისათვის ღირს ცხოვრება ამქვეყნად და რომანტიზმისათვის უნდა იცხოვროს ადამიანი. ადამიანი უნდა იცხოვროს რომანტიკულად».

რატი თვითონაც რომანტიკულად ცხოვრობდა და ირგვლივაც რომანტიკოსებს ეძებდა. პოეზიაში იზიდავდა ის, რაც სულიწმიდის შთაგონებით იყო დაწერილი. სწორედ ეს დაინახა მან გურამ პეტრიაშვილის პოეზიაში და დაწერა ვრცელი გამოკვლევა. რატი წერს ისე, როგორც გული კარნახობს, სიტყვებით კვლავობა მისთვის უცხოა, პირფერობა – მიუღებელია, წერს მხოლოდ იმაზე, ვინც ძალიან მოსწონს. გურამ პეტრიაშვილის შემოქმედებას რატი გენიალურს უწოდებს და აქვე განმარტავს ამ სიტყვას: «როდესაც ვამბობთ «გენიალურს», ამ სიტყვაში სხვა რამეს ვგულისხმობთ, ვიდრე ჩვეულებრივ გულისხმობენ ხოლმე. დიდი პოეტების უმრავლესობას თუ არა, მნიშვნელოვან ნაწილს მაინც მხოლოდ იმიტომ არქმევენ «დიდს», რომ მათი ნაწარმოებები მკითხველს ატკობს, მათი ნაწარმოებები ოსტატურადაა დაწერილი, მშვენიერების სულითაა «გაჟღენთილი». რა შორს დგას ასეთი «ლუციფერული» გენიისაგან გ. პეტრიაშვილის ჭეშმარიტად სულიწმიდისაგან ჩაგონებული ლექსი! რა შორს დგას ასეთი გენიისაგან კეთილი გენია, რომელიც ჭეშმარიტების სულით ლაპარაკობს და რომელიც ღვთისგანაა... მაგრამ ჩვენ მხოლოდ პირველთ ვუწოდებთ «გენიოსებს», მეორენი კი როგორღაც ჩრდილში რჩებიან. ერთი ასეთი ჩრდილში დარჩენილი გენიაა გ. პეტრიაშვილი».

ნაშრომში რატი დეტალურად არჩევს ლექსებს გურამ პეტრიაშვილის კრებულიდან «ქალაქი, წვიმა და ვარსკვლავები». ვფიქრობ, ასეთი გულწრფელი, შინაარსიანი და ყოველგვარ პრაგმატიზმს მოკლებული, რომანტიკული აღმაფრენით აღსავსე გამოკვლევა მხოლოდ ისეთ სუფთა და უმწიკვლო კაცს შეეძლო დაეწერა, როგორც რატი იყო.

შემდეგ რატი ამავე სტილში განიხილავს გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებს, მოჰყავს მისი აზრი სიკეთისა და მშვენიერების შესახებ: «ერთ-ერთ ლიტერატურულ წერილში გ.

პეტრიაშვილი ამბობს, რომ ის, რაც მართალია და კეთილი, უთუოდ მშვენიერიც იქნება. მშვენიერება თან სდევს სიმართლეს ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც და ცხოვრებაშიც, როგორც «განუყრელი და». მწერლის ეს სიტყვები შეესაბამება მისსავე ზღაპრებს, სიმართლის სულით გამსჭვალულთ, და ამავე დროს ესთეტიურად მომხიბლავთ. თუკი ზღაპრულ საბურველს ჩამოვაცლით, მრავალი აქ აღწერილი მოვლენა გვეცნობა, როგორც ჩვენი რეალური ცხოვრების უცილობელი სინამდვილე».

გურამ პეტრიაშვილის აზრი სიკეთისა და მშვენიერების შესახებ რატიმ განავითარა თავის ნაშრომში – «მშვენიერება, სიკეთის სული და ბედნიერება», რაზეც ზემოთ გვექონდა საუბარი.

რატის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სადმე მასწავლებლად წასვლა უნდოდა. განათლების სამინისტროს მუშაკმა ბატონმა ჰამლეტ ჩხენკელმა თიანეთის რაიონის განათლების განყოფილებას წერილი გაუგზავნა, სადაც ცხვარიჭამიასთან ახლოს, სოფელ ნაქალაქარში ერთ-ერთი მასწავლებელი დეკრეტში გასვლას აპირებდა და სკოლის დირექტორიც მოსურნე გახლდათ რატისათვის საათები გამოეყო, მაგრამ რატომღაც რატის იქ მიღება ვერ მოხერხდა. შემდეგ ბატონი ნოდარ წულეისკირი, რომელიც იმ დროს გარდაბნის რაიონის სოფელ წერაქვეში სკოლის დირექტორი იყო, ცდილობდა რატის იქაურ სკოლაში მოწყობას, ამასობაში ტატოს მეგობარმა თბილისის საერო სკოლა «სარკმელში» ინგლისური ენის მასწავლებლად მიიწვია.

ტატო თსუ თარგმანის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი წრის მუდამ სასურველი და საპატიო წევრი იყო. ოთხშაბათობით სკოლაში მეცადინეობა არ ჰქონდა და უნივერსიტეტსაც უფრო ამ დღეს მოაკითხავდა ხოლმე. მოჰქონდა ახალი ლექსები, თარგმანები, ერთხელ ორი მოთხრობა მოიტანა, რომელთაგან პირველი — „ბაჭულა“, როგორც თვითონ მითხრა, შესასწორებლად წაიღო და აღარ დაუბრუნებია. მთავარმა გმირმა ამ ნაწარმოებში საკუთარ თავს უღალატა, გახდა უხეში, დამცინავი და ცხოვრების მაცდურ მხარეთა ამყოლი, მაგრამ ერთ დღეს მის არსებაში ის უმანკო ბავშვი ატირდა, რომლისთვისაც ყოველი მანკიერება უცხო იყო და რომელსაც მოფერებით „ბაჭულას“ ეძახდნენ. სულში ბავშვის ატირებამ მოთხრობის გმირი გამოაფხიზლა, მან გადაწყვიტა თავისი უკვე გაუხეშებული და ყველაფრის შემგულებელი პიროვნება დაეღუპა, რომ სულში უმანკო ბავშვი გადაერჩინა და ხიდიდან მდინარეში გადაეშვა.

მერე მეორე მოთხრობა მოიტანა „ედმონდ დანტესი“, სადაც გმირი თავს არ იკლავს, მას კლავენ, იმიტომ, რომ სხვებისაგან განსხვავებულია და ყველასათვის საყვარელმა ნაწარმოების გმირმა გოგონამ სწორედ ის შეიყვარა, ასეთი უცნაური კაცი და სუფთა სულის პატრონი, რომლის ღამეულ ლოცვებსაც უნებლიედ ყურს უგდებდა.

ვფიქრობ, ედმონდ დანტესი იგივე ბაჭულაა, რომელმაც საკუთარი მეობა შეინარჩუნა, სევდისგან სიყვარულის დახმარებით იხსნა თავი, მაგრამ ბედისწერას მაინც ვერ გადაურჩა. მისი გმირი რომ გადარჩენილიყო, იქნებ არც რატის გადაედგა საბედისწერო ნაბიჯი...

ედმონდ დანტესის ღამის ლოცვა მოგვაგონებს იმ ვრცელ ლექსად დაწერილ ლოცვას იესოსადმი, რომელიც ტატომ 1999 წლის 11 აგვისტოს დაწერა. იმ დღეს მზის დაბნელება იყო საქართველოში. ტატო ყველაფერს პოეტურად, სიმბოლური სახეებით აღიქვამდა. ლექსის შინაარსის მიხედვით, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ საქართველოს რომანტიკული წარსული,

რომელმაც ჩვენს დროშიც გაიელვა ეროვნული მოძრაობის სახით, მზის დაბნელების მსგავსად დაბნელდა და დაიწყო ახალი ეპოქა, ყოველგვარ რომანტიკას მოკლებული. მან იფიქრა, რომ ეს ახალი ეპოქა თავისი ახალი საზრუნავით წაშლიდა 9 აპრილის გამირებისა და მათი ლიდერების ხსოვნას, რომელთა მიმართ ლექსში „ფსალმუნი“ უდიდესი მოწიწება და სიყვარული გამოხატა. შეძრწუნდა, როცა წარმოიდგინა, რომ ყოვლისწამლევკავ დროს მის გულშიც შეეძლო შეედწია. ამიტომაც შეევედრა იესოს:

„აპრილის სუნთქვას და სულიწმიდას
დე, ნუ დაწნებავს უხსენებელი,
იესო, ღმერთო, ო, როგორ მინდა,
ჩემივ სინდისით ვიქნა ვნებული,
აპრილის სუნთქვას და სულიწმიდას,
მართალი ბიჭის წყრომას და ცრემლებს,
შენ შეგავედრებ, თუ ვერ დასდინდა
ასეთი ცრემლი დილეგის კედლებს“.

სხეული მისთვის დილეგი იყო. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „დილეგი“ ასეა ახსნილი: „დილეგი — (ძვ.) ციხე-კოშკი, რომლის ძირა ნაწილი გამოყენებული იყო საპყრობილედ“. მას უთუოდ დილეგის ზედა ნაწილი — ზეცისკენ აღმართული ციხე-კოშკი არ ეთმობოდა, რომელშიც მისი რომანტიკული სული იმყოფებოდა და სთხოვდა იესოს:

„ამ დილეგიდან ნუ გამომიშვებ,
ჰა, ჩემი სიტყვა, როგორც დასტური,
ნუ გამხდი ბოროტს, ღმერთო, და შიშველს,
შენ დამითრგუნე ესე მაცდური“.

მაგრამ ბედისწერამ თავისი გაიტანა:

2000 წლის 10 მაისს ოთხშაბათი იყო, რატი ადრიაანად მივიდა უნივერსიტეტში და...

„შენმა გოდებამ გაზარა ღამე,
ბორგავ, წრიალებ, წუხხარ,
კედლის საათი დაგვივის წამებს,
გარეთ ქარები ქუხან.
ეს ღამეც ისე თენდება უკვე,
როგორც გათენდა ყველა,
მაგრამ შენს გულში დაგზნებულ უკუნს
არ აქვს რიჟრაჟის შველა“.
„მე გავფრინდები ცაში აისზე,
მზეც თუ დაკოცნის დილებს სისხამთა,
ცაში გაფრენა მყუდროა ისე,
განმარტოება როგორც სიზმართან“.

მეორე დღეს რატის III კლასის მოსწავლემ, თამარ გაბაიძემ დაწერა: „სიცოცხლე ღმერთმა გვიბოძა და მას უნდა გავუფრთხილდე. რატი მასწავლებელმა თავი მოიკლა. იმ დღეს მე მუშტისოდენა ცრემლებით ვტიროდი...“.

ლექსი „იესოსადმი“ (ლოცვის მაგიერ) ასე მთავრდება:

„არ მითხრა, არა, რომ გვიანია,
რომ ჩემი შრომა არის ამაო,
მე ვინანიებ, მე ვინანიებ,
მე ვინანიებ ტკბილო მამაო“.

რატის ნაწერებში აღმოჩენილი ამ ლოცვის წაკითხვის შემდეგ უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, უთუოდ უფლის შთაგონებით, რატის სულის მეოხად მოგვევლინა, მისთვის ლოცვა, სანთლის დანთება შეგვაძლებინა და უკიდურესი სასოწარკვეთილებისაგან გვიხსნა, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებთ.

მერე კი, მერე დავიწყეთ ზრუნვა რატის „აქ დასარჩომი“ სახელისათვის, თავი მოვუყარეთ მის მთელ შემოქმედებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარსად აღმოვაჩინეთ:

1. შექსპირის „მაკბეტის“ I თავის მისეული თარგმანი; რომელიც შექსპირისეულ თარგმანთა შორის ერთ-ერთ მარგალიტად დარჩებოდა.

2. მოთხრობა „ბაჭულა“. რატი მეტეხის უბანში ცხოვრობდა. ბატონმა ზურაბმა და ქ-მა ცისანამ მას და მეორე შვილს — ნატოს ბრწყინვალე განათლება მისცეს, შრომასა და პატიოსნებას აზიარეს.

საოცრად უყვარდა ბათუმი, რამეთუ მამით ბათუმელი იყო და ხშირად სტუმრობდა ამ მშვენიერ ქალაქს.

ზაფხულობით რუისში ისვენებდა — კაპასთან. მისი დაღუპვით თავზარდაცემულმა რუისელებმა იმ ქუჩას ტატო ნინუას სახელი დაარქვეს, ყოველ 16 მაისს კი ახალგაზრდული სახალხო დღესასწაული „ტატობა“ დააწესეს.

სოფელ რუისში დაარსდა ტატო ნინუას სახელობის სახელმწიფო სახლ-მუზეუმი (ტატო ნინუას ქ.№16).

გაჩნდა „სევდის ბაღის“ შექმნის იდეა, რომელიც უდროოდ დაღუპულ ახალგაზრდა პოეტთა სავანედ უნდა იქცეს.

2001 წლის 21 თებერვალს უნივერსიტეტში გაიმართა რატის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. აქ თავი მოიყარეს რატის ნაცნობ-მეგობრებმა, ლექტორებმა, ახალგაზრდა მწერლებმა და მისი ნიჭის სხვა თაყვანისმცემლებმა. ტატოს I კლასის მასწავლებლის — ქ-ნ დოდო ტატიშვილის და გაზეთ „ნერგის“ რედაქტორის — ქ-ნ მარინე თექთუმანიძის სიტყვებში ჩვენს წინაშე გაცოცხლდა პატარა რატი (ტატო), რომელიც ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა უხვად ნაბოძები პოეტური ნიჭით.

საღამოზე წაიკითხეს რატის ლექსები, თარგმანები, რატისადმი მიძღვნილი ლექსები, გამოვიდნენ მოგონებებით.

პირველ არხზე მალევე გაკეთდა სატელევიზიო ლიტერატურული გადაცემა „რატი (ტატო)

ნინუა“.

რატის მოთხრობა „ედმონდ დანტესი“ რუსულ ენაზე თარგმნა სტუდენტმა თამარ კაციტაძემ.

მომავალში, ალბათ, სხვანაწარმოებებიც გადაითარგმნება. გვჯერა მის დიდ შემოქმედებაზეც კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება. მისი „სიკეთის სულით“ სავსე ლექსები მკითხველის გულს ყოველთვის გაათბობს და კვლავაც გაგრძელდება „ალუბლის იაღქნების“ სვლა, რადგან „ცხოვრება ხანმოკლეა, ხელოვნება კი — მარადიული“.

ტატო, როგორც პიროვნება და მოქალაქე, XX საუკუნის ღირსეული, თვალსაჩინო შვილია, მან XX საუკუნის ზღურბლს აღარ გადააბიჯა, მისი დახვეწილი ქართულით ჩამოქნილი, სამშობლოს სიყვარულით აღსავსე, სევდიანი და «კეთილად მშვენიერი» პოეზია XXI საუკუნეში გაბრწყინდება და ამალდება, როგორც დედა-სამშობლოს და ქართული სიტყვის სიდიადე და უკვდავება.

*ბიოგრაფიული მასალა შეადგინა და მოამზადა
პროფესორმა, ქალბატონმა რუსუდან ჭანტურიშვილმა*





იესოსადმი

(ლოცვის მაგიერ)

რა ტკბილი არის შენი სასჯელი,
მართალი გულის რისხვა და წყრომა,
მე ეგ-ლა დამრჩა სულის სახსნელად,
აღბათ ფუჭია ახლა სხვა შრომა.
არ გამიცრუო ბოლო იმედი,
თუ გზას გადავცდი შენსკენ მომავალს,
მრუდე გზის გავლა მაინც ბოლომდე
არ დამაცალო, რამეთუ ბრმა ვარ.
მყის დამატეხე თავს შენი რისხვა,
თუნდ არ კმაროდეს გამოფხიზლებად,
დაე, ნუ ჩათვლი ზედმეტად კიცხვას,
ნურც გამწარებას, ტანჯვით მხილებას.
არ დამაცალო სვლა მცდარ ბილიკზე,
გზაზე, რომელიც შენსას შორდება,
მე თუ ჯიუტად ვალ დაღუპვისკენ,
თუ ბილწს არ მინდა გამოსწორება.
იმ ბავშვის სული მაინც დაინდე,
ვინც უგნურებამ თვისმა იმსხვერპლა,
გენიის ცეცხლად თავში აინთე,
კვნესის, ვაების უქრობელ ცეცხლად.
შენ გვედრები, იესო ქრისტე,
ბილწი-გულმართალს, სულმყრალი-კეთილს,
ოჰ, დროზე ადრე შენ შემიზიზღე,

მომეცი ტანჯვა მე ძველზე მეტი.
ნუ ამარიდებ თვალს, თუნდ მწყრომარეს,
და ნუ მიმიშვებ მრუდე ნებაზე,
სჯობია მომკლა მარად მცთომარე,
ვიდრე შევბღალო ტატოს ემბაზი.
სჯობს გამათავო ერთი სიკვდილით,
ვიდრე აღსრულდეს, რაც შენ არა გასურს,
ოჰ, სინდისი-და ზეცისკენ ყვირის,
რწმენით მოელის სასჯელს — შენს პასუხს.
როცა შენ მსჯიდი, თუმცა ვწვალობდი,
მაგრამ ეგ მზერა მე არ მტოვებდა,
მე ზეცის მიმართ უხმოდ ვგალობდი,
მსჯიდი, ესე იგი მაინც მწყალობდი,
სული გეძახდა და სასოებდა.
და ნუ იყოფინ, შეჩერდეს ტანჯვა,
ოჰ, გევედრები, ღმერთო, მხურვალედ,
ბოლომდე მექმენ ჯალათად, დასჯად,
მე გაეჯები კეთილმწყურვალე.
შენ განმიკითხე ყოველი ბიჯი,
რადგან დიდია ცთუნება ჩემში,
ეს ყოველივე ხომ კარგად იცი,
ვზივარ სხეულში, როგორც მყრალ გემში.
ჰოი, უფალო, მომეცი ძალა,
მივხვდე რა არის ამჟამად სწორი,
გთხოვ, არ გამწირო, არა და არა,
იქნებ გზა შენსკენ აღმოჩნდეს შორი.
გთხოვ, რომ არ მიმცე მაცთურს არასგზით,
თუნდ ამას კიდეც ვიმსახურებდე,
სჯობია მომკლა ცეცხლით ანაგზით,
ვიდრე სხვა თვალით ღმერთს გიყურებდე.
ოჰ, ნუ იყოფინ, ღმერთო, უფალო,
რომ სიყვარული მომიკლას ვინმემ,
არ მიმატოვო მტერთან უფაროდ,
მაცთურს სასჯელის ცეცხლი აწვიმე.
ჩემზე ზრუნავდი, მრავალმოწყალევ,
მადლით, მხილებით, მკაცრი სასჯელით,
კვლავაც იზრუნე, თუ გასურს მაწამე,
დაე, წამება გახდეს ასწილი.
ოღონდ არ მიმცე მე ჩემს გულისთქმებს,
არ მიმატოვო მათთან ბრძოლაში,
თუკი მივინებდე ამ ცოდვილ ფიქრებს,
მარად მამყოფე სულის ძრწოლაში,
ნუ გაიხარებს ჩემზე მაცთური,

ნუ გავებმები კრული მახეში,
არ დამავიწყო შავი წარსული,
არ დამთმო კრავი ჩემს სიცოცხლეში.
მექმენ მფარველად, მექმენ დამხმარედ,
მექმენ დამსჯელად და შემბორკველად,
თუ არ აღმადგენ, როგორც ლაზარეს,
ნუ გამხდი ავის კარზე მროკველად.
უმალ დამფალი, დამასამარე,
ჰა, ჩემი სიტყვა, როგორც დასტური,
ან დამაბრმავე, ან მასაპყარე,
არ მიმატოვო სული ქართული.
ზვიადს და მერაბს ნუ წაშლის ჩემში,
გულისთქმა მყრალი და შესაზარი.
დაე, გაწვიმდეს კვლავ თავში თქეში,
წამლად ვსვა ტანჯვა უზარმაზარი.
ზვიადს და მერაბს ნუ წაშლის ჩემში,
გულისთქმა მყრალი და შესაზარი.
აპრილის სუნთქვას და სულიწმინდას,
დე, ნუ დაწნებავს უხსენებელი,
იესო, ღმერთო, ო, როგორ მინდა,
ჩემივ სინდისით ვიქმნა ვნებული.
აპრილის სუნთქვას და სულიწმინდას,
მართალი ბიჭის წყრომას და ცრემლებს,
შენ შეგავედრებ, თუ ვერ დასდინდა
ასეთი ცრემლი დილეგის კედლებს.
ამ დილეგიდან ნუ გამომიშვებ,
ჰა, ჩემი სიტყვა, როგორც დასტური,
ნუ გამხდი ბოროტს, ღმერთო, და შიშველს,
შენ დამითრგუნე ესე მაცდური.
აპრილის ცრემლი წრფელი და სუფთა,
მე ისე მახსოვს, როგორც ედემი,
ან ქუჩის ბოლოს რხეული თუთა
და საფეხბურთე ლადი კედელი.
ან მეზობლების წყრომა ფეხბურთზე,
და სიკეთეში ბრწყინვა ასგვარი,
ამ მოგონებებს ყრუ ტანჯვით ვუმზერ,
ისიც ბოროტმა სულმა წამგვარა.
თუ არ ეღირსა განმეორება
ჩემს ლალ ბავშვობას, ჩემს ლამაზ ედემს,
მფარველი ჩემი ნუ გამშორდება,
ვინაც მჭუქნიდა ბავშვობის გედებს.
შენ დამიფარე, ღმერთო მაღალო,
და შემაწიე მფარველი სული,

ძველო დღეთაო მარად ახალო,
შენ შემოგცქერი გაოგნებული.
მამაო, ვცოდე, მამაო, ვცოდე,
არა ვარ ღირსი შენი ძეობის,
მე ახლა უნდა ცრემლებში ვთრთოდე,
მე-დამკარგავი ჩემი მეობის.
შენ არ გამწირო, თუ ჩემი თავი,
აწ საბოლოოდ მე გამიწირავს,
მომე სამარე და მიწა შავი,
სად თვით უცოდველ ბავშვებსაც სძინავთ.
ოლონდ არ მხადო კერძი ეშმასი,
ოლონდ მომეცი მადლი ხშულ გულში,
თუნდ ხსნა მომეცი გონის შეშლაში,
როგორც მაღამო სინდისის წყლულში.
არ დამცე, აღარ, არ დამაწიო,
ის რაიც უკან უნდა რჩებოდეს,
დაე, სირცხვილში ყველამ დამცინოს,
ბილწი გულისთქმა ოლონდ დნებოდეს.
არ მითხრა, არა, რომ გვიანია,
რომ ჩემი შრომა არის ამაო,
მე ვინანიებ, მე ვინანიებ,
მე ვინანიებ — ტკბილო მამაო.

1999 წ. 11 აგვისტო

*(საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა,
უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ამ ლექსის
წაკითხვის შემდეგ ტატოსთვის წესის აგების ნება
დართო.)*





ჰამლეტ გონაშვილს

როცა შენ მოკვდი, როცა შენ მოკვდი,
ვერ ვისვენებდი ერთ წამს.
შენსა სიმღერას, შენსა სიმღერას,
ვერ ვივიწყებდი ერთ წამს.
შენი სიმღერა მე სულ მატკობდა,
ვერ დავივიწყებ შენს ხმას.
შენ სულ გალობდი,
შენ სულ გალობდი,
არ ისვენებდი ერთ წამს.

1985 წ. აგვისტო, სოფ. რუისი.

მე ლექსებს არ ვწერ...

„მე არ ვწერ ლექსებს,
ლექსი თვითონ მწერს“.
ტიციან ტაბიძე

მე ლექსებს არ ვწერ... მათ ძერა მიწერს,
თმაგაწეწილი, ფრთებთეთრი ძერა...
და უიმისოდ, ალბათ ვერ შევძლებ
ორსიტყვიანი სტრიქონის წერას...
სულსწრაფად ველი ცის განაცრებას,
ვიდრე ცა ღამის კაბას იზმანებს.
ნეტავი მალე დამეძინოს და...
ნეტავი მალე ვნახო სიზმარი...
ძილში სულ ერთი რამ მესიზმრება,
თვალეებს აიტანს ბურანის წერა,
ძილში სულ მუდამ ერთ სიზმარს ვხედავ:
ბუმბულით მიწერს ლექსს თეთრი ძერა...
მერე გადმომცემს გამტკიცულ ქაღალდს,
თვით კი სივრცეში გაინავარდებს...
ვხედავ — ქაღალდზე თვლემენ სტროფები,
სტროფები თვლემენ, — ვხედავ, ქაღალდზე!
... მე შემფოთებულს გამეღვიძება,
დილას მახარებს მერცხლის სიმღერა,
ბალიშთან, — ვხედავ, — მიდევს ქაღალდი!
მე ლექსებს არ ვწერ... მათ მიწერს ძერა...

1988 წ. თებერვალი

დავით აღმაშენებელს

ღმერთად შეგიცანი
და კაცი ყოფილხარ!
კაცად შეგიცანი,
და ღმერთი ყოფილხარ!

...

ნაძერწი მკლავით,
ხრმალითა — ავით,
შენ — კვერთხძლიერო
მეფეო დავით!
ნაკვთებით — ლბილით,
მჭევრობით — ტკბილით,
დიდებამოსილო
შენ ოქროს ფთილით!
ქარი ქრის დიდგორს,
ეს ქარი თითქოს
არც ახლა ცხრება
და სიტყვას ითხოვს!

...

ღმერთად შეგიცანი
და კაცი ყოფილხარ!
კაცად შეგიცანი,
და ღმერთი ყოფილხარ!

1988 წ.მარტი



ვაჟას

მომხიბლა, მომაჯადოვა
შენმა ლამაზმა ენამა,
თუმცა ბევრი დრო მადროვა
ქვეშ — მიწამ, მაღლა — ზენამა,
ვერ ამოგიხსენ, ფშაველო,
სახე რამ დაგიცვარნამა?!
ამ სტრიქონებმა მომნუსხეს,
ლამაზ სიტყვების ფენამა,
ვაჟაო, ვერ შევიგრძენი,
სახე რამ დაგიცვარნამა?!
— იქნებ მამულზე, ჭარმაგო,
გაუთავებლად ზრუნვამა?

— იქნებ ოფლი გდის იმიტომ, —
დაგღალა რუდუნებამა?..
ფშაველო, ვერ ამოგისხენ,
სახე რამ დაგიცვარნამა?!
რამ დაგისუსხა გუგები,
— ლომთა კბილების ღრჭენამა?
ან თავი ვინ მოგაბეზრა,
— ბოროტთ ავსულად კბენამა?
მითხარ! მგოსანო ფშავლების,
სახე რამ დაგიცვარნამა?!
ვინ არ მოხიბლა, არ ვიცი,
შენმა მღერამ და ნანამა!

*პირველად გამოქვეყნდა 1989წ. 10 თებერვალს,
საბავშვო გაზეთში — „ნორჩი ლენინელი“*

პოეტი

მე ვარ პოეტი, თუ ვარ მწერალი,
ჩემი თხზულების ვარ მომღერალი,
ავამეტყველებ მე ამ ჩემს კალამს,
ახმაურდება მყის ცხენთა ნალი...
ლექსის წერის მაქვს საოცარი ჟინი, სურვილი,
ვიცი არ მარგებს სულ ყოველთვის მწარე დუმილი,
რა მაწერიანებს ლექსს, არ ვიცი, იქნებ წუხილი,
ან იქნებ მხიბლავს კამკამა წვიმა, ჭექა-ქუხილი...
ვცადე, მივენდო ოცნების ტალღებს,
გრძლად აქოჩრილებს, ლურჯებს და ლაღებს,
და ეს ტალღები აუცილებლად,
მე მთელს ქვეყანას შემომატარებს.
ამ ქვეყანაზე არ არსებობს ცუდი პოეტი,
პოეტს გულისთქმა ამოდრავებს მხოლოდ და მხოლოდ,
და თუ არ არის, სამწუხაროდ, ყველა გოეთე,
ყველა ლექსს ტოვებს, საკუთარი სულის სანაცვლოდ!
მე ვარ პოეტი, თუ ვარ მწერალი,
ჩემი თხზულების ვარ მომღერალი,
ავამეტყველებ მე არ ჩემს კალამს,
ახმაურდება მყის ცხენთა ნალი

1988 წ. 25 ნოემბერი

* * *

ჩემს წინ სანთელი ზღაზღვნიტ იღვენთება,
გამტერებული ვუცქერ მის დნობას,
ხელი კი წერით სწრაფად ითენთება
დაღლილი კალამი განიცდის თრობას...
თვალს ელამუნება ფიჭის სანთლის ჭკრეტა,
ყურში კი ნაზი ტკაცატკუცი მესმის,
ქალაღღზე ჩაღღება აზრთა ესტაფეტა,
და სტრიქონთ ჩუქურთმა ერთმანეთს ერწყმის.
ლექსი გონებიდან ფურცელზე ჩაცურდება,
სარკმლიდან ბინდ-ბუნდი დაამტვრევს ნათელს,
წყობილი სტროფებით ლექსი დამშვენდება,
და ძილი მოერევა დაღეულ სანთელს...
ფურცელზე მისჩქევს ლაღ აზრთა მდინარე,
და მიაგორებს სტრიქონთა ლოდებს,
ტვინში ვერ ეტევა ლექსის დიდი არე,
და გაყვითლებულ ქალაღღსაც მოსდებს.
სულ მალე ლექსი კიდევ დასრულდება,
სანთელი იფერფლება წყნარად,
კალამი სწრაფად, სწრაფად დაღუმდება,
და ჩაემინება მარად!..

1988 წ. 9 დეკემბერი

ფიქრი

დათოვლილია თეთრი ფიქრით
ჩემი გონება!
არა-რა მინდა, ფიქრის გარდა,
მეტი ქონება!
და ერთადერთი, მხოლოდ ერთი მაქვს მოწოდება!
რა ძვირფასია ფიქრი ჩემთვის,
და დაღონება!
ყველა ტკივილიც, მაშინ ტკბილია,
როს გაგონდება!
ჩახედეთ ერთი, რა თეთრია
ჩემი გონება!
თბილია როგორც გარიჟრაჟს მზის
გასხივოსნება.

ფიფქების მეტი, აღარ მინდა
მე სხვა ქონება!
და ერთადერთი, მხოლოდ ერთი,
მაქვს მოწოდება!
და სპეტაკია ფიქრი, როგორც
დილის თენება!
ბავშვის სულივით ქათქათაა
ფიქრთა დინება!
სათუთია, ვით თოვლში იის
გამოჩინება!
დათოვლილია თეთრი ფიქრით
ჩემი გონება!
ფიქრი — ფიფქია, და სუფთაა,
ვით გათენება!

1989 წ. 10 იანვარი

თელა

ერთი ამაყი...
ტოტგართხმული
მოხსოვს მე
თელა...
გადაშხვართული,
ახალგაზრდა ტოტებით
ლაღად...
დილის
მზით შეცვლილ
შავბნელ ღამეს,
ყრუსა და
ელამს,
როცა რიჟრაჟი
წაადგებოდა თავზე —
სქელ ჯანღად...
თელა
კენწეროს,
ვით მხატვრის ფუნჯს,
აწობდა მზეში.
შემდეგ ხატავდა
კენწეროთი

შედევრებს ცაზე.
არ აშინებდა ამაყ თელას
წვიმა და თქეში,
მთვარეს ეტყოდა:
— ღამესთან ბრძოლა
უნდაო ასე...
ხე,
დამთრგუნავი
გრიგალების,
ქარის მქროლავის,
კიდევ ბევრჯერ ის
შეებრძოლა
შავ ღამეს, ელამს...
ერთი ამაყი,
ტანკენარი,
ზეცას მლტოლავი,
ზურმუხტისფერი,
ახალგაზრდა
მე მახსოვს თელა...

1989 წ.იანვარი



სველმა ფურცელმა შეიწოვა
ჩემი სტრიქონი,
და მიიხუტა მზრუნველად გულზე,
უალერსებდა;
ვიდაცის ლექსიც, გახარებული
სხეულს იკოცნის,
ფურცლით ჩაწული აკვნიდან,
ვით ყლორტი ლერწმიდან!
მე დავიბადე თითქოს მეორედ
ამ ქვეყანაზე,
ჩემს ობოლ ლექსთან დავიბადე
მე ერთად თითქოს;
მე დავიბადე ერთ კლდის წვერში,
მაღალ ქარაფზე,
ფანტელთან ერთად თან ლექსებიც
მითოვს და მითოვს!
და ამის შემდეგ მე ლექსები

თავზე მზარდნიდა,
ჩემი ლექსები, გახვეული
ფანტელთფრთიალში,
მეორედ თავი ამოვყავი
მიწის მარნიდან,
როგორც ყვავილი, უჩინარი, ლექსით — სილაში...
ახლა ვარ მწვანე, ახალგაზრდა,
და ნორჩი ყლორტი,
ფესვებს ღრმად ვიდგამ მიწაში და...
და მზისკენ ვილტვი,
მიჭირავს ცით ჩამოზარდნილი მე
ლექსი რტოთი,
და სულ ვისწრაფვი, სადღაც ცაში,
არ ვიცი რისთვის!..
და ჩემს სველ ღეროს ეფერება
ახლა ნიავი,
მივიწევ მაღლა... არკიდა ვიცი,
თუ სად მივიწევ.
და მალე ცაზე სრიალს დავიწყებ
მე როგორც ნავი,
ჩემს ლექსებს წეროთ ქარავანი
ბუმბულით იწერს!
და მალე მზესთან ავტყორცნი
ამ ჩემს რტო-ყლორტებს,
მალე ჩემს ლექსსაც ილიდინებს
დედა-მზე ქნარით...
და მზის სხივებზე დავასვენებ
დაღლილი ჩემს ოდებს...
დაეძინებათ მათ ასე ტკბილად,
თბილი მზის ნანით!..
მზემ გვირგვინივით დაისვენა
მწვანე ფოთოლი,
ჩემი რტოთაგან ამოწნული
ქუდი ქარაგმად...
გულში ჩაიკრა მგრძნობიარედ
ლექსი ობოლი;
ვით ერთხელ ლექსი ჩაიხუტა
სველმა ქალადმა...

1989 წ.14 თებერვალი

მათხოვარი

დილას რაღაცამ გამახარა...
რამ? — ამას კი
ვერ ვიხსენებდი,
ამ სიხარულმა საოცარმა
მთელ დღეს გასტანა...
განწყობილებამ დამავიწყა ყველა
ბოროტი,
კარგ გუნებაზე დამავიწყდა
ყველა სატანა...
... და, მხოლოდ დამით,
ვარსკვლავებით მოოჭვილ ცის
ყურებისას გამახსენდა,
რამ გამახარა...
ეს გამურული, ცოდვიანი, იდუმალების მმაღავი ზეცა,
მოკამკამე მნათობებით
გადაფარული,
მაგონებდა,
დილას ნანახი ერთი ბეჩავი
მათხოვრის თვალებს...
დიდ, ღრმა თვალებში ნაღვლიანად მოგზნებულ
ალებს...
ფული მივეცი,
დაკოჟრილ და დადარულ ხელში,
მსწრაფლ მივაჩეჩე
და გავიქეცი...
იმ ღამეს სიზმრად
ვნახე — ფრთოსან,
თეთრ ანგელოსად როგორ
ვიქეცი...
ეს მიხაროდა...
იქნებ ყოვლად ჩვეულებრივი,
ყოველდღიური რამ გავაკეთე...
რა მოხდა მერე?
არა! მე მაინც მიხაროდა...
ბეჩავ მათხოვარს
უბედურსა და ბედისგან ვაგლახ განწირულს
ხურდა მივეცი,
მის მადლობას მოვერიდე
და გავიქეცი.
ვინ იყო იგი!
რატომ იყო ის უბედური?!
იქნებ ვარსკვლავი არ სწყალობდა
თავისი ბედის?!

ან ამ წუმბეში,
ან ამ ჭუჭყში
რალამ დააგდო?!
მის გვერდით ხალხი
(იქნებ მასზე არაფრით მეტიც)
ამაყად მიდის?!
ზოგი ფეხს წაკრავს,
მხოლოდ ცოტა თუ გაიმეტებს,
სულ მცირეოდენს
დაკოჟრილ ხელში
მისაჩეჩებლად...
ვინ იყო იგი!
რატომ გასწირა უფალმა ასე
მუდამ ბედისგან
ტკივილების მისაყენებლად?!
მე დილიდანვე ვერ ვხდებოდი,
რა მახარებდა!
რა მახარებდა ასე უსაზღვროდ,
ასე ძალიან?!
მე ერთ ძაძებში გამოკრულ კაცს ფული მივეცი,
ეს იმ მათხოვარს,
ეს იმ დიდ,
და ღრმა თვალებიანს,
ვისთვის სამოთხის მეფის სკიპტრაც
კი ალალია...

1989 წ. თებერვალი

ეს შეიძლება

ეს შეიძლება არ იყოს ასე,
და შეიძლება ვტყუოდე აქაც...
ვესაუბრები მე მთვარეს სავსეს,
როდესაც ღამე უკვე სულს დაფავს...
ეს შეიძლება ასე არ იყოს...
და მაინც ვეტყვი ჩემს სათქმელს მთვარეს...
თუნდაც რიჟრაჟმა ღამე გარიყოს,
მზე გაებუტოს მთვარეს, ელვარეს...
მზე ამოხეთქავს ძალუმ — ჰორიზონტს,
მე კი ნათქვამი მექნება უკვე
მზისათვის, იგიც კაბას მოიზომს,
თან ცას შეჰლიმის და გუნდრუკს უკმევს...

და არამართო მზესა და მთვარეს,
და არამართო შორთა მნათობთა,
და არამართო გარს მორტყმულ არეს,
რომელიც ჩემს ლექსს მუდამ ათბობდა...
მინდა რომ სხვებსაც ვუწვდინო ხმა მე,
თუ დაემთხვევა ჩემი აზრი მათს;
ბალახმა, ვარდმა, მუხამ და ღამემ
მიუალერსოს მთვარის ათინათს.
არ ვიცი: ვცდები თუ მეჩვენება,
ეს შეიძლება არ იყოს ასე,
მგონია: თითქოს არ ეხატება
ასე ლამაზად მას მთვარე სავსე,
ვინც არ პოეტობს, ან რამეს არ წერს,
ვინაც არ მღერის, რაიმეს არ თხზავს,
მე მეჩვენება: იგი ბუნების
ვერ-რით ვერ აღწევს
ხიზლის დანახვას...
რატომღაც, არც კი ვიცი, თუ რატომ,
უბედურად ვრაცხ ასეთ გარიყულს,
ლოყებშეფაკლულ დაჟღაჟა ატამს,
გემოს ვერ უგებს, ვერ აყოლებს გულს...

...

მზე ჩაესვენა სხივებთ თანხლებით,
ცას ისევ მთვარე წიწკნის და აზის...
მე ხომ ჩემი ვთქვი, არ მეთანხმებით?
ჰო! ეს იქნება არც იყოს ასე...

1989 წ. 25 თებერვალი

●●●

მე გავაღვიძე ჩემი ვარსკვლავი,
შენზე სიმღერა მომინდა, დედა!

1983 წელი

მწყემსის სიმღერა

— ვინა ვარ ჩემი ლექსებით? —
იქნება მკითხოს ვიღაცამ!
ვეტყვი: შვილი ვარ ცის ნამის,
ვეტყვი: მიშვილა ლურჯმა ცამ!
და სალამურის კვნესებით
ცხვარსა ვამოვებ მთაზედა,
ის ნისლისქულა შავ მთისა
ქუდად მახურავს თავზედა!
ქალამნად ჩემთვის ზენა ღმერთს
კლდის ლოდი დაუწესია
ცხვრის ფარის ბლავილიც მესმის,
ეს ფარა ჩემი ლექსია!
ცხვარს რძიან ბალახს ვამოვებ,
შეფენილს იალალზედა,
ბუნებას, მაღალს მთას ვეტრფი,
მიბჯენილს ცისა თალზედა!
ცაზე ვარსკვლავებს ვაცეკვებ,
ქვეშ ცრემლს ვადინებ ბალახსა,
კლდის ჩანჩქერს ავატყორცნიებ
მთაში გასხლეტილს კალმახსა!

ორი რამ

პოეტისათვის
ორი რამაა
ყველაზე განუყრელი,
ყველაზე სანუკვარი:
პირველი — ქალალდი,
მეორე — მეგობარი...
ალბათ იმიტომ
რომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან...
ორივეს ერთნაირად შეუძლია
პოეტის ნაფიქრის გაზიარება,
მისი ალბეჭდვა გულისფიცარზე
და პოეტთან
ჭირ-ვარამის გაყოფა...
ქალალდი მეგობარივით ერთგულია,
მეგობარი
კი —
ქალალდივით....

1989 წ. 20 მარტი



თურმე ლექსებიც განიცდიან
ხოლომე გაზაფხულს,
და გაზაფხული ჩემს ლექსებსაც
ულეწავს კვირტებს,
თურმე ისინიც შეიგრძნობენ
მთა-ველს არნახულს
თავს რომ დააღწევს გაზაფხული
ყინულის კირთებს!
ზაფხული ლექსებს მოუკიდებს
ღაწვებზე აღმურს,
თხელ ჯუბას ლექსსაც შემოახევს
ზაფხული ფიცხი,
მზე რომ გამართავს ჰორიზონტზე
ვარსკვლავთა ალღუმს,
ღაწვშერუჯული ლექსიც იწვის
თბილისის სიციხით...
მას შემოდგომა გაუფრილებს
შუბლს ტკბილი მაჭრით,
სისხლგადამსკდარი, საწნახელში
ლექსიც ჩადგება...
მომღერალ მიწას, ვაზის ფოთლის
აღერსით დაღლილს,
მკერდის გაბანა ისევ მაჭრით
მოენატრება...
ზამთარი ლექსებს ცეცხლს დაუნთებს
კერის ბუხართან
და შემოდგომის ნაზ მეწამულს
თეთრად შეღებავს...
ზამთარი ბუხარს მიფიცხებულ
ლექსს გაუხარდა,
ლექსის გულისკრის — თეთრი თოვლი —
სიმებს ეხება...

1989 წ. 29 მარტი



ანგელოსი რომ დაფრთიანდება

ანგელოსი რომ დაფრთიანდება,
მეც მზად მექნება ჩემი ოცნება,
მთვარის ჩრდილი რომ ათინათდება
და ვარსკვლავები კვლავ გაოცდება...
გასაფრენად რომ მოვემზადები,
ოცნებებს ფრთებზე ლაღად შევისხამ...
უკიდევანო ცის ფასადები
შელურჯულ ღამეს როცა შერისხავს.
ანგელოსი რომ დაფრთიანდება,
ჩემი ოცნებაც ლაღად ფრთებს გაშლის.
ქარი მწვერვალთან რომ გააფთრდება,
რკალად მოლუნავს გზისპირა ვაშლებს.
მე გავფრინდები ცაში აისზე,
მზეც თუ დაკოცნის დილებს სისხამთა,
ცაში გაფრენა მყუდროა ისე,
განმარტოება როგორც სიზმართან.

1989 წ. მარტი

ახლა ღამეა

ახლა ღამეა.
და დღე შუა ძილშია ახლა.
წვიმაში ვდგავარ...
აბეზარ ფიქრებს ერთმანეთს ვახლი!
გადაიტალღა
თმაგაშლილი ქარების გავამ,
ვდგავარ წვიმაში...
დასველებულს მაინც არ ვგავარ!
სახეს გამიპობს
თუ გავუპობ პირიქით სახეს
აცახცახებულ
ქარს, ღამეს რომ ნაზ კაბას ახევს!
ყოველი თითქოს
გარიჟრაჟის სიწითლეს ელის...
ფიქრი დამიძრწის,
როგორც ტყეში — მშიერი მგელი!
ახლა ღამეა.
და დღე შუა ძილშია ახლა.
წვიმა მცემს მხარზე...
სევდამ სულში დაიდო სახლი!

1989 წ. აპრილი

რუსთაველის რაინდები

(1989 წლის 9 აპრილი)

ფრთათეთრ ანგელოსების თრთის გაშლილი ბანაკი,
მამულის სამსხვერპლოზე ადის ხალხი ზვარაკად.
ეს რა სულმა გაშალა ძველი დროშა ქართული,
დავითის და ვახტანგის გულელებში გარანდული.
ქეთევანის კალთაში ბარტყობდნენ რაინდები,
მათ სუნთქვას დარაჯობდა მთაწმინდა გარინდებით.
ქართლის დედამ ლეკვები რაინდულად დაზარდა,
სულს ერჩინათ ლოცვების გაგონება ტამართან.
წმინდანები მოფრინდნენ ძველის-ძველი ფრესკიდან,
ლოცვებამოკაწრული ქრისტეს ჯვრები ეკიდათ.
იჯიჯგნება მკერდები... მიწები ილორთქება,
აღა-მაჰმად ხანებად და თურქეთის ხონთქრებად.
კივის სისხლი ქართული... ხატები იქაფება,
წმინდა სალოცავები უწყალოდ იკაფება.
ცხრა ძმა ხერხეულოძეს აღურიეს საფლავი,
ნინოს თმებით შეკონილ ჯვარს მიწაში აფლავენ.
შეგვიბღალეს ურჯულოთ ჩვენი მთვარე უბიწო,
ფრთებს აჭრიან უფალთან გადასაფრენ უფლისწულთ.
დაცრემლილი ხატის წინ ქართლი მანდილმოხდილი
დგას საყდარში მხურვალე ვედრებად ჩაჩოქილი.
მუხლმოყრილი თამარი ლოცვით ქრისტეს ავედრებს
ჯვრით შეფოთლილ ვაზებს და ჩვენი მიწის ხავერდებს.
ჩაიხუტეთ, დიდგორის საარაკო გმირებო,
ამ რაინდთა სულებშიც ვაჟკაცობამ იმეფა!

...

ქართულ დროშას დარაჯობს ანგელოსის ბანაკად
სამშობლოს სამსხვერპლოზე შეწირული ზვარაკი.
დაღლილი საქართველო ძაძვებით იმოსება
და რაინდებს ლოცავენ თეთრი ანგელოსები.

1989 წ. აპრილი



შემოსძარცვიათ კლდეებს ნისლები

(ჩემს საყვარელ მწერალ ალექსანდრე ყაზბეგს)

შემოსძარცვიათ კლდეებს ნისლები,
მტრედისფერი ცის გლეჯას ნატრობენ,
მზეს წურავენ და მკერდზე ივლებენ
და მზის ნაჟურით ძღება ტატნობი.
შემოეტმასნა სველ სამოსივით,
შავი ღრუბელი ყაზბეგის მწვერვალს,
მთვარეს დასწვდა და ისიც მოზილა
ახლა მოხატულ ფრესკებად კვერავს.
მწყემსის ძახილში გმინავს ელგუჯა,
კლდის ნაოჭებში სისხლს ღვრის მათია,
ცას კაბადონი გადაერუჯა,
კლდეებს ნისლები შემოსძარცვია.
თითქოს აერთებს ცასა და მიწას,
დაყრუებულა მთების ღმერთივით,
ცაში წმინდანთა სიმშვიდეს იცავს,
მკერდზე სისხლად ნისლჩამოღვენთილი.
გრძელ ჰორიზონტზე მზე აელვარდა,
მთაში მოხვევმ ცხენი დაბორკა,
ეს ყაზბეგია, — ზევსი მწვერვალთა,
ჯანლებით ცას რომ წიწკნის და ლოკავს.
როგორც რითმები ლექსის მინაწერს —
ზეცა ყაზბეგის მხრებს ეფრთოსნება,
შემოსძარცვია ნისლი მყინვარწვერს, —
და დაძირულა რძისფერ ოცნებად.

1989 წ. აპრილი



მუზა

დიდხანს კალამი ვაცოდვილე...
ვტანჯე,
და ბოლოს —
მუზაზე ლექსის დასაწერად
მუზასვე ვუხმე.....
დილის ტკბილ ძილში
ფერად სიზმრებს,
უხვ ღიმილებს და
ანკარა ნამით გადაცვარულ
ოცნებებს, ცისფრებს
თავისი დიდი ხურჯინიდან
სულ რომ გვირიგებს,
ის კეთილი მეზღაპრე ალბათ
მუზაა თეთრი...
გარიჟრაჟობით
ლაჟვარდოვან ზეცად მოხატვა,
არასოდეს რომ
ავიწყდება
უფერო სივრცის,
ის ცისფერფუნჯა,
და უცნობი მხატვარი, ალბათ
მუზაა თეთრი...
მუზებს,
ლექსების ვარდისფერი სამყაროს
ღმერთებს,
მუზებს,
დედოფლებს
დაფიფქული ლექსის სამწყსოსი,
თუკი მოუნდათ,
გამიყინავენ
ლოდად მიქცევენ,
თუ მოუნდათ,
ჩამოქნილ ბწკარებს...
მე ნუ მაბრალეობთ
ამ სტრიქონის
სანთლად დანთებას,
უცნობი სული,
უჩინარი,
მკარნახობს სიტყვებს...
თუ ჯადოსნურმა მუზის კვერთხმა,
ღმერთის მარჯვენამ,
სასრული მიწა
უსასრულო ზეცად აქცია,

ჩვენც ცაში მცხოვრებ
ვარსკვლავებად გადავიქცევით...
ამბობენ: ცაში
იმდენია ბედის ვარსკვლავი,
რამდენიცაა
ქვეყანაზე ადამიანი...
.....
ფრთათერმა მუზამ
ლექსის ბოლო
სიტყვაც წარმოსთქვა.
მერე, ზეცაში გასაფრენად
მომზადებულმა
ანგელოსების თეთრი გუნდი
გაიყოლია...
მე კი ხელებში შემატოვა ხელუხლებელი,
ჩვილი ბწკარები...

1989 წ. მაისი

ისევ მაწყენინეს.
დავიმუქრე: იცოდეთ,
ლექსებს აღარ დავწერ-მეთქი...
მაგრამ...
მეორე დღესვე გავტეხე ფიცი...

1989 წ. ივნისი



ჯადოსნური წუთი

როცა ფიქრები ამიყვავდება,
განვმარტოვდება
სიზმრებთან ისევ,
ნატვრები როცა
დამიხვავდება
და უჩინარი სიტყვებს დამისევს,
უცებ გამკენწლის
ჩემი სტრიქონი,
გამასაუბრებს
საკუთარ გულთან,
როცა ვზივარ და
რითმებს ვიგონებ, —
მაშინ შევიგრძნობ ჯადოსნურ წუთსაც.

1989 წ. ივნისი

რა გამომიღევს ფიქრებს თოვლიანს

რა გამომიღევს ფიქრებს თოვლიანს,
ჯერ კიდევ მწყალობს ბებერი ძერა.
ეს ოცნებები თუკი მოვლიან,
ჩამიქროლებენ მერნები ცერად...
თოვლიან ფიქრებს რა გამომიღევს
აურაცხელი ფრთოსანის პატრონს,
თავს დამტრიალებს ჩემი ცთომილი, —
მე არასოდეს არა ვარ მარტო.
... გემის ანძაზე თვლემდა თოლია,
დამრწოდა უკვლოდ ფიქრი ლტოლვილი.
რა გამომიღევს ფიქრებს თოვლიანს,
თოვლიან ფიქრებს რა გამომიღევს.

1989 წ. ივნისი

ძოწისფერია ზეცა

ძოწისფერია ზეცა

თვალებში სევდაჩაღვრილ მთვარეს ვესაუბრები.
დაჭრილ ცას ესაღბუნებიან ლურჯი ღრუბლები.
ლამის ოცნებებს ვპერწავ.
ვეძებ ფერმიხდილ სიზმრებს.
აყეფდა ლექსი ფითრმორეულ ფიქრებთან ერთად.
ლალ ოცნებებში სევდიანი სანთლებიც მენტო.
ლამის ჩვენებებს ვუმკლავდები ლექსებით ისევ.
ვხევ ნაფერმკრთალევ ღამეს.
ზეცის ფარდაგზე სველი ლექსი მალე გაწვება,
როგორც ცრემლების მდინარეთა კვალი დაწვებზე.
...ლექსს დაეცემა ნამი...

1989 წ. ივლისი

ეს ღამე მაშინ დამიმეგობრდა

ეს ღამე მაშინ დამიმეგობრდა,
ძოწისფერ ცას რომ ვაჩუქე ლექსი,
მაშინ ვიდექი ფიქრის ბექობთან,
როგორც ქარისგან დაღლილი მწყემსი.
ოცნებამ ისევ გადაიკარა,
ნისლში გახვეულ მთვარეს ვიგონებ,
და ფიქრი, როგორც ჩემი წიქარა
პწკარაფეთქებულს სდევნის ტრიქონებს.
მთრთოლვარე ზეცას ჭრილობებს ვუხვევ.
ფითრისფერია ახლაც ცისკარი,
ლექსს გულამომჯდარს აწყნარებს უკვე
ჩემი დაცრემლილ ფიქრის წიქარა.
გადაიჭორფლა ცა ვარსკვლავებით,
მათრთოლებს სუნთქვა შფოთიან ქარის,
უფერო ღამის ცივი მკლავები
ცახცახებენ და...
ჩურჩულებს არე...
გალობს ცისკარი ღამის ნალექზე,
ღამე კი მაშინ დამიმეგობრდა,
როცა ვიდექი ფიქრის ბექობთან
და ძოწისფერ ცას ვუწერდი ლექსებს...

1989 წ. ივლისი

სიჩუმის ხმა

არ ამიმღვრიოთ დაწმენდილი იდუმალება,
მე აუმიღვრეველს ვუსმენ სიჩუმეს,
მე აუმიღვრეველ სიჩუმეს ვუსმენ,
ვისმენ სიჩუმეს და... მდუმარებას!
ცივი ლანდები არ იშლიან ურჩად ხეტიალს,
დანამულ სევდას ატკივდა ფიქრი,
ფიქრი ატკივდა დანამულ სევდას,
ლექსი — ცრემლებით ნატკენ სულში ვერ დაეტია...
არ ვიცი, მომწონს თუ არა, რომ თბილია ზეცა,
მე ვუსმენ მაინც სიჩუმის ჩურჩულს,
მე მაინც ვუსმენ ჩურჩულს სიჩუმის,
არ ვიცი, მინდა თუ არა, რომ მზე ღრუბლებს ლეწავს!
არ ამიმღვრიოთ დაწმენდილი იდუმალება!

1989 წ. 31 ივლისი

მთვარის სიშორე მე ახლაც მტკივა;
ცრემლი ღვრის ცრემლებს... სიცივეს სცივა.
ქვითინებს სიზმრის ლურჯი ნაპირი,
გარეთ ხანმოკლე წვიმას აპირებს...
მთვარის სიშორე მე მტკივა ახლაც,
ჩუმიად ლოცულობს ფიქრების ტალღა.
ზეცას მოედო ქარის კივილი,
გარეთ გაწვიმდა მთვარის ტკივილი.

1989 წ. აგვისტო



მაინც მტკივა თეთრი ღამე, ცრემლებად დაღვრილი,
თბილი ღამე ცას წამწამებს დაუკორტნის როცა,
ფიქრმა მორცხვად დამიმალა თვალები დახრილი,
ლურჯი ზეცა, ღამის ზეცა, წვიმის ზეცა მლოცავს!
ღელავს ქარი, მაცრის ფოთლებს და ვგრძნობ სუნთქვას ხეთა,
ფანჯარაში შემომეჭრა სივრცე წვიმისფერი,
ამ ოცნებებს და ამ სევდას სარკმელიც კი ხედავს,
ღამეები მენატრება ისევ იმ სიწრფელით,
მე ღრუბლებში შევიცანი მთვარის ცივი ფეთქვა,
ოცნებებმა მწვანე ცით და ქროლვით რომ ამავეს,
იქნებ სევდაჩაგუბებულ სულს რაღაცა ეთქვა,
იქნებ ლექსშიც ჩამომღვროდა ზეცის სილამაზე.
ფიქრი — თოვლი თეთრი სიზმრის დაწვისთავებს ცრემლავს,
ჩემი ლტოლვა ტატნობისკენ თითქოს მათბობს მწველი,
ოღონდ შენ არ მიმატოვო, ფრთაგრძნეულო ძერავ!
ოღონდაც ნუ დავიღლები ამ ბჭკარების წერით!

1989 წ.სექტემბერი

სანთლები ლაჟვარდში (პოემისათვის)

1.

ტატნობის სუსხმა დამითოვლა თბილი ფიქრები.
მაშინ ვუცქერდი გაშლილ სივრცეს მკერდატკივებულს,
ქუჩაში თოვდა ცის ცრემლები და ვარსკვლავები,
მტკიოდა ღამის აყვავება, სივრცის აჩრდილი
და მახარებდა ჩემი ფრთების რბილი სითეთრე.
უმთვარო ღამის ცივ კივილში შემომათენდა,
დილამ სიჩუმეს დაუკაწრა დაწვისთავები.
უცებ მომწყურდა ჩემს ვარსკვლავთან განმარტოება
და ამ წყურვილის დარწყულება ჩემი ტკივილით.
მე არ ვიცოდი, ამ უთვალავ ვარსკვლავთა შორის
რომელი იყო სევდიანი ვარსკვლავი ჩემი,
მაგრამ მივენდე ჩემი ფრთების ქათქათა თვალებს,
მათ მიმიყვანეს აყვავებულ ჩემს სტრიქონებთან,
პატარა ვარსკვლავს რომ ამკობდნენ თანამგზავრებად.

2

რამდენი რამე აუტკივდათ მაშინ ჩემს ლექსებს, —
ფიქრიც, ოცნებაც, ხის ჩურჩული, ფოთლის შრიალი;
ქვითინს წავაწყდი, სიოს ქვითინს, სივრცის ვედრებას, —
აქ სამუდამოდ დაკარგულად რომ ვთვლიდი უკვე.
ცა — თმაგაშლილი მთვარეული ღამის კაბებით;
ხე — აფეთქებულ მონატრებით გადახუნძლოლი;
მთვარე — გვირგვინი, ვარსკვლავები — თეთრი ბეჭდები
სითეთრით დადლილ ცას — დედოფალს — უმკობდნენ თითებს.
ჩემს ბწკარს წავაწყდი, აყვავებულს, კვირტებდახეთქილს,
წავაწყდი სევდას, — ზღვის სილურჯით ფერმკრთალ ავადმყოფს,
ცეცხლს გაქვავებულს — თითქოს სულში ჩამწყდა რაღაცა...
შეშლილ მთავრესთან გავათენე ყვითელი ღამე,
ნამგზავრ სიოსთან, ცის კამკამა, წყლიან ლაჟვარდში.
... და გამთბარ გულზე შემომეგზნო სიწმინდე დილის,
ვით ალვის ტოტებს — ამომავალ მზის მხურვალეობა.

3

თითქოს ნაცნობი ბწკარედები არ იყო ჩემი,
იწვოდა ტბეთი, უთეთრესი თოვლის სიმკრთალით.
სიო ღელავდა...
თბილ ვარდების ლურჯი სინორჩე
და დაწმენდილი ცისარტყელა ამემღვრა სულში.
მეგონა, თითქოს დიდი ხნის წინ ვცხოვრობდი მე აქ,
და მერე თითქოს მივატოვე ვარსკვლავი ისევ.
ეს ტკივილებიც მივატოვე, ფიქრებიც, ფრთებიც,
ეს წყნარი მთვარეც — ლურჯი სივრცის ტკბილი
ჭრილობა.
სადღაც ლერწმებში სევდიანი ტიროდა ქარი,
და როგორც ღამის შიმრეული შემოკვივლება,
მკლავზე მესვენე,
მწვანე მთების თეთრო ღრუბელო!

4

მზე გარიჟრაჟის გულზე სითბოდ შემომეღვარა,
და ვარსკვლავები გაცრეცილი მაპკურა ქარმა.
მახილის სითბომ მომიტანა ზეცის სურნელი, —
მკერდმოდრუბლული ცისკიდურის წითელი სიციხე.
ლურჯი ცრემლებით დალტობილი ციური ფერი
მეზმანა ძილში, ვით ტყემლების აელვარება.
გათოვდა ზეცა... და ღრუბლები შერჩნენ სველ სივრცეს —
ისევ მციოდა დათოვლილი ტატნობის სუსხი.

ახლაც არ მახსოვს, როგორ მოხდა...

ვიგრძენი უცებ:

ახლოს ვიყავი ცასთან... ღმერთთან ვიყავი ახლოს,
და მას ესმოდა ჩემი სევდა, ტკივილი ჩემი,
ჩემი ობოლი სტრიქონების თეთრი სათქმელი.
წარმოვიდგინე ღმერთის სახე იმდენად მძაფრად —
უსივრცო ფიქრმა მიმიყვანა კიდევ გამჩენთან;
ვნახე ემბაზი ცის ცვრით სავსე, სავსე ცის ფერით,
შევსვი სანთლების მხურვალეობა, სიწრფელე ლოცვის,
ღვთის სიტყვებით სუფთა წყარო შევსვი პეშვებით
და ფრთებმა იგრძენეს უჩვეულო სილაღე სულის!
ვიგრძენი სითბო და ავმადლდი ოცნების თვალში!
უცებ აიმღვრა ყველაფერი, ვით ცისარტყელა,
და მერე ისევ დაიწმინდნენ სველი ფერები.
მის წინ აღმოვჩნდი თავდახრილი სევდისფერ კრძალვით,
ცხადად ვხედავდი ზღაპრულ ფრესკებს, ტევრს გალობისას,
თეთრ ანგელოსებს, ღვთის ცრემლებით გაბანილ ფრთებით.

ათრთოლებული აღტყინებით ვუთხარ მაცხოვარს,
თითქოს ვიდაცამ ჩემს მაგივრად წარმოსთქვა ლოცვა:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,

ვით ზღვის სილურჯე, წმინდა იყავნ სახელი შენი!“

„ოცნებამ — თოვლმა მიმიყვანა მე ჩემს ვარსკვლავთან
და იქ ვიგრძენი უსივრცო და უფერო შვება.

ჩემმა ლექსებმა მხოლოდ მაშინ შეისხეს ფრთები,
მაშინ შემცივდა წყნარი მთვარის ტკბილი სიმორე,
და მეც ამტკივდა იქ დარჩენის წრფელი სურვილი:
მინდა, რომ წყურვილს ვირწყულებდე ამ ზეცის ნამით
და ჩემს ოცნებათ გავახსენო ლექსის სურნელი,
რომ მომაკვივლოს არეულმა ჩვენებამ ღამის,
რომ გადამთელონ მწვანე მთების მკრთალმა ნისლებმა,
ფიქრშემოდარცულს მომეფეროს ქარი სპეტაკი.

ფერი რომ მივცე ყველა სიტყვას, ფერი და სითბო!“

ლიტანიობდნენ ანგელოსნი უფლის გარშემო,
სიზმრის სიჩუმით ილეოდა სანთლების ტევრი.

მითხრა უფალმა

(ლოცვისაგან მიმქრალ თვალეებით

ჩაუქრობელი სათნოება შემომაკვივლა):

„შენ იმ ვარსკვლავზე შენი სული იგრძენ, — აპრილი,

მისი ლოდინით აყვავება შენც განიცადე,

იგრძენი შვება, მოიკალი წყურვილი ფიქრის
და იქ იხილე სულ პირველად ფერის სინორჩე.

იქ ოცნებებმა აგიტაცეს ზეცაში ფრთებით
და დაგასიზმრეს მზის სათქმელი ტკივილი სივრცის.

ბედნიერების ელოდება სიმწვანე ყველას

მხოლოდ საკუთარ ვარსკვლავზე და საკუთარ სულში!“
„მე ვგრძნობ იმ სევდას, იმ სიხარულს, რაც აქ მომელის.
და ამიტომაც იმ ტკივილთა მინდა შეგრძნება!
მინდა ამ ცის ქვეშ ვეზიარო ბედნიერებას
და არასოდეს მივატოვო მისი სითეთრე!“
„ჯერ შენ სამშობლოს უნდა მისცე ლექსები მსხვერპლად,
მის სამსხვერპლოზე უნდა დასდო თავი — ზვარაკი,
და მხოლოდ შემდეგ მოიპოვებ ბედნიერებას;
რადგან ვალმოხდილს ცისკარიც კი განწმენდს სხივებით,
მზე აზიარებს მხურვალეებას, სიწრფელეს — მთვარე,
და მის ვარსკვლავზე ცისარტყელაც კი გაწვიმდება.
მაშინ შეიცინობ შენს ვარსკვლავზე შვებას უსაზღვროს,
როცა შესწირავ სათნოებას ყველაფერს ძვირფასს!
ჯერ ერთან წადი... მას უნდიხარ... შენი ლექსები
მას ანაცვალე და მე კი გზა დამილოცნია!...“

1989 წ. სექტემბერი

ჩრდილები

ქუჩაც ნაღვლიანია.
ნელი ნაბიჯით მივუყვები მას და
ვფიქრობ,
გამდნარ ასფალტზე
ნებივრად თვლემენ
გაფოთლილი ხეების,
მხიარული ადამიანების,
უნაპირო ლამპიონების მწკრივთა
ჩრდილები...
უხალისოდ ვაბიჯებ მათ და
თითქოს ვერც ვგრძნობ,
დანაშაულს რომ ჩავდივარ...
იქნებ ამ უხმო,
ცივ ჩრდილებსაც აქვთ საკუთარი
სული და
ფიქრი?
იქნებ უფრო სუფთები
და სპეციალებიც არიან,
ვიდრე მათი პატრონები?
ჩრდილის სული
და ფიქრი

მისი სულის და ფიქრის
ანარეკლია,
ვისაც ის ეკუთვნის ალბათ...
...
აი, მივდივარ და...
ტანკენარი ხეების,
მოხარხარე ადამიანების ჩრდილებს
მივარღვევ...
თითქოს აზრადაც არ მომდიოდეს,
რა დანაშაულს ჩავდივარ...

1989 წ. სექტემბერი

ცა ატორტმანდა

ცა ატორტმანდა...
და დაიმსხვრა
როგორც ფანჯარა, —
დაორთქლილი
ლოდინის სუსხით!
ცივია ქარი,
მაგრამ მაინც
მათბობს როგორღაც...
ლხვება ყინული...
აქამდე რომ გულზე მქონდა
შემოჭერილი.
ამ ყინულს სევდას ემახიან,
შემცივებულ სევდას,
რომელსაც ახლა
საკუთარი სიცივით
გათოშილს,
სარკმლის გისოსზე
უმწეო ცახცახი აუვარდა...
ცა ატორტმანდა...
და დაიმსხვრა...
ვოცნებობ მაინც.
მზე აილენა.

მთვარეს ღაწვები აუხურდა.
და როგორც ლოცვა,
თეთრი დუმილი დაარღვია
ფოთლის ჩურჩულმა...
აფითრისფერდა გარემო და...
და თითქოს დათბა...
გაქვავებულ ზღვას...
ჟრუნტელმა გასცრა სხეულში...
მკვეთრი სილუეტი სავსე მთვარის —
მოლურჯო სივრცემ აირეკლა...
ისევ გათოვდა
ცა ნამსხვრევებად,
ცა — მოტორტმანე...

1989 წ. სექტემბერი

მერაბ კოსტავას

*არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა არის განაყარია,
შვილებს დაუგდო ბეგთარი,
ფხასისხლიანი ხმალია!*

ხალხური

ეგ შენი მზერა ქორული
კავკასიონის ნისლია,
ვაზის ლერწი და სამშობლო
სალოცავ ხატად გიცვნია!
მის სუნთქვას ანადევნები
იწვოდი ვით კელაპტარი,
გულს იმიტომაც გკორტნიდა
გავეშებული აფთარი!
წელზე ვინ უნდა შეირტყას
შენი ნახმარი მურასა,
დროშა ვინ უნდა გაფინოს
თეთრი ჯანლების ქულასა!
მაცხოვარს ვინ შეგვავედროს
უმხურვალესი ლოცვებით,
ფრესკაზე ვინ დაინახოს
სპეტაკი ფრთები ოცნების.

ფაფარაშლილი ლურჯაი
მხედარს იგლოვს და ჭიხვინებს,
რასაც სიცოცხლე შესწირე,
აწ ის სიზმარში იხილე:
იხილე ვით დაარწყულა
მტრის სისხლით გორდა ქართველმა,
იხილე ძველი ტრამალის
ნაკვესი ხმლებით გათელვა!
იხილე სული ქართული,
გულ-მკერდში ვერჩატეული,
იხილე სივრცე ცვრიანი,
მცხეთის ცის აელვარება,
ჯვარი დიდებამოსილი,
მზის ხელისგულით ტარება!
ეგ შენი მზერა ქორული
კავკასიონის ნისლია!
ვაზის ლერწი და სამშობლო
სალოცავ ხატად გიცვნია!

1989 წ. ოქტომბერი

მე და ჩემს ლექსებს მოწყენა გველის,
გარეთ ხის ტოტი — სხეული გველის.
ნიავეს მიენდო... მთვარემ იარა
და გადაუხსნა ღრუბელს იარა.
სველმა სიწმინდემ ლურჯი ზღვის ლამის,
ტალღად მიქციოს ოცნებაც ლამის.
თეთრად ქათქათებს ფიქრების ველი,
მეც ზეცის სითბოს გულწრფელად ველი.
სტროფებს ატკივდათ ხერხემლის მალი,
გრძელ ქუჩებს ათოვთ გრიგალი მალი.
ცამ ვარსკვლავები როცა ალაგმა,
ცრემლი მაჩუქა მე ამ ალაგმა.
ფერიც მაჩუქა, ღიმილიც სადა,
ფრთებსველო ნისლო! სადა ხარ? სადა!?
ზღვა გრგვინავს... სიზმრებს ელის გამოცდა,
ზღვის სუნთქვა ქალაქს უკვე გამოსცდა.
მე და ჩემს ლექსებს მოწყენა გველის,
ირხევა ტოტი — სხეული გველის.

1989 წ. ოქტომბერი

ფიქრები წვიმიან ღამეში

გაწვიმდა სევდა დაღლილ სულში წვიმის წვეთებად,
წვიმის სიცივე ჩემს ლექსებსაც სევდად ედება.
ცის ლურჯი წყალით იჟღინთება ნელ-ნელა მიწა,
ფერფითრი მთვარე მთაწმინდის ცის ნაფლეთებს კინძავს.
წვიმა ღამეულ ფოთლებს ლუმძავს და სარკმლებს კორტნის
და იკაწრება სტრიქონებით ფიქრების ლოდი.
ცა მუჭში იმწყვდევს დაღლილ მთვარეს და თვალებს ვხუჭავ,
ხელში მიჭირავს გაქვავებულ წვიმების ბლუჯა.
გაწვიმდა სევდა დაღლილ სულში წვიმის წვეთებად,
მე არ ვსველდები და ეს წვიმაც ტანზე მენთება!

1989 წ. ნოემბერი

შორს მანდილივით იშლება ზეცა
და მდორე ნისლის რძიანი ფთილა
მთას ეღვენთება სიცხიან შუბლზე.
მზემ სველი ფრთები უხმოდ დაკეცა
და ჩაესვენა ჯერ ისევ თბილი
ყრუ საუფლოში ამღვრეულ ღრუბლის.
ნელ სილურჯიდან მოჟონავს მთვარე, —
მხცოვანი ღამის თეთრი ასული
და ფეთქვა წვიმის გარეთ განაზდა.
დახუჭავს ქუჩა წყლიან თვალებს,
ამოიოხრებს ფიქრში წასული, —
მთვარე ჩერდება სიჩუმისფერ სახლის ქალასთან...

1989 წ. ნოემბერი



წარწერა წიგნზე „გრაფი მონტე-კრისტო“

იყო შეკრთომა და გაფითრება,
განცდა — ლტოლვაზე უანკარესი,
ცას თოვლი წვაგდა თეთრი თითებით
და ნისლის მტვერში თვლემდა პარიზი.
თბილ ჰორიზონტზე ჰყვავდა მკვეთრი
და უთეთრესი მზეების სხივი...
ხელთათმანები... ბულვარი... ეტლი...
ვერ იყუჩებდნენ მეწამულ ტკივილს.

1989 წ. დეკემბერი

გარდაიცვალნენ შემოდგომის ცივი ხელები.
მკვდარი ნოემბრის მტვრიან სულში აყვავდა მთვარე.
ფოთლები ქრიან და ტბორავენ ქარს გახელებით.
წევს შემოდგომა... და არავინ უხუჭავს თვალებს.

1989 წ. დეკემბერი

შორეული ზარები

თოვს ამღვრეული ქარი, —
თებერვლის ცივი სისხლი,
სივრცეს ასველებს წყნარი
სუნთქვა რძისფერი ნისლის.
ყინვის ყვავილთა ციაგს
ფანტავს სიცივე თეთრი.
გრიგალს ღრუბელი მიაქვს,
ვით დამსხვრეული ეტლი...
მკრთალი მზე მშვიდად ისმენს
ნაძვების ცისფერ დუმილს;

მტკვარი შრიალებს ისევ,
ცაა საოცრად ჩუმი...
სად მიაქროლებს ზამთარს
ქარი დაღალულ ფრთებით?
თეთრ და შორეულ ზართა
კვილში დგანან მთები...
ზეცა რბილია, ვრცელი,
ვით ცვარით სავსე მოლი,
ირხევა ნაძვის წელი,
მზის მკერდზე გალხვა თოვლი...
ღრუბელს ცრემლივით ედგა
თვალში სითეთრის სხივი...
მზის ცხელ სურნელით ფეთქავს
სივრცე და ეძებს ტკივილს.
თოვს ამღვრეული ქარი, —
თებერვლის ცივი სისხლი;
ოცნებასავით წყნარი
სუნთქვა რძისფერი ნისლის.

1990 წ. თებერვალ-მარტი

გამხდარი ქუჩა წყლიან თვალებს ხმაურით ახელს.
ქალაქს სველ მკლავზე ასვენია ზეცის სიმშვიდე.
ჩუმი ტკივილით იმეორებს აპრილის სახელს
და თეთრ სულს უწვდის ასაკენკად პატარა ჩიტებს...

1990 წ. აპრილი

არაფრისფერი მდუმარება

არაფრისფერი მდუმარება შემორჩათ რტოებს,
როგორც ნამსხვრევი უამურ ქარის.
ჩავა მთის მიღმა მფეთქავი მზეც და ფერფლს დატოვებს,
დგება სალამო სითბოში მთვარის.
გადანათდება სული ბინდის რბილი სიმშვიდით
და ჩამესმება შრიალი ფრთათა —
შემოფრინდება ჩემს სარკმელში თვალნაზი ჩიტი,
ჩრდილი ღამეულ აღტკინებათა.

1990 წ. აგვისტო

„დონ-კიხოტი“ ჩემს მაგიდაზე

ვარდიან დილის მსუბუქი რიდით
წყლისფერი ზეცა არის ბურვილი.
აქ ოცნებობდა ოცნებით დიდით
რაინდი ერთი სახეურვილი.
მზე იის ღაწვებს წვიმით ირწყავდა,
სხივების ტოტი ტბას მოუხარა.
მან ოცნებები ვერ აიცხადა
და სიკვდილამდე დარჩა მწუხარედ.
ცისკარს მოჰქონდა ყელი ჩიტებთან
თუ კლდის გაბრწყინდა ნისლი ციალით?
სევდით ავსებულ სულს უმშვიდებდა
მინდვრად ეჟენების ნაზი წკრიალი...
უმწვანეს ბალახს ემოსა ცხელი
სამოსი ცვართა რძიანი ბროლის.
შემოათენდა და ლამანჩელი
ლაჟვარდებს სწირავს გუმინდელ ბრძოლას.
ლოცვებს ჩანჩქერის პირთეთრ ყვავილთან
სვამს მზეს ქარვაში გადავარდნილი.
წინ მრავალია წყება ტყე-ველთა
და ჰორიზონტი გადავარდნილი.
მწყემსები დილას უღებენ კარებს,

როცა ბალახებს ცვარ-ნამი ეწვით —
ხარბად სუნთქავენ კამკამა ქარებს
და ბრუვდებიან ესპანურ ზეცით.
რიჟრაჟზე ისმის ტკბილი, ნაცნობი
ღიღინი ნელი და მზით ხმაცვლილი. —
დაუყვა ბილიკს მღერით, ანცობით
მუხლებნატკენი მწყემსი ყმაწვილი.
აცრიდა ამბორს გაშლილ და უქრობ
და ალერწმებულ ყანებს ცის კვირტვა!
ის აქ იწვევდა მახინჯ ჯადოქრებს
და სიბოროტეს ქარის წისქვილთა.
გზად ხატებიან, დაღალულ მლოცველთ
ის აღსარებას ძღვნიდა, ვით ყვავილს
და ამ ხატების სათუთად მკოცნელს
მას მხოლოდ ერთხელ დალატობს მკლავი.
ანგელოსები მქროლავ თითებით
თვალში უორთქლავს ულურჯეს სიზმარს.
მზერაამწვარი ცვრიან ჩიტებით
გათვალა გზებმა და მტვერმა მისმა.
მას დაატყვევებს ფეხნაზი შველი,
ველურ მშვენებით აღსავსე მაშინ
და მომხიბვლელი მბრწყინავ სისველით
წყაროსთან თლილი წვივები ბავშვის.
კორდებზე ნაპოვნ ფრთაწრფელ სონეტებს
ასდით სურნელი ტბის და სინედლის.
სანამ ტყეს წამწამს შეუკონავდეს,
მთვარე ზმანებებს მოჰფენს სინათლეს.
ღამეში ჩნდება უეცრად მღიმი
ფერიის მწკრივი, სითეთრით მდიდრის,
ზამბახოვანი ზღაპრული მღვიმე
და ანისლება მძაფრი სიფითრის.
ვერცხლისფრად ელავს ბეჭდები მთვარის.
ბნელი ჩაღვრია თვალეზში მთვარეს,
სად დარბაზები მდიდრული არის
და ბროლთა შეხლა აელმებს არეს.
...სევედით დაჭრილა იგი რაინდი
და სურნელება დგას სახვევების.
კრთის სეფექალი იქ არაერთი
გადაჭიქული სასახლეების.
დიან ლანდები ლამაზი გლოვით
და სიშავეში ცისფერ დინებით.
წარბებს უკაწრავს ამტყდარი ქროლვა —
მინისფერ ჭაღთა მინის ყინვები.

მწუხარებათა მისთა მიზეზი —
დაუმცხრალი და თმამთვარეული,
ფერ-სურნელების უდაისესის,
ჩამავალ მზეთა შორის გრძნეული.
იასამნების წყვილიადს, ათასი
არაფრისაგან შობილ ჩვენებით
სავსეს, დაამსხვრევს სპეტაკი დასი —
ბგერები ვარდის და გათენების.

1991 წ. თებერვალ-მაისი

ალუბლის იალქნები

მზემ იალქნები მოაალუბლა,
ზღვას ალუბალი გადაათოვა,
ჩამავალს წყალში ღაწვი დაეფლა,
და კულულები წყალზე დატოვა...
ჩავიდა ზღვაში მზე ნაზად მზრუნნი,
ზღვას ეფინება ქროლვის სიზმარი...
ქრის იალქანი ალუბლის სუნით,
ალუბლის სულით, ალუბლისფერი.

1991 წ. ივლისი



მეჯლისი ზამთარში

რა მონდომებით მოხატა ჭირხლმა
ყინვის ალერსის ნაზად ამტანი
სასახლის მინა, რომელის მიღმა
ნელი მეჯლისით ბრწყინავს ზამთარი.
ღვრიან სინათლეს ბროლის ჭაღები
და იფინება ზამთრის მუსიკით
დარბაზი სავსედ ნაჩახჩახები.
(და ისევ ყინვა მოჩანს მის იქით).
აშრიალებენ აქ სპეტაკ კაბებს.
რიდეებს მშვიდი სუნთქვა ათრთოლებს
და სავარძელში მეფე თვალს ნაბავს.
(გარეთ ზამთარი ლოლუებს აბამს
და ქარის ხმებით წუხს სიმარტოვეს).
წყვილები ბრუნვით უვლიან დარბაზს
და სინარნარეს აფრქვევენ სივრცეს,
ჭაღები აფრქვევენ სადაფს და ალმასს
და მერე უკან იბრუნებს ისევ,
წყვილები ბრუნვით უვლიან დარბაზს.
სარკით ციალთა გადმოვანებით
აქ არ კვირდება უკვე არავინ.
სხედან მორთული ბანოვანები,
მარაოებით ღიმს იფარავენ.
და იფინება ზამთრის მუსიკით
დარბაზი მკვეთრად ნაჩახჩახები
და მისი ლურჯი სარკმლების იქით
ფიფქები ერთურთს ლოყას ახებენ.
...რა მონდომებით მოხატა ჭირხლმა
ყინვის ალერსის ნაზად ამტანი
სასახლის მინა, რომელის მიღმა
ნელი მეჯლისით ელავს ზამთარი.

1992 წ. იანვარი

გადამწვარი ღრუბლები

გუშინ მეორედ მოკლეს ილია,
მოკლეს ილია კედლებთან, სადაც
ის გაიზარდა და გაილია
ლამპრად, სანთელად, საკმევლად, დარდად...
მას გაუგმირეს მეორედ შუბლი,
მას განივთებულს სხეულში ძეგლის.
ის იდგა სკოლის — გადამწვარ ღრუბლის
ფონზე და ელდა, ვით წვერი ეკლის
გულს უჩხვლეთავდა ელვების ქუფრით.
შესარიგებლად ის ჩადგა შუა —
ახლა ყოველი ქართლის შვილია —
შუბლში ესროლეს მას და ქაშუეთს,
მეორედ მოკლეს გუშინ ილია...
ძეგლი ბედნიერ უფლისწულისა
შემოიძარცვა კვარცხლბეკზე მდგარი.
ღაღადებს ოდენ ფერფლი გულისა,
რეკს სამრეკლოდან მამულის ზარი:
დაიზრდებიან ლეკვები ალგეთს,
ისევ აღდგება ივერთ დიდება,
ამაყი სისხლი არწივის მართვეს
ამაყ მარღვებში აუყვივდება...
კვლავ იხმიანებს რუსთველის სული,
და განგმირული ილიას ქნარი,
გალაკტიონი — ცამდე ასული,
ბუბუნნი ვაჟას მთისა და ხარის.
მზეჭაბუკნი და ამირანები,
დამწვარნი ქართლის ამომავალ მზით,
ღვთიურ მირონში განაბანები
ერს გაათბობენ ცეცხლით ანაგზით.
... და ეღირსება წყალობა უფლის
ხალხს, ვისაც ასე უმღერა შოთამ,
ილიას ეკლით მოსილი შუბლი
გადაგვატარებს მძიმე გოლგოთას...

1991 წ. 22 დეკემბერი —
1992 წ. 10 იანვარი

ვარძიის მონოლოგი

ქვიშისფერ ქერუბიმს ფრთები მზით დამწვია,
ცეცხლოვან ზმანებას და მზიან ზმორებას
მივნებდი, როდესაც ცამ სიცხე მაწვია
დამტვერილ ქარებად და ელვის ქორებად.
თამარის ცრემლები მე ვეღარ შემაშრა,
ნაკტენ სულს მიკაწრავს ნატერფი თამარის.
ვით ქალღმერთს, ნაწნავი ოქროსი შემაჭრეს,
მღვანად მზეს უდაბნოსფერს მთართვეს კამართ.
ტანი გამჟღენთია წარსულის სურნელით,
თვალს ცხენთა ფლოქვების მიბრმავეს კვესება;
ვდგავარ უდაბნოში და მახრჩობს წყურვილი
და სული გარდასულ დიდებით მევსება.
თითქოს შორ წარსულში ცხელ სიზმრად ვიხილე, —
მე მახსოვს ლაშქარი ტრამალს შეფენილი,
მახვილთა სილაღე, ულაცთა ჭიხვინი
და ვრცელი ველები აბჯრით შეფერილი.
ქვიშისფერ ქერუბიმს ფრთები მზით დამწვია,
ცეცხლოვან ზმანებას და მზიან ზმორებას
მივნებდი, როდესაც ცამ სიცხე მაწვია
დამტვერილ ქარებად და ელვის ქორებად...

1992 წ. თებერვალი

გაზაფხულის მუსიკა

წყნარად მოფეთქავს ნისლის სურნელი,
აავსებს მსუბუქ ჰაერის ფარდას,
შეუშფოთველი და სასურველი
მდინარებაა ციურ ზღაპართა.
ცაში გამლხვავალი ტრიალებს სული
და ანადენი მტვერი კვირტების,
აქ სიხარული დედოფლობს სრული,
გაგთვალავს, თუკი დააკვირდები.
ამოაქვს ცვარ-ნამს გაშლილ მწვანეზე
მადლი და სუნთქვა ყორნისფერ მიწის,
და ეხამება მოლის სინაზე
მიმოფანტული ცვრის რძისფერ სიცილს...
თვალზე ნელ რიდეს მოლანდავს

თეთრად აფეთქებული რტოების ქაფი,
ნიაფი გაშლის ყვავილთა ეტრატს
და დაადნება ბაგეზე აპრილს...
მწერთა ორკესტრის მუსიკა ტკბილი,
ვით ვიოლინოს დამთვრალი ბგერა
პირველქმნილობით შემოსავს დილას
და სივრცეს ვარდის ფერად დასერავს.
ლაწვთა შეფაკვლა მძინარ ასულის,
მზით შეკრთომა და თვალის ახელა,
თეთრ სიზმრის შემდეგ ეს გაზაფხული
ჰგავს მიწის მწვანე ფიქრის გამხელას.
ამ სილამაზეს ველურს და ზვიადს,
აბრუებს მტრედთა ფრთების ტკრციალი,
სივრცე სიცოცხლით სავსეა,
მზეა და რძიან ნისლის სველი ციალი.
ცაში გაღმხვალი ტრიალებს სული
და ანადენი მტვერი კვირტების,
აქ სიხარული დედოფლობს სრული,
გაგთვალავს, თუკი დააკვირდები.

1992 წ. აპრილი

თეთრი თოვლის სიმფონია

დაფანტულ ფანტელთა სითეთრით დაფანტვა
ნაზ ყელზე დაიდნეს ცისფერმა დილებმა.
თოვლი ცის სიღრმეებს ნელ ზრუნვით დაბანს
თვალს
და ზეცის წამწამებს შერჩება ფთილებად.
ლაწვებზე დააჩნდა თოვლს მთვარის ამბორი,
და ქარის თითებით ლურჯ სიზმარს ლანდავენ
ღრუბლები, ნისლების თბილ რძეში განზანილს...
ჩვენება მთვარისა იქცევა ლანდადვე.
დაფანტულ ფანტელთა დაფანტვა მთვარეულ
დილებს გააბრუებს, ვით უცხო გაფრენა.
და სველ ნაფეხურებს დატოვებს გარეულ
ღრუბელთა ჯოგების ცაზე გადარბენა.
ცვარს გამჭვირვალე, თხელი სამოსი
შემოეხევა ფიფქის შეხებით.
თოვლზე ფაფუკს და უკამკამესზე
დარჩება კვალი ირმის ფეხების.

1993 წ. 4 თებერვალი

აფხაზეთს სისხლი მეწამული...

(*გუძღვნი აფხაზეთში დაღუპულთა ხსოვნას*)

აფხაზეთს სისხლი მეწამული
წვიმდა... და გვამები ფერწასული
იწვნენ უსახელო კლდის ქიმთან...
იწვნენ უსახელო კლდის ქიმთან,
და თავს ქარაშოტი დაჰბლოდათ,
აფხაზეთს სისხლი მეწამული
ავი დაჟინებით წვიმდა.
გალორწოიანდა სიკვდილის ცელი —
თეთრ ცხენზე ამხედრებულ ჩონჩხის,
და ყაყაჩოსფრად დაწიწკნული ბრძოლების ველი
ახალ ყაყაჩოთა ამოსვლას ელის
და იკბინება სიცოცხლის კონცხი.
მიწას ყვრიმალამდე სტკივა
სიმძიმე თოფისწამლით გაჟღენთილ ღრუბლის...
უხმოდ და შემზარავად კივის
ზეცის გადამწვარი შუბლი...
აფხაზეთს სისხლი მეწამული
ავი დაჟინებით წვიმდა...
წვიმდა, და გვამები ფერწასული
იწვნენ უსახელო კლდის ქიმთან...

.....

ბეჭმოტეხილი გმირის იდაყვებს
შეუბღალავი, ვით მისი სურვილი
ბალახის ნორჩი სუნთქვა და სურნელი
ელამუნება და სულეთს ემახის
სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი...

1993 წ. მარტი

ბედნიერ ზღვაზე ლაჟვარდები ცისფრად ანთია,
გრილი ჰაერი გულუბრყვილოდ გამჭვირვალეა,
ზღვას ფრინველები ცაში ლაღად აუფანტია,
რა მსუბუქი და აღმტაცია მათი არევა.
ტალღით სველდება მიმოყრილი ნაპირს ლოდები,
აქ ზღვის ნიავის სუნთქვა თბილი და საამოა,
ვდგავარ ნაპირზე, თითქოს ვხვდები და ველოდები —
ახლა ვიღაცა თეთრი კაბით წყლიდან ამოვა.

რძისფერ ლაჟვარდში იჭრებიან წყლის ფრინველები,
სიმაღლის კამკამს და ერთმანეთს ფრთით გადობილი,
და ოკეანის კეთილშობილ სივრცეს ევლება
უმსუბუქესი თოლიების წყვილი დობილი.
ბედნიერ ზღვაზე ლაჟვარდები ცისფრად ანთია.

1993 წ. მაისი

მოჯადოებული ღამე

შედეგებული მდუმარება დააწვით ხევებს,
ლურჯი ღამეა და გრძნეულნი ხარშავენ ფაფას
ახლა მახინჯი გველეშაპი მთვარეს ჩაყლაპავს,
მთვარის სიცივე მუცელს ატკენს და გაახელებს.
ხეები შლიან უამრავ ხელს ნელ-ნელა მაღლა,
ბანგავენ სუნთქვით იდუმალით და ქარულით თვალს
და უსრულებენ მისტიურ და ველურ რიტუალს
მსხვერპლშეწირვისას პირველქმნილთა ღვთაებას ახლა.
ღანდები შავი და დაღლილი დინებით დიან.
სიშავე ზეცას — მძინარ ქალწულს გახდის თხელ კაბას
და მოუხეშავ ანაფორას — გრილ და ლაპლაპას
ის გადააცმევს მას უნაზესს და ნატიფთმიანს.
ფრთა უცივდებათ, — ღამურები ქსოვენ სიბნელეს.
ჭვარტლიან ქოხის სარკმელიდან კანკალებს ალი,
ჩამქრალი მთვარის მოთენთილი სითეთრით მთვრალი
ბოროტი გველი გადაყლაპულს მწვავედ ინელებს.
ცაზე სიცისფრის ერთი წვეთი ნელა სულს ღაფავს...
ლურჯი ღამეა. გრძნეულები ხარშავენ ფაფას.

1993 წ. მაის-ივნისი

ნუგზარ ფსუტურს

ამ სურნელს ატეხილ ბალახის მთისასა,
ამ ზეცის უწმინდეს ეთერთან მინაზავს,
მე შენი სიმღერა მიღბობს და მინაზავს,
ვით წყარო ანკარა მწყემსის სალამურის.
მიუვალ ჭიუხთან შეხვედრა დაითქმის,

კლდის ბასრ შვერილებზე ჭიქა არ დაიდგმის.
კლდეებს ეტირებათ სიკვდილი კაი ყმის...
სოფელს დაეფარა ნაბადი ღამური.
მწვანე მთის ჩანჩქერი ამღვრეულ ბროლს ისვრის,
და ვით გამოზიდვა გამოთლილ მშვილდისრის —
ღვთიური სიმღერა ხევებში გაისმის.
მინდვრები წყნარია და დაცვარნამული.
უტკბილეს ხმებს ერწყმის წყაროთა ჩხრიალი.
მარხია ფარების და ხმლების ჟრიალი
უვრცელეს ველებში და ისმის წკრიალი
ღვთისგან კურთხეული შენი სალამურის.

1993 წ. 25 ივნისი

მიჯნური

სამყარო ცხოვრობს ამ სიტყვაში უცხო და ვრცელი.
აქ ქრის აზიის თბილი ნიავი
და ისმის მშვიდი უდაბნოს სუნთქვა,
სად ფეხშიშველა, ჩუმი სიამით
დახლტის ქალწული თხელი და მუქთმა.
სადაც წვეთებში მზე აოქროვებს
უცხო ჩარდახებს ტაატით მავალს,
თაფლში ჰბანს ძვირფას ქსოვილთა გროვებს,
მხეველის ნაზ სახეს ჩადრში ჩანამალს.
სად შეჩერება ნამგზავრ ქარავენებს
და სულის მოთქმა ედემად უღირთ,
მცირე ხნით ქარიც ცხრება, სანამდე
გააცილებდეს მტვერ-ქვიშის ბუღით.
შორით ჰყვავიან ოაზისები
და მწკრივად მდგარი პირშებურვილი
მხეველები ვერცხლის სურებს ივსებენ,
რათა მოუკლან პატრონთ წყურვილი.
აქ ხვატში თვლემენ ზანტი აქლემნი,
დატვირთულები, თვალლიბრიანნი,
გადანთებიათ სვლისგან ნაგვემებს
აბრეშუმების ლბილი პრიალი...
სამყარო ცხოვრობს ამ სიტყვაში უცხო და ვრცელი.
აქ გადაშლილან თვალუწვდენელნი
ყვითელ-ყავისფრად მღები ველები,
სადაც ხვდებიან გაუცდენელად

შეთვისებული ერთურთს ხელები;
და სადაც რბიან ხელად გაჭრილნი
და სიმძაფრენი მათთა ვნებათა
ველს რჩება, ოდეს მათი აჩრდილნი
შთენილან ოდენ მოგონებად-ღა.

.....

ხალიჩით გებულ სრა-სასახლეში
აღმოსავლური ჰანგები ისმის,
გაბრუებული თითქოს ხაშხაშით
ჭვრეტს უფლისწული რიდიანს ვისმე.
ცეცხლთან ცეკვავენ კენარტანები
და ნაზ მაჯებზე ასხმულ სამაჯურთ
გააქვთ წკრიალი, როცა თვალები
უკვესავთ შავად და საალქაჯოდ.
გველი გისოსებს ეხვევა ნელა
და წითელ ცეცხლის ყურებით თვრება,
გისოსებს იქით კი უკვე ბნელა
და ყველას თვალებს ულულავს თვლემა.
არაბულ ზღაპრის სულ ბოლო ქება,
მთავრდება ხოლმე ყოველთვის ამით, —
სასახლის ვერცხლილ ფანჯრებში დგება
ათას მეერთე ნათელი ღამე.

.....

სამყარო ცხოვრობს ამ სიტყვაში უცხო და ვრცელი.

1993 წ. აგვისტო

ცხრაჯერ შევბღავლე ქარაფებს...

ლელა თათარაიძეს

„ცხრაჯერ შევბღავლე ქარაფებს,
ცხრაჯერ ჩავშალე ნაწნავი“,
ნისლი ვარდისფრად შევღებე
შემკრთალი ქალის ღაწვსავით.
„ზენ ბაცალიგოს თოვლსა თოვს,
ქვენ ბაცალიგოს შრებოდა“,
ჩემი სიმღერა უტკბილეს
თუშეთის ზეცით თვრებოდა.
მწყემს ბიჭას კანჭი სტკიოდა,
ცვარ-ნამი მოლს მოსდებოდა,
ბეჭმოტეხილი ვაჟკაცი

„გულსუწადინოდ კვდებოდა“.
„ვერკვლის ციხე ვარ მგლისფერი“,
ყორნისფერი კლდე მგალავნობს,
ქარი დახეთქილ კედლებზე
მადებს ღრუბლების მალამოს.
აე, იმ ჯანლის ცივსუსხი
მიწურავს ნაწნავს ნაწვიმარს;
გავხედე: ფრთანი აშალა
მალალ ნაკლდარში არწივმა.
გავეხმიანე, გავძახე,
ფრთაზე შევუსვი სიმღერა,
ხმახაფად დაიმყივარა,
ლურჯი ბრჭყალები მიღერა...
ჩავმუხლე, ძირს დავიჩოქე,
მოვუნანავე იასა,
თვალი ახილა ნამულმა,
შემცინა, პირი მინაზა.
პატარა რუი წვიმიან
ბალახს ევლება, ანცია,
ნეტავ წვიმებით ამავესო,
„ვერცხლის თასადამც მაქცია“.
მერე მოდენა ნიაგმა,
„ცამ დაიძინა ველარა“,
სიზმრად მენახა გუშინწინ —
გულზე ნისლები მეყარა.
ცერად შევხედე მწველ მზესა,
ჯანლი გავცერი საცრავი,
„ცხრაჯერ შევბღავლე ქარაფებს,
ცხრაჯერ ჩავშალე ნაწნავი“.

1993 წ. 3 სექტემბერი

უდაბნო

თხემი სიცხიან მზეს გადავუდაფნო
ჩემი უმხურვალეს ხორშაკის ხელებით,
ბაგეებდამსკდარი ვიხრჩობი — უდაბნო,
გადამშრალ ქვიშთა მტვრიანი ხელებით.
და რა ცხელ-ყვითელნი არიან ქარები,
რაა ჩემს ქარებზე უფრო უცხელესი,
მზეს გადმოეთაფლა დამდნარი ქარვები

როცა მე ჩემს ქართა გავშალე კარვები;
ვაგელვე მათ შორის ელვა ყრუ ცხენებზე.
ვიხსენებ და ვნანობ ლამაზ ბარბაროსებს
გრძელი თმით, ხარხარით, ოქროს საბარკლულით,
მძლავრ წვივებს უწვავდათ ქვიშის სივარვარე...
ნეტავ სად არიან ახლა დაკარგული?
მათ შემდეგ მრავალმა გვალვამ გადამკოცნა
სიმშრალით ნახეთქი ცხელი ბაგეებით,
ხორშაკმა დამქანცა სიზმრებში ნაოცნი
მტვერთა ფარდაგების აშლით და დაგებით.
როდიდან დიოდნენ მდორე სვლით, არ მახსოვს, —
მოჰქონდათ ქარავნებს სარკეთა ბზინება,
სტავრას მოარხევდნენ მძიმეს და სქლადნაქსოვს
მთვრალი აქლემები ძვირფასი ზვინებით.
წითლობდა ატლასი... მისი სიურიცხვე
მე სულს მიწუხებდა, ხედვას მიმძიმებდა,
და მექარავნებს თვალში ზრახვარცხვი
ვაცრიდი თბილ ქვიშას, ცრემლი ციმციმებდა.
ისინი გზადაგზა კარგავდნენ ალმასებს,
მხურვალე ლალები ჩემს ტანზე ცვიოდა.
სად ააგრილებდა სულთანის დარბაზებს
შეხლა სარკეების ციალა სიოთა?
რომელი ხალიფა ამ ხალვათ ხალათში
თავის თვალგიშერა ასულს შემოსავდა,
ან ამ აბრეშუმებს ფარდათა ღვარად შინ
ვინ ააღელვებდა სილბოსაოცართა?
ოქრო იცრებოდა სავსე ტომრებიდან
და ქარი სილავდა წვრილად ჩემს სხეულში,
ქვიშასარეული ბრწყინვებით ქრებოდა...
და ბრაზით იცხრობდნენ ძებნათა წყეულ ჟინს.
მაგრამ გახელებულ ქარებს ვამშვიდებდი
უცხო ჩარდახების ვერცხლილ ჯაჭვიონთან, —
მოჰყავდათ მხევლები ნაბურნი რიდეთი
და შავი მშვენება რიდეთი ჭვიოდა.
მაშინ მე ღარიბად მოვიფარჩებოდი,
რომ გადაივლიდნენ კუნთის დაღლილობით;
დატოვილ ქვიშაზე ბეჭდები რჩებოდა,
მკერდით აწყვეტილი სადაფის დილები.
კვლავ აიშლებოდნენ ენების სავსავით,
მღვრიე ხვეულებად ერთმანეთს ნაშენი
მშრალი ბურუსები ჩემ ოცნებასავით
მზისგან მცხუნვარენი და მომირაყენი.
ქარით იხსნებოდა, ცხელ ფერებს იცვლიდა
ქვიშა — შეპყრობილი შრეების აღრევით.
მზე სიმხურვალისგან ყვითელ ტანს იცვლიდა,

მვირფას თვლებს სილაში ადნობდა დახრილი.
მერე უმძლავრესი სამუშის ტალღები
სადღაც გადანთქავდა ქარავნის ნამუსრევს
და ქვიშის ძველ ფენებს ფარავდნენ ახლები
და ზეცას ავცქერდი მზის თაფლით ნასმურევს.
ჩემს თბილ უბეებში ნაბვით ნებივრობდნენ
შავი და ბრწყინვალე გველები რგოლილი;
შორი ჰორიზონტის ვრცელი ნაპირიდან
ჟრუანტლად მივლიდა სველი მორიელი.
ვინ იცის, რამდენმა გვალვამ გადამკოცნა
სიმშრალით ნახეთქი მშრალი ბაგეებით,
ხორშაკმა დამქანცა სიზმრებში ნაოცნი
მტვერთა ფარდაგების აშლით და დაგებით.
ხან კი სიხარულით თბილ ქვიშას ვისროდი
უცისფრეს მირაჟებს განამიჯნურები,
მიყვარდა რებეკას წამწამთა ისრეთი,
ქალწულნი ნაზ მხრებზე შედგმული სურებით.
ხალისით მავსებდა სიცილი იმათი
და მათი მსუბუქი ტერფების კარება,
ყელნი სათნოობდნენ მძივით ციმციმათი,
ლაწვნი კისკისებდნენ წვრილ-წვრილი ხალებით...
...ვიცი, სამუდამოდ რომ ვარ გადამწვარი
და უნაყოფობა ჩემს სუნთქვას დაარქვეს,
ჯერ თვალით უხილველს ვნატრულობ დაცვარვას,
სიგრილის შეცნობას ჩემს ქვიშის საფარქვეშ.
ვიცი, მე მრავალჯერ კვლავაც დამბანგავენ
მზის მზესუმზირები და მთვარის ჰალვები;
და გამახელებენ, ურთურთს რომ არ ჰგვანან,
ისეთი ელვარედ ყვითელი ხილვები.
და ველი — ან ზეცა ცივ ელვას დამინთებს,
ან სარქველს სამუმი ახდის სამუმიეს
და ქვის უზარმაზარ კარვებს — პირამიდებს
ქარი გამოსტაცებს ქარვისფერ აიმნდებს
და ქროლვას ჩემთვის სხვა მითს აამბობინებს.

1993 წ. დეკემბერი



სადღაც ლერწმებში სევდიანი ტიროდა ქარი...

(ოსკარ უაილდს)

სადღაც ლერწმებში სევდიანი ტიროდა ქარი,
ნათელი ღამე, მდინარე — წყნარი,
ტოვებდა ზღაპარს ყველა სული და ჯადოქარი
და იფარავდა იმათ ლერწმნარი.
მდინარე იყო მოვსებული მთვარის ლიცლიცით,
ნაზი კრთომებით, ალთა ლაციცით,
ლამაზი ჭინკა წყალს არხევდა ჩუმი ღიმილით,
უფრო ლამაზი, ღამემ რაც იცის.
თითის შემკობას ალისთვლიან ბეჭდით ელოდა, —
ქალწული მთვარე ვერცხლ სამილედან
წყლის სარკეში გაფითრებულ თავს უცქეროდა...
სადღაც ლერწმებში ქარი ტიროდა.

1993 წ. დეკემბერი

სალაღობო

მე კი არ მესმის, რას მეკითხები,
დამეცა რაღაც ტკბილი თავზარი,
ხეები გახდნენ ნეკისხელები,
ბალახი გახდა უზარმაზარი.
ან მომაშორე მე ეგ თვალები,
ეგ ალუჩები გაბრწყინებული,
ან ამ კენჭებსაც შევებრალე,
ასე უმწეოდ გამტერებული.
შენ კი იცინი ფართო ბაგეთი
და ალუჩებიც ღიმილი გიცურავს,
ოჰ, რა ბრიყვი ვარ! — ისე წახვედი,
გულმა წადილი ვერ აისრულა.

Eden

ბედნიერება ახლა ჩემთვის მხოლოდ ლურჯია,
ბედნიერების ერთადერთი — ზღვაა საუფლო,
ნაპირი ნაზად უყუჩდება ტალღისტუჩიან
წყლის ალერსს, რაა მშვენიერი ამაზე უფრო.
ალბატროსები შორს აშლილან ქართა ვნებისგან,
ლადი ფრინველი სვამს გრილ ჰაერს ზღვისსურნელოვანს,
ბედნიერების სველი აფრით გაბრუებისკენ
უსაზღვრო ლტოლვა გათენებულ სულში შემოვა.
ვოცნებობ ხელზე უთეთრესზე ბროლივით, ლბილზე,
ის გულუბრყვილოდ გადახრილი ამოვა წყლიდან,
თვალს — ცრემლით, იის სიხარულით ის გულს ამივსებს
ნავთან, ბაგეზე რწევით ზღვისკენ ნაზად დაღლილთან.
ის არ იქნება ნებიერი მარჯნის დედოფლის,
სულცივ ასულის სილამაზით მკაცრით მსუსხველი
ზღვის მარმარილო, არა, ნაზი სუნით ალუბლის
მომხიბვლელ სევდას პატრონისას გასცემს ეს ხელი.
სანატრელ ხელზე ჩემი ხელის მკრთალი მიხება
ყელს ამიღელვებს და აანთებს ზვირთში სადაფებს,
სიცილის ცისფერ ალუბლებით ზღვა შეირხევა,
ნაზ ლოყის აღმურს ვარდისფერად ამოაქაფებს.
ჩემს მეოცნებე ნავთან დილის ჰვირვალე ჰავლთა
თლილ საფეხურზე გადავლება ალივლივდება...
მარმარილოსგან მოხდენილი დაზნექით ივლტეს
და გაენაზნენ ქალწულებრივს ტალღები ნებას.
თეთრ საფეხურებს აედინა თეთრი ქოშების,
თეთრი ქოშების თეთრი სუნი... ტერფი თოვლური,
წყლიდან ქალწულის ზამბახივით ამონორჩება,
ზამბახის ნისლში გაღიმება, თვალთა მოლულვა...
კრთის სილბილეში უთეთრესი სველი ფერია,
ქერა თვალეზში მოციმციმე ზღვისფერი ცქერა;
ქრის მისგან თეთრი, კაბა მისი თოვლისფერია
და კულულები ფარფატებენ ხვეული, ქერა.
შენელდა ქროლვა... ის ფერგამკრთალ ზამბახს —
ხელს მიწვდის,
ღლის თბილი სიო ნამს ლოყაზე, ქერა წამწამებს,
და გულუბრყვილო დასრულება თმის ყვითელ ლერწთა
ასე უსაზღვროდ გულუბრყვილო ბროლ ყელს აწამებს.
რმისფერ ლაჟვარდში იჭრებიან წყლის ფრინველები,
სიმაღლის კამკამს და ერთმანეთს ფრთით განდობილი,
და ოკეანის კეთილშობილ სივრცეს ევლება
უმსუბუქესი თოლიების წყვილი დობილი.
მქრქალი ცისფერი ბაგეები გაელო ოდნავ

და სევდიანად ღვთაებრივმა ღიმილმა მისი
თბილი თვალები ვარდის რძეში აასათნოვა,
და თხელ მხრებს რბილად დაეთოვა თმათა კისკისი.
აბამზავს ქარი, თეთრ დალალებს გაუშლის ზრუნვით
და სევდის ნიავს სახის სავსე სინაზე ისვრის,
ამბორი ჩემი დაემჩნევათ ვარდისფერ ნუნებს,
ის გაიღიმებს ზღვის თვალებით, თვალებში — ნისლით.
გადაქანდება ჩემს სუნთქვაში აღმტაცი ქარი,
როცა ნიავი მის უმკრთალებს ყელთან იქროლებს,
დაეკოცნება მისით შუბლი ჯერ არნაკარი
და სუნთქვა ჩემი დააკვდება თეთრ ხელისგულებს...

1998 წელი, მაისი

ფსალმუნი

*(სამადლობელი უფლისადმი
ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასათვის)*

თუ უწინ რწმენა იჭვებმა ბინდა,
დღეს მოვიყარო მუხლები მინდა, —
ცით რა ნათელი გარდამოვიდა,
როგორი თბილი, როგორი წმინდა!
ამიერიდან განგება შენი,
ბნელეთის მთენი ბრმამაც შეიცნოს!
უმანკოებამ შეისხას ფრთები,
მართალმა გწიროს მადლობის ძღვენი,
ჩიტმაც ამოდგმა ენის — შეიძლოს!
მეც მადლიერი შენს წიაღს ველტვი
და შვებას ვეტრფი ედემისეულს,
ამ ორის ფიქრებს ფიქრებით ვერთვი,
მათში ვიხილე სიმართლის ღმერთი,
ზრუნვით რომ დასცქერს მოდგმას ღირსეულს.
ვით გყვარებია მრავალტანჯული,
დედის წილხვედრი მიწა პაწია,
ურიცხვი მტრისგან ვერ-რით დაცული,
შენთვის ვნებული, შენთვის ჯვარცმული,
ეს სასწაული რომ შეაწიე.
მშვენიერება თვალების მათის
ვინ ჰქმნა, თუ არ შენ, გამოუთქმელო...

მეციხოვნე და რაინდი ქართლის
მშვენების ძველის, ცისკრისებრ მნათის
მხილველი გახდა კვლავ საქართველო.
და ოდეს მოვა განკითხვის ჟამი,
ხსენებაც მათი უკვე კმაროდეს,
რომ განიფანტოს წაწყმედის ღამე,
ივერს გაეხსნას ცა მოკამკამე,
ნეტარებისთვის ცრემლით გმადლობდეს...
არსთაგანმრიგევ, დიდება შენდა!
ყველა ნიშანი შენზე მიმოწმებს,
აწ ბალახში და ყვავილში გხედავ,
გხედავ ცვარში და შრიალში ხეთა,
კვლავაც გხედავდე — ამად ვილოცებ.

1998 წ. სექტემბერი

ოქროს ქანდაკება

(სიზმრად ნანახი)

ზვიად გამსახურდიას

ნუთუ იმ ღამეს ყრმათა თავზე ზეცა გაიყო,
უფალმა პეშვით დაგვაპნია
შენი ზღაპარი?
რა საოცარი სიზმარი იყო, —
გნახე ოქროში ჩამოსხმული,
წმიდა ოქროში
ქანდაკად მდგარი...
იყო ქალაქი,
მოედანი არმიწიური,
და შენი ოქრო ანათებდა სულიწმიდაში,
იდექ კვარცხლბეკზე
უფლისწული მზერამზიური,
კრავი ციური, —
სასუფევლის ძეთა წინაშე.
თვალის ჭრილებში
იცნობოდა ორი სასანთლე,
მაგრამ გრაგნილი რას ნიშნავდა
შენს დახრილ ხელში...
წერილი იგი
შეგვინდობს თუ გაგვასამართლებს,

რომ ვამჯობინეთ დარჩენა ბნელში?
ძეგლი კეთილი,
სასოებით გამოკვეთილი,
ახლაც დგას, სადაც კრავნი იშვებენ,
სადაც ჩქეფს წყარო სიცოცხლისა მარად მედინი,
მაგრამ ჩვენ სხვა ვართ,
იმ ქალაქში ვერ შეგვიშვებენ.

1999 წ. ივლისი

ცა დასცქერის გმირი ბავშვის ცხედარს,
ცა დღეს მის სულს აიტაცებს ნეტარს,
მიწა სამჯერ იუცხოვებს,
და მეოთხედ ძლივს იგუებს
მხოლოდ ტყვიით შეჩერებულ მხედარს.
აქ არ არის, გული ვისაც ეძებს,
აქ არ არის, ცაო, უკვე მანდ არი,
კუბოს მტვერი რომ აყრია მკერდზე,
მხოლოდ მისი სხეულია დამდნარი.
მიჯნურ ჭადარს ქარი ეჩურჩულება,
და ფოთლებზე ნაზად ელაციცება,
ქვეყნად გმირის დაბადებას უყვება
და მისებურ ერთგულებას ჰპირდება...
თბილ საბანზე ბავშვი ხელებს აწყობს,
მთელი დღე რომ დაუღლია ანბანს,
და აგრძელებს დედა წუხელ დაწყებულს —
გველემპთან მეომარის ზღაპარს.
ეტყვის, როგორ დაიბადა ბიჭი,
ვისაც ჰქონდა მისნაირი თვალები,
ბრძენი გული და ღვთიური ნიჭი,
და როგორი გზა ელოდა წვალების.
როცა ბოროტს მკერდი გაეგმირება,
ბავშვი მაშინ ჩაიძინებს მხოლოდ,
თვალცრემლიან დედას გაეღიმება,
გულს არ დაწყვეტს, ბიჭს არ ეცოდინება
ამ ამბავის სევდიანი ბოლო.

2000 წ.

კონსტანტინე გამსახურდია—შვილს

როგორ გაწვალეს,
ვერ გედექი მხარში, ვაიმე,
გვერდით არ გყავდი,
როს გათრევდნენ ბილწი ენებით,
ნეტავ მარტოსთვის შემეწია
სიტყვა რაიმე,
ან სულაც ერთად მიგვეყარა
მტერზე ცხენები.
გულს ჩამდგომია სიამაყე
ტკივილიანი,
ეს მე შეგასხი ფრთები, დამპყრობს რომ შეალეწე,
მოუხუცებელს დაგეყარა მიწა ტიალი,
ტკბილი სიბერე ელოდებათ
შენს მკვლელ გარეწრებს.
იძინე მშვიდად,
უშფოთველად,
ეგ ხვედრი გიჯობს,
ჩემო ტანჯვისთვის გაჩენილო,
ლამაზო ბიჭო.
მძინარსაც, შვილო, გაბოდებდა
სამშობლო მიწა,
და ბორგენეული უფალს სთხოვდი
მის გაბრწყინებას,
ბედმა საფლავი ამ მიწაზე თვითეულს მისცა,
შენთვის კი, შენთვის
უკუღმართმა არც ის ინება.
მხოლოდ სიკვდილმა დაგამშვიდა
დაუცხრომელი,
და დაუღლეელი დაგიკრიფა
მკერდზე ხელები,
შენი მამული არის ჩუმთა ცრემლთა მთოველი,
მე — მამაშენი
ცის სამანებს გადმოვევლები.
მახსოვხარ —
შავი, ხუჭუჭი თმით,
შავი თვალებით,
რა დრო გასულა,
რა სპეტაკად გამთეთრებიხარ,
ვინ ვეღარ გაძღა შენი ქენჯნით,
უღვთო წვალებით,
ვის ტყვიის წვიმას,
ვის ხაფანგებს განრიდებიხარ...
იძინე მშვიდად,
უკრთომელად,
ეგ ხვედრი გიჯობს,
ჩემო ტანჯვისთვის გაჩენილო,
დაღლილო ბიჭო.

ზვიად გამსახურდიას

ყველა ჭუჭყს ფსკერზე ჩაიტანს ტალღა
და მარგალიტებს ნაპირს მოაბნევს,
შენს სახელს ასე ათრევენ ახლა,
ხვალ ნათლის სახვევს ზეცა მოავლებს.
ნატკენ საფეთქელს გაიმებს ქრისტე
და გეფერება ფრთით ანგელოსი,
შენ გული აქეთ მოგიწევს ისევ,
კვლავ თავდადებად საქართველოსთვის.
რომ გამოგიშვას ღმერთმა მეორედ,
მეორედ მოგკლავთ და ცა იწვიმებს,
აქ არიგებენ გასამრჯელოებს,
ნულარ წამოხვალ, მშვიდად იძინე.
ვით შეგინდობდა მიწა გახრწნილი
მაგ გულის ფეთქვას სხვა სიყვარულით,
შუბლი — ნამსჭვალი, ბაგე — გახსნილი
და გოცება ვერდაფარული.
ნულარ წამოხვალ დროშების ქარით,
თბილისისაკენ ნულარ წამოხვალ,
აქ ვინ იგუოს ბავშვი შენდარი,
უფლის თვალეზი ვისაც გამოჰყვა.
აქ ვინ იგუოს წმინდანის ნატვრა,
და ძმის კუბოსთან დაღვრილი ცრემლი,
როს სამეძაო სიცილით დათვრა
და თავის ცოდვებს შეჰხარის ბევრი.
ფოთლებს ჩამოსდის ცვარი ანკარა,
რა დღეა, გლოვა ატეხა ქარად,
ვით მოკვდებოდი სხვაგან, სხვაგვარად,
თუ სათაყვანო მიწაზე არა.
უხმო კივილით მოხუცი ქალი
დასცქერის მტევნებს ნაწამებს შენსას,
ჰა, დიდი ჯილდო — უბრალო ჯვარი,
და ჯიხაშკარში ხეების კვნესა.
აწ უკანაა ბრძოლა და ჯვარცმა,
დალოცვა, წყევლა და შეჩვენება,
მიგელის ბავშვი მეორე და ძმა —
ერთად იქნება თქვენი ხსენება.
აწ უკანაა ჭორი და ქირდვა,
გადასახლება, მხილების სიტყვა,
ვერდაჩოქება და ვერც მოსყიდვა
აწ უკანაა — ყოველი ითქვა...
შორს დარჩა ყველა დაკითხვის სუსხი
და გამომცდელი რეგენი თვალი,

ველარ გაწამონ „მუხლებზე“ ნუსხით,
ველარ ჩაგაქრონ მგზნებარე კვარი.
და სასუფეველის გაიხსნა კარი,
და ძირს რომ გდია, სულის ხუნდია,
ამიერ უფლის წიაღში არის
ნათელი — ზვიად გამსახურდია.

ზვიად გამსახურდიას

1

მხედარო ნათლისაო,
მქუხარე რაინდო და
გულო ცრემლიანო,
მიწაზე რა გინდოდა.
სულ მართალს რად ჰყვიროდა
სული ყოვლისმხედი,
ან ვით დაგინდობდა
სოფლის მრუდე ბედი.
მხედარო ნათლისაო,
მქუხარე რაინდო და
შვენებამ მართლისაო,
რა მწველად დაღვენთოდა
მიწას შენი სისხლი, —
ბალახს ცვრად ეოცა,
მთისთვის გლოვის ნისლი
ქარს ვერ მოეხოცა.
გლოვობდა ქროლვა და
ქროლავდა საგლოვი,
შორიდან გალობდა
ციური საკრავი,
ია უარობდა
ცრემლით თვალნარევი,
არაო, — ამბობდა, —
ვნახეო ეგ მართალი,
ხარირმად გარბოდა
ისარდანაკრავი,
და მაინც დასხლტოდა
მდევარს უნახავი.
ნუ ეძებთ, სად თქმულა
ხარირმის საფლავი...

2

მდუმარე კრავო,
 სიკვდილის წინარ,
 დამსჭვალვად მზაო,
 გადაგცა — ვინა,
 დამდნარო ცვილო,
 სახენაცისკრალო,
 მარადო ძილო, —
 გაუმკრთალო.

3

წარხდა მშვენება საქართველოსი,
 გადაეფარა ჭკნობის ზეწარი,
 ხრწნილებით მოკვდა თვით ანგელოსი,
 მიწამ შემუსრა ნათლის მხედარი,
 წარხდა მშვენება საქართველოსი,
 ვერშესაცნობი ჰგია ცხედარი.
 დღეს იშვებდეთ, ძენო ბნელის,
 სხვა ჟამია დამდგარი,
 ამხდარია საწადელი,
 დაკლულია მართალი,
 ვაი, თქვენგან განათელი,
 სხეულად ნათალი.
 ამხდარია საწადელი,
 შფოთვა გაატანეთ ქარს,
 ეგ ხრწნილება საზარელი
 გულუბრყვილოს უხვევს თვალს.
 ნათლის ძენი ტყუვდებიან,
 ცაში ქნარნი წვიმობენ,
 „ციდან აღარ ბრუნდებიან“,
 სოფლისანი — დიმობენ.

4

ლაზარეო, ლაზარე!
 ბრმა ვიყავი აქამდე,
 ლაზარე... ლაზარე...
 სულში დაგინახავდი,
 სულში დაგინახავდი,
 თუ გონებამ ვერ იცნო,
 ეგ წყლულები გშვენისო.
 ბეთანიელი — ოთხი დღის მკვდარი,
 ოთხჯერვე დაფლვა შენი,

„უფალო, ყარს...“ და, ცხედარი მჭკნარი,
უცნაურ სნების მჩენი.
და რად გაშფოთებს, — იტყვის იესო,
აცხადებული ეს მისტერია,
ვიცნობ საფლავის სინოტივესო,
რადგან აღსრულდა, როგორც სწერია.

5

ნათელღებულ სიკვდილითა მესიისა,
ლოდად გებულო,
ცის საფირონი მოგველება ნიმზად, ვნებულო,
მარქვი, რა სიტყვამ გამოსახოს ეს სასწაული,
მაგრამ აღივსოს, დე, სოფელის ჯერ საწყაული.

6

„საფლავი — თორმეტი ადლი,
სუდარა — თავთან კრული,
გწყალობდეთ აღდგომის მადლი,
ანგელოსი მხიარული!“



ზვიად გამსახურდიას

ყოველ ახალ წელს
ჩემს ნაძვის ხეზე
სათამაშოებს შორის ერთი
ჰკიდია ცრემლი.

სასუფეველში

(ზვიად გამსახურდიას)

სასუფეველში ლაჟვარდები ცისფრად ანთია,
რარიგ დიდია საზღაური, კეთილო, შენი,
ზღვას ედემისას ზე ფრინველი აუფანტია,
ასე რძისფერი, ერთმანეთზე ფრთებისა მცემი.
სასუფეველში შენთვისაა თბილი ციმციმი,
შენთვის — ნათელი რძიანი და მოსიყვარულე,
დედისიმედი მშვენიერი შენთვის იცინის
და გვანცაც შენთვის გააღიმებს ბაგის ალუბლებს.
სასუფეველში ფანტაზია ხომ უსაზღვროა, —
აჰა, იშვებენ შენთან გმირნი მამის წიგნთან,
და დედისიმედს დალალები მხრებზე დაღვრია,
და დაბნეულ ბავშვს გულში გიკრავს მეფე-წმინდანი.
შუქის თბილ რძეში მისი სახე ასათნოვა
და სიომ შუბლზე დაათოვა კულული ლბილი,
საცქერლად რარიგ საამოა, ის ჯერ მარტოა,
იესოც მოვა, რომ მოგბანოს ყველა ტკივილი.

ყიზლარი

(ფიქრი ზვიად გამსახურდიასი)

დღეს ამარიდე მე ეს სასმისი,
სასოწარკვეთილს წამერთვა ცრემლი,
მე დამაბნის და აღარ ვიცი,
კიდევ რა მახეს მიმზადებს კრემლი.
იქნებ აქ უნდა ხორცს გავეყარო,
შორს კი გმინავდეს ჩემი მამული,
მე უცხო მიწა გადამეღვაროს,
უცხო ცისწყალით დაცვარნამული.
საქართველოში ალბათ ჰყვავიან
აკაციები, ატმის ხეები,
ალბათ ირმები ტყეში ბღავიან
და ისუნთქავენ ზეცას ტყეები...
ალბათ, იფეთქებს უკვე კვირტებმა,
იებს ნიშნავენ ისევ სიონი,
მათ რა იციან, რაა კირთება,
ან მწუხარება კავკასიონის.
მათ არ იციან, რა მწარე არის
მონანიება ნამალადევი,
ღორის წინ თავზე დაყრა ნაცარის,
თვალი რეგენი, გესლი — რამდენი.

უძღვები შვილი

შენმა გოდებამ დაბზარა ღამე,
ბორგავ, წრიალებ, წუხხარ,
კედლის საათი დაგკვივის წამებს,
გარეთ ქარები ქუხან.
ეს ღამეც ისე თენდება უკვე,
როგორც გათენდა ყველა,
მაგრამ შენს გულში დაგზნებულ უკუნს
არ აქვს რიჟრაჟის შველა.
გინდა ჯვარს ეცვა და მით წაშალო
უგუნურება შენი,
შენდარად ღმუის ქარი აშარი,
ღუმს წყალობათა მჩენი.
დაღლილი მგზავრი რომელ გემს ენდე,
რომელ ნაპირზე მბოდვარს,
კართან ქირქილებს შენგანვე დღემდე
ვერდათმოზილი ცოდვა.
ოჰ, რომელ ბატონს ემონე ნებით,
— თავიუფალი იყავ, —
დღეს ის არაფერს არ გეკითხება,
მონას, აბა, ვინ ჰკითხავს?
ძველი წალკოტი დაჭკნა, ურვილო,
გახმა ალვა და სურო,
შენი დილეგი არის ურკინო,
ვერ გამოამტვრევს ურო.
გული ვერ ამბობს, თუმცა კი იცი
სიტყვა, რომელიც გეძებს:
„მამაო, გცოდე, არა ვარ ღირსი,
ვიწოდებოდე შენს ძედ“.
შენმა გოდებამ დაბზარა ღამე,
ბორგავ, წრიალებ, წუხხარ,
კედლის საათი დაგძახის წამებს,
გარეთ ქარები ქუხან.



ფრიდრიხ ნიცშეს მონოლოგი

ერთი მთავრდება და იწყება სხვა ჯოჯოხეთი,
ვერ დამაჩოქებ, ბედო, ამით, თუ გაქვს იმედი,
როდესაც მრავალ უღირსს ატკბობ ცრუ სამოთხეთი, —
მტანჯე, არ მინდა შენთა ქნართა ტკბილი სიმეტი.
მტანჯე, ხან ერთით, ხან მეორით და ხან მესამით,
ხომ დადგა ჟამი, როს წვალებით ვერ გამაკვირვებ,
სხვისთვის განახვნე სამოთხეთა ვრცელი სეზამი,
იკვებე, ჩემშიც მათ ბილწ ნდომას თუ გააღვიძებ.
შენგან მორთმეულ ძმრიან თასებს დავცლი ზედიზედ
და შემოგბლავლებ წყენით, როცა გამოგელევა,
შენ არც კი იცი, შენს ძმარ-შხამებს ვით შევეთვისე,
შარბათზე ახლა ალბათ გულიც კი ამერევა.
შენ შეცდი, როცა თავიდანვე ტანჯვით დაიწყე,
პირველი თასი როს მაგემე ორი კვირისას,
შეცდი.... თავიდან შემაჩვიე მწვავ მზით დასიცხვას,
ალბათ ჩქარობდი... და მასწავლე თმენა ჭირისა.
მაქვს სული — თეთრი მარმარილო დაულაქველი,
მიწიდან არა, ცის სიღრმიდან ამოტანილი,
სული — არწივი ამაყი და ბევრგზის ნაგვემი,
ღორ-ძაღლ-ტურათა დასერილი და დადანილი.
ვით სხვა სიამეს, იგი ტანჯვას ისე ნაჩვევი,
სასოწარკვეთის მდაბალ გრძნობას არ გაიკარებს,
დაიგვიანე, ბედო, ახლა აღარ გაჩვენებს
უსასობას, და შენ ამით ბრაზს არ გიქარვებს.
ერთიც არ მცდება განატყორცნი, შენგან ისარი,
ერთიც არ არის ისართაგან ბალღამუვლები,
ვერ მათმობინებ — ლამაზია ჩემი მიზანი,
ვერ შემაშინებ უბადრუკი შენი ყმუვლებით.
ახლოა ჟამი ჭრილობათა მოსალბუნების,
ბედნიერება ჩემს სულშია ღვთით დათესილი,
და ნაცვლად ხორცთა გასაძლომი ბილწი ცთუნების,
მე სიხარული ზეციური მელის მზევსილი!...





დედას

ლამაზად შვილის აღმზრდელი,
დედა მიცვნია ღმერთადა...
ვაჟა-ფშაველა

შთამომავალმა ელადის დიდის,
შვილმა სპარტის და პირმშომ ათენის,
მარმარილოსგან ნაკვეთი თითით
მოქსოვე ჩვენთვის რიდე-ბადენი.
და შიგ ვეხვევით ჩვენ განუწყვეტლივ
დაბრმავებულნი შენი მშვენებით
გემსახურება ბერძნული ეტლი
დაგაქროლებენ ოქროს ცხენები.
შენ უნებლიედ მოჰყევი „არგოს“
და ბრწყინავ ბერძნულ მარგალიტებით
მორთული დაგსვეს აქ, დედავ, კარგო
და შეიმოსე შორი დიდებით.
შენ სპარტულ ტუმით ნახატ წარბს რკალავ,
და გექუფრება მაღალი შუბლი,
შენ არ გიხდება, ო, არა, არა
ნათელ სახეზე დაფენა ღრუბლის.
ყველა შეგნატრის, ვით მთვარის ასულს
და ყველა კრძალვით მოგიძღვნის ქებას
შენ ელი „არგოს“ შორ ზღვაზე წასულს
შენ ელი შენსას კვლავ მოტაცებას.
გამკობენ დიდნი მგოსანნი რიდით
გიძღვნიან ლექსებს, როგორც ყვავილებს,
და საბერძნეთი — ლამაზი, დიდი
გისრულებს, რასაც გულში გაივლებ.

* * *

ის აიტაცა ბოროტმა ჟინმა,
სულ ერთი წუთით ცდუნდა,
ხეიბარს გზაზე მავალს დასცინა,
მოხიბლა ქარაფშუტა.
ამჩატდა წუთით, თუმცა კი არ იყო
ბრიყვი მრავალთა დარი,
ცად ქერუბიმმა მახვილი იღო
და გაავდარდა დარი.
აწ თვით ხეიბარს ტანჯავს ნაწვიმი
გზა და ფიქრსაც ვერ ბედავს, —
არ შეეფეთოს სადმე ყმაწვილი
მცინარ გოგოსთან ერთად.
ნახავდა, ვისაც დასცინა მაშინ,
მაგრამ, ოჰ, ვისთან ან სად?
დუმს ხეიბართა მკურნალი ცაში
და წვიმს პირველ დღის მსგავსად.

ორი მზე

დამესიზმრა სულის ზეცა,
ცოცხალი და ბევრად შორი,
ცოცხალს ჰგავდა თვითონ მზეცა,
მაგრამ, ღმერთო, იყო ორი.
კაბადონი გაიკეცა,
მნახველს ამითრთოლდა მძორი,
სად ერთი მზე ასხივებდა,
ზრუნვით იყო ცა გამთბარი,
სიყვარული შუქს თან სდევდა,
და სიკეთის იდგა დარი,
გავიფიქრე — ვით ამზევდა
ეს ამქვეყნად დანაცარი?
სად ელავდა მეორე მზე,
რაც მძაფრი, დიდებული,
იქ ხანძარი ენთო ცაზე,
ძრწოდა ვერდამშვიდებული,
რაც დიადი იყო ასე,
ავად ჩანდა რინდებული.
...განაღვიძი ვიმტვრევ მაჯებს,
ისევ მესმის ხმები მდორე,
ფანჯრით ხალხის ფუსფუსს ვარჩევ,
უკვე ნახულს განვეშორე,
ღმერთო, პირველს გაუმარჯვე,
განუქარვე ცას მეორე.

„შენ ვერ მიხილავ და ნუ დამეძებ“

(ტერენტი გრანელი)

ოჰ, ჩემი სული იყო სიმშვიდე,
უფალთან ფრენდა მტრედი მფარველი,
დღეს რაც არ უნდა სუნთქვა მიჭირდეს,
შენ უნდა გითხრა, გოგო, სათქმელი.
შენ უნდა გითხრა, რომ დავიღალე
და სევდა დამრჩა მეგობრად მარტო,
როგორ დავეძებ წმინდა სიხარულს
ან როგორ მინდა წრფელად ვიდარდო.

შენ რომ ლექსებს წერ...

შენ რომ ლექსებს წერ გოგო,
შენი სულივით სუფთას,
ეგ მირჩევნია ოქროს,
აზრებს განსწავლულ შუბლთა.
შენ მირჩევნიხარ, იცი,
ეგ დაფიცება ტკბილი,
სხვების დახვეწილ სიცილს —
შენი ღიმილის ჩრდილი.
როცა ლოცულობ ჩუმად,
ფიქრიანი გაქვს თვალი,
ხატები ღიმილით დუმან,
სახეს განათებს ალი;
რადაც ზრუნვებით სავსე
მგონია, მეც ვერ მაჩნევ,
ნეტა ვიცოდე, ასე
რას ევედრები გამჩენს?
ერთად გვატარებს შვება,
ერთად გვაფითრებს ბედი,
ჩემს მკერდში ნაზად დნება
შენი უმანკო მკერდი...
შენ რომ ფიქრს ფიქრობ, გოგო,
ამ ლაჟვარდით სუფთას,
ეგ მირჩევნია ოქროს,
აზრებს განსწავლულ შუბლთა.

ქერა გოგო და ველოსიპედი

გახსოვს მანგლისი,, ლურჯ ტყეში სოკო,
იები ძაფით შენაკონები?
პატარა ბიჭი მოწიფულ გოგოს
რა გულუბრყვილოდ თავს გაწონებდი.
გახსოვს, შორიდან გემახდა დედა
(შენით მიყვარდა მე დედაშენიც),
და მაწვალებდა ბავშვური სევდა
იმ შენს ჭიშკართან მარტო დარჩენილს.
იქ იდგა შენი ველოსიპედი
ნათელ მზისაგან სხივდანახატი,
და ვიძინებდი ჩუმი იმედით,
რომ მეორე დღეს ისევ გნახავდი.
რომ სხივთან ისევ ითამაშებდნენ
ეგ კულულები დასაკოცნარი,
მე ის დღეც მახსოვს, რომ დაგვაშორეს
და შენს ქერა თმას თვალი მოვკარი.
ახლი კი... წლები გავიდნენ ფარჩად,
შენ ალბათ გზაზე მზეს გაიფენდი,
მაგრამ ხსოვნაში სიზმარი დარჩა,
ქერა გოგო და ველოსიპედი.

თვალები — ლივლივი
ლურჯში და მწვანეში,
კულული ხვეული,
ნიავის თარეში,
ვიდრე წახვიდოდე
შვებათა მხარეში,
მირჩიე, მღიმარო,
რა ვქნა შენს გარეშე?
სიცოცხლე ერთფერი
გამისამოთხევე,
ტრფიალიც მომთხოვე,
კვლავ სევდა წამიღებს,
ნუ წახვალ ახლავე,
იქ ხვალაც გნახავენ...
სულაც ნუ გნახავენ...
ლოყაზე ნამი გაქვს,

შენ სევდა არ იცი
და დარდი არ გიყვარს,
მჭვირვალე კისკისი
შუბლზე თმას დაგიღვარს,
ნუ წახვალ, ზეფირი
სანამ არ წაგიყვანს...
ტერფებზე თლილებზე
ზღვის ქაფი გადაგდის,
ტანტალებ ნაპირზე,
კიაფო სმარაგდის,
სიცოცხლის ჟინით ჩქეფ,
ლილინი არა გლლის,
რა მოხდა, ერთხელ რომ
ეს გულიც გალადდეს?
თვალეები — ლივლივი
ლურჯში და მწვანეში...

შენ ლამაზი ხარ...

გთხოვ, ამ საღამოს სარკისაკენ ნუ შებრუნდები,
შენ ლამაზი ხარ მეტისმეტად, ის კი — მაცდური,
და მაგ მშვენებით თვითონ შენვე ნუ გაბრუვდები,
დაეკარგება თვალეებს შენსას შუქი ბავშვური.
სჯობს მოიწყინო, ჩამოაყრდნო სახე თლილ ხელებს,
და შენს სატრფოზე, შორს წასულზე, იფიქრო ნაზად,
ანდა უმზირე სარკმელიდან ნაწვიმარ ველებს,
მათ დაჰგალობენ ტოროლები ხმაშერთულ დასად.
ირემი გარბის, ალბათ მოსდევს უკან მდევარი,
იქ ვიღაც მართალს ისევ ელის ტანჯვის ხუნდები,
ინაღვლე, გახდი სინანულით ღამის მთევარი,
ოღონდ სარკისკენ, სარკისაკენ ნუ შებრუნდები.

ცეკვა ჩრდილებში

იისფერ ღამით დარბაზში მელი
ფერიის ღამით, — ხელი და ხელი;
ფარდებში ნაზი შუქების ვალსი,
ნელი აღმასი, თვალეები სველი.

შენი ხმის თაფლი, მზერა — რონინი,
მიყვარხარ დადლილს, — ჩუმჩუმი ლხინი,
არ იცი ისე შეფარვით გიმზერ,
დაეგო სიმზე გული გარინი.
ათობით ნათობს შრიალით ფარდა,
არ ათინათობს ჩემთვის შენს გარდა
არარა, არა, შენ ღამით ფარავ,
შენ შუქებს პარავ ალებას ალთა.
რატოა ასე რატოა მშვენი
ოცნება შენი, ჩურჩული შენი?
თუ მომკლავ ცქერით, იამებ შენ რით,
სინაზის სენით ვართ ჩვენ სავსენი.
არ იცის სიტყვამ გრძნობა ნამალი!
ველარსად ვნახეთ ტრფობის წამალი,
გული რომ ოცნებს, დაგითვლი კოცნებს,
იების ღამე გადის რა მალე...
ღამე, როცა შენ დარბაზში მელი,
როცა შეხვდება ხელი და ხელი.

დახვეწილი გემოვნების მქონე ქალიშვილს

თქვენ ფიქრობთ, ცასთან ახლოსაა რემბო, ედგარი,
ო, დეგა მართლაც სინარნარით ღვთიურით ღელავს,
სულს აღიტაცებს ბეთჰოვენი დაუდეგარი
ანდა მესები მოცარტისა, დრო რომ ვერ თელავს.
ოჰ, დამერწმუნეთ, ჩვენ არ ვიცით, რაა ნამდვილი
და ღირსი ღვთისგან ყურადღების მრავალჯერ დიდის,
იქნებ ეს გოგო — ღარიბი და სახენათელი,
ბაზარში რომ დგას შემცივნილი და პურს რომ ყიდის.
ო, დამერწმუნეთ, ჩვენ არ ვიცით, რაა ნამდვილი.

1999 წ. 10 მაისი

* * *

ავად ვარ შენით, ავად ვარ შენით,
ჩემ სნეზას ჰქვია შენი თვალები,
სულში ჩამოდგნენ უხმო მოწყენით
გაფითრებული თებერვალები.
მე შენ მიყვარხარ ისეთი ძალით,
რომ ჩემი თავი ვიცოდე, — არ მსურს,
გავზავდე შენში მშვენიერ წამით,
შევერთო შენი თვალების ლაზულს.
გეტყვი, არ მინდა ყოფნა სხვა არსად,
მაგ დაღალული სინაზის თმენა,
მე მინდა ვიყო შენში და არსად,
ჩურჩულის შენის თაფლივით დენა.
ავად ვარ შენით...

არ შეგაწუხებ

მე ჩემი ყოფნით არ შეგაწუხებ,
დაე, სხვამ კოცნოს შენი ტუჩები,
სხვა გხვევდეს მკლავებს — ჩემთვის მარწუხებს,
როს უცხო ალერსს გაუყუჩდები.
მე ჩემი ყოფნით არ შეგაწუხებ.



ზღვაში ჩამენტქა ოცნება

ზღვაში ჩამენტქა ოცნება,
ულურჯეს ზვირთთა წიაღში,
მისი ხმა ვით გაოცება
ცივმა ტალღებმა მიახშეს.
უსასრულობა დაფერა
ცრემლების ტბორმა და გუბემ,
ზღვამ ზეცა გაინაპირა
და ჩემი ფიქრიც დაღუპა,
დაღუპა, როგორც ხომალდი
სავსე განწირულ ძახილით,
ფანჯრიდან სივრცე ბოლავდა
და ზღვების ღმერთის სახელი.
თუ დამარწყულეს ლოცვებმა,
სანთლები ზეცას მიენტო,
მე ვაპატიებ ოცნებას,
ზღვას გემივით რომ მიენდო.

1989 წ. ნოემბერი

წარწერა გურამ პეტრიაშვილის წიგნზე

მე დავემსგავსე
სახლს დაღონებულს,
რომელიც ყველამ მიატოვა
და უსარგებლოდ მიიჩნია,
გაეშურა გასართობი დარბაზებისკენ.
ცეკვავენ,
ნაზად იღიმებიან,
და სიგარეტს ეწევიან შუა ცეკვის დროს,
ბოლს კი ისრუტავს
ბრჭყვიალა ჭალი,
მერე შუქს აფენს
დეკოლტეებს
ამ უცრემლოთა.
მე, ანუ სახლი მოწყენილი,
ძლიერ შორსა ვარ,
ჩემს ოთახებში ჭალი არ არის,
რომ გაანათოს ერთადერთი ხატი კედელზე...



სონეტი მამას

ბოროტთან ზავით ვერ შეკრულო წელა თეთრდები
თითქოს არა ხარ შენ დაღლილი, ღიძს არ იშორებ
მაგრამ მე ვიცი...

ფრაგმენტი

ქარის ფრთებით, ქარის ფრთებით გავფრინდებით მე და შენ,
ვიფრენთ, სანამ დავიმსხვრევით, გავქარდებით ფრენაში,
დღეს სხვა დროა და სატანა თელავს გულებს წყეული
ეს მტევნები მოვიშორეთ ეკლებს გადახეული.
მე ვეწამე უსასრულოდ, შენ გელოდი ტანჯვაში,
ქარის ფრთებით, ქარის ფრთებით, ქარის ფრთებზე თამაშით,
შენ იცოდი, ხომ იცოდი, შემხვდებოდი ოდესმე,
მე ვიცოდი, ვერ გაგვყრიდა სული უბოროტესი.
შენ სახე გაქვს ცრემლიანი და ეგ ტკივილს ჩემში შობს,
მაგრამ ნუღარ გეშინია, ცრემლებს ქარი შეგვიშრობს,
ოჰ, გავქროლდეთ ახლა უტყვად, სადაც ის არ იქნება
სული ყელში მეზღინება, დღეს ვეღარ მოითქმება.
ქარო, ქარო, დღეს ორივეს ფრენა გაგვაბედინე,
ქარო ზრუნვით დაიქროლე, სიგიჟედ დაგვეფინე,
ჩვენ სამანებს გადავევლოთ, მივაღწიოთ ვარსკვლავებს,
იმ უშორეს ვარსკვლავებთან ქარი დაგვასაფლავებს...

შენი ტატო

სტრიქონებს შორის

სტრიქონებს შორის სივრცეა თბილი,
ტკივილი სევდა და მძაფრი გლოვა,
სტრიქონებს შორის იმღვრევა დილა
და დასველებულ ფერების გროვა.
სტრიქონებს შორის ზღვა ფეთქავს წყნარი,
ლაჟვარდის ქაფით სავსე სიღრმეა,
სტრიქონებს შორის თარეშობს ქარი,
ქარი, რომელიც მე არ მიხმია.

1989 წ. ნოემბერი

გ...ს

ჩუმი ღიმილი მე მომკლავს შენი,
კარგო, ხმამალა რად არ იცინი,
როდემდე იყო სულ სევდის მჩენი,
თვალში გითრთოდეს ცრემლი ციმციმით?
ბავშვურ ლოყებზე გადაგდის შუქი,
მანდ რას დასცქერი წამწამდახრილი?
ერთხელ მომანთე თვალები მუქი,
თვალები — ამდენ ტანჯვით დაღლილი.
ერთხელ იცელქე, უიღბლო ბავშვო,
გაიქეცი და დაგედევნები,
ამაღამ მაინც ნუ მიხვალ სახლში,
ამაღამ მაინც ნულარ ევნები.
შორსერთობიან ტოლები შენი,
არის კისკისი, კოცნა, ხორხოცი,
და, ჩემო, ხორცით ასეთი მშვენი
კვლავ ფიქრობ, როგორ დათრგუნო ხორცი...
შენ ვერ შეამჩნევ, მე კი გიყურებ,
მერე მივდივარ და ხისქვეშ ვტირი...
ასეთს ერთადერთს ქვეყნად გიგულებ
და ცრემლი დამდის მწარე და ტკბილი.
ერთხელ იცელქე, ლამაზო ბავშვო,
რომ სხვა რამეზეც ვიფიქრო ერთხელ,
მაგ წამწამების უმანკო ბაღში
ამჯერად ცრემლს ნუ დათესავს ეს დღე.
ვგრძნობ — უკვე შენთვის გავწირავ თავსაც,
ეს ხომ არ არის ძნელი სრულიად,
ვერასლროს გეტყვი, როგორ ამავსე,
რა სევდიანი სიხარულია.

EDEN

ბედნიერ ზღვაზე ლაჟვარდები ცისფრად ანთია,
გრილი ჰაერი გულუბრყვილოდ გამჭვირვალეა,
ზღვას ფირნველები ცაში ლალად აუფანტია,
რა მსუბუქი და აღმტაცია მათი არევა...
ტალღით სველდება მიმოყრილი ნაპირს ლოდები,
აქ ზღვის ნიავის სუნთქვა თბილი და საამოა,
ვდგავარ ნაპირზე, თითქოს ვხვდები და ველოდები —
ახლა ვიღაცა თეთრი კაბით წყლიდან ამოვა.
წითელ ლაჟვარდში იჭრებიან წყლის ფრინველები,
სიმაღლის კამკამს და ერთმანეთს ფრთით განდობილი,
და ოკეანის კეთილშობილ სივრცეს ევლება
უმსუბუქესი თოლიების წყვილი დობილი...
ბედნიერ ზღვაზე ლაჟვარდები ღისფრად ანთია.

ღამით თბილისში და მის ქუჩებში
წყვიდადი სუფევს,
ეს ცხოვრების გზა უფრო მოკლდება
და სადღაც უხვევს.
შიშისმომგვრელი ქარი ზუზუნებს,
ძვალ-რბილში ატანს;
მე ცხოვრებისგან თითქმის არაფერს,
თითქმის არაფერს მოველი ახალს...
დადუმდა ქუჩა,
ძილს მიეცა და სიზმარს ხედავს,
ეს ძილია თუ
სამუდამოდ სიკვდილი ნეტავ?

მასპინძლის ქალიშვილი

ოჰ, ის საღამო იყო მართლაც დაუვიწყარი,
სტუმრობა თქვენთან, თბილი შუქი, ბროლის წკრიალი,
ყოვლის მშვენება და მიზეზი თვითონ იყავი,
ვარდი თამამი და თავდახრილი სახემცინარი.
მე შენ მალულად შეგხაროდი შორი კუთხიდან
და გულს ათბობდა მაგ პატარა საყურის სხივი,
სტუმართა ქება სათნო თვალებს მზერას უხრიდა
და ამ დროს თრთოდა სპეტაკ ყელზე უბრალო მძივი.
შენ არიგებდი ღიმილს, თვალებს ისე გულუხვად,
ღირსეულ კაცის ზრდილ ქალიშვილს როგორც შეჰფერის,
ვწუხდი, რომ ამდენ საღიმილოს ვეღარ აუხვალ,
მათი სიტყვებიც თითქოს იყო შენთვის ერთფერი.
როცა დაღლილმა ჩამოაყრდნე ხელები სარკეს,
მე დავინახე, რომ მოწყენა უფრო გშვენოდა,
ეგ სათნო სევდა ნეტა სხვებმაც თუ დაინახეს,
ღრმად დაფიქრებულს ღია თვალში რომ დაგრჩენოდა?
ჩვენ წამოვედით გვიან ღამით, დაგშორდით მცინარს,
მე მომეჩვენა, რომ თვალებით რაღაც მითხარი,
თაყვანისმცემლებს შემოიკრებს ეგ თბილი ბინა,
მე კი დამრჩება ის საღამო... დაუვიწყარი.





მითხრობა
მინათუხიები
წიგნიცები
ღღიუხიები
ფხაბმენსები
ზღაპრები

უღონდ ღანცქაი



მ ო თ ხ რ ო ბ ა

მე ვარკეთილში ვცხოვრობ, ერთ-ერთი მაღალი კორპუსის მეხუთე სართულზე, დედაჩემთან ერთად. მთელი ზავშვობა ამ უბანში მაქვს გატარებული და ირგვლივ მაცხოვრებლებს კარგად ვიცნობ.

მამა და დედა დიდი ხანია, რაც ერთმანეთს დაშორდნენ, ამიტომ მამაჩემი ცალკე ცხოვრობს ვაკეში, ახალ ცოლთან ერთად.

მეყურადღებას არ მაკლებს, ყოველ ორ დღეში ერთხელ მაინც მაკითხავს თავისი მანქანით და სასაქონლოდ მივყავარ. მამაჩემი დიდი საწარმოს დირექტორია, პარლამენტშიც აპირებდა შესვლას, მაგრამ ხმები დააკლდა. ჩვენ საკმაოდ მდიდრად გვაცხოვრებს, ისევე, როგორც თავის ახლანდელ მეუღლეს, ზავშვობიდანვე ყველა კაპრიზსა და სურვილს მისრულებს, ფუფუნება არ გვაკლია მისი წყალობით.

როდესაც მისი „მერსედესი“ კორპუსის წინ გაჩერდება ხოლმე და მამა „ირინას“ დაიძახებს, ამაყად ჩავრბივარ კიბეზე და მალე კრიალა მანქანაში მჯდარს მძლოლი ახალ ქათინაურებს მაგებებს.

მივდივართ მამის რომელიმე მეგობრის სახლში, სადაც წვეულებაა და სადაც ჩემი მეგობრებიც მხვდებიან, ვმხიარულობთ; ანდა რომელიმე მდიდრულ რესტორანში შევყავარ მამას და გემრიელ კერძებს შევქეცევით. ზოგჯერ მამის დავალებით მხოლოდ მძლოლი მაკითხავს და კინოთეატრში მივყავარ, სადაც რომელიმე მოდური ფილმი გადის.

მანქანითვე ვბრუნდები შინ, დაღლილი და კმაყოფილი, თითქოს ვერც ვამჩნევ მეზობლების გაღიმებულ სახეებს და სახლში შესული დედას ვუყვები დღის თავგადასავლებს. დედა ღიმილით მისმენს და არაფერს მპასუხობს.

ვიცი, რომ მეზობლები შემნატრიან, მალმერთებენ თითქმის. მათ კომპლიმენტებს ჩემდამი დასასრული არ უჩანს ხოლმე და ისინი ძირითადად ჩემს სილამაზეს ეხება: „ირინა, რა საუცხოო თმა გაქვს, რომელ შამპუნს ხმარობ?“ „ირინა, შენნაირი ლამაზი გოგო...“ „ჩემო ქერავ, არ დამზარდე, დედას უთხარი...“ მეც ნებიერი პრინცესასავით ვისმენ ამ ქებას, თუმცა, უნდა გამოვტყდე, რომ ხანდახან თავს მამბეზრებს მათი აღტაცებული ღიმილი და კომპლიმენტები. ვიცი, მარტო სილამაზის გამო არ მეთაყვანებიან — მამა მდიდარი და გავლენიანი კაცია, თანამდებობის პირი, ჩვენც მდიდრები გვქვია, ამ მეზობლის ქალებს კი მეტი რა უნდათ...

ბევრი ბიჭი მეპრანჭება უბანში, თუმცა ზედმეტს ვერავინ მიბედავს. ცდილობენ, როგორმე მასამოვნონ და სასაცილო მდგომარეობაშიც იგდებენ ხოლმე თავს მეტისმეტი სურვილით ანთებულები. ამასწინათ ძალიან ცხელოდა და მე აივანზე გამოვედი, ნიავი ოღნავ მიღელვებდა გრძელ სწორ თმას.

დაბლა ბიჭები კალათბურთს თამაშობდნენ სტადიონზე, დაღლილები ჩანდნენ და დუნედ მოძრაობდნენ. მაგრამ გამოვჩნდი თუ არა, თამაში გამოცოცხლდა, ყველას ფრთები შეესხა, ერთმა მოხერხებულად ჩააგდო ბურთი კალათში და გახარებულმა ცალი თვალი ჩემსკენ გამოაპარა, — თუ მიყურებსო. მე ოდნავ გავუღიმე და თმა ხელით გავისწორე, მზერა სხვაგან გადავიტანე.

იქვე, ჩვენს კორპუსთან, დგას პატარა მაღაზია, სადაც სურსათი და წვრილმანები იყიდება. გამყიდველი ქალები მოწიწებით მთავაზობენ ნამცხვრებს, ტკბილეულს, მეკითხებიან — როგორ ვგრძნობ თავს, როგორ არიან დედა და მამა, რას აკეთებს ჩვენი პატარა ცუგა და ასე შემდეგ. მე მოკლედ ვპასუხობ და სახლისკენ მიმავალ გზას თავაზიანად მითმობენ ჩემი უბნელი ბიჭები: შესაძლოა, ზოგიერთს ეყოს სითამამე და რაიმე მკითხოს, რაც ამ წუთში ნაკლებად აინტერესებს, ან რაიმე შემომთავაზოს, მაგალითად — გაცილება სახლამდე. მე სიამოვნებით ვთანხმდები, თუ კარგ ხასიათზე ვარ, და ფაქიზ უარს ვეუბნები, როცა ეს არად მეპიტნავება.

ყოველ დილით ძალი სასეირნოდ გამომყავს. „ბალონკის“ ჯიშის ძალია; ნეტარებისგან კუდს აქიცინებს, როცა ერთად დავუყვებით ხოლმე ქუჩას და მე ამ დროს სხვადასხვა საალერსო სახელებს ვეძახი.

სახლში ხშირად მსტუმრობენ მეგობრები — გოგონები და ვაჟები: ვცეკვავთ, მუსიკას ვუსმენთ, ვიცინით, სასაცილო ამბებს ვყვებით და დედის გამომცხვარ ნამცხვრებს მივირთმევთ — დედა ძალიან გემრიელ კექსებს აცხობს, ჩემი მეგობრები აღტაცებულნი რჩებიან ხოლმე ყოველთვის.

მე და ლევანს ერთმანეთი გვიყვარს. ლევანიც ჩემს კორპუსში ცხოვრობს, ოღონდ ბოლო სადარბაზოდან უნდა ახვიდე. იგი გავიცანი მეგობარი გოგონას, ლუიზას, დაბადების დღეზე, ერთად ვიცეკვეთ და მეორე დღესვე მომაკითხა მანქანით, — გავისეირნოთო. მე ის თავიდანვე მომეჩონა. დედამ უტყვი ღიმილით თანხმობა მანიშნა და მალე მანქანით მივქროდით რუსთაველის პროსპექტზე, ლევანის ერთ-ერთ მეგობარ ვაჟთან, რომელსაც დაბადების დღე ჰქონდა.

ლევანი ძალიან კარგად ცეკვავს. სპორტული აღნაგობა აქვს და ცისფერი თვალები. ახალგაზრდულ მუსიკაშიც კარგად ერკვევა. მოკლედ, ძალიან მომხიბლავი ბიჭია.

ჩვენთან ყველამ იცის, რომ მე და ლევანს ერთმანეთი გვიყვარს, ამიტომ სხვა ბიჭები მოწიწებით და შურითაც უყურებენ ლევანს — ვიცი, მის როლს ნატრობენ ჩემს ცხოვრებაში...

ჩვენი ბინის ზემოთ, მეექვსე სართულზე არავინ ცხოვრობდა. ბინას მუქი ყავისფერი კარი ჰქონდა და ყოველთვის დაკეტილი იყო. ადრე უშვილო ცოლ-ქმარი ცხოვრობდა აქ, მაგრამ მერე სადღაც გადავიდნენ და ეს სახლი გადაცვალეს თუ გაყიდეს. თუმცა უკვე რამდენიმე წელი იყო, ბინას არავინ გაჰკარებოდა.

ერთ საღამოს კიბეზე ჩამავალს შემხვდა შავგვრემანი ბიჭი, რომელიც ადრე აქ არსად მენახა. იგი ძალია ამოდიოდა და სწორედ ამ ბინის კარს მიაღდა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ბინაში შევიდა. კარი ისევ დაიკეტა.

დილით აივნიდან დავინახე, როგორ ჩაჯდა სამარშრუტო ტაქსში და წავიდა.

საღამოს ისევ შემხვდა კიბეზე ამომავალი, როცა მე მაღაზიაში მივდიოდი. სადღაც იყურებოდა, თითქოს არც შევუმჩნევივარ ვიწრო გასასვლელში გვერდით ჩავლილი, წყნარი ნაბიჯით მოუყვებოდა კიბეს. მე ოდნავ გამაგულისა მისმა ასეთმა უყურადღებობამ — ის ისევ უხმოდ აღებდა კარს გასაღებით და მალევე მოიკეტავდა.

ასე განმეორდა რამდენჯერმე — ის მხვდებოდა ხან კიბეზე, ხან ქუჩის ტროტუარზე — საწინააღმდეგო მხრიდან მომავალი... ჩემი აივნიდან ხშირად ამიხედავს ზემოთ, მაგრამ ის არასოდეს მინახავს აივანზე გამოსული.

კორპუსის შიგნით კედლები საკმაოდ თხელია და მეზობელი ბინებიდან ხმა კარგად ისმის — ღამით დახველებასაც კი ვიგებთ ხოლმე. იმ დროის განმავლობაში, რაც ბიჭი სახლში იყო, ზემოდან ჩამიჩუმიც არ გაგვიგია, ან ოდნავი დალაპარაკება... ყველაფერი მდუმარებდა. დილით კი ისევ გამოდიოდა სახლიდან და სადღაც მიდიოდა, სალამომდე არ ჩანდა. ყოველთვის მარტო იყო და მასთან გავლილი არავინ მინახავს.

ერთხელ, როცა ისევ კიბეზე შევხვდით ერთმანეთს, ის ამომავალი და მე — ჩამავალი, ვეცადე შეფარვით დავეკვირვებოდი — იქნებოდა დაახლოებით ოცდასამი წლის, შავგვრემანი იყო, მეტყველი შავი თვალები ჰქონდა, რომელნიც ერთი წამით მომაპყრო განურჩევლად, მერე კი ისევ მომაცილა და გზა განაგრძო. შავი ქურთუკი ეცვა და საყელო, როგორც ყოველთვის, აწეული ჰქონდა.

„რა უცნაური ვიღაცა“, — გავიფიქრე. ბიჭი ასე დადიოდა ერთი თვის განმავლობაში და მივხვდი, რომ ჩვენს ზემოთ ბინას უკვე პატრონი გაუჩნდა. ის აქ ცხოვრობდა. ხანდახან პატარა ცელოფანი ეკავა ხელში, იქ ალბათ სანოვაგე ეწყო და იმით გაჰქონდა თავი.

უცნაური კიდევ ის იყო, რომ მის ფანჯრებში არასოდეს ენთო შუქი, იმ დროსაც, როცა დანამდვილებით ვიცოდი, რომ სახლში იყო. რამდენჯერმე თვალი მოვკარი პატარა ალს მის ფანჯარაში, რასაც ალბათ ღამფა გამოსცემდა.

„ოჰო! ნეტა ვინ არის? არც არავინ აკითხავს...“ — ვფიქრობდი ჩემთვის, — „შუქს რატომ არ ანთებს? უცნაურია“. დედაჩემსაც შევატყვე ცნობისმოყვარული ინტერესი ჩვენი იდუმალი მეზობლის მიმართ.

თავიდან მაინცდამაინც თავს არ ვიტკივებდი მასზე ფიქრით — დილდილაობით ლევანი მაკითხავდა და გასართობად მივყავდი. რამდენჯერმე კოცნაც დამიპირა, მაგრამ ნაზად დავემუქრე და ხელით მოვიშორე მისი სახე. მამაც ხშირად მოდიოდა მანქანით (თუმცა სახლში ის არასოდეს ამოსულა) და გასართობი არ მაკლდა.

— ძალიან უცნაური ვინმეა ეს ჩვენი მეზობელი, — მითხრა ერთხელ დედამ, როცა ონკანზე დახრილი ჭიქებს ავლებდა, — ჯერ არც ერთ მეზობელს არ დალაპარაკებია, ბნელში ზის და არავინ იცის, რას აკეთებს. მის სახლში შუქი არასოდეს ანთია. ეტყობა, არავინ ჰყავს ქალაქში — ვინმე ხომ მოაკითხავდა? მეზობელმა ქალებმაც უკვე დაიწყეს ჭორობა — დედამ ხელსახოცი აიღო და ჭიქების გამშრალებას შეუდგა.

— ჰო... — უხალისოდ ვუპასუხე მე, — არ გამიკვირდება, გიჟი რომ აღმოჩნდეს, ძალიან მომრავლდნენ ამ ბოლო დროს თბილისში.

— არა, რა გიჟი... გიჟს რაღაც არა ჰგავს.

— კარგი, დედა, რა ჩვენი საქმეა, ვინ არის და რატომ იქცევა ასე, — მივუგე ოდნავ ნამალადევი დაუდევრობით, — ხვალ ლევანი ადრე მოვა და ჩემი ლურჯი კოფთა უნდა ჩავიცვა, ნახე, ნაკეცი ხომ არ ეტყობა.

დედა სასწრაფოდ გავიდა მეორე ოთახში, მე კი ისევ უცნობ მეზობელზე ვფიქრობდი, ცნობისმოყვარეობით ატანილი, „ვითომ, ვერ შემამჩნია? აქამდე ყველა გამომელაპარაკებოდა მის ადგილზე... ჰმ!“

მე და ლევანი გვიან ღამით დავბრუნდით კონცერტიდან, დაღლილი ავედი სახლში და დავწექი. დედაც დაწვა და სინათლე ჩააქრო.

ძილმა მალე წამართვა თავი. არ მახსოვს, რამდენი ხანი მეძინა, მაგრამ გავიღვიძე და ჯერ არ იყო გათენებული. მჩვევია გაღვიძება შუალამისას.

ჩემი საწოლი პატარა ოთახში, გარეთ გამავალ ფანჯარასთან დგას. ცალი სარკმელი შეღებული მქონდა და ოდნავ ვგრძნობდი ღამის გრილ ნიავს. ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ.

უცებ რაღაც კვნესისმაგვარი მომესმა. სმენა დავმაბე. ხმა მალეიდან ჩამოდიოდა. ყრუ გმინვა კარგად ისმოდა ღამეში. თავი ბალიშიდან წამოვწიე და იდაყვებს დავეყრდენი.

კვენესას ტირილის ხმა შეერია. ტირილი ხმადაბალ, ყრუ ქვითინში გადაიზარდა.

ზემოთ ვიღაც ტიროდა.

მე გავიტრუნე და სუნთქვა შევიკარი: ეს უთუოდ ჩემი იდუმალი მეზობელი იყო.

მტირალი რაღაც სიტყვებს ამზობდა ხმადაბლა, თითქოს ლოცულობსო, დროდადრო ხმა უწყდებოდა და ისევ ტირილი მესმოდა — მწარე, გულსაკლავი, ღმუილში გადასული.

— დედა! — დავიმახე მე. — დედა! მოდი აქ ერთი წუთით, დე...

პერანგიანი დედაჩემი მალე ჩემს ოთახში შემოვიდა:

— რა იყო, ირინ? რამ გაგაღვიძა? ჯერ შუალამეა, ხუთიც არ იქნება. რა მფრთხალი ძილი იცი...

— დედა! მგონი, მაღლა ვიღაც ტირის. უსმინე.

ისევ გაისმა ხმადაბალი ქვითინი და გაურკვეველი სიტყვები, ხვეწნით, სიმწრით და ვაებით წარმოთქმული.

დედაჩემმა მიაყურადა: — ჰო, ვიღაც ტირის... ის... ო, ღმერთო! რა ატირებს ამ შუალამისას? ცუდად ხომ არ არის...

გავჩუმდით, სიჩუმეს ისევ არღვევდა მოგუდული ქვითინის ხმა, თითქოს ჩახშული, შორეული... თითქოს ნიავს მოაქვსო იგი საიდანღაც.

— ირინკა, შეიძლება ცუდად არის, რა ვიცი... უნდა ავიდე... შენ ადი... მე დაბლა ვიქნები კიბეზე... — დაბნეულად ლაპარაკობდა ნამძინარევი დედაჩემი.

— გაეჩუდი? მე სად ავიდე? შენც ნუ ახვალ. ალბათ, რაღაც უბედურებაშია გაბმული და იმიტომ... — მე საბანში კიდევ უფრო ჩავიყუჩე. — წადი, დაწეი.

კიდევ ველოდით ერთხანს, მაგრამ ხმა მიწყდა, რაღაც ხმაური თუ ჭრიალი გავიგეთ და ყველაფერი მიჩუმდა.

დედაჩემი დაბნეულად წავიდა თავისი ოთახისკენ და საწოლში ჩაწვა. ძილმა თავისი გაიტანა და მეც მალე ისევ ჩამეძინა.

თვალი რომ გავახილე, კარგად იყო გათენებული. მზის სხივები ეფრქვეოდნენ ფანჯრებს. იქვე სკამზე ჩემს ტანსაცმელს დავწვდი და უცებ გამახსენდა წუხანდელი ამბავი.

დედა სამზარეულოში ტრიალებდა.

— ირინკა! — მეძახდა ლევანი. აივანზე გავედი და ღიმილით ხელი დავუქნიე.

— ახლავე ჩამოვალ, დამელოდე!

— გელოდები, ოღონდ მალე!

უკანასკნელი სიტყვები რაღაც არ მესიამოვნა... არაფერი შევიმჩნიე, ცუგას ხელი გადავუსვი და ნელა დავეშვი კიბეზე.

თითქმის იმწამსვე ზემოთ კარი გაიღო და ვიღაც სწრაფი ნაბიჯით დამეწია.

ეს ჩემი მეზობელი იყო. ჩვენი თვალები წამით ისევ შეხვდა ერთმანეთს. მას ხელში რაღაც ცელოფანი ეკავა და სწრაფად ჩადიოდა. რაღაცნაირად ამაყად იცოდა სიარული, ეს ადრეც შემიმჩნევია. ოდნავ ჩაწითლებულმა უპეებმა კი გაამხილეს იგი...

საყელო სწრაფად აიწია და გამცდა.

ლევანმა მანქანის კარები გამიღო, თვითონაც დაჯდა და მანქანა დაძრა.

— ვინ არის ეს ტიპი? — აგდებულად იკითხა.

— არავინ.

მეზობელმა იქვე სამარშრუტო ტაქსს დაუქნია ხელი და სხარტი მოძრაობით მიეფარა მუქ ფარდას.

— არავინ? ესე იგი — ნემო?

— რა მნიშვნელობა აქვს, მეც პირველად ვხედავ, — აგდებულადვე დავუბრუნე.

— დღეს იცი, სად მიმყავხარ, ჩემო საყვარელო?

— ვიცი — ფიგურულ სრიალზე. გუშინ მითხარი, სიურპრიზი არ გამოგივიდა. —

გავიცინე.

— ჰო... დამავიწყდა... — დაბნეულად ჩაილაპარაკა ლევანმა, — აი, ნახავ, მაგრად გავისწორდება.

სახლში ისევ გვიან დავბრუნდი — ფიგურულ სრიალს ერთი ბანკეტი მოჰყვა.

დედაჩემი კვლავ სამზარეულოში დამხვდა, ღვეზელებს აცხობდა.

— ღვეზელები? რა კარგია... — მე ნეტარებით გავიშალე სავარძელზე და ტანისამოსის გამოცვლას შევუდექი.

— ჰო, გადავწყვიტე, რომ მოხვიდოდი, დამეხვედრებინა. შენ ხომ ძალიან გიყვარს...

ლამით ის ისევ ტიროდა.

ისევ რაღაც სიტყვებს ამბობდა, თითქოს ლოცულობსო.

მე და დედაჩემი კვლავ თვალეზგაფართოებული შევცქეროდით ერთმანეთს.

— ღმერთო, ნეტა რა აწუხებს ასეთი, — ღრმად ამოიოხრა დედაჩემმა, — რა აწუხებს, ვინ იცის...

— ჰო, რაღაც საშინელება ტრიალებს მის თავს. ცოდოა. ნეტა ვიცოდე, რა უჭირს? — ვიგრძენი, რომ გული შემეკუმშა ამ უცნობი ადამიანის სატკივართ, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი. ძალიან მომინდა მცოდნოდა, რატომ იტანჯავდა ასე თავს — ახალგაზრდა, შესახედავად ენერგიული ადამიანი, ჩემზე სულ ორიოდ წლით რომ იქნებოდა უფროსი. რა აღარ ვიფიქრე, მაგრამ საბოლოოდ ვერცერთ აზრზე ვერ შევჩერდი.

ღია ფანჯარასთან მივედი და ვეცადე, გამერჩია მისი სიტყვები.

„ღმერთო, შემინწყალე მე, ცოდვილი, რადგან ვცოდე ჩემი თავის მიმართ... ღმერთო...“ — გავიგონე გარკვევით.

დედაჩემი ისევ თავის ოთახში გაბრუნდა და დაწვა. მე ფანჯარას არ ვშორდებოდი.

დროდადრო ისევ ვარჩევდი სიტყვებს:

„იქნებ შენ უკვე დიდი ხანია, რაც მაპატიე, და მე ვერ ვპატიობ...“, „მაგრამ მაშინ რატომ იქნენჯნები ასე... რატომ... თითქოს ვხვდები, და ვერც ვხვდები... ბოლომდე...“

სიტყვები ისევ მწარე ცრემლმა ჩაახშო. „ამიხსენი“...

„იქნებ სხვაც არის რამე... რაც არ ვიცი ჩემზე... სასჯელის მიზეზი“.

ახლაც გაისმა იატაკის ჭრიალი — თითქოს დაჩოქილი ადგაო და ყველაფერი მიჩუმდა.

ღმერთო ჩემო! ასეთი რამ მე არასოდეს განმიცდია უწინ — რაღაც უცნაურმა განცდამ ამივსო გული სარკმელთან პერანგისამარა მდგარს. ეს იყო მოწიწება ამ ადამიანისადმი, მისი გამოუცნობი, მაგრამ მტკივნეული წარსულისადმი, მწარე აწმყოსადმი, მაინც მისი ვაჟკაცობისადმი.

მე ბევრი ვიფიქრე მასზე იმ ღამეს. მას რატომღაც არ ჰყავდა არავინ, ის მარტო იყო თავის უზომო ვაებასთან, ის ცარიელ სახლში გოდებდა და ტირილით ათენებდა ღამეებს, რადგან ფიქრობდა, რომ მხოლოდ ღმერთი უსმენდა. დილით კი ამაყი ნაბიჯებით და ოდნავ ჩაწითლებული თვალებით ჩამივლიდა კიბეზე საყელოაწეული და, ალბათ, აზრადაც არ მოსვლია, რომ მე მისი კაეშნის უნებლიე მოწმე ვიყავი. მას არანაირი ინტერესი არ დაბადებია ჩემდამი, როცა სხვა აქამდე ათასჯერ დამიკაკუნებდა ხან ვითომ წყლის პრობლემაზე დასალაპარაკებლად, ხანაც „დენის მდგომარეობის“ გასაგებად, მომდევნო დღეს კი უკვე გასეირნებას შემომთავაზებდა.

და მე იგი უნებლიედ შევადარე ჩემს მეზობლად მცხოვრებ ბიჭებს, ნაცნობებს, თვალსველი ხბოებივით რომ მიყურებდნენ ყოველდღე და ჩემი მიახლოებისას გინებას უმატებდნენ.

ლევანი... ლევანიც ერთი იმათგანი არ არის?...

ლევანი... არა, ის...

მე აღარ შემეძლო ამაზე ფიქრის გაგრძელება, რადგან ჩემს გულში რაღაც ცრემლიანი შეცოდებისა და კრძალულებრივი პატივისცემის უცნაური გრძნობა ერთდროულად აღმოცენდა. რაც უფრო მეტად ვიმსჭვალეოდი მოწიწებითა და თანაგრძნობით ჩემი უცნაური მეზობლის მიმართ, მით უფრო დიდ ზიზღს ვგრძნობდი იმ ხალხისადმი, ახლად გადმოსულზე რომ ჭორაობდნენ საათობით; იმათ მიმართაც, ჩემი თავყვანისმცემლები რომ ეწოდებოდნენ... და ამ დროს ერთმა ფიქრმა შემიშფოთა გული; იქნებ ეს ხმა მარტო მე არ მესმის? იქნებ იმ ჭორიკნებსაც ესმით იგი? ოჰ, ღმერთო! ნუ გააგონებ იმათ, ნუ გააგონებ...

გული დავიმშვიდე — იმათგან ჩემს მეზობელს სქელი კარკასის კედელი ჰყოფდა — ისინი ვერაფერს გაიგებდნენ.

მე მთელი ღამე ვიბორგე, ვერ დავიძინე, თუმც სიჩუმე უკვე აღარ დაურღვევია ქვითინის ხმას.

დილით ადრე წამოვდექი, სახე წყლით დავისველე და სარკეში ჩავიხედე — ღამის უძინარს თვალები ჩაწითლებული მქონდა...

გამეღიმა.

„უცნაურია“, — ჩავილაპარაკე ჩემთვის ღიმილით და ვიგრძენი, რომ ღრმად გულში რაღაც მიხაროდა, და მიხაროდა სხვანაირად.

ცოტა ხანში ლევანმა დარეკა — დღეს ვერ გნახავ, ბოდიშო... რაღაც გადაუდებელი საქმე აღმოაჩნდა. გული არ დამწყვეტია, რადგან ცოტათი სუსტად და უღონოდ ვგრძნობდი თავს.

მაგრამ მის ნაცვლად მამაჩემის მძლოლი მოვიდა და თეატრში გავყევი. მანქანაში რომ ვჯდებოდი, შემთხვევით მაღლა ავიხედე და დავინახე ჩემი მეზობელი, აივანზე გამოსულიყო და მშვიდად დაყრდნობოდა მოაჯირს, სადღაც შორს იმზირებოდა, მომეჩვენა, რომ სახე რაღაცნაირად ჰქონდა მზის სხივებით განათებული, თვალები თითქოს უღიმოდა კიდევ... საკმაოდ მომხიბლავი მეჩვენა.

მე ვერ მამჩნევდა და არც იყო საჭირო.

ორ საათში დავბრუნდი.

— ვინმეს ხომ არ დაურეკავს?

— არა, არავის, — მითხრა დედაჩემმა, — ლუიზა იყო, გიკითხა.

— ჩაის დავლევდი.

— შეჭამე რამე...

— არა, მარტო ჩაი მინდა.

დედამ ჩაი დამიდგა წინ და შაქარი თვითონვე ჩაყარა.

— ჰო, მართლა... დღეს აქ რაღაც მოხდა, შენ რომ წასული იყავი. მეშვიდედან მეზობლები მივიდნენ ამასთან... — დედამ თითით ჭერზე მანიშნა. — ღამით გვაწუხებ, ვიღაც ქალები ამოგყავსო, ხმაურობთო... ჰგონიათ, რომ ქალები...

მე ისევ შემეკუმშა გული და კოვზი ნერვიულად ჩავაგდე ჭიქაში. მაგრამ მერე ისევ ავიღე და მღელვარების დაფარვა ვცადე:

— სულელები!.. რა იდიოტები არიან ეს ჭორიკნები!

— ლენამ უთხრა, პოლიციისთვის ნუ დაგვაძახებინებ, წესიერად მოიქეცი, შენ და შენი საყვარელი მაიმუნებივით რომ ბრუნგნობთ ყოველდამე, ხალხს დაძინება უნდაო, იმან კი, იცი, რა უპასუხა? — დედაჩემს გაეცინა, — ჯერ მშვიდად უსმენდა, რასაც ეუბნებოდნენ, მერე კი უთხრა: — მაიმუნებს რაც შეეხება, დარვინის თეორიას თუ დავუჯერებთ, ჩვენ ყველანი მაიმუნების შთამომავლები ვართო.

დედაჩემს შევხედე და მეც გულიანად გამეცინა.

— კარგად უთქვამს, მაგრამ ლენა მაგას ვერ გაიგებდა.

იმ დღეს კიდევ შევხვდით ერთმანეთს ქუჩაში. ის, როგორც ყოველთვის, საკუთარ თავში იყო ჩაძირული, მაგრამ ისეთი მწუხარე გამომეტყველება აღარ ჰქონდა, როგორც უწინ: წარბები გაეხსნა, მეტყველი შავი თვალები გამოცოცხლებოდა, ენერგიულად მოაბიჯებდა. თვალი გავაყოლე მალულად — მაღაზიაში შევიდა და მალევე გამოვიდა ცელოფნით ხელში.

— ვინ არის ეს როჟა?

— ბიჭო, მგონი აქ ცხოვრობს, ახლა გადმოვიდა.

— მერე დავებაზროთ, რა პონტია.

— რა მასტია, შეხედე!..

გავიგონე იქვე შეყრილი ბიჭების ნალაპარაკები. ოჰ, როგორ მინდოდა, დამლაპარაკებოდა ჩემი მეზობელი, ხელკავი გამოედო ჩემთვის მათ თვალწინ, ერთად გაგვეცინა და მათ ეს გაეგონათ.

მაღაზიაში შევედი.

ნაცნობმა გამყიდველმა ქალმა გამიღიმა: ოჰ, ირინკა! როგორ ხარ? რაღაც მოწყენილი ხარ, მგონი...

— არა...

— მოდი, რაღაც უნდა გკითხო — ეს ბიჭი, ახლა რომ აქ შემოვიდა, შენს ზემოთ ცხოვრობს, ხო?

— ჰო...

— ვინ არი?

— არ ვიცი, მზია, წარმოდგენა არა მაქვს.

— ნეტა სადაურია! ახლა პური აიღო ვალად, ხვალ მოგიტანო, გვარი ჩავიწერე, რაღაც უცნაური გვარი აქვს.

მე დავიძაბე.

— მაინც რა?

მზიამ თავისი დავთარი გადაშალა:

— მოიცა... ჰო, დანტესი. დანტესი თქვა, მგონი.

— რაო? დანტესი? ეგ ამის გვარია?

— ხო, რა ვიცი, ასე თქვა, ედმონდ დანტესიო.

— რაო? ედმონდ?

მცირე პაუზა და სიცილი წამსკდა, მზიამ გაოცებულმა ამომხედა. მე თავი შევიკავე და ფიქრიანი იერი მივიღე.

— რატო იცინი? სხვა რამე ჰქვია?

— არა, შეიძლება მართლა ასე ჰქვია, რახან გითხრა... ხომ არ მოგატყუებდა. მზია, ეს ნამცხვარი გამიხვიე რა, ორი ნაჭერი.

მაღაზიიდან გამოსულს უკვე აღარ მეცინებოდა. ჩემს თავს ვკიცხავდი: „რა სენტემენტალური სულელი ვარ... მე ლამის შემეყვარდა, ეგ კი შეშლილი ყოფილა. თავი გრაფი მონტე-კრისტო ჰგონია. იქნებ უბრალოდ ხუმრობა მოუნდა? ვერაფერი გამიგია, რომ ეხუმრა, მაინც შეშლილი ყოფილა, რანაირი ხუმრობაა? ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ

მაგასთან. ედმონდ დანტესი... ჰმ! გიჟია ვიღაცა, რა სულელი ვარ“.

რალაც განცდა დამეუფლა, ძალიან რომ ჰგავდა იმედგაცრუებას, თითქოს ცივი წყალი გადამასხესო. თავს შეურაცხყოფილადაც კი ვგრძნობდი, რომ სერიოზულად ვფიქრობდი მის წარსულზე, რალაც ბუნდოვან ოცნებებში წასული.

კიდევ ერთხელ ჩამეცინა სინანულით.

მეორე დღეს, დილით, ძალიან გამომყავდა გასასეირნებლად. ქვემოდან ნაბიჯების ხმა გავიგე და გული დამეძაბა, მის დანახვაზე კი შემკრთალს სუნთქვა შემეკრა — ის მოდიოდა მეზღვაურის სამოსში — თავზე მეზღვაურის ლამაზი ცისფერი ქუდი ეხურა, ზონრიანი, თეთრ-ცისფერი ტანსაცმელი ეცვა და გახსნილი ღილები იქით მკერდს უფარავდა ზოლიანი „მატროსის“ მაისური. ლაღად, მსუბუქად ამოევლო კიბეს, თითქმის სირბილით. სახე გაცისკროვნებოდა, ღრმა შავი თვალები მეოცნებედ უბრწყინავდა.

ის ლამაზი იყო. გაცილებით ლამაზი, ვიდრე მანამდე აღვიქვამდი.

აშკარად სიხარული ეწერა სახეზე, აღმაფრენა იკითხებოდა მის ყოველ მოძრაობაში. წამით თვალი შემავლო, როცა გავსწორდით — ახლა თითქოს ინტერესიც დავინახე რალაცნაირ გულუბრყვილო ცქერაში. მერე ძალს ჰკიდა თვალი წამით და მომეჩვენა, რომ შუბლი შეეჭმუხნა.

სწრაფად ამცდა და სახლში შევიდა. გაოგნებულს კარგა ხანს ვერ მომეყარა თავი ფიქრისათვის. „ეს რალას ნიშნავს? მორიგი შეტევა აქვს? არა, მთლად გიჟს არ ჰგავს, მაგრამ ბოლომდე ჯანმრთელიც რომ არაა, ეს აშკარად ჩანს. ისე კი, ძალიან უხდებოდა, ძალიან. რა ლამაზი იყო“...

ქუჩაში ძალს ვასეირნებდი და თავიდან არ ამომდიოდა დანახული. საკმაოდ მომზიბლავდა მომეჩვენა იგი საიმისოდ, რომ საბრალო შეშლილად მიმელო. „იქნებ მართლა მეზღვაურია, საიდანღაც ჩამოსული? რა სანდომიანი სახე აქვს“.

სახლში მალევე დავბრუნდი და კარგა ხანს დავიწყებულ წიგნების კარადას მივვარდი. გადმოვიღე „გრაფი მონტე-კრისტო“, რომელზეც ბავშვობაში, მგონი, მიტირია კიდევ. ახლაც გამახსენდა, რომ ედმონდ დანტესი მეზღვაური იყო. ხარბად ჩავიკითხე რამდენიმე გვერდი და მოგონებაში აღმიდგა ის უცნაური სიხარული, რომელიც ადრე განმიცდია ამ ამბების კითხვისას. რა არის მაინც ბავშვობა? ახლა სულ სხვა ინტერესები მაქვს, რომლებიც ასე შორს არიან წრფელი ოცნებისაგან, რომანტიკისაგან, ბავშვობაში კი... რა ბედნიერი ვიყავი, როცა წავიკითხე, რომ უმანკო ვალენტინა გადარჩა მონტე-კრისტოს დახმარებით, რომ მაქსიმილიან მორელი სიხარულისაგან ტიროდა „მკვდრეთით აღმდგარი“ სატრფოს დანახვაზე, მონტე-კრისტო კი ბედნიერი ცრემლით თვალებზე ეშვებოდა მათ ჰაიდესთან ერთად. „ელოდე და იმედი იქონიე!“ — წავიკითხე ბოლო წინადადება რომანისა და ტკბილი ჟრუანტელი ვიგრძენი. ზუსტად იმ საამო სევდით ამევსო გული, ბედნიერებასთან რომ ასე ახლოა და რომელსაც განვიცდიდი სწორედ მაშინ, პატარაობისას, როცა იმავე სტრიქონს ვკითხულობდი. გამახსენდა, რამდენჯერ მიოცნებია, ვალენტინა ვყოფილიყავი და ჩემთანაც მოსულიყო ვინმე რომანტიკული პრინცი, მაქსიმილიან მორელი, პატარა გემით წავეყვანე შორს, შორს... სადაც ორივენი ბედნიერნი ვიქნებოდით ერთმანეთით...

— ირინკა! წიგნს კითხულობ? — შემომესმა დედაჩემის ხმა — ყოჩაღ! რა არის?

— „გრაფი მონტე-კრისტო“.

— ჰოო... გახსოვს, როგორ გიყვარდა ეგეთი წიგნები, პატარა რომ იყავი? ახლა რამ გაგახსენა!

— ის საოცარი ვიღაცაა, დედა!

— ვინ?

— არა, არავინ, ისე...

დედას რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ტელეფონის ზარმა გააწყვეტინა სიტყვა.

— მოდი, ლუიზა.

— ლუიზა?

მოვილუშე, თითქოს მეცხრე ციდან მიწაზე ჩამოვვარდი.

— ალო, ლუიზა... მერე დარეკე, ძალიან გთხოვ, ახლა მეჩქარება, წასასვლელი ვარ. სადამოთი დამირეკე, კარგი?

დედამ გაკვირვებით შემომხედა.

— არა მაქვს ახლა მაგასთან ჭორაობის თავი.

ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე — მასთან თვითონ ავსულიყავი, უნდა გამეხედა, უნდა დავლაპარაკებოდი რაღაცაზე — თუნდაც როგორც მეზობელს, თუნდაც იმაზე, რომ „მადლიდან წყალი ჟონავს“ და ონკანი ხომ არ დარჩენია ღია?.. სულერთია, მისი გაცნობა უნდა მომეხერხებინა: „ბოლოს და ბოლოს, ჩემ ზემოთ ცხოვრობს, ველურები ხომ არა ვართ? რატომ უნდა გაიგოს ცუდად, ან მე რატომ უნდა ჩავვარდე უხერხულ მდგომარეობაში?“

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ აივნიდან დავინახე, რომ მეზღვაურის ტანსაცმლიანი ბიჭი „მარშუტკაში“ ჩაჯდა და თვალს მიეფარა.

ერთი კვირის განმავლობაში აღარ გამოჩენილა იგი.

— ირინა, მითხარი, რა გჭირს! შენ რაღაცას მიმალავ, რატომ ხარ ასე მოწყენილი. აღარავის ურეკავ. ლევანისთვის მათქმევინე, რომ ავადა ხარ. სულ რაღაცაზე ფიქრობ. შეგემთხვა რამე? — მეუბნებოდა შეწუხებული დედა. — მითხარი, გენაცვალე... ლუიზას მაინც რატომღა ემალები?

— არაფერი შემთხვევია, დედა. სულ გართობაზე ხომ არ უნდა ვიფიქრო? მომბეზრდა... ახალი კი არაფერი ჩანს. ესაა და ეს, დამშვიდდი.

და დედა ისევ თავის საქმეს უბრუნდებოდა.

ერთი კვირის შემდეგ, სადამო ხანი იყო, როცა დავინახე იგი, კორპუსისაკენ მომავალი, ამჯერად ჩვეულებრივად ეცვა. „რა მოგდის, ირინა?“ — ვეჩხუბებოდი ჩემს თავს გუნებაში, — „რამ აგაფორიაქა, შე უჭკუო?“ ვიგრძენი, რომ გული საამოდ ამიჩქროლდა.

ზემოთ კარი დაიკეტა.

კართან ვდგავარ და ვაკაკუნებ. გული გამალებით მიცემს.

ის მშვიდად აღებს კარს და რამდენიმე წამი უსიტყვოდ ვდგავართ ერთმანეთის პირისპირ. მშვიდად მათვალთვლებს თავისი დიდი შავი თვალებით, თითქოს პირველად მხედავს.

— იცით, მე... მე დაბლა ვცხოვრობ, მეხუთეზე... ხელით თმას ვისწორებ და უხერხულად ვიღიმები, — ჩვენი ჭერიდან ცოტა წყალმა გამოჟონა. თქვენ ონკანი ხომ არ დაგრჩათ ღია? ბოდიში, რომ შეგაწუხეთ...

ის ჩუმადაა და მიყურებს.

— ახლავე ვნახავ, შემობრძანდით.

გაუბედავად შევბიჯე ლამპის შუქით განათებულ ოთახში.

— დაბრძანდით, დაბრძანდით.

მოკრძალებით ჩამოვჯექი ხის პატარა სკამზე. სახლი ცარიელი იყო, არანაირი ავეჯი იქ არ იდგა. — მხოლოდ პატარა, გაცრეცილი კარადა და ასეთივე მაგიდა ორი უბრალო სკამით. — ბოდიში, რომ შუქი არა მაქვს, — მითხრა ოდნავ უკმეხად. მერე ოთახის კარი შეაღო და სადღაც გავიდა, — ალბათ სამზარეულოში.

მალევე დაბრუნდა.

— არა, აქედან არაფერი ჩადის.

ახლა რაღაც გაცეცხული, გულუბრყვილო სახე ჰქონდა.

— კარგით, გმადლობთ, სხვა რამის ბრალი იქნება. ჰო, მართლა, გუშინ დენის შემმოწმებელი იყო ჩვენთან, თქვენზე გკვირება, — როდის მოდისო, შეიძლება გესტუმროთ.

ადგომა დავაპირე.

— თქვენ ჩემს გასაცნობად ამოხვედით, — წარმოთქვა მან მოულოდნელად. მე შევკრთი.

— ბატონო?

— ჩემს გასაცნობად ამოხვედით... მგონი.

ვიგრძენი, ნელ-ნელა როგორ შემეფაკლა ლოყები. რამდენიმე წამი ხმის ამოუღებლად ვიჯექი. მალე მისმა უკმეხობამ ბრაზით ამავსო.

— რატომ გგონიათ?

ის უხმოდ მიყურებდა, ფეხზე მდგარი. უცნაურად მშვიდი იყო.

— ჰო, თუ მე რაიმეთი საინტერესო აღმოვჩნდი თქვენთვის, მადლობის მეტი რა მეთქმის, ნუ ცხარობთ. — მომიგო თითქოს რაღაცნაირი ალერსიანი ხმით. — თვითონ უნდა მეზრუნა იმაზე, რომ მეზობლები გამეცნო, მაგრამ ბევრი საზრუნავი მაქვს და გამომრჩა, წარმოიდგინეთ. ვეცდები, გამოვასწორო შეცდომა. ჩემს ნათქვამს კი საწყენად ნუ მიიღებთ, გათხოვთ.

მისმა აუღელვებლობამ მეც დამამშვიდა და გადავწყვიტე, უკან არ დამეხია:

— თუნდაც ასე იყოს, არ გეჩვენებათ, რომ ცოტა უცნაურად იქცევით? — თამამად შევხედე, — რამდენი ხანია აქ ცხოვრობთ და ჯერ „გამარჯობა“ არ გითქვამთ არავისთვის.

გაცეცხული მიყურებდა, ეტყობა, ჩემგან ასეთ სითამამეს არ ელოდა.

— თქვენ, ალბათ, ძალიან განებივრებენ: ჰო, ახლა გამახსენდა, ერთხელ დანახულიც მყავხართ: „მერსედესში“ ჯდებოდით და სადღაც მიდიოდით, აივნიდან დავინახე.

„მერსედესი“ რაღაც ხაზგასმულად წარმოთქვა.

— ბოდიში, თუ ზედმეტი ვთქვი...

ის ნაწყენი ბავშვივით დასცქეროდა თავისი ფეხსაცმელების წვერებს.

— თუ მანქანა მამათქვენისაა, მაშინ იგი შეძლებული ადამიანი ჩანს და თქვენი ასეთი სითამამეც უცნობ ადამიანთან გასაგებია. მეზობლები, ალბათ, თქვენი მლიქვნელობის მეტს არაფერს აკეთებენ. — ლამაზი, მდიდარი... თავყვანისმცემლებს კი ვერ აუდიხართ. ასე რომ, თუ ჩემთან ზედმეტი მოგივიდათ (როგორც წელან თქვით), ამაში თქვენი ბრალი ყველაზე ნაკლებია.

მე გაოგნებული დავრჩი — მან ერთ წამში გამოიცნო ლამის მთელი ჩემი ბიოგრაფია. მე მზად ვიყავი, დამარცხებულად მეცნო საკუთარი თავი და ჩემი ხმა ისევ ათრთოლდა და მოწიწებული გახდა:

— ბოდიში... თქვენ... რაღაც უცნაურად მელაპარაკებით. იქნებ, გამოიცანით კიდეც ბევრი რამე, მაგრამ... მამაჩემი ვინმე მემჩანს არ არის, იგი პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატიც იყო წელს.

ვუთხარი სწრაფად და ტუჩზე ვიკბინე — ეს რა ბავშვურად, რა სულელურად გამომივიდა, რამ მათქმევინა...

მას ლამაზად ჩაეცინა და ცოტა ხანი დაფიქრებული უმზერდა იატაკს: ახლავ ჩამოჯდა სკამზე.

— ახლა მე მინდა ბოდიში მოგიხადოთ, უნებლიედ გული გატკინეთ. — ის მელაპარაკებოდა, როგორც პატარას, რომელსაც ეფერებოდა. — თქვენ ლამაზად დაიცავით

მამათქვენის ღირსება. არ მინდა, დღევანდელი საუბარი უსიამოვნოდ დაგრჩეთ. პარლამენტმა კი ჩემზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

— გამიგრძელდა სტუმრობა, — მივუგე და წამოვდექი, — მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. თუ რაიმე დაგჭირდეთ, არ მოგერიდოთ.

ახლა მანაც გაიღიმა.

— მე ვერაფერს შემოგთავაზებთ, მარტო წიგნები მაქვს ცოტა...

— მართლა, ამ წიგნებში „გრაფი მონტე-კრისტო“ ხომ არ არის? სიხარულით წავიკითხავდი კიდევ ერთხელ, ძალიან მიყვარს.

მე ალბათ ვიჩქარე, რადგან არ მოველოდი, თუ ასე შეკრთებოდა და დაიბნეოდა.

— ბატონო? მონტე-კრისტო? არა... არა მაქვს... ეგ... თქვენ ეგ... მოგწონთ?

— ძალიან. ჩემი საყვარელი რომანია.

— ახლაც?

— ახლაც.

მან თბილად გამიღიმა და ჩვენი თვალები კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად უფრო ხანგრძლივად.

მაგრამ უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, მოიღუმა და უნდოდ დამიწყო ყურება.

— ჰმ! მალაზიის გამყიდველმა ჩამოგიკაკლათ? — წარმოთქვა რაღაც ყრუ, გაბზარული ხმით.

მე ზღურბლს გადმოვაბიჯე.

— ნახვამდის, ედმონდ დანტეს. გმადლობთ, რომ ბევრი რამე სხვა თვალთ დამანახვეთ, ნახვამდის.

პასუხს აღარ დაველოდე და კიბეს თითქმის სირბილით დავუყევი. დედა ქვემოდან ამოდიოდა და გოცბებულმა შემომხედა.

— სად იყავი? მე გარეთ გეძებდი.

— არსად, ლენას ველაპარაკებოდი და ცოტა შემავიანდა.

ვეცადე, სიხარული დამემალა დედის თვალთაგან, მაგრამ გული საგულეს აღარ მეტეოდა.

ჩემს ოთახში შევედი და ისევ „მონტე-კრისტო“ ავიღე.

ამის შემდეგ, როცა ისევ კიბეზე შემხვდა, თბილი ღიმილით მითხრა „გამარჯობა“. ალბათ, ორივემ ერთდროულად ვიგრძენით, რომ მეტი სმეტად არარომანტიკული დრო იყო საიმისოდ, რომ კვლავ „თქვენობით“ გველაპარაკა.

— როგორ ხარ? ისე, იმ დღეს რამ დამავიწყა, რომ სახელი მეკითხა.

— ირინა. შენ მართლა ედმონდი გქვია?

— ცოტა ხნით ასე იყოს.

— როგორც გინდა, ედმონდ. — ისევ გამეცინა, მაგრამ შევატყვე, რომ არ ეწყინა.

— საით გაგიწევია?

— მალაზიაში.

— მეც მანდ მოვდივარ. ერთად წავიდეთ.

— წავედით.

ჩვენ ერთად გადავჭერთ ქუჩა და მალაზიაში შევედით. მე ძალიან მიხაროდა.

ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა.

მომდეგნო დღეს ძალს ვასეირნებდი ქვემოთ, როცა ედმონდი დავინახე ქუჩაში მომავალი. მომიახლოვდა.

— გამარჯობა. ეს ვისი ძალღია? — იკითხა და მგონი ცოტა აიმრიზა.

— ჩემია, ვასეირნებ.

— აა... ასეირნებ?

— არ მოგეწონა მგონი. არ გიყვარს ძაღლები?

— არა, არ მიყვარს.

— რატომ?

— ასეთი გაქსუებული ძაღლები არ მიყვარს.

— ალბათ, ფუფუნებად თვლი ამასაც, ხო?

— ალბათ.

— ოჰ, შენ ძალიან მკაცრი ხარ, ედმონდ.

— შეიძლება, ირინა...

რამდენიმე დღის შემდეგ თვითონ დამიკაკუნა კარზე, — ასანთი მთხოვა შეწუხებულმა, მაღაზია უკვე დაკეტილი იყო. შიგნით შემოვიპატიყე.

არაო.

— შემოდი, შემოდი, — ვუთხარი მე და კარი ფართოდ გამოვადე.

— ირინკა, ვის ელაპარაკები?

— ჩვენი ახალი მეზობელია, დედა.

დედაჩემი სასტუმრო ოთახიდან გამოვიდა. ვიცი, რომ ცნობისმოყვარეობამ წასძლია.

შემოსულმა ედმონდმა ცივად მოავლო თვალი მდიდრულ ავეჯს, ჩუქურთმებიან კომოდს, იქვე მუსიკალურ ცენტრს. არც ძაღლის დანახვა გახარებია ძალიან, როგორც შევატყვე.

— დედა, გაიცანი, — ეს ედმონდია.

— სასიამოვნოა, — წარმოთქვა დედამ.

მე ასანთი გავუწოდე.

— გამადლობთ, — თქვა და სწრაფად გაბრუნდა.

— მე შენ გულისთვის ყველაფერს დავთმობ, რაც მაქვს: მეგობრების და დაქალების წრეს, სიმდიდრეს და გართობას, ნებიერ ცხოვრებას. წამოგყვები, სადაც წახვალ. შენს გვერდით ვიქნები, თუნდ ხელში ეკლიანი მცენარე მეჭიროს და უსასრულოდ მჩხვლეთდეს. თუნდაც მუშაობით ქანცი გამიწყდეს, ოღონდ შენთან ერთად ვაკეთო რამე, მე შენ მიყვარხარ — ვლაპარაკობდი და თვითონვე მიკვირდა ჩემი სიტამამის.

მას თავი დაეხარა და მიწას ჩასჩერებოდა.

ჩვენ ხეივანში ვიჯექით, ხის სკამზე. თავს მთვარე დაგენათოდა ვარსკვლავთა ამალით.

მე ვთრთოდი სიხარულით, მიხაროდა, რომ მასთან ვიყავი და ვერავინ გვხედავდა ამ დიდი, გულუბრყვილო მთვარის გარდა.

— მე წლები დავკარგე ფუჭად და მთელ ცხოვრებას დავკარგავდი, შენ რომ არ გამოჩენილიყავი. შენ დამანახვე ყველაფერი. ვგრძნობ, რა უაზროდ ვცხოვრობდი, რა სისულელეში გამყავდა დრო... — მე თავი ველარ შევიკავე და უნებურად ავტირდი. — შენ ღვთაებრივი ადამიანი ხარ, ედმონდ. მე არ მინდა, ვიცოდე შენი ნამდვილი სახელი, რადგან ახლაც ზღაპარში მგონია თავი. დღეს რომ ყველაფერი არ მეთქვა, გული გამისკდებოდა... — ისევ ცრემლმა ჩამიხშო სათქმელი.

მან ჩემი ხელი აიღო და ხელისგულეებში მოიქცია. მერე ტუჩებთან მიიტანა და დაეკონა. მერე ისევ ხელით მეფერებოდა ხელზე.

— შენ მხოლოდ გარემოებებმა შეგცვალეს, თავი დაგაკარგვინეს, თორემ ყოველთვის წმინდანი იყავი, ირინე, — თქვა მან. — შენი ლამაზი სული ვერ დაამახინჯა ვერაფერმა, რასაც გთავაზობდნენ, შენ ყოველთვის ასეთი წმინდანი იყავი...

მან გულში ჩამიკრა მეტისმეტი ბედნიერებისაგან აცრემლებული და დიდხანს ვიყავით ასე, ჩუმად. თავზე ხელს მისვამდა ნელა, ლოყაზე ნაზად მკოცნიდა, მკოცნიდა თვალეებში და მაგრად მიკრავდა გულში, მე კი მხოლოდ ტირილს ვახერხებდი.

— ედმონდ, შენთან ერთი თხოვნა მაქვს.

— თქვი, ჩემო ლამაზო.

— ერთად ნუ გამოვჩნდებით ვარკეთილში, არ მინდა იჭორაონ.

— კარგი, როგორც შენ იტყვი.

ჭორაობაზე მეტად სხვა რამის მეშინოდა, მაგრამ ეს მისთვის არ გამიმხელია.

როცა დედა სახლში არ იყო, მასთან ავდიოდი და ვსაუბრობდით საყვარელ წიგნებზე, რომლებიც უმეტესად სიყვარულზე დაეწერათ ავტორებს, ხანდახან ის მაცინებდა თავისი დიდებული იუმორით, ვგრძნობდი, — სიამოვნებდა, როცა მის მოსწრებულ ნათქვამზე გულიანად ვიცინოდი. მერე თამაშით დაღლილი ბავშვებივით დავმშვიდდებოდი, მე მის მკლავებში გავიტრუნებოდი, ის კი თავზე ხელს მისვამდა და საყვარელ ლექსებს მიკითხავდა ჩუმად, ჩურჩულით.

ვცდილობდი, დედას თვალში არ მოვხვედროდი, როცა სახლში ვიყავით, რადგან შემამჩნევდა უზომო სიხარულს და ახსნა მომიწევდა. მე კი ახლა ტყუილის თქმა არ შემიძლო.

ეტყობა, ღმერთი მეხმარება-მეთქი, ვიფიქრე, როცა გავიგე, რომ ლევანი მოსკოვში წასულიყო ცოტა ხნით.

— რა ღირს შესვლა?

— 50 თეთრი. — გვპასუხობს კეთილი მოხუცი და გვიღიმის. მერე იპოდრომის ლამაზ გისოსებიან ვიწრო კარს გვიღებს. — ცხენის გამოყვანა თუ გინდათ, შიგნითაც უნდა გადაიხადოთ.

— აი, ამ გოგონას მოტაცება მინდა, ძიაკაცო, და ცხენი მჭირდება, ერთი დღით. მომცემენ? — ხუმრობს ედმონდი. მე ვიცინი.

— რატომაც არა... კარგი ბავშვები ჩანხართ, შეიძლება საერთოდ გაჩუქონ. — ისევ ეღიმება მოხუცს.

ედმონდმა მომვლელს ფული გადაუხადა და თავლიდან წაბლა ცხენი გამოვიყვანეთ. დიდი სადოლე მინდორი სრულებით ცარიელი იყო, ედმონდი სწრაფად მოახტა ცხენს და ხელი გამომიწოდა. ოდნავ მეშინოდა, ამიტომ მაგრად მოვუჭირე ხელი მის მტევანს და უკან შემოვუჯექი.

ცხენი მშვიდად ფრუტუნებდა.

არასოდეს ვმჯდარვარ ცხენზე. ამიტომ მაგრად მივეკარი ედმონდის ზურგს და ხელები შემოვხვიე. ედმონდს ეტყობოდა, რომ კარგად იცოდა ცხენოსნობა.

ჯერ ნელი სვლით დამრა ცხენი, რომელიც თვინიერად ემორჩილებოდა მის ხელს. მე ვეხვეწებოდი, — არ აუჩქარო, მეშინია-მეთქი, რაზეც ის ჩუმად იცინოდა.

ცხენი წყნარად მიუყვებოდა გათელილ ბილიკს. დროდადრო ედმონდი ცალ ხელს უშვებდა აღვირს და ხელზე მკოცნიდა.

— მოგწონს?

— შენთან ყველაფერი მომწონს.

სუსტი ნიავი მიღელვებდა გაშლილ თმას, რომელსაც დრო და დრო ხელით ვისწორებდი. ამ წუთებში არ მახსოვდა, სად ვცხოვრობდი, რომელ მეგობარს უნდა დაერევა, ვის რა საქმე ჰქონდა ჩემთან, ან თვით მე რა მქონდა გასაკეთებელი. მე ახლა რომელიმე ლამაზი რომანის გმირი ვიყავი, ზღაპარში ვგრძნობდი თავს და მინდოდა, რომ ეს სიზმარი არასოდეს გათავებულყო.

— ხომ არ გცივა?

— არა, სულაც არა.

ის მიყვებოდა, რომ ძალიან უყვარდა ცხენები და როცა საშუალება ჰქონდა, აქ ამოდიოდა ხოლმე მარტო. არაფერი დასცდენია საკუთარ თავზე ისეთი, რაც მის ვინაობას ან სადაურობას გაამჟღავნებდა, რაიმეს ნათელჰყოფდა მის ცხოვრებაში. არც მე დამისვამს საამისო შეკითხვა,

რადგან ეს ჩემთვის არ იყო მნიშვნელოვანი. კმაროდა, რომ მე კარგად ვიცნობდი ამ სუფთა ადამიანს, ყველასაგან ესოდენ გამორჩეულს, თითქოს მართლა ციდან ჩამოსულს, ვიცოდი მისი სურვილები, ხასიათი, ვიცოდი მისი ოცნებები და ის ოცნებები ახლა ჩემიც იყო. „რა საჭიროა ვიცოდე, სად ცხოვრობდა ადრე, რატომ არ ჰყავს არავინ, რად გაურბის ხალხს?“ — ვფიქრობდი ჩემთვის. გულისგულში იმის შიშიც მქონდა, იქნებ რაღაც ისეთი გავიგო, რაც გულს დამწყვეტს-მეთქი. არა, მის პატიოსნებაში და უმწიკველობაში ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, ეს სრული სისულელე იქნებოდა მართლაც.

— რაზე ფიქრობ, ირინ?

— შენზე ვფიქრობ.

— მაინც რას?

— რა კარგი ხარ.

გაცივინა და ხელები დამიკოცნა.

— ჩემო სულელო გოგო, შენ ძალიან რომანტიკულად მიყურებ, მე კი ჩვეულებრივი მიწიერი ადამიანი ვარ, არავისგან გამორჩეული. ერთადერთი, ვინც ჩემზე ფიქრობს, ჩემი ირინაა. ბედნიერი ვარ, რომ შენი სიყვარულის ღირსად გამხადე. — ეს ისეთი გულშიჩამწვდომი ხმით თქვა, რომ ცრემლები მომერია და უფრო მაგრამ ჩავეკარი.

— ვიცი, გაინტერესებს სინამდვილეში ვინ ვარ, სად ვცხოვრობდი, რას ვაკეთებდი შენს გაცნობამდე.

— არა, სულაც არ მაინტერესებს, დამიჯერე.

რამდენიმე წამს დუმდა.

— ყველაფერს გეტყვი, — მითხრა მერე ლაღად, — ოღონდ ახლა არა, ხო? მერე იყოს.

— მერე იყოს, — მივუგე მეც მხიარულად და საუბარი სხვა თემაზე გადავიტანე.

იპოდრომიდან გამოსულები ქუჩას სიცილით დავუყევით. ის რაღაც სასაცილოს მიყვებოდა. მე ხელკავით მიყვებოდი და გულიანად ვიცინოდი.

— წამო დღეს კინოში. ძალიან კარგი ფილმია, არ გექნება ნანახი — „მოჩვენება ოპერაში“.

— წავიდეთ, ოღონდ არ დამაგვიანო სახლში.

— ნუ გეშინია.

ფილმი მართლაც შესანიშნავი აღმოჩნდა, ბოლო კი ძალიან სევდიანი იყო, ცოტა წავიტირე კიდეც. ედმონდი გვერდით მეჯდა უხმოდ და ჩემი ხელი ხელში ეჭირა.

ჩავიქრებულები წამოვედით შინ. ქუჩის დასაწყისში ედმონდი შეჩერდა და დაელოდა, სანამ სახლში ავიდოდდი. ცოტა ხნის შემდეგ მისი კარიც დაიკეტა ჩემს ზემოთ.

მეორე დღეს კარგ ხასიათზე გავიღვიძე — ვიცოდი, მას ვნახავდი. უკვე კარგად გათენებულყო და ბრდღვიალა მზე ეფრქვეოდა ფანჯრებს. სწრაფად ჩავიცვი.

დედა სადღაც იყო გასული და მოუთმენლად ავირბინე კიბეზე, კარზე ფრთხილად დავაკაკუნე — არ გავაღვიძო-მეთქი.

შიგნიდან არავინ მპასუხობდა. ჩანდა, ის სახლში არ იყო.

„აღბათ, დილით ადრე წავიდა“, — გავიფიქრე სინანულით.

ორი დღე არ გამოჩენილა, ცოტათი ვღელავდი, მაგრამ გულს ვიმშვიდებდი — სხვა დროსაც ხომ დაკარგულა ასე-მეთქი.

ორი დღის შემდეგ, საღამოხანს მე და დედა ჩაის ვსვამდით პატარა მაგიდასთან. ცუგა იქვე სავარძელთან მოკეცილიყო და თვლემდა.

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

— დედა, გადი, გახედე, — ვთქვი უხალისოდ.

დედა კართან მივიდა და სამზერიდან გაიხედა.

— პოლიციაა, — თქვა გაკვირვებით.

— პოლიცია? — მე შევშფოთდი და ფეხზე წამოვვარდი. — რა უნდათ? დედამ კარი გააღო და დავინახე ზღურბლთან მდგარი ორი პოლიციელი: ერთი დაბალი და ჩაფსკვნილი, მეორე ზორბა, მაღალი.

— ბოდიში, ქალბატონო, შეიძლება?

— მობრძანდით, — უთხრა დედამ გაკვირვებით. ისინი შემოვიდნენ და დედამ სავარძელზე მიუთითა. რამდენიმე წამის დუმილის შემდეგ ერთი დედას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ქალბატონო, თქვენ ნუ შეშინდებით, თქვენთან არანაირი საქმე არ გვაქვს. თქვენს ზემოთ ცხოვრობს ვინმე?

მე გული უკიდურესობამდე დამეძაბა, მაგრამ ჩუმად ვიყავი.

— ჰო... კი, ცხოვრობს, ერთი ახალგაზრდაა. — დედამ დაბნეულად გადმოძახედა. მე მუხლები მიკანკალებდა, მაგრამ როგორღაც თავს ვიჭერდი.

— რა ჰქვია?

— არ ვიცი.

— არ იცით?

— არა, ახალი გადმოსულია, ჯერ არ გაგვიცვნია. — თქვა დედამ. მაღალმა პოლიციელმა ეჭვით გადახედა დაბალს.

— რაიმე საეჭვო ხომ არ შეგიძინევიათ, ქალბატონო?

დედას ცოტა ხანი ხმა არ ამოუღია. მერე რაღაცის თქმა დააპირა. მე ნერვიულად გავაწყვეტინე:

— რა, მოხდა რამე?... მოხდა რამე? თქვით...

— არა, უბრალოდ... მისი გვარი გვანტერესებს.

— რაღაცა მოხდა, თქვენ მიმაღავთ, თქვენ არ იძახით... თქვი, რა გააკეთა? რა მოუვიდა?

— მე ერთიანად ვცახცახებდი და სიტყვებისთვის თავი ვერ მომეყარა. დედა გოცებით მიყურებდა და ვერაფერი გაეგო.

— ირინკა, რა მოგდის! რატომ კანკალებ, რატო...

— რა მოხდა, მითხარით; ყველაფერი თქვით ჩქარა... — მე ცრემლები ღაპა-ღუპით მომდიოდა და ნიკაპთან მენასკვებოდა, ხმა მიწყდებოდა და გული ავს მიგრძნობდა.

— დამშვიდდი, გოგონა, თქვენი მეზობელი ცოტა შეუძლოდ არის და საავადმყოფოშია, — წარმოთქვა ჯმუხმა პოლიციელმა და გაკვირვებული მხერა არ მოუცილებია ჩემთვის.

— დაჭრილია. — თქვა მეორემ.

მე მწარედ ვკვითინებდი და დედას კაბაზე ვებლაუჭებოდი.

— შენ მას იცნობდი, ირინ?

ვხვდებოდი, რომ მატყუებდნენ, საქმე გაცილებით ცუდად იყო.

— რომელ საავადმყოფოშია, ჩქარა მითხარით, — გიჟივით წამოვვარდი და ტანზე თხელი ლაზადა მოვიცვი.

— სად მიდიხარ, ხომ არ გადაირიე! შენ... — დედას აღარ ვუსმენდი, მოკანკალე ხელებით ვიკრავდი ლაზადის ღილებს. „ედმონდ, ჩემო ედმონდ...“

— მეცხრეშია.

დედამ სცადა ხელით შევეჩერებინე, მაგრამ თავი წავართვი და გარეთ გავვარდი. სირბილით გავცდი გაკვირვებულ მეზობლებს და ქუჩაზე ტირილ-ტირილით დავემვი. ცრემლები ღვარღვარით ჩამომდიოდა ლოყებზე. ხალხი ჩერდებოდა და მიყურებდა.

ქვემოთ სამარშრუტო ტაქსი გავაჩერე.

— ჩქარა, გეხვეწები...

საავადმყოფოში ერთ პალატასთან რამდენიმე თეთრხალათიანი ირეოდა.

- დაჭრილთან ხართ?
- სად არის?
- მოიცადე, შესვლა არ შეიძლება.
- როგორ არის?
- თქვენ მისი და ხართ?
- როგორაა?

— ცუდად. ყველანაირად ვეცდებით, გადავარჩინოთ. ღვიძლშია დაჭრილი. — ახლა ოპერაციაზე გაიყვანენ.

დერეფანში მარტო ჩემი ტირილის ხმა ისმოდა. ახლა უკვე ძალა მქონდა გამოლული და ჩუმად ვსლუკუნებდი.

რომ გამოყავდათ, ფეხზე წამოვხტი, მაგრამ თეთრხალათიანმა მამაკაცმა ისევ დამსვა. საკაცეს ექიმები შემოხვეოდნენ და მას ვერ ვხედავდი, ლიფტით აიყვანეს ზემოთ.

მალე დერეფანში ხალათიანი, შემოფოთებული დედაჩემი და რამდენიმე პოლიციელი გამოჩნდა.

— თუ შეიძლება გვითხარით, რა ჰქვია დაჭრილს, — ექთანს ანკეტაზე ედო ხელი და თანაგრძნობით მიყურებდა.

- ედმონდი.
- გვარი?
- არ ვიცი.
- თქვენ ვინ ხართ მისი?
- მე... მე საცოლე ვარ.

ექთანმა გოცვებით ამომხედა, დედაც დამუნჯებული მიყურებდა.

რამდენიმე წუთი ხმა არავის ამოუღია.

მე აღარ ვტიროდი, გაქვავებული ვიდექი.


ოთახში პოლიციელები შემოვიდნენ, თავი ავწიე და გამშრალი თვალებით მათ შევხედე.

- ვინ დაჭრა?
- ნუ ღელავთ, შორს ვერ წაგვივა, ვინაობა გარკვეულია.
- ავკანკალდი.
- ვინ არის?
- ვინმე ლევან გაგნიძე.

— რა თქვით? — ამოვიღრიალე მე. სასოწარკვეთილებისგან იქვე ჩავიკეცე, მთელი ტანით ვცახცახებდი, ხმამაღლა მოვთქვამდი და მოკუნტულ მუხლებზე ხელებშემოჭდობილი შემოილივით ვიყურებოდი ირგვლივ.



მინიატურები



მეჯლისი ზამთარში

(ფრაგმენტი)

ზამთარი.

ზამთრის სასახლე წვრილი ჭირხლით მინამოხატული. სასახლის მინებს ნელა და მსუსხავად ეალერსება ყინვა. ყინვის უხეშ ალერსს მორჩილად იტანენ უცხო სასახლის უცხო მინები, რომელთა მიღმა მეჯლისი ბრწყინავს, დიდებული, საოცარი.

ვრცელ დარბაზში თვალისმომჭრელ სინათლეს ღვრიან ბროლის ჭაღები და ზამთრის ცივი მუსიკით ნელ-ნელა ივსება დარბაზი. მის ბოლოს ისევ მაღალი სარკმლებია, რომელთა მიღმა კვლავ ყინვა მოჩანს მკრთალად.

დარბაზში თოვლისფერ კაბებს აშრიალებენ ბანოვანნი. უფრო ახალგაზრდები თავდავიწყებით ცეკვავენ და რიტმსაყოლილი მათი სუნთქვა მშვიდად არხევს მათ მჭვირვალე პირბადეებს.

ფანტასტიურ სავარძელში ზის მეფე, ნეტარებისაგან თვალებს ნაბავს და გაბრუებული ჭკრეტს მოცეკვავეთ.

(გარეთ — ზამთარი, მიუსაფარი. იგი ლოლუებს აბამს და ქარის ხმებით წუხს თავის მარადჟამულ სიმარტოვეს)

მოცეკვავეწყვილები ტრიალით უვლიან დარბაზს, ცეკვის სინარნარეს თითქოს მიაფენენო სივრცეში; კი არ ცეკვავენ, — მიცურავენ ნათელ სიცივეში. ჭაღები აფრქვევენ სადაფ-ალმასებს წვრილად და მერე უკანვე კრეფენ მათ. დიდებული სარკეები თითქოს უფრო აგრილებენო დარბაზს და არავის უკვირს მათი სიღრმიდან უცხო ციაგთა გადმოვანება. სოლიდური ბანოვანნი სავარძლებში სხედან და მკაცრ ღიმილს შავი მარაოებით იფარავენ.

მაღალი სარკმლები ნელ-ნელა ლურჯდებიან და უკვე გარკვევით ჩანან ამ სილურჯეში თეთრ წერტილებად ფიფქები, ერთმანეთს რომ ლოყათა შეხებით ადნებიან.

ცივი მეჯლისით ელავს ზამთრის სასახლე.

თებერვალი, 1995 წ.

უდაბნო

(ეგზოტიკური მინიატურა)

უდაბნო... წევს დასიცხული ვეფხივით. არაფერს ამბობს გვალვისაგან დამაშრული ენით, მაგრამ ფიქრობს, ფიქრობს... ტკბება თავისი სიძლიერით. დროდადრო ქვიშას ამოახველებს და ისევ ირინდება, ისევ ტკბება მასზე გადამხობილი ყვითელი ზეცით. აქ ზეცა სწორედ ყვითელია, მზის თაფლით მთვრალი, დაბანგული. მზეც სხვანაირია, — სიცხიანი ავადმყოფი, რომელსაც დროდადრო ბოდვები წამოუვლის ხოლმე.

უდაბნო დარწმუნებულია, — მის ქარებზე უცხელესი ამქვეყნად არაფერი არაა. წამოშლის ხოლმე ქარებს და მაშინ მზე ცაზე დაღვრილ დამდნარ ქარვას ემსგავსება.

ბევრი რამ ახსოვს უდაბნოს. ახსოვს ბარბაროსები უხსოვარი დროისა, მძლავრი, ველური გიგანტები, რომლებმაც თეთრ ცხენებზე ამხედრებულებმა მრავალგზის გადათქერეს უდაბნოს გულმკერდი. მათი ოქროს საბარკლულები მზეზე ელვარებდა და ბზინავდა, უდაბნოს დღესაც ესმის მათი ველური ხარხარი და გრძელი თმების ფრიალი კვლავ თვალწინ უდგას მათი. ნეტავ სად არიან ახლა დაკარგული? — უკვირს უდაბნოს. არ იცის — ისინი თავიანთმა დრომ წაიყოლა თან.

მათ შემდეგ უდაბნო ერთხანს სულ მარტო იყო მცხუნვარე მზის ქვეშ და მხოლოდ გვალვები კოცნიდნენ მას თავიანთი ცხელი, სიმშრალისგან დახეთქილი ბაგეებით.

და მტერის ნაირფერი ფარდაგები... აიშლებოდნენ და დაიგებოდნენ ხოლმე ერთიმეორის მიყოლებით და უსასრულო იყო ეს აშლა და დაგება — დღეების, კვირების, თვეების მანძილზე.

მერე გამოჩნდნენ ქარავნები... მდორე სვლით მავალნი, უდაბნოს ტანზე გადაწეილნი, მოდიოდნენ და მოჰქონდათ სარკეთა ბზინვარება, ოქრო-ვერცხლის შეხლა. მთვრალი აქლემები ზურგზე გადაფენილ მძიმე სტავრას მოარხევდნენ, წითლად ელავდა ატლასი... უდაბნოს სულს უწუხებდა ძვირფასეულობათა სიმრავლე და მექარავნებს ურცხვად აყრიდა თვალეშში თბილ ქვიშას. მექარავნეთა თვალზე ცრემლი კიაფობდა...

გზადაგზა ქარავანს ეფანტებოდა აღმასები, მზისგან გაცხელებული ლამის დამდნარი ლალები აცვიოდა უდაბნოს.

შეჰყურებდა იგი ქარავანს და ფიქრობდა: რომელი სულთანის დარბაზებს ააგრილებდნენ ეს მკაცრი სარკეები, ქარავანს რომ მიჰქონდა? რომელი ხალიფა შემოსავდა თავის გიშრისთვალეზე ასულს ამ საუცხოო ნაყმებიან ხალათით? ან ამ აბრეშუმებს ვინ ააღელვებდა სახლში ფარდებად?

ფიქრობდა უდაბნო.

პირამდე სავსე ტომრებიდან წვრილად იცრებოდა ოქრო და ქარი მას უდაბნოს სხეულში სილავდა. ოქრო ბრწყინვებით ქრებოდა ქვიშაში და ბრაზმორეული მექარავნენი ძეხვის ჟინს კრულვით იცხრობდნენ.

ენითუთქმელი მშვენებაც სწვევია უდაბნოს. მისი ბებერი გულიც აჩქროლებულა სიხარულით, როცა მოვერცხლილი ჩარდახებით აზიელი მხეველები მოჰყავდათ, შავ რიდეებით პირშებურვილნი. რიდე ვერ ფარავდა აზიატი ქალწულის შავ მშვენიერებას, გიშრის თვალთა ელვარებას.

ქარავანი გადაივლიდა. დატოვილ ქვიშაზე აქა-იქ რჩებოდა მისი ძვირფასი ნამუსრვეი: ბეჭდები, სადაფის ღილები, ფარჩის ნაჭრები.

ისევ აშლიდა უდაბნო მშრალ ბურუსებს და ისინი მოსავსავე ენებით გააქრობდნენ

უდაბნოს მკერდზე დარჩენილ ნამუსრევს, ალგვიდნენ და სადღაც გადანთქავდნენ. სამუმი ააშფოთებდა ქვიშას, შრეებს აღურევდა, მზე დაიცლიდა ტანს სიმხურვალისგან და ქვიშის ძველ ფენებს ახლები დაფარავდნენ. უდაბნო დამშვიდდებოდა, დაცხრებოდა და კვლავ მზის თვალთ ნასმურევ ზეცას დაუწყებდა ცქერას.

მერე გველები ეწვეოდნენ... იწვნენ მის თბილ უბეებში და ნაბვით ნებივრობდნენ, შავად ბრწყინვალენი, დარგოლილები. მერე მორიელები დაუვლიდნენ უდაბნოს ტანს ჟრუანტელად...

ბავშვივით უხაროდა ხოლმე უდაბნოს ცისფერი მირაჟების გამოჩენა. სიხარულით თბილ ქვიშას ისროდა იგი ამ დროს. მას ახსოვს შავწამწამებიანი გიშრისთვალა რებეკა, წყალზე ოაზისისკენ მომავალი ვერცხლის სურით; აგრეთვე ქალწულნი მხრებზე შედგმული სურებით, მოკისკისეები, ხალებით დაწვდაწინწკლულნი... მათი სიცილი ახალისებდა უდაბნოს და მათი შიშველი ტერფების მიკარებაზე ნეტარებისგან ილულებოდა გამიჯნურებული. ტრფობით შესცქეროდა მძივებით ყელდამშვენებულ ქალწულებს.

იცის უდაბნომ, სამუდამოდ რომ არის გადამწვარი. იცის, — უნაყოფობა ჰქვია მის სუნთქვას. ნატრობს ცვარს, სწყურია სიგრილის შეცნობა ქვიშის საფარქვეშ. იცის, — კიდევ მრავალჯერ დაბანგავენ მზის მზესუმზირები და მთვარის ჰალვები. კიდევ მრავალჯერ გაახელებს ვნებიანი ყვითელი ზეცის ცქერა.

ელის.

რას, თვითონაც არ იცის.

რაცაცას ელის.

ელის, რომ ზეცა ცივ ელვას დაანთებს მის თავზე, სამუმი სარქველს ახდის უსიცოცხლო სამუმიეს, მყუდროებას დაურღვევს ქვის უზარმაზარ კარვებს — პირამიდებს, მათში საუკუნეებით დაგუბებულ ქარვისფერ ამინდებს გარეთ გამოფენს და ქროლვას სხვა ზღაპარს აამბობინებს უდაბნოსათვის, სხვას, — არაამქვეყნიურს, უშორეს მხარეთა ბობოქარ ზღაპარს...

თებერვალი, 1995წ.



რომელი?

იგი მეტად ლამაზი იყო.

ერთდროულად ორ ბიჭს უყვარდა.

ბიჭები ერთმანეთის სრული ანტიპოდები იყვნენ.

პირველი უაღრესად ზრდილი იყო, განვითარებული ინტელექტით, მორცხვი, უწყინარი. მისგან გინების გაგონება ყოვლად წარმოუდგენელი იყო. მაღალი და ავადმყოფურად გამხდარი. ბრწყინვალედ უკრავდა პიანინოზე. უაღრესად ზნეობრივი და თავდაჭერილი გახლდათ და მეტად მგრძნობიარე და შთაბეჭდილებიანი. მაგრამ არავითარი ზრდოლის უნარი არ გააჩნდა ბუმბულებში გაზრდილს და ფუნთუშებით გამოწვევებს. არაფერს და არავის წინააღმდეგობას არ უწყევდა და ვაჟკაცობის არავითარი პრეტენზია არ გააჩნდა.

მეორე, როგორც ვთქვით, მისი სრული ანტიპოდი იყო. გამომწვევი, თავხედი, გაბედული, თვითდარწმუნებული. ხუთ წინადადებაში ერთხელ იგინებოდა და არავის არაფერს შეარჩენდა. ერთ ზედმეტ სიტყვას ვერ უბედავდნენ. კრივზე დადიოდა. საკუთარი სიამოვნებისათვის იბრძოდა თავდაუზოგავად და კიდევ აღწევდა წარმატებას. არაფერი მიჰქონდა გულთან ახლოს.

რომელი უნდა აერჩია ამათგან მათი გრძნობის საგანს?

აპრილი, 1995 წ.

ლამაზი სისასტიკე

თბილისის უნივერსიტეტი.

ეზოში სტუდენტობა გამოფენილა — ლამაზი, მხიარული, მოცინარ-მოკისკისე, ჭრელი.

ისინი გუნდ-გუნდად დაჯგუფებულან აქეთ-იქით და საუბრობენ, კევს ღეჭავენ და სიგარეტს აბოლებენ.

ერთ-ერთ ასეთ გუნდში ულამაზესი გოგონა დგას, — ქერა, მხრებზე დაყრილი დალალებით, ცისფერი, არაამქვეყნიური თვალებით, უთეთრესი პირისახით. ისიც ხალისიანად საუბრობს და თან მზესუმზირას აყოლებს.

იქვე ტრასაზე მანქანები მოძრაობენ.

უეცრად საშინელმა ღრჭიალმა ყველას ერთ მხარეს გამოახედა. მანქანამ კაცი გაიტანა — ახალგაზრდა ბიჭი. იგი უძრავად ეგდო ასფალტზე.

სტუდენტთაგან ზოგიერთი ადგილს მოწყდა და დამავებულს მივარდა. უსინჯავდნენ გულისცემას, გასისხლიანებულ შუბლს. ზოგი მანქანას გადაუდგა წინ.

— ჰმ! რა საკაიფოდ დაარტყა? — ქერა გოგონამ ჩუმი კისკისით შეარხია დალალები და ლამაზად გამობუსხული ტუჩებით მზესუმზირის ჩენჩო გააფურთხა.

მარტი, 1995 წ.

განაჩენის გამოტანის შემდეგ

სასიკვდილო განაჩენი გამოტანილ იქნა.

ახლა იგი მარტოა საკანში. ქვაში ჩამოსხმულს ჰგავს. თითზე ჩამოსათვლელი საათები რჩება განაჩენის აღსრულებამდე.

რამდენიმე ხანში ქანდაკება შეირხა. მისი ტვინი — ელდით სავსე ჭურჭელი, გაიბზარა და ელდა ნელ-ნელა გამოედინება მისგან. ტვინში უსუსურად მოფუთფუთე ჭიანჭველები ნელა აზრებს ემსგავსებიან, უაზრო აზრებს.

მცირე ხანი და აზრებს თანდათან შინაარსი უჩნდება. ელდა იწრიტება ტვინის ქვაბში; ქვაბი აღარ თუხთუხებს. გაყინულ კიდურებს ოდნავი სითბო შეეპარა, სისხლმა მიაღწია ხელ-ფეხის თითებამდე. გულისრევის შეგრძნებაც გაქრა.

სიმშვიდემ ნელ-ნელა გააძევა დეპრესია მისი სულიდან.

სიკვდილმისჯილმა ბნელ სივრცეს გაუღიმა ოდნავ.

საკანი ყარს შმორით.

„რა კარგი ჰაერია...“ — ღრმად ჩაისუნთქა.

სარკმელში მტრედს მოჰკრა თვალი, ცის კამარაზე მონავარდეს. რამდენჯერ შეუხედავს ადრე მტრედისთვის, რამდენჯერ დაუნახავს ლურჯი კამარა ცხოვრებაში, მაგრამ...

„არა, ეს ის ცა არ არის... ის ვერ იქნებოდა ასე მშვენიერი...“ ადრე ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ერთი ჩვეულებრივი მტრედის დანახვა ოდესმე ასეთ სასწაულად მოეჩვენებოდა მის სულს.

„განა სასწაული არ არის, რომ ჩვენ ვარსებობთ? განა სასწაული არ არის, რომ საკუთარ თავს ვგრძნობთ?“ — ფიქრობდა გაცოცხლებული, რომ აქამდე არასდროს დაფიქრებულა ამაზე, რაც ასე საკვირველი და ნათელი იყო.

„რა კარგი ჰაერია...“

მაგიდაზე მდგარ სახელურმოგლეჯილ ქვაბში საკუთარი თავი დალანდა.

„ღმერთო! ოცდაათი წელია ვცოცხლობ და არასოდეს დავფიქრებულვარ, რამხელა სასწაულია თვალები! ხედვის უნარი...“ — თითები ნელ-ნელა მიიტანა თვალებთან და ოდნავ შეეხო.

ისევ საკუთარ ანარეკლს შეხედა ქვაბში. ტუჩები აამომრავა, ანარეკლმაც იგივე გაიმეორა. ისევ სასწაულად მოეჩვენა თავისი უნარი და უდიდესმა კმაყოფილებამ შეიპყრო.

საოცრად ლამაზი იყო ცა, საოცრად ლამაზი იყო მტრედი, საოცრად ლამაზი იყო სარკმელი, საოცრად ლამაზი იყო საკანი, საოცრად ლამაზი იყო ქვაბი, საოცრად ლამაზი იყო თვითონ...

საოცრად სუფთა და გრილი იყო საკნის შმორიანი ჰაერი.

ყველაფერი სასწაული იყო: ცა, მტრედი, სარკმელი, საკანი, ქვაბი...

ყველაზე დიდი სასწაული თვითონ იყო: ცოცხალი ადამიანი.

„ოცდაათი წელიწადი უბედნიერესი ვიყავი და არ ვიცოდი... ნუთუ რამდენიმე საათში სიკვდილს უნდა ელოდებოდე, რომ მიხვდე, რამხელა სასწაულია სიცოცხლე?“

მარტი, 1995 წ.

სენტიმენტალი

ის ბავშვობიდანვე საშინელი სენტიმენტალი იყო. გულს უჩუყებდა მელოდრამები და მათი ნახვა ყველაფერს ერჩივნა. „ჯეინ ეარი“ — მისი უსაყვარლესი წიგნი იყო, რომელიც რამდენჯერმე ჰქონდა წაკითხული. მას ეცოდებოდა ყველა, ვინც შესაცოდი იყო და ვინც არ იყო. ეწაფებოდა სენტიმენტალურ ლიტერატურას.

ის ტკბებოდა საკუთარი სენტიმენტალიზმით.

მას სიამოვნებდა, როცა ვინმე ეცოდებოდა, იგი უდიდეს ნეტარებას განიცდიდა, როცა რაიმეზე გული უჩუყდა.

ახლობლებისა და მეგობარ-ნაცნობებისათვის ის ჯერ „მტირალა ბავშვი“ იყო, მერე — „უცნაური კაცი“, რომლის ხსენებაზე ყველა მხრებს იჩეჩავდა.

დაიწყო საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფთა მონახულება და ღამეებს უთევდა მათ, მერე კი ტიროდა... უდიდესი ნეტარებით.

მას ატკბობდა საკუთარი სენტიმენტალიზმი.

ბოლოს ცოლად შეირთო ლამაზი ქალი, რომელსაც გულის მანკი ჰქონდა.

მარტი, 1995 წ.

სიზმრებში მცხოვრები კაცი

ის ყველაზე ბედნიერი იყო მეოცე საუკუნეში დაბადებულთა შორის, რადგან მხოლოდ სხელთ ცხოვრობდა მეოცე საუკუნეში, სული კი მისი ქროდა უბოლოოდ შორეულ შუასაუკუნეთა სურნელით გაჯერებულ სიზმრებში და მათში ცხოვრობდა, არა რეალურ, არამედ წარმოდგენით შექმნილ სამყაროში.

ის სიზმრებში და წარმოდგენებში ცხოვრობდა, მთელი არსებით იქ იყო გადასახლებული.

მისი ფიქრი არ ეკარებოდა თანამედროვე ტექნიკის მიღწევებს, მეტროპოლიტენებს და რადიოსადგურებს; ელნათურებისა და პროექტორების შუქს ემალებოდა და რომანტიული სანთლის შუქთა ჭავლებს აფარებდა თავს.

ურბანიზმი — საშინელება იყო მისთვის. ქარხანა-ფაბრიკები, სუპერთანამედროვე დანადგართა მწყობრი ზუზუნი — სიმახინჯე, გულისამრევი და ვერსაგუებელი.

ცხენების ფლოქთაცემა და ხმამაღალი ჭიხვინი უფორიაქებდა სულს მრავალი საუკუნის წინანდელი და ეზმანებოდა აბჯროსანთა თორ-მუზარადის ლაპლაპი, ხმალთა კვესება და ფართა ჟღარუნი. გმირული წარსულის ჰეროიკითა და ტკბილი რომანტიკით ცხოვრობდა იგი და ვერ ამჩნევდა (თუ არ ამჩნევდა) გარსმომდგარი ეპოქის სხვანაირობას. თვით ყველაზე წარმავალი და წვრილმანი საქმით დაკავებულიც კი ვერ სწყვეტდა ფიქრს გარდასულ ლანდებს — რატი ორბელიანებს და ნიანია ბაკურიანებს, ერისთავებს და სპასალარებს, აივენჰოებს და სედრიკ საქსონელებს.

და მიაჩნდა, რომ ბუნებას შეცდომა მოუვიდა, როცა ის მეოცე საუკუნეში გააჩინა. სწორიც იყო ალბათ. თუკი ის ყველაზე ბედნიერი იყო მეოცე საუკუნის ადამიანთა შორის და ამ

ბედნიერებას სიზმრები ასაზრდოებდა, განა ათასგზის ბედნიერი არ იქნებოდა უფრო, შუასაუკუნეებში რომ დაბადებულიყო და ოცნება სინამდვილედ ქცეოდა?

თვით მეთათე საუკუნის ადამიანსაც ვერ ეყვარებოდა თავისი ეპოქის სული ისე ძლიერად, როგორც მას უყვარდა, მას — ათი საუკუნით გვიან დაბადებულს, თავის დროში ზედმეტადამიანად ქცეულს, ატომურ ეპოქაში მშვილდ-ისრის მშვენიერების მოტრფიალეს; რეაქტიული რაკეტების ეპოქაში ცხენის კულტის მოთაყვანეს.

ის ვერ შეიყვარებდა გასტრონომიდან დაბრუნებულ, სანოვაგით ხელდამძიმებულ თუ სამზარეულოში მოფუსფუსე, ფქვილში ხელებამოგანგლულ „ჩვეულებრივ“ ქალს. მას მაღალი ციხე-კოშკების აივნებზე გადმომდგარი დიდებულთა ბანოვანები და ღვთაებრივი პრინცესები ელანდებოდა. ეს იყო მისი უბედურებაც და ბედნიერებაც. უბედურება იმიტომ, რომ არასოდეს ეწერა მის ოცნებას ასრულება, და ბედნიერება იმიტომ, რომ ნიადაგ მეცხრე ცაზე ფრენდა, მიწაზე ფეხმოუკიდებელი. გასტრონომიდან მობრუნებულსა და სამზარეულოში მოფუსფუსეს, ფქვილში ხელებამოგანგლულ ცოლს ადარ ექნებოდა დრო, მისთვის გაეწია იზოლდობა, ნესტანობა, დულსინეობა. ამიტომ არც შეურთავს არავინ.

და იყო ასე, ცხოვრობდა წიგნებში, რაინდულ რომანებში, ფილმებში, წარმოდგენებში, სიზმრებში.

და იყო ზედმეტი მეოცე საუკუნეში.

და იყო ყველაზე ბედნიერი მეოცე საუკუნეში.

5 მაისი, 1995 წ.

რომანტიკის სიკვდილი

(XX საუკუნე)

მწვანე მინდორი; ნელი ქარისაგან აღელვებული.

მინდორში ცხენი, წაბლისფერფარანი. ჭკვიანი თვალებით, საყვარელი.

ნელა სცემს ფლოქვებს წვიმისაგან გაჟიჟინებულ მიწას. წყნარად ფრუტუნებს. სიო უღელვებს ფაფარს, კისერზე დაუდევრად მიმოფენილს.

მზეს ჯერ კიდევ არ მიუღწევია ზენიტამდე.

ცხენი ადგილიდან დაიძრა. ნელ-ნელა ნაბიჯს აუჩქარა, ბოლოს მშვიდ ჭენებაზე გადავიდა. ფაფარი ეტალლებოდა, კისერზე სცემდა.

მზე ზენიტს უახლოვდება.

ცხენმა კიდევ მოუმატა, ახლა იგი მირბის, მიფრინავს, თითქოს არ აკარებსო ფლოქვებს მიწას. ფრუტუნებს, მირბის... ულამაზესი სანახავია მქროლავი ცხენი ფაფარაშლილი.

მზე თითქმის ზენიტამდეა.

ცხენმა სულ აიწყვიტა, რაღაც განწირულება იგრძნობა მის ქროლვაში. ფლოქვები აღარც თელავენ მწვანე ბალახს.

მზე ზენიტზეა.

მზე გამუქდა, თითქმის გამავდა, გაიმჭვარტლა, შავი სხივები გაფანტა. შხამიანი სხივები მწვანე მინდორს დაეფინა.

ცხენი ელვისუსწრაფესად შედგა, უცებ დაეცა და მოკვდა.

ცაზე ლაპლაპებდა შავი მზე მეოცე საუკუნისა.

მარტი, 1995 წ.

მოჯადოებელი ღამე

(მისტიკური მინიატურა)

მდუმარება დედება და ნელ-ნელა ივსებიან მისით დაბნელებული ხევები. ლურჯი ღამეა. ხევებს ნისლები ასდით, თითქოს სადღაც გიგანტური გრძნეულები ფაფას ხარშავენო. ცაზე უზარმაზარი შავი ღრუბელი გაწოლილა გველეშაპივით, რომელიც მალე მთვარეს შთანთქავს, მაგრამ მთვარის სიცივე მუცელს ატკენს და გახელებული უკანვე ამოიღებს.

ხეები უამრავ ხელს ნელ-ნელა შლიან და მათი სუნთქვა ნისლივით გარს ეხვევა მათ. ისინი მისტიკურ და ველურ რიტუალს უსრულებენ პირველქმნილთა ღვთაებას ახლა, უცნაურ ფერხულში ჩაბმულნი.

გარშემო ლანდები რიალებენ, დაღლილი დინებით დიან შავად. სიშავე ნელ-ნელა ეუფლება ზეცას, როგორც მძინარ ქალწულს ნატიფთმიანს და ცისფერკაბიანს — შავკანიანი მონა. იგი ნელა ხდის მას ცისფერ კაბას და გრილ-ლაპლაპა ანაფორას აცმევს.

ღამურები სიბნელეს ქსოვენ გაცივებული ფრთებით. მოშორებით ერთადერთი ქოხი დგას, რომლის სარკმელშიც ყვითელი სანთლის ალი კანკალებს. მთვარე ძალიან ნელა ქვრება და მისი სითეთრე თენტავს მის ფერხით გაწოლილ გველეშაპს — ღრუბელს.

ცაზე სიცისფრის ერთადერთი წვეთილა ანთია და ისიც სულს დაფავს თანდათან... და სადღაც... შორს...

გრძნეულები ხარშავენ ფაფას.

19 აპრილი, 1995 წ.





მარადიული მეციხოვნე

მერაბ კოსტავა...

დიდი ტანჯვა და... დიდი ამაღლება.

მერაბ კოსტავა.

განსხეულება ქართული რაინდობის. წარსულიდან გამოხმობა დიად აჩრდილთა, ოქროსფერი საქართველოს შვილი — მერაბ კოსტავა. უკვე ჩაწერილი ივერიის ისტორიაში მარადიული ბრძოლისა და გაუტეხელი ჯვარცმის სიმბოლოდ. ერთ სულში შეთავსება მოკრძალებისა და კუშტი სიამაყის, კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი, გაღელილ მკერდს რომ უკორტნის გავემებული ყორანი მუდამჟამს და მაინც რომ ვერ დრეკს, ვერ ათვინიერებს, ვერ ღლის.

ყველაზე მეტად 26 მაისი მოუხდებოდა და ამ დღეს დაიბადა. ეს არ არის დამთხვევა. ეს ღვთიური კანონზომიერებაა. ბაზალეთის ტბის ძირას დარწეული აკვნის სულში და სურნელში იზრდებოდა მამულის გამოხსნით გულანთებული მზექაბუკი და საკუთარი სიცოცხლე კრავივით შესწირა მის სამსხვერპლს. შესწირა დარწმუნებით, უყოყმანოდ და სულნათლად. წავიდა ზნეობა უხინჯო, სპეტაკი, როგორც მისი თეთრი თმა, შარავანდედით რომ ანათებდა იმ ქარიან ღამეებში სამფეროვან დროშებს შორის, როცა მჭეხარებდა და მსმენელს გზნებას მოსდებდა ჟრუანტელივით. როცა სავსე იყო სულიერი ძალებით, ისე სავსე, რომ მკერდში ვერ იტევდა და სხვასაც ავსებდა. სული... ეს სიტყვა განსაკუთრებით ლამაზად ჟღერს მაშინ, როცა მერაბ კოსტავაზე ვსაუბრობთ. ამიტომ ზეიმობდა ქართული სულის უკიდველგანობა მასში, ქართული სულის თვალშეუდგამი ლაჟვარდი. მერაბ კოსტავა თავად იყო სული და გული და ყველაფერს მთელი სულითა და გულით აკეთებდა.

დრომ დაგვაჭირვა მისი თავი... დრომ, რომელმაც ერთდროულად ამდენი უბედურება დაგვატეხა თავს და მძაფრად გვაგრძნობინა უმისობა. დრომ დაგვაჭირვა მისი სიტყვა, მისი ლექსი, რომელსაც უადრესი გაჭირვების ჟამსაც კი შთაგონებით და ღვთიური მუსიკით გაჯერებულს წერდა:

„ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,

მერე ეს მიწა და საქართველო!“

გრძნობდა თავად, ცის და ციერი რომ იყო. სულით ხორცამდე ქართველი, გეორგიანი... ჭეშმარიტი ქრისტიანი. ამან დააწერინა „ვიქრები საქართველოს მისიაზე“, რომელიც სავსეა გაერთიანებული ქრისტიანული და ეროვნული სულისკვეთებით. ჩვენთვის, უმცროსი თაობისათვის, მას ყოველთვის წმინდანის, მირონცხებული ღმერთკაცის შარავანდედი ემოსა. როგორ უხდებოდა მერაბის გარეგნული გამომეტყველება და რაინდული სილამაზე არწივისა მის შინაგან გმირულ შემართებასა და სათნოებას, კეთილშობილებას. ვინ იცის, იქნებ შეუძლებელიც გაეკეთებინა სულმნათს ახლა, იქნებ მაღალმოდ მოფენოდა მამულის იარას, იქნებ არ გახლეჩილ-დანაწევრებულიყო ისედაც პატარა საქართველო, იქნებ ერთ ერთ

მუშტად შეკრულიყო: მთათუშეთი, საინგილო, კახეთი, ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, ფშავ-ხევსურეთი — ყველა კუთხე საქართველოსი.

26 მაისი მერაბის დაბადების დღეა. 26 მაისს, საქართველოს თავისუფლების აღდგენის დღეს, დღეს კი არა, დღესასწაულს, დაიბადა ეროვნული გმირი, ვისაც შემდგომ თავისუფლების იდეალთან გააიგივებდა ქართველი ხალხი — მერაბ კოსტავა. დაიბადა, რათა ეტანჯა და...

ამაღლებულიყო. ამაღლებულიყო ყოველივე მიწიერზე, ჩვეულებრივზე და კიდევ ერთხელ შეეხსენებინა ჩვენთვის, რომ ჩვენი მისია დიდია, მზეგრძელია და მისი დავიწყება არ ეგების.

მერაბ კოსტავა კავკასიონზე მიჯაჭვულ ამირანად დარჩება ჩვენს შეგნებაში, რომელმაც საქართველოში ჩამოიტანა ღვთიური ცეცხლი ჭეშმარიტებისა და ჩამოიტანა იგი მიუწვდომლად მაღალი, კუშტი მთებიდან, რისთვისაც შემდეგ მკერდს უკორტიდა ყვაყორანი, მაგრამ ვერ მოდრიკეს, რადგან იგი მარადიული მეციხოვნეა საქართველოს ციხესიმაგრისა.

მეცხრე კლასელი ტატო ნინუა
თბილისის პირველი სკოლა.

26 მაისი, 1992 წ.

დაიბეჭდა 29 მაისს
გაზეთ „ნერგის“ მე-14 ნომერში

თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური, ეროვნული თეატრი

„ჩემი სამშობლო ზევად თავად,
მერე ეს მიწა და საქართველო“

მერაბ კოსტავა

...რატომ უნდა შეიქმნას და როგორი უნდა იყოს მერაბ კოსტავას სახელობის თეატრი?.. თეატრმა ეროვნული სულის გადარჩენისათვის უნდა იბრძოლოს... უნდა მოეფეროს ერთიან, მთლიან, აღმავლობის გზაზე დამდგარ, ღვთით კურთხეულ საქართველოს...

ჩვენი თეატრისთვის მაინც რას ნიშნავს საქართველო? ეს არის რაინდთა სამყარო, გაფაქიზებული სულითა და გასპეტაკებული გონით, თანაბარუფლებიანი საუბრისათვის და არსებობისთვის გაჩენილი, რომელიც 35 საუკუნეზე მეტია მამა-ზეციერმა გვარგუნა ბედად: ხევსურებსა და მოხვევებს, თუშებსა და მთიულებს, გუდამაყრელებსა და ფშავლებს,

ქართულებსა და კახელებს, რაჭველებსა და ლეჩხუმელებს, სვანებსა და აფხაზებს, მესხებსა და ინგილოებს, იმერლებს, მეგრელებსა და გურულებს...

ბარე სამი საუკუნეა, ამ ერთობისაკენ მოისწრაფიან ჩვენი სისხლხორცეული ძმები — ფერეიდნელი ქართველები და ლაზები; მოისწრაფიან თავიანთი ენობრივი ფორმებით, გულში ჩასახუტებელი სიტყვებით, მოისწრაფიან და ამ პროცესის შეჩერება უკვე არც მაცილს ძალუმს და მით უფრო — იმპერიებს...

როდესაც ვამბობთ „საქართველოს“, „ქართულს“, იმთავითვე ყველა კუთხეს ვგულისხმობთ უკლებლივ, ყველა კუთხის ადათ-წესსა და ტრადიციას, ისტორიას, ხალხურ სიბრძნეს, გმირობას, სიმღერას, ცეკვას და მამულისადმი გულანთებულ სიყვარულს...

...ჩვენმა თეატრმა, სხვა თეატრებისაგან განსხვავებით, უნდა „მოიაროს“ საქართველოს ყველა კუთხე, რომ მაყურებელს თეატრალური ენით აგრძნობინოს და დაანახოს, რა განსხვავებაა ამ კუთხეებს შორის და რა დიდი სისხლხორცეული საერთოა მათში...

ტატო ნინუა

1990 წელი

პატივცემულო „ნერგის“ რედაქციავ!

თქვენი გაზეთი მოსწავლეთა გაზეთია და, ჩვენი აზრით, მის ფურცლებზე ნებისმიერი მოსწავლის მოსაზრება უნდა იბეჭდებოდეს, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მას რედაქცია.

თბილისის I საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებმა შევადგინეთ მიმართვა საქართველოს მოსწავლეებისადმი, რომლის ტექსტს გიგზავნით თქვენ და ძლიერ გთხოვთ, დაბეჭდოთ იგი „ჩვენს“ გაზეთში.

მოწოდება

ღვთისწილხვდომილი საქართველოს

მოსწავლეებისადმი

აღმამენებლის, თამარ შვიდმნათობიერის დროს სულ სხვაგვარად ზრდიდნენ ბავშვებს: აკვანშივე ღვთისა და მამულის სიყვარულს ჩააგონებდნენ. სიცოცხლეს სწირავდნენ ჩალისფერი დროშის ძლიერებას ღვთისმომშიშად გაზრდილი შვილები და ამით ბედნიერებიც იყვნენ.

ჩვენ ასე არ გავზრდილვართ.

ჩვენთვის უფლისა და მამულის სიყვარული არ ჩაუგონებიათ.

ჩალისფერი დროშები წითლად შეგვიღებეს.

პაატა სააკაძე — ერს და ქრისტეს შეწირული ზვარაკი — პავლიკ მოროზოვით შევეცივალეს — საკუთარი სისხლის და ხორცის, მშობელი მამის გამცემით.

მე-4 კლასელებმა არაფერი ვიცოდით წმინდა ნინოსა და ქეთევან წამებულის შესახებ. სამაგიეროდ, ზოია კოსმოდემიანსკაიას გმირობის ამბავი დაწვრილებით შეგვასწავლეს.

ჩვენი საფიცარი — ლენინი იყო, სამშობლო — სსრკ. საქართველო? საქართველო მშობლიური კუთხე იყო მხოლოდ.

მაგრამ, სულ თავიდან დავიწყეთ:

1986 წელი. ჩვენ პიონერთა რიგებში გვიღებდენ.

სათუთად დაკეცილი ყელსახვევებით ხელში სკოლის ეზოში ვიყრიდით თავს მეტისმეტი სიხარულისაგან გულაჩუყებულ ბავშვები, — რამდენიმე წუთის შემდეგ ხომ დიდი

კომუნისტური საზოგადოების მშენებელ-კალატოზის საპატიო და ფრიად ღირსეული სახელი დაგვერქმევა.

შევდივართ დარბაზში და უფროსი ლენინელები მკერდებს ყელსახვევებით გვიმშვენებენ ახლად დაფრთიანებულ ლენინელებს. შემდეგ ვამბობთ ფიცს, რომლის ერთი სიტყვაც არ გვესმის: „ჩვენ, ვ.ი.ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის რიგებში რომ შევდივართ...“

ფიცის წარმოთქმისა და წითელი დროშის ამბორყოფის შემდეგ ჩვენ თვალწინ განიხვენენ სამოთხის კარნი (სამოთხეს მეორე სახელიც აქვსო, — კომუნიზმი) და გზა გაგვეხსნა მეცხრე ცისაკენ. ასე გვეგონა მაშინ.

შიდილება გვეტოხოთ, — კი მაგრამ, თუკი ისეთი გულუბრყვილოები აღმოჩნდით, რომ ეს დაიჯერეთ, ვისი რა ბრალიაო.

ვაი, რომ დავიჯერეთ. უფრო ზუსტად, — დაგვაჯერეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიონერებში მიღების დღეს წარმოსათქმელი ფიცი ჩვენთვის არ განუმარტავთ. გვითხრეს მხოლოდ, რომ ამ ფიცის წარმოთქმის შემდეგ ვიქნებოდით ბედნიერნი და უზრუნველნი, გვეყოლებოდა რაზემეული, რგოლები, უფროსებთან ერთად განვავარდობდით კომუნიზმის მშენებლობას, რაც თავისთავად, დიდი პატივი იყო (არც ის უთქვამთ, ასეთი რა სრა-სასახლე იყო ეს კომუნიზმი, ამდენი ხნის დაუმთავრებელ შენება-რესტავრაციას რომ საჭიროებდა) და ყველა ეს ბედნიერება გვეწვეოდა, თუ საბჭოეთს ერთგულების ფიცს მივცემდით. ჩვენც ისღა დაგვრჩენოდა, ხელი არ გვეკრა კარს მომდგარი ბედნიერებისთვის და რა ვიცოდით, რომ ამ ფიცის სახით ჩვენ საშინელებას წარმოვთქვამდით. ეს იყო ფიცი ჭეშმარიტი სამშობლოს ღალატისა.

რა თქმა უნდა, არანაირი დაპირება ჩვენს ცრუგამბედნიერებლებს არ შეუსრულებიათ. „არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი...“ მეზუკეს ბუკი არ სჭერია ხელში, მელამეს — ალამი.

ერთი ამბავი გვახსენდება კიდევ:

ყოველ 23 თებერვალს გამოგვაწყობდნენ ჯარისკაცის ფორმაში, დაგვიმაგრებდნენ წითელ სამხრეებს, მოგვარგებდნენ ჯარისკაცის ქუდს, ხელში სათამაშო ავტომატებს დაგვაჭერინებდნენ (სხვათა შორის, ამერიკის ზოგიერთ ქალაქში აიკრძალა საბავშვო ავტომატების დამზადება) და „შიროკა სტრანა მაია“-ს ან „დენ პობედის“ გრიალში ფიზკულტურის ვრცელ დარბაზს შემოგვატარებდნენ.

და ეს ყველაფერი ხდებოდა I საშუალო სკოლაში, აკაკის, ბარათაშვილის, ილიას, ყაზბეგის სკოლაში!

და ყველა ამ საშინელებასა და სიყალბეს ერთი სახელი აქვს — ვ.ი.ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაცია. მისი ნორმალურ ორგანიზაციად გარდაქმნა გამორიცხულია, ისევე როგორც კომკავშირისა. ის უნდა გაუქმდეს, რადგან დღიდან დაარსებისა ემსახურება სატანას, ქართულ სისხლს ბასრი მარწუხებით ართმევს ქართველ ბავშვს და ცარიელ ძარღვებში რუსულ სისხლს აძლევს გზას.

პიონერთა ორგანიზაცია ახლა სულს ღაფავს საქართველოში. მაგრამ იგი ჯერ არ გარდაცვლილა. ამას მოწმობს 13 აპრილის გაზეთ „ნერგში“ (ყოფილი „ნორჩი ლენინელი“) გამოქვეყნებული წერილი ბათუმელი პიონერებისა, რომლებიც თურმე ჯერ კიდევ არ იხსნიან ყელსახვევებს, რადგან „ზოგიერთი ხელმძღვანელის შეცდომებს ისინი მამა-პაპებს ვერ დააბრალებენ“. ჩვენი აზრით, ზოგიერთი ხელმძღვანელის შეცდომა კი არა, ეს სისტემის „შეცდომაა“, უფრო კი დანაშაული, რომელ სისტემაშიც ვცხოვრობთ, საუბედუროდ.

წლების მანძილზე ბედნიერად ვთვლიდით თავს და მხოლოდ ამ ორი წლის წინ შევიგნეთ, დამყაყებულ ჭაობში რომ ვიყავით ყელამდე ჩაფლულნი.

1988-89 — ეროვნული მოძრაობის აღორძინების წლებმა გამოგვარკვიეს და გამოგვადვიძეს მრავალთა მსგავსად.

1888 წლის ნოემბრის აქციებში მონაწილე ახალგაზრდების თავდადებას დაგვანახა

პირველად ჭეშმარიტი ბედნიერების გზა. მივხვდით, რომ შვება ტანჯვის შემდეგ შეიგრძნობა და არა რაღაც სულელური ფიცის შემდეგ. გამომდინარე ყოველივე აქედან, მოვუწოდებთ ღვთისწილხვდომილი საქართველოს მოსწავლეებს, საბოლოოდ უარყონ ცრუგამბედნიერებელთაგან შეთავაზებული ყელსახვევი და ხონჩით მიართვან ისინი მათ, ვინც უბოძათ, ყელსახვევის ტარება ახლა ღალატის ტოლფასია.

მოვუწოდებთ ყოველ მოსწავლეს, უარყოს პავლიკ მოროზოვებისა და ბორის ძნელაძეებისთანა იდეალები, იწამოს უფალი ერთადერთი — იესო ქრისტე — და თავს ნუ მოიტყუებს რგოლებითა და რაზმეულებით!

თბილისის I საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლენი.

(ტექსტი შედგენილია ტატო ნინუას მიერ)

15 აპრილი, 1990 წ.

პატ. დირექტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ჩამოიხსნას ე.წ. ბელადების დარევიოლუციონერების სურათები, აგრეთვე, სსრკ და საბჭოთა საქართველოს დროშები პიონერთა ოთახის კედლებიდან. ალბათ, ეს სურათები და დროშები მთელი სკოლის მოსწავლეებს აღიზიანებს! მათ მაგივრად გაიკრას ქართული ეროვნული დროშა და ჭეშმარიტი მამულიშვილების სურათები.

VII კლასი. 1989 წ. ნოემბერი.

(ტექსტი შედგენილია ტატოს მიერ)

ღრმად პატივცემულო ბატონო გიორგი!

ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება გამოვხატო ჩემი უდიდესი პატივისცემა და აღტაცება საფრანგეთის, პარიზის ქართული სათვისტომოსადმი, ჟურნალ „გუშაგის“ რედაქციისადმი, კერძოდ, თქვენდამი. დიდი მოწიწებით ვუყურებ იმ ღვაწლს, რომელიც საფრანგეთის ქართულ სათვისტომოს მიუძღვის საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე.

ქალბატონ ოლიკო დემურია-კოსტავასაგან, რომელთანაც ძალიან ახლო და თბილი ურთიერთობა გვაკავშირებს, შევიტყვეთ, რომ თქვენს ჟურნალ „გუშაგის“ 1992 წლის გაზაფხულის ნომერში დაგიბეჭდავთ ჩემი ლექსები, რისთვისაც უსაზღვროდ გახარებული და მადლიერი გახლავართ. ეს ძალზე დიდი პატივია ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი რიგითი,

დამწყები შემოქმედისათვის. მიიღეთ ჩემგან მოკრძალებული და გულწრფელი მადლობა. სამწუხაროდ, თქვენი ჟურნალის ხსენებული გამოცემა, მიუხედავად უდიდესი სურვილისა და მონდომებისა, ჯერჯერობით ვერაფრით ვიშოვეთ. ადვილი წარმოსადგენია, რას უნდა ნიშნავდეს იგი ჩემთვის. ჩემი მოკრძალებული თხოვნაა თქვენდამი, გამომიგზავნოთ „გუშაგის“ იმ ნომრის ერთი ეგზემპლარი თქვენი ავტოგრაფით (თუ ეს შესაძლებელია და ძალზე არ შეწყუბდებით). ეს უდიდესი სტიმული იქნება ჩემთვის ჩემი შემოქმედების დასაწყისში.

მოგეხსენებათ, რა ვითარებაა დღეს საქართველოში, რამდენ ფრონტზე უხდება ბრძოლა ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს, რამდენ უბედურებასა და ტრაგედიას დაუდო სათავე გასული წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენებმა. ალბათ შეუძლებელია, ყოველივე ამან თავისი მტკივნეული გამოძახილი არ ჰპოვოს ყოველი ქართველის გულში. მეც დამაწერინა რამდენიმე სტრიქონი ამ საერთო გულისტკივილმა, რომელთაც, ვკადნიერდები და გიგზავნით ამ მადლობის წერილთან ერთად; გულისტკივილმა, რომელსაც წინაპართა დავიწყება, ღვიძლ ძმათა შორის სისხლისღვრა, აფხაზეთის ღია ჭრილობა, 9 აპრილის გახსენება ჰქვია.

კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა იმ დიდი პატივისათვის, რომელიც თქვენ და თქვენმა ჟურნალმა დამდეთ. მადლობა „გუშაგის“ რედკოლეგიის თითოეულ წევრს.

პატივისცემით ტატო ნინუა

ჩემი მისამართია: თბილისი-3, მეტეხის შესახვევი 136

1993 წ. 18 აპრილი. აღდგომა

ზვიად გამსახურდია – ლაზარეს მისტერია

1990 წელს გამოქვეყნდა ზვიად გამსახურდიას «საქართველოს სულიერი მისსია». რამდენიმე წლის შემდეგ ამ წიგნს მონათლავენ «პროვინციული ფაშიზმის სარკედ», მეორე «მაინ კამფპად», ქართული ნაციზმის თუ მესიანიზმის რაღაც ამაზრზენ ნიმუშად, რომელიც «კიდევ ერთხელ სახელს გვიტეხს მსოფლიოს თვალში», «წარმოაჩენს ჩვენს ჩამორჩენილობას, ობსკურანტიზმს» (პროფ. გ. ყორანაშვილი). საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი ე. შევარდნაძე ერთ-ერთ შეკრებაზე განაცხადებს, რომ გაეცნო «ამ ბროშურას, რომელიც ჰიტლერის «მაინ კამფპუზე» შორს მიდის». წიგნის გამოცხადება ფაშისტურ ქმნილებად, ცხადია, ემსახურებოდა იმ პოლიტიკას, რომლითაც ავტორი იხატებოდა, როგორც «ქართველი ჰიტლერი».

მაინც რა წერია ამ წიგნში, რა ძირითადი იდეებია გადმოცემული?

ჩვენ შევხვებით მხოლოდ ორ ლექციას: «საქართველოს სულიერ მისსიას» და «ქებად და დიდებად ქართულისა ენისადა»-ს. მკითხველს ვთხოვთ დაიმახსოვროს ის ფაქტი, რომ კრებული გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1990 წელს, მაშინ, როდესაც ზვიად გამსახურდია არ იყო ხელისუფლებაში მოსული და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს წარმოადგენდა მხოლოდ.

«ქართული ენა ლაზარეა ყველა ენებს შორის, იგი პირველადი ენაა, ისევე, როგორც ლაზარე – იოანე იყო მთავარი მოციქული იესო ქრისტესი, მოწაფე, რომელი უყუარდა იესოს და რომელიც იყო მისი უახლოესი სულიერი მეგობარი. იგი იყო ამავე დროს მეოთხედი

ღვთისმშობლისა, ისევე, როგორც საქართველო – ღვთისმშობლის წილხვდომილი...». პირველი ლექციის ეს სიტყვები ძირითადია ამ წიგნში და ამიტომაც ისინი გატანილია წიგნის თავფურცელზე. ლექციებში კი ავტორი ცდილობს დაასაბუთოს ზემოთთქმული ღვთისმეტყველების, მითოლოგიის, ისტორიის საშუალებით. კვლევის სტილი მართლაც მეტისმეტად განსხვავდება ჩვეულებრივმეცნიერულისაგან, ემპირიულისაგან. ავტორი ავითარებს ისეთ იდეებს, რომლებსაც ვერანაირი ზუსტმეცნიერული, ფაქტოლოგიაზე დამყარებული მეთოდებით ვერ დაასაბუთებ; მათი ჭეშმარიტება მხოლოდ სულიერ-ინტუიტური ზემთაწვდომით თუ შეიცნობა (ალბათ, ამიტომაც მოეჩვენა ეს იდეები პროფ. ყორანაშვილს «მანიაკის ახირებად» და «მარაზმატული გონების» ნაყოფად).

ამჟამად ჩვენი მიზანი არ არის ლექციების დაწვრილებით მიმოხილვა, მოკლედ გადმოვცემთ ძირითად იდეას, რაც წიგნშია, შემდეგ კი შევეცდებით ეს ყველაფერი განვიხილოთ თავად ავტორთან მიმართებაში, რადგან ავტორი მხოლოდ მეცნიერი არ გახლავთ, – ის იყო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, გარკვეული იდეალებისათვის მებრძოლი, ქვეყნის პრეზიდენტი და «ტრაგიკული ადამიანი», როგორც ხანდახან აღნიშნავენ ხოლმე.

ლექციების აზრი ასეთია:

2000წ.

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ

შესაძლოა, ზოგიერთი ჩვენი მოსაზრება მკითხველს გადაჭარბებდად ეჩვენოს, მაგრამ მაინც გვინდა გამოვთქვათ ჩვენი თვალსაზრისი საქართველოს უახლესი ისტორიის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის, ამავე დროს იდუმალი ფენომენის ირგვლივ.

ვისაც ოდნავი სულიერი ალღო გააჩნია, მისთვის ნათელია, რომ საქმე გვაქვს არამარტო პოლიტიკურ, არამედ რელიგიურ მოვლენასთან, ერთგვარ განცხადებასთან, რაც კავშირშია დღევანდელ მსოფლიო პროცესებთან და აშკარად აპოკალიფსური ხასიათისაა.

ცხადია, ცხედრის ირგვლივ შექმნილი «იდუმალეზა» ხელოვნური იყო და ფაქტების გაყალბებას ემსახურებოდა. საინფორმაციო გამოშვებები იმ დღეებში ხალხს აწვდიდნენ ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს და ვერსიებს პრეზიდენტის სიკვდილის შესახებ. ჯერ თქვეს, რომ მან გროზნოში «თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე», შემდეგ ითქვა, რომ «ჩეჩნებსა და გამსახურდიას დაჯგუფებას შორის ამტყდარი სროლის დროს დაიჭრა და მცირე ხანში გარდაიცვალა», იყო ცნობები, რომ პრეზიდენტმა «საზღვარგარეთ გააღწია მშვიდობიანად». უფრო ადრე, ჯერ კიდევ პრეზიდენტის სიცოცხლეში, საქართველოში მიზანმიმართულად გავრცელდა ინფორმაცია «ორეულის» შესახებ, რომელიც ძალიან ჰგავს პრეზიდენტს. ამ დროს უკვე შემუშავებული იყო კონკრეტული გეგმა პრეზიდენტის მკვლელობისა. ერთ-ერთმა საინფორმაციო გამოშვებამ გვაცნობა, რომ რომელიღაც უცნობ ჩინოსანს უთქვამს (თუ არ ვცდები, არაქართველ სამხედრო პირს), « - გამსახურდიას კარგად ვიცნობდი, არასგზით თავს არ მოიკლავდა, ამას გამოვრიცხავო». გადაცემა «საღამო მშვიდობისაში» ითქვა, რომ პრეზიდენტს განუკურნებელი სენი სტანჯავდა, (თქვეს «შარდის ბუშტის» კიბო) და ბუნებრივი აღსასრული თვითმკვლელობით დააჩქარა. საგულისხმოა, რომ იმ დღეებში მერაბ კოსტავას დედას დაურეკა «უცნობმა» და აცნობა, რომ «ზვიადი

ცოცხალია, საზღვარგარეთაა უვნებელი და არ «ინერვიულონ».

მართლაც, ტელევიზიით ვნახეთ ექსპერტული ცხედარი, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში, რომ დაზუსტებით ვერავინ იტყოდა, იყო თუ არა ეს ზვიად გამსახურდია. ცხედარი სწორედ იმ საზღვრამდე იყო დაზიანებული, რომ ხილვით ამოცნობა მაცურებლისათვის შეუძლებელი გამხდარიყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ექსპერტული განგებ გააჭიანურეს ერთადერთი მიზნით, ცხედრის დაზიანებისათვის. რადგან ადრე თუ გვიან იგი უნდა გამოჩენილიყო და სხვადასხვა ვერსიებით დაიმედებულ ხალხს ვერ უნდა ეცნო იგი. მხოლოდ ორმოცი დღის შემდეგ გახდა შესაძლებელი «ადგილსამყოფელის დადგენა» და პრეზიდენტის ნემტის გადასვენება ჩეჩნეთში.

ამგვარია ფაქტები.

ზვიად გამსახურდიას უკანასკნელ დღეებში ეტაპობრივად შემოეცალა მცველები და მათი რაოდენობა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. რამდენიმე ხნის შემდეგ იგორ გიორგაძე ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადებს, რომ მისი სამსახური პრეზიდენტს «ხელოვნურად უქმნიდა ვაკუუმს გარშემო».

ცხადია, თვითმკვლელობა გამორიცხებულია. თვითმკვლელობა დაარღვევდა ზვიად გამსახურდიას კანონზომიერად მოწამებობრივ ბიოგრაფიას და ვისაც მცირედი სულიერი ალლო გააჩნია, მისთვის ნათელია თვითმკვლელობის ვერსიის სყალბე ამ შემთხვევაში.

მაშ, რატომ დასჭირდათ ესოდენ ძლიერი აქცენტის გაკეთება მაინცამაინც თვითმკვლელობაზე?

ამით იქმნებოდა აზრი და განცდა, რომ «ქართველმა ჰიტლერმა, ზედირებულოვანი ნაციონალისტური იდეებით შეპყრობილმა, იგრძნო თავისი შეუქცევადი მარცხი, მიხვდა, რომ ველარასოდეს მიაღწევდა თავის დემონურ მიზნებს და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა». პრეზიდენტს ხომ ჯერ კიდევ სიცოცხლეში შეუქმნეს «ფაშისტისა და დემოკრატიის მტრის» სახელი.

ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ორგანიზატორები მიზანმიმართულად მუშაობდნენ რამდენიმე მხრივ – მსოფლიო საზოგადოებრიობაზეც და ხალხის დიდ ნაწილზე – «ზვიადისტებზე». მსოფლიო საზოგადოებას ჩამოუყალიბეს ფაშისტი დიქტატორის ხატი, რომელიც ებრძვის დემოკრატიას. ქართველი ხალხი დააბნიეს ურთიერთგამომრიცხავი ვერსიებით და ამით შეაკავეს მასიური აღშფოთების და თავგანწირვის მოსალოდნელი აფეთქება «ზვიადისტებში».

ხალხის აღშფოთების «დამუხრუჭების» ეს მექანიზმი შეიმუშავა იმან, ვინც კარგად უწყის სამართლიანი გამწარების ძალა, რომელიც სათავეს სიყვარულიდან იღებს და რომლის შეჩერება შეუძლებელია რაგინდარა ძალმომრეობით. ამიტომაც მოხდა «თანდათანობითი შეპარება» მტკივნეული სიმართლისა. ფსიქოლოგიური შეგუება, სხვადასხვა დაიმედებების პარალელურად.

ვფიქრობთ, ამავე მიზანს ემსახურებოდა პრეზიდენტის ცხედრის წინასწარ გათვლილი გაფუჭება ექსპერტულამდე, მანამდე «ორეულის» შესახებ გავრცელებული ჭორი. ამით «გულუბრყვილო» ზვიადისტებს უნდა ერწმუნათ, რომ ეს პრეზიდენტი არ არის, იგი უვნებლადაა გადარჩენილი და ა.შ. უნდა ერწმუნათ, რომ ეს ყველაფერი ხელოვნურადაა დადგმული თავად პრეზიდენტის მიერ, ისევ და ისევ საქართველოს სასიკეთოდ. აქ მზაკვრულად ისარგებლეს ხალხის უსაზღვრო სიყვარულით პრეზიდენტისადმი, რომლის გამო ადვილი იყო ამის დაჯერება და მასიური აღშფოთებაც შეკავდა.

სხვა შემთხვევაში, მსოფლიოში ცნობილი დისიდენტისა და კანონიერი, ძალით დამხობილი პრეზიდენტის მკვლელობა ასე უხმაუროდ არ ჩაუვლიდათ მკვლელებს. ვიღაცის ჯოჯოხეთურ გონებაში დაიბადა იდეა პრეზიდენტის ცხედრის გახრწნისა (მკითხველმა მოგვიტევეს ასეთი უხეში სიტყვების ხმარება), მაგრამ ლაზარეს მისტერიაც, მის უნებურად, სწორედ ამით შედგა. უფალი წინასწარ ჭვრეტს ყოველივეს. ქრისტეს ჯვარმცემლებსაც

ეგონათ, რომ ეს მათი იდეა იყო, მაგრამ ჩაიდინეს ის, რაც საუკუნეებით ადრე დაეწერათ წინასწარმეტყველებს. ალბათ, იმავე გონებაში დაიბადა აზრი პრეზიდენტისთვის თვითმკვლელობის დაბრალებისა...

საგულისხმოა ე. შევარდნაძის სიტყვები, რომლებიც იმ დღეებში წარმოითქვა მოქალაქეთა კავშირის ტრიბუნიდან ერთ-ერთ შეხვედრაზე: «არ ვიცი, ცხონდება თუ არა ზვიად გამსახურდია..., თუ მართლა მკვდარია. მე მოვითხოვე და მომიტანეს ის ბროშურები – მის დროს გამოშვებული. ეს ჰიტლერის «მან კამფუზე» შორს მიდის...». ე. შევარდნაძე, ალბათ გულისხმობდა «საქართველოს სულიერ მისსიას» (რაც უმჭიდროეს კავშირშია თავად პრეზიდენტის გარდაცვალებასთან, რელიგიური თვალსაზრისით; ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

ვხედავთ, რომ ყველანაირად ცდილობდნენ გამსახურდიასა და ჰიტლერს შორის «პარალელის» დამკვიდრებას ადამიანთა ცნობიერებაში.

ალბათ ბოროტება და უზნეობა ამაზე შორს ვერ წავა, მაგრამ გვინდა დავაკონკრეტოთ, ბოროტების რომელი სახეა ეს, რა ფორმის კულმინაციას წარმოადგენს.

როდესაც იესო ქრისტეს ცილს სწამებენ, რომ იგი «ბელზებელი დევნის ეშმაკებს», უფალი ჩვენი მიუგებს ცილისმწამებლებს, რომ «სატანას არ ძალუძს სატანის დევნა» და დასძნეს: «ყოველივე გმობა მიეტევებათ კაცთა, გარდა სულიწმინდის გმობისა». სულიწმინდის გმობა არ მოგეტევებათ არც მიწიერ სიცოცხლეში, არც საუკუნოდ. კ. გამსახურდიას უთქვამს ერთხელ:

«თუ გსურს კაცი გაანადგურო, ის უნდა დასწამო, რის წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება იბრძოდა».

ზვიად გამსახურდიასთვის «სატანისტობის», «ჰიტლერობის» დაბრალება – სულიწმინდის გმობაა.

მაგრამ ბოროტების ამ უმაღლესმა გამოვლინებამ – სულიწმინდის გმობამ – თავის კულმინაციას მიაღწია სწორედ ზვიად გამსახურდიას «თვითმკვლელობის» დროს. ეს იყო სულიწმინდის გმობა არამარტო სიტყვით, არამედ საქმით. ადამიანს კლავ, შემდეგ ცხედარს მიწაში აჩერებ განგებ, 40 დღის განმავლობაში და თან ავრცელებ ინფორმაციას, რომ «სასოწარკვეთილმა ჰიტლერივით მოიკლა თავი...»

ჩვენი ფიქრით, რელიგიური თვალსაზრისით, აქ საქმე გვაქვს სულიწმინდის გმობის არნახულად მასშტაბურ გამოვლინებასთან, მსოფლიო თვალსაზრისით.

ცხადია, პრეზიდენტის მოკვდინებას უშუალოდ ითვალისწინებდა ის გეგმა, რომელიც შეადგინეს «ახალი მსოფლიოს» არქიტექტორებმა და რომლის საბოლოო მიზანია ევროამერიკული მსოფლიოს შექმნა, ე.წ. «ახალი მსოფლიო წესრიგის» დამყარება. ამაზე ვრცლად შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ მოკლედ ვიტყვით, რომ, ჩვენი აზრით, ხსენებული გეგმა ითვალისწინებს ეროვნული თვითმყოფადობის წაშლას. ერთა გათქვეფას. ერთიანი უსახო კონგლომერატის შექმნას. ეს დინება (რომლის საწინააღმდეგოდაც «მიცურავდა» საქართველოს პრეზიდენტი) საბოლოოდ აპოკალიფსურ ჟამამდე მიიყვანს კაცობრიობას და ამის ნიშნები დღესვე ჩანს.

ზვიად გამსახურდიას «საქართველოს სულიერი მისსია» განსაზღვრავს ქართველი ერის როლს და მოწოდებას ესქატოლოგიურ დროს. ქართველი ერი, საქართველო შედარებულია ლაზარესთან. ზვიად გამსახურდიამ სრულად გახსნა იოანე ზოსიმესეული თეოსოფიური თხზულების დაფარული მხარეები და მნიშვნელობანი, რაც, ცხადია, მხოლოდ მეცნიერი კვლევის უნარს არ უნდა მივაწეროთ. სწორედ მას უნდა გაეცხადებინა ქართველი ერის ლაზარეობა დღევანდელ ეპოქაში, მას უნდა გაეშიფრა «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი» სრულყოფილად. ვინაიდან თავად იგი, ზვიად გამსახურდია, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, არის ლაზარე.

4 დღის მკვდარი ლაზარე და 40 დღის მანძილზე საქართველოში დაკრძალული ზვიად გამსახურდია. რამდენიმე საფლავი, ცხედრის ხრწნილება («უფალო, ყარს...»), ეს ყველაფერი

– საკრალური დამთხვევებია. ვისაც უნახავს პრეზიდენტის გამოსვლები უკანასკნელ მიტინგებზე სამეგრელოში, დაგვეთანხმება, რომ პრეზიდენტი მეტისმეტად შეცვლილია გარეგნულად. გამხდარია და დასუსტებული. უნებურად ხშიანდება გონებაში: «სნეულებად ესე არა არს სასიკვდილე, არამედ რათა ძე ღმრთისა იდიდოს მისგან...». განსაკუთრებით გამხდარია ცხედარი.

ჩვენ ვნახეთ სხვადასხვა ფოტოები ცხედრისა. ერთი მათგანი იპყრობს ყურადღებას განსაკუთრებით, რადგან მასზე პრეზიდენტი საოცრად ჰგავს ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახულ ლაზარეს («ლაზარეს აღდგინება», ვგონებთ, XII საუკუნის ფრესკა).

40 დღე, 4 საფლავი, ცხედრის ხრწნილება, სიკვდილამდე «დნობის» მომენტი. (გავიხსენოთ იგორ გიორგაძის ინტერვიუ: «ის მისივე მომხრეების თვალწინ დნებოდა არამარტო პოლიტიკურად, არამედ ფიზიკურად...») ამავე «დნობას» უკავშირდებოდა ხალხის, მცველების შემოცლა გარშემო, ეტაპობრივად და მიზანმიმართულად განხორციელებული, მეორეს მხრივ, სახარების ლაზარე – ოთხი დღის მკვდარი უცნობი სნეულებით, გაფუჭებული ცხედარი.

რისი სიმბოლო უნდა იყოს, რაზე უნდა მიანიშნებდეს რამდენჯერმე დასაფლავება? ცხადია ამას თავისი ეზოთერული დატვირთვა უნდა ჰქონდეს.

«საქართველოს სულიერი მისსია» ნათელს ჰფენს ამ საკითხსაც: ესაა დიდი ქრისტიანული საიდუმლო, სიკვდილით ნათლისღება, დაფლვა და აღმოსვლა თითქოს ეტაპებია,

სიმბოლურად რომ განასახიერებს 4000 წლის დამდაბლება-დაწუნებას ქართველი ერისას, და საბოლოო აღდგომის გარდუვალობას, ამავე დროს უკავშირდება წყლით ნათლისღების ქრისტიანულ რიტუალს.

სიკვდილით ნათლისღების (იგულისხმება მოწამებრივი სიკვდილი, «ქრისტესათვის დამოწმება»), ინიციაციის არსი თავად ზვიად გამსახურდიას აქვს განმარტებული «საქართველოს სულიერ მისსიაში». ლაზარეს ბედი დაკავშირებულია ქრისტეს ბედთან. მისი სიკვდილი და აღდგომა უფლის სიკვდილთან და აღდგომასთან, – პირადმიგმატულად, დროში ლაზარეს მისტერია წინ უსწრებს გოლგოთის მისტერიას, ისევე, როგორც ზვიად გამსახურდიას მისტერია წინ უსწრებს უფლის მეორედ მოსვლას.

ლაზარესთან მიმავალი მაცხოვრის შეყოვნება გზაზე, ჩვენის ფიქრით, ამის სიმბოლოა.

ჩვენ ვერ მოვიცავთ ყველა კავშირს ქართველს ერს, ლაზარესა და ზვიად გამსახურდიას შორის, ამიტომ მკითხველს ვთხოვთ, თავადაც ჩაულრმავდეს ამ კავშირებს. «საქართველოს სულიერი მისსია» ამომწურავ პასუხებს იძლევა ამ საკითხებზე, რომელთა უმრავლესობა თავად ავტორს უკავშირდება.

«და სასწაულად ესე აქუს – ოთხმოცდაათოთხმეტი წელი...» ზვიად გამსახურდია კითხულობს: «რა წელია ეს წელი?» და დაასკვნის, რომ ესაა იოანეს აპოკალიფსის შექმნის თარიღი, და აგრეთვე სახარებისაც. იოანეს აპოკალიფსით და სახარებით იდიდაო უფალი, – ამბობს ზ. გამსახურდია თავის ნაშრომში. მაგრამ «ოთხმოცდაათოთხმეტი წელი» ამავე დროს არის 1994, როცა საქართველოს მიწაზე გაცხადდა ლაზარეს მისტერია.

საკრალური დამთხვევები არის სხვა ციფრებთან და თარიღებთან დაკავშირებითაც (9 აპრილი, 1989 წელი, 1991 წელი, 1994 წელი და სხვ.), მაგრამ ამაზე აქ აღარ შევჩერდებით.

«საქართველოს სულიერი მისსია» ნათელს ჰფენს ქართველი ერის მისსიას უფლის მეორედ მოსვლის წინარე პერიოდში და თავად მეორედ მოსვლის ჟამს. ესაა ცოდვილი კაცობრიობის მხილება, ანუ «წარმართთა მწყემსვა რკინის კვერთხით» (კვერთხი – სიმართლის სიმბოლოა), მანამდე კი უფლისათვის და სიმართლის სახელით არნახული მოწამებრიობა და ლაზარეს ხვედრის გაზიარება. «ქართველი ერის გზა ეკლიანი გზაა, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა», – ხშირად ამბობდა თვითონ პრეზიდენტი.

როგორც ვთქვით, ლაზარე და ზვიად გამსახურდია სულიერ პლანში იდენტურია, ამდენად, საიდუმლო ბოლომდე უნდა აღსრულდეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეორედ მოსვლას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი გარდაუვალად მოჰყვება ანტიქრისტიანული

კაცობრიობის მიერ ჯვარცმული ლაზარეს აღდგინება, «რათა უფალი იდიდოს მისგან»; ანუ ზვიად გამსახურდია აღდგენილი იქნება უფლის მიერ სწორედაც ცოდვილი კაცობრიობის განსაკითხავად და «რკინის კვერთხით დასამწყემსად». ხოლო, როდესაც საუბარია იმაზე, რომ უფალი ქართველი ერის მეშვეობით განიკითხავს დანარჩენ კაცობრიობას, აქ, ჩვენის აზრით, უნდა იგულისხმებოდეს ქართველი ერი მთლიანად, ყველა დროს არსებული ადამიანებით, მოწამეებითა და წმინდანებით, და არა მხოლოდ ის ქართველები, რომლებიც აპოკალიფსურ ჟამს მიაღწევნენ. ჩვენ იმის თქმა არ გვსურს, რომ ზვიად გამსახურდია თავად განიკითხავს კაცობრიობას, არამედ – იგი ისეთსავე მიმართებაში იქნება მეორედ მოვლინებულ უფალთან, რა მიმართებაშიც იყო ლაზარე ბეთანიელი მაცხოვართან პირველად მოსვლის, განკაცების დროს, სახარებაში. ეს მიმართება კი განისაზღვრება სიტყვა «მეგობრის» ზეციური მნიშვნელობით, რომელსაც გულისხმობს იოანე ზოსიმე: «...და მეგობრობით ამისათვის თქუა...» და რასაც თვითონ ზვიად გამსახურდია განმარტავს თავის ნაშრომში.

მეორედ მოსულ უფალს უნდა ჰქონდეს «დასაყრდენი», თუ შეიძლება ასე ითქვას. ასეთი დასაყრდენი აღმოჩნდება, ჩვენის ფიქრით, ქართველი ერი, საქართველო, მისი მოწამეობრივი ისტორიითა და დამდაბლება-დაწუნებით, რათა «დამწუნებელნი» – ახლა უკვე მთელი

ცოდვილი კაცობრიობა – განკითხულ იქნან. ისევ ხმიანდება გონებაში: «ლოდი, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა...»

სწორედ ზვიად გამსახურდიას მოვლინების სახეა იყო იოანე ზოსიმეს «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი». საუკუნეებით ადრე დაწერილი. თვითონ სახელი – ზვიად გამსახურდია, – ჩვენის აზრით, ატარებს დაფარულ რემანტიულ შინაარსს, რაც, ერთი შეხედვით, პარადოქსულია, მაგრამ ზუსტი ამავე დროს, და იგი დაკავშირებულია უპირველეს ყოვლისა «მსახურების» მნიშვნელობასთან.

დღეს, ვფიქრობ, უკვე «დამწუნებელი მშენებლებისთვისაც» გაცხადდა ბევრი რამ, ამიტომაც აშკარა და გაცნობიერებულ ღვთის მებრძოლებად მოგვევლინნენ. ამიტომ სურთ, საქართველო, პირველ რიგში ზნეობრივად გახრწნან, გადააგვარონ, ათასი საცდურით მოხიბლონ ქართველები. განსაკუთრებით იღვვიან ახალგაზრდობის ზნეობრივი დეგრადაციისათვის, რათა უზნეო და «დასავლურმა» საქართველომ სამართლიან უფალს წაართვას შესაძლებლობა მადლის ზეგარდამოვლენისა ჩვენზე და ამით ბოლომდე მათ ტყვეობაში აღმოეჩნდეთ, უფლის მადლის გარეშე დარჩენილნი.

დღევანდელ ჩვენს ზნეობაზე და სიმტკიცეზე, ალბათ, ბევრი რამაა დამოკიდებული. დღევანდელი «მსოფლიო პოლიტიკოსები» შინაგანად ათეისტები კი არ არიან, არამედ – ღვთისმბრძოლები, უკვე ცნობიერი მტრები სიკეთისა. ისინი იბრძვიან სულის წინააღმდეგ. თუკი ჩვენ ჩვენი ზნეობით ღირსნი ვიქნებით ამისა, უფლის მეორედ მოსვლის ჟამს ალბათ აუცილებლად ითქმება შვების სიტყვები: «ლაზარე, გამოვედ გარე».



საქართველოს მისტერია

რას ნიშნავს ე. შევარდნაძის ინაუგურაცია აღდგომა დღეს

ე. შევარდნაძის ინაუგურაცია აღდგომას, ემოციურად რომ ვთქვათ, არის სატანის ზეიმი საქართველოში. ეს არის ერთდროულად ცინიზმიც წმიდათაწმიდა დღესასწაულის მიმართ (ისევე, როგორც სატანური ცინიზმი იყო «არჩევნების» გამართვა 9 აპრილს) და შორს გათვლილი ნაბიჯიც. ვერ დავიჩემებთ, რომ სწორედ შევარდნაძემ გათვალა საკუთარი ინაუგურაცია აღდგომას (თუმცა, შეიძლება ასეც იყო), უფრო ეს იყო სატანის «სიურპრიზი» საკუთარი «ხელდასმულის» მიმართ, რაღაც სატანური კანონზომიერების გამოვლენა, რადგან 2000 წლიდან იწყება სატანის აღზევების ეტაპი, მისი მძლავრობის ჟამი.

ე. შევარდნაძის ინაუგურაცია აღდგომა დღეს – ესაა ანტიადგომა საქართველოში, ღვთის გმობის არნახული გამოვლინება. მაგრამ ღვთის მოწინააღმდეგე მზაკვარია და ბევრი რამ იცის თვით ღვთის «სფეროდან», მისი გათვლითი გონი წარმოდგენლად დახვეწილია დღეს. ამიტომ მან იცის, რა შემთხვევაში წაართმევს ღმერთს ჩვენზე მაღლის გარდამოვლენის საშუალებას, რაც მისი მთავარი მიზანია. ამ შემთხვევაში ადამიანები მოწყვეტილნი ვიქნებით ღმერთისაგან და უმადლოდ მას მიეცემა სრული საშუალება ჩვენი მართვისა, ჩვენი სულების დაუფლების. მან იცის, რა შემთხვევაში ვეღარ «ჩაერევა» ღმერთი «ჩვენს საქმეებში». აღდგომა დღეს ამ გაუგონარი მკრეხელობის დაფიქსირება, რომ ქართველები მმართველად «ვაკურთხებთ» მის ხელდასმულს უკიდურესად მოგვაშორებს უფალს და სატანამაც სწორედ ამაზე გათვალა.

რატომ მაინცდამაინც საქართველოში?!

იმიტომ, რომ ღვთის მოწინააღმდეგე ძალებიც ემზადებიან აპოკალიფსური ჟამისათვის, ისევე, როგორც ანგელოზნი და კეთილი ძალები, და მათ იციან საქართველოს მისია, უფლისაგან დაკისრებულ აპოკალიფსურ ჟამს აღსასრულებლად. ამის ჩაშლაა მარტივად რომ ვთქვათ, მათი მიზანი. უფალი ყოვლისშემძლე მაშინაა, როცა ჩვენი კეთილი ნებაცაა საამისოდ. თუ ჩვენ ბოროტისკენ ვართ ნებაყოფლობით და ცნობიერად მიქცეულები, თუ აღდგომა დღეს ბარაბას ვადგამთ თავზე გვირგვინს სიხარულით, იქ სამართლიანი უფალი «უძლურია». ძალით შეცვლა ნებისა ჩვენთვის – მის კეთილ არსს ეწინააღმდეგება. ეს იცის მისმა მოწინააღმდეგემ და რაც მეტი უზნეობა იქნება საქართველოში, რაც მეტი გმობა სიწმინდისა, მით ვეღარ აღსრულდება ის, რაც საქართველოზეა დაწერილი (წმინდა წერილები სატანამაც იცის).

აი, ეს საფრთხე ემუქრება ახლა საქართველოს და მასზე განსაკუთრებულად «მუშაობენ» სატანისმიერი არსებები.

შეიძლება ჩვენი წარმოდგენა გადაჭარბებულად ეჩვენოს მკითხველს, ფერები გამუქებულად, მაგრამ ვფიქრობთ ეს სწორედ ასეა და ხსენებული საფრთხის გაცნობიერება გვიბიძგებს სწორი ქმედებისაკენ, რათა შეძლებისდაგვარად წინ აღვუდგეთ (სულიერ პლანში) ამ ყველაფერს, ისევე უფლის შეწევნით და ჩვენი მხრიდან საამისო «მსხვერპლის» გაღებით, თვითდათმობის რაღაც ხარისხით. . .

2000წ. აღდგომა

ზვიადისტების შემორიგების შესახებ

ამჟამად (2000წ აპრილი-მაისის თვიდან) ე. შევარდნამე ცდილობს ზვიად გამსახურდიას მომხრეთა «შემორიგებას» და «დასაქმებას ქვეყნის საკეთილდღეოდ». იგი ამისთვის საკმაოდ დაჟინებითა და მიზანდასახულად იღწვის, და, ცხადია, მიზანი ახლაც ანგარებიანი აქვს, თან ამჯერად მისი მიზანი არის ხალხში ზვიად გამსახურდიას ცოცხალი ხსოვნის თანდათანობით წაშლა და პირველი პრეზიდენტის სახელის დატოვება ისტორიაში მხოლოდ ფორმალურად. ე. შევარდნამის (და მისი ზეგრძობადი ინსპირატორების) ინტერესებში საციცოცხლოდ შედის ზვიად გამსახურდიას როლისა და მნიშვნელობის დაკნინება და მისი წარმოსახვა მხოლოდ «გულანთებულ მამულიშვილად, რომელმაც რაღაც კარგიც გააკეთა, მაგრამ გონება არ ეყო ქვეყნის მართვისათვის». ე. შევარდნამეს და იმ ძალას, რომელიც ინსპირაციას უწევს მას ზეგრძობადი სფეროებიდან, სურთ ზვიად გამსახურდიაზე მარტო მწირი, მშრალი ინფორმაციის დატოვება მომავალი თაობებისათვის, ხოლო ხალხისადმი სიყვარულის გაქრობა. მომავალი თაობის ქართველს, რომელიც არ მოსწრებია ზვიად გამსახურდიას, უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ პირველი პრეზიდენტი იყო «ცოტა იდიოზური ფიგურა», შემთხვევით ამოსული მაშინდელ მოვლენათა ზედაპირზე. ეს შევარდნამეს მარტო და უმთავრესად იმისათვის კი არ სჭირდება, რომ საკუთარი პრეზიდენტობის დიდმნიშვნელობას გაუსვას ხაზი, არამედ ეს სჭირდება, უპირველეს ყოვლისა, მის ზეგრძობად ინსპირატორს ქართველი ერის დენაციონალიზებისათვის, ზნეობრივი განადგურებისათვის, შევარდნამე კი დღეს საუკეთესო იარაღია მის ხელში, ამ ეტაპზე. თუ რატომაა ამ ძალებისათვის ასე მნიშვნელოვანი ქართველი ერის გადაგვარება ადვილი გასაგები იქნება მისთვის, ვინც გაიაზრა და იგრძნო ზვიად გამსახურდიას «საქართველოს სულიერი მისსია».

საქართველოში მომავალი თაობები პირველი პრეზიდენტისადმი მოწიწებისა და სიყვარულის გრძობით, რომ გაიზარდონ, საქართველო არ იქნება ისეთი, როგორც ღვთის წინაღმდეგომს სურს. ამიტომაც ის (ე. შევარდნამის ხელით ამჟამად) იღწვის ზვიად გამსახურდიას სიყვარულის დასასამარებლად საქართველოში. სამაგიეროდ უნდა განდიდდეს ე. შევარდნამე, როგორც «უბრძენესი პრეზიდენტი საქართველოს ისტორიაში», რომელმაც ერი «მოწინავე ქვეყნებს ამოუყენა გვერდით», «დიდ პოლიტიკას აზიარა» და მისთ.

აი, ეს პროცესი იწყება ახლა. ის იწყება ე.წ. «შემორიგებით. დემაგოგიური ხუმრობა: თუ რაიმეს იტყვი ამ «შერიგების» წინააღმდეგ, ქვეყნის მტრად შეგრაცხავენ. როგორ, შენ არ გინდა გახლჩილი ერის გამთლიანება? ისევ სამოქალაქო დაპირისპირების მომხრე ხარ?

რა თქმა უნდა შერიგება არ უნდა მოხდეს. პირიქით, ზვიად გამსახურდიას მომხრეები უნდა გაემიჯნონ იმ «ცრუმშენებლობას» ქვეყნისას, რომელიც სისხლითა და ტბორებით დაიწყო და რომლის არქიტექტორებიც ახლა ყველაფრის მიფუჩეჩებას, ხვერდოვნად გადავიწყებას გეგმავენ.

ყოველივე, რაც დღეს ხდება, ჩვენი აზრით, სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს: გამოვიდა, მაგალითად წიგნი, «საქართველოში პრეზიდენტობის ინსტიტუტისა და ტრადიციების შესახებ», სადაც გვერდიგვერდაა მოთავსებული ზვიად გამსახურდია და ე. შევარდნამე. ამით ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ ერთი პრეზიდენტის შეცვლა მეორე «პრეზიდენტი» მოხდა ლეგიტიმურად, ჩვეულებრივად, (როგორც მაგალითად, ამერიკაში რეიგანს მოჰყვებუში), რომ არანაირი სერიოზული მსოფლმხედველობრივი, ბიოგრაფიული დაპირისპირება ზვიად გამსახურდიასა და ე. შევარდნამეს არ ჰქონდა და რომ გასხვავება მხოლოდ მასშტაბშია: ზვიად გამსახურდია «უუნარო, უფერული მმართველი» იყო, ე. შევარდნამე კი საქართველოს «გამყვანია დიდ მსოფლიო ასპარეზზე».

ამიტომ მიგვაჩნია, რომ «შერიგების კამპანია» საქართველოს სულიერების წინააღმდეგაა მიმართული და ვფიქრობთ, ზვიად გამსახურდიას ყველა მომხრემ უნდა გააცნობიეროს, ზვიადი ასეთ საქართველოზე არ ოცნებობდა, რომელიც დღეს შენდება ისევ მისი სახელის სპეკულირებით.

2000წ.

მშვენიერება, სიკეთის სული და ბედნიერება

ხელოვნების არსი მშვენიერებაა. მშვენიერების კატეგორია ვერ განისაზღვრება იოლად, თუმცა მის განსაზღვრაზე ბევრს უმტკრევია თავი და ნაირგვარი კონცეფციებიც შეუთავაზებია შთამომავლობისთვის. სილამაზე თითქოს თავისთავად არსებობს და სულაც არ აინტერესებს, რას ფიქრობენ მის შესახებ ფილოსოფოსები. მისით მოგვრილი აღმაფრენა არ გეუბნება, საიდან მოდის, რა „შედგენილობისაა“, მაინც რითაა გამოწვეული... გონივრული იქნებოდა, რომ ამაო სჯა-ბაასისთვის თავი დაგვეწებებინა და დავმტკბარიყავით მხოლოდ, დავმტკბარიყავით ამ იდუმალი სტუმრით, რომელიც დროდადრო ეწვევა ხოლმე ჩვენს სამშვიდველს და ადავსებს მას ნაირგვარი, მრავალფეროვანი და მომხიბვლელი განცდებით. რა საჭიროა ცოდნა იმისა, თუ რა არის მშვენიერება? განა არ კმარა სიხარული იმით, რომ იგი არის? რომ მას ძალუმს ერთ წუთში გააბედნიეროს მგრძნობიარე ადამიანი, ზეცამდე აიტაცოს მისი გრძნობა, აღმაფრენით ადავსოს მისი გული?

მშვენიერების გრძნობას ძალუმს იქცეს ბედნიერებად ადამიანისათვის, ხოლო ბედნიერების მიღწევა უკვე ნიშნავს, რომ ადამიანს სხვა არა დარჩენია, თუ არა ის, რომ იყოს ბედნიერი. ხელოვნების ამა თუ იმ ქმნილებას ძალუმს, ადამიანს განაცდევინოს გამოუთქმელი ნეტარება და ბედნიერება, გრძნობა მშვენიერთან და ამაღლებულთან ზიარებისა — ეს კი ყველაფერია, რაც ადამიანს უნდა სურდეს და რომლის იქითაც უკვე არარაობა იწყება.

მაგრამ ყველანაირი მშვენიერება როდია დაკავშირებული ბედნიერების განცდასთან. არის ფორმები მშვენიერებისა, რომლებიც მხოლოდ ტკბობას ანიჭებენ, ყოველგვარ ზეადმაფრენასა და გულისძგერას მოკლებულს, მხოლოდ პასიურ ტკბობას. ასეთი „მშვენიერება“ უფრო დაბლა ეწვეა ადამიანს, ვიდრე ზევით აჰყავს. სხვათა შორის, აქ ჩვენ მხოლოდ მეშჩანურ „სილამაზეებს“ არ ვგულისხმობთ, რომლებიც უყვარს მდარე გემოვნებას. აქ იგულისხმება სტატიკური, ოდენ

ფორმისმიერი „გაშეშებული“ მშვენიერება, რომელიც შეიძლება იყოს მძაფრი ტკბობის მომგვრელი, მაგრამ ბედნიერების განცდასთან არაფერი აქვს საერთო.

ვინაიდან ყოველი ადამიანი, ჩვენი აზრით, უნდა ილტვოდეს სრული ბედნიერებისაკენ, ხოლო ბედნიერება თავისთავად გულისხმობს მშვენიერებას და, ალბათ, მის გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ ჩვენ უნდა გავარკვიოთ, რატომაა ერთი ფორმა მშვენიერებისა აღმაფრენის მომნიჭებელი, ხოლო მეორე — „უსულგულო“.

„უსულგულო“ მშვენიერებას ახასიათებს მათემატიკურად გამოზომილი ფორმები, უნაკლო, მხოლოდ გარეგნულ-ვიზუალური ხატები, რომლებიც კმაყოფილებას ანიჭებენ მაცქერალს, მაგრამ ეს სიამოვნება ჰგავს ჰაშიშით მოგვრილ სიამოვნებას, სადაც სიხარულს ადგილი არა აქვს.

„მშრალისაგან“ განსხვავებით, „ზეადმტაცი“ სილამაზე გაჯერებულია კიდევ სხვა რაღაცით, რაც მას ანიჭებს უნარს, ვინმე გახადოს ბედნიერი. რა არის ეს „სხვა რაღაცა“? ეს სიკეთის სულია. სიკეთის სული და მშვენიების სული სინთეზში ჰქმნიან ბედნიერების განცდას. მორალური იმპულსით, სიყვარულით გამსჭვალული მშვენიერება ადამიანს ბედნიერებად ექცევა. სიყვარულისაგან დაცლილი სილამაზე, ოდენ ფორმისმიერი, მართალია, დამატკობელია, მაგრამ, ასე ვთქვათ, „სტატიკურია“. აღმაფრენის დინამიკა არ არის მასში.

ბედნიერება არ არსებობს სიყვარულის გარეშე. სიყვარულის გარეშე ყველა დადებითი განცდა სიამოვნებაა მხოლოდ, სიამოვნება და ბედნიერება კი სხვადასხვა ცნებებია: ბედნიერება იწყება იქ, სადაც სიამოვნება მთავრდება. ანუ ბედნიერების განცდა მხოლოდ მორალური შეიძლება იყოს. ყველა სხვა მდგომარეობა ნეტარებისა მხოლოდ სიამოვნების ფარგლებში თავსდება. ამიტომაც, როცა მშვენიერებას მორალი განმსჭვალავს, სილამაზეს სიკეთის სული ერწყმის, მაშინ იქვე იბადება ბედნიერებაც, როგორც გარდაუვალი მხლებელი. ოსკარ უაილდის ლამაზი ხატ-სახეები ძირითადად მოკლებულნი არიან მორალურ იმპულსს, ამიტომაც მათ მხოლოდ ადამიანის დატკობა შეუძლიათ, უშინაარსო სილამაზეს არ შეიძლება ჰქონდეს მორალური საფუძველი, არ შეიძლება განმსჭვალული იყოს სიკეთის სულით, რადგან სიკეთე უკვე შინაარსია და არა ფორმა. სიკეთე უკვე იდეაა.

რომანტიზმი

როდესაც ვამბობთ, რომ ადამიანი უნდა ელტვოდეს უმაღლესი ბედნიერების განცდას, რომელსაც მას ანიჭებს მშვენიერებისა და მორალური სულის სინთეზი, ამ „განცდაში“ ჩვენ ვგულისხმობთ ნათელ, ჯანსაღ და სიხარულიან რომანტიზმს და არა საექვო ნეორომანტიკულ მიმდინარეობას.

რომანტიზმი უანგარო განცდაა. მას ვერ დავარქმევთ სიამოვნებას, რადგან უფრო ამაღლებულია, ვერც მართოდენ სიკეთეს, რადგან უფრო უხვფეროვანია. რომანტიზმი ზეადმტაცია და სწორედ მას ძალუძს ადამიანი ამყოფოს ბედნიერების საოცნებო განცდაში. რომანტიზმი — ყველაფერია, ყველაფერია ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც სული პრაგმატიზმის ანგარებით არ დამძიმებია და ვინც ბედნიერების განცდისთვის ბოლომდე არ დაყრუებულია.

რომანტიზმისთვის ღირს ცხოვრება ამქვეყნად და რომანტიზმისთვის უნდა იცხოვროს ადამიანმა. ადამიანმა უნდა იცხოვროს რომანტიკულად.

ის, ვინც გრძნობს საკუთარ თავში რომანტიზმის უკმარისობას და სურს აიმაღლოს უნარი რომანტიკული განცდისა, უნდა შეეგუოს აზრს, რომ ამას ადვილად ვერ მოახერხებს. ამას სჭირდება შრომა, მაგრამ შედეგი ამ შრომისა ღირს ყველაფრის გაღებად, რაც ადამიანს გააჩნია და რასაც ადამიანი უფრთხილდება ვიწრო ეგოისტური მოსაზრებებით. „გაყიდეთ ყველა მარგალიტი და იყიდეთ ყველაზე ბრწყინვალე და ძვირფასი“ — ეს ძვირფასი მარგალიტი რომანტიზმია, რომელიც ისადგურებს მხოლოდ არაპრაგმატულ, უანგარო სულში. შესაძლოა,

ერთ დღეს ადამიანმა იგრძნოს, რომ მასში პრაგმატიზმს ჩაუკლავს ის სანეტარო

განცდები აღმაფრენისა, რომლითაც ადრე მისი სული ივსებოდა ხოლმე. ეს მოხდა მისდა შეუმჩნეველად, ნელ-ნელა, „დრომ მოიტანა“. თუკი ადამიანს სურს კვლავ დაბრუნება იმ განცდებისა, მან უნდა დაიმსახუროს ჯერ ისინი, — ეს განცდები. ადამიანმა უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე, რათა რომანტიზმი კვლავ დასადგურდეს მის სულში. ის ამას აუცილებლად მიაღწევს. როგორ უნდა მოხდეს ეს? ადამიანმა თავიდან უნდა მოიშოროს ყველაფერი, რაც ეგოისტურია, ანგარიშიანია, პრაგმატულია, „თანამედროვეა“. პირველ რიგში, ადამიანმა უნდა იგრძნოს, რომ ასეთი საგნებისგან მისი ცხოვრება და სული გამოთავისუფლდა, დაცარიელდა. თვითდაკვირვებით ადამიანმა უნდა გაარკვიოს, რა იზიდავდა მას წმინდა ეგოისტური და „მომგებიანობის“ მოსაზრებით და დათმოს ეს ყოველივე. თავიდან ის იგრძნობს რაღაცის უკმარობას, ნაკლულევანებას, დანაკარგის განცდა შეაწუხებს მას. მაგრამ ეს გასავლელი ეტაპია. ადამიანმა სათითაოდ უნდა მოიშოროს ყველაფერი, რასაც უფრთხილდებოდა წმინდა ეგოისტური ან ანგარიშიანი მოსაზრებიდან გამომდინარე, როგორც „საჭიროს“, „სასარგებლოს“, „აუცილებელს“, „გამოსადეგს“. ადამიანი უნდა მოხვდეს სიცარიელეში, უნდა გახდეს „უპოვარი“. მან უნდა იაზროვნოს ასე: „მე ახლა აღარაფერი გამაჩნია, რასაც მოვუფრთხილდებოდი და რისი დაკარგვისაც შემეშინდებოდა. მე ცარიელი ვარ გარედან“. ყველა ლტოლვა უნდა ჩაახშოს მან, რომელიც აღეძვრება მდაბალ გაგებებთან დაკავშირებით და თვალყური ადევნოს საკუთარ ქმედებებს. შეიძლება მათი (ლტოლვების) დასათრგუნად საჭირო გახდეს მცირე შეგნებული „თვითშეჭირვება“, წმინდა ეკონომიკური და, რაც მთავარია, კომფორტის თვალსაზრისით. ის ამაზე მთელი შეგნებით უნდა წავიდეს: კომფორტი ჰკლავს რომანტიზმს, კერძოდ — სიკეთის სულს რომანტიზმში. „ანტიკომფორტი“ კი ჰკლავს მდაბალ მოთხოვნილებებს, რომელთაგან განთავისუფლებაც ასეთი ადამიანისათვის (რომელიც ამ მიზანს ელტვის) აუცილებელია. შეგნებული „ანტიკომფორტი“ მეორე ეტაპია ამ კეთილშობილური მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

შემდგომ ამისა, ადამიანმა უნდა დაიხმაროს ის ზეგრძნობადი არსებები, რომლებიც რომანტიზმის სულს აყალიბებენ ადამიანთა სამშენიველში. ლოცვით, მიმართვით, ვედრებით — ადამიანმა უნდა გამოიხმოს ეს არსებები და მშვინვიერად დაუკავშირდეს მათ ექსტატიური აღგზნების ჟამს. უანგარობის შემთხვევაში, ხსენებული არსებები უთუოდ დაეხმარებიან ადამიანს, რომელმაც განგებ შეაჭირვა საკუთარი თავი მათგან „მადლის“ მისაღებად.

ასე გვესახება გზა სულის „რომანტიზაციისა“ და გაკეთილშობილებისა დღევანდელ უხამს და ვულგარულ ეპოქაში.

1999 წ.



გურამ პეტრიაშვილის პოეზია

ჩვენი ლიტერატურული საზოგადოება ჯეროვნად არ იცნობს გენიალურ ქართველ პოეტს — გურამ პეტრიაშვილს. ეს ფრაზა მკითხველთა შესაცბუნებლად არ დამიწერია. გ.პეტრიაშვილის პოეზიას აქვს მხოლოდ მისეული, განუმეორებელი ხიბლი (ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა, „მადლი“ გვეთქვა); მის ლექსს ძალუმს ბედნიერი წუთები განაცდევინოს მკითხველს, ღრმა სევდით დაჭრას მისი გული, ქროლვასავით მიელამუნოს სულს. ერთი შეხედვით მარტივი, „ბავშვური“ ლექსები გვატყვევებენ გენიალობამდე მისული სისადავით, უბრალოებით, გვაოცებენ ღრმა ადამიანურობით, ადამიანური სიბრძნით.

როდესაც ვამბობთ „გენიალურს“, ამ სიტყვაში სხვა რამეს ვგულისხმობთ, ვიდრე ჩვეულებრივ გულისხმობენ ხოლმე. დიდი პოეტების უმრავლესობას თუ არა, მნიშვნელოვან ნაწილს მაინც მხოლოდ იმიტომ არქმევენ „დიდს“, რომ მათი ნაწარმოებები მკითხველს ატკობს, მათი ნაწარმოებები ოსტატურადაა დაწერილი, მშვენიერების სულითაა „გაჟღენთილი“. რა შორს დგას ასეთი „ლუციფერული“ გენიისაგან გ.პეტრიაშვილის ჭეშმარიტად სულიწმიდისაგან ჩაგონებული ლექსი! რა შორს დგას ასეთი გენიისაგან კეთილი გენია, რომელიც ჭეშმარიტების სულით ლაპარაკობს და რომელიც ღვთისგანაა... მაგრამ ჩვენ მხოლოდ პირველთ ვუწოდებთ „გენიოსებს“, მეორენი კი როგორღაც ჩრდილში რჩებიან.

ერთი ასეთი ჩრდილში დარჩენილი გენიაა გ.პეტრიაშვილი.

ადვილია წერო მაღალფარდოვნად, „პოეტურად“, „ამაღლებულად“ და ძნელია წერო სიმართლე, ძნელია დაინახო სიკეთე ცხოვრებისეულ წვრილმანებში, და ჩვენი პოეტი ამას შესანიშნავად ახერხებს. როდესაც მშვენიერება პოეტისათვის თვითმიზნად იქცევა, პოეტი შესაძლოა იყოს „გენიოსი“, მაგრამ ჭეშმარიტების სულს ასცდება. ხოლო როცა ნაწარმოები მიზნად ისახავს სიმართლის გადმოცემას, იგი განიმსჭვალება მშვენიერებით, რომელიც ყველა სხვა „მშვენიერებაზე“ გაცილებით აღმატებულია — ეთიური მშვენიერებით. გ.პეტრიაშვილის ლექსები იმიტომაცა უმნიშვნელოვანესი, რომ მართალია და სიკეთის სულით სავსე.

პოეტს აქვს უიშვიათესი და ძვირფასი უნარი, წვრილმანებში, დეტალებში დაინახოს ჭეშმარიტის და მშვენიერის გამოცხადება. მისი მგრძნობიარე გული და მახვილი, ბრძენი თვალი ჭვრეტს სხვათათვის უხილავს, გარშემო ამჩნევს ისეთ მოვლენებს, რომლებიც ჩვენც არაერთხელ შეგვიმჩნევია, მაგრამ ვერ დავინახავს.

აიღეთ ნებისმიერი თანამედროვე პოეტის კრებული. უმრავლესობაში თქვენ წააწყდებით ერთსა და იმავე სტილს, პოეტური მეტყველების ფორმას, შედარებებს. უმეტესობაში ძალიან ბევრი რამ ხმაურობს „ამაღლებული“ განცდებით. სანთლითაა სამებარი უბრალოება, სისადავე, უბრალო ადამიანური გრძნობები. დღევანდელ პოეტებს აქვთ პრეტენზია, რომ „მასშტაბურად“ გრძნობენ და აზროვნებენ. სხვაა გურამ პეტრიაშვილი; იგი არ ესწრაფვის ასეთ რამეებს — წერს „მხოლოდ“ იმას, რასაც ფიქრობს და განიცდის, დაწერილი კი რაღაც კანონზომიერებებით მშვენიერიცაა, ამაღლებულიც და მართალიც.

ვინც იცის, რა არის სულიწმიდა (რამდენადაც ამის ცოდნა ხელეწიფება ადამიანს), სულიწმიდის მადლი, ვისაც უგრძნვია ეს, იოლად ჰპოვებს ამ მადლს პოეტის ლექსებში. მას არ დასჭირდება ვრცელი განმარტებითი ლექსიკონები და „სიტყვარები“, მას არ დასჭირდება ტვინის ჭყლეტა დაწერილის გასაგებად. მას მხოლოდ ისლა დარჩენია, ყური უგდოს პოეტის ბრძენ გულს და აღფრთოვანდეს, დანაღვლიანდეს, დაფიქრდეს...

მცირე შესავლის შემდეგ მიინდა კონკრეტულად მოვიყვანო მაგალითები და მკითხველთან ერთად კიდევ ერთხელ გადავხედო გ.პეტრიაშვილის ლექსთა ერთ კრებულს — „ქალაქი, წვიმა და ვარსკვლავები“. ამ წიგნში შესულია ლექსები და ასევე ზღაპრებიც, მაგრამ ჩვენ

ამჯერად მხოლოდ ლექსებს შევხვებით.

ყველა ლექსი ვერლიბრის ფორმითაა დაწერილი, და ეს ნიშანდობლივია. აქ არ არის სწრაფვა „ორიგინალობისაკენ“, „მოდერნიზმისაკენ“, რაც დღეს ვერლიბრით მწერალთა დიდ ნაწილს ამოდრავებს. ეს ბუნებრივი ფორმაა ისეთი ლექსებისათვის, როგორებსაც ქვემოთ წარვუდგენთ ჩვენს მკითხველს. იდეის უპირატესობა ფორმაზე, გრძნობის დიადი უბრალოება სწორედაც ვერლიბრის ფორმას საჭიროებდა. ფორმისმიერ მშვენიერებას აქ უპირისპირდება იდეის მშვენიერება, განცდისა და აზრის გამჭვირვალობა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ პეტრიაშვილის ლექსი არ ჰგავს დღეს გავრცელებულ უგემოვნო და პროზისმაგვარ ვერლიბრებს. ამ ლექსებში იგრძნობა შინაგანი რიტმი, შინაგანი ჰარმონია და, გალაკტიონის გამოთქმა რომ ვიხმართ, „რიტმიული ლანდები“, ანუ გარკვეული რიტმების გაელვებანი. მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური და მეორეხარისხოვანი მხარეა, მთავარია ის სული, რომლითაც ეს ლექსებია გამსჭვალული.

თავდაპირველად გავცნოთ პატარ-პატარა ლექსებს, რომელთა უმრავლესობა უსათაუროა.

„შემიხტა გული...

ჩემი ფანჯრიდან

შენს აივანზე

როგორ უბრალოდ გადმოფრინდა

ფრთათეთრი მტრედი“.

ვისაც გამოუცდია სიყვარული, მიხვდება, რომ აქ მეტია ნაგრძნობი და ნათქვამი, ვიდრე მაღალფარდოვან სამიჯნურო თხზულებებში და გამუდმებულ „სიყვარული, სიყვარულის“ ძახილში. ამ რამდენიმე სიტყვაში მოჩანს ხასიათი თავად ლირიკული გმირისა,

რომელსაც უყვარს წრფელი და გაუმხელელი სიყვარულით, მოჩანს სატრო, ავტორის მეზობლად მცხოვრები და იგრძნობა უბრალოდ გადმოცემული, მაგრამ ღრმა ადამიანური სიყვარული. ავტორმა, შეიძლება გაუცნობიერებლად, აირჩია მტრედი — სულიწმიდის სიმბოლო და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აქ გრძნობა სულიწმიდისეულია.

თამამი,

როგორც

ერთადერთი ქალაქში ვარდი,

იდგა ლამაზი ქალიშვილი

ავტობუსის გაჩერებაზე

და უცებ ყველას დასწყვიტა გული,

ისე საბრალოდ

ამოიოხრა“.

ჭეშმარიტად, ეს ლექსი შედევერია. დღეს ბევრი პოეტი გაურბის ისეთი პროზაული საგნების მოხსენებას ლექსში, როგორიცაა, მაგალითად, „ავტობუსის გაჩერება“, ვითომდაც „არაპოეტურია“ (მათი აზრით) ეს. მაგრამ შეხედეთ, როგორ მშვენიერებად აქცევს ყველაფერს პოეტის კალამი! რა ჰქონდა საბრალო ლამაზ ქალიშვილს სადარდებელი? რა გაახსენდა უცებ მას, ავტობუსის გაჩერებაზე მდგომს? — დაე, იფიქროს ამაზე მკითხველმა. შეწუხდეს გაუმხელელი წუხილის მიზეზით. რა მშვენიერი, მოულოდნელი კონტრასტია ქალიშვილის „სითამამე“ და „უცებ საბრალოდ ამოიოხრა!“ ანდა მისი სილამაზე მის „საბრალოობასთან...“ მკითხველს ეღვიძება თანაგრძნობა მისდამი, თითქოს სურვილი, მივიდეს ამ ქალიშვილთან და უხერხული გულუბრყვილობით ანუგემოს. ასეთ პატარა ლექსში „ვარდისა“ და „ავტობუსის“ ერთად ხსენება

სხვა შემთხვევაში ყურს ეხამუშებოდა, მაგრამ აქ ყველაფერი გენიალურადაა დაწერილი. არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არასაჭირო მოძრაობა...

ჩვენი მცდელობა ამ სულიერი მოძრაობების განმარტებისა მეტისმეტად ტლანქია თავად ლექსების ფონზე.

„მთელი დღე ვიდგე
საქანელასთან,
ვაქანავებდე
პატარა ბავშვებს.
სალამოს იქვე ჩამეძინოს
დიდი ხის ძირში...
და მთვარის შუქმა
დაღლილ მკლავებზე
ნელა და მშვიდად გადამიაროს“.

რამდენი რამე ჩანს აქ — თავმდაბლობა, უბრალოება სულისა, რომელიც თვითონაა ბავშვური, თვით მსხვერპლისუნარიანობაც კი! სიკეთითაა სახსე ავტორის ოცნება და მშვენიერია ხის ძირას დაღლილი და ბედნიერი ღიმილით ჩამინებული კაცი, რომელიც მთელი დღე ბავშვებს აქანავებდა. მკითხველი გრძნობს, რომ ამ კეთილშობილი კაცის ცხოვრება მაინც სევდისმომგვრელია. რაც უფრო მგრძნობიარეა მკითხველის გული, მით უფრო მეტის წარმოდგენა ძალუძს ამ კაცის შესახებ. იქნებ მარტოხელაა? იქნებ რაღაცაზე მეტისმეტად ატკინეს გული ბავშვობაში, იქნებ... გ.პეტრიაშვილის, როგორც პოეტის, ერთი ღირსება ისიცაა, რომ იგი საფიქრალს უტოვებს მკითხველს, ყველაფერს არ ეუბნება. ამგვარად მკითხველიც ავტორის თანამონაწილე ხდება განცდაში, აზროვნებისა და ინტუიციის მეშვეობით ცდილობს დაფარულის ამოკითხვას და ვერგამხელების შეგრძნობას.

„ქუჩის კუთხეში
მოულოდნელად
შევხვდით ერთმანეთს,
რა ნაღვლიანი საღამო იყო...
მე ყვავილები
მიმქონდა
სხვისთვის“.

ეს არის მწერლის ოსტატობა, რომელიც გულიდან იღებს სათავეს და რომელსაც ვერანაირი პოეტური ვარჯიშით ვერ განივითარებ. რა საჭიროა აქ რითმა, ალიტერაცია და სხვა სამკაულები, როცა გრძნობა ასე უშუალოა და მთავარია მხოლოდ ამ ცხოვრებისეული ეპიზოდის თვალნათლივ წარმოდგენა და განცდა. მგრძნობიარე მკითხველი რაღაცნაირად ხვდება — მაღალზნეობრივ ლირიკულ გმირს თითქოს სინდისი ჰქენჯნის, იგი თითქოს ადანაშაულებს საკუთარ თავს, რომ სხვა შეიყვარა. ამ მოულოდნელი შეხვედრის წარმოდგენა შეიძლება წვრილმანებში, მაგრამ თითოეული „წვრილმანი“ ფაქიზი სევდით აგვავესებს.

„და ეს იყო
სწორედ სიბერე.
იდგა მუხა უკუნ ღამეში
და ველარ გრძნობდა,
ისხდნენ ჩიტები მის ტოტებზე
თუ აღარ ისხდნენ“.

ამ რამდენიმესიტყვიანი ლექსის ყოველმა წაკითხვამ შეიძლება სულ სხვადასხვაგვარი გრძნობებით აგვავესოს. აქ იკითხება სიბერის სევდაც, გრძნობის დაჩლუნგების დრამაც... და თუ კარგად დავუკვირდებით, განა არ ჩანს აქ მუხის სიყვარული ჩიტებისადმი, რომლებიც მის ტოტებში აფარებდნენ ხოლმე თავს?

გ.პეტრიაშვილის ლექსებში კეთილი აზრი მუდამ დაწყვილებულია კეთილშობილურ

გრძნობასთან, ამიტომ მარტო აზრისმიერი წაკითხვა მშრალი იქნება, მკითხველმა უნდა განიცადოს ის განსაკუთრებული მშვენიერი ქროლვა, რომელიც თან ახლავს ამ სტრიქონებს. გულწრფელობა, ალალმართლობა, ღრმა ადამიანური სიყვარული, კეთილი აღმაფრენა — აი, რა განმსჭვალავს ძირითადად პოეტის ლექსებს, როგორც მაგალითად, ლექსს „გზა“:

„ლექსიკონებით
ამ სიტყვის აზრი
მე ვერ გავიგე,
თმაჭაღარა პროფესორებიც
ამაოდ დაშვრნენ
და ვერ ამიხსნეს.
ახლა კი ვხედავ,
მთლად უბრალო რამე ყოფილა:
გზა
თურმე
მიწის
ვიწრო ზოლია,
რომელსაც
მუდამ
მოვყავარ შენსკენ“.

ასეთი ლექსის შექმნა მხოლოდ უანგარო სულს ძალუძს. რა გულისმომწყველი სიალალთაა განსაზღვრული გზა, როგორც „მიწის ვიწრო ზოლი“, როგორ ვგრძნობთ, რომ ლირიკული გმირისათვის ამქვეყნად მხოლოდ სატრფო არსებობს! ან რას აუხსნიდა მას მკვდარი ცოდნით შეიარაღებული ბევრი პროფესორი?

გურამ პეტრიაშვილის პოეზია მთლიანად ქრისტიანულია. მრავალი ქრისტიანული დებულება გვხვდება მის ლექსებში პოეტურად გადამუშავებული სახით. მაგრამ თვით ლექსებს ეტყობა, რომ ავტორი შეგნებულად კი არ ხელმძღვანელობდა რელიგიური პრინციპებით მათი დაწერისას, არამედ, უბრალოდ, გულიდან წერდა და „დამთხვევა“ მისდა შეუგნებლად მოხდა. ალბათ ესაა ის გაუცნობიერებელი ქრისტიანობა, რომელიც ბევრ შემთხვევაში გაცნობიერებულზე მაღლა დგას. ინტელექტის იმპულსებს ჰგმობს ქრისტიანული მოძღვრება (იგულისხმება უსულგულო, ანგარებიანი ინტელექტუალიზმი), იგი მას უწოდებს „ხორციელ სიბრძნეს“, მკვდარ, არაფრისმომცემ ცოდნას, ხოლო უარეს შემთხვევაში, ბოროტისათვის ხშირად დამახასიათებელ უნარს. „წიგნი ჰკლავს, ხოლო სული აცოცხლებს“, — ნათქვამია წმინდა წერილში. რ.შტაინერი ასეთ „ინტელექტუალურ“ იმპულსებს ცალსახად მიაწერს გარკვეულ ნეგატიურ ძალებს, რომელთა მიზანია ადამიანებში სულის მოკვლა და მათი ქცევა გრძნობადამშრალ ფილისტერებად.

პოეტის სულმა იცის ეს ყველაფერი და მრავალ ლექსში ჩვენ ვხედავთ ამას. „თმაჭაღარა პროფესორებიც“ და „ლექსიკონებიც“ ამ შემთხვევაში სწორედ ზემოთქმულს განასახიერებენ.

გვსურს მოვიყვანოთ კიდევ ერთი მშვენიერი ლექსი:
„დამით სკოლაში
საემშაკოდ
შეპარულები
სამასწავლებლოს ღია კართან შევჩერდით
უცებ.
„რა ვქნა, მიყვარსო“ —
ეუბნებოდა ვიღაცას ჩუმად

და საბრალოდ
ტიროდა
ჩვენი

მათემატიკის მასწავლებელი“.

კართან გატრუნული, გაოცებისაგან თვალეზგაფართოებული ცელქი ბავშვები, რომლებიც მოულოდნელად შეესწრნენ მათემატიკის მასწავლებლის აღსარებას... რომ თვით მათემატიკის მკაცრი მასწავლებელიც უცებ გარდაიქმნა უმწეო შეყვარებულად, რომელიც უთუოდ სათუთი და კეთილშობილი ბუნებისაა. მართლაც სევდიანი და მშვენიერი ლექსია.

„ტყუილად ბრაზობ...

თავისთვის ფრინავს ციციანათელა

და არასოდეს არც უფიქრია,

რომ ერთხელ აქაც გამოიფრენდა უკუნ ღამეში

და უცებ ასე

ერთი წამით გაგანათებდა

კართან განაბულს,

ნაქურდალით უბეგატენილს...“

რა საცოდავია ეს ქურდი, რა უბადრუკად მოჩანს იგი კართან ატუზული, გაბრაზებული... და რაოდენ უმანკო და უდანაშაულოა ციციანათელა, რომელზეც „სამართლიანად“ ბრაზობენ...

„შენ მიმატოვე...

მგონია, თითქოს

მგლოვიარე კარუსელზე სულ მარტო დავრჩი

და ვგავარ ახლა

ძველ რეკლამას, ბნელი ქუჩის კუთხეში აკრულს,

გულუბრყვილოდ რომ გვაუწყებს

შარშანდელ კონცერტს“.

ვერანაირი აზრისმიერი წაკითხვით ვერც ერთი ინტელექტუალი ვერ იგრძნობს, რა არის ამ ლექსში. ალბათ, თავად უნდა გქონდეს ადამიანს განცდილი ოდესმე ამდაგვარი რამ.

ჩვენ ზემოთ სიმართლის სული ვახსენეთ. იგი არ არსებობს ბოროტეულთა მხილების გარეშე. როცა ვისიმე პოეზია სიმართლის სულითაა გამსჭვალული, ეს თავისთავად გულისხმობს ლექსებში კრიტიციზმის არსებობას.

გ.პეტრიაშვილი ამხელს ობივატელურ ყოფას, მეშჩანობას, ამხელს ადამიანებს, რომელნიც დაცლილნი არიან ყოველივე ამადლებულისგან, ცხოვრობენ მხოლოდ მდაბალი სიამოვნებებით. პოეტი ამხელს ადამიანთა ფილისტერობას და ანგარიშიანობას, კეთილის განცდის უუნარობას, სიყრუეს სიკეთისა და სიყვარულის მიმართ. ამგვარი ლექსებიდან ზოგი შეიძლება არ გამოირჩეოდეს დიდი ესთეტიკური მომხიბლაობით, მაგრამ ეს არც ევალებათ მათ. ისინი დაწერილია სიმართლის სულით და ღირებულებაც მათი სწორედ ამაში მდგომარეობს. რაც მთავარია, პოეტი შესანიშნავად არჩევს ყალბსა და წრფელს სხვადასხვა ცხოვრებისეულ ვითარებებში, გვიჩვენებს უანგარობის სილამაზეს და ფარისევლობის სიბილწეს. მის მიერ დახატულ სახეებში შეიძლება ვიცნოთ ჩვენი მეზობელი, თანამშრომელი, გუშინდელი მეგობარი და ზოგჯერ იქნებ... საკუთარი თავიც. ასეთი ლექსებია, მაგალითად: „სიზმარიანი კაცი“, რომელიც გვიხატავს ჩვეულებრივ ობივატელს, კარიერისტს, „მამღარ კაცს“; „მოკრივე და იასამანი“, რომელიც დასცინის ბრიყვულ ძალადობას, უხეშ ფიზიკურ ძალას; „ზოომადაზიაში“, „და როდესაც მიმოვიხედეთ“, რომელიც ჰგმობს მშრალ ინტელექტუალიზმს და სხვანი.

გვინდა მოვიყვანოთ ერთი ნიმუში — პატარა ლექსი „ფისო-ყულაბა“:

„ბოლოსდაბოლოს

სიცოცხლის

ერთი

ნამდვილი წამიც

არგუნა ბედმა:

სანაგვეზე გადაისროლეს,

დარჩა მარტოდ

ვეება ცის ქვეშ

და ჭუჭყიანი გროშების ნაცვლად

დიდი წვიმებით

აევსო თავი“.

აი, ასე ხედავს გ.პეტრიაშვილი ადამიანურ გრძნობებს უსულო საგნებში...

„მამლარი კაცი“ ხშირად გვხვდება გ.პეტრიაშვილის ლექსებში: გვგონია, თითქოს პოეტი დგას და მწარე და სევდიანი ირონიით უყურებსო ასეთ არხეინ ადამიანებს. და ამ მზერაში იკითხება გაკვირვებაც, სიმკაცრეც და ამავე დროს, სიბრალულიც...

კრებულში ვერ ნახავთ ვერც ერთ ყალბ სტრიქონს, ვერც ერთ ზედმეტ ფრაზას. ხვდებით, რომ პოეზია ავტორისათვის მხოლოდ საშუალებაა სიმართლის თქმისა და ცხოვრებისეულ მშვენიერებათა გამოხატვისა. აქ არ არის თვითმიზნური სწრაფვა „ლამაზი“ მეტაფორების დახვავებისა და „ამაღლებული“ მეტყველებისაკენ, რაც ბევრ თანამედროვე პოეტს სჩვევია.

„დრო მიდის,ძმაო,

აგერ ის ქალი

მსუნაგი თვალით

ვიტრინებს რომ ათვალეირებს,

ჭორავს ნაცნობებს

და ზუსტად იცის,

სად, ვის, რამდენი,

როგორ უნდა

ჩაუდოს ფული,

პურს დავარდნილს

რომ არ აიღებს

და არ აკოცებს,

„შენობით“ რომ

მიმართავს ყველას,

ვინც ღარიბად არის ჩაცმული —

სწორედ ეს ქალი

ერთხელ

პაწია

და სიფრიფანა,

გულუბრყვილო გოგონა იყო

და დიდ წვიმაში

პატარა ნერგებს,

არ გაცივდნენო, იფარავდა

ცისფერი

ქოლგით“.

განა არ არის აქ დრამა ადამიანის თანდათანობით შეცვლისა, დაცემისა? რამხელა

განსხვავებაა იმ პატარა სიფრიფანა გოგონასა და ზრდადასრულებულ მემჩან ქალს შორის...

ერთ-ერთ ლექსში გვხვდება მსგავსი პოეტური სახე, მეტად მშვენიერი:

„გუბესთან დგას გოგონა ნაზი,
გაუხელია თვალები ფართოდ,
გაჰყურებს სივრცეს
და წუთი წუთზე ელოდება
ყვავილად ქცევას...“

ახლა გვინდა განვიხილოთ ცოტა მოზრდილი ლექსები, რომელთაგან რამდენიმე უახლესი ქართული პოეზიის შედევრად მიგვაჩნია. ესენია: „ნერგი“, „კურდღელი“, „ყვავილები“, „შემთხვევა ღამის ქალაქში“, „მოსვლა“... ამ საოცარი ლექსების წაკითხვა შეიძლება ბევრჯერ, მოუწყინებლად და, რაც მთავარია, ისინი აღძრავენ ფიქრს... როცა მკითხველი წიგნს დახურავს დაფიქრებული, სევდამორეული ან ბედნიერი, სწორედ მაშინ იწყება ნამდვილი „მოქმედება“ ამ ლექსებისა მკითხველის სულზე. თუკი იგი მგრძნობიარეა, შეიძლება დიდხანს ვერ გამოვიდეს შთაბეჭდილებიდან, საათების განმავლობაში თვალწინ ედგას ეს სახეები და წუხდეს, ფიქრობდეს... ხსენებული ლექსები, ალბათ, არ ეკუთვნიან არც ერთ ლიტერატურულ მიმდინარეობას, სადაც პოზა უფრო მეტია, ვიდრე სიმართლე. ისინი შეიქმნა მხოლოდ იმის წყალობით, რომ პოეტს ბრძენი გული აქვს და ბევრ რამეს ხედავს ირგვლივ. ხოლო მთავარი „ლიტერატურული მიმდინარეობა“ აქ ისევ და ისევ სიყვარულია... სიყვარული ყოველი არსის მიმართ, რაც ცოცხლობს, იტანჯება, წუხს, უხარია; ვისაც უსამართლოდ ჩაგრავენ, სამაგიეროს გადახდა კი ფიქრადაც არ მოსდის. ლირიკულ გმირს, სხვისი ჭრილობების მაცქერალს, თავად სდის გულის სისხლი, თავად ეხსნება ჭრილობები და მისი პრაქსისი, მსხვერპლისუნარიანობა, ღრმა თანაგრძნობის უნარი ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია. ადამიანი მზად არის, დათმოს ყველაფერი, დათმოს ცხოვრება და მიწად იქცეს, ოღონდაც გადარჩეს და იზარდოს ერთი პატარა ნერგი. გ.პეტრიაშვილი ჭეშმარიტი მემკვიდრეა დიდი ჰუმანისტებისა, ამასთან მისი ლირიკული გმირი ჭეშმარიტი ქრისტიანია, თუმცა ლექსებში არსადაა ლაპარაკი რელიგიაზე, ეკლესიაზე.

ლექსი „ნერგი“ გვინდა მთლიანად გადმოვიწეროთ:

„ჩამეძინა მინდორში ერთხელ...

რომ გავიღვიძე,

ვნახე, —

დაბნეულ

ვიღაც

მებაღეს

ზედ ჩემს მკერდზე

პაწაწინა

ნერგი

დაერგო...

მე გამიკვირდა,

წამოვიწიე,

მაგრამ ნერგმა

საცოდავად

ამოიკვნესა

და კვლავ დავწევი.

შევყურებდი...

შემდეგ

ხელი
 შევახე ფრთხილად
 ნერვის სათუთ ტანს,
 მის ერთადერთ
 პაწია
 ფოთოლს.
 და გამელიმა...
 ვწევარ მას შემდეგ,
 დამავიწყდა:
 ვინა ვარ,
 რა ვარ,
 რასა ვფიქრობდი,
 სად მივდიოდი,
 რას ვაპირებდი.
 იზრდება ნერვი
 და მას შევხარი.
 მოდიან სხვები
 და ისინიც
 ნერვს შეჰხარიან
 მე ვერ მხედავენ,
 ალბათ უკვე
 ვიქეცი
 მიწად.
 შევყურებ ნერვს
 და შორს,
 შორს,
 მაღლა
 დიდ ლურჯ თაღს ვხედავ,
 კრიალას,
 ლამაზს.
 მე აღარ მახსოვს
 სახელი მისი...
 მაგრამ რატომღაც მიხარია,
 რომ ნერვის წვერო
 იმ სილურჯისკენ
 გამუდმებით
 ილტვის
 ჯიუტად“.

თვალსაჩინოდ შეიძლება წარმოდგენა მთელი ამ ამბისა, ყველა წვრილმანამდე განცდა და შეგრძნობა. დაუკვირდით, როგორ იცვლება ინტონაცია — „ვწევარ მას შემდეგ...“. სევდიანი ბედნიერებით ნათქვამი „დამავიწყდა, ვინა ვარ, რა ვარ, სად მივდიოდი“ გულს გვიწყლავს. განსაკუთრებით ძლიერია „ალბათ უკვე ვიქეცი მიწად“. თითქოს ვხედავთ, როგორ ნელ-ნელა ებინდება გმირს ცნობიერება, ენისლება თვალები, ბედნიერს ამ მსხვერპლის გაღებით. ისევ გავიმეორებთ, რომ განმარტების ჩვენეული მცდელობა მეტად ტლანქია თავად ლექსის ფონზე.

მეორე ლექსში, რომელსაც ჰქვია „შემთხვევა ღამის ქალაქში“, უცნაური რამ ხდება:

ქუჩაში მოგორავს უზარმაზარი ცრემლი. გაჩერდებიან მანქანები, გაშემდებიან გამვლელები და ყველა გაოცებული უყურებს ამ სანახაობას. მოულოდნელად ქუჩას გადაჭრის ვიღაც ლამაზი ქალიშვილი, ცრემლთან წამით შეჩერდება, შიგ ჩაიხედავს და თმას გაისწორებს. ისევ წავა კვკლუცად. ვხვდებით, რომ ამ მეშხან ქალიშვილს „არასოდეს არ ენახა ცრემლი“. ხალხი ირგვლივ შემოეხვევა ცრემლს ცნობისმოყვარეობით. უცებ ვიღაცა კაცი მოვარდება და ამბობს — მაპატიეთ, ეს ჩემი ცრემლია, ძილის დროს გამომეპარა, ბოდიშს გიხდით. ხალხიდან ერთი სთხოვს უცნობს, მომყიდეთ ეგ ცრემლი, საყვარელი თუთიყუში მომიკვდა და კიდევ მინდა დავიტვირო. მეორე თეატრის დირექტორი აღმოჩნდება და იხვეწება, მისცენ ცრემლი მისი მსახიობებისათვის. მესამე მტირალა თოჯინების ოსტატია და სურს მისი თოჯინები ნამდვილი ცრემლით ტიროდნენ...

უცნობმა არაფერი უპასუხა მათ, ცრემლს მიაწვა და გააგორა. ის იყო, ქუჩის სიბნელეს უნდა შერეოდნენ, რომ კაცი გაჩერდა, თავი ასწია და ხალხს გადმოსძახა ღიმილით:

„რალაც გეშლებათ, მეგობრებო!
თქვენ რომ გგონიათ
აქ მთლად ისე
არაა საქმე.
დიდი ცრემლი —
ეს უბრალოდ
დიდი ცრემლია
და არა დიდი
გროვა ცრემლების.
ვიდრე არსებობს,
მხოლოდ დიდ ცრემლად
არსებობს იგი
და პატარა მსუბუქ ცრემლებად
არ ნაწილდება“.

განა აქ ამომწურავად არაა გადმოცემული იმ ხალხის რაობა, თავად უცნობი კაცის დიდი სული? ან ჩვენ ცოტას ვიცნობთ (დღეს განსაკუთრებით) ისეთ ქალიშვილებს, ცრემლში თმას რომ გაისწორებდნენ გულგრილად, კვკლუცი მანერით? უცნობში ვხედავთ თავად პოეტს, რომელიც „დიდი ცრემლით“ დასტირის ადამიანთა გაგულქვავენას. დიდი გულია საჭირო, რომ ასეთი ლექსი დაიწეროს, ჭეშმარიტად.

„კურდღელი“ არის ნაწარმოები, რომელსაც ვერც ერთი კეთილი ადამიანი გულგრილად ვერ წაიკითხავს. პოეტი ამბობს, რომ სახლში კურდღელი ჰყავს დამალული. იგი წინათ ტირში ეკიდა და ჭრილობებისაგან იტანჯებოდა. წევს საწოლზე და ჩუმად კვნესის...

დროდადრო წუთით
უყუჩდება ნატყვიარები.
მაშინ კი ცელქობს,
ის ხომ პატარა კურდღელია
ჭრილობების მიუხედავად,
დახტის,
თამაშობს,
მემალეა პალტოს ჯიბეში,
ან ფანჯრის ფარდებს ეპოტინება“.

სისხლი კი სდის, სდის შეუჩერებლად, ძილში კვნესის. „ალბათ სიზმრად კვლავ ხედავს თოფებს, ხედავს მსროლელთა კმაყოფილ ღიმილს და იცის, რომ არ ასცდება არც ერთი ტყვია“.

„შუალამისას
ტკივილი მძლავრი
დაუვლის უცებ
პაწია სხეულს...
გაელვიძება,
ცდილობს გაექცეს ტანჯვას საშინელს,
მაგიდის ფეხებს ეჯახება,
ფხოჭნის იატაკს,
დაეძებს კარებს, კედლებს აწყდება
და ჰოი, ღმერთო!..
ჭერზე დარბის უკუნ ღამეში
და მისი სისხლი
მაწვიმს მაღლიდან...“

დიახ, პოეტს არ სცალია „ლამაზი“ მეტაფორებისათვის და „ამაღლებული“ დრამატიზებისათვის, მისი საბრალო კურდღელი საშინლად იტანჯება და სისხლისაგან იცლება. ამ სურათს მოსდევს უმშვენიერესი სტრიქონები მათ შორის, რაც კი დაწერილა ქართულ ენაზე:

„ალბათ ძალიან გამოვიცვალე,
მეგობრები
ჩემთან
უკვე
აღარ დადიან,
ნაცნობებიც მერიდებიან.
უკვე
სალამსაც
აღარ მამღევენ...
მე კი ვიციანი
და ამაყად ვიცქირები
ჩემი ფანჯრიდან,
რადგან გამართლდა იმედი ჩემი
და ამ დილით
ჩემს მრთელ სხეულზეც
ჭრილობებმა დააღეს პირი
და სისხლი დამდის...
ჰეი, ტკივილი
გაშინებთ ვისაც,
იყავით ფრთხილად,
გადამდებია ჭრილობები

“პატარა კურდღლის“. ეს „მეგობრები“ და „ნაცნობები“ ალბათ გასართობად დადიოდნენ გმირთან, ეს სწორედ ის ხალხია, რომელიც სევდას და ტკივილს ერიდება, „ტკივილები აშინებს ვისაც“. პოეტი (ლირიკული გმირი) კი დაავადდა კურდღლის სატანჯველით, რომელსაც ვერ შველის და... ერთ დილით მის სხეულზეც მსგავსი ჭრილობები დააღებენ პირს. გავიხსენოთ ერთი ბერი, რომელსაც ისე ძლიერად უყვარდა ქრისტე, იმდენად ღრმა იყო მასში ეს სიყვარული, რომ ლოცვაში ევედრებოდა ღმერთს, მეც გამიჩინეო მაცხოვრისდარი წყლულები და მართლაც, ბერს ხელებზე აღებუჭდა ნამსჭვალეები. ჭეშმარიტი სიყვარული არ არსებობს მსხვერპლის გარეშე. სიყვარულია ის საიდუმლო, რომელმაც მრავალ

ქრისტიან მოწამეს შეაძლებინა უდრტვინველად დათმენა უდიდესი ფიზიკური ტანჯვისა. სიყვარულის ჭეშმარიტება ერთია და გ.პეტრიაშვილი გულმა მიიყვანა ამ ჭეშმარიტებამდე, ამ შესანიშნავი ლექსის დაწერამდე.

გ.პეტრიაშვილის ბევრი ლექსი რომანტიული ხასიათისაა. ზოგიერთი ჩვენ უკვე განვიხილეთ. რომანტიზმი გ.პეტრიაშვილთან გამსჭვალულია ღრმა ეთოსით, ავტორი აქაც არ ლალატობს თავის ხელწერას. რომანტიზმის მრავალი ნაირსახეობა არსებობს, მაგრამ ზოგადად ვიტყვით, რომ ჩვენთვის რომანტიკულია ის, სადაც ერთმანეთს ერწყმიან ეთოსი და ამაღლებული მშვენიერება, სიკეთე და მშვენიებით მოგვრილი აღმაფრენა, სიყვარული და სილამაზის სული. ამგვარი რომანტიზმი ნამდვილად განაცდევინებს ადამიანს ბედნიერებას. კრებულში არის ლექსი „ყვავილები“, დაწერილი სწორედ ამ განცდით:

„თოვს,
ფანტელებით დაჭორფლილა
ქალაქის ღამე
და ფარანთან
მოსვლას ვერ ბედავს.
დიდი სახლის წინ
დილიდან დგანან ქალიშვილები
და ჰყიდიან
რაღაც უცნაურ
უცხო
ყვავილებს.
სამნი არიან...
იღიმებიან...
თოვს,
თოვს
და ყინავს
და მალა,
კოშკში
რეკს საათი დროგამოშვებით.
და საათის ყოველ რეკვაზე
იმ ყვავილებს
ეცვლებათ
ფერი...
ქალიშვილები დგანან დილიდან.
სამნი არიან...
იღიმებიან...
და ცრემლიან თვალებს მალავენ.
მოდინ ვიღაც-ვიღაცეები და მეტად მშვიდნი
ფასს კითხულობენ,
მერე ყვავილებს
დიდ ჩანთებში
ტენიან ურცხვად
ან ილლიაში ამოიდებენ,
გზას განაგრძნობენ
და ყვავილების უჩვეულობა
სულ არ აოცებთ.

დიდხანს ვუცქერდი...
ვერ გავბედავდი
მე ასეთი ყვავილის ყიდვას.
ვიდექი თოვლში,
რეკდა საათი...

და ვერ გავიგე:
ქალიშვილები ამ ყვავილებს
თუ თავიანთ სიზმრებში კრეფენ,
მაშინ ფულზე რაღად ჰყიდიან?“

გულდაწყვეტილი რჩები მკითხველი — ეს კეთილშობილი ქალიშვილები, თავიანთი სათნოების გამო სასწაულის ღირსად რომ იქმნენ და სიზმრებიდან ყვავილები გამოჰქონდათ, ალბათ მეტად ღარიბულად ცხოვრობდნენ... კეთილშობილი სიბრალული პოეტის ბევრ ლექსს ახლავს. ამ ლექსში არის ზღაპრისეული რომანტიკაც და, რაც მთავარია, უსაზღვრო სიკეთე, ისევე, როგორც მრავალ ლექსში პოეტისა. გ.პეტრიაშვილი, როგორც აღვნიშნე, ბოლომდე არ „ხსნის ხოლმე ფრჩხილებს“, საფიქრალს და გამოსაცნობს გვიტოვებს მკითხველებს. ჩვენ ჩვენს გონებაში უნდა განვავრცოთ ამბავი, ვიპოვოთ პასუხები... ეს თვისება მისი პოეზიისა ნამდვილად მწერლურ ოსტატობაზე მიანიშნებს. ჩვენი აღძრული ფანტაზია არ კმაყოფილდება გადმოცემულით და თითქოს ესწრაფვის, ახალი მომენტებით შეავსოს ამბავი. ამ ლექსის გამოყენება ესკიზად, ისევე, როგორც მრავლისა, შეიძლებოდა ვრცელი ლამაზი ზღაპრების თუ მოთხრობების შესაქმნელად.

ფილოსოფიური ლექსი „მოსვლა“ — აქ გადმოცემულია ამბავი ყოველგვარი განზოგადოებების გარეშე; ავტორი უბრალოდ ჰყვება ამბავს, მაგრამ არც ისე ძნელია მიხვედრა, რა იგულისხმება აქ, რისი თქმა სურს ავტორს. სათქმელი ჩანს სახეებში. ლექსი გვიამბობს ერთ უდარდელ და უზრუნველ კაცზე, რომელიც ჰაერივით მსუბუქი იყო, ღრუბელზე იწვა და მისი სიგრილით ტკბებოდა. ღრუბელი ქარს დაჰქონდა აქეთ-იქით და კაცი ერთობოდა იმის ცქერით, თუ როგორ რწყავდნენ ყვავილებს აივანზე, ასეირნებდნენ ძაღლს ხეივანში; ითვლიდა კატებს სახურავზე... ხანდახან სარკით მზის ათინათს „ახტუნავებდა ქუჩიდან ქუჩად, სახლიდან სახლზე“, ფანჯრიდან ფანჯარაზე:

„მერე კი ვინმეს ამოირჩევდა,
მარტოდ გარინდულს
ბადის სკამზე
ან ფანჯარასთან,
მიანათებდა სახეში უცებ
და თუმცა ხშირად
განათებულ წამწამებზე კიაფობდა მარცვალი რაღაც,
ამაზე კაცი, ღრუბელზე მწოლი,
არა ფიქრობდა,
ვერ ხვდებოდა ვერაფერს იგი,
განაგრძობდა
თამაშს ხალისით...“

ამ კაცმა არ იცოდა, რა იყო ცრემლი. მასში შეიძლება დავინახოთ ბოჰემური ცხოვრებით „რაფინირებული“, ადამიანი, მოესთეტო პიროვნება, საკმაოდ ეგოისტი და ნებიერი, რომელმაც არ იცის, რა არის ადამიანური ტანჯვა, შრომა, გაჭირვებულის თანადგომა.

„ერთ დღეს კი
უცებ
დანადვლიანდა.“

ვერც თვითონ მიხვდა,
 რის ბრალი იყო.
 რა მოხდა ნეტავ,
 რამ დაადონა?
 ხომ არ
 უცქირა, —
 ვიოლინოს როგორ ჰყიდდა
 ქუჩის კუთხეში აბუზული მევიოლინე?
 ან სილის კოშკებს როგორ უნგრევდნენ
 პატარა ბავშვებს?
 ან ნახა იქნებ,
 თუ ცისფერ ველზე
 ბაჭიას —
 მთრთოლავ
 პაწია წერტილს —
 ყოველი მხრიდან
 ნელა როგორ მიუახლოვდნენ
 შემართული თოფებით ხელში?
 ან იქნებ ცაზე მიმქროლავმა
 დალანდა წამით
 მოცახცახე გამხდარი მხრები
 ბალახებში მდინარის პირას
 მიტოვებული შიშველი ქალის?“

ნაღვლობდა უდარდელი კაცი და პირველად დასდინდა მის თვალს — ცრემლი... ცრემლი
 კი სისხლის წვეთს დაემგვანა ჩამავალი მზის სხივებში. ბორგვით ჩაიძინა. როცა გაელვობა,
 ღრუბელზე აღარ იწვა, „ძირს მოფრინავდა ტრიალ-ტრიალით“, ტანი უმძიმდებოდა.... როცა
 მიწაზე დაეცა, „დედამიწა შეხვდა ტკივილით“... იწვა ბნელში და სხეული სტკიოდა, ხოლო
 დილით, როცა მზე ამოვიდა, მძიმედ წამოდგა. დაინახა, რომ მინდორზე იყო.

„ჩაფიქრდა კაცი,
 ფიქრობდა დიდხანს
 და ბოლოს თავის
 ფიქრს გაუღიმა,
 აიხედა და ბრიალა მზეს
 ჩაუკრა თვალი:
 მისი ღრუბელი
 ამ ჯეჯილზე
 მოვიდა წვიმად“.

სწორედ ახლა იშვა ეს კაცი ჭეშმარიტი შობით, ახლა გახდა ადამიანი, როდესაც ტანჯვა
 და ცრემლი შეიგნო. ამან გამოიწვია მისი განწყობა და „მიწაზე დაშვება“, მისი „მოსვლა“
 ამქვეყნად. ამ კაცზე ვერ ვიტყვით, რომ იგი უწინ ფილისტერი იყო; პირიქით, მეოცნებე
 და „ღრუბლებში მფრენი“ გახლდათ. მაგრამ პოეტი ერთნაირად გმობს ფილისტერობასაც
 და ღრუბლებში უზრუნველ ფრენასაც. ადამიანი უნდა ცხოვრობდეს ისე, რომ
 ითვალისწინებდეს მოყვასის ტანჯვას — აი, ამ ლექსის სათქმელი. ამიტომაცაა პოეტი
 გ.პეტრიაშვილი ჭეშმარიტი ქრისტიანი, გულით ქრისტიანი. სწორედ გული განასხვავებს
 მას ისეთი „ქრისტიანებისაგან“, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ რელიგიაზე, გვიქადაგებენ
 დოგმებს მენტორული ტონით, „კრავენ მძიმე ტვირთს და ზურგზე ჰკიდებენ ადამიანებს,

თავად კი თითითაც არ სურთ დამგრა“.

გ.პეტრიაშვილის პოეზიაში გვხვდება ლამაზი შედარებები:

„გადიკისკისა პატარა გოგომ

და ჰაერი

გახდა უცებ

ისე მჭვირვალე,

თითქოს ქუჩაზე,

დიდი კალათით

აღუბალი ჩამოატარეს...“

ანდა:

„და ნიავი საამოა და გრილი ისე,

თითქოს დამწვარზე

დედაჩემი

სულს მიბერავდეს“.

ან:

„ფეხშიშველები

დგანან ბორცვზე

და უცქერიან

სწრაფად მიმქროლავ ლამაზ ვაგონებს...“

მშურს ამ პატარა გოგო-ბიჭების.

მათ არ უნახავთ

ბოლო სადგურში გაჩერებული

დამტვერილი და ცარიელი

დაღონებული მატარებელი“.

პოეტი სხვადასხვა უსულო საგნებს ცოცხლებად განიცდის, მაგალითად — სათამაშოებს.

ის დიდი გრძნობით ეკიდება მათ, ავლენს სიბრალოულს, თანაგრძნობას და ვხვდებით, რომ ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალო მხატვრული გაპიროვნება:

„ღამით ქალაქში

ნაწვიმარი ელავს ასფალტი,

მხიარული ქალიშვილები სადღაც მირბიან

და განათებულ ვიტრინაში, დიდ დოლებს შუა

ზის მარტოდმარტო

სათამაშო პატარა დათვი,

რომელიც ბევრი ფიქრის შემდეგ

აღარ იყიდეს...“

მგრძნობიარე ადამიანს, ალბათ, ცრემლს მოჰგვრის წარმოდგენა დაღონებული, თავჩაქინდრული დათვისა, რომელიც მარტო დარჩა ვიტრინაში, რადგან ბევრი ფიქრის შემდეგ აღარ იყიდეს. ისინი, ვინც დიდხანს ყოყმანობდნენ მის ყიდვაზე, ალბათ, ძალიან „პრაქტიკული“ და სერიოზული ხალხი იყო... ახლა, მგონი, მეც გავნაწყენდი მათზე და თქვენც, მკითხველო, ესკი იმას ნიშნავს, რომ გ.პეტრიაშვილი შესანიშნავი პოეტია.

„ერთ დილით მიხვდა,

ყველას თავისი გზა აქვსო ცისკენ

და გალიაში

ჩაჯდა

ჩიტებთან“.

ეს ის გულისმიერი ქრისტიანობაა, რომელზეც უკვე ითქვა. ამ ლექსების კითხვისას

უნებურად გაგახსენდება: „იყავით, როგორც ბავშვები“ და ქვემოთ მოყვანილი ლექსით ეხმიანება სახარების ამ უკვდავ სიტყვებს:

„შენი ფანჯრიდან
კარუსელი
მოჩანს გორაზე,
ნელა ტრიალებს
მხიარული
დოლაბი ჭრელი.
აქედან მკრთალად კაბებსაც არჩევ
ფერად-ფერადს
და მოფრიალეს
და თუ კარგად დააკვირდები,
იქნებ ისიც კი შეამჩნიო,
მუყაოს ცხენზე ამხედრებული
ილიმება
ბავშვივით
კაცი.
მაგრამ შორია, ვერ დაინახავ,
რომ კაცს
დადლილი
ცრემლი აქვს
თვალზე“.

განა აქ არის რამე ნათქვამი ამ კაცის ხასიათზე, სულზე? მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მასზე ვილაპარაკოთ დიდხანს, დიდი სითბოთი და სიბრალულიანი სიყვარულით. იგი არის კაცი-ბავშვი, ბავშვობაში დარჩენილი, ალალი და სუფთა, წმინდა ადამიანი. განა მშვენიერი და თავისი მოულოდნელობით გულისამაჩვილებელი სურათი არ არის ეს — მოტრიალე კარუსელის მუყაოს ცხენზე მჯდარი, დადლილსახიანი კაცი, თვალში ცრემლჩამდგარი? იქნებ მას ახლა სულაც არ უნდა, რომ კარუსელზე იჯდეს, იქნებ რა სადარდებელი აქვს, მაგრამ რომელიმე ბავშვს ხათრს ვერ უტეხავს ალბათ... ათასგვარი ფიქრი აღგვეძვრის ამ სუფთა კაცთან დაკავშირებით.

რომანტიული პოეზიის ლამაზი ნიმუშია ეს ლექსი:

„მართლა თუ სჯერათ ამ ასტრონომებს, რომ თავიანთ ტელესკოპებში ვარსკვლავს ხედავენ?

ჭრიჭინებით სავსე ბულულზე
თუ არა წევხარ ზაფხულის ღამით
და არ იგონებ
შენს სახეზე
ქალის თმების პირველ შეხებას,
განა ვარსკვლავს
ვარსკვლავი ჰქვია?“

მკითხველი შეამჩნევდა, რომ გ.პეტრიაშვილის პოეზიაში ჭარბობს სევდა. ერთ ლიტერატურულ წერილში პოეტი წერს, რომ „სევდა კეთილშობილური გრძნობაა“. მართლაც ეს ასეა, თუ საქმე გვაქვს ჭეშმარიტ ადამიანურ სევდასთან და არა ფსევდორომანტიული „მოთენთილობის“ ყალბ განცდასთან, ხშირად შეცდომით „სევდას“ რომ არქმევენ... გ.პეტრიაშვილის სევდანამდვილი, ადამიანური, ღრმასევდაა, მართლაც „კეთილშობილური გრძნობა“. გულისშემძრავია სევდის მიზეზი ამ ლექსში:

„მიმოიხედე,
დაკვირვებით
შეხედე
საგნებს
და შენც მიხვდები,
რატომ აივსო ოთახი სევდით.
ხედავ? — სარკის წინ
დგას ლარნაკი
ყვავილიანი
და უყურებენ ყვავილები გაოცებულნი,
თუ ნელ-ნელა
როგორ ჭკნებიან“.

დიახ, შედეგად მიგვაჩნია ეს ლექსიც. ბევრ პოეტს მთელი სტროფები დასჭირდებოდა, რომ ამ სევდის მეთაფი მაინც აღეძრა მკითხველში. გ.პეტრიაშვილი მოულოდნელი სახეების დიდოსტატია: ვკითხულობთ ლექსს მშვიდად, თანმიმდევრობით და უცებ აგვადლევენ, მზერას გაგვიშეშებს რომელიმე მოულოდნელი პოეტური სახე. აქ ყვავილები ცოცხალი არსებებია, რომელნიც პირველად ხედავენ გაოცებულნი — საკუთარ ჭკნობას... თითქოს ვხედავთ, რომ ყვავილებს გაფართოებული თვალები აქვთ, ბავშვურად გაოცებული და გულუბრყვილო.

ტექნოკრატიისა და მსგავსი სიმახინჯების არსს ზუსტად სწვდება პოეტი. ერთ ლექსში ნათქვამია, რომ დღეს ყოველივეს თავისი ნომერი აქვს, ყველაფერი დათვლილია, გაზომილი და აღრიცხული — ზღვები მიწაზე, ღრუბლები ცაში, წვიმები, ვარდის ეკლები, ზოლები ვეფხვზე, წონა მთვარისა და მთვარეს რომ უყფეს, იმ მაღლის ყეფის სიხშირე მეგაჰერცებში. კაბინეტში კი ზის მშვიდი ადამიანი, რომელიც აქ მშრალ ინტელექტუალს და ტექნოკრატს განასახიერებს, ზის ფორმულებით გარშემორტყმული, მისი სული კი — დანომრილი, პალტოში გახვეული, — მტვრიან წინკარში ჰკიდია.

„ეს ყოველივე
მე ჩავთვალე
სატირალ ამბად
და იქნება
მეტირა კიდევ,
მაგრამ უეცრად შემეშინდა,
რომ დავთრით ხელში
მოვიდოდა
ჩემთანაც
ვინმე
და დამითვლიდა
თვალებზე
ცრემლებს...“

ამავე სულისკვეთებითაა დაწერილი ლექსი „ფორმულიანი კაცი“. ეს ლექსი გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ. მასში აღწერილი უცნაური პიროვნების ნიშნები საოცარი სიზუსტით შეესაბამება ანთროპოსოფიაში განმარტებულ მახასიათებლებს გარკვეული კოსმიური ნეგატიური ძალებისას, რომლებიც ადამიანს უბიძგებენ მშრალი და მათემატიკურად ზუსტი აზროვნებისაკენ, ანგარიშიანობისაკენ, განაპირობებენ ე.წ. „ინტელექტის იმპულსებს“ ადამიანში.

„ლუციფერული გენიები“, ჩვეულებრივ, თვითშეცნობილნი არიან. სხვაა ის გენია,

რომელსაც ზემოთ „კეთილი“ ვუწოდეთ. კეთილი გენიები ბუნებრივად თავმდაბალი არიან და, შესაძლოა, ვერც აცნობიერებდნენ საკუთარ სიმალლეს. ამიტომაც, ალბათ, თავად გ.პეტრიაშვილი ყველაზე ნაკლებად ამ საკითხზე ფიქრობდა და ფიქრობს. მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ იგი, როგორც პოეტი, ქართულმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ ვერ „შეამჩნია“, კუთვნილი არ მიაგო მის პოეზიას. ხოლო რადგანაც დღევანდელი ეპოქის ადამიანთა დიდი ნაწილი ყველანაირ საზრდოს იღებს, გარდა სულიწმიდისეულისა, ამიტომ გვიჭირს გამოვთქვათ იმედი, გ.პეტრიაშვილი დაფასებული იქნებაო მომავალში. მთავარი მაინც ისაა, რომ მისი საოცარი ლექსები იკითხონ მომავალში, იქნებ ცოტათი მაინც გაკეთილშობილდეს მომავალი თაობა...

და ბოლოს, გვინდა მოვიყვანოთ კიდევ ერთი ლექსი ამ კრებულიდან, თუმც ბევრი დარჩა ჩვენი მსჯელობის მიღმა. მათ აუცილებლად დაგუბრუნდებით სამომავლოდ.

ბედნიერი დღე

მზე ანათებდა და საოცრად წვიმდა მიწაზე,
თითქოს ჰაერში ჩამოკიდულს დედამიწის ბურთს
ყოველი მხრიდან რეცხდნენ ლაღი მეხანძრეები...

შემდეგ გადიღო

და ქუჩაში

მე და მზე დავრჩით

და გაწუწული მწვანე ხეები.

როგორც თივის ვეება ზვინი,

მე სიხარული მომქონდა მხრებით.

ვერ ეტეოდა ქუჩაში იგი,

ედებოდა ხეებს და სახლებს

და ყველაფერს

აფერადებდა...

და, ჰა, შენს სახლთან

მოვსულვარ კიდევ.

ხედავ? გამოდის ქუჩაში ხალხი

და უღიმის ყველა ერთმანეთს,

თითქოს ახდაო

გულკეთილი კაცის სიზმრები.

აღებენ ფანჯრებს...

ისმის ხმაური გოგო-ბიჭების

და ნიავი საამოა და გრილი ისე,

თითქოს დამწვარზე

დედაჩემი

სულს მიბერავდეს“.

ამ ლექსში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, და მაინც — გ.პეტრიაშვილის ყველა მკითხველს ვუსურვებ, მრავლად ჰქონდეს ისეთი განცდა, როგორითაც პოეტმა „ბედნიერი დღე“ დაწერა.

გურამ პეტრიაშვილის ზღაპრები

მეზღაპრე გ.პეტრიაშვილს იგივე სათქმელი აქვს მკითხველისადმი, რაც პოეტ გ.პეტრიაშვილს. მის ზღაპრებშიც, ლექსების დარად, მთავარია ადამიანური ზნეობა, ცხოვრებისეული სიმართლე, სიმართლის პოზიციიდან დანახული ესა თუ ის მომენტები, რომლებიც ახასიათებენ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას. მაგრამ ეს ყველაფერი გადმოცემულია ლამაზ მხატვრულ საბურველში, ორიგინალურად მოძებნილი მხატვრული ხერხებითა და სახეებით. მწერალი არსად მიმართავს დიდაქტიკურ ქადაგებებს სიკეთისა და მორალის დოგმებისას, არამედ ცდილობს მისასვლელი იპოვოს მკითხველის გულთან და მისი ზღაპრებიც სწორედ გულების ასაღელვებლად დაწერილი. ისინი მართალი ნაწარმოებებია, რადგანაც ასახავენ ცხოვრებისეულ სიმართლეებს, მაგრამ ეთიკურის გარდა, უდაოდ დიდამათიესთეტიკური ღირებულებაც. ზოგიერთი ამ ზღაპართაგან რომანტიკული ხასიათისაა — ესაა ნათელი, გამჭვირვალე, ზნეობრივი რომანტიზმი, რომელიც მეტისმეტად მომხიბლავს ხდის ამ ზღაპრებს. მთავარი მოქმედი გმირები ამალღებულები, რომანტიკული და მართალი სულის მქონენი არიან; მათ უპირისპირდება ხალხი, — დაყრუებული სიკეთისა და სიყვარულის მიმართ, გაგულქვავებული, ფილისტერი და მემჩანი, ვისაც არ შესწევს უნარი ამალღებულისა და მშვენიერის დანახვისა. გმირები, თავიანთი სათნოებითა და საქციელით, უნებურად ხელს უშლიან ამ ხალხს, უპირისპირდებიან მათ „დაკანონებულ“ ინტერესებს და ცხოვრების „საყოველთაო“ წესებს, რითაც ხშირად აღაშფოთებენ მათ და უსამართლობაც არ იგვიანებს... ფილისტერი საზოგადოება ვერ ეგუება განსხვავებულთ, ზნეობრივად მასზე მაღლა მდგომთ, ყველანაირად ცდილობს შეაჩეროს მათი „ცურვა“ დინების წინააღმდეგ. „შეჩერებისას“ ეს მცდელობები ყოველთვის უსამართლობას შობს, როგორც გ.პეტრიაშვილის ზღაპრებში, ასევე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ზოგიერთ ზღაპარში „საზოგადოება“ ხვდება საკუთარ შეცდომას, გმირის ზნეობრივი ქმედებით შეძრული და თვალახელილი, რეალურ ცხოვრებაში კი ეს თითქმის არ ხდება, სამწუხაროდ.

ერთ-ერთ ლიტერატურულ წერილში გ.პეტრიაშვილი ამბობს, რომ ის, რაც მართალია და კეთილი, უთუოდ მშვენიერიც იქნება. მშვენიერება თან სდევს სიმართლეს ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც და ცხოვრებაშიც, როგორც „განუყრელი და“. მწერლის ეს სიტყვები შეესაბამება მისსავე ზღაპრებს, სიმართლის სულით გამსჭვალულთ, და ამავე დროს ესთეტიურად მომხიბლავთ. თუკი ზღაპრულ საბურველს ჩამოვაცლით, მრავალი აქ აღწერილი მოვლენა გვეცნობა, როგორც ჩვენი რეალური ცხოვრების უცილობელი თანამდევი. განა ჩვენს საზოგადოებაში ცოტაა „ჩემოდნების სენით“ შეპყრობილი ადამიანი? განა გაგვიჭირდება გამოვიცნოთ, რა კატეგორიის ხალხი იგულისხმება ამ „ჩემოდნების სენით“ დასწეულელებში? არ გაგვიჭირდება — ასეთებს ბევრს ვიცნობთ ჩვენს ირგვლივ. არც შურიანი ჭვარტლიწმენდიების სიბოროტე გაგვაოცებს თეთრსულელას მიმართ, პირნათლად რომ ასრულებდა თავის საქმეს, — ასეთი „ჭვარტლიწმენდიების“ სახელებიც ვიცით რეალური ცხოვრებიდან.

თუმცა, სჯობს თანმიმდევრულად მივყვეთ ამ მშვენიერ ზღაპარს — „კაცი და ქარი“, რომელიც, ჩვენი აზრით, საუკეთესოა.

ერთხელ, ერთ ქალაქში, სადაც ქარები იცოდა ხშირად, გამოჩნდა კაცი, რომელმაც უცნაური საქციელით მალე მიიპყრო ყველას ყურადღება: გზად მიმავალს ქუდს სტაცებდა ქარი წარამარა, კაცი კი გამოუდგებოდა ქუდს, დაიჭერდა, ისევ დაიხურავდა და გზას აგრძელებდა, სანამ კვლავ არ მოსტაცებდა ქარი და ასე აგრძელებდა მთელი დღეების განმავლობაში. გაცეხულ ქალაქელებს მეტი სალაპარაკო არ ჰქონდათ, არკვევდნენ

კაცის უცნაური საქციელის მიზეზს და პასუხი ვერ მოენახათ. კაცი კი დასდევდა ქუდს, ხშირად ქალაქსაც გასცდებოდა ხოლმე ქუდის დევნაში გართული და უკან ბრუნდებოდა დასვრილი, მტვრიანი და დაქანცული. ქალაქში ბევრს ჭორაობდნენ მასზე — სირბილში ჩემპიონობა სურსო, წონის დაკლება უნდაო, — ამტკიცებდა ზოგი. ცნობისმოყვარეობამ თავისი ქნა, მალე მთელმა ქალაქმა საკუთარ ქუდებს დაუწყო დევნა. გამოდიოდნენ და ქარის საპირისპიროდ იწყებდნენ სიარულს, სანამ ქარი ქუდს არ მოსტაცებდათ და დასდევდნენ თავ-თავიანთ ქუდებს. მაგრამ ბევრს ქუდზე გამობმული ჰქონდა მსხვილი ძაფი, რათა იოლად დაეჭირა ქარისაგან მოტაცებული ქუდი და არ ეწვალა. ქუდები კი განგებ შეკერეს ასეთი „გართობისათვის“. მხოლოდ ბავშვები დასდევდნენ ქუდს ნამდვილად — ბავშვებს ხომ არ უყვართ სიყალბე, — გრძნობდნენ, რომ ის ძაფი რაღაცნაირად სიყალბესთან იყო დაკავშირებული... ბევრჯერ წაიქცნენ, მუხლები გადაიტყავეს, ზოგი ავადაც ხდებოდა, ამიტომ მშობლებმა გადაწყვიტეს, მოეშლევინებინათ კაცისათვის მისი უცნაური საქციელი, ან სულაც ქალაქიდან გაეგდოთ. მაგრამ მალე ქალაქს გადაუარა ქუდების დევნის სურვილმა, ვერაფერი სახარბიელო ვერ აღმოაჩინეს ამაში და ისევ ის კაციღა აგრძელებდა ქუდის დევნას...

ერთ დილით მძაფრმა ქარმა დაჰბერა, კაცი გარეთ გამოვიდა ქუდით ხელში. ქუდი დაიხურა და... ჩადგა ქარი. ისევ მოიხადა — და კვლავ დაჰბერა ქარმა, ხალხს ქუდები მოსტაცა, მოქალაქენი გოცელები შეჰყურებდნენ კაცს და ვერ გაეგოთ, რაში იყო საქმე. — აბა, ახლა ასეცვცადოთ, თქვა კაცმა და ქუდი ოდნავ გადაიწია გვერდზე. იმწამსვე სასიამოვნო სუსტმა ნიავმა წამოუბერა... კაცმა გაუღიმა გოგონებულ მოქალაქეებს, რომლებიც მიხვდნენ, რომ მან ქარი დაიმორჩილა, გამოესალმა მათ და ერთ გზას დაადგა. მალე მიაღწია ეზოს, შიგ შევიდა, სამსაფეხურიან კიბეს აუყვა და კარზე ზარი დარეკა. კაცის საიდუმლო სულ ეს იყო — ამ სახლში მისი შეყვარებული ცხოვრობდა და კაცს უყვარდა ჭკრეტა, თუ როგორ აღელვებდა ქარი მისი სატრფოს კულულებს... კარი მოხუცმა გაუღო. თუ შეიძლება ამა და ამ ქალიშვილს დაუძახეთო, — სთხოვა მოხუცს კაცმა. — ასეთი სახელი ამ სახლში მხოლოდ მე მქვიაო, — გაეღიმა მოხუცს და მოსულს დაკვირვებით დააცქერდა... — ეს შენა ხარ? კაცმა იქვე წყლით სავსე პატარა კასრში ჩაიხედა და დაინახა, რომ თავადაც ერთიანად გასთეთრებოდა თმა. — ისევ დასდევ ქუდს? — სევდიანად ჰკითხა მოხუცმა ქალმა; — ახლა უკვე აღარ დავსდევ... — კაცმა ქუდი გადაიწია გვერდზე და საამო ნიავმა შეარხია იქვე მდგარი იასამნის ბუჩქი. — შენ ჩემი გულისათვის დასდევდი ქუდს... კაცმა თავი დაუქნია და ქუდი გაისწორა თავზე:

„ნიავმა შეწყვიტა ქროლა.

იდგნენ ერთმანეთის პირისპირ... დუმდნენ...

იდგნენ თავდახრილები და ორივემ იცოდა: თავი რომ აეწიათ ერთმანეთს ცრემლს დაუნახავდნენ თვალებში.

უცებ კარი გაიღო და გამოვიდა მომღიმარი ქალიშვილი, რომელიც საოცრად ჰგავდა ამ მოხუცი ქალის ახალგაზრდობას.

ქალიშვილი მიესალმა კაცს. ნახვამდის ბებოო, — ლოყაზე აკოცა მოხუც ქალს და წავიდა ჩქარი ნაბიჯით.

მოხუცმა კაცმა გაუღიმა მოხუც ქალს და ქუდი გვერდზე დაიხურა.

ნიავი წამოეწია ქალიშვილს და შეურხია კულულები...

თუ როგორ უცქერდნენ ქალიშვილს მოხუცები, რას ფიქრობდნენ და რას გრძნობდნენ, ამის გადმოცემას მე ვერ შევეცდები. უნდა მაპატიოთ, რადგან ძალზე ძნელია...“

იმავე დღეს მოხუც კაცთან სახლში ერთი ჭაბუკი მივიდა. — იცით, როცა ნიავი უბერავს... იცით... კულულები... ქალიშვილს... — გაუბედავად იმეორებდა ჭაბუკი. მოხუცმა ყველაფერი გაიგო, თავისი ქუდი ჩამოხსნა საკიდიდან და ჭაბუკს გაუწოდა ღიმილით.

ჭაბუკმა მადლობა გადაუხადა და სიხარულით გაიქცა. სადამოს კი იგი ისევ დაბრუნდა ნაღვლიანი და ქუდი მოხუცს დაუბრუნა, მტვერში მოსვრილი. — ყველაფერს მივხვდიო, — უთხრა ჭაბუკმა. — არ გირჩევ, რაც გადაგიწყვეტია, ძალიან ძნელია. ხედავ, მე როგორ დავაგვიანე? — მე ვიჩქარებ, მტკიცედ მიუგო ჭაბუკმა და გამოემშვიდობა. — ქალაქის ბოლოში ორმოა, ფრთხილად იყავი... დაადევნა მოხუცმა. დილით კვლავ უბერავდა ქარი. ქუჩაში ის ჭაბუკი გამოვიდა, ცისფერი ქუდი ეხურა თავზე. უკვე ყველამ ყველაფერი იცოდა: მოდიოდა ჭაბუკი და ფიქრობდნენ — აი ახლა გამოსტაცებს ქარი ქუდს და ისევ თავიდან დაიწყებო ყველაფერი...

„მერე ერთმა ამოიოხრა და თქვა, ეს ძალიან ნაღვლიანი ამბავიაო.

ყველა დაეთანხმა.

ვინ იცის, იქნებ ისე, რომ თვითონაც არ იცოდნენ, გულის სიღრმეში ყველას უციმციმებდა ოცნება, მათ ქუდებსაც დამორჩილებოდა ქარი, ხომ ყველას ჰყავს ვინმე, ვისი კულულების ნიავეთ შერხევასაც სურს უყუროს...

ძნელია ქარის დამორჩილება და შეიძლება ამ ჭაბუკსაც დააგვიანდეს.

მაგრამ შემდგომ კვლავ გამოჩნდება ვინმე მისი მსგავსი.

დააგვიანდება იმასაც... კვლავ სხვა დაედევნება ქუდს...

და ასე შემდეგ... უსასრულოდ.

კი, ნამდვილად სევდისმომგვრელია ეს ამბავი, მაგრამ განა უფრო არ შეგიპყრობთ სევდა, თუკი ოდესმე გაიგებთ, რომ გადაშენდა ქუდის მდევნელთა უცნაური ტომი და ქალაქში ტყუილადღა უბერავს ქარი?“

აი, ასეთია ეს შესანიშნავი ზღაპარი.

1999 წ.



დღიუხები ფხაბმენსები

მართალია გვიან, მაგრამ საბოლოოდ და მტკიცედ გადაწყვიტე; ისე კი არა, ადრე რომ შევდგომივარ წერას და ორიოდ კვირის შემდეგ მიმვიწყებია. ეს გადაწყვეტილება განმმტკიცა დათო კრაწაშვილის ჩანაწერებმაც, გუშინ საღამოს ტელევიზიით რომ გადმოსცეს.

სხვისი არ ვიცი და მე დღიურების წერას უფრო ჩემი თავისთვის ვიწყებ, ვიდრე მკითხველისთვის. ჯერ ერთი, ვეჭვობ, ვინმე გამოუჩნდეს მკითხველად ქალაქში გადატანილ დღეებს ჩემსას, რომლებიც, ალბათ, ჩემ გარდა ყველას ინტერესმოკლებულად მოეჩვენება. მეორეც, ვთქვათ და ეღიროსა ჩემს ჩანაწერებს მკითხველი, ჩემთვის უფრო მთავარი იქნება მაინც ჩემს ხანმოკლე, მხოლოდ 13 ახალი წლის მომსწრე ცხოვრებაში დაგროვილი მოგონებებისგან განტვირთვა. იმედი მაქვს, ამაში ყველაზე ერთგულ და კარგ სამსახურს ქალაქი და კალამი გამიწევს, — არა მარტო ვიმედოვნებ, არამედ დარწმუნებულიც ვარ, რომ ეს ასე იქნება.

სიტყვა გამიგრძელდა, თავი შევაწყინე საკუთარ თავს. დროა, ფილოსოფიას თავი დავანებო და, როგორც იტყვიან, საქმეზე გადავიდე.

დავიწყებ სულ თავიდან, თებერვლის იმ დღიდან, როცა პირველად ავახილე თვალები და ზეცა დავინახე.

ეს მოხდა 1977 წელს, 27 თებერვალს.

„ეს მოხდა...“ ისევ თქვი, თითქოს ჩემი დაბადებით რაიმე განსაკუთრებული მომხდარიყოს. დიდი არაფერი, — უსასრულოდ გადაჭიმულ ოკეანეში ერთი წვეთი ჩავარდა, — ისე, რომ თვით ოკეანეს სრულიად არ უგრძნია არაფერი. წარბი შეუტოკდა მხოლოდ იმ ტალღას, რომელზედაც დაეცა ეს წვეთი (ასეთი უკბილო და უცნაური შედარებაც მოუვა ადამიანს თავში).

რასაკვირველია, ის დღე და მომდევნო დღეები, კვირები არ მახსოვს, ანდა როგორ უნდა მახსოვდეს, ჩემს მეხსიერებას ნისლივით შემორჩენია ბუნდოვანი სურათები ბავშვობისა („ბავშვობაში“ ვგულისხმობ, 3-4 წლის ასაკს). უფრო ნათლად ჩამრჩენია გონებაში კოჯორი, სადაც 5-ოდე წლისა ვისვენებდი დედ-მამასთან ერთად, დანგრეული ავტობუსი, შორიდან უმწეო ჩონჩხად რომ მოჩანდა გზისპირად მიგდებული. მახსოვს მანგლისიც, სურნელოვანი, მაღალი ტყე, მინდორზე გატარებული ბედნიერი წუთები; მოგვიანებით დასვენება ევატორიაში. ტალღების ქაფში ფხვშველა ტანტალი, წვრილ ქვიშაში ხელ-ფეხის ფათური, მცხუნვარე მზეზე გარუჯვა, მერე ისევ ზღვა, შემდეგ ნაყინი და ფართო სასადილო, გემრიელი კერძები... ბავშვობა, შეიძლება ითქვას, ბედნიერად გავატარე...

..დღეს 31 დეკემბერია.

ნატვრა აგვისრულდა — უხვად მოთოვა, არე გადაათეთრა თოვლმა. სულმოუთქმელად ველოდი ამ დღეების დადგომას — ერთი მეგობარი შეპირებული იყო, საახალწლოდ ჩემს სოფელში გაატყებ, ნადირობით თავი შევიქციოთო.

არასოდეს მინადირია, მაგრამ თავიდანვე მომხიბლა ამ წინადადებათ — რაღაც წარმტაცი რომანტიკის განცდის სურვილით შეპყრობილი. ჩემი მეოცნებე ნატვრა ყოველთვის რაღაც

ახალს ელტვოდა და თვალწინ მკაფიოდ წარმომიდგა დათოვლილი ტყე, რამდენიმე ოდა შორს, თოვლის სითეთრეში ჩაკარგული, გზადაგზა — იდუმალი ჩქამები და სუნთქვაშეკრული მოლოდინი. მერე — პატარა ქოხში აპრიალებულ ბუხართან ჯდომა და მყუდრო საუბრით თავის შექცევა მეგობრებთან, დაჭირხლულ ფანჯრებზე კი — ახალი წლის ხილული სუნთქვა.

ახალ წელს რაღაც გამორჩეული ხიბლი სდევს. დედაქალაქშიც მეუფლება ხოლმე რაღაც საზღაპრო განწყობილება და მით უმეტეს სოფლად კიდევ მეტად გაშლიდა ფრთებს ფანტაზია, — ასე ვფიქრობდი მე, რომანტიკული წინათგრძნობებით გატაცებული.

სოფელ ო-ში ხუთნი უნდა წავსულიყავით. ყველანი თანაკვილანი ვიყავით და ახალგაზრდული ჟინი გვეწეოდა იდუმალ სიამეთა განცდისაკენ, მაგრამ, ვგონებ, მე ერთი გახლდით ასე იდეალისტურად წინასწარ განწყობილი.

ნახევრად ცარიელი მატარებლით ჩავედით რაიონის ცენტრამდე, იქიდან კი, ჩემი დაჟინებით, ცხენებით გავწიეთ ლევანის სოფლისაკენ. არ მინდოდა, მეოცე საუკუნის ტექნიკის რაიმე მიღწევით გვესარგებლა უკვე ადგილზე ჩასულებს და ამით შეგველაზნა საოცარი განწყობა, ამ მიდამოების მზერაში რომ ეუფლება კაცს.

მალე სოფელი ო-ც გამოჩნდა. ეს მომცრო სოფელია და ალბათ საკმაოდ თვალწარმტაცია გაზაფხულზე ან შემოდგომაზე... მდუმარედ ავათავეთ აღმართი და გავივაკეთ. ჩვენი ცხენები დიდი სიჩაუქით არ გამოირჩეოდნენ, ცოტა უჭირდათ მაღლობების დაძლევა (სოფელი ო — მაღალმთიან რაიონში მდებარეობს), მაგრამ მე ისინი ფრთამალ რაშებად მეჩვენებოდა, დონ კიხოტივით, და რაც უფრო ვუახლოვდებოდით ხშირი ტყეებით შემოზღუდულ სოფელს, მით უფრო მატულობდა ჩემში დილეტანტური აღფრთოვანება და იდუმალის მოლოდინი.

მცირე ხანში ლევანის პატარა ოდასთან ჩამოვხედით, ცხენები იქვე მივაბით და სახლში შევედით. უკვე რამდენიმე წელი იყო, აქ აღარავინ ცხოვრობდა და დამშეულებს ვერაფრით გაგვიმასპინძლებოდა ეს სახლი, ისევ ქალაქიდან წამოდებული მცირე ხორაგი გავხსენით, აპრიალებულ ბუხარს შემოვუსხედით და საუბარი გავაბით, თან მადიანად ვილუკმებოდით ხუთივე.

დაღლილობის მიუხედავად, დღესვე გვინდოდა ბედი გვეცადა ნადირობაში.

— ჯერ რა დროს ნადირობაა, ახალი წელი მოგვიკაკუნებს ამაღამ, ხვალ გავიდეთ სანადიროდო, — იცინოდა ლევანი, — იცოდა, ვერ გადაგვათქმევინებდა. ყველა ჩვენგანის ერთობლივმა პროტესტმა თავისი გაიტანა და ოდნავ დავნაყრდით თუ არა, თოფებს წამოვავლეთ ხელი და გარეთ გავედით.

გარეთ რაღაც უცნაური, თბილი სუსხი იყო, თოვლის ფრთილები ტრიალ-ტრიალით ეფინებოდნენ მიწას... ***

... „სხვა მწვადი“ არ მიგემია, მაგრამ გული მიგრძნობს, ჯიხვის მწვადი კარგი უნდა იყოს. ჭამაზე სიტყვა გამიგრძელდა, ღორმუცელად არ წარმომიდგინოთ...

და... გინდ დაიჯერეთ, გინდ, არა: ლექსებსაც ვწერ (თუმცა ლექსს ვინ არ წერს საქართველოში...). წარმოდგინეთ, ერთხელ გაზეთშიც კი დამბეჭდეს! მაგრამ ეს ისე, სიტყვამ მოიტანა, — ტრაბახში კი ნუ ჩამითვლით...

მშვენიერ დღეთა გახსენება

ფოთოლიც კი არ იძვროდა, ისე ცხელოდა, თუმცა ეს სიცხე მკვეთრად გამოირჩევა სხვა ცხელი დღეებისაგან იმით, რომ იგი ცვალებადია. მალე ისევ ხორშაკმა წამოუბერა და მწვანე ახალგაზრდა ფოთლები ააშარიშურ-აალაპარაკა.

კოჯორში ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ ეთნოგრაფიულ-ისტორიული დაკვირვებები არ მიწარმოებია. ახლა კი დავაკვირდი კლდეზე აღმართულ კონუსისებურ ციხე-სიმაგრეს. მას ეტყობოდა, რომ იგი ძველი ეკლესიათაგანი იყო. შავად გამოიყურებოდნენ ეკლესიის ყრუ და მაღალი კედლები, იქიდან გამომზირალი რკინის გისოსებიანი ფანჯრები და ეკლესიის უზარმაზარი ნანგრევები. წიგნებიც არ დამვიწყებია, ჩემი პირველი მეგობრები. რაც შემეძლო წავიკითხე და იმედი მაქვს, წაკითხული წიგნები სარგებლობას მომიტანენ, ბევრჯერ ჩავწვდე სხვადასხვა ადამიანის გმირულ, თუ ჩვეულებრივ ავკარგიანობასა და ყოფა-ცხოვრებას.

შევხვდი ადამიანებს, რომლებმაც სხვადასხვანაირი შთაბეჭდილება დამიტოვეს. გავიცანი კოჯრელი მეზობელი ბავშვები. ყველაზე კარგი ურთიერთობა დავამყარე ჩემს კოჯრელ მეზობლებთან — ზურიკო და დიმიტრი სულხანიშვილებთან. მათ მახლობლად ცხოვრობდნენ სალომე და ერეკლე ტოგონიძეები, რომლებიც არანაკლებ მეგობრობას მიწევდნენ.

მშვენივრად გავატარე ზაფხული კოჯორში.

4.09.87 წ.



შემოდგომის ფერები

შემოდგომა ძველი თბილისის მიდამოებს უხდება. აღმართებზე მალე აშარიშურდებიან ყვითელი და წითელი ფერები. ჩვენს ეზოს ორი ძირი ვაზი ამშვენებს; მათი ძველი ფოთლები დაბერებული დედაკაცებით გამოიყურებიან, ყვითლდებიან, უფერულდებიან და ბერდებიან. მტევნები დამსხვილდნენ, ჩამრგვალდნენ და ახლა საწნახელისა და რთველის დანახვა ისეთი სიხარულია, როგორც ბავშვებისათვის თბილისქალაქობა, რომლის დადგომასაც აღარაფერი უკლია. მანქანების საბურავებზე იჭმუჭნებიან ყვითელ-წითელი ფოთლები, შარიშურობენ და ხალიჩად ეგებიან გამვლელ-გამომვლელებს. ხეებიდან ნახევრად მწვანე ფოთლები სეტყვასავით ცვივა. რა სჯობს შემოდგომის წითელ-ყვითელ ფერებს?

4.10.87 წ.

საინტერესო ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან

დაიწყო საზაფხულო არდადეგები, ჩვენ გადავწყვიტეთ იგი ბოლომდე ევპატორიაში გაგვეტარებინა. მატარებელში ჩავჯექით და გავემგზავრეთ.

მე ყოველ დილას მზის ამოსვლას ვეგებებოდი, გადმოვიხედავდი მატარებლის ფანჯრიდან და ვტკბებოდი ზაფხულის მშვენიერებით.

ერთ დღესაც გადმოვიხედე მატარებლის ფანჯრიდან, იქიდან დანახულმა საოცრებამ ანაზღადად გამაშტერა: ჩვენი მატარებელი წყალზე მისრიალებდა. ალბათ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება. მართალია, მატარებლის ბორბლებს ვერ ვხედავდი, მაგრამ ის გავარჩიე, რომ ფანჯრის ქვემოთ წყალი ცისფრად ლივლივებდა. გავაყოლე თვალი ამ უზარმაზარ სივრცეს და თავი გემზე მეგონა, თან ჩვენი მატარებელი ელვის სისწრაფით აპობდა ტალღებს.

სალამოს ყველაფერი გაირკვა: თურმე ჩვენ უნდა გავვევლო ქერჩის სრუტე, ამიტომ მატარებელი ვიწრო, გრძელ, უზარმაზარ ტივზე შესვეს, რომელსაც მატარებლის მეორე ნაპირთან მიყვანა ევალეზოდა. არ დამავიწყდება გაკვირვება, რომელსაც მაშინ ჩემს თვალებში ამოიკითხავდით.

26.11.87 წ.

შედარებები და სიტყვათა შეხამებები ლექსისათვის

- * ლურჯი ბედნიერება
 - * ნაპირი უყუჩდება ტალღისტუჩიან წყლის ალერსს
 - * ალბატროსები აშლილან
 - * ლაღი ფრინველი-(ები)
 - * სვამს ჰაერს
 - * ზღვისსურნელოვანი
 - * ბედნიერების სველი აფრა
 - * აფრით გაბრუება
 - * ხელი ბროლივით უთეთრესი, ლბილი
 - * გულუბრყვილოდ გადახრილი ხელის ამოსვლა წყლიდან
 - * იის სიხარული
 - * უზრუნველი ქალთევზები
 - * ცეკვით დაღლილები
 - * მარჯნების ნებიერი დედოფალი
 - * სულცივი ასულის მკაცრი სილამაზით მსუსხველი ხელი
 - * ზღვის მარმარილო (ხელი)
 - * ალუბლის ნაზი სუნნი
 - * მომხიბვლელი სევდა ხელის პატრონის
 - * სანატრელი ხელი (ღვთაებრივი)
 - * ხელზე ხელის შეხება ფრთხილი
 - * სინატიფით თლილი საფეხურები
 - * თხელი ჭავლი ნაზი ზრუნვა
 - * სიმსუბუქის ბელურები
 - * თეთრი დაღალების აბამბვა ქარისგან
 - * დაღალების ზრუნვით გაშლა
 - * სევდის ნიავის ქროლა სახის სინაზისგან
 - * სახის სავსე სინაზე
 - * ვარდისფერი ნუნები
 - * ზღვის თვალებით გაღიმება
 - * თვალებში ნისლი
 - * სუნთქვაში ქარის გადაქანება
 - * ნიავის ქროლვა უმკრთალეს ყელთან
 - * დაეკოცნება შუბლი ქარით
 - * ჯერ არნაკარი შუბლი
 - * სუნთქვა დააკვდება თეთრ ხელისგულებს
- მსუბუქი შუბლი
უცოდველობით გადმობურცვა ნაზად შუბლის
მოღლილი და ღვთაებრივად ნაღვლიანი ცქერა (მზერა)
მორცხვი ცქერა (მზერა)
კაბის ქათქათა ქობები
სპეტაკი კაბა
ქობების გაშრობა ქარით ფრთხილად
ცრეცილი ოქროსფერი თმები (მკრთალად თეთრი ოქრო)

თმების დაღვრა, ჩამოღვრა მხრებზე, გადაღვრა
* სუსტი (თხელი) მხრები

თვალეზში მორცხვი სიზღვისფრე
 დახრილი თვალეზი
 * და ჩვენ ვიცინებთ ბავშვებზე ვით ჩვენი თვალეზით
 * ჩაწნავს სიო თმაში ზღვის ლურჯ ვარდებს
 თოლიეზი თხელი ფრთეზით
 ქარვა-ქარვა (ცრეცილი-თმა), მკრთალი, მქრალი, ღია, ბაცი
 * კეთილშობილი
 ზღვის ნისლეზი
 * გემი
 * აფრეზი
 * ანძეზი
 (მე) ავსილი და მადლიერი უსაზღვროდ
 ბრილიანტი-ეზი
 მარგალიტი-ეზი
 სათნო
 ჩამოფენილი თმეზი
 დიდებული, დიდებულეზა (კაბის, თმეზის)
 ჰაეროვანი, ამოჰაეროვნება
 დედოფალი, დედოფლური
 მარგალიტისფერი კაბა
 სევდიანი სინორჩე (სახის) * ქალწული
 * იალქანი-ეზი
 * დანისლული, შენისლული თვალეზი
 * ბაგე, ბაგეზი
 კამკამი (მისი თვალეზის)
 ამორძევეზა, ამოარძევეზს
 რძე, რძიანი, რძის, რძესავით
 ზღვის, ტალღის ქაფი
 თმის თეთრი ნისლი
 ნატიფი (ხელი, შუბლი)
 * ოკეანე
 * ნაზი-სილამაზით
 * თეთრი ქოშეზის ადენილი თეთრი სურნელი
 თოვლისფერი (კაბა, ხელეზი, თითეზი) თმეზი
 * კულულები ქერა, დახვეული, მოფარფატე
 სველი თვალეზი
 * ღვთაებრივი
 * უნაზეს თვალეზს მოუნისლავს (დაუნისლავს)
 ქერა წამწამეზი (გრძელი)
 ოკეანის თოლიეზი კეთილშობილი
 ლაჟვარდი, სილაჟვარდე
 * მოლაჟვარდე (სული)
 უნაზესი (იგი)
 კეთილშობილი (იგი)
 თოვლისფერი მაქმანეზი (მარმაშეზი)
 * თეთრი თვალეზი (ქერა თვალეზი)
 თვალეზის ციმციმი
 * კრთომა, კრთის
 უმიზეზო (ის)
 ფაფუკი (თმეზი)

რამ გარდაქმნა ბიჭი?

ა.სულაკაური — „ბიჭი და ძალი“

რატომ მოერია ბიჭი იმ ოთხ მეტოქეს, ქუჩის კუთხეში ყოველდღე რომ ატუზულიყვნენ? რამ მოუმატა გაბედულება ბიჭს, რატომ უწინდელივით აღარ შეშინდა? რამ გარდაქმნა ორ დღეში ბიჭი? ჩემი აზრით, ბიჭი გამოიწროთ, შეიგრძნო თავისი ძალა, მიხვდა, რომ არ უნდა ყოფილიყო თითქმის ყველასაგან დაჩაგრული, მასაც, როგორც იმ ჭორფლიან მეტოქეს, ჰქონდა ყველაფრის უფლება. ბიჭი გამოიწროთ, შეეჩვია ზედიზედ იმედების მწარე, მწარე გაცრუებას, ყველასაგან აბუჩად აგდებას; რით იყო იგი გეოზე, პუპუზაზე, ჭორფლიანზე თუ კურკაზე ნაკლები? (მეტოქეების სახელებია) რატომ არ ჰქონდა უფლება, მასაც ჰყოლოდა ძალი? ბიჭმა ერთბაშად მოზღვავებული, გაღვიძებული სიამაყე იგრძნო! მიხვდა, მასაც ჰქონდა უფლება ყბები ჩაემტვრია პუპუზასთვის და სხვებისთვის; ისინი ხომ მას აბუჩად იგდებდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ! ბიჭი გარდაქმნა ცხოვრებამ, მწარემ და შეუბრალებელმა.

25.12.87 წ.

ვინ ვიქნები მე?

ვერ მომიფიქრებია, უფრო სწორად, ვერ ამირჩევია მილიონიდან ერთი! თუმცა, მილიონივე აზრი გამოვიცვალე.

ჯერ იყო და შერლოკ ჰოლმსობას ვაპირებდი, კონან დოილის მოთხრობით მოხიბლული, ბასკერვილების ძალით ხომ მთელი ღამეები თეთრად გამათენებინა; მაგრამ... ალბათ წარმოიდგინეთ სათვალისანი გამომძიებელი, რომლისთვისაც პროფესორობა უფრო ზედგამოჭრილი იქნებოდა, ვიდრე „ვინმესთვის რევოლვერის ცივი ლულის მიბჯენა საფეთქელზე...“

ჩემმა გამაღიზიანებელმა სათვალემ მაინც თავისი გაიტანა, ფარ-ხმალი დამაყრევინა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ჩემი სამფუტიანი ტანი ბევრად დაბალია კონან დოილის იდეალური გმირის ექვსფუტიან ტანზე...

საბოლოოდ, გამომძიებლობას ასტროფიზიკოსობა ვარჩიე, შემდეგ კვლავ გამომეცვალა აზრი, ასტრონომიას გავეკიდე, შემდეგ ფიზიკოსობა მომიინდა და... მოკლედ რომ ვთქვათ, არც გამომძიებლად ყოფნა მეღირსა და არც მეცნიერად, თუმცა დავიცადოთ... ვატყობ, მალე გემთმშენებლობა გამიკვლევს ცხოვრებაში ეკლიან გზას...

წამოვაჯდები ტორეადორივით გემის ბრამქსელს და ჰაიდა, გავზომავ სიღრმეს ოკეანისას. საქმე იმაშია, რომ მე, თუ მეღირსა, ჩემი აგებული გემით მიინდა ვიმოგზაურო დედამიწის ირგვლივ, და თუ ჩემი გემი იმდენს შესძლებს, რომ ვენერაზე გამაფრინოს, მაშინ მე ვიქნები, რაც ვიქნები ამ დუნიაზე!

ვის მიინდა ვგავდე? არც ამაზე მქონია ერთი აზრი... ჯერ შერლოკ ჰოლმსს, შემდეგ გალილეო გალილელის, შემდეგ ნიკო მუსხელიშვილს და ბოლოს, მისტერ საირუს სმიტს... იგი მითია, უფრო სწორად, გმირია წიგნისა, ამბისა, რომელიც შეთხზა მისტერ ჟიულ ვერნმა და

თავისი გმირი დააჯილდოვა ჩემთვის იდეალური თვისებებით; თუ ჟიულ ვერნმა თავისი თვისებები სმიტის სახით წარუდგინა მკითხველს ცხოვრების უტყუარ სარკეში, წიგნში, მაშინ მე თამამად ვიტყვი: „მინდა ვგავდე ჯენტლმენს, რომლის სახელია ჟიულ ვერნი, ანუ მისტერ საირუს სმიტი“.

1988 წ.

ჩემი ბიბლიოთეკა

ჩემი ბიბლიოთეკა ძალზე მდიდარია წიგნებით. სულ სხვადასხვანაირი წიგნი მაქვს: ზოგი სქელტანიანი, ზოგი თხელი, ზოგი მუყაოს ყდაში ჩასმული; ზოგიერთი კი უბრალო ქაღალდის გარეკანშია. ძლიერ მიყვარს წიგნები, მათში ბევრი საინტერესოა აღწერილი: ერთი თუ საიდუმლოებითაა მოცული, მეორე მისგან განსხვავდება იმით, რომ მასში აღნიშნულია მოგზაურობა გემით თუ თბომავლით; სადაცაა გამოვა ილია ჭავჭავაძის ოცტომეულის მეორე ტომი, პირველი ტომი საქართველოს მგოსნისა უკვე ხელთ მიპყრია.

მაქვს წიგნები, რომლებიც აღწერენ საქართველოს, თბილისის, მცხეთის ისტორიას, ქართველთა ძველისძველ ყოფა-ცხოვრებას და კულტურას, ფერწერას, ქანდაკებას, გრაფიურას, თეატრს, მუსიკის განვითარებას ძველ იბერიაში.

და მაინც, ვყიდულობ წიგნებს, ხარბად ვეწაფები მათ და ვგებულობ ბევრს, ბევრს ამ დალოცვილ ქვეყნიერებაზე!

1988 წ.

ნუ გეშინია, დედა!

დედაა საწყისი ყველაფრისა, რამდენი მამულიშვილი გაუზრდია ქართველ დედას სამშობლოსათვის, რამდენი შვილი უნაცვალეობია მამულისათვის, რამდენჯერ უამაყია დედას თავისი შვილით, რომელიც მამულს შეაკვდა, მისთვის თავი გაწირა. დედის ამ სიხარულში მუდამ იგრძნობოდა დედობრივი უდიდესი მწუხარება, სასოწარკვეთა, მაგრამ თითქოს გრძნობა მოვალეობის მოხდისა მამულის წინაშე დარდს უქარვებდა ოდითგანვე ნაღვლიან მშობელს.

დედა ამაყობდა იმ შვილით, რომელსაც ერის წყლული წყლულად აჩნდა.

ჩვენ კი... რას არ ვიქმთ, ცოდვილები, ახალი თაობა, საზიზღარი ახალგაზრდობა, ნარკომანები, მორფინისტები, კაცის მკვლელები და ზოგჯერ... დედის მკვლელებიც ვართ. ვკლავთ საკუთარ მშობელს არაფრის გულისათვის, სამშობლოს გრამ ოქრო-ვერცხლზე ვცვლით და თავი მაინც უცოდველ კრავებად მიგვაჩნია.

არ გვესახება დედის ის საშინელი მწუხარება, შეშლილი სახე, დაკაწრული ლოყები, თვალები, სისხლიანი თვალები, რას ჩადითო, რომ გვეუბნებოდა.

„ჩემმა შვილმა ერს უღალატა, ჩემი შვილი ხულიგნებს აპყვა!“ — ფიქრობს უბედური მშობელი და წყევლის თავის გაჩენის დღეს.

ასეთია ყოველთვის დედა: მტირალი, ნაღვლიანი, უსიხარულო, სიცოცხლეგამწარებული

და შავებში შემოსილი; უკვე მოხუცდა, თვალს ლიბრი გადაეკრა და მაინც უნათებს შვილს გზას მუდამ ჩაუქრობელი ლამპრით, იმ ლამპრით, მხოლოდ დედას რომ აქვს.

დედა რომ არა, კაცობრიობას სად მოვიკითხავდით? დედა რომ არა, ვინ შეუნარჩუნებდა სიცოცხლეს ერთი მუჭა ერს, საქართველოს, დედა რომ არა... დედა რომ არა!...

მაგრამ — ხელის გულზე ერბოკვერცხი არც ერთ შვილს არ შეუწვავს, დედის ამაგის მეთაღი არ გადაუხდია შავებით შემოსილი მოხუცი მშობლისათვის; დედა მაინც ხარობს, ხარობს ცრემლმორეული, მომღიმარიც და მწუხარეც, ხარობს თავისთვის, მარტოდმარტო, მიგდებული, მიტოვებული; ხანდახან შარაგზას ნაღვლიანად გასცქერის, ხელში სანთელს აიღებს და გზას უნათებს ცთუნებთაყოლილ შობილს.

„შვილო! შვილო! კეთილ გზას გაუყევი, სათნო იყავ! სათნო და მოწყალე!“ ამბობს ხრინწიანი ხმით და უღონოდ ჩამოდებს თავს ფანჯრის რაფაზე...

დედის იმედი ხომ უნდა გავამართლოთ, დედის იმედი! სიცოცხლის მეთაღი მაინც დავუტოვოთ სიხარულიანი უბედურს. მოვა თაობა, ახალი, შეგნებული, დედის მადლიერი, მიხვდება და გამოისყიდის წინაპართა შეცდომებს. ეტყვის ცრემლმორეულ დედას: „ნუ გეშინია, არ დაიდარდო! დედა!“

5.03.88 წ.

გაზაფხული მაინც მოვა

თებერვლის 27-ია, მაგრამ მაინც ქარი ქრის, იანვრის სუსხი თავს არ გვანებებს, დაგვტრიალებს, სურს, ყველაფერი დაიმონოს, თვით გაზაფხულს, ყოვლისშემძლე გაზაფხულსაც უმკლავდება, მაგრამ... გაზაფხულმა თავისი ფასი იცის, არ უტოლდება შურიან ზამთარს, მშვიდად უყურებს ამ უკანასკნელის ბობოქრობას და გულში ეცინება კიდეც... ოჰ, გაზაფხულო, გაზაფხულო! როგორ მოგვანატრე თავი, ყვავილები შენს სხივებს ელიან, ადამიანები — შენგან აყვავებულ ბაღსა და ვენახზე ოცნებობენ... შენ კი... შენ კი... ყოველი სულდგმული შარაგზას იმედიანად უყურებს, იმ შარაგზას, შენ რომლითაც მოდიხარ ხოლმე წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ერთხელ...

ზამთარმა თითქმის ოქტომბერშივე შემოგვიღო კარი, თოვა 10 ოქტომბერს დაიწყო და გრძელდება დღემდე, მაგრამ როდემდის? როდემდის? რად აღარ ჩნდები, რად დაგვეკარგე? დანებდი მკაცრ ზამთარს თუ შენი სითბოთი მოუღებე გული?! ალბათ! მაგრამ მაინც მოგიხდება ზამთრის განდევნა, თოვლის დადნობა... შენი იმედი გვაქვს, წელიწადის მოძღვარო, შენი იმედი!.. გაზაფხული ხომ მაინც მოვა...

გაზაფხული მაინც არ მოვიდა.

1988 წ.



ზღაპრები



წინასიტყვაობა

მკითხველო, კიდევ ერთხელ მოემზადე სევდიანად სასიამოვნო გაცემისათვის. მოუსმინე ექვსი წლის მეზღაპრეს, ტატო (რათი) წინუას, ნული კლასის მოსწავლეს (მაშინ არსებოდა ნული კლასი).

ექვსი წლის მწერალი თურმე ყოველ დღე თავისი სულის საზღაპრეთიდან თითო ზღაპარს სამზეოზე გამოიტანდა და სკოლაში მიჰქონდა. ამ ზღაპრებით დოღო მასწავლებელსა და თანაკლასელებს აოცებდა (დოღო ტატიშვილი მისი პირველი მასწავლებელი იყო, რომელიც მოსწავლეებს ეუბნებოდა, იცოდეთ, კლასში პატარა გენიოსი გიზითო). ხან თვითონ ტატო კითხულობდა გაკვეთილზე, ხან — თავად მასწავლებელი, კლასელებს სახლში მიჰქონდათ მასწავლებლის დავალებით კიდევ ერთხელ გადასაკითხად და ყველა მოუთმენლად ელოდა მეორე დღეს. სრულიად გასაგებია ეს მოლოდინი.

6 წლის ვაჟის ზღაპრები ძლიერი მუხტითა და უნაზესი განცდებითაა დატვირთული. მოთხრობილი ამბები ნებისმიერი ასაკის ადამიანში გააღვიძებენ ინტერესს. ავტორი თხრობის ოსტატია, საოცრად წრფელი და დაჯერებული. იგი ძლიერად ჩასჭიდებს მკითხველს ხელს, წაიყვანს ზღაპრების თბილ, ლამაზ, სევდიან ქვეყანაში და აზიარებს მშვენიერებას.

ზღაპრებიანი რვეულები ბევრია. ახლა რამდენიმეს და თანაც შემოკლებით შემოგთავაზებთ.

თამარ ინჯია



პეპი მონჟუას თავგადასავალი...

თავი 1.

ამერიკის დედაქალაქ ვაშინგტონში ცხოვრობდა მდიდარი ოჯახი.

ოჯახის უფროსი, 38 წლის მამაკაცი ჯორჯ მონჟუა იყო. მისი მეუღლე — ნან მონჟუა; ხოლო მათი სამი ბიჭი: პირველი თოთხმეტი წლის, მეორე ათი წლის, მესამე ცხრა წლის იყვნენ. ისინი ცხოვრობდნენ ცენტრალურ ქუჩაზე.

პირველ შვილს ერქვა ნებ მონჟუა, მეორეს — ჩალან მონჟუა, ხოლო მესამეს — პეპი მონჟუა.

ეს ოჯახი ძალზე მდიდარი ოჯახი იყო 1899 წლიდან 1914 წლამდე. შემდეგ იგი გადატაკდა და ბავშვებს ლუკმა-პური ძლივს ჰყოფნიდათ.

ბოლოს ეს ოჯახი ისე გადატაკდა, რომ მშობლებმა, რაც კი ლუკმა-პური ჰქონდათ, სულ შვილებს დაუთმეს და თვითონ არა დაიტოვეს-რა. ამის გამო ისინი გარდაიცვალნენ.

ბავშვები ობლად დარჩნენ. ბოლოს ეს მოიფიქრეს: «ცალკე-ცალკე დავადგეთ გზას და გავიყაროთ».

ჯერ ერთად ტყე უნდა გაეველოთ, შემდეგ კი გაყრილიყვნენ.

შუა ტყეში დათვი შემოეყარათ.

უფროსმა ბიჭმა ნებმა დათვს მამისაგან დატოვებული თოფი ესროლა. დათვი დაიჭრა და გაცეცხლდა. ნებმა კი, იმის მაგივრად რომ დათვისათვის ხელმეორედ ესროლა, თოფი გააგდო და გაიქცა. დათვი დაეწია და მოკლა.

ახლა შუათანა მამ დაავლო თოფს ხელი და ესროლა დათვს. დათვი არც ახლა მომკვდარა. ჩალანს შეეშინდა, თოფი გააგდო და დათვისაკენ გაექანა. დათვმა ჩალანიც მოკლა.

ახლა პეპიმ დაავლო ხელი თოფს და დათვს ესროლა. დათვი მიმედ დაიჭრა, მაგრამ იმდენი კი შეეძლო, რომ ადამიანი მოეკლა. იგი პეპისაკენ გაექანა. პეპი არ დაიბნა, როგორც მისი უფროსი ძმები. მან ხელმეორედ ესროლა თოფი დათვს. დათვი მოკვდა. პეპიმ კი გზა განაგრძო. თან გულში ჩაიკრა თავისი თოფი... მიდიოდა პეპი, თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა.

უცებ ოკეანის ნაპირზე მოხვდა. «რა ვქნა ახლა?» გაიფიქრა პეპიმ — «ეს კი ნაღდია, ამ ოკეანეში ახლომახლო კუნძული იქნება და იქ დავსახლდები».

ამ ფიქრში იყო პეპი, როცა ნაპირზე ოკეანემ ფიცრები გამორიყა. პეპის გაუხარდა. გააკეთა ტივისმაგვარი რაღაცა და ჩაჯდა შიგ. ღონივრად უბიძგა და ტივი ოკეანეში შეცურდა. წყნარად მინარიალებდა პეპი ტივს მახლობელი კუნძულისაკენ.

აი, გამოჩნდა წერტილი, მაგრამ იგი ისევ გაქრა და აღარ გამოჩენილა.

პეპიმ იფიქრა, აქ ახლომახლო კუნძული ეტყობა, არ არისო და ის იყო ტივი უნდა მოებრუნებინა, რომ ისევ გამოჩნდა წერტილი.

პეპიმ გაიფიქრა: «აუცილებლად უნდა გავიგო, რა არის ის წერტილიო». იგი ისევ წინ მიიწევდა ტივით.

წერტილი თანდათანობით დიდდებოდა.

ბოლოს პეპის წინ გადაიშალა უზარმაზარი კუნძული.....

პეპიმ შორიდანვე შეამჩნია, კუნძულზე რაღაც უცნაური ხეების მსგავსი მცენარეები ამოზრდილიყვნენ, ხოლო მათზე რაღაც თოკის მსგავსი გადაჭიმულიყო ისე, რომ შეგძლებოდა ერთი ხიდან მეორეზე გადასვლა.

პეპის არ გაჰკვირვებია ასეთი უცნაური ხეების ნახვა, რადგან დედისგან გაგონილი ჰქონდა, რომ აფრიკაში ასეთი ხეები ხარობდა. ტელევიზორშიც კი ენახა... ისიც იცოდა, რომ ამ ხეებს ეს თოკის მსგავსი ბუნებრივად მოჰყვებოდათ და რომ ეს თოკის მსგავსი იყო

გრძელი ბალახი, ზღვის ფსკერზე რომ ამოდის.

«ნუთუ ეს, აფრიკის კუნძულს რომ ეძახიან, ის არის?» — გაიფიქრა პეპიმ. ამ დროს ტივი კუნძულს მიადგა. პეპი კუნძულზე დასახლდა. ეს კუნძული უკაცრიელი იყო.

პეპი ნადირობდა თავისი თოფით მტრედებზე, წვავდა და ჭამდა მის კვერცხებს. ასე გაატარა მან კუნძულზე ორი თვე.

ამ დროში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

მკითხველი დაინტერესდება, თუ რად არ უთავდებოდა პეპის ტყვიები. ეს ისეთი თოფი იყო, რომ ქვებსაც ისროდა. კუნძულზე კი ქვების მეტს რა ნახავდით.

ერთხელ, როცა პეპი ტყეში ნადირობდა, მიწა გასკდა, უფრო სწორედ მის წინ გასკდა ორ მეტრზე. პეპი განცვიფრდა. ამ დროს სხვა ადგილზე ამოიბურცა და სამი მეტრის სიგრძეზე გასკდა.

პეპი მივიდა, ჩაიხედა ორმოებში და გაოცდა, ორმოს ძირი ყვითელი იყო. მაგრამ ბოლოს დამშვიდდა, რადგან მასწავლებლისაგან გაგონილი ჰქონდა, რომ მიწა სხვადასხვა ფერის ფენებისაგან შედგებოდა.

ის კი გაუგებარი რჩებოდა, რამ გამოიწვია მიწის გასკდომა. პეპის ძალიან აინტერესებდა ეს თუმცა არ ცდილა ამის გამოძიებას.

პეპი ორმოში ჩავიდა, მაგრამ... დახეთ საოცრებას!... ყვითელი ფერის ძირი ისე ჩაიწია რბილად, გეგონება სკამიაო. ამასთან ერთად, მოისმა გულშემზარავი ბლავილი და ყვირილი.


შეშინებული პეპი ორმოდან ამოხტა და უცებ შიშისგან გაქვავდა. ორმოებიდან ამოდიოდნენ ყვითელი საგნები. ბოლოს გამოჩნდნენ მიწისქვეშ მძრომილა ურჩხულები.

ყველა ურჩხულს პირში ქვეყნებიდან მოტაცებული ადამიანები ჰქონდათ გარჭობილი.

უცებ პეპი წამოხტა, თვალეები მოიფშვნიტა და მიხვდა, ყველაფერი ეს სიზმარი იყო, მას გაუხარდა ეს.

«აკი ვგრძნობდი, ნადირობის დროს რომ მეძინებოდა. მივწექი, ჩამეძინა და სიზმარიც ვნახე» — გაიფიქრა პეპიმ და დაბრუნდა თავისი თოფით კუნძულის ტყის სიღრმეში, რაც მის ქობად ითვლებოდა.

1986 წელი



სერ მერგერის თავგადასავალი

(შემოკლებით)

მკითხველო!

6 წლის ვიყავი, ეს მოთხრობა რომ დავიწყე. ახლა 11 წლის ვარ... მეცინება, როცა ამ მოთხრობას ვკითხულობ: მეცინება და გულუბრყვილო, ჩემს გამოგონებულ სერ მერგერს დავცინი... საწყალი სერ მერგერი!.. ხან კლდეზე გადაეშვა, ხან სახლი დაუწვევს ყაჩაღებმა... მაგრამ მგონია, რომ ამ მოთხრობით, რომელშიც შეზავებულია სინამდვილე და ჯადოსნობა, რომელშიც სერ მერგერი წარმოდგენილია ვეფხვის მოძრევ ვაჟკაცად, გაერთობა მკითხველი, გაეცინება...

სერ მერგერი დაწერა პოეტმა რატი ნინუამ. იგი ქართველია და მისი მოთხრობის გმირი, სერ მერგერი, იტალიელია; რატი ნინუას ძალიან უყვარს იტალიელები და ასე ამჯობინა, სერ მერგერი იტალიელი ყოფილიყო

თავი 11

... განვლო ხანმა. გავიდა 9 თვე და ორი კვირა. სერმა ცოლს შეატყო დიდი მუცელი.

— რა არის, ქალო, მაგხელა მუცელი, ღვინო ხომ არ დაგილევი? — ჰკითხა სერმა.

— მე რა ვიცი, ბიჭო! _ მიუგო რომინმა.

რობერტ სენდმა და მარქსმაც გაიღვიძეს. სერმა უთხრა მათ ცოლის მუცლის გადიდების ამბავი.

— შეიძლება ბავშვია? — თქვა მარქსმა.

ასეც იყო. რომინს მუცელი ასტკივდა და სავადმყოფოში წაიყვანეს. მალე სერს და რომინს ეყოლათ ხუჭუჭთმიანი ბავშვი. სერმა მას დაარქვა ალბანო. იგი ბიჭი იყო. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— ჩემსავით ვაჟკაცი გამოვა ჩემი შვილი, ალბანო! — ტრაბახობდა სერი ყველგან. რომინმაც გაიხარა ალბანოს შეძენით. მარქსსაც და რობერტ სენდსაც გაუხარდათ სერის შვილი.

სერის შვილი, ალბანო, მართლაც, ვაჟკაცი დგებოდა. გახდა უკვე 6 თვის და სიტყვები: «დედა» და «მამა» კარგად შეისწავლა. ალბანოს ვაჟკაცობა იმით დამტკიცდა, რომ ერთხელ ალბანომ აიღო ერთი ჯამი სავსე წყლით სამ ლიტრიანი ჯამი. სერი გაკვირვებული უყურებდა თავის შვილს, ალბანოს.

— შეხე, შეხე! — დაუმახა სერმა ცოლს. ცოლმაც დაინახა ალბანო როგორ სწევდა ჯამს სავსე წყლით და როგორ გადაასხა ონკანში.

— ამ ჯამს ალბანო კი არა, მე ძლივს ავწევ! — დაუმატა მარქსმა.

— დედა... ხოო... მამა!.. _ წამოიმახა ალბანომ.

— ნეტავ რას ნიშნავს: «დედა... ხოო... მამა»? — იკითხა სერმა.

ვერავენ პასუხი ვერ გასცა...

სერი დილით ადრე დგებოდა, სხვაგან წავიდოდა და საღამოს ბრუნდებოდა. ერთხელაც სერმა იფიქრა: სკოლაში მე არ მივლია, ინსტიტუტშიც — არა, სამსახურს მაინც ვიშოვნო.

ასეც ქნა; წავიდა, შეაგროვა საბუთები და როგორც იყო, დაითანხმა ცეკას პირველი მდივანი. სერის სამსახური გასართობი რამ იყო. ეს იყო სახლების სამშენებლო. სერი იყო ინჟინერი...

თავი 13

გათენდა. ყველანი ადგნენ. სერი და რობერტ სენდი ნიუ-იორკში წასასვლელად მოემზადნენ. დანარჩენები სახლში დარჩნენ. გახდა პირველი საათი. სერმა და რობერტ სენდმა პირი დაიბანეს და თვითმფრინავში ჩაჯდნენ. აეროდრომზე მხოლოდ 10 თვითმფრინავი იდგა. მალე თვითმფრინავი მთელი სისწრაფით აიჭრა ცაში.

სერი და რობერტ სენდი მოპირდაპირე სკამებზე იჯდნენ. დროდადრო თვითმფრინავის ფანჯრიდან გაიხედავდნენ. მალე მთელ მგზავრებს ყურები დაუგუზბდათ. სერი და რობერტ სენდი ხმადაბლა იცინოდნენ. მართლაც სასაცილო იყო, ყოველი მგზავრი ყურებში თითებს ირჭობდა. ამ დროს თვითმფრინავი ოდნავ შეირყა. გავიდა ხუთი საათი და ახლა ისე შეირყა, რომ ზოგიერთი მგზავრი სკამიდან გადმოვარდა. სერმა და რობერტ სენდმა მაგრად ჩასჭიდეს ხელი სკამებს. ამ დროს რადიოში გამოაცხადეს ყველა მგზავრების გასაგონად, რომ თვითმფრინავს ბავი გაუსკდა და ძირს ეშვება. ისიც კი დაამატეს, რომ ყველა მგზავრი ფრთხილად იყოს, რადგანაც თვითმფრინავი კლდეს უახლოვდება. წინასწარ პარაშუტები მოამზადეს. სერმა რომ ეს გაიგო, წინასწარ მოემზადა, ვინიცობაა აფეთქდეს თვითმფრინავი, მე და რობერტ სენდი გადავხტებითო. ასეც მოხდა. მალე თვითმფრინავი ისე შეირყა, რომ წინა ნაწილი სულ შეიჭყეჭა. თურმე კლდეს დასჯახებია. ამ ხმაურს მოჰყვა ცეცხლის და ბენზინის აფეთქების ხმა.

— ვიღუპებით! — ერთი კი მოასწრო რადიომ გამოცხადება, რომ რადიოში მოლაპარაკე კაცს ცეცხლი წაეკიდა. პარაშუტებიც დაიწვნენ. სამველი აღარ იყო. სერმა რობერტ სენდს დაავლო ხელი და სანამ თვითმფრინავის ფანჯრიდან გადახტებოდნენ, დაინახეს, რომ ერთი ბავშვიანი ქალი როგორ იტანჯებოდა, ცეცხლში იწვოდა.

სერმა თქვა — საბრალო! — და ის და რობერტ სენდი თვითმფრინავის ფანჯრიდან გადახტნენ. უპაერო სივრცეში ძლივს სუნთქავდნენ. მიწის გამოჩენა ჯერ ადრე იყო... სერი და რობერტ სენდი ნელ-ნელა ეშვებოდნენ ჰაერში და უახლოვდებოდნენ მიწას. მიწა ჯერ კიდევ არ ჩანდა, მაგრამ სულ ერთი კილომეტრი და ნახევარი იყო, რომ მიწაზე ფეხი დაედგათ. წამში სამი მეტრით უახლოვდებოდნენ მიწას. აი, მიწაც გამოჩნდა. მალე სერი და რობერტ სენდი ისე მიუახლოვდნენ მიწას, რომ სერმა დაინახა, სახლის სახურავზე ვარდებოდნენ. როცა სახლის სახურავზე მოადინეს ბრაზანი, სახლის სახურავმა ოდნავ, შეუმჩნევლად დაიხმაურა. თურმე, ეს დიდი სახლი სკოლა ყოფილა, მასწავლებლებს გაუგონიათ სახურავის ხმა და გარეთ გამოვარდნილან. დირექტორიც გარეთ იყო. სახურავზე აიხედეს და დაინახეს სერი და რობერტ სენდი. დირექტორმა მუშა აგზავნა სახურავზე და თანაც დააბარა, დაბეგვე ეგ თავხედებიო. სერმა გაიგონა, თუ როგორ უთხრა დირექტორმა მუშას მასზე და რობერტზე, დაბეგვეო. მუშა სანამ სახურავზე ავიდოდა სერის და რობერტის საცემად, დირექტორმა ტელეფონის ყურმილი აიღო და «02» დაურეკა. ეს ნომერი იყო მილიციის ნომერი. მალე მილიციაც მოვიდა და დირექტორს გაესაუბრა: რაშია საქმე?

ამ დროს მუშა სახურავზე ავიდა და სერს და რობერტ სენდს ჩხუბი დაუწყო. სერმა ჩაიცინა, მუშას მივარდა, დაკუნთული ხელები ჩაჭიდა და სახურავიდან ძირს გადმოისროლა. მუშა პირდაპირ მილიციის თავზე დავარდა. მილიცია მოტრიალდა. მუშამ უთხრა ლულულდით: სახურავზე რომ ორი კაცია, უფრო სწორად, ერთი ბიჭი და მეორე კაცი, მათ ჩამომავდეს სახურავიდანო.

მილიციამ სერი და რობერტ სენდი ჩამოაყვანინა ას მუშას, რადგან ათი-ოცი და ხუთი მილიცია ვერ მოერეოდა სერს. სერი და რობერტი ას მუშას გამოყვნენ და ციხეში ამოყვეს თავი. დიახ, ციხეში, მილიციას წამოუყვანია ისინი ციხეში.

სამი თვის მერე დაიწყო სასამართლო. სასამართლო დარბაზში ხალხი ბლომად იყო. სერი და რობერტი წინ დააყენეს.

— მითხარით თქვენი თავგადასავალი! — უთხრა მოსამართლემ.

— მე და ჩემი მამობილი ჩავჯექით ნიუ-იორკში მიმავალ თვითმფრინავში! _ თქვა გაბედულად სერმა. «მამობილი» — ეს სიტყვა მან რომ წარმოთქვა, ხელი რობერტისკენ გაიშვირა (ესაა ჩემი მამობილი). შემდეგ მან განაგრძო:

— თვითმფრინავი გზაში აფეთქდა! (ყველამ თვალები დააჭყიტა).

მე და მამობილი გადმოვხტით და დავვარდით სკოლის სახურავზე. ჩვენი რა ბრალია, — განაგრძო სერმა, — ჩვენ ხომ ძალით არ გვინდოდა სახურავზე დავარდნა.

— რისთვის მიდიოდით ნიუ-იორკში? _ თქვა მოსამართლემ.

— მე კარგად ვიცი კარატე! _ მიუგო სერმა. იქ სცენაზე უნდა გამომიყვანონ და ვიღაც კაცს უნდა მაჩხუბონ.

— ძალიან კარგი, თქვენ მართალი ბრძანდებით. რა თქვენი ბრალია ან თქვენი მამობილის, რომ სკოლის სახურავზე დავარდით! — თქვა მოსამართლემ და განაგრძო: თქვენ თუ კარგად იცით კარატე, მილიციელებთან უნდა იკარატეოთ!

— კარგით! — დათანხმდა სერი, თან რობერტ სენდს გადახედა.

მოსამართლემ განაგრძო:

— თუ თქვენ კარატეთი მილიციებს მოერევით, მაშინ ისეთ სწრაფმავალ თვითმფრინავს მოგცემთ, რომ ნიუ-იორკში მალე ჩახვიდეთ და სცენაზე კაცს ეჩხუბოთ. თუ თქვენ დამარცხდით მილიციელებთან ორთაბრძოლაში, «ტყვია შუბლში!..» გასაგებია?

— გასაგებია! — მიუგო სერმა.

მოსამართლეს იმედი ჰქონდა და ფიქრობდა, ას კაცს როგორ მოერევა ეს დოცლაპიაო.

სერი და ასი მილიციონერი შეიბნენ. მილიციონერები ტყვიით გატენილი რევოლვერებით იყვნენ, ხოლო სერი ხელებითა და ფეხებით. დაიწყო ჩხუბი. მილიციის უფროსმა სერს რევოლვერი დაუმიზნა და ის იყო უნდა ესროლა, რომ სერმა შეამჩნია და რევოლვერს ხელი დაჰკრა. ამ დროს მილიციის უფროსმა რევოლვერი ისროლა, მაგრამ რევოლვერს მიწისკენ ჰქონდა მიშვერილი ლულა და სერს ტყვია აცდა. დანარჩენი მილიციელები ბლაოდნენ. დარბაზში კარატის შეძახილები ისმოდა. სერმა ერთ-ერთი მილიციონერი მოკლა და რევოლვერი წაართვა. ბოლოს სერმა ყველანი დახოცა, მაგრამ ერთი მილიციონერი ცოცხალი აღმოჩნდა. მან სერს ავტომატი დაუმიზნა. სერს მკერდში 12 ტყვია მოხვდა. სერი დაეცა და მისი მკერდიდან მოდიოდა სისხლის წყარო...

მოსამართლემ სასწრაფო გამოიძახა და სერი საავადმყოფოში გააქანეს.

— სერმა გაიმარჯვა — თქვა მოსამართლემ. დიახ, გაიმარჯვა მილიციონერებთან — გადაწყვიტა მან ბოლოს. მოსამართლემ სერს თვითმფრინავი გაუმზადა, ხომ შეპირდა თვითმფრინავს მოგცემ თუ გაიმარჯვებო...

თავი 15

— ნეტავ რომელი საათია? — დაინტერესდა რობერტი.

— ხუთი საათია, ექვსის ნახევარზე ჩვენ ვიქრებით სან-ფრანცისკოში. ტრასა დიდია.

სერს ერთი მილიმეტრი აკლდა, რომ მანქანის სახურავისთვის თავი მიედო. სერის სიმაღლე ორი მეტრი და სამი სანტიმეტრი იყო.

— უნდა მოვაბრუნო მანქანა, არასწორად მივდივართ; ისე მძღოლებს უშლიან აქ მობრუნებას, მაგრამ მეტი გზა არა მაქვს, უნდა მოვაბრუნო — თქვა სერმა.

— მოაბრუნე! — უპასუხა რობერტმა.

სერმა მანქანა მოაბრუნა, მაგრამ იქვე მილიციონერი იდგა და იგი სერს გამოევიდა თავისი მანქანით.

სერმა სიჩქარე ჩართო, სარკეში რომ დაინახა მილიცია მომდევსო. მილიციის მანქანა სერს მოსდევდა 200 სიჩქარით. სერი მანქანას მიაქროლებდა 280 სიჩქარით. სერი წინ იყო, ხოლო უკან, 10 მეტრის დაშორებით მილიციის მანქანა მოსდევდა სერს, რადგან სერმა, სადაც არ

შეიძლება, იქ მოუხვია.

მილიციამ მთელი ძალა მოიკრიბა, გასაღები ბოლომდე გადაატრიალა, სიჩქარე გადართო და მთელი ძალით წავიდა წინ. სერის მანქანას უკნიდან მიეჯახა, მაგრამ სერის მანქანა ისე არხეინად მიდიოდა, მხოლოდ მილიციის მანქანა შეიჭყეტა ოდნავ წინიდან (სერის მანქანა ისეთი იყო, რომ რაც არ უნდა დაგეჯახებინა, ოდნავადაც არ დაეტყობოდა რამე). სერის მანქანის სისქე ათი მილიმეტრი, ანუ ერთი სანტიმეტრი იყო.

მილიციონერი გაბრაზდა და უფრო მაგრად მიაჯახა სერის მანქანას თავისი მანქანა. ისევ თავისი მანქანა შეიჭყეტა, სერის მანქანას კი არაფერი მოსვლია. მილიციონერი ათასჯერ უფრო მეტად გაბრაზდა. უფრო მაგრად მიაჯახა სერის მანქანას თავისი მანქანა, მაგრამ ტყუილად წვალობდა, ამას თვითონვე მიხვდა. სერის მანქანა ჩუმი ხმით, არხეინად და უვნებლად მისრიალებდა. მილიციონერის მანქანა კი უარესად შეიჭყეტა. მილიციონერმა სერს თავი გაანება და მეორე გზაზე გაუხვია.

— ჰმ, რა კარგად ამოვამუშებინე კული! — გაიღიმა სერმა.

— მილიციას ყველაფრის ეშინია, გარდა ბანდიტისა. შენ ხომ ბანდიტი არა ხარ და შენი იმიტომ შეეშინდა. მილიციას, კიდევ ვიმეორებ, მხოლოდ ბანდიტის არ ეშინია, დანარჩენი ყველაფრის ეშინია, შენ რომ ბანდიტი არა ხარ, იმიტომ შეეშინდა შენი და წავიდა! — მიუგო რობერტმა.

— პირიქით — უპასუხა სერმა.

რობერტმა სიგარეტი მანქანის ფანჯრიდან გადააგდო — მეყოფა ამდენი სიგარეტის წევაო! — უთხრა სერს.

— არც მე მინდა! — მიუგო სერმა და სიგარეტი ათ მეტრზე მოისროლა ფანჯრიდან.

თავი 16

...სერი გახარებული იყო. მან სიხარულით მოიფიქრა, მოდი, ყველა ჩემი ოჯახის წევრს ზღვაზე წავიყვანო. ასეც ქნა, მაგრამ ზღვაზე საშინელი უბედურება შეემთხვა: როცა სერი წყალში გადახტა საცურაოდ, ყველას (სერის ოჯახის წევრებს) მოუნდა გადახტომა, ეგონათ ცურვა ადვილიაო, სინამდვილეში სერის გარდა ცურვა არავინ იცოდა. გადახტა მარქსი, მას მიჰყვა რობერტი, გადახტა რომინი, მიჰყვა ალბანოცა და რაფაელიც, ყველანი, სერის გარდა, წყალში დაიხრჩვნენ.

სერი როცა ნაპირზე გამოვიდა, მიხვდა, ყველანი დამხრჩვალანო და მწარედ დაღონდა, მიაბიჯებდა ჩქარი ნაბიჯით, გადაწყვიტა, სადმე უდაბნოში გადავიკარგებო. მიდიოდა ტყე-ტყე, მწარე ფიქრებში გახვეული: «ჩემი ბედი ცუდია, რომ იტყვიან, ბედშავი ვარ, ბედშავი. მაგრამ მე ღმერთზე მაინც ცუდს არაფერს ვამბობ, მე მწამს იგი» — აი, ეს იყო სერის ფიქრები. სერს ტყეში ხვდებოდა ნადირი, ფრინველი. თუ რომელიმე ცხოველი შეეჩხუბებოდა სერს, სერი მოკლავდა და ამ ნადირს სჭამდა. სამი თვე იხეტიალა ტყეში, უდაბნოში და სხვა ადგილებში განწირულმა სერმა. ყველგან დასდევდნენ მას მწარე ფიქრები და არ შორდებოდნენ ერთ წამს...

«— ეჰ, ფიქრობდა სერი, — რა ბედი მეწია, რამდენი ტანჯვა გამოვიარე მე უბედურმა».

სერს კუნთები გაუქრა. დიახ, მას კუნთები გაუქრა, მაგრამ ცოტა ღონიერი მაინც იყო, ოღონდ უწინდელივით დევის ღონე მაინც აღარ ჰქონდა (ისე, ნადირის ან ფრინველის მოკვლა შეეძლო სერს ხელებით, მას იარაღიც არა ჰქონდა).

სერს ხელში ჯოხები ეჭირა, იმათ მოიშველიებდა ნადირის მოკვლაში. სერს ბევრი ნადირი ებრძოდა, მაგრამ სერი ყველას კლავდა. ასე დაიარებოდა სერი უგზოუკვლოდ... მიდიოდა სერი, ფიქრები მაინც არ შორდებოდნენ მას. იგი მიდიოდა გზაზე, იტანჯებოდა, თვალზე მომდგარი ცრემლი სილას ასველებდა.

ბოლოს მან გაიფიქრა: «მეყოფა ამდენი ტირილი, აღარ ვიტირებ».

მართლაც, სერი აღარ ტიროდა და არც მწარე ფიქრები დასდევდნენ, მაგრამ ძალიან დამწუხრებული მიდიოდა. იგი ტირილს არ იყო მიჩვეული ზავშვობიდანვე, ამიტომ არ ტიროდა, მაგრამ ძალიან დამწუხრებული გახლდათ.

სერმა მთელი ტყე გადალახა და ერთ ქალაქში ამოჰყო თავი. იქ ყოფნა არ უნდოდა, ამიტომ მეზობელ სოფელში წავიდა. არც იქაურობა მოეწონა და ის სოფელიც მიატოვა. ბოლოს ისევ ტყეში ამოჰყო თავი. სერმა ამ ტყის გადალახვაც გადაწყვიტა და დაიწყო ტყეში ხეტიალი. ბოლოს, როცა სერმა ეს ტყეც გადალახა, მიადგა ნაპირს. შავი ზღვის ნაპირს. ოღონდ ეს ისეთი ნაპირი იყო, რომ იქ ხალხი არ ისვენებდა (ეს არ იყო პლაჟი). ნაპირი კლდოვანი იყო. ნაპირზე ორმოცდაათი-სამოცი კლდე მაინც იქნებოდა. სერმა ბინის მაგივრად ერთ კლდეზე გამოქვაბული მონახა. ჩვენი სერი ამ გამოქვაბულში დასახლდა. ხანდახან სერი გამოდიოდა გამოქვაბულიდან და ნადირობდა ჩიტებზე, ცხოველებზე. სერი ხამანწკებით იკვებებოდა (ხამანწკა არის რომელიღაც ქიშმიშის ჯიში).

როცა დაღამდებოდა, სერი შევიდოდა გამოქვაბულში და იძინებდა. ერთ ღამეს სერმა გამოიღვიძა. ის გამოაღვიძა ტალღების ბლავილმა და ცხოველების ღრიალმა. სერმა გარეთ გაიხედა: რას ხედავს! წვიმის საშინელი თავსხმაა. ადიდებული შავი ზღვა ტალღებს ნაპირებზე ისვრის. სველი კლდეები ზანზარებენ. მიწაც ცოტათი ირყევა. სერმა გამოქვაბულს ხისგან გამოთლილი კარები გაუკეთა. მან კარი მოხურა, რომ ტალღა მის გამოქვაბულშიც არ შევარდნილიყო. სადამოს უფრო გაუარესდა ამინდი. სიცივე ას გრადუსამდეც კი აღწევდა. მიწა ირყეოდა, კლდეები ზანზარებდნენ. თავსხმა მოდიოდა. საშინელი გრიგალი დაქროდა, გააფთრებულ ტალღებს ლამის კლდეებიც დაენგრიათ!

29 იანვრიდან 30 თებერვლამდე ასეთი ამინდები იდგა. შემდეგ გამოიდარა და სერმა შეძლო წასვლა სანადიროდ...

ჯორჯიანო

(შემოკლებით)

სახლში ყველას ეძინა, ისეთი სიჩუმე სუფევდა ირგვლივ, რომ ბუზის გაფრენას გაიგონებდით. თენდებოდა, დილის 6 საათი დაიწყო, ათი წლის ჯორჯიანომ გაიღვიძა, ლოგინიდან თავი წამოყო, შემდეგ სცადა ისევ დაეძინა, მაგრამ ვერ შეძლო.

— ეეჰ, არ გინდა ახლა გაკვეთილების სწავლა, — გაიზმორა ჯორჯიანო, — ეს მასწავლებელიც... შეგვიპირდა ფეხბურთს გათამაშებთო და არ გვათამაშა, მარტო სწავლა და სწავლა; სულ იმას ამბობენ, ზავშვმა უნდა ისწავლოს, ყველგან და ყოველთვისო; განა იმას იტყვიან, სულ თამაში და თამაში, კალათბურთი და ხელბურთი, ფეხბურთი და სპორტია ზავშვისთვის აუცილებელიო. ოჰ, ეს ქალები; აბა, გაგონილა, კაცს ეწყენინებინოს ჩვენთვის, სულ მასწავლებელი ქალები და დედები არიან დამნაშავენი. სწავლა და სწავლა, სწავლა და სწავლა. სსრკ-ში ჩავედი და... იქაც პლაკატებია გაკრული:

«Нужно учиться»

«Пионеры юные ленинцы»

«Да здравствует Первое Мая»

ჯორჯიანომ განაგრძო ჩურჩული, — არც ჩვენთან, იტალიაში, არის ნაკლები ყურადღება მიპყრობილი სწავლაზე...

დაჭრილი ვეფხვი

(შემოკლებით)

შესავალი

მე უპატრონო, თავმინებებული ბიჭი ვარ. ტყეში ვცხოვრობ. გატაცებით მიყვარს ნადირობა. მამაჩემის ნაჩუქარი თოფი სულ თან დამაქვს და ვნადირობ ცხოველებზე. ამ თოფის ტყვიის გაკეთება ქვებისაგან შემოდლია. ამიტომ არასოდეს მითავდება ტყვიები, რადგან ქვები უამრავია.

ერთხელ, როცა ტყეში ვნადირობდი, ვეფხვის ღრიალი მომესმა. მივედი იქ, საიდანაც ხმა მოდიოდა და დავინახე საშინელი, ენაგადმოგდებული, პირსისხლა ვეფხვი. ვესროლე, მაგრამ ტყვია ფეხებშია გაუძვრა. მეტის სროლა ვერ მოვასწარი, რადგან თოფის ხმაზე გაიქცა. მე უკან გამოვბრუნდი. გავიდა ორი კვირა. ამ ორი კვირის განმავლობაში ისევ ისე ვნადირობდი. ერთხელ დათვიც მოვკალი. ეს ასე იყო: გზაზე შემხვდა იგი თავის ორ ბელთან ერთად. მე თავში დავუმიზნე და ვესროლე, მაგრამ როგორღაც ის ტყვია მის ერთ ბელს მოხვდა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ხელი გაწვრთნილი არ მქონდა ნადირობაში და სახელგანთქმული მონადირეც არ ვიყავი. დათვი ძლიერ გაბრაზდა და ჩემსკენ გამოექანა. მე ვესროლე და მოვკალი. იმისი ტყავი ნაბდად გამოვიყენე. ბელეები დავხოცე და ტყავის ჩექმები გავიკეთე. ეს ყველაფერი ძალიან გამიხარდა, რადგანაც უკვე დიდი ხანია ტანზე შემომაცვდა ჩემი ძველი ტანსაცმელი.

ერთხელ ტყიდან ხის გადატების ხმა გავიგონე, ამას მოჰყვა ბურღული და საშინელი ღრიალი ვეფხვისა. მივედი იმ ადგილას და ისევ ის, ზუსტად ის საშინელი არსება დავინახე.

საჩქაროდ უკან მოვბრუნდი, ისე დავიბენი ვეფხვის დანახვისას, რომ სროლა სულ დამავიწყდა; თუ იმ არსებას შეიძლება ვეფხვი დავარქვათ! ვეფხვი კი არა, ვეფხვზე უარესი რამ იყო. ისე შემეშინდა მისი, რომ ღამე რაღაცის მოლოდინში ვიყავი და არა და არ მეძინებოდა.

ჩემი მოლოდინი გამართლდა. შუალამისას, როცა მე არ მეძინა, დავინახე ისევ იმ არსების სახე, თუმცა მერე აღარ გამეორებულა.

გათენდა. ავდექი და სანადიროდ წავედი. ტყეში ღრმად შევედი. საშინელი სუნი მეცა. გავყევი სუნს და დავინახე... ის არსება, უზარმაზარი სპილო წაექცია, მისდგომოდა და ხრავდა. მე გადაწყვეტილი მქონდა, სპილო მომეშინაურებინა და ის მაინც დამიცავდა ამ არსებისაგან, მაგრამ ამის შემხედვარე რომ შევიქენი, ეს იმედის მცირე ნაპერწკალიც სადღაც გამიქრა. ის ვერც წარმომედგინა, რომ ეს ვეფხვი ასეთ უზარმაზარ სპილოსაც მოერეოდა. საშინლად შევშინდი და ჩემი ქოხისაკენ მოვკურცხლე.

ქოხში აქოშინებული მივედი. «ჰმ, როგორ მათამაშებს», - გავიფიქრე გამწარებულმა, დავავლე თოფს ხელი და გაბედულად გადავწყვიტე, მოვნახო ის ვეფხვი და...

უცებ გავოცდი, კარებთან იდგა ის ვეფხვი, საშინელი არსება, იდგა მშვიდად, წყნარად. თოფი ვესროლე, ასცდა. მეორედ სროლა ვედარ მოვასწარი, რადგან თოფის ხმაზე გაიქცა.

მე იატაკზე დავჯექი და ფიქრში ჩაძირულმა ჩავთვლიმე.

დიდხანს მეძინა, როგორც იქნა გავიღვიძე, ვეფხვი აღარც კი მახსოვდა. გარეთ გავედი, მთელი ტყე მოვიარე და ქოხში დავბრუნდი. იატაკზე ხორცი და კურდღლის ხერხემალი დავინახე, მაგიდა ჩატეხილი იყო, იატაკზე ვეფხვის ნაფეხურები ემჩნეოდა და სისხლის სუნი. ყველაფერს მივხვდი. აქ, ჩემს ქოხში ყოფილა ის ვეფხვი, დაუნახია კურდღელი, შეუჭამია და ძვლები აქ დაუყრია.

უცებ მხარზე საშინელი ტკივილი ვიგრძენი, მოვიხედე და... ის ვეფხვი დავინახე. მკვდრის ფერი დამედო, გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო, შევშინდი, საშინლად შევშინდი, გული წამივიდა, დავვარდი, გული გამიჩერდა და სუნთქვა შემეკრა... როცა გონზე მოვედი, აღარც ვეფხვი იყო და აღარც ძვლები. ყველაფერს მივხვდი: ის ვეფხვი ჩრდილო ამერიკის ვეფხვია, სუნთქვაშემკრულ ადამიანს არ ჭამს, მკვდარი ჰჭონია. მე ხომ სუნთქვა შემეკრა, მან თავი დამანება. აიღო ძვლები და წავიდა.

მე გადავრჩი, წარმოგიდგენიათ? ვეფხვის კლანჭებს გადავრჩი.

მეორე დღეს გადავწყვიტე, მტკიცედ გადავწყვიტე, რაღაც უნდა დამეხდომოდა, შური მეძია ვეფხვზე. «ჰი, როგორ გამათამაშა, ვუჩვენებ სეირს, ათ ტყვიას დავახლი ზედიზედ და...» მაშინვე მომესმა ვეფხვის გაბმული ღრიალი. იმ წამსვე ერთ-ერთ ბუჩქს ამოვეფარე და თოფის ჩახმახი შევაყენე. ის იყო ჩახმახის დაცემინება დავაპირე, რომ ვეფხვიც გამოჩნდა. ვესროლე, მინდოდა თავში მესროლა, მაგრამ როგორღაც ნიკაპზე მოხვდა. არც დაჭრილა, არც მომკვდარა, სქელმა კანმა გაუძლო ტყვიას. იგი გადარჩა, მაგრამ ეტყობოდა, საშინლად ემწარა, გაანჩხლდა, გამოეყანა ჩემკენ, მე შევშინდი და გავიქეცი. ჩემდა საბედნიეროდ, ვერ დამეწია, ფეხი მოტეხილ ტოტს გამოსდო და გადაკოტრიალდა იქვე პატარა ხევში. სანამ ის ამოვიდოდა ხევიდან, მე სამშვიდობოს ვიყავი დიდი ხანია; ჩემს მიწურ ქოხში ფიქრებში ჩამირული ერთი საათი გაუნძრევლად ვიდექი.

დაწოლის დროც მოვიდა. მე ლოგინში ჩავწექი და ძლივ-ძლივობით დავიძინე. დილით ჩვეულებსამებრ სანადიროდ წავედი, მაგრამ ამჯერად ტყეში ვეფხვი ვერ ვნახე. არც მეორე დღეს გამოჩენილა. მესამე დღეს კი ჩემი ქოხის უკან ხეზე მიყუდებულს წავაწყდი. მას ეძინა. «ე, რა კვალდაკვალ დამსდევს», - გავიფიქრე მწარედ, - «ნუთუ სულ ასე კუდში უნდა მსდიოს? როდემდის? ბოლო მოელება ამ თამაშობანას? დამთავრდება ეს ყველაფერი, თუ მთელს ჩემს სიცოცხლეში ასეთ ოინებს ბოლო არ მოელება?»

და ისევ ჩემს ქოხში დავბრუნდი. მწარედ ჩაფიქრებულმა, დანადვლიანებულმა ნადირობას დასვენება ვამჯობინე და ის იყო ლოგინში დაწოლას ვაპირებდი... კი მაგრამ ვინ გაცლის? კარებში მშვიდი, ჩაფიქრებული ვეფხვის სახე დავინახე. იმწამსვე ფანჯრიდან გადავხტი და ორი საათი ქოხში აღარც ვყოფილვარ. როცა დავბრუნდი, რახან დავინახე, რომ ვეფხვი წასულიყო, გავშალე ლოგინი და დავიძინე.

დილას ავდექი, ნაკადულის ანკარა წყალი სახეზე შევისხი, ვივარჯიშე და თოფით ხელში სანადიროდ წავედი. დავიარე მთელი ტყე, მოვკალი ორი კურდღელი, ერთი მგელი და მთელი ჩემი ავლადიდებით ჩემს მიწურ ქოხში დავბრუნდი. ვისადილე და გადავწყვიტე, სასეირნოდ წავსულიყავი ტყეში. გავედი ორი კილომეტრის დაშორებით ჩემი ქოხიდან. მომეჩვენა, თითქოს ჩემ წინ მდგარი ბუჩქი შეირხა, დავხედე და გადავიხარხარე, ჩიტი ყოფილა გაბმული ბუჩქის ტოტებში, მე კი შიშით გული გადამიქანდა. იმწამსვე ჩიტი გავათავისუფლე. ის მხიარული ჭიკჭიკით გაფრინდა ლაჟვარდებში.

როცა ისევ სახლში დავბრუნდი, კედელზე ნაფხაჭნი დამხვდა. გამიკვირდა, «ვინ იქნებოდა ნეტა? ჩემს შეკითხვას მევე გავეცი პასუხი: «რა თქმა უნდა, ის ახმახა ვეფხვი იქნებოდა. როდემდის უნდა მსდიოს? როდის ექნება ბოლო ამ კუკუმალულობანას? ეჰ», - გავიფიქრე მწარედ და მოჭრილ ხესავით სკამზე დავეშვი.

მეორე დილას სანადიროდ არ წავსულვარ, რადგან ავად ვიყავი, მამცივნებდა და როდესაც სანადიროდ წავსვლა გადავწყვიტე, მივხვდი, რომ ნადირობა არ შემეძლო, რადგან ადგომისას ვბარბაცებდი და სიცხეც მქონდა. კვლავ ლოგინში ჩავწექი.

მეორე დღეს კი წავედი სანადიროდ. ამ ნადირობიდან ბევრი ნადირით დავბრუნდი ჩემს ქოხში. ვისაუზმე და ოთახში ბოლთის ცემას მოვყევი (ბოლთის ცემა - წინ და უკან სიარული), ვერ ვისვენებდი რატომღაც. ფანჯარაში თვალი მოვკარი ჩემს მტერს, ვეფხვს. მისი დანახვა მაშწარებდა. «ო, შე ოხერო, რას გამიმწარე ისედაც გამწარებული ცხოვრება», - გავიფიქრე და ფანჯრიდან ვეფხვს მტრულად შევხედე. გამწარებული ხან აქეთ ვაწყდებოდი,

ხან იქეთ! ვეფხვი ხეს ეპოტინებოდა და თან დროდადრო ვეფხვურად ბურდლუნებდა. მე გუნებაში გავიფიქრე: «ეს ცხოვრება თურმე წამებულად უნდა გამეტარებინა, ეს განგებამ დამიწერა, სჯობია, ამ წამებას ბოლო მოვუღო, ჩემი ფეხით მივალ ჩემს მოსისხლესთან და ფეხს არ მოვიცვლი, სანამ არ შემქმამს».

მართლაც გავედი. დამინახა თუ არა, უკანა ფეხებზე შედგა და გაჩერდა. მე მასთან გამოვცხადდი. მან დიდის გაკვირვებით ამათვალ-ჩამათვალაოდა და რომ დაინახა, ფეხს არ ვიცვლიდი, ალბათ (სახეზე შევატყვე) ჩემს გადაწყვეტილებას გაეცნო. ისე ძლიერად ჩამკრა თათი თავში, რომ წამიერად გაბრუნებული თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი. ბოლოს გონს მოვედი, მაგრამ ვეფხვი გამშორებოდა.

მე ქოხში დავბრუნდი, «ეეჰ...» - ღრმად ჩავფიქრდი. ფიქრებში ჩავიძირე და ასე მეგონა რძისფერ მორევში მივცურავდი. ნელ-ნელა ბურანში წავედი, ჩამთვლიდა...

მალევე გამომეღვიძა. მკითხველს დააინტერესებს ასე ხშირად (დღეში რამდენჯერმე) რატომ ვიძინებდი. ეს იმის ბრალი იყო, რომ მე ძალიან მალე ვიღლებოდი და ძილი მერეოდა (ხუმრობა ნურვის ჰგონია დღეში ოთხჯერ, ხანდახან ხუთ-ექვსჯერაც სანადიროდ წასვლა). აი, ახლაც კვლავ სანადიროდ წასვლა დავაპირე. ბინდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ დღე იყო, ხუთის ნახევარი.

სანადიროდ წავედი. ტყეში ღრმად შევედი. დავდევი და ვკლავდი ნადირებს და, ამასთანავე, ფარულად ვცდილობდი, ვეფხვს შევხვედროდი. მკითხველს ეუცხოება ჩემი ასეთი გამბედაობა — რომ არ შევუშინდი ვეფხვს. მაგრამ მე ჩემს მოვალეობად ვთვლი, ყველაფერი ავუხსნა მას. ჯერ ერთი, მე ვეფხვს შევვჩვიე და ისე აღარ მეშინია მისი, როგორც ადრე მეშინოდა. მერე მეორე, მე გადაწყვეტილი მქონდა შური მეძია ჩემი ასეთი ვერაგული გათამაშებისათვის. აი, რა მამოქმედებდა ასე გაბედულად — ეს ძირითადი ორი მიზეზი და დანარჩენი წვრილმანი მიზეზებიც. ამ მრავალმა მიზეზმა გააღვიძა და შემდეგში უფრო და უფრო გააღვიძა ჩემს არსებაში შურისძიების წყურვილი.

შინ ბევრი ნანადირევით დავბრუნდი, მაგრამ ჩემს მოსისხლეს ვერსად მივაგენი. დამდებოდა. ასე, ცხრის ნახევარი იყო. ვივახშმე და დავწექი. ჩამეძინა. ძალზე ცუდი სიზმარი ვნახე: ვითომ ტყეში მივდიოდი. უცებ გზაზე შემეჩეხა ჩემი მტერი ვეფხვი. შემდეგ მან კაცით ლაპარაკი დამიწყო. მე ვითომ გავოცდი. შემდეგ მან გადაიძრო ვეფხვის ტყავი და გამოჩნდა ვიღაც ლამაზი ყმაწვილი. ეს სიზმარი იმ ღამეს ვნახე, მაგრამ დღემდე არ ასრულდა...

...ბოლოს სანადიროდ წასვლას ვამჯობინე სეირნობა და ტყეში გავედი. ვუსმენდი ბულბულის სტვენას, შაშვის გალობას, ხეების შრიალს და გული სიამით მეცხებოდა, მაგრამ ჩემ წინ ისევ ვეფხვის სახე ისახებოდა. უცებ შევხტი, ფეთიანივით გავასავსავე ხელეები და ადგილზე ავცახცახდი. ახლავე ავუხსნი მკითხველს, რა საოცრება ვნახე (თუმცა ამას არც შეიძლება საოცრება დაერქვას, რადგან ეს სრულიად ბუნებრივია). ჩემს წინ ბუჩქიდან გველი გამოძვრა. ეს იყო «კობრის» ჯიშის გველი, საშინლად ჭრელი, ყურებთან უელვარებდა ლაყუჩები და ჩვეულებრივად ყვითელ მრგვალ წრეზე გამოსახული ჰქონდა ნიშანი. ნიშანი ასეთ ფორმას გამოსახავდა: -----; როგორც ჩვეულებრივ კობრას ახასიათებს, ეს იყო დაახლოებით ოთხი მეტრის სიგრძის გველი. მან ელვის უსწრაფესად აიქნია ჭრელი ტანი, კუდი რკალივით მოღუნა და ყალყზე შედგა. მე თუმცა აფრიკიდან ვარ გამოქცეული, ველური ვარ, მე, მართალია, ვარ შავკანიანი, ვარ ზანგი, მაგრამ ჩემი ზანგის გულიც კი გველის დანახვაზე შიშმა შეიპყრო.

როგორც გითხარით, ეს იყო უზარმაზარი, დაახლოებით ოთხი მეტრის სიგრძის გველი.

იგი უსწრაფესად დაიკლაკნა, თხელი ტანი გადააქნ-გადმოაქნია და აღარც მახსოვს, ელვის უსწრაფესად როგორ შემომეხვია ტანზე. გვერდებში საშინელი ტკივილი ვიგრძენი, როცა მან თავისი ჭრელი ტანი მარწუხებივით მომიჭირა.

მე ერთი თავგანწირულად გავიბრძოლე, ხელ-ფეხი გავიქნიე, მაგრამ ამაოდ —

ვგრძნობდი, რომ ვიღუპებოდი. კობრა მკლავში ჩამაფრინდა. მე ისევ ვიყვირე და ხელი კობრას პირდაპირ ყელში ჩავავლე, ყრონტში ხელი დავაჭირე და ვიგრძენი, როგორ ელეოდა ძალა მას. მე კიდევ და კიდევ ჩავაფრინდი ყელში, ყრონტზე ისე საშინლად მოვუჭირე, რომ დიდ ლაყურებზე თრთოლვა აუვარდა, ბოლოს ისე გავცხარდი, ისე მწარედ ჩავავლე ყრონტში ხელი და ისე მოვუჭირე, რომ იქიდან სისხლის მაგვარმა მწვანე შხამმა იფეთქა. ბოლოს თავი დავანებე, რადგან არ ინძრეოდა, მივხვდი, რომ გადავრჩი. ფეხი ძლიერად ჩავცხე მას და სული გავაფრთხოვინე. შემდეგ სახლში დავბრუნდი.

ისევ დავიწყე ფიქრი იმ უჩვეულო ამბავზე, რაც მე შემემთხვა.

გასეირნება მოვისურვე, გავედი კუნძულის პირას, ლოდებით და კლდეებით გარშემორტყმულ ოკეანის ნაპირას და დავინახე... ღმერთო ჩემო, გამიღიმა ბედმა, მე დავინახე გემი, წარმოიდგინეთ, ჩემი აქედან ხსნის ერთადერთი იმედი, გემი, რომელსაც შეუძლია მიხსნას ამ საიდუმლოებით მოცული კუნძულიდან. მე იმწამსვე კოცონი დავანთე და ვანიშნე, რომ გემი ნაპირს მოსდგომოდა. ჩემამდე აღწევდა ეკიპაჟის უაზრო ჟრიაბული.

გემი ნაპირს მოადგა და დიდი სიხარულით შიგ ჩავჯექი. ხან აქედან დამიწყეს ლაპარაკი, ხან იქიდან დამჩხაოდნენ მგზავრები ყურში. ისინი ინგლისურად მელაპარაკებოდნენ. მე არა გამეგებოდა რა.

ბოლოს, როგორც იყო გავაგებინე, რომ მე ვიყავი აფრიკელი და ინგლისურისა არა გამეგებოდა რა. ისინი ჟრიაბულით მომშორდნენ. მე მეგონა, სამუდამოდ დამანებეს თავი-მეთქი, მაგრამ ძალზე შევცდი. იმ წუთშივე ერთი წივილ-კივილით მოიყვანეს ერთი ზანგი აფრიკელი ქალი და მე წარმიდგინეს. მე მათ სახე მოვარიდე, ისინი კა გამშორდნენ და დამიტოვეს ზანგი ქალი.

მან საუბარი გამიბა. მე ვცხოვრობდი აფრიკაში — დაიწყო მან. ეხლა ოცი წლის გახლავართ და გერმანიას მივემგზავრები; დიახ, ეს გემი მიდის გერმანიაში. მან მთხოვა ცოტა ხნის შემდეგ, რომ ჩემს კაიუტაში გაეთია ღამე. მე დავთანხმდი. მან მითხრა: ძლივს ვიხილე ჩემი სამშობლოს, აფრიკის, ზანგი (ჩემზე გულისხმობდა) და ერთ ღამეს მაინც გავათენებ მასთან. მან ჩემთან გაათენა ერთი ღამე. გერმანიამდე ჩვენ დაგვრჩა რვა ღამე გასათევი.

გათენდა. ავდექით ლოგინიდან მე და ჩემი გაცნობილი თანამემამულე. მე მისი სახელი შევიტყვე. მას ილსი ერქვა. ჩვენ გავიცანით ერთმანეთი. მან მითხრა, ილსი მქვიაო. მე ვუთხარი — მე ჰატერი, გვარად ბუდინგი-მეთქი. მან ახლა გვარიც გამიმხილა — ილსი კლეი. ინგლისური სახელი და გვარი დაერქმიათ მისთვის ინგლისელებს.

უცებ გემი საშინლად შეჯაყჯაყდა. ილს კლეიმ იკივლა და კედელს აეკრა. მეც ავცახცახდი. დიქტორმა რადიოში ინგლისურ ენაზე რაღაც გამოაცხადა. მე იგი ილსმა გადამითარგმნა. დიქტორი აცხადებდა: გემს ტალღამ წინა ნაწილი შეუმტვრია, შიგ აქაფებული წყალი შევარდა და ფრთხილად იყავითო.

ყველა მგზავრი შეშფოთდა. გემმა საშინელი ჯაყჯაყი განაგრძო. ბოლოს ყველას შეშფოთების შემახილი აღმოხდა. გემს ცეცხლი მოეკიდა და უკანა ბაქანი გამოიწვა. გემის წინა ნაწილი მაინც განაგრძობდა ლივლივს.

ბოლოს ყველა ატირდა. ყველა გრძნობდა, რომ გემი იღუპებოდა მათთან ერთად. ბოლოს ერთი, ტივისხელა ნაფოტილა შერჩა უზარმაზარ გემს. ჩვენ აღმოვჩნდით ზღვაში და იმას ვნატრობდით, რომ ნეტა უახლოეს ნაპირს მივალწიოთ-მეთქი. უახლოესი ნაპირი კი ისევ და ისევ ჩემი ძველი საცხოვრებელი ტყე იყო. მე ილსს ხელი ჩავჭიდე და ცურვით გავწიე ტყისაკენ. ძლიერი დაბრკოლებების გადალახვის შედეგად მაინც მივალწიე ჩემს ძველ ტყის საცხოვრებელს. მე და ილსი იქვე ჩამოვჯექით.

რაზე არ ვილაპარაკეთ, რაზე არ ვიჭუჭუჭუკეთ. ერთმანეთს ყველაფერი გავუმხილეთ, მაგრამ ჩვენი მხიარული საუბარი გულისგამგმირავმა ღრიალმა შეწყვიტა. მე და ილსი შევეკრით!

იმ წუთას ტყიდან გამოვარდა ცხენისხელა სისხლივით წითელი არსება. მას უკან

გამოვიკიდა ვეფხვი — როგორც ჩემთვის, ისე მკითხველისთვის ნაცნობი ვეფხვი (მე ილსს მოვუყევი ჩემი თავგადასავალი). ილსმა შემომხედა. ჰატერ, ეს ის ვეფხვია, შენს თავგადასავალში რომ ახსენე? _ მეკითხებოდნენ მისი თვალები. დიახ, — ვუპასუხე. მან ისეთი გრძნობით შემომხედა, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა, მის თვალებში შიში ამოვიკითხე. ამ დროს ვეფხვმა უკნიდან კბილები ჩასჭიდა წითელ ცხოველს და მან იგი სიცოცხლეს გამოასალმა. ცხოველი მოკვდა.

ვეფხვმა პირი იბრუნა და გაუჩინარდა ტყეში.

მეორე დღეს მე ჩემი ჩანაფიქრი ილსს გავუზიარე. ლაპარაკი ასე წამოვიწყე:

- ილსი, მე დიდი ხანია... მოკლედ, მინდა გახდე ჩემი ცოლი. იგი დამთანხმდა. ჩვენ ქორწილი გადავიხადეთ, თუ მას ქორწილი ჰქვია - შუა ტყეში, საჭმელი მხოლოდ მწვადი და, რაც მთავარია, დამსწრეები მხოლოდ იქვე მდგომი ხეები იყვნენ.

გათენდა მეორე დღე. მთელი დღე სახლში ვიჯექი, არც გავნძრეულვარ, სულ მეშინოდა, რომ გავიდე, ვაითუ, ისევ იმ წყეულს გადავეყარო-მეთქი.

ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე და გარეთ გამოვედი. ქოხის ზღურბლიდან ნაბიჯის გადადგმა და საზარელი ყმუილის გაგონება ერთი იყო. ხმის მიხედვით გავარჩიე, რომ ხმა ჩრდილოეთიდან მოდიოდა და მეც ჩრდილოეთით გავწიე.

ორიოდე ნაბიჯი და... ჩემ წინ საზარელი სურათი გადაიშალა: ძირს გორაობდნენ მგელი და დათვი. დათვი ცდილობდა, დაეტორა, მგელს კი თავისი ბასრი კბილები დათვისათვის ყელში გაეყარა. წუთიც და ტყიდან გამოვარდა ვეფხვი, სწორედ ის, ჩვენთვის კარგად ნაცნობი (კიდევ კარგი, არ შემამჩნია). იგი მივარდა დათვს, დიდ ხანს ბრძოლობდნენ, ბოლო ვეფხვმა იმარჯვა - დათვს ყელი მოუღრიცა და გამოლადრა. სისხლი ჩქეფად გადმოვიდა დათვის გვამიდან. ახლა ვეფხვი მგელს დაედევნა. საწყალი მგელი ქშინავდა. ბოლოს მას ვეფხვი დაეწია და თათების ჩარტყმით სული გააფრთხობინა. აი, ამ სურათის მოწმე შევიქენი. მართალია, მე ელდა მეცა და გავიქეცი სახლში, მაგრამ სულ არ შემშინებია, რადგან იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელნიც ლაჩარნი არ არიან. ქოხში დავბრუნდი, მაგრამ ილსს არაფერი გავუმხილე.

.....

მკითხველისთვის ადვილი მისახვედრია ჩემი მდგომარეობა. წარმოიდგინეთ: ტყეში მცხოვრები ჭაბუკი, მშობლებისაგან თავმინებებული, სახლიდან გამოპარული ახალგაზრდა, მცხოვრები კუნძულზე, რომელსაც ერთადერთი თანამემამულე ქალი ჰყავს გვერდში დამხმარედ. წარმოიდგინეთ კაცი, გაველურებული (ამ კაცში ჩემს თავს ვგულისხმობ), განადირებული, ადრე ჩემს მამასთან და დედასთან ვცხოვრობდი. მამაჩემიც კუნძულზე ცხოვრობდა ადრე, და სწორედ ამ კუნძულზე, სადაც ახლა მე ვარ.

შემდეგ ამ კუნძულთან გემსჩაუვლია, მამაჩემი მას გაჰყოლია და აფრიკაში დასახლებულა. შეურთავს ცოლად დედაჩემი და მეც დავიბადე.

შემდეგ დედაჩემი გარდაიცვალა და დავრჩი მამასთან. მე მისი ნაამბობიდან მხოლოდ ის გავიგე, რომ იგი ამ კუნძულზე ყოფილა ვიღაც თავის ამხანაგ ჯიშთან. ისინი ნადირობდნენ თურმე ხანდახან. ჯიშის კუნძულზე მომკვდარა, რა მიზეზით, ამას მამაჩემი არ მიმხედა. იგი ხშირად მცემდა უმიზეზოდ და მეც გამოვიპარე. აი, ჩემი წინანდელი თავგადასავალი, რაც არ მომიყოლია თქვენთვის. შემდეგ ჩემი თავგადასავალი კუნძულზე თქვენ იცით.

ღრმად ჩავფიქრდი. ასე ჩაფიქრებული ვიყავი სამ საათს, თუ მეტს არა. ვფიქრობდი ჩემს ოჯახზე, საიდანაც გამოვიპარე. დავტოვე მამაჩემი მარტოდმარტო, მაგრამ სინდისი არ მქენჯნიდა - მე თავი დავადწიე გინებას, რომელსაც ვისმენდი მამაჩემისა და მეზობლების პირიდან. ყველას ჩემდამი საშინელი სიძულვილით ჰქონდა გამსჭვალული გული. ყველა უპატრონოს და მათხოვარს მეძახდა (მეზობლებს ვგულისხმობ).

მეც ხომ ადამიანი ვარ! მართალია, ზანგი ვარ, შავკანიანი, მაგრამ ჩემს თავს ადამიანად ვთვლი. ისინი მლანძღავდნენ. მათ მაიძულეს გავქეკულიყავი! თხუთმეტი წელი ვიცხოვრე

მათთან და ყველაფერს ვიტანდი. კი, მაგრამ რატომ ვიტანდი ყველაფერს ამდენი ხანი? იმიტომ, რომ მეშინოდა, გაქცევის სამზადისში რომ დავეჭირე, შანთს დამასვამდნენ (ჩვეულებრივ, ზანგებს დაღს, შანთს ანუ ცხელ რკინას ასვამენ სახეზე, როდესაც შეამჩნევენ, რომ მათ გაქცევა უნდათ). კიდევ კარგი, მე გამოვიქციე! კუნძულზე ექვსი წელი დავყავი. სულ ოცდაერთი წლისა ვარ. იქ გატარებულ თხუთმეტ წელს მივუმატოთ ექვსი უდრის ოცდაერთს!

გათენდა და ნეტავი არ გათენებულიყო. იმ დილის გახსენებაზე ჟრუანტელი მივლის. რა მოხდა განა ისეთი?

ის იყო, გამოვედი გარეთ, რომ შორეული ყრუ გუგუნის მომესმა, მე მას ყურადღება არ მივაქციე, თუმცა ეს უნდა გამეკეთებინა. გავიარე კიდევ ორასიოდე ნაბიჯი, როცა დავინახე ადამიანების ბუნდოვანი სილუეტები.

ბუჩქებში ჩავსაფრდი. მალე დავინახე მათი ფიგურა - დახეული ტანსაცმელი, დაგლეჯილი ჩანთები, სადაც მოჩანდა პურის პატარ-პატარა ნატეხები.

მე ბუჩქებში გავინახე და ველოდი, თუ რას მოიმოქმედებდნენ ისინი. მათ შენიშნეს ჩემი ქოხი და საჩქაროდ გასწიეს იქ. ახლავა მივხვდი, რომ ესენი იქნებოდნენ მეკობრეები, ბოროტმოქმედები, ისიც მეტად გაქნილი ბოროტმოქმედები. მე გავაკეთე ნახტომი და ბუჩქებში გავუჩინარდი. მათ შემნიშნეს და საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ აქ ვიღაც ცხოვრობდა. ისინი საშინელი სისწრაფით გამომედევნენ. მე ილსთან ვიჩქაროდი, რომ გამეფრთხილებინა იგი.

ძლივს მივასწარი ქოხთან და მე და ილსი ჯერჯერობით იქაურობას გავეცალეთ. ტყე კატორღელ მეკობრეებს დავუთმეთ, რადგან ისინი რვანი იყვნენ, ჩვენ კი ორნი — მე და ილსი.

დიდი ხანი ვირბინეთ, სანამ არ მივაღწიეთ თავშესაფარ ადგილს: შუა გზაში შევისვენეთ. მთელი ტყე მოვიარეთ, მაგრამ საიმედო თავშესაფარი ვერ ვნახეთ. ბოლოს სადაღაც კლდეში დავბინავდით.

უცებ გაისმა კარაბინის ხმა და ხოხბის გულისგამგმირავი კივილი. მე და ილსი იმწამსვე მივხვდით, რომ კატორღელები ჩვენ გამოგვედევნენ.

წამიც და უკვე ჩვენი გამოქვაბულიდან შორს მივრბოდით. დროდადრო უკან დადევნებული კარაბინის ტყვიის ხმა და ილსის კივილი ისმოდა, მაგრამ არც ერთი მათგანი ჩვენ არ მოგვხვედრია. ყველა ილბალზე გვცდებოდა.

უეცრად მოგვესმა წივილი და ზუზუნის, ჰაერში გაიელვა ნაჯახმა და ილსმა დაკვივლება ვერ მოასწრო, რომ უსულოდ დაეცა. მას შევხედე, სისხლი ღვარად მოსჩქეფდა, თავი კი ნაჯახით ჰქონდა გაფატრული. იგი მკვდარი იყო. მე სისხლიანი ნაჯახი თავიდან გამოვამრე და ნაჯახმა ჰაერში გაიზუზუნა. ეს ერთ წამში მოხდა; ისე მალე, რომ მკვლელი ჯერ კიდევ ჩემს უკან იდგა. როგორც ვთქვით, მე ელვისებურად და მოულოდნელად შემოვტრიალდი, ნაჯახს ხელი დავავლე და მკვლელს ვესროლე. დავინახე, რომ მკვლელმა იყვირა, მაგრამ ნაჯახი პირდაპირ ყელში შეერჭო და იგი უკვე მკვდარი ეგდო. ილსის მკვლელზე შური ვიძიე, მაგრამ ილსს არაფერი აღარ ეშველებოდა; იგი, მკვდარი, ჩემს ფეხებთან ეგდო. ისევ მარტო დარჩენა მეწერა...

როგორც იქნა, აქომინებულმა მივაღწიე ჩემს ქოხს, თუმცა იგი დამტვრეული დამხვდა. ნელ-ნელა შევაკეთე ისე, რომ ისევ იმ ქოხად გადაიქცა. წყეული კატორღელები, შური უნდა ვიძიო, შური. რამოდენიმე კატორღელი უნდა მომეკლა - ეს იყო ჩემი ერთადერთი გადასაწყვეტი პრობლემა, დანარჩენი პრობლემები ვეფხვს უბრუნდებოდა. რა სასწაულად, რა ძალით ვარ გადარჩენილი ცოცხალი ვეფხვის კლანჭებიდან. რამდენჯერ გადამარჩინა ღმერთმა იმისთვის, რომ ჩემს საინტერესო თავგადასავალზე წიგნი დავწერო სათაურით — “დაჭრილი ვეფხვი”.

მარტი, 1985 წ



პაოლო იაშვილისეული თარგმანის სტილისა და თავისებურებათათვის

(სადიპლომო შრომა)

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის
ფაკულტეტის IV კურსი.

(ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა
და თარგმანის კათედრა)

თბილისი

1999

წინასიტყვაობა

გამოჩენილი ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი დაიბადა და მოღვაწეობდა ისეთ ეპოქაში, როდესაც ქართული პოეზია კარდინალურ ცვლილებებს განიცდიდა, როგორც ფორმათა, ისე შინაარსისა და თემატიკის მხრივ. ეს ბუნებრივი პროცესი იყო, ვინაიდან იმუამად შეიცვალა ერის სულიერი ცხოვრება, პოლიტიკური ყოფა, იმსხვერუდნენ ძველი იდეალები, ყალიბდებოდნენ ახალნი და არ შეიძლებოდა ყოველივე ამას თავისი კვალი არ დაეჩნია პოეზიის განვითარებაზე. უკანასკნელში ასახვა ჰპოვა მაშინდელმა პოლიტიკურმა კრიზისმა, ეროვნული ნიჰილიზმის საერთო სენის მომძლავრებამ, ეროვნულ ღირებულებათა დიდწილად გაუფასურებამ, „ახალი ცხოვრების“ ქარიშხალმა. იმ ინდივიდებმა, რომლებმაც მიიღეს და გაითავისეს ეს ე.წ. „ახალი ცხოვრება“, ფაქტობრივად, თავიგაწირესსიყალბისმოსამსახურისიარლიყისთვის(მუშიშვილებისადანაროუშვილების მსგავსნი), და ეს „იარლიყი“ სამართლიანად მიაკრა მათ ისტორიამ. ხსენებულ ეპოქაში სწორედ მწერალთა შემდეგი ორი კატეგორია გამოიკვეთა: ერთნი — პოლიტმწერლობის სამსახურში მდგარი უნიათო და მეტწილად ყოველგვარ ნიჭს მოკლებული მწერლები; და მეორენი — ვინც გაექცნენ არასასურველ რეალობას, ვისაც ელემენტარული ესთეტიური შეგრძნებები და ნიჭი აღმოაჩნდა. რასაკვირველია, მეორე კატეგორიის მწერლები უფრო შემორჩნენ ლიტერატურის ისტორიას, ვიდრე პირველნი. ზოგიერთი ამ შემოქმედთაგანი აქტიურად გაემიჯნა შექმნილ ვითარებას, როგორც ლიტერატურულს, ისე პოლიტიკურს (კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე და სხვა), გადაინაცვლა ან ისტორიულ ჟანრში, ანდა ე.წ. „წმინდა ხელოვნების“ სპილოსძვლისფერ კოშკში (სიმბოლისტები, „ცისფერყანწელები“, დეკადენტები). ხოლო ზოგიერთმა მწერალმა ნაწილობრივ ხარკი მოუხადა (გულსგარეთ) „სოცრეალიზმის“ ტენდენციებს (მაგ. გალაკტიონმა), მაგრამ პარალელურად შექმნა უდიდესი ღირებულების შედეგები, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში რომ შევიდნენ. მწერალთა მიერ დასახელებული ორი კატეგორიიდან სწორედ მეორეს მიეკუთვნებოდნენ ქართველი სიმბოლისტები („აკადემიურჯგუფთან“ დასხვებთან ერთად). სიმბოლიზმის, როგორც მიმდინარეობის ერთ-ერთ მთავარ წინამორბედად და მესამირკვლედ ითვლება შარლ ბოდლერი; და საერთოდ, ფრანგულმა რომანტიულმა სკოლამ შვა ეს გვიანდელი განშტოება პოეზიისა. ამიტომაც, სიმბოლიზმი უნდა განვიხილოთ, როგორც რომანტიზმის ერთ-ერთი „გამონაზარდი“.

ბოდლერზე ვერ ვიტყვით, რომ იგი მთლიანად „ჯდებოდა“ სიმბოლიზმის ჩარჩოებში, სრულად ფლობდა ამ მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი პოეტური ხერხების მარაგს, სრულად ახორციელებდა სიმბოლისტურ პროგრამასა და მიდგომას სამყაროსადმი თავის შემოქმედებაში. მაგრამ სიმბოლისტური განწყობილებები და სახეები სწორედ შარლ ბოდლერიდან იღებენ სათავეს. მასთან უკვე საცნაურია ე.წ. „სიმახინჯის ესთეტიზაცია“, ტრადიციულ-კლასიკური დოგმების დარღვევისაკენ მიდრეკილება, არაპროპორციული მხატვრული სახეები, „მღვრიე მშვენიებანი“ და ა.შ. შემდეგ სიმბოლიზმი საბოლოოდ გამოეყო რომანტიზმს და თითქოს დამოუკიდებელი დინებით განაგრძო სვლა. ვარლენმა უფრო მაღალ ხარისხში აიყვანა ლექსის მუსიკალური მომენტი და ეს უკანასკნელი თავიანთი პოეზიის ძირეულ მახასიათებლად აქციეს შემდგომმა სიმბოლისტებმა (გავიხსენოთ მათი დევიზი — „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“). ხშირად თვითმიზნური სწრაფვა ლექსის „აუღერებისადმი“ შინაარსობრივ აბსურდამდეც მიდიოდა, მაგრამ ამას პოეტები ღირსებად თვლიდნენ და არა ნაკლოვანებად. ამ მიმდინარეობის მომდევნო წარმომადგენლები ზოგიერთი თვალსაზრისით ისეთ უკიდურესობამდე მივიდნენ, როგორც არც უფიქრიათ მათ „მამებს“ — შარლ ბოდლერსა და თეოფილ გოტიეს. მათ სხვაგვარად „ფორმალისტებსაც“ უწოდებდნენ, ვინაიდან ლექსის ფორმას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე აზრსა და შინაარსს — პრინციპით: „მთავარია არა რას იტყვი, არამედ როგორ იტყვი“. ხსენებული მიმდინარეობისათვის აგრეთვე დამახასიათებელია სიტყვისადმი, როგორც კომუნიკაციის საშუალებისადმი მეტად „არაკომუნიკაბელური“ მიდგომა — მისი ქცევა აზრისაგან დაცლილ ოდენობად, მხოლოდ და მხოლოდ ერთგვარ „ხმოვან კომპლექსად“.

აი, სწორედ ამ მიმდინარეობამ საქართველოშიც ჰპოვა გამოძახილი „ცისფერყანწელთა“ სახით. „ცისფერი ყანწელები“ — ასე ერქვა პოეტთა ჯგუფს, რომელმაც ტრადიციული ქართული ლექსის „ძირფესვიანი გარდაქმნა“ და მისი გამართვა ევროპული რადიუსით, როგორც თვითონ ამბობდნენ ქართველი სიმბოლისტები. ისინი დაუპირისპირდნენ განურჩევლად ყოველივეს, რაც მოძველებულად მიაჩნდათ, ძირითადად კი მე-19 საუკუნის კლასიკურ ქართულ ლექსს. ეს დაპირისპირება ხშირად მოკლებული იყო ობიექტურ საფუძველს და სუბიექტურ — ტენდენციურ ხასიათს ატარებდა. მაგრამ სუბიექტურობის მიუხედავად, სიმბოლისტებმა ბევრი რამ ახალი შეჰმატეს ქართულ პოეზიას, მნიშვნელოვანწილად განაპირობეს შემდგომი ქართული ლექსის ფორმების დახვეწა. მართალია, ბოლომდე ვერ შეძლეს „ბესიკის ბაღში ბოდლერისეული ყვავილების გადმორგვა“ (ტ. ტაბიძის სიტყვებია), მაგრამ მიმართულება გარკვეულწილად შეუცვალეს ქართულ ლექსს, რომელიც არასასურველი სწორხაზოვნებით ვითარდებოდა მეოცე საუკუნის დასაწყისში. ეს სწორხაზოვნება კი, თავის მხრივ, გამოწვეული იყო აკაკისა და ვაჟას ეპიგონური წამხედურობით.

სიმბოლისტები გამოსცემდნენ თავიანთ ჟურნალ-გაზეთებს — „ცისფერი ყანწები“, „მშვილდოსანი“, „მეოცნეზე ნიამორები“ და სხვა, სადაც თეორიულადაც ადასტურებდნენ და აყალიბებდნენ თავიანთ პრინციპებს, თავიანთ მრწამსს, პოეტურ კრედოს. თუმცა თეორიაში ისინი მეტისმეტად მიზანსწრაფულნი ჩანდნენ და შეუვალი კატეგორიულობით ამტკიცებდნენ თავიანთი გზის უტყუარობას, პრიორიტეტს, პრაქტიკულად მაინც ხშირად არღვევდნენ სიმბოლისტურ ჩარჩოებს და „ღალატობდნენ“ დეკადანსისთვის დამახასიათებელ მხატვრულ ხერხებს, ანუ უბრუნდებოდნენ ტრადიციულ — კლასიკურ ქართულ ლექსს (იხ. მაგალითად, პ. იაშვილის „ოფორტი“, მიძღვნილი დ. კლდიაშვილისადმი). ეს გარემოება არცაა გასაკვირი შემდეგ მიზეზთა გამო: ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, დეკადენტური განწყობილებები საქართველოში ხელოვნურად გამოიწვია არსებულმა სულიერ-პოლიტიკურმა კრიზისმა და პოლიტმწერლებისეული სიყალბის მოზღვავებამ. ამიტომაც მეტ-ნაკლებად ნიჭიერი ხალხი ქვეცნობიერად თუ გაუცნობიერებლად გაემიჯნა ამ სიყალბეს და სულიერი საზრდოს ძიება დაიწყო „უცხო

ნიადაგზე“. ეს იყო ერთგვარად იძულებითი ქმედება, იძულებითი საპასუხო რეაქცია — მგრძნობიარე ადამიანის სულისაგან მომდინარე. მეორეც — ქართული ტემპერამენტი და ხასიათი ვერ ჰგუობს დეკადენტურ „სიმკრთალესა“ და „პოზიორობას“, „დაბინდულ სახეებს“, „მოთენთილობას“ და ავადმყოფურ ჩვენებებს, რომლებითაც აღსავსეა რიგი ფრანგი პოეტების შემოქმედება. აქ გასათვალისწინებელია თავად ერის ხასიათი, ერის, თუ შეიძლება ითქვას, — ინდივიდუალური სულიერი პორტრეტი. უკანასკნელი კი აშკარად არ შეესაბამება ფრანგული პოეზიის „პროფილს“, ამიტომაც იყო, რომ ქართველი სიმბოლისტები ხშირად არღვევდნენ თავიანთივე მრწამსიდან გამომდინარე პრინციპებს და „დროებით ამჯობინებდნენ“ ტრადიციულ თემებზე ტრადიციულად წერას, ტუბერკულოზის, ჭლექის, „ავზნიანი ქალაქის“, მალარიის „ჭაობის ბაყაყების“ და სხვა მსგავსი თემებისა თუ სახეების გვერდით მათ პოეზიაში გვხვდება პატრიოტული მოტივები (რაც საერთოდ მიუღებელი იყო მათი ფრანგი „კოლეგებისთვის“), საქართველოზე დაწერილი ლექსები და სხვა.

პაოლო იაშვილსაც, როგორც ერთ-ერთს ცისფერყანწელთაგან, ახასიათებს ის ტენდენციები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და რომლებიც ზოგადად ქართულ სიმბოლიზმს ახასიათებდა. ცისფერყანწელების „სადმოში“ პაოლო გამორჩეული პოეტი იყო და ასეთად აღიქმებოდა დანარჩენების მხრიდანაც. იგი გვევლინება ავტორად რამდენიმე სიმბოლისტური ნააზრევისა („ტრაქტატის“), რომლებიც აყალიბებდნენ ქართული სიმბოლიზმის თეორიას და წარმოადგენდნენ მსოფლმხედველობრივ — იდეურ ბაზას, პლატფორმას, რომლებზეც „დაშენდა“ შემდეგ პრაქტიკულად ცისფერყანწელების პოეზია — პრაქტიკული ხორცშესხმა ამ იდეებისა უკანასკნელთაგან ზოგიერთი, შესაძლოა, მიუღებელიც ჩანდეს დღევანდელი გადსახედიდან, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი ნაკარნახევია დაუცხრომლად მამიებელი, სიახლის მოსურნე სულით, ჯერ რომ ბოლომდე ვერ გარკვეულა ყოველივეში, ჯერ რომ ვერ აღმოუჩენია საკუთარი თავი და გზა.

პაოლო იაშვილზე შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ერთ-ერთი ყველაზე მთლიანი — პოეტი „ცისფერი ყანწების“ ორდენიდან. „მთლიანი“ იმ გაგებით, რომ მის პოეზიაში შედარებით ნაკლებია მოულოდნელი მეტამორფოზები. სიმბოლისტი, ამ სიტყვის უკიდურესად „ფრანგული“ გაგებით, ის არასოდეს ყოფილა, მისი ლექსი არასოდეს დასულა დეკადენტისთვის იმ სიღრმემდე, როგორც ახასიათებს ფრანგი დეკადენტების ლექსებს სისხლსავსე, ჭარბი ტემპერამენტით აღვსილ პაოლო იაშვილს არ ძალუძდა საკუთარი ნატურის წინააღმდეგ წასულიყო და ცალსახად სიმბოლისტი პოეტი გამხდარიყო, მთლიანად მოეკლო საკუთარი შემოქმედებისთვის ტრადიციულ-ქართული მსოფლჭკვრეტა; ხარკი, რომელიც მან „ჭლექიან მოტივებს“ მოუხადა, არც ისე დიდია და მნიშვნელოვანი. თქმულიდან გამომდინარე, ალბათ, მან ზოგიერთ სხვა ცისფერყანწელზე უკეთ შეინარჩუნა აზრის სინათლე, მკაფიო სტრიქონი და ძირითადად ერთნაირი ხელწერა მთელი თავისი შემოქმედებითი ევოლუციის მანძილზე. აქ, ჩვენი აზრით, მხედველობაში არ უნდა იყოს მისადები პოეტის „სოციალისტური მეტამორფოზა“, რადგან იგი ნაყალბევი იყო (ეს შემდეგ დრომაც დაადასტურა). ამიტომაც ლიტერატურულმა კრიტიკოსმა ალბათ გვერდი უნდა აუაროს პოეტის მიერ დროის კარნახით დაწერილ რამდენიმე ნაწარმოებს, როდესაც მსჯელობს პ.იაშვილის შემოქმედებით ხელწერასა და თავისებურებებზე.

ზოგადად პოეზიაზე პაოლო იაშვილის აზრის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მის შესანიშნავ ლექსს — „პოეზია“. ეს ლექსი გვაოცებს თავისი ექსპრესიით, გაქანების სიმძლავრით, ძლიერი ემოციური მუხტით; სიმბოლისტური ალბათ მას ვერ დაერქმევა, რადგან სიმბოლიზმის ხერხებით არ არის გამართული:

„გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა ლექსის მადანი,
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ვეღარ დახვდები,

ლექსო, გულიდან ხორცად რომ ხარ გამონატანი,
თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ გაჩაღდები“.

ასეთი კოსმიური განცდა პოეზიისა, მისი ტიტანური არსი იშვიათად გადმოუცია რომელიმე პოეტს (ალბათ, ისევ და ისევ ტიცთან ტაბიძე თუ შეედრება ამ ლექს თავისი „ლექსი — მეწყერთ“). ნებისმიერი ღირებულებით ტკივილით იქმნება, — ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა. ტკივილია დედა ყოველივე დიადისა (ეს ბოდლერსაც აქვს აღნიშნული თავის „პროზაულ ლექსებში“. ამავე აზრს ადგას პ.იაშვილი, როცა ამბობს:

„არა მკვლელობა, არა ომი, არა ხანძარი,
მიწისძვრა, მწირი, ტყეში ყოფნა მარად თულებად,
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უხარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება“.

განცდისა და აზრის სიმძაფრე კულმინაციას აღწევს უკანასკნელ სტროფში:

„რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას, ვით ადამიანს,
და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი,
მაშინ ეს მძორი ყვავებისთვის გასატანია“.

რომანტიულ-სიმბოლისტური პოეზიის ნიმუშს წარმოადგენს ლექსი, მიძღვნილი ვალერიან გაფრინდაშვილისადმი. თუმცა სიტყვა „სიმბოლისტური“ ამ ლექსზე პირობითად თუ ითქმის, რადგან ლექსი მოკლებულია „სუფთა სიმბოლიზმის“ ელემენტებს და რომანტიკული პოეზიის ნიმუშად უფრო გვევლინება:

„როდესაც მძინავს დამძიმებულ წვიმიან დღეში, —
შენ თმებს გივარცხნის ოფელია სუსტი თითებით.
იმას გედები ჩააბარეს თეთრ სამოთხეში
და გულსაფარი მოუქარგეს მარგალიტებით“.

მართლაც მშვენიერი ხედვაა ოფელიასიც, როგორც ლიტერატურული პერსონაჟისა და ვ. გაფრინდაშვილის პიროვნებისაც, როგორც ავტორის თანამოაზრისა და მეგობრის.

„გაახელ თვალებს, მორცხვად იტყვი: ახ, უკაცრავად!
ჩამოხსნი ფრთხილად თეთრ ნაბადს და დერიდახოლებს,
და თუ დაჰკოცნი იმის თითებს დაუკაწრავად, —
ათ კოცნას თვალი ათ მარგალიტს გადააყოლებს“.

ეს სტროფი მოწმობს, რომ მძლავრი ექსპრესიის გარდა, პ. იაშვილის ლექსებს ძალუძთ გამოხატონ ფაქიზი ლირიული განცდები, სიმშვიდით გაწონასწორებული. ხსენებული ლექსი ბოლომდე ამგვარი ნატიფი განწყობილებით მიედინება, ამიტომ მის განხილვას აქ აღარ გავაგრძელებთ.

ეროვნულ მოტივებზე შექმნილი ნაწარმოებებიდან ყურადღებას იპყრობს „ოფორტი“, მიძღვნილი დ. კლდიაშვილისადმი. ლექსს არანაირად არ ეტყობა, რომ სიმბოლისტი ავტორის დაწერილია; აქ მართლაც მშვენივრად ცოცხლდება დ. კლდიაშვილისეული იმერული კოლორიტი.

ზემოთმოყვანილ ორიოდ ლექსს იმიტომ შევეხეთ, რომ შეძლებისდაგვარად გამოგვეხატა მრავალფეროვნება და მრავალსპექტრიანობა პ. იაშვილის ორიგინალური შემოქმედებისა, ვინაიდან შემოქმედი თარგმანშიც ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ ხელწერასა და თავისებურებებს, მისეულ სტილს. ამას იგი ვერ გაექცევა, როგორც არ უნდა

* შარლ ბოდლერი. „ლექსები პროზად“, თბ., 1991 წ., იხ. „მხატვრის აღსარება“, გვ. 11.

** პაოლო იაშვილი, „პოეზია, პროზა, თარგმანები“, თბ., 1965 წ.

ეცადოს, ალბათ. თქმულიდან გამომდინარე, პ. იაშვილის თარგმანებს ეტყობა მათი ავტორის ხელწერის „გავლენა“: პ. იაშვილი თარგმანშიც იმავე პაოლოდ რჩება, რასაც წარმოადგენს საკუთარ ლექსებში. ჩვენი ამ აზრის უტყუარობის დასადასტურებლად მოვიყვანთ ცნობილი თანამედროვე პოეტის — ოთარ ჭილაძის სიტყვებს: „ეს (ლაპარაკია ავტორისეულ თარგმანებზე) თარგმანებიც ჩემი პოეტური მრწამსისა, აღმაფრენისა და შესაძლებლობების კანონზომიერ შედეგად მიმაჩნია, პროფესიონალი მთარგმნელისაგან განსხვავებით, პოეტის მიერ თარგმნილი ნაწარმოები უფრო მას ეკუთვნის, ვიდრე კანონიერ ავტორს. მე მგონი, სწორედ პოეტის თარგმანებს გულისხმობდნენ ის კრიტიკოსებიც და ლიტერატორებიც, რომლებიც დასაშვებად თვლიან სათარგმნელი ტექსტისადმი თავისუფალ მიდგომას... მთარგმნელს ასლი გადმოაქვს, პოეტი კი ქმნის. ხოლო შექმნა, თავისთავად, უკვე თავისუფლებასაც გულისხმობს. ღმერთმა იცის, რომელი უფრო ძნელია. ერთი კია — რაც მთარგმნელისთვის მიუტყვევებელია, ის პოეტისთვის შეიძლება აუცილებელიც იყოს, როგორც თვითგამომყვანების კიდევ ერთი გზა თუ საშუალება“ შესაძლოა, ამ ციტატის ავტორი მეტისმეტი თავისუფლების ნებას იტოვებს თარგმანის საქმეში, მაგრამ სტატიაში გატარებული აზრი ძირითადად სწორად მიგვაჩნია. ამით იმის თქმა როდი გვსურს, რომ პ. იაშვილი არ არის პროფესიონალი მთარგმნელი. პირიქით, ის ნამდვილად ამართლებს სიტყვას — „პროფესიონალი“, — კონკრეტულად, როგორც მთარგმნელი. მაგრამ ის არც ცალსახა „მთარგმნელი-გადმომღებია“. პოეტი და მთარგმნელი ერთგვარად „შეზავდა“ მასში — ამ დასკვნას გამოვიტანთ, როდესაც გავეცნობით მის მიერ შესრულებულ თარგმანებს. პოეტს უთარგმნია სხვადასხვა ავტორი: ა. პუშკინი, ვლ. მაიაკოვსკი, კ. ბალმონტი, ი. სვერიანინი, ვ. სოსიურა, ვაგიფი, შარლ ბოდლერი, ართურ რემბო, ემილ ვერჰარნი, ოსკარ უაილდი.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თარგმანებში გამოყენებული ლექსიკური მარაგი თითქმის იგივეა, რაც არის პ. იაშვილის ორიგინალურ თხზულებებში. თარგმანისეული სტილიც ძალიან არ განსხვავდება ავტორის ორიგინალური სტილისაგან. თუმცა, პ. იაშვილი, როგორც მთარგმნელი, დილექტანტი იქნებოდა, სხვადასხვა უცხოელი ავტორი ერთნაირი სტილით რომ ეთარგმნა. მთარგმნელი სხვადასხვა პოზიციებიდან მიუდგა სხვადასხვა ავტორს, გაითვალისწინა, თუ რომელ მიმდინარეობას ეკუთვნოდნენ ისინი ლიტერატურაში და, კერძოდ, — პოეზიაში, საკუთარ მშობლიურ ენაზე რა სტილით წერდნენ და ა.შ. შესაბამისად შეარჩია მან (მთარგმნელმა) სტილური ეკვივალენტი ქართულ ენაზე, ლექსიკური მარაგი, მეტყველების ფორმა (მაღალფარდოვანი თუ „მდაბიური“).

ფრანგულ ენაზე დაწერილს ჩვენ ვერ შევუდარებთ ქართულ თარგმანს, რადგან ეს ენა არ ვიცით, მაგრამ ვეცდებით, ზოგადად ვისაუბროთ ბოდლერის, რემბოსა და სხვა ფრანგი პოეტების იაშვილისეულ თარგმანთა ღირსებებზე, ანუ განვიხილავთ ამ თარგმანებს, როგორც დამოუკიდებელ ნაწარმოებებს. ასევე შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შევუდარებთ მათ სხვა ქართველი მთარგმნელების მიერ თარგმნილ იმავე ნაწარმოებებს. ცნობილია, რომ ფრანგული პოეზიის საუკეთესო ნიმუშთა უახლესი თარგმანები ეკუთვნის პოეტ გივი გეგეჭკორს. მან ხელახლა თარგმნა ის ლექსებიც, რომელნიც უკვე ნათარგმნი ჰქონდა პ. იაშვილს. ჩვენ შედარებად მიმოვიხილავთ ამ ორი მთარგმნელის ნაღვაწს. გვსურს ასევე შევეხოთ ოსკარ უაილდის პიესას „სალომე“, რომელიც შესანიშნავად გადმოაქართულა სწორედ პ. იაშვილმა. უკანასკნელის მთარგმნელობით ნაღვაწში ყველაზე დიდი ადგილი უკავია რუსული პოეზიის ნიმუშთა თარგმანებს, ამიტომ ჩვენც განსაკუთრებით მათზე გავამახვილებთ ყურადღებას ჩვენს ნაშრომში.

დავიწყებთ ა. პუშკინის საყოველთაოდ ცნობილი ლექსით „Зимний вечер“. ეს ლექსი რუსული კლასიკური პოეზიის შედეგად მიიჩნევა და სამართლიანადაც. ამიტომ მის

* ო. ჭილაძე „გახსოვდეს სიცოცხლე“, თბ., 1984, იხ. „წინასიტყვაობის მაგიერ“.

მთარგმნელს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, — ამოცანა არც ისე მარტივია: მან უნდა შეძლოს, შეუნარჩუნოს ლექსს დედნისეული მიმზიდველობა და ლაზათი. გარდა ამისა, დედანში ლექსი საკმაო მუსიკალურობითა და რიტმული ჰარმონიულობით გამოირჩევა, ამიტომ მთარგმნელმა იმავე მუსიკალურობასა და ჰარმონიას უნდა მიაღწიოს თარგმანშიც. უნდა ითქვას, რომ მთარგმნელმა (პ. იაშვილმა) წარმატებით გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას — უცხოელი კლასიკოსის ლექსის ქართულად აქდერებას — მისეული თარგმანი მართლაც ახლოსაა დედანთან, როგორც რიტმულ-მუსიკალური, ისე აზრობრივი თვალსაზრისით.

შევადართო რიტმი და ინტონაცია:

„Буря мглою небо кроет,
Вихри снежные крутя,
то, как зверь, она завоет,
то заплачет, как дитя“.

ქართულად:

„ქარმა გლოვით ცა დაფარა,
თოვლის ბუქით ჰაერს ავსებს,
ხან ღრიალებს მხეცის გვარად,
ხან კი ტირის ბავშვის ხმაზე“.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ინტონაცია და რიტმი კარგად შეინარჩუნა მთარგმნელმა: ასეთი განწყობილებით აღბეჭდილ ლექსს ალბათ მხოლოდ რვამარცვლოვანი სტრიქონი თუ მოუხდებოდა. დედანშიც რვამარცვლოვანი სტრიქონია ჯერ, შემდეგ კი — შვიდმარცვლოვანი. ქართული ლექსის სპეციფიკა ნაკლებად იძლევა ასეთი რიტმული „რხევის“ საშუალებას (8787), ამიტომ მთარგმნელმა აირჩია, ბოლომდე რვამარცვლოვანით გაემართა ლექსი. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ ერთ ენაზე დაწერილი რაიმე ლექსი მეორე ენაზე სხვაგვარად ჟღერს, თუკი მთარგმნელი ავტომატურად უცვლელად გადმოიტანს მარცვალთა რაოდენობას სტრიქონში. ხანდახან ეს ავტომატური გამეორება დედნისეულ განწყობილებას უკარგავს თარგმანს და მოსაძებნი ხდება სულ სხვა რიტმი. ამ შემთხვევაში ეს არ დასჭირვებია ქართველ მთარგმნელს, რადგან რვამარცვლოვან სტრიქონში მშვენივრად გადმოვიდა პუშკინის ლექსის სევდიანი განწყობილება.

ბუნებრივია, თარგმანი ქსეროასლი არ არის და შემოქმედს უწევს ხოლმე დედნისეული დეტალების შეცვლა. არ არსებობს თარგმანი, რომელიც აბსოლუტურ ასლს წარმოადგენდეს დედნისას, — ეს აქსიომაა. მაგრამ მთარგმნელის ნიჭსა და ოსტატობაზეა დამოკიდებული, რამდენად შეინარჩუნებს ის ავტორის აზრს დაუმახინჯებლად: რომელ სიტყვას შეეღვევა აუცილებლობიდან გამომდინარე, რომელ სიტყვას შეცვლის ისე, რომ ამ ცვლილებამ ავტორისეულ აზრში რაიმე მნიშვნელოვანი „კორექტივი“ არ შეიტანოს. პ. იაშვილმა დედნისეული „мглою“ (წყვდიადი) შეცვალა „გლოვით“ (ალბათ, ეს ცვლილება სიტყვათა ბუნებრივმა ბგერობრივმა მსგავსებამაც უკარნახა). სიტყვა „წყვდიადი“ სალექსო სტრიქონის ზომაში არ „ჯდება“, „გლოვამ“ კი ავტორის აზრს არაფერი ავნო, შეიცვალა მხოლოდ ნიუანსი, განწყობილება კი უცვლელად შეინარჩუნა. როდესაც მთარგმნელი სათარგმნელ მასალას არჩევს, იგი წინასწარ უნდა შეეგუოს აზრს, რომ თარგმანში დაიკარგება მეტ-ნაკლები რაოდენობის დედნისეული მარგალიტი. მთარგმნელის უნარი და ოსტატობა სწორედ ისაა, რომ რაც შეიძლება ნაკლები მარგალიტი დაიკარგოს. ამიტომაც ვერც ერთ მთარგმნელს ვერ ვუსაყვედურებთ, რომ მან თარგმანში არ გამოიტანა უკლებლივ ყველა „მარგალიტი“. პუშკინის ამ ლექსში მშვენიერ პოეტურ ფორმაშია ჩამოსხმული სურათი, თუ როგორ „ატრიალებს ქარი თოვლის ფრთილებს“, („вихри снежные крутя“). ეს სახე ძალიან გამჭვირვალეა და მკითხველები თითქმის ვიზუალურად ვხედავთ ზამთრის ამ სურათს. ქართულ თარგმანში ამ სახის შენარჩუნება სრული სახით შეუძლებელი აღმოჩნდა

(რიტმისა და რიტმის ფაქტორთა გამო); ქართული თარგმანი ასე ჟღერს: „თოვლის ბუქით ჰაერს ავსებს“. ეს სახეც ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს პუშკინისეულ აზრს, მაგრამ დაკარგული აქვს დედნისეული მჭირვალობა და მიმზიდველობა. ალბათ, ამის მიზეზია სიტყვის „ატრიალებს“ („крутя“, — დაკარგვა.

„То как путник запоздалый
к нам в окошко застучит“

ამ სტრიქონების ქართული თარგმანი:

„ხან ვით მგზავრი უთვისტომო
ჩვენს ფანჯარას მოაძახებს“.

„запоздалый“ შეცვლილია „უთვისტომოთი“ (ამას მოითხოვდა რითმა, რომელიც საკმაოდ ხშირადაა ხოლმე „დამნაშავე“ ნებისმიერი მთარგმნელის მიერ დაშვებულ ამა თუ იმ „გადახვევაში“). მაგრამ ამ ცვლილებამაც არ შეცვალა აზრი და განწყობა. ამგვარი უვნებელი ცვლილებანი მხოლოდ მთარგმნელის ოსტატობაზე მეტყველებს, ვინაიდან ცვლილებებს მაინც ვერ აცდება მთარგმნელი, თუნდაც გენიალური. პ. იაშვილმა ასევე შეცვალა სიტყვა „застучит“ სიტყვით — „მოაძახებს“, მაგრამ ამაზეც იგივე შეიძლება ითქვას.

შემდგომი სტროფის თარგმანი:

„ღარიბული ჩვენი ქოხი
მწუხარებას ვეღარ ასცდა,
ჩემო ძიძა, ჩუმი ოხვრით
რას აკეთებ ფანჯარასთან?
დადლილობა ქარმა გარგო,
ეგრე მისთვის გაინაზე,
თუ ჩასთვლიმე, ჩემო კარგო,
თითსტარის ნანიანაზე“.

ეს სტროფის შემდეგისდაგვარად ზუსტი თარგმანია. თუკი მთარგმნელი რაიმეს ცვლის, ცვლის მხოლოდ ნიუანსებს, რათა აზრობრივ სიზუსტეს და განწყობილებას არაფერი ევნოს. ამიტომაცაა, რომ პ. იაშვილი პასუხისმგებლობით ეკიდება კლასიკოსის შედეგს და საკუთარ თავს არ აძლევს ზედმეტი თავისუფლების და კადნიერების ნებას, როგორც ამას სჩადის ზოგიერთი თანამედროვე მთარგმნელი. უკანასკნელნი ფიქრობენ, რომ თარგმანი მათივე შესაძლებლობის დემონსტრირება უფროა, ვიდრე დედნის ერთგულება და კეთილსინდისიერი სწრაფვა ავტორისეული ჩანაფიქრის ხელმეორედ ხორცშესხმისადმი.

Наша ветхая лачужка,
и печальна, и темна,
что — же ты, моя старушка,
преумолкла у окна?“

როგორც ვხედავთ, ერთადერთი ნიუანსი, რაც თარგმანში დაიკარგა, არის „и темна“. სხვა ყველაფერი მთარგმნელმა უცვლელად შეუნარჩუნა ქართულ თარგმანს. სიტყვა „старушка“ მხედველობაში მისაღები არ არის, რადგან შეცვლილია „ძიძით“ და თავისთავად იგულისხმება, რომ ძიძა მოხუცია.

ამ ლექსის შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებ, რადგან მისი ქართული თარგმანის ღირსებები, ვგონებ, ნათელია და უდავო. ცხადია, პ. იაშვილისეული თარგმანი ზოგადად არ ახდენს ისეთ მძლავრ ლირიულ შთაბეჭდილებას, როგორსაც დედანი, მაგრამ ეს, ალბათ, შეუძლებელიც იყო — მთარგმნელს ხომ საქმე ჰქონდა ყველა დროის უპირველეს რუს პოეტთან და მის ერთ-ერთ უპირველეს ლექსთან (მხატვრული თვალსაზრისით).

იგივე ითქმის პუშკინის მეორე ლექსის „ზამთრის შარის“ თარგმანზედაც. დედანში „Зимняя дорога“ ჰქვია, რაც პირდაპირი თარგმანით „ზამთრის გზა“ გამოვიდოდა, მაგრამ

მთარგმნელმა არჩია „შარა“ და სწორედაც, ვინაიდან ეს სიტყვა უფრო უხდება იმ გზას, რომელზედაც მიჰქრის პუშკინის ეტლი:

„ Сквозь волнистые туманы
проберается луна,
на печальные поляны
лет печально свет она“.

პ.იაშვილს თარგმნილი აქვს ამგვარად:

„მოელვარე ნისლის ზღვაში,
მისრიალებს მთვარე ზანტად
და სევდიან მინდვრებს გაშლილს
მისი შუქი დაეფანტა“.

ჩვენი აზრით, მთარგმნელმა დაკარგა მცირე ნიუანსი მთვარის მოძრაობისა — „проберается“, ანუ „მიიპარება“, მისრიალებს“ სხვა სემანტიკური ელფერი დაჰკრავს. შესაძლოა, მკითხველს მოეჩვენოს, რომ ჩვენ ზედმეტად ვუკირკიტებთ ყოველ წვრილმანს, მაგრამ პუშკინის ლექსის მიმზიდველობის საიდუმლოს, ალბათ, სწორედ ეს „წვრილმანები“ წარმოადგენენ.

ქართულად მშვენივრადაა გამართული მესამე სტროფი, რომელსაც არც ეტყობა, რომ არაქართველი მწერლის ნაწარმოების თარგმანია; ასე გვგონია, ორიგინალს ვკითხულობთო თითქოს:

„თითქოს სულთან ახლოს არი
ამ მეეტლის გრძელი ჰანგი,
ხან გუგუნი ნაშფოთვარი,
ხან კი სევდა დასადაგი“.

თარგმანთა უმრავლესობას აშკარად ეტყობა, რომ გადმოდებულია (სხვა ენიდან), ალბათ ამიტომაც შეადარეს თარგმანი ხალიჩის მეორე პირს. მაგრამ ხანდახან მთარგმნელი იმდენად ოსტატურად ახერხებს ეკვივალენტის შექმნას, რომ ეს შთაბეჭდილება სადღაც ქრება და იშლება ზღვარი დედანსა და თარგმანს შორის. ეს ითქმის სწორედ ზემოთ მოყვანილ სტროფზე, რომელსაც ქართული იერიც დაჰკრავს (სიტყვა „დასადაგი“ ანიჭებს მას ქართულ, ერთგვარად რუსთაველურ იერს).

გვინდა ვთქვათ (თუმცა შეიძლება მკითხველი არ დაგვეთანხმოს), რომ პაოლო იაშვილს ერთნაირი გულმოდგინებითა და აღმაფრენით (გნებავთ, ენთუზიაზმით) არ უთარგმნია ყველა ლექსი. ეს, ჩვენი აზრით, ეტყობა თავად თარგმანებს. აქ არაფერია გასაკვირი და მოულოდნელი — პოეტი უფრო დიდი ენთუზიაზმით ქმნის ხოლმე, ვიდრე თარგმნის, რადგანაც ორიგინალური შემოქმედების პროცესში მეტია აღმაფრენის მომენტი, ვიდრე თარგმნით პროცესში. უკანასკნელი უფრო შეკავებულ მიდგომას მოითხოვს ამოცანისადმი, შემოქმედის ფსიქიკა უფრო შეზღუდულია აუცილებლობათა არტახებით თუ ბარიერებით, რაც ამნელებს აღმაფრენით იმპულსებს და ამოცანისადმი უფრო საქმიან, სკრუპულოზურ მიდგომას მოითხოვს. პოეტისნატურა კინებისმიერ შემთხვევაში შინაგანად ეწინააღმდეგება ამ არტახებს, ვერ ჰგულობს ამ ბარიერებს, მხოლოდ და მხოლოდ შეუზღუდავ აღმაფრენას მიეღობის. თქმულიდან გამომდინარე, ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ პაოლო იაშვილი საკუთარ ლექსებში უფრო მძაფრ ემოციურ მუხტს ატარებს, ვიდრე ეს მისეულ თარგმანებშია წარმოდგენილი. მართლაც, თარგმანში საკუთარი აღმაფრენის დემონსტრირების შესაძლებლობა ნაკლებია. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობთ, რომ რამდენიმე ადგილას პ. იაშვილის თარგმანებს ეტყობათ ავტორის განურჩევლობა (ჩვენი სუბიექტური და შესაძლოა, მცდარი მოსაზრებით), როგორც, მაგალითად, ამ სტროფს:

„დარდი, კვნესა... ხვალ კი ნინას

კვლავ ვეწვევი სულზე ტკბილსა,
დავდუმდები ბუხრის წინა...
ვუცქერ დიდხანს სახეს მისას“...

ბოლო სტრიქონში ჭარბად ხმარებული სან-ები, ვფიქრობთ, ხელს უნდა უშლიდეს ლექსის მუსიკის ლაღ მდინარებას („ვუცქერ დიდხანს სახეს მისას“), ერთგვარად უნდა აფერხებდეს მას. პ. იაშვილს, ცხადია, არ გაუძნელდებოდა უკეთესად გამართვა ამ სტრიქონისა (და მთლიანად სტროფის), მაგრამ, ვფიქრობთ, მან დიდი მონდომება და სულიერი ძალა არ დაახარჯა მას. აქ გვსურს დროებით შევწყვიტოთ პუშკინზე საუბარი (შემდგომ მას ისევ დავუბრუნდებით) და განვიხილოთ პ. იაშვილის მიერ თარგმნილი ფრანგული პოეზიის ნიმუშები. ამ თარგმანებს ეტყობა, რომ მეტი მონდომებითა და გატაცებითაა შესრულებული. თავად პაოლო იაშვილიც ხომ არ დარჩენილა ფრანგული პოეზიის ცხოველმყოფელი ძალის გავლენის გარეშე და მისი „სიმბოლისტობაც“ სწორედ ფრანგული პოეზიის სიყვარულიდან იღებს სათავეს. ალბათ, ეს სიყვარული გახდა იმის მიზეზი, რომ ბოდლერისა და რემბოს ქართულ თარგმანებს მეტი ენთუზიაზმი ეტყობათ მთარგმნელისა, მეტი აღმაფრენა, ვიდრე რუსული პოეზიის ნიმუშთა თარგმანებში ჩანს ეს.

არტურ რემბოს პატარა ლექსი „განცდა“ გვატყვევებს პირველქმნილი უშუალოებით, გრძნობის სიმძაფრითა და სიწრფელით, ბუნებისადმი ეგზალტაციური დამოკიდებულებით. როგორც უკვე ვთქვით, არ ვფლობთ ფრანგულ ენას, მაგრამ მაინც მივცემთ თავს უფლებას, ვიმსჯელოთ თარგმანის ავ-კარგზე, გამართულობაზე, შევადაროთ იგი სხვა არსებულ თარგმანს. რემბოსადმი და, ზოგადად, ფრანგული პოეზიისადმი გამორჩეული ყურადღება გასაგებია: პ. იაშვილი, როგორც სიმბოლისტი პოეტი, ეთაყვანება ფრანგ „კოლეგებს“, ამავე მიმდინარეობის წარმომადგენლებს — დეკადენტებს, ხიზლავს მათ მიერ დახატული პოეტური სამყარო, მათი უცნაური ხილვები და წარმოსახვანი, მათი ნოვატორული მიდგომა პოეზიის დანიშნულებისა და არსისადმი. პ.იაშვილმა თავად მიუძღვნა ლექსი არტურ რემბოს, სადაც იგი წერს:

„პარიზის კერპებს მოველინე ბავშვი უფალი,
მაკადამებში ჩაიტანე მზე უნახავი,
დასტოვე სიტყვა, როგორც მეფე ნატრიუმფალი
და მხოლოდ ერთი სილამაზე გაუძრახავი.
მთვრალი ხომალდით აცურავე ოქროს ჭკირთები,
იოლი იყო შენთვის ქვეყნის გადახეტება,
უფეხო რემბო! მოწინავედ მგოსნებს გვჭირდები,
თორემ ლალი და მარმარილო გადიხვეტება“.

აი, ასეთი მხურვალე სტრიქონები უძღვნა ქართველმა პოეტმა ფრანგ სიმბოლისტს და ასე გამოხატა თავისი სიმპათია მარად ჭაბუკად დარჩენილი პოეტისადმი. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ პაოლო იაშვილი განსაკუთრებული სიფრთხილით მოჰკიდებოდა რემბოს ლექსების თარგმნის საქმეს. ეს სიფრთხილე (თანააღმაფრენასთან ერთად) საცნაური გახდება, როდესაც თარგმანებს გავეცნობით.

ზემოთ ხსენებული ლექსის სათაური მთარგმნელმა უცვლელად გადმოიტანა — „Sensation“. გ. გეგეჭკორმაც თარგმნა ეს ლექსი, მაგრამ „განცდა“ დაარქვა თარგმანს. ეს მთარგმნელთა სუბიექტური პოზიციას და არჩევანი და ორივე შემთხვევა გამართლებული უნდა იყოს, ჩვენი აზრით:

„ლურჯ სადამოთი, ზაფხულობით წავალ ფარულად,
სადაც ყანაა და ბალახით ავსილი ველი,
ფეხებთან ვიგრძნობ, რომ ბალახი მთლად დაცვარულა
და შევცურდები ქარში ზვავი და თავშიშველი“.

ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ ჟღერს ეს ლექსი ფრანგულად, მაგრამ ლიტერატურული გუმანი გვკარნახობს, რომ თარგმანი ზუსტადაა შესრულებული, ხოლო ქართულად კი ბრწყინვალედ და უნაკლოდ ჟღერს: არ არის არანაირი ნამძალადევი ეგზალტაცია, განცდა ბუნებრივია და უშუალო, სიტყვები ზუსტადაა შერჩეული ამგვარი განცდის გადმოსაცემად:

„ხმას არ გავიღებ... არ ვიფიქრებ... მაგრამ ძლიერი
ვნებით მეცხება სიყვარულის უბე და კალთა,
და მივალ, როგორც დამშეული ბოჭემიელი,
და ბედნიერი ბუნებასთან: ისე, ვით ქალთან“.

გ გეგეჭკორის თარგმანიც (ამავე ლექსისა) კარგადაა შესრულებული, მაგრამ ჩვენი სუბიექტური სიმპათია მაინც პ. იაშვილისეული თარგმანისაკენ იხრება. ამ პატარა ლექსში — „Sensation“ — მთარგმნელმა სრულად გვიჩვენა ნიჭი და უნარი აღმაფრენის თანაგანცდისა.

იგივე ითქმის ა. რემბოს შედევრად მიჩნეულ ლექსზეც — „მთვრალ ხომალდზე“, რომელიც არანაკლები გზნებითა და ოსტატობით უთარგმნია პ. იაშვილს:

„როცა უვნებო მდინარეებს გადავიდოდი,
აღარ მათრევდნენ, ამას ვგრძნობდი, მძიმე გიდები,
იღებდნენ მიზნად მათ მყვირალა წითელკანები
და ტიტველ ტანებს მიაკრავდნენ ფერად სვეტებზე“.

უნდა ითქვას, რომ პ. იაშვილმა რემბოს ეს ლექსი ურითმოდ გადმოაქართულა. შესაძლოა ასე იმიტომ მოიქცა, რომ მეტი ერთგულება გამოეჩინა დედნისეულ აზრთა მიმართ და დედნის მდინარებას მეტი სიზუსტით მიჰყოლოდა. მართალია, ამით თარგმანის ფორმალურმა და მუსიკალურმა მხარემ წააგო, მაგრამ, სამაგიეროდ, მკითხველი მეტ ყურადღებას უთმობს ლექსის სანახაობრივ, ხილვით მხარეს. ეს ლექსი კი საკმაოდ მდიდარია სხვადასხვა რომანტიკული ხილვებით.

მოვიყვანო პირველი სტროფის ბოლო ორი სტრიქონის გ. გეგეჭკორისეულ თარგმანს:

„სამიზნედ სამოსგანძარცული მეზაგირენი
გაეკრათ ველურ ინდიელებს ფერად ბოძებზე“.

ძნელია თქმა, რომელი თარგმანი სჯობს: ორივე ზედმიწევნით ახლოსაა ერთმანეთთან აზრობრივი თვალსაზრისით და, შესაბამისად, ორივე ახლოს უნდა იყოს დედანთანაც.

აი, გ. გეგეჭკორისეული თარგმანი სხვა ტაეპისა:

„იმ ზამთარს ვიყავ ყრუ ყრმის ტვინზე, — ვერ ამშვიდებდა
ზღვას ვერაფერი და მოქცევის იდგა ხმაური“.

შევადართ პ. იაშვილი:

„ცოფიან წყალთა ავ ზრიალში, მე იმ ზამთარში,
რომელიც იყო ყრუ ვით ტვინი პატარა ბავშვის —
მივქროდი! ...მიწა, კუნძულები დაშორებული
აღარა გრძნობდნენ აურზაურს გაჩირადდნებულს“.

აქაც ძნელია რომელიმე ვარიანტისთვის უპირატესობის მინიჭება. მთავარია, რომ პ. იაშვილმა შეძლო, თარგმანში გადმოეტანა რემბოს ლექსის ექსპრესიულობა, გაქანება, მღელვარე და დაუოკებელი ტემპერამენტი და ჭაბუკური გზნება ფრანგი პოეტისა. მთარგმნელი, თუგინდ პროფესიონალი, ვერ შეძლებს ამგვარი ემოციით სიმძაფრის შენარჩუნებას თარგმანში, თუკი თავადაც არ განიცდის მსგავს აღმაფრენას, თუკი თავადაც არ არის დაჯილდოებული მსგავსივე ტემპერამენტით და ჭაბუკური ვნებიანობით, და ასეთ შემთხვევაში თარგმნა უკვე სკრუპულოზური საქმიანობა კი აღარაა, არამედ ქმნაა, თანაშემოქმედებაა, ავტორთან ერთად ბორცვაა. თუკი ლექსის „თეთრი“ თარგმანი ასეთი

გამოვიდა, ამას უნდა ვუმაღლოდეთ არა მარტო მთარგმნელის პროფესიონალიზმს, არამედ მისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ, თანდაყოლილ ტემპერამენტსაც. რემბოს ეს ლექსი სტიქიურია, და სტიქიურია თარგმანიც; მაშინ, როდესაც ზემოთგანხილული „Sensation“ გამოირჩეოდა მშვიდი განწყობილებითა და გაწონასწორებული ემოციურობით, ხოლო „Sensation“-ის პ. იაშვილისეული თარგმანიც ზუსტად ასეთივეა — ემოციურად მშვიდი და გაწონასწორებული. აქ ვრწმუნდებით მათი მთარგმნელის კიდევ ერთ იშვიათ უნარში: ყოველ ლექსს მოუძებნოს ზუსტი განწყობისმიერი ეკვივალენტი — არც გაამძაფროს ემოცია, არც შეანელოს, არამედ გადმოსცეს ისე, როგორც ეს თავად ლექსის ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული:

„მე მსურს ვაჩვენო ბავშვებს ზღვათა მოვარაყება,
ოქროს თევზები, მომღერალი ოქროს თევზები...
მე გამგზავრებას მილოცავდნენ ყვავილთ ქაფები,
უცხო ქარები მამზადებდნენ მე გასაფრენად“.

ბედნიერებისაგან მთვრალი ხომალდი თითქოს სულს ძლივსღა ითქვამსო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობსო თავის სათქმელს — ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება მკითხველებს მთარგმნელის ოსტატობის მეოხებით. აქვე ვიტყვი, რომ, ჩვენი აზრით, კარგი თარგმანი ისაა, რომელშიც არ ჩანს მთარგმნელის პიროვნება, მთარგმნელის სული. როცა მთარგმნელი „გამჭვირვალე მინად“ გადაიქცევა, ჩვენ უშუალოდ ვხედავთ ლექსის ავტორს და ვგრძნობთ მის გულისცემას: სწორედ ასეთ შემთხვევაში გამოდის ხოლმე კარგი თარგმანი.

მთარგმნელმა უნდა მოახერხოს, რომ თავად უჩინარი დარჩეს მკითხველისათვის და ზედმეტად თვალში არ „შეეჩხროს“ მას. პ.იაშვილი ბევრგან ახერხებს ამას: გადმოქართულებულ „მთვრალ ხომალდში“ თავად არტურ რემბო გველაპარაკება, მთარგმნელი თითქოს განზე დგას და ღიმილით ადევნებს თვალს ჩვენს ურითერთობას ლექსის ავტორთან:

„ზღვებო! დათენთილს თქვენს წიაღში არა მაქვს ღონე,
რომ შევაჩერო რბენა ბამბით სავსე გემების,
დროშების ცეცხლთა ვიგრძნო ძალა და მგზავრად დავრჩე,
რომ პონტონების საშინელი მზერა მანათებს“.

მეორე ტიტანი ფრანგული პოეზიისა, შარლ ბოდლერი, — სიმბოლისტების უშუალო წინამორბედი და სიმბოლიზმის, როგორც მიმდინარეობის, ფაქტიური მესამირკვლე, ვერ დარჩებოდა ცისფერყანწელებისა და, კერძოდ პ. იაშვილის, ყურადღების მიღმა. არათუ მხოლოდ ცისფერყანწელებმა, არამედ სხვა დიდმა „არაცისფერყანწელებმაც“ მუხლი მოიდრიკეს ბოდლერის პოეზიის ფერადოვნების წინაშე. გალაკტიონმა თავისი „რომელი საათია?“ დაწერა ერთი ბოდლერისეული ლექსის ზეგავლენით და არც დაუფარავს ეს:

„იყო შარლ ბოდლერი — მწარე და ძვირფასი
თრობის საათია, ღვინის საათია,
ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე —
რომელი საათია?“

ტ. ტაბიძე კი ამბობდა, რომ ცისფერყანწელთა, ქართველ „დეკადენტთა“ სანუკვარი მიზანი და მისია იყო „ბოდლერისეული ყვავილების გადმონერგვა ბესიკის სევდის ბაღში“. ბოდლერმა მსოფლიო პოეზიაში შემოიტანა ერთგვარი „ბოჰემური“ სული და განწყობა, „სალონური“ ესთეტიკა. მართალია, როგორც გ. გეგეჭკორი წერს, ზოგიერთის აზრით, ბოდლერის პოეზია მეტისმეტად ცივია და ჰგავს გაყინულ მარმარილოს ქანდაკს, დიადსა და სიყვარულისაგან დაცლილს, მაგრამ ასე მოფიქრალთ სრული წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეთ ბოდლერის პოეზიის ყველა ასპექტზე. მისი თანამედროვე ქართველი მთარგმნელი გ.გეგეჭკორი თავად მიუთითებს ლექსზე — „აივანი“ — ზემოთმოყვანილი

აზრის გასაქარწყლებლად. „აივანი“ მართლაც მეტად თბილი და სიყვარულით აღსავსე ლექსია, რომელსაც ვერ დავწამებთ „მარმარილოსდარ“ სიცივესა და უსულგულობას. ცხადია, სიყვარული არ არის მთავარი ემოცია ბოდლერთან, ვინაიდან ბოდლერი ბოჰემური ცხოვრების ტრფიალი იყო და ესთეტიკური კუთხით უფრო ჭვრეტდა სამყაროს, ვიდრე მორალურ-ეთიკური კუთხით; მაგრამ მან დაწერა შედეგები — სწორედ ესთეტიკური მომხიბვლელობის მქონენი და ამ ასპექტში იგი მართლაც შეუდარებელი პოეტია. როდესაც საუბრობენ მისეულ ე.წ. „სიმახინჯის ესთეტიზაციაზე“, ესეც მისი უცნაური ნატურის ერთ-ერთი შტრიხი იყო და არა ერთადერთი. ლექსი „ლეში“ მართლაც უხვად შეიცავს პათოლოგიური სიმახინჯის აღწერებს და ნატიფი გემოვნების მკითხველი, შესაძლოა, შეაცბუნოს კიდეც, მაგრამ ამ ლექსის ფილოსოფიური პათოსი და განმაზოგადებელი დასკვნა, ჩვენი აზრით, ამართლებს ამ „სიმახინჯეებს“.

„ბუზი ბზულით ესეოდა გადახსნილ სტომაქს
და შედედებულ ბატალიონად
მოფუთფუთებდა სპა მატლისა და ისე ბლომად,
რომ შედედებულ სითხედ დიოდა“.

(გ.გეგეჰკორის თარგმანი).

„ავხორც ქალივით აეშვირა ფეხები ზევით,
ხურდა და ოფლად სდიოდა შხამი
და უდარდელად გადახსნოდა გაზების მფრქვევი
ფაშვი, — სიმყრალით აღსავსე ხრამი“.

(უცნობი მთარგმნელი)

სწორედ ბოდლერის ამგვარ სტრიქონებს ბამავდენენ ახალგაზრდა ქართველი „დეკადენტები“ — ცისფერყანწელნი: კოლაუ ნადირაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვები. ვალერიან გაფრინდაშვილის „ნაფტალინის დედოფალი“ და სურდოს ესთეტიზაცია, ალბათ, შორეული გამოძახილია ბოდლერის „გოლიათი ქალწულისა“, ხოლო კოლაუ ნადირაძის „ავზნიანი ქალაქი“ მთლიანად „სიმახინჯის ესთეტიზაციის“ პრინციპებითაა გაწყობილი. რაც შეეხება პაოლო იაშვილს, ის შედარებით ნაკლებად ასახავდა თავის ლექსებში ამგვარ ხილვებს და უფრო „ჯანსაღი“ პოზიცია ეკავა გარემომცველ სამყაროსთან მიმართებაში; მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ორთოდოქსული სიმბოლისტური იდეები ჩამოეყალიბებინა თავის ესთეტიკურ ნააზრევში და ფრანგი დეკადენტების კვალს გაჰყოლოდა ცხოვრების გარკვეული ეტაპის განმავლობაში. ბოდლერის მიმართ სიმპათია კი მას არანაკლები ჰქონდა, ვიდრე სხვა ცისფერყანწელებს და ეს მისი ერთი ლექსის თარგმანითაც გამოიხატა. ესაა — „სადამოს ჰარმონია“. თარგმანისეული განწყობა სევდიანია და მისტიკური, დინება — მონოტონური და მშვიდი. ეს ლექსი, ერთ-ერთია, ალბათ, ბოდლერის „სპლინებიდან“. პაოლო იაშვილს ეს თარგმანიც შესანიშნავად გამოუვიდა — ლექსს არ ეტყობა არანაირი კვალი მომძლავრებისა, ძალდატანებისა — ძილისმომგვრელი მონოტონურობა სრულიად ბუნებრივია და ამ ლირიულ ეფექტს მთარგმნელმა შესაფერისი სიტყვიერი მარაგის შერჩევითა და ზუსტი რიტმის მოძებნით მიაღწია. სევდიანი, თხრობითი ტონი აუცილებლად მოითხოვდა თოთხმეტმარცვლოვან სტრიქონს, და მთარგმნელსაც არ უღალატა პოეტის ინტუიციამ.

„აგერ დადგა დრო, როცა რხევით საკუთარ ღერზე
ყველა ფოთოლი იორთქლება ვით საკმეველი:
ჰაერში ხმები, ნარდიონი გაურკვეველი;
სევდის ვალსი და მიბნედილი ტრიალი სერზე!
ყველა ფოთოლი იორთქლება ვით საკმეველი,
თრთის ჭიანური როგორც გული სულ მომიზეხე;“

სევდის ვალსი და მიზნედილი ტრიალი სერზე: ცა მოწყენილი და ძვირფასი, ვით დიდი ველი“.

თავისი დინებით ლექსი თითქოს გვბანგავს, გვითრევს და გვათრობს. არც ერთი ზედმეტი სიტყვა, ნამძალადევად ჩაჩრილი სტრიქონში, არც ერთი დაბრკოლება მუსიკალური თვალსაზრისით! ლექსის დაღმავალი დინება რაღაც მისტიური კაეშნით ავსებს მკითხველის გულს; განწყობილება კი დაახლოებით ისეთივეა, როგორც შექსპირის ერთ-ერთ ბრწყინვალე სონეტში:

„ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება...“

ბოდლერის ამ ლექსის ქართული თარგმანი, შესრულებული პაოლო იაშვილის მიერ, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ნიმუშია ძალდაუტანებელი, ბუნებრივი თარგმანისა.

„თრთის ჭიანური, როგორც გული სულ მომიზეზე:
უნაზეს გულსა ეზარება უფსკრული ბნელი;
ცა მოწყენილი და ძვირფასი, ვით დიდი ველი,
მზე ჩადის სისხლში და მაგრდება ის სისხლი მზეზე,
უნაზეს გულსა ეზარება უფსკრული ბნელი,
ნათელ წარსულსაც გაიტაცებს ტრიალი სერზე
მზე ჩადის სისხლში და მაგრდება ის სისხლი მზეზე...
ელავს ბარძიმაღ შენზე ფიქრი უკანსკნელი“.

მკითხველი დაგვეთანხმება — ძნელია უფრო ზუსტად და ზედმიწევნით ამეტყველება ბოდლერის სულისა ქართულად. ამ თარგმანში ჩვენ ნათლად ვხედავთ მოთენთილი და დაღლილი ბოჰემიელის სახეს. გამორჩეულ ლირიულ ეფექტს ქმნიან ფრაზათა განმეორებანი, რაც უნაკლოდ აქვს გადმოტანილი მთარგმნელს. საერთოდ, ბოდლერს უყვარდა ამგვარი განმეორებებით ლირიული ეფექტის მიღწევა. გავიხსენოთ მისი ლექსი „აივანი“, რომელიც მთლიანად ამ განმეორებებზეა აგებული და მკითხველში ზეაღმავალი სპირალის შთაბეჭდილებას ტოვებს: ყოველი სტროფის უკანასკნელ ორ სტრიქონს დასაწყისში იმეორებს მომდევნო სტროფი.

დავუბრუნდეთ პუშკინის ლექსთა თარგმანებს. რუსი პოეტის კიდევ ერთი ცნობილი ლექსი — „წინასწარმეტყველი“ — მხოლოდ პაოლო იაშვილს არ უთარგმნია. ეს ლექსი თარგმნა ილია ჭავჭავაძემაც. ილიასეულ თარგმანში თავად ილიას სული უფროა ჩადებული, ვიდრე ავტორისა და სტილიც მთლიანად ილიასეულია. მაშინდელი ეპოქის საერთო მთარგმნელობით დონეს თუ გავითვალისწინებთ, ილიას თარგმანი მართლაც წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს პუშკინის ქართულად ამეტყველების საქმეში. ილიას ეპოქა, ფაქტია, თავს ვერ მოიწონებს მეოცე საუკუნის წინაშე მთარგმნელობითი საქმიანობის დონითა და მთარგმნელთა სიუხვით თუ პროფესიონალიზმით. იმჟამინდელ ლიტერატურაში კანტი-კუნტად თუ გამოერეოდნენ თარგმანზე „თავგადადებულნი“. უმრავლესობისთვის თარგმანი პარალელური საქმიანობა იყო ძირითადთან ერთად და, უარეს შემთხვევაში, მხოლოდ გართობას წარმოადგენდა. ვახტანგ ჭელიძე, ცნობილი თანამედროვე მთარგმნელი, შექსპირის ხელმეორედ ქართულად ამხმინებელი, თავის წიგნში — „ძვირფასი სილუეტები“ — ხატავს მთარგმნელობითი საქმიანობის საერთო სურათს მეცხრამეტე საუკუნეში და მოჰყავს ერთი სავალალო მაგალითი ამ სურათის საილუსტრაციოდ: ერთ-ერთ „მთარგმნელს“ განუზრახავს შექსპირის გადმოქართულება და შედგომია კიდევ საქმეს; ერთ-ერთი შექსპირისეული ფრაზა კი ასე უთარგმნია: „კაროლო, მერზავეცო, დამიბრუნე მამაჩემი“.

იმჟამინდელი მდგომარეობა თარგმანის საქმისა ობიექტური მიზეზებით იყო შეპირობებული: უპირველესად კი, ალბათ, ქართული ენის საერთო დანაგვიანებით და ბარბარიზმების მომრავლებით, რასაც თვით დიდი ილიაც კი ვერ უვლიდა გვერდს ხანდახან. ივანე მაჩაბელი, შესაძლოა, ერთადერთ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდა იმ დროში, ვისთვისაც თარგმანი არ იყო „პარალელური“ საქმიანობა და ვინც მხოლოდ და მთლიანად დაიხარჯა შექსპირის თარგმანის საქმეში. ეს მცირე შესავალი იმისათვის დაგვჭირდა, რომ განგვემარტა მიზეზი ილიასეულ თარგმანთა შედარებით „ჩამორჩენილობისა“ პ. იაშვილის თარგმანების ფონზე. ი. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილ პუშკინის „წინასწარმეტყველს“ დაჰკრავს პუბლიცისტური იერი, რაც გასაკვირი არ უნდა იყოს თავად ილიას ბუნებიდან გამომდინარე. მან უკანა პლანზე გადასწია ლექსის ესთეტიკური მომხიბლაობა და წინ დააყენა ეთიკური მომენტი, მოქალაქეობრივი პათოსი. საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე, ილიამ პუშკინის „წინასწარმეტყველში“ პუბლიცისტი — პოეტი დაინახა, რასაც ვერ ვიტყვით პაოლო იაშვილზე.

ჯერ მოვიყვანოთ ორიგინალის ტექსტს:

Духовной жаждою томим,
В пустыне мрачной я влачился,
и шестикрылый серафим
на перепутье мне явился “.

ვნახოთ, როგორ თარგმნა ეს სტროფი ილიამ:

„რა დავდიოდი ბნელს უდაბნოსა,
სასულიერო წყურვილი მწვავედა
და სერაფიმი ჯვარედინ გზასა
მე ექვსფრთიანი გამომეცხადა“.

რიტმი უდავოდ შესაფერისადაა შერჩეული, აზრიც ზედმიწევნით არის დაცული, თუმცა ემოციური მუხტი, ალბათ დედანში უფრო ძლიერადაა წარმოდგენილი, ვიდრე თარგმანში.

ახლა ვნახოთ პ.იაშვილის მიერ თარგმნილი იგივე სტრიქონები:

„სულის წყურვილით თავზარიანი
ვეხეტებოდი უდაბნოს მტვერში
და სერაფიმი ექვსიფრთიანი
გზაჯვარედინზე ჩამიდგა გვერდში“.

ვფიქრობთ, ნათლად ჩანს, რომ ლირიული ეფექტი და ემოციური დამუხტულობა პაოლოსთან უფრო მაღალია. კარგია, რომ მთარგმნელმა არ დაკარგა დედნისეული „влачился“ და თარგმნა როგორც — „ვეხეტებოდი“. ოდნავ ეხამუშება ყურს სიტყვათა შეთანხმება — „ექვსიფრთიანი“, „ექვსფრთიანის“ მაგიერ, მაგრამ ეს პაწია ნაკლოვანება დიდ ჩრდილს არ აყენებს თარგმანს.

შემდეგ პუშკინი წერს:

Перстами легкими, как сон,
моих зениц коснулся он,
Открылись весшие зеницы, как у испуганной орлишцы,
моих ушей коснулся он.
и их наполнил шум и звон “.

* იხ. „ფრანგული პოეზია“, თბ., 1983 წ., გ.გვეგეჭკორისეული თარგმანები, შ.ბოდლერი, — „აივანი“

* ვახტანგ ჭელიძე, „მვირფასი სილუეტები“, თბ., 1989 წ.

პ.იაშვილი თარგმნის:

„როგორც მსუბუქად მოსული ძილი,
იგი შეეხო თვალებს სიფრთხილით.
გაიხსნა ჩემი თვალთა რკალები,
მშიშარ არწივის აკანკალებით.
შეეხო სმენას და ყურთასმენა
ზარების რეკვით აავსო ზენამ“.

როგორც ვხედავთ, მთარგმნელმა „დაკარგა“ სიტყვა „ влачился “ და თარგმანში გაჩნდა „ზედმეტი“ სიტყვა — „სიფრთხილით“. ცხადია, ეს მოხდა რიტმისა და რითმის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ავტორის აზრი არ შებღალულა, — არც ემოციური იმპულსი განელებულა. შემდგომ თარგმანში გვხვდება კიდევ ერთი „ზედმეტი“, მთარგმნელისეული სიტყვა — „ზენა“, მაგრამ კონტექსტში იგი სრულიად ბუნებრივად თავსდება და ავტორის სათქმელს კიდევ უფრო აკონკრეტებს.

შემოდგომი სტრიქონები თარგმანში ასე ჟღერს:

„და მაშინ ვიგრძენ ზეცის მშვენება,
ანგელოზების ფრთების შრიალი,
წყალქვეშა სულთა ზღვაში სრიალი
და ველზე ვაზის აღმოცენება.
და იგი ბაგეს დააკვდა ზენა
და ამომგლიჯა ცოდვილი ენა
მავნე, ავსილი ცრუ მეტყველებით,
და იმის ნაცვლად, სიბრძნით ნაგეში
გველის ნემტარი მიმკვდარ ბაგეში
ჩადგა მრისხანე თავის ხელებით“.

ენა, რომელიც აირჩია პ. იაშვილმა პუშკინის ლექსების თარგმნისას, ზუსტად შეესაბამება პუშკინისეულ სტილსა და ხელწერას. იგი არც ზედმეტად მაღალფარდოვანია, არც მეტისმეტად „გახალხურებული“, ვულგარული. მთარგმნელმა დაიცვა, რუსულისავე გამოთქმას რომ დავესესხოთ, „ოქროს შუალედი“ ამ ორ უკიდურესობას შორის, რაც ზედმიწევნით ემთხვევა თავად ალექსანდრე პუშკინის ენობრივ პოზიციას.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი პოეტური სახეა „ანგელოზების ფრთების შრიალი“, ასევე — „გველის ნემტარი მიმკვდარ ბაგეში“ და სხვა.

ძლიერია ფინალი ლექსისა:

„უდაბნოს ვეგდე, როგორც ცხედარი,
მაგრამ ღმერთის ხმა მესმა ნეტარი:
„აღსდექ მეტყველო, ისმინე, ნახე,
და ჩემი ნების განკარგულებით
განვლე ხმელეთი, ზღვა გადალახე
და სიტყვით დასწვი კაცთა გულები“.

აქვე უთუოდ გვსურს აღვნიშნოთ კიდევ ერთი ღირსება ამ თარგმანისა: ესაა მაქსიმალური სიახლოვე დედანთან. მართლაც, პაოლო იაშვილს თითქმის არსად დაურღვევია დედნისეული აზრი, შინაარსი. ყოველივე გადმოცემულია ლაკონურად, მრავალსიტყვაობის გარეშე, რაც ახასიათებს ხოლმე ზოგიერთ მთარგმნელს, აზრის კიდევ

უფრო „დაკონკრეტების“ მოწადინეს. „ Глаголом жги сердца людей “, — ამ ბოლო სტრიქონშია უბრალოდ და ჭარბი პომპეზურობის გარეშე გაცხადებული დედააზრი მთელი ლექსისა, ის, რისთვისაც დაწერა პუშკინმა ეს ლექსი; და მთარგმნელმაც ასევე უბრალოდ გააცხადა ეს დედააზრი თავის მშვენიერ თარგმანში.

პ. იაშვილმა თარგმნა აგრეთვე ლექსი „Мечтателю“ (ა. პუშკინის), რომელიც ავტორმა უძღვნა ვ. კიუხელბეკერს:

„ Ты в страсти горестной находишь наслажденье;
тебе приятно слезы лить,
напрасным пламенем томить воображенье
и в сердце тихое уныние таить “

თარგმანში ასე ჟღერს:

„მწარე ვნებაში შენ ნახულობ სიამოვნებას,
შენ მოგწონს მწარე ცრემლების დენა,
ამაო ცეცხლით, მხურვალეებით არ ღლი გონებას,
და გულში ბუდობს ნაღვლიანი და ჩუმი ტკენა“.

მთარგმნელმა კარგად „დაიჭირა“ ავტორისეული აზრი ამ კონკრეტული მეოცნების შესახებ: პუშკინს აღწერილი ჰყავს სენტიმენტალური, სუსტსულოვანი ადამიანი, ნიადაგ ცრემლის ღვრის მოყვარული, ვისაც ერთგვარ პათოლოგიურ სიამოვნებას ანიჭებს გამუდმებული სევდა და ცრემლისღვრა. მართლაც, ბუნებაში არსებობენ ასეთი კატეგორიის ადამიანები, მათ შორის — მწერლები და პოეტებიც, რომელთაც დიდი ილია „სენტიმენტალური სკოლის“ წირპლიან წარმომადგენლებს უწოდებდა (კარამზინი, კაზლოვი და სხვა). სწორედ ხელოვანთა ხსენებულ კატეგორიას უნდა გულისხმობდეს რუსი პოეტი თავისი „მეოცნებეში“.

ზემოთ მოყვანილი სტროფის თარგმანი თითქმის სიტყვასიტყვითი სიზუსტითაა შესრულებული (ორად-ორი სემანტიკური ხასიათის პაწია ნიუანსია შეცვლილი).

შემდეგ პუშკინი მიმართავს „მეოცნებეს“:

„ Поверь, не любишь ты, неопытный мечтатель;
О если бы тебя, унылых чувств искатель,
Постигло странное безумие любви,
Когда б весь яд ее кипел в твоей крови,
Когда бы в долгие часы бессонной ночи,
На ложе, медленно терзаемый тоской,
Ты звал обманчивый покой,
Вотщу смыкая скорбны очи,
Покровы жаркие, рыдая, обнимал.
И сохнул в бешенстве бесплодного желанья, —
Поверь, тогда ты не питал
неблагодарного мечтанья!“

განვიხილოთ ამავე სტრიქონების პ.იაშვილისეული თარგმანი:

„არ გყვარებია, დამიჯერე, უვიცო ბავშვო,
ნეტავი ერთხელ, ცრემლს თვალებზე რომ აღარ აშრობ,
შემემთხვეს ნამდვილ სიყვარულის გიჟი წვალება,
რომ ის შენს სისხლში დატრიალდეს შხამის ალებად,
როცა უძილო ღამის შავმა გრძელმა წუთებმა
ლოგინში ნელა გტანჯოს, მოგცეს გულის ხუთება.
გენატროს ძილი და შებრალება,
ვერც წამწამები შეკრან თვალებმა,
ეხუტებოდე შენ ქვითინით მხურვალე საბანს,
ცოფი გახმობდეს უნაყოფო სურვილით ჯაბანს,
გაკეროდეს: ვერც კი დაიკვეხებდა

მისდამი ზიანს შენი გონება...“

თარგმანში „Мечтатель“ „ბავშვითაა“ შეცვლილი, გამოტოვებულია ფრაზა „нылых чувств искатель“; სიტყვა „დულილი“ („кипеть“) შეცვლილია სიტყვით „დატრიალდეს“ და სხვა. მაგრამ მთარგმნელმა ისე ფრთხილად და ოსტატურად „შეაპარა“ ეს ცვლილებები თარგმანს, რომ დედნისეულ აზრს არაფერი ვნებია. შედარებით მკვეთრი ცვლილებებია ჩვენს მიერ ციტირებული ნაწყვეტის ბოლო ორ სტრიქონში, მაგრამ ავტორის მაყვედრებელი ტონი („მეოცნებისადმი“) და ერთდროულად თანამგრძობ — მკიცხავი დამოკიდებულების ამსახავი განწყობა შენარჩუნებულია თითქმის უცვლელად.

აქვე ყურადღებას გავამახვილებთ ლექსის ფორმალური მხარის დაცვაზე თარგმანში. პუშკინთან გრძელი და მოკლე სტრიქონები ჰარმონიულად ენაცვლება ურთიერთს და მკითხველის სულში ქმნის სათქმელის ადეკვატურ მუსიკალურ ფონს. ეს ღირსებაც ლექსისა მთარგმნელმა კარგად „გამოხატა“ „ხალიჩის მეორე პირზე“. პაოლოსთანაც ჰარმონიულად ენაცვლება ერთურთს გრძელი და მოკლე სტრიქონები „რიტმული რხევა“ არ აღძრავს რაიმე დისონანსის განცდას მკითხველში, ნამალადეობის შთაბეჭდილებას. უკანასკნელს ხშირად აქვს ხოლმე ადგილი, როდესაც მთარგმნელს დაუფიქრებლად და ავტომატურად გადმოაქვს თარგმანში დედნისეული ლექსწყობა, — რიტმული და სხვა ფორმალური მხარეები.

„ Нет, нет: в слезах упав к ногам
Своей любовницы надменной,
Дрожащий, бледный, иступленный,
Тогда в воскликнул ты к богам:
„Отдайте, боги, мне рассудок омраченный,
Возьмите от меня сей образ роковой,
Довольно я любил: отдайте мне покой,
Но мрачная любовь и образ незабвенный
Остались вечно бы с тобой.“

პ. იაშვილი:

„დაეცემოდი სატრფოს ფეხებთან
და თვით ღმერთების გასაგონებლად,
გაოგნებული, ფერწასული, აცახცახებით,
რაც კი ძალა გაქვს, დაიმახეზდი:
„მომეცით, ღმერთნო, დამიბრუნეთ საწყალი გონი,
ჩამომაშორეთ ეს მაცდური სახის ჩვენება
დიდხანს მიყვარდა დამიბრუნეთ მ-ე მოჩვენება...“
მაგრამ ის სახე, სიყვარული ბნელ გულის მქონი,
შენ შეგრჩებოდა მაინც მარად, როგორც ხსენება“.

ნათელია, რომ პუშკინი ერთმანეთს უპირისპირებს ნამდვილ, შმაგ სიყვარულს და სენტიმენტალურ-სუსტსულოვან ფორმას ტრფიალისას. ჭეშმარიტი სიყვარული მსხვერპლია, გამუდმებული მოუსვენრობა და შფოთვაა, სულიერი დამაბულობისა და ექსტაზის უკიდურესი გამოვლინება. ხოლო სენტიმენტალიზმით გამსჭვალული ტრფიალი მხოლოდ პასიური ტკობაა საკუთარი ცრემლისუნარიანობით და მას არ ახლავს ის შმაგი ტკივილი, რომელიც ჭეშმარიტ გრძნობას ახასიათებს. ამ ლექსს უდაოდ აქვს რაღაც საერთო შტეფან ცვაიგის რომანში — „მოუთმენლობა გულისა“ — გატარებულ აზრთან. შტეფან ცვაიგიც გრძნობს ჭარბ სენტიმენტალიზმს და კარგად განსაზღვრავს მის არსს, როგორც

გულის „მოუთმენლობას“. იგივეა დედააზრი პუშკინის ამ ლექსისაც და იგი მშვენივრად ამოიცნო პ.იაშვილმა.

თარგმანში გამოტოვებულია „надменной“, ჩამატებულია მოკლე ფრაზა — „რაც კი ძალა გაქვს“, „опраченный“-ის მაგივრად გვხვდება „საწყალი“, „საბედისწერო“ („роковой“) შეცვლილია სიტყვით — „მაცდური“. გამოტოვებულია „незабвенный“ და სამაგიეროდ უფრო გავრცობილია კონტექსტი; ჩამატებულია „როგორც ხსენება“ და სხვა. ჩანს, ყველა ეს ცვლილება მთარგმნელმა ფრთხილი შერჩევის პრინციპით განახორციელა, ისევე, როგორც წინამორბედი ცვლილებანი, რათა ლექსის შინაარსი და სათქმელის მთლიანობა არ დაერღვია. მართლაც, უნდა ითქვას, რომ პ.იაშვილი ყოველთვის წარმატებით ახერხებს ამ ბეჭდვის ხიდზე გავლას: არც შინაარსს აზიანებს, არც რითმა — რიტმისმიერ აუცილებლობათა პრინციპებს იგნორირებს.

პაოლო იაშვილის კალამს ეკუთვნის ოსკარ უაილდის ბრწყინვალე პიესის — „სალომეს“ — თარგმანი.

ოსკარ უაილდიც იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც თავიანთი შემოქმედებითი ევოლუციის მთელს მანძილზე ახასიათებდათ დეკადენტური ტენდენციები (ფრანგი სიმბოლისტების დარად). მაგრამ უაილდი, ალბათ, ვერ ჩაითვლება სიმბოლისტად. მისი დეკადენტიზმი უფრო სილამაზის ჭარბ ტრფიალში, ესთეტიზმში მდგომარეობს. ამიტომ უაილდის სახეები უფრო „ჯანსაღია“, ვიდრე, ვთქვათ, იმავე ბოდლერისა და სხვა დეკადენტი პოეტებისა. ნიშანდობლივია, რომ უაილდი ერთხანს იყო სალონური მოდების კანონმდებელი და ესეც, ალბათ, მისი ესთეტიური ნატურიდან გამომდინარეობდა. თქმული არეკლილია მისსავე შემოქმედებაში, იმ მხატვრულ სახეებში, რომელთაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე მიმართავს მწერალი.

ყოველივე ეს ითქმის პიესა „სალომეზეც“, რომელიც აღსავსეა მომხიბლავი ფორმების აპოლოგიითა და მძაფრი მშვენიერებით (როგორც უაილდის ზღაპრები). აქ სუსტია მორალური საწყისი ხელოვნებისა და ძლიერია საწყისი ვნებითი, ესთეტიური. როგორც პროფ. გ.გაჩეჩილაძეს სწორად აქვს აღნიშნული, ავტორი თითქოს თავად ტკბება მისივე გამონათქვამის ვიზუალური სახეებითა და ხატებით. გარდა გამჭვირვალე ვიზუალური სახეებისა, უაილდს ახასიათებს თხრობის განსაკუთრებული მანერა, თხრობის ფორმის დიდებულება, საუცხოოპროზაული რიტმი და წერისამაღლებული მანერა, მაღალფარდოვანი სტილი. ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს მთარგმნელმა, როცა უაილდს თარგმნის. ეს ყველაფერი გაითვალისწინა პაოლო იაშვილმა და ბრწყინვალედ გვითარგმნა „სალომე“. ნაწარმოების მოცულობის გამო, ჩვენ აქ მის თარგმანს არ განვიხილავთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ პ.იაშვილმა გენიალურად და ზუსტად მოძებნა უაილდისეული სტილის ქართული ეკვივალენტი: ამ თარგმანის უამრავ ღირსებათა შორის ეს უპირველეს ღირსებას წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ოსკარ უაილდს სჩვევია დაჟინებული გამეორებები ერთი და იმავე სიტყვებისა, რათა ხაზი გაუსვას აღწერილის მომხიბვლელობასა და მშვენიერებას. ეს მხატვრული ხერხი პ.იაშვილმა ქართულ ენას მოარგო და იმდენად ოსტატურად, რომ მკითხველი უშუალოდ ტკბება უაილდის სტილის პირველყოფილი სიმშვენიერით მოვიყვანთ მხოლოდ პატარა ნაწყვეტს თქმულის საილუსტრაციოდ.

„ჰეროდესა პაჟი — ო! რა უცნაური სახე აქვს მთვარეს. თითქოს ხელია მიცვალებული ქალისა, რომელსაც სურს სუდარაში დაიმალოს.

ახალგაზრდა სირიელი — ძალიან უცნაური სახე აქვს მას. ის თითქოს პატარა მეფის ასულია, ქარვის თვალებით, ღრუბლის ლეჩაქიდან ის იღიმება, როგორც პატარა მეფის ასული (წინასწარმეტყველი ამოდის წყალსაცავიდან. სალომე უყურებს მას და უკან იხევს).

იოქანაანი — სად არის იგი, რომლის სიბილწის ფიალა კიდემდე ავსებულია? სად არის

იგი, რომელიც ერთხელ ვერცხლის სამოსელ შემოსილი მოკვდება თავისი ხალხის წინაშე? აუწყეთ, რომ მოვიდეს აქ, რათა უსმინოს მას, რომელიც ღალატებდა უდაბნოში და მეფეთა სასახლესა შინა.

სალომე — ვისზე ლაპარაკობს?

ახალგაზრდა სირიელი — ეგ არავინ იცის, მეფის ასულო“.

თარგმანში მომხიბვლელადაა გადმოტანილი ცალკეული შესაბამისი დეტალები დედნიდან. რომ ყოფილიყო, ვთქვათ, „რომელსაც სურს სუდარაში დამალვა“, ნათქვამი დაკარგავდა დინამიურობის სულ მცირე ნიუანსს, მაგრამ მთარგმნელის ალლომ იგრძნო ეს და წინადადება ისე გამართა, როგორც მოითხოვდა აღწერილი სილამაზის სრულყოფილად გადმოცემის ამოცანა. ასევე განმეორება გამოთქმისა: „პატარა მეფის ასული“. ტავტოლოგიის შთაბეჭდილების ნიშანწყალსაც არ შეიცავს და ქმნის თხრობის უაილდისეულ მანერას ზუსტ ქართულ „ასლს“.

„სალომე“ და მისი ქართული თარგმანი მეტად ტევადი თემაა, საჭიროებს ვრცელ მსჯელობას და დაწვრილებით განხილვა-ურთიერთშედარებას ცალკე, ამიტომ ჩვენ ამ თემას აქ აღარ განვაგრძობთ და ნათქვამით დავკმაყოფილდებით.

რეზიუმე

პაოლო იაშვილზე, როგორც შემოქმედზე, ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ მეტისმეტად მწირია ლიტერატურა მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ. მთარგმნელი პაოლო იაშვილი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში უფრო ცუდადაა განხილული, ჩვენი აზრით, ვიდრე პოეტი პაოლო იაშვილი. პირველი ერთგვარად „ჩაგრავს“ და ჩრდილში აქცევს მეორეს. ამის მიზეზია არა ის, რომ, როგორც პოეტი, პ.იაშვილი განუზომლად მაღლა იდგა მთარგმნელ პ. იაშვილზე, არამედ ის, რომ თარგმანი ჩვენში უფრო „ჩრდილოვან“ და „ნაკლებპოპულარულ“ საქმიანობად განიხილება, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება.

ჩვენ მიერ განხილული თარგმანები აშკარად გაცილებით მეტ პატივსა და ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე მათ ერგოთ ლიტერატურათმცოდნეებისაგან. აქედან გამომდინარე, ჩვენ ნაკლებად გამოვიყენეთ არსებული მწირი ლიტერატურა პ. იაშვილის თარგმანების შესახებ და ვამჯობინეთ, საკუთარ აზრზე დაყრდნობით გვემსჯელა.

ენას, რომელსაც პ. იაშვილი იყენებს თარგმნისას, არაერთგვაროვანია და ეს გარემოება მიუთითებს მისი, როგორც მთარგმნელის, მაღალპროფესიონალიზმზე. სხვადასხვა ავტორს მთარგმნელმა შეძლებისდაგვარად სხვადასხვა სტილი მიუსადაგა, შექმნა ქართული ეკვივალენტები უცხოელ ავტორთა ენისა და სტილისა. მაგალითად, ოსკარ უაილდის „სალომე“ ნათარგმნია არისტოკრატიული, მაღალფარდოვანი, დარბაისლური ენით; პუშკინის თარგმანები შესრულებულია შედარებით სადა, „ხალხური“ ენით. მაიაკოვსკი პ. იაშვილმა თარგმნა მოუხეშავი, „მბრძანებლურ-ლოზუნგური“ სტილით, რაც ადეკვატურია თავად ავტორის სტილისა რუსულ ენაზე. ფრანგი სიმბოლისტების ნაწარმოებთა იაშვილისეული თარგმანები შესრულებულია ნატიფი პოეტური ხელწერით; აქ გაცილებით უფრო უხვად გვხვდება „წმინდა წყლის“ პოეტიზმები, ვიდრე სხვაგან.

ყოველივე ზემოთქმული ნათელჰყოფს, რომ ზოგიერთი მთარგმნელისაგან განსხვავებით, პ.იაშვილს არა აქვს ამოჩემებული „საკუთარი მთარგმნელობითი მანერა“ და თარგმნის რა სხვადასხვა ავტორს, ითვალისწინებს, თუ რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას განეკუთვნებიან ისინი: სიმბოლისტურს, რომანტიკულს, რეალისტურსა თუ რომელიმე სხვას. უკანასკნელი გარემოების შესაბამისად, მთარგმნელი გულდასმით არჩევს ლექსიკურ მარაგს, აყალიბებს შესაფერის სტილს ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ცდილობს ცნობიერად

გარდაისახოს იმ ავტორად, რომელსაც თარგმნის.

ვფიქრობთ პაოლო იაშვილს მხოლოდ თარგმნილი ნაწარმოებები რომ დარჩენოდა ლიტერატურულ მემკვიდრეობად, ამ ნაწერებს მეტი ყურადღებით მოეკიდებოდნენ ლიტერატურათმცოდნენი და დაფასებაც მეტი ექნებოდა; თავის მხრივ კი შემოქმედს მართო ეს ეყოფოდა უახლესი ქართული მწერლობის ისტორიაში შესასვლელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაოლო იაშვილი, „პოეზია, პროზა, თარგმანები“, თბ., 1965წ.
2. შარლ ბოდლერი, „ლექსები პროზად“, თბ., 1981 წ.
3. ო.ჭილაძე, „გახსოვდეს სიცოცხლე“, თბ., 1984 წ.
4. ვ.ჭელიძე, „ძვირფასო სილუეტებო“, თბ., 1988 წ.
5. ფრანგული პოეზია (კრებული), თბ., 1983 წ.
6. შარლ ბოდლერი, „ჩემო გიშერო“, თბ., 1991 წ.
7. А.С. Пушкин, „Сочинения“, Москва, 1985. т. I.
8. გ.გაჩეჩილაძე, სტ. „ოსკარ უაილდი და მისი ბროწეულის სახლი“.
9. ი.ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, თბ., 1987 წ., ტ.5.

შოთა ნიშნიანიძის პატრიოტული ლირიკა

(საკურსო შრომა)

შესავალი

შოთა ნიშნიანიძე მიიჩნევა ერთერთად იმ მაღალი კლასის პოეტთა შორის, რომელნიც თითზე არიან ჩამოსათვლელნი. ასეთი აზრი სამართლიანია, მიუხედავად ცალკეული ხარვეზებისა, მის პოეზიას რომ ახასიათებს. პოეტმა ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლისთანავე მოახერხა საკუთარი მკაფიო პოეტური ხელწერის ჩამოყალიბება და ამით თავიდან აიცილა წინამორბედ მწერალთა გავლენა, ქართულ პოეზიას კი კიდევ ერთი ახალი, თვითმყოფადი ხმა შეემატა. «გავლენაში» ეპიგონური წამხედურობა ვიგულისხმეთ, რაც არც ერთ ეტაპზე არ გამოუმჟღავნებია შ. ნიშნიანიძის ნიჭს შემოქმედებითი ევოლუციის მანძილზე, თუმცა, ჩვენი მოსაზრებით, მისი პოეზია ენათესავება გიორგი ლეონიძის და, გარკვეულწილად, ლადო ასათიანის სისხლსავსე ლექსებს. ეს მსგავსება არასოდეს გადადის მარტივ წამბაძველობაში; მისი მიზეზი, ალბათ, საერთოქართულ ტემპერამენტშია საძიებელი. ჩვენთვის უცნობია, გაუვლიათ თუ არა რაიმე პარალელი გ. ლეონიძისა და შ. ნიშნიანიძის ზოგიერთ ლექსს შორის, მაგრამ ავტორთა მხატვრული სახეები ხანდახან ერთ ყალიბში ჩამოსხმულს ჰგავს. გ. ლეონიძის პოეზიას ახასიათებს სისხლსავსე მეტაფორები, «მსუყე» ვიზუალური ხატები და სახეები, ერთგვარი წარმართულ-დიონისური ექსპრესიის ტვიფრით აღბეჭდილნი. ისინი უმთავრესად დაკავშირებულნი არიან «მზის» ხატთან, ვენახის კულტთან, ღვინისა და ლხინის კულტთან და ა.შ. ამ, ერთი შეხედვით, მყვირალა და ზედმეტად კაშკაშა ფერებს მიღმა არ იმალება არანაირი სიმბოლო და ფარული აზრი, ეს არის მხოლოდ ტკბობა საგანთა გარეგნული, ვიზუალურ-ესთეტიკური თვისებებით. ამგვარი მხატვრული თავისებურებანი ქართულ პოეზიაში შემოიტანა სწორედ გ. ლეონიძემ, შოთა ნიშნიანიძემ კი უფრო განავითარა და თავისი მწერლური ხელწერის ერთ-ერთ მახასიათებლად აქცია.

ზემოაღნიშნული, ჩვენ მიერ შემჩნეული მცირედი მსგავსება, წარმოადგენს მხოლოდ წვრილმან დეტალს იმ პორტრეტში, რომელსაც შ. ნიშნიანიძის შემოქმედებითი პორტრეტი ჰქვია (იხ. ლექსები: «რომი», «ქართული ბაზარი», «...მცხეთის ქალაქს მირონი დულს»..., «თემურ-ლენგი», «მონღოლები», «ვეფხვი» და სხვანი).

შ. ნიშნიანიძის ლექსის ღირსებად გვესახება ისიც, რომ იგი ერთობ შორსაა აზრის ბუნდოვანებისაგან, «სიმბოლისტური სიმკრთალისა» და დაბინდულობისაგან, «რომანტიული» მოთენთილობისა და ფსევდოპესიმისტური პოზებისაგან, ავადმყოფური «პოეტური» ხილვებისაგან, უნიადაგო ფანტაზიორობისაგან. იგი ჯანსაღია, პროპორციული და ზომიერად დატვირთული მხატვრული სახეებით, რაც მოწმობს ავტორის ოსტატობაზეც, ნიჭთან ერთად.

წინამდებარე ნაშრომის უშუალო თემაა შ. ნიშნიანიძის პატრიოტული ლირიკა. მართლაც, პოეტმა რამდენიმე შესანიშნავი პატრიოტული ლექსი და მრავალი მაღალმხატვრული, პატრიოტული სულით გაჟღენთილი ნაწარმოები შესძინა უახლეს ქართულ პოეზიას. ავტორის უნარი, უპირველესად, სწორედ ამ მიმართულებით წარმოჩინდა ყველაზე მძაფრად. მიუხედავად იმისა, რომ შ. ნიშნიანიძეს აქვს ლექსები ზოგადფილოსოფიურ თემებზე, იგი მაინც მამულის მგოსნად დარჩა, უპირველეს ყოვლისა, და მის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ პოეტურ კრებულს სწორედ ეს სახელი («უპირველეს ყოვლისა») ჰქვია. მკითხველს არ გაუჭირდება გამოცნობა, თუ რას მიიჩნევს პოეტი უპირველეს სათაყვანებელ საგნად და ჩვენი შრომის ძირითადი საყრდენიც სწორედ ეს კრებული იქნება.

ზემოხსენებულ შესანიშნავ ლექსებში ჩვენ ვიგულისხმებთ _ «თევდორე», «ციხე-ტამარტა საგალობელი», «ცოტნე დადიანი», «ვაზის სიმფონია», «...მე ვარ მისანი ხარი წიქარა...» და სხვანი, რომელთაც გზადაგზა განვიხილავთ ქვემოთ.

ყველაფერ ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორის ბოლოდროინდელმა ნაწარმოებებმა, ცოტა არ იყოს, იმედი გაგვიცრუა და ზოგიერთი მათგანი კრიტიკას ვერ უძლებს. ჩვენ მათაც შევხებით მოგვიანებით. იმედია, ეს შემოქმედებითი მოდუნება ხანმოკლე აღმოჩნდება და ავტორი კვლავ ჩვეულ პოეტურ სიმაღლეებს დაუბრუნდება, კვლავ არაერთხელ გაგვახარებს მაღალი ოსტატობის ქურაში წრთობილი ქართული ლექსით.

კრებული «უპირველეს ყოვლისა», როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე სრული და სრულყოფილია შოთა ნიშნიანიძის წინამორბედ «რჩეულებთან» შედარებით. იგი იხსნება უსათაურო ლექსით «...მე ვარ მისანი ხარი წიქარა...». ეს ლექსი გვზიბლავს ჯანსაღი, ნაივური უბრალოებით, აზრის სიცხადე-სინათლით, პირდაპირობით, ბუნებრივი და ძალდაუტანებელი გრძნობით. ავტორის ზოგიერთი შემდგომი ლექსისაგან განსხვავებით, აქ სიყვარულის განცდაა წრფელი და უშუალოა, და არ ინიღბება ე.წ. «მარღვიანი პატრიოტიზმით»:

«მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო.»

ხარი, როგორც ზღაპრის პერსონაჟი, ასევე, როგორც ზოგადად ერთგული არსება, პოეტს ტრფიალების საგნად გაუხდია და მას კიდევ არა ერთხელ შევხვდებით შ. ნიშნიანიძის სხვა ლექსებშიც. აქვე დავსძენდით, რომ პოეტი ერთგვარ სულიერ სიახლოვეს ამჟღავნებს ძველ ქართულ წარმართულ ტოტემებთან და სიმბოლოებთან. პოეტის თავისებურებად გვეკლინება ის, რომ მის ლექსებში ნაკლებადაა წარმოდგენილი ქრისტიანული

კლასიკურ-ქართული ხატ-სიმბოლოები და უფრო უხვად გვხვდება პრექრისტიანული, წარმართულ-დიონისური კულტები და სახეები. ვერ ვიტყვით, ეს პოეტის ნაკლია თუ ღირსება, ეს უბრალოდ შ. ნიშნიანის პოეტური სამყაროსთვის დამახასიათებელი ერთი თავისებურებაა. შ. ნიშნიანი ხშირად «სესხულობს» სახეებს ქართული (და არა მარტო ქართული) მითოლოგიიდან, ზღაპრებიდან. ხარი წიქარაც სწორედ ერთ-ერთ ასეთ «ნასესხებ» სახეს წარმოადგენს:

«შენი უღელი მემჩატოს აგრემც,
ქედზე რო მადგას განაჩენივით.
არ მომიღერო, გეთაყვა, სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი».

უკანასკნელი სტრიქონებიდან ჩანს, რომ პოეტს მოსწონს ხარი არა უპირველესად მისი სიმღერის, არამედ მისი ერთგულების გამო, რითაც უკვე შეაქვს ქრისტიანული ელემენტი წარმართულ სახე-სიმბოლოში:

«და თუ გქონია რამე ტკივილი
ან რამე ჭირი ზნეკეთილიანს, -
ამილოკია ქვამარილივით
და ხარის ცრემლით დამიტირია».

აქ უკვე ლექსში შემოდის ცრემლი _ ჭემმარიტი სიყვარულის ნიშანი და უცილობელი თანამდევნი. უკვე ნათლად ჩანს, რომ შ. ნიშნიანის ხარი ამ ლექსში წარმართული ტოტემი კი აღარაა, არამედ ცრემლისუნარიანი არსებაა:

«და როცა მიწას მივებარები,
ნაჯაფარი და ტანდაკორძილი, -
შენზე დამრჩება ისევ თვალები
ანგელოსების ამოკოცნილი».

ამ ლექსის განვითარების აღმავალი ლოგიკა მოითხოვდა, რომ პოეტს იგი დაესრულებინა რომელიმე კლასიკური ქართული სახით. ხარი წიქარა ჯერ ცრემლამდე ამაღლდა, ხოლო შემდეგ _ ანგელოსებამდე და ასეთმა ფინალმა უდავოდ გააკეთილშობილა ხარიც და ლექსიც. ცხადია, წიქარას სახეში საკუთარ თავს მოიაზრებს ავტორი. შ. ნიშნიანის მსგავს პოეტთა მისია ერთგული ხარის მისიაა და დანიშნულება. ასე წარმოუდგენია პოეტს საკუთარი თავი (და ზოგადად ქართველი პოეტი) მამულის სამსახურის უღელქვეშ. ამგვარი მიდგომა მწერლის რაობისა და დანიშნულების საკითხისადმი პირველად დიდმა ილიამ ჩამოაყალიბა ლექსში «პოეტი». ჩვენ მიერ განხილული ლექსი მსოფლმხედველობრივ-იდუური თვალსაზრისით შორით ენათესავება ილიას ხსენებულ ლექსს: არა «ტკბილი ხმებით» თავის შექცევა, არამედ მამულის სამსახურისათვის მუდმივი მზადყოფნა და «შავი სამუშაოს» შესრულება მწერლისა თუ პოეტის უპირველესი «ფუნქცია», მოვალეობაც და დანიშნულებაც.

ვრცელი ლექსი «თევდორე» არაერთხელ ქცეულა პოეზიის მოყვარულთა და კრიტიკოსთა განსჯის საგნად. ამ ლექსში რამდენიმე სხვადასხვაგვარი განწყობა ეხლართება ურთიერთს: ლირიკული, სენტიმენტალური (კარგი გაგებით) და, მეორე მხრივ, ჰეროიკული, მძაფრად ზეაწეული. თევდორე ბერისადმი, როგორც გმირისადმი, ავტორი განმსჭვალულია აღტაცებით, მაგრამ, ამავე დროს, სიბრალულის ფაქიზი გრძნობითაც. უკანასკნელზე მიანიშნებს ლექსის ცრემლიანი დასაწყისი:

«თრიალეთის ტყეში, როცა დღეა მშვიდი,
თევდორეე!.. თევდორეე!.. – ტირის ერთი ჩიტი.»

ასეთი პოეტური უბრალოება უდავოდ შემოქმედის ოსტატობაზე მეტყველებს. ლექსი ამგვარი მშვიდი დინებით მიედინება მეშვიდე სტროფამდე. იქ კი ყოველგვარი შესავლისა

და შემზადების გარეშე შემოდის ექსტატიური დრამატიზმი:

«ათას ექვსას მეცხრე წელი, როგორც უპატრონო რაში,
ტორებს ცემდა, ჭიხვინებდა, მთიდან გადარბოდა მთაში».

ეს დრამატიზმი სწრაფადვე მძაფრდება მომდევნო სტროფებში, შემდეგ კი ასევე უცებ ნელდება და ცხრება, ადგილს უთმობს სიბრალულს. ამ ლირიკული ეფექტისათვის პოეტმა გამოიყენა მოვლენა, რომელსაც რიტმის უცაბედი შეცვლა ჰქვია:

«შენ ხარ ვენახი აჩეხილი,
მესიის სურვილი ამხდარი,
ღვთის სახლი, სათნო სახლი დამეხილი,
წაქცეული, დაქცეული საყდარი.
მამაო, გალობა ხარ შეწყვეტილი,
მამაო, სანთელი ხარ დამწვარი,
მამაო, ცეცხლი იყავ სვე-კეთილი,
ახლა ხარ ნაცარი...»

ასევე გამორჩეულ ლირიულ ეფექტს ქმნის სიტყვა «მამაოს» ზედიზედ გამეორება რამდენჯერმე, სტრიქონების დასაწყისში. სწორედ რომ მიმართვის შთაბეჭდილება რჩება მკითხველს.

თევდორეს სახე აქ პარადოქსალურადაა დახატული:

«ლომი ხარ ქართველობას შეწირული
და კრავი – ქრისტეს ზვარაკი...»

ესაა «მეომარი ბერის» სახე. ერთის მხრივ, გულფიცხელი ქართველი კაცისა, რომელიც არ ეპუება მტრის სიავეს, ხოლო მეორეს მხრივ, – უფლის სათნო მსახურისა. სწორედ ასეთად წარმოგვიდგენია, ალბათ, რეალური, ისტორიული თევდორე მღვდელი. ასეთნი იყვნენ ქართველი დიდმოწამეები და მარტვილები, რომელთაც ღმერთი და საქართველო ცნებების ერთ რეგისტრში ჰყავდათ მოთავსებული განუთიშველად.

ზემოთ მოყვანილი მშვიდი და სინანულიანი სტრიქონების შემდეგ ისევ ახალი «გამოცოცხლება» იწყება. რიტმი კვლავ იცვლება, ჩქარდება, მკითხველის სუნთქვაც თითქოს ხშირდება:

«ეს სისხლია, ღვთის კაცო, ღვართქაფად რომ დაგდინდა,
თუ რიჟრაჟმა იფეთქა ანაფორის ღამიდან.
ოსანა!
ოსანა!
მოდგნენ ანგელოსები,
ანაფორის ნაკუწები მიაქვთ ავგაროზებად».

აქვე მცირე შენიშვნის სახით ვიტყვოდით, რომ პირველ ორ სტრიქონში ავტორს მაინც სძლია «ლამაზად თქმის» სურვილმა. «ანაფორის ღამე» კარგი მეტაფორაა, მაგრამ სისხლი უკვე «რიჟრაჟსაა» შედარებული და ესთეტიკური მომენტით იჩრდილება მოწამეობრივ-ეთიკური მომენტი. აქ ჩანს ავტორის თვითმიზნური სწრაფვა მეტაფორულობისაკენ, სადაც ლექსი უბრალოდ, ყოველგვარ «გაფორმების» გარეშე მიედინება, იქ ლირიული ეფექტი მაღალია, ხოლო მეტაფორათა ზედიზედ «მიყრა» მკითხველის აღქმას ერთგვარად «ამუხრუჭებს». ასეთ ნაძალადეგ სახეებად მიგვაჩნია: «გალობაში შეგახვიეს» და სხვანი.

შემდეგი სტროფი მთლიანად პათეტიკას ეთმობა. განწყობა ისევ ზეადმავალია და სრულდება გმირული ეგზალტაციით:

«მთაში ფანდურს აჟღავლებენ, წვიმს გმირული კაფია,
ცაში ელვით იწერება შენი ეპიტაფია».

გულწრფელად ვიტყვით, რომ ფინალი უკეთესი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამგვარი ზედაპირული «ჰეროიკა» არ უხდება თევდორე მღვდლის მოწამებრივ აღსასრულს. თუმცა ეს მხოლოდ ჩვენი აზრია. საერთო ჯამში კი ლექსი «თევდორე» მეტად ძვირფასი შენაძენია უახლესი ქართული პოეზიისათვის.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ლექსი «სააკაძის სამი ცხენი». გიორგი სააკაძე დღემდე გაურკვეველი ფიგურაა საქართველოს ისტორიაში; ზოგისთვის – გმირი, ზოგისთვის – მედროვე და მოღალატე. შესაძლებელია, ორივე თვალსაზრისს ჰქონდეს არსებობის საფუძველი. შ.ნიშნაიანიძის გიორგი სააკაძე ტრაგიკული და გაორებული, არაერთგვაროვანი პიროვნებაა. ლექსში იგრძნობა ავტორის სიბრაღული მისდამი, ისევე, როგორც მისი სიძლიერით აღტაცება:

«ცხერი ჭიხვინით, სისხლით გავრუმბე,
თათრის სულელები მოვამოვინე,
თათრის გნიასი ავკიდე ღრუბლებს
და შაჰს ირანში მოვაწოვინე»...

აქ ფერები მძაფრია და მუქი. იგრძნობა თავად სააკაძის პიროვნების შურისმგებლური ხასიათი. დიალოგში იკვეთება სააკაძის პიროვნული პორტრეტის შტრიხები:

«იქ ბაზალეთი ღვთისმშობელის ცრემლივით ბზინავს,
იქ დგანან ძმები ქართველები...
– აღმიდგეს ვინა!...»

– აღმიდგეს ვინა! – ეუბნება გიორგი სააკაძე ლექსის ლირიკულ გმირს და არად აგდებს მის ვედრება-შეგონებებს. ამ ხერხით კარგადაა წარმოჩენილი სააკაძის პატივმოყვარეობა და, თუ გნებავთ, ტრადიციულ-ქართული თვითგანდიდებაც.

მაგრამ ლექსი ისევ და ისევ სიბრაღულიანი ფინალით სრულდება. ეს სიბრაღული მიმართულია სააკაძის პიროვნების ტრაგიკულობისადმი, როცა პოეტი კასპში აღმართულ ძეგლზე ამბობს:

«და, თუმცა, რიხი შეჰკირვია ტანს ქვითკირივით,
ლომის ბუხუნში
ჩუმად ისმის
კაცის ტირილიც...»

შეიძლება ითქვას, რომ ლექსში არ არის არც ცალსახა გამართლება, არც ცალსახად გამტყუნება ამ ისტორიული პიროვნებისა.

ზოგადი დასკვნის სახით ვიტყვით, რომ პოეტში საქართველოს განცდა უმეტესწილად წარმოადგენს წარმართულ-ეგზოტიკურ ტკობას, ტკობას ცალკეული ისტორიული ეპიზოდურობითა თუ ვიზუალური სახეებით. ეს კი რამდენადმე ზედაპირულობის შთაბეჭდილებას გვიტოვებს მკითხველებს. ალბათ, ამით აიხსნება ქრისტიანული მომენტების სიმწირეც პოეტის შემოქმედებაში მეტისმეტად ჭარბად გვხვდებიან იმგვარი ფორმები და სახეები, როგორებიცაა: «ალგეთის ლეკვები», «ბეწვამლილი მგელბიჭუნები», «ფალავნები», «მგლის მადა», «ხარივით მსმელი ვაჟკაცები» და სხვა. პოეტი უსურვებს საქართველოს ასეთი ვაჟკაცების მომრავლებას.

მოკრძალებით შევახსენებთ პოეტს, რომ ხარივით სმა, როგორც ამგვარი, სამშობლოს სიყვარულის არანაირ გამოვლინებას არ შეიცავს.

მისი შემოქმედების მცირე ნაკლად ჩვენ მიგვაჩნია ისიც, რომ ლექსებში ზომაზე ჭარბად ფიგურირებენ ჭამა-სმასთან დაკავშირებული სახეები. გამორჩეული ხვედრითი წილი

მოდის ხინკალზე: «პეშვიდან სხლტებოდნენ ხინკლები», «ცვივა ცხვრის დუმიანი ხინკალი», «მამაპაპურო ხინკალო, ხინკალო, შე მადლიანო», მიმართავს პოეტი ხინკალს; «ადარე ხინკალი ჭიხვინებს», «ერთმანეთს შესჭიხვინებდნენ ლუდი, ხინკალი, შაირი», «სიმღერა უკრაინულ პილპილზე: ანუ ტარას ბულბაზე», და სხვანი. «ხინკლის ჭიხვინი» დაუშვებელი ფორმაა, გაპიროვნების მეთოდი მხოლოდ ამაღლებულ, პოეტურ საგნებთან დაკავშირებით შეიძლება იქნეს გამოყენებული.

შესავალში უკვე აღვნიშნეთ, რომ პოეტის ზოგიერთმა ბოლოდროინდელმა, უკანასკნელი წლებში შექმნილმა ნაწარმოებმა გარკვეულწილად ჩვენი იმედგაცრუება გამოიწვია. რამდენიმე საკმაოდ სუსტია, ჩვენი აზრით. მაგალითად, პოემა «მარია და დარია» დაწერილია რაღაც «მოდერნისტულ-ავანგარდისტული» მანერით, რაც ესოდენ არ შეეფერება შ. ნიშნიანიძის ადრინდელ ტრადიციულ-კლასიკურ ქართულ ხელწერას. შესაძლოა, ამ პოემის სახით პოეტმა ერთგვარ ექსპერიმენტს მიმართა, ვგონებთ, არცთუ წარმატებულად. სხვა ბოლოდროინდელი ლექსების შესახებაც იგივე აზრი გვაქვს:

«ტადარო, შორს ხარ დროსთან ჭიდილში
დამარცხებისგან, ფრესგან...
ნამდვილად დიდი გამარჯვებაა
ხახულის ფრესკა».

ამგვარი უმარillo ლექსები არ ჰგავს შ. ნიშნიანიძის ძველ ლექსებს. ეს სტრიქონები დაწერილია მხოლოდ და მხოლოდ ორიგინალური რითმის («ფრესგან» – «ფრესკა») სადემონსტრაციოდ. ხახულისადმი მოწიწებით გამსჭვალულ ადამიანს ამ შემთხვევაში არც გაახსენდებოდა «ფრე» და «კუთხური», სულ სხვაგვარ ლექსს დაწერდა.

«ქართველმა თქვა, სოხუმში ვარ,
დედულეთში წყლისპირსაო,
აფხაზის და ჩეჩნისხელას
ვახრამუნებ პილპილსაო».

ეს ლექსიც საკმაოდ ინფანტილურია, ხოლო რიტმული და ინტონაციური თვალსაზრისით აშკარად გადმოღებულია ხალხურიდან:

«კურდღელმა თქვა, ჩირგვში ვზივარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო,
გავიხედე სერზედაო, -
ბატონი ზის ცხენზედაო».

ლექსის ჰეროიკულ პათოსს კი ამგვარი ასოციაცია სრულიად არ ეთანხმება.

მრავალ გულწრფელ, ჭეშმარიტი ოსტატობის ტვიფრით აღბეჭდილ ლექსთან ერთად შ. ნიშნიანიძეს აქვს ყალბი ეგზალტაციითა და პათეტიკით განმსჭვალული ლექსებიც. უკანასკნელთათვის არც ურავატრიოტული სულისკვეთებაა უცხო. ჩვენი აზრით, ასეთებია: «სერობის ღამე მ. ბერძენიშვილის ქანდაკებასთან», «ვახტანგ მეფე», «საუბარი ხინკალზე შეპატიჟებულ მოხვევსთან», «ხევისბერები» და სხვა. ჭეშმარიტი პატრიოტიზმის პარალელურად ურავატრიოტიზმს თითქმის ყველა პოეტმა მოუხადა ხარკი, ამიტომ ნაჭარბევი ეგზალტაცია დიდ ცდომილებად არ უნდა ჩავუთვალოთ შემოქმედ ადამიანს. ჩვენი აზრით, ზემოხსენებული ურავატრიოტიზმის «ატრიბუტიკა» საკმაოდ

მარტივია: «ალგეთის ლეკვების» დაუსრულებელი აპოლოგია, «ჰეროიკული» ჩახა-ჩუხი, «მგლისმადიანი და მსმელი» ხალხი, ე.წ. «სუფრის აკადემია», თუ «მტკვარზე ქეიფი» და ე.წ. «თბილისური კოლორიტი» (იეთიმ გურჯი, საიათნოვა და სხვანი). მრავალ პოეტთან ერთად, შ. ნიშნიანიძემაც ხარკი მოუხადა ამგვარ პოეზიას («კოლორისტის» საილუსტრაციოდ იხ. მისი ლექსი «საიათნოვა»).

ეს მცირედი შენიშვნები, რომლებიც გამოვთქვით, ხელს არ გვიშლის შ. ნიშნიანიძის პოეზიით ზოგად აღტაცებაში. მკითხველის სიმპათიებს უთუოდ იმსახურებს პოეტის მიერ განვლილი რთული შემოქმედებითი გზა. ზოგადად პოეტი ხომ სწორედ იმიტომაა რთული და არაერთგვაროვანი, რომ მრავალ ასპექტში ცდის საკუთარ კალამს, საკუთარ შესაძლებლობებს... ქართველი მკითხველისთვის კი შ. ნიშნიანიძე უწინარესად მამულის მეხოტბედ და მის ერთ-ერთ მეციხოვნედ რჩება და დარჩება მომავალშიც.

გვინდა განვიხილოთ კიდევ ერთი მშვენიერი ლექსი პოეტის ადრინდელი შემოქმედებიდან _ «ვაზის სიმფონია». დასაწყისი მეტად კარგი აქვს ამ ლექსს. აღარ გვხვდება უკვე მოყრჩეული დიონისეული ხატსიმბოლოები და სულ სხვა განწყობა გვეუფლება:

«ქართლ-კახეთი ლეგენდაა,
იმერეთი - ზღაპარი,
სამეგრელო - ოცნებაა,
გაფრენილი ფაფარი.
გურია კი სიმღერაა,
ხოლო რაჭა - სიზმარი,
ყველა ერთად ვენახია, -
ჩვენი დასაფიცარი».

ასეთი დასაწყისის შემდეგ კვლავ შემოდის უცხო ტოტემი და თითქოს მცირე დისონანსი შეაქვსო ლექსში:

«ხარო, ნუ იქნები ბედის უმადური -
შუბლზე გახატია მთვარე ურარტული».

აქ კვლავ ეგზოტიკამ იმძლავრა პოეტში, თუმცა ეს მისი შემოქმედებითი ხელწერის ძირეული თავისებურებაა, როგორც ვთქვით.

ქვემოთ ორიგინალურად და კარგად მოძებნილი მხატვრული სახე გვხვდება: «კოფოზე მეხად შემჯდარი ოთარაანთ ქვრივი». სახე, მართლაც, ზედმიწევნით ზუსტად არის მოძებნილი.

«ვაზის სიმფონია» წრფელი განცდითაა გამსჭვალული, სტრიქონები უბრალოდ და ყოველგვარი ზედმეტი მეტაფორულობის გარეშე მიედინება, ფინალში განცდა კვლავ აღმავალია და ლექსი ზეაწეულად, მაჟორულად მთავრდება:

«ღმერთების დიდო ვენახო,
ვაზის ადგილის დედაო,
ვაზივით გამძლე მენახო,
იყავ ვაზივით უკვდავი,
იყავ ვაზივით მარადი,
ვაზივით დაფესვიანდი,
იმსხმოიარე,
გამრავლდი!»

1999 წ. მარტი.

ილია ჭავჭავაძის «განდეგილის» ძირითადი პრობლემები ფსიქოლოგიური კვლევის შუქზე

(საკურსო შრომა)

შესავალი

ილია ჭავჭავაძის «განდეგილს» მრავალპლანიან ნაწარმოებს ვერ ვუწოდებთ და ასეთის დაწერა არც ყოფილა დიდი ქართველი მწერლის და მოაზროვნის მიზანი. «განდეგილი», ჩვენი აზრით, უპირატესად ფსიქოლოგიური ნაწარმოებია, რადგან მასში მთავარია და წინ წამოწეული ნაცთუნევი ადამიანის ფსიქოლოგია, ადამიანისა, რომელმაც (მისი აზრით) ერთი ხელის დაკვრით დაანგრია ყოველივე სანუკვარი, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე «აშენებდა» და ეთაყვანებოდა. ვეთანხმებით ბატონ აკაკი ბაქრაძესაც, რომ განდეგილის პიროვნება უფრო გულის კაცია, ვიდრე გონებისა, უფრო გულიდან მომდინარეობს მისი რწმენაც და ცთუნებაც, ვიდრე გონებიდან. მაგრამ ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით უფრო ვრცლად.

დიდმა ილიამ გენიალურად დაგვიხატა სულისშემძვრელი ტრაგედია კაცისა, რომელსაც საკუთარი რწმენა არ ეყო (ვერ ეყო); კაცისა, რომელმაც თავი დაარწმუნა წლების მანძილზე, რომ ის ბედნიერია და სწორი გზით მიდის და ილუზიაც შეიქმნა ამ ბედნიერებისა და სიმყუდროვისა (განმყუდროება), მაგრამ ეს ილუზია დაინგრა მხოლოდ ერთ საათში, დაინგრა, როცა მის უმფოთველ ყოფაში, გალაკტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, «შეიჭრა ქალი». აქ ქალი ოდენ სიმბოლოა მიწიერ სიამეთა და არა ეროტიული სახე. ეროტიული ცთუნება მხოლოდ ვერ მოერეოდა განდეგილის მაღალ რწმენას, წლობით ნასაზრდოებ სასოებას, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ აქ ქალი მიწიერ ჰედონიზმს განასახიერებს მთლიანად და არა მხოლოდ ეროტიკას. ჰედონისტური, მიწიერი იდეალები დავივიწყო, თავს არწმუნებდა თუ ატყუებდა განდეგილი, და დაიჯერა კიდეც ეს, მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა «მიწის შვილისთვის» დავიწყება «მიწისა».

ცხადია განდეგილი ტრაგიკული (იქნებ, ზეტრაგიკულიც) პერსონაჟია, მაგრამ ტრაგედიის კლასიკური განსაზღვრებით - ის «უდანაშაულო დამნაშავე», როგორც ყველა სხვა გმირი კლასიკური ტრაგედიისა (მველბერმწულიდან _ შექსპირამდე). ეს განსაზღვრება საყურადღებოდ მიგვაჩნია: უდანაშაულო დამნაშავე. იგი მიესადაგება, როგორც ვთქვით, ტრაგიკულ გმირს ყოველი ეპოქისას: ოიდიპოსიდან ვიდრე ილიას სვედაჭრილ მწირამდე.

ზეტრაგიკული კი იმიტომაა ილიას განდეგილი, რომ იგი არ დამარცხებულა არც ჰექტორთან, არც აქილევსთან, იგი დამარცხდა... საკუთარ თავთან. ეს კი ყველაზე მწარე და ბედითი დამარცხებაა. მას დაენგრა სასოებით ნაშენები «კოშკი» რწმენისა და დაენგრა სულ «უბრალო» მიზეზის _ ქალის გამო (თუმც, როგორც ვთქვით, ქალი აქ არ განასახიერებს ეროტიულად მაცთუნებელ ქმნილებას მხოლოდ, იგი განასახიერებს ჰედონიზმს მიწისას, ცხოვრებისას, იგი «ახსენებს» განდეგილს იმ სიტკბოს, რომელიც მან უარყო).

მართო «განდეგილი» რომ დაეწერა ილიას, იგი უთუოდ შეირაცხებოდა დიდ ქართველ

მწერალთა შორის ერთ-ერთად, რადგან «განდეგილი» არის მშვენიერა ქართული კლასიკური ლიტერატურისა. მას არ ამძიმებს «რომანტიკული» შტამპები და კლიშეები, ესთეტიზმის და დეკადენტობის ფერუმარილი», იგი რეალისტური ტილოა თავიდან ბოლომდე და ეს რეალიზმი შეესაბამებოდა ილიას ხასიათს, მის პერსონოლოგიურ მონაცემებს.

«განდეგილი» იმდენად უნაკლო ნაწარმოებია თუნდაც ადამიანის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, რომ სხვა რომ ვერაფერი მოუძებნეს მოშურნე-კალმოსნებმა, ეს «ნაკლი» (ლაფსუსი) შეამჩნიეს: სადაც ორბი და არწივი ვერ ფრინავს, სადაც მზე ყინულს არ ადნობს, იქ ადამიანს რა გააჩერებდაო. ამგვარი განხილვის დონეზე ჩვენ არ დავეშვებით, ეს ფაქტი უბრალოდ მოწმობს «განდეგილის», როგორც ნაწარმოების ხელთუქმნელობას და სრულყოფილებას. ილიამ თავიდან ბოლომდე გაიაზრა, უფრო ზუსტად – განიცადა თავისი გმირის ტრაგედია, სანამ წერას შეუდგებოდა. ამიტომ არ არის აქ ზედმეტობანი როგორც ესთეტიკური სრულყოფის მიზნით ქმნილნი, ისე ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური გაზვიადებანი. ეს ნაწარმოები გაჯერებულია ოდენ დამაჯერებელი ხატებითა და სურათებით, რეალისტური ადამიანური გრძნობებით, ტრადიციული, მაგრამ ახლებურად გადააზრებული პრობლემებით, მოქნილი, ლაკონური, თუმც ტევადი ფრაზეოლოგიით, პლასტიკური, გამჭვირვალე-ვიზუალური აღწერით.

ილიას სხვაგან ნათქვამი აქვს, რომ ქვეყნიერება მარტო ტამარი არ არის ლოცვისთვის ქმნილი, არამედ სახელოსნოა, სადაც უნდა იმუშაო. ეს დებულება არაფრით ეწინააღმდეგება ქარისტიანობას, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. აქტიურ და პასიურ პატიოსნებათა შორის ილია აქტიურს უჭერს მხარს და ეს გასაგებია მის ცხოვრებიდან, შემოქმედებიდან, მოღვაწეობიდან გამომდინარე.

სწორედ ეს გვესახება «განდეგილის» დედააზრად, ავტორის ძირითად სათქმელად, მაგრამ ამ «აქტიური და პასიური პატიოსნების» ცნებებს ცოტა უფრო ქვემოთ დავაკონკრეტებთ.

შესავლის ბოლოს ერთგვარად შევაჯამებთ ნათქვამს:

დიდი ილია ჭავჭავაძის პოემა რეალისტურ-ფსიქოლოგიური ტილოა, სადაც პრინციპში ორად-ორი მოქმედი გმირის პირობებში დახატულია უმძიმესი ტრაგედია საკუთარ თავთან დამარცხებული კაცისა, ნაცთუნევი ადამიანისა. ეს მშრალი და სქემატური განსაზღვრება ვეცდებით ქვემოთ უფრო დავხვეწოთ და გავაკონკრეტოთ, ხოლო კვლევის საშუალებად შევარჩევთ ადამიანურ ფსიქოლოგიას და მისი ზოგიერთი გამოვლინების მიხედვით განვიხილავთ მწირის ცალკეულ ქმედებებს.

აქვე სათქმელია ისიც, რომ მწირი საბოლოოდ გატყდა არა მაშინ, როდესაც ცთუნდა და თვისი ცთუნება შეიცნო, არამედ მაშინ, როცა ღვთის უწინ ბომბული მადლი დაკარგა. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ცთუნებისა და მისი შეცნობის შემდეგ მას კიდევ ჰქონდა იმედი პატიებისა. ეს მომენტი ილიას წარმოაჩენს უღრმეს ფსიქოლოგად, მის სხვა თვისებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

შინაარსი და ანალიზი

ნაწარმოები იწყება ყინულოვანი მთების ისეთი სახოვანი, თითქმის ხელშესახები აღწერით, როგორც ცოტა თუ მოიძებნება ქართულ რეალისტურ ლიტერატურაში. თითქოს უბრალო, მარტივ წინადადებებს გადავყავართ მიუდგომელ თოვლიან მწვერვალებში, ორბთა საბუდარში და პლასტიკურად, გამჭვირვალედ ვხედავთ აღწერილ ბუნებას. აქ ვლინდება ილიას საერთო ოსტატობის კიდევ ერთი შტრიხი: პეიზაჟების გადმოცემის უნარი ლაკონურად, ტევადად და ვიზუალურად ადვილწარმოსადგენად. პირველივე თავით «გვანტერესებს» (უხეშად რომ ვთქვათ) ავტორი, როცა აღწერს «ბეთლემის» მონასტერს, ღვთისმოსავთაგან გამოქვაბულს. ვის უნდა ეცხოვრა ამ მიუვალ უდაბნოეთში ყინულისა, თუ არა ცხოვრებაზე ხელაღებული კაცს?

მეორე თავში ვრწმუნდებით, რომ სწორია ჩვენი «მიხვედრა». აქ მართლაც ცხოვრობს კაცი - განდეგილი, მიწიერ სიამეებზე ხელაღებული, ცხოვრებადათმობილი (ნებაყოფლობით), მლოცველი და მეუღლებნოე მწირი. «საიქიოსთვის ეს სააქაო დაუთმია და განშორებია». ასეთი გმირი (დასაწყისში) ყოვლად ტრადიციულია და ხშირად გვხვდება ლიტერატურაში - სასულიეროშიც და საეროშიც. მაგრამ ილია რომ ორიგინალურად წარმართავს მოვლენებს, ამაში ეჭვი არ გვეპარება და მეტი ინტერესით ვაგრძელებთ კითხვას. ეს რომ ტიპური ჰაგიოგრაფიული ძეგლი ყოფილიყო, მაშინ დაახლოებით ვივარაუდებდით სიუჟეტს: წმინდანმა განდეგილმა დაძლია ბოროტი, ნიადაგ მარხულობს და ლოცულობს და ვერა ძალა ვერ შეძლებს მის აცდენას ამ გზიდან. მაგრამ ილია ხომ ჩვეულებრივი ქრისტიანი მეხოტბე არ არის, რომ ასე ცალსახად და სქემატურად განავითაროს მოვლენები. ამისთვის ალბათ არც აიღებდა ხელში კალამს. იგი კარგად აგვიწერს იმ მოტივებს, რომლებმაც კაცს სოფელი შეაძულა და მასზე ხელი ააღებინა - «იქ ბოროტეულის სამეფოა», «ძმა ძმის სისხლით ხარობს», «რყვნა-წაწყმედა მეფობს» და ა.შ.

მაგრამ ამ აღწერას მოსდევს სიტყვები, რომლებიც ცთუნების გასაღებია ამ პოემაში: «სად თვით სიტურფე და სათნოება ემშაკის მახე და ცთუნებაა». არის კი ასე? - ბუნებრივად გვებადება კითხვა. ეს განდეგილის აზრია, მაგრამ ემთხვევა იგი ილიასას? ნუთუ მიწიერი სილამაზეც ბოროტეული და ეშმაკეულია, როგორც განდეგილი ამბობს (ფიქრობს)?

შესავალში აკაკი ბაქრაძის აზრი დავიმოწმეთ, რომ განდეგილი უფლის მორწმუნეა უფრო გულით, ვიდრე გონებით. ამიტომაც მოხდა ბრძოლა მის გულში, და არა გონებაში. იმისი რწმენა უფრო გულისთქმას, ვნებას ჰგავს, ვიდრე გონებრივ არჩევანს, წინააღმდეგ შემთხვევაში მცირე ცთუნება და გულისთქმა ვერ დაამარცხებდა რწმენას. განდეგილმა გულით შეიძულა საწუთრო და მისნი სიწმინდენი, მაგრამ გონება მისი გულს ემორჩილება, როგორც შემდგომ შევიტყობთ. სწორედ ამიტომაც საინტერესო და განსხვავებული ილიას განდეგილი პერსონოლოგიური თვასაზრისით ჰაგიოგრაფების განდეგილთან, სქემატურ, უკონფლიქტო და ცალსახა განდეგილთაგან.

ამ დათმობის (საწუთროს დათმობის) საფასურად მწირს სურს და ელის ჯილდოს (საიქიო ნეტარებას). განა ესეც გულისთქმა არ არის? თუ დათმობ მცირე სიამოვნებას და სიხარულს

დიდის მოსაპოვებლად, ეს გულის არჩევანია და არა გონებისა. ასე რომ, ამ შემთხვევაში აკაკი ბაქრაძის ანალოგიური აზრი გასათვალისწინებელია.

მეოთხე თავი ამ სიტყვებით მთავრდება:

«და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა».

შემდგომ ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. ასე განდევილი ფიქრობს, და არა ილია. განდევილია დარწმუნებული, რომ დაასამარა ყველა მიწიერი ლტოლვა და რწმენას საფუძველი გამოეცლება, ეს ხდება მიზეზი თვითმოტყუებულის ტრაგედიისა.

ეს ყოველივე ბოლოს ირკვევა, თავიდან ავტორი გვიქმნის ილუზიას, რომ მისი გმირი ზედმიწევნით «ჰაგიოგრაფიულია», მან საბოლოოდ დაამარცხა ქვეყნიური ცდუნებანი:

«ლოცვით და მარხვით ხორც-უძღურ-ქმნილი,
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და
ტანჯვით ზედა ძლევიტ მოსილსა და განდიდებულს».

ამ შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ილიას დასჭირდა კიდევ ერთი დეტალი: ღმერთმა შეისმინა და დააფასა მწირის მსხვერპლი და ვედრება და ნიშნად სასწაული მოუვლინა, – სხივი, რომელიც «ლოცვანს» იჭერს გადაშლილს.

ჯერჯერობით ეს გმირი კლასიკური «ჰაგიოგრაფიული» მარტვილია, მაგრამ მხოლოდ ჯერჯერობით, რადგან ილია, პირდაპირ ვიტყვით, არ არის მომხრე ცხოვრების ამგვარი წესისა (გავიხსენოთ: «დედამიწა სახელოსნოა და არა ტაძარი»), ამაზე შემდგომ.

კონფლიქტი თხზულებაში იწყება მეშვიდე თავიდან და იწყება იგი ავისმომასწავლებელი დისონანსით ამ იდილიურ ყოფაში, რაც შეიძლება ტრაგედიის მოახლოების სიმბოლოდ გაიშიფროს. ესაა უცბად ატეხილი ქარბუქი, ძრწოლისმომგვრელი გრიგალი, შავი ღრუბლის მომტანი განდევილის საკანთან (მთელი ეს სცენა ბუნებისმიერი ჩვენ გესახება სიმბოლურ ინტერპრეტაციად იმ ტრაგედიისა, რომელიც მალე მწირის საკანში დატრიალდება – უხმო, მაგრამ მძაფრი ტრაგედიისა).

მეცხრე თავის პირველივე ფრაზა მკითხველს მიაჯაჭვავს წიგნზე: «უცებ მოესმა რაღაც კაცის ხმა...» ამ ფრაზაში მთავარია სიტყვა «რაღაც», ჩვენი აზრით, იგი ამძაფრებს განდევილის წარმოსადგენ რეაქციას: ნუთუ ეს კაცია ამ უდაბურ მხარეში მოხვედრილი და ისიც ჩემთან, განდევილთან, კაცის დანახვაც რომ არ მინდა? სიტყვა «რაღაც» განდევილის გაკვირვების ამოძახილია, აი, ასე ოსტატურად, უდიადოგოდ და უმოწონოგოდ გადმოგვცემს ილია თავის გმირთა განცდებს.

გარეთ, ქარბუქში, ვიღაცა ითხოვს შველას, მაგრამ უნდა თუ არა კაცის დანახვა განდევილს, ვალდებულია უშველოს. ვალდებულია ისევ და ისევ ქრისტიანული პოზიციებიდან გამომდინარე. ამიტომ... «ეცა მსწრაფლ კარებს და გადიხედა». ეს მომენტი ყურადსაღებია იმ მხრივ, რომ მწირს ყოყმანი არ დაუწყია, ესე იგი მასში სისხლხორცეულად არის გამჯდარი ქრისტიანული მცნებები – ამ შემთხვევაში მცნება მოყვასის დახმარებისა (სიყვარულისა). ქარბუქში მან ვერ გაარჩია ქალის ხმა, წინააღმდეგ შემთხვევაში უთუოდ დაიწყებდა ყოყმანს ცდუნების შიშის ნიადაგზე: ჩვეულებრივი გაჭირვებულია თუ ქალი საცთურად

მოგზავნილი _ ღვთის კიდევ ერთი გამოცდა? ეს მომენტი უფრო ხსნის განდეგილის პერსონოლოგიურ ბუნებას.

აქვე სათქმელია, რომ მწირმა კი გადაწყვიტა დახმარება, მაგრამ ეჭვი მაინც აღედგა: « _ ვინ ხარ? კაცი თუ მავნე, აქ მოგზავნილი?» ჩავეყვით ამ ეჭვის ფსიქ. საფუძველს. ამ შემთხვევაში ეს საფუძველია ცთუნების შიში. თავის თავში დარწმუნებულ ქრისტიანს არ უნდა, ჰქონდეს ეს შიში. ეტყობა, განდეგილი გრძნობდა ქვეცნობიერად საკუთარი რწმენის უკმარობას და ცთუნების შესაძლებლობას, მაგრამ მხოლოდ ქვეცნობიერად. ამან წარმოშვა მისი შიში, შიშმა კი ეჭვი ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

საბოლოოდ მწირში გაიმარჯვა ქრისტიანულმა მცნებამ მოყვასის სიყვარულისა (დახმარებისა) და შეიფარა ლტოლვილი. ლტოლვილის ამოსვლა განდეგილის საკანში სიმბოლურად იმიფრება, როგორც მიწიერი ცთუნების შემოსვლა ორთოდოქსი ქრისტიანის (ისიც მარტვილის) ცნობიერებაში.

განდეგილი შეკრთა, როცა ქალის ხმა შეიცნო სტუმარში. ეს შეკრთომაც ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ აზრს, თუნდაც პარადოქსალურს: განდეგილი თავიდანვე მერყევი, თავისთავში დაურწმუნებელი მორწმუნეა. ქვეცნობიერად გრძნობს, რომ შეიძლება ცთუნდეს. ტრადიციულ ჰაგიოგრაფთა გმირები აქ არც შეკრთებოდნენ და არც ეჭვი აღეძვრებოდათ თავიანთ გამძლეობაზე ცთუნების მიმართ. ქალი _ სტუმრის ნატურა ადვილად იხატება პირველივე მისი სიტყვებიდან. იგი ფამილარულად მიმართავს მწირს და ამ ფამილარობაში იგრძნობა ქალური სილაღე და არა უზრდელობა.

ცეცხლის სინათლეზე წარმოჩნდა მიწიერი მშვენიერება ახალგაზრდა მწყემსი ქალისა, რასაც ილია დიდებულად აღწერს:

«ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე მშვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.»

ამ სილამაზის მხილველი მარტვილის გულში თავი წამოყვეს ისეთმა გულისთქმებმა (სექსუალურს არ ვგულისხმობთ), რომელთა «საბოლოო» დამარცხებასაც ზეიმობდა იგი ამდენ ხანს. დათრგუნულმა და დაწიხლულმა ნოსტალგიამ «მიწისამ» თავი იჩინა შეწუხებულ წმინდანში (აქ «მიწაში» «ცხოვრება» უფრო ვიგულისხმეთ, ვიდრე მიწა ტრადიციული გაგებით).

მართალია, ეროტიული მომენტი თავიდანვე გამოვრიცხეთ, მაგრამ ამ ქალზე ვერ ვიტყვით, რომ იგი ღვთაებრივ, წმინდა ციურ მშვენებას განასახიერებს. აქ არის მაინც ეროტიკული პასაჟები, თუმც მეტად მკრთალი: «მის თვალთა ელვით, ლაწვთა შუქვენით, გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს? დახე მის ტუჩთა! თითქო თვით ტრფობას თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს». ეს უმშვენიერესი სტრიქონები აგვიწერს მიწიერი სილამაზის ქალს, მაინც მატერიალურ სილამაზეს და არა ღვთისმშობლის დარს, უბიწოს და უგულისთქმოს.

მწყემსი ქალის ამბავზე ყურადღებას არ გავამახვილებთ, რადგან იგი უმნიშვნელოა ფსიქოლოგიურად და მხოლოდ იმიტომ დასჭირდა ავტორს, რომ ქალი მწირამდე

მიეყვანა.

განდეგილისა და მწყემსის დიალოგი

ეს დიალოგი მოკლედ შეიძლება დახასიათდეს, როგორც დიალოგი თეოლოგიისა, რელიგიური დოგმებისა, ცხოვრების უარყოფის «თეორიისა» ერთი მხრივ (განდეგილის), და მეორე მხრივ, მატერიალიზმისა, უფრო სწორედ – ჰედონისტური იდეებისა, ეპიკურეიზმისა, სიცოცხლის «თეორიისა» (მწყემსი ქალის). ქალი ამ შემთხვევაში სუფთაა, გულუბრყვილო, სიცოცხლეზე შეყვარებული, და არ ესმის, რაში სჭირდება ღმერთს «კაცის ყოფნა ამ ყინულებში». განა ცუდია ტკბობა სიცოცხლით, ჩამავალი მზით თუ ამომავალით, ყოფნა ტოლ-მეგობრებში და ა.შ.? ქალს თავისი სიმართლე აქვს, განდეგილს – თავისი. ამ ქალში ათეიზმიაო, ვერასგზით ვერ ვიტყვით, მასში უფრო გულუბრყვილო გაკვირვება და ვერგაგებაა განდეგილობისა, როგორც ცხოვრების წესის. განდეგილი კი მას «უპირისპირდება» ქრისტიანული დებულებით: «უარჰყავ ყოველი, აღიდე ჯვარი და შემომიდექ მე» (ქრისტეს). ამგვარი შეუთანხმებული ფინალი აქვს მათ დიალოგს, რომელიც მყისიერად წყდება – ქალს ეძინება.

მწირი ცთუნდა... მისი ცთუნება სულ იმაში გამოიხატა, რომ ქალის საკოცნელად დაიხარა. ეს იყო და ეს, მაგრამ წმინდანის გულში ამან აღძრა «თვითგამორკვევა», და აქედან იწყება სულიერი გვემა მარტვილისა.

ღვთისმშობლის ნაცვლად მწყემსის მოლანდებაც ლიტერატურული ხერხია, მეტი გამძაფრებისთვის გამოიზნული. განდეგილი შეიმეცნებს, რომ დამარცხდა საწუთროს სიამესთან ბრძოლაში, რომ დამარცხდა საკუთარ თავთან, საკუთარი რწმენა არ ეყო გულისთქმაზე გასამარჯვებლად. მაგრამ იქნებ ეს დამარცხება დროებითია? – მას კიდევ აქვს იმედი, უკიდურესად აფორიაქებულსა და აშფოთებულს.

მაგრამ დაიკარგა უკანასკნელი იმედიც და თვითგვემას ტრაგიკული წერტილი დაესვა – მზის სხივმა არ დაიჭირა «ლოცვანი», განდეგილი ელდისაგან კვდება. თუმც მარტო ელდისაგან? აქ იყო იმედგაცრუებაც, არპატიების ტრაგიზმიც, ყველაფრის წყალში ჩაყრა, რასაც აქამდე ელოლიაგებოდა მწირი, და საუკუნო ცხოვრების იმედის დაკარგვა! ამდენ «მეხს» კი ვეღარ გაუძლო მარხვისგან დასუსტებულმა გულმა და მწირმა «იქვე სხივ-ქვემ უტევა სული».

ღმერთმა დასაჯა უფრო თუ საკუთარმა თავმა, ძნელი სათქმელი არ არის. იგი საკუთარმა თავმა გვემა და დასაჯა სულ მცირე ცთუნებისთვის, სულ მცირე გადახვევისთვის, რომელზე დიდი ცოდვებიც უპატიებია გამჩენს, თუ ჩამდენი მისი ჭეშმარიტი მორწმუნეა (თუნდაც ბიბლიური დავითის მაგალითი). მით უფრო, მწირმა ზეადამიანური ტანჯვით მოინანია ეს მცირე ცთომილება, მონანიებას კი თითქმის ყველაფერი ძალუძს ქრისტე. წარმოდგენით. მაგრამ არა, მწირმა ვერ აიტანა საკუთარი წმინდანობის შემეცნების დარღვევა, ეჭვის შეტანა საკუთარ უმწიკვლობაში და ამიტომ აღესრულა ესოდენ მძიმე ხვედრით.

ილია და მისი გმირი

პარალელები

«არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არ-რა იზრუნოს:»

ნ. ბარათაშვილი

განდეგილი პატიოსანია. პატიოსნება და სათნოებაა მისი უპირველესი თვისებები. მაგრამ ის პასიურია ცხოვრებისეული თვალსაზრისით.

ილიაც პატიოსანია და მისთვისაც სიყვარული და სიწმინდეა ქვეყნად მთავარი. მაგრამ ის აქტიურად პატიოსანია (იყო), ცხოვრებისეულ სიმწელებსაც კი არ გაურბის, არამედ ებრძვის, ებრძვის ბოროტს, იღვწის ამა ქვეყნის გასაკეთილშობილებლად, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, იღვწის და იბრძვის თავგამოდებით, თავგადადებითაც.

ერთი პასიური პატიოსნებაა (ლოცვა-მარხვა, განდგომა), მეორე აქტიური პატიოსნება (ბრძოლა ბოროტის წინააღმდეგ, სოფლის შუაგულში ტრიალი, შრომა მის გასასწორებლად).

ამ კუთხიდან უნდა შევხედოთ ილიასაც და მის განდეგილსაც და დავინახავთ, რატომ დაამარცხა ილიამ თავისი ტრაგიკული გმირი. დიდ ქართველ მოაზროვნეს მიუღებლად მიაჩნია ცხოვრების ეს წესი, სოფლისაგან განდგომა, განდეგილობა, _ როგორც ასეთი, პასიურობა ბოროტების წინაშე, მისი იდეალია აქტიური, ქმედითი ადამიანი, რომელიც იბრძვის მოყვასისთვის და არა მარტო ლოცულობს, რომელიც იბრძვის თანამომის კეთილდღეობისათვის, ტრიალებს ცხოვრების შუაგულში, იზიარებს ამა ქვეყნის ჭირსა თუ ლხინს და ხელდაკაპიწებული აზნევს ამქვეყნად სიკეთის თესლს, _ ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, ქმედითად ახორციელებს იმ ქრისტიანულ იდეალებს და მცნებებს, რომლებსაც განდეგილი ოდენ ლოცვაში და ლოცვით ეთაყვანებოდა მიუვალ საკანში.

ესაა ძირეული განსხვავება ავტორსა და მის გმირს შორის და ილიას იდეალის გარკვევა უფრო გაიოლდება, თუ თავად ილიას ცხოვრებას გავაანალიზებთ: ის ხომ სწორედ ასეთი იყო: აქტიურად პატიოსანი და მებრძოლ-ქმედითი ადამიანი.



ფიიიიის ნიციშეს ტიიიიიი

(ფსიქიიიიიი-თეოლოგიური იამოკვლევა)

1992 - 1998 წ.წ.



წინასიტყვაობა

რატი ნინუას ეს ნაშრომი ცნობილი გერმანელი მოაზროვნის, ფილოსოფოსის დ ფრიდრიხ ნიცშეს პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტის დახატვის მცდელობას წარმოადგენს. ავტორი ბიოგრაფიასა და შემოქმედების გარკვეულ დეტალებზე დაყრდნობით განსაზღვრავს ნიცშეს სულიერი ტრაგედიის მიზეზებს. ყველასთვის ცნობილია, რომ გერმანელმა მოაზროვნემ სიცოცხლის ბოლო წლებში დაკარგა ფსიქიკური სიჯანსაღე, მაგრამ ამ ნაშრომის ავტორის მტკიცებით ეს პროცესი გაცილებით ადრე, ფარული სახით მიმდინარეობდა. რატი ნინუა კონკრეტულ დიაგნოზასაც კი სვამს, თუმცა მხოლოდ აქ არ ჩერდება, მისი მიზანია ახსნას, თუ რა «დაემართა» ნიცშეს და შემდგომ განსაზღვროს ამ სულიერი ტრაგედიის განმაპირობებელი მიზეზები. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მეცნიერება უძლურია, ამიტომ აქ ერთადერთი გზა, რელიგიური კუთხით ინტერპრეტირების გზაა რჩება და რატიც მას მიმართავს. მისთვის სულიერი ტანჯვა არის სასჯელი და იმავდროულად კათარზისის საწყისიც. ბევრი დეტალი ალბათ საკამათოა, ნაშრომში ნახსენები ნიცშეს ათაშანგით დაავადების ფაქტი არ არის გაზიარებული მეცნიერთა უმრავლესობის მიერ. მიუხედავად ამისა მკითხველი ალბათ გაოცდება იმ განსწავლულობის ხარისხით, რასაც ფლობს ავტორი ფსიქიატრიის სფეროში. ფსიქიატრია ჩემი ჰობიაო – ამბობს ავტორი, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი შესაძლოა მიხვდეს, რომ ეს უბრალო ჰობი არ არის, არც მხოლოდ ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგედიაა მისი კვლევის საგანი. ავტორი ცდილობს ჩაგვახედოს იმ სამყაროში, სადაც მრავალი ადამიანი მარტოობაში ტანჯვისთვის არის განწირული: «ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სამყარო ორად არის გაყოფილი რკინის მავთულხლართით. აქეთ ვართ ისინი, ვინც თავს «ნორმალურებს» ვუწოდებთ, «იქით» კი ისინი, ვისაც გიჟები დავარქვით. ჩვენ არ გვინდა ბარიერის იქით გადახედვა, რადგან იქ გამუდმებული ტანჯვაა, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ჩვენ ვიცით: რომც გადავიხედოთ, სასიკეთოს ვერაფერს დავინახავთ. ამიტომ გვირჩევნია ისევ ჩვენი პატარ-პატარა სიამოვნებებით შევიქცეთ თავი». ეს ზღურბლი «ნორმალურსა» და «არანორმალურს» სამყაროს შორის ძალზედ მქრალია. ისტორიას ახსოვს ეპოქები, სადაც მასობრივი ფსიქოზის გამოვლინებებს ჰქონდა ადგილი. ამის მაგალითად თავად ნიცშეანურ იდეოლოგიაზე დამყარებული ფაშიზმი გამოდგება. ვფიქრობ, ფსიქიური დაავადებაც, რაც არ უნდა მძიმე იყოს იგი, ალბათ ბოლომდე მაინც ვერ შლის პიროვნებას, შიზოფრენია არღვევს ინდივიდის ინტელექტუალურ სამყაროს, მის ცნობიერებას, მაგრამ ვერ ძლევს მის სულს. სწორედ ღვთაებრივი სულია ადამიანის «მეობის» განმსაზღვრელი ასპექტი და არა მისი მენტალური სამყარო ან ფიზიკური სხეულის მდგომარეობა. ადამიანის თავისუფალი ნება მართავს ამ სულს და ვფიქრობ ეს ნებელობა ფსიქიურად დაავადებულსაც კი არ აქვს დაკარგული ბოლომდე. სხვაგვარად ყველა ფსიქიკური პრობლემების მქონე ავადმყოფი ერთმანეთის იდენტური უნდა იყოს, ანუ დაავადების სიმპტომების ერთგვარ ჯამს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. ნიცშემ ვერ სძლია საკუთარ თავში *Mania grandiosa*, რის შესახებაც არა ერთხელ აქვს რატის საუბარი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვისაც ფსიქიურმა დაავადებამ ვერ წაართვა ღვთაებრივი ნათელი, ვის სულშიც ვერ გაიმარჯვა ბოროტებამ, ლუციფერმა, ერთ დროს მთლიანი, ურღვევი ნათლის ნაწილმა ვერ სძლია ღმერთს. «შიზოფრენია» ცნობიერების გახლეჩას ნიშნავს. გარკვეულ ეტაპამდე, სანამ შიზოფრენიისათვის დამახასიათებელი ყველა სიმპტომი იჩენს თავს, პიროვნების გაორება, ერთ ადამიანში ორი საპირისპირო პოლუსის არსებობა იწვევს ღრმა, სულიერ ჭიდილს, რაც რა თქმა უნდა დიდ ტანჯვასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამბოხი საკუთარი თავის წინააღმდეგ, დაპირისპირებულ პოლუსთა ჭიდილი წარმოადგენს გზას, რომლის

მეშვეობითაც შეგიძლია იგრძნო სამყარო უფრო მძაფრად, ანუ იქ, სადაც ჩვეულებრივი ადამიანი საგანთა თუ მოვლენათა მხოლოდ ზედაპირს ხედავს, გაორების შემთხვევაში სამყარო მთელი სიმძაფრით სახიერდება შენს წინაშე, ეს გაორება გარკვეულწილად ყველა ადამიანშია, ჩვენ ვერსად გავექცევით ლუციფერს, ნათლის ანგელოზს, რომელიც განეშორა ღმერთს და მასთან ერთად სამყაროც გაიხლიჩა ორად, მაგრამ არის ღმერთიც, რომელიც ამ ნათლის საწყისია, ის ამ გაორების მიღმა დგას და შესაბამისად ადამიანის ჯანსაღი ფსიქიკის ბირთვსაც წარმოადგენს. ნიცშე ამ ბრძოლაში ლუციფერის მხარეს აღმოჩნდა, ეს ტრაგედიაა მისთვის. მაგრამ რა არის მთავარი ფასეულობა მისი შემოქმედებისა?! – როგორც უკვე ვთქვი, სამყარო ამ დუალიზმს თავისთავად ატარებს და შემოქმედიც სიტყვაში განიცდის, ქმნის იმ რეალობას, რომელიც არსებობს. შემოქმედის ძალმოსილება არა მხოლოდ მის ეთიურ სამყაროშია საძიებელი, არამედ იქ, სადაც სრულყოფილად ისახება ეგზისტენციის არსი, ანუ ყოველი სიტყვა ფასეულია იმდენად, რამდენადაც ცოცხლობს «სიცოცხლის სუნთქვით». ვფიქრობ არაფრის მომცემია ჯანსაღი ეთიკით განმსჭვალული უნიჭო ნაწარმოები. ნიცშეს შემოქმედებაც არის ხილვა სამყაროს მეორე, წყვედიადით მოსილი ნაწილისა. ღვთაებრივი ნათლის, სიკეთის ძალმოსილება სწორედ აქ სახიერდება, ყოველ ადამიანს აქვს არჩევანი, დაეცეს ვიტალურობის უმდაბლეს საფეხურზე, დაადგეს «ზეკაცის» გზას, რაც პირდაპირ ფაშიზმამდე მიდის, ან პირიქით, ბოლომდე გააცნობიეროს საშინელება ამ ნაბიჯისა და გაჰყვეს ჭეშმარიტ, ღმერთისაკენ მიმავალ გზას, გზას პირველქმნილი სისავსისაკენ.

გიორგი გორთამაშვილი

ავტორის მოკლე წინასიტყვაობა

«ამ მწერალს მოწამებრივი გვირგვინი ადგას თავზე. მას წაერთვა ყველაფერი, რაც ჩვეულებრივ ალამაზებს ადამიანის ცხოვრებას და დააწვა ისეთი მძიმე ტვირთი, როგორც იშვიათად უტარებია ვინმეს».

ლევ შესტოვი

«ათას მოგონებათა შორის რყეული, მოქანცული ყველა ჭრილობით, გათოშილი მრავალი ყინვით, გაბმული საკუთარ მახეში, ჩემი თავის მცოდნე და ჯალათი! სნეული, რომელიც კვდება გველის შხამით, ტყვე, რომელსაც მწარე ბედი ეწია, ვმუშაობ წელში მოხრილი, ჩემს საკუთარ «მე»-ში გამომწყვდეული, როგორც გამოქვაბულში, მე თვითონ ვასამარებ ჩემს თავს და ჩემი საკუთარი საფლავი ვარ მე: უძლური, გაშეშებული, ლეში»

ფრიდრიხ ნიცშე «დიონისეს დითირამბი»

«Психиатрия – это слишком серьёзное дело чтобы его доверить лишь психиатрам»

В.А. Точилев, д-р. мед. наук.

ნიცშეს ფილოსოფიამ გამიტაცა, როცა 14 წლის ვიყავი. მაშინ ნიცშე დაგმობილი იყო ყოფილ სსრკ-ში, და ეს ერთ-ერთი სტიმული იყო ჩემთვის ნიცშეთი დასაინტერესებლად. თავიდან ეს ბრმა ბავშვური გატაცება იყო ფილოსოფოსის ავანტიურისტული და ვოლუნტარისტული იდეებით, მაგრამ როცა მწერლის ადრეული თხზულებებიც წავიკითხე, მივხვდი, რომ მწერალი უკიდურესად რთული და წინააღმდეგობრივი, მთლიანობას მოკლებული პიროვნება იყო.

შემდეგ, თხზულებებზე უფრო მეტად დამაინტერესა თავად მისმა პერსონამ, ბიოგრაფიამ. ახლა დარწმუნებით ვიტყვი ჩემს აზრს, რომ მე-19 საუკუნის მოაზროვნეთა შორის ნიცშე ყველაზე ტრაგიკული ფიგურა იყო. მტანჯველი ბრძოლა საკუთარ თავთან, ერთი პოლუსიდან მეორისაკენ სწრაფვა, ფაქტიურად აზროვნებითი თვითგვემა, შემდეგ მძიმე ავადმყოფობით – ლუესით დაავადება, შემდეგ რიგი ფსიქიკური აშლილობანი (მათ შორის ყველაზე მტანჯველი სუბიექტური თვალსაზრისით ცენესთეზია); ბოლოს ფსიქოზი, ანუ

სულიერი დაავადება, – ასეთი ხვედრის მოაზროვნე ძნელად თუ მოიძებნება კაცობრიობის ისტორიაში.

თავიდანვე მაწვალებდა აზრი, რომ ნიცშეს ეს ტანჯვა არ იყო შემთხვევითი, და «რადგანაირად» უკავშირდებოდა მისსავე «ძალაუფლების ფილოსოფიას».

რადგანაც ეს საკითხი შეუსწავლელი იყო და მეცნიერებისათვის დღემდე ღიად რჩებოდა, გადავწყვიტე ხელი მომეკიდა ამ პრობლემის კვლევისათვის და შეძლებისდაგვარად პასუხი გამეცა მთელ რიგ დღემდე პასუხგაუცემელ კითხვებზე «ნიცშეანოლოგიაში» (თუკი ასეთი საერთოდ არსებობს).

მომიხდა კლასიკოსი და «არაკლასიკოსი» ფსიქიატრების შრომების წაკითხვა, საერთოდ ფსიქიატრიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის შეძლებისდაგვარად გაცნობა, მის თავდაპირველ კორიფეთა თუ თანამედროვე ცნობილი თანამემამულე და უცხოელი სპეციალისტების თეორიების შესწავლა (6 წლის განმავლობაში) რათა გამერკვია, კერძოდ რომელი ფსიქოზით დაავადდა ნიცშე, რა იყო მისი ფსიქოზის განვითარების მიზეზი. მიმაჩნია, რომ ასე თუ ისე დასახულ მიზანს მივალწიე, გარკვეული ჰიპოთეზა ჩამოვაყალიბე და ამ ნაშრომის სახით ვთავაზობ მკითხველს. სხვა საკითხია, რამდენად სწორია ჩემი ყველა დასკვნა და მოსაზრება. ძირეული დასკვნებისა და ვარაუდების ჭეშმარიტებაში კი ეჭვი არ მეპარება, რადგანაც ნიცშეს ფსიქოპათოლოგიური სურათი საკმაოდ ნათელია. საერთოდ გაკვირვებას იწვევს, რატომ არავინ არ დაინტერესებულა დღემდე ამ პრობლემით, მაგრამ ამის ახსნაც შეიძლება: ნიცშეს დროს ფსიქიატრია მეტისმეტად დაბალ დონეზე იდგა, მაშინ ვერაფერს ვერ გაარკვევდნენ, დღეს კი ფსიქიატრებს დღევანდელი ავადმყოფები აინტერესებთ და არა ასი წლის წინ გარდაცვლილები (თუნდაც გენიალურნი). ფილოსოფოსები კი ფსიქიატრიაში ნაკლებად ერკვევიან, ცხადია ამიტომ დარჩა ეს საკითხი ასე «ღიად».

მე კი მხოლოდ მკვლევარის ჟინი (თუ გნებავთ, აზარტი დაარქვით) მამომრავებდა, ამომეხსნა მწერლის ტრაგედია, როგორც მრავალუცხოზიანი განტოლება.

შესავალი

ფრიდრიხ ნიცშე – დიდი გერმანელი ფილოსოფოსი («სიდიდე» აქ მის პიროვნებას უფრო ეხება, ვიდრე ფილოსოფიას). ქსე-ში მასზე მოკლედ და არასწორად წერია, სიმშრალე მეტი აკადემიურობისთვისაა საჭირო:

“Nietzsche (15.10.1844. რიოკენი, საქსონია – 25.08.1900, ვაიმარი), გერმანელი ფილოსოფოსი, ირაციონალისტი და ვოლუნტარისტი, ... 1889 წელს სულიერად დაავადდა და მოღვაწეობა შეწყვიტა. ნიცშეს მოღვაწეობის ყველა ეტაპზე (? – რ.ნ.) იგრძნობა «ძალაუფლების ნების» კონცეფციის განვითარების მიზანი.

...

ნიცშეს მოღვაწეობაში «ძალაუფლების ნება», პირველ რიგში, საზოგადოებრივ მოვლენათა კრიტიკრიუმია (? – რ.ნ.).

...

ნიცშეს «ახალი მორალის» სუბიექტია «ზეადამიანი» ...

«ზეადამიანი» თავისუფალია სოციალური იძულებისაგან და მოქმედებს მტაცებელი მხეცის უმწიკვლო სინდისით. «ზეადამიანი» არის ნახევრად თუ სავსებით ღვთაებრივი «ბელადი», «ფიურერი», რომლისთვისაც თანამედროვე კაცობრიობა ძალის გამოცდის ობიექტია... შემთხვევითი არ არის, რომ ნიცშეანელობას დაემყარა ფაშისტური «XX საუკუნის მითი» და მთელი კაცთმოძულეებრივი იდეოლოგია...”

მცდარია აზრი, რომ ნიცშემ «ძალაუფლების ნების კონცეფციის» განვითარება დაიწყო მოღვაწეობის პირველი ეტაპიდანვე. ძალაუფლების «კონცეფცია» ნიცშემ სწორედ მოღვაწეობის უკანასკნელ ეტაპზე განავითარა. მაგრამ გადავდოთ გვერდზე ქსე და ვნახოთ, რას წერს თანამემამულე მეორე დიდი გერმანელი – თომას მანი, ნიცშეანელოგი სიტყვის სრული დატვირთვით: «იგი თავიდანვე, იმდენად რაღაც იდეალური ზეკაცის წინამორბედი კი არ იყო ჩემთვის, როგორც მას მოდას აყოლილთა უმრავლესობა სახავდა, არამედ გაცილებით მეტი – უბადლო, დიდი და ღრმა ფსიქოლოგი დეკადენტობისა». «[ნიცშე] სიყვარულისა და მეგობრობისათვისაა გაჩენილი, უზენაესი ადამიანობისაკენ მიდრეკილი, მის სალუქ, ნაზსა და კეთილ სულს არც კი ძალუძს იმ უღრმესი, ცივი მარტოობის ატანა, რომელშიც ბოროტმოქმედი იკეტება ხოლმე». «მას [ნიცშეს] ხომ ერთობ კეთილშობილი და კაცთმოყვარე ზრახვები ამოძრავებდნენ...»

ისევ თომას მანი: «ბოლოსდაბოლოს არსებობს მხოლოდ ორი მსოფლალქმა და შინაგანი პოზიცია: «ესთეტიკური და ზნეობრივი; ყოველგვარი «ესთეტიზმი», რომელიც პირადულს ემყარება, არსებითად «ბარბაროსობას» უდრის, ანტი-სოციალურია, მორალს და კულტურას ეწინააღმდეგება და საბოლოო ჯამში ფაშიზმს მოასწავებს»

როგორც დავინახეთ, «ქსე-ში» ნიცშეს სახით დახატულია «ანტიქრისტი», ფაშიზმის პირდაპირი იდეოლოგი, «ძალისა და მტაცებლური ჟინის» აპოლოგეტი, ანუ სინამდვილეში ჩვენის აზრით, ანტინიცშე. ყოველ შემთხვევაში დახასიათება ამკარად ცალმხრივია.

თომას მანი კარგად ჩასწვდა ნიცშეს წინააღმდეგობრივ, რთულ პერსონას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი პიროვნული ტრაგედიის ფონზე სცადა «გამართლება» ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორის «ბოროტი» ფილოსოფიისა, მისი «კაცთმოძულეებრივი მსოფლმხედველობისა». («ზეტრაგიკული კაცი». თ. მანი).

კარგად დაინახა აგრეთვე ნიცშეს ტრაგედიის არსი ქართველმა მკვლევარმა ო. ჯინორიამ:

*"ქართული საბჭოთა ენციკლოპედია". ტ. 7. გვ. 455. -

** Mann T. Философия Ницше в свете нашего опыта. Собр. соч. т. 10 М. 1961.

«სენმა აქცია იგი (ნიცშე) თავის წინააღმდეგობად, მასში მეფისტოფელს გაამარჯვებინა ფაუსტზე (იგულისხმება ფაუსტური პირველსაწყისი რ. ნ.), იგი ჰამლეტად იქცა თითქმის, იმ «ცოდნის ტვირთმა» რომ გასტეხა, რისთვისაც არ იყო შობილი»*.

ძალაუნებურად იხატება ორი ნიცშე: 1. როგორც იყო იგი თავიდან (ქეშმარიტი ნიცშე), მარტივად რომ ვთქვათ: სენტიმენტალური, ფაქიზი, «სალუქი», თბილი, ადამიანური სიყვარულისაკენ მიდრეკილი, მართალი, «ნაზი და კეთილი ინტელექტუალი», ძველი ბერძნული კულტურის (ამ შემთხვევაში ბერძნული ესთეტიზმის) მოტრფიალე, ცოდნას და სწავლას მოწყურებული, «კულტუროსანი», საღად (პროგრესულად, ჯინორიას სიტყვებით – გოეთესეულად) მოაზროვნე.

და 2. განდიდების მანიით შეპყრობილი, საკუთარ სამყაროში მოქცეული «ძალაუფლების ნების კონცეფციის» განმავითარებელი, ღვთისმგმობელი, აგრესიული, ფაქტობრივად უსაფუძვლო სიამაყით სწეული (მის სიამაყეში არ იყო არანაირი რაციონალური მარცვალი), ანტიკულტუროსანი, ალის მაკულტივირებელი, ომისა და ინდივიდუალისტური ავტორიტარიზმის აპოლოგეტი, ახალი, ე.წ. «სიცოცხლის ფილოსოფიის» ფუძემდებელი, რომელიც გაჯერებულია სწორედ იმ ბარბაროსული იდეებით, ზემოთ რომ იყო საუბარი და რომელიც მართლაც ახლოს დგას ფაშისტურ იდეოლოგიასთან.

როგორ უნდა აიხსნას ადამიანის ისეთი გასაოცარი მეტამორფოზა, თუნდაც მეტისმეტად მერყევი ადამიანის? მიზეზის პოვნა დღეს, ფილოსოფოსის სიკვდილიდან ასი წლის შემდეგ, ცხადია, მეტისმეტად ძნელია, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გარკვეული ჰიპოთეზის (ან ჰიპოთეზების) წამოყენება შეიძლება, მითუმეტეს, ხელთ გვაქვს ნიცშეს ბიოგრაფიული მონაცემები, თხზულებები, – როგორც განუწყვეტელი ენციკლოპედია მისი მსოფლმხედველობრივ-ფსიქიკური ევოლუციისა, ხელთ გვაქვს ისტორიული ფაქტები (მაგალითად 1889 წელს მისი სულიერად დაავადება, ბანალურად –»გაგიჟება«), დაახლოებით ვიცით მისი ქარაქტეროლოგია და პრემორბიდი (პიროვნება ფსიქიკურ დაავადებამდე, პერსონოლოგიური მონაცემები და ა.შ.) .

ის, რაც ნიცშესთან დაკავშირებით უკვე დამტკიცებულია, ჩვენი ინტერესის მიღმა დარჩება, ვინაიდან ამ ნაშრომის ცენტრალურ ბირთვს ფსიქიატრიული ნაწილი წარმოადგენს. წმინდა ფსიქიატრიული რაკურსით კი დიდი ფილოსოფოსი, ვგონებთ, ჯერ არ განუხილავთ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ამგვარი ნაშრომი უცნობია.

პირდაპირ ვიტყვით, რომ ჩვენს მიზანს წარმოადგენს ფრიდრიხ ნიცშესათვის კონკრეტული სამედიცინო-ფსიქიატრიული დიაგნოზის დასმა, ფსიქოზის გენეზისის (პათოგენეზის) გარკვევა და შეძლებისდაგვარად სრულად გადმოცემა ყოველივე ამისა.

გავიმეორებთ, – ეს არის ნაშრომის ცენტრალური ნაწილი. კვლევის პროცესში ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ მხოლოდ ფსიქიატრია (საერთოდ მედიცინა) ვერ გახსნის იმ ტრაგედიის რთულ მექანიზმს, რომელიც თავს დაატყდა ნიცშეს (ძირითადად ვგულისხმობთ ლუესს და სულით ავადმყოფობას 1889 წლიდან 1900 წლამდე).

საჭირო იყო კიდევ **რალაგ**, და ეს რალაგ აღმოჩნდა ქრისტიანული რელიგია, რაც არ უნდა უცნაურად მოეჩვენოს ვინმეს. რელიგიამ მთლიანად გახსნა ეს მექანიზმი და განტოლებაში მრავალ უცნობს გასცა პასუხი. მოკლედ, თუ ფსიქიატრიამ პასუხი გასცა კითხვას «რა», «რა დაემართა ნიცშეს», მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ პასუხი გასცა კითხვას «რატომ». («რატომ დაემართა»). ამდენად წინამდებარე გამოკვლევა შედგება ორი ძირითადი

* თ. მანი. მოთხრობები. «საბჭ. საქართველო». თბ; 1966. ო. ჯინორიას წინასიტყვაობა.

ნაწილისაგან: 1. სამეცნიერო-ფსიქიატრიული. 2. რელიგიური.

ზოგადი სახით კი ვიტყვით, რომ ფსიქიატრია და რელიგია ერთმანეთთან გაცილებით უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, ვიდრე ჩვენ ეს დღეს გვგონია. საერთოდ ერთი გენიოსის თქმისა არ იყოს, მხოლოდ პატარა ცოდნა გვაშორებს ღმერთს, დიდი კი გვაახლოებს.

ვინაიდან ჩვენ შევეცადეთ დიდი ფილოსოფოსის ტრაგედია დაგვენახა (განგვეხილა) ორი აბსოლუტურად განსხვავებული რაკურსით, ზედმეტი არ იქნება, წინასწარ იცოდეს მკითხველმა, რომთავიდანჩვენშევეცდებითნიცშეს ფილოსოფიისემოციური საფუძვლების გააზრებას და მხოლოდ შემდეგ გადავალთ უშუალოდ ფსიქოპათოლოგიურ ნაწილზე.

*. ფსიქიატრიისა და რელიგიის ურთიერთკავშირის შესახებ იხ. გამოცემა “Православная психиатрия”, Москва, 1994.

კარი პირველი

ნ ა წ ი ლ ი I. Mania grandioza

ნიცმეს ფილოსოფიის ემოციური საფუძველი

თავი I. Mania grandioza – ემოციათა კომპლექსი

შეგვეძლო გვეხმარა უბრალოდ «განდიდების მანია», მაგრამ ეს ტერმინი მთლიანად ვერ იტევს საკუთარ შინაარსს, ვინაიდან ამ მანიით შეპყრობილს გრანდიოზულობის შეგრძნება აქვს არა მარტო საკუთარ თავთან მიმართებაში, არამედ საერთოდ, გარე სამყაროსთან მიმართებაში. ამიტომაც ჩავთვალეთ, რომ ამ ფენომენის უფრო შესაფერისი სახელწოდება იქნებოდა სწორედ “Mania grandioza” (არა მარტო თვითგანდიდება, არამედ ლტოლვა საერთოდ გრანდიოზულობისადმი). ეს უკანასკნელი, ჩვენის აზრით, წარმოადგენს არა ერთ ან ერთგვაროვან ემოციას, არამედ მსგავს ემოციათა მთელ კომპლექსს, რომელთაგან თითოეული სთენიური და განსაცდელად სასიამოვნო, ხშირად ექსტაზურიც (ექსტატიური), ახლავს ეიფორია, აწეული განწყობა, საკუთარ შესაძლებლობათა გადაჭარბება, ხშირად სინტონიურობა, ამასთან აგრესიულობა და მისთ.

ჩვენი აზრით, Mania grandioza უკვე ავადმყოფობაა, რაც არ უნდა სუსტად იყოს იგი გამოხატული, ხოლო მკვეთრი განდიდების მანია ხშირად ახასიათებს ზოგიერთ ფსიქოზს (ფსიქიკურ დაავადებას). თუმცა ზოგ შემთხვევაში ეს ფენომენი შეიძლება წარმოადგენდეს პიროვნების კონგენიტალურ ქარაქტეროლოგიურ თავისებურებას.

ამკარად გამოხატული Mania grandioza აქვთ დიქტატორებს (ჰიტლერი, მუსოლინი, ჩაუშესკუ, ფრანკო და სხვები.), არაიშვიათად – ხელოვან ხალხს. ემოციათა შკალიდან (უხეშად რომ ვთქვათ) ძნელია ზუსტად გამოყოფა Mania grandioza-ს საზღვრებისა, მაგალითად, ძნელია, გარკვევა, სად მთავრდება ჯანსაღი ჰეროიკულობა და სად იწყება Mania grandioza. ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიამ ერთ პიროვნებაში შეიძლება აღძრას ჯანმრთელი ჰეროიკული განცდები, (ვინც არ არის «სნეული» განდიდების მანიით), ხოლო მეორეში, (ვინც მიდრეკილია) – განდიდების მანიისთვის დამახასიათებელი ექსტაზი. იგივე შეიძლება ითქვას რიჰარდ ვაგნერის მუსიკაზე, რომლითაც თავდაპირველად ასე იყო შთაგონებული ნიცშე, და შემთხვევითი არ არის, რომ ჰიტლერის საყვარელი კომპოზიტორიც სწორედ ვაგნერი იყო. ჰიტლერში მისი მუსიკა სწორედ «გრანდიოზამანიაკალურ» განცდებს აღძრავდა და არა ჯანსაღ ჰეროიკულ გრძნობებს – გამომდინარე თავად დიქტატორის ნატურიდან, რადგან ერთია შექმნა ნაწარმოებისა, და მეორეა სუბიექტის მიერ მისი აღქმა საკუთარი ემოციური სამყაროს მიხედვით. ნაწარმოების აღქმის აქტი ხომ სინთეზია ავტორის მიერ ხორცშესხმული ჩანაფიქრისა და აღმქმელის სუბიექტურ-ემოციური სამყაროსი. რადგან ვაგნერი ვახსენეთ, აქვე ვიტყვით, რომ ჩვენის აზრით, მისი მუსიკა შეიძლება ჩაითვალოს პირობით საზღვრად Mania grandioza-სა და ჯანმრთელ ჰეროიკულ აღტყინებას შორის.

დავუბრუნდეთ პირველთქმულს: Mania grandioza არის მძაფრი ვნება, ხშირად

* სთენიური – დადებითი, სასიამოვნო, ასთენიური – პირიქით შემაწუხებელი, უარყოფითი – მდგომარეობა ან განცდა.

**სინტონიურობა – სწრაფვართიერთობისაკენ, აქტიური ქმედებისაკენ, კონტაქტურობა, ზედმეტი მხიარულება და სიტბო, ხანდახან აღიქმება, როგორც პათოლოგიური სიმპტომი. ასინტონიურობა – პირიქით, საწინააღმდეგო მოვლენა.

***სხვათაშორის, დიმიტრი უზნაძის «განწყობის თეორიასთან» აქვს საერთო ზემოთქმულს.

ვიტალური. ვთქვით, რომ ეს არის ერთობლივი ემოციათა კომპლექსი, ახასიათებს მძაფრი ექსტაზი, «ჰეროიკულად» აწეული გუნება-განწყობა, აგრესიულობა, საკუთარი სიდიადის (სიძლიერის) შეგრძნება, ენერჯის მოზღვავეების შეგრძნება, ალტყინება და აგრეთვე, რაც შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანია, მაგრამ აღსანიშნავი: ამ ალტყინების ობიექტი შეიძლება იყოს კონკრეტული გარემო, საგნები, მოვლენები და არა მარტო საკუთარი თავი ან შესაძლებლობანი.

ასეთ განსაკუთრებულ გარემოში, საგნებსა და მოვლენებში ჩვენ ვგულისხმობთ, მაგალითად, ომს, სამხედრო ალღუმს, ბუნებრივ გარემოცვას (დიდი მთები, კლდეები, არწივები – უკანასკნელს პირობითად ვუწოდოთ რომანტიული შეფერილობის Mania grandioza–განდიდების მანიის სწორედ ამ ფორმით «დაავადდა», სხვათაშორის, ნიცშე: – მოვიგონოთ მისი «არწივები, ლომები, ვეფხვები» და სხვა.).

ჩვენის ღრმა რწმენით, ნიცშეს მსოფლმხედველობრივი მეტამორფოზის მიზეზი სწორედ განდიდების მანია იყო. როდის და როგორ გაჩნდა იგი მისი ფსიქიკის გრძნობით სფეროში, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

არსებობს Mania grandioza -ს უფრო «წყნარი» ფორმებიც, რომელთა არსი გამოიხატება ძალაუფლებით პასიურ ტკობაში ყოველგვარი ეგზალტაციის გარეშე, მაგრამ ამჟამად ეს ჩვენს ინტერესს არ წარმოადგენს.

დავუბრუნდეთ ისევ ნიცშეს «მსოფლმხედველობრივ მეტამორფოზას». ჰქონდა კი მას ადგილი სინამდვილეში, ამაზე ძნელია დღეს პასუხის გაცემა. თუ ემოცია შობს იდეას, მაშინ შესაძლოა ნიცშეს გასჩენოდა «ფაშისტური» იდეები, მაგრამ ეს იდეები ორგანულად ეწინააღმდეგებოდნენ ნიცშეს თავდაპირველ ნატურას. ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი პიროვნების **გაორებაზე, ამბივალენტობაზე** და სხვ. თუკი, პირიქით, იდეა შობს ემოციას, მაშინ ნიცშეს არ უნდა გასჩენოდა ამგვარი კარდინალური ცვლილებები «მსოფლმხედველობრივ ბირთვში». ჩვენ უფრო პირველი მოსაზრებისკენ ვიხრებით, მით უმეტეს, რომ ნიცშეს გარკვეულ პერიოდში ჰქონდა აშკარა **გაორება**. ამ გაორებაზე ჩვენ შემდგომ კიდევ გვექნება საუბარი უფრო დაწვრილებით. თანამედროვე ფსიქიატრიაში (раздвоение личности) შეცვლილია ტერმინით დისოციაციური აშლილობა (Диссоциативное расстройство) ამ თემას აუცილებლად შევხებით ნიცშესთან მიმართებაში.

თავი II. Mania grandioza როგორც ამპარტავნება

ქრისტიანული რელიგია ამპარტავნებას უპირველეს ცოდვად მიიჩნევს. თითქოს უცნაურია, რატომ უნდა იყოს ამპარტავნება პირველი ადამიანური ცოდვა, ან ცოდვა საერთოდ. განა სიამაყე, «ღირსების გრძნობა», ცოდვად ჩაითვლება? ხდება მკვლელობები, მარცვა, არის გარყვნილება – და მაინც, – ქრისტიანული მორალის მიხედვით პირველი ცოდვა ამპარტავნებაა.

ახლა, მკითხველის ნებართვით, მცირე ხნით გადავუხვევთ თემას და ისევ Mania grandioza-ს დავუბრუნდებით. უკვე ვთქვით, რომ ჩვენის აზრით, ეს არის გრძნობათა კომპლექსი. ვეცდებით განვსაზღვროთ, კერძოდ რომელი გრძნობებია (შეგრძნებები, ემოციები) ამ კომპლექსში:

1. ძალაუფლების ვიტალური მოთხოვნილება.
2. საკუთარი ძლიერების შეგრძნება.
3. სიამაყე.
4. აგრესია.

აქ ისლა დაგვრჩენია, ჩვენი აზრი გამოვთქვათ, რომ Mania grandioza იგივე ამპარტავნებაა, ამპარტავნების უმაღლესი და მძაფრი გამოვლინება, ამიტომ შემდგომ ჩვენ ამ ორ ცნებას ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოვიყენებთ.

რელიგიური თვალსაზრისით ამპარტავნება (Mania grandioza) **გულისთქმად** ითვლება. «გულისთქმა» კი ყოველგვარი ცოდვის წყაროა, მითუფრო ასეთი ძლიერი ვნება. თქმულის დასტურია კაცობრიობის მთელი ისტორია, სადაც ეს ვნება სხვადასხვა ფორმებში ვლინდებოდა – ძირითადად კი სისხლიან ომებსა და ტირანიებში. **გულისთქმა შობს ცოდვას.**

ამპარტავნებავეა ემოციური საფუძველი არა მარტო ნიცშეანიზმისა, არამედ ფაშიზმის, როგორც მოვლენის

თავი III. ნიცშეანური ფილოსოფიის ესთეტიკური და რომანტიკული საბურველი

გამოთქმაში «ნიცშეს ფილოსოფია» ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ მის იმ ნააზრევს, რომელიც «ძალაუფლების ნებას» ეხება, განსაკუთრებით ფილოსოფოსის ძირითად თხზულებას «ესე იტყოდა ზარატუსტრა».

ნიცშეს ფილოსოფია (ბოლოდროინდელი შემოქმედება) მთლიანად «შთაგონებულია» განდიდების მანით, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს არ არის «სუფთა» Mania grandioza ანუ სასვეა ესთეტიზმისა და რომანტიზმისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი სახეებით, რაც ყურადღებას უთუოდ იმსახურებს.

ნიცშეს, ჩვენი აზრით, **ჰქონდა** Mania grandioza **რომანტიულ-ესთეტიური შეფერილობით** (წაფენილობით). რომანტიზმი და ესთეტიზმი აქ გამომდინარეობს ნიცშეს «ბირთვოვანი», პრემორბიდული თვისებებიდან (გავიხსენოთ მწერლის გატაცება პოეზიით, მუსიკით, ელინური კულტურით, ბერძნული ესთეტიზმითა და ანტიკით ახალგაზრდულ წლებში). ნათელი რომანტიულობა და ესთეტიზმი ნიცშეს «ბირთვოვანი», «თანდაყოლილი» თვისებებია.

ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე მწერლის ფსიქიკაში ხდება თანდათანობითი გარდატეხა და ცვლილებები (მის ზოგიერთ თხზულებაში ეს თვალსაჩინოა). ნიცშეს ფსიქიკის ემოციურ სფეროში ჩნდება და ვითარდება Mania grandioza. რაც მანამდე უცხო იყო ფილოსოფოსის ნატურისათვის. ალბათ ამიტომ «შეიმოსა» ნიცშეს განდიდების მანია რომანტიულ-ესთეტიური საბურველით, რომანტიულობა და ესთეტიზმი ხომ ნიცშეს პრემორბიდული პიროვნების ძირეულ, «ბირთვულ» ნიშნებს წარმოადგენდნენ.

მოცემულ შემთხვევაში, ჰიპოთეტიურად შეგვიძლია დავუშვათ, რომ მოხდა გარკვეული «переливание».

ამჯერად საჭიროდაც არ მიგვაჩნია ვრცელი ციტატების მოყვანა «ესე იტყოდა ზარატუსტრადან», იმდენად გაჯერებულია ეს წიგნი არწივების, ლომების, მგლების რომანტიზმითა და ესთეტიზმით დიდი შავი მთების, ცეცხლოვანი მზის, «უბიწო და ღრმა ზეცის» რომანტიზმითა და ესთეტიზმით. აქ არის პალმებისა და ქოქოსების ეგზოტიკაც, ჭრელი ჩხრიალა გველების და ზოლიანი ვეფხვების ეგზოტიკა, «ზამთრის თოვლწვერა ცის», ზამთრის სიმკაცრის აპოლოგია და ა.შ.

გავიმეორებთ ჩვენს აზრს, რომ ნიცშეს Mania grandioza არ იყო სუფთა განდიდების მანია, **მას ჰქონდა ერთგვარი რომანტიულ-ესთეტიური სახე.**

მიუხედავად ამისა, ეს არ ცვლის ნიცშეანიზმის, როგორც ფენომენის, მოძღვრების, არსს და ამორალურ ხასიათს. ნათელია, რომ ვერანაირი ვიწრო ესთეტიზმი და რომანტიზმი ვერ გაამართლებს იდეატორულ მაკიაველიზმს.

* Nietzsche Friedrich. «Also sprach Zarathustra» Lpz, 1926.

** მკითხველს ბოდიშს მოვუხდით, რომ ვერ ვიპოვნეთ ამ სიტყვის შესაბამისი ქართული ეკვივალენტი.

ნ ა წ ი ლ ი II.

ნიცშეს ფსიქოპათოლოგია ფსიქოზამდე

თავი I. გენეტიკა და სავარაუდო ადრეული სიმპტომები

ნიცშეს გვარის ფსიქიკურ-კონსტიტუციონალური თავისებურებანი, სამწუხაროდ, ჩვენთვის დღეს უცნობია, ამიტომ ამ გზით შეუძლებელია დადგენა იმისა, იყო თუ არა ნიცშეს გვარი გენეტიკურად საერთოდ მიდრეკილი ფსიქიკური აშლილობებისაკენ (საერთოდ უამრავი გვარის გენეტიკაში დევს ასეთი მიდრეკილება (предрасположенность к болезням), თუმცა ასეთი გვარის ბევრი წარმომადგენელი ცხოვრების ბოლომდე ჯანმრთელია, მაგრამ გარედან რაიმე უარყოფითი ფაქტორის ზემოქმედების შემთხვევაში, ე.წ. ეგზოგენური ბიძგის შემთხვევაში (საპროვოკაციო ფაქტორი) ადვილად შეიძლება განვითარდეს ფსიქიკური აშლილობა.

გადმოცემით და ბიოგრაფიული მონაცემებით ვიცით, რომ ნიცშე ბავშვობაში იყო არაორდინალური ბავშვი. «... დამოუკიდებლობისა და განმარტოების მოყვარული «პატარა პასტორი» (ასე ეძახდნენ ფრიდრიხს მისი ამხანაგები) . . . სწავლის პერიოდშივე იწყება ნიცშეს ბრძოლა საკუთარ თავთან – საკუთარ ღვთისმოსაობასთან.» (თამაზ ბუაჩიძე).

ეს ტექსტი ფსიქიატრისთვის საკმაოდ საინტერესო მასალას შეიცავს. კოკეტობა და მათი დახვავება არაა ჩვენი თვითმიზანი, უბრალოდ სხვაგვარად ძნელია ტრაგედიის გაშუქება ფსიქიატრიული რაკურსით.

კერძოდ, ჰიპოთეტიურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნიცშეს ბავშვობაში ჰქონდა შიზოიდური გადახრები – თუმც ეს მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება.

ფსიქოპათია არის ე.წ. მოსაზღვრე მდებარეობა. (ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ფსიქიატრიაში დაავადებათა ეს ჯგუფი ნოზოლოგიურად კვალიფიცირდება, როგორც ნორმასა და ფსიქოზს შორის შუამდებარე «რგოლი»). ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს მარტო **შიზოიდური ფსიქოპათია**, ორი მიზეზის გამო:

1. ზემოთმოტანილ ციტატაში ჩანს შიზოიდური ნიშნები.

2. ჩვენი ჰიპოთეზით, 1889 წელს ნიცშე დაავადდა შიზოფრენიით. შიზოიდური ფსიქოპათია კი ხელსაყრელი ნიადაგია ამ ავთვისებიანი ფსიქოზის აღმოცენებისათვის.

გავარჩიოთ ზემოთმოყვანილი ციტატა მოზარდთა **ფსიქოპათოლოგის ოპტიკით**:

ა. «დამოუკიდებლობისა და განმარტოების მოყვარული «პატარა პასტორი».

აქ უკვე თვალწინ წარმოგვიდგება გიმნაზიელი ნიცშე: გულჩათხრობილი («განმარტოების მოყვარული»), უკვე ფილოსოფიურად მოაზროვნე, როგორ გაურბის მასზე ინტელექტით დაბლა მდგარ თანატოლებს («დამოუკიდებლობა» აქ ამას ნიშნავს), რატომ უნდა იყოს სრულფასოვანი ბავშვი «განმარტოების მოყვარული?» გიმნაზიელი ნიცშე –

*გარეგნული, გარეგანი მიზეზით განპირობებული, ენდოგენური – პირიქით, ორგანიზმის შინაგანი მიზეზით განპირობებული დაავადება. ეგზოგენურია დაავადება, რომელიც ვითარდება, ვთქვათ, ფსიქოტრავმის, სტრესის, ან მექანიკური ტრავმის შედეგად. ენდოგენური ფსიქიკური დაავადებები ძირითადად გენეტიკური პათოლოგიის შედეგია, ამ რიგში ერთიანდება მემკვიდრეობითი ფაქტორიც.

**ზოგადად ვამბობთ, რადგან ფსიქიატრობაზე პრეტენზია არ გვაქვს. ნიცშეს კი ისეთ პიროვნებად ვთვლით, ვისთვისაც ღირდა ამ სფეროში საფუძვლიანად ჩახედვა. აქვე ვიტყვი, რომ სპეციფიკური ტერმინებით

წყნარი და ყოველგვარი ავანტიურებისგან შორს მდგარი.

ბ. მას «მეგობრები» ეძახდნენ «პატარა პასტორს». ალბათ, დაცინვით, ვინაიდან ნიცმე მონაწილეობებს არ იღებდა მათ «ცელქობებში» და გამოირჩეოდა აზროვნებისკენ მიდრეკილებით. სიტყვა «მეგობრები» ბრჭყალებში ჩავსვით იმიტომ, რომ შიზოიდურ ფსიქოპათებს მეგობრები არა ჰყავთ და მარტოსულნი არიან.

ამ პორტრეტში სპეციალისტმა შეიძლება დაინახოს შიზოიდური ფსიქიკის მოზარდი.

პირველ რიგში ვნახოთ «ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონი»: «შიზოიდი – გულჩათხრობილი, გამოუთქმელი, აუტისტურად განწყობილი». (აუტიზმი ერთ-ერთი სპეციფიური ნიშანია შიზოფრენიისა, ამაზე მოგვიანებით).

ფაქტია რომ 1889წ. ნიცმე რომელიღაც ფსიქოზით დაავადდა, რადგან ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, თუ რომელი იყო ეს ფსიქოზი (შიზოფრენია, ციკლოფრენია – მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი, შიზოაფექტური, რეაქტიული, ატიპიურ-აფექტური თუ სხვა) და რა იყო მისი გამოწვევი მიზეზი, ასევე რა გზით განვითარდა ფსიქიკის რღვევა, ამიტომ შესაძლებელია დაავადების ფესვები ვეძებოთ ნიცმეს გვარის გენეტიკურ კონსტიტუციაშიც, მისი ბავშვობის პერიოდის პერსონოლოგიაშიც და სხვა მონაცემებშიც. ცხადია, ფსიქოზის განვითარებაში თავისი როლი შეასრულა ე.წ. «ძალაუფლების ნებამაც», ყოველ შემთხვევაში, მწერლის პერსონაში განდიდების მანისის «გამოჩენა» ნიშანია სწორედ იმ «პიროვნული თვისებებისა» (изменение личности), რომლებიც ასე ახასიათებს შიზოფრენიას. ეს ცვლილებები სტოიკურად ვითარდება და პროგრედიენტულ ხასიათს ატარებს, განშლადია და ა.შ.

მაგრამ ეს ყოველივე მოხდება მოგვიანებით. ამჟამად ჩვენ გვინტერესებს ნიცმეს მოზარდობის პერიოდი და ამ დროს შესაძლებელი ფსიქოპათიური (კერძოდ შიზოიდური) გადახრები.

აი, რას წერს ძველი ქართული ფსიქიატრიული სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ა. ზურაბაშვილი.

“... ფსიქოპათია არ არის ნორმა და არც ფსიქოზი (ანუ მოსაზღვრე მდგომარეობაა. რ.ნ.)”. მართალია, იგი იქვე წერს, რომ დაუშვებელია ფსიქოპათიის გადაზრდა ფსიქოზში, მაგრამ თანამედროვე ფსიქიატრია ამ აზრს არ იზიარებს - საერთოდ, ა. ზურაბაშვილის ბევრი დებულება მოძველებულად უნდა ჩაითვალოს.”

მეტად საყურადღებოა მისი აზრები შიზოიდური ფსიქოპათიის შესახებ:

“... **აღსანიშნავია ... მიდრეკილება მარტოობისადმი, აბსტრაქციული** (ამ შემთხვევაში ნაადრევად ფილოსოფიური. რ.ნ.) **აზროვნება** რეზონიორობით და ავადმყოფური ბრძნობით.”

რეზონიორობაც შიზოფრენიული სიმპტომია, მისი არსი ფუჭი “ბრძნადმეტყველება”, მაგრამ ახასიათებდა თუ არა ნიცმეს ეს გიმნაზიის პერიოდში, ამაზე თავს ვერ დავდებთ.

ახლა ვნახოთ, რას წერს ამ თემაზე ცნობილი თანამედროვე ამერიკელი ფსიქიატრი ე. ფულლერ ტორეი:

“люди с психозными расстройствами одиноки. эмоционально холодны (“პატარა პასტორი”) Они как бы оторваны от окружающей их действительности Озабочены

* ბ. სვანი, ლ. ნაკაშიძე. ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი 1977.

** მაგალითად, ზურაბაშვილის სკოლის აზრით, შიზოფრენიული დეპრესია ყალბია, თანამედროვე ფსიქიატრებმა დასავლეთში (იხ. E.Fuller Torrey, Surviving Schizophrenia, Harperperennia, 1997 გააბათილეს ეს მოსაზრება. რაც შეეხება აკადემიკოსის დროინდელ მკურნალობის მეთოდებს, დღეს აღარც ერთი მათგანი აღარაა თითქმის შემორჩენილი. თითოეული წელიწადი ფსიქიატრიისათვის და განსაკუთრებით ფსიქოფარმაკოლოგიისათვის თითო წინ გადადგმულ ნაბიჯს ნიშნავს.

своими фантазиями и анализом собственных переживаний....

Теоретически подобные расстройства (шизоидные, параноидные и шизотипические. Р.Н.) могут рассматриваться как слабо выраженная форма ётого заболевания.”

თუკი გერმანელი მწერალი დაავადდა სწორედ შიზოფრენიით, როგორც ამას ჩვენ ვვარაუდობთ და ვარაუდის ჭეშმარიტებაში დარწმუნებულნი ვართ, მაშინ მოზარდობის პერიოდში მისი ასეთი “მარტოსულობა “ ნიშანდობლივია. ისევ და ისევ ჰიპოთეტიურად შეგვიძლია დავუშვათ, რომ ნიცშეს გვარი კონსტიტუციურ-გენეტიკურად არ იყო საკმარისად თავდაცვისუნარიანი შიზოფრენიის მიმართ, ანდა სულაც მიდრეკილი იყო ამ დაავადებისადმი. ნიცშეს ფსიქიკის აშლისთვის კი (ვგულისხმობთ ფსიქოზს, რომელიც გაცილებით გვიან ჩამოყალიბდება) საკმარისი რაიმე სერიოზული ბიძგი გარედან, - ძლიერი ეგზოგენური ფაქტორი, ან რაიმე ენდოგენური დარღვევა იქნებოდა.

დავუბრუნდებით ისევ თ. ბუაჩიძის ციტატას: “სწავლის პერიოდშივე იწყება ნიცშეს ბრძოლა საკუთარ თავთან, - საკუთარ ღვთისმოსაობასთან.”

შიზოიდური პიროვნება ჩვენ უკვე დავახასიათეთ: შიზოიდი არის გულჩათხრობილი, სიტყვაძუნწი, გაურბის თავყრილობებსა და საერთოდ საზოგადოებას, ჩაკეტილია საკუთარ თავში, უყვარს მარტოობა, განმარტოება და ა.შ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა შიზოიდი, ვისაც მარტოობა უყვარს. შიზოიდის პერსონა უნდა ხასიათდებოდეს თვისებათა მთელი კომპლექსით.

გ. ერთ-ერთი ასეთი ნიშან თვისებაა ე.წ. “ბრძოლა საკუთარ თავთან”. მთლიანი პიროვნებისათვის უცხოა ამგვარი რამ. ღვთისმოსაობა მსოფლმხედველობრივ-ემოციური გაგებაა, როგორც ჩანს, ნიცშეს ინტელექტი ნაადრევად მომწიფდა (ასეც არის სავარაუდო) ამიტომ ამ დროისთვის მწერლის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბებული იქნებოდა, ასე თუ ისე; ყოველ შემთხვევაში, იდეატორული ბირთვი ნიცშეს ფსიქიკაში უკვე სრულად იქნებოდა წარმოდგენილი. მომწიფებული გონება კი ან ღვთისმოსავია, ან არ არის ღვთისმოსავი. ყოყმანი, მერყეობა და «ბრძოლა საკუთარ თავთან», მითუმეტეს საკუთარ მსოფლმხედველობასთან, ნიშნავს იმას, რომ მოცემული ადამიანი ფსიქიკურად მთლიანი არ არის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ «ნიცშეს ეს ბრძოლა» იყო ინტრაფსიქიკური კონფლიქტი მერყევი და ცვალებადი კაცისა, ან იქნებ სულაც შიზოიდური ფსიქოპათის.

თავი II. პიროვნების გაორება, ანუ დისოციაციური აშლილობა და ნიცშე

ე.წ. პიროვნების გაორება (раздвоение личности) დაავადებაა, რომელიც თანამედროვე ფსიქიატრიაში შეცვლილია ტერმინით დისოციაციური აშლილობა.

ჩვენის აზრით, ეს შეიძლება იყოს დამოუკიდებელი დაავადებაც და გვხვდებოდეს სინდრომის სახითაც რომელიმე ენდოგენური ფსიქოზის სტრუქტურაში.

ისევ ფულლერ ტორეის მოვუხმობთ:

“Оно (раздвоение. Р.Н) встречается гораздо реже шизофрении, ...

В последние годы диссоциативное расстройство стало у психиатров довольно модным диагнозом ... Я знаю даже нескольких пациентов с явно выраженными признаками шизофрении, которым изменили диагноз на диссоциативное расстройство.”

* Э. Фуллер Торри «Шизофрения» ст.-Петербург 1997,gv 124. ¹/E. Fuller Torrei, “ Surviving Schizophrenia.” harperperennia/

** ეგზოგენურში, ცხადია, იგულისხმება ფსიქოგენურიც /ფსიქოგენური ფაქტორის მაგალითია, ვთქვათ,სტრესი, ფსიქოტრაუმული სიტუაცია, ემოციური შოკი. . . /

*** Э. Фуллер Торри «Шизофрения» скт-Петербург 1997,gv 139.

ამგვარად, გაორება ახლოს დგას შიზოფრენიის არსთან, თუმცა იგივე ფულლერ ტორეი ამ მოსაზრებას არასწორად მიიჩნევს.

ცნობილია, რომ ადამიანის ფსიქიკას აქვს სამი სფერო: აზროვნებით-ინტელექტუალური, გრძნობად-ემოციური და ნებელობითი. გაორების დროს ხშირად აქვს ადგილი სამივე სფეროს დარღვევას დისოციაციის სახით. აზროვნებითი სფეროს დისოციაციაში იგულისხმება «მსოფლმხედველობის გაორება» (მაგალითად, ადამიანი ერთდროულად იზიარებს ჰუმანიტურსა და ფაშისტურ იდეებსაც), ემოციური სფეროს გაორება გულისხმობს ემოციურ ამბივალენტობას (ადამიანს ერთიდაიგივე რაიმე უყვარს და თან სძულს), ნებელობის გაორება ვლინდება ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედებებსა და სურვილებში.

როგორც ვხედავთ, დისოციაციურ აშლილობას მრავალი საერთო აქვს შიზოფრენიულ სიმპტომატიკასთან.

რაც შეეხება ნიცშეს, ჰიპოთეტიურად შეიძლება მასზეც ვივარაუდოთ ეს გაორება გარკვეულ ეტაპზე. მისი ზოგიერთი თხზულება გვაძლევს ამის საფუძველს, ჩვენის აზრით.

ნიცშეს «ბრძოლა საკუთარ თავთან», როგორც ვთქვით, იდეატორული დისოციაციაა, მისი მერყეობა უფრო ემოციური სფეროს დისოციაციის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს.

გერმანელი ფილოსოფოსის გაორების ნიშნებს ჩვენ ვხედავთ მისი ფსიქიკის მესამე - ნებელობით სფეროშიც და ეს ჩანს მისი ბიოგრაფიის დეტალებში (ესე იგი სახეზე გვაქვს მთლიანად პიროვნების გაორება და არა ფსიქიკის მხოლოდ ერთი - იდეატორული სფეროსი):

ისტორიულად ვიცით, რომ ნიცშე ახალგაზრდობაში გატაცებული იყო საბერძნეთით და მისი ხელოვნებით. მალე იგი უარყოფს მას და საერთოდ დაეკარგება მისდამი ყოველგვარი ინტერესი. ნიცშეს მორიგი გატაცება ვაგნერია - ნიცშე აღტყინებულია ვაგნერის მუსიკით. რამდენიმე წლის მერე ნიცშე უკიდურესად აკრიტიკებს (რბილად რომ ვთქვათ) ვაგნერს და მის მუსიკას. იგივე ბედი ეწევა ართურ შოპენჰაუერს თავის თხზულებასთან ერთად.

“Menschliches, ALLzumenschliches” (1878) ნიცშესსავსებით მეტამორფოზისსარკეა». ასეთი ხშირი მეტამორფოზები ალბათ მეტისმეტია ერთი კაცისათვის, თუნდაც გენიოსისთვის. ნიცშე არა მარტო პატივისცემას კარგავს ძველი სათაყვანებელი «კეპებისადმი» (საბერძნეთი, ვაგნერი, შოპენჰაუერი...), არამედ სიამოვნებით ლანძღავს იმას, რითაც გუშინ საზრდოობდა.

ასეთი მერყეობა ეჭვმიუტანლად არაჯანსაღია, და მოწმობს ფილოსოფოსის ფსიქიკის მთლიანობის დეფექტზე, ეს დეფექტი, ჩანს, ვლინდებოდა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ფსიქოზით დაავადებამდე.

ჩვენი დასკვნით, ფრიდრიხ ნიცშე იყო უკიდურესად მერყევი, სწრაფად აზრცვალებადი, ფსიქიკურად სუსტი და არამდგრადი პიროვნება, იგი მეტისმეტად შორს იდგა იმ «ძლიერებისაგან», რომელსაც ეთაყვანებოდა (შემდგომ). ყოყმანი, არამდგრადობა, მერყევი ხასიათი და ნერვული სისტემის ლაბილურობა (სისუსტე), ფსიქიკური სისუსტე, ვფიქრობთ, შეადგენდნენ მწერლის კონგენიტალურ - თანდაყოლილ თვისებებს.

* ფრიდრიხ ნიცშე. «ესე იტყოდა ზარატუსტრა», თბ-93, იხ. ერეკლე ტატიშვილის წინასიტყვაობა. გვ.8.

თავი III. პრემორბიდი, *Mania grandiosa* -ს «ჩანერგვა» და გენერალიზაცია, ფსიქიკური მთლიანობის რღვევა

«ფსიქიატრიულ ენაზე» პრემორბიდი ნიშნავს პიროვნებას დაავადებამდე (ანუ როგორც იყო ის და ა. შ.) ნიცშეს პრემორბიდი ჩვენ ზემოთ უკვე მოვხაზეთ ნაშრომში, ამჯერად შედარებით საფუძვლიანად შევეცადოთ მისი პრემორბიდული «პორტრეტის» დახატვას. მწერლის ცხოვრების ტრაგიკული პარადოქსი ისაა, რომ იგი აბსოლუტური ანტიპოდი იყო იმისა, რაც უნდოდა რომ ყოფილიყო. ამიტომაცაა, რომ ნიცშეანიზმი, როგორც ფენომენი, თავისი «კრიტიკიუმებით» (ზეკაცი, ძალა, ძალაუფლება, სიამაყე, კულტურისმოძულეობა და ა.შ.) არსობრივად უპირისპირდება თვით შემქმნელის - ნიცშეს ჭეშმარიტ ნატურას.

საწყის ეტაპზე ამგვარი «ნიცშეანური» (ფაშისტური) იდეალები არც ჰქონია მწერალს - იგი იყო უნიჭიერესი, ერუდირებული, კულტუროსანი, მეცნიერ-სწავლული, არაფერი ჰქონდა ცივილიზაციისა და კულტურის საწინააღმდეგო, სულიერად საზრდოობდა ნათელი რომანტიზმით, იყო ასევე ესთეტი, გარდა ამისა, ინტელექტუალი (კეთილი და ნაზი ინტელიგენტი). მისთვის უცხო იყო ავანტიურისტული ლტოლვები და სხვა. თომას მანი კარგად გვიხასიათებს მის თავდაპირველ ბუნებას, როგორც ბუნებას ღრმა ჰუმანისტისას: «[ნიცშე იყო] სიყვარულისა და მეგობრობისათვის გაჩენილი». სხვა ადგილას მანი ამბობს, რომ მწერალს ჰქონდა «ნაზი, სალუქი და კეთილი სული,» «ამბობდნენ კაცთმოყვარე და ჰუმანისტური ზრახვები». . .

ასეთია ჯანმრთელი ნიცშე.

მერე ხდება რაღაც, (შემდეგ შევეცდებით ამ «რაღაცის» გარკვევას), და ნელ-ნელა იცვლება ნიცშეს პიროვნება, მწერალს ეცვლება მსოფლმხედველობა, მსოფლაღქმა, მსოფლგანცდა, ბოლოს კი იგი ფსიქოზით ავადდება.

ცხადია, იყო რაღაც მიზეზი, რომელმაც ასე შეცვალა ადამიანი. მიზეზის გარკვევამდე ვეცადოთ განვსაზღვროთ, როგორ იცვლებოდა ნიცშეს პიროვნება «შეშლილობამდე».

«არათანადროულ ფიქრებამდე» ფრიდრიხ ნიცშეს პიროვნებას, მის ფსიქიკას რაიმე ძირეული ცვლილება არ განუცდია. მწერალი ისეთივე იყო, როგორც ჩვენ ზემოთ აღვწერეთ პრემორბიდში. ესე იგი, იყო ფაქტობრივად ფსიქიკურად ჯანმრთელი ინდივიდი. მეტ-ნაკლებ «მერყეობებს» არ ვგულისხმობთ.

«არათანადროული ფიქრები» ოთხი ნაწარმოების კრებულია - «დ. შტრაუსი, როგორც აღმსარებელი და მწერალი», «ისტორიის სიკეთე და სიძველე სიცოცხლისათვის», «მოპენჰაუერი როგორც აღმზრდელი», «რიჰარდ ვაგნერი ბაიროითში». «არათანადროული ფიქრები» იწერებოდა 1872-1876 წლებში.

სწორედ ამ პერიოდში ხდება გარდატეხა, ანუ ის რაღაც, რაც ზემოთ ვთქვით. ამ ნაწარმოებებში ნიცშე უკვე აღარ არის ის მწერალი, რომელსაც ჩვენ აქამდე «ვიცნობდით».

ისევე ბ-ნ თამაზ ბუაჩიძეს მოვუსმინოთ:

«ამ დროს ავტორი შენატრის თავის ეპოქაზე მაღლა მდგომ **ძლიერ ინდივიდს**, (ხაზი ჩვენია რ.ნ.) გამორჩეულს, გენიოსს, საკუთარი ნების კარნახით მოქმედ ადამიანს. ის თვლის, რომ ისტორიის მიზანია სწორედ ასეთი, კაცობრიობის **უმაღლესი ეგზემპლარების** (ხაზი ჩვენია. რ.ნ.) შექმნა. შემდგომ, «ზარატუსტრაში» ეს აზრი ზეკაცის შესახებ მოძღვრებად გადაიქცევა»^{*}

სწორედ ამ პერიოდში ჩნდება ნიცშეს ფსიქიკაში *Mania grandiosa*, ანუ ავადმყოფობის პირველი სიმპტომი. 1889 წელს კი არ დაიწყო ნიცშეს ფსიქიკური აშლილობა, ამ წელს

^{*}ფ. ნიცშე. «ესე იტყოდა ზარატუსტრა». თბ-93, თ. ბუაჩიძის ბოლო სიტყვა, იხ. გვ. 248.

მოხდა ფსიქოზის მანიფესტაცია, მანიფესტაციას კი წინ უძღვის ავადმყოფის ინიციალური პერიოდი. ნიცშეს დუნედ მავალი ინიციალური სტადია, ჰიპოთეტიურად დაიწყო 1870-იანი წლების დასაწყისიდან და თანდათანობით განვითარების გზით გაუგრძელდა 1889 წლამდე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაახლოებით 1870 წელს ნიცშეს პრემორბიდულ ჯანსაღ ფსიქიკაში «ჩაინერგა» მანამდე მისთვის უცხო Mania grandiosa, შემდგომ მოხდა მისი გაშლა-გენერალიზაცია. ეს თანდათანობითი გენერალიზაცია განდიდების მანიისა კარგად ჩანს მწერლის შემდგომ თხზულებებში. აქ თვალსაჩინოა, როგორ იზრდება ის ვნება, გულისთქმა და შესაბამისი იდეებიც ყალიბდება, რომელსაც ჩვენ Mania grandiosa ვუწოდეთ. «ესე იტყოდა ზარატუსტრაში» ეს გულისთქმა უკვე თავის პიკს აღწევს და სულ მალე იწყება ნიცშეს ფსიქოზის მანიფესტაცია.

საერთოდ ფსიქოზი ისეთივე დაავადებაა ადამიანის ორგანიზმისა, როგორც, ვთქვათ, ღვიძლის ცეროზი, იმ განსხვავებით, რომ ბოლო შემთხვევაში ავადდება ღვიძლი, პირველ შემთხვევაში კი - ტვინი. ე. ი. ფსიქოზი არის ტვინის ორგანული დაავადება და დღესდღეობით უკვე დამტკიცებულია მეცნიერების მიერ, რომ შიზოფრენია ტვინის ისეთივე ორგანული დაავადებაა, როგორც, ვთქვათ სიმსივნე.

დარდისა და მწუხარებისაგან ერთ დღეში გაგაჟება და მსგავსი აბდაუბდა მოგონილია ზოგიერთი ფანტაზიორ-რომანტიკოსი მწერლის მიერ, სინამდვილეში ასეთი რამ არ არსებობს. ფსიქოგენურმა მიზეზებმა შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია (დეპრესიული სინდრომი), სხვადასხვა სახის ნევროზები, ანუ ფუნქციური ამოვარდნები: ისტერია, ნევრასთენია, ფსიქასთენია, უკიდურეს შემთხვევაში რეაქტიული ფსიქოზი, მაგრამ ისეთ ავთვისებიან და რთულ ფსიქოზს, როგორც შიზოფრენიაა, ეგზოგენური **ფსიქოგენური** ფაქტორი - დარდი, მწუხარება, სტრესი და სხვა - **ვერ გამოიწვევს**.

მამსადამე, ნიცშეს ფსიქიური აშლილობა დაიწყო შეუმჩნეველად, ფარულად, თანდათანობით და დაიწყო იგი მისი **პიროვნების რღვევით**: პიროვნული მთლიანობის რღვევით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს რღვევა იყო ბირთვული, ბირთვოვანი, ანუ დისჰარმონიზაცია პირველ რიგში შეეხო ნიცშეს პიროვნების ბირთვს.

როგორც ვთქვით, პირველი სიმპტომი იყო Mania grandiosa -ს გაჩენა ფსიქიკის ემოციურ სფეროში.

თემას ცოტა წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ რადგანაც, ჩვენი რწმენით, ნიცშე დაავადდა **ბირთვოვანი შიზოფრენიით**, ამიტომ ფსიქოზს მის შემთხვევაში ექნებოდა **პროგრედიენტული ხასიათი**. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

1870 წლიდან 1889 წლამდე Mania grandiosa, როგორც ემოციური კომპლექსი (უხეშად რომ ვთქვათ) იშლება და ძლიერდება მწერლის ფსიქიკაში, გენერალიზდება, იწვევს მისი პიროვნული მთლიანობის რღვევას, აქედან იწყება შიზოფრენიული პროცესი, ფსიქიკის სამივე სფეროს დისჰარმონიზირება. ცხადია, ეს ხდებოდა მეტისმეტად დუნედ, ნელ-ნელა. ყოველივე აქ თქმულის სარკვა თავად ფილოსოფიის თხზულებანი, ნიცშესთვის აბსოლუტურად შეუმჩნეველად. მაგრამ რადგან ფსიქიკური ცვლილებები პიროვნების ბირთვს შეეხო, აუცილებლად დადგებოდა ფსიქიკური დაავადების მანიფესტაციის დრო ანუ, «პოპულარულად» რომ ვთქვათ, «გაგიჟების დრო». დადგა კიდეც 1889წ. . უკანასკნელ წერტილამდე ახლობლები ალბათ ამჩნევდნენ ცვლილებებს ნიცშეს ხასიათში, მაგრამ ამაზე დაწვრილებით შეჩერება არ ღირს.

«ზარატუსტრამდე» ნიცშემ დაწერა «მხიარული მეცნიერება». ეს ნაწარმოები,

* საწყისი, შეფარული.

ფაქტობრივად, «ზარატუსტრას» პრელუდიაა.

«ზარატუსტრას» წერა ნიცშემ 1883 წელს თებერვალში, გენუის მახლობლად, დაიწყო. თხზულების პირველი ნაწილი დაიწერა ათ დღეში. მეორე ნაწილი ასევე ათ დღეში შეიქმნა, იმავე წლის ზაფხულში სილსმარიაში ყოფნისას; მესამე ნაწილი იწერებოდა 1884წ. ნიცაში. მეოთხე ნაწილი კი 1884-1885 წლებში ციურიხში, მენტონაში და ნიცაში დაიწერა. (თ. ბუაჩიძე.)

ამ დროს ნიცშეს განდიდების მანია პიკზეა. ეს «რომანტიული» Mania grandiosa აწერიანებს მწერალს ასეთ მოკლე დროში ე. ი. აღმაფრენით თავისი შემოქმედების ძირითად თხზულებას.

«ესე იტყოდა ზარატუსტრას» ფილოსოფიური განხილვა არაა ჩვენი მიზანი, ეს საკითხები «დადღეჰილი» და «გადადღეჰილია» უკვე კარგა ხანია. ჩვენ ამ ნაწარმოებს სხვა კუთხით განვიხილავთ.

პირველ რიგში, ეს არის ემოციური ტონით უხვად გაჯერებული და პათეტიკით გაჟღენთილი ნაწარმოები. ესეც ადასტურებს ჩვენს თვალსაზრისს, რომ ნიცშეანური ფილოსოფიის საფუძველი გარკვეული ემოციაა, ემოციები და ამ ემოციებზე აღმოცენებული იდეები თუ მოძღვრება. «ზარატუსტრა» სავსეა პათეტიური შემახილებით, ძლიერების აპოლოგიით, რასაც შესაბამისი ემოციური ტონი ახლავს და ა.შ.

ზოგი მკვლევარის აზრით, «ზარატუსტრაში» მთავარია იდეები, ხოლო პათეტიკა და სპეციფიური აღტყინებული ფრაზები მხოლოდ სამკაულია ამ იდეებისა, ერთგვარი «პოეტური სტილია».

ჩვენ პირიქით მიგვაჩნია: ნიცშეს ეს წიგნი აღტყინებამ დააწერინა, ვნებამ, ამიტომ მისთვის მთავარი იყო ემოცია, მანია, იდეები კი ერთგვარ ზამზარასებრ მექანიზმს წარმოადგენდნენ ამ ემოციების აღსაძვრელად. ფილოსოფოსისათვის მთავარი იყო გრძნობა, და არა მშრალი იდეა, უიდეო წიგნი ხომ არ არსებობს. ვფიქრობთ, პირიქით, ამ თხზულებაში გამოთქმული იდეებია თავად სამოსი იმ ვნებისა და აღტყინებისა, ჩვენ რომ Mania grandiosa -ს ვუწოდებთ.

უფრო მეტის თქმაც შეიძლება: ნიცშეს ჭეშმარიტება აღარც აინტერესებდა, მას აინტერესებდა მხოლოდ საკუთარი ვნება ცნობიერად თუ ქვეცნობიერად. ზემოთქმულია მიზეზი იმისა, რომ, ვთქვათ, კანტის, ჰეგელის და სხვათა ფილოსოფია «მშრალია», ნიცშესი კი - პათეტიკით გაჟღენთილი.

თავი IV. ზედირებულოვანი იდეები

« ესე იტყოდა ზარატუსტრაში», ზემოთქმულის მიუხედავად, მაინც არის რამდენიმე ცენტრალური იდეა, რომლებსაც ჩვენ **ზედირებულოვანი იდეები** შეგვიძლია ვუწოდოთ.

ვნახოთ ისევ ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონი:

«ზედირებულოვანი იდეა, - აზრი, რომელსაც სუბიექტი ემოციურად განიცდის და ცენტრალურ ადგილს იკავებს მის ცნობიერებაში »^{*}

ასე, რომ აქაც გრძნობითი მხარეა მთავარი და არა იდეატორული.

თავი V. ლუესის ფაქტორი

რადგან შიზოფრენიის, როგორც დაავადების გამომწვევი მიზეზი დღემდე უცნობია

* ბ. სვანი, ღ. ნაკაშიძე. ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონი. თბი, § 77.

(მიუხედავად ცალკეული ბუნდოვანი თეორიებისა), ამიტომ შეუძლებელია ყურადღების გარეშე დავტოვოთ ლუესის ფაქტორი.

ისტორიულად დადასტურებულია, რომ ნიცშე დაავადდა ლუესით, იგივე ათაშანგით, იგივე სიფილისით, - მიახლოებით 1870-იანი წლების მიწურულს. რატომღაც ავადმყოფობის პირდაპირ დასახელებას ერიდებიან ნიცშეს მკვლევარნი, ამბობენ «მძიმე სენს», «მძიმე ავადმყოფობას» და ა. შ.

«1879 წელს, ავადმყოფობის გამო, ნიცშე თავს ანებებს აკადემიურ მოღვაწეობას. ფილოსოფოსს აწუხებს აუტანელი თავის ტკივილები, სისუსტე, უქვეითდება მხედველობა, იწყება ტანჯვით აღსავსე ცხოვრება. მძიმე სენი აიძულებს ნიცშეს ხშირად იცვალოს საცხოვრებელი ადგილი. იგი ცხოვრობდა სილს-მარიაში, გენუაში, ნიცაში, ვენეციაში, მენტონაში, ტურინში « ეს «მძიმე სენი» არის ლუესი, რომელიც დღეს უფრო სიფილისის სახელითაა ცნობილი. დილეტანტმაც კი იცის ზოგიერთი რამ ამ დაავადების შეახებ, რომ ეს არის მძიმე **ვენერიული დაავადება** და სხვა.

მითუმეტეს, როგორი მძიმე და ძნელად განსაკურნავი იქნებოდა იგი მე-19 საუკუნეში. სწორედ ლუესს ახასიათებს გარკვეულ ეტაპზე ზემოაღნიშნული სიმპტომატიკა: აუტანელი თავის ტკივილები, სისუსტე, და არამარტო ეს სიმპტომები.

ათაშანგი (ლუესი) ქრონიკული ვენერიული ავადმყოფობაა, მას იწვევს ე. წ. «მკრთალი ტრეპონემა.» ნიცშეს ლუესი, ცხადია, შეძენილი იყო და არა თანდაყოლილი.

ლუესის განვითარებას აქვს თავისი «კლასიკური» ეტაპები, კერძოდ: ინკუბაციური პერიოდი, პირველადი, მეორეული და მესამეული პერიოდები. ინკუბაციური გრძელდება დაახლოებით 20 დღე. მას მოსდევს პირველადი პერიოდი - დაახლოებით 50 დღე, «მაგარ შანკრთან ახლომდებარე ლიმფური კვანძები შესივდება ზოგჯერ ამას დაერთვის **საერთო სისუსტე, თავის, ძვალ-სახსართა და კუნთების ტკივილი** (ხაზი ჩვენია. რ.ნ.) დაავადებისთვის დამახასიათებელია ლიმფური კვანძების გადიდება, შესივება და მისთ. ლუესის მეორეულ პერიოდს ახასიათებს მკრთალ ტრეპონემათა გამრავლება- გავრცელება მთელს ორგანიზმში. კანზე შეიძლება გამოჩნდეს სპეციფიური გამონაყარი, მაგრამ ეს სიმპტომი არ არის აუცილებელი მახასიათებელი. «ავადმყოფს შეიძლება დაუზიანდეს (დაეშალოს-რ.ნ.) **ძვლები, შინაგანი გრძნობის ორგანოები, ნერვული სისტემა** (ხაზი ჩვენია რ.ნ.) . . . ეს პერიოდი სხვადასხვა ხანგრძლივობისაა და ზოგჯერ შეიძლება **რამდენიმე წელიც გასტანოს** (ხაზი ისევ ჩვენია. რ. ნ. .)»

მესამეული (გუმოზური) პერიოდი:

რამდენიმე წელია საჭირო, რომ დადგეს ლუესის უმძიმესი ეტაპი - მესამეული, ანუ გუმოზური.

ისევ ქსე:

«გუმა (დაშლის კერა) **შეიძლება გაჩნდეს ყველა ორგანოში ან ქსოვილში.** (ხაზი ჩვენია რ.ნ.)»

მოვიყვანოთ ციტატას რუსული სამედიცინო ენციკლოპედიიდან:

«В дальнейшем наступает третий период болезни. . . .

. . . **Поражаются внутренние органы, нервная и костная система организма - образуются т.н.**

*ფ. ნიცშე. «ესე იტყოდა ზარატუსტრა», თბ, -93, თ. ბუაჩიძის ბოლოსიტყვა, გვ. 248

** იქვე

*** გუმა ითარგმნება, როგორც კეროვანი დაშლა, დარღვევა.

сифилитические гуммы.

Иногда с. протекает в течение долгого времени **скрыто**. (ხაზი ჩვენია რ.ნ.)”

ალბათ, მკითხველი მიხვდა, საითკენაც მიგვყავს მსჯელობა, რაკი ნიცმე ლუესით დაავადდა, როგორც ზემოთმოყვანილი ციტატებიდან დავინახეთ, შორს წასულ ლუესს შეეძლო გამოეწვია მის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ძვრები.

ფულლერ ტორეი წერს:

“хотя в настоящее время им (сифилисом мозга. Р.Н. (болеют реже, чем в прошлом, **всё - таки о сифилисе, как возможной причине появления психопатических симптомов, не следует забывать**. Подозрение на него возникает в результате клинического анализа крови пациента. . . .“

ჩვენ არ ვიცით, რა შედეგები მოუტანა ნიცმეს ლუესის მკურნალობამ მე-19 საუკუნეში და არც ის ვიცით, რა ეტაპამდე მივიდა მისი ვენერიული დაავადება. ამიტომ ისევ ჰიპოთეტიური აზროვნება გვრჩება ხელთ.

მკითხველი მოგვიტევეს, თუ ამ თემაზე კიდევ ერთ ციტატას მოვიყვანთ:

« . . ასეთი კვანძები, რომლებსაც გუმებს უწოდებენ, შეიძლება განვითარდნენ შინაგან ორგანოებშიც, გარდა ამისა, ინფექციის გავრცელების შემთხვევაში ზიანდება ნერვული სისტემა და ავადმყოფებს დაავადების გვიან პერიოდში აწუხებთ სხვადასხვა ნერვული მოშლილობა, შეიძლება განვითარდეთ ფსიქოზი». ³² ხოლო ტვინის ათამანგი ხშირ შემთხვევაში ხდება მიზეზი შიზოფრენოფორმული დარღვევებისა და უშუალოდ შიზოფრენიის აღმოცენებისა.

ამჯერად შევაჯამოთ ბიოგრაფიული ფაქტები და ჩვენი დასკვნები:

1. ნიცმეს ფსიქიური აშლა დაიწყო 70-72წ. წ.
2. ნიცმე ლუესით დაავადდა, სავარაუდოდ, 78-79წ. წ.

(უკანასკნელი დავასკვნით იმის საფუძველზე, რომ 1879 წელს ფილოსოფოსის ჩივილები განეკუთვნება ლუესის პირველად პერიოდს, ე.ი. ავადმყოფობა მცირე ხნის დაწყებული იყო.)

ზემოთქმული ნათელყოფს, რომ ლუესი არ ყოფილა უშუალო მიზეზი ნიცმეს ფსიქოზით დაავადებისა.

დღემდე მკვლევარებს მარტივად წარმოედგინათ ეს საკითხი:

«ნიცმე სიფილისამდე იყო ჯანმრთელი მოაზროვნე, მაგრამ დაავადდა სიფილისით, რომელიც შემდგომ გართულდა და მოგვცა ფსიქოზი - ნევროლუესი ან სიფილისური ფსიქოზი.» ამაზე შორს აქამდე არ წასულან.

ჩვენი ვარაუდით, არანაირი ნევროლუესი ან სიფილისური ფსიქოზი ნიცმეს არ განვითარებია. მისი ფსიქიკის რღვევა დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე ის ლუესით დაავადდებოდა.

ლუესმა მხოლოდ ხელი შეუწყო, და მნიშვნელოვანწილადაც, ნიცმეს ფსიქიკურ დაავადებას, გართულა იგი, შესაძლოა დააჩქარა, შიზოფრენოფორმული სიმპტომატიკა უფრო გაამყარა, საერთოდ ხელი შეუწყო იმას, რომ შიზოფრენიული პროცესი «შეუქცევადი» გამხდარიყო. ყოველივე ამასაც ჰიპოთეტიურ დონეზე ვვარაუდობთ, მაგრამ ლუესს, როგორც აქამდე ზედაპირულად ფიქრობდნენ, მწერლის ფსიქოზი არ გამოუწვევია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს, რომ ფილოსოფოსს

* Популярная медицинская энциклопедия, Москва, 1979, см. «Сифилис.» стр.574

** Э. фуллер Торри. шизофрения. скт - Петербург, 1997, стр.153.см. « сифилис мозга.»

«დაემართა» სუფთა ნევროლუესი ან სიფილისური ფსიქოზი.

შეიძლება ვინმე შემედაოს: ნუთუ ლუესმა არ შეიტანა რაიმე მნიშვნელოვანი კორექტივები ნიცმეს უკვე მანიფესტირებული ფსიქოზის კლინიკურ სურათში?

რა თქმა უნდა, შეიტანდა.

მაგრამ ავადმყოფობას კი ვერ შეცვლიდა. ფილოსოფოსს სულ სხვა ფსიქოზი «შეეყარა».

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ინიციალურ სტადიაზე, ვთქვით, რომ ენდოგენურ ფსიქოზებს აქვთ მანიფესტაციური სტადია. სწორედ იგი აღიქმება დილეტენტის თვალში «სიგიჟედ», «ჭკუიდან გადასულობად» და ა.შ.

ნიცმეს ინიციალური პერიოდი პირდაპირ გადასულა მანიფესტაციურში, მანამდე ადგილი ჰქონდა ერთ აშკარად გამოხატულ ფსიქოპათოლოგიურ ფენომენს, რომლის გარშემოც თანამედროვე ფსიქიატრიაშიც დიდი აზრთა სხვადასხვაობაა და თეორიების სიმრავლე.

გვინდა დაწვრილებით შევჩერდეთ ამ საინტერესო ფენომენზე. ნიცმესთვის კი იგი იყო ერთგვარი გარდამავალი პერიოდი, ანუ პერიოდი უშუალოდ მანიფესტაციის («გაგიჟების») წინ. ამ სიმპტომს (უფრო სწორედ, სინდრომს) უშუალოდ მოჰყვა ფილოსოფოსის «გონების დაბნელება» და «შემლილობა».

ნ ა წ ი ლ ი III.

ნიცშეს «გამოქვაბული», ანუ დეპერსონალიზაცია

თავი I. დეპერსონალიზაციის რაობა

დეპერსონალიზაცია, როგორც ფსიქიკური გადახრა, შეიძლება იყოს სიმპტომი, უფრო მეტად სინდრომი ან ცალკე დაავადების კლინიკური ფორმა ნოზოლოგიური ერთეული. სიმპტომის დასინდრომის სახით გვხვდება იგი სხვა ფსიქიკური დაავადების სტრუქტურაში. მაგალითად, დეპერსონალიზაცია ხშირად ახასიათებს შიზოფრენიას, ციკლოფრენიას ანუ მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზს: დეპრესიულ ფაზებში და იშვიათად თვით მანიაკალურშიც; ციკლოთიმისას, როგორც ციკლოფრენიის მსუბუქ ფორმას, დეპერსონალიზაცია შეიძლება განავითაროს ძლიერმა სტრესმა ან მოჰყვეს ხანგრძლივ და მძიმე, ვიტალურ-დეპრესიულ მდგომარეობას. მოკლედ, თითქმის არ არსებობს ფსიქიკური დაავადება, ფსიქოზი და თვით რთული ფსიქონევროზიც, რომლისთვისაც უცხო იყოს ეს სიმპტომი, სინდრომი. ამიტომაც იძახიან, რომ ეს არის ნორმიდან გადახრის ზოგადი ნიშანი, ე.ი. მისი არსებობა ექიმს ვერ მიახვედრებს, კონკრეტულად რა ავადმყოფი უზის წინ: დიაგნოსტიკურ მნიშვნელობას ეს მოვლენა მთლიანად მოკლებულია.

თავად სიტყვაშივე ჩანს მისი არსი: დე-უარყოფითი ნაწილაკი - პერსონა-პიროვნება - ლიზაცია. ანუ, ქართულად რომ ვთარგმნოთ, «განპიროვნება» (обезличивание). შენი «მე»-ს დაკარგვის ან დეფორმირების განცდა. ამ განცდას კლასიკურად აღწერს ნიცშე თავის თავთან მიმართებაში და ერთ ციტატას ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ ყოველივე ამის საილუსტრაციოდ.

დეპერსონალიზაციას აქვს სამგვარი გამოვლინება და მთელი რიგი სიმპტომები.

ეს გამოვლინებებია:

1. აუტოფსიქიკური;

2. სომატოფსიქიკური,

3. ალოფსიქიკური დეპერსონალიზაცია (ალოფსიქიკურის ნაცვლად უფრო ხშირად ხმარობენ «დერეალიზაციას»).

მაგრამ ეს არის დეპერსონალიზაციის გამოვლინებები და არა სახეები, ამიტომ ავადმყოფთა 90 პროცენტში ისინი შერწყმულად, ერთად გვხვდება (ანუ ადამიანს აქვს აუტოფსიქიკურიც, სომატო, და ალოფსიქიკურიც ერთდროულად.

რაც შეეხება დეპერსონალიზაციის სახეებს, ისინი ორია: სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტურ შემთხვევაში ავადმყოფი კრიტიკულია, იცის, რომ ავადაა, აღწერს და განიცდის ავადმყოფურ შეგრძნებებს, ობიექტურის დროს კი კრიტიკა დაკარგულია, ავადმყოფი ვერ გრძნობს, რომ დეპერსონალიზებულია. ქართველი ფსიქიატრი საყვარელიძე პირველ სახეობას უწოდებს დეპერსონალიზაციის განცდას, ხოლო მოერეს - განცდის დეპერსონალიზაციას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენი შემოთავაზებული ტერმინები უმჯობესია.

ნიცშეს უკანასკნელ ნაწარმოებში «დიონისეს დითირამში» რომელიც დაწერილია სულ ცოტა ხნის წინ, ვიდრე იგი ფსიქოზით დაავადდებოდა. კლასიკურადაა აღწერილი დეპერსონალიზაციური განცდები, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ პერიოდში ფრიდრიხ ნიცშეს ჰქონდა მძიმე სუბიექტური დეპერსონალიზაცია, კერძოდ, ყველა თავისი გამოვლინებითა და სრული სიმპტომატიკით.

მართალია, ეს ფენომენი უცხო იყო მაშინდელი მედიცინისათვისა და «ფსიქიატრიისათვის», არ არსებობდა არც შესაბამისი ტერმინი და სხვა, მაგრამ ეს არაფერს

არ ნიშნავს. მაშინ ტერმინი «შიზოფრენია» არ არსებობდა, რადგან არც ეს დაავადება იყო «აღმოჩენილი», მაგრამ თავად დაავადება საუკუნეებს ითვლის. სადღეისოდ ცნობილი ყველა ფსიქოზი არსებობდა მაშინაც, უბრალოდ ფსიქიატრიის დაბალი დონის გამო არც ერთს არ «იცნობდნენ», როგორც ასეთს. ტერმინოლოგიაზე კი საერთოდ ალბათ ზედმეტია ლაპარაკი (მაშინდელზე).

ახლა ვეცდებით კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ დეპერსონალიზაციის არსი და ხასიათი. ნიცშეს უეჭველად **სუბიექტურად განცდადი, ავადმყოფობად შეცნობილი დეპერსონალიზაცია ჰქონდა**, სხვანაირად ის მას არ დატანჯავდა და შეაწუხებდა, ფილოსოფოსი კი დეპერსონალიზაციურ განცდებს კლასიკურად აღწერს თავის უკანასკნელ ნაშრომში.

ჩვენც უფრო სუბიექტურ დეპერსონალიზაციას და მის კლინიკურ სურათს აღვწერთ.

აუტოფსიქიკური დეპერსონალიზაცია არის საკუთარი ინდივიდის, პიროვნების შეგრძნების, ანუ თვითშეგრძნების დაკარგვა (საკუთარი «მე» წაშლის გრძნობა).

დერეალიზაცია აღქმას ეხება: ავადმყოფს გარემო ეჩვენება არარეალურად, გაცრეცილად, «მკვდრად», საგნები - მკრთალად და დაშორებულად. აქედანაა თვით ტერმინი «დერეალიზაცია».

სომატოფსიქიკური დეპერსონალიზაცია გულისხმობს უცნაურ შეგრძნებებს საკუთარ სხეულთან მიმართებაში (რომ დაირღვა ტანის სიმეტრია, სქემა, პროპორცია და მისთ.)

უფრო დაწვრილებით მომდევნო თავებში.

თავი II. აუტოფსიქიკური დეპერსონალიზაცია

თამამად ვიტყვით, რომ «დიონისეს დითირამბში» გადმოცემულ ავტორისეულ განცდებში ჩვენამდე არც ერთ მკვლევარს არ უძებნია რაიმე ფსიქოპათოლოგია, მითუმეტეს კონკრეტულად დეპერსონალიზაცია, ასე რომ ეს ჩვენს აღმოჩენად მიგვაჩნია. რამდენად მნიშვნელოვანია ეს «აღმოჩენა» ნიცშეანოლოგიისათვის, ამას მომავალი გაარკვევს.

ნიცშე და დეპერსონალიზაცია, ვგონებთ, ჯერ არავის დაუკავშირებია ერთმანეთისათვის, მიუხედავად იმისა, რომ «დიონისეს დითირამბში» **სპეციალისტი** აშკარად დაინახავს დეპერსონალიზაციურ სიმპტომატიკას. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ჩვენი ფსიქიატრები ნიცშეს არ კითხულობენ, ხოლო ფილოსოფოსები - ფსიქიატრიულ ლიტერატურას.

ახლა თემას დავუბრუნდეთ.

აუტოფსიქიკური დეპერსონალიზაციის დროს ავადმყოფს აქვს შეგრძნება, რომ მან დაკარგა თავისი პიროვნება, ინდივიდი, თავისი «მე», ის აღარავინ აღარ არის, გადაიქცა რაღაც მექანიზმად, მანქანად, სულ სხვა არსებად. ე. ი. აუტოფსიქიკური დეპერსონალიზაცია არის გაუცხოება საკუთარი ფსიქიკური არსების (პიროვნების) მიმართ. ავადმყოფები აღნიშნავენ, რომ ადრე სულ სხვანაირად (პერსონალიზებულად) განიცდიდნენ საკუთარ თავს, გრძნობდნენ პიროვნებას საკუთარ თავში, ახლა კი პიროვნების შეგრძნება გაუქრათ და მის ადგილას დარჩა რაღაც სიცარიელე, აზრები უკვალოდ ქრებიან, აქვთ განცდა, რომ ეს აზრები ავტომატურად მოდის, მათ აზრებს დაკარგული აქვთ პიროვნული კუთვნილების ელფერი («აზრი ჩემია»), საკუთარ აზრებს გაუცხოებულად აღიქვამენ დეპერსონალიზაციური ავადმყოფები ხშირად უჩივიან ე.წ. «სიცარიელეს თავში», გაუცხოების გრძნობას . . .

«დეპერსონალიზაცია არის მდგომარეობა, სადაც სუბიექტი შეცვლილად განიცდის თავის თავს წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით; აღნიშნული ცვლილება ერთდროულად

ვრცელდება მე-ზე და გარე სამყაროზე». (შილდერი)

მოვიყვანთ თავად ავადმყოფების გამონათქვამებს სხვადასხვა შესაბამისი ლიტერატურიდან: «მე ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს აზრი ჩემი არ არის...» «მე ვაზროვნებ, მიჩნდება აზრები და ისე განვიცდი, თითქოს სხვა აზროვნებს ჩემში, ყველა ხატი, ყველა განცდა, რომელიც ჩემში წარმოიშობა, რაღაც თითქოს უცნაურია, თითქოს მას კავშირი არა აქვს ჩემთან». «მე ვარ სიცარიელე, ოღონდ მოაზროვნე სიცარიელე, ფაქტიურად ცოცხალი გვამივით ვგრძნობ თავს.»

ამ ყოველივესთან ერთად ადამიანებს უვითარდებათ დეპრესია, ბოლმაც კი, რადგან ეს ცვლილებები მათთვის აუხსნელია.

დეპერსონალიზაციაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ამ თემაზე მუშაობდნენ კორიფეებიც და საშუალო დონის ფსიქიატრებიც: ი. ბჟალავა, ა. ზურაბაშვილი, დ. უზნაძე, გურევიჩი, სერბსკი, კოროლენკო, გიზინი, განსაკუთრებით აღსანიშნავია 1968წ. გამოსული მეგრებიანის მონოგრაფია «დეპერსონალიზაცია». ევროპელ და ამერიკელ სპეციალისტთაგან დავასახელებთ დუგასს, დიუბუას, დეშაის, ფოლინს, იასპერსს, მაიერ-გროსს, თანამედროვეთაგან - ჰუბერს, გოლდმანს, გოლდბერგს და სხვებს.

თუ მკითხველი მოთმინებას გამოავლენს, ბოლოს გავარკვევთ, რა საერთო აქვს ყოველივე ამას ნიცშესთან.

თუკი დეპერსონალიზაცია ანესთეტიურია (ამაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ), მაშინ აუტოფსიქიკური დეპერსონალიზაცია განიხილება, როგორც ფსიქიკური ანესთეზიის გამოვლინება.

დეპერსონალიზაციის, როგორც ფსიქიკური ანესთეზიის სინდრომის თეორია ეკუთვნის თანამედროვე ცნობილ ფსიქიატრს ი.ლ. ნულერს. ფსიქოანესთეზიაზე თავის მოსაზრებებს გამოთქვამს აგრეთვე ცნობილი თანამედროვე სპეციალისტი ა.ბ. სმულევიჩი. ფსიქოზის მანიფესტირების წინ ნიცშეს ჰქონდა აუტოფსიქიკური და არამარტო დეპერსონალიზაცია, მაგრამ იყო თუ არა ნიცშეს დეპერსონალიზაცია ანესთეტიური, ამის გარკვევა დღეს ძნელია.

თავი III. ალოფსიქიკური დეპერსონალიზაცია, ანუ დერეალიზაცია

ეს არის **აღქმითი პათოლოგია**. ავადმყოფს უქვეითდება ან სულ ეკარგება რეალობის, სიცხადის გრძნობა და იცვლება მისი აღქმა - ძირითადად ვიზუალური, უფრო იშვიათად ემატება სმენითი. ჩივილები ერთგვაროვანია: «დავკარგე სინამდვილის შეგრძნება», «საგნები აღარ მეჩვენებიან რეალურად და ნამდვილად არსებულად», «**თვალწინ რაღაც ბურუსი გადამეფარა** (ხაზი ჩვენია, რ.ნ.)».

ავადმყოფს აქვს შეგრძნება, რომ მისი **ცნობიერება მოექცა დახურულ, დაკეტილ თუ შემოფარგულ სივრცეში**, ზოგი მათგანი უჩივის მძიმე ბურუსის შეგრძნებას არა მარტო ცნობიერებაში, არამედ თვალწინ, ე.ი. ვიზუალურ აღქმაში. ისევ მოვიყვანთ მაგალითებს ავადმყოფთა გამონათქვამებიდან:

* Ю.Л. Нуллер. И.Н. Михаленко» Афффективные психозы,» Ленинград, 1988 г. см. гл.-9.

** Журн. «Невропатология и психиатрия» 1973, №2, А.Б. Смулевич, М.А. Воробьев.

«Деперсонализация: клиничко-патопсихические аспекты.»

«გარემო და ადამიანები არარეალურია, თითქოს ხელოვნური, დაშორებული», «გარშემო ყველაფერი შეიცვალა, უცხო და უჩვეულო გახდა, ნაცნობი საგნები უცხოდ მეჩვენებიან.»

აქვე ჩავურთავთ, რომ ფსიქიატრი მეგრებიანი გვთავაზობდა სიტყვა «დეპერსონალიზაციის» შეცვლას «ფსიქიკური გაუცხოების სინდრომით», ვინაიდან დეპერსონალიზაცია წარმოადგენს ზოგიერთი ან ყველა ფსიქიკური პროცესის გაუცხოებას.

ისევ გამონათქვამები:

«მე აღარაფერს აღვიქვამ ისე, როგორც წინათ», «მე ისე ვხედავ ყველაფერს, თითქოს ზღვის ფსკერზე ვიყო» (ეს მაგალითი მოჰყავს გურევიჩს. უკანასკნელ აღწერაზე მცირე ხნით შევჩერდებით: აქ ჩანს, რომ ავადმყოფს აქვს **გონების დახშულობის, მღვრიე ბურუსის შეგრძნება თვალწინ** (რომელიც ავადმყოფმა ზღვის ამღვრეულ წყალს შეადარა). **იგივე შემოსაზღვრულობის განცდა.** სხვა ავადმყოფი ამ შემოსაზღვრულობას «ჭურჭელს» უწოდებს: «თავს ისე ვგრძნობ, როგორც რაღაც **ჭურჭელში მოქცეული**». «ყველაფერი გამოიყურება შორეულად და უცხოდ, საგნები თითქმის მკვდარია, უსიცოცხლო». «სამყარო მეჩვენება ხელოვნურად, გიგანტურ ჰალუცინაციად». (მაგალითი მოჰყავს ბილოდს). «რაღაც მთა არის ჩემსა და სხვებს შორის აღმართული» (ქანე).

ცთუნებას ვერ გავუძლებთ და აქვე ვიტყვი: ნიცშეც სწორედ ანალოგიურ განცდებს აღწერს ბოლო ნაწერში.

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ალოფსიქიკური დეპერსონალიზაცია ცალკე სახით არ არსებობს. კონკრეტულ კლინიკურ შემთხვევებში იგი ყოველთვის სინთეზირებულია სხვა გამოვლინებებთან (აუტო-სომატო-).

თავი IV. სომატოფსიქიკური დეპერსონალიზაცია

სომატოფსიქიკური დეპერსონალიზაცია არის პათოლოგიურ განცდათა კომპლექსი საკუთარ სხეულთან დაკავშირებით. დაავადებულნი აღნიშნავენ, რომ მათ ეჩვენებათ, თითქოს იცვლება მათი სხეულის სქემა, იგი ასიმეტრიული გახდა, ზოგიერთი მათგანი ამბობს რომ ეუცხოება საკუთარი ტანი, მისი ფორმები და ა.შ.

ისევ მაგალითებს მოვიშველიებთ:

«ხანდახან მგონია, რომ სხეული ჩემი არ არის, ხმა სხვისაა, თითქოს გარედან მოდის, **თავი დიდდება მოცულობაში** (ხაზი ჩვენია. რ.ნ.)».

სომატოფსიქიკურ დეპერსონალიზაციას ი. ლ. ნულერი მიაკუთვნებს აგრეთვე ტკივილის გრძნობის დაქვეითებას - ანალგეზიას (ეს მოვლენაც ახასიათებს დეპერსონალიზაციას ზოგიერთ შემთხვევაში), ფიზიკური მგრძნობელობის დაქვეითებას და სხვა.

თავი V. ფრიდრიხ ნიცშეს დეპერსონალიზაცია

ბევრი ჩვენი აქამდე გამოთქმული აზრი ჰიპოთეტიური იყო, ამჯერად კი გამორიცხულია ყოველგვარი ჰიპოთეტიურობა: ჩვენ ვამტკიცებთ, რომ იმ პერიოდში,

* Krape, Surladerpersonnalisation, 1950.

** Ю.Л. Нуллер. И.М. Михаленко. “Аффективные психозы”. см. гл. - 9

რომელსაც განეკუთვნება «დიონისეს დითირამბი», ნიცშეს ჰქონდა მძიმე ტოტალური დეპერსონალიზაცია.

«ათას მოგონებათა შორის რყეული, მოქანცული ყველა ჭრილობით, გათოშილი მრავალი ყინვით, გაბმული საკუთარ მახეში, ჩემი თავის მცოდნე და ჯალათი! **სნეული**, რომელიც კვდება გველის შხამით, ტყვე, რომელსაც **მწარე ბედი ეწია, ვემუშაობ წელში მოხრილი, ჩემს საკუთარ «მე»-ში გამომწყვდეული, როგორც გამოქვაბულში, მე თვითონ ვასამარებ ჩემს თავს და ჩემი საკუთარი საფლავი ვარ მე: უძლური, გაშეშებული, ლეში»** (ფრიდრიხ ნიცშე, «დიონისეს დითირამბი»).

ტექსტი სულ რამდენიმე წინადადებისაგან შედგება, მაგრამ მასზე შეიძლება ტომები დაიწეროს. შევუდგებით მის ანალიზს ისევ და ისევ ფსიქოპათოლოგიური თვალსაზრისით. ტექსტში არავითარ შემთხვევაში არ გვაქვს საკუთარი მდგომარეობის პოეტიზაცია, მხატვრული აღწერა, შეგნებული დრამატიზება და სხვა. ეს არის ნაწერი ფსიქიკურად სნეული კაცისა, რომელიც მალე ფსიქოზით დაავადდება, ანუ «ჭკუიდან შეიშლება», ანუ, თ. ბუაჩიძის სიტყვებით, «გონება დაუბნელდება».

პირველ რიგში, თვალში მოგვხვდება **დეპრესია**, გამოთქმები, რომლებიც მოწმობენ ავტორის დეპრესიულ მდგომარეობას წერის დროს («მოქანცული ყველა ჭრილობით, გათოშილი მრავალი ყინვით, გაბმული საკუთარ მახეში, საკუთარი თავის. ჯალათი!») (ციტატას ბოლომდე გასდევს ეს დეპრესიული განწყობილება, მაგრამ აქ ეს დეპრესია «ჯანმრთელია» (პირობითად) და გამოწვეულია დეპერსონალიზაციური ტანჯვებითა და განცდებით.

ამ ტექსტში მთავარი დეპერსონალიზაციაა.

ავტორი თავს ახასიათებს, როგორც «სნეულს». ეს ბუნებრივია, რადგან ამ დროს ნიცშე განიცდიდა მისთვის აუხსნელ და უცნაურ სულიერ ცვლილებებსა და ტანჯვებს. «ემუშაობ წელში მოხრილი» – ეს ფრაზაც დეპერსონალიზაციური (და არა დეპრესიული) ტანჯვის პროდუქტია, ვინაიდან დეპრესიის დროს ავადმყოფებს არ აქვთ წერის სურვილი, მითუმეტეს «დითირამბების» წერის.

«ჩემს საკუთარ «მე-ში» გამომწყვდეული, როგორც გამოქვაბულში» (შეადარეთ ეს გამოთქმა წინამდებარე ნაშრომის «ალოფსიქიკურ თავში» მოტანილ ზოგიერთ გამოთქმას) ციტატის პირველი ნაწილი აშკარად მიანიშნებს ნიცშეს აუტოფსიქიკურ დეპერსონალიზაციაზე, ხოლო «შემოფარგლულობის განცდაზე» ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ამ განცდას ნიცშემ «გამოქვაბული» უწოდა. როგორც ვხედავთ, ერთისთვის ეს გამოქვაბულია, მეორესთვის «წყალი» მის გარშემო (ზღვის ფსკერზე), მესამე ავადმყოფისთვის - ჭურჭელი, მეოთხისათვის – »მთა», მაგრამ ამ ყველაფრის არსი ერთია – აუტო – ალო – და სომატოფსიქიკური დეპერსონალიზაცია. უკანასკნელს ახასიათებს ყოველგვარი ბარიერის, წინაღობისა და შემოფარგლულობის, უფრო სწორედ, **გონების დახშულობის შეგრძნება**.

«მე თვითონ ვასამარებ ჩემს თავს» – აუტოფსიქიკური დეპერსონალიზაციის ხატოვანი აღწერაა. კიდევ უფრო ხატოვანი და «არასამედიცინო» აღწერა – **«ჩემი საკუთარი საფლავი ვარ მე»**. (აუტო - დეპერსონალიზაცია)

თუ ზემოთხსენებულ «გამოქვაბულში» იგულისხმება ცნობიერებასთან ერთად თავისი სქემის პროპორციები, სიმეტრიის დარღვევის შეგრძნება, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ნიცშე აქ აგვიწერს საკუთარ სომატოფსიქიკურ დეპერსონალიზაციასაც.

ამგვარად, ავადმყოფები განიცდიან თავს დაცლილად, ცარიელად, «მოარულ გვამად. შეადარეთ - **«მე თვითონ ვასამარებ ჩემს თავს და ჩემი საკუთარი საფლავი ვარ მე! უძლური, გაშეშებული, ლეში»**.» ამას წერს დაახლოებით ორმოცი წლის კაცი!

* Ю.Л. Нуллер. И.М. Михаленко. «Аффективные психозы».Лен.1988г. см. гл-9. Воробьева «Один из вариантов юношеской шизофрении с преобладанием явлением деперсонализации»

** იქვე

«უძლურებაში» ალბათ უფრო ფსიქიკურ-ინტელექტუალური უძლურების განცდა იგულისხმება, ვიდრე ფიზიკური უძლურება. თქმული ეხება «გაშეშებულსაც». ეს ყოველივე იყო **მტანჯველი სუბიექტური ფსიქიკური განცდები.**

დეპრესიონალიზაციას რუსი ფსიქიატრი ვორობიოვი შიზოფრენიის ნიშნად მიიჩნევს. ეს კიდევ უფრო «ამაგრებს» ჩვენ ჰიპოთეზას, რომ ნიციშე შიზოფრენიით დაავადდა. არამარტო ვორობიოვი, არამედ სმულევიჩი და მთელი რიგი ცნობილი ფსიქიატრებისა (როგორც ძველი, ისე თანამედროვე) დეპრესიონალიზაციას უკავშირებენ უშუალოდ შიზოფრენიას. არც ისე ხშირია კონკრეტული შემთხვევა ამ ავადმყოფობისა, რომელსაც ეს სინდრომი არ ახლავდეს, ანუ დეპრესიონალიზაციური სინდრომი ხშირია შიზოფრენიულ სტრუქტურაში სხვა სპეციფიურ სიმპტომებთან ერთად.

ქვეთავი I. მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი და მისი გამორიცხვა

ციკლოფრენიაც ენდოგენური ფსიქოზია, საკმაოდ რთული, მაგრამ კარდინალურად განსხვავდება შიზოფრენიისაგან. ჩამოვყალიბებთ ამ განსხვავებებს მარტივად:

1. ციკლოფრენია გაცილებით უფრო კეთილთვისებიანია.

2. ციკლოფრენიის დროს არ ირღვევა პიროვნების მთლიანობა, შენახულია მისი ბირთვი.

3. მის დროს არ «ინგრევა» ინტელექტი, აზროვნება, ლოგიკა.

4. იგი ფაზური, ანუ ცირკულარულია: ჯერ არის მანიაკალური ფაზა (აღტყინება, აღზნება, ენერგია, სასიამოვნო განცდები), შემდეგ დეპრესიული ფაზა (სევდა, თვითბრალდება, დაბოღმიანება, დეპრესია, ასთენიური განცდები.), მერე ისევ მანიაკალური და ა.შ. ციკლების სახით (ციკლის ხანგრძლივობა მერყეობს რამდენიმე დღიდან წლამდე). თქმულიდან გამომდინარეობს თავად სახელიც **ციკლო - (ანუ ციკლური, ცირკულარული და ფრენია (ჭკუა, ცნობიერება, ფსიქიკა))**

დეპრესიონალიზაცია ახასიათებს ამ ფსიქოზსაც, - უფრო დეპრესიულ ფაზებში, - მაგრამ იგი შემთხვევათა უმეტესობაში **ანესთეტიურია.**

5. ციკლოფრენიკის აზროვნება გაცილებით ლოგიკური, მოწესრიგებული და «ნორმალურია» ეს დაავადება უფრო ემოციურ-აფექტურ აშლას წარმოადგენს.

6. მას ვერანაირად ვერ დავარქმევთ «გონების დაბნელებას» (როგორც ახასიათებენ ნიციშეს ფსიქოზს).

7. რადგან ციკლოფრენიის დროს ფსიქიკის იდეატორულ-სააზროვნო სფერო ასე თუ ისე ხელშეუხებელი რჩება, ავადმყოფის მსოფლმხედველობა არ დაირღვეოდა, არ მოხდებოდა არანაირი გახლეჩა, გაორება და ინტრაფსიქიური კონფლიქტები პიროვნებაში, რასაც ადგილი ჰქონდა ნიციშესთან.

8. ციკლოფრენიის პროგნოზი კეთილთვისებიანია, განსხვავებით შიზოფრენიისაგან.

არის კიდევ უამრავი სხვაობა ამ ორ ფსიქოზს შორის, მაგრამ ისედაც ნათელია, რომ ნიციშე ციკლოფრენიით, ანუ იგივე მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზით არ დაავადებულა, რადგან მის ფსიქოზს არ ჰქონია ფაზები განვითარების არც ერთ ეტაპზე. ნიციშესთან დაკავშირებით გარკვევით წერია, რომ 1889 წელს მას «სულიერმა დაავადებამ» გონება დაუბნელა» (თ. ბუაჩიძე). «გონების დაბნელება» კი ალბათ მხოლოდ ერთადერთ ფსიქოზს შეუძლია - შიზოფრენიას. ნიციშე რომ მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზით

* Жури. «Невропатология и психиатрия» 1971, №8. см. ст.

** ბერძნული სიტყვიდან.

*** ტერმინი დაამკვიდრა რიბაკოვმა.

დაავადებულიყო, იგი გააგრძელებდა მოღვაწეობას თუნდაც ზემოთქმული 7 მიზეზის გამო.

მითუმეტეს გამოვრიცხავთ ციკლოთიმias.

ფილოსოფოსს აწუხებდა დეპერსონალიზაცია - ცენესთეზია, მაგრამ ეს იყო შიზოფრენიული და არა ციკლოფრენიული. ციკლოფრენიული დეპერსონალიზაცია უფრო ანესთეზიურია, შევჩერდეთ ამ საკითხზე: დეპერსონალიზაცია, როგორც ანესთეზია.

ქვეთავი II. ანესთეზიური დეპერსონალიზაცია, მისი ნეიროფიზიოლოგიური საფუძველი

ანესთეზიური დეპერსონალიზაციის მკვლევართაგან ალბათ ერთ-ერთი ცნობილი და აღიარებული დღესდღეობით ი.ლ. ნულერია ვორობიოვთან, სმულევიჩთან და ჰუბერთან ერთად. მან ჩამოაყალიბა ამ სინდრომის სრული სიმპტომატიკური სურათი, გადააფასა მეგრებიანის ზოგიერთი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით, დაადგინა დეპერსონალიზაციის გენეზისი ანუ პათოგენეზი და ნეიროფიზიოლოგიური საფუძვლები.

ანესთეზიურ დეპერსონალიზაციაზე მუშაობდა ა.ბ. სმულევიჩი^{*} საკმაო წარმატებით, თუმც მისი შეხედულებები მცირედით განსხვავდება პირველი ავტორის თეორიისაგან.

ფსიქიკურ ანესთეზიად ითვლება დეპერსონალიზაცია ნულერის ნაშრომში^{**} («Деперсонализация - синдром психической анестезии»). ავტორი დაავადებას მიიჩნევს თავდაცვით რეაქციად ეგზოგენური ფსიქოგენური ფაქტორის წინააღმდეგ. ასეთი ფაქტორებია - ელდა, სტრესი, ძლიერ განგაშის აფექტი, ფსიქიკური დამაბულობა, მძიმე ვიტალური დეპრესია და სხვა. ასეთი განცდების კვალდაკვალ ფსიქიკურად არამდგრად ადამიანს შეიძლება განუვითარდეს ფსიქიკური ანესთეზია: აუტოფსიქიკური დეპერსონალიზაცია, როგორც Anaesthesia dolorosa, სომატო - და ალოფსიქიკური დეპერსონალიზაციები, ანალგეზია.

სიმპტომატიკა იგივეა, რაც ჩვენ აღვწერეთ მესამე ნაწილში.

არის შესაბამისი ნეიროფიზიოლოგიური თეორიაც: სტრესის, განგაშის დროს გამოიყოფა დიდი რაოდენობით **ენდორფინები**. ენდორფინი არის ორგანული მორფინი. ისინი «ეცემიან» მგრძნობელობით რეცეპტორებს, - ე.წ. «ოპიატებს» - და იწვევენ დაზიანებას (Теория опьяняющих рецепторов. П. Н.).

მაგრამ მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ ნიცშეს დეპერსონალიზაცია არ იყო ანესთეტიური. მისი პათოგენეზი და ნეიროფიზიოლოგიური მხარე უფრო თალამუსს უკავშირდება, ვიდრე «ოპიატებს», ამიტომ ფილოსოფოსთან დაკავშირებით ეს თეორიაც ირიცხება. ზემოთმოყვანილი დეპერსონალიზაცია ცალკე კლინიკური ფორმაა, ეგზოგენური ფსიქოგენური მიზეზით შეპირობებული ცალკე დაავადებაა, აფექტურ აშლილობებს რომ ენათესავება და თავისი პათოგენეზით ყველაზე ახლოსაა რეაქტიულ ფსიქოზთან. ნიცშეს დეპერსონალიზაცია კი, გავიმეორებთ იყო სიმპტომთა ჯამი სინდრომი ენდოგენური ფსიქოზის - შიზოფრენიის სტრუქტურაში. ნიცშეს დეპერსონალიზაციის ნეიროფიზიოლოგიური სუბსტრატი უნდა ვეძიოთ თალამუსურ პათოლოგიაში.

* ციკლოთიმია ჯ მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის მსუბუქი ვარიანტი, სხვათაშორის, მასაც ახასიათებს დეპერსონალიზაციის სინდრომი.

** Жури. «Невропатология и психиатрия» 1973, №12. см. ст. «А.Б. смулевич. М.А. Воробьев. деперсонализация. клиникопатопсихические аспекты».

*** Ю.Л. Нуллер. И. М. Михаленко. «Аффективные психозы». 1988. см. гл. - 9

ქვეთავი III. სხვა ფსიქოზები

მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის გამორიცხვა ნიშნესთან, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ვამტკიცებდეთ: რადგან ციკლოფრენია არ ჰქონდა, უთუოდ შიზოფრენია ექნებოდაო. ეს არის ორი ყველაზე გავრცელებული და «კლასიკური» ფსიქოზი, მაგრამ არსებობენ სხვებიც.

სპეციალისტისთვის, რომელიც ნიშნეთი დაინტერესდება, ნათელი გახდება, რომ, მაგალითად რეაქტიულ ფსიქოზს, ფსიქონერვოზს, სენილურ ფსიქოზს არაფერი საერთო არ გააჩნიათ ნიშნეს დაავადებასთან.

ნევროლუესი და სიფილისური ფსიქოზი, როგორც მკითხველს ახსოვს, ჩვენ ადრევე გამოვრიცხეთ. შიზოაფექტური ფსიქოზი ახლოს დგას შიზოფრენიასთან და ჩვენ მას მომდევნო ნაწილში შევხებით. ტიპიურ აფექტურ ფსიქოზებსაც ყურადღების მიღმა ვტოვებთ.

ნ ა წ ი ლ ი IV

შ ი ზ ო ფ რ ე ნ ი ა

«მე გამიტაცა გიგანტურმა ტალღამ,
ადრე რომ არ მენახა,
და ჩამითრია მე
ოკეანის ფსკერზე.
ძლიერმა წნევამ მიმაჭყლიტა ფსკერზე,
არ მესმის, რა თქვა მან?
ვეღარ ვნახავ ვერასოდეს ჩემს სახლს -
ასე მგონია აქ, ფსკერზე მკვდარს, ოკეანეს ხმაურში.
რა მოწყენილი ვარ.
მე არ შემძლია გავვლიჯო
ეს ღვედი,
მე გადამასახლეს,
მ ე ლ ე შ ი ვ ა რ და ა ღ ა რ ა ს ო დ ე ს გ ა ვ ც ო ც ხ ლ დ ე ბ ი ხ ე ლ ა ხ ლ ა,
ვიღაცამ სახეზე ბალიში დამაფარა და დამაჭირა, - ძლივსღა ვსუნთქავ».
ერთი ამერიკელი შიზოფრენიით სნეული ახალგაზრდა ბიჭის «ლექსი» შეადარეთ ნიცშეს
ბოლოდროინდელ განცდებს.

“Для психиатрии шизофрения - это то же, что рак для остальной медицины: и диагноз, и п р и г о в о р одновременно».

У. Холл, Дж. Эндрюс и Дж. Гольдштейн.

«Шизофрения - слово жесткое и жестокое, такое же, как и сама эта болезнь».

Э. Фуллер Торри.

«ბრწყინავს ზარატუსტრა, მაგრამ
ბნელით და წყვილიდით იხშობა ნიცშეს გონება ...
ჩაქრა ნიცშეს გენია ...»

ე. ტატიშვილი «ფრიდრიხ ნიცშე». 1922.

თავი I. მოკლე ისტორიული ექსკურსი;

ზოგადი მიმოხილვა.

1911 წელს ტერმინი «შიზოფრენია» შემოიტანა და დაამკვიდრა შვეიცარელმა ფსიქიატრმა ეუგენ ბლეილერმა. მანამდე დაავადების რაობის გარკვევაზე მუშაობდა ემილ კრეპელინი (ციკლოფრენიის «აღმომჩენი» და კლასიკოსი). კრეპელინმა გარკვეულად დააღაგა «აღმომჩენილი» ფსიქიკური დაავადებები. საუკეთესოდ აღწერა მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის სიმპტომატიკა, მაგრამ შიზოფრენიამდე, ხატოვნად რომ ვთქვათ, «ხელი ვერ მიუწვდა». ცხადია, მაშინდელი ფსიქიატრები და ფსიქოლოგები ხვდებოდნენ, რომ ციკლოფრენიის გარდა არსებობს კიდევ რაღაც ფრიად მოდებული დაავადება, რომელიც გონებაჩლუნგობით მთავრდება, მაგრამ ეს დაავადება იმდენად უცნაური და გაუგებარიც კი იყო მათთვის, რომ ვერავინ ჩაწვდა მის არსს ბლეილერამდე.

როგორც ციკლოფრენიას ჰყავს თავისი «კლასიკოსი» ემილ კრეპელინის სახით, ასევე შიზოფრენიის ბუნების ძიების სათავეებთან დგას ეუგენ ბლეილერი - მეორე გიგანტი

ფსიქიატრიისა. მანამდე შიზოფრენიის ძირეულ ნაშთად ჭკუასუსტობას მიიჩნევდნენ, ამიტომ ამ ფსიქოზის ადრეული სახელწოდებებია: ჯერ - მეორეული ჭკუასუსტობა, შემდგომ - ნაადრევი ჭკუასუსტობა.



ბლელიერი ჩაწვდა ფსიქოზის არსს, მოგვცა მისი ძირეული სიმპტომატიკის აღწერა და შეცვალა სახელწოდება, ბერძნული სიტყვა-შენაერთით. შიზოს, უფრო სწორად, სხიზოს - გაყოფა, გახლეჩა, და ფრენია - გონება, ცნობიერება. ე.ი. «შიზოფრენია» ბერძნულიდან ბუკვალურად ითარგმნება, როგორც «ცნობიერების გახლეჩა». ამაში დაინახა ბლელიერმა ფსიქოზის არსი და მეცნიერთა უმრავლესობა ასე თვლის დღესაც. რა თქმა უნდა, «ჭკუის გაყოფა» მეტად პრიმიტიული განსაზღვრებაა ამ ურთულესი და უმდიდრესი სიმპტომატიკის მქონე დაავადებისა, მაგრამ აქ ლაპარაკია არსზე. არსი კი მდგომარეობს **პიროვნების მთლიანობის დარღვევაში**, მით უფრო, თუ ეს რღვევა ეხება პიროვნების ბირთვს, ადამიანი სულიერად მთლიანად ირღვევა. რაც შეეხება ნიციშეს, ჩვენი ვარაუდით, მას ჰქონდა ბირთვული შიზოფრენია.

ბლელიერის შემდეგ ეს ფსიქოზი ფსიქიატრიის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს. დღემდე უცნობია მისი გამომწვევი მიზეზი და დაუდგენელია საზღვრები (მაგალითად, სად მთავრდება «სუფთა შიზოფრენია» და სად იწყება შიზოაფექტური ფსიქოზი, ან შიზოიდური თუ შიზოტიპური აშლილობანი, თუნდაც დისოციაციური აშლა).

შიზოფრენიის არსს მოკლედ ვერ განსაზღვრავ, მაგრამ ჩვენ შევეცდებით დაახლოებით მოვხაზოთ ფსიქოზის მახასიათებლები: ყველა სხვა ფსიქოზის დროს პიროვნების მთლიანობა ასე თუ ისე შენახულია, აზროვნება შეუქცევადად არ «ინგრევა», არ გვაქვს არანაირი სხიზისური ფენომენები. სხაგვარადაა საქმე შიზოფრენიის დროს. სწორედ **მისი და მხოლოდ მისი** სპეციფიური ნიშნებია **ინტრაფსიქიკური ატაქსია**, «გახლეჩა», სხიზისი, შიდაფსიქიკური დისჰარმონიზაცია და ფსიქიკის ცალკეულ სფეროთა შეუთანხმებელი, დეზინტეგრაციულ-დისკოორდინირებული მოქმედება, ინტრაფსიქიკური ატაქსია გარდაუვალი ნიშანია ამ ფსიქოზისა და ახასიათებს **მხოლოდ მას**. ალბათ, უკანასკნელი ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ შიზოფრენია, ხატოვნად რომ ვთქვათ, - «ფსიქოზთა მეფეა», - ანუ ყველაზე ავთვისებიანი და ამაზრზენი. მაგალითად, მასთან შედარებით რეაქტიული ფსიქოზი ან ციკლოთიმია ბავშვის თამაშად შეიძლება მოგვეჩვენოს: მითუმეტეს, თუ ლაპარაკია ბირთვულ შიზოფრენიაზე, ან მარტივ, უწყვეტად და დუნედ მავალ პროგრედიენტულ ფორმაზე.

როგორც ვთქვით, ფსიქიკას აქვს სამი ფუძისეული სფერო: ინტელექტუალური, ემოციური და ნებელობითი. შიზოფრენია «აზიანებს» სამივე სფეროს, იწვევს მათ **დისჰარმონიზირებას**, რაც საბოლოოდ მჟღავნდება პიროვნების ობიექტურ დისჰარმონიზირებასა და გახლეჩაში.

იდეატორული «გახლეჩა» შეიძლება გამოიხატოს ურთიერთსაწინააღმდეგო, დაუსაბუთებელ აზრებში.

ემოციური «გახლეჩა» ვლინდება ე.წ. აფექტურ ამბივალენტობაში.

ნებელობის «გახლეჩა» მჟღავნდება ურთიერთსაწინააღმდეგო, ჩვენთვის გაუგებარ სურვილებში, ქმედებებში და ა.შ.

დავუბრუნდეთ პირველთქმულს და დავსვათ ერთი შეხედვით ბავშვური კითხვა: რა არის შიზოფრენია? რა არის მისი არსის ძირითადი მახასიათებლები? ჩვენი სუბიექტური მოსაზრებით, ეს ზოგადი მახასიათებლებია სქემის სახით:

1. პიროვნების ფსიქიკის შიდა დისკოორდინირება სხვადასხვა ფორმით.

2. პიროვნების ფსიქიკური დისოციაცია.
3. პიროვნების ზოგადი დეზინტეგრაცია.
4. ფსიქიკის სფეროთა ფუნქციების შეთანხმებული მუშაობის დარღვევა.
5. ინფორმაციული ინფილტრაცია.

თავი II. ინტრაფსიქიკური ატაქსია და სხიზისი ნიცმესთან დაკავშირებით

ინტრაფსიქიკური ატაქსია ფსიქიატრიული ტერმინია და შეიძლება ითარგმნოს, როგორც «შიდაფსიქიკური ერთიანობის დარღვევა». ტაქსის - ბერძნულად ნიშნავს წესრიგს, ჰარმონიას, თანმიმდევრულობას. «ატაქსია» - ყოველივე ამის საწინააღმდეგოს.

ბირთვული შიზოფრენიის დროს სიმპტომატიკურად დიდი ხვედრითი წილი მოდის ამ ფენომენზე: ავადმყოფის პიროვნება ფაქტობრივად აღარ არსებობს, ხელთ გვაქვს ალოგიკური აზრების, არეული ემოციებისა და გაუგებარი სურვილების გროვა, «დომხალი».

ეს ყოველივე - ფსიქოზის გაშლის დროს. მანამდე კი, პრემანიფესტალურ პერიოდში, იგივე ნიშნები ვითარდება ნელ-ნელა, შეუმჩნევლად.

ნიცმეს მსოფლმხედველობრივი გახლეჩა და მერყეობა ერთი პოლუსიდან მეორისაკენ (ქრისტე-დიონისე), მისი ემოციური გახლეჩა, რაც შესაბამის თავში აღვწერეთ, ნიშნებია პრემანიფესტალურ პერიოდში მყოფი ფსიქოზისა.

შიზოს - უფრო სწორედ სხიზოს, - უკვე ვთქვით, ბერძნული სიტყვების, «სხიზოსი» კი გახლეჩილობის ექვივალენტია. ვგონებთ, მკითხველისათვის ნათელია, როგორ დუნედ და ტიპიურად ვითარდებოდა ნიცმეს დაავადება, თავისი კლასიკური სიმპტომატიკით; ვიდრე არ დადგა 1889, ტრაგიკული, თუმცა გარდუვალი წელი.

ქვეთავი I. ამბივალენტობა

როცა ნიცმეს «გაორებაზე» ვსაუბრობდით (იხ.), ვთქვით, რომ ნიცმეს ჰქონდა ორმაგი ემოციური დამოკიდებულება (ურთიერთსაწინააღმდეგო) თავის «იდეალებთან».

ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციების შეთავსება ერთი და იგივე საგნის მიმართ შიზოფრენიული პათოლოგიაა, კერძოდ, ემოციური აშლის სიმპტომია:

«ნორმალური პირობებში ყოველი ემოციურ-აფექტური განცდა ალტერნატიული ბუნებისაა – სთენიური ან ასთენიური.

სულ სხვა მდგომარეობაა, ემოციური ამბივალენტობის დროს; შიზოფრენიული გახლეჩილობის შედეგად აქერთსა და იმავე დროს შესაძლოა ორი ურთიერთგამომრიცხველი გრძნობითი აქტის თანაარსებობა. ავადმყოფს ერთსა და იმავე დროს **კიდეც უყვარს, კიდეც სძულს, კიდეც უნდა, კიდეც არ უნდა** და სხვა».

სხვათაშორის, ნიცმეს ერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში (ცხადია, იგულისხმება პერიოდი «შეშლილობამდე»), რაღაც დროით, ნიცმე ისევ ქრისტეს და ქრისტიანობას მიუბრუნდა. თუ მართლა ასე იყო, ვფიქრობთ, ეს მოხდა მხოლოდ **შიშის** მიზეზით: ნიცმე მიხვდა, რომ **რაღაც გაუგებარი** «ემართებოდა» და ისჯებოდა ღვთისმგმობელობისათვის. როგორც ეტყობა, ეს შიში დიდხანს არ გაგრძელებულა.

* ა. ზურაბაშვილი. კლინიკური ფსიქიატრია. თბ., 1963 წ. გვ. 140

თავი III. ტრადიციული ფსიქიატრია და მის მიერ აღწერილი სიმპტომატიკა. ფორმები

«ტრადიციულს» ჩვენ აქ «დამტამპულის» მნიშვნელობითაც ვხმარობთ. ჩვენ არ ვაცხადებთ არანაირ პრეტენზიას, რომ ამ ფსიქოზზე ყველაფერს ვიტყვით ნაშრომში და თემას ამოვწურავთ. ეს შეუძლებელია: შიზოფრენია ის ოკეანეა, რომელსაც მკვლევართა კოვზები ვერ დააშრობენ. მასზე ყველაფრის თქმას სქელტანიანი ტომები დასჭირდება.

აქ ჩვენი მიზანია ამ ტრაგიკული დაავადების არსის, მოსალოდნელი დამანგრეველი შედეგების, ძირითადი ნიშან-თვისებების და კლინიკური სურათის გადმოცემა შეძლებისდაგვარად. თემის ამოწურვას, ცხადია, ჩვენ ვერ შევძლებთ. მან, ვინც დაინტერესებულია ფრიდრიხ ნიცშეთი, უნდა იცოდეს, რა მძიმე ხვედრი ერგო წილად გერმანელ მოაზროვნეს.

ქვეთავი I. შიზოფრენიული აზროვნება

ხშირად ამბობენ, რომ შიზოფრენიული აზროვნება გაუკუღმართებულია, ამ დროს ლოგიკა შეიძლება «თავდაყირა» იყოს დაყენებული. მაგალითად ერთი შიზოფრენიკი ასე აზროვნებდა: «მე წამლებს მასმევენ, ამიტომ მე ავად ვარ. საკმარისია შევწყვიტო წამლების მიღება, რომ გამოვჯანსაღდები». როგორც ხედავთ, ლოგიკის ჯაჭვი შებრუნებულია. გარდა ამისა, შიზოფრენიულ აზროვნებას გარდაუვალად ახასიათებს ალოგიკურობა. მაგალითად: «მე ხვალ გავცივდები, რადგან დავინახე თოლია». შიზოფრენიკის აზროვნება მოკლებულია კონკრეტულობას, ხშირად აბსტრაქტიზმის უნარსაც: ამიტომ უჭირთ შიზოფრენიკებს, მაგალითად, ანდაზების გაშიფვრა. ისინი მათ იგებენ პირდაპირი მნიშვნელობით, თუკი საერთოდ «იგებენ». შიზოფრენიული აზროვნება, ძველი ფსიქიატრიული სკოლის ტერმინით, - «გაფხვიერებულია». აქ ალბათ გულისხმობენ დეტალების მნიშვნელობის გადაჭარბებას ძირითადის ხარჯზე. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი სპეციფიური თვისება დაავადებულის აზროვნებისა: ესაა **ასოციაციური მოშლილობა**. ჯანსაღი ადამიანის ასოციაციები ლოგიკურია. მაგალითად, თუ მე გამახსენდა უნივერსიტეტი, ლოგიკურია გამახსენდეს ივანე ჯავახიშვილი, შემდეგ მისი შრომები, «ქართველი ერის ისტორია», შემდეგ რომელიმე ეტაპი ამ ისტორიისა და სხვ. ასეთია ჯანსაღი აზროვნების ჯაჭვი. მაგრამ შიზოფრენიის დროს ეს ჯაჭვი ცალ-ცალკე რგოლებად დაშლილი და დაფანტული. ავადმყოფის ასოციაციები შემთხვევითია, გაუგებარი და რაც მთავარია, ალოგიკური. მაგალითად, შიზოფრენიით სნეულს შეიძლება გაახსენდეს უნივერსიტეტი, მერე უცებ ტრაქტორი, მერე ვახტანგ გორგასალი და ა.შ. ანუ აზროვნება და **ასოციაციები დაწყვეტილია**, ისევ და ისევ შემთხვევითი და ახსნამოუძებნელი. ერთადერთი ახსნა ისევ ტვინის მუშაობის მთლიანობის დარღვევაა და ის ნატიფი ტოქსიკოდეგენერაციული ძვრები, რომელიც ამ ფსიქოზს ახასიათებს ნეიროფიზიოლოგიურად.

ფსიქოზის დროს ხშირია ე.წ. ბოდვები. ავადმყოფები გამოთქვამენ ფანტასტიურ, დაუჯერებელ ან უბრალოდ არასწორ «აზრებს», მაგრამ მათი გადარწმუნება შეუძლებელია. შიზოფრენიის დროს ყველაზე გავრცელებულია ზემოქმედების ბოდვა. ავადმყოფები ირწმუნებიან, რომ მათ სულში კიდე «ვიღაცაა», «ვიღაც იდუმალი პიროვნება ზემოქმედებს ჩემს აზრებზე, მაიძულებს ვაკეთო, რაც მას უნდა». ხშირია შეგრძნება, რომ «ვიღაცა» საკუთარ აზრებს თავში «უდებს» და ა.შ. ასევე გავრცელებულია დევნის ბოდვა პარანოიდული ფორმის დროს: მოწამვლის, მოკვლის, თვალთვალის და ა.შ. ეს ყოველივე დაავადებული გონების ნაყოფია და არანაირი საერთო ობიექტურ რეალობასთან არ აქვს. არის ეჭვიანობის, ღალატის, კატასტროფის და სხვა უამრავი ბოდვა, რომელთა აქჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

მაგალითის სახით ვიტყვით, რომ ერთი ავადმყოფი დარწმუნებული იყო, რომ თავში ჰყავდა მეორე პიროვნება, სახელიც კი დაარქვა «გეტო» და ხშირად ელაპარაკებოდა მას. ეს მაგალითი მოჰყავს ა. ზურაბაშვილს თავის წიგნში «კლინიკური ფსიქიატრია».

რაც უფრო იშლება ფსიქოზი, მით უფრო ირღვევა აზროვნება. «ნიცშემ შეწყვიტა აკადემიური მოღვაწეობაო» - წერენ, - შეწყვიტა ცხადია. ავადმყოფთა გამოთქმები საერთოდ გაუგებარი ხდება, სურვილები ალოგიკური, ვარაუდები - უცნაური. შორს წასული შიზოფრენიის დროს ზოგიერთი სნეული ავლენს «ნეოლოგიზმის» ან შიზოფაზიურ ფენომენებს არსებობს კიდევ უამრავი სიმპტომი, რომელიც გამომდინარეობს დაავადების თავისებურებებისაგან - აზროვნებით მოშლილ სფეროში, შემდგომ დავუბრუნდებით მათ შორის შედარებით მნიშვნელოვან სიმპტომებს.

ამ სნეულების დროს ინგრევა პიროვნების ინტელექტი. გენიოსიც რომ დაავადდეს შიზოფრენიით, თუ პროცესი არ ჩაქრა, ბოლოს მივიღებთ ჭკუასუსტ, დეფექტურ პიროვნებას, რომელმაც შეიძლება ორი წინადადება ვერ მიაბას ერთმანეთს (არამგონია ვინმეს ნიცშეს გენიოსობაში ეჭვი ეპარებოდეს).

რადგან ფსიქოზი პროგრესიულად იწვლება, ე.ი. მას აქვს ეტაპები.

შიზოფრენია გამანადგურებლად მოქმედებს ფსიქიკაზე, გაივლის გარკვეულ სპეციფიურ სტადიებს და ბოლოს, უკანასკნელი სტადიაა - ე.წ. გამოსავალი სტადია. - ფსიქოზური მოვლენები ქრება, და ხელთ გვრჩება დეფექტური, ჭკუასუსტი პიროვნება.

ჭკუასუსტობა ამ ფსიქოზის გარდამავალი შედეგია. ეს არის არა ორგანული, არამედ შექნილი ჭკუასუსტობა. ცხოვრების გამოცდილება და ცოდნა ინფორმაციის სახით შენახულია მეხსიერებაში, მაგრამ დარღვეული პიროვნება ვერ ახერხებს ამ გამოცდილების რეპროდუქცია-გამოყენებას და ტოვებს ტლანქი ჭკუასუსტის შთაბეჭდილებას.

ქვეთავი II. ემოციური სფერო შიზოფრენიის დროს

ე.წ. «გახლეჩილობის» მოვლენას ბრწყინვალედ ახასიათებს ი. ბჟალავა: «ფსიქოპათოლოგიური თვალსაზრისით შიზოფრენია პიროვნების თავისებურ **დეზინტეგრაციას** წარმოადგენს»^{*} აფექტურ ამბივალენტობაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ახლა დეზინტეგრაციის სხვა გამოვლინებაზე გვექნება საუბარი.

ეს არის ემოციების პათოლოგია შიზოფრენიის დროს. მაგრამ ეს იმდენად ტევადი და ვრცელი თემაა, რომ გადავწყვიტეთ აქ სქემატურად მოვხაზოთ საკითხი, შემდგომ კი დეტალურად აღვწეროთ სპეციფიური სიმპტომები და ა.შ.

სნეულების დასაწყისში ავადმყოფებს ძალუბთ თავადაც დააფიქსირონ ფაქიზი ცვლილებები მათ სუბიექტურ განცდებში და განსაკუთრებით აღქმაში.

აღქმაში თავს იჩენს ალოფსიქიკური დეპერსონალიზაციის მოვლენები (ანუ დერეალიზაცია), ამ დროს შეიძლება დაიწყოს და განვითარდეს აუტოფსიქიკური დეპერსონალიზაციაც (როგორც გვქონდა ეს ნიცშესთან), მაგრამ დაუდევარი და უინტელექტო ადამიანი, ცხადია, ვერ შეამჩნევს ავადმყოფურ სიმპტომებს. შემდეგ ეტაპებზე დაავადებისა კი ეს ისედაც შეუძლებელი ხდება თვითკრიტიკის უნარის დაკარგვის გამო. სხვათაშორის, ეს უკანასკნელი დებულება ა. ზურაბაშვილს ეკუთვნის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყოველთვის ასე არ არის. თანამედროვე ფსიქიატრიაში ცნობილია, რომ რიგ ავადმყოფებს ნაწილობრივ

* ნეოლოგიზმები - ავადმყოფი «თხზავს» საკუთარ «სიტყვებს». შიზოფაზია-არეული, გაუგებარი სიტყვიერი პროდუქციები, ერთგვარი უაზრო «დომხალი» სიტყვებისა. ახასიათებს ფსიქოზის უკანასკნელ ეტაპებს.

** ი. ბჟალავა. «ფიქსირებული განწყობის თავისებურებანი შიზოფრენიის უწყვეტი და პროგრესული ფორმების შემთხვევაში». თბილისი. «მოამბე» №10, 1953 წ.

შენარჩუნებული აქვთ კრიტიკა და იციან, რომ ავად არიან; ბევრმა საკუთარი დიაგნოზი კი იცის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთმა ნიჭიერმა კოლეჯის მოსწავლემ თავის თავს დაუსვა შიზოფრენიის დიაგნოზი, შესაბამისი ლიტერატურის წაკითხვის შემდეგ, რადგან შენიშნა რაღაც ძვრები საკუთარ ფსიქიკაში. მცირე მომავალში დიაგნოზი გამართლდა.

ასე რომ, არასწორი აღმოჩნდა ზურაბაშვილის სკოლის დებულება იმის თაობაზე, თითქოს დაავადება ყოველთვის სპობს თვითკრიტიკის უნარს. ამ უნარს ნიცშეც ხომ ამჟღავნებს «დიონისეს დითირამბში»! **შიზოფრენიის დროს ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება თვითკრიტიკის უნარი ნაწილობრივ შენარჩუნებული იქნეს.**

ა. ზურაბაშვილი სწორად წერს, რომ ფსიქოზის დასაწყისში სუბიექტის ფსიქიკა ერთგვარად «შემოიგარსება» («გამოქვაბული!»), ჩნდება აუტიზმი, როგორც სიმპტომი: ავადმყოფები იკეტებიან საკუთარ თავში, განცდებში, საკუთარ სამყაროში, აუტისტურები არიან, გაურბიან გარემოს, ადამიანებს (მომატებული სენსორულობის - მგრძნობელობის, მგრძნობიარობის გამო), არ უვლიან საკუთარ თავს, ზოგიერთი უფრო დამაბული ხდება, ზოგი ეშვება, დუნდება. (იხ. დასახელებული ნაშრომი).

ინიციალურ სტადიაში ავადმყოფი შეიძლება გაიტაცოს ისეთმა სფერომ (მათემატიკა, ფილოსოფია და სხვა), რითაც მანამდე არ ინტერესდებოდა და ა.შ. ესეც ხშირად სიმპტომია ამ დაავადებებისათვის დამახასიათებელი.

უშუალოდ ფსიქოზის დროს ხშირია დეპრესია, განგაშის აფექტი, უმიზეზო ცვლა განწყობილებისა, ბოდვები და ჰალუცინაციები.

დეპრესია შიზოფრენიულ სტრუქტურაში დიდად არ განსხვავდება ჩვეულებრივი ენდოგენური დეპრესიისაგან, ამიტომ ამ თემაზე არ შევჩერდებით.

იგივე ითქმის განგაშის აფექტზეც: ეს პროდუქცია საერთოდ აფექტური სფეროს მოშლილობისა.

აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი სწორია იმაშიც, რომ შიზოფრენიის დროს აგზნება დისჰარმონიულია (ეგზნება ფსიქიკის რომელიმე ცალკეული სფერო და არა მთლიანად ფსიქიკა). ამის მიზეზიც ალბათ ფსიქიკის მთლიანობის დარღვევაა.

ქვეთავი III. ბოდვები და ჰალუცინაციები¹

ბოდვები. ჩვენს ნაშრომს ალბათ ყოველგვარი ღირებულება დაეკარგება, თუ ფსიქიატრია განვიხილეთ ნიცშეს გარეშე. ჰქონდა თუ არა ბოდვები შეშლილ ნიცშეს, ამის გამორკვევა დღეს შეუძლებელია და მთვარეზე კენჭების დათვლას ჰგავს. მაგრამ რადგან ჩვენი ჰიპოთეზაა, რომ 1889 წელს ფილოსოფოსი დაავადდა ბირთვოვანი შიზოფრენიით, ამიტომ ამ სიმპტომსაც «ვერ გავექცევით».

ჩვენი «დიაგნოზის» მიხედვით ნიცშეს შეიძლება ჰქონოდა (ჰიპოთეტიურად): ზემოქმედების ბოდვა, თვითბრალდების ბოდვა, ალოფსიქიკური, დევნის, იპოქონდრიული, მეგალომანიური, რეტროაქტიური, ცოდვიანობის ბოდვები.

თუ ისინი იყვნენ, ცხადია, მეტ-ნაკლები სისტემატურობით იქნებოდნენ აღბეჭდილნი.

ზემოქმედების ბოდვა ჩვენ ზემოთაც აღწერეთ. ძალიან ხშირია შიზოფრენიის დროს, როცა ავადმყოფს ერკვება რეალურად, რომ ვიღაცა «რაღაც» ზემოქმედებას ახდენს მასზე: ვთქვათ, დენით, რენდგენული და ულტრაიისფერი სხივებით, იმყოფება ვიღაცის გავლენის ქვეშ, ის «ვიღაცა» უხილავად მანიპულირებს მისით და სხვა.

თვითბრალდების ბოდვის დროს ავადმყოფს თავი ერკვება დამნაშავედ, ცოდვილად, სიცოცხლის არაღირსად და მისთ.

¹ ეს შემთხვევა. როგორც უნიკალური, მოჰყავს ფულერ ტორეის- ს თავის «შიზოფრენია»-ში.

² თვალთმოტყუება (ლათ).

ალოფსიკური ბოდვისას ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ ვიღაცა წამლავს, კლავს ან უპირებს ვნების მიყენებას.

დევენის ბოდვა ალბათ ახსნას არ საჭიროებს ჩვენი მკითხველისათვის. იგი «განუყრელი» თანამგზავრია პარანოიდული შიზოფრენიისა, ამასთან სხვა პარალელური პარანოიდული აშლილობებისა.

იპოქონდრიული ბოდვის დროს ავადმყოფს ჰგონია, რომ დაავადებულია რაღაც მძიმე სენით (ვთქვათ, კიბოთი), აქვს ხშირი ჩივილები ამის თაობაზე.

მეგალომანია - თვითგანდიდება. შესაძლოა (და ალბათ სავარაუდოდ), რომ ნიცშეს განდიდების მანამ გარკვეული შეფერილობა (**წაფენილობა**) მისცა მის ფსიქოზს, ამიტომ შესაძლებელია ფილოსოფოსს განვითარებოდა მეგალომანიური ბოდვა სულით ავადმყოფობის ჟამს.

რეტროაქტიური ბოდვისას ავადმყოფი იხსენებს საკუთარ წარსულს ავადმყოფურად გადამუშავებული, გაუკუღმართებული სახით.

ცოდვიანობის ბოდვის დროს ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ დიდი ცოდვები მიუძღვის, ჯოჯოხეთში მოხვდება და დაიტანჯება ამისათვის და სხვა.

ჰალუცინაციები. ისინი იმდენივე სახისაა, რამდენი გრძნობის (აღქმის) ორგანოც (საშუალებაც) გააჩნია ადამიანს, მაგრამ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ მთავარზე და სპეციფიურზე: ესაა ვიზუალური და სმენითი ჰალუცინაციები.

ჰალუცინაციის არსი აღქმის გაუკუღმართებაა, როცა ავადმყოფი **ხედავს** არარსებულ საგანს, **რომელიც მისივე ტვინის ნაყოფია** (არადა, ობიექტურად, რეალურად **ხედავს**), სწორედ ამას ეძახიან ფსიქიატრები გაუკუღმართებულ აღქმას. ეს სიმპტომი სხვებთან ერთად შიზოფრენიასაც ახასიათებს:

მხედველობითი და სმენითი ჰალუცინაციები ხშირ შემთხვევაში ახასიათებს შიზოფრენიას, განსაკუთრებით სმენითი. ფულერ ტორეი თვლის, რომ თუ ადამიანს აქვს მომატებული სმენითი ჰალუცინაციები, მაშინ 90 პროცენტია შანსი იმისა, რომ ის შიზოფრენიკია, იმდენად სპეციფიურია ყურთმოჩვენებები შიზოფრენიისათვის.

ნიცშეზე ამასთან დაკავშირებითაც ბევრს ვერაფერს ვიტყვით ინფორმაციის უქონლობის გამო, მაგრამ ამ სიმპტომთა განხილვა მაინც აუცილებლად მიგვაჩნია. მხედველობითი ჰალუცინაციის დროს ავადმყოფი ხედავს რაიმე საგანს, რომელსაც რეალობად ღებულობს. ეს საგანი მართლაც არ განირჩევა ირგვლივ მყოფი სხვა რეალური საგნებისაგან: აქვს ფერი, ფორმა, ფაქტურა და ა.შ. სწეულისათვის მოჩვენებული საგანი სრულ რეალობად აღიქმევა. საგანი ნებისმიერი შეიძლება იყოს.

ჩვენ უფრო გვაინტერესებს სმენითი ჰალუცინაციები, - ყურთმოჩვენებები, რომელიც შიზოფრენიის შემთხვევათა უმრავლესობას ახასიათებს. სწეული აქაც დარწმუნებულია გაგონილის რეალობაში, აქაც იგივე სურათია: ავადმყოფს შეიძლება ესმოდეს ყვირილი, ჩურჩული, დარიგება, მუქარა, ტირილი, მუსიკა და საერთოდ, ნებისმიერი რამ.

შიზოფრენიის შემთხვევაში ყურთმოჩვენებები უმეტესად შემზარავი ხასიათისაა.

ისევე «ჰიპოთეტიურად»: ნიცშეს შეიძლება ჰქონოდა: ანტაგონისტური, ვერბალური და იმპერატიული სმენითი ჰალუცინაციები.

ანტაგონისტური ყურთმოჩვენება გულისხმობს ერთსა და იმავე დროს ორი ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის მქონე ხმის ან ხმების გაგონებას ზოგჯერ სხვადასხვა ყურში. მაგალითად, ავადმყოფს ცალ ყურში ესმის მოწოდება **სუიციდისაკენ**. ვიღაცის ხმით, ხოლო მეორე ყურში «უბნებიან», რომ არ ჩაიდინოს ეს ცოდვა და მისთ. ცნობიერების გახლეჩა.

ვერბალური ყურთმოჩვენება მჟღავნდება სხვადასხვა ხმების ურთიერთსაუბარში,

* ა.ზურაბაშვილის ტერმინი.

** სუიციდი - თვითმკვლელობა.

ურთიერთკამათშიც კი.

იმპერატიული ჰალუცინაციაა, როცა «ვიდაცის ხმა» უბრძანებს ავადმყოფს, გააკეთოს ესა თუ ის საქმე, ქმედება. ავადმყოფი ავტომატურად ემორჩილება «მბრძანებელს» ამგვარად ყოფილა სუიციდის შემთხვევებიც. ეს ჰალუცინაცია ხშირად ერწყმის ზემოქმედებისა და ზეგავლენის ბოდვას, ავადმყოფი უკანასკნელ შემთხვევაში «ბოდვის ენაზე» გადაამუშავებს იმპერატივს.

ქვეთავი IV. ფსიქოზის ფორმები

ტრადიციული ფსიქიატრიის მიხედვით, შიზოფრენიას აქვს თავისი სხვადასხვა ფორმები. კერძოდ, ესენია: მარტივი, კატატონიური, პარანოიდული და ჰეზეფრენიული: ისევ არ შევუდგებით მთვარეზე კენჭების დათვლას და იმის გარჩევას, თუ რომელი ფორმით დაავადდა ნიცშე (ჰეზეფრენია გამორიცხულია). არის ე.წ. ატიპიური ფორმებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმებად დაყოფას არ ვემხრობით და ვიზიარებთ ფულლერ ტორეის აზრს, რომ **შიზოფრენია ერთი მთლიანი დაავადებაა უმდიდრესი გამოვლინებებით**, მაინც მოკლედ დავახსიათებთ ზემოთმოყვანილი ფორმების კლინიკურ სურათებს, ტრადიციულმა ფსიქიატრიამ რომ ჩამოაყალიბა.

მარტივი. ახასიათებს სიმპტომების სიღარიბე. იწყება შეუმჩნეველად და შემპარავად. სიმპტომთა შორის ძირითადია: აპათია, ე.წ. «ემოციური გაცივება». ახასიათებს აუტიზმი. ჭარბობს ნეგატიური სიმპტომატიკა.

კატატონიური. ხასიათდება პერიოდული აგზნება - შეკავებით (შეკავება - კატატონიური სტუპორი), ორგვარია: ლუციდური და ონეიროიდული.

პარანოიდული. დუნედ მავალი ფსიქოზი. რემისიები იშვიათად აქვს. წამყვანი სიმპტომებია - ბოდვები უმეტესად დევნის, მოწამვლის, ზემოქმედების, ყურთმოჩვენებები.

ჰეზეფრენია. იწყება 15-18 წლის ასაკში. უწყვეტი ფსიქოზი. ახასიათებს ასინტონიური პათოლოგიური «ონავრობა - ცელქობა», მთავრდება ჭკუასუსტობით - დემენციით.

ფსიქოზის ე.წ. ატიპიური ფორმების განხილვა წინამდებარე ნაშრომში საჭიროდ არ მიგვაჩნია. ახალი «სამამულო» ფსიქიატრიიდან პირობითად გადავალთ «არასამამულოზე». ვფიქრობთ, «იქ» უკეთესად გაარკვიეს, რა არის შიზოფრენია და უკეთესად აღწერენ კიდევ თავიანთ შრომებში.

ცხადია, ვგულისხმობთ **უახლესი ფსიქიატრიის** მიღწევებს მსოფლიო მასშტაბით, რომელთაც ბევრად ჩამოუვარდება ჩვენი, როგორც «განვითარებადი ქვეყნის», მიღწევები და აქ არც არაფერია გასაკვირი, ან მოულოდნელი.

წინდაწინ ვიტყვით, რომ თანამედროვე ევროპაში ან ამერიკაში სხვანაირად უყურებენ ფსიქიკურ დაავადებებს: მოხსნილია დაცინვისა და სირცხვილის ბარიერი, რომელიც ჩვენთან შემორჩენილია ჩვენდა სამარცხვინოდ. ცივილიზებულ ქვეყნებში, ჩვენ რომ ასე ვძაბავთ, უკვე დიდი ხანია შეიგნეს: ფსიქოზი არის ადამიანის ორგანული დაავადება, მძიმე ავადმყოფობა (დრამა ან ტრაგედია - ფსიქოზის რაობის შესაბამისად). როცა მე თეორიულად ჩავიხედე ამ სფეროში, შემზარა იმ სურათმა, რაც იქ დამხვდა. გვახსოვს გენიალური ფილმი მილოშ ფორმანისა: «ვიდაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა». ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სამყარო ორად არის გაყოფილი რკინის მავთულხლართით. აქეთ ვართ ისინი, ვინც თავს «ნორმალურებს» ვუწოდებთ, «იქით» კი ისინი, ვისაც გიჟები დავარქვით. ჩვენ

* ჰეზე - ანუ ჭაბუკური. (ბერძ)

** მავალითად, ჭაბუკური შიზოფრენია დეპერსონალიზაციურ გამოვლინებათა სიჭარბით (ვორობიოვი).

არ გვინდა ბარიერის იქით გადახედვა, რადგან იქ გამუდმებული ტანჯვაა, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ჩვენ ვიცით: რომც გადავიხედოთ, სასიკეთოს ვერაფერს დავინახავთ. ამიტომ გვირჩევენია ისევ ჩვენი პატარ-პატარა სიამოვნებებით შევიქცეთ თავი. მკითხველი ალბათ მომიტყეებს ამ სენტიმენტალური გადახვევისათვის.

თავი IV. თანამედროვე ფსიქიატრიის ზოგიერთი შეხედულება შიზოფრენიაზე

ქვეთავი I. სხვაობა «ძველსა და ახალს» შორის

მეცნიერების მიერ საკმაო ხანია დამტკიცებულია, რომ შიზოფრენია არის **თავის ტვინის დაავადება**. ფსიქოზის გამომწვევი მიზეზი **დღემდე** უცნობია, მაგრამ მას ალბათ ოცდამეერთე საუკუნე გაარკვევს. ძირითადი და კლასიკური შეხედულებები ამ ფსიქოზზე (რაც «მეოთხე ნაწილში დავახასიათეთ) ახლაც ძალაშია მსოფლიოში, «დღითი-დღე» მდიდრდება, ივსება. ზოგიერთი თვალსაზრისი შეიცვალა, გაბათილდა, ან გადაფასდა. ძირეული გარდაქმნები მოხდა თერაპიულ სფეროში, დიაგნოსტიკის მეთოდებში, ფსიქოფარმაკოლოგიაში. თუ ადრე დიაგნოსტიკა მხოლოდ ექიმისა და პაციენტის «საუბარს» ემყარებოდა, ახლა დასავლეთში, სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში დიაგნოსტიკისთვის და მკურნალობისთვის მოწოდებულია რიგი ტექნიკური საშუალებანი, სისხლის ლაბორატორიული ანალიზი, ბიოქიმიური ანალიზი, ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის გამოკვლევა, ელექტროენცეფალოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, პოზიტრონული ემისიური ტომოგრაფია და სხვა. განვითარდა ფსიქოფარმაკოლოგია, ამუ მედიკამენტოზური მკურნალობის მეთოდიკა, თითქმის ყოველ წელიწადს ბიოქიმიურ ლაბორატორიებში მზადდება ახალი პრეპარატები, რომლებიც ცვლიან «ძველებს». ეს წამლებია ძირითადად ნეიროლეპტიკები, ტრანკვილიზატორები და ანქსიოლოტიკები მაგალითად, ბენზოდიაზეპინური ჯგუფი, დიბენზოდიაზეპინები - გაუმჯობესებული ვარიანტები, ანტიდეპრესანტები და სხვა.

ფსიქოფარმაკოლოგია თითქმის ცალკე მეცნიერებაა და ამჯერად ჩვენს თემას არ შეეხება, ამიტომ აღარ განვაგრძობთ მას და თქმულზე შევრჩერდებით.

მიუხედავად იმისა, რომ შიზოფრენიის მიზეზი და მთლიანი არსი ბუნდოვანებითაა მოცული დღესაც, მკურნალობა **მცირე** ეფექტს მაინც იძლევა. მედიკამენტები «ახშობენ» ავადმყოფურ სიმპტომებს გარკვეული პერიოდის მანძილზე, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. იშვიათად, მაგრამ ახლაც გამოიყენება მოძველებული - ინსულინური და ელექტროშოკური თერაპია, ზოგიერთ უკიდურეს შემთხვევაში.

ცხადია, შიზოფრენიით სნეულის აბსოლუტური გამოჯანსაღება შეუძლებელია: ეს ფსიქოზი იწვევს რიგ ორგანულ ცვლილებებს თავის ტვინში. (ტორეი თვლის, რომ ფსიქოზის აღმოცენების კერა ლიმბიური სისტემაა და იგი ყველაზე მეტად ზიანდება), და ხშირად ეს ცვლილებები შეუქცევადია, პროგრედიენტული და უწყვეტი თუ არა. ტვინის ქერქში ხდება პათონეიროფიზიოლოგიური «შეკავებითი» ძვრები, ნატიფი დეგენერაცია, ადგილი აქვს ცენტრალური ნერვული სისტემის ინტოქსიკაციას, ზიანდება **რეტიკულარული** ფორმაცია. ეს ცვლილებები, ცხადია, შეეხება ჰორმონალურ მხარესაც:

* ნაცვლად ძველი უხეში ნეიროლეპტიკებისა, მაგალითად, ტრიფტაზინი, ჰალოპერიდოლი, გამოიყენება დასავლური მედიკამენტები: ბუშპრონი, სერზონი, დედიპრამინი, ტრადანონი, პროზაკი, რისპერიდონი, სერეკოლი, გუონფასინი... მიმდინარეობს მუშაობა ახალი პრეპარატების შესაქმნელად, ზოგი შექმნილია და დაკანონებას ელოდება, მაგალითისათვის ამისულფირიდი, რიტანზერონი, ონდანსტერონი, ონალზეპინი, «ლიცენზიას» ელოდებიან: იდაზოქსანი. მენზიდოლი, ამონაპრიდი და სხვა. მაგრამ ეს ყოველივე ჯერ მხოლოდ დასავლეთში ხდება სამწუხაროდ.

ითვლება, რომ შიზოფრენიულ პროცესში «ჩათრეულია» ენდორფინები (ორგანული მორფინები), სხვადასხვა ნივთიერებანი, რომელთაც თავის ტვინის სეკრეტორები გამოყოფენ. ფსიქიატრები ძირითადად ლაპარაკობენ დოფამინ დ2-ზე და სეროტონინზე, ანტაგონისტური ჰორმონების (ადრენალინი-ნორადრენალინი, ენდორფინი-ნალოქსონი) სეკრეციის, რეგულაციის დარღვევაზე შიზოფრენიის დროს და სხვა.

მაგრამ ეს არის პრობლემის **ნეიროფიზიოლოგიური**, და არა ფსიქოპათოლოგიური მხარე, რაც ჩვენს ძირითად ინტერესს წარმოადგენს, ამიტომ აქაც აღარ განვავრცობთ ამას.

გავიმეორებთ ზემოთთქმულს, რომ **შიზოფრენიას დღეს ვერავინ კურნავს**, მაგრამ ტანჯვის შემსუბუქება უკვე შესაძლებელია (ამ უკანასკნელს ვერ ვიტყვით მე-19 საუკუნეზე, რომელშიც ცხოვრობდა ფრიდრიხ ნიცშე).

შიზოფრენია დღესაც ისეთივე პიროვნული ტრაგედიაა, როგორც იყო, ვთქვათ ნახევარი საუკუნის წინ.

ამ ფსიქოზის მთლიანი არსის ამოცნობას და ეფექტურ მკურნალობას, როგორც ჩანს, ჩვენი საუკუნე ოცდამეერთეს «გადაულოცავს».

თანამედროვე ფსიქიატრი ფ. ტორრეი წერს:

“Шизофрения стало сравнимым с жизнью в аду”, ხოლო ტ.ს. ელიოტი ასე ახასიათებს ამ დაავადებას:

“Холодный очищающий костёр”. როგორც ვხედავთ, «ძველთა» და «ახალთა» აზრები გასაოცრად ემთხვევა (ფ. ტორრეი დღესაც მოქმედი ფსიქიატრია ამერიკაში) ერთმანეთს. ისევ ტორრეი: “возможно, это болезнь, время которой пришло” ავტორი გულისხმობს მკურნალობის ეფექტურობას.

ი.წ. ცივილიზირებულ ქვეყნებში ოპტიმისტურად არიან განწყობილნი სპეციალისტები და სწამთ, რომ მალე ამოხსნიან ამ მოვლენას, როგორც გამოცანას და მიაგნებენ «პანაცეასაც». კვლევისა და თერაპიის მონაცემები აშკარად იძლევა ამის იმედს ფსიქიატრიისათვის.

თავი V. რას განიცდიდა ფრიდრიხ ნიცშე 1889-1900 წლებში

რას გრძნობენ, რას განიცდიან შიზოფრენიკები შინაგანად? როგორია მათი სუბიექტური შეგრძნებები, როგორ გრძნობენ ისინი თავის თავს? ამ კითხვის პასუხი საინტერესოცაა და, რა თქმა უნდა, ძირეულად უკავშირდება ჩვენი გამოკვლევის «გმირს» - შიზოფრენიით სწეულ ფრიდრიხ ნიცშეს.

ვფიქრობთ, თქმაც არ უნდა, რომ შიზოფრენია როგორცაა დღეს, ისეთივე იყო ნიცშეს დროსაც:

ა) «ახლა ფერები უფრო კაშკაშაა, ვიდრე ადრე იყო, თითქოს რაღაცა შიგნიდან ანათებდესო. ვერ ვრწმუნდები, რომ ნივთები მყარია, სანამ ხელით არ შეეხები. ფერები უფრო კაშკაშებენ, მაგრამ რაღაც ისე ვერ არის. საგნები, რომლებსაც ვუყურებთ, დიდდებიან. ეს ხდება, როცა მე მათ ცხვირს ვადებ».

ბ) «ჩემს თვალწინ საგნები კანკალებენ, ყველაფერი კანკალებს. განსაკუთრებით რაც წითელია. ადამიანები დემონებად მეჩვენებიან მათი შავი ჩრდილები თეთრი ელვარე თვალები ყველაფერი ცოცხლდება - სკამები, სახლები, მოაჯირები, თავისი ცხოვრებით ცხოვრობენ, მე მემუქრებიან, ცოცხლდებიან.»

გ) «ადამიანები სულ გამოიცვალნენ, თითქოს პლასტიკური ოპერაცია გაუკეთესო, დეფორმირდნენ.»

დ) «ერთხელ სკოლის დირექტორის კაბინეტში ვიყავი, ოთახი უცებ გადიდდა, უზარმაზარი გახდა, საშინლად განათდა, . . . ბავშვები და მასწავლებლები მარიონეტებად, სათამაშოებად მივიღე, შიშმა შემიპყრო და მშველელს დავუწყე ძებნა. მესმოდა, როგორ

საუბრობდნენ ჩემს გარშემო, მაგრამ აზრს ვერ ვგებულობდი, მათი ხმა კი რკინის დარტყმას ჰგავდა. მერე რაღაც სიტყვა ამეკვიატა, - ახლა აღარ მახსოვს, - და ვიმეორებდი გონებაში უაზროდ, ძალიან დიდხანს, თითქოს ვიღაცამ ამოჭრა ეს სიტყვა ჩემს ტვინზე.

ე) «როცა მე მომმართავენ, ჩემი თავი გადატვირთულია და ვერ ვგებულობ, რას მეუბნებიან.»

ვ) «ჩემი პრობლემა ისაა, რომ ჩემში ერთდროულად ბევრი აზრებია. თქვენ შეიძლება გაგახსენდეთ სიგარეტი, ამოიღებთ და მოსწევთ. მე კი ამ აზრთან ერთად ათასი სხვა აზრი მებადება, სიგარეტთან დაკავშირებით.»

ზ) მე მიჭირს აზროვნება. აზრები თითქოს «ხტუნაობენ» ჩემს თავში, დაჭერასაც ვერ ვასწრებ. თუ მე ველაპარაკები ვინმეს და მან, ვთქვათ, ფეხი ფეხზე შემოიღო, წამსვე აზროვნება მიწყდება და სხვა ფიქრები მიჩნდება.»

თ) «ჩემს აზრებს ვიღაცა იმეორებს ხმამაღლა ჩემსავე თავში (აზრთა ახმაურების შიზ. სიმპტომი. რ.ნ.) . ხალხში რომ მოვხვდებოდი, ვცდილობდი ფიქრი შემეწყვიტა, მაგრამ ისინი მაინც მოდიოდნენ ჩემს თავში (ავტომატიზმის სიმპტომი .რ.ნ.).»

ი) «კოლეჯში მე ვიცოდი, რომ ჩვენი აფთიაქარი თავის აზრებს ჩემს თავში დებდა, მე ვაზროვნებდი ისე, როგორც მას უნდოდა. (ზემოქმედების ბოდვა. რ.ნ.). მივდიოდი და ვყიდულობდი ჩემთვის არადსახმარ ნივთებს.»

კ) «შემომთავაზეს მეთამაშა შაში. დავიწყე თამაში, მაგრამ ველარ გავაგრძელე - მთლიანად ჩავიძირე ჩემს ფიქრებში, რომლებიც ეხებოდნენ მოსალოდნელ წარღვნას და აპოკალიფსს. . . . სადამოს ჩემს თავში ჩანჩქერივით მოჩქეფდა რაღაც: ეს ყველაფერი ჰგავდა საშინელი განკითხვის დღეს. ხალხი მოდიოდა და მოდიოდა.»

ლ) «შიშით დავავადმყოფდი. მაგალითად, დილით გამოვედი, რომ მეგობარს შევხვედროდი. მის სახლამდე პატარა ტყისპირა ბილიკი იყო გასავლელი. ამ ბილიკს დავადექი. უცებ ვიგრძენი ბურუსი, ვერ შევნიშნე სახლი და დავიწყე მის გარშემო სირბილი, შიშმა ამიტაცა და მთლიანად ამავსო. მივხვდი, რომ ძლიერი ქარის მეშინოდა, უზარმაზარი ხეების, წყვდიადიდან რომ მიყურებდნენ. უცებ მე მივხვდი: ცივი ქარი ჩრდილოეთ პოლუსიდან ქროდა, რათა გაენადგურებინა დედამიწა, მოესპო ყველაფერი. ეს იყო ნიშანი, რომ ძალიან მალე დედამიწა ხრიოკი და უდაბური გახდება. ეს აზრი მტანჯავდა და მტანჯავდა, დიდხანს ვერ მოვიცილე (ფანტასტიური ბოდვა. რ.ნ.).»

ეს ვრცელი ციტატები შიზოფრენიკების გამონათქვამებია. ასე უყურებს, აღიქვამს ავადმყოფი სამყაროს, ანუ იგი მოწყვეტილია ნამდვილი სინამდვილისაგან და ცხოვრობს საკუთარ სინამდვილეში, სამყაროში. ეს სამყარო მისთვის ისეთივე რეალურია, როგორც ჩვენთვის - ჩვენი, ავადმყოფმა თავად კი არ შეიქმნა ეს სამყარო, სწეულებამ მოახვია იგი თავს მას. სწეული ასე აანალიზებს საგნებს, მოვლენებს, ჰალუცინაციებს ბოდვით ინტერპრეტაციას უკეთებს: უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორი პროდუქტიული სიმპტომის სინთეზთან: ბოდვა და ჰალუცინაცია.

მოკლედ აქ გვხვდება აღქმის პათოლოგიაც, მომხდარის ბოდვითად ინტერპრეტაციაც და სხვა შიზოფრენიული სიმპტომები.

ამჯერად მოყვანილ ციტატებს ცოტა სხვაგვარი ფსიქოლოგიური ხასიათი ექნება:

ა) «საუბრის დროს მე ხანდახან ვჩერდები, იმიტომ რომ გავიხსენო რას ნიშნავს ესა თუ ის სიტყვა. ამისთვის მჭირდება ხანგრძლივი პაუზა.»

ბ) «როცა მელაპარაკებიან გრძელი წინადადებებით, მე მეკარგება აზრი, და საერთოდ ვერ ვიგებ, რას მეუბნებიან.»

გ) «ხანდახან მე ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ არ მესმის, რას ლაპარაკობენ ჩემს გარშემო. თითქოს რაღაც უცნაურ, უცხო ენაზე ალაპარაკდნენო.»

დ) «ყველაფერი არსებობდა ცალ-ცალკე. საერთოსურათს საგნისას გაჭირვებით ვაწყობდი, როგორც მოზაიკას. განძრევის მეშინოდა, რომ ეს სურათ- ხატი ისევ არ დაშლილიყო.»

უკანასკნელი მაგალითი, ჩვენის აზრით, ავლენს შიზოფრენიის კიდევ ერთ პათოლოგიას: **ვიზუალურ-ალქმის**, რომელსაც ჩვენ შეიძლება პირობითად «**ალქმის დაქუცმაცება**» ვუწოდოთ. ავადმყოფი ვერ აღიქვამს კონკრეტულ საგანს მთლიანობაში, იგი ყველაფერს ხედავს.

ე) «მე არ ემიძლია ერთდროულად ვუყურო ტელევიზორს, როცა საიდანღაც ლაპარაკი მესმის. ამ დროს ყველაფერი თავში მერევა და მიჭირს დაშორება იმისა, რასაც ტელევიზორში ამბობენ, იმისგან, რასაც ამბობს, ვთქვათ, ვინმე ახლოს.»

აქ გვაქვს ტვინის ინფორმაციული ფილტრაციის მექანიზმის მოშლა.

ვ) «მე არა ვარ ხელოვნური. მე ვარ ცხოვრება. თეატრი და ცხოვრება. მე ვიცი თეატრალური ჩვევები. თეატრი უკვე ჩვევა გახდა. ცხოვრება - არა. მე არ მიყვარს თეატრი და კვადრატული სცენა. მე მომწონს მრგვალი. მე ავაშენებ თვალივით მრგვალ თეატრს. მე ხშირად ვუყურობ ჩემს თავს სარკეში და ვხედავ მარტო ერთ თვალს - შუბლზე.»

უკანასკნელი ციტატა ეკუთვნის შორსწასულ სტადიაში მყოფ ავადმყოფს, ამიტომ აქ შეგვიძლია ამოვიცნოთ ფსიქოზის ზოგიერთი აშკარა გამოვლინება: ტექსტი დისლოგიკური და რეზონირულია, ასოციაციები - დაწყვეტილი და «დაქუცმაცებული», შემთხვევითი და სპონტანური, ასოციაციური უღვლილება მოკლებულია ყოველგვარ ბუნებრიობას და ლოგიკურობას. ფაქტიურად აქ არის არა ტექსტი, არამედ სიტყვების «დომხალი», ახლოსაა შიზოფაზიურ მეტყველებასთან. მაგრამ «წმინდა» შიზოფაზია არ არის ჯერ.

ზ) «მე უბედური ვიყავი, ვგრძნობდი, რომ ვახალგაზრდავდებოდი, ყველას უნდოდა, რომ არარაობად ვქცეულიყავი. გავახალგაზრდავდი და ძალიან დაკვატარავდი - მაგრამ მაინც ვიცოდი, რომ ცხრაასი წლის ვიყავი. ცხრა საუკუნე მაწევს მხრებზე - ჯობდა არ გავჩენილიყავი.»

აქაც იგივე დისლოგიკური და წყვეტილი აზროვნება გვაქვს «სახეზე».

შიზოფრენიის ერთ-ერთი სიმპტომია «ნეოლოგიზმი». ავადმყოფი იგონებს ისეთ სიტყვებს, რომლებსაც მის გარდა ვერავინ ვერ გაიგებს. ხანდახან შეიძლება ამ «სიტყვებში» ჩვეულებრივიც ერიოს. მაგალითად:

«тетрадь по иностранным языкам леситируется для единиси. . . в условиях **времоства и просп्राственности.**»

«ნეოლოგიზმის» მეორე მაგალითი მოჰყავს ტორეის: «ერთი ავადმყოფი მომიახლოვდა და სერიოზულად შემეკითხა: «მოაილ ბალტიმორ ფიუტურ?» ალბათ მიხვდით, რომ პასუხს ვერ გავცემდი.»

ძნელია წაიკითხო ეს და არ გაიცინო, მაგრამ როცა ჩაწვდები რა აუტანელი პიროვნული ტრაგედია დგას ყოველივე ამის უკან, ალბათ ცრემლი უფრო მოგივა, ვიდრე სიცილი. ამ ტანჯვის უფსკრულს ჩახედა დიდმა რექისორმა მილოშ ფორმანმა და დაგვიტოვა საფიქრალი: რა დააშავეს ამ **პიროვნებებად** გაჩენილმა და ვერშემდგარმა ადამიანებმა?

თ) «ყოველ თემაზე ფიქრისას ჩემი ტვინი თითქოს იყოფა, იმტვრევა, ნამტვრევები კიდევ იყოფიან უფრო წვრილ ნატეხებად და ა. შ. ჩემი გონება ნამტვრევებისაგან. (სუბიექტურად განცდადი «აზროვნების დაქუცმაცება». რ. ნ.)»

ანბანის რიგზე დალაგებული თითოეული გამონათქვამი პრაქტიკულად სხვადასხვა ავადმყოფს ეკუთვნის. მაგრამ როგორ გვანან «ჩვილები» ერთმანეთს! ეს მომენტი, ცხადია, დაავადების სიმპტომატიკიდან გამომდინარეობს. სწორედ ამიტომ დაადგა თანამედროვე ფსიქიატრია იმაზრს, რომ შიზოფრენია არის არა «დაავადებათა ჯგუფი» როგორც მიიჩნევდა, ვთქვათ, ზურაბაშვილი, არამედ ერთი მთლიანი დაავადება სხვადასხვა **გამოვლინებებით** (ფორმაში ნუ აგვერევა). ბევრი დღეს ცნობილი სპეციალისტი იმ აზრს იზიარებს, რომ პარანოიდული, კატატონიური და ჰეზეფრენიული სიმპტომატიკა ამ მთლიანი დაავადების ცალკეული გამოვლინებებია და არა ფორმები. ფ. ტორეის მონოგრაფიაში უხვადაა

* см. «пособия по психиатрии». Ф. И. Случевский. 1984.

წარმოდგენილი ავადმყოფთა გამონათქვამები და განცდები, რომლებსაც თავად ისინი გადმოსცემენ შეძლებისდაგვარად. ამიტომ ისევ ამ გამონათქვამებს მოვიყვანთ, ამჯერად **ბოდვებისა და ჰალუცინაციების** საილუსტრაციოდ ციტატები ისევ სხვადასხვა პაციენტებს ეკუთვნით:

«ერთხელ მე მივხვდი, რომ უნდათ ჩემი გადაღება მთავარ როლში, რომელიღაც გრანდიოზულ ფილმში. ლონდონის ყველა ქუჩაზე იდგა ფარული კამერა, ისინი იწერდნენ ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი ან ვლაპარაკობდი (მეგალომანიური ბოდვა. რ. ნ.).»

მოყვანილი მაგალითი ბოდვითია. ხშირად ბოდვა და ჰალუცინაცია ერთგვარად ერწყმის ერთმანეთს, სინთეზირდება, ანდა ჰალუცინაცია გადამუშავდება შემდეგ ავადმყოფ ცნობიერებაში ბოდვად. ამჟამად მოვიყვანთ ჰალუცინაციების კონკრეტულ მაგალითებს, რომლებსაც რემისიის დროს აღწერდნენ თავად პაციენტები. ეს გამონათქვამები ამოღებულია ტორეის დასახელებული ნაშრომიდან:

ა) «მე ვიჯექი და ვუსმენდი თანამოსაუბრეს. უცებ იგი ჯერ დაპატარავდა, მერე გაიზარდა მოცულობაში, მერე ისევ დაპატარავდა. დღეს კი დავინახე მიმავალი კაცი, რომელიც თანდათან მალღებოდა. . . . ცოტა ხნის წინ მეგობარ გოგონასთან ვსერილობდი, უცებ იგი გამოიცვალა, გამსხვილდა, თითქოს რაღაც მხეცს დაემგვანა. ცხადია, შემეშინდა (ვიზუალური ჰალუცინაცია. რ. ნ.).»

ბ) «მე რამდენიმე წლის მანძილზე ყოველდღე, ასჯერ მაინც ყურში ჩამესმოდა ჩემთვის აუხსნელი სიტყვები, ვიღაც რომ წარმოთქვამდა: «ვითომ რატომ არა?» «ალბათ, დიახ.» «რატომ? მე ხომ. . . . «მთელი პატივისცემით» და სხვ. (სმენითი ჰალუცინაცია. რ. ნ.).»

გ) «შვიდი წლის განმავლობაში არ მქონია წამი, რომ ეს რაღაც ხმები არ გამეგონა. ისინი დამდევენ ყველგან, ყოველთვის, - წიგნის კითხვისას, საუბრისას, პიანინოზე დაკვრისას (სმენ. ჰალ. რ. ნ.).»

დ) «კედელზე ხანდახან ვხედავდი ახალგაზრდა გოგონების პორტრეტებს, რომლებიც სხვაგან არსად არ მენახა. მერე ისინი ქრებოდნენ (ვიზ. ჰალ. რ. ნ.).»

ე) «თითქოს რაღაც სუნი ამომდის ცხვირიდან, ამავე დროს მესმის გარეშე ხმებიც. სუნი ცხვირში ჩნდება, როცა ხმები მემუქრებიან, რომ ჯოჯოხეთში გამაგზავნიან (შერწყმული ყნოსვითი და სმენითი ჰალ. რ. ნ.).»

ზოგჯერ აქვთ ტკივილის ჰალუცინაცია - ვთქვათ, «დარტყმის», «გაჭრის», «ჩხვლეტის» შედეგად. გავიმეორებთ, რომ ჰალუცინაცია შეიძლება იყოს იმდენგვარი, რამდენი გრძნობის ორგანოც აქვს ადამიანს, პლუს შეხება.

მკითხველის ნებართვით ახლა მოვიყვანთ ისეთი ჰალუცინაციების მაგალითებს, რომლებიც ცოტა რთული შემადგენლობისაა და დაკავშირებულია ავადმყოფის ფიზიკურ სხეულთან თუ საკუთარი პიროვნების თვითგანცდასთან:

«ჩემი სხეული დაჭრეს, დაანაკუწეს. . . შუბლზე ჩამოყრილი თმები დამიმძიმდა, დამიგრძელდა. ტანი მთლიანად გამომშრალი მაქვს. . . . თვალის კაკლები ჩამიცვივდა თავის ქალაში. კიდურებმა შეიცვალეს ფორმა, დაწვრილდნენ და მოიღუნენ. . . . თითები, მეჩვენება, რომ ხან მიგრძელდება, ხან მიმოკლდება».

შიზოფრენიის ერთ-ერთი ძირეული ნიშან-თვისებაა ის, რომ ავადმყოფებს **«ეთქვიფებათ» საკუთარი «მე» გარე სამყაროში**; კარგავენ საზღვარს სუბიექტურსა და ობიექტურს შორის.

ისინი ან საერთოდ მოკლებულნი არიან უნარს საკუთარი პიროვნება გამოყონ სხვა საგნებისა და ადამიანებისაგან, ან ამას პათოლოგიურად აკეთებენ მაგალითად, ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას რომელიმე საგანთან, შეიძლება ადამიანთანაც.

«ჩემს თავს ვხედავდი დანარჩენ ავადმყოფებშიც. . . . ერთხელ პალატაში შემოვიდა ექთანის და მე იგი საკუთარ პიროვნებად მივიღე. დიდხანს ვაკვირდებოდი» ე.ი. ავადმყოფს საკუთარი პერსონის საზღვრები «წაეშალა» და თავისი თავი გარეშე საგანთან თუ ადამიანთან გააიგივა.

შიზოფრენიის დროს ზოგჯერ იშლება ავადმყოფის ფსიქიკური «მეს», მისი სხეულის, საერთოდ გარესამყაროს საგნებისა და მოვლენების საზღვრები და, მარტივად რომ ვთქვათ, ყველაფერი ერთმანეთში გადადის და ითქვიფება. ამ დროს შეიძლება ავადმყოფმა თავი ასანთის კოლოფთან გააიგივოს.

შიზოფრენიული განცდების უცნაურობის მაგალითად მოგვყავს შემდეგი მონაყოლი ავადმყოფისა:

«ჩემი მუხლები კანკალებენ, მკერდი, როგორც მთა, აღიმართა ჩემს წინ. მთელი ტანი დამეშალა. ხელ-ფეხი დაშორებული მაქვს დანარჩენი სხეულისაგან, ისინი თვითნებურად მოძრაობენ. ეს ხდება, როცა მგონია, რომ მე - სხვა ადამიანი ვარ და ვიმეორებ მის მოძრაობებს, როცა მას ვერ ვხედავ, ვდგავარ გაშეშებული.

მე ხშირად ვამოწმებ, ჩემია თუ არა ხელი, რომელიც ჯიბეში მიდევს.» ისევ ფ. ტორეის პაციენტის ნათქვამი.

ბირთვული შიზოფრენიის შორსწასული და გამოსავალი სტადიის დროს ლაპარაკი ზედმეტია ყოველგვარ პიროვნებასა და მის «მე-ზე» - ასეთი ავადმყოფი მცენარესთან გაცილებით უფრო ახლოს დგას, ვიდრე მოაზროვნე არსებასთან. შეიძლება განვითარდეს ფსიქიკური აშლა აბსოლუტურ გონებრივ დეზორიენტაციამდე. . .

თავი VI. ფსიქოზის ამოსაცნობი სიმპტომები, რომლებიც შეიმუშავეს თანამედროვე დასავლეთელმა მეცნიერებმა.

პროდუქტიული და ნეგატიური სიმპტომები.

შიზოფრენიის «კოლუმბი», ეუგენ ბლეილერი ფსიქოზის კლინიკურ სურათში წამყვან როლს ანიჭებდა ასოციაციური ჯაჭვის დაწყვეტილობას. მაგრამ ბლეილერის გარდა შიზოფრენიას უამრავი «კოლუმბი» გამოუჩნდა, რომელთაც სცადეს ჩამოეყალიბებინათ დაავადების ძირითადი ნიშნები, მაგალითად: 1. სმენითი ჰალუცინაციები. 2. ავადმყოფის თავში ვიდაცის აზრების «ჩალაგება» (სპეციფიური სუბიექტური შეგრძნება, რ.ნ.). 3. სნეულის შეგრძნება, რომ მის თავში მის გარდა სხვაც არსებობს. 4. ზემოქმედების, ვიდაცის გავლენის ბოდვა. 5. სმენითი ჰალუცინაცია, როცა ორი «ხმა» ერთმანეთს ეკამათება (სხიზისური ფენომენი, რ.ნ.). 6. ნეგატიური სიმპტომატიკა. ზოგიერთი ფსიქიატრის აზრით, საკმარისია ამ სქემიდან ორი-სამი სიმპტომი მაინც, რომ ავადმყოფს დაესვას შიზოფრენიის დიაგნოზი. თუმცა ეს ნიშნები სუფთა შიზოფრენიულია, მაგრამ მაინც და ჩვენი აზრით, სამართლიანად ფსიქიატრთა უმრავლესობა არ იზიარებს ამგვარ მარტივ მიდგომას საკითხისადმი.

პროდუქტიული პოზიტიური და ნეგატიური სიმპტომები.

უახლესი ფსიქიატრიის კიდევ ერთ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს შიზოფრენიის სიმპტომატიკის დიფერენცირება პროდუქტიულ ანუ პოზიტიურ და ნეგატიურ სიმპტომებად.

პროდუქტიული სიმპტომები ჩვენ უკვე დავასახელებთ და აღვწერეთ: ბოდვები, ჰალუცინაციები, **ფსიქოზურად გამოკვეთილი ნიშნები და გამოვლინებანი**, უმიზეზო აგზნება, აფექტური აფეთქება, სხვადასხვა მანიაკალური გამოვლინებანი, ემოციური სფეროს გააქტიურებიდან - შიშები, აჟიტაციური დეპრესია, განგაშისა და სხვა აფექტები, საერთოდ აფექტური აშლილობანი, აგრესიულობა და სხვა.

ნეგატიური სიმპტომებიც შიზოფრენიის მახასიათებლებია: სრული ემოციური

განურჩევლობა, «ემოციური გაცივება-დაჩლუნგება», ინტერესის დაკარგვა ყველაფრისადმი, განცდების «დათრგუნულობა», სიღარიბე, აპათია, მოდუნება, ენერგეტიკული დეფიციტის სინდრომი და ა.შ.

თ ა ვ ი VII. შიზოაფექტური ფსიქოზის ალბათობა ნიცმესთან

დღემდე დაუზუსტებელია, ფსიქიკურ დაავადებათა (ფსიქოზთა) რომელ ჯგუფს ან კატეგორიას მიეკუთვნება შიზოაფექტური ფსიქოზი ნოზოლოგიურად. სხვადასხვა ფსიქიატრიულ სკოლებს სხვადასხვა აზრი აქვთ შემუშავებული ამ საკითხთან დაკავშირებით. ზოგიერთი ფსიქიატრი საერთოდ არ ხმარობს ამ ტერმინს და მის ნაცვლად გვთავაზობს: «ატიპიურ აფექტურ ფსიქოზს».

რადგანაც, ჩვენის აზრით, ამ ფსიქოზის «ატიპიურობა», უპირველეს ყოვლისა, მქდავანდება შიზოფრენოფორმული ნიშნების არსებობაში აფექტური ფსიქოზის ფონზე, ამიტომ უფრო შესაფერის სახელწოდებად ჩვენც გვესახება «შიზოაფექტური ფსიქოზი.»

შიზოაფექტური ფსიქოზის სიმპტომატიკა შეიცავს სხვადასხვა აფექტურ აშლილობებს შიზოფრენოფორმული ნიშნების თანდართვით.

უმრავლეს შემთხვევაში ეს აფექტური პათოლოგიები ძირითადად ფაზური ამანიაკალური, დეპრესიული, ანუ ციკლოფრენული. მარტივად რომ ვთქვათ, შიზოაფექტური ფსიქოზი ერთგვარი შუამდებარე «რგოლია» შიზოფრენიასა და ციკლოფრენიას შორის, რადგან შეიცავს ორივე მათგანის სიმპტომებს სინთეზურად.

შიზოაფექტურ სიმპტომატიკაში არის როგორც შიზოფრენიული, ასევე ციკლოფრენიული სიმპტომები, ესაა ერთგვარი «ნაზავი» უხეშად რომ ვთქვათ.

ზოგიერთი თანამედროვე ფსიქიატრი ამ ფსიქოზს შიზოფრენიასთან უფრო ახლოს აყენებს, ზოგი - მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზთან.

ამ ფსიქოზით სნეული ავადმყოფი ამქდავანებს შიზოფრენოფორმულ ნიშნებს მაგალითად, «ანგელოსებისა და დემონების», ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსის ერთმანეთთან ბრძოლის ბოძვას, ამბივალენტურ მოვლენებს და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი ხდება ფაზურ ფონზე. უკანასკნელი კი ციკლოფრენიის ძირითადი და სპეციფიური მახასიათებელია. შეიძლება ამ ავადმყოფობას ციკლოფრენიის სხვა კლასიკური ნიშნები ახასიათებდეს და ა.შ.

ყველაფერ ზემოთთქმულთან ერთად აღსანიშნავია, რომ შიზოაფექტური ფსიქოზის ნებისმიერი კონკრეტული შემთხვევა «გადახრილია» ან შიზოფრენული, ან ციკლოფრენული «პოლუსისაკენ». ანუ თუ ერთი ავადმყოფის კლინიკურ სურათში ჭარბობენ შიზოფრენოფორმული სიმპტომები, მეორე სნეულის კლინიკურ სურათში მეტია დეპრესიულ-მანიაკალური ციკლოფრენოფორმული სიმპტომები.

მართალია, ჩვენ ნიცმეს უკვე «დავუსვით» დიაგნოზი: ბირთვოვანი შიზოფრენია, მაგრამ ეს ჩვენი დიაგნოზი მაინც ჰიპოთეტურია.

თუკი, დავუშვათ, ჩვენ შევცდით, როგორც «ფსიქიატრი» დიაგნოსტიკური თვალსაზრისით, და ნიცმეს «ბირთვის დაშლა» არ ჰქონია, მაშინ რჩება ერთადერთი **ნაკლებსავარაუდო ჰიპოთეზა** - შიზოაფექტური ფსიქოზი, ვინაიდან ნიცმე აშკარად ამქდავანებს **შიზოფრენოფორმულ და შიზოფრენიულ** ნიშნებს. მაგრამ ეს ჰიპოთეზა **ნაკლებსავარაუდოა**, რიგი ნაშრომში მოყვანილი და გავრცობილი თვალსაზრისების გამო.

პირველი კარის ძირითადი დასკვნები და ჰიპოთეტური მოსაზრებანი:

1. ნიცმე ცხოვრების გარკვეულ პერიოდში «შეიპყრო» Mania grandiosa -მ (ამპარტავნებამ), მისი ფილოსოფიის ემოციური საფუძველი განდიდების მანიაა, ესთეტიურ-

რომანტიული შეფერილობით.

2. (ჰიპოტეზა) შეიძლება ნივთიერება გენეტიკაში იდო შიზოიდური აშლილობა, რის გამოც მოზარდი ნივთიერება შიზოიდური ფსიქოპათიის ნიშნებს ამჟღავნებს.

3. (ჰიპოტეზა) ნივთიერება ფსიქიკური დისოციაცია საწყის ეტაპზე შეიძლება უკავშირდებოდეს პიროვნების გაორებას, ანუ დისოციაციურ აშლას.

4. Mania grandiosa- ს «ჩანერგვით» ფსიქიკაში დაიწყო დუნედ მავალი შიზოფრენიული პროცესი, რომლის განვითარებაშიც თავისი წილი შეიტანა ათამანგმა. ნივთიერება ათამანგით დაავადდა 78 - 79 წ.წ. ფსიქიკური აშლა დაეწყო 70-72 წ.წ.

5. ნივთიერება რემანიფესტალურ სტადიაში განუვითარდა ტოტალური დეპრესონალიზაციის სინდრომი – აუტო, – ალო, – და სომატოფსიქიკური დეპრესონალიზაცია, თანამდევნი ნიშნებით.

6. ჩვენის ღრმა რწმენით, ნივთიერება დაავადდა ბირთვოვანი შიზოფრენიით, ან, რაც ნაკლებსავარაუდოა, შიზოაფექტური ფსიქოზით. გამორიცხულად მიგვაჩნია ნევროლუესი.

7. ფილოსოფოსის დასწავლების უშუალო ნეირობიოლოგიური მიზეზი უცნობია (ნაკლებსავარაუდო ჰიპოთეზაა ტვინის სიფილისი; თუ ჩვენი ვარაუდის საპირისპიროდ ლუესის შემდგომ ღრმა განვითარებასაც ჰქონდა ადგილი. ამ შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებით ლოგიკას «ვულალატოთ» ან მივიჩნიოთ, რომ ჯერ იყო ლუესი, შემდეგ - ფსიქიკური აშლა).

კარი მეორე

«ყოველგვარი **სიმწარე, მძვინვარება, რისხვა, ყვირილი და გმოზა** განგმორდეთ, ყველა ბოროტებასთან ერთად».

მოციქული პავლეს წერილი ეფესელთა მიმართ, 4,31.

«რადგან **ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი. სცემს ყოველ შვილს, ვისაც ღებულობს**».

ებრაელთა მიმართ, 12,6.

«მაშ, ნუ იქნებით უგუნურები, არამედ **შეიცანით**, რა არის **ღვთის ნება**».

მოციქული პავლე ეფესელთა მიმართ, 5,17.

«... თუ ჩვენი ხორციელი მამები გვწვრთნიდნენ და გვეშინოდა მათი, განა უფრო მეტად არ უნდა დავემორჩილოთ სულთა მამას, რათა ვიცოცხოლოთ?»

ისინი გვწვრთნიდნენ თვითნებურად მცირე დღეებისათვის, ეს კი - **ჩვენი სარგებლობისათვის**, რათა წილი გვექონდეს მის **სიწმინდეში**.

ყველა წვრთნა ამჟამად სიხარულად კი არ გვეჩვენება, არამედ **მწუხარებად**. მაგრამ **შემდგომში** სიმართლის მშვიდობიან ნაყოფს აძლევს მას, ვინც მის მიერ განიწვრთნა.»

ებრაელთა მიმართ. 12.9.10.11.

«გაფრთხილდით, რომ რომელიმე თქვენგანს არ მოაკლდეს ღვთის მადლი, რათა **რომელიმე მწარე ფესვმა აღმოცენებისას ზიანი არ მოიტანოს და ამით ბევრი არ შებიღწოს**».

თავი I. შემთხვევითობა და ღვთაებრივი კანონზომიერება

ჩვენი გამოკვლევა მორწმუნეთა და რწმენის მადიებელთათვისაა დაწერილი, ამიტომ ჩამოყალიბებულ ათეისტებს მხოლოდ ღიმილს მოჰგვრის ჩვენი «რელიგიური თეორია» ნიციშესთან დაკავშირებით.

აქ ისევ იმ ცნობილ სიტყვებს მოვიყვანთ, ნაშრომის დასაწყისში რომ «დავესესხეთ»: «მხოლოდ მცირე ცოდნა გვაშორებს ღმერთს, დიდი კი გვაახლოებს».

ნიცშე თავიდან ჩვეულებრივი ნიჭიერი და პიროვნულად სათნო ადამიანი იყო, უდიდესი ინტელექტისა და ღრმა, ფაქიზი სულის მქონე. იყო ბაზელის უნივერსიტეტის ფილოლოგიის კათედრის პროფესორი, კლასიკურ ფილოლოგიაში განსწავლული ადამიანი. უყვარდა მუსიკა, პოეზია, თავადაც პოეტი იყო. ცხოვრობდა «ასეთი ტიპის» ადამიანის ცხოვრებით და ბედის უმადურიც არ უნდა ყოფილიყო, რადგან სულ ახალგაზრდა აირჩიეს პროფესორად და საკმაო პატივითაც იქნებოდა გარშემორტყმული.

მაგრამ ცხოვრების რაღაც ეტაპზე მან ყველაფერი უარჰყო, ძველი შეხედულებები გადააფასა, ყოველივეს ხაზი გადაუსვა და ვიწრო ესთეტიზმით შემოიგარსა საკუთარი თავი. მალე ეს ესთეტიზმი განდიდების მანიად იქცა და სრულიად შეიცვალა ნიციშეს ცხოვრების, აზროვნების გზა-ბილიკები. თავიდან იყო ეიფორია, ექსტაზი... მერე კი... ნიცშე მოულოდნელად ავადდება მე-19 საუკუნისათვის საშინელი დაავადებით - ლუესით. ნიცშე მაინც აგრძელებს «მეტამორფოზებს» და ექსტატიკოსის მოღვაწეობას. ნიცშე ისევ ავადდება, ამჯერად ცენესთეზიის ტოტალური სინდრომით (დეპერსონალიზაციით, როგორც ფსიქოზის «პროლოგით»), ეს უკანასკნელი პირველ რიგში ფსიქიკურადაა მტანჯველი. (გავიხსენოთ «დიონისეს დითირამბები») ნიცშე იწყებს ზარატუსტრას წერას და მისი ავადმყოფური ფსიქოსომატური მდგომარეობა რთულდება. «ზარატუსტრა», როგორც წიგნი, დასრულებულია, ნიცშეს კიდევ აქვს «მოქცევის შესაძლებლობა», მაგრამ იგი მაინც ჯიუტად დგას თავის «ანტიქრისტიანულ პოზიციებზე და ორიენტირებზე». კიდევ რამდენიმე წელიწადი და წერტილი - შიზოფრენია. ფილოსოფოსი წყვეტს აკადემიურ მოღვაწეობას. ასეთია ამ ნიჭიერი მოაზროვნის ტრაგიკული ბედი. ნუთუ ეს ყველაფერი

შემთხვევითია? შემთხვევითია, რომ სანამდე ნიცშე ქრისტიანი იყო (თუნდაც არამდგრადი ანდა ქვეცნობიერი), მაშინ არ დატანჯულა, ხოლო როცა ჩაეწვეთა ამპარტავნების სენი და ეს წვეთი ზღვად ექცა, თავს დაატყა ტანჯვის კასკადი: ლუესი, სუბიექტური ცენესთეზია და შიზოფრენია (ვგონებთ ბევრია ერთი კაცისთვის).

ჩვენი აზრით, ეს არ არის შემთხვევითი. ეს სწეულებანი იყო ღვთის ნიშნები, რომლებიც ფილოსოფოსმა ვერ ამოიცნო, ღვთის ნიშნები, რომ იგი არასწორი გზით მიდიოდა, და უნდა შემობრუნებულიყო... ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული ამბობს, რომ თუ ღვთისანი ხარ და სწორად არ აზროვნებთ, ღმერთი იზრუნებს თქვენზე და ნიშანს მოგცემთ ზეციდან, რათა ამიერთ სწორად იგიქროთ, მიგანიშნებთ თქვენს ცთომილებებზეო.

თავი II. თუ ღვთისანი ხართ

იბადებიან ადამიანები ღვთის ნიშნით შუბლზე და იბადებიან ადამიანები - სატანის ნიშნით. ნიცშე და ჰიტლერი - უცნაური შედარებაა, მაგრამ ორივეს ხომ მსგავსი იდეები და იდეალები ჰქონდათ. ნიცშეს ცთომილებაა ისაა, რომ მხოლოდ თეორიულად ჩამოაყალიბა ის, რაც შემდგომ ადოლფ ჰიტლერმა (ადამიანმა სატანის ნიშნით) პრაქტიკულად განახორციელა. რატომ «დაისაჯა» ნიცშე ესოდენ და რატომ არ «დაისაჯა» ჰიტლერი, - ბოროტის პირდაპირი მთესველი (სად ნიცშეს ცოდვა და სად ჰიტლერისა?) საქმეც სწორედ ამაშია: ჰიტლერი დამნაშავე და ცოდვილი იყო; ასეთი იყო მისი **პერსონოლოგიური პროფილი**, ნიცშე კი **მხოლოდ ცთომილი იყო**. ჰიტლერი თავიდანვე იყო ჰიტლერი, ნიცშე კი ცთომილებაში ჩავარდა და მისი მოქცევა შესაძლებელი იყო. რაიხკანცლერს ვერანაირი დაავადება ვერ განწმენდა ცოდვათაგან, რადგან ცოდვა იყო მისი **მოწოდება** «სატანის ნიშნით შუბლზე». ჰიტლერს თავიდანვე ჰქონდა ის იდეები და იდეალები, რომლებიც ნიცშეს მხოლოდ **შემდეგ** გაუჩნდა, ე.ი. «მსოფლხმედველობრივი ევოლუციის» გზით.

სწორედ ამაშია არსებითი განსხვავება და პასუხიც კითხვაზე, რატომ არ «აპატია» ღმერთმა ნიცშეს თავისი ცთომილება, როცა ჰიტლერს «აპატია» გაუგონარი დანაშაულებანი? რატომ დაატყდა ცდომილ ნიცშეს თავზე ასეთი ტრაგედიები **ზედიზედ?** ლუესი - მე-19 საუკუნეში იგივე იყო, რაც კიბოა დღეს, ლუესი ტანჯავს ადამიანს ენით აუწერელი ტანჯვით. ნიცშეს ჰქონდა თავის გაუსაძლისი ტკივილები, მხედველობა დაუქვეითდა, უკიდურესად დასუსტდა ფიზიკურად. ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდა საცხოვრებლად, რადგან ალბათ ასე ურჩევდნენ მაშინდელი ექიმები. შემდეგ დეპერსონალიზაცია - მძიმე ფსიქიკურ-ნერვული ტანჯვა, ბოლოს ფსიქოზთა შორის ყველაზე ავთვისებიანი - შიზოფრენია, ხოლო შიზოფრენიულ «ჯგუფში» ყველაზე საშინელი - ბირთვული შიზოფრენია. ასეთი იყო ხვედრი თეორეტიკოსისა, ხოლო პრაქტიკოსს - ჰიტლერს - მსგავსი არაფერი მოსვლია.

ამ «უცნაური» მოვლენის ახსნა რელიგიურად ჩვენ ძალიან მარტივად გვესახება:

ჰიტლერსა (მაგალითად რომ მოვიყვანეთ) და ნიცშეს შორის მაინც ძირეული განსხვავებაა:

პარადოქსია, მაგრამ ჰიტლერი უფრო იყო ნიცშეანელი, ვიდრე თავად ნიცშე. ჰიტლერს ეს სფერო, ეს იდეები, ეს განწყობილებები იზიდავდა, იგი იყო ცალსახა. ამიტომ არ ჰქონდა მას არაფერი მსგავსი გაორებისა, ყოყმანისა, რადგან, როგორც ვთქვით, იდეურად, ემოციურად, ქმედებით იგი მთლიანი და ცალსახა პიროვნება იყო: აკეთებდა, და «იცოდა», რასაც აკეთებდა. ის იყო ადამიანი სატანის დამღობი შუბლზე.

თავდაპირველ ნიცშეს არაფერი საერთო არ ჰქონდა ომის კულტთან, განდიდების, ძალაუფლების წყურვილთან, **ნიცშეანელობასთან**. თავდაპირველი ნიცშე იყო **გულითადი ქრისტიანი**. მართალია, ქვეცნობიერი, არამდგრადი, თვითშეუცნობელი, მაგრამ მაინც ქრისტიანი. **ის იყო ადამიანი ღვთის ნიშნით შუბლზე**. აინტერესებდა პოეზია, იყო პოეტი, აინტერესებდა მუსიკა, ჭეშმარიტება.

ფილოსოფოსი აცდუნა ამპარტავნების სენმა. მან აქცია იგი ცთომილად, ცთუნებულად,

ცოდვილადაც: პრაქტიკულად დიდი ცოდვა არ ჩაუდენია ჰიტლერივით, მაგრამ მისი ფილოსოფია გახდა ფაშიზმის იდეოლოგიური ბაზისი. ფაშიზმის ცოდვები უნებლიეთ ნიცშესაც დააწვა მხრებზე, რადგან ფილოსოფოსმა შექმნა **ფაშისტური განწყობა** თავისი წიგნებით. ის არ იყო ფაშიზმის იდეოლოგიის წინამორბედი, ის იყო **ფაშისტური განწყობის** წინამორბედი გერმანიაში.

ცოტუნებამდე კი ნიცშე იყო **ღვთის ნიშნით აღბეჭდილი, ღვთის კაცი**. აგრეთვე ქრისტიანულად მოაზროვნე ინტელექტუალი - ამის დასტურია მისი გატაცება შოპენჰაუერით, რომლის აზრებშიც მრავალია ქრისტიანული. ცოტუნებამდე ნიცშე იყო ქვეცნობიერი, თვითშეუცნობელი, მაგრამ ტიპიური ქრისტიანი - თავისი ცხოვრებით, იდეებით, მორალით.

ამიტომ უყვარდა ღმერთს იგი, როგორც თავისი შვილი, და ზრუნავდა მის სულზე, როგორც მწყემსი ზრუნავს კრავზე.

მაგრამ ფილოსოფოსი, რელიგიურად რომ ვთქვათ, ცთომილებაში ჩავარდა. ცდომილება შობს ცდუნებას, ცდუნება - ცოდვას. ცთომილება იყო ფაშისტური თეორია, მას მოჰყვა ცდუნება მისი განხორციელებისა, ხოლო ცდუნებას - უამრავი ცოდვა. გავიმეორებთ, ფაშიზმის ცოდვებში, უნებურად, მაგრამ ნიცშესაც უძღვის წილი.

ნიცშეს ამპარტავნებამ «ღმერთი მოაკვლევინა» და იგი ანტიქრისტიანულ გზაზე დააყენა (თავად ნიცშე ბოლომდე ვერ აცნობიერებდა ცოტუნების სიღრმეს). ბოლომდე ამ «გზით» რომ ეარა, ალბათ, ნიცშე ჩამოყალიბდებოდა ტიპიურ ფაშისტად და ჯოჯოხეთის მეცხრე გარსი არ ასცდებოდა.

მაგრამ უფალი მოწყალეა, ჩვენ ეს ვიცით რელიგიიდან. საჭირო იყო ნიცშეს შეჩერება, მოქცევა თუ არა. საჭირო იყო ღვთიური მინიშნება, თან განწმენდა ამპარტავნებისაგან **დასჯის** გზით. ე.ი. თუკი გავიაზრებთ რელიგიურ დებულებას სასუფეველის არსებობის შესახებ, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ღმერთი ზრუნავდა ნიცშეს სამომავლო ნეტარებისათვის, ვითარცა საყვარელი შვილისა. ამიტომ «საჭირო იყო» ისეთი რამ, რაც ნიცშეს კიდეც დასჯიდა ამპარტავნებისათვის, კიდეც შეაჩერებდა, - მომავალ ცოდვებს ააცილებდა თავიდან, დააფიქრებდა, ზნეობრივად განწმენდდა (ტანჯვა ხომ ცოდვებს «ჰბანს» ადამიანის სულს, ტანჯვა განწმენდია - საუკეთესო მაგალითად თავად იესო ქრისტე გამოდგება, თავი რომ ატანჯვინა სხვათა ცოდვების გამოსასყიდად).

პირველი ღვთიური ნიშანი იყო საგრძნობი ფსიქიკური აშლილობა, მაგრამ ნიცშეს მათთვის ყურადღება არ მიუქცევია. მაშინ მას ექსტატიური, ეიფორიული, «არწივის აღმაფრენის» პერიოდი ჰქონდა.

თავი III. ცთომილების გაღრმავება

ლუესი და ფსიქიკური გაუცხოება. სიგიჟე და კათარზისი

ნიცშემ ვერ ამოიცნო ნიშანი, მისი ამპარტავნება ნელ-ნელა ფრთებს შლიდა, მწიფდებოდა და ამ ადამიანის ცხოვრებაში ცენტრალურ ადგილს იკავებდა. რელიგიაში ღმერთი «მშობელ მამასთანაა» გაიგივებული. ვინც ზრუნვის ღირსია, ის იზრუნებს თავის გაჩენილზე, ხოლო, ვინც ცთომილია, მაგრამ მაინც საყვარელი და საჯოჯოხეთოდ გაუმეტებელი, იმას უფალი ტანჯვით განწმენდს უნებურ ცოდვათა, ცდუნებათა და ცდომილებებისაგან. «საჭირო იყო» ფრო ძლიერი «მუხრუჭი». თან დასჯა, თან ტანჯვით სულის განწმენდა, იქნებ შეჩერება და მოქცევაც.

ნიცშე ავადდება ლუესით, ლუესური ტანჯვები კი ჩვენ უკვე ავლწერეთ.

იქნებ, ამან საპირისპირო შედეგი გამოიღო: გაახელა და გააბოროტა მოაზროვნე?

«მძიმე სენს შეჭიდებული ეს შესანიშნავი გერმანელი მოაზროვნე ღრმა ფილოსოფიური

ძიებებით აღსავსე თხზულებებს ქმნიდა*». ე.ი. ცთომილმა კვლავ ვერ შეიცნო მოახლოებული უბედურება, ვერ მიხვდა, რომ ლუესი იყო «პასუხი» მის ზრდად ამპარტავნებაზე და გამიზნული იყო ღვთის ნიშნით გაჩენილის ცთომილების აღსაკვეთად, რათა იგი ისევ თავის პირვანდელ ბუნებრივ ემოციებს, შეხედულებებსა და გატაცებებს დაბრუნებოდა, დახსნოდა სატანისეულ ცთუნებას და ქრისტიანული ორიენტირებით ეცხოვრა, უფრო ბუნებრივი რომ იყო მისი პირველადი ნატურისათვის.

ამგვარად, ნიცმე ისევ აგრძელებს «ანტიქრისტიანულ ბილიკზე» სიარულს - ლუესით სწეული. კიდევ უფრო აღრმავებს თავის «ძალაუფლების ნების» კონცეფციას: «Воля к власти», «Антихристианин», «По ту сторону добра и зла», და სხვა ნაწარმოებების სახით, შემდგომ რომ ფაშისტებს ჰქონდათ სამაგიდო წიგნებად გამხდარი.

ნიცმემ არათუ ამოიცნო ღვთის ნიშნები, არამედ სწებამ კიდევ უფრო გააბოროტა, და გაახელა საკუთარმა უმწიობამ:

«ადამიანი ბოროტია» - ნუგეშად მეტყოდნენ ყველა ბრძენნი. ჰე, ნეტავი ეს დღეს მართალი იყოს! ბოროტება ადამიანის უკეთესი ძალაა.

ადამიანს უნდა უკეთესი და უფრო ბოროტი გახდეს! - ამას ვასწავლი. უბოროტესი უხმს ზეკაცის სიკეთისათვის... მე მახარებს დიდი ცოდვა, ვით ჩემი დიდი ნუგეში» - წერს ნიცმე.

აქ ბოროტების პირდაპირი აპოლოგიაა, და არა მარტო აქ.

ფილოსოფოსი უძღვები შვილის გზით მიდის ჯერჯერობით. დაუბრუნდება «მამას»? ვნახოთ.

ამპარტავნებამ ისე გაიდგა ფესვები ნელ-ნელა მის სულში, რომ საჭიროა კიდევ ერთი ნიშანი მაღლიდან.

ამ ნიშანმაც არ დააყოვნა: ნიცმეს უვითარდება მძიმე დეპერსონალიზაცია (ფსიქიკური გაუცხოების სინდრომი). ამ თემას ჩვენ უკვე შევეხეთ პირველ კარში. ჯიუტია დიდი გერმანელი, უმძიმეს ცენესთეზიურ განცდებს აღწერს თავის ნაწარმოებში, რომელსაც «დიონისეს დითირამბი» ეწოდება. ისევ დიონისეს დასტრიალებს მისი გონება, ისევ მას უძღვნის «დითირამბებს». უკვე ყოველგვარი «ნიშანი» გვიანი იყო. **ნიცმეს მოქცევა უკვე შეუძლებელი იყო.** «დიონისეს დითირამბი» ნიცმეს უკანასკნელი ნაწარმოები აღმოჩნდა. 1889 წელს იგი ფსიქიურად დაავადდა (გაგიჟდა).

უხეშად ვიტყვი: **ღმერთს სხვა გზა არ დაუტოვა მან**, მხოლოდ «გონების დაბნელება» შეაჩერებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცის ცთომილებას და ამპარტავნებას, დაიხსნიდა მის უამრავი მომავალი ცოდვისაგან: **ნიცმეს ნორმალურად აღარ უნდა ეაზროვნა** - ასე ჯობდა მისი სულის ხსნისათვის.

გავიხსენოთ სახარებიდან, რომ ცოდვად ითვლება არამარტო ქმედება, არამედ ზრახვა და ბოროტის გაფიქრებაც კი! მართალია, ნიცმე «პრაქტიკულად უცოდველია», მაგრამ ის ძე შეცდენილია: ამპარტავნებით დაბრმავებული. აწევს უდიდესი ცოდვა ფაშიზმისა, ნებსით თუ უნებლიეთ. **და ამ ცოდვას მხოლოდ დიდი ტანჯვა თუ ჩამოჰხანდა** გერმანელის სულს.

შიზოფრენია უკანასკნელი წერტილი იყო: მან წაართვა ნიცმეს ყველაფერი: ამპარტავნებაც, აზროვნების უნარიც, საკუთარი «მეც», და აგემა ტანჯვა, რომელიც ჩვენ უკვე აღვწერეთ და რომელსაც განიცდის ყველა შიზოფრენიკი. თუ ეს დაავადება ცნობიერების გახლეჩაა, ღმერთმა გონება გაუხლიჩა ნიცმეს, რომ უკანასკნელს სული გადარჩენოდა.

შეზოფრენიკის ტანჯვებს ნორმალური ადამიანი ვერ გაიგებს . **ამ ტანჯვით გადარჩა**

* ფ.ნიცმე «ასე იტყოდა ზარატუსტრა», თბ-93, თ ბუაჩიძის ბოლოსიტყვა, გვ.244

** ფ.ნიცმე «ასე იტყოდა ზარატუსტრა», თბილისი, 1993.

*** რელიგია ამბობს, რომ ყველა ფსიქიური სწეულის სული პირდაპირ სასუფეველში წავა სიკვდილის მერე

ნიცშეს სული წაწყმედას და მოიპოვა საუკუნო ნეტარება ცათა სასუფეველში, უფლის ნებისამებრ.

მისი სულიდან ჩამოირეცხა ფაშიზმის ცოდვაც, რომელშიც მას ფეხი ედგა უნებლიეთ.

თავი IV. ნიცშეანიზმი და ქრისტიანული მცნებები

ნიცშეს ცთომილება მხოლოდ ცარიელი ამპარტავნება არ არის, ცხადია. ნიცშემ შექმნა მოძღვრება, რომელიც ფაქტობრივად ყველაფერში ეწინააღმდეგება ქრისტიანობას.

ა. ათი მცნება.

1. მე ვარ ღმერთი შენი და არა იყვენ შენ-და ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.

ნიცშე კი განაცხადებს, რომ «ღმერთი მოკვდა!» და ეწევა უკიდურეს ღვთისმგმობელობას. ის საერთოდ უარყოფს ღმერთს, როგორც ასეთს, რომელიც არ უნდა იყოს იგი. თვლის, რომ ამაყ და ძლიერ ადამიანს ღმერთი არასოდეს ესაჭიროება, ლოცვას კი სამარცხვინოდ მიიჩნევს «ხოლო ლოცვა სიბილწეა!» «აჲ ღმერთებისთვის რაღად ვინაღვლო!»

2. არა ჰქმნა თვისა შენისა კერპი, არცა ყოვლაღვე მსგავსი, რამდენი არს ცათა შინა - ზე, რაოდენი არს ქვეყანასა ზედა - ქვე, რაოდენი არს წყალთა შინა - ქვეშე ქვეყნისა: არა თაყვანი სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.

ნიცშემ საკუთარ თავს შუქმნა კერპი - ზეკაცის სახით, ზეკაცისა, რომელიც ანტიქრისტიანული ორიენტირებით ცხოვრობს. ნიცშეს «არწივები, გველები, ლომები»-კერპებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ავტორი მათ ეთაყვანება და აიდეალებს.

6. არა კაც-ჰკლა.

ნიცშე აიდეალებს და კულტად ხდის ომს, **როგორც არ უნდა იყოს იგი:** «კარგი ომია, რომელი ყოველ საგანს აკურთხებს»... «ხოლო მე სისხლი მიყვარს». (ციტატები «ზარატუსტრადან»...)

8. არა იპარო.

ნიცშე ამბობს (ზარატუსტრას პირით), რომ ჩვენ, დამპყრობლები, წამოვიღებთ ყველაფერს, რაც მოგვეწონება, ულამაზესი ქალების ჩათვლით. იგივე «დოგმა» არღვევს მე-10 მცნებასაც.

ბ. ცხრა ნეტარება

1. ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათია სასუფეველი ცათა.

სულით გლახაკობაში თავმდაბლობა იგულისხმება.

«ცის მტვერში კი ნუ ჰყოფთ თავებს, არამედ **ამაყად** გეჭიროთ იგი, კეთილშობილი თავი, ჰე, ძმანო!» - ამბობს ნიცშე. საერთოდ, ვთქვით, რომ ნიცშე ამპარტავნებით იყო შეპყრობილი, ასე რომ ამ ნეტარების «დაცვაზე» ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია.

2. ნეტარ არიან მგლოვიარენი გულითა, რამეთუ ისინი ნუგეშცემულ იქმნებიან. გავიხსენოთ, როგორ აიდეალებს ნიცშე სიცილისა და დიონისურ მხიარულებას - ორგას. «თვით ბავშვიც ჰპოვებს ამქვეყნად სასაცილოსო» - ამბობს. აქვე გვახსენდება ნიცშეს კიდევ ერთი იდეალი: «ესეა ჟამი ჩემი - **ლომი მცინარი** მტრედთა გუნდითა».

3. ნეტარ იყვენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.

რა შორს დგას ეს ნათქვამი ნიცშეს ვოლუნტარიზმისაგან, ავანტიურიზმისაგან, ომის კულტისაგან! «ჯერ არს მამაკაცი აღზრდილ იქმნეს ომისათვის». «სჯობს ბედი საკუთარი მუშტებით გამოსჭედო»... «არ მიყვარს მამაკაცი ფეხაკრეფით მოსიარულე, რომლის ფეხები დეზებს არ აწკარუნებენ!», «ხოლო ასე მსურს: მამაკაცი ომის, ხოლო დედაკაცი შვილოსნობის უნარით, ორივენი კი თავით და ფეხით ცეკვის უნარით». «ჩვენ გვინდა მამრებად დავრჩეთ და აჲ, მიწაზე, მიწის სასუფეველში!» (ციტატები «ზარატუსტრადან»). და ა.შ.

4. ნეტარ იყვენ, რომელთ შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ ისინი

განსძღნენ.

ნიცშე: «ხოლო სმა-ჰამის ხელოვნება ამო ხელოვნება არ არის!» ისევ ნიცშე: «შემუსრეთ, შემუსრეთ, ძმანო, ესე **მართალნი და კეთილნი!**»

5. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

ნიცშე: «მთასა ზედა ზეთისხილისა, ავრბივარ მაღალ მთაზე და დავცინი ყოველ შებრალებას!» ნიცშე აიდეალებს სისასტიკეს, დაუნდობლობას, თუ მისი წყარო ძლიერებაა.

7. ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფენი, რამეთუ იგინი მედ ღვთისად იწოდნენ.

ისევ გვახსენდება ომის იდეალიზირება, «ხოლო მე **სისხლი მიყვარს!** /»ზარატუსტრა«/ «ასე მწამს მამრი ომისთვის....» და სხვა.

8. ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

ნიცშე: «შეისმინევით, ჰე, ძმანო! **შემუსრეთ, შემუსრეთ** ესე **მართალნი და კეთილნი!**» და სხვა მრავალი ამდაგვარი.

ვგონებთ, სურათი ნათელია და თემის გავრცობას აზრი არ აქვს: ნიცშეანიზმი ქრისტიანობის საპირისპირო მოვლენაა.

თავად ნიცშე კი, ღვთის ნებით, გადარჩა ღვთაებრივ განკითხვას და ალიგიერისებურ ჯოჯოხეთს, და გაუგონარმა მოწამებრივმა ხვედრმა სული განუწმინდა, ვითარცა ცთომილსა და უძღებ შვილს, რათა განესვენა წიაღსა შინა უფლისა, ვით ღვთის ნიშნით დაბადებულს.

თერთმეტწლიანი კათარზისის შემდეგ, 1900 წელს ფრიდრიხ ნიცშე გარდაიცვალა.

ავტორის მოკლე დანართი

ფილოლოგიისაგან შეიძლება მოულოდნელი იყოს ასეთი თემებით დაინტერესება, მაგრამ, როგორც წინასიტყვაობაში ვთქვი, მე მამომრავებდა ჟინი და «აზარტი» მკვლევარისა, მეცნიერისა, ურომლისოდაც მეცნიერება საერთოდ არ არსებობს.

მკითხველმა ამას დაუმატოს ჩემი გატაცება ნიცშეთი წლების განმავლობაში, დაინტერესება მისი ტრაგედიის იდეუმალებით, ბედის სისასტიკითა და უცნაურობით. ვხვდებოდი, რომ ყველაფერ ამას უნდა ჰქონოდა თავისი ახსნა და ამიტომაც არავითარ შემთხვევაში არ მივიჩნევ დაკარგულად იმ დროს, რომელიც ფსიქიატრიის შესწავლას შევწირე.

აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ ნიცშე თავად იყო ფილოლოგი, დიდი ფილოლოგი, ახალი გერმანული ენის ერთ-ერთი რეფორმატორი. ე.ი. ჩემს პროფესიას მაინც უკავშირდება ეს ნაშრომი - რა გასაკვირია ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტის დაინტერესება თავისი დიდი «კოლეგით», ბაზელის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის პროფესორით, - ფრიდრიხ ნიცშეთი.

რაც შეეხება ფსიქიატრიაში ჩემს გათვინობიერებას, ამის გარეშე შეუძლებელი იყო დიდი გერმანელის უხმო და შემზარავი ტრაგედიის იდეუმალი არსის ამოცნობა. გარდა ამისა, მოგახსენებათ, ყველას აქვს თავისი **ჰობი**.

მე ჩემს ძირითად პროფილს და სპეციალობას - მთარგმნელობით საქმიანობას - ცხადია, არ «ვუღალატებ», მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერების ეს დარგი ჩემთვის **ჰობია**, პარალელური გატაცება ძირითადთან ერთად.

თუ რამდენად მოვახერხე ან ფსიქიატრიაში, ან ღვთისმეტყველებაში ჩახედვა და ამ სფეროთა ათვისება თუ გათავისება, ამის გარკვევა უკვე შემფასებელის საქმეა.

ჩემი გონება ნიცშეს ტრაგედიას, როგორც ამოუხსნელ ენიგმას, დასტრიალებს უკვე ექვსი წელია, და ამ ექვსი წლის შრომის ნაყოფია სწორედ წინამდებარე გამოკვლევა. იმედი მაქვს, იგი თავის წვლილს შეიტანს «ნიცშეანოლოგიაში», საერთოდ ნიცშეს კვლევის საქმეში.

1998 წ. 27 თებერვალი
რატი ნინუა

ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა ფსიქიატრიული

1. Fuller Torrey, Surviving Shizophrenia. 1996
2. Ю.Л. Нуллер, И.Н. Михаленко. Аффективные психозы. Лен. 1988.
3. Жури. Невропатология и психиатрия. 1971, №В, 1973, №1-12.
4. Православная психиатрия. Москва, 1994.
5. Популярная медицинская энциклопедия, Москва- 1979.
6. Б.А. Смулевич, М.А. Воробёв. Деперсонализация. Клинико-патопсихические аспекты. 1973.
7. М.А. Воробёв. Один из вариантов юношеской шизофрении с преобладанием явлений деперсонализаций. 1971.
8. Пособия по психиатрии. ред. Ф.Л. Случевский 1984.
9. I.Krape, Sur ladepersonalisation. 1950
10. U. holl. J. Endruss, J. Goldshtain. Australian and New Zealand Journal of Psychiatry. 1985
11. ფსიქოპათოლოგიის საკითხები. სტ. კრებ. თბ. 1976. 12. ბ. სვანი, ე.ნაკაშიძე. ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი - 1977.
13. ი. ბჟალავა. ფიქსირებული განწყობის თავისებურებანი შიზოფრენიის უწყვეტი და პროგრედიენტული ფორმების შემთხვევაში. თბ., "მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", 1953.
14. ა. ზურაბიშვილი. კლინიკური ფსიქიატრია. თბ., 1963.
15. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1.
რელიგიური
1. ძველი აღთქმა: «მოსეს სჯული.»
2. ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.
3. მოციქულ პავლეს წერილი ეფესელთა მიმართ.
4. ებრაელთა მიმართ.
5. სახელმძღვანელო მართმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად. თბილისი, 1990 წ.
6. православная психиатрия. Москва. 1994.
ნიცშე და მის შესახებ გამოცემული ნაშრომები
1. Ницше Фридрих. Полное собрание сочинении. Т.1-9. Мос. 12 г.
2. ფრიდრიხ ნიცშე. ესე იტყოდა ზარატუსტრა. თბ., 1993.
3. Т. Манн. Философия Ницше в свете нашего опыта. Собр. соч. т.10.М.1961
4. ერეკლე ტატიშვილი. ფრიდრიხ ნიცშე. 1922.
5. თამაზ ბუაჩიძე. ფ. ნიცშე და მისი «ესე იტყოდა ზარატუსტრა». 93
6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.7.
7. ოთარ ჯინორია. თომას მანი. ნარკვევი. თბ., 1966.

ფრიდრიხ ნიცშეს მონოლოგი

ერთი მთავრდება და იწყება სხვა ჯოჯოხეთი,
ვერ დამაჩოქებ, ბედო, ამის თუ გაქვს იმედი,
როდესაც მრავალ უღირსს ატკბობ ცრუ სამოთხეთი,
მტანჯე, არ მინდა შენთა ქნართა ტკბილი სიმეტი.

მტანჯე, ხან ერთით, ხან მეორით და ხან მესამით,
ხომ დადგა ჟამი, როს წვალეზით ველარ მაკვირვებ,
სხვისთვის განახუნე სამოთხეთა ვრცელი სეზამი,
იკვებე, ჩემშიც მათ ბილწ ნდომას თუ გააღვივებ.

შენგან მორთმეულ ძმრიან თასებს დავცლი ზედიზედ
და შემოგზავლებ წყენით, როცა გამოგელევა,
შენ არც კი იცი, შენს ძმარ-შხამებს ვით შევეთვისე,
შარბათზე ახლა ალბათ გულიც კი ამერევა.

შენ შეცდი, როცა თავიდანვე ტანჯვით დაიწყე,
პირველი თასი როს მაგემე ორი კვირისას,
შეცდი... თავიდან შემაჩვიე მწვავ მზით დასიცხვას,
ალბათ ჩქარობდი... და მასწავლე თმენა ჭირისა.

მაქვს სული-თეთრი მარმარილო დაულაქველი,
მიწიდან არა, ცის სიღრმიდან ამოტანილი,
სული-არწივი ამაყი და ბევრგზის ნაგვემი,
ღორ-ძალღ-ტურათა დასერილი და დადანილი.

ვით სხვა სიამეს, იგი ტანჯვას ისე ნაჩვევი,
სასოწარკვეთის მდაბალ გრძნობას არ გაიკარებს,
დაიგვიანე, ბედო, ახლა აღარ გაჩვენებს
უსასოობას, და შენ ამით ბრაზს არ გიქარვებს.

ერთიც არ მცდება განატყორცნი, შენგან ისარი,
ერთიც არ არის ისართაგან ბალდამუვლები,
ვერ მათმობინებ - ლამაზია ჩემი მიზანი,
ვერ შემამინებ უბადრუკი შენი ყმუვლებით.

ახლოა ჟამი ჭრილობათა მოსალბუნების,
ბედნიერება ჩემს სულშია ღვთით დათესილი,
და ნაცვლად ხორცთა გასამდომი ბილწი ცთუნების,
მე სიხარული ზეციური მელის მზევისილი!..

ბოლოთქმა

ეს ნაშრომი პოეტმა დაწერა, უნიჭიერესმა რატი (ტატო) ნინუამ.

რატი ნინუას ხანმოკლე, მაგრამ დიდი ბიოგრაფია მის შემოქმედებაშია განფენილი. გამოქვეყნებულია მისი ლექსები, პროზა, ლიტერატურული წერილები, თარგმანები. ეს წიგნები ორი ათასწლეულის გასაყარზე იწერებოდა და მათში მრისხანე ეპოქის მიწურულის ახალგაზრდა, მოაზროვნე საქართველოს სულიერი ტკივილები, თუ ზეცისკენ აღვლენილი რწმენა-იმედი ხმინებს. ერთი შეხედვით, სრულიად განცალკევებულად მოჩანს რატი ნინუას წინამდებარე წიგნი, - «ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგედია ფსიქოპათოლოგიური და რელიგიური რაკურსით (ფსიქოლოგიურ-თეოლოგიური შრომა)», მაგრამ, არსებითად, ამ ნაწარმოების განწყობა იმთავითვე იგრძნობა მის შემოქმედებაში. თავად აუწყებს მკითხველს, რომ ექვსი წელი უფიქრდებოდა და აკვირდებოდა ფრიდრიხ ნიცშეს პიროვნებას, მის ცხოვრებასა და შემოქმედებას, ლექსიც მიუძღვნა მას. ეს ძალზე დიდი დროა, თუ გავითვალისწინებთ რატი ნინუას სიცოცხლის ხანმოკლე გაელვებას... ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რატის (მაშინაც კი, 11 წლისა რომ იყო) კალამი არასდროს უბრალოდ არ აუღია ხელში, - მას ყოველთვის მნიშვნელოვანი სათქმელი ჰქონდა. მუდამ იმას წერდა, რაც ღრმად აღელვებდა, აფიქრებდა, სტკიოდა, თუ ახარებდა. მის არსებაში განუყოფელ მთლიანობად იყო შერწყმული საოცარი რუსთველისეული ცნება, თუ ფორმულა: - «გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან»... ამ საწყისს ემყარებოდა რატის შემოქმედება, - ძალზე მრავალფეროვანი და საინტერესო ... და თუ ჩვენ ამას მივუხვდებით, აღარ გაგვიკვირდება, რაოდენ აუღელვებია რატი ფრიდრიხ ნიცშეს, ამ უცნაური გენიოსის ტრაგიკულ ბედს, ბედს კაცისას, ვინც თავს იდგა ადამიანის ცოდვათაგან უმძიმესი - ღვთის გამობა და შექმნა ზეკაცის - უკიდევანოდ აღმატებული არსების იდეა, მაგრამ, ზეკაცისაკენ ლტოლვაში ნიცშეს საკუთარი ცნობიერება დაუსხლტა ხელიდან, მოწყდა რეალობას, უმძიმესი სენით დაავადდა... ფრიდრიხ ნიცშეს ფენომენს, არაერთი პოეტი თუ მწერალი მიუზიდავს; რატიც ერთ-ერთი მათგანი იქნებოდა, თუ არა ის განსაკუთრებული მიდგომა, რითაც იგი სხვა მკვლევართაგან გამოირჩევა. პოეტი თავისი წიგნის სათაურშივე გვამცნობს, რომ ეს არის «ფსიქიატრიულ-თეოლოგიური» გამოკვლევა, რომ ნიცშეს ფენომენი მან შეისწავლა «ფსიქოპათოლოგიური და რელიგიური რაკურსით». რატომ? რად იტვირთა პოეტმა ბედკრული გენიოსის ჭირისუფლობა? აქ სხვა სიტყვას ვერ მოუხმობ, იმდენად დიდი დრო და გულისყური შეაღია რატიმ ნიცშეს. რატი ერთდროულად მკვლევარიცაა და ჭირისუფალიც. უფრო - ჭირისუფალი, თავის თავში დაკარგული უბედური კაცის სულის სახსნელი გზის მაძიებელი. ნაშრომის მიზანს ნათლად გამოხატავს «ავტორის მოკლე წინასიტყვა»: - «ნიცშეს ფილოსოფიამ გამიტაცა, როცა 14 წლის ვიყავი... თავიდან ეს ბრმა, ბავშვური გატაცება იყო ფილოსოფოსის ავანტურისტული და ვოლუნტარისტული იდეებით, მაგრამ, როცა მწერლის ადრეული თხზულებებიც წავიკითხე, მივხვდი, რომ მწერალი უკიდურესად რთული და წინააღმდეგობრივი, მთლიანობას მოკლებული პიროვნება იყო»... ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: - «თავიდანვე მაწვალებდა აზრი, რომ ნიცშეს ეს ტანჯვა არ იყო შემთხვევითი და «რალაცნაირად» უკავშირდებოდა მისსავე «ძალაუფლების ფილოსოფიას»... მომიხდა კლასიკოსი და «არაკლასიკოსი» ფსიქიატრების შრომების წაკითხვა, საერთოდ, ფსიქიატრიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის შეძლების და გვარად გაცნობა, მის თავდაპირველ კორიფეთა, თუ თანამედროვე ცნობილი თანამემამულე და უცხოელი სპეციალისტების თეორიების შესწავლა (6 წლის განმავლობაში), რათა გამერკვია, კერძოდ, რომელი ფსიქოზით დაავადდა ნიცშე, რა იყო მისი ფსიქოზის განვითარების მიზეზი». შემდეგ რატი მსჯელობს იმის შესახებ, რაც შესაძლოა, განიხილებოდეს, როგორც სრულიად ახალი მიდგომა ფილოსოფოსის პიროვნებისა და მისი ნააზრევის დასახასიათებლად და ამოსაცნობად: «კვლევის პროცესში ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ მხოლოდ ფსიქიატრია (საერთოდ მედიცინა) ვერ გახსნის იმ ტრაგედიის რთულ მექანიზმს, რომელიც თავს

დაატყდა ნიცშეს (ძირითადად ვგულისხმობთ ლუესს და სულით ავადმყოფობას 1889 წლიდან 1900 წლამდე). საჭირო იყო კიდევ რაღაც და ეს რაღაც აღმოჩნდა ქრისტიანული რელიგია... რელიგიამ მთლიანად გახსნა ეს მექანიზმი... მოკლედ, თუ ფსიქიატრიამ პასუხი გასცა კითხვას «რა», («რა დაემართა ნიცშეს»), მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ პასუხი გასცა კითხვას «რატომ» («რატომ დაემართა»). რატი ნინუას ნაშრომის ორი კარი მთლიანად მოიცავს ავტორის დასახულ მიზანს: ძირფესვიანად შეისწავლოს ნიცშეს სულიერი მდგომარეობა, ახსნას ყოველივე ამის მიზეზი და უსაზღვროდ შორს მიმავალი შედეგი. წიგნის პირველი კარი ეძღვნება მანიაკალურ დაავადებათა და ფსიქოზის ფართო და საფუძვლიან დახასიათებას. ეს ნაწილი, ისევე, როგორც მთლიანად წიგნი, გაოცებას იწვევს არა მარტო ურთულესი საგნის ღრმა ცოდნით, მსჯელობის სერიოზულობითა და დამაჯერებლობით, არამედ ავტორის სტილის დახვეწილობითა და სინათლით. სამედიცინო კვლევის ურთულესი საკითხები გადმოცემულია ნათლად და მისაწვდომად, რაც მოწმობს, როდენ ღრმად ჩასწვდა ავტორი საკვლევ თემას, რამდენი ფიქრი და დაკვირვება უძღვის წინ ამ ნაშრომს. განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლის რატი ნინუა «ნიცშეს ფილოსოფიის ემოციურ საფუძველს» და დაასკვნის, რომ «ნიცშეს მსოფლმხედველობრივი მეტამორფოზის მიზეზისწორედ განდიდების მანია იყო». რა არის რელიგიური თვალსაზრისით განდიდების მანია (Mania grandiosa) და რა მოსდევს მას? რატის პასუხი ასეთია: «განდიდების მანია, ანუ გულისთქმა შობს ცოდვას». წიგნში დიდი ადგილი ეთმობა ნიცშეს დაავადების თავისებურებათა დახასიათებას, თუ როგორ მოხდა მოაზროვნის ფსიქიკური მთლიანობის რღვევა და როგორ აისახა ყოველივე მის მხატვრულ და ფილოსოფიურ შემოქმედებაში, როგორ თანდათანობით მიიყვანა განდიდების მანიამ ნიცშე ბოროტების აპოლოგიასთან და მიუტევებელ ადამიანურ ცოდვაში ჩააგდო... ამ დროს იგი უკვე უიმედო ავადმყოფია. «შემთხვევითობა, თუ კანონზომიერება», - ასე დაასათაურა რატიმ პირველი თავი მისი ნაშრომის მეორე კარისა, ნიცშეს ტრაგედიის თეოლოგიური თვალსაზრისით კვლევას რომ ეძღვნება. «ჩვენი გამოკვლევა მორწმუნეთა და რწმენის მამიებელთათვისაა დაწერილი, ამიტომ ჩამოყალიბებულ ათეისტებს მხოლოდ ღიმილს მოჰგვრის ჩვენი «რელიგიური თეორია» ნიცშესთან დაკავშირებით» - ამ სიტყვებით იწყებს ავტორი და იქვე აღნიშნავს: «ზოგადი სახით... ვიტყვით რომ ფსიქიატრია და რელიგია ერთმანეთთან გაცილებით უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, ვიდრე ჩვენ ეს დღეს გვგონია. საერთოდ, ერთი გენიოსის თქმისა არ იყოს, მხოლოდ პატარა ცოდნა გვაშორებს ღმერთს, დიდი კი გვაახლოებს»... შეუძლებელია მკითხველმა გულთან არ მიიტანოს ჭაბუკი ავტორის ესოდენ ამალღებული და კეთილი ნაზრევი. აქ უნებლიეთ ისიც გაახსენდება ადამიანს, რომ ძველი თუ ახალი დროის არაერთ დიდ მეცნიერზე თქმულა, - რაც უფრო ღრმად შეიმეცნეს სამყაროს უცნობი, თუ იდუმალი კანონზომიერებანი, მით უფრო მიუახლოვდნენ ჭეშმარიტებას, რომ ყოველივე უფლის ნებით არის... ამ თვალსაზრისზე მყარად დგას რატი ნინუა, როგორც კაცი და როგორც მოაზროვნე, ჩვენი დიდი წინაპრების, დიდი ქართველი მწერლების მსგავსად, სწორედ ეს არის ის გზა ხსნისა, სულის გადარჩენისა, რომელიც რატიმ ფრიდრიხ ნიცშესათვის აღმოაჩინა.

თავდაპირველად, რატი ახასიათებს ფილოსოფოსის მოღვაწეობის მშვიდსა და ერთგვაროვან პერიოდს ბაზელის უნივერსიტეტში. «მაგრამ, ცხოვრების რაღაც ეტაპზე მან ყველაფერი უარყო» - გვაუწყებს ახალგაზრდა მკვლევარი, - «ძველი შეხედულებები გადააფასა, ყოველივეს ხაზი გადაუსვა და ვიწრო ესთეტიზმით შემოიგარსა საკუთარი თავი. მალე ეს ესთეტიზმი განდიდების მანიად იქცა და სრულიად შეიცვალა ნიცშეს ცხოვრების აზროვნების გზა-ბილიკები». მგზნებარე შემოქმედებითი მოღვაწეობა და საშინელი დაავადების თანდათანობითი გაღრმავება ერთმანეთშია გადახლართული. «ამ პერიოდში ნიცშემ შექმნა მოძღვრება, რომელიც ფაქტობრივად ყველაფერში ეწინააღმდეგება ქრისტიანობას» და რომელიც «გახდა ფაშიზმის იდეოლოგიური ბაზისი. ფაშიზმის ცოდვები უნებლიეთ ნიცშესაც დააწვა მხრებზე, რადგან ფილოსოფოსმა შექმნა ფაშისტური განწყობა

თავისი წიგნებით». «ნიცშეს ამპარტავნებამ ღმერთი მოაკვლევინა და იგი ანტიქრისტიანულ გზაზე დააყენა» - წერს რატი ნინუა და ქრისტეს ათი მცნების პარალელურად აჩვენებს ამ მცნებათა ნიცშესეულ უარყოფას, რაც უდიდესი, მიუტევებელი ცოდვით - ღვთის გმობით იწყება. ამას მოსდევს არგაგონილი კერპის - ზეკაცის იდეა, ომითა და სისხლისღვრით აღტაცება, თითქმის ყველა ქრისტიანულ მცნებათა საპირისპიროდ - უღმერთო ქმედების აპოლოგია. ნიცშეს მიერ ასევეა დაგმობილი ცხრა ნეტარება. ავტორი ყოველი ქრისტიანული მცნებისა და დებულების საწინააღმდეგო სათანადო ციტატებს მოიხმობს ნიცშეს ნაწერებიდან. მკითხველის თვალწინ თავზარდამცემი მკრეხელობის ამსახველი სურათი იკვეთება. ავტორი განიცდის ნიცშეს სულიდან დაძრულ ცოდვათა ნიაღვარს. მას ებრალება უღმერთოდ დარჩენილი ადამიანი (რა იყო ნიცშეს ზეკაცი უფლის სიდიადის წინაშე!). რელიგიასთან ნიცშეს დაპირისპირების ფაქტი რატიმ წარმოადგინა ადამიანურ ტრაგედიად - მისი უმძიმესი შედეგით. იგი არ იძლევა ნიცშეს შემოქმედების შეფასებას (როგორც ეს ვაჟა-ფშაველამ გამოხატა სულ რამდენიმე სიტყვით), რატისთვის ნიცშეს შემოქმედება მისივე ტრაგედიის ნაწილია. რატი აყალიბებს დასკვნას, რაც ერთდროულად ახსნაც არის და ტანჯული ფილოსოფოსის სულის ხსნაც: «ეს სწეულებანი იყო ღვთის ნიშნები, რომლებიც ფილოსოფოსმა ვერ ამოიცნო; ღვთის ნიშნები, რომ იგი არასწორი გზით მიდიოდა და უნდა შემობრუნებულიყო... დახსნოდა სატანისეულ ცთუნებას და ქრისტიანული ორიენტირებით ეცხოვრა, უფრო ბუნებრივი რომ იყო მისი პირველადი ნატურისათვის...», მაგრამ «ნიცშემ ვერ ამოიცნო ნიშანი. მისი ამპარტავნება... ფრთებს შლიდა, მწიფდებოდა და ამ ადამიანის ცხოვრებაში ცენტრალურ ადგილს იკავებდა» და აი, როგორ ჩამოაყალიბა რატიმ უფლისმიერი განაჩენი «ძე შეცდენილისათვის», «უძღები შვილისათვის»: - «შიზოფრენიკის ტანჯვებს ნორმალური ადამიანი ვერ გაიგებს», - წერს რატი, «ამ ტანჯვით გადარჩა ნიცშეს სული წაწყმედას და მოიპოვა საუკუნო ნეტარება ცათა სასუფეველში, უფლის ნებისამებრ». ასეთია რატი ნინუას რწმენა, თუ ოცნება.


...პირადად ჩვენთვის, ჭაბუკი მოაზროვნის ეს მსჯელობა აღმოჩენის ტოლფასია და უდიდესი მოკრძალებით განგვაწყობს მის მიმართ. საკვირველია ურთულესი საკითხის გახსნის გაბედულება და ორიგინალობა. ავტორმა ახალი გზა მიანიშნა ფრიდრიხ ნიცშეს პიროვნებისა და შემოქმედების სრულყოფილი შესწავლისათვის... და, რატომ არ უნდა მივიღოთ რატიისეული ხედვა, როგორც მეთოდი, რომელსაც მრავალსა და მრავალ შემთხვევაში შეუძლია სწორ გზაზე გაიყვანოს მკვლევარი. განა ადამიანისა და საზოგადოების უამრავი პრობლემა ღვთაებრივი გზისგან აცდენით არ არის? ყველა უბედურება თავს მაშინ გვატყდება, როცა ღმერთს ვშორდებით, ჩვენ ვშორდებით, თორემ ღმერთი მუდამ «ჩვენთან არის».

რატი ნინუამ მნიშვნელოვანი რამ გვითხრა. ყოველივე ამაზე დაფიქრება კი ჩვენი ვალაია.

ქათა ანტონი
მ. ქავთაძის (იამო ქავთაძის)
01.11.2016.



თაჩის მუშაობა





ის მოდის სათნო და მშვენიერი

ის მოდის სათნო და მშვენიერი,
ვით ნათელ ქვეყნის ღამე ვარსკვლავა,
და მის თვალბში, და მის იერში,
ბნელსა და ნათელს არა აქვთ დავა,
ჩრდილით რბილდება შუქი ციერი,
აღტაცებისთვის გული მზადაა.
მოაკლდეს სხივი ან მცირე ჩრდილიც, —
დაზიანდება მისი მშვენება,
მშვენებად დელავს კულუღი ხშირი
და ჩვილი შუქი სახეს ევლება,
შუბლზე ეხატვის ფიქრები ტკბილი,
უცოდველობა, ბედნიერება.
ლაჟვარდუღი მიმოქრის შვება,
ნაზი და თბილი ღიმილი მისი
სიკეთედ განვლილ დღეებზე ჰყვება;
ვინ, ვინ გახდება ედემის ღირსი!
მის სულში სუფევს თვინიერება,
გულმა უმანკო ტრფიალი იცის!

მე და შენ დავშორდით...

მე და შენ დავშორდით
მწუხარედ, დიდი ხნით;
ცრემლებს ძლივს ვახშობდით
ნახევრად მშვიდი ხმით,
ვიგრძენი — გაცივდა
ეგ ლოყა, ეგ კოცნა,
მე სევდა მაცრიდა
იმ დღიდან საოცრად.
ცისკარი ცვრიანი,
მსუსხავი ქარები,
ყოფილა ნიშანი
დღეის მწუხარების.
გატეხე შენ ყველა
აღთქმა და ფიცილი,
შენ გქვია შერცხვენა,
მე მქვია — სირცხვილი;
თუ სადმე გახსენეს,
ვძრწვივარ ხსენებაზე,
თავზარით ვიხსენებ —
როგორ მეძვირფასე?
იმათში ვინ არის,
გცნობდეს ჩემზე მწარედ!
მე დიდხანს გინანებ,
გინანებ მხურვალედ...
ვხვდებოდით იდუმალ,
ახლა კი მარტო ვარ,
და ვწუხვარ კვლავ ჩუმად
შენსას გულმჩატობას.
გავლენ გრძელი წლები,
თუ შეგხვდი ურვილი,
გაგეცნაურები
ცრემლით და დუმლით.



ჩვენ აღარ წავალთ სახეტილოდ

ჩვენ აღარ წავალთ სახეტილოდ,
ასე გვიანი ღამით,
თუმცა სავსეა გული ტრფიალით,
მთვარეც იღვრება ღამის.
რადგანაც ხმალი მალე ცვეთს ქარქაშს,
გრძნობა მკერდს ადნობს კრული,
გული ცოტა ხნით საგულეს ჩადგეს,
ტრფობამ მოითქვას სული.
შეყვარებულთა გამო ციალი
ღამემ წარსტაცა აისს,
ვარსკვლავთა შუქზე სახეტილოდ
ჩვენ აღარ წავალთ მაინც.

მაშ, შენ იტირებ ჩემს გაწვალებას?

მაშ, შენ იტირებ ჩემს გაწვალებას?
ძვირფასო, ისევ ველი მაგ სიტყვებს,
ოღონდაც თქმა თუ გევალალება,
ნულარას მეტყვი და გულს ნუ იტკენ.
მე ჩემს იმედებს ვწუხვარ დაშრეტილს,
სისხლი დამიდის მარღვში კაემნად,
როცა მოვკვდები, შენ ერთადერთი
ამოიოხრებ ჩემს სამარესთან.
ჯერ კი სიმშვიდის ნაზი ნათელი
ამ ტანჯვის ღრუბელს შენგნით ეხვევა,
წუთით ვყუჩდები მე განათელი,
რომ ვიგრძნო შენი გულის შეხება.
ო, დაილოცოს, სულო, ეგ ცრემლი,
ჩემს მაგივრადაც დაღვრილი შენგან,
ცვარ-მარგალიტი მისთვის ნამცვრევი,
ვის თვალებს ცრემლი ასველებს ვედარ.
ერთდროს მეც მქონდა გული გამთბარი
და სიყვარულით სავსე, შენსავით,
დღეს იმ შვენების დამრჩა საფლავი
და მხოლოდ გული მასზე მკვნესავი.
და შენ იტირებ ჩემს გაწვალებას?
ქალო, მე ისევ ველი მაგ სიტყვებს,
ოღონდაც თქმა თუ გევალალება,
ნულარას მეტყვი და გულს ნუ იტკენ.

ძილგამკრთალთა მზე

მზეო ძილგამკრთალთა, კაეშნის ვარსკვლავო!
შორითო ციაგო, მთრთოლო, გულსაკვავო,
შენ ცხადქმნი სიბნელეს და ვერ კი აქარვებ,
ოჰ, შვებას გარდასულს ასე რად მაგონებ...
შენსავით დღეები წარსულად ქცეული
ელავს და ვერ ათბობს შუქგადალეული;
ეგ სხივი მამრწუნებს მე, ღამეგანათევს,
როგორი შორია, რა ცივად ანათებს!..

ხსოვნანი

გათავდა! ჩემი ოცნება მიხვდა, —
ალარ ღირს რწმენა მომავლის სხივთა,
მე ბედნიერი ვიყავ მცირე ხანს...
უსასოობის ქარმა დაბერა,
ჩემი აისი ჯანლით დაფერა,
გზა — ზამთრეული თოვით მილექა.
მშვიდობით — ლხინო, ტრფობავ, ნატვრანო,
ნეტავი ხსოვნაც თან გაგატანოთ!

ჰგოდებდეთ...

ჰოი, ჰგოდებდეთ, — ბაბილონისას
დაჰქვითინებენ მდინარისპირებს,
ვისი ტაძრებიც გაუდაბურდა,
ვისი სამშობლოც აწ — სიზმარია,
შეგინებული და დამსხვრეული
იუდეველთა ქნარი იტირეთ,
სადაც უფალი მათი მკვიდრობდა,
ულმერთოები ბინად არიან!
სად განიბანოს დღეს ისრაელმა
ფერხი თავისი დასისხლებული,
როდის გახდება სიონის ჰანგი
კვლავ ძველებური სიტკბოთი სავსე,
და მელოდია იუდეასი,
ასე საამო და დიდებული,
თუ ანეტარებს ერთხელაც გულებს,
ადრე რომ თრთოდნენ მის ციურ ხმაზე?
მოდგმავ მოხეტე, დაქანცულ სულთა!
ფეხარეული და ნაჯაფარი

ვით გაექცევი ამდენ განსაცდელს,
სამშვიდობელის მიაღწევ კართან...
გარეულ მტრედს აქვს თავისი ბუდე,
მელიას — სორო თავშესაფარი,
ერებს — მამული, ხოლო ისრაელს
აღარაფერი საფლავის გარდა!

სულში წყვდიადია

სულში წყვდიადია, ოჰ, ჩქარა მომართე
არფა, მე ჯერაც მაქვს მხნეობა, გისმინო...
ჰანგი მომხიბლავი ჩემს სმენას მოანდე,
დაე, მაგ თითებმა სიმებზე ირბინონ,
თუ არ წარმოცია იმედი ბოლომდე,
გული კვლავ დატკბება და გაირინდება,
იქნებ ამ თვალეში ცრემლს ჯერაც ვმაღავდე,
ტვინს აღარ დამიწვავს და გადმოდინდება.
იყოს ეგ სიმღერა მწველი და ველური,
გართობა აწ ჩემთვის ჩირად არ ფასდება,
ახლა მე ქვითინი მწყურია ხელური,
თორემ გასენილი ეს გული გასკდება.
ჭამს მას რახანია ჯავრი და ნაღველი,
ქენჯნიდა, მღერალო, ღამეთა კირთება,
ელის უარესი, ვიდრე აქვს ნაგემი,
დღეს დაილეწება, ან დაგმორჩილდება...



ჩემი ოცდამეცამეტე დაბადების დღისათვის

ცხოვრების გრძელ და მტვერიან გზაზე
ოცდამეტთან მივფორთხდი ასე.
ამ წლებისაგან რა დამრჩა მეტი,
გარდა რიცხვისა — ოცდამეტი?

22 იანვარი, 1821 წ.

ტომას მურს

რას აკეთებ ახლა ნეტავ,
ჰაუ, ტომას მურ?
რას აკეთებ ახლა ნეტავ,
ჰაუ, ტომას მურ?
ნაღვლობ თუ სხვას ედავები,
რითმას წერ თუ სატრფოს ხვდები,
იქნებ, ვინმეს ეფერები,
რომელს, ტომას მურ?
მაგრამ კარნავალი მოდის,
ჰაუ, ტომას მურ!
კარნავალი ზარით მოდის,
ჰაუ, ტომას მურ!
ნიღბებით და ამღერებით,
დაფდაფების გახელებით,
გიტარების აჟღერებით,
ჰაუ, ტომას მურ!

ფრაგმენტი

მოკლედ დაწერილი მის ჩევორთის ქორწინების შემდეგ
ანსლეის მწირო, ქუშო სერებო,
თქვენს შორის დარჩა ჩემი ბავშვობა,
მძაფრი ქარები არ გასვენებენ
ფიქრით დაღლილებს, დარდით ნაშფოთარს.
არ დაბრუნდება დრო უზრუნველი,
ჩემს სიყმაწვილეს რომ ამშვენებდა,
აღარ მილიმის მე ჩემი მერი,
თქვენს თავს სამოთხედ რომ მაჩვენებდა.

ტომას მურს

ნავს დავტოვებ მე ნაპირის მშრალზე,
მზე დამხედავს უკვე ზღვაში მცურს,
მაგრამ სანამ წავიდოდე გზაზე,
გადღეგრძელებ, ჩემო ტომას მურ!
ვინაც მეტრფის, მისთვის ვტოვებ ოხვრას,
ვისაც ვძულვარ, მისთვის ვტოვებ ღიმს,
მხოლოდ გულს კი თან წავიტან ოხრად,
ვერაფერი ქვეყნად რომ ვერ ღლის.
მოუხდება ჩემი ზიდვა მაინც,
ოკეანეს, დიდხანს ღმუის თუმც;
და უდაბნოც გაიმეტებს რამეს,
მერე რა, რომ საჩუქრებზე დუმს.
წყარო დაშრეს, წვეთი დარჩეს წამლად,
ვიხრჩობოდე მწყურვალეების წვით,
მაინც სანამ შევლონდები, სანამ,
გადღეგრძელებ, მეგობარო, მით.
როგორც ღვინით, ახლა ამ ზღვის წყალით
მე ქეიფის წამოწყება მსურს,
გაგვიმარჯოს, გაგვიმარჯოს მარად,
გადღეგრძელებ, ჩემო ტომი მურ!

ქალო ათენელო...

Ζαή μου, σὰς ἀγαπᾶ
ქალო ათენელო, სანამ დავშორდებით,
გული დამიბრუნე მაგ ნაზი ბლონდებით!
ნუ იტყვი, რომ იგი წაიღე მარადის,
რომ შენთან დარჩება სამარის კარამდის...
და რაკი ასეა, ჩემო ზღვის სადაფო,
ჰა, აღთქმაც სატრფოსი, Ζαή μου, σὰς ἀγαπᾶ
მანდ დარჩეს, სადაც შენს ჩამოშლილ დალალეებს
სიო ეფერება, შლის და ავალალეებს,
სადაც კულულები თვით დაწვებს კოცნიან,
რომ აღმიტაცებდა სულიან, ხორციან...
სადაც მაგ შვლის თვალეებს ბავშვურად განაპობს
დილა გაუცინებს, — Ζαή μου, σὰς ἀγαπᾶ
10
დარჩეს მაგ ბაგესთან, რომელიც მწყუროდა,
მაგ ტანთან, დობილთან ალვათა, სუროთა,
ნაზ თაიგულებთან, რომლებიც გეტყოდნენ

რაც სიტყვით ვერ გითხარ, ძვირფასო, მარტოდენ,
ტრფიალის წამებო, სუნთქვაგასანაზო,
მადარდეთ მარადის, Ζაή μισ, σὰς ἀγαπᾶ
ქალო ათენელო, მივდივარ... მშვიდობით.
შენ ჩემზე იფიქრებ ნაზად, გულმინდობით,
მე მელის სტამბული, თვალს ცრემლებს ადენ შენ,
ვაი, გული მრჩება ათენში, ათენში...
სხვა შენდარი სადღა ვპოვო?
Ζαή μισ, σὰς ἀγαπᾶ

კატალონიის დღიურიდან

გამოიღვიძეს თვით საფლავშიც, — როგორ ვიძინო,
ტირანს ებრძვიან: მე რაღატომ დავდრკები წელში?..
მოწეულია მოსავალი — მკა ავიცილო?
მე არა მძინავს, ეკალია ჩემს სარეცელში:
ყოველ ცისმარე შემომესმის, ბუკი როგორ ხმობს,
და ჩემი გული მის დამახილს ექოდ პასუხობს...

გნახე, ტიროდი...

გნახე, ტიროდი — ლურჯი თვალიდან
გდიოდა ფართო ცრემლი ნათელი,
ტიროდი... ნელა დაბლა ჩავიდა
ნამი იიდან ჩამონადენი.
შენ გაიღიმე — და საფირონმა
უკან წაიღო ციმციმი ყველა,
ვერ შეძლო ცოცხალ სხივთან ცილობა,
შენ რომ აფენდი გულებს მწველად.
რბილი და თბილი ფერებით ღრუბლებს
როგორც დაფერავს ჩამავალი მზე,
და მაშინ ზეცა ნათელს აუფლებს
მოახლოებულ დაისის ჩრდილზე,
ისე ღიმილი შვებას ჰფენს შენი
თვით უპირქუმეს, ვნებულ გონებას,
მისგან გზა რჩება შუქით ფენილი,
გულსაც სინათლე ჩაეკონება.

აღმაფრენა გამქრალია, შვენებანი მოთავდნენ...

აღმაფრენა გამქრალია, შვენებანი მოთავდნენ
და სიცოცხლე სნებიანი სადღაც მიეშურება,
ჩვენ გიჟურად ვიღიმებით, როცა უნდა ვგოდებდეთ,
თავს ვიტყუებთ ამაოთი, ასეთია ხურვება.
რადაც წამი გაგვინათებს გონს ბოდვებით შეფერილს,
ყველა ნიჭი დაკარგული თითქოს დაგვანებოდეს,
და რომელიც ისე ცხოვრობს, როგორც ბრძენკაცს შეჰფერის,
ცხოვრობს იმავ მარტვილობით, წმინდანნი რომ კვდებოდნენ.

დაიწერა ათენში 1810 წლის 16 იანვარს

ახალბერძნული სიმღერის თარგმანი

«Μπένω μες το περιβόλι,
Ωραιότετη χαηδη» κτλ
შენი ვარდების შევალე ბალი,
საყვარელო და ტურფა ჰაიდე,
შევხედე ფლორას განცხრომით დადლილს
და შენზე ფიქრით გული გავრინდე.
აჰ, მშვენიერო! შენ ეს უბრალო
გულისსიტყვები მიიღე ჩემგან,
მე აღსარება ვის დავუმალო,
როგორ დამალოს ან გულმა ფეთქვა.
როცა კი ფლორა ბუნების წესით
სხვადასხვაფერად შეიმოსება,
მაშინვე კვირტებს სუყველა ხეზე
დაკოცნის შენზე ჩემი ოცნება.
მაგრამ წალკოტიც ხდება საწყენი,
როს სიყვარული ტოვებს ტალავერს,
აჰ, მომიტანეთ მათუთას წვენი,
რომ უფიქრელად შევსვა ახლავე.
ეს მირჩევნია ტრფობით სალმოზას,
თასი ბოლომდე აივსებოდა,
გავექცეოდი შენს უწყალობას,
და საწამლავი მეამებოდა.
გულქვაავ: ამაოდ მე გევედრები...
შენ ჩემი ტანჯვა ამაოდ გელტვის,
არ დაბრუნდები, არ ჩამეკვრები?
მაშინ გააწყვე სამარეც ჩემთვის.

როგორც სარდალი ძლევამოსილი
თავის საჭურვლის არის იმედად,
შენ წამწამებით გული მოცელე,
ვიცი, ჭრილობაც სისხლად იდენდა.
სულო, მითხარი, რომ უკვე ვკვდები
მე იმ ღიმილის ნაზი ალებით,
რისთვის დავექროდი იმედის ფრთებით,
თუ ბოლოს ასე ვივალალებდი?
ახლა ვარდები მოწყენილია,
საყვარელო და ცრუო, ჰაიდე!
და დამჭკნარ ბაღში ჩუმად ტირიან,
რომ არ მოხვედი, რომ არ დამინდე.

ეპიგრამები

ჰოი, კასტელრი! პატრიოტი ხან შენ ნამდვილი, —
სამშობლოსათვის მოკვდა კატონ, ასევე შენაც;
ის — რათა რომი არ ეხილა მონად დახრილი,
შენ — ბრიტანეთის არ გენახა რომ გადარჩენა!

..

ასე, კასტელრიმ გადაიჭრა ვაგლახად ყელი,
და საკუთარი მისთვის იყო უკანასკნელი.

..

მან გადაიჭრა სამართებლით ყელი, თუმცაღა,
დიდი ხნით ადრე თვით ბრიტანეთს გამოულადრა.



ეპიტაფია უილიამ პიტისათვის

სიკვდილმა მოსდო ამასაც ბადე,
ქვას მიეფარა ყინვით გათოშილს,
ის ატყუებდა ხალხს როგორც ბატებს,
აწ განისვენებს სააბატოში.

სონეტი ჯენეერასადმი

(თარგმანი ეძღვნება დედას — ტატო ნინუა)

ფერი მიგხადა რაღაც ფიქრმა, ხარ ისე სათნო,
მგონია, სევდამ სახე ვარდის ფურცლად გიქცია,
შენ სიხარულით აფაკლებამ თუ მოგიწია,
გული ინატრებს კვლავ გიხილო, რარიგად დარდობ.
ლურჯი თვალები ეშხით არ წვავს, მალონებს მარტო,
და თვით მხეცებმაც დამშვიდება მისით იციან,
მე დედაჩემის აჩვილებამ ახლა მიწია
და იმ წვეთებმა, სასუფეველს რომელიც ალტობს,
რადგან უმანკო და სევდიან სულად შობილი
როდესაც დახრი მაგ წამწამებს სხივოსან დასად,
მგონია, სული ანგელოზთან გაქვს განდობილი;
შენ ყველა ტანჯულს ეფერები ციურთა მსგავსად,
ეგ სილამაზე სათნოების არის დობილი,
გეთაყვანები მოწიწებით, მიყვარხარ ნაზად.

ჯონ კიტსი

ვინ მოკლა ჯონ კიტსი?
— მე, — ამბობს ეს ჟურნალი,
მგესლავი, მოშურნალი
რა გმირი ვარ, ხომ ვიცი.
რომლის სინდისს მოუდის?
— პოეტ-მღვდელის, მილმანის
(კვლამი მარდი ვინც არის),
— ბეროუს, ან სოუთის.

ფრანგული

უნდა წახვიდე, დიდებულო ჩემო სარდალო,
ამ მცირე კრებულს შენს ერთგულთა — ტოვებ სავსებით?!
შენი მეომრის ვინ თქვას დარდი დღეს უსამანო,
თითქმის შეშლილან ამ ხანგრძლივი გამოსალმებით.
ტრფობა ქალისა, მტკიცე ძმობის სულისკვეთება,
მიჩნდა ორივე მე ძვირფასად, სიტკბოულევად,
მაგრამ დღეს რაა, ან იმ გრძნობას ვით შეედრება, —
შენთვის მეომრის თავდადებას, შენს ერთგულებას?

ხარ ჯარისკაცის სულისათვის შენ სათაყვანო!
ომში პირველო, სწორუპოვარ ძლევეთ მოდიხარ,
მოარჯულა და დაიურვა ბევრი სამყარომ
და ერთადერთი — ვერა ბედმა შენ ვერ მოგდრიკა.
ვიწვევდი სიკვდილს მე შენს გვერდით წლების ტრიალში,
მშურდა მათი, ვინც ეცემოდა ველზე ბრძოლისა,
როს გაისმოდა სასიკვდილო მათი ხრიალი;
კურთხეულ იყვნენ! — შენ გამსახურეს პირველყოვლისა.

და მეც მათ დარად ცივი ვიყო ახლა ნეტავი,
ამიერიდან ვცოცხლობ, რათა ცქერამ მალონოს, —
ეჭვიანი და მხდალი მტრები ძლივს ვით ბედავენ,
კაცი მოგანდონ, თანამდევად გამოგაყოლონ.
ყველა ლაჩარი ხამს დაგეხსნას, დაგხსნას ხუნდები...
ჰა! კვლავ დილეგი მიწიანი, ჩაბნელებული...
ჩემთვის ეგ ჯაჭვი — ნათელია გაუხუნები,
ჯაჭვი — შენს უდრეკ, თავისუფალ სულს მოვლებული.

სხვას მლიქვნელობენ უკვე ბევრნი, არის ფლიდება,
ასე დაყრუვდნენ, როცა უხმობთ მოვალეობა,
როს გაიყოფენ მის ნაქურდალ და ცრუ დიდებას
და მისი ბნელით შეიცვლება შენი მზეობა?
დარეკა ჟამმა, ეს ქვეყანა აწ სხვისი გახდა,
ყველაფერს შენსას უკვე მშვიდი უარი ეთქვა,
განა იყიდა მან გულებიც იმ თავის ტახტთან,
გულები, კვლავაც რომ შენია და შენთვის ფეთქავს?!


ჩემო სარდალო, ხელმწიფე და ძმაო, მშვიდობით!
ასე არასდროს მოვდრეკილვარ, ამაყი სული;
ვით უზენაეს ჩემს სამსჯავროს — არ ვევედრები,

ვთხოვ, როგორც მტერს და სათხოვარი ესაა სრული:
ყოველი საფრთხე, რაც შენ უნდა გამოიარო,
ან განსაცდელი, — სივერაგე ბედის მსახვრალის,
გავინაწილო, გმირთან ერთად გავიზიარო
მისი დაცემა-გაძევება — მისი საფლავი.


შენი დღეები, აჰა, დასრულდა

შენი დღეები, აჰა, დასრულდა,
უკვე დიდება იწყება შენი,
ძღვევებზე, შენი ხმლით რომ გასრულდა,
მღერიან ქვეყნის ამაყი ძენი,
შენ აღუდგინე მამულს წარსული,
თავისუფლება მოჰბერე ძველი!
ჩვენს გულს სიცოცხლე ვიდრე ახარებს,
დავიწყებისთვის შენ ვერ გაგწირავს,
იმ წმინდა სისხლმა, რაც შენ დაღვარე,
ფუჭად მიწაში ჩასვლას დასცინა,
ის ჩვენ ძარღვებში იჩქეფს მღელვარედ
და შენი სული იფრენს არწივად!
ბრძოლებში ჩვენთვის გულისმომცემი
კვლავ დაიქუხებს შენი სახელი,
ველზე გმირული შენი დაცემა
იქნება ქალწულ ხმებით ნამღერი,
არ გიტირებენ შენ მამაცები,
შენთან გოდებას არა აქვს ხელი!..





ოსკარ ჯაიცი



ბუღბული და ვარდი

— ასე მითხრა ჩემმა მიჯნურმა, თუკი წითელ ვარდებს მომართმევ, ვიცეკვებო შენთან, — შესმახა ახალგაზრდა სტუდენტმა, — და ერთი წითელი ვარდიც კი არ ხარობს მთელ ჩემს ბაღში. შორიახლოს, ქვა-მუხის ტოტზე ბუდე გაეკეთებინა ბუღბულს. მას შეესმა სტუდენტის ნათქვამი და გოცებულმა ფოთლებიდან გამოიჭვრიტა.

— ერთადერთი წითელი ვარდიც კი არ ხარობს ჩემს ბაღში, — გაიმეორა თვალცრემლიანმა სტუდენტმა — ხანდახან რა მცირე რამ ყოფნის ადამიანს, რომ ბედნიერი გახდეს... ბრძენთა და მისან-სწავლულთა ნააზრევს ვწვდები, ფილოსოფიის იმდუმალეზას ვეზიარე და ერთმა, ერთადერთმა წითელმა ყვავილმა კი უბედური უნდა მამყოფოს მთელი ჩემი ცხოვრება.

— აი, ჭემმარიტად შეყვარებული, — თავისთვის თქვა ბუღბულმა, — ასეთ მეტრფეზე ვმღეროდი ყოველდამ, თუმც ნანახი არ მყავდა აქამდე. მის შესახებ თავდავიწყებით ვუყვებოდი ღამეულ ცაზე მოკიანთე ვარსკვლავებს და ახლა ნამდვილად ვიხილე ასეთი. ამ ჭაბუკს სუმბულივით მუქი თმები აქვს და მისივე ნანატრი ვარდით მეწამული ტუჩები. თუმცა, ვაგლახ, სახე გაუფითრა უსასოობამ, ხოლო სევდამ დაწვნი დაუსეტყვა.

— პრინცის სასახლეში დიდი მეჯლისი ეწყობა ხვალ, საღამოხანს, და იქ იქნება ჩემი მიჯნურიც, — დაიჩურჩულა ახალგაზრდა სტუდენტმა, — და თუ მივართვი ნანატრი ვარდი, მე და ის მზის ამოსვლამდე ერთად ვიცეკვებთ. მე ხელს შევახებ მის დალალებს, ის კი ალბათ მხარზე დამაყრდნობს თავს და მე მის სუნთქვას ვიგრძნობ. მე ჩემს ხელში დავიჭერ მის პატარა ხელს და ასე ვიცეკვებთ დიდხანს, დიდხანს... მაგრამ წითელი ვარდი არაა ჩემს ბაღში და ხვალ საღამოს მთლად ეული უნდა ვიყო. მიჯნური ჩემს გვერდით ჩაიარს და ალბათ ვერც შემამჩნევს... ეს კი გულს გამიხეთქავს სწორედ.

— იგი მართლაც ჭემმარეტი მეტრფე ყოფილა! — თქვა ბუღბულმა, — იმის სახმილში იწვის, მე რაზეც ვმღერი, და იგივეს გაუწამებია, რაც ჩემი სიხარულის წყაროა. სასწაულმოქმედი მადლია ტრფობა. იგი უფრო მისარქმელია, ვიდრე ზურმუხტი და მოელვარე ლალივით ძნელსაპოვარია. მას ვერ მოისყიდი მარგალიტებით, ვერც მოწით

ან კი ვინმეს სმენია სიყვარულის გაყიდვა? ვინმეს უნახავს ტრფობით მოვაჭრე? საოცარი გრძნობაა მიჯნურობა.

— როცა ჰაერში ტკბილ ჰანგებს დაარხევენ მუსიკოსნი, — განაგრძობდა ოცნებას სტუდენტი, — ფლეიტისა და ვიოლინოს ნარნარ ხმებს ნარნარ ტანს ააყოლებს მიჯნური ჩემი, ისე, თითქოს იატაკს არ ეხებიანო მისი ნაზი ტერფები, ბრწყინვალედ ჩაცმული კავალრები წრეს შეჰკრავენ მის ირგვლივ... ჩემთან კი ის არ იცეკვებს, რადგან ვერ მოვუტან წითელ ვარდს. — და სტუდენტმა თავი ხელეში ჩარგო და ქვითინი დაიწყო. — ნეტავი რისთვის ტირის ასე? — ჩაილაპარაკა პატარა მწვანე ხვლიკმა, რომელმაც სტუდენტის გვერდით მოლზე ჩაირბინა.

— მართლაც, რა ატირებს? — განცვიფრდა სიფრიფანა პეპელაც, მზის ათინათს რომ დასდევდა ფარფატიტ.

— შენ ხომ არ იცი, რაზე ტირის? — ჰკითხა ღიღილომ მეზობლად გაყურსულ შრომანს.

— წითელი ვარდის გამო ტირის, — ჩამოსძახა მათ ბულბულმა.

— წითელი ვარდის? როგორ არა რცხვენია? — განცვიფრდნენ ყველანი.

ამის გაგონებაზე პატარა ხვლიკს ხმამაღალი სიცილი აუტყდა (იგი საშინელი ცინიკოსი იყო).

სტუდენტის გრძნობა მარტო პატარა ბულბულისთვის იყო მახლობელი, რომელიც თავის ბუდეში განაბულიყო და ტრფობის მომხიბვლელობაზე ფიქრს განაგრძობდა. უცებ ფრთები გაისწორა, ჰაერში აიჭრა და ლანდივით გადაევლო ბაღს თავზე. ბაღის შუაგულში სურნელს აფრქვევდა შესანიშნავი ვარდის ბუჩქი. ბულბული მიფრინდა ბუჩქთან და მის რტოზე დასკუპდა..

— მომეცი წითელი ვარდი, — წარმოსთქვა ბულბულმა, — მე კი ჩემს ყველაზე ტკბილ გალობას მოგასმენინებ.

ბუჩქი შეირხა.

— თეთრი ვარდები მაქვს მხოლოდ, — თქვა, — ტალღის ქაფივით სპეტაკი და კლდეთა თოვლზე უთეთრესი. წადი ჩემს ძმასთან, ის უძველეს მზის საათთან იზრდება. შეიძლება მას ჰქონდეს, რასაც შენ ეძებ. ახლა მზის საათისკენ გაეშურა ბულბული და იმ ვარდის ბუჩქთან მიფრინდა, რომელიც მის ძირში ხარობდა.

— მომეცი მე წითელი ვარდი! — შესძახა ბუჩქს, — მომეცი, მე კი ჩემს ყველაზე ტკბილ გალობას მოგასმენინებ.

ბუჩქმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მე ხომ მხოლოდ ყვითელი ვარდები გამაჩნია, — დაიჩურჩულა მან, — იმ ქერუბიმის ნაწნავებივით ყვითელი, ქარვის საწოლში რომ წევს და იმ ზაფრანაზე უყვითლესი, ველზე რომ ჰყვავის თიბვის დაწყებამდე. მიდი ჩემს ძმასთან, ის სტუდენტის სარკმლის ქვეშ ჰყვავის, და შეიძლება მას ჰქონდეს, რაც შენ გინდა.

ბულბულმა ახლა იმ ვარდის ბუჩქთან მიიფრინა, სტუდენტის ფანჯარასთან რომ ჰყვავოდა.

— მომეცი მე წითელი ვარდი! — დაიძახა ბულბულმა, — და მე ჩემს უტკბეს გალობას მოგასმენინებ.

ბუჩქი აშრიალდა.

— მე მხოლოდ წითელი ვარდები მაქვს, — მიეგო მან, — მტრედის პაწია კანჭებივით წითელი და იმ მარჯნებზე უწითლესი, ოკეანის ფსკერზე რომ ხარობენ მარადუყვამს. მაგრამ სუსხმა და ყინვამ კოკრები ერთიანად გამიფუჭა, ზამთრის ქარბუქებმა ღეროები სულ დამიმტვრიეს და წელს ვარდებს ვერ მოვისხამ.

— მე მხოლოდ ერთი, ერთადერთი ვარდი მჭირდება! — შესძახა ბულბულმა, — მხოლოდ ერთადერთი ვარდი. ნუთუ არ არსებობს რაიმე გზა მის საშოვნელად?

— არსებობს ერთი, — დაიჩურჩულა ვარდის ბუჩქმა, — მაგრამ ისეთი საშინელი, თქმასაც ვერ ვბედავ...

— თქვი, — უთხრა ბულბულმა, — არაფერს შევუშინდები!

— თუ წითელი ვარდი გასურს, — თქვა ბუჩქმა, — შენი გალობით უნდა აღმოაცნო იგი და შენივე გულიდან მდინარი სისხლით მეწამულად შეღებო. მის ეკალს გულმკერდით უნდა მიეხეცინო და ასე მიმღერო მთელი ღამის განმავლობაში. ეკალი მკერდს გაგიჭრის, შენი სისხლი ჩემს ტანში გადმოვა, ჩემად გადაიქცევა.

— მიმძიმს სიკვდილი ერთადერთი წითელი ვარდისთვის, — თქვა ბულბულმა, — სული მეტად ტკბილია. რა შეედრება აზურმუხტებულ ტყეში ფრენას, ოქროცურვილი მზის და ბროლის საწოლში გარინდული მთვარის ყურებას. ანდა რა ტკბილ სურნელს აფრქვევენ ხოლმე ბუჩქები გაზაფხულობით, რა კარგია ველზე მოღაღანე ღიღილოები და უცხო მანანებით გადაპენტილი კორდები! თუმცა არა, მიჯნურობა მაინც უფრო ძვირფასია, ვიდრე თავად სიცოცხლე და ფრინველის გულიც რაა ადამიანის გულთან...

ბულბულმა ფრთები გაისწორა, ჰაერში შეინავარდა და ხელახლა ფრენით გადასერა ბაღი. სტუდენტი ისევ ბალახზე გართხმულიყო და თვალეზზე ცრემლი ჯერაც არ შემოშობოდა. — ბედნიერი ყოფილიყავი, ბედნიერი!, — ჩასძახა ბულბულმა, — შენ გექნება წითელი ვარდი. მე აღმოვაცენებ მას მთვარის შუქზე ჩემი გალობით და ჩემივე სისხლით მეწამულად შევღებავ... ამის სანაცვლოდ ერთადერთს გთხოვდი — ჭეშმარიტ სიყვარულს, რადგან მას ფილოსოფიაზე მეტი გონი და ხელისუფალზე მეტი ძალა აქვს. მეწამულია ფრთენი ტრფობისა და მგზნებარე სახმილია მისი ტანი. ტუჩები გოლეულივით ტკბილი აქვს და სუნთქვა სურნელოვანი, ვით საკმეველი ტაძრისა. სტუდენტმა მალა აიხედა და ფრინველის ჭიკჭიკს მიაყურადა. მაგრამ ვერაფერი გაიგო ბულბულის ნათქვამიდან, რადგან მხოლოდ იმის გაგება ძალუძდა, რაც წიგნებში წაეკითხა. მუხამ გაიგო ბულბულის ნალაპარაკევი და მოიწყინა. მას ძლიერ ებრალებოდა პატარა ბულბული, რომელსაც ბუდე სწორედ მის ტოტზე ჰქონდა გაკეთებული.

— მიმღერე რამე უკანასკნელად, — ჩაიდუდუნა მუხამ, — უშენოდ ხომ სრულიად მარტო დავრჩები.

ბულბულმა უკანასკნელად უმღერა მუხას და მისი ხმა ისე წკრიალებდა, თითქოს წყალი იღვრებოდა პატარა ვერცხლის დოქიდან. როცა ბულბულმა მღერა დაამთავრა, სტუდენტი ადგა, ჯიბეში ქაღალდი და კალამი მოიჩხრიკა.

— მ-და! ამ ჩიტუნას ოსტატობა უდავოა, — ჩაიდუდუნა მან და პატარა ბილიკს დაუყვა, — მაგრამ გრძნობა? მეეჭვება, რომ ჰქონდეს. როგორც ყველა სხვა ხელოვანი, იგიც მარტოდენს გარეგანს ემსახურება ყოველგვარი ჭეშმარიტი გრძნობის გარეშე. თავგანწირვა უცხოა მისთვის და მხოლოდ მუსიკას აღმერთებს. ისე კი მართლაც რომ მომხიბვლელი ხმა აქვს. რა სანანურია, რომ ეს ხმა უსარგებლოა და ფუჭი. და სტუდენტი სახლში შებრუნდა, წამოწვა პატარა საწოლზე და ისევ თავის გულისსწორზე დაიწყო ოცნება. ამ ფიქრებში იყო, რომ ჩაეძინა კიდევაც. როდესაც ცაზე ნათელი მთვარე ამოვიდა, მიფრინდა ბულბული ვარდის ბუჩქთან, ჩამოჯდა მის ტოტზე და მკერდი მის ეკალს მიაბჯინა. ასე ეკალზე მიყრდნობილი მკერდით მთელი ღამე მღეროდა ბულბული, ხოლო ზეცის თაღზე ბროლის ჭადივით მოელვარე ცივი მთვარე გარინდებით უსმენდა მის გალობას. ეკალი ნელ-ნელა გზას იკვლევდა ფრინველის მკერდში და ბულბული თანდათან სისხლისგან იცლებოდა.

თავდავიწყებით მღეროდა პატარა ბულბული, რადგან უგალობდა ვაჟისა და ქალწულის გულში ტრფობის ალის პირველ დაგზნებას, და აი, წარმტაცი კოკორი გაიფურჩქნა ბუჩქის ტოტზე. ჰანგი ჰანგს ცვლიდა და ვარდის პაწია ფურცლები ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდნენ. ჯერ მქრქალი იყო კოკორი, ვით ფთილა მდინარისპირა ნისლისა, მქრქალი, როგორც ალიონის თითები და ფითრდაკრული, ვით მისი ფრთენი. ფერმკრთალი იყო

იგი, როგორც ჩრდილი ვარდისა მოვერცხლილ სარკეში და როგორც ანარეკლი მისი, ტბის წყალზე მოლივლივე. მაგრამ ვარდის ბუჩქმა შესძახა ბულბულს, უფრო ძლიერად მიაბჯინეო მკერდი ეკალს.

— პატარა ბულბულო, კიდევ უფრო ძლიერად, — შესძახა ვარდის ბუჩქმა, — მალე ირიჟრაჟებს, ვარდი კი თეთრია.

ბულბული მკერდით უფრო მაგრად მიეყრდნო ეკალს და სიმღერა განაგრძო, თუ ვით იქცა ვაჟისა და ქალწულის გულში დაგზნებული მიჯნურობის ალი მწველ სახმილად. ჯერ მკრთალი ვარდისფერი დაედო კოკორის ფურცლებს, ვით შეიფაკლებიან პრინცის ღაწვები, ოდეს იგი სადედოფლოს ბაგეზე კოცნის. მაგრამ ეკალი ჯერ არ იყო ბულბულის გულამდე მისული, ამიტომაც კოკორის შუაგული თეთრი იყო ჯერაც. მხოლოდ ფრინველის გულის სისხლით თუ დაიფერებოდა იგი წითლად. და ვარდის ბუჩქმა მეორედ შესძახა ბულბულს, უფრო მაგრად მიბჯენოდა ეკალს.

— ცოტა უფრო მაგრად, პატარა ბულბულო, — შესძახა ბუჩქმა, — მალე ირიჟრაჟებს, ვარდი კი თეთრია.

და ბულბული კიდევ უფრო ძლიერად მიაწვა ეკალს მკერდით, სანამ ეკლის წვერი მის პატარაგულსარშეხო. საზარელი ტკივილისაგან მცირე ხნით თვალი დაუბნელდა. საშინელი იყო ტკივილი, მაგრამ ბულბული კიდევ უფრო ხმამაღლა და თავგანწირვით ამღერდა. ის ახლა იმგვარ ტრფობას უმღეროდა, სიკვდილი კიდევ უფრო რომ ამშვენებდა, მაგრამ ვერ ამთავრებს, ვერ ჰკლავს. ვარდი თანდათან მეწამულდებოდა, როგორც აღმოსავლეთის ცა მზის ამოსვლისას. მისი გვირგვინი ერთიანად სისხლისფერი გამხდარიყო, ხოლო გული ლალივით უკიაფებდა.

მაგრამ ბულბულს ხმა ჩაეხრინწა, პატარა ფრთები საბრალოდ აუცახცახდა და თვალზე ლიბრი გადაეკრა. მისი სიმღერა ნელ-ნელა უფრო და უფრო უმწეო ხდებოდა და ოდნავდა მოისმოდა. ფრინველს სუნთქვა გაუძნელდა, მაგრამ მაინც არ წყვეტდა მღერას. მთვარეს ესმოდა ბულბულის გალობა, ამიტომაც არ ჩქარობდა ჩასვლას და ცაზე ყოვნდებოდა. ახლა წითელმა ვარდმაც გაიგონა მისი ხმა და გარიჟრაჟის მაცოცხლებელ ნიავს ალტაცებით მიუშვირა მკერდი. ბულბულის ხმა ექომ შორეულ მღვიმეებამდე გაავრცელა, სადაც დადლილ მწყემსებს ნებიერი გულისძილით ეძინათ და გამოაღვიძა ისინი. გალობამ მდინარისპირა ლერწმებამდეც მიაღწია და ლერწმებმა ზღვას უჩურჩულეს ბულბულის, სევდიანი ამბავი.

— ნახე, ნახე, პატარა ბულბულო, — შესძახა ვარდის ბუჩქმა, — ვარდი მზადაა. მაგრამ ბულბულს პასუხი აღარ გაუცია. მას სული დაელია და მკვდარი ხშირ ბალახში ეგდო. შუადღის სიციხე რომ ჩამოწვა, სტუდენტმა სარკმელი გამოაღო და გარეთ გამოიხედა.

— აი, ბედიც ამას ჰქვია! — შესძახა მან, — წითელი ვარდი! ცხოვრებაში მსგავსი არაფერი გადამხდენია. ეს ვარდი ისეთი საუცხოოა, რომ ალბათ რაღაც გრძელი ლათინური სახელი ერქმევა.

სტუდენტი ფანჯრის რაფას გადაეყუდა და ვარდი ბუჩქს ააწყვიტა. მერე ქუდი დაიხურა და თავის ვარდიანად პროფესორის სახლისკენ გაეშურა. პროფესორის მშვენიერი ქალიშვილი სახლის კიბეზე ჩამომჯდარიყო და თითისიტარზე ძაფს ართავდა. მის ფეხებთან პატარა ფინიას მოეკალათებინა.

— თქვენ მე წითელი ვარდი მთხოვეთ, — წარმოთქვა სტუდენტმა, — ამის სანაცვლოდ კი შემპირდით, რომ ჩემთან ერთად იცეკვებდით მეჯლისზე. — აიღეთ ქვეყნად უწითლესი ვარდი, ამ საღამოს გულმკერდზე დაიბნით და იგი გიამბობთ, რა ძლიერ მიყვარხართ, როცა ჩვენ ერთად ვიცეკვებთ.

ქალმა შუბლი შეიჭმუნა.

— ვწუხვარ, მაგრამ ეს ვარდი არ მოუხდება ჩემს სამეჯლისო სამოსს, — წარმოთქვა ქალმა, — და რომც მოუხდეს, მე ნამდვილი თვალ-მარგალიტი მიძღვნა კამერჰერის მმისშვილმა და მარგალიტი კი ყველა ყვავილზე ძვირფასად ითვლება.

— ღმერთო ჩემო, რა უმადური ყოფილხართ, — თქვა სტუდენტმა და ვარდი გაბრაზებით მოისროლა ქუჩაში. ყვავილი არხში ჩავარდა და მასზე ეტლმა გადაიარა.

— უმადური? — წამოიძახა ქალმა, — თქვენ კი დიდი გაუთლელი და უზრდელი ვინმე ბრძანებულხართ. ვინ ხართ, ბოლოს და ბოლოს... ერთი საწყალი სტუდენტი. თქვენს ფეხსაცმელებს მოვერცხილილი ზონრებიც კი არა აქვს გაყრილი, როგორსაც კამერჰერის მმისშვილი ატარებს!

გაგულისებული ქალი სახლში შებრუნდა.

— ეჰ, დიდი სისულელე კი ყოფილა ეს შენი სიყვარული! — თქვა სტუდენტმა, რომელიც უკანვე მოდიოდა, — ლოგიკის ნატამალიც არ მოიძვევა მასში. ამიტომაც, რომ ყოველთვის ლამაზად გიხატავს ყველაფერს, ბევრს გაირდება და ბოლოს იმედგაცრუებულს გტოვებს. ახლა კი პრაქტიკული უნდა იყო, ისეთი დროა. ამიტომაც ყველაფერს ის აჯობებს, ფილოსოფიასა და მეტაფიზიკაში განვისწავლო კარგად. სტუდენტი თავის სახლში შევიდა. დიდი, მძიმე ტომი გამოიღო წიგნების კარადიდან, ერთიანად დამტვერილი და კითხვა დაიწყო.



ჭაბუკი მეფე

მეორე დღეს მეფედ უნდა ეკურთხებინათ, ღამე იდგა და მარტოდშთენილი ჭაბუკი უფლისწული თავის ლამაზ ოთახში საწოლზე წამომჯდარიყო. მცირე ხნის წინ კარისკაცებმა კრძალვით უსურვეს მშვიდობის ღამე და ჩვეულებისამებრ დაეთხოვნენ, რათა ეთიკისა და თავდაჭერის ბოლო გაკვეთილები მოესმინათ სამეფო სასახლის დიდ პალატაში: ზოგიერთ მათგანს ნაშთი ბუნებრივი ძალდაუტანელობისა კიდევ ჰქონდა შერჩენილი სიარულის დროს, ეს კი კარისკაცისთვის მეტად ცუდ თვისებას წარმოადგენს, ცხადია. ყმაწვილი პრინცი (იგი ხომ სულ რაღაც თექვსმეტი წლისა იყო) არცთუ ნაწყენი დარჩა მსახურთა წასვლით: რომ ნახა მარტო დავრჩიო, შვებულმა ამოისუნთქა და თა ი საწოლის ლბილ, ქარგით მოვარაყებულ სასთუმალზე მიდო, ერთხანს გაყურდა. თვალები ფართოდ გახელოდა და ველური ტყის ფავნის დარად გადაპობოდა მსხვილი ტუჩები. ამგვარად მწოლი რომელიღაც ნაზ, თოთო ცხოველს მიაგავდა ტყისას, მონადირეულ მახეში საბრალოდ მოფართქალეს.

სწორედ მონადირეებმა იპოვეს იგი. სულ შემთხვევით წააწყდნენ, ფეხშიშველა რომ დატანტალეზდა და თხის ფარას მწეშავდა, ხელში კი თავისი სალამური ეჭირა. ერთი ლატაკი, საწყალი მწყემსისა იყო ეს ფარა. მან გაზარდა პატარა ბიჭი, რომელსაც მწყემსის შვილი ეგონა საკუთარი თავი. სინამდვილეში ის მოხუცი მეფის მხოლოდმობილი ქალის სიყვარულის ნაყოფი იყო, სიყვარულისა, რომლითაც დაკავშირდნენ ვიღაც გადმოხვეწილი მდაბიორი და მეფის ასული. ზოგიერთთა აზრით, კაცმა ფლეიტის საოცარი დაკვრით მოხიბლა ქალი, ზოგი კი მის ცდუნებას სულაც ვინმე მხატვარს მიაწერდა რიმაწელს. მით უფრო, რომ იგი მოულოდნელად გადაიკარგა ქალაქიდან და შუა გზაზე მიატოვა ეკლესიის მოხატვის საქმე. ერთი კვირის ჩვილი მზაკვრულად ააგლიჯეს მძინარე დედის კალთას და მისი აღზრდა-მეურვეობა ერთი ლატაკი გლეხის ოჯახს მიანდეს.

ქალაქიდან საკმაოდ დაშორებულ ერთ ტყეში ჰქონდა სახლი ამ გლეხს, სადაც ცოლთან ერთად ცხოვრობდა ეულად. ბავშვის დაკარგვით გამოწვეული მწუხარებისაგან, თუ ქოლერის გამო (როგორც მეფის ექიმმა დაასკვნა), ანდა (ვით იდუმალ ამბობდნენ ზოგნი), გაღვიძებისთანავე იტალიური საწამლავით გაჯერებული ტკბილი ღვინის შესმის მიზეზით, ცოტა ხანში სუსტმა ქალმა სული უფალს ჩააბარა. და სწორედ მაშინ, როცა გახვითქული ცხენი შეაჩერა სანდო მალემსრბოლმა, გადმოიღო უნაგირზე მიკრული ჩვილი და გლეხის ოჯახის კარს ბრახუნით აუტეხა, მეფის ქალის ნემტი ხახაგახსნილ მიწაში უხმაუროდ ჩაუშვეს ერთი მიყრუებული ტაძრის მახლობლად, ქალაქისაგან მოშორებით. როგორც ამბობდნენ, აქ ვიღაც იგავიძუწვდენელად მშვენიერი ჭაბუკის საფლავი იყო. მკლავები ჭაბუკს მსხვილი თოკით ჰქონია შებოჭილი თურმე და მის მკერდზედაც უამრავ ჭრილობას დაელო პირი. ასე იმახდნენ იდუმალ. ცხადი ერთი იყო: სინდისის ყვედრებით თუ გვირგვინის სხვათაგან მითვისების შიშით შეპყრობილმა, უკვე ხანმოთუღლმა და მომაკვდავმა მეფემ ბიჭი თავისთან იხმო და ტახტის მფლობელად გამოაცხადა იგი დიდებულთა თვალწინ.

უფლისწულად შერაცხვის პირველივე დღიდან ბიჭს ყველა ატყობდა რაღაც უცნაურ სიყვარულს მშვენიერებისას. ამ სიყვარულმა ფრიად შეცვალა ბიჭის ცხოვრება. კარისკაცები, განსასვენებელ პალატაში რომ მიჰყავდა ხოლმე პრინცი, მერე გაოცებულნი ჰყვებოდნენ, თუ რა აღფრთოვანებული დასცქეროდა იგი მისთვის მირთმეულ ბრწყინვალე ტანისამოსს და ზედ მოციალე მარგალიტებს, იხსენებდნენ, მწყემსის ტყაპუჭები და უხეში ცხვრის ტყავი სიხარულის შეძახილებით რომ გაიძრო, როცა პირველად მოიყვანეს სასახლეში. თუმცა ბიჭს ხანდახან დარდიც შემოაწვებოდა ხოლმე გულზე და მისტიროდა დაკარგულ თავისუფლებას, საოცნებო დღეებს ტყეში გატარებულს, აღიზიანებდა სამეფო კარის გრძელი განრიგის დასწავლა დღეების მანძილზე, მაგრამ მომაჯადოვებელი დიდებულება სასახლისა (joyeuse ერქვა მას) სულ სხვა, ახალჯადოსნურ სამყაროს ქმნიდა ყმაწვილისათვის. მოსაწყენ დარბაზის სხდომებს და სტუმართა მიღებას როგორც კი მორჩებოდა, იმ წამსვე სირბილით დაუყვებოდა პორფირით საფეხურებშემკვულ კიბეს, რომლის ორივე მხარეს ოქროცურვილი ბრინჯაოს ლომები იდგნენ... დაუსრულებლად შეეძლო ეხეტიალა გრძელ ტალანებში, უკაცრიელ, იდუმალ დარბაზებში... მშვენიერება იყო ის წამალი, რომელსაც მისთა ტკივილთა გაყურება და განელება ძალუძდა. მისთვის ეს იყო საოცარი მოგზაურობა სილამაზის წარმტაც სამეფოში, მოგზაურობა სავსესიახლეებითა და მოულოდნელობებით და ამ სეირნობის დროს მას ტანწვრილი, ოქროსთმიანი, მოხატულ მანტიებწამოსხმული პაჟებიც დაჰყვებოდნენ ხოლმე ხანდახან. მაგრამ უფრო ხშირად მარტოდმარტო დაიარებოდა ახალგაზრდა მეფე. თითქოს მეექვსე გრძნობა კარნახობდა მას, რომ მარტომ უნდა იგრძნო ყველა იდუმალება და საოცრება ხელოვნებისა, რადგან მას სიბრძნის დარად მარტომთენილი მეტრფე ესაჭიროება.

ყმაწვილი მეფის უცნაურობაზე სასახლის გარეთაც გავარდა ხმა. ჰყვებოდნენ, რომ როცა მოქალაქეთა მოშაქრული მილოცვების გადასაცემად მსუქანი ქალაქის თავი მეფეს ეახლა,

მან ფერწერული ტილოს წინაშე მუხლებზე დამხობილი იხილა ჭაბუკი. ეს ვენეციური ფრესკა ის-ის იყო გამოფეხავნათ მისთვის და ზედ წარმართული კერპები იყვნენ გამოსახულნი. იმასაც იმახდნენ, რომ ერთ დღეს მეფე მოულოდნელად გაჰქრა სასახლიდან და კარისკაცები, რომლებაც მისთვის თვალყურის დევნება ჰქონდათ დავალებული, საათობით ეძებდნენ მას, ვიდრე ბოლოს არ იპოვეს სასახლის ჩრდილო ფასადის ერთ პატარა ოთახში: მონუსხულ ჭაბუკს თვალი ვერ მოეწყვიტა ძველბერძნული გემისთვის, რომელზეც მითიური ადონისის სახე ამოეკვეთათ გარდასული დროის ოსტატებს. ვიღაცა კი იმასაც შესწრებია, როგორ კოცნიდა მეფე მარმარილოსაგან ნაკვეთი ანტიკური ქანდაკების შუბლს. მდინარის ნაპირში ჩამარხულ ამ ქანდაკებას მოულოდნელად წაწყდომოდნენ მასზე ხიდის აგების დროს. ქანდაკებას წარწერილი ჰქონდა სახელი ვინმე მონა ადრიანესი, რომელიც ბითინიიდან იყო. სხვა დროს მეფეს საათობით უჭვრეტია ენდომიონის სახიან ვერცხლის ლანგარზე არეკლილი მთვარის ათინათისათვის. მალე ჭაბუკი ძვირფასი და ძნელად მოსაპოვებელი ნივთების შექმნის დაუოკებელმა ნდომამ შეიპყრო და მან სხვადასხვა სახელმწიფოებში დაგზავნა თავისი ვაზირნი: ერთნი შორ და ცივ ზღვათა ნაპირებზე მობინადრე მესათხეველებთან, რათა მათგან ქარვა ეყიდათ, მეორენი ეგვიპტეში, უმწვანეს ზურმუხტთა ხელში ჩასაგდებად, რომლებიც ფარაონთა სამკვალეში-ღა იყო შემორჩენილი და მრავალთა თქმით, ჯადოსნური თვისებები გააჩნდა; მესამენი სპარსეთს წარგზავნა აბრემუმის ნოხებისა და მოზაიკური ქაშანურისათვის, სხვანი — სპეკალის, საჭრეთლით ნაკვეთი სპილოს ეშვის, ნეფრიტის სამაჯურთა, სანდალუხის ხის, ცისფერი მინანქრისა და შალის მანტიების ჩამოსატანად — ინდოეთს.

ჭაბუკს მაინც იმ მოსახსამზე ფიქრი აღელვებდა ყველაზე მეტად, რომელსაც უნდა დაემშვენებინა მისი მხრები, როცა მეფედ აკურთხებდნენ. ეს იყო ატლასის მოსახსამი, იაგუნდით დახუნძლულ გვირგვინთან და მთელ სივრცეზე მარგალიტებით გაწყობილ სკიპტრასთან ერთად. საწოლზე გართხმული ჭაბუკი მეფე ახლაც მათზე ფიქრობდა და მხერა ბუხარში აბრდღვიალებული ნაძვის ტოტისათვის მიეპყრო. გვირგვინ-სკიპტრის ნიმუშები მოუტანეს მცირე ხნის წინ მაშინდელმა გამოჩენილმა მხატვრებმა და მეფემ ბრძანება გასცა, საუკეთესო ოსტატებს ამ საქმისა დღედაღამ ემუშავათ, რათა მოესწროთ მათი დამზადება კურთხევის დღისათვის. მეფის გზავნილნი კარგა ხნის წასულნი იყვნენ ძვირფასი ქვების საშოვნელად ოთხივ კუთხივ. ჭაბუკმა ოცნებით წარმოიდგინა თავისი თავი ეკლესიის საკურთხეველის წინ მდგარი, უძვირფასეს ტანისამოსში გამოწყობილი და ბალღურად გაეღიმა, ხოლო მის გიშრის თვალებში სიამის ჭინკები აცელქდნენ. მცირე ხნის მერე წამოდგა და მოვარაყებული ბუხრის ძგიდეს დაეყრდნო, მხერა მოატარა სუსტად განათებულ ოთახში. ბრწყინვალე გობელენები ამკობდნენ კედლებს და თავად მშვენიერებას დაევიანებინა მათზე. მთლად გიშერ-ფიქალისაგან დამზადებული კარადა ოთახის ერთ კუთხეში დაედგათ, ხოლო მეორეს ოსტატურად ნახელოვნები ტუმბო ავსებდა. მის ოქროცურვილ სინისებურ სადგამზე თხელი ვენეციური შუმისგან ჩამოსხმული პაწია თასები და ონიქსის მასიური სასმისები ეწყო, წვრილი ხაზებით მშვენნი. უფლისწულის საბანზე მეწამული ყაყაჩოები იყო ნაქარგი ისე ცოცხლად, გეგონებოდა ეს ყვავილები თვით ძილის მოქანცულმა ღვთაებამ მიმოყარა აბრემუმზეო. სპილოს ძვლისაგან თლილი მაღალი ლერწმები კედლებს ჭერისაკენ აუყვებოდნენ და მოვერცხლილ ჭერზე ნაკვეთ სირაქლემას თეთრ ფრთებში გადადიოდნენ. სარეცლის თავში იდგა მღიმარი ზამბახის ქანდაკი, მწვანე ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, ხელში პაწაწინა სარკით. მაგიდას ამეთვისტოს ბარძიმი შვენოდა. მეფემ ფანჯრიდან ეკლესიის მასიურად გამოყვანილი გუმბათი დალანდა, რომელიც დაბინდული პატარა სახლების ზემოთ აღმართულიყო, ვით მთა ბურუსით ბურვილი. მეციხოვნეები ზანტად ვიდოდნენ ხიდზე, ნისლში ათქვეფილ მდინარეს რომ გადმოიხობოდა. ბულბულის სტვენა მოისმოდა რომელიღაც შორ ბალიდან. ნაზ სურნელს

აფრქვევდა სარკმელთან მოყვავილე ჟასმინი. ჭაბუკმა შუბლიდან გადაიყარა წაბლისფერი კულულები, ქნარი აიღო და მის სიმებს ოდნავ შეახო თითები თვალდახუჭულმა და სასიამოვნოდ მოთენთილმა. ყველაზე მკვეთრად, მთელი არსებით ახლა შეიგრძნო იდუმალი მომხიბვლელობა თვალწარმტაც საგანთა.

სასახლის საათმა შეაღამისა რომ დარეკა, პაქები ზარით საძინებელში მოიხმო ჭაბუკმა დამათ ტანისამოსი გახადეს მას დიდი რუდუნებით, ვარდის წვენი წაუსვეს სახესა და ხელებზე, ბალიშთან მიმოუყარეს ვარდის ფურცელნი, შემდეგ კი წავიდნენ. კვლავ მარტოდშეთნილ მეფეს რული მოერია. როგორც კი დაეძინა, ეზმანა, ვითომ იგი მოხვდა ერთ ულამაზო, ჭერდაზნექილ ოთახში, რომელიღაც ძველი სახლის სხვენზე. საქსოვი დაზგა-მანქანები რახრახებდნენ ირგვლივ. პატარა სარკმლის რიკულებიდან შემოპარული სხივები ძლივს ანათებდნენ გამხდარ, დაზგებზე წაზრილ მკერავებს. ძაფის სართავებთან საბრალოდ მოკალათებულებიყვნენ ფერგამკრთალი, ნაკვადმყოფარი ბავშვები. მათ რაღაც დიდი საგნები ეკავათ და ძაფი რომ ნასვრეტში გაივლიდა, მას ამ საგნებით წნეხავდნენ. შიმშილით კანი სახეზე მიკვროდათ, ხელები უცახცახებდათ. დაზგას დაქანცული დიაცები მიჯდომოდნენ და რაღაცას კერავდნენ. საშინელი ნესტის სუნი იდგა ირგვლივ და სველ კედლებზე ცრემლებივით ღაპაღუპით მოდიოდა წყლის წვეთები.

ერთ მკერავს მიუახლოვდა ჭაბუკი მეფე, იქვე შორიახლო დადგა და დააკვირდა. კუმტი მზერა შეაგება მკერავმა, გამოსცრა:

— რას მზვერავ? იქნებ ჯაშუში ხარ ჩვენი ბატონის მიერ გამოგზავნილი?

— ვინაა შენი ბატონი? — ჰკითხა მეფემ.

— ჩემი ბატონი! — ისევ მძულვარებით გამოსცრა ფეიქარმა. — ისიც ჩემსავით

ჩვეულებრივი ადამისშვილია. ეგაა მხოლოდ: ბრწყინვალე ტანსაცმლით დაიარება იგი, როცა მე დაკონკილი პერანგი მაცვია და ჭარბმა სმა-ჭამამ ქშენა დამართა, როცა მე სული კბილით მიჭირავს შიმშილისაგან.

— მაგრამ ქვეყნად თავისუფლებაა, — მიუგო ჭაბუკმა, — შენ არავისი მონა არა ხარ.

— ბრძოლაში, — თქვა მკერავმა, — ძალოვანი ჩაგრავს უღონოს, ხოლო როცა მშვიდობა სუფევს, მდიდარი იბრძვივებს ღარიბს. არსებობისათვის ვმუშაობთ ჩვენ, ბატონები იმდენს გვაძლევენ, რომ სული არ ამოგვხადეს შიმშილით. ყოველდღე ქანცი გვიწყდება შრომისაგან, მათ კი შინ ოქროთი სავსე ზანდუკები უწყვიათ. მთლად დაილივნენ ჩვენი ბავშვები, და ვუმზერთ, ნელ-ნელა როგორ ბოროტდებიან ჩვენთვის საყვარელი ადამიანები. ყურძენს ჩვენ ვწურავთ, მაჭარს ისინი მიირთმევენ. თავთავი ჩვენი მოწეულია, მაგრამ პურის ნამცეცვიც არაა ჩვენს მაგიდაზე. უხილავი მარწუხებით ვყავართ შებოჭილი და გასაქანს არ გვაძლევენ. და ამის შემდეგ იტყვი, რომ ჩვენ მონები არა ვართ? ვართ, თუმცა გარეშენი თავისუფლად მიგვიჩნევენ.

— და ასეა ყველა? — ჰკითხა მეფემ.

— ყველა, — უპასუხა მკერავმა, — დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი. ვაზირები წურბელებივით კისერზე გვასხედან, ჩვენ კი რა ძალგვიძს უდრტვინველი თმენის გარდა. მედიდური მღვდელი ზედ არ გვიყურებს, ღვთისაგან და კაცისგან დავიწყებულნი ვართ, და სილატაკე მეფობს ჩვენს უბადრუკ ქოხმახებში, სილატაკე და გულარძნილობა. ურვაში ვიძინებთ და ურვაში ვიღვიძებთ, თუმცა რატომ გიყვები ყველაფერ ამას? შენ ჩვენისთანა არ უნდა იყო. მეტად უზრუნველი სახე გაქვს საამისოდ. — კუმტად გამომზირალი მკერავი მეფისაკენ ზურგით შებრუნდა და ძაფი დაახვია. მეფემ თვალი ჰკიდა, ატლასი ევინა საკერავზე. ჰკითხა შემფოთებით:

— რასა ქსოვ ამას?

— მოსასხამია ჩვენი ახალგაზრდა პრინცისათვის, ტახტზე აღსაყდრების დღეს უნდა შეიმოსოს ამით, — მიუგო მკერავმა, — რატომ მეკითხები?

ჭაბუკმა მეფემ ყრუდ ამოიგმინა და უცებ გაეღვიძა. თავის სარეცელზე იწვა იგი, და სარკმელი ქარვის მთვარეს ამოევსო, რუხ ცაზე მნათს. და მას ისევე დაეძინა და კვლავ ეზმანა: ახდა დიდი კანჯო მიაპობდა ტალღებს, რომლის გემბანზე თვითონ გაშოტილიყო. ას მონა-ტყვეს მიჰყავდა კანჯო. იქვე ნოხზე ფეხმორთხმული იჯდა და ხელში სპილოსძვლის საწონს ათამაშებდა კანჯოს მფლობელი. მეწამული აბრეშუმის ჩალმა ედგა თავზე შავკანიანით სახეგარუჯულს და ყურებში გაყრილი ვერცხლის რგოლების სიმძიმისაგან ჩამოგრძელებოდა ბიბილოები. ჯაჭვებით ერთიმეორეზე გადაბმულ მონა-ტყვეებს, ოდენ ნაჭრის რამდენიმე ნაკუწი რომ ეფინათ შიშველ სხეულებზე, დაუნდობლად აჭერდა თაკარა მზე და სიცხე თანგავდა. შავკანიან მსახურებს დაწნული ტყავის შოლტები ეკავათ ხელში და ჟამიდან ჟამზე სცემდნენ მათ. მონები ძლივსღა უსვამდნენ ნიჩბებს ღონეგამოცლილი ხელებით და ნიჩბები ზღვის მლაშე წყალს აქაფებდნენ. კანჯომ მცირე სრუტეში შესცურა ბოლოს და სრუტის სიღრმე რაღაც ხელსაწყოთი გამოიკვლიეს ზანგებმა. სამკუთხა ფართო აფრასა და გემბანს ნაპირის წითელი ქვიშის მარცვლები შეაყარა მონაქროლმა გრილმა სიომ. უცებ საიდანღაც სამი არაბი გაჩნდა კანჯრებზე მსხდომი, ისინი შორიახლო დადგნენ და კანჯოს იატაკანები დაუშინეს. გემის მფლობელი მოხატულ მშვილდისარს დასწვდა, და კისერში ისარგაჩრილი ერთი არაბი წყალში ჩაიკეცა. მისი მხლებლები გაიქცნენ, მათ მიჰყვა აქლემზე გადამჯდარი ნარინჯისფერჩადრიანი ქალი, თან რომ უკუ-იმზირებოდა მოკლულსკენ. ზანგებმა ღუზა ჩაუშვეს. აფრა დაკეცეს, ჩავიდნენ გემბანის სიღრმეში და იქიდან მძიმე ტყვიის ბურთულებგამობმული ბაწრის კიბე ამოიტანეს. ეს კიბე წყალში ისროლა კანჯოს მფლობელმა და ჩასობილ პალოებზე დაახვია მისი ბოლო. უცებ რომელიღაც ყველაზე ახალგაზრდა მონა-ტყვე წინ გამოაგდეს შავკანიანებმა, ბორკილები დაუმსხვრიეს და ცხვირსა და ყურებში ნაჭრები დაუცვეს, ხოლო ტანზე მოზრდილი ქვა დაჰკიდეს. ტყვე გაჭირვებით დაუყვა ბაწარს და წყალში გაუჩინარდა, საიდანაც მალე წყლის პატარა ბუშტები ამოვიდა. დანარჩენი მონები ცნობისმოყვარე მხერით მისჩერებოდნენ ყველაფერ ამას. კანჯოს ქიმზე ვიღაცა გონგის გამაბეზრებელი კვრით ზვიგენების დაფრთხობას ცდილობდა. მცირე ხანი გავიდა და მონამ წყლიდან ამოყვინთა. თოკს მოეჭიდა სუნთქვაგახშირებული. მის მარჯვენა ხელში მარგალიტი ბრწყინავდა. მარგალიტი იმ წამსვე ხელიდან გამოგლიჯეს და ისევ წყალზე მიუთითეს. სხვა მონა-ტყვეებს ნიჩბებთან დასძინებოდათ.

მეყინთავი ბევრჯერ ჩავიდა და ამოვიდა ასე და ყოველთვის წარმტაცი მარგალიტები ამოჰქონდა, რომელთაც შემდეგ სასწოროზე წონიდა და ტყავის მწვანე ჩანთაში აწყობდა კანჯოს პატრონი. უფლისწულს სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თითქოს ტუჩები დაეწებო, ხმა ვერ დაძრა. შავკანიანების ღლაბუცი ისმოდა შორიახლო, რაც მალე ჩხუბში გადაიზარდა, მზინავი კრიალოსნის გამო. ორი ალბატროსი დაფრინავდა კანჯოს ზემოთ. საბოლოოდ ამოყვინთა მონამ და ამოიტანა ორმუხის თვლებზე ულამაზესი, სავსე მთვარის მსგავსი მარგალიტი, განთიადის ვარსკვლავთა დარად მოციალუ. მაგრამ უცებ მონა გაფითრდა, გემბანზე განერთხო. სისხლი მოსდიოდა ნესტოებიდან, ყურებიდან, მერე მისი ტანი უცნაურად აცახცახდა და მიყუჩდა. ხელები გაასავსავეს გაცეხულმა შავკანიანებმა და ზღვაში გადაუძახეს ცხედარი. ჩაიღიმა კანჯოს მფლობელმა, მარგალიტს დასწვდა. უცქირა მცირე ხანს, მერე შუბლთან მიიტანა:

— მეფის სკიპტრას დაამშვენებს ეს მარგალიტი, — ჩაილაპარაკა და ანიშნა მსახურთ, აფრა აუშვითო. ამის გაგონებაზე ჭაბუკმა ყრუდ ამოიგმინა და გაეღვიძა. ალიონს თავისი ნატიფი, თლილი თითნი შემოეყო ფანჯარაში და მქრქალი ვარსკვლავები ერთი-მეორის მიყოლებით ქრებოდნენ ცაზე. კვლავ დაეძინა მეფეს და ისევ ეზმანა: ვითომ უცხო ნაყოფით ხეებდახუნძლულ, ლამაზი შხამიანი ყვავილებით აღსავსე ტყეში მიდიოდა იგი. გზად გველნი ეგებოდნენ ფეხქვეშ სისინით, ხოლო ლიანებზე მოხტუნავე თუთიყუშებს ერთი წიოკი გაჰქონდათ. კუები თვლემდნენ ცხელ ტალახში და ტროპიკულ ხეთა ტოტებს შეჰკიდებოდნენ მაიმუნები და ფარშევანგები. მეფე გზას მიიკვლევდა მათ

შორის, ვიდრე ბოლოს ტყეს არ გააღწია. და დაინახა ერთად თავმოყრილი მრავალი ადამიანი, მდინარის დამშრალ კალაპოტში მომუშავე ზოგი, ზოგიც ციცაბო წარაფებს შეკიდული, ჭაბურღილებს რომ თხრიდნენ მიწის სიღრმეში. ერთნი უზარმაზარ ლოდებს მისდგომოდნენ ძალაყინებით და ამსხვრევდნენ, მეორენი ქვიშნარში რაღაცას ეძებდნენ. მოცელილი ყაყაჩოები უსიცოცხლოდ ეყარნენ გარშემო მიწიდან ამოთხრილ კაქტუსებთან ერთად. ყველანი ფუსფუსებდნენ, ერთმანეთს უყიოდნენ, უსაქმოდ არავინ დარჩენილიყო. სიკვდილი და სიხარბე უმზერდათ მათ ერთი მღვიმიდან სიკვდილმა წარმოთქვა:

— ლოდინით გავბეზრდი და ქანცი გამიწყდა, ამ ხალხის მესამედი დამითმე და გამიშვი. მაგრამ უარის ნიშნად სიღარიბემ თავი გააქნია.

— ჩემი მონები არიან ისინი, — თქვა მან.

ეკითხება სიკვდილი სიხარბეს:

— ეს რა გაქვს მუჭში?

— სამი ხორბლის მარცვალია, — უპასუხა მან, — მერე შენ რა?

— მაჩუქე მე ერთი, — შეეხვეწა სიკვდილი, — დავთესავ ჩემს ბაღში, ერთი მინდა მხოლოდ და უმალ გაგმორდები.

— ვერაფერს მოგცემ, — იძახის სიხარბე, ტანსაცმლის ნაჭერს იფარებს ხელზე.

გაეცინა სიკვდილს და იქვე წუმპის წყლით შეავსო ჭიქა. ჭაობის ხურვება ამოვიდა ჭიქიდან, მომუშავე ხალხით სავსე ველს მოეფინა და ამოჟუჟა მესამედი. ხურვებას მოსდევდნენ ცივი ნისლი და ნაკადულის გველნი. როდესაც იხილა სიხარბემ, როგორ ამოჟლიტა სიკვდილმა მის მსახურთა მესამედი, შუბლზე ხელი იტკიცა და ტირილი დაიწყო. გამვალტყავებულ მჯიღს მკერდზე იბაგუნებდა და იძახდა:

— მესამედი გაჟლიტე ჩემი ხალხისა და ახლა თვალთაგან დამეკარგე. ერთურთის სისხლს ღვრიან მომთაბარე მონლოლნი, მათი ბელადები შენა გნატრულობენ ნიადაგ. შავი მოზვერის სისხლი შეუსვამთ ავღანელ ბარბაროსებს და ომისთვის ლესავენ მახვილს. ფარ-შუბნი ჟდრიალებენ მათნი და თავზე ფოლადის მუზარადები ულაპლაპებთ. შენ კი ამ ჩემს სამფლობელოს ვერ მოსცილებიხარ, სჯობს წახვიდე და აღარ მნახო არასოდეს.

— არ წავალ, — თქვა სიკვდილმა, — სანამ არ მომცემ ხორბლის მარცვალს. სიხარბემ კიდეც უფრო მაგრად მომუქა მუშტი და გამოსცრა:

— არაფერსაც არ მოგცემ.

გაეცინა სიკვდილს. მერე დასწვდა ერთ შავ კენჭს, ტყისკენ მოისროლა. ტყის სიღრმიდან ალადენილი ტანსაცმლით გამოვიდა ხურვება, გვერდით ჩაუქროლა მომუშავე ადამიანებს და მრავალი მათგანი იმსხვერპლა. მის ნავალზე ბალახი ერთიან ამომწვარიყო. შემფოთდა სიხარბე, გამძვინვარებულმა ნაცარი დაიყარა თხემზე.

— რა შეუბრალებელი ხარ, — თქვა, რა შეუბრალებელი. შიმშილს დაუსადგურებია ინდოეთში, კოშკებიან ქალაქებს მოსდებია იგი, რადგან დამშრალია სამარყანის ტბები. შიმშილი მეფობს ეგვიპტეში, მის გალავნებით ნაგებ ქალაქებში, რომლებსაც ბოცომკალი მოედო უკვე უდაბნოდან ლტოლვილი. ხოლო არ ადიდდა ნილოსი, რისთვისაც მისანნი წყველიან ოსირისსა და იზიდეს. ვისაც შენ ესაჭიროები, მათთან გაეშურე და მე ჩემი მონებიანად თავი დამანებე.

— ვერა, — მიუგო სიკვდილმა, — ვერ წავალ, სანამ პურის ერთ მარცვალს მაინც არ გაიმეტებ.

— არაფერსაც არ მოგცემ, — უთხრა ისევ სიხარბემ.

გაეცინა სიკვდილს, და სტვენას მოჰყვა უცებ. ჰაერი გადასერა მფრინავმა დიაცმა, რომელსაც „ქოლერა“ ეწერა თხემზე და უკან სისხლისმსმელ ფრინველთა დამშეული გუნდი მოჰყიოდა. მის გრძელ ფრთათა ჩრდილი მინდორს დაეცა და მასზე მყოფნი უკლებლივ დაიხოცნენ. მაშინ ხმამაღლა მოთქმა იწყო სიხარბემ და ფრენით ტყისაკენ ივლტო, ხოლო სიკვდილი თავის ფეხკავმა ბედაურზე ამხედრდა და გაქროლდა ისარივით. მცირე ხნის შემდეგ ამაზრზენი, მახინჯი ქმნილებები და ერთიან ქერცლით ტანდაფარული ურჩხულნი მოლაშლაშდნენ ატალახებულ მინდორზე. ბუკიოტებიც მოვიდნენ სუნზე. ქვითინი დაიწყო

ყმაწვილმა მეფემ, იძახდა:

— ვინ იყვნენ ეს ადამიანები, აქ რად შეყრილიყვნენ?

— ბადახშს დაემებდნენ მეფის გვირგვინისათვის, — წარმოთქვა უცნობმა.

— მისკენ მიიხედა ელდანაკრავმა მეფემ და ბერის დაბეჭვილ ტანსაცმელში გამოკრული უცხო დალანდა. უცნობს მოვერცხლილი სარკე ეკავა ხელთ. მთლად გაფითრებულმა ყმაწვილმა ჰკითხა ბერს:

— რომელი მეფისა?

მიუგო ბერმა:

— აქ ჩაიხედე, მიხვდები.

მეფემ სარკეში ჩაიხედა და საკუთარი თავი დაინახა, ყრუდ ამოიკვნესა და გაეღვიძა. მზის სხივნი იღვრებოდნენ გაჩახჩახებულ ოთახში და იადონთა ჭიკჭიკი მოისმოდა წალკოტიდან. ვაზირთა უპირველესი მეფესთან შევიდა დიდგვაროვანთა ამაღის თანხლებით და მათ ქედი მოიდრიკეს მის წინაშე. კარისკაცებმა მოსასხამი ოქრომკერდისა, გვირგვინი და სკიპტრა ციმციმ მიართვეს ხელმწიფეს.

მშვენიერ ნივთებს უხმოდ დასცქეროდა ჭაბუკი მეფე. ისინი გულისწამლებად ლამაზები იყვნენ, ყველაფერ აქამდე ნანახზე ულამაზესნი. მაგრამ მეფეს თავისი ზმანებები მოაგონდა და მიმართა დიდებულებს:

— წაიღეთ ესენი, მათ მე ვერ ვატარებ.

გაოგნდნენ დიდებულნი, რამდენიმე მათგანმა გაიცინა, ალბათ იფიქრა, ხუმრობა ინებაო ჩვენმა ხელმწიფემ. მაგრამ მეფემ ისევ წარმოსთქვა კუმტად:

— ეს ყველაფერი წაიღეთ-მეთქი, წაიღეთ და სადმე შეინახეთ. ჩემი ხელმწიფედ ცხების დღეა დღეს, მაგრამ მაინც არ მოვირთვები მათით. ეს მოსასხამი ნაწამებმა თითებმა მოქარგეს, ხოლო სისხლი მოწვეთავს ამ იაგუნდებიდან და სიკვდილს ვხედავ მარგალიტთა ციალში. და თავისი სამი ზმანების შესახებ უთხრა მათ მეფემ. როცა მას უმენდნენ, დიდებულნი სინანულით აქნევდნენ თავებს და ერთურთს ეჩურჩულებოდნენ:

— ჭკუიდან გადამცდარა მეფე, განა სიზმარს დაეჯერება? მართალიც რომ იყოს, ჩვენ რაშიგვეკითხება ბედი იმ ხალხისა, რომელნიც გვემსახურობენ? განა ხაბაზს უნდა იცნობდე, მისი გამომცხვარი პური რომ ჭამო, ყურძნის დამწურავს უნდა იცნობდე, ღვინო რომ იგემო?

ვაზირთა უპირველესმა მეფისაკენ წადგა ბიჯი და უთხრა:

— მეფეო, განაგდე მოწყენილობა, გულს რომ გიღრღნის, უმორჩილესად გთხოვ, დაიმშვენე მხრები ამ მეფური წამოსასხამით, და დაე ეს გვირგვინი ელვარებდეს შენს შუბლზე. სხვაგვარად ხალხი ვით მიხვდეს, ჭემმარიტად შენ რომ ხარ მეუფე ჩვენი და ტახტის მემკვიდრე?

მეფემ თვალნი მიაპყრო მას.

— მართლა ასეა? — თქვა მან, — სამეფო მანტიის გარეშე ვერ მიხვდებიან, მეფე მე რომ ვარ?

— ვერა, მეფეო, — შესძახა ვაზირთა უპირველესმა.

— მე კი ვფიქრობდი, ხელმწიფეთ გარეგნობაც მეფური აქვთ-მეთქი, — ჩაილაპარაკა ჭაბუკმა, — ჰო, ალბათ მართალია, რაც შენ თქვი. მაგრამ მაინც არ ძალმიძს ამ სამოსით მორთვა და ამ გვირგვინის მიღება. ვითარ მოვედი ამ სასახლეში, იმგვარივე წავალ. ჭაბუკმა ყველანი დაითხოვა თავისი საძინებლიდან, გარდა ერთი მსახურისა, — მისი თანაკბილა ბიჭისა. მეფემ აბანო მიიღო, ამ დროს კი მსახურს ძველი ვარაყიანი ზანდუკიდან ის სამოსი ამოჰკიონდა, მეფეს რომ ეცვა, როცა თხის ფარას მწყემსავდა მთაში. მეფე გამოეწყო მწყემსურ ტყაპუჭებში, ბატკნის ტყავი მხრებზე გადაიგდო და ხელთ უბრალო კომბალი დაიკავა. უზარმაზარ ლურჯ თვალებს გაოცებით აფახულებდა ამის შემხედვარე მსახური ბიჭი. მერე მორიდებით შეჰკლიმა მეფეს:

— მეფეო, შენს მანტიასა და სკიპტრას ვხედავ, ხოლო გვირგვინი სადაა? შორიხლოს ტერასაზე მოყვავილე მანანის რტო მოსტეხა მეფემ, თავზე შემოიგრავნა.

— აი, ჩემი გვირგვინი, — უთხრა და ვაზირთა პალატისაკენ გაემართა. დიდებულნი მოუთმენლად ელოდნენ მეფის შემოსვლას.

დარბაზისერთაგან ზოგმა მოწყალედ გაიღიმა, ერთმა კი შეჰბედა:

— მეფევ ბატონო, ერი თავისი ხელმწიფის ხილვას ნატრობს, შენ კი გსურს მათ გლახა იხილონ?

— გვარცხვენს ყველას ეს ბიჭი, არ არის ღირსი, ტახტის პატრონად იწოდებოდეს, — დრტვინავდნენ დარბაზის ერნი. მაგრამ ჭაბუკი მეფე უხმო, ღირსეული ნაბიჯით ჩადიოდა ელვარე პორფირის საფეხურებზე, მერე სასახლის რკინის ალაყაფი გაიარა და მოახტა ცხენს, ეკლესიის მიმართულებით წაიყვანა იგი. უკან თავისი პატარა მსახური მისდევდა თავგამეტებით. ხალხმა დაცინვა დაუწყო ჭაბუკს.

— ერთი ამას შეხედეთ, ამხედრებულ მეფის ჯამბაზს, — ხარხარებდა ყველა.

მეფემ აღვირი მოჰქაჩა და წარმოსთქვა:

— არა, მე მეფე ვარ.

და თავისი სამი ზმანება უამბო მათ. რომ დაამთავრა, ვიღაც კაცი გამოეყო ხალხს და მეფეს უთხრა:

— ჩვენო მბრძანებელო, ნუთუ არ იცი, რომ თუ დატაკ კაცს პირში კიდე უდგას სული, მდიდართა ნაყოფანების წყალობითაა ეს? სიცოცხლეს გვინარჩუნებს ფუფუნეულება თქვენი და გვეკვებას თქვენი გულარძნილობა, ავად თუ კარგად. გვიჭირს მუშაობა უწყალო პატრონთათვის, მაგრამ სულ დავიღუპებით, თუ არავინ გვეყოლა ისეთი, ჩვენი ნაშრომი რომ წაადგება. ვინ გვარსებოს, ყვავ-ყორნებმა? ძალგიძს გამოსწორება ყოველივე ამისა? ძალგიძს უბრძანო ვაჭარს, ამ ფასად გაყიდოს და მყიდველს, ამ ფასად იყიდოს? ვეჭვობ. სჯობია, ისევ შენს სრას დაუბრუნდე, სტავრა-ატლასი მოისხა. საერთო რა გაქვს ჩვენს ბედთან, ჩვენს წვალეებასთან?

— ნუთუ ძმები არ არიან ღარიბი და მდიდარი? — ჰკითხა მას ჭაბუკმა მეფემ.

— ცხადია, არიან, — მიუგო კაცმა, — ოღონდ კაენი ჰქვია მდიდარ ძმას.

ცრემლმა დაუნისლა მხერა მეფეს, გააგრძელა გზა. ირგვლივ ხალხის ღრიანცელი ისმოდა და მეფის მსახური შემკრთალი გაიქცა. ეკლესიის მაღალ ბქეს რომ მიადგა მეფე, მას მცველებმა შეუბღვირეს ხელშუბთა ჟღრიალით:

— რა გინდა აქ? არვის ძალუძს შესვლა ამ ტაძარში მეფის თვინიერ. ბრაზი წაეკიდა მეფეს, კუმტად მიუგო:

— ეს მე ვარ მეფე, — გადაჯვარედინებული ხელშუბები ასწია ხელით და შეაბიჯა ეკლესიაში. მას თვალი მოჰკრა ტაძრის ხანდაზმულმა წინამძღვარმა, მისი მწყემსური ჩაცმულობით გაოგნებულმა სავარძლიდან წამოიწია, მერე კი მისკენ წამოვიდა.

— ჩემო შვილო, — თქვა მან. — რა ჩაგიცვამს ეს? გვირგვინად რა დაგირქვამს და სკიპტრად რა გიპყრია? დღესასწაულობ დღეს, თუ თავს იმდაბლებ?

— განა სიხარულს წამების ხელებით ნაქსოვი უნდა ემოსოს? — კითხვითვე მიუგო ჭაბუკმა მეფემ და თავისი სამი ზმანების შესახებ უთხრა მას. ტაძრის წინამძღვარი ყურს უგდებდა, მერე ჰმუნვით მიმართა მეფეს:

— მისმინე, შვილო, მოვხუცდი და ჟამმა თავზე დამათოვა, ამიტომაც კარგად ვუწყი, რაოდენ ბოროტებით აღსავსეა სოფელი ესე. მთები გადმოუღალახავთ ხშირად ყაჩაღებს, რათა პაწია ბავშვები წარეტაცათ და შავკანიანთათვის შეეძლიათ. ლომები მრავალჯერ თავს დასხმიან მექარავენთა აქლემებს. ყანებში მოწეულ მოსავალს თხრის და ანადგურებს გარეული ტახი ბასრი ეშვებით, ხოლო მელიები ფერდობზე ნახარებ ვენახებს ხრავენ. დაჰპატრონებიან ოკეანეს მეკობრენი, აწიოკებენ ხოლმე ჟამიდანჟამზე მესათხველეთა,

ბადეს ჰპარავენ. კეთრით შეპყრობილნი ცხოვრობენ შლამში ჩადგმულ ქოხმახებში, ჩალადაფენილ მიწურებში, და ადამის შვილი ვერ ეკარება მათ. გლეხები დაწანწალელებენ ქალაქებში, ნაგავში ეძებენ საჭმელს ძაღლებთან ერთად. შეგიძლიათ აღკვეთა ყოველივე ამისა? დააწვენ კეთროვანს შენს საწოლში, შეჭამ მაწანწალასთან ერთად, ერთ მაგიდაზე? დაუმორჩილებ ლომს შენს მეფურ ნებას ან გარეულ ტახს დაიურვებ? შენზე დიდი გონი არა აქვს მას, რომელმაც ტანჯვა გააჩინა დედამიწაზე? არა, არ ძალმიძს შენი ამგვარად მიღება, დაბრუნდი სასახლეში, ხალხს მხიარულად აჩვენე თავი, მეფის საკადრისად ჩაიცივი და ისევ მოდი ჩემთან, მე კი ვაკურთხებ შენს ოქროვან გვირგვინს და თვალ-მარგალიტით მოჭედილ სკიპტრას. ხოლო დავივიწყე შენი ზმანებანი. საწუთროს ყველა ლოდს შენ ვერ გადააგორებ მარტოდმარტო, შენი გულის მწუხარება ვერ გასწვდება საწუხარს.

— შენ მეუბნები ამ ყველაფერს, შენ, ღვთის ამ სამყოფელში? — ჩაილაპარაკა ჭაბუკმა მეფემ და ივლტო წინამძღვრისაგან, შემადლებულ საკურთხეველთან მივიდა და იესოს ხატის წინაშე შეჩერდა. იდგა ჭაბუკი მაცხოვრის ხატის წინაშე, ხატის ორივე მხარეს წმიდა ფეშუმებილიცლიცებდნენ: ერთი ქარვისფერ ღვინით, მეორე მირონით სავსე. ჭაბუკი მუხლებზე დაეშვა ხატებთან. ანთებულ კელაპტრებს პრიალი გაჰქონდათ იშვიათი თვლებით მშვენი სახატის ირგვლივ. სურნელოვანი ზეთი თხელ ცისფერ ხვეულებად აღიკმეოდა ტაძრის თალისკენ. თავდახრილმა ჭაბუკმა ლოცვა დაიწყო. და სათითაოდ გაიკრიფნენ იქიდან ანაფორიანი დიაკვნები. ანაზდად რაღაც გამყივანი ყვირილი ატყდა გარეთ და ეკლესიაში შემოიჭრნენ მახვილჩაბლუჯული დიდგვაროვანნი ფრთაგარჭობილი მუზარადებით, მოჟღერიალე რკინის ფარებით.

— აბა, სადაა ჩვენი სიზმარა ბიჭი? — დაიღრიალეს მათ, — სადაა ჩვენი ხელმწიფე, გლახასავით ჩაცმული, თავისი ქცევით მთელ სამეფოს რომ არცხვენს! სად არის, სიცოცხლე რომ მოვუსწრაფოთ, რამეთუ არ არის ღირსი მეფობისა. ჭაბუკი მეფე თავდახრილი განაგრძობდა ლოცვას. ხოლო როდესაც დაასრულა, ზეალიმართა, შეკრებილთაკენ იბრუნა პირი და შეხედა მათ ნაღველჩამდგარი თვალებით. და, ჰოი, საკვირველება! შარავანდი ნათლისა დაადგა თავს მეფეს და ტაძრის ხატულა ფანჯრიდან შემოსულმა მზის სხივებმა მანტია ამოუქარგეს ტანზე, მის მიერ შეკვეთილ მოსასხამზე უწარმტაცესი. აყვავილდა მის ხელში გამხმარი კვერთხი, მარგალიტებივით სპეტაკი შროშანები გაიშალნენ ზედ. აყვავილდა დამკვნარი რტოც, მასზე ლალისებრ წითელი ვარდები გაიფურჩქნენ. მშვენიერ მარგალიტზე უსპეტაკესი შროშანნი ვერცხლის პწკლებით, ლალზე უწითლესი ვარდნი ოქროცურვილი ფოთლებით. და იდგა ასე ჭაბუკი და შვენიოდა სამოსი ხელმწიფისა. ანაზდად გაიხსნა იშვიათ თვალებით უცხოდ ნახელოვნები დიდი სახატე და თლილმა ბროლმა ზექვეყნიური იდუმალი ნათელი დაღვარა ტაძარში. და იდგა ჭაბუკი ასე ხელმწიფურად მოსილი, ხოლო ეკლესიაში ღვთის სასწაულქმედება ზეიმობდა. თითქოს წმინდანნიც შეირხნენო ტაძრის ფრესკიან კამარაზე. აღმართულიყო ჭაბუკი ყველას თვალწინ მეფურ ბრწყინვალე სამოსში და ორღანის ბუბუნა ხმებს აღევსოთ ეკლესიის თავანი. დაფს შემოჰკრეს მედაფეთა, და გალობა აჟღერდა მგალობელთა ქოროს მიერ აღვლენილი.

შემკრთალმა ხალხმა მუხლი მოიყარა. მახვილი ქარქაშში ჩააბრუნეს დიდგვაროვნებმა და ხელმწიფეს თავყვანი სცეს თავის დაკვრით, თვინიერად. ტაძრის წინამძღვარს სახე გაფითრებოდა და ხელები უცახცახებდა.

— უკურთხებიხარ ჩემზე აღმატებულს, — შეჰყვირა და დაუჩოქა მეფეს. ტაძრის საკურთხეველი დატოვა ჭაბუკმა მეფემ, წავიდა თავისი სრა-სასახლისკენ. და ვერ შესძლეს, მისი პირისახისთვის შეეხედათ, ვინაიდან ანგელოსური ნათელი დაჰვენოდა მას. მისი ბრწყინვალეობა სანთებელა პრინცი ქორწინდებოდა და ირგვლივ ერთი ჟრიამული იდგა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოვიდა სადედოფლო, რომელსაც მთელი წელი ელოდებოდა ნეფე. იგი იყო ქალიშვილი რუსეთის მეფისა და ფინეთიდან მოემგზავრებოდა ირმებშებმული

ჩრდილოური ეტლით. ვეება, ოქროთი დაფერილი გედის მსგავსი იყო ეს ეტლი, ხოლო შიგნით იწვა მეფის ქალი. მას წვივებამდე დაგრძელებული სიასამურის მანტია ემოსა და ვერცხლისფერი ბერეტი უმშვენებდა პატარა თავს. სახე ისეთი მკრთალი ჰქონდა, ვით თავისი თოვლის სასახლე. ყველა განცვიფრებული იყო მისი ასეთი უჩვეულო ფერგამკრთალობით. როცა იგი ქუჩაში მოდიოდა, „თეთრი ვარდია მართლაც!“ — იძახდა ხალხი და აივნებზე გადმომდგარნი ყვავილებს ესროდნენ მომავალს.

პრინცი სასახლის ალაყაფიდანვე მიეგება საცოლეს. მას ოცნებისდარი ლურჯი თვალები ჰქონდა და ოქროსფერი თმები. მეფის ასული რომ დაინახა, მის წინაშე მუხლებზე დაეშვა და აკოცა ხელზე.

— მშვენიერი ხართ სურათში, — დაიჩურჩულა მან, — მაგრამ სინამდვილეში კიდევ უფრო მშვენიერი ყოფილხართ. — და ამ სიტყვებზე პატარა მეფის ასულს ლოყები შეუფაკლდა.

— თეთრი ვარდის მსგავსი იყო პრინცესა, — გადაულაპარაკა ერთმა ახალგაზრდა მსახურმა მეორეს, — და ახლა წითელი ვარდი შეიქნა. მეფის დარბაზი აღაფრთოვანა ამ ნათქვამმა. მთელი სამი დღის განმავლობაში დიდი და პატარა იძახდა: თეთრი ვარდი, წითელი ვარდი, თეთრი ვარდი, წითელი ვარდი. მსახურს ჯამაგირი გაუორკვცდა ხელმწიფის განკარგულებით. თუმცა ეს მაინცდამაინც დიდ ჯილდოდ ვერ ჩაითვლებოდა, ვინაიდან მსახურს საერთოდ არ გააჩნდა ჯამაგირი. მიუხედავად ამისა, ყველას აზრით მას დიდი ყურადღება ხვდა წილად და ამაზე შემდგომ სახელმწიფო გაზეთიც წერდა საგანგებოდ. ჯვრისწერა სამიოდე დღის შემდეგ მოხდა. მართლაცდა მომხიბვლელ სანახაობას წარმოადგენდა იგი. პრინცს ხელკავი გამოედო პრინცესასათვის და ასე მიჰყავდა მოფარდაგულის ქვეშ, ხოლო ფარდაგები ერთიანად უწითლესი ატლასისაგან იყო ნაქოვი და მოციმციმე მარგალიტებით მშვენი. ამის მერე სასახლეში ოთხსაათიანი მეფური პურობა გადაიხადეს. სუფრის თავში პრინცი და პრინცესა დაესვათ, რომელნიც ბროლის მჭვირვალე ჭიქებით სვამდნენ. ამ ჭიქებიდან სასმელს მხოლოდ უანგარო შეყვარებულები თუ დალევდნენ, ვინაიდან მაცდურის თითის მიკარებაზე ისინი იცრიცებოდნენ, იბურებოდნენ.

— მათი სიყვარული ცხადია, — წარმოთქვა ახალგაზრდა მსახურმა, — იგი ისეთივე წმინდაა, ვით თავად ის ბროლი! — და, მეფის ბრძანებით, მას ისევ გაუზარდეს ხელფასი.

— რაოდენი დაფასებაა! — იძახდნენ სხვა მსახურები.

დიდ პურობას მეჯლისი უნდა მოჰყოლოდა, სადაც ვალსს შეასრულებდნენ ახალშეუღლებულნი, ხოლო მეფე თავის მხრივ ყველას ქნარზე დაკვრას შეჰპირდა. მართალია, მისი დაკვრა მეტისმეტად მდარე იყო, მაგრამ ვინ შეჰკადრებდა მას, მეფეს, რაიმეს თქმას. მიუხედავად იმისა, რომ ორად-ორი მელოდია თუ იცოდა, და იმასაც ერთმანეთში ურევდა ხოლმე, არავის ამისათვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, ყველა ყვიროდა: „რა წარმტაცი რამაა, რა წარმტაციო“.

ნაშუალამევს იწყებოდა ბოლო წარმოდგენა — ბრწყინვალე ფოიერვერკი. პრინცესას არასოდეს ეხილა, რა იყო იგი და სასახლის ყველა პიროტექნიკოსს ერთად მოუყარეს თავი ხელმწიფის ბრძანებით.

— რა არის ფოიერვერკი? — ჰკითხა პრინცესამ პრინცს ერთ დილით, როცა ისინი სასახლის პარმალზე მიმოდიოდნენ.

— ეს დაახლოებით იგივეა, რაც პოლარული ციალი, — მიუგო მეფემ, დაჩვეული რომ იყო ყველას მაგივრად თვითონ ეპასუხა, — თუმც ბევრად უკეთესია. ჩემი ფიქრით იგი ვარსკვლავთა ბრწყინვალეობასაც სჯობია, იმიტომ, რომ ვიცი ყოველთვის, რომელი სანთებელა როდის განათდება და ჩაქრება. ეს საოცრებაა, ისევე, როგორც ჩემი ქნარზე დაკვრა, ამიტომ დღეს აუცილებლად უნდა დატკბეთ მისი ყურებით. უზმარმაზარი სტენდი დადგეს სასახლის ბაღში და მისი აღჭურვილობა შესაბამისად გააწყვეს და გამართეს

პიროტექნიკოსებმა. სხვადასხვა სანთებელებმა მაშინვე მუსაიფი გააბეს ერთმანეთში.

— სამყარო მართლაცდა მშვენიერი რამ არის, — წამოიძახა პაწია ტკაცუნამ, — ეს ქარვისფერი ღილილოები ნახეთ ერთი. თვით ნამდვილი სანთებელებიც კი ვერ შეედრებიან სილამაზეში. როგორ მიხარია, რომ მეღირსა ქვეყნის შემოვლა. გამოცდილება ამდიდრებს გონებას და აძევებს ბრმა წარმოდგენებს.

— მეფის ბალი მთელი ქვეყანა როდია, გულუბრყვილო ტკაცუნავ, — უთხრა რომიდან ჩამოტანილმა გრძელმა სანთებელამ. — მასზე ვრცელია ეს სამყარო და მის მთლიანად შემოვლას მთელი სამი დღე მოუწდება.

— იქნებ მთელ სამყაროს ის ადგილი ნიშნავდეს შენთვის, რომელიც გიყვარს, — წარმოთქვა ფიქრიანმა ალის რგოლმა, სიყრმეში რომ ნამკის ყუთში ბინადრობდა და უიმედოდ იყო მასზე გამიჯნურებული — ტრფობა აღარაა ახლა მოდაში, მგოსნებმა მოკლეს ის თავიანთი უსულგულო ლაყაფით. აღარავინ დარჩა, რომ სიყვარულის სწამდეს და ეს ბუნებრივიცაა. ნამდვილი შეყვარებული უხმოდ უნდა იტანჯებოდეს, ვით მე ერთ დროს, თუმცა ახლა სულ ერთია. რომანტიკა მოკვდა.

— ჩმახავ, — მიუგო რომის სანთებელამ, — რომანტიკა არასოდეს კვდება. სიყვარული უკვდავია, ვითარცა მთოვარე და მასავით მარადიული. მაგალითისთვის, რა ძლიერ უყვართ ერთურთი პრინცსა და პრინცესას. მათი ტრფობის ყოველი წვრილმანი მუყაოს ხვეულმა მასრამ მიაშბო დღეს, ალიონზე. იგი ჩემს ყუთში მოხვდა სულ შემთხვევით და ქორწილის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით უწყოდა. ალის რგოლი მაინც ჯიუტად აქნევდა თავს. — რომანტიკა მოკვდა, მოკვდა, — ბუტბუტებდა ის. ალის რგოლი იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა სიმართლედ მიიღებს ნათქვამს, თუ მას მრავალჯერ გაიმეორებ. მოულოდნელად ახლოს ვიდაცამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ჩახლეჩილი ხმით ჩაახველა. ირგვლივ მოატარა ყველამ თვალი. ეს იყო მაღალი, მედიდურად მხედი სანთებელა, ბოლოდ გრძელი ჩხირი რომ ჰქონდა. ის ყოველთვის ახველებდა ხოლმე, როცა რაიმეს თქმას დააპირებდა, — მისკენ საყოველთაო ყურადღების მიქცევის მიზნით.

— ა-ჰა, ა-ჰა, — ხელახლა ჩაახველა მან და ყველა დამუნჯდა, მხოლოდ ალის რგოლს ჩაეკიდა საცოდავად თავი და კვლავ ბუტბუტებდა: — რომანტიკა მოკვდა. — ყურადღებას მოვითხოვ! — ხმამალა წარმოთქვა სანთებელამ. ყველაფრიდან ჩანდა, ის პოლიტიკოსი იყო და ყველა საპარლამენტო ტერმინი ათვისებული ჰქონდა. გარდა ამისა, მას ყოველთვის დიდი ადგილი ეთმობოდა ადგილობრივ საარჩევნო კამპანიაში. — მოკვდა, — უკანასკნელად ჩაიკრუსუნა ალის რგოლმა და რული მოერია. ირგვლივ სრული დუმილი ჩამოწვა, სანთებელამ კვლავ ერთხელ დაახველა და საუბარს შეუდგა. გეგონებოდათ, საკუთარ მოგონებებს აწერინებსო ვინმეს, ისე აუჩქარებლად და გარკვევით მეტყველებდა. თან არასდროს უყურებდა იმას, ვისაც ელაპარაკებოდა. ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავი თვისებები გააჩნდა მას. — რაოდენ ბედნიერია პრინცი, — თქვა მან, — რომ მისი დაქორწინების დღე ჩემი გატყორცნის დღეს დაემთხვა. თუმც დარწმუნებული ვარ, წინასწარ მოისაზრეს ამგვარად. ეს ყველაზე ძვირფასი საჩუქარია, რაც კი შეეძლოთ მისთვის მიეძღვნათ. ასეა, პრინციები მუდამ იღბლიანნი არიან.

— ღმერთო ჩემო! — წარმოთქვა პაწია ტკაცუნამ, — მე სულ პირიქით ვფიქრობდი. მეგონა, ეს ჩვენთვის იყო დიდი პატივი პრინცის ქორწილზე გასროლა.

— თქვენთვის შეიძლება ასეც იყოს, — უპასუხა მას სანთებელამ, — შეიძლება კი არა, მართლაც ასეა, მაგრამ მე ხომ სხვა ვარ, ბრწყინვალე სანთებელა გახლავართ, ბრწყინვალე წარმომავლობის დედ-მამა მყავდა. წარსულში გამოჩენილი ალის რგოლი იყო დედაჩემი და არავის შეეძლო მისებრ წარნარი ცეკვა. მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა მის ცხრამეტ ბრუნს და თითოეულ ბრუნზე ირგვლივ შვიდი იისფერი ვარსკვლავის მიმოფანტვას. სამიფუტი დიამეტრისა იყო იგი, იშვიათი ფთილისგან ჩამოსხმული. რაც შეეხება მამაჩემს,

იგივესავით ფრანგული წარმომავლობის სანთებელა გახლდათ. ერთხელ ისე მაღლა ატყორცნეს, მაყურებლები შეშფოთდნენ, რომ უკან აღარ დაბრუნდებოდა. მაგრამ იმდენად შემბრალებული ჰქონდა, — დაბრუნდა მზრწყინავ ოქროვან ნათელში ბურვილი. პრესამ დითირამბები უძღვნა მას, მეფის გაზეთმა მამაჩემის ნომერს პოლიტექნიკის სასწაული უწოდა.

— პიროტექნიკის, თქვენ გინდოდით გეთქვით, — გაუსწორა ბენგალიურმა ალმა, — ზუსტად ვიცი, პიროტექნიკა ჰქვია, რადგან ასე ვნახე წარწერილი ჩემს თუთიის კოლოფზე. — პილოტექნიკის, ვთქვი მე, — მიუგო კოპებშეკრულმა სანთებელამ, და საბრალო ბენგალიური ალი პაწია ტკაცუნებს დაერია, რათა დაემტკიცებინა, რომ ისევ რაღაცას წარმოადგენდა.

— ჰო, იმას ვიძახდი, — გააგრძელა სანთებელამ, — იმას ვიძახდი... ჰო, რას ვამბობდი?

— თქვენს წარმომავლობაზე ლაპარაკობდით, — დინჯად შეახსენა რომანულმა სანთებელამ.

— ცხადია. ვიცოდი, რომ რაღაც მნიშვნელოვანზე ვსაუბრობდი, სანამ ესოდენ ხებრულად შემაჩერებდნენ. ოჰ, როგორ მეზიზღება უზრდელობა, გაუთლელობა... ეს იმიტომ, რომ მეტად ღრმა, შთაბეჭდილებიანი პიროვნება ვარ. ამქვეყნად არავინ იქნება ჩემებრ მგრძნობიარე, ამაში დარწმუნებული გახლავართ.

— რას ნიშნავს მგრძნობიარე? — ჰკითხა რომანულ სანთებელას პატარა ტკაცუნამ. — ყველა ამგვარი მგრძნობიარე სხვას ფეხს აბიჯებს იმ მიზეზით, რომ თავად ტერფებზე წყლულები აქვს. — წასჩურჩულა რომანულმა სანთებელამ და პატარა ტკაცუნას ხმამაღალი სიცილი აუტყდა.

— რა გაცინებს? — მკაცრად ჰკითხა სანთებელამ, — მე არ ვიცინი.

— მე კი მიხარია და ამიტომაც ვიცინი, — მიუგო ტკაცუნამ.

— ეს ფრიად ეგოისტური საფუძველია სიცილისათვის, — წარმოთქვა კოპებშეკრულმა სანთებელამ, — ვინ მოგვითხრობს სიხარულის უფლებას? მუდამ სხვაზე უნდა ზრუნავდეთ, ვთქვით, ჩემზე. თავად მე ჩემს თავზე ვზრუნავ ყოველთვის და იმავეს ვითხოვ სხვებისგანაც. ეს არის ჭეშმარიტი თანაღმობა და მოყვასის სიყვარული. ამ უნარით ცოტანი არიან ცხებულნი და ერთ-ერთი მე ვარ. ახლაც ვფიქრობ, რა საყოველთაო უბედურება დატრიალდებოდა, მე რომ დღეს, ვთქვით რამე დამმართვოდა. პრინცი და პრინცესა სამუდამოდ გაუბედურდებოდნენ და ბედითად გაუკუღმართდებოდა მათი სიცოცხლე. ჩვენს ხელმწიფეს, ეჭვიც არ მეპარება, დარდი იმსხვერპლებდა. ცრემლები მადგება თვალებზე, როდესაც ვიხსენებ საკუთარი პიროვნების დიდმნიშვნელოვანებას.

— თუ ესურთ ყველანი გვასიამოვნოთ, — მიმართა რომანულმა სანთებელამ, — ცრემლებს ნუ დაიდენთ.

— რასაკვირველია, — ბენგალიური ალიც დაეთანხმა მას. იგი კარგ ხასიათზე მოსულიყო უკვე. — ეს უბრალო ჭეშმარიტებაა.

— უბრალო ჭეშმარიტებაა! — გაჯავრებით შეჰყვირა ბრწყინვალე სანთებელამ. — როგორ მიკავშირებთ მე სიტყვა „უბრალო“! გავიწყდებათ, რომ მე ვარ ბრწყინვალე წარმომავლობის სანთებელა. უბრალო ჭეშმარიტებანი ყველამ უწყის, მაგრამ ყველას როდი აქვს ფანტაზიის ნიჭი. ასეთი ნიჭი გამაჩნია მე, ვინაიდან სამყაროს სულ სხვაგვარად აღვიქვამ, ვიდრე იგი არის სინამდვილეში. რაც შეეხება ცრემლებს, ეტყობა, თქვენ კიდევ დიდხანს ვერ შეძლებთ მგრძნობიარე პიროვნების გაგებას. რა სასიხარულოა, რომ თქვენი დაბალი დონე

მე სრულებით არ მაწუხებს. ერთი რამ აკეთილშობილებს ჩემს ცხოვრებას, — საკუთარი სიდიადის განცდა სხვათა წინაშე. ყოველთვის ვესათუთებოდი ამ განცდას ჩემს გულში. აი, თქვენ კი არ გაგაჩნიათ გული, არცერთს. ყველანი ხარხარებთ და ზეიმობთ, მიუხედავად იმისა, რომ პრინცი და პრინცესა ეს-ესაა შეუღლდნენ.

— რატომ არ უნდა ვიზეიმოთ — შეჰყვირა პაწია ბუმტმა, — ეს ჭეშმარიტად მშვენიერი მოვლენაა. გადავწყვიტე, მნათობებს მოვუყვე ამის შესახებ, როცა მაღლა ამტყორცნიან. დარწმუნებული ვარ, მნათობებს ბრწყინვა მოემატებათ, როცა პატარძლის სილამაზეს აღვუწერ მათ.

— რა ბანალური აზრებია! — შენიშნა სანთებელამ. — სხვა რა იყო მოსალოდნელი თქვენისთანასაგან, ფუყე და ქარაფშუტა არარაობავ. ვთქვათ, პრინცმა და პრინცესამ ბინა დაიდეს ღრმა მდინარის ნაპირზე, რომელიმე სოფელში. დედოფალს გაუჩნდა ბავშვი, მამასავით ოქროსკულულებიანი ლურჯთვალება ბიჭი. მერე ეს ბიჭი გამდელმა სასეირნოდ წაიყვანა ერთ დილით; ვთქვათ, გამდელმა წათვლიმა მუხის ჩეროში, პრინცის ვაჟი კი მდინარეში გადავარდა და დაიხრჩო. რა საშინელება მოხდება მაშინ! საცოდავი, მხოლოდშობილი ძის დამკარგავი პრინცი და პრინცესა! ღმერთო ჩემო, მე ალბათ იმ ბიჭისდარდი მიმსხვერპლებს კიდევაც. — კი მაგრამ, ჯერ ხომ არაფერი მომხდარა, ჯერ არავინ დამხრჩვალა, — წყნარად შენიშნა რომანულმა სანთებელამ, — არანაირი საშინელება არ სწვევიათ მათ. — ეწვიათ-მეთქი, არ მითქვამს, — შეეპასუხა ბრწყინვალე სათებელა, — შეიძლება რომ ეწვიოთ. უკვე რომ შემთხვეოდათ რაიმე, სჯა-ბაასს აზრი აღარ ექნებოდა. მეზიზღებიან ყველა ისინი, რომელნიც უკვე მომხდარზე მსჯელობენ სინანულით. როცა კი გავიფიქრებ, რომ შესაძლებელია პრინცსა და პრინცესას მხოლოდშობილი ძე დაეღუპოთ, ლამის ავტირდე. — ნუ იზამ მაგას, — შეჰყვირა ბენგალიურმა ალმა, — თქვენ ჭეშმარიტად ყველაზე გულჩვილი პიროვნება ყოფილხართ ამქვეყნად.

— თქვენ კი, თქვენ, ყველაზე უზრდელო და ხეპრე. — უპასუხა ბრწყინვალე სანთებელამ,

— ვერასოდეს ამაღლდებით პრინცის მიმართ ჩემს სენტიმენტალურ განცდებამდე.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ არც კი იცნობთ პრინცს, — ხმადაბლა შენიშნა რომანულმა სანთებელამ.

— განა როდისმე ვთქვი, ვიცნობ-მეთქი? — მიუგო ბრწყინვალე სანთებელამ. — შეიძლება არც გამჩენოდა მისდამი ამგვარი გრძნობები, რომ ვიცნობდე. მეგობრობა ფრიად საშიში რამაა.

— გეთაყვა, ფრთხილად, არ დანამიანდეთ, — უთხა პაწია ბუმტმა, — ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— ეგ მხოლოდ თქვენთვის, მოწყალეო ხელმწიფევ, — მიმართა ბრწყინვალე სანთებელამ,

— მე კი, თუ ვინებე, ავტირდები კიდევაც, — და უცებ იგი მართლაც აქვითინდა. დაპალუპით, სათითაოდ ჩამოცურდნენ მის ჯოხის ტანზე ნამდვილი ცრემლები და ორ პაწია კალიას დაეცნენ ზურგზე, რომელთაც იქვე სიმშრალეში თავი შეეფარებინათ.

— ო, გამოუსწორებელი რომანტიკოსი უნდა იყოს ეს სანთებელა, — წარმოთქვა ალის რგოლმა, — სატირალი არაფერი მომხდარა და ქვითინებს კი. — და მას ისევ თავისი მიჯნური გაახსენდა და საბოლოოდ ამოიხვნეშა.

ბენგალიური ალი და რომანული სანთებელა კი დრტვინავდნენ: „სისულელეა,

სისულელეა“. მათ სისულელედ მიაჩნდათ ყველაფერი, რაც რეალისტური არ იყო, რადგან თავად რეალისტები იყვნენ. მალე მთვარეც ამოცურდა ცის კაზადონზე და აელვარდა, ვით მოვერცხლილი ფარი. შემოეგზნენ ირგვლივ მნათობები და სამეფო სასახლეში მუსიკა აჟღერდა. ვარდის ვალსს ცეკვავენ პრინცი და პრინცესა. ისეთი ნარნარი იყო მათი ცეკვა, რომ წერწეტა სპეტაკი ზამბახები სარკმლებიდან იყურებოდნენ დარბაზში, ხოლო ველზე მოღაღანე სისხლისფერმა ყაყაჩობმა გვირგვინები ააყოლეს მუსიკის ჩქერს. კომკმა ათი საათი დარეკა, შემდეგ თერთმეტი და თორმეტი. ყველანი სასახლის პარმალზე გამოვიდნენ და ხელმწიფემ თავისთან იხმო პიროტექნიკოსები. — დავიწყოთ ფოიერვერკი. — ბრძანა.

პიროტექნიკოსთა უფროსმა მეფეს თავყანი სცა და განკარგულების აღსასრულებლად გაეშურა ბალის ბოლოში. ექვსი დამხმარე კალდაკვალ მისდევდა გაჩაღებული ასანთებითხელში. მალე თვალისმომჭრელი სურათი გადაიშალა ყველას თვალწინ. — ბზუუ, — თვალის დახამხამებაში დაბზრიალდა ალის რგოლი. ბამ! — გატყორცნეს რომანული სანთებელა. პატარა ტკაცუნები ფარფატით აიჭრნენ ჰაერში და სივრცე წითლად შეიღება ბენგალიური კოკონისაგან. პაწია ბუმტუკამ აღტაცებით დაიყვირა

— „ნახვამდის!“ — ცაში აიჭრა და ლურჯ წერტილებად გაიშალა. ბახ! ბუხ! — ერთიმეორის მიყოლებით სკდებოდნენ ჭარბისიამოვნებისაგან გაბადრული ტკაცუნები. ყველა წარმატებულად გამოვიდა ფოიერვერკზე, მხოლოდ ტრაბახა ბრწყინვალე სანთებელა ისე დაელტო ქვითინს,

— ცეცხლი ვერ მოეკიდა ცვილზე. მთლად ჩაღობოდა ფითილი, მის სიამაყეს რომ წარმოადგენდა და აღარაფრად ვარგოდა. იგი რომ დასცინოდა, ის წვრილ-წვრილი სანთებელებიც კი ელვარე, აღმურადენილ მოოქროვილ ვარდებად გადაიშალნენ ცაში. ვაშა!

— გაჰყვიროდა წამდაუწუმ ხელმწიფის სახლეული და სიხარულისაგან თრთოდა პრინცესა, გულიანად მოცინარი.

— დარწმუნებული ვარ, რაღაც დიადისთვის მამზადებენ, — დინჯად წარმოთქვა სანთებელამ, — ეს უდავოა, — მან კიდევ უფრო ამაყად მიმოიხედა ირგვლივ. მსახურები მოვიდნენ გამთენიისას ბალის მოსასუფთავებლად „უეჭველია. დელეგატები არიან, — გაუელვა სანთებელას, — ისე მივიღებ, როგორც მეკადრება“. და მყის საქმიანი იერი მიიღო, შუბლი შეიკრა და დაფიქრებული მხერა მოატარა ირგვლივ. თუმცა იგი ვერც შენიშნეს მსახურებმა, საქმეს შეუდგნენ. მხოლოდ წასვლის დროს ერთმა სანთებელა დაინახა.

— შეხედეთ, — თქვა, — გამოუსადეგარი სანთებელა! — მსახურმა ხელი დაავლო მას და კედელთან გათხრილ არხში გადაუძახა. — გამოუსადეგარი? გამოუსადეგარიო? — შეჰყვირა სანთებელამ, როდესაც მაღლა აისროლეს, — მომეყურა. მედგარიო, ასე მიწოდა მგონი. გამოუსადეგარი და მედგარი ერთურთის მსგავსად ჟღერს და ხანდახან ერთის ნაცვლად მეორე ესმით. სანთებელა ტლაპოში ჩავარდა.

— ცოტა არ იყოს, უხერხული სასუფეველია, — თქვა მან, — მაგრამ უდავოა, რომელიმე კომფორტაბელურ სანატორიუმში გამომგზავნეს შერყეული ჯანმრთელობის აღსადგენად. ცხადია, ჩემი ნერვები დაწყვეტაზეა და მოსვენება აუცილებელია.

ანაზადად მას ცურვით მიუახლოვდა ბაყაყი, თვალელები სველი აღმასებივით რომ ეწყო თვალბუდეში და ზურმუხტისფრად მოხატული კანი უბზინავდა. — აქ პირველად

ბრძანდებით, ჩანს, — წარმოსთქვა მან, — ტლაპოს ვერანაირი სხვა ადგილი ვერ აჯობებს ამ ქვეყნად. სრული განცხრომისათვის მყოფნის თქეში და ტალახიანი არხი რომელიმე. ნეტა გაწვიმდება შუადღეზე თუ არა? ვიმედოვნებ, გაწვიმდება, მიუხედავად იმისა, რომ ზეცა მოწმენდილია და აუმღვრეველი, სამწუხაროდ.

— ა-ჰა, ა-ჰა, — ძველებურად ჩაახველა სანთებელამ.

— რა საუცხოო ტენორი გაქვთ. — შეჰყვირა ბაყაყმა. — იცით, როგორღაც ყიყინს მივამსგავსე და ყიყინზე მელოდიური, მოგეხსენებათ, არაფერია სამყაროში. თქვენ გერგოთ ბედნიერება გახდეთ მსმენელი ჩვენი ერთობლივი ქოროსი ამ ღამეს. ბაყაყები ყოველთვის თავს ვიყრით ხოლმე ბატების რუსთან, ფერმერის ქობის მახლობლად და ვიწყებთ გალობას ნათელ ღამეში. მშვენიერია გალობა ჩვენი, ყველანი ყურს გვიგდებენ, ვერ იძინებენ. წუხელ თავად ვაყურადებდი, როგორ ეუბნებოდა ფერმერის მეუღლე დედამთილს, ბაყაყების ყიყინმა მთელი ღამე არ დამაძინაო. ბედნიერებაა, როცა ასე უყვარხარ ყველას. — ა-ჰა, ა-ჰა, — ბრაზიანად გაიმეორა სანთებელამ. იგი აღშფოთებული იყო, რომ ერთი ფრაზაც ვერ ჩააკერა ლაპარაკში.

— ო, თქვენ მომხიბლავი ხმა გაგაჩნიათ, — გააგრძელა ბაყაყმა, — ვიმედოვნებ, დაესწარით ბატების რუში ჩვენს ქოროსს. ახლა დროა წავიდე, ჩემი გოგოები ვიპოვო. იცით, ექვსი უმშვენიერესი გოგონა მყავს და ნემსიყლაპიას ვუფრთხი ძალიან, ვაითუ სადმე წააწყდეს ეს ამაზრზენი საფრთხობელა ჩემს ასულებს და დაუფიქრებლად გადაყლაპოს ისინი. ნახვამდის, ფრიად სასიამოვნო იყო თქვენთან ბაასი.

— ბაასი, დიახ, — მიუგო სანთებელამ, — მხოლოდ თქვენ ისაუბრეთ. ეს რა ბაასია.

— ერთ-ერთი ხომ უნდა იყოს მსმენელი, — თქმა ბაყაყმა, — საერთოდ კი დიალოგის ავან-ჩავანი მუდამ მე ვარ ხოლმე. ასე დროც იზოგება და შეკამათების საფრთხეც აღარ არსებობს.

— ჰო, მაგრამ, მე ძლიერ მომწონს დებატები, — თქვა სანთებელამ.

— მართლა? — ბაყაყმა გულუბრყვილოდ გაიკვირვა, — დებატები მეტად ხეპრული თვისებაა საზოგადოებისა. უმაღლეს წრეში ჩვეულებრივ ყველანი ერთ აზრს უნდა ადგენენ. კვლავ გემშვიდობებით კეთილი სურვილებით. აი, იქით ჩემს გოგონებსაც ვხედავ. — ბაყაყი ცურვით განერიდა სანთებელას.

— ფრიად თავმომაბეზრებელი ვინმე კი ყოფილხართ, — წარმოთქვა დინჯად სანთებელამ, — უზრდელი მასთან ერთად. ვერ ვიტან ისეთებს, მხოლოდ საკუთარ თავზე რომ ლაყობენ თქვენსავით და არ აცლიან საუბარს სხვას, უკეთ რომ იმჭევრებს საკუთარ თავზე, ვით მე. ეს თავკერძობად მიმაჩნია, თავკერძობა სამაგელი თვისებაა ჩემნაირი არსების თვალთახედვით. ჩემი შემბრალებლობა და სხვაზე მზრუნველობა ვის არ მოეხსენება. ყველამ მე მომბაძეთ ამ მხრივ, ვითარცა მაგალითს. ამჟამად ფრიად გაგიმართლათ, რომ აქ აღმოვჩნდი, მაგრამ ისევ ხელმწიფის სახლეულს დავუბრუნდები მალე. იქ ყველას ვუყვარვარ მეტისმეტად. პრინცი და პრინცესა წუხელ დაქორწინდნენ კიდევ ჩემს პატივსაცემად. თუმცა, ამგვარ ჩამორჩენილთ საიდან ეცოდინებათ ეს ყველაფერი.

— მასთან ბაასმა უკვე დაკარგა ყოველგვარი აზრი, — უთხრა კალიამ, მუქი ბამბუკის გრძელ ღეროზე რომ იყო დასკუპებული, — უკვე დაკარგა, რადგან ის წავიდა.

— ვაი მას და არა მე, თუ წავიდა, — თქვა სანთებელამ, — არც მომსვლია ფიქრად საუბრის შეჩერება მარტო იმისათვის, რომ მას აღარ ესმის ჩემი. მე შეყვარებული ვარ

საკუთარ მონოლოგებზე და მათი მოსმენა ერთ-ერთ უდიდეს ნეტარებას წარმოადგენს ჩემთვის. რამდენჯერ გამიბამს ხანგრძლივი მუსიკის საკუთარ თავთან, რომელშიც ესოდენი სიბრძნე ლივლივებს. ასე გასინჯეთ, ხანდახან არც ერთი სიტყვა არ მესმის ხოლმე ჩემივე თქმულიდან.

— ო, თქვენ უეჭველად ფილოსოფიის ლექტორი იქნებით, — მიუგო კალიამ და თავის ლამაზ, წვრილი ბადის მსგავს ფრთათა შრივლით განშორდა სანთებელას.

— რა სულელია, დარჩენილიყო აქ, — ჩაილაპარაკა სანთებელამ, — ჩემი ღრმა რწმენით, განებივრებული არ უნდა იყოს გონების განვითარებისათვის ასეთი ხელსაყრელი შემთხვევებით. მაგრამ ჩემთვის სულერთია. ჩემგვარი ტალანტი, დრო მოვა, საკადრის მსმენელს მოიხვეჭს. — სანთებელა ტლაპოში უფრო ღრმად ჩაწვა. მცირე ხნის შემდეგ ვეება თეთრი იხვი ცურვით მიუახლოვდა სანთებელას. ნარინჯისფერი ტერფების, აპკით გადაბმული თითების და მობაჯბაჯე სიარულის გამო ულამაზესის სახელი ჰქონდათ გავარდნილი.

— კვაქს, კვაქს, კვაქს, — თქვა მან, — რა საოცარი ფორმა გაქვთ. ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ — ასეთი დაიბადეთ, თუ რომელიმე კატასტროფაში მოყოლამ გამოიწვია ეს?

— თქვენ, ჩანს, საკუთარი სოფლის მეტი არა იცით-რა, — მიუგო სანთებელამ. — წინააღმდეგ შემთხვევაში მიცნობდით, ვინ ვარ და რა ვარ. ამჯერად შეგინდობთ ბრიყვობას, ყველას ვერ ეტყვი, ისეთივე ბრწყინვალე იყავი, როგორც მე ვარო. თქვენ, რასაკვირველია, განცვიფრდებით, მაგრამ მე ძალმიძს ფრენა სივრცეში და მერე მიწაზე მოსვლა ოქროვან ელვარე თქეშად.

— ეგ ჩემთვის არაფერს ნიშნავს, — უპასუხა იხვმა, — ვერ გამიგია, ვის რაში სჭირდება ოქროვანი თქეში. სხვა საქმე იქნებოდა, მიწას რომ ამუშავებდეთ, — როგორც ხარი, ეტლს შეიბამდეთ, როგორც ცხენი, ფარას იცავდეთ, როგორც ძაღლი. მაშინ გექნებოდათ რაღაც ღირებულება.

— ძვირფასო ჩემო, — შეჰყვირა რისხვით სანთებელამ — უმარტივესთა ფენას განეკუთვნებით, დავრწმუნდი. საჭიროების დაკმაყოფილება არაა ისეთი სიმაღლის არსების საქმე, როგორც მე ვარ. მე და ჩემნაირნი დაჯილდოებულნი გახლავართ აუხსნელი თანდაყოლილი ხიბლით, რაც სავსებით კმარა. შავი სამუშაოს შესრულება კი არაოდეს მომეპრიანება, მით უმეტეს ისეთის, თქვენ რომ აღნიშნეთ. ადრეც ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, რომ ძნელ შრომას მხოლოდ ისინი ჰკიდებენ ხელს, რომლებსაც მაღალი მოწოდება არა აქვთ.

— კარგი, კარგი, გეთანხმებით, — უთხრა იხვმა. იგი მეტად დამთმობი იყო და ჩხუბი არ უყვარდა. — გემოვნებაზე არ დაობენ. მაინც მოხარული ვიქნები, თუკი აქ დასახლდებით.

— ღმერთმა დამიფაროს! — მიუგო სანთებელამ. — მე ოდენ სტუმარი გახლავართ აქაურობისა, ბრწყინვალე სტუმარი. საერთოდ კი აქაურობას ფრიად მოსაწყენი ელფერი დაჰკრავს, ჩემის ფიქრით. აქ არაა მაღალი წრე, სადაც შეგემლება განმყუდროება. ჯოჯოხეთია მოკლედ. ვვარაუდობ კვლავ ხელმწიფის პალატებს დავუბრუნდე, სადაც აღვასრულებ კიდევაც ჩემს დანიშნულებას — სენსაციის მოხდენას ქვეყანაზე.

— ადრე თავად ვაპირებდი საზოგადო მოღვაწედ გახდომას, — თქვა იხვმა, — რადგან ახლა ყველაფერი გარდაქმნას საჭიროებს. ჩვენს ყრილობაზე სიტყვა წარმოვთქვი

მცირე ხნის წინ და გავაკრიტიკე საზოგადოების ყველა უარყოფითი, მანკიერი მხარე. თუმც ამო აღმოჩნდა ეს ყოველივე. ახლახან დავოჯახდი კიდევ და ჩემი ძირითადი საქმიანობა ოჯახზე ზრუნვაა.

— ო, პირადად მე საზოგადოებრივი ინტერესების მსახურებისთვის ვარ გაჩენილი, — წარმოთქვა ამაყად სანთებელამ, — ისე, როგორც ყველა ჩემს გვარში უკანასკნელი გამოუცდელის ჩათვლით. ჩვენი ხალხში გამოჩენა და ყურადღების ცენტრში მოქცევა ერთია. მართალია, თავად მე ჯერჯერობით არსად გამიბრწყინია, მაგრამ ოდესმე გავბრწყინდები და ეს საოცარი სანახაობა ერთ რამედ ეღირება. დაოჯახების შესახებ კი ვიტყვოდი, რომ იგი უდროოდ აბერებს და ღირებულ კატეგორიებზე აზროვნების უნარს აჩლუნგებს. — ო, ღირებული კატეგორიები! რა მშვენიერია. — მიუგო იხვმა, — მართლა: ამაზე გამახსენდა — ძალიან მშია. — და იგი რუს მდინარებას დაუყვა ცურვით, თან კვაქს, კვაქს-ს გაიძაოდა.

— მობრუნდი, მობრუნდი, — ყვირილი დაუწყო სანთებელამ, — მობრუნდი, კვლავ მრავალი რამ უნდა მოგიტოხრო, — მაგრამ იხვს აღრ ესმოდა. — ძალიანაც კარგი, რომ მოშორდა, — საკუთარ თავს უთხრა სანთებელამ, — მეტად მწირი ინტელექტის პატრონი ჩანდა. — სანთებელა ტლაპოში უფრო ღრმად ჩაწვა და დიდი ტალანტების ობლობაზე დაფიქრდა. ანაზდად იქვე გაჩნდა ორი პატარა ბიჭუნა, თეთრი მისურები ეცვათ. ყმაწვილებმა არხს მოაშურეს, თან ხელთ სათლი და შეშა ეკავათ. — ნამდვილად დელეგატები არიან, — თქვა სანთებელამ და სახეზე მედიდური გამომეტყველება აღიბეჭდა.

— შეხედე! — ბიჭთაგან ერთმა შეჰყვირა, — ეს ძველი ჯოხი ნახე ერთი. საიდან გაჩნდა აქ?

— ბიჭმა ხელი დაავლო სანთებელას.

— ძველი? ძველიო? — თქვა სანთებელამ, — მომეყურა. მან თქვა, — ქველი. ქველი სწორედ რომ შესაფერისი სიტყვაა: ამ ბიჭმა ვინმე დიდგვაროვან არისტოკრატად მიმიჩნია.

— ცეცხლს შევუკეთოთ, — უთხრა მეორე ბიჭმა პირველს, — სამხარი მზად გვექნება. შეშის დაწყობას შეუდგნენ ყმაწვილები, ბოლოს სანთებელაც დაამატეს შეშის გროვას და გააჩაღეს კოცონი.

— შესანიშნავია, — შესძახა სანთებელამ, — ისინი გამტყორცნიან დღის შუქზე, რათა მიხილოს მთელმა ქვეყანამ.

— ახლა შეგვიძლია წავთვლიმოთ კიდევ, — თქვეს ყმაწვილებმა, — სამხარი მზად დაგვხვდება გაღვიძებულებს. — ისინი განერთხნენ მოლზე და რული მოერიათ. სანთებელა მეტად დასველებულიყო, ალი ვერ მოიკიდა კარგა ხანს. ბოლოს და ბოლოს შემოეგზნო ცეცხლი.

— ცოტა კიდევ და გავიტყორცნები! — დაიძახა _____ მედიდურად გაჯგიმულმა. — ვიცი, ცის მნათობებს ავცილდები, მზეს და მთვარეს. გავფრინდები მაღლა, მაღლა... — ვზუუ, ვზუუ, — იგი მართლაც აიჭრა ჰაერში. — ო, ეს საოცრებაა! — იძახდა სანთებელა, — ასე ვიფრენ მუდამ. როგორი გამარჯვება მელოდა თურმე! მაგრამ თვალის მოკვრითაც ვერავინ იხილა იგი.

უეცრად სანთებელას როგორღაც უცნაურად გაამაგმაგა.

— ოჰ, აფეთქება ახლოვდება, — შეჰყვირა მან, — მე შევძრავ სრულიად დედამიწას

და ავალაპარაკებ ყველას, დიდი თუ პატარა მხოლოდ ჩემზე ილაპარაკებს მთელი წელიწადის მანძილზე. — მართლაც, სანთებელამ იფეთქა. ბახ! ბუხ! — გაუდიოდა ფითილს. უთუო იყო, მან მართლა იფეთქა. თუმც ვერავინ გაიგონა ეს, გულისძილით მძინარე ყმაწვილების ჩათვლით. ერთადერთი მონარჩენი სანთებელასი — წვრილი ჯოხი იხვს დაეცა გავაზე, არხთან მოსიარულეს.

— უფალო შემიწყალო! — შეჰყვირა იხვმა, — ჯოხები გაწვიმდა! — დამან სასწრაფოდ მიაშურა რუს.

— ხომ ვთქვი, საოცრებას დავატრიალებ-მეთქი, — ჩაიჩურჩულა სანთებელამ და მიინავლა.





გამოტყდომა

(ალექსანდრა ოსიპოვას)

მიყვარხართ, — თუმცა ბოღმა მაგიჟებს,
ვიცი, შევრცხვები, ფუჭად მოვცდები,
და ამ სვედავსილ უგნურებაში
ახლა თქვენს ფერხთან მე გამოვტყდები!
ჩემს წლებს და სახეს ეს არ შეჰფერის,
და უკვე დროა ვიყო ჭკვიანი,
მაგრამ ყოველი ნიშნით ვიცანი
ჩემს გულში ტრფობის სნება გვიანი.
უთქვენოდ ვიწყენ, — რული მერევა,
თქვენთან კი სევდის წამიღებს ღვარი,
აღარ მაქვს ძალა და მწვავს სათქმელი, —
ო, ანგელოსო, მიყვარხართ რარიგ!
მესმის მსუბუქი თქვენი ნაბიჯი,
მესმის შრიალი კაბის, მრეტები,
ეგ ხმა უბიწო, ქალწულებრივი, —
გონს ვკარგავ სრულად თქვენი მჭკრეტელი.
გაილიმებთ და — კმარა ნუგეშად,
შებრუნებით და — დარდი მდევარი,
ტანჯვის წილ ჯილდო მელის ნეტარი —
თქვენი ფერმკრთალი ხელისმტევანი.
როცა უზიხართ კდემით საქარგავს
და თავდახრილი წუთებს არ ჰკარგავთ,
თვალნი, კულულნი ძირს ეშვებიან,

მომღბარი ვუცქერ მე ამ სანახავს,
ვტკბები და ვგავარ ბაღს ოცნებიანს!
გითხრათ კი ჩემი სვედავსილობა,
იჭვი და დარდი რომ მემარწუხა,
გასეირნებას როდის აპირებთ
სადმე შორეთში ჩემდა საწუხად?
და სად გაქრება თქვენი ცრემლები,
ან საუბრები განმარტოებით,
ის ხეტიალი, ის შადრევნები,
ფორტეპიანო — სადამოობით?
აღინა! შეგთხოვთ აწ მოწყალებას,
ვერ გვედრებთ ტრფობას სამაგიეროს,
იქნებ არც ვღირვარ ჩემს ცოდვათათვის
მე სიყვარულად, ჩემო ციერო!..
ო, ითვალთმაქცეთ! მშვენიერ თვალებს
ძალუმს ყოველი რომ გამოხატოს,
მე მომატყუოთ, — ძნელი არ არის,
ამ მოტყუებას თვითონვე ვნატრობ!..

ნოემბერი, 1997 წ.

ზამთრის მწუხრი

ქარიშხალი ტატნობს თალხავს,
ნამქრავს არეს თოვლის ფთილით,
ნადირივით ღმუის ახლა,
მერე ტირის, როგორც ჩვილი.
აშრიალებს ბულულს თივის
ჩვენს ძველ სხვენზე — განახუნებს,
ნაგვიანებ სტუმარივით
ხან სარკმელთან აკაკუნებს...
სიმწუხარე მარად სდევდა
საბრალო ქოხს ჩვენსას. მითხარ,
ეჰ, გადიავ, — ასეთ სევდით
სარკმელს რატომ მიჯდომიხარ?
ქარი ასე რომ ავქარობს,
შენს სულს დაღლა დაეფინა,
იქნებ, ჩემო მეგობარო,
ხელსაქმეზე დაგეძინა?
შევსვათ, სათნო მოწმევ ჩემი
კრული სიყრმის გარდასულის,
შევსვათ, კმარა სევდით გვემა,

გახალისდეს იქნებ გული.
ამიმღერდი უთქმელ გრძნობით,
ზღვის ფრინველი როგორ ჰქროდა,
ან მიმღერე, დილაობით
ქალწულს წყალი ვით მოჰქონდა.
ქარიშხალი ტატნობს თალხავს,
ნამქრავს არეს თოვლის ფთილით,
ნადირივით ღმუის ახლა,
მერე ტირის, როგორც ჩვილი.
შევვავთ, სათნო მოწმევ ჩემი
კრული სიყრმის გარდასულის,
შევვავთ, კმარა სევდით გვემა,
გახალისდეს იქნებ გული.

ზამთრის გზა

ტალღისებურ ჯანღში ნელა
დის მთოვარე მოლივლივე
და ნაღვლიან ველებს იგი
ნაღვლიანად აფენს სხივებს.
ზამთრის თეთრ და პირქუშ გზაზე
მირბის ეტლი ჩემი მკვირცხლი,
ჟამბშირად და მომქანცველად
აწკარუნებს ეჟვანს ვერცხლის.
აქვს სალბუნნი რა ნაცნობი
ამ მეეტლის გრძელ სიმღერას!
ხან გულს ართობს უზრუნველი
და ხან დიდი სევდით სერავს.
არსად ცეცხლი, შავი ქოხი...
სიყრუე და თოვლი არი,
ჩემი ეტლის შესახვედრად
რბის ბოძები ზოლიანი.
ნინა, კარგო, მე ხვალ ამ დროს
შენთან მოვალ გულის ძგერით
და ბუხრის წინ დავფიქრდები
ვერგამძლარი შენი ცქერით.
მოწიკწიკე ეგ საათი
გადაითვლის ბოლო წამებს,
სამუდამოდ შეერთებულთ
ველარ გაგვყრის შუალამე.
დღეს კი... გზაა სევდიანი,
ზანზალაკი აკრთობს არეს,
თვლემს მეეტლე კოფოზე და
ჯანღის ფთილა ფარავს მთვარეს.



ქვის სტუმარი

სცენა I

დონ-ჟუანი და ლეპორელი

დონ-ჟუანი

დაგვათენდება თავზე ასე. ო, როგორც იქნა, მადრიდის ჭიშკარს მივაღწიეთ და მე სულ მალე ისევ დავტკბები შეჩვეული ქუჩების ცქერით, პირს დამიფარავს ლაბადა და წარბებს კი — ქუდი, შენ როგორ ფიქრობ, ვერ მიცნობენ ასეთი სახით?

ლეპორელი

აბა! ვინ არ ცნობს დღეს დონ-ჟუანს! იმისთანები ბევრნი არიან, მე შენ გეტყვი!

დონ ჟუანი

ხუმრობ? კი მაგრამ ვინ მიცნობს, მითხარ?

ლეპორელი

პირველივე ალბათ დარაჯი, ან ტრუბადური რომელიმე მთლად გაღეშილი, ან თვით თქვენი ძმა, გამომწვევი რამ კავალერი, დაშნა რომ დასთრევს ცალ მხარეზე, ლაბადით მოსილს.

დონ ჟუანი

მერე რა მოხდა, თუ მიცნობენ, მიცნონ. ოღონდაც თავად ხელმწიფეს არ წავაწყდე. ერთი იცოდე, მადრიდში ვერვინ დაიკვებხნის რომ შემაშინა.

ლეპორელი

ხვალვე მიუვა ცნობა მეფეს, რომ თქვენ დაბრუნდით, გადასახლებას მყოფი ახლა მადრიდს ესტუმრეთ და მაშინ რაღა დაგიფარავთ, აბა, ღმერთმანი...

დონ ჟუანი

ო, არაფერი. ისევ უკან დამაბრუნებენ. არ ჩამომახრჩობს ამისათვის არავინ, მჯერა, მე ხომ არა ვარ სახელმწიფო რამ დამნაშავე, გადამასახლა მეფემ, რადგან ჩემზე ზრუნავდა, მოკლულის ოჯახს მომაშორა.

ლეპორელი

მეც მაგას ვამბობ! ყოფილიყავით იქ გულმშვიდად, რას მოდიოდით.

დონ ჟუანი

მისმინე, კარგო, იქ შემჭამდა მოწყენილობა, და მონატრება, ვიცი, დღეებს გამიმწარებდა. იქ რა ხალხია, რა მიწაა! — ზეცის მაგივრად

თვალს მწვავდა კვამლი. ახლა ქალებს აღარ იკითხავ?
ჩემო სულელო ლეოპორელო, მე ხომ არც გავცვლი
ანდალუზიის გლახ გოგონას სულ უკანასკნელს
პირველ იქაურ ლამაზმანზე, მზეთუნახავზე.
მათი ქალები მე ოდესღაც მართლა მხიბლავდნენ
სახის სითეთრით, სინაზით და თვალთა სილურჯით,
კდემით, რაც ჰქონდათ. მაदლი ღმერთს, რომ დროზე მოვეგე
ჰკუას და მივხვდი, რომ საჩემოდ არა ვარგოდნენ,
მათში არაა აღმაფრენა, ჩქეფა ვნებისა,
— და ჰგვანან მხოლოდ უმოდრაო ფიცარ-თოჯინებს.
თუმცა ჩვენები! მაგრამ მითხარ, რატომ მეცნობა
მე ეს ადგილი, ასე? შენაც გეცნაურება?

ლეპორელო

მახსოვს ანტონის მონასტერი ძალიან კარგად.
თქვენ აქ მოსულხართ ძლიერ ხშირად, დროს ატარებდით,
ცხენებს ყოველთვის ვდარაჯობდი მე სამოვარზე,
უნდა გამოვტყდე, ეს ხელობა გულს არ მეხატა.
თქვენ გაცილებით უკეთ გრძნობდით თავს აქ, ვიდრე მე.

დონ ჟუანი

(ჩაფიქრებით)

ახლა ვიგონებ საბრალო და ბედშავ ინეზას,
ვინც აღარ არის... რა ძლიერად მიყვარდა იგი.

ლეპორელო

ინეზა... აჰა, გამახსენდა ის... შავთვალეზა.
თავს ევლებოდი თქვენ სამი თვე, თუ არ მეშლება.

დონ ჟუანი

ივლისის ღამე... ღმერთო ჩემო, როგორ ვთვრებოდი
მისი თვალების მწველი ეშხით, მისი ტუჩებით,
და მზერა... მზერა... ჰქონდა რაღაც გასაოცარი,
ნალვლიანი და მომხიბლავი იმავდროულად.
შენ არ მიგაჩნდა ის საბრალო მზეთუნახავად,
მართლაც არ იყო... მაგრამ თვალნი, მხოლოდ თვალები...
და მასთან, ცქერა... სხვაგან ვერსად ვნახე იმდარი.
ლაპარაკობდა ჩუმად, წყნარად, ავადმყოფივით.
ქმარი კი მისი არამზადა იყო პირქუში,
გვიან გავიგე... აჰ, ინეზა, შე საცოდავო!

ლეპორელო

მას მოჰყვა სხვებიც, სულწარმტაცი ქალბატონები.

დონ ჟუანი

კი, ასე იყო.

ლეპორელო

და იქნება კიდევ რამდენი,
მეშვიდე ზეცამ იცის მარტო.

დონ ჟუანი

მეც გეთანხმები.

ლეპორელო

ნეტავ გავიგო, ახლა რომლის ჯერი დამდგარა?

დონ ჟუანი

ო, ლაურასი! ლაურასთან მივდივარ სწორედ.

ლეპორელო

კარგი.

დონ ჟუანი

ხოლო იქ თუკი დამხვდა ვინმე უცნობი,

კარიც, ფანჯარაც, მე ორივე დამეხმარება.

ლეპორელო

ეჰ, გავხალისდით მეტისმეტად და დაგვავიწყდა რომ წუთის წინათ ვსაუბრობდით მიცვალეზულზე, მკვდრები დიდხანს არ გვაწუხებენ. ეს ვინ გამოჩნდა? (შემოდის ბერი)

ბერი

ის ახლა მოვა ამ ადგილას. ვინა ხართ აქა?

თქვენ დონნა ანას გზავნილები ხომ არ ბრძანდებით?

ლეპორელო

არა, ჩვენ მხოლოდ აქ ვსეირნობთ.

დონ ჟუანი

ვის ელოდებით?

ბერი

აქ მოვა მალე დონნა ანა ქმარის საფლავზე.

დონ ჟუანი

ანა დე სოლვა! დონნა ანა მოვა ამ ადგილს, მეუღლე ახლა გარდაცვლილი მეთაურისა? იპოვეს მკვლელი, დაადგინეს, ვინ მოკლა იგი?

ბერი

მკვლელი უღმერთო, არამზადა დონ-ჟუანია.

ლეპორელო

ოჰო! შეხედეთ, ხმას აქაც კი მოუღწევია, ამ მონასტერშიც უწყინარში ის შემოსულა; განდევნილებიც კი ასხამენ ხოტბას დონ ჟუანს,

ბერი

მას ხომ არ იცნობთ თქვენ?

ლეპორელო

ო, არა, სადაა იგი?

ბერი

შორს მეტისმეტად: სასჯელს იხდის.

ლეპორელო

მალიან კარგი.

რაც შორს არიან, მით ვისვენებთ მისთანებისგან,

ყველანი უნდა ჩაუძახო ერთ ტომარაში,

თავი მოუკრა და ღრმა ზღვაში გადაისროლო.

დონ ჟუანი

რაო, რას ამბობ?

ლეპორელო

ოჰ, გაჩუმდით: მე ხომ განგებ ვთქვი...

დონ-ჟუანი

მაშ, აქ დაკრძალეს მეთაური?

ბერი

დიახ; და ცოლმა
მას აღუმართა ქანდაკება. ყოველ ცისმარე
დაიარება იგი აქ და მწარედ ქვითინებს,
ლოცულობს მისი სულის ხსნისთვის და საცხოვნებლად.

დონ ჟუანი

რა უცნაური ქვრივობაა. თქვი, როგორია?

ბერი

ქალის მშვენებას ვეკრძალებით განდეგილები,
მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მისთანა არ შემხვედრია,
მის სილამაზეს აღიარებს ყოველი სული.

დონ ჟუანი

როგორც მე ვიცი, გარდაცვლილი ეჭვიანობდა,
და არავის არ აკარებდა თავის მეუღლეს.
თვალის მოკვრითაც არ უხილავს ის არცერთ ჩვენგანს,
მე ვისურვებდი მასთან ბაასს.

ბერი

ო, არ მოხდება,
მარტო მამაკაცს რომ გაუბას მან საუბარი.

დონ ჟუანი

და თქვენ, მამაო?

ბერი

მე სულ სხვა ვარ, ბერი გახლავარ.
აგერ გამოჩნდა თვითონ ისიც.
(შემოდის დონნა ანა)

დონნა ანა

მამაო ჩემო,
გააღეთ კარი.

ბერი

მე გელოდით თქვენ, ქალბატონო.
(დონნა ანა და ბერი გადიან)

ლეპორელო

ჰა, როგორია?

დონ ჟუანი

ვერ მოვკარი თვალი დათალხულს,
რადგან ძამები აწ ფარავენ მის სილამაზეს.
მხოლოდლა ტერფი დავინახე მისი, მსუბუქი.

ლეპორელო

ეგ კმარა თქვენთვის. ფანტაზია თქვენი მდიდარი
წარმოისახავს სხვა დანარჩენს უმაღვე ალბათ,
ფერმწერის ჰერეტიკით მყის აღადგენთ მთელს ტანს სიცხადით
და სულ ერთია, ფეხით იწყებთ თუ შავი წარბით.

დონ ჟუანი

ო, ლეპორელო, მე გაცნობა მწაღია მისი.

ლეპორელო

რაშია საქმე თურმე! ქმარი მისიკვდილა
აწ ქვრივის ცრემლით უნდა დატკბეს ეს უსინდისო!

დონ ჟუანი

უკვე დაბინდდა. სანამ მთვარე არ ამოსულა
და ეს წყვილიადა ნათელ ღამედ არ უქცევია,
შევიდეთ მადრიდს.

(გადის)

ლეპორელო

მთვარე აკრთობს ესპანელ რაინდს,
ქურდივით ელის იგი ღამეს, ბნელს და უმთვაროს.
ყიალი მერგო ამა პირთან აღმა და დაღმა,
ძალა აღარ მაქვს, ღმერთო ჩემო, მე მეტს ვერ შევძლებ.

სცენა II

ოთახი. ვახშობა ლაურას ბინაში

პირველი სტუმარი

ასე ბრწყინვალედ შენ არასდროს გითამაშია,
გაითავისე შენი რთული როლი — უნაკლოდ.
ო, გეფიცები რომ, ლაურა, აღტაცებას ვარ.

მეორე

რა ჩქერი იყო გზნებისა და ვნებისა, მართლაც.

მესამე

რა ოსტატობა!

ლაურა

ჰო, მწყალობდა ფორტუნა სწორედ.
მე ვახერხებდი ყველა სიტყვას და მოძრაობას,
და აღმაფრენამ დამავიწყა სულყველაფერი.
ჩემი ბაგიდან თავისთავად დიოდა სიტყვა,
ოღონდ ბადებდა მათ გული და არა გონება.

პირველი

ახლაც ბრწყინავენ ეგ თვალები და აღტაცებას
შეუდარებელს, ვხედავ, ჯერაც არ გაუვლია.
აღეწილი გაქვს პირისახე და ნუ დავუცდით
მის განელებას, ყველანი გთხოვთ — იმდერე რამე.

ლაურა

მაშ მომაწოდეთ ის გიტარა, თხოვნას ვასრულებ.
(მღერის)

ყველანი

უბადლოა, საოცარია!

პირველი

მადლი გეკუთვნის, ჯადოქარო, როგორ ალაგზნი
გულები ჩვენი. სიყვარულის შემდეგ მუსიკა
პირველი არის შვებათაგან, თუმც სიყვარული
განა მუსიკა თავისთავად არ არის ტკბილი?
შეხედე, — თავად დონ კარლოსიც მონუსხულია,
შენი პირქუში სტუმარი დღეს.

მეორე

როგორ იმღერა!

და რა გრძნობები ჩააქსოვა ამ სიმღერაში!

ო, ვისი არის ეს სიტყვები?

ლაურა

დონ ჟუანისა.

დონ კარლოსი

დონ ჟუანისა?

ლაურა

დიახ, შესთხზა მან ეს ოდესღაც,

დაუდეგარმა საყვარელმა და მეგობარმა

ჩემმა.

დონ კარლოსი

ულმერთო არის იგი და ვიგინდარა,

შენ კი შტერი ხარ.

ლაურა

გადამცდარხარ ჭკუიდან სწორედ.

აკუწვას შენსას დავაკისრებ ახლავ მსახურებს,

და ესპანელი რაინდისგან არ-რა დარჩება.

დონ კარლოსი

(დგება)

მიდი, მოუხმე!

პირველი

ო, ლაურა, გაჩერდი, კმარა! —

თქვენც ნუ იცხარებთ მეტს, დონ კარლოს, მას დაავიწყდა...

ლაურა

რა დამავიწყდა? რომ ჟუანმა მოჰკლა ამის ძმა,

ორთაბრძოლაში პატოსნად და წესისამებრ?

ვწუხვარ — ის მოკლა და არა ეს.

დონ კარლოსი

ვნანობ სიფიცხეს.

რა სულელი ვარ.

ლაურა

ხედავთ, თვითონ რომ აღიარებს?

დონ კარლოსი

ბოდიშს გიხდის, გთხოვ მაპატიო.

ხომ იცი კარგად, რომ არ ძალმიძს სმენა სახელის,
რომელიც ასე ქენჯნის ჩემს გულს, იცი რატომაც.

ლაურა

მე ეს სახელი წამდაუწუმ ენაზე მადგას.

სტუმარი

რომ დავიჯეროთ შერიგება თქვენი უცეზვი,
გულიდან დარდის გადაყრა და სიმხიარულე,
იმღერე კიდევ.

ლაურა

უკვე ღამე დაეშვა. დროა,
უკანასკნელად მე გიმღეროთ, მერე გისურვოთ
ძილი ნებისა. რა ვიმღერო? აჰ, გამახსენდა.
(მღერის)

ყველანი

მშვენიერია, ბრწყინვალეა!

ლაურა

გემშვიდობებით.

დიდი მადლობა მინდა გითხრათ აქ მოსვლისათვის.

სტუმრები

მადლობელნი ვართ ჩვენ პირიქით.

(გადიან. ლაურა აჩერებს დონ კარლოსს)

ლაურა

შენ, კადნიერო!

შენ იყავ ჩემთან, მომეწონე დღეს მეტისმეტად.
როცა გიმზერდი, გამახსენდა მე დონ-ჟუანი,
მისი სიშმაგე და ფიცხოზა.

დონ კარლოსი

ოჰ, ბედნიერი!

მაშ, შენ გიყვარდა იგი,

(ლაურა თანხმობის ნიშნად თავს აქნევს)

ძლიერ?

ლაურა

სულზე მეტადაც.

დონ კარლოსი

და ახლაც გიყვარს?

ლაურა

მე ორს ერთად ვერ შევიყვარებ.

მე შენ მიყვარხარ.

დონ კარლოსი

თქვი, ლაურა, შენ რა ხნისა ხარ?

ლაურა

თვრამეტის გავხდი.

დონ კარლოსი

ყმაწვილქალი ყოფილხარ ჯერაც.

გაივლის ხუთი, ექვსი წელი, აღარ იქნები

შენ ახალგაზრდა და სინორჩეს ნელა დაკარგავ.

მოგიფერებენ და ირგვლივ სულ გუნდრუკს გიკმევენ
ეს ექვსი წელი, შენს გარშემო შეგროვდებიან,
განებივრებენ, ლიქნით ფეხქვეშ დაგეგებიან.
გაგითენებენ ღამეს ტკბილი სერენადებით,
შენი გულისთვის გაიწვევენ დუელში ერთურთს,
მაგრამ ეს ყველა დამთავრდება, და მოვა სხვა დრო.
თავს მოგივერცხლავს ფიფქი თმისა და ხანში შეხვალ,
როცა სახეზე ნაოჭები გაგიმრავლდება,
როს გიწოდებენ შენ ბებერსა, — რას იზამ მაშინ?

ლაურა

ამაზე ფიქრი ჯერ ადრეა. შენ, როგორც ვატყობ,
მუდამ აზრები ამდაგვარი ტვინს გიშფოთებენ.
გააღე კარი აივნისა, რა მშვიდი ცაა,
თბილი ჰაერი არც კი იძვრის. სურნელი ასდის
ღამეს ლიმონის, რა ნათელი მთვარე დაგვნათის.
შორს დარაჯები გასმახიან ერთიმეორეს
და კაბადონზე მიირწევა მთვარე ეტლივით.
თუმცე შეიძლება, სადღაც შორით, ჩრდილოეთისკენ,
თუნდაც პარიზში მოსდებიან ზეცას ღრუბლები
წვიმა ეშვება ცივი, ცივი და ქრის ზეფირი,
ჩვენ რა ვაკეთოთ? გესმის, კარლოს, მე აწ მოვითხოვ,
გინდა გიბრძანებ, გაიღიმე, ნუ ხარ პირქუში...

დონ კარლოსი

ჩემო დემონო მომხიბვლელო!

(აკაკუნებენ)

დონ ჟუანი

ჰეი, ლაურა!

ლაურა

ვინ არის ნეტავ? ვისი ხმაა?

დონ ჟუანი

გამიღე კარი.

ლაურა

ნუთუ! ო, ღმერთო!

(აღებს კარს, შემოდის დონ ჟუანი)

დონ ჟუანი

გამარჯობა!

ლაურა

ო, დონ ჟუანი!

(ლაურა ჩამოეკიდება კისერზე)

დონ კარლოსი

რა? დონ ჟუანი?!

დონ ჟუანი

ოჰ, ლაურა, ჩემო ძვირფასო!

(კოცნის)

ვინ არის შენთან ამ დროს?

დონ კარლოსი
მე ვარ, მე, — დონ კარლოსი.

დონ ჟუანი

აი, შეხვედრა უნებური და უცაბედი!
დღეს არა, ხვალე კი მიგულე შენს სამსახურში.

დონ კარლოსი

არა, დღეს მინდა.

ლაურა

ო, დონ კარლოს, გემუდარები,
ქუჩაში არ ხართ, ჩემს სახლში ხართ, კმარა, გაჩერდით.

დონ კარლოსი

(ლაურას არ უსმენს)

თქვი, დონ ჟუან, ხომ დაშნითა ხარ...

მოდის, ვიბრძოლოთ.

დონ ჟუანი

რაკი ველარ ითმენ ხვალამდე...

(იბრძვიან)

ლაურა

ღმერთო! დონ ჟუან!

(ვარდება საწოლზე. დონ კარლოსი ეცემა)

დონ ჟუანი

წამოდექი, ჩემო ლაურა.

ლაურა

რა არის! მოჰკალ? ბრწყინვალეა! და ჩემს ოთახში!

რა გავაკეთო, რა ვქნა ახლა? ფლიდო სატანავ!

სად გადავავადო, მითხარ, მკვდარი?

დონ ჟუანი

იქნებ არ მოკვდა.

ლაურა

(ათვალიერებს)

ნახე, წყეულო, ჯერაც ფეთქავს, პირდაპირ გულში

შენ დაგიჭრია, ოდნავ გვერდზეც არ არის ჭრილი,

სამკუთხ იარას დაუღია პირი მის მკერდზე,

ო, აღარ სუნთქავს, ეს რა ჰქენი?

დონ ჟუანი

რას იზამ, კარგო,

თვითონ ინდომა.

ლაურა

ეჰ, დონ ჟუან, ყოველთვის ასე

იმახი ხოლმე, საწყენია ეს ყოველივე.

დიდი ხანია, რაც აქა ხარ? საიდან, როგორ?

დონ ჟუანი

მე ეს-ესაა რაც მოვედი. ვარ სამალავში,

მე ხომ დამსაჯეს და არა ვარ ნაპატიები.

ლაურა

აჰ, მიხარია, პირველად რომ მე გაგახსენდი!

არა, არ მჯერა, შენ შემთხვევით აქ ჩაიარე,
სახლი დალანდე და ეს ჩემი ბინა აღმოჩნდა.

დონ ჟუანი

არა, ძვირფასო, ლეპორელოს ჰკითხე თუ გინდა,
მე ვუკრთი ქალაქს, ვხეტიალობ მარტო მის მიღმა,
მიტომ მოვედი, რომ მენახა ჩემი ლაურა
მადრიდში.

(კოცნის)

ლაურა

ჩემო მეგობარო უსაყვარლესო!
რა ვუქნათ ახლა ამას? მკვდარი, თქვი, სად წავილეთ?

დონ ჟუანი

შეეშვი. დილით მე გავიტან თვითონ, სისხამზე.
გზაჯვარედინზე გადავაწვენ ტილოს საფარქვეშ.

ლაურა

ფრთხილად იყავი, რომ ვერავინ ვერ დაგინახოს.
ო, რა კარგია, რომ მოხვედი შენ წუთით გვიან,
ჩემთან ვახშობდნენ მეგობრები შენი. სულ წამით
იმათ გაგასწრეს. რას იტყოდნენ, შენ რომ ენახე?

დონ ჟუანი

დიდი ხანია, რაც ის გიყვარს?

ლაურა

ვინ, ხომ არ ბოდავ?

დონ ჟუანი

გამოტყდი, კარგო, მე სანამდე სხვაგან ვიყავი,
მანინც რამდენჯერ მილალატე, გამცვალე სხვაზე?

ლაურა

ეგ შენ შენი თქვი.

დონ ჟუანი

კარგი, მერე ვილაპარაკოთ.

სცენა III

მეთაურის ქანდაკება

დონ ჟუანი

ო, ყველაფერი სასარგებლოდ ეწყობა ჩემთვის,
კარლოსი მოვკალ უნებურად და ახლა ძალმიძს
აქ განდეგილად მოვაჩვენო თავი გარეშეს.
აქ შემეძლია, რომ ვიხილო ყოველდღე იგი,
მშვენიერებით სავსე ქვრივი, ძამით მოსილი,
და როგორც ვატყობ, არც მისგან ვარ შეუმჩნეველი;
ჩვენ გავუბრძოდით დღემდე ერთურთს, ახლა კი დროა,

გავესაუბრო მას — ნეტავი, როგორ დავიწყო?
„ვკადნიერდები“, არა, ვეტყვი მე — „სენიორა“,
არა, არ ვარგა, რაც მომივა პირველად თავში,
იმით დავიწყებ, წინასწარი ფიქრის გარეშე.
ადგილზე შევთხზავ მიჯნურობის ლამაზ სიმღერას...
დროა მოვიდეს, მეთაურმა აწ მოიწყინა
უმისოდ, ვგონებ, მეტისმეტი რამ მოუვიდათ
მისთვის მხარ-ბეჭი, არასოდეს ჰქონია მსგავსი.
აქ ძალოვანი შემომცქერის ქანდაკებაში!
განსვენებული თავად იყო ტანად პატარა,
მეტად გამბდარი და ხმელ-ხმელი. ამ ძეგლს ცხვირამდეც
ვერ მისწვდებოდა, ეს ძალიან რომც მოესურვა.
ესკურიალთან შევეჯახეთ ერთმანეთს ჩვენ და
ის ჩემს დაშნაზე წამოეგო, როგორც კალია
წვრილ ქინძისთავზე და განაფრთხო სული თავისი.
ამაყი იყო, გულზვიადი, მასთან მამაციც
და სული ჰქონდა რაღაცგვარი, სუსხით აღსავსე.
აი, გამოჩნდა!
(შემოდის დონნა ანა)

დონნა ანა

კვლავ აქ არის, ო, წმინდა მამავ!
მე დაგირღვიეთ ყურადღება, გთხოვთ მაპატიოთ,
შემოვიჭერი თქვენს ფიქრებში ასე უეცრად...

დონ ჟუანი

პირიქით, მე მსურს გამოგთხოვოთ თქვენ პატიება.
იქნებ მე გიშლით, სენიორა, რომ ეგ ვარამი
გამოთქვათ უფრო თავისუფლად და შვება იგრძნოთ.

დონნა ანა

არა, მამაო, ეს ნალველი თვითონ ჩემშია
და თქვენი ყოფნა მაიმედებს, — ვედრება ჩემი
ზეცამდე ავა, ამიტომ გთხოვთ, თქვენც შეუერთოთ
თქვენი ხმა ამ ჩემს მწველ ლაღადისს

დონ ჟუანი

თქვენთან ვილოცო!
არა, არა ვარ ამის ღირსი მე, სენიორა!
ჩემი ცოდვილი ბაგეებით მე ვერ აღმოვთქვამ
ლოცვას, რომელსაც წარმოთქვამენ თქვენი ტურჩები.
ბედნიერებად ის მეყოფა, გიჭვრიტოთ შორით,
და დავინახო, ვით იხრებით მარმარილოსკენ
და თქვენი შავი დალალეები ვით ეფინება
სამარის ცივ ლოდს, ანგელოსი მგონიხართ მაშინ.
სუყველა ლოცვა მავიწყდება ამის შემხედავს.
ვფიქრობ, შევნატრი იმის ხვედრს, ვის წილად ერგება
საფლავის ქვასთან თქვენი ცრემლი და ნაზი სუნთქვა.

დონნა ანა

რა უცნაური, საკვირველი ლაპარაკია.

დონ ჟუანი

რა თქვით?

დონნა ანა

ო, არა... არაფერი... თქვენ გავიწყდებათ...

დონ ჟუანი

რა მავიწყდება? რომ უღირსი განდევილი ვარ,
და რომ ჩემი ხმა ამ ადგილას არ უნდა ჟღერდეს?

დონნა ანა

მე ვერ გავიგე... მომეჩვენა...

დონ ჟუანი

ახლა კი ვხედავ,
მშვენივრად მიხვდით ყოველივეს.

დონნა ანა

მაინც რას მიხვდით?

დონ ჟუანი

თქვენ ალბათ მიხვდით, რომ არა ვარ მე განდევილი, —
და მუხლმოყრილი გთხოვთ, შემინდოთ.

დონნა ანა

ვაი, ადექით!..
აბა, ვინა ხართ?

დონ ჟუანი

უბედური მსხვერპლი ვნებისა.

დონნა ანა

ო, ღმერთო ჩემო! და აქ ამბობთ თქვენ, ამ ადგილას!
გადით აქედან!

დონ ჟუანი

ოჰ, დამითმეთ ეს ერთი წუთი!

დონნა ანა

ჩქარა, ვინმე არ შემოვიდეს...

დონ ჟუანი

ნუ გეშინიათ,
დაგმანულია ყველა კარი, გთხოვთ მხოლოდ ერთ წუთს.

დონნა ანა

რა გნებავთ? ჩქარა!

დონ ჟუანი

მე სიკვდილსდა ვინატრებ მხოლოდ,
სიკვდილს თქვენს ფერხთით, სხვა არ მინდა მე არაფერი,
ოღონდ დაკრძალონ ჩემი ფერფლი ამ არემარეს,
აქ არა, სადმე მოშორებით ამ საფლავისგან,
ზღურბლზე, რომ თქვენი ნაზი ტერფი ან კაბის ქობი
შეეხოს ჩემი საფლავის ქვას, როდესაც მოხვალთ
აქ საქვითინოდ.

დონნა ანა

ლაპარაკობთ გიჟივით მართლა.

დონ ჟუანი

სიკვდილის ნატვრას თუ მიიჩნევთ თქვენ შემლილობად,

გიჟი ვყოფილვარ, მაგრამ, ვაჰ, რომ სხვა რამე მტანჯავს.
გიჟი რომ ვიყო, ვინატრებდი მარტო სიცოცხლეს,
და მექნებოდა იმედი, რომ ეგ თქვენი გული
აძგერდებოდა საპასუხო ტრფობით ჩემდამი.
გიჟი რომ ვიყო, ვიდგებოდი თქვენს აივანთან,
გათენებამდე გიმღერებდით მე სერენადებს,
ასე მალულად ყოფნა კი არ დამჭირდებოდა,
ვენახვებოდი ყველას და თავს მოგაბეზრებდით.
გიჟი რომ ვიყო, ასე უხმოდ არ ვიწვალებდი.

დონნა ანა

განა ახლა კი არ მომითხრობთ თქვენს გასაჭირზე?

დონ ჟუანი

დიახ. ყველა ეს მე შემთხვევამ გამაბედვინა,
მხოლოდ შემთხვევამ, ბედისწერამ, რომლის გარეშე
ვერასდროს ჩემი გულის ტკივილს ვერ შეიტყობდით.

დონნა ანა

დიდი ხანია, რაც გიყვარვართ?

დონ ჟუანი

ეგ მეც არ ვიცი.

ახლა გავიგე, თუ რა არის ბედნიერება,
და სილამაზე წამიერი და მომხიბვლელი.

დონნა ანა

წადით, ო, წადით, თქვენ საშიში ვინმე ბრძანდებით.

დონ ჟუანი

საშიში, როგორ?

დონნა ანა

მეშინია თქვენი მოსმენა.

დონ ჟუანი

მე გავჩუმდები, ოღონდ თქვენ კი ნუ მომიშორებთ.
ჩემთვის შეხედვაც თქვენი, კმარა ბედნიერებად,
მე ხომ არა მაქვს ამ ჩემს გულში ცრუ იმედები,
მე მხოლოდ თქვენი ხილვა მინდა ყოველდღე აქ და
არაფერს ზედმეტს არ მოვითხოვ, რაკი სიცოცხლე
აწ მომესაჯა, ცხოვრებისგან თავგაბეზრებულს.

დონნა ანა

წადით, არ არის აქ ადგილი მაგ სიტყვებისთვის.
ხვალ მოდით ჩემთან. და გაფიცებთ, შეინარჩუნოთ
ღირსება თქვენი და ჩემდამი პატივისცემა.
ერთიც იცოდეთ: არასოდეს, რაც მე დავეჭრივდი,
შებინდებისას მამაკაცი აღარ მინახავს.

დონ ჟუანი

ო, ანგელოზო! დონნა ანა, თქვენ ღმერთი გიზღავთ,
რაიც პატივი მე დამდევით და დამავალეთ,
ვით მანუგეშეთ ნატანჯი და გაწამებული.

დონნა ანა

მაშ წადით ახლა, რას უდგებხართ.

დონ ჟუანი

კვლავ ერთი წუთი.

დონნა ანა

არა, მე ვატყობ, ახლა თვითონ უნდა წავიდე,
აღარ ვარ ლოცვის განწყობაზე, თქვენ მე გამართეთ
აქ შესაქცევი ლაპარაკით. დიდი ხანია,
არა მსმენია მსგავსი, ყური გადაეჩვია.
ხვალ თქვენ მიგიღებთ.

დონ ჟუანი

ოჰ, არ მჯერა, რომ მე მეღირსა
ბედნიერება სულწარმტაცი და ღვთაებრივი,
ხვალე გიხილავთ! და თან არ აქ, არა მალულად.

დონნა ანა

ჰო, დიახ, ხვალე. ახლა კი თქვით, ვინა ხართ მართლა?

დონ ჟუანი

მე ვარ დიეგო დე კალვადო.

დონნა ანა

კარგით, დიეგო.
ხვალამდე, ხვალ კი ჩვენ შევხვდებით ისევ ერთმანეთს.
(გადის)

დონ ჟუანი

ჰე ლეპორელო!
(შემოდის ლეპორელო)
რა გწადიათ?

დონ ჟუანი

ო, ლეპორელო,
ბედნიერი ვარ. „ხვალო“, გესმის, „გვიან საღამოს!“
ო, ხვალე, ღმერთო! ბედნიერი ვარ მე ბავშვივით!

ლეპორელო

ჩანს, დონნა ანა მოგეფერათ ორიოდ სიტყვით,
ან ზიარების მისაღებად მოვიდა თქვენთან.

დონ ჟუანი

არა, ძვირფასო, პაემანი დავთქვით ხვალისთვის.

ლეპორელო

ჰოი, ქვრივებო, ასეთები ხართ თქვენ ყველანი!

დონ ჟუანი

ბედნიერებაე! მინდა გულში ეს ცა ჩავიკრა!

ლეპორელო

რას იტყვის ჩვენი მეთაური ამის შესახებ?

დონ ჟუანი

გგონია, ეჭვით აღივსება? ის დაჰკვირვებდა,
ცოტა დაწყენარდა, რაც მოკვდა და ხმას აღარ იღებს.

ლეპორელო

შენ ასე ფიქრობ? მაგრამ ნახე, როგორ გიყურებს

გაბრაზებული, კოპშეყრილი და მოქუფრული,
შეხედე ქანდაკს.

დონ ჟუანი

მაშ უთხარი, ხვალე მოვიდეს,
წა, ლეპორელო, დაპატიჟე დონნა ანასთან!

ლეპორელო

ძეგლი მე სტუმრად დავპატიჟო? რატომღა, რისთვის?

დონ ჟუანი

არა იმისთვის, საუბარი გავაბათ მასთან.
უთხარი, ხვალე რომ მოვიდეს დონნა ანასთან,
დადგეს კარებთან საღამოხანს, შებინდებისას,
იღგეს იქ დიდხანს.

ლეპორელო

თქვენ ხუმრობა ინებეთ, ვხედავ.

დონ ჟუანი

წადი, ახლავე წადი.

ლეპორელო

მაგრამ...

დონ ჟუანი

მიდი ამ წუთას.

ლეპორელო

კეთილშობილო და წარმტაცო ქანდაკებაო!
ჩემმა ბატონმა, დონ ჟუანმა მე დამავალა,
დამეპატიჟეთ... ოი, ღმერთო, არ შემიძლია!
მე მეშინია.

დონ ჟუანი

შე მშიშარავ!

ლეპორელო

კარგი, კიდევ ვცდი.
ჩემი ბატონი, — დონ ჟუანი გთხოვთ, რომ მობრძანდეთ
ხვალ, საღამოხანს, კართან დადგეთ თქვენი მეუღლის...
(ქანდაკება თავს უქნევს თანხმობის ნიშნად)
ვაიმე!.. ღმერთო!..

დონ ჟუანი

რა, რა ხდება? რა მოგივიდა?

ლეპორელო

მოკვდები ახლავ...

დონ ჟუანი

აღარ იტყვი, რა მოგივიდა?

ლეპორელო

(თავს უქნევს)

ძეგლმა... ვაიმე...

დონ ჟუანი

რას იხრები? რა დაგემართა?

ლეპორელო

მე არა, ძეგლი.

დონ ჟუანი

რაო? რაო? ხომ არ გაბოდებს?

ლეპორელო

მიდით, თქვენ მიდით, თვითონ ნახავთ.

დონ ჟუანი

ახლა უყურე.

(ძეგლს)

მე, მეტაურო, მინდა გთხოვო, რომ ხვალ მობრძანდე შენს მეუღლისას, მასთან ერთად იქ მეც დაგხვდები, შენ უნდა დადგე ხვალ კარებთან, როგორც დარაჯი, რას იტყვი, მოხვალ?

(ძეგლი ისევ თავს აკანტურებს)

ჰოი, ღმერთო!

ლეპორელო

ა? ხომ გითხარით?

დონ ჟუანი

დროა წავიდეთ, მივატოვოთ ჩვენ ეს ადგილი.

სცენა IV

დონნა ანას ოთახი
დონ ჟუანი და დონნა ანა

დონნა ანა

აი, მიგიღეთ, დონ დიეგო. მაგრამ მე ვწუხვარ, ჩემი ამბავი სევდიანი თქვენ მოგწყინდებათ. ქვრივი ვარ ერთი, შესაბრალო და მგლოვიარე ჩემი ცრემლები და ღიმილი, —ორივე ერთია. რატომ ხართ ჩუმად, ხმას არ იღებთ?

დონ ჟუანი

მე უხმოდ ვტკბები,

თქვენი ზღაპრული სილამაზით, ო, სენიორა.

აქ ყოფნა სხვაა, აწ შორსაა იგი აკლდამა

მეუღლის თქვენის — ამა ქვეყნად უნეტარესის.

მარმარილოს ქმრის დასატირად არ ხართ დახრილი,

მუხლმოყრით მდგარი, მისი სულის მავედრებელი.

დონნა ანა

თქვენ საფლავზეც კი ეჭვიანობთ, ო, დონ დიეგო,

და ჩემი ქმარი — დაკრძალულიც რატომღაც გტანჯავთ.

დონ ჟუანი

არ ვეჭვიანობ, რადგან თქვენი რჩეული იყო.

დონნა ანა

ო, არ ყოფილა. მე მიბრძანეს, რომ გავყოლოდი, მიბრძანა დედამ, ღარიბები რადგან ვიყავით.

თვითონ კი, თვითონ დონ ალვარი — მდიდარი გახლდათ.

დონ ჟუანი

მშურს ბედნიერის.

განძეული თვისი დიდძალი

მან მოიტანა და დააწყო ქალღმერთის ფერხთით,

ამით შეიქმნა ყველა არსზე უნეტარესი.

თქვენ რომ მცნობოდით უფრო ადრე, მთელს ჩემს სიმდიდრეს

განაცვალეზდით უყოყმანოდ, ყოველ მისხალით.

ოღონდაც მაგ თქვენს ნათელ ღიმილს მე ვღირსებოდი,

მე თქვენი ნების ვიქნებოდი მონა-მორჩილი,

აღმსრულებელი, დონნა, ყველა თქვენი სურვილის.

მაშინ ცხოვრება გექცეოდათ დღესასწაულად,

მაგრამ მე ბედმა მომისაჯა სულ სხვა სიცოცხლე.

დონნა ანა

ჰოი, გაჩუმიდით, დონ დიეგო, ახლავ შეწყვიტეთ

მაცდუნებელი, ცოდვიანი ეგ ლაპარაკი.

ჩემთვის კი — თქვენი სიყვარული არ შეიძლება,

კუბოს კარამდე უნდა ვიყო ქმარის ერთგული.

როგორი მწველი სიყვარულით ვუყვარდი ალვარს,

ის არასოდეს მოიყვანდა სატრფოს ბინაში,

თავად რომ ქვრივი გამხდარიყო, არა მე, რადგან

ისევ ერთგული ყოფილიყო ცოლ-ქმრული აღთქმის.

დონ ჟუანი

თქვენ სულს მიტანჯავთ წამდაუწუმ ქმარის ხსენებით.

მეყოფა, კმარა, მე ისედაც ბევრი ვიწვალე.

დავიმსახურე, შეიძლება.

დონნა ანა

კი მაგრამ რატომ?

არ გაკავშირებთ არავისთან მოყვრული ჯაჭვი,

თქვენ მართალი ხართ ჩემს წინაშე და ცის წინაშეც,

რომ შემიყვარეთ.

დონ ჟუანი

თქვენს წინაშე! ღმერთო მაღალო!

დონნა ანა

რაო, არა ხართ? მაინც რისთვის? გთხოვთ მიპასუხოთ.

დონ ჟუანი

ვერა. ო, დონნა, მე ვერ გეტყვით, გთხოვთ, რომ არ მკითხოთ.

დონნა ანა

მაინც რა არის, დონ დიეგო? რაში ტყუიხართ?

დონ ჟუანი

არა, ვერ ვიტყვი.

დონნა ანა

რატომ ვერა? მოვითხოვ, ვბრძანებ.

დონ ჟუანი

ო, ვერა-მეთქი.

დონნა ანა

აი, ხედავთ? სურვილს „მისრულებთ“!

განა წუთის წინ არ ნატრობდით მონობას ჩემსას?

მე გავბრაზდები, დონ დიეგო, მითხარით ჩქარა,

რაში ხართ ჩემთან დამნაშავე?

დონ ჟუანი

მაინც ვერ ვიტყვი,

თქვენ შეგზიზღდებით.

დონნა ანა

არა, არა, მე თქვენ გპატიობთ,

თუმც მწვავეს სურვილი რომ გავიგო, რაა მიზეზი.

დონ ჟუანი

მკვლელობის ცოდვას, მე შეგთხოვთ, ნუ გამამხელებთ.

ეს საშინელი, ამაზრზენი ამბავი გახლავთ.

დონნა ანა

ო, ამაზრზენი! — თქვენ მაშინებთ და თან მიზიდავთ.

გაფიცებთ, მითხრათ, მაინც რითი შეურაცხმყავით?

მე არ გიცნობდით, მტრები კიდეც ჩვენ არა გვყავდა,

თუკი არ ჩათვლით, რა თქმა უნდა, მკვლელს ჩემი ქმრისა.

დონ ჟუანი

(თავისთვის)

იხსნება საქმე!

დონ ჟუანი ხომ გაგიგიათ?

ის უბედური, ცუდ ვარსკვლავზე დაბადებული.

დონნა ანა

კი, თუმც მე იგი არ მინახავს.

დონ ჟუანი

გულში რასა გრძნობთ

მის მიმართ? მტრობას?

დონნა ანა

სხვას რას უნდა ვგრძნობდე მისდამი!

მაგრამ თქვენ მაბნევთ, ცდილობთ კითხვა გადამავიწყოთ.

მამ ასე, მითხარ...

დონ ჟუანი

დონ ჟუანს რომ შეხვდეთ, რას იზამთ?

დონნა ანა

გულს გავუპობდი მას მახვილით შეუბრალებლად.

დონ ჟუანი

სად გაქვთ ხანჯალი? აი ჩემი — ცოდვილის გული.

დონნა ანა

რას ამბობთ ერთი? თქვენ, დიეგო ხომ არ გაბოდებთ?

დონ ჟუანი

არა დიეგო — დონ ჟუანი ზის თქვენს წინაშე.

დონნა ანა

ო, არა, არა, ტყუილია, არ შეიძლება.

დონ ჟუანი

ვარ დონ ჟუანი.

დონნა ანა

ტყუილია!

დონ ჟუანი

მოგიკალ ქმარი,

მონანიებას არც ვაპირებ. ჩემი სინდისი

არ მქენჯნის სრულად.

დონნა ანა

არა, არა, ვერ დავიჯერებ.

დონ ჟუანი

ვარ დონ ჟუანი და მიყვარხარ.

დონნა ანა

(ეცემა)

ღმერთო, ცუდად ვარ...

დონ ჟუანი

ო, დონნა ანა, რა გჭირთ? მითხარ, რა დაგემართა?

ადექი ჩქარა, შენს ფერხთით ვარ შენი დიეგო,

ცნობას მოეგე...

დონნა ანა

წადით, წადით, დამტოვეთ მარტო...

(სუსტად)

წადი შენ, მტერო, ვინც წამართვი ყველა ნუგეში.

დონ ჟუანი

ნაზო ქმნილებავე! მე მზადა ვარ გამოვისყიდო,

რაც შემიცოდავს თქვენს წინაშე, ყოველი ცოდვა.

მოველი ახლა თქვენს განაჩენს, გინდათ — მოვკვდები,

გინდათ — იფეთქებს ჩემი გული მარტოდენ თქვენთვის.

დონნა ანა

მაშ, თქვენ ყოფილხართ დონ ჟუანი...

დონ ჟუანი

დიახ, ეს მე ვარ,

უსაშინლესად გყავდით ალბათ წარმოდგენილი.

ჩემი ვედრება, დონნა ანა, იქნებ არც იყოს

მთლად საზიზღარი. თუმცა ამ ჩემს გადაღლილ სინდისს

აწევს მრავალი ცოდვა, რადგან მე გარყვნილებას

საკმაო ხანი ვშეგირდობდი საუბედუროდ,

მაგრამ როგორც კი დაგინახეთ, ვფიცავ წმინდა ცას,

ახლად ვიშვიო თითქოს, ცოდვილს ასე მგონია,

მე თქვენი სახით ღვთაებრივი სიკეთე ვცანი,

მუხლს ვიყრი რწმენით და იმედით მაგ სიკეთისა.

ჩემს ცხოვრებაში სულ პირველად ვიწამე იგი.

დონნა ანა

მჭევრმეტყველია დონ ჟუანი, როგორც მსმენია,

მაცდუნებელი და ეშმაკი, მე ესეც ვიცი.
ამბობენ, რომ თქვენ გარყვნილების მოციქული ხართ
ავი დემონი მრუშობისა. რამდენი ქალი
თქვენ დაგიღუპავთ და ეგ სული წაგიწყმედათ.

დონ ჟუანი

არცერთს, არცერთს არ ეკუთვნოდა ეს ჩემი გული.

დონა ანა

ოღონდ არ მითხრათ, რომ პირველად მე შეგიყვარდით
და ჩემი სახით მორიგ მსხვერპლს არ ელაციცებით.

დონ ჟუანი

მე რომ მდომოდა მოტყუება თქვენი, მაშ რატომ
ვთქვი ყველაფერი თქვენს წინაშე და აგაშფოთეთ?
რატომ გიხსენებთ ის სახელი, რომელიც თქვენ გძულთ,
აბა სად არის აქ ტყუილი, ანდა მზაკვრობა?

დონა ანა

ვინ იცის, იყოს! ახლა ეს თქვით, რად ჩამოხვედით,
სახიფათოა თქვენი მოსვლა. რომ გიცნონ, მაშინ?
ო, თქვენ მოგკლავენ უეჭველად, ჩამოგახრჩობენ.

დონ ჟუანი

მერე რა მოხდა, პაემანის ნეტარი წუთი
მე მიჩრევნია გრძელ სიცოცხლეს, გთხოვთ, დამერწმუნოთ.
რას არ მიცემდით ამ ერთ წუთში, — თავად ცხოვრებას!

დონა ანა

როგორ დატოვებთ ახლა ჩემს სახლს, მოუსვენარო?

დონ ჟუანი

(ხელზე კოცნის)
მადლობელი ვარ, რომ თქვენ ზრუნავთ ამ სიცოცხლისთვის,
გადაეყარა მძულვარება თქვენს გულს ჩემდამი?
გულს უმანკოსა და ცისიერს...

დონა ანა

ნეტავ შემეძლოს,
რომ შეგიძულოთ... იწურება პაემანის დრო.

დონ ჟუანი

როდის ვიხილავთ ჩვენ ერთმანეთს?

დონა ანა

არა ვიცი-რა.
ოდესღაც ალბათ.

დონ ჟუანი

ხვალ? ხვალ არა?

დონა ანა

სად შევხვდეთ?

დონ ჟუანი

აქა.

დონა ანა

ჰოი, დონ ჟუან, რა დამთმობი ვარ, რა დამყოლი.

დონ ჟუანი

გთხოვთ მხოლოდ კოცნას პატიების აღსანიშნავად.

დონნა ანა

დროა წახვიდე.

დონ ჟუანი

მხოლოდ ერთი, გულგრილი კოცნა...

დონნა ანა

შენ უკვე თავი მომაბეზრე ამდენ ლაყბობით.

აჰა, გაკოცე, ახლა წადი. რა კაკუნია?

ო, დაიძალე, დაიძალე სასწრაფოდ, ჩქარა.

დონ ჟუანი

მშვიდობით, ჩემო უნაზესო, ზეცის ქმნილებავ!

(გადის და მალე ისევ შემორბის)

ა!..

დონნა ანა

რა, რა მოხდა? ა!..

(შემოდის მეთაურის ძეგლი.

დონნა ანა ეცემა)

ძეგლი

მოვედი, თქვენ დამიძახეთ.

დონ ჟუანი

ო, ღმერთო! დონნა, ხმა გამეცით, რა გემართებათ?

ძეგლი

შეეშვი, კარგი, აღსასრული მოგველის ყველას.

შენ კი კანკალებ, ხომ, დონ ჟუან!

დონ ჟუანი

მე არ ვკანკალებ.

მე დაგიძახე, მიხარია — მართლაც მოხვედი.

ძეგლი

მომეცი ხელი.

დონ ჟუანი

ჰოი, ღმერთო! რა მაგრად მიჭერს!

ჩემი მტევანი მის ხელებში ლამის დაიმსხვრეს!

შემეშვი, კმარა! ოჰ, გეყოფა, გეყოფა-მეთქი!

ო, ვიღუპები... აღსასრული... ო, დონნა ანა!..

(ქრებიან)





ცხინი შავი ჭიხის ეახს

უიღსონის ტიგედიიდან
"ემიანი ქაღაქი"

*ქუჩა. გაშლილი მაგიდა.
რამდენიმე მონადიმე მამაკაცი და ქალი.*

ახალგაზრდა კაცი

პატივცემულო თავმჯდომარე! მე მოგაგონებთ ერთ ადამიანს, ჩვენთვის ასე ნაცნობს, ახლობელს, ვისი ხუმრობაც, მონათხრობი გასაცინარი, ენაკვიმატი პასუხები და რეპლიკები, — თავშესაქცევი, საქმიანიც იმავდროულად, — ახალისებდა მუდამ სუფრას, აცხოველებდა ფრიად მუსაიფს და ფანტავდა სევდიან წყვილადს, აქ რომ ჩამოწვა მას შემდეგ, რაც გვესტუმრა ჟამი, — თვით უბრწყინვალეს გონებათა მაშფოთებელი. ორიოდ დღის წინ ხარხარით და აღფრთოვანებით შევასხით ხოტბა ამბებს მისგან განაგონს. არა, არ შეიძლება დავივიწყოთ ჩვენ დღეს ჯექსონი, ამ ჩვენს ნადიმზე მხიარულზე! რა ცარიელნი დგანან ეს მისი სავარძლები, თითქოს ელიან უებრო მომღებენს. — მაგრამ იგი აწ განისვენებს ცივ მიწისქვეშა საცხოვრისში, არ დაბრუნდება; თუმც ენას მისას დადუმება არ სურდა მჭევრსა, — თვით კუბოშიც კი. ჩვენ ბევრნი ვართ ჯერაც ცოცხლები, და ამიტომაც მოწყენისთვის ვერ ვხედავ მიზეზს. მამ, შევსვათ მისი მოგონების, ავაწკრილოთ ეს სასმისები უდარდელად, თითქოს ვუცქერდეთ მას ცოცხალს.

თავმჯდომარე

იგი პირველია, ვინც ჩვენ დაგვაკლდა. დავლიოთ ჩუმად მისი ხსოვნის.

ახალგაზრდა კაცი

მოდი, დავლიოთ!
(ჩუმად სვამენ)

თავმჯდომარე

მშობლიურ ჰანგებს ვით უხდება შენი ხმა, კარგო, ველურ სიტკბოს, რომ ღვრის იდუმალ.

გვიმღერე, მერი,
გვიმღერე რამე ხანგრძლივი და დასალონები,
რათა ჩვენ მერე კვლავ გიჟმაჟი თავდავიწყებით
მივმართოთ ლხინს და სიხარულსა, როგორც ნეტარმა
სულმა ამ მიწას განარიდმა, ზეცას ასულმა.

მერი

(მღერის)

ცისქვეშ ერთ დროს ჩვენი მხარეც
ჰყვაოდა და იყო ლალი,
კვირაობით ივსებოდა
ეკლესია — უფლის სახლი.
და სკოლებში მოწკრიალე
ზარად რეკდა ბავშვთა ხმები,
ნამგლის შუქით ნათდებოდა
ჩვენი მწვანე სანახები.
აწ ტამარში არვინაა,
სკოლა არის ჩარაზული,
ჭირნახული არ გვარგია,
გულს ჰკლავს ჭალა უკაცური.
და სოფელი საყვარელი
ჩანს, ვით სახლი ნახანძრალი,
დუმს ყოველი, ჩქამობს მარტო
სასაფლაო ვერგამძლარი.
დიან ცხედართ გრძელი რიგნი
და ცოცხლების მოთქმაც დიდობს,
ღმერთს შესთხოვენ შიშნეულად, —
განსაცდელი აარიდოს.
ჭირს ადგილის შოვნაც უკვე
და სამარხი სამარხს ეკვრის,
ვით შემკრთალი ირმის ჯოგი,
მინდვრად როცა გნიასს შექმნის.
თუ საფლავმა ნაადრევმა
მე მომისპო ყვავილობა,
შენ, ჩემს მიჯნურს, ვისი ტრფობა
გულზე მაჩნდა ტკბილ ჭრილობად, —
გვედრები: არ შეეხო
შენი ჯენის ტანს სასურველს,
მკვდარს ბაგეს ნუ დაუკოცნი,
გაშორდი, ვით შხამიან გველს.
გაეცალე სოფელს სულაც!
წადი სადმე, სადაც გნებავს,
სადაც შეძლებ ტკივილების
დაყურებას, დასვენებას.
როს გაქრება ჟამი, მაშინ
ჩემს საფლავთან მოდი ობლად,
ჯენი კი ღმერთს შეავედრებს

ძვირფას ედმონდს იმასოფლად!

თავმჯდომარე

მადლობას გიძღვნი, ფიქრნათელო მერი, ყველანი;
მიიღე იგი სევდიანი ამ სიმღერისთვის.
წარსულ დღეებში ასეთივე ჟამიანობა
ესტუმრა ლამაზ სერებს თქვენსას, თქვენს საცხოვრებელს,
ასე ისმოდა კიდით-კიდე ირგვლივ გოდება
და გულისმწყველად ხევ-ნაკადულთ ეფინებოდა;
იმ ნაკადულებს, აწ რომ ხტიან ქვებზე ანცები,
რომ კისკისებენ შენი მიწის ველურ ედემში.
შავბნელმა წელმა შავი მიწა მრავალს არგუნა:
კეთილს, მშვენიერს, გულმამაცს და დიდბუნებოვანს,
და მაინც იმ წლის მოგონება მკრთალად თუ გაკრთა, —
მხოლოდღა ამო სევდის მომგვრელ მწყემსურ ღიღინში.
არა, ჩვენ ისე არაფერი გვალონებს ლხინში,
როგორც დაღლილი, მშვიდი ბგერა გულსმოსახვედრი.

მერი

რა იქნებოდა, რომ მშობელთა ქოხის კიდეგან
მე არ მემღერა არასოდეს! როგორ უყვარდათ
ჩემი მოსმენა. მშობლიური კერის მახლობლად
მიჯობდა მღერა, საკუთარ თავს იქ უკეთ ვგრძნობდი.
მაშინ ხმა მქონდა უფრო ტკბილი და გამჭვირვალე,
რადგან ბადებდა მას სიწმინდე, უცოდველობა.

ლუიზა

აწ აღარაა ეს ჰანგები უკვე მოდაში!
თუმცა არიან ჯერაც ისევ მარტივი სულნი,
ქალურ ცრემლზე რომ ჩვილდებიან და მისი ბრმად სწამთ.
ქალი კი ფიქრობს — ვერა ძალა ვერ აღუდგება
წინ მის ცრემლიან გამოხედვას... ის რომ ღიმილზეც
ასე ფიქრობდეს, გაღიმებულს ნახავდი მუდამ.
ფრიად აქებდა ვალსინგამი ჩრდილოელ ასულთ, —
მტირალა ტურფებს: და ამანაც მოთქმა დაიწყო.
ვერა, სიყვითლეს შოტლანდიურ თმისას ვერ ვიტან.
თავმჯდომარე
მიაყურადეთ: მგონი მესმის ხმაური თვლებს!
(მოდის ურემი, ცხედრებით დატვირთული, რომელსაც ზანგი მართავს)
აჰა! ლუიზა ცუდად არის. მისმა სიტყვებმა
მაფიქრებინა, რომ უძგერდა მამაცი გული,
თუმც სისასტიკე სინაზეზე უფრო სუსტია,
და სულში შიში მწველ ვნებათა გვერდით ბინადრობს.
მერი, მისახი მას სახეზე წყალი... მოკეთდა.

მერი

დავ ჩემი დარდის და შერცხვენის, მოდი, მომეყრდენ
ამ მკერდზე

ლუიზა

(გონს მოსული)

ვნახე ამაზრზენი დემონი სიზმრად:
მთლად შავი, შავი, უელავდა თეთრი თვალები,
თავის ურემში მე მიხმობდა, ის სავსე იყო
მკვდრებით, რომლებიც ჩურჩულებდნენ საშინელ სიტყვებს.
ზმანება იყო თუ სიცხადე, მითხარით მალე,
მართლა ურემმა ჩაიარა?

ახალგაზრდა კაცი

აბა, ლუიზა,
გამხიარულდი. მართალია, ქუჩა ჩვენია,
თავშესაფარი — სიკვდილისგან ჩვენი დამხსნელი,
ადგილი ლხინთა სად არ-რაა აღმაშფოთები,
მაგრამ ეს კია, ამ შავ ურემს ყოველგან ძალუმს
მისვლა-მოსვლა და ჩვენც გზა უნდა მივცეთ უთუოდ.
ახლა მისმინე შენ, ვალსინგამ: რომ მსწრაფლ აღკვეთო
აქ კამათი და გულისწასვლა ქალების, მოდი,
გვიმღერე რამე, — ვნებიანი, ძალისმომცემი,
და არა რაღაც შოტლანდიურ სევდით აღსავსე;
მჩქეფი სიმღერა, აწყვეტილი, ცეცხლში შობილი.

თავმჯდომარე

არა-რა ვიცი მე ასეთი, მაგრამ გიმღერებთ
ჰიმნს, შავი ჭირის სადიდებელს, — მე ის დავწერე
წუხელის, როცა ჩვენ დავშორდით ერთურთს, მას შემდეგ.
ლტოლვა ვიგრძენი უცნაური — რითმებისადმი
პირველად მთელ ჩემს ცხოვრებაში! მაშ, მომისმინეთ.
შეეფერება ჩახრინწული ჩემი ხმა ამ ჰანგს.

მრავალნი

მშვენიერია! ჰიმნი ჟამის პატივსაცემად!
ჰიმნი შავ ჭირზე! bravo! bravo! გისმენთ ყველანი.

თავმჯდომარე

(მღერის)

როცა ზამთარი მკაცრი, თავნება,
მხნე ბელადივით გამოუძღვება
ჩვენსკენ ურიცხვ და დაწყობილ ლაშქარს
თვისი ყინვების და ფანტელების, —
ელავს ბუხრები და ჟამი დგება
ზამთრეულ ლხინთა შმაგი ცხელების.

...

აწ დედოფალი მძვინვარე — ჟამი,
უფრო ანჩხლდება წამითი-წამით,
მსუყე საკვებით ველარ გამძლარი.
ბარს გვიკაკუნებს მესაფლავისას
ფანჯრებზე დღისით, შუაღამისას...
რა, რა ვიღონოთ, შველა სად არი?

...

ვით ზამთარს, ასე რომ ავობს, ბრაზობს,
შავ ჭირსაც კარი ჩვენ ჩავურაზოთ!

ცეცხლი დავაგზნოთ, შევავსოთ ჭიქა,
თავს სიხარულის მივცეთ უფლება,
ლხინით, მეჯლისით აქაც და იქაც
ხოტბა შევასხათ ჟამის სუფევას.

...

რადაცით გვხიბლავს და გვართობს ბრძოლა,
მერე რა, მასში შიშიც რომ ხრჩოლავს.
როს ოკეანე ღმუის, ჩვენ ვტკბებით,
შვებას გვგვრის ბნელში ტალღების ომი;
ვით ფრენას მძაფრი გრიგალის ფრთებით,
ვუმღერი შავ ჭირს, აგზნების მდომი.

...

ყოველი, რაიც მოკვლას გვიქადის,
გულში უტკბილეს ჟრუანტლად დადის.
უკვდავებაა ეს აღტყინება
და ბედნიერი იგი იქნება,
ვინაც იხილავს თავის წინაშე
სიკვდილის აჩრდილს საფრთხის წვიმაში.

...

ასე, იდიდე, ჟამო, მარადის!
საფლავზე ფიქრით გული აღარ თრთის:
არ ვეპუებით დამნაცრავ გუგუნს,
ვსვამთ და ვქეიფობთ დღითა თუ ღამით...
და ვეწაფებით ვარდივით გოგოს
სუნთქვას... ვინ იცის, აღსავსეს ჟამით!
(შემოდის მოხუცი მღვდელი)

მღვდელი

ეს რა ნადიმი გაგიმართავთ ღვთისმგმობელ შეშლილთ!
მაგ ღრეობით და გახრწნილ ჰანგით ბილწავთ სიჩუმეს,
სიკვდილის მიერ გავრცელებულს ირგვლივ, ყოველგან!
ვლოცულობ მუდამ: გულისმომწყვლელ დაკრძალვებს შუა,
სასაფლაოზე — გაფითრებულ სახეთა შორის,
ხოლო ეგ თქვენი აღტაცების შეძახილები
სიმშვიდეს ურღვევს კუბოებს და აშფოთებს მიწას,
მიცვალებულებს რომ აყრია ჟამით შემუსრულთ.
დედაკაცთა და მოხუცებულთ ლოცვა რომ არა,
რაიც ანათებს უვრცეს უფსკრულს პირქუშ სიკვდილის,
ვიტყოდი — ალბათ ტარტაროზნი სტანჯავენ-მეთქი
სულს წაწყმედილი უღმერთოსი და თან ხორხოცით
მას მიათრევენ სამუდამო წყვდიადისაკენ.

რამდენიმე ხმა

ის ჯოჯოხეთზე ოსტატურად მსჯელობს ძალიან!
ჰე, ბერიკაცო! სჯობს, რომ ისევ შენს გზას გაუყვე!

მღვდელი

ჩვენთვის ჯვარცმული მაცხოვარის გაფიცვებთ სისხლსა,
შეწყვიტეთ ლხინი საზიზღარი, თუ გინდათ ზეცად

შეხვდეთ დაკარგულ ძვირფას სულელებს. წადით სახლებში!

თავმჯდომარე

სახლები სევდით არის სავსე. ჩვენს სიჭაბუკეს
სწყურია მხოლოდ სიცილი და მხიარულება.

მღვდელი

ვალსინგამ, ნუთუ ეს შენა ხარ? სწორედ ის, ვინაც
სამი კვირის წინ იხუტებდა გულში დედის ნეშტს
და ქვითინებდა დაჩოქილი მშობლის საფლავთან?
იქნებ გგონია, ახლა იგი მწარედ არ მოთქვამს,
ციდან მოლხინარ შვილის მჭვრეტი, გაოგნებული,
მსმენელი შენი მღვრიე ხმის და ბილწი ჰანგების?
ყველგან გაისმის მხოლოდ წმინდა ლოცვა-ვედრება
და მძიმე ოხვრა! გამომყევი!

თავმჯდომარე

რატომ მოდიხარ,

სულს რად მიშფოთებ? ვალად არ მძევს, რომ შენ წამოგყვე.

აქ მიმაჯაჭვა საზარელმა მოგონებებმა,

განწირულობის ცივმა გრძნობამ, შეგნებამ ჩემივ

უმწეობისა; ჩქამმა მკვდარი სიცარიელის,

რომელიც მესმის გამუდმებით საკუთარ სახლში!

აქ ვპოვე კრულმა ზღვარსგამცდარი მხიარულება,

და ამ თასების ტკბილი შხამი, და მოფერება

მიცვალებული, საყვარელი არსების (ღმერთო,

შემინდე ცოდვილს, რაც ბაგიდან ამომცდა ახლა)...

ამ ადგილს ვეღარ განმაშორებს დედის აჩრდილიც,

აწ გვიანაა, — თუმცა კარგად მესმის შენი ხმა,

ასე რომ მიხმობს. ვაფასებ ცდას ჩემი შველისას,

წადი მშვიდობით, ბერიკაცო! მაგრამ რომელიც

შენ თან გამოგყვეს, წყეულ იქმნეს სამარადჟამოდ!

მრავალნი

ო, bravo! bravo! ღირსეული თავმჯდომარე გვყავს!

ეს ქადაგება შენთვის იყო! წა, გასწი, გასწი!

მღვდელი

უმანკო სული მატყილდასი მოგიხმობს ზეცით!

თავმჯდომარე

(დგება)

მალა აღაპრე ეგ გამხმარი, ფერმკრთალი ხელი

და შემომფიცე, რომ მის სახელს შენ დაეხსნები,

ვისაც კუბოში სძინავს უკვე მარადი ძილით.

ნეტავი მისი მზერისათვის, აწ უკვდავისთვის,

დაფარულიყო ეს სურათი აქ გადაშლილი,

ოდესღაც იგი მიმიჩნევდა ზვიად და წმინდა,

თავისუფლების მეტრფე კაცად და კიდეც ჰპოვა

სამოთხე ჩემთან, ჩემს მკლავებში... სად ვარ ამჟამად?

უბიწო შვილო ნათლისაო! გხედავ იქ, სადაც

ვერ ამოაღწევს ჩემი სული ეგზომ ცოდვილი!

ქალის ხმა
ჭკუას გადასცდა, ბოდავს ცოლზე მიცვალებულზე!

მღვდელი

წავიდეთ, შვილო...

თავმჯდომარე

დამეხსენი, გვედრებ, მამაო,

ღვთის გულისათვის!

მღვდელი

დაგიფაროს ისევ უფალმა!

შემინდე, შვილო.

(მიდის. ლხინი გრძელდება. თავმჯდომარე რჩება,

ღრმა ფიქრებში დანთქმული.)



წინასწარმეტყველი

ბნელ უდაბნოში მოხეტიალეს
როცა მქენჯნიდა სულის წყურვილი,
გზად მომევლინა მე ექვსფრთიანი
ღვთის სერაფიმი შუქით ბურვილი.
შემეხო ხელით თვალებზე იგი,
მსუბუქით, როგორც სიზმართა რიგი,
ვიგრძენ ახელა თვალისჩინისა,
მსგავსად დამფრთხალი ძუ არწივისა;
მერე შეეხო ჩემს ყურებს ნელა,
გრგვინვამ და ზარმა ამივსო სმენა,
ვიგზნე ცის თრთოლვა ანაზდეული
და გადაფრენა ანგელოზების,
ზღვაში დინება მცურავთ ჯოგების,
თრთოლვა შორეულ ვაზის ეულის.
მერე მან ბაგეს ჩემსას დახედა,
და ცოდვიანი ენა წამკვეთა,
ფუჭად მჭევრი და მოხერხებული;
და სისხლიანი თავის მარჯვენით
ჩამიდგა ბაგეს ღიადდარჩენილს
მე გველის ენა სიბრძნით ცხებული.
მერე მახვილით მკერდი განგმირა
და ამომართვა გული მღელვარე,
და ჭრილობაში ჩადო სახმილად
მან ნაკვერჩხალი ცეცხლმოელვარე.
ვით მკვდარი, ვიწექ უდაბნოს ხვატში
და მომიწოდა უფალმა მაშინ:
„აღსდექ, ისმინე, წინასწარმხედო,
აღგავსოს ჩემმა ნებამ სრულებით,
მოივლი ზღვებს თუ გზებს სახმელეთოს,
ააგიზგიზე სიტყვით გულები!“




მოგვი

სულით მწყურვალნი დავძრწოდი ოდეს
და წინ უდაბნო გზასაყარს შლიდა,
უცხო სერაფიმს ექვსი ფრთა ჰქონდა,
რომ მომევიღინა მაშინ მე ციდან.
ზმანებასავით მსუბუქი თითნი
ნაოც თვალებზე მომისვა ნელად,
ვგავდი ძუ არწივს, დამფრთხალი ვით თრთის,
როცა განვახვნე თვალნი პირველად.
შეეხო მერე ყურებს და სმენამ
იგზნო ზარები და შორი რეკვა,
ვიგზნე ცის რყევა, — ვერ იტყვის ენა,
ანგელოზთ გუნდის მთაზემოთ ფრენა,
ზღვის ბინადრებით ფსკერის დაღექვა.
ველად კი ვაზის ამოსვლა ღიმილთ...
პირზე შემეხო მე სერაფიმი,
და ცოდვიანი ენა წარმკვეთა, —
ფუჭ მჭევრობაში ნაოსტატარი,
და ბრძენი გველის ენა მართალი
ჩამიდგა მტევნით, სისხლი რომ სწვეთდა.
კვლავ გამიწონა მკერდს ჯავარდენი
და ამომართვა გული მფეთქავი,
და მყის ნაკვერჩხლით ალადენილით
აღმეგზნო მკერდი განახეთქარი.
ქვიშას განვერთხე, ცხედარი ვითა,
ხოლო უფალმა მარქვა მე ციდან;
„ზე-ადექ, მოგვო ყოვლისმგრძნობელო,
ჰყავნ ნება ჩემი, რამეთუ იშვი,
მოიარ ხმელს თუ წყლის სამფლობელოს,
აღანთე გულნი ღვთიური სიტყვით!“

(„მოგვი“ ზემოთ დაბეჭდილი პუშკინის
„წინასწარმეტყველის“ ვარიანტული თარგმანია, ოღონდ
გაცილებით თავისუფალი)



საჩუქარი ასეთი



კაჩალოვის ძაღლს

ჯიმ, მომეც თათი შენი მე ბედად,
არსად მინახავს ასეთი თათი,
მოდის, შევყეფოთ ჩვენ მთვარეს ერთად,
როს ჩუმ ამინდში ცაზე წევს მნათი,
ჯიმ, მომეც თათი შენი მე ბედად.
ნუ მლოკავ კარგო, ნუ გაწყენს ქება,
გაიგე ჩემი — ტანჯვით თუ ლხენით —
ო, შენ არ იცი, რაა ცხოვრება,
ამქვეყნად რომ ღირს სიცოცხლე ჩვენი.
გყავს შენ პატრონი ცნობილი, სათნო,
სტუმრობენ თქვენს სახლს მანდ არაერთნი,
ყოველი ღიმილს აფრქვევს, პირბადრობს,
ხელს გავლებს ნაზად ბეწვზე ხავერდის.
მშვენიერი ხარ, ვით ჭინკა, ალი,
ამო ზმორებით, ფრთხილად, ნელ-ნელა, —
სტუმრების ფაქიზ ალერსით მთვრალი
მათკენ მიიწევ შენ საკოცნელად.
თქვენს სახლში გააქვთ ერთი რიალი
სხვადასხვა ჯურის ხალხს, ვისაც სუნავ,
მაგრამ, ის, ჩუმი და ნაღვლიანი
მანდ შემთხვევით ხომ არ შემოსულა?
ო, იგი მოვა, პირობას გაძლევ,
და როს შეხედავ მშვიდი სახითა,
დაკოცნე ხელი მისი ჩემს ნაცვლად,
შენ თქვი, დიაცს მარტო მკერდზე
ჰკოცნიდაო ის — საადი,
მაცალე, რომ მეც შევიგრძნო
ამგვარ კოცნის ეშხ-ლაზათი.

ღიღინებდი: „მოკვდავ ქალის
მჯობი ვარდი ევფრატს ჰყვავის“,
მდიდარი რომ ვიყო ახლა,
მივუძღვნიდი ყოველს სხვა ვის!
ავაწყვეტდი იმ ნაზ ვარდებს
ცვრიან მიწას — მათ სავანეს,
რომ ვერავინ სიტურფეში
ვერ ედაროს ნაზ შაგანეს.
ნუ მაწამებ მაგ რჩევებით,
კარგი, ნუ დამასხი რეტი.
მე პოეტად გავჩნდი ქვეყნად,
ვიკოცნები, ვით პოეტი.

შაგანე

ჩემო შაგანე, სათნო შაგანე!
ჩრდილოეთიდან ვარ მე რადგანაც,
მოგიტხრობ, მთვარის შუქნაფენ ყანას
ქარი მღელვარე როგორ აქანებს,
ჩემო შაგანე, სათნო შაგანე!
ჩრდილოეთიდან ვარ მე რადგანაც, —
იქ მთვარე დიდობს ათჯერ თუ ასჯერ,
უკეთესია ჩემთვის შირაზზე,
სამშობლო ჩემი და მისი ნანა,
ჩრდილოეთიდან ვარ მე რადგანაც.
გიტხრობ ველებზე ჩემი მხარისა,
მაჩუქა ჰვავმა ეს თმა ხვეული,
თითს დაიხვია ქერა კულული, —
არ მეტკინება, თვალეზმისავ,
გიტხრობ ველებზე ჩემი მხარისა.
მთვარის შუქნაფენ მღელვარე ყანას
ამგვანე ჩემი ხშირი თმის ტევრი,
ო, ილალობე, იცინე ბევრი,
ნუ მომაგონებ მშობლიურ ნანას —
მთვარის შუქნაფენ მღელვარე ყანას.
ჩემო შაგანე, სათნო შაგანე!
იქ, ჩრდილოეთში, გოგოა ერთი,
სულ შენი მსგავსი, ნაზი, პირთეთრი.
ძლიერ ვუყვარდი მე მას აქამდე...
ჩემო შაგანე, სათნო შაგანე!

ხულიგანი

ჰგვის სველი ცოცხით ტირიფის ფოთლებს
ეს წვიმა მინდვრად. — დაე, წარილოს,
ქარო, ნაფურთხი მიდამოს მოსდე,
ხულიგანი ვარ, შენი არ იყოს.
მე მიყვარს, როცა ლურჯ ტყეში ხარნი
მსხვილი მუცლებით, მავალნი მძიმედ,
აღრევენ ფოთლის გროვებს ტლანქ ტანით,
მუხლისთავებით სვრიან ხის ძირებს.
ჰე, აი ჩემი ნახირი ჟღალი!
ვით ამღერებდა ის ასე სხვა გულს!
ვჭკვრეტ — მწუხრნი ცაზე ჩამონაშალნი
ადამიანის ლოკვენ ნაფეხურს.
შენ, გაუთლელო მხარევე რუსეთის!
გიგალობს სული შენი პოეტის,
ჩემი ცხოველი ლექსების სევდას
მე შენი პიტნით ვასაზრდოებდი.
ამოდი, მწუხრო, მთვარის ხელადავ,
აღმოსვი არყის ხეთა ამო რძე,
ღამე ღამობს, როს თვისი ხელებით
ვიღაც მიახრჩოს სასაფლაოზე.
ბოროტ შხეფებით ივსება ბაღი,
ნაბიჯით ქურდის და ბელზებელის,
ეს თავად მე ვარ იგი ყაჩალი
და სტეპის ცხენთა გამტაცებელი.
რომელს გინახავთ, ველურ ბლის რიგი
ვით დულს მთვარიან ნათელ ღამეში,
მომწყურდა ანცი ბავშვობა იგი,
ხელჯოხით ცისფერ მწუხრში თამაში.
ჩამოდგა ჟამი კულულთა ჭკნობის,
გიზგიზებს გულში სიმღერის ალი,
სასჯელად მამევეს კატორღა გრძნობის
და პოემების წისქვილთ ტრიალი.
მიდამოს მოსდე, ქარო, ნახველი,
სადაც ქროლვაა, ბედიც იქ არის,
ვერ შემცვლის მგოსნის მშვიდი სახელი,
ჩემს სიღერებშიც ვარ ხულიგანი.

დაბადებიდან ეს ბედი იქავ
ყველა არსს ბეჭდავს თავისი დალით,
მე რომ პოეტად არ ვმოზილიყავ,
დამიძახებდნენ ქურდსა და თაღლითს.
მხრებაწურული და ტანმორჩილი,
მტვრიან ქუჩაში ნამამაცები
ო, ხშირად, ხშირად გატეხილ ცხვირით
მე ვბრუნდებოდი სახლში ნაცემი.
თავზარით მჭვრეტდა დედა და ასე
სისხლიან პირით მე ვცრიდი მყისვე: —
„არაფერია! დავეცი ქვაზე,
ხვალ შეხორცდება ჭრილობა ისევ!“
ახლა განელდა იმ დღეთა ალი
და გაიარეს მწველმა ვნებებმა,
დაუდეგარი მშფოთვარე ძალი
გადმოიღვარა ჩემს პოემებად.
ყველა სტრიქონში, რაც მე თქმად ვცადე,
ბრწყინვაში ოქრო-სიტყვათა ხვავის,
აღბეჭდილია ის სიგულადე
აწყვეტილისა და შფოთისთავის.
ამაყად ვვლი და არც ვიცი დაღლა,
სიახლე დელავს ჩემში ფარული,
თუ ადრე მცემდნენ სახეში, ახლა
სისხლიანი მაქვს ერთიან გული.
აწ დედის ნაცვლად ბრბოს ვეტყვი ასე,
ბრბოს, თავს ხარხართ რომ იხალისებს, —
„არაფერია, დავეცი ქვაზე,
ხვალ შეხორცდება ჭრილობა ისევ!“





II სონეტი

შემოდგომაა და წყაროზე დაჭკნა ყვავილი,
ქარმა აშალა ჩამოცვენილ ფოთოლთა კორდი,
მუხა მარჯნებით და არყისხე ბრწყინავს ოქროთი,
მერცხლის სული კი რაღაც შფოთვით არის ავსილი.
— დროა, გავფრინდეთ, ხარ მეგზურის გულში მპოვნელი,
გავფრინდეთ, — უხმობს იდუმალი მერცხლის მოლოდინს,
მოწყენილია, უნდა გაჰყვეს მახილს ბოლომდის,
რტოებს მოწყდება და დამალავს სივრცე სოველი...
როცა გაისმა შორ ქროლვათა ნარნარი ქორო,
ამ სხვენზე აღარ მოფრენილა მერცხალი კვალად,
რადგან ფრენისას ზღვის ტალღებში ეპოვა ბოლო.
ლაურა! შორეთს მიმავალი უბედურ მგზავრად,
იქნებ დავბრუნდე და შენს გულზე სიმშვიდე ვპოვო,
მაგრამ ფუჭია ეს ოცნება... მშვიდობით მარად.





ციკლიდან „მცირე მოთხრობები“ ბაზრის ქუჩაზე

— თქვენ რაიმე სამეურნეო გნებავთ თუ კუბო?

ბაზრის ქუჩაზე ყველაფრის ვაჭრობენ: აქაა მაღაზიების ხვადასხვა საქონლით ტვირთული, საათების მაღაზია, აფთიაქი, აქაა მოსკატელის და საკოლონიო ჯიხურები, რკინა-კავეულის ფარდულები, ჭურჭლის ფარდულები, კიდეც უფრო იქით, თითქმის მთლად ბაზართან, ბოლომდე დარაბებგამოდებული ბუდრუგანებია, საიდანაც დასათვალიერებლად გამოუდგამთ და გამოუწყვიათ ცოცხები, კუბოები, ბარ-ნიჩბები, ფოცხები, ცინცხალი, ბორბლები შავად მბრწყინავი ლილვებით... ივლისია, სამუშაო დღეა, მშრალი და ცხელი, ბაზრის ქუჩა უკაცრიელია — ერთადერთი შემთხვევითი მუშტარი ჩანს — მამაკაცი. ეტყობა, ჩამოსულია. წელან იგი მოაშლიგინებდა ცხენს ჭენებით ტაძრის მხრიდან, ჩანდა —

ფრიად ეჩქარებოდა. მერე შეჩერდა ყველაზე ფართოდ გამოდებული დარაბის წინ. თავის სახედარივით წვრილკანჭა ახალგაზრდა ფაშატზე დაუდევრად შეაგდო ბაზრის სადავე, გამოხტა მტვრიანი ურმის ლატნიდან, რომელიც ნამჯით იყო გატენილი, მზისგან გაცხელებული ქუდი კეფაზე ჩამოიწია ხელით. დგას და უცქერის. — მეურნეობისთვის გინდათ რამე, თუ კუბო გნებავთ?

— კუბო...

— ბატონი ბრძანდებით, არჩევანი ფართოა. უბრალოს არჩევდით თუ მორთულს? კაცმა თვალი მოსწყვიტა ახალთახალ, მაცდუნებლად გამოწყობილ ბარ-ნიჩბებს და ფოცხებს და მხერა გადაიტანა იმაზე, რაც საჭირო იყო, — რასაც ჩაჟამულ სიშავეს ანიჭებდა გამომშრალი უვარგისი საღებავი, რის სახურავებსაც თეთრი ჯვრები ამკობდნენ და ბავშვურად გამოჩორკნილი ფრთოსანი თავები გვერდებზე. — ჰო, კი, რომ არ უშავდეს...

— ისე, ვისთვის გინდათ? ბავშვისთვის? ჭაბუკისთვის თუ ყმაწვილქალისთვის?

ბერიკაცისთვის თუ დედაბერისთვის?

— ბავშვისთვის, ჩემო კარგო, ასე არ შევიწყებდი თავს. ბავშვისთვის თავად

შეკვრავდი;

ახლა კი მთელი თიბვა მიმიტოვებია ყანაში...

— ესე იგი, მამილოსთვის ან დედილოსთვის?

— საქმეც მაგაშია, რომ დედილოსთვის...

— მიახლოვებით რა სიმალლისა იყო? როგორი პროპორციები და ზომები ჰქონდა?

— კაცმა, რომელიც თვალთ არჩევდა შესაფერის კუბოს, ხელისგული გაივლო მხრიდან მხრამდე.

— მაშინ რას იტყოდი, აი, ამ ნიმუშზე?

დახლიდარი სწრაფად ჰკიდებს ხელს მელნისფერ კუბოს თავს, წრისებრი მოხდენილი მოძრაობით აშორებს მას ყველაფერი დანარჩენისგან და კაცის წინ დგამს ტროტუარზე.

— ეს, მგონი, ძალიან ვიწროა. მართალია, იგი გახდა ბოლოს...

— ყველა კუბო, რომელიც მაღალი ხარისხის არაა, ყოველთვის ერთი შეხედვით ვიწრო მოჩანს, მაგრამ იტევს ჩვეულებრივად.

— გამძლეა?

— თავდები ვარ მთელი პასუხისმგებლობით. მეორედ მოსვლამდე გასტანს.

— ახადე, აბა...

დახლიდარი სახურავს ხდის. კაცი იხრება და ყურადღებით ათვალთვლებს. შიგნიდან კუბო შეუღებავია, თლილ, გაუშალაშინებელ ფიცრებს ოქროსფერი დაჰკრავს, ამო სუნი ასდის, ალაგ-ალაგ ფისის მოყვითალო ნალვენთები აჩნევია. ოღონდ ფსკერი მთლიანი ფიცრისა კი არაა, ორი და ისიც არათანაბარი ფიცრისგან შედგება, რომლებიც მთლად უსწორმასწორონი არიან და ერთიმეორეს ცუდად მორგებულნი. რაც მთავარია, მოხერხილი ხის გამოვარდნილ საცობისმაგვარ ნუჟის ნახვრეტი დაუტოვებია ფსკერზე. კაცი გამოცოცხლდა, დიდი დათმობის იმედი გაელვინა:

— არა, ეს ნახვრეტიანია, ზადითაა! ეს წუნია, ჩემო კარგო! მაგრამ ავიღებ, თუ ხუთ მანეთს დააკლებ. ისიც მხოლოდ დედაჩემის გულისთვის!

განწირული სახლი

ერთი იმ ზამთრის ნოტიო დღეთაგანია, ყინულიანი და ბნელი, რომელთა გამოც მოსკოვი ყველაზე საზიზღარ ქალაქად გეჩვენება ქვეყანაზე. უკვე საღამოვდება. ავდივარ დიდ ნიკიტსკოეზე და ვხედავ: წინ, ძველ ორსართულიან სახლთან, ბინდბუნდად მოჩანს ტროტუარზე და ქვაფენილზე შეჯგუფული ხალხი. რა მოხდა? შორიდანვე იგრძნობა რაღაც განსაკუთრებული იმაში, თუ როგორ შესცქერიან ეს ადამიანები სახლს, უახლოვდებიან საათების მაღაზიის ვიტრინას პირველ სართულზე და რაღაცას ემუსაიფებიან ერთმანეთს, თან ყურადღებას არც აქცევენ სახურავიდან ჩამომდინარე წყლის წვეთებს და თოვლჭყაპის ტბორებს ფეხქვეშ. ნაბიჯს ვუჩქარებ და ვკითხულობ, რა მოხდა? მკვლელობას ვეჩქებები თურმე: მარტოხელა მესაათე, რომელიც თავისი მაღაზიის თავზე ცხოვრობდა აქ ამ დილით მკვდარი უპოვიათ — იატაკზე მწოლიარე, თავგაჩეხილი, სისხლში მცურავი... ვინ მოკლა — არავინ იცის: ამბობენ, ვიღაც ახმახმა შავგვრემანმა კაცმაო, რომელსაც ნაჯახით ხელში გაურბენია აქ დილის შვიდ საათზე. რატომ და რისთვის, ასევე უცნობია: მესაათის ნივთთაგან არაფერს აქვს ხელი ნახლები, ფული კი, როგორც იმახიან, მას არ ჰქონდა...

გაოცებული ვათვალიერებ ამ ჩემთვის დიდი ხნის ნაცნობ სახლს: როგორ არ მომდიოდა თავში აზრად, რომ ასეთ სახლში აუცილებლად მოხდებოდა მკვლელობა? ეს გახუნებული კედლები, ეს ჟანგიანი აბრა ვიტრინის თავზე, ჩაშავებული ფანჯრების პირქუში და გამოუცნობი შესახედაობა ზემოთ... ვუახლოვდები ჩემს თავს ვიტრინაში: ბნელი მაღაზიის შიგნით მოჩანან ძველებური საათები, ვიწრონი, მაღალნი, წითედი ხისგან თლილნი, რომელთა ბრინჯაოს ქანქარები (ურთიერთს გადახვეული შეყვარებულების ფორმისა) ნელა ბრწყინავენ, ჩუმად და თანაბრად მოძრაობენ აქეთ-იქით... მე ვუყურებ მაღაზიის კლიტით დაკეტილ კარს, რომლის ქვეშ ტროტუარის მხრიდან მიედინება ტყვიისფერი წყალი, და ვიხსენებ იმას, რაც არაერთხელ დამინახავს დილით აქ გავლისას: თუ როგორ აღებდა თავის მაღაზიას მესაათე, ხანდაზმული, უშნო კაცი თავის გაცვეთილსაყელოიან ქურქით მოსილი, და მასაც ეწვეთებოდა წყალი სახურავიდან და აბრიდან... მწუხრი, ტბორები, ბინძური ნამქერი. წინ, უკაცრიელი ქუჩის გაყოლებაზე სამარისებურად კიაფობენ კანტიკუნტი ფარნები...

წითელი ფარნები

თბილი, შეხუთული სადამო დგებოდა., ეკლესიებში ზარებს რეკდნენ, ხის ძველ ხიდზე, გადამშრალ პატარა მდინარეზე რომ იყო გადებული, საყვირების ხმებით და ბაკა-ბუკით მიიჩქაროდნენ ეტლები — სადგურისაკენ, სადამოს მატარებელზე. მეორე კლასელი გიმნაზისტი ბოლომდე არ მისულიყო ხიდთან, რომ შემობრუნდა და ჩაუყვა ვიწრო, უსწორმასწორო სანაპიროზე ჩამწვრივებულ სახლებს. ეს სახლები იყო რაღაც განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი, ძრწოლის მომგვრელი: მათ პარმადებს დაჰყურებდნენ დიდი წითელი ფარნები და გიმნაზისტმა უკვე იცოდა, რას ნიშნავდა ეს. იგი შეჩერდა ერთ-ერთი მათგანის გასწვრივ, ხის მოაჯირებთან, მდინარის ხეობის თავზე და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ცელქობდა, ონავრობდა უსაქმური: ხან აძვრებოდა მოაჯირზე, ხან ჩამოვიდოდა ისევ, მაგრამ სულ სახლს უყურებდა და აყურადებდა. ოჰ, როგორი საინტერესო იყო ყველაფერი! დაბლა, ნახევრადსარდაფისებურ სართულზე გამოღებულ ფანჯარასთან იჯდა ჟღალულვამა უნტერ-ოფიცერი, — რომელიც მხოლოდ წელამდე მოჩანდა, — უმუნდროდ, ჭრელი ჩითის პერანგის ამარა. იგი ჩექმას აკერებდა, შიგ უყრიდა და ჭიმავდა გასანთლულ ძაფს, თან ხმამაღლა ამბობდა: — შენ აქ რას ღრეობ, რას თავხედობ? როგორც კი სტუმრები მომივლენ, შენ რა ცხვირს ჰყოფ არასაშენო კამპანიაში, უზრდელო? და ვილაც ქალმა მკვეთრი, საზიზღარი ხმით უპასუხა მას ოთახის სიღრმიდან:

— სტყუი! ისევ სტყუი! მე არც გამოვსულვარ, ჩაის ვსვამდი ზღურბლს იქით!

ხოლო სახლის პარმალზე იდგა მაგიდა, ლუდის მუქი ბოთლებით გაწყობილი და მაგიდასთან ისხდნენ: ჟილეტში ჩაცმული ზორბა, წვეროსანი მამაკაცი და წითელკოფთიანი ქალიშვილი. მას მომხიზვლელი, გაშიშვლებული მკლავები მაგიდაზე დაეწყო, რაღაცაზე სწრაფად ლაპარაკობდა და გამომწვევად იცინოდა. უცებ მამაკაცი, რომელიც აქამდე პირქუშად და ჯიუტად დუმდა, ადგილიდან წამოხტა, ბოთლები მიყარ-მოყარა და გოგონას ნაწნავში ხელი ჩაავლო. მეორე გოგო, ლიმონისფერ აბრეშუმის ხალათში, რომელიც პარმალთან ფანჯრის ქვეშ იჯდა და მზესუმზირას აკნატუნებდა, ყვირილით გამოჩნდა ზღურბლზე, მივარდა მამაკაცს და თავში მუშტები დაუშინა. მერე ხელი მოჰკიდა მას ხშირ მუქ თმაში და მაგიდაზე გადაათრია. კაცმა თავი გამოსტაცა, საჯდომით სკამს დაენარცხა, ხელები მაღლა ასწია და უჩვეულოდ მშვიდი ხმით წარმოთქვა:

— ჰო, ჰო, კარგი, კარგი! ყველაფერს გადავიხდი...
ხოლო მესამე გოგო, ცხვირპაჭუა და ფართოსახიანი, რომელსაც ცისფერი ქვედაბოლო ეცვა, ტროტუარზე წინ და უკან მიმოდიოდა ქვედაბოლოს წარმტაცი შრიალით და დაფიქრებული ნაზად რაღაცას ღიღინებდა. მის წინ დარბოდა პატარა ბეწვხშირი ფინია. დახლიდარს, რომელიც გოგოსკენ მოდიოდა და რომელიც ფრიად მოიხიბლა მისი ქვედატანით და მსუბუქ ფეხსაცმელებში წაყოფილი შიშველი ფეხებით, აზრად მოუვიდა შეხუმრებოდა და ლაღად ჰკითხა: — მაძლევთ ნებას ამ ძაღლთან ერთად განყოფილებაში წაგიყვანოთ ასეთი გამოსეირნებებისათვის? გოგომ ამაყად ჩაუარა გვერდზე და ნესტოების ბერვით მოუჭრა:
— წინ იყურე, თვითონ არ წაგიყვანონ ამგვარი სულელი!

ხბოს თავუკა

ბიჭუნა, ასე ხუთიოდე წლისა, ჭორფლიანი, მატროსულაში გამოწყობილი დგას საყასბოსთან მონუსხულის სიწყნარით: მამა წავიდა საფოსტო სამსახურში, დედა კი ბაზრობაზე და ისიც თან წაიყვანა. — ჩვენ გვექნება ხბოს თავუკა ოხრახუმით, — უთხრა დედამ, და მას თვალწინ წარმოუდგა რაღაც პაწაწინა, საყვარელი, ხასხასა მწვანელით შეკმაზული ლამაზად. და აი, ახლა დგას და ხედავს, ყოველი მხრიდან გარს არტყია რაღაცა ბუმბერაზი, წითელი, რკინის ჟანგიან კაუჭებზე ჩამოკიდებული ლამის იატაკამდე, მოკლე, მოჩეხილი ფეხებით და ჭერს მიწვდენილი უთავო კისრებით. ეს უშველებელი არსებანი მის წინ ქანაობენ გაფატრული, ჩამოგრძელებული, ცარიელი, ქონის მარგალიტისდარ ზოდებში მცურავი ფაშვებით, მათ მხრებზე და თეძოებზე კი ბრწყინავს გამშრალ გათქვირებული ხორცის თხელი აპკი. თუმცა, გაოგნებული ბიჭი მხოლოდ თავს უყურებს, რომელიც პირდაპირ მის წინ დევს მარმარილოს სადგამზე. დედაც უყურებს და ცხარედ ეკამათება ფარდულის პატრონს, ასევე ბუმბერაზს და ჩათქვირებულს, წელზე რომ უხეში თეთრი წინსაფარი შეუბამს, ჟანგით საზიზღრად მოთხვრილი, და მოშვებული ქამარი შემოუკვრია ღიპს ქვემოთ, მსხვილი გაქონილი სადანეებით. დედა მას ეკამათება სწორედ იმაზე, — ხბოს თავზე, — და მეპატრონე ბრაზიანად გაჰყვირის რაღაცას, თან კოტიტა თითს ადებს თავს. მასზე ცხარობენ, ის კი უძრავად დევს, არ ერევა. მისი ხარის შუბლი სწორია და მშვიდი, დაბინდულ-ცისფერი თვალები სანახევროდ დახუჭული აქვს, დიდრონი წამწამები საძილედ დაშვებული, ნესტოები და ტუჩები კი ისე გაბერილი, რომ მოთავხედო, უკმაყოფილო იერს აძლევენ... ის მთლად სალუქია, რუხ-ხორცისფერი და რეზინივით მკვრივი... ბოლოს მეპატრონემ ნაჯახის ერთი საშინელი დარტყმით თავი ორ ნაწილად გააპო და ერთი ნახევარი, — ცალი ყურით, ცალი თვალით და ცალი მსხვილი ნესტოთი, — დედისაკენ მიაგდო ბამბისმაგვარ ქაღალდზე.

გოჭუნები

ქარიშხლიანი თავსხმის შემდეგ გოჭუნები სადამოს სეირნობაზე გამოვიდნენ და აღტაცებით შეჩერდნენ ბინძური, მღვრიე გუბის წინ.

— აჰ, რა წარმტაცი, მყრალი გუბია! — შესძახა ყველაზე წინ მდგომმა და დანარჩენებმა ერთხმად დაიჭყვიტინეს:

— Oui! *

ამის მეტი მათ ფრანგულად არაფერი იცოდნენ.

შეხვედრა

ხატობაზე ბატონიშვილი ცხენით გაემგზავრა სოფელს.

გოგო, რომელზეც იგი ესოდენ რომანტიკულად იყო შეყვარებული მაშინ, პარმალზე გამოდგა მორთული, სიხარულით მდიმარი:

— გამარჯობათ. რამდენი ხანია აღარ ყოფილხართ? თქვენ ჯერ კიდევ როდის იყავით სულ ბოლოს: მაშინ ჩვენმა ძუკნამ ლეკვები დაყარა, ახლა კი ჯანმრთელი ძაღლები დაგვეზარდნენ...

მამლები

სანადირო ღამის სათევზე, ქოხის ზღურბლზე პაპიროსით პირში, ვახშმის შემდეგ. სიწყნარეა, ბნელა. სოფელს გადაჰყვივან მამლები. გადმოიხედა ბნელი ქოხის პატარა ფანჯრიდან მის ქვეშ მჯდომმა დიასახლისმა, მიაყურა და ხმის ამოუღებლად. მერე ხმადაბლა, სასიამოვნო მთქნარების შეკავებით, თქვა:

— რა არის, ბატონო, რომ არ გძინავთ? არც თუ ადრეა, ვერა ხედავთ, მამლები შეჰმდერიან შუადამეს...

ჭიანჭველების ბუდე

ზაფხულის სადამოა. იამშჩიკის სამცხენა ეტლი და უბოლოო ხრიოკი შარაგზა... რუსეთში მრავალია უდაბური გზა და ტრამალი, მაგრამ ასეთი უკაცურობა, ასეთი მდუმარება ვიათია. იამშჩიკმა მითხრა:

— ამ ადგილს, ბატონო, ჭიანჭველების ბუდე ჰქვია. აქ ძველად აუარება თათრები გვებრძოდნენ. დიოდნენ ჭიანჭველებით დღე და ღამე, დღე და ღამე და მაინც ვერგვძლეოდნენ... მე შევეკითხე:

— დიდი ხნის წინ?

— უხსოვარი დროის ამბავია, — მიპასუხა მან. — ათასწლეულების წინანდელი!

მარია

ქობმახი. ნაყროვანი სადღესასწაულო სადილი დასრულდა. მოსამსახურეები ჩექმებსა და ქათქათა პერანგებში არიან გამოწყობილნი, მოკლეზე აკრეჭილი გაწითლებული კისრები უჩანთ. ღრიალებს ორი გარმონი, მარდად იმეორებენ: გზა დაუთმეთ, ხალხნო, ჩქარა,

ტრეპაკით მოდის ფედოტი! ილიუშკა და ნატაშა ევლებიან ერთურთს, აკაკუნებენ ფეხსაცმლის ქუსლებით, თან თვალს ვერ უსწორებენ ერთმანეთს.

— მარია, შენ რატომ ზიხარ?

ის არ პასუხობს, პირქუშად მღიმარი მზესუმზირას აკნატუნებს.

— ერთი მაინც გამოითამაშე!

თავს აქნევს, ქვეშ-ქვეშად გასცქერის მოცეკვავეთ თავისი შორი-შორ განლაგებული, ცხვირის დასაწყისთან დაელმებული შავი თვალებით. და უცებ დგება, მოსასხამს ისწორებს მხრებზე... ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ ცეკვავს! უშნოა, სიყმაწვილემოთავებული, დაბალი, გაკნაჭული, ყველას კი გული უჩქროლდება; როგორი მჩქეფარება იგრძნობა ძალთა, იდუმალი ვნებისა, ელვა მეტისმეტი და სიამტკბილე!

ილიუშკა ნესტოებს ბერავს, იატაკზე ქუსლებს აბაკუნებს, ფეხისწვერებზე დგება: უჰ, მოუსვი უფრო ხშირად, უფრო ტკბილი გახდი, უფრო! მარია გვერდით სხლტება, ცოცხალ-მკვდარივით უგულოდ, ცივად მოუჭრის: მე ვროკავდი მხურვალ ლავად და შენ მაინც გეცოტავა...

კაციჭამია

მათხოვარა გოგო, ობოლი, არასასიამოვნო, თუმც კეთილშობილური შესახედაობის, ეტად ჩუმი, თითქმის სულელი — აიყვანეს ბატონის სასახლეში, აძლევენ ყველაზე ბინძურ და ნელ სამუშაოს. წვალობს სიტყვაშეუბრუნებლად, ჩუმად, ყველანაირად ცდილობს ასიამოვნოს. მოურავმა, ისე იგი მსახურთა უფროსმა, გადამდგარმა ჯარისკაც-გრენადერმა, მალე დააკარგვინა მას უმანკოება — ის დანებდა თავგანწირული, თუმც საბრალო ბაღღური წინააღმდეგობის შემდეგ, ერთი თვის მერე დაორსულდა, ყველამ ყველაფერი შეიტყო. მოურავის თანამეცხედრემ ერთი მეხთატეხა დააწია, ქალბატონა ისწრაფა, გოგო გაეგდო. ტირილ-ტირილით გოგონამ როგორც იყო გამოაკრა თავისი ხარახურა ტომარაში, გაიქცა სახლეულისაგან შორს. მოურავის ცოლი, ხალხის ჯგროდან გადმომდგარი, ველურად გაჰკიოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, უსტვენდა, ძაღლებს უქსევდა მას, ძვალს ურაკუნებდა სპილენძის ტაშტზე, ყვიროდა სხვადასხვა ხმებით:

— ძუენა! მათხოვარო! ეზოს მაწანწალავ! კაციჭამიავ! კუდიანო!

შუადღე

შუადღის მცხუნვარება დგას, თვალისმომჭრელი ბრწყინვა გადასდის უძრავ ყვითელ გუბურას და მის თიხოვან, მოყვითალო ნაპირებს. ნახირი მორეკეს სამოვარზე, დასასვენებლად. — ძროხები ჩადგნენ გუბურის ბოლოში, მუცლამდე წყალში დგანან.

გვერდით მხიარული წივილ-კივილი, შემახილები, სიცილი მოისმის — ტანთ იხდიან და წყალში ეშვებიან გოგოები. ერთი პირდაპირ თავიდან იძრობს რუხ მოთხვრილ ზედაკაბას და ისე ველურად ხტება, რომ მე მყის მახსენდება ნილ ნუბია. შავთმიანია იგი და ძალიან გარუჯული კანი აქვს. ძუძუები — ვით ორი მუქი მაგარი მსხალი.

მაწანწალა

მინდორი. ზაფხულის დილაა. მეგობრულად მიმაქროლებს სამცხენა ეტლი. გზატკეცილის გადაღმა, პირაქეთ, მოდის მწირი: უქუდოდ, ფეხშველა, მსუბუქი ნაბიჯებით, თითქოს ფრთები აქვს შესხმულიო. გვისწორდება, იელვებს და ჰქრება. გამხდარია იგი, ხმელ-ხმელი მოხუცია. ქარში უფრიალებს გრძელი, მზეზე გამომწვარი თმა. მაგრამ რა მსუბუქი ჩანს, რა ახალგაზრდა! როგორი ცოცხალი, სხარტი გამოხედვა აქვს! ვინ იცის, რამდენი ასეთი თეთრი გზატკეცილი ელის კიდევ წინ... „ღმერთი მაწანწალას არ აბერებს“.

ცრემლები

კარ-მიდამოს ალაყაფს მათხოვარი დედაბერი მოადგა, ბებრულ ძველადვულებში გამოკრული. ბებრული სწორი წინდები ეცვა გამხმარ ფეხებზე, ნატანჯი თვალები ჰქონდა... მივეცი მას ათშაურინი, ვცადე გამოვლაპარაკებოდი:

— აი შენ, ბებო, ყველგან დადიხარ, ყველგან ნამყოფი ხარ, — ალბათ ბევრ რასმე საინტერესოს ხედავ?

მწარედ აქვითინდა:

— რას იზამ, შვილო, რა თქმა უნდა, ვხედავ!

ვანია სულელი კოჭლობით გამოემურა მის გასაგდებად, — ჭაღარა, უსწორმასწოროდ თავგაკრეჭილი, ერთი დედაკაცური პერანგის ამარა, მხარზე ბოხჩამოგდებული:

— გამარჯობა, ვანია! როგორა ხარ?

ენაბრგვილად, დორბლიანი ტუჩებით, მხიარულად მიპასუხა:

— დიდი ცრემლებით, ძიაკაცო! დიდი ცრემლებით!

კაპიტალი

მელოტი, გადაჟღაჟებული, დიდმუცელა მეზურახე მკვირცხლად გაჰყვირის მთელს ბაზრობაზე თავისი ტენორით:

— გასინჯეთ ბურახი, პირდაპირ ცხვირს უღიტინებს! დულს-გადმოდულს და დამლევია არა ჰყავს!

ბრბოს მოარღვევს ახმახი ჟღალი მამაკაცი კეფაზე მოგდებული თბილი ქუდით; უზარმაზარი თეთრი პური ამოუჩრია ილიაში და თან მისით პირგამოტენილი იღეჭება. თავს უკან აგდებს, ნესტოებს ბერავს:

— რამდენისაა ეს შენი ბურახი?

— ბოთლში — „არწივია“, ჭიქაში — შვიდი კაპიკი!

— კაპიკად ვერ დამისხამ?

— კაპიკად, ჩემო კარგო, ბელურაც არ მოგიშარდავს!

მამაკაცი იღეჭება, ფიქრობს. მერე ამოოხვრით, მაგრამ მტკიცედ იძახის:

— არა, შვიდ კაპიკად არ შემიძლია. კაპიტალი არ მამლევს ამის უფლებას!

შუა ცხენი

სალამო ფუნდუკში. ხის ტახტებზე მწოლნი საშინელ ამბებს ჰყვებიან:

— ...და შევიდნენ ისინი ამ ტყეში. ღამე შემოერთყა გარს მათ, ბნელი. და შავი ტყე...

მიაღწიეს გაბარჯლულ მუხამდე, და ხედავენ: მის ძირში ფასკუნჯის ბუმბული დევს, ცეცხლში ელვარებს...

— ეჰ, ეს რა არის — ბუმბულზეა! — იძახის მეორე. — აი, ცხოვრობდა ერთ დროს მჭედელი

მიყრუებულ გზაჯვარედინთან და ერთხელაც, ღამით, გაჩერდა მასთან სამცხენა ეტლი... სამივე ცხენი გაქაფული იყო, ლომებივით ხვიხვინებდნენ, თვალები მძვინვარედ უკვესავდათ, ნესტოები გავარვარებოდათ, ერთიანად ანათებდნენ გამჭოლად... გადმოხტა

ჭაბუკი მეეტლე — „დააჭედე შუათანა სასწრაფოდ, უკანა ნალები გასძვრა!“ გაბერა მჭედელმა საბერველი, გააჩაღა ქურა, ხელი ჩაავლო შუათანა ცხენს ფეხში, — ფეხი კი ადამიანისაა, თეთრი, უბალწო!

წერილი

— ერთხელაც გწერთ კიდევ. ჩემზე ნუ იდარდებთ, ვაგონებში თბილოდა გახდილისთვისაც კი. მთელი გზა, მინსკიდან მოყოლებული, თოვლი საერთოდ არ მინახავს, ირგვლივ მიდამო კი ჟანგნაჭამია, წყალმრავალი, ჭაობიანი. რაღაც შეუცნობი მომელის წინ, ვგრძნობ. მშვიდობით, ჩემო ახლობლებო და ნაცნობ-მეგობრებო, ვგონებ, ველარ ვიხილავთ ერთმანეთს. გემშვიდობებით, ძვირფასებო, საწერად სადღა მცალია და, თანაც, წვიმა მიშლის, თვალში კი — ცრემლი. მას შემდეგ, რაც მოგვიშვეს ტყვიამფრქვევები

და ყუმბარმტყორცნები, მარტო მტვრის სვეტებს ვხედავ. ორნი თხრიდნენ ჩემს გვერდით სანგარს, ყუმბარა დაეცათ მათ, მოკლა ორივე; ერთი უცხო წვევამდელი იყო, მეორე — ჩვენი ვანია. ის დაიღუპა რუსული იარაღის სადიდებლად...m

ზაფხულის დღე

გარეუბანი. უბოლოო ზაფხულის დღე. მთელი დღეა ზის ქამარშეხსნილი, ფეხშველა ეწაღეს თავისი ძველი მიწურის მახლობლად, ჩამპალ დუქანში. მზისთვის შეუშვერია უქუდო ჯაგარა თავი. ზის და ერთობა ჟღალი ხვადი ძაღლით.

— მომე თათი!

ძაღლი ვერ ხვდება, არ უწვდის.

— შენ გეუბნებიან, მომე თათი! აბა!

ძაღლი არ უწვდის. და მეწაღე დინგში სცემს მას. ზიზღამდგარ თვალებს ახამხამებს ძაღლი, იქით ბრუნდება, კბილების ტკბილ-მწარე კრეჭით გაუბედავად სწევს თათს და მყის კვლავ უშვებს. და ისევ მუჯღლუგუნები, და ისევ:

— მომე, მამაძაღლო, თათი!

მედა

სმოლენსკის გზა. გრძელი დერეფანი და გამოღებული განყოფილებები პირველი კლასის ვაგონისა. კაკლის ხის ბზინვა და გადაკრული მეწამული ხავერდის კრიალი სრულ შეუსაბამობაშია ჯარისკაცებთან, ვაგონი რომ გაუვსიათ: ორგვლივ მოჩანან ყავარჯენთა საყრდნობები აწურულ მხრებქვეშ გაჩრილი, რუხი ხალათები, მარლით ახვეული თავები, წინ გამომდგარი, სქელი თეთრი ნაჭრებით შეფუთილი ფეხები... ეწევიან თურქულ თუთუნს, შეექცევიან კანფეტს, თავაზიანად საუბრობენ, თან ტკბებიანო თითქოს თავიანთი უჩვეულო მდგომარეობით. კითხულობს ქალი, ღიმილით:

— აბა, როგორაა საქმე, მერკულოვ?

ჯარისკაცი თავაზიანად იწევა ყავარჯენებზე, დუნედ ჩამოუშვია და წინ გამოუშვერია ცალი ტერფი, დაშაქრული ხმით ურცხვად ცრუობს: — ეჰ, რას იზამ, დაიკო, უნდა მოითმინო... ყველამ თავისი მსხვერპლი უნდა გაიღოს... ისევ თქვენ გმადლობთ...

ქალი ხან მას ესაუბრება, ხან სხვას, მერე დერეფანში სარკმელთან დგება. ვაგონი რბილად ირწევა, მიჰქრის. ის გასცქერის სარკმელს მიღმა გაელვებული ნამძვების ბნელ თათებს, ხის ბოძებს, წრიულად რომ იჭრებიან ტყის სიღრმეში, თან რაღაცას ძლივსგასაგონად ღიღინებს.

თეთრი თავსაფარი. ტყავის რბილი ქურთუკი, ტიკის ქსოვილის თხელი ქვედაბოლო; იდუმალ, ცოდვის მომასწავებლად კვესავენ წმინდანისდარი შავი თვალები...

ნიკონოზ გუბიანი



ლექსის თარგმნა

I

ლექსის თარგმნის სამი გზა არსებობს:

1) მთარგმნელი იყენებს სალექსო ზომას, რომელიც თავში მოუვა პირველად. ასევე ითქმის რითმათა სახეობაზეც. ეს ეხება აგრეთვე სიტყვათა მარაგს, შეხედულებისამებრ აგრძელებს ან ამოკლებს დედანს, ასეთი თარგმანი მოყვარულის დონეზეა.

2) მთარგმნელი ასევე იქცევა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თეორიულად ამართლებს თავის ქმედებას; იგი ირწმუნება, რომ ავტორი ასევე დაწერდა მის ნაცვლად ამ ენაზე. ეს გზა გავრცელებული იყო მე-18 საუკუნეში. ასე თარგმნიდა კოსტროვი ჰომეროსს. ასეთი თარგმანი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მე-19 საუკუნეში უარყვეს ეს გზა, მაგრამ მისი ნაშთი დღემდე შემორჩენილია. ახლაც ზოგიერთები დარწმუნებულნი არიან, რომ შესაძლებელია ერთი საზომის მეორით შეცვლა. მაგალითად, ექვსმარცვლოვანისა ხუთმარცვლოვანით. უარყოფენ რითმას, გადააკეთებენ სახეებს და ა.შ. სათარგმნი ნაწარმოების სული შენარჩუნებულ უნდა იქნეს თარგმანში. პოეტი სარგებლობს ფორმით, როგორც ერთადერთი გამომხატველით ნაწარმოების სულისა. ქვემოთ მოგახსენებთ, როგორ კეთდება ეს.

II.

1) რაც მკითხველის ყურადღებას იპყრობს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არის სახე, ხატი, თუნდაც არაცნობიერად გააზრებული, პოეტი აზროვნებს სახეებით, ხატებით, სახეების რაოდენობა მკაცრად განსაზღვრულია ცხოვრების კარნახით. იშვიათად ხდება, რომ პოეტი იყოს თავად შემქმნელი ამ სახეებისა. პოეტის პიროვნება მყდავნდება მის დამოკიდებულებაში ამ სახეებისადმი. მაგალითად: სპარსეთის პოეტები ვარდს იაზრებდნენ ცოცხალ არსებად. შუა საუკუნეების პოეტები — როგორც სილამაზისა და სიყვარულის სიმბოლოს. ვარდი პუშკინთან არის წარმტაცი ყვავილი, მაიაკოვსკის ვარდი აქსესუარია, ივანოვის ვარდი მისტიკურია და სხვა. გასაგებია, რომ ყველა ამ შემთხვევებში სხვადასხვა სიტყვების ამორჩევა და მათი შეკავშირება. ასე მაგალითად, ბაირონის კორსარის რეპლიკები ფსიქოლოგიური ფერებით მდიდარი აღწერის ფონზე გამოირჩევა ლაკონურობით და ტექნიკური ექსპრესიით. ედგარ პო ლექსში „ყორანი“ მოგვითხრობს თემის „წყალქვეშა დინებაზე“, რომელიც ხელს უწყობს ეფექტის გაძლიერებას. „ყორანის“ მთარგმნელი უნდა ეცადოს თარგმანში გადმოიტანოს, რამდენადაც შესაძლებელია — ზედმიწევნით — ეს „წყალქვეშა მდინარება“, ფაქიზი ფაბულის პასაჟები, ყორანის მოძრაობა და მეორეს მხრივ, პოეტის სევდა დაღუპული შეყვარებულის გამო. თუ ამას არ გააკეთებს მთარგმნელი, ის სცოდავს დედნის წინაშე, ვინაიდან ვერ შეასრულებს თავის ამოცანას.

III.

უშუალოდ სახის შერჩევას პოეტის წინაშე დგას ამოცანა მისი განვითარებისა და პროპორციების შესახებ. სწორედ ეს განაპირობებს სტრიქონებისა და სტროფების შერჩევას. ეს მთარგმნელმა უნდა გააკეთოს ავტორისეულად. არ შეიძლება ლექსის დამოკლება ან დაგრძელება, რომც არ ირღვეოდეს ლექსის შინაარსი და სახეების რაოდენობა. სახის ლაკონურობა და ამორფულობა დამოკიდებულია ავტორზე. თარგმანში ზედმეტი სტრიქონები არღვევენ ექსპრესიულობას. რაც შეეხება სტროფებს, თითოეული მათგანი თვითმყოფადი სიცოცხლით ცხოვრობს და რაიმე აზრს ატარებს. მაგალითად, სონეტში მდგომარეობის გამომხატველი სტროფის შემდეგ მოდის მისი ანტითეზა, პირველ ტერცეტში ლაპარაკობენ რაღაც საგანზე, საგნების ურთიერთკავშირზე. მეორე სტროფი გვანცვიფრებს კვანძის მოულოდნელი გახსნით, რასაც აძლიერებს შემდეგი სტროფები უკანასკნელი სტრიქონის ჩათვლით. ლექსის ბოლო სიტყვა სახელდებულია სონეტის გასაღებად. ნატიფია შექსპირული სონეტი მიუხედავად რითმების უქონლობისა. მართალია, ასეთ შემთხვევაში ექსპრესიის ძალა ქვეითდება. იტალიური სონეტი ძლიერ ლირიკულია და საზეიმო თავისი ქალური რითმებით, თუმცა ის ვერ გამოგვადგება სათხრობად ან აღწერისათვის, ამას ჩვეულებრივი ლექსიც მშვენიერად აკეთებს. გაზელში გვხვდება ყოველი სტროფის ბოლოს ერთი და იგივე სიტყვა, რომელიც მეორდება და ქმნის ლექსის ორნამენტს და დეკორაციულობას. ამ სიტყვებს ევროპელი მთარგმნელები შუაზე ხლექენ ორ ნაწილად. ოქტავა, როგორც სალექსო საზომი, ოდნავ გაწელილია და მდორე, ამიტომ იგი გამოდგება სათხრობი მასალის გადმოსაცემად, ისეთი სათხრობი მასალისა, რომელიც აუჩქარებლად, მშვიდად იკითხება. ისეთ უბრალო ზომებს, როგორცაა ოთხსტროფიანი და ორსტროფიანი, აქვთ თავისებურებანი, რომელსაც პოეტი არაცნობიერად იყენებს. პოეტის გასაცნობად აუცილებელია გაგება იმისა, როგორ სტროფებს ანიჭებს ის უპირატესობას, რომელს ხმარობს. მამასადამე, როგორც ვთქვით, მთარგმნელმა ზედმიწევნით უნდა მისდიოს დედნის სტროფთა რაოდენობას და სტრიქონთა მარცვლოვანებას.

IV.

რაც შეეხება სტილს, მთარგმნელმა უნდა აითვისოს და გაითავისოს დედნის ავტორის პოეტიკა. ყველაპოეტს თავისი სიტყვათა მარაგი აქვს და თეორიული შეხედულებანი ლექსზე საერთოდ. მაგალითად, უოდსვორთი დარწმუნებულია, რომ ლექსი უნდა გაიმართოს თანამედროვე სალაპარაკო ენით, ჰიუგო თვლის, რომ ლექსის სიტყვები უნდა გაიგებოდეს მხოლოდ პირველადი მნიშვნელობით. ერედია კი მოითხოვს სიზუსტეს. ვერლენი პირიქით, მომხრეა მუსიკალური სისადავისა და ჰარმონიულობისა და ა.შ. განსასაზღვრია აგრეთვე — ეს მეტად მნიშვნელოვანია — თარგმანსა და დედანში შედარებათა ხასიათის ერთიანობა. ეს ეხება ყველა პოეტს. მაგალითად, ბაირონი ხმარობს კონკრეტულ სახეს და განყენებულ სახეს (ამის მშვენიერი მაგალითი ლერმონტოვთან: „ჰაერი სუფთაა და ნედლი, როგორც ჩვილის კოცნა“), შექსპირი ერთმანეთს შეუფარდებს აბსტრაქტულ ცნებას და კონკრეტულ ცნებას (პუშკინთან — „შმაგი ცხოველი გულის მქენჯნავი — სინდისი“), ერედია ერთმანეთს შეუფარდებს ორ კონკრეტულ ცნებას. კოლრიჯი ამა თუ იმ პიესის სახეებს უფარდებს ერთიმეორეს („და მდეროდა ყოველი სული შენსავით ჩემო ისარო“), ედგარ პოსთან ეს შედარება გადადის სახეების განვითარებაში და ა.შ. ლექსებში ხშირად გვხვდება პარალელიზმები, ციტატები, რომლებიც ზუსტად მოუთითებენ ადგილს, დროს, გარემოებას სხვადასხვა ფორმით. ეს ყოველივე იწვევს მკითხველის ერთგვარ ჰიპნოზირებას. ყველაფერი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დასაშვებია მათ ვანაცვალოთ დედნის ზოგიერთი მეორეხარისხოვანი თავისებურება. ზოგიერთი პოეტი დიდ ადგილს უთმობს რითმების სემანტიკას. თეოდორ დე ბანვილი თვლის, რომ რითმის სიტყვა


არაცნობიერად განაპირობებს მთელი ლექსის სტრუქტურულ აგებულებას. ამიტომ სასურველია, რომ რითმული წყვილისგან ერთ-ერთი სიტყვა მაინც მუსიკალურად ემთხვეოდეს ლექსის უკანასკნელ სიტყვას, ან სტროფის ბოლოს. მთარგმნელები უნდა დაუფიქრდნენ ისეთი სიტყვების გამოყენებას, როგორებიცაა „აწ“, „ახლა“, „სულ“ და ა.შ. ამ სიტყვებს დიდი გამომხატველობითი ძალა აქვთ. ისინი აძლიერებენ ზმნას, მათ უნდა მივმართოთ სინონიმების არჩევის დროს. მაგალითად, სიყვარული — ტრფობა და ა.შ. სიტყვები შეიძლება შევკუმშოთ. მაგალითად, არის — არს, სიზმარი — ზმანება, სიმღერა — მღერა და ა.შ. არქაიზმები დასაშვებია, თუმცა დიდი სიფრთხილით უნდა აირჩეს ისინი. ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ძველი პოეტების თარგმანთან.; მაგალითად, „ტბის სკოლის“ პოეტებთან, ან რომანტიკოსებთან, როგორიცაა: უილიამ მორისი ინგლისში და ფრანგი ჟან მორესი.

V.

დარჩა მუსიკალური მხარე ლექსისა, ეს ყველაზე მწელი მხარეა. რუსული სილაბური ლექსი ნაკლებად არის ათვისებული. ფრანგული რიტმი გაცილებით დახვეწილია. ინგლისური ლექსი სინთეზია ვაჟური და ქალური რითმებისა, რაც არ ახასიათებს რუსულს. ამიტომ სხვა გზა არ არის, სილაბური ლექსი უნდა ითარგმნოს არა ისევ სილაბურით, არამედ იამბებით (იშვიათად ქორედიტ). რუსულს, ინგლისურისაგან განსხვავებით, ახასიათებს მიდრეკილება მხოლოდ ვაჟური რითმებისაკენ. მიუხედავად ამისა, თარგმანი შეიძლება იყოს ისეთივე ძლიერი, როგორც არის დედანი. ყოველ მეტრს თავისი სული აქვს. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი და ამოცანები. იამბის პათოსი ნელ-ნელა ეცემა მომდევნო მარცვლებში, თავისუფალია, ღია, აშკარა და გამოხატავს ადამიანების ნებისმიერ მეტყველებას, მისი ნების სიძლიერეს. ქორედი პირიქით, ნელ-ნელა ხმას უწევს და მისი კულმინაცია წარმოჩინდება სულ ბოლო მარცვალზე. იგი უფრო მღერას გვაგონებს. დაქტილური ზომა ეყრდნობა პირველ მახვილიან მარცვალს. იგი ძლიერია. ახასიათებს საზეიმო ინტონაცია, წარმოაჩენს სხვადასხვა სტიქიონებს და საგმირო თემებს. ანაპესტი წარმოადგენს სხვადასხვა სტიქიების აზობოქრებას. ამფიბრაქიას ახასიათებს მდორე ფრაზა, მშვიდი და წყნარი. სამმუხლიანი იამბი შეესატყვისება ლირიკულ მოთხრობას. ხუთმუხლიანი—ეპიკურს, დრამატულს. ექვსმუხლიანი—მსჯელობას. მასასადამე, სალექსო ზომა და სიგრძე უნდა შეესაბამებოდეს დედანს.



ფაქტობრივი მედიცინა



ჩემო ტატო!

დიდი ხანია შენთვის წერილი არ მომიწერია, უზომოდ მენატრები და მაკლიხარ. ტელეფონში მინაცვივებდი ხოლმე შენს ხმას, ეხლა საერთოდ ვერ ვახერხებთ ერთმანეთთან საუბარს.

ტატო, არ გეგონოს, რომ წერილს, რომელიც ბოლოს მომიწერე, ყურადღება არ მივაქციე და პასუხი არ მოგწერე. ყველაფერი ვრცლად დაგიწერე და გამოვავაზენე ყუთით სხვა რაღაცეებთან ერთად. სამწუხაროდ ის ყუთი გემით გამოუგზავნიათ, კარგა ხანი გავიდა. ეტყობა დაიკარგა და ამიტომ ვერ მიიღე ჩემი წერილი. არადა, როგორ მინდოდა ნაგეკითხა.

დიდი მადლობა მინდა გითხრა იმ წერილისათვის. ჩემო საყვარელო, გთხოვ არ ინერვიულო არაფერზე. ვიცი, ძნელია, მაგრამ ეცადე. ერთი მინდა იცოდე, რაც უფრო დრო გადის და აქ ვარ, მით უფრო დიდია ჩემი გრძნობა და სურვილი თქვენი ხილვისა. მით უფრო მენატრება ჩემი სამშობლო და საყვარელი ხალხი. არაფრით არ გეგონოს, რომ აქაურობამ შემცვალა და „გადამავარა“. არა! ტატო, ვერ წარმოიდგენ, რამდენ რამეს ჩავხვდი, რასაც ადრე ვერ ვხედავდი, ვხვდებოდი. ღმერთი დამეხმარა ამაში.

სამწუხაროდ, ზოგზე პირიქით იმოქმედა აქაურმა ყოფა-ცხოვრებამ, ე.ი. გადაჯიშდნენ და გადაგვარდნენ. მადლობელი ვარ, რომ ღმერთმა დამანახა ყველაფერი და სწორი განსჯის უნარი მომცა. აქ რომ არ ჩამოვსულიყავი, ბევრს ვერ მივხვდებოდი. არ დავაფასებდი იმას, რასაც ახლა ვაფასებ. პატრიოტი ყოველთვის ვიყავი (ალბათ), მაგრამ აქ ყოფნამ მეტად ეროვნული გამხადა. როგორ მწყდება და მტკივა გული, რომ უფიცები, ქართველი ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი, „გამერიკელებას“ ცდილობს. როგორ უნდა მიბაძო ვინმეს, როცა ესეთი ქვეყნის შვილი ხარ. როგორ მენატრებით, ვერ წარმოიდგენ. მიხარია, რომ მალე დავბრუნდები და ისევ ერთად ვიქნებით.

შენი ამბები ძალიან მაინტერესებს. რა თქმა უნდა დედიკოს ვეკითხები ხოლმე, კმაყოფილია ტატო იქ ყოფნითო. მაინტერესებს რას აკეთებ, როგორ ცხოვრობ და ყველაფერი. ტატო, გთხოვ, ძალიან დიდ ხანს არ დარჩე მანდ, მეც მალე ჩამოვალ. ისე არ მოხდეს, რომ მე ჩამოვიდე და შენ არ დამხვდე.

ჩემო სიყვარულო, როგორ მენატრები, რომ იცოდე. შემსწერილებს ვკითხულობდი ეხლა და ვტიროდი, ხან ვიცინოდი. შენი, მეგისი და გოგას ერთობლივი წერილიც წავიკითხე. ხო, მართლა, რამდენიმე დღის წინ, ლუკას ნათლობა იყო, მეგის და გოგას უთქვამთ დედიკოსთვის, ნატო თუ იქნება ლუკას ნათლიაო. დედიკომ რომ დამირეკა და მითხრა, ძალიან გამიხარდა, ძალიან! ნათლობის დღეს დავურეკე და ველაპარაკე გოგას და მეგის. ვერ წარმომიდგენია, გოგასი და მეგის შვილი. რამდენი რამე მოხდა ჩემი არყოფნის დროს. როგორ მწყდება გული, რომ მე თქვენთან არ ვიყავი და არ ვარ. ეს დროებითია, რა თქმა უნდა, მალე ვიქნებით ერთად. იმედია, ყველაფერი ისევ ისე იქნება და ყველანი ერთად ვიქნებით. ამის დიდი იმედი მაქვს. როგორ არ მინდა, რაიმე შეიცვალოს, ისევ ისეთები მინდა ყველანი რომ დამხვდეთ, როგორებიც დაგტოვეთ. ხომ ასე იქნება?

ჩემს ამბებს იგებ ხოლმე ალბათ. რა მოგწერო არც ვიცი.

მაიაში ვიყავით 6 დღით წასულები გოგოები. კარგად გავერთეთ. ძალიან ლამაზი ადგილები ვნახეთ. გარშემო უამრავი პალმები იყო, ტროპიკული ადგილივითაა. რას წარმოვიდგენდით, რომ ლენინსაც კი ვიხილავდით მაიაში. რუსული სასაბილოსავით იყო მაიამის ცენტრში და შიგნით უზარმაზარი ლენინის ძეგლი იდგა. თავისუფლებაზე რომ იდგა ჩვენთან, ხელ-გაშვერილი, მაგის მსგავსი. წარმოიდგინე, რა დაგვემართებოდა. კედლებზე ძველი კომუნისტების ლიდერები ეკიდა ჩარჩოებში და რა ვიცი, გამოვცვივდით სიცილ-კისკისით. რამდენიმე ხნის წინ, ეკასთან რომ ვიყავი New York-ში ჩასული, ნავედით

თავისუფლების ძეგლის სანახავად. გზაში, სანამ მივიდოდით, ვხუმრობდით, ძეგლი რომ გაქცეული დაგვხვდეს და ა.შ. მივედით, ძეგლი ადგილზე დაგვხვდა. ტატო, რამხელა რალაცაა იცი? რომ ვუყურებდი, მეშინოდა. ეს ძეგლი მდებარეობს ოკეანეზე. პატარა კუნძულივით არის ოკეანეში შეჭრილი, ამ კუნძულზე გემით გადავვედით. კმაყოფილები დავრჩით, მაგრამ ძალიან დავიღალეთ, საშინლად ცხელოდა. რალაც-რალაცებს ვნახულობ ხოლმე, რაც მაინტერესებს.

ეხლა ვკითხულობ ქართულ წიგნს. ეკამ მომცა: ა. გელოვანის „სვანეთის თეთრი ქუდი“. არ ვიცი, წაკითხული გაქვს თუ არა. აღწერილია სვანეთის მოსახლეობა, მათი ცხოვრება. ძირითადად სოფელი ხალდე. რუსები რომ აპირებდნენ სვანეთის დამორჩილებას. აღწერილია როგორ იბრძვის ეს პატარა სოფელი. ვნახოთ, რა მოხდება, ჯერჯერობით ბრძოლის ადგილას ვარ გაჩერებული. როგორ გამიხარდა იცი, ქართული წიგნი რომ დავინახე. ეკაც სვანია — ლიპარტელიანი. ძალიან კარგი პიროვნებაა, დავვახლოვდით.

ასეთი ამბებია, ჩემო ერთადერთო. როგორ მაკლია შენთან ყოფნა, რომ იცოდე, შენთან საუბარი, წერილები... ხომ არ დაივინყე შენი ნატუკა? ეს ხუმრობით, ვიცი, რომ ისევე გიყვარვარ, როგორც გიყვარდი. მე მეტად, თუ შეიძლება იმაზე მეტად სიყვარული, როგორც მიყვარდი. თუმცა სიყვარული ხომ უსაზღვროა, ასე რომ დღითი დღე შეიძლება იგი გაიზარდოს.

ეხლა დროებით გემშვიდობები, ჩემო სანატრელო და ერთდერთო ძამიკო.

გკოცნი უზომოდ ბევრს.

ძალიან მიყვარხარ!

შენი ნატო

2000 წლის 2 აგვისტო



რატის მოსწავლეები მასზე

თამარ გაბაიძე

III კლასის მოსწავლე

სიცოცხლე — მხოლოდ ერთი გაელვება

სიცოცხლე ღმერთმა გვიბოძა და მას უნდა გავუფრთხილდე. რატი მასწავლებელმა თავი მოიკლა. იმ დღეს მე მუშტისოდენა ცრემლებით ვტიროდი. ასევე გარდაცვლილი მყავს ორივე ბაბუა. ისინი არასოდეს მინახავს, მარტო სურათებში. ერთი გაელვება თოფით და რატი მასწავლებლის სიცოცხლე დასრულდა. ჩემ ძმას აქვს რატი მასწავლებლის სამახსოვრო ნახატი. მეც მოხარული ვიქნებოდი, რომ რატი მასწავლებლის სამახსოვრო რამე მქონოდა.

11 მაისი, 2000 წ.

მე რომ შემეძლოს... დავხმარებოდი ღარიბ ხალხს, ყველა მოხუცს პენსიას მივცემდი, მათხოვრებისთვის უფასო სკოლას გავხსნიდი... დაღუპულებს გავაცოცხლებდი, პირველ რიგში რატი მასწავლებელს, ყველა ზოროტს კეთილად გადავაქცევდი და ზოროტებს მოვსპობდი. გავავრცელებდი სიკეთეს და სიმდიდრეს. ეს იყო ჩემი პატარა ფიქრები, თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი ოცნება იყო.

23 მაისი, 2000 წ.

ირაკლი გაბაიძე

IV კლასის მოსწავლე

ინგლისური გაგვიცდა...

ინგლისური გაგვიცდა, რატი მასწავლებელი არ მოვიდა, იმიტომ, რომ თავი მოიკლა. მე ძალიან დამწყდა გული. ღამე არ მეძინებოდა, ვწუხდი, ვტიროდი. ნეტავ რატომ მოხდა ეს ამბავი. ვიცი, რატი მასწავლებელი სამოთხეში მოხვდება. მე მთელი ცხოვრება სიკეთით უნდა განვვლო და მეც მასწავლებელთან მოვხვდები. რატი მასწავლებელი ახლა ჩემთან არის და ჩემს ფიქრებს კითხულობს. ძალიან მომენატრება. ჩემს ინგლისურის რვეულს შევინახავ და აღარ ვიხმარ, სამახსოვროდ მექნება.

11.05.2000 წ.

რალაც მწარედ დამენანება...

ძალიან დამენანა, რატი მასწავლებელი რომ მოკვდა. მასთან ბევრი კარგი დღე გვქონდა გატარებული. ბევრი რამ უსწავლებია. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ის ჩემი მეგობარი ყოფილიყო. ასეთი ურთიერთობა არც ერთ მასწავლებელთან არ მქონია. ერთმანეთს კარგად ვუგებდით. ყოველ გაკვეთილზე ცოტა ხანს ჩვენთან თამაშობდა, ან მღეროდა, თითქოს ისიც ბავშვობის წლებს დაბრუნებოდა და ცდილობდა, რომ ბედნიერი ყოფილიყო. მისი ორიანი არ მწყენია, როგორც სხვისი. თითქოს მის ორიანში რალაც ცოდნა იყო. მიყვარდა მისი ამბები, გამოცანები. მასთან მხოლოდ ერთი ხუთიანი მყავდა, მაგრამ ის ხუთი უამრავ ხუთად მიმაჩნდა. ძალიან მიყვარდა, რომ იცინოდა. მე რალაც სასაცილოს ვიტყოდი და გავაცინებდი. ამას განზრახ ვაკეთებდი. ძალიან მიყვარდა რატი მასწავლებელი და მიყვარება.

16 მაისი, 2000 წ.

სიყვარულით – ოლღა დემურია –კოსტავა

ჩემო ტატო, წავიკითხე შენი ლექსები, შევიგრძენი შენი სახით ჭკვიანური მოაზროვნე, ეს ღვთიდან ნაბოძები ნიჭია შენში. შენ პირველმა დაბეჯითებით წარმოთქვი „უნდა შეიქმნას მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრი“, რომლის განხორციელებას მამისგან მოითხოვდი. ღვთის ლოცვა-კურთხევა არ მოკლებოდეს შენს კარგ და ჭკვიანურ ჩანაფიქრს.

18/II-93

მუხრან მაჭავარიანი

გულშიშველი

უდროოდ წავიდა „სიზმრებში მცხოვრები კაცი“, — ტატო-რატი ნინუა. მიუვიდა მამა-პაპათ, — ხელში შიშველი გულით, — რომელსაც წურწურით გასდიოდა სისხლი...

იგი იყო ნიჭიერი, წიგნიერი... მისი აღმაფრენის საგანი იყო საქართველო და საქართველოსათვის თავდადებულნი: ზვიადი, მერაბი... სუნთქავდა პოეზიით... ჭკრეტდა „ლამაზ სისასტიკეს“. თარგმნიდა ბაირონს, პუშკინს, ესენინს... ამჟამად იგი უსხეულოა, —მარტოდენ სულია და კვლავაც განაგრძობს წვას იმ ხატის წინაშე, — საქართველო რომელსაც ჰყვია.

2.IV.2001 წ. თბილისი

ანა კალანდაძე

ზღვაურის გამაყრუებელ ხმაურშიც!

დიდი ინტერესით გავეცანი ახალგაზრდა პოეტის, რატი (ტატო) ნინუას, როგორც თავად ბრძანებს, “რუდუნებით ნახელავს”, – მის “გონებაში ნასათუთები და ნალოლიავები ბაღის” დაჩრდილულ ბილიკებს გავყევი და მოვიხილე ის “ზეციური ყვავილები”, რომელთა “ თავისებური სურნელი” დიდხანს გამყვება. ლექსები, თარგმანები (ბაირონი, პუშკინი, ესენინი, ოსკარ უაილდი, ბუნინი, სლოვაკი...), მოთხრობა, მინიატურები, წერილები... ყველაფერი ეს შექმნილია იმ ყმაწვილის მიერ, რომელსაც სიცოცხლე, ჩვენდა სამწუხაროდ, 23 წლის ასაკში თვითმკვლელობით დაუსრულებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში! როგორც მისი კრებულიდან ვიგებთ (ჩემს ხელთ მისი სამი პაწაწინა წიგნია), მას უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაუმთავრებია თარგმანის სპეციალობის განხრით და საერო სკოლა “სარკმელში” დაუწყია მუშაობა ინგლისური ენის მასწავლებლად. მის შემდგომ გამოსულ ორივე კრებულში ასევე

ვეცნობით მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ საინტერესო წერილებს და მოგონებებს.

ახალგაზრდა კაცი, ვისაც “ვაზის ლერწი და სამშობლო სალოცავ ხატად უცვნია, “ძალზე შორს გაჰყოლია გრძნეულ იალქნებს” – “დროა, გავფრინდეთ... უნდა გაჰყვე ძახილს ბოლომდის... მშვიდობით მარად!” ზღვაურის გამაყრუებელ ხმაურშიც კი მოსწვდა ჩვენ სმენას ტატო ნინუას სათქმელი და იგი... “უცნობი ან თითქმის უცნობი” არ დარჩენილა ჩვენთვის!

2005 წლის იანვარი

ნოდარ ჯალალონია

რატი ნინუა

(მოსაგონარი)

40 დღის წინ, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასროლილმა ტყვიამ მთელი თბილისი (და არა მარტო თბილისი) შოკში ჩააგდო, თავი მოიკლა უნიჭიერესმა, უპატიოსნესმა და ულამაზესმა ქართველმა ჭაბუკმა, 23 წლის რატი ნინუამ. ჩემს ხელთაა რატი ნინუას ლექსების პირველი კრებული — „ალუბლის იალქნები“. მისი წაკითხვისას გაცდებით პატარა ბიჭის პოეტური მიგნებებით და სითამამით. და რაც მთავარია, იმ ტკივილებით, რომლებიც, ჯერ კიდევ, ცხოვრებით გამოუწრთობი გულით დაჰქონდა. ასე მგონია, მისმა გონებამ, მის ასაკთან შედარებით, მძიმე ტვირთი აიკიდა და ვერ გაუძლო. ტყვია, რომელიც უნივერსიტეტში გავარდა, მას მარტო თავის თავისთვის არ უსვრია. მან ტყვია ესროლა ჩვენს დღევანდელობას, გაუკუღმართებულ ცხოვრებას, უსამართლობას, განუკითხაობას, სიბინძურეს, სადაც მართალს, პატიოსანსა და სუფთა ადამიანს ცხოვრება და სუნთქვა უჭირს. მის სიკვდილში ბრალი ყველას მიუძღვის: მე, შენ, ჩვენ, თქვენ... ვინც ვერ დავიცავით საქართველოს ღირსება, პატიოსნება. უპატიოსნო და უღირს საზოგადოებაში ცხოვრება კი რატიმ არ ისურვა. „ბილწთ ზავით არ შეეკრა“, ეს არის რატის სიკვდილის მიზეზი. რატის აქვს ასეთი სტრიქონი: „წევს შემოდგომა... და არავინ უხუჭავს თვალებს“. ჰაი, ჰაი, რომ შემოდგომა კი არა, გაზაფხული ჩაწვა კუბოში, რატი ნინუას გაზაფხული. მას რომ ეცოცხლა, მისი მწერლური შემოდგომა მართლაც უხვი და ბარაქიანი იქნებოდა. კიდევ ერთი, ტკივილიანი სტრიქონები მინდა მოვიყვანო მისი ლექსიდან:

„ანგელოზი რომ დაფრთიანდება,
მეც მზად მექნება ჩემი ოცნება,
მთვარის ჩრდილი რომ ათინათდება
და ვარსკვლავები კვლავ გაცდება...
მე გავფრინდები ცაში აისზე,
მზეც თუ დაჰკოცნის დილებს სისხამთა,
ცაში გაფრენა მყუდროა ისე,
განმარტოება როგორც სიზმართან“.

დაფრთიანებულმა ანგელოზმა, რომელსაც ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო თავისი ქვეყნისათვის, დამცირებული საქართველოს და გატანჯული ხალხის ყურებას ვერ გაუძლო... გაფრინდა.

ფრთხილად! ქალბატონებო და ბატონებო, თუ გონზე არ მოვეგეთ, თუ ჩვენს სამშობლოს არ მივხედეთ, თუ მის პატრონად ვერ ვივარგეთ, რატის ბედი ემუქრება ხვალინდელ საქართველოს, ჩვენს მომავალს, თუ ასეთმა ანგელოზებმა საქართველო დატოვეს, საქართველო სატანებს დარჩებათ. თუ უკვე არ დარჩათ...

პოეტად მოკვდე

„მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის“
გალაკტიონი

არც ისე ბევრი უძლებს ბოლომდე,
ამ წუთისოფლის გზაზე ხეტიალს.
მთავარი არის როგორ იცოცხლებ,
თორემ, სიკვდილი ყველას ხვედრია.
ეს გზა, ეს წლები და ეს დღეები,
შენი გოლგოთა, შენი ბედია,
მთავარი არის როგორ მოკვდები,
თორემ სიკვდილი ყველას ხვედრია.
არ ახალია ჩემი ფიქრები,
ჩემი წუხილიც ვიცი ძველია.
თურმე, ძნელია იყო პოეტი,
პოეტად მოკვდე, უფრო ძნელია.

გაზ. „თვალთაი“ 24, 2000 წ.

თამარ ჯავახიშვილი

ერთი მკითხველის სიტყვა

უკვე რამდენიმე კვირაა ხელთ მაქვს რატის წიგნები. ვკითხულობ, მეორედ, მესამედ და, რაც მეტად ვუახლოვდები (თუ მიახლოვდება), მით უფრო ვგრძნობ – მის საკადრისს ვერაფერს დავწერ... მე უბრალოდ ვიტყვი ჩემს განცვიფრებასა და მტკივნეულ სიხარულზე, მონათესავე და ახლობელ სულთან შეხვედრამ რომ მაგრძნობინა... არც ეს ჩემი თაბეჭდილება იქნება რამე ახალი, ამას გრძნობს ბევრი და მომავალშიც მრავალნი იგრძნობენ. რატი ნინუა სულის მხატვარია, სულის მუსიკოსი და მესიტყვე... მთელი არსებით სამყაროს ნათელ საწყისებთან იყო მიერთებული და ყოველწამიერად ასხივებდა ამ სინათლეს. ასეთი დაიბადა: თანდაყოლილი შინაგანი მუსიკით, შინაგანი ხილვებით, ამქვეყნად თითქოს

ერთხელ უკვე ნამყოფის სიბრძნით. ამიტომაც ლაღი და უწვალებელია მისი პირველივე ლექსები. მათ არ ატყვია მოსმენილისა თუ წაკითხულის, – ლიტერატურული ინერციის კვალი. ყველაფერი თავისია. თავად გაზარდა თავისი თავი, როგორც პოეტმა. რატის ადრეულმა ლექსებმა გამახსენა ოდესღაც შემთხვევით ნანახი თავანკარა წყაროს სათავე – მიწის გულიდან ამოჩქოლილი, წინწკლებს რომ ისვრის ნაპერწკლებივით და პაწია ცისარტყელებს აციმციმებს. ცისა და მიწის სილამაზე ერთდება მასში. ასეთია რატის ლექსიც, ღვთიური ჰაერის სურნელება ტრიალებს მის სტრიქონებში:

“ბედნიერ ზღვაზე ლაქვარდები ცისფრად ანთია,
გრილი ჰაერი გულუბრყვილოდ გამჭვირვალა,
ზღვას ფრინველები ცაში ლაღად აუფანტია,
რა მსუბუქი და აღმტაცია მათ არევა”...

(EDEN)

“მე ავფრინდები ცაში აისზე,
მზე თუ დაკოცნის დიდებს სისხამთა,
ცაში გაფრენა მყუდროა ისე,
განმარტოება როგორც სიზმართან”...
 (“ანგელოსი რომ დაფრთიანდება”)
“არ ამიმღვრიოთ დაწმენდილი იდუმალება
მე აუმიღვრეველს ვუსმენ სიჩუმეს,
მე აუმიღვრეველს სიჩუმეს ვუსმენ,
ვუსმენ სიჩუმეს და... მდუმარებას”.

(“სიჩუმის ხმა”)

საკვირველია – 12 წლის ადამიანი ასე აზროვნებდეს, ასე სულში გწვდებოდეს და გაფიქრებდეს. ... შემდეგ კი მოდის სიჭაბუკე და პოეზიას უმდიდრესი ფერებით უვსებს... ფურცლავ წიგნს და შედევრს შედევრი მოჰყვება: “შორეული ზარები”, “ვარძიის მონოლოგი”, “თეთრი თოვლის სიმფონია”, “არაფრისფერი მდუმარება” (“არაფრისფერი” წარმოვიდგინოთ და ვიგრძნოთ რამხელა ფილოსოფიური აზრი დევს ამ სიტყვაში)... მთელი სამყარო თითქოს მასში მღელვარებს, მოძრაობს და სულში ვეღარ ეტევა... ხოლო “გრიგალს ღრუბელი მიაქვს, ვით დამსხვრეული ეტლი”... რატის ლექსი უკვე თავის თავში დასრულებული, სრულყოფილი ქმნილებაა, “მეჯლისი ზამთარში” – ეს ნატიფი ფერწერა ულამაზესი მუსიკის თანხლებით. შეგაკრთობს “მოჯადოებული ღამე” უძლიერესი მეტაფორებით:

შედეგებული მდუმარება დააწვით ხევებს,
ლურჯი ღამეა და გრძნეულნი ხარშავენ ფაფას,
ახლა მახინჯი გველეშაპი მთვარეს ჩაყლაპავს,
მთვარის სიცივე მუცელს ატკენს და გაახელებს”...

...რა შეიძლება ითქვას ლექსზე – “უდაბნო”, – თუ არა ის, რომ ეს არის ნამდვილი კლასიკა, ტალღებივით მოძრავი ფერების უცნაური სიმფონია...

ჩვენი სამშობლოს თავს დამტყდარ უბედურებათა მთელი კასკადი რატიმ გამოხატა უდიდესი განცდით. მის სტრიქონებში ღია ჭრილობის ტკივილია გაუნელებელი:

“გუშინ მეორედ მოკლეს ილია,

მოკლეს ილია, კედლებთან, სადაც
ის გაიზარდა და გაილია
ლამპრად, სანთელად, საკმევლად, დარდად”...
(“გადამწვარი ღრუბლები”)

სულისშემძვრელი სიცხადით დადადებს ქართული ბედისწერის სისასტიკე ლექსში –
“აფხაზეთის სისხლი მეწამული”:

ბეჭმოტეხილი გმირის იდაყვებს,
შეუბღალავი, ვით მისი სურვილი,
ბალახის ნორჩი სუნთქვა და სურნელი
ელამუნება და სულეთს ეძახის
სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი”...

რატომ პოეტური რეჟიემი მიუძღვნა მის სათაყვანებელ მერაბ კოსტავას და ზვიად
გამსახურდიას. წმინდა გული და ანგელოსის თვალი მოჩანს ამ ლექსებიდან, მაგრამ
ყველაზე შთამბეჭდავია ეს პატარა დასკვნითი სტროფი:

“ყოველ ახალ წელს, ჩემს ნაძვის ხეზე,
სათამაშოებს შორის
ერთი
ჰკიდია ცრემლი”...

ეს ხომ მთელი საქართველოს ობოლი ცრემლია, ჩვენი გაუთავებელი
ბედუკულმართობისგან აკიაფებული. ასეთ სტრიქონებს რატის “სიყვარულისა და
სილამაზის სული” აწერინებდა. მშვენიერ ლიტერატურულ წერილში (პოეტ გურამ
პეტრიაშვილზე) მან თვით ახსნა თავისი შემოქმედების კრედო და არსი. რატი წერდა:
“რომანტიზმის მრავალი სახეობა არსებობს, მაგრამ ზოგადად ვიტყვით, რომ ჩვენთვის
რომანტიკულია ის, სადაც ერთმანეთს ერწყმიან ეთოსი და ამაღლებული მშვენიერება,
სიკეთე და მშვენიერებით მოგვრილი აღმაფრენა, სიყვარულისა და სილამაზის სული.
ამგვარი რომანტიზმი ნამდვილად განაცდევინებს ადამიანს ბედნიერებას”. სწორედ
რატის შემოქმედებას მიესადაგება რომანტიზმის ასეთი ახსნაც და ეს სიტყვებიც: “მთავარი
“ლიტერატურული მიმართულება” აქ ისევ და ისევ სიყვარულია”...

ამგვარმა სიყვარულმა დააწერინა მას “დონ-კიხოტი” ჩემს მაგიდაზე”, “სადღაც
ლერწმებში სევდიანად ტიროდა ქარი”, “ფრიდრიხ ნიცშეს მონოლოგი”, ლექსი – “დედას”,
“სონეტი მამას”, ვაჟკაცური სინაზით სავსე ლექსები მშვენიერი ასულისადმი და საერთოდ
– ყოველი სტრიქონი. რატის მინიატურებიც ამ მთავარ “ლიტერატურულ მიმართულებას”
მიჰყვება და მისი ბრწყინვალე თარგმანების არჩევანიც ამითვეა ნაკარნახევი. ...მაგრამ
მოვიდა დრო და აიძვრა პოეტის სულის გამჭვირვალე ჰორიზონტები. რაღაც უცხო
აღემართა თვალწინ – მისთვის მიუღებელი და მტანჯველი. აღრეული სული ეძებს ნუგუმს
და ღმერთს შეჰდადადებს: “ვზივარ სხეულში, როგორც მყრალ გემში”...

...

“ჰოი, უფალო, მომეცი ძალა,
მივხვდე, რა არის ამჟამად სწორი
გთხოვ, არ გამწირო, არა და არა,
იქნებ გზა შენსკენ აღმოჩნდეს შორი”...

...

“იმ მოგონებების ყრუ ტანჯვით ვუმზერ,
ისიც ბოროტმა სულმა წამგვარა”...

...

“არ მითხრა, არა, რომ გვიანია,
რომ ჩემი შრომა არის ამაო,
მე ვინანიებ, მე ვინანიებ,
მე ვინანიებ, ტკბილო მამაო”...

(“იესოსადმი” ლოცვის მაგიერ)

ეს ლექსი შეგძრავს ტანჯვისა და სასოების ძალით ისევე, როგორც ტატო ბარათაშვილის “ჩემი ლოცვა”. (ბედმა ინება და ნორჩი რატი – ტატო ნინუა დიდი ტატო ბარათაშვილის ნატერფალზე ატარა. ვინ იცის, რა იგრძნო, როცა გაიგო, რომ იმ ძველი სკოლის კედლებში, სადაც ოდესღაც ყმაწვილი ბარათაშვილი სუნთქავდა, ახლა ის დადის, – ტატო ნინუა, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი შთაგონებით მოცული ბავშვი და უკვე გრძნობს ლექსის დაბადებას. მერე კი “ტატოს ემბაზი” უწოდა მას).

ეს ალბათ გენიალური დამთხვევა იყო ორი ობოლი სულისა, რომელთაც ცხოვრების ამაოებამ იკაროსივით დაუწვა ფრთები. რატიც მრისხანედ შეუძახებს ბედს:

„ერთიც არ მცდება განატყორცნი შენგან ისარი,
ერთიც არ არის ისართაგან ბალდამუვლები,
ვერ მათმობინებ, ლამაზია ჩემი მიზანი,
ვერ შემამინებ უბადრუკი შენი ყმუვლებით”...

...მაგრამ, მაინც იწერება “უძღები შვილი”, მაინც აწვალებს თვითგვემის ულმობელი ჟინი:

“მამაო, გცოდე, არა ვარ ღირსი,
ვიწოდებოდე შენს ძედ”...

ეს, ალბათ, ბოლო ლექსია... აქ წყდება წამებული სულის მიწიერი არსებობა... შემდეგ მოდის ბედისწერა და გამაოგნებელი თავზარი მათი, ვისაც რატი – ტატოს თვალები და ღიმილი ენატრება. ნუგეში არ არის... მაგრამ არის რატის რწმენა:

“ახლოა ჟამი ჭრილობათა მოსალბუნების,
ბედნიერება ჩემს სულშია ღვთით დათესილი
და ნაცვლად ხორცთა გასაძლომი ბილწი ცთუნების
მე სიხარული ზეციური მელის მზევსილი!”

ასე იგულისხმა წინასწარ თავისი სულის სამყოფელი. რატი ნინუამ მარადისობის ზღვარზე იცხოვრა, მარადისობას შეუერთდა და ულამაზესი სახსოვარი დაგვიტოვა ნუგეშად და ღვთაებრივი სიმაღლეების სახილველად. ამიერიდან ჩემს თავს მაინც “ნაფიც მკითხველთა” რიგებს მივათვლი.

თბილისი
მარტი, 2005 წელი

ტატო ნინუას პოეზია, რასაც ტყვია ვერ წაეკარა

ჰო, ეს კი იყო, ჩვენი ჩამოქცეული ცის თავანზე მეტეორის ჩამოვარდნასავით გადაიქურუხა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტდამთავრებულმა, უნივერსიტეტის კედლებში თოფი პაოლო იაშვილივით დააქუხა. ტყვია თვითონ იკრა, მაგრამ დახოცა ისინი, ვინც პოეტი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. ეს იყო და ეს. ჩვენამდე თოფის ქუხილის ექომ ძლივს მოაღწია, ვინც უდედაქალაქოდ, „ვაჰ, სოფელსა ამასა“ უპატრონოდ შთენილ „მდგმურთა“ მოგვეყურა. სხვა, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. არც გაზეთია ჩვენთვის, არც ჟურნალი და წიგნი ხომ... ქვის ხანა სანატრელი გაგვიხდა. კი ვიგუშანეთ, უსულგულო, ქვეყნის დაქცევის მგუებელი პოეტი, ვისაც წინაპრებთან არ მიესვლებოდა, ამას არ ჩაიდენდა, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ:

„...როგორ მოხდა... ვიგრძენი უცებ:
ახლოს ვიყავი ცასთან...
ღმერთთან ვიყავი ახლოს
და მას ესმოდა ჩემი სევდა, ტკივილი ჩემი,
ჩემი ობოლი სტრიქონების...“

კი, თურმე, მიუხედავად ტატოს სათუთი მოკრძალებისა, თითო-ოროლა ლექსი და თარგმანი სადღაც-სადღაც დაბეჭდილა კიდეც, მაგრამ დავიწყებულ სოფელ-ქვეყანაში რა მოაღწევდა. პატარა, ჯერ კიდევ მის ყმაწვილობისას, წიგნუკაც გამოსულა, მაგრამ ასე თვალსა და ხელს შუა მზარდ პოეტს არც მის გავრცელებაზე უზრუნია.

...და გუშინდლამდე... ჩემი და მამამისის, ზურაბის ძველი მეგობრობა რომ არა, დღესაც არაფერი მეცოდინებოდა.

კი, ბატონო, წასული ბრწყინვალე პოეტების მეტი რა ვიცით, ჩვენიც და სხვისიც. თუ პოეტს „სხვისი“ დაერქმევა, რაკი შემოქმედი ღვთის მიერაა ხელდასხმული და ღმერთივით კაცობრიობას ეკუთვნის. მაგრამ ტატო ნინუას წასვლას ადრეც არ ეთქმის. და თუ შემთხვევით არაფერი ხდება, რატომ მოხდა?!

იმიტომ ხომ არა, რომ:

„...ცრემლი ღვრის ცრემლებს... სიცივეს სცივა???“
„დღეს სხვა დროა და სატანა თელავს გულებს წყეული...“
„მე ვეწამე უსასრულოდ...“

თურმე, ფეხბურთითაც კი ყოფილა გატაცებული. იმ ასაკისას, როცა ის აღესრულა, ჯერ კიდევ სპორტისთვის თავი ვერ უნდა დაედწია და ჭკუა ფეხებში უნდა ჰქონოდა, მაგრამ იმდენადაა პოეტად დაბადებული, როგორც ანგელოზი ფრთებით. ტატო ნინუა ის ვარსკვლავია, რომლის კამკაში დაამშვენებს ქართული პოეზიის ცის თავანს და რამდენად დავაგვიანებთ მისი შემოქმედების გამოცემას, იმდენად დავაკლებთ ამ ნათებას:

„ვარსკვლავები — თეთრი ბეჭდები,
სითეთრით დაღლილ ცას — დედოფალს
უმკობენ თითებს.“
„...იმ უშორეს ვარსკვლავებთან ქარი დავგასაფლავებს“.

და მის, ერთ დროს პოეზიის ქვეყანას, დავაკლებთ ტატო ნინუას სევდას — „...სევდას —

ზღვის სილურჯით ფერმკრთალ ავადმყოფს...“ და კიდევ ერთი საკვირველება, როგორ ფლობს ქართულს და როგორ პოეტურ ელვარებას ანიჭებს სიტყვას!.. ძალიან სჭირდება მის ხალხს ის, რაც სიკვდილს გადაურჩა, რომ: „...იყუჩებდნენ მეწამულ ტკივილს“.

30.7.2002 წ.
წყალტუბო-გვიშტიბი

ანზორ ერქომაიშვილი

ორი დიდი მგალობლის “საგოდებელი”...

ქართული პოეზია და სიმღერა რამ გაყო, რატი (ტატო) ნინუას ლექსები ხომ თავად დიდი სიმღერაა, ბროლივით თავანკარა და ნალველივით გულშიჩამწვდომი. როცა მის წიგნებს ვფურცლავ, უნებლიედ ჰამლეტ გონაშვილის ხმა მესმის – ფერადოვანი და სევდიანი ტატოს დამოკიდებულება ხალხური სიმღერისადმი – ფოლკლორისადმი კარგად ჩანს ლელა თათარიძისა და ნუგზარ ფსუტურისადმი მიძღვნილ ლექსებში. კითხვისას, ჩემდა უნებურად, ამეკვიატა ერთი დიდებული სიმღერის ტექსტი: “შაშვმა აჯობა კაკაბსა”, საოცარია ჩვენი გენისა და ჯიშის მოდგმა, როცა “შაშვმა” აჯობა “კაკაბს”, “კაკაბმა” თავი მოიკლა, ამ ამბის გამგონმა “შაშვმა” ისე განიცადა, რომ სამუდამოდ დადუმდა და აღარ უმღერია... რატომ? იმიტომ, რომ ქვეყანა მრავალხმიანმა ჩვენმა საუნჯემ, გალობამ, მისმა შეხმატკბილებულობამ გადაარჩინა, იქნებ არის რაღაც საერთო იმ მგალობლებსა და ჩვენს მგალობლებს შორის? ან იქნებ კიდევ ჰქონდათ “ორხმაში” სამღერი სამშობლოს სიყვარულზე... რატი (ტატო) ნინუა ბუნებით ლირიკოსია, იგი გაიზარდა ურთულეს პერიოდში, როცა საქართველოს ხსნა თითქმის არსაიდან ჩანდა. მის თავზე “თმაგაშლილი ქარების გავამ გადაიარა”, ამიტომ ტატოს სევდიანი განწყობილება გამოწვეულია სამშობლოს გაუსაძლისი მდგომარეობით და მის პოეზიას, ცალუღელა მეურმის ნალვლიანი ღულუნის გასდევს; როცა “ღამურები სიბნელეს ფრთებით ქსოვენ”, ღამესთან დამეგობრებული ტატო ნინუა სიზმრებში ნათელმხილველი ხდება და “თეთრი ძერა”, შორეული მუზა – ფრინველი, ქაღალდზე “ძერწავს” ღამის ოცნებებში გახვეულ საქართველოს მომავალს, მაშინ მისი ლექსები მართლაც კვირტებდახეთქილ გაზაფხულს ჰგავს, რომელსაც გასდევს მხნეობითა და კეთილშობილური პათოსით აღსავსე სიმღერა... “პატარა ტატოს” პოეზიაში მისი თაობის სუნთქვა ისმის... იშვიათად თუ ვინმეს მის ასაკში ასე უგრძვნია თავისი ქვეყნის მაჯისცემა. სამშობლოს უდიდესი სიყვარული, მისი მთა და ბარი აცოცხლებდა და მისი ცვარ-ცრემლიანი ბუნების ნაჟურით “იკვებებოდა”... მისი სიცოცხლე მხოლოდ მის ტანჯულ სამშობლოს ეკუთვნოდა, აკი აჩუქა კიდევ!.. ქვეყნის მძიმე ხვედრით გულდამძიმებული ტატო საშველად უხმობს წინაპართა აჩრდილებს, ვახტანგ მეფის, თამარის, დავით აღმაშენებლის, დიდგორის დიდების პერიოდს და შენატრის მას “ზრმალითა ავით...”

ტატო ნინუას ბრწყინვალე ლექსებში თანდათან ცოცხლდებიან საქართველოს ისტორიის გმირული ფურცლები: როცა “დიდგორის ქარი სიტყვას ითხოვს”, როცა “დაღლილი საქართველო ძაძვით იმოსება და რაინდებს ლოცავენ თეთრი ანგელოსები”, როცა 9 აპრილის გმირებს ქეთევან დედოფლის კალთაში გამოზრდილ ბარტყებს ადარებს, როცა ძველი გმირების გვერდით ხატავს მერაბ კოსტავას ბობოქარ სულს, როცა აფხაზეთში ყაყაჩოსფრად დაწინწკლულ ბრძოლის ველზე ახალი ყაყაჩოების ამოსვლას ელის, მაშინ,

ალბათ, “ჩაკრულოს” მხნეობით აღსავსე ჰანგები თუ “დააწყნარებს” და “დაამშვიდებს” ჩვენს დიდ პოეტს – რატის... “მაცალე ერთი გავლესო ხმალ-ჩახმახ ცეცხლის კვესია, სულ წმინდად მოგამკვივნო რაც ჩემთვის დაგიტესია”... .. რა...ამღერებდათ სამ ან ოთხ ხმაში მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, ჰამლეტ გონაშვილსა და ტატო ნინუას, ვის და რატომ უმღეროდნენ, ცხადი გახდება თუ ყურს დაუგდებთ მათ მიერ “აკვიატებულ” უსაყვარლეს “სიმღერა-გოდებას”, რომელსაც “შავლეგო”, “ჩაკრულო”, “ურმული” და კახური “25-სა დეკემბერსა-ალილო” ჰქვია... არა მგონია კაცი ნორმალური იყო და არ “შეგშალოს”, არ ჩაგაფიქროს თუ რამ შექმნა ეს ქართული ხალხური საოცრება “იქნებ, ყოვლადწმინდა სამების მადლმა...), ან რა ამღერებდა ან რამ ააგალობა ასე შეხმატკბილებულად, სხვების გასაგონად და მოსასმენად ეს დევგმირები; იქნებ, მსგავსად “ვეფხისტყაოსნის” ავთანდილის სიმღერისა: “რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან, ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან; იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან”.

რავი ნინუა რომ ამქვეყნიური არ იყო, თავიდანვე ეტყობოდა. იგი სულ სხვა განზომილებაში ცხოვრობდა, დროში, სხვაგვარად აზროვნებდა და იღვწოდა, ამიტომ, ვერ გაუძლო ამ ცოდვილ წუთისოფელს და წინაპართა სულებს შეუერთდა ქვეყნის “გადასარჩენად”... “ქარის ფრთებით” უყვარდა გიჟური ფრენა და ამ ფრთებმა აიტაცეს და გაიტაცეს მისი ნათელი სული ზეციურ საქართველოში სასიმღეროდ. ახლა იგი იქ, “თელას წვერის ფუნჯს მზეში აწობს” და სამშობლოს სალოცავ ხატს ხატავს ჰამლეტ გონაშვილის სიმღერის ფონზე, იმ იმედით, იქნებ მისმა ძალამ იხსნას “მიჯაჭვული ამირანი”...

დიდება ტატოს პოეზიას და მის უკვდავებას...

27.02. 2005 წელი

ჭაბუა ამირეჯიბი

რავი ნინუას ლექსებმა ცრემლი მომგვარა...

უზომოდ მტკივნეულია აზრი, რომ ამ საოცარი პოეზიის შემქმნელი საწუთროს ასე ადრე გაშორდა... საწუთროს, – თორემ მარადისობაში მას ადგილი უკვე დამკვიდრებული აქვს – რავი ნინუას შემოქმედება დიდი ქართული პოეზიის ერთი მშვენიერი ფურცელია. პროზაც ხელეწიფებოდა. რატის მინიატურები დამუხტულია დიდი ენერგიით. რავი მომავალში უეჭველად მნიშვნელოვან ტილოებს შექმნიდა, – ის ლამაზი სული, უკიდევანო ფანტაზია, ყოვლისმომცველი სიყვარული, ჭემმარიტი ღვთისმოსაობა მას მშვენიერ წიგნებს დააწერინებდა. (როგორი მძაფრი და ზუსტია თუნდაც მისი – “განაჩენის გამოტანის შემდეგ”). სხვა კაცი იყო. “საკუთარ ალში დაიფერფლა” და ადრე წასულ გენიალურ ჭაბუკთა გუნდს შეუერთდა. ვაგლახ, რომ დროის მსხვერპლია – ჩვენი აღრეული და მრისხანე დროისა – როცა ბრწყინვალე ახალგაზრდები ან მტრის, ან საკუთარი ტყვიის წერანი ხდებიან. მაღალმა ღმერთმა დაუმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

მარტი – 2005 წელი

„კეთილად მშვენიერი“ სულის პოეტი

ახალგაზრდა შემოქმედს, რატი ნინუას თითქმის არ იცნობდა ფართო საზოგადოება, ის ხომ ჯერ კიდევ 23 წლის იყო, როცა თავის ერთ დიდ ლექსს, თავის ცხოვრებას, უკანასკნელი წერტილი დაუსვა, შეაჩერა დრო მარადისობის მშვიდ და უცხო მხარეში.

მისი თვითმკვლელობის ამბავზე ბევრს წერდნენ ჟურნალ - გაზეთები, ეძებდნენ მიზეზს, დანატოვარ წერილებს, სადაც დაკმაყოფილდებოდა მავანთა ცნობისმოყვარეობა, მაგრამ განა შეიძლება სულის ის მეტყველება, რაც რატიმ თავის თარგმანებში, საკუთარ ლექსებში, თუ სიკვდილის წინ დაწერილ ორ მოთხრობაში აღბეჭდა, ჩატეულიყო რამდენიმე ფრაზაში, დასრულებულიყო თავის თავში, დარჩენილიყო თვითმკვლელობის ახსნა-განმარტებად. რატიმ ამ ნაბიჯით ყველას ერთი დიდი კითხვა დაუტოვა და ეს კითხვა გასცდა მისი პიროვნების საზღვრებს, ადამიანებში გადმოიღვარა და ყველას სინდისს სხვადასხვა დონეზე შეეხო. მისი ტკივილი იყო მარადისი, არა დროისა, დრო მისთვის მხოლოდ სივრცე იყო, სადაც სამყარო უნდა განმარცვლიყო მისი სულის წინაშე და თავადაც ეტვირთა ტკივილი კაცებრივი ეგზისტენციისა. ქვეყნიერებაც მაშინ იხსნებაშენს წინაშე, როცა მართალი გულით, უშიშარი პირდაპირობით შეხედავ მას. არის სხვა გზაც, საკუთარი თავისგან გაქცევისა, დროში განლევისა, მის დინებაში გადასვლისა. მაგრამ აქ უკვე მთავრდება ადამიანის სიცოცხლე. მეორე, ფიზიკური სიკვდილი მხოლოდღა ფაქტის კონსტატაციაა, სხვათათვის ხილული, თუმცაღა უმნიშვნელო. ტრაგედიის გმირი კი მეორე გზას ირჩევს. ის ყოფიერების ზღურბლზე დგას, წყდება დროის მდინარებას, მასების ტოტალურ სიმშვიდეს, რომელიც მორჩილებით მიჰყვება ეპოქის სტერეოტიპულ მოდელს. ტრაგედიის გმირი დროის წინააღმდეგ მიდის, მისი ქმედება არაფერს ხელშესახებს, მატერიაში ქმნილს არ ტოვებს, ის რჩება პრეცედენტად, რომელსაც თავისთავადი მნიშვნელობა გააჩნია, ის ვერ იქნება მასის მისაბამი, მას ვერ გაიმეორებენ, მაგრამ თავისთავად, როგორც დროის წინააღმდეგ მიმართული ამბოხი, იგი ყოველთვის გააცოცხლებს იმ ტკივილს, რომლისგანაც გარბის ადამიანი. მშვენიერება არ იხილება უბრალოდ და თავისთავად კაცის წინაშე, ის მსხვერპლს მოითხოვს, კოლექტიური ნებისაგან საკუთარი ნების მოწყვეტას, რაც ძალზე ძნელია. რადგან არაფერი ისე იოლი და მიმზიდველი არ არის, როგორც მასასთან ტოტალური ერთიანობის განცდა, საკუთარი თავისუფალი ნებისაგან გაქცევა. ნებისმიერი კულტურული არტეფაქტი თავისი არსით თითქოსდა ზედმეტია, მაგრამ ამ „ზედმეტობაშია“ ჩადებული სწორედ მარცვალი ჭეშმარიტებისა. სამყაროს სჭირდება გმირები, რომელნიც სიტყვაში ტვიფრავენ ჭეშმარიტების სულს და ღვრიან გამყარებულ ყოფაში, რათა არ დაიკარგოს ის საწყისი, ორიენტირი, რომელიც განაპირობებს ადამიანის მყოფადობას ამ ქვეყანაზე სულიერ პლანში.

რატი ნინუას ტკივილი იგივე ვაჟას მინდიას განცდაა, ცოდნაა, რომელიც დისონანსურია ყოფიერებასთან მიმართებაში, ამიტომაც ძნელია მისი ტარება. ეს ის წყლულია, რომელიც უცხოა მრავალთათვის, რომლის შეგრძნებაც მხოლოდ პოეტური სულის ადამიანებს ძალუძთ, ამ მადლის ტარება ყოვლის თმობას მოითხოვს კაცისაგან, მაგრამ ეს ხარიზმა არ არის მარტოდენ ერთი ადამიანის ნიჭი, ის სხვათა გულებში ლამობს გადმოღვრას, მაგრამ იქ ხშირად დახშული კარიბჭე ხვდება. საჭიროა უდიდესი ძალა, რათა სიცოცხლის ბოლომდე ატარო ეს მადლი, ხედავდე სამყაროს თავის ჭეშმარიტ არსში და იმავდროულად იცხოვრო დროში. ეს ნიჭი ხშირად დაფარული რჩება სხვათათვის და მხოლოდ მაშინ, როცა დროჟამული ყოფიერება განილევს, რჩება სამარადისოდ სიტყვაში აღბეჭდილი. მაშინ ბევრი იკითხავს „გველისმჭამელის“ ბერდიას დარად:

„რა წყლული კაცო, შენ წყლული
ჩვენ არვის გაგვიგონია.
შენ წყლულიანებს სხვებს არჩენ
ათასობითა მგონია“.

ვაჟა-ფშაველამ, ამ მარადიული გაზაფხულის ქვეყნიდან მომავალმა კაცმა, კარგად შეიცნო დროის დილემა, ჩაწვდა სამყაროს აპოკალიფსურ მისტერიას, მაგრამ „გველისმჭამელისაგან“ განსხვავებით, სხვა პოემათა გმირები თითქოსდა უსასრულოდ არიან პირველქმნილი ნათელით მოსილნი, მათ ვერ შეეხო დროის გაორება. მინდია ერთადერთი მთავარი გმირია ვაჟას შემოქმედებაში, რომელიც თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს. მაგრამ მოდერნიზმის სული უკვე ნათლად აღიქვამს სამყაროსეულ გახლეჩილობას. დიონისური და აპოლონური თითქოს ერთ დიდ მთლიანობად იქცევა, შლის და ამთლიანებს მკითხველის სულს.

ეგზისტენციალურ სიცარიელეში პოეტური ვნება ქმნის მშვენიერების სულს. ხელოვანი დროის პირმშოა, მაგრამ სიტყვაში ქმნილი მარადისია იმდენად, რამდენადაც თავისი არსით ღვთაებრივ არქტიპებს მოიცავს, სულის ვიბრაციას, რომელიც არასდროს ხუნდება. პრაგმატული აზროვნება კი დროჟამულ სივრცეს ამყარებს. ადამიანთა მასებიც მიჰყვებიან უკვე გაკვალულ, იოლად სავალ გზას. მათ სჭირდებათ ბელადები და იდილიური მითები. მაგრამ ერთხელ, ოდესღაც სახლიდან გასული ზღაპრის გმირი ვეღარ დაბრუნდა უკან, დედის წიაღში, თავის სახლში, ვერც მშვენიერი მზეთუნახავი გამოიხსნა ტყვეობიდან, ის განიწვალა უსასრულობაში, მან შეიცნო ისტორიის არსი და ამასთან ერთად მიხვდა, რომ ყოველივეერთხელ იწყება და დასრულებითაც მალემთავრდება. ამდღის შემდეგ სიკვდილის შიშმა მოიცვა მისი არსება და ადამიანმაც შექმნა ყველაფერი, რაც დაავიწყებდა სიკვდილის არსებობას. მიკროკოსმმა ამოწურა თავისი თავი, რადგან თვალთა სივრციდან გაქრა ის სამყარო, რომელშიც თავისი სულისა და სხეულის ანარეკლს ხედავდა. არტეფაქტების სივრცე დაცარიელდა, მოწყდა ნათელ წიაღს, მის მიერ შექმნილი, თუ ბუნების სტიქიაში არსებული, უწინ ღვთაებრივი ხდომილების უტყუარ ნიშანს წარმოადგენდა, კოსმოსური მთლიანობის შეგრძნებით ავსებდა ადამიანს. ჟამთა ზღურბლზე ყოველივეს საბურველი შემოეძარცვა და ძე კაცისა დარჩა გაქვავებული საგნებით გარშემორტყმული. მქმნილი შექმნილს დაემსგავსა, იგრძნო დროის დინამიკა, რაც უფრო მეტად შეიგრძნო სიკვდილის შიში, მით უფრო აჩქარდა, შექმნა სწრაფი და ძლიერი მანქანები, რომელნიც თითქოსდა უკან მოჰქრიან სიკვდილის კართაგან, მაგრამ ამაოდ. მოძრაობის რიტმში გაქრა მარადისი, ჟამისმიდმიერი.

პოეტური სიტყვა ყოველთვის დროის გიჟური დინების ზღვარზე ჩერდება და თავის ფესვებთან აბრუნებს ადამიანს. ისე, როგორც ერთხელ ისიკავა ტაკუბოკუმ თქვა:

Так захотелось просто быть в пути
И ехать в поезде! Поехал!
А с поезда сошел и некуда идти.”

სიყრმის ასაკშივე შედგა ყოფიერების ზღურბლზე რატი ნინუა. ათი წლისამ დაწერა ლექსი, რომელიც იმავდროულად მისი ბედისწერაც იყო:

„ღამით თბილისში და მის ქუჩებში
წყვდიადი სუფევს.“

ეს ცხოვრების გზა უფრო მოკლდება
და სადღაც უხვევს.
შიშისმომგვრელი ქარი ზუზუნებს,
ძვალ-რბილში ატანს,
მე ცხოვრებისგან თითქმის არაფერს,
თითქმის არაფერს მოველი ახალს...
დადუმდა ქუჩა, ძილს მიეცა და სიზმარს ხედავს,
ეს ძილია თუ სამუდამოდ სიკვდილი ნეტავ?”

რა შორსაა ამ ლექსის რიტმი, შინაგანი მუხტი მარტოობის ფსევდოპოეტური სენტიმენტისაგან. მარტომყოფობის განცდა აქ არ არის თვითკმაყოფილების პათეტიური სასრული, ის გარდუვალობაა, რომელსაც მარადისობაში მომზირალი ადამიანი ხედავს, არ კი გაურბის, არ ეძებს მასასთან ტოტალური ერთიანობის განცდას, დროის წრაფ რიტმში სხვებთან ერთად მხიარულ როკვას. ამ ფიქრის მიღმა ქალაქიც ცარიელია ერთი კაცისათვის. ქუჩები მინოტავრის ლაბირინთს ემსგავსებიან, სადაც არიანდნამ უნდა იხსნას გმირი თეზევსი, ანთმა უნდა შეერთოს ანიმუსს. მარადი ქალი ხომ ის საწყისია, რომლითაც აღივსება მარადჭაბუკი, სული პოეტური:

„მე შენ მიყვარხარ ისეთი ძალით,
რომ ჩემი თავი ვიცოდე, — არ მსურს,
გავზავდე შენში მშვენიერ წამით,
შევერთო შენი თვალების ლაზულს“.

ეპოქის ტექნიციტური სული ამ მშვენიერებასაც შორს, უსასრულო სივრცეში ტოვებს და მისთვის აღარ არსებობს რეალური ქალი, ქალი თავისი ყოფითი სახით, ემანსიპირებული, ქალწულებრივი მზის დამკარგავი. გმირი ვეღარ პოულობს მზეთუნახავს, რადგან ის კოშკი, სადაც მზეთუნახავი იყო, უკვე ცარიელია, მიტოვებულია. პოეტისათვის ირღვევა ზღვარი ესთეტიურსა და ყოფით რეალობას შორის, მისთვის პოეზია აბსოლუტურ სინამდვილეს წარმოადგენს. რეალობის ზღვარზე იბადება ტრაგედია. არის უდიდესი ნეტარება და იმავდროულად ტანჯვავე სულისა, რადგან ტრაგედიის გმირის არტიტული ნილაბი სცენას კოსმიურ სივრცედ აქცევს, მოიცავს მას და თავად ცხოვრების ერთ დიდ თეატრალურ წარმოდგენად გარდასახვას ლამობს. ტრაგედიის გმირი „ვერმილწეულის ვნებით“ არის შეპყრობილი, თავისი ვნების ღაბუშია, ყოფიერების საზღვრებს მიღმა მიმავალი.

„რომანტიზმისათვის ღირს ცხოვრება ამ ქვეყნად და რომანტიზმისათვის უნდა იცხოვროს ადამიანმა. ადამიანმა უნდა იცხოვროს რომანტიკულად“ — ამბობს რატი და ჩანს, რომ მისთვის სიყვარული, ქალის მშვენიერება სწორედ ის საწყისია, რომლის მიღმაც ირღვევა რეალობის საზღვრები, როდესაც უსახო სივრცეში ძალუმი პოეტური იმპულსი იღვრება და ეს ძალა ამსხვრევს ტრადიციულ სტერეოტიპებს. „დახვეწილი გემოვნების ქალიშვილში“ რატი ნინუა უტყუარი ალღოთი ქმნის მივიწყებული, დაკარგული მშვენიერების სახეს. ყოფიერების დინებას გამოსტაცებს „ღარიბი და სახენათელი“ გოგოს სილამაზეს. აქ პოეტური ენა არღვევს ფაქტიური კომუნიკაციის სივრცეს, სიტყვებით და ურთიერთობებით აღსავსე გარემოს, სადაც რეალურად, მეტყველების სანაცვლოდ, უბრალოდ ხმაურია, ურთიერთთანაზიარობის ნაცვლად მხოლოდ სულისბჭედახშულ ადამიანთა რიცხვი, თუ ურიცხვობა. პოეზია ამ მოჯადოებულ წრეს ხსნის, ის იმ ცენტრს იმეცნებს, საიდანაც მოედინება ყოვლისმომცველი ლოგოსი, ყოველთა აღმსებელი სიტყვა. ბაზარში მდგარი

გოგონა ქაოსური, ბნელი სივრციდან პოეტურ რეალობად იქცევა, სინამდვილედ, რომელიც აუცილებლად უნდა შემოიჭრას პროფანულ სამყაროში თვალთა ასახვლად.

რატიმ დატოვა ოსკარ უაილდის, ბაირონის, პუშკინის, ესენინის, სლოვაკის და სხვა კლასიკოსთა შესანიშნავი თარგმანები. შემთხვევით არ გაიტაცა იგი ნიცშემ. პოეტი სისხლით უნდა წერდესო — ამბობდა ნიცშე, ეს სიტყვები რატისათვის ხელით შესახებ სინამდვილედ იქცა. სამყაროს ტოტალურ სიჩუმეში მისი სიცოცხლე ყოფნა-არყოფნის ზღურბლზე მოედინებოდა, „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ სჭვრეტდა ნიცშე სამყაროს. თავის ლექსებში ეგზისტენციალური სიცარიელის კოსმიურ ჰარმონიად გარდასახვას ცდილობდა რატი, როგორც აბსურდის გმირი, როგორც სიზიფე მარადუცხად მიემართებოდა მათათა მწვერვალებისაკენ, სიტყვაში კვეთდა თავის განცდას. მისთვის პოეტობა არ იყო თვითმიზანი, ის სიტყვით ცდილობდა თავისი თავის განსხეულებას ადამიანთა შორის, მაგრამ ხედავდა ღმერთისაგან დაცარიელებული სამყაროს დისონანსურ სულს, ეძებდა ორიენტირს, სულიერ ცენტრს, სადაც სამყაროეული განხლეჩილობა დაძლეული იქნებოდა, კოსმიურ სულთან თანაზიარობის რწმენას მარტოობის დაუძლეველი განცდა ებრძოდა. მას უნდოდა სიკეთეშიც უფრო მეტი ყოფილიყო, ვიდრე უბრალო მოკვდავს ძალუძდა. რატის უყვარდა ნიცშე და იმავდროულად ებრძოდა მას, როგორც თავის ბედისწერას. ვრცელი ნაშრომიც დაწერა მასზე, სადაც შეეცადა ნიცშეს ფსიქიური დაავადების მიზეზი აეხსნა. სიკვდილის წინ ეს ნაშრომი⁶, ბოლოს დაწერილ მოთხრობასთან ერთად, რომლის გმირიც თავის სიცოცხლეს თვითმკვლევლობით ასრულებს — გაანადგურა. მის მეორე, დარჩენილ მოთხრობას ასეთი მინაწერი აქვს — „მოთხრობა მენანება, თორემ არაფერ შუაშია“. მაგრამ სიტყვებში უკვე იყო მისი სულის ნაწილი, ის ცოცხალი დარჩა. ქალღმერთი მოკვდა, სიტყვა კი მუდამ თან სდევდა. ნაწერის მოსპობა არ იყო პატარა მსხვერპლი, ალბათ ფიქრობდა, რომ ეს ზვარაკი დააბრუნებდა ამ ქვეყანაში.

„Вокруг героя все становится трагедией, вокруг полубога все становится драмой сатиров, а вокруг бога все становится — как? быть может, „Миром“?“ (Ницше). ტრაგიკული სულით იყო აღვსილი რატი ნინუა, ზღვის უკიდევანო სივრცეში უსასრულო ქაოსთან მეზობლი, უცხო მეზღვაური. რატის წიგნისათვის „სინდბად მეზღვაურის“ დარქმევა სურდა. მისი ბოლო მოთხრობის პერსონაჟსაც მეზღვაურის ფორმა აცვია — „ის მოდიოდა მეზღვაურის სამოსში — თავზე მეზღვაურის ლამაზი, ცისფერი ქუდი ეხურა, ზონრიანი თეთრ - სფერი ტანსაცმელი ეცვა და გახსნილი ღილების იქით მკერდს უფარავდა ზოლიანი „მატროსის მაისური“. ლექსში „იესოსადმი“ იგი ამბობს: „ვზივარ სხეულში, როგორც მყრალ გემში“. ეს გემი მიექანება ზღვის ტალღებში, ბნელ ქაოსში, სულის ნავი — ეკლესია, რწმენა, როგორც ქრისტიანული მისტერიის სიმბოლო, გამქრალა და სხეული-ხომალდი ზღვაში იკარგება. მანამდე, სხვა ლექსში ნათქვამია:

„ზღვამ ზეცა გაინაპირა
და ჩემი ფიქრიც დაღუპა,
დაღუპა როგორც ხომალდი“.

სულის ხომალდი მანამდე შთანთქა ზღვის წიაღმა, ბიბლიურმა თეჰომმა. ამის შემდეგ მისთვის სხეული უკვე ის ზვარაკია, რომელმაც სულის ხომალდი უნდა გამოიხსნას. მან იცოდა, სულის ნავი ვერასოდეს მიიყვანდა ნათელ მხარეში, რადგან ეს მხარე უკვე აღარ არსებობდა. ცხრა აპრილი რატისათვის გზა იყო, რომელსაც ერი მარადიული გაზაფხულის ქვეყანაში უნდა ეშვა. მაგრამ დროის მდინარებამ ზღვის ხმაურში დატოვა იგი, როგორც მარტოხელა მეზღვაური, ერის ტკივილთან ერთად. რატი ყოველთვის

⁶ შემდეგში ეს ნაშრომი რატის არქივში აღმოჩნდა და დაიბეჭდა ცალკე წიგნად. (რედ.)

ქაოსის რიოში მოხეტიალე გმირს წააგავდა. მას არ შეეძლო იდილიური სიმშვიდით და მორჩილებით მიეღო ეთიური სიღრმე ადამიანური არსისა. რატის უნდოდა შეეცნო დაცემის ტანჯვა, რათა უფრო მეტად ეგრძნო ამაღლების ნეტარება. მართლაც, ხშირად ქალაქი აღთქმული ადგილია მარტოკაცთათვის და უდაბნოშიც არა წყურვილმოკლულნი, არამედ დამაშვრალნი მიემართებიან, იქ, სხვა, მეორე მხარეში, რათა უფრო მეტად იყვნენ აქ, ერთადერთში. მახსოვს საფლავთან, როდესაც რატის ლექსებს კითხულობდნენ, აცრემლებული ქურთი ქალი, საფლავების მეზობე, ცოცხით ხელში იდგა და ტიროდა, ტიროდა რატის ქართულ ლექსებზე. კარგი ლექსი ხომ ყველასათვის იწერება, გამგები კი გულით განმცდელია მხოლოდ. კაცნი იტყვიან თვითმკვლევლობა ცოდვააო, მაგრამ ეგებ ჩვენ არც კი გვაქვს უფლება ზღვის ტალღებთან მარტოდდარჩენილი პოეტის განკითხვისა, ეგებ იმ ტკივილს ჩვენ ყველანი ძლიერ გავუბრთ და ასეთ ადამიანებსაც ხშირად თვალს ვარიდებთ. არადა, რატის ყველას სიყვარული ეწადა. ყველასთან სულიერი თანაზიარობის განცდას ესწრაფოდა. უნივერსიტეტის 110-ე აუდიტორიაში საბედისწერო გასროლის შემდეგ ბევრმა აარიდა რატის დატოვებულ კითხვას თავი. მცირე ხნის შემდეგ ცოდნის ტამარში სისხლიანი აუდიტორია კვლავაც თეთრად გადაღებეს, თურმე შესძლებია თეთრ საღებავს პოეტის სისხლის წაშლა. ეგ არაფერი, საფიქრალი იქ მყოფთა შეთეთრებული სახეებია, ისინიც თეთრდებიან დროგამოშვებით უნივერსიტეტის კედლებთან ერთად, მაგრამ ვინ იცის...

...რატის სულიერი ენერგია საუთარ თავთან ბრძოლაში იკვეთებოდა, იყო რაღაც დემონური მის პოეტურ ვნებაში, მაგრამ დემონურ სახეთა ნაკადი არასდროს ყოფილა მისთვის ესთეტიზაციის საგანი, მისი შემოქმედება ღვთაებრივი სიმშვიდისაკენ მიმართული მზერაა სამყაროსეულ ქაოსში მოხეტიალე ადამიანისა, რომელსაც არ სურდა ცრუ და მარტივი რწმენით ეცხოვრა. ჭეშმარიტი სულიერი ცენტრის ძიებისას იგი ხშირად იწვევდა თავის დემონს, რათა ეძლია იგი და გამარჯვებით მადლმოსილს შეეცნო საკუთარი გზისტენციის საწყისი ამ სამყაროში. ის არტისტული ნიღბების მიღმა ცხოვრობდა და ყოველი სახე სამყაროს ერთ ნაფლეთს წარმოადგენდა. ხშირად მთელი გულით ესწრაფოდა მიწიერ ტკბობას, მაგრამ არ ჩერდებოდა საბოლოოდ ნალახში, მას სურდა ამ გზით უფრო მეტად ეგრძნო მონატრება უფლისა, განეცადა ტკივილი მაცხოვრის ცოცხალი ხატებისაგან ადამიანის მოწყვეტისა. შეიძლება ითქვას, რომ მისი შემოქმედება და ცხოვრება ერთგვარი ექო იყო ნიცშეს მახილისა — „ღმერთი მკვდარია, ადამიანთადამი სიბრალულმა მოკლა ღმერთი“. რატის უყვარდა ნიცშე და იმავდროულად ებრძოდა მის სახეს. სამყაროსეულ უსრულობაში ტოტალური სიმარტოვე ადამიანისა, ბედისწერის მიმართ მისი ფატალური განწყობა, ნიცშესთან ზეკაცის იდეაში შენივთდა, მაგრამ რატი მარადჟამს დაემებდა სულის სისავსეს, უფალ მაცხოვარს. მისი ბოლო ლექსი „იესოსადმი“ ამ სწრაფვის მწვერვალია. იგი მუდამ ეძებდა წყნარ ნავთსაყუდელს, მარადქალურ საწყისს, სამყაროსეული რღვევის აღმდგენს. მისი ეროსი საოცრად წმინდაა, ნატიფი, მიმართული მშვენიერი ქალწულისადმი, რომელიც არასოდეს არ შეიძლება შეირყვნეს, შეილახოს, მისი მთლიანობა ურღვევია. ანიმუსი მხოლოდ ანიმაში განზავებას ესწრაფვის. სისავსის ამგვარი სახე დამსხვრეულია თანადროულ ყოფაში და პოეტის სწრაფვაც ვერ აღწევს მშვიდ ნავთსაყუდელს.

რატი ბოლო ლექსში ამბობს: „ვზივარ სხეულში, როგორც მყარალ გემში“, სხეული-გემი ილუპება ზღვასთან ჭიდილში, მაგრამ სიტყვა რჩება სულის ბრძოლაში დაბადებული...

გაზ. „პოლიტიკა“,
№22, 2001 წ.

რატი ნინუა

10 მაისს, 23 წლის რატი ნინუამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. რატი ნინუა ბაირონის ათიოდე ლექსის თარგმანით გავიცანი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა კაცში მე ბაირონის, და არა მარტო ბაირონის, პოეზიის მომავალი პროფესიონალი მთარგმნელი დავინახე. თარგმანის თეორიის თანამედროვე გადასახედიდან გულუბრყვილოდ გამოიყურება გაცვეთილი გამონათქვამები: „მან მარღვიანი ქართულით თარგმნა“, „მან თარგმანში ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპი შეინარჩუნა“ და ა. შ. და ა. შ. უცხო დამშობლიური ენების კარგი ცოდნის შემთხვევაში, პოეტური მეტყველების ნიჭის შემთხვევაშიც, შეუძლებელია ფრთა შეასხა ქართულ ფრაზას და შენი სახელი დიდი პოეტის ნაწარმოებს მიუწერო გვერდით, თუ არ შეგწევს უნარი თავად ნათარგმნი პოეტის პიროვნების არტიკული წვდომისა, მისი ტექსტის სიღრმისეული ანალიზისა. რატი ნინუა ჩვენი უნივერსიტეტის იმ უიშვიათესად განსწავლულ და ნიჭიერ კურსდამთავრებულ ფილოლოგთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვისაც შეეძლო მომავალში მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დაყრდნობით დიდი პრაქტიკული მოღვაწეობა გაეშალა. მას ეს გულწრფელად ეწადა და ჭეშმარიტად ხელეწიფებოდა. პირში ნათქვამ ქებასა და მასზე იმედების დამყარებას რატი მორცხვად და უჭმრად ისმენდა. ახლა ვხვდები, რომ მისი თვალების გამომეტყველება და მთლიანად მისი პოზა მხოლოდ სევდიანი და ნაღვლიანი ყოფილა. საუბედუროდ, ალბიონის კუნძულზე აღმოცენებულ „ყოფნა-არყოფნის“ თეზას რატიმ საკუთარი გამოწვევა ესროლა და სამუდამო სირცხვილნარევი ტკივილი დაგვიტოვა ირგვლივმყოფთ. მისი სიკვდილით თავზარდაცემული, უპირველესად, ისევ მის თარგმანებს მივუბრუნდი. სიცარიელის განცდა ახლა ამ გზითღა თუ შეივსებოდა. პოეტურ ტექსტთან ურთიერთობისას არაერთი სასწაული განმიცდია. გუშინდელი შემთხვევაც, ალბათ, მათ რიცხვში ჩადგება. თარგმანების დასტა, რატიმ საკუთარი ხელით რომ გადმომცა ამ ზამთარს, კარგა ხნის წინ საქალაქო მოვათავსე სხვა სამუშაო მასალებთან ერთად და დრო და დრო მივუბრუნდებოდი ხოლმე მას. მაგრამ გუშინდელი შეხება სულ სხვა შინაარსის აღმოჩნდა: ფურცლები რატომღაც გადაშლილიყო მის მიერ თარგმნილ ბაირონის მხოლოდ ერთ ლექსზე „შენი დღეები, აჰა, დასრულდა“. საკმარისი იყო მზერა ტექსტისაკენ მიმემართა, რომ უხილავმა ძალამ მხოლოდ შუაგული სტროფით შემომანათა. იქიდან მე ეს ოთხი ხაზი შემეხმინა: „ჩვენს გულს სიცოცხლე ვიდრე ახარებს, დავიწყებისთვის შენ ვერ გაგწირავს. იმ წმინდა სისხლმა, რაც შენ დაღვარე, ფუჭად მიწაში ჩასვლას დასცინა“.

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,
№21, 2000 წ

რატი (ტატო) ნინუას ხსოვნას

მისი ლექსები მოწყენილი დარჩნენ ამქვეყნად.
თვითონ ამბობდა: „მე და ჩემს ლექსებს მოწყენ გველის“.
ზღვაში ჩაენტქა მას ოცნება, როგორც ფიქრობდა
და ჩაესვენა „ალუბლის სულით, ალუბლისფერი“.
ლექსების წერას აბრალებდა იგი თეთრ ძერას,
გამორჩეული ჰქონდა ლექსიც და ბედისწერაც
და თეთრ ძერასთან ერთად ისიც ცაში აფრინდა,
როს „დადლილ სულში წვიმის წვეთებად სევდა გაწვიმდა“.
გულს უკაწრავდა, რომ „მეორედ მოკლეს ილია“,
როცა ძმამ ძმაზე იარადით აღმართა ხელი.
მას აღონებდა: მათხოვართა გუნდი გახშირდა
და ბევრი დადის სამშობლოში სევდისგან ხელი.
წასვლის წინ კარი მან ხმაურით გაიჯახუნა,
სევდით დაჭრილმა ცხოვრებაზე აიღო ხელი,
მისი ლექსები მოწყენილი დარჩნენ ამქვეყნად.
ის „ჩაესვენა ალუბლის სულით ალუბლისფერი“.

23.05.2001 წ.

როცა ქარია

(ტერენტი გრანელს და ტატო ნინუას)

როცა ქარია, როცა ქარია
და თუკი ქარმა ქუჩა არია,
მაშინ ორ პოეტს ვიხსენებ ქართველს:
ტატო ნინუას, ტერენტი გრანელს.
ორივეს სევდამ ხელი დარია,
ისევ სევდაა, ისევ ქარია...
იმათ უყვარდათ სიმღერა ქართა,
სულ იყვნენ მიწის და ზეცის ზღვართან.
ერთი ჩემს თვალწინ გაფრინდა ცისკენ,
მეორე ციდან იხმობდა თვისკენ.
მათთვის სხეული იყო ვით ციხე
და მხოლოდ ზეცა იყო ნატვრის ხე.
როცა ქარია, როცა ქარია,
თუკი სევდამაც ხელი დამრია,
მაშინ ორ პოეტს ვიხსენებ ქართველს:
ტატო ნინუას, ტერენტი გრანელს.

5.III.2002 წ.

ქეთევან ბურჯანაძე

შენი მასწავლებელი, შენი ტალანტის თაყვანისმცემელი

ტატო! ჩემო დიდო იმედო და სიყვარულო! დიახ, სიყვარულო, რადგან შენ გამორჩეული პოეტური აღმაფრენის კაცი იყავი. შენ შენი შრომისმოყვარეობით, შენი პოეტური აღმაფრენით საუკეთესო მაგალითს აძლევდი შენივე მეგობრებს. პატიოსანო, თავმდაბალო, უპრეტენზიო ადამიანო! ასეთი წარმოდგენა დატოვე შენ ჩემს ცნობიერებაში და მე მგონი, არ შევმცდარვარ. რასაკვირველია, შენისთანა გაქანების ადამიანი ვერ აიტანდა იმ სიმახინჯეებს, რომლებიც დღეს გვხვდება ცხოვრებაში, ვერ შეურიგდებოდა იმ ხალხს, მხოლოდ საკუთარ თავზე რომ ზრუნავენ და ამბიციით შეპყრობილნი დასცქერიან მშრომელ, პატიოსან შემოქმედებს. ცხადია, ამ ქვეყნად „სიკვდილი ახალი არ არის, მაგრამ არც ცხოვრებაა ახალი“, მაგრამ როგორ გაიმეტე ასე თავი? როგორ მოისწრაფე სიცოცხლე მაშინ, როცა შენი ნიჭი და ტალანტი იფურჩქნებოდა. მშვიდობით... განისვენე შენი ქვეყნის მიწაში ისე ღირსეულად, როგორც განისვენებენ ჩვენი სათაყვანებელი ადამიანები. მსუბუქი იყოს შენთვის საყვარელი სამშობლოს მიწა და მარადიულად დარჩენილიყოს შენი სახელი იმ ხალხის გულში, ვინც შენ გიცნობდა და იცოდა, თუ რას და ვის სცემდი პატივს, ვინ და რა გიყვარდა.

23.10.2000 წ. თბილისი

თამარ ინჯია

საკუთარ ვარსკვლავზე

გამოუთქმელად ძნელია, შეეხო სიტყვით უკიდევანო ტრაგედიას, 2000 წლის 10 მაისს უნივერსიტეტის კედლებში დატრიალებულს.

უსაზღვროა რიდი, კრძალვა და სიყვარული ამ ტრაგედიის ავტორისა, ამ ტრაგედიის გმირისა. რიდი და კრძალვა წინაშე გენიოსის დიდი საიდუმლოსი, ხოლო სიყვარული ბრძენი ბავშვისა, რომელსაც „ისე ძლიერ მოსწყურდა თავის ვარსკვლავთან განმარტოება“, ისე ასტკივდა „იქ დარჩენის წრფელი სურვილი“, ისე სჯეროდა „ბედნიერების ელოდება სიმწვანე ყველას მხოლოდ საკუთარ ვარსკვლავზე და საკუთარ სულში“ (ასე წერს 12 წლის ტატო პოემაში „სანთლები ლაჟვარდში“), რომ საკუთარი ხელით დაამსხვრია სხეული — საპყრობილე — „მყრალი გემი“ — და თავისუფლებაში გაფრინდა... არ მოითმინა და გაფრინდა. ვერ მოითმინა და გაფრინდა. ... ვაი მის ერს, რამეთუ... ვერ მოათმენინა.

“ბილწს არ შეგეკვრი ზავითა”

რატი (ტატო) ნინუა იმ პოეტთა რიცხვშია, რომელთა პიროვნება, შემოქმედება, ცხოვრება და სიკვდილი ურღვევ მთლიანობას წარმოადგენენ და ჰქმნიან სევდიან ჰარმონიას, რომელშიც საოცარი სიცხადითა და სიმძაფრით აისახება ეპოქის არსი.

ასეთი იყო ტატოს დიდი სეხნია ტატო ბარათაშვილი. ასეთი იყო ტერენტი გრანელი, ასეთი იყო პაოლო იაშვილი...

თითქოს პარადოქსია:

თუმცა ამ პოეტთა სახელების ხსენებაც კი სევდითა გვმსჭვალავს, მაგრამ, ამასთანავე, ისინი რწმენასა გვატეხენ, რომ კვლავაც ძალუმადა ძგერს ქართველი ერის გული.

რა ეპოქაში იცხოვრა რატი ნინუამ? მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში.

ამ ეპოქის დასაწყისში გულმა უგრძნო ქართული ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების ღვიძლ შვილს, ჭეშმარიტ ქრისტიან მოაზროვნეს ზვიად გამსახურდიას, რომ უდიდესი საფრთხე ემუქრებოდა მსოფლიოს.

სწორედ განგამის ზარების დარისხება იყო ზვიადის ნაშრომი “დილემა კაცობრიობის წინაშე”.

რა დილემას ანუ არჩევანს გულისხმობდა ზვიადი?

იგი წერდა: კაცობრიობის ისტორია ესაა გამუდმებული ბრძოლა ადამიანის სულსა და ხორცს შორის და ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდება მეოცე საუკუნის დასასრულსო.

- სული ავირჩიოთ, ადამიანებო, სული!

ამას მოუწოდებდა დიდი ქართველი მსოფლიოს.

რა აირჩია მსოფლიომ?

მოვუსმინოთ, თურას ამბობს ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის დამცველი, დღენიადაც ადამიანთა სულების სიმრთელეზე მზრუნავი არქიმანდრიტი რაფაელი:

“ჩვენ ამჟამად კაცობრიობის ისტორიაში ვხედავთ ჯერ არნახულ ზნეობრივ გახრწნას, რომელმაც კატასტროფის ხასიათი მიიღო. ადამიანი, როგორც ზნეობრივი პიროვნება, ნადგურდება. მართალია, ჯერ კიდევ შემორჩენილია ნამსხვრევები წინანდლი ცნებებისა სიკეთისა და ღირსების შესახებ, მაგრამ მალე მათგან ნაკვალევია დარჩება. ძალა, რომელიც წინ ეღობება მსოფლიო ენთროპიას - არის ღვთის მადლის, მაგრამ პირობა იმისა, რომ მადლმა იმოქმედოს, არის სიყვარული ადამიანისა ღმერთის და მოყვასის მიმართ. როცა იშრიტება სიყვარული, მაშინ გვმორდება მადლი და იწყება ვარდნა უფსკრულში: ადამიანიდან - ცხოველამდე და ცხოველიდან - დემონამდე. იქ, სადაც ქრება ღვთის მსგავსება, იწყება დემონზე მიმსგავსება”. (გაზეთი “ჯორჯიან თაიმსი”, #44, 2003 წელი).

ესაა უმკაცრესი, შემამრწუნებელი დიაგნოზი.

მსოფლიომ ხორცი აირჩია სულის ნაცვლად.

ანუ ბრძოლა სულსა და ხორცს შორის მეოცე საუკუნის დასასრულს ხორცის სრული გამარჯვებით დამთავრდა.

დედამიწაზე ბატონობს მსოფლიო ხორცი.

აი, ვინაა ის ბილწი, ვისაც გამოუცხადა ბრძოლა რატი ნინუამ, როგორც რაინდმა მყრალი ცეცხლის მფრქვეველ გველეშაპს.

ებრძოდა თავისი ლამაზი ცხოვრებით.

ებრძოდა თავისი შემოქმედებით.

და მხოლოდ სულის არმქონეს გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ რატის თვითმკვლელობაც იმ ბრძოლის გაგრძელება იყო.

რაოდენ შვების მომგვრელია სიტყვები ქალბატონ რუსუდან ჭანტურიშვილისა: "... უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, უთუოდ უფლის შეგონებით, რატის სულის მეოხად მოგვევლინა, მისთვის ლოცვა, სანთლის დანთება შეგვადლებინა და უკიდურესი სასოწარკვეთილებისაგან გვიხსნა, რისთვისაც გულითად მადლობას ვწირავთ".

რამ მომგვარა შვება? იმან, რომ ქართულმა ეკლესიამ მისი პატრიარქის სახით ცხადპყო, რომ ერთგულია მართლმადიდებლური ტრადიციისა: ბრმად არ მიჰყვებს დოგმას და ყოველთვის ახსოვდეს პიროვნება. განა მართლაც ყველა თვითმკვლელობა სულმოკლეობაა? ან ცოტა გვახსოვს გმირული სიკვდილი, რომელიც სულის არმქონე ადამიანს თვითმკვლელობად მოეჩვენება? აბა ჰკითხეთ იმას, ვისთვისაც სამშობლო უბრალოდ ის ტერიტორიაა, სადაც დაიბადა, ვინ იყვნენ ცხრანი ძმანი ხერხეულიძენი-თქო. გიპასუხებთ, რომ თვითმკვლელები იყვნენ. რას შეაკლეს მტერს თავი, წასულიყვნენ და სადმე მაშინდელ ამერიკებში ეცხოვრათო. ან თანამედროვე იელოველ ქართელს ჰკითხეთ, ვინ იყო ქეთევან წამებული-თქო. იელოველი გეტყვით, რომ ქეთევან დედოფალმა არ იცოდა, თუ რა არის პიროვნების თავისუფლება. არ იცოდა, რომ ასეთი თავისუფლების გამოვლინებაა, როცა წინაპართა სარწმუნოებას შეიცვლი. ბოლოს კი დასძენს, უაზრო თვითმკვლელობა იყო ქეთევან დედოფლის სიკვდილიო. ამგვარი ხორცული მსოფლმხედველობით ამბროსი ხელაიაც უაზრო თვითმკვლელობას აპირებდა, როცა ბოლშევიკებს უთხრა: გული ჩემი ეკუთვნის საქართველოს, სული ჩემი ეკუთვნის ზეცას, სხეული კი თქვენთვის მომიგდია, რაც გინდათ ის უყავითო. სწორედ ამბროსი ხელაია მახსენდება, როდესაც რატის თვითმკვლელობაზე ვფიქრობ. რატიმაც ის უთხრა თანამედროვე ბილწს, რაც მაშინდელს უთხრა ამბროსი ხელაიამ. - შენ, მსოფლიო ხორცო, დღედაღამ სხეულზე მზრუნავო, იცოდე, რომ არაფრად ვაგდებ ჩემს ხორცსო. ანუ შენს გვერდით ყოფნა არ მინდა, ბილწს არ შეგეკვრი ზავითაო. ეს არ იყო თვითმკვლელობა. ეს იყო პროტესტი. ხოლო პროტესტი იგივე ბრძოლაა. და საწინდარია მომავალი გამარჯვებისა. როგორც ქართველი კაცი, ვამაყობ, რომ მსოფლიო ხორცის ღრეობის ჟამს ჩემმა ერმა დაბადა რატი ნინუა - კეთილი და მშვენიერი სულის დიდებული ნიმუში. იგი ქართველია თხემით ტერფამდე. და ისევე, როგორც მისი სათაყვანებელი ზვიადი და მერაბი, ღმერთმა გამოგვიგზავნა, რათა თვალნათლივ გვეხილა, თუ როგორები იყვნენ დიდი საქართველოს შვილები ოდესდაც: პოეტი მებრძოლები ანუ მებრძოლი პოეტები. ქართულია ის ამბავი, თუ როგორ უყვარს რატის თავისი მშობლები და თავისი და. ქართულია ისიც, რაც ნათლად ჩანს რატის ლექსებშიც და მეგობრებისა და პედაგოგების მოგონებებშიც: იგი პიროვნებად ჩამოაყალიბა ქართული ეროვნული მოძრაობის ტრაგიკულმა მშვენიერებამ. ქართულია ისიც, რომ მსოფლიო ხორცთან საომარ იარაღად რომანტიზმი აირჩია (ვინც რა უნდა თქვას ჩვენზე, ჭეშმარიტებაა, რომ ქართველები რომანტიკოსთა ერი ვართ). და ქართულია, რომ რომანტიკოსის სიმბოლოდ რატიმ ცხენი დასახა. "ულამაზესი სანახავია მქროლავი ცხენი ფაფარაშლილი" - წერს რატი. და განა მხოლოდ სილამაზისთვის უყვარს ცხენი? საქართველოს წარსულის მოტრფიალეს, მას ცხენი უყვარს, როგორც დიდ წინაპართა თანამებრძოლი და ჭირისა და ღზინის მოზიარე. "ცხენების ფლოქვთაცემა და ხმამალალი ჭიხვინი უფორიაქებდა სულს მრავალი საუკუნის წინანდელი..." ამას თავის თავზე ამბობს რატი ნინუა. კიდევია ერთი მიზეზი, თუ რატომ უყვარს ცხენი. ეს მიზეზიც ქართულია: ქართული პოეტური ტრადიცია. გავიხსენოთ ხალხური: "ცხენზე ვზივარ, ჩემს შავ ცხენზე უნარიგზე ამოვსულვარ..."

ან სიტყვები ავთანდილისა: "რა გინდათ მომცეთ, რას ვაქნევ, მე ვარ და ჩემი ცხენია".

ბარათაშვილის მერანი! გალაკტიონის ლურჯა ცხენები! მკითხველი მრავალს თვით გაიხსენებს...

ქართულია რატის პოეზია. რასა ვგულისხმობ ამ სიტყვებში? ლექსს ორნი წერენ ერთად. ერთია თვით პოეტი, მეორე კი - დედაენა. და რაც უფრო კარგად უგდებს ყურს ქართველი პოეტი თავისი გენიალური "თანაავტორის" გულის ძგერას, მით უფრო ქართულია მისი პოეზია. "ერთად გვატარებს შვება, ერთად გვაფითრებს ბედი ჩემს მკერდში ნაზად დნება შენი უმანკო მკერდი." "შორს ერთობიან ტოლები შენი, არის კისკისი, კოცნა, ხორხოცი, და, ჩემო, ხორცილთ ასეთი მშვენი კვლავ ფიქრობ, როგორ დათრგუნო ხორცი..." "ტალღით სველდება მიმოყრილი ნაპირს ლოდები..." "ზღვას ფრინველები ცაში ლაღად აუფანტია..." "როცა დაღლილმა ჩამოაყრდენ ხელები სარკეს, მე დავინახე, რომ მოწყენა უფრო გშვენოდა..." "ცაში გაფრენა მყუდროა ისე, განმარტოება როგორც სიზმართან..." "ეს წყნარი მთვარეც - ლურჯი სივრცის ტკბილი ჭრილობა..." "ისევ გათოვდა ცა ნამსხვრევებად..." "იხილე, ვით დაარწყულა მტრის სისხლით გორდა ქართველმა." "თუ კლდის გაბრწყინდა ნისლი ციალით?" "და ჰორიზონტი გადავარდილი..." "როცა ბალახებს ცვარ-ნამი ეწვით..." "ამრიალებენ აქ სპეტაკ კაბებს, რიდეებს მშვიდი სუნთქვა ათროლოებს..." "ჭაღები აფრქვევს სადაფს და აღმასს და მერე უკან იბრუნებს ისევ..." "ამაყი სისხლი არწივის მართვეს ამაყ ძარღვებში აუყიდება..." "სად ფეხშიშველა, ჩუმი სიამით დახლტის ქალწული თხელი და მუქთმა." "მხევილის ნაზ სახეს ჩადრში ჩანამალს..." "ცეცხლთან ცეკვავენ კენარტანები და ნაზ მაჯებზე ასხმულ სამაჯურთ გააქვთ წკრიალი, როცა თვალები უკვესავთ შავად და საალქაჯოდ." "ტანი გამჟღენთია წარსულის სურნელით, თვალს ცხენთა ფლოქვების მიბრმავეებს კვესება;" "და ვრცელი ველები აბჯრით შეფერილი..." "და ეხამება მოლის სინაზე მიმოფანტული ცვრის რმისფერ სიცილს." "აფეთქებული რტოების ქაფი." "თეთრ სიზმრის შემდეგ ეს გაზაფხული ჰგავს მიწის მწვანე ფიქრის გამხელას." "თოვლზე ფაფუკს და უკამკამესზე დარჩება კვალი ირმის ფეხების." "აფხაზეთს სისხლი მეწამული ავი დაჟინებით წვიმდა... წვიმდა და გვამები ფერწასული იწვნენ უსახელო კლდის ქიმთან." "ლანდები შავი და დაღლილი დინებით დიან. სიშავე ზეცას - მძინარ ქალწულს, გახდის თხელ კაბას და მოუხეშავ ანაფორას - გრილს და ლაპლაპას, ის გადაცემევს მას უნაზესს და ნატიფთმიანს." "კლდის ბასრ შვერილებზე ჭიქა არ დაიდგმის." "გავხედე: ფრთენი აშალა მაღალ ნაკლდარში არწივმა, გავხედიან, გავმახე ფრთაზე შევუსვი სიმღერა, ხმახაფად დაიმყივარა ლურჯი ბრჭყალები მიღერა." "მოჰყავდათ მხეველები ნაბურნი რიდეთი და შავი მშვენება რიდეში ჭვიოდა..." "ხალისით მავსებდა სიცილი იმათი და მათი მსუბუქი ტერფების კარება, ყელნი სათნოობდნენ მძივით ციმციმით, ღაწვნი კისკისებდნენ წვრილ-წვრილი ხალებით." "მდინარე იყო მოვსებული მთვარის ლიცლიცით." "ბედნიერება ახლა ჩემთვის მხოლოდ ლურჯია, ბედნიერების ერთადერთი ზღვაა საუფლო, ნაპირი ნაზად უყურდება ტალღისტუჩიან წყლის ალერსს, რაა მშვენიერი ამაზე უფრო." "ლაღი ფრინველი სვამს გრილ ჰაერს ზღვისსურნელოვანს." "წყლიდან ქალწულის ზამბახივით ამონორჩება." "და გულუბრყვილო დასრულება თმის ყვითელ ლერწოთა ასე უსაზღვროდ გულუბრყვილო ბროლ ყელს აწამებს." "თუ უწინ რწმენა იჭვებმა ბინდა, დღეს მოვიყარო მუხლები მინდა. ცით რა ნათელი გარდამოვიდა, როგორი თბილი, როგორი წმინდა." "ამ ორის ფიქრებს ფიქრებით ვერთვი მათში გიხილე სიმართლის ღმერთი." "არსთაგანმრიგევ, დიდება შენდა! ყველა ნიშანი შენზე მიმოწმებს, აწ ბალახში და ყვავილში გხედავ, გხედავ ცვარში და შრიალში ხეთა, კვლავაც გხედავდე - ამაღ ვილოცებ." "და რადგან სიტყვა უძლურია, უნდა გავრუმდე, ნერგო შვებისა, ცათა წყალით ისევ იზარდე, სიხარულს შენსას არ ექნება ბოლო აროდეს, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე." "თბილ საბანზე ბავშვი ხელებს აწყობს, მთელი დღე რომ დაუღლია ანბანს, და აგრძელებს დედა წუხელ დაწყებულს გველეშაპთან მეომარის ზღაპარს." "ერთი მთავრდება და იწყება სხვა ჯოჯოხეთი, ვერ დამაჩოქებ, ბედო,

ამის თუ გაქვს იმედი, როდესაც მრავალ უღირსს ატკბობ ცრუ სამოთხეთი, მტანჯე, არ მინდა შენთა ქნართა ტკბილი სიმეთი.” “ზვიადს და მერაბს ნუ წაშლის ჩემში, გულისთქმა მყრალი და შესაზარი...” “ეგ შენი მზერა ქორული კავკასიონის ნისლია.” “წმინდანები მოფრინდნენ ძველისძველი ფრესკიდან ლოცვებამოკაწრული ქრისტეს ჯვრები ეკიდათ.” “ქართულ დროშას დარაჯობს ანგელოსის ბანაკად სამშობლოს სამსხვერპლოზე შეწირული ზვარაკი.” “გახსოვს მანგლისი, ლურჯ ტყეში სოკო, იები ძაფით შენაკონები?” “რომ სხივთან ისე ითამაშებდნენ ეგ კულულები დასაკოცნარი.”

უამრავზე უამრავია რატი ნინუას ლექსებში მისი და დედაენის მშვენიერი “თანაავტორობა”. არ შეიძლება, რომ არა ვთქვათ კიდევ ერთ ნიშანზე რატის ჭეშმარიტი ქართველობისა. ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდებული ტრადიცია ისაა, რომ ხშირად პოეტი მუზის მომლოდინე ლექსთამწერლად კი არ მოდის ლიტერატურაში, არამედ ლიტერატორად.

“ლიტერატორი” ბევრად უფრო ღირებული ცნებაა, ვიდრე “პოეტი”, “პროზაიკოსი”, “დრამატურგი” ან “მთარგმნელი”. ლიტერატორისათვის მწერლობა სახალისო დროსტარება, ტაში და ტაშფანდურა კი არაა, არამედ პასუხსაგები, მძიმე და სერიოზული საქმეა, რომლის მიზანიც ერის სულის სიმრთელის დაცვა და გადარჩენაა. ლიტერატორი არა ჰგავს პეპელას, რომელიც აქეთ-იქით უფიქრელად და უდარდელად დაჰყვება ქარებსა და ნიავებს ანუ გუნება-განწყობილებებს. ლიტერატორი მოდის თავის პროგრამითა და თავისი მსოფლმხედველობით, რომელთა საფუძველში დევს დევიზი “ერის წყლული მაჩნდეს წყლულად!”

ასე მოვიდნენ “თერგდალეულები” ილიას მეთაურობით. მათთვის ლიტერატურა და ხელოვნება საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილების ასპარეზი კი არ იყო, არამედ ერისთვის უაღრესად საჭირო რამ მეურნეობა, რომელსაც საქმის ცოდნით მოვლა სჭირდება.

ერთი სიტყვით, “ლიტერატორის” ცნება გულისხმობს არა სიტყვებით თამაშს, არამედ მოღვაწეობას.

სწორედ ასეთია რატი ნინუა. იგი მოვიდა მაშინ, როცა სამშობლოს არანაკლებ უჭირდა, ვიდრე “თერგდალეულების” დროს.

მოვიდა გულის ფიცარზე სისხლით დაწერილი პროგრამით: “გადავარჩინოთ ქართული სული!”

ჯერ კიდევ ყმაწვილ რატი ნინუას გულში იშვა იდეა მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრის გახსნისა (რა კარგია, რომ იდეა განახორციელა მამამისმა).

ხოლო ლიტერატურაში მის ყოფნას სწორედაც მოღვაწეობა ჰქვია: წერდა ლექსებს, მოთხრობებს, წერილებს; თარგმნიდა, იღებდა მონაწილეობას ლიტერატურული წრის საქმიანობაში...

და ბოლოს:

რატის სიკვდილის შემდეგ გამოსულ ორ კრებულში (“ნატალი” და “სინდბად მეზღვაური”) დაბეჭდილია მოგონებები. მე ისინი თვალცრემლიანმა ვიკითხე. ოღონდ ეს არ იყო მხოლოდ სევდის ცრემლები, მათში სიხარულისაც იყო მრავლად. ის გამეხარდა, რომ რატი მარტო არა ყოფილა ბილწ გველეშაპთან - მსოფლიო ხორცთან ბრძოლაში. ამიტომაც ვთხოვ რატის მეგობარს ავთო ბესელიას, ნუ ჩამომართმევს კადნიერებად, თუ მის ერთ აზრს არ დავეთანხმები.

ძმაო, ავთო, რა კარგად წერთ ამას: “ვისაც ეროვნული მოძრაობის აღმასვლა, ქართველთა მაშინდელი ურთიერთსითბო, ურთიერთთანადგომა, ნამდვილი რაინდობა და ვაჟკაცობა არ უნახავს და არ უგრძვნია, იმას როგორ უნდა დაუმტკიცო, რომ ქართველობა, სულ რაღაც 10-12 წლის წინ, ერთ-ერთი უმშვენიერესი ხალხი იყო დედამიწის ზურგზე?”

მაგრამ არ გეთანხმებით, როცა წერთ: “და დღეს ვუყურებთ ქალაქებს, სოფლებს, მაგრამ “ეს არ არის საქართველო”; ვისაც უნახავს “ის” საქართველო, მან იცის, რომ ესაა მხოლოდ სულგამოცლილი გვამი “იმ” “ცოცხალი” საქართველოსი. რაც ყველაზე სამწუხაროა, ბევრს არც კი სჯერა, რომ “ის” საქართველო ნამდვილად არსებობდა, რომ ამ დამახინჯებულ, ნახევრად გახრწნილ გვამს ისეთი დიდებული სული ადავსებდა და ამშვენებდა” (წერილი თარიღდება 2000 წლით - რედ.).

ნუ იზამთ ამას. ნუ უწოდებთ გვამს დღევანდელ საქართველოს. გაიხსენეთ, როგორ უცქეროდა ამგვარადვე გაპარტახებულ ქვეყანას ჩვენი დიდი წინაპარი: “არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს”-ო. ნუ გადაიწყვეტთ იმედს! საქართველო ახლა ისეთია, როგორიც იყო ეროვნული მოძრაობის აღმასვლამდე. ოღონდ ეგაა, მაშინ ცხოვრების უკეთესი პირობები იყო და ნაკლებადა ჩანდა ზნეობრივი სიმახინჯე მავანთა და მავანთა. შეიძლება მაშინაც ბევრს ეჩვენებოდა, საქართველო მკვდარიაო, მაგრამ შეეშალათ. მსოფლიო ხორცის ღრეობა დიდხანს არ გასტანს. ახალი მსოფლიო წესრიგი ანუ გლობალიზაცია, რომლისგანაც გვჭირს, რაცა გვჭირს, უდღეური მონაჩმახია. უდღეური სწორედ იმიტომაა, რომ ხორცია მისი ძალა და არა სული.

საქართველო გაიღვიძებს და თავისნაირ ჩაგრულ ქვეყნებთან ერთად მოიცილებს მსოფლიო ხორცის ბორკილებს. ამისი ერთ-ერთი საბუთია თქვენი მეგობარი რატი ნინუა.

ამისი საბუთი ხართ თქვენ, რატის მეგობრები და თანამოაზრენი.

ძმაო, ავთო, თქვენ ბევრნი ხართ, ზვიადისა და მერაბის სულიერი მემკვიდრენი. ერთმანეთს ვერა ჰხედავთ იმიტომ, რომ მსოფლიო ხორცის წყალობით საინფორმაციო საშუალებები ძირითადად ხორცის თაყვანისმცემელთა ხელშია.

ხვალ თქვენი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ზეგ - კიდევ უფრო...

მერწმუნეთ, ადრე თუ გვიან ჩვენ ერთად ვისხდებით ლხინის სუფრასთან და ერთად შევსვამთ გაღვიძებული საქართველოს სადღეგრძელოს.

რასაკვირველია, გამღვიძებლებსაც არ დავივიწყებთ.

და მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი იქნება რატი ნინუა.

2005 წელი

რევაზ მიშველაძე

გვეძახდა და ხმა არ გავეცით, დაგვიკაკუნა და არ გავუღეთ

რატი ნინუას ხვედრი, ალბათ, მაშინ გადაწყვიტა არსთაგამრიგემ, როცა სიყვარულის და პოეზიის ნიჭით მოავლინა ამქვეყნად. ჩვენ მის ბედში ვერაფერს შევცვლიდით. ანთებული გული ჩვენს თვალწინ ჩამოატარა, თვალებში ჩაგვხედა, თავისი მისია შეასრულა და გაუჩინარდა. დრო გარბის. ვისაც მეოცნებე თბილისელი ბიჭის სახე თვალწინ უდგას, ისინიც გარდავლენ ამა სოფლიდან. ოდენ ეს წიგნი გამოიხმობს ტატო ნინუას სიკვდილისა და დავიწყების მღვიმიდან ლაზარესავით. ...თვითმკვლელთა უმეტესობა წერილს სტოვებს. წავიდა და უეცარი გაფრენის მიზეზი ერთი სტრიქონიც არ დაგვიტოვა. ოდენ რებუსად და თავსატეხად გვიქცია იმ გასროლის საშინელი წამი. ალბათ, იფიქრა (და სწორედაც), რომ მიზეზთა დაკონკრეტება გააფერმკრთალებდა უსასტიკეს განაჩენს, თავის ეპოქას,

ულმობელ სინამდვილეს, თავის ბედს რომ გამოუტანა. არა და, მის საქციელში ამოუცნობი თითქმის არაფერია. წაიკითხეთ რატის მიერვე წერტილდასმული მისი ცხოვრების დიდი წიგნი და პასუხს იქ იპოვით. ვინც რატის იცნობდა, მისი ნაბიჯი არ გაკვირვებია. ვინც არ იცნობდა... თუმცა, ვიცნობთ კი ადამიანები ერთიმეორეს? ის მცირე მონაკვეთი დროისა, ღმერთი ერთმანეთთან წუთიერად მისაახლებლად რომ გადმოგვიგდებს ხოლმე, განა საკმარისია იმისათვის, რომ ერთმანეთი კარგად გავიცნოთ? 1989 წლის 9 აპრილს რატი ნინუა 12 წლის იყო. საერთოდ, თორმეტი წლის ბიჭუნები რიკტაფელას უკაკუნებენ და ქვეყნის სატკივართან ბუნდოვანზე ბუნდოვანი კავშირი აქვთ, ტატოს გუმანს კი სხვა ტალღები ასკდებოდნენ, თითქოსდა ბავშვობისთვის აღარ ეცალა:

ფრთათეთრ ანგელოსების თრთის გაშლილი ბანაკი,
მამულის სამსხვერპლოზე ადის ხალხი ზვარაკად,
ეს რა სულმა გაშალა ძველი დროშა ქართული,
დავითის და ვახტანგის გულებში გარანდული.
...დაღლილი საქართველო ძამებით იმოსება
და რიანდებს ლოცავენ თეთრი ანგელოსები.

თორმეტი წლის ბიჭი წერს ამ სტრიქონებს საბედისწერო 9 აპრილის მეორე დღეს. მერე, როცა წამოიზარდა, უყოყმანოდ ჩადგა დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოსთვის მებრძოლ მამულიშვილთა რიგებში. უბის წიგნაკში ვუპოვეთ ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი ერთსტროფიანი ლექსი:

ყოველ ახალ წელს
ჩემს ნამვის ხეზე,
სათამაშოებს შორის, ერთი
ჰკიდია ცრემლი.

რატი ნინუას მშფოთვარე სული გრძნობდა და ხედავდა, როგორ ჯიჯგნიდა მარიონეტული მთავრობის მსახვრალი ხელი საქართველოს ეროვნულ სხეულს. „სურთ, საქართველო, პირველ რიგში, ზნეობრივად გახრწნან, გადააგვარონ, ათასი საცდურით მოხიბლონ ქართველები. განსაკუთრებით იღწვიან ახალგაზრდობის ზნეობრივი დეგრადაციისათვის, რათა უზნეო და „დასავლურმა“ საქართველომ სამართლიან უფალს წაართვას შესაძლებლობა მადლის ზეგარდმოვლენისა ჩვენზე და ამით ბოლომდე მათ ტყვეობაში აღმოვჩნდეთ, უფლის მადლის გარეშე დარჩენილნი“. რა ჩამორეცხავს ბრძენი ბავშვის ამ ბრალდებას ქვეყნის დაღუპვის მოსურნეთა ბნელი სახიდან. თვით კი, თავისუფლების მოედანზე, სტუდენტურ ზეიმზე, ხელისუფლების ტაშს აყოლილი თანატოლებისგან განზე გამდგარი, ტუჩმოკუმული და სიბრაზისაგან სუნთქვაშეკრული შესთხოვდა უფალს:

„მექმენ მფარველად, მექმენ დამხმარედ,
მექმენ დამსჯელად და შემბორკველად,
თუ არ აღმადგენ, როგორც ლაზარეს,
ნუ გამხდი ავის კარზე მროკველად“.

ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა საოცარი მინიატურა დაწერა — „სიზმრებში მცხოვრები კაცი“. ლირიკული გმირი ურბანიზმის ეპოქასთან შეუთავსებლობით თავისი არაამქვეყნიურობის, გვიან დაბადებულის სინდრომის ახსნას ცდილობს. „...ის სიზმრებში და წარმოდგენებში ცხოვრობდა. მთელი არსებით იქ იყო გადასახლებული. ... ცხენების ფლოქსთაცემა და ხმამაღალი ჭიხვინი უფორიაქებდა სულს, ეზმანებოდა აბჯროსანთა თორ-მუზარადის ლაპლაპი, ხმალთა კვესება და ფართაჟღარუნი. გმირული წარსულის ჰეროიკით ცხოვრობდა იგი და ვერ ამჩნევდა (თუ არ ამჩნევდა) გარსმომდგარი ეპოქის სხვანაირობას. თვით ყველაზე წარმავალი და წვრილმანი საქმით დაკავებულიც კი ვერ წყვეტდა ფიქრს გარდასულ ლანდებს — რატი ორბელიანებს და ნიანია ბაკურიანებს, ერისთავებს და სპასალარებს, აივენგოებს და სედრიქ საქსონელებს. და მიაჩნდა, რომ ბუნებას შეცდომა მოუვიდა, როცა ის მეოცე საუკუნეში გააჩინა“. არა, ეს რაინდული რომანების კითხვით აღტკინებული ყმაწვილის რომანტიკული ამონაკვეთი არ არის. ეს მინიატურა გაცილებით უფრო ღრმა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ. რატი ერთხელ კიდევ მოავლებს თვალს მის ირგვლივ მორიალე ბრბოს, ცოდვის მორევში ათქვეფილ საქართველოს და მშობელი მიწის ყოველი მტკაველისათვის ბრძოლაში შუბლზეოფლგადამდინარე, ხერხემლიან, ნამდვილ საქართველოს მოისაკლისებს. ნახეთ, რა ლიტერატურული ლომის გენი ჰქონდა, რა მეტაფორული აზროვნება, რა პოეტური მასშტაბები:

„სადღაც ლერწმებში სევდიანი ტიროდა ქარი,
და როგორც ღამის შიშრეული შემოკვივლება, —
მკლავზე მესვენე,
მწვანე მთების თეთრო ღრუბელო!“

დროდადრო თარგმნიდა. სათარგმნელადაც ისეთ ლექსებს ირჩევდა, მის მსოფლხედვას და განწყობილებას რომ ესალბუნებოდა. სხვათა შორის, ბაირონის „გოდებაც“ თარგმნა, რომელიც ასე მთავრდება:

„გარეულ მტრედს აქვს თავისი ბუდე,
მელიას — სორო თავშესაფარი,
ერებს — მამული, ხოლო ისრაელს —
აღარაფერი საფლავის გარდა“.

როცა ამ სტრიქონებს თარგმნიდა, საქართველოს ყოფნა-არყოფნა ბეწვზე ეკიდა, რუსის ჩექმით გათელილ ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ძვირფასი ცხედრებით მოფენილ ქუჩებში სიკვდილის აჩრდილი დათარეშობდა და პოეტის გულში რექვიემად ირხეოდა ფიქრი იმაზე, რომ საქართველოც დღეს ან ხვალ, შეიძლება, მსახვრალი ბედის განჩინებით საფლავების ამარა დარჩენილიყო. ბორკილად ექცა ყოველდღიურობა. ვერშემჩნევის, გულგრილობის, ღალატის სცენებს ხედავდა ყოველდღე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, დილით გამოდიოდა იმედის პაწაწინა სანთლით ხელში, მთელი დღე ქარის მხრიდან ხელისგულს აფარებდა იმ სანთელს და დუნიას ათასკითხვიანი თვლებით შესცქეროდა. ჩვენ ყველას გამოგვეპარა მისი ნაღვლიანი მზერა და ვისაც სინდისის ნატამალი ჯერ კიდევ შერჩა, არ მოასვენებს ნერვებაჭიმული ბიჭის ჯიუტი, საყვედურითა და თანაგრძნობით აღსავსე თვალი. ტატოს მისი დრამატული დღეების კაბადონზე ერთბაშად ყველანი მოვწყინდით და ვარსკვლავებისკენ გაექცა მზერა:

„ქარო, ქარო, დღეს ორივეს ფრენა გაგვაბედვინე,
ქარო, ზრუნვით დაიქროლე, სიგიჟედ დაგვეფინე,

რომ სამანებს გადავევლოთ, მივადწიოთ ვარსკვლავებს,
იმ უშორეს ვარსკვლავებთან ქარი დაგვასაფლავებს“.

ამ საუკუნის ბოლო წლებში ჩამინებული საქართველოს გაღვიძება ოდენ სიტყვით კი არა, თავისი მოწამეობრივი სიკვდილით სამმა დიდმა ქართველმა სცადა: ძმათა ომის ცოდვით გაბრუნებულთა გია აბესაძემ ჯერ განწირულის ხმით შესძახა: „რას ჩახიდართ!“ და რომ ვერა შეასმინა რა, თავისი სხეული ჩირაღდნად აუბრიალა ბოროტებით ჩაწვევარამებულ პროსპექტზე. რა იხილა სატანის აღზევებით დამარცხებული საქართველო, გზებზე უპატრონოდ დაყრილ წმინდა გვამებზე გადავლილი ბალტინის ტანკები, ილუმინატორიდან შიგადაშიგ ურცხვად გამომზირალ ქართველთა თვალებით, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადმა, ზვიად გამსახურდიამ, სიცოცხლე უყოყმანოდ დასთმო. მოკლეს თუ თავი მოიკლა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ორივე შემთხვევაში მან მამულს შესწირა თავი. იმ ტყვიის ექო საქართველოს მთებს მიაწყდა და ქართველთა გულში გაიარა. ქვეყანა წამით გაირინდა. წამის შემდეგ ერის გამყიდველთა მიერ აბოლებულმა თრიაქმა და სულთათანამ თავისი ჰქნა. ხალხმა კვლავ ნირვანას მისცა თავი. და ისევ აბორგა დაუმორჩილებელი, მარად ამბოხი სული. ქვეყნის დაცვედნება-დადედლებით გულდაკოდილი, თანატოლ-თანამომძმეთა ამაზრზენი ძილბორგნეული როკვით სულშემრული რატი ნინუა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ახალგაზრდათა ყველაზე დიდ მექაში შევა და თავის თავზე თავისივე ხელით გაწყობილ თოფს დააქუხებს. ახლა მივადექი იმ სტრიქონებს, რომლის დაწერაც კალმის წვერზე დაკიდებულ ცრემლს ცეცხლს უკიდებს და თითებს სასოწარკვეთის ყინულით მითომავს: იყო უზარმაზარი ცრემლის ტბა. ყვავილებით ლამის დაფარული კუბო. შავი ლენტით შუბლწაკრული ულამაზესი ქალ-ვაჟები... სულშიჩამწვდომი სამგლოვიარო სიტყვები, საღამოსპირს საფლავთან მიხაკით მისული ეული გოგონა... იქნება სევდის ბაღში მოგონებათა ცრემლიანი საღამოებიც, არდავიწყების სენტიმენტალური დაპირებანი... მერე? ჩვენ ხომ ლამის თეატრალიზებული გლოვის ოსტატები ვართ... ეს ყველაფერი საჭირო და სულის მეოხი როგორ არ არის, მაგრამ სასაფლაოს ჭიმკართან მაღლა აწეული რატი ნინუას ცხედარი მარტო ნიჭიერი პოეტისა და მეგობრის ნემტი ხომ არ იყო; იგი ხომ დაუმორჩილებლობის, სიკვდილისა და ბოროტების წინააღმდეგ ამხედრების ჩირაღდანიც იყო და დრომაც გულიდან გულში, ხელიდან ხელში გადასაცემი. ... რა გახდა, ჩემო სამშობლოვ, შენი გაღვიძება.

5.11.2001 წ. თბილისი

ზინაიდა კვერენჩილაძე

ციური მოვლენებითა და უცნაური პარადოქსებით სავსეა სამზეო ჩვენი, მაგრამ ის მაინც ბრუნავს... ბრუნავს სიკვდილ-სიცოცხლით, ნგრევითა და შენებით, სიყვარულითა და ღალატით, მიდის და მიაღწევს თავის წელთა სიმრავლეს მარადიულ სხივთა ცარგვალში. ასევე პარადოქსული იყო ცხოვრებაც მისი. თითქოს კოსმიურ სივრციდან შემთხვევით შემოიარა ჩვენს პლანეტაზე, მიმოიხედა ირგვლივ, მოეწონა, გულზე სითბოდ შემოედვარა ოცნებასავით ლამაზი ქალაქი და კიდევ დასახლდა.

„ეხლაც არ მახსოვს, როგორ მოხდა...
ვიგრძენი უცებ... ახლოს ვიყავი ცასთან... ღმერთთან
ვიყავი ახლოს,
და მას ესმოდა ჩემი სევდა
ტკივილი ჩემი.
ჩემი ობოლი სტრიქონების თეთრი სათქმელი“...

...და ეს ფიქრიანი ვაჟი-კაცი

„ნიავეს მიენდო... მთვარემ იარა
და გადაუხსნა ღრუბელს იარა!“

როდის ან რატომ დააჩნდა ეს იარა ტატოს ფაქიზ სულსა და გულს, არავინ უწყის, არავინ...
მის გარდა... მან ეს ტკივილი თან წაიღო, როგორც ძვირფასი განძი, როგორც რელიქვია.

„ჯერ შენს სამშობლოს უნდა მისცე
ლექსები მსხვერპლად
მის სამსხვერპლოზე უნდა დასდო
თავი-ზვარაკი
და მხოლოდ შემდეგ მოიპოვებ
ბედნიერებას!

ტატომ მოიპოვა ეს ბედნიერება როგორც უნდოდა, როგორც ესმოდა. ნათელი დაადგეს
მის სულს!

2000 წ.

ლევან სანიკიძე

ტატო ნინუას ფენომენისა ტატო ნინუა — ყმაწვილი ესე, პოეტობით ადრე, ყრმობითვე
მოვლინებული, საწუთისუფლო ცხოვრებიდან ადრევე თვითგარდავლენილი.
გარდავლენილი სხეულიდან — „ავი გემიდან“, რამეთუ მისთვის „ტკბილი არის იესოს
სასჯელი“. წავიდა და დატოვა ჭეშმარიტად პოეტური — არისტოლოგოს! წავიდა და
დაემკვიდრა მარადისსა სულეთსა შინა, სწორედ მარადის გამორჩეულ ქართულ სულთა
საფიხვნოზე, — იქ, სადაც უნდა შესძახოს მან დიად დავით აღმაშენებელს:

„ღმერთად შეგიცანი,
და კაცი ყოფილხარ!
კაცად შეგიცანი,
და ღმერთი ყოფილხარ!“
და, იქვე ვაჟას:

„მომხიბლა, მომაჯადოვა
შენმა ლამაზმა ენამა,
მაინც მითხარი, ფშაველო,
სახე რამ დაგიცვარნამა?!“

დიდება მის სულს, მის სახელს, მის პოეზიას!

5.X.2000 წ.

როსტომ ჩხეიძე

რატი ნინუა

ამ ყმაწვილი კაცის ლექსებისა და თარგმანების პირველ ნიმუშებს უკვე ვიცნობდი, როცა იგი ჩემთან მოვიდა და მომიტანა თარგმანებით სავსე ორი საქალაქო, უმთავრესად ლორდ ბაირონისა და ალექსანდრ პუშკინის თხზულებათა ქართული ვერსიები. რატი ნინუას პირველი ცდები უდავოდ იწვევდა იმ ინტერესს ლიტერატურის მოყვარულთათვის, რასაც იწვევს ყოველი ახალი სახელის გამოჩენა, სახელის, თანდათანობით რომ უნდა დაიმკვიდროს თავისი ადგილი სამწერლო პროცესში. ამ იმედს ჰქონდა საფუძველი და პირადი შეხვედრისას შევთანხმდით, რომ თავის სხვა ნაწერებსაც გამაცნობდა, როგორც პოეტურ, ასევე პროზაულ თხზულებებს. დავთქვით შეხვედრა ერთი კვირის თავზე. მაშინ უნდა გამეზიარებინა რატისთვის ჩემი აზრი მის თარგმანებზე და ერთად შეგვეჩია ის ნიმუშები, რაც ჟურნალ „ომეგას“ ფურცლებზე გამოქვეყნდებოდა. მოთხოვნებსაც მაშინ მომიტანდა. ხსოვნაში ჩამრჩა ახალგაზრდა კაცის აუხსნელი კაემანი, დამღასავით რომ აღბეჭდოდა სახეზე. იქნებ ასე ახლა მგონია, როცა ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე? მომდევნო კვირას რატი ნინუა თავს იკლავს უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში. ნეტა მიზეზი რა უნდა ყოფილიყო? გაოგნებული ახლობლები და ტოლ-ამხანაგები მხრებს იჩეჩავენ მხოლოდ. მოტივი სამუდამოდ დაფარული დარჩა. რეჟისორმა ზურაბ ნინუამ, ტრაგიკულად დაღუპული შემოქმედის მამამ, სცადა თავი მოეყარა ვაჟის ყველა ნაწერისთვის და წიგნად გამოეცა — ასე უკეთ გამოჩნდება „ადრე წასული კაცის ფიქრები“, ის გზა, რომელსაც გაგრძელება არ ეწერა...

ჟურნ. „ომეგა“, №2, 2001 წ.

სიტყვა – სიცოცხლის მყარი გარანტი

(დაგვიანებული რექვიემი)

დღეს დიდი ტკივილით და დანანებით მოსაგონარი, ფიზიკურად ბურუსოვან სივრცეში გაუჩინარებული, “უნდობარ” დრო-ხანასთან ფარულ ომში ნაადრევად დაღვინებული და დაღლილი, “უბედურ” ეტლზე დაბადებული და მაინც ბედნიერი ჭაბუკი, ვისთვისაც ძალზე ცოტა სიხარული და ბევრზე ბევრი “თოვლიანი ფიქრები”, სტრიქონებს შორის მოთარეშე ქარი და “გაფითრებული თებერვალები” გაიმეტა არსთაგამრიგემ... არ ვიცი და ვერც ვერასდროს ამოვხსნით ბედის დამწერთა უხილავი წიგნის საიდუმლოს; არც ის ვუწყით, რატომ ჩნდება ადამიანი (მხოლოდ ტანჯვისთვის?). ვინ მართავს და განაგებს მის წილკერმ დღე-ღამეთა შეუჩერებელი სვლისა თუ სრბოლის პერმანენტულ პროცესს...

და არც თუ იშვიათად მოწმენი ვართ ისეთი ტრაგიკული შემთხვევებისა, სისხლისგამყინავი ამბებისა და მოვლენებისა, როცა ადამიანური განცდის უნაკლოდ და უდანაკარგოდ, უფრო სწორად, ადეკვატურად გამოხატვა შეუძლებელია; ამ დროს ენა დუმდება, სიტყვა იზხარება, იმსხვრევა, წელში წყდება, იკარგება და წამით რწმუნდები, რომ ამქვეყნიური ყოფნა არარაობის ტოლფასია, აბსურდი და უაზრობაა...

იმის გამო მწარე განსჯითაც მომხდარის შემდგომ ვიმტვრევთ თავს, რატომ მოიახლოვა საკუთარი ნებით ისედაც მუდამ ყოველ ნაბიჯთან ჩასაფრებული, მრუმე და პირქუში, ავდრიანი და გარდუვალი აღსასრულის დღე...

ჩვენ მას ვიცნობდით ერთი-ორი ხანმოკლე შეხვედრით, მის სახლშიც ვყოფილვართ, როგორც მისი მამის, “ჭირსა შიგან” გაუტეხელი შესანიშნავი პიროვნების – ზურაბ ნინუას – თანამოაზრენი და უმცროსი მეგობრები... და როგორ წარმოვიდგენდით, რა მოგიზგიზე ცეცხლის ალით ნალოკ უაღრესად მგრძნობიარე გულს ატარებდა ეს ერთი შეხედვით მშვიდი, შინაგანად გაწონასწორებული, თავისი ასაკისთვის შეუფერებლად დინჯი და უმღელვარო ახალგაზრდა კაცი...

მერე და მერე მისი ნაწერებიც მოიძებნა, შეგროვდა, შეირჩა, გამოქვეყნდა და ჩვენ თვალწინ გამოიკვეთა არაორდინარული სახე და ხასიათი “დამწყები” შემოქმედისა, ვინც კაცობრიობის წინაშე გაჩენის დღიდან მთელი სიმწვავით მდგარი ურთულესი კითხვების ჯართან პირისპირ იდგა და ცდილობდა ამ კითხვებზე მეტ-ნაკლებად სრული და დამაჯერებელი პასუხის გაცემას... თან სდევდა ჭეშმარიტ მორწმუნეთათვის ნიშანდობლივი ქრისტიანული თავმდაბლობა და ისიც მშვენივრად იცოდა, რომ სხეული საწუთროს ფეხით ნალახი მიწა და ტალახია (დ. გურამიშვილი), ხოლო სული – მარად მობიზინე და უცვალბელი. და ყოველივე ამის გასაგებად და გასათავისებლად გულსაკლავად მცირე ხნოვანება ხვდა წილად!.. ინანიებდა (“მე ვინანიებ, ტკბილო მამაო”) და რას და რატომ, ვერავინ იტყვის. ეს ხომ ღრმად პიროვნული საიდუმლოა...

როგორც მშობლიური მიწა-წყლის უერთგულეს მცველსა და მეციხოვნეს, ყოველთვის ხიბლავდა რჩეულ მამულიშვილთა ცხოვრების გზა, მათი გამბედაობა და თავდადება მამულის, ენისა და სარწმუნოებისათვის... ხიბლავდა და ამიტომაც ამბობდა რაღაცნაირად ყმაწვილური სიჯიუტით, ჯიბრითა და დაჟინებით: “ზვიადს და მერაბს ვერ წაშლი ჩემში...” გარდაცვალებამდე ზუსტად ერთი წლით ადრე (1999 წლის 10 მაისი) დაწერილ ლექსში “დახვეწილი გემოვნების” ნაცნობ ქალიშვილს ასე მიმართავდა რატი ნინუა: “ოჰ, დამერწმუნეთ, ჩვენ არ ვიცი, რაა ნამდვილი...” და მართლაც, ჩვეულებრივ მოკვდავთა ყოფითობის ერთფეროვნებიდან სულ ცოტა ერთი ადლით მაინც უნდა იყო ზეაწეული,

ფილოსოფიური განზომილების ამგვარ დილემებს რომ შებედო, ჩაულრმავდე და გაუთამამდე... მისთვის ორი რამ იყო ყველაზე სანდო, სანიაზო და სანუკვარი: სუფთა ფურცელი და მეგობარი. “ფიქრის ბეჭობთან” ქარისგან დაქანცული მწყემსივით ეულად მყოფი ქათქათა ფურცელთან და უღალატო მეგობართან სიახლოვით იმხნეებდა და იბრუნებდა სულს. შესანიშნავად ფლობდა ლექსის თხზვის მაღალ ხელოვნებას. ეს კარგად ჩანს მის როგორც ორიგინალურ პოეზიაში, ისე თარგმანებში (ბაირონი, პუშკინი, ესენინი...). აი, ერთი მომცრო ნიმუში მისი პოეტური წარმოსახვისა, ხედვისა და მეტყველებისა: “იყო შეკრთომა და გაფითრება, განცდა – ლტოლვაზე უანკარესი, ცას თოვლი წვადა თეთრი თითებით და ნისლის მტვერში თვლემდა პარიზი...” ბუნებითი ნიჭისა და დახვეწილი ხელწერის მქონე შემოქმედს ვრცელ სივრცეებში გასვლას უქადოდა მომავალი, მაგრამ ვაი, რომ არ ისურვა და თვითონ დაუსვა წერტილი (თუ კითხვის ნიშანი) თავის ლამაზ, აზრიან და ასერიგად მოზღუდულ ცხოვრების გზას... გარდა ლექსებისა, წერდა მინიატურებს, კრიტიკულ წერილებს... თანდაყოლილი გუმანით არჩევდა ერთმანეთისაგან “მშრალსა” და “ზედმტაც” სილამაზეს (ამ თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველია მისი მინიატურა “ლამაზი სისასტიკე”).

ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც ელტვოდა და აფასებდა უბრალოებას, ღიაობას და ბუნებრიობას, რაც გ. პეტრიაშვილის პოეზიისადმი მიძღვნილ კვალიფიციურ წერილში პრაქტიკულად არის გათვალსაზრისებული. “...და იყო ზედმეტი მეოცე საუკუნეში...” “და იყო “ყველაზე ბედნიერი მეოცე საუკუნეში”, რადგან ის სიზმრებში და წარმოდგენებში ცხოვრობდა... უხმობდა და უცნაური ძალით იზიდავდა “მზის თაფლით მთვრალი უდაბნოს ზეცა”; იხიბლებოდა და თავისთვის ჩუმად ხარობდა “აზიატი ქალწულის შავი მშვენიერებით...” მისი ღრმააზროვანი მინიატურების ერთი უარსებითესი ნიშანი და მახასიათებელია ექსპრესიულობა, კონტრასტები და თვალსაკვიდი სურათოვნება. და ყოველივე ამის შესახებ, იმედია, მრავლისმომცველად იტყვის მერმისი; იტყვის ისე, როგორც შეჰფერის გულარდნილ ადამიანთა უგვანობით და საზოგადოებრივი უკუღმართობებით თხემით ტერფამდე შემრულ ერთ მართალ, აწ ჩვენგან ერთობ შორს და, იმავდროულად ძალიან ახლოს მყოფ, დრო-სივრცის უსასრულობასა და მცნობთა ხსოვნაში მარადიულ ჭაბუკად დარჩენილ პოეტს.

20.01.2005.

თამაზ ტყემალაძე

სახეურვილი!

როდესაც ეს საბედისწერო გასროლის ხმა გავიგეთ, მაშინ სხვებთან ერთად ჩვენც, ტელევიზიის თანამშრომლებიც ვწუხდით. კარგად ვიცნობდით რატის მამას, რომელიც ადრე ჩვენთან მუშაობდა რეჟისორად.

რატის ნინუა თბილისის პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა, რომელიც ეპიცენტრში მდებარეობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა. მიტინგები, გადამდეგები ემოციები, გამსახურდია-კოსტავა, 9 აპრილის სასოწარკვეთა... და როგორც მისი ლექსებით და მინიატურებით ვიგებთ, პოლიტიკურ მოვლენათა უშუალო მონაწილე ხდება მეოცნებე ყმაწვილი. უფრო მეტიც, იგი აღმერთებს ზვიად გამსახურდიას, ქედს უხრის მერაბ კოსტავას. და შემდეგ ზვიად გამსახურდიას იძულებითი განდევნა საქართველოდან და შემდეგ მისი “მხოლოდ ტყვიით შეფასება” ხდება რატისათვის საწუთროსთან შეურიგებლობის უმთავრესი მიზეზი. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხანა... ეს სწორედ

ის წლებია, როდესაც იგი თავის მღვივან ფანტაზიებს სალბუნად უდებს მაცხოვრის სიყვარულს, საკმევლის სურნელს. როდესაც მისთვის პოეზიის ზღაპრული სასახლის იდუმალი კარები ფართოდ იღება და 11-12 წლის ბიჭი უჩვეულო პოლიტიკური ხილვებით ქმნის თავის პირველ ლექსებს. აღიქვამს სამშობლოს მეტად მძაფრად, მტკივნეულად და რაინდული სულისკვეთებით, შესაძლებელს ხდის, ესაუბროს დიდ წინაპრებს, გაიგოს მათი სევდის თუ სიხარულის მიზეზი. თვითონ რაინდის შემართებით წარმოგვიდგება, მაგრამ სახეურვილად, რომელსაც ტანი გაჟღენთია წარსულის სურნელით, რომლის თვალსაც აბრმავებს კამკამი მტერს შეჯახებული ქართველების ცხენთა ფლოქვებთან წამოკვესებული ნაპერწკლებისა

“ვდგავარ უდაბნოში და მადრჩობს წყურვილი
და სული გარდასულ დიდებით მევსება”.

ეს ლექსი იწერება მაშინ, როდესაც რუსეთმა მოგვადორა, ჩვენც ვიბედოვლათეთ და აფხაზეთში ფაქტიურად კოალიციურ არმიასთან ომი წავაგეთ, როდესაც ამდენი სიცოცხლე ჩაქრა, ამდენი სისხლი დაიღვარა. სწორედ აფხაზეთ-სამაჩაბლოს ავბედითობამ, მანამდე ზვიადის განდევნამ, საქართველოს ძმათა სისხლისმღვრელმა ომმა, თავსმოხვეულმა ამდენმა პრობლემამ ადამიანურ სევდაზე მეტი ვარამით აღავსო რატის სულიერი სამყარო და ყმაწვილი თავის საბრძანისად, შვების მომგვრელ ქვეყანად ზესთასოფელს, ცის წიაღს მიიჩნევს. თვითონაც ასევე მოჩანს თავის ლექსებში – ცისკენ მზირალი მავედრებელი თვალებით. ზეცა მისთვის მხოლოდ გამძაფრებული აკვიატებული ხატი როდია. იგი გაცხადებული ბედისწერაა, იგი უჩვეულო ძალით იზიდავს დედამიწის ამ პატარა ბინადარს, რომელიც სხვაგვარი მიმღეობის მიზეზით თავის თაობას რამდენიმე ირმის ნახტომით დაცილებულა. ველარაფრით ხიბლავს ცოდვილი დედამიწა და ამ უკანასკნელს სწორედ მისთვის შეუსუსტებია თავისი ძლევამოსილი მიზიდულობის დამთრგუნველობა. ჩვენ ვხედავთ მეოცნებე ყრმას, რომელსაც ფერადი ბუმბუტების ნაცვლად გაქვავებული წვიმების ბლუჯა უჭირავს ხელში. საგმირო წარსულის სურნელი გაჯერებია. გრძნეულივით დადის და წუხს, რომ ველარ სველდება თავსხმა წვიმაშიც. იგი ერთ დღეს აღმოაჩენს, რომ მეორედ დაბადებულა ამ ქვეყნად და დაღლილია იგი დედამიწისეული სიცოცხლით. ამიტომ ასე იზიდავს მას მეორე სოფელი, ასე მშვენიერი ზეცის ტატნობი, სადაც სამარადჯამო საკუთარი ვარსკვლავი სულმოუთქმელად უცდის და რატიმაც შეუმცდარად იცის, რომ ზეცის ლურჯ მორევებში სრიალს დაიწყებს მისი ნავი და ეს იქნება ძალიან ძალე, როდესაც იგი აისზე გაფრინდება ზეცისკენ. ასეა, ველარაფრით ხიბლავს სილამაზისა და სიკეთის მძებნელ მის თვალებს ბებერი და უნდო დედამიწა. თავს ზემოთ კი ალთქმული სოფელია, ასე მიმზიდველი და სანეტარო.

შემთხვევით არ მიუძღვნა მან ლექსი ტერენტი გრანელს!

შემთხვევით არ მიუძღვნა მან ლექსი ნიცშეს...

ახლა შეიძლება ვიმარჩიელოთ, ვივარაუდოთ ნიცშესმიერი ცნებები როგორ აირეკლა რატის მღვივან აზროვნებაში. ზეადამიანის (ზევიად გამსახურდიას) გ ა ბ რ ძ ო ლ ე ბ ა მტაცებელი მხეცის უმწიკვლო სინდისით. მატერიის და სულის დაპირისპირების მიღმა რა არის ან როგორია სიცოცხლე. როგორ აღიქვამს ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ი ს გნოსეოლოგიას ჭაბუკი შემოქმედი. ასევე უნდა იქნეს შესწავლილი ნიცშეს ძალაუფლების ნების კონცეფცია როგორ განფენილა რატის შემეცნებაში... ამის შემდეგ ბევრს რასმეს გაეცემა პასუხი, თუ რატომ მოისწრაფა ამ ზნესრულმა ახალგაზრდამ სიცოცხლე, რომლის ფასიც ძალზე კარგად იცოდა.

1997 წელს, როდესაც უკვე დავუბრუნდი ტელევიზიას, ჩემი თანაკურსელი და მეგობარი, ქალბატონი რუსუდან ჭანტურიშვილი, ტელეფონით აღტაცებული მიაშობდა ერთ

ძალზე ნიჭიერ და იმედის მომცემ ახალგაზრდა შემოქმედზე, რომელიც მისი სტუდენტია ფილოლოგიის ფაკულტეტის მთარგმნელობით განყოფილებაზე. როგორც ხშირად ხდებოდა, არც მაშინ შემემლო ჩემი სურვილისამებრ დამეგეგმა გადაღებები. და როდესაც სავალალო ფაქტი მოხდა, მხოლოდ მაშინღა შევეძელით 25 წუთიანი სატელევიზიო გადაცემა მოგვემზადებინა, საყოფაცხოვრებო კამერით.

ქალისადმი მიძღვნილ ლექსებში ჩანს საპირისპირო სქესის მამრულად და ზნეობრივი პრიზმით აღქმული სრულყოფილი კაცი. ეს უფრო მისი მცირე შემოქმედების პირველი ნახევრის ლექსებში... მეორე ნაწილში უფრო ძუნწია მისი პოეტური კალამი. როგორც ჩანს, დიდ დროს უთმობს პროფესიულ თარგმანს, თუმცა მას ხომ ლექსები ზამთარ-ზაფხულს თავზე უშურველად ბარდნიდა. მას ხომ, მიუხედავად მისი საქართველოს იდეალის ასე უმოწყალოდ დარბევისა, მაინც შეუძლია აუმღვრევლად უსმინოს სიჩუმეს. პოეტური შეგრძნების განსაკუთრებული უნარით დრო და დრო ისმენს ქვითინს სიზმრის ლურჯი ნაპირისას. (რაა ეს ნაპირი... სიკვდილ-სიცოცხლის? ყოფნა-არყოფნისა?...) ხედავს გარეთ როგორ წვიმს მთვარის ტკივილი. ეს ხომ ის მთვარეა, რომელიც უნებურად აჩერებდა ხოლმე სიჩუმისფერ სახლის ქალასთან (ეს იმ სახლის ქალა ხომ არ არის, სამშობლო რომ ჰქვია, რატისეული აღქმით?). ეს ხომ ის მთვარეა, მკვდარ ნოემბერს რომ უჭირავს ხელთ. ნოემბერი ხომ ნაგვიანევი შემოდგომის სახეა...ის კი მკვდარი წევს ზამთრის ზღურბლზე, თვალები ღია დარჩენია და არვინ უხუჭავს. და როცა რუსთაველზე ავტომატი აკაკანდა, “მაშინ მეორედ მოკლეს ილია”. და მერე მისი იდეალი, ზეკაცი ო რ გ ი ი ს წერა გახდა, შემცბარი რატი გახვევებულია. დიდი ხნის შემდეგ იტყვის, რომ “ჩვენ ვამჯობინეთ დარჩენა ბნელში”, რომ ზვიადი ზღაპრული ქვეყნის ბინადარი გახდა (საითაც თვით ასე მიისწრაფის შემდეგ), რომ იქ ჩვენ აღარ შეგვიშვებენ, რადგანაც სხვები ვართ... ამის მერე ესიზმრება კომმარული შეგრძნებით საქართველოს ცაზე ორი მზე. ერთი სიკეთის და მეორე სივერაგისა. სიზმრადვე ნახა ზეკაცი, ზვიად გამსახურდია ოქროთი ნაქანდაკები, რომელსაც მეტყველი თვალები აქვს. ლექსით “ზვიად გამსახურდიას” პოეტი საბოლოოდ ამბობს სათქმელს. მისი ზეკაცი ვერაგთა მსხვერპლია... ღმერთმა კვლავ რომ გამოუშვას ჩვენთან – ისევ მოვკლავთ... და “და სასუფევლის გაიხსნა კარი, და ძირს რომ გდია, სულის ხუნდია, ამიერ უფლის წიაღში არის ნათელი – ზვიად გამსახურდია!” ამიტომაც ყოველ ახალ წელს რატის ნაძვის ხეზე სათამაშობს შორის ცრემლიც ჰკიდია. ეს ცრემლი რატის ცრემლია? მომხდარით გამოწვეული? ეს ცრემლი ზვიადის ცრემლია?... არა, ორივესი! და უკვე უფალს შესთხოვს, შესთხოვს დაჟინებით, რომ აპატიოს შუასკნელიდან თავისი სურვილით გასვლა... აპატიოს თვითმკვლელობა და სთხოვს, ზეცის უდაბნოში არმოხვდეს მისი ქართული სული, და სცეს ნუგეში, რადგანაც (როგორც შეიგრძნობა) ზეკაცის სიკვდილით ცოდვადამძიმებულთა სულის ხსნა სურს... თვით უნდა იტვირთოს სიმძიმე ამა ცოდვისა... ჩვენი აზრით, რატი ნინუა მხოლოდ ბავშვური ინტერესით დაელოდა მესამე ათასწლეულის დადგომას... ხუთი წელიწადი მას გადაწყვეტილი ჰქონდა შუასკნელიდან გასვლა. რას ელოდა... მხოლოდ თვითონ იცოდა.

საკვირვლად უყვარს ნაზამთრალი სიცოცხლის გამოღვიძება. აპრილის ფერადებით ნაქარგი ბუნების სანახები. სიყვარულს არ გაურბის და იცის, რომ მთელი სამყარო, უცხო და ვრცელი, ცხოვრობს ცნებაში “მიჯნური”. აპრილით და მიჯნურობით აღტაცებულს ბავშვობიდან შეჩვეული ძერა ეხმარება პოეტური სტრიქონების ჩამოსხმაში, ლექსის შექმნაში... მაგრამ ის მაინც რაინდია სახეურვილი – და ამ ურვით სულდამძიმებული (რომლის უმცირეს ნაწილსაც ვეღარ ვგებულობთ დღეს!). საქართველოზე ლოცვა-ვედრებით, ტკივილებით აღვსილი სტოვებს სიჭაბუკის აპრილ-მაისებს, ნაძვების ცისფერი დუმილით შემკრთალ მზეს, მშობლიურ (და რატომღაც) გამხმარ ქუჩას, რომელიც თავის თეთრ სულს უწვდის ასაკენკად პატარა ჩიტებს. ტოვებს ყველაფერს ადრე დაკაცებული

23 წლის ასაკში დიდი ცხოვრებანანახი თაობებს გასწრებული ნიჭიერება და ჩვენი თბილი და მშობლიური ოჯახიდან, დედა უნივერსიტეტიდან, ვერტიკალურად გაეშურება ზეცის საბრძანისებისაკენ.

ჭეშმარიტად ვწუხვართ და გვენანება, თუმცა ვინ უწყის...

27 თებერვალი, 2005 წელი

დათო ტურაშვილი

რატი ნინუას შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ კარგ ლექსებს წერდა – ვიცოდი ჩემი სტუდენტებისაგან, რომლებიც ხშირად ახსენებდნენ მას, როცა პოეზიაზე ვსაუბრობდით ხოლმე და პირადად კი, მოგვიანებით გავიცანი. რატი არასოდეს ყოფილა ჩემი სტუდენტი, მაგრამ ჩემს ლექციებზე ხშირად დადიოდა, როგორც თავისუფალი მსმენელი და მიხაროდა, რომ ჩემს ლექციებს ისინიც ესწრებოდნენ, ვისაც ამის გაკეთება, საერთოდ არ ევალებოდა. ასეთები სხვებიც იყვნენ, მაგრამ რატი ნინუა რომ იმ სხვებისაგან აშკარად გამორჩეული ადამიანი იყო, ამას პირველივე შეხვედრისას, გაცნობისთანავე მივხვდი. არც იყო ძნელი აღმოსაჩენი ამ ახალგაზრდა კაცის თვალეში უსაზღვრო სევდა ყველა ტკივილის გამო, რაც დღევანდელ საქართველოში ადამიანს უნდა ჰქონდეს კიდევ და მისი შეკითხვებიც კი მახსოვს ლექციებზე და ლექციების შემდეგ. რატი იყო სწორედ ისეთი ქართველი, როგორ ქართველებსაც გამუდმებით და ყველგან ვეძებ – ჭკვიანი და განათლებული, ნიჭიერი და გაბედული. მას ჩემსავით სჯეროდა, რომ ყველგან შეიძლება იყოს სიბინძურე დღევანდელ საქართველოში, მაგრამ არა უნივერსიტეტში, სადაც ნებისმიერი ჩვენთაგანი არა მხოლოდ თავშესაფარს, სულშესაფარსაც უნდა პოულობდეს, რადგან ეს ტამარია, ეს არის ადგილი, რომელიც არ უნდა დავთმოთ. ჩემის ღრმა რწმენით, მისი დემონსტრაციული თვითმკვლელობაც უნივერსიტეტში, იყო პროტესტი ჩვენი კონფორმიზმის წინააღმდეგ, სწორედ იმის მიმართ, რაც დავთმეთ. რატი ნინუამ კი აღარ ისურვა იმ ქვეყანაში სიცოცხლე, სადაც ადამიანებმა უმთავრესი – ღირსება დათმეს. ის მოკვდა როგორც შეგნებული მსხვერპლი ჩვენს გასაღვიძებლად, იმისათვის რომ ჩვენში ახალი ქვეყანა დაბადებულიყო და სამყარო, რომელშიც ჩვენ დავრჩით, უკეთესი გამხდარიყო. როგორც წესი უკეთეს მომავალსა და იდეებს სწორედ უკეთესი ადამიანები ეწირებიან და რატი ნინუა იყო კიდევ უკეთესი ადამიანი ჩვენს შორის.

და როცა სტუდენტი ლექტორზე უკეთესია, ლექციების წაკითხვასაც აზრი არა აქვს და მისი გარდაცვალების შემდეგ, უნივერსიტეტში აღარც მივსულვარ...

2005 წ. 5 თებერვალი

რატი ამალლობელი.

სხვა შესაძლებელ მიზეზთა მიუხედავად, რატი ნინუას წიგნის – “სინდბად მეზღვაურის” რედაქტორობა ბედად მე მერგო. მეც, პირველ რიგში, მაღლობელი ვარ ბედის, ასეთი ავტორის გაცნობის შესაძლებლობა რომ მომეცა, მაგრამ იმავე ბედმა ჩვენ შორის სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლი გაავლო და მეც ჩემს სეხნიას მხოლოდ მისი შემოქმედებით ვიცნობ,

რაც, თავისთავად, ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ამ ქვეყნად ისეთი შემოქმედება რჩება (თუ კი რამ რჩება), როგორც რატი ნინუამ დაგვიტოვა. ენის სხვადასხვა პლასტების, მისი განსხვავებული ლანდშაფტების კარტოგრაფიული სიზუსტით ცოდნა და ამ ცოდნის სწორი გამოყენება პოეტურ მეტყველებაში გახლავთ ის თვისება, რომელიც მართლაც გამოარჩევს რატი ნინუას არამარტო ჩვენი თაობის, არამედ ბოლო დროის ქართველი ავტორებისაგან. ძალიან ძნელია ამ კაცის ღირსებებზე საუბარი ისე, რომ მისი გამჭვირვალე და სადა შემოქმედება ჩვენი ტლანქი და მოუქნელი ეპითეტებით არ დავამძიმოთ. უბრალოდ, ერთი რამ ცხადია – რატი ნინუას პოეტური, პროზაული და თარგმნილი შემოქმედება მთელი ცხოვრების მანძილზე ფიქრის, განსჯის, გაცემისა და ახალ-ახალი აღმოჩენების მიზეზად გაგვეყვება.

მაყვალა გონაშვილი

*საქართველოს მწერალთა
კავშირის თავმჯდომარე*

იქნებ მზევსილი ზეცა ემახდა?!

მე მაშინ ტელევიზიაში, საბავშვო გადაცემათა რედაქციაში, ვმუშაობდი. არაერთი ნორჩი შემოქმედი ხდებოდა ჩვენი გადაცემის სტუმარი. ის კი გამორჩეულად დამამახსოვრდა, პატარა ტატო 11-12 წლის იქნებოდა, მამამ მოიყვანა რედაქციაში. საკუთარ ლექსებს ზეცისკენ თვალაპყრობილი კითხულობდა. იყო ბავშვური და საყვარელი... ამაყი და თავდაჯერებული. ჩვენთვის – აღმოჩენა, მამისთვის – იმედი...

“ბოროტთან ზავით ვერ შეკრულო, ნელა თეთრდები,
თითქოს არა ხარ შენ დაღლილი, ღიმს არ იშორებ,
მაგრამ მე ვიცი...”

ეს ლექსი მოგვიანებით უძღვნა მამას. იცოდა შვილმა საქართველოზე უზომოდ შეყვარებული მამის ჭაღარის ნათელის ფასი, იცოდა საქართველოს სევდის ფასი... ფასი ცრემლის და ტკივილის... ჭაბუკი იყო და ყოველივე იცოდა მაინც:

ყოველ ახალ წელს
ჩემს ნამდვის ხეზე
სათამაშოებს შორის ერთი
ჰკიდია ცრემლი.

ინდოთა სიბრძნეა: “თუ გწამს, თუ გიყვარს, თუ იტანჯები, შენ ადამიანი ხარ”. სწამდა, უყვარდა და ჰოი, თურმე რარიგ იტანჯებოდა. “ახლოა ჟამი ჭრილობათა მოსალბუნების, ბედნიერება ჩემს სულშია ღვთით დათესილი, და ნაცვლად ხორცთა გასაძლომი ბილწი ცთუნების, მე სიხარული ზეციური მელის მზევსილი!” მაინც რა იყო მისი წასვლა, რატომ გადააბიჯა საკუთარი ნებით მარადისობაში? იქნებ მზევსილი ზეცა ემახდა? იქნებ გულგრილობით დაბრმავებულ ადამიანთა მოდგმისთვის თვალის ახელა სურდა? ახლა იგი ზეციური საქართველოდან დაგვეყურებს, ჩვენ კი ცოდვიან მიწაზე დარჩენილთ და

უპასუხო კითხვებით გაორებულებს, მხოლოდ დიდი წინაპრის ამ სიტყვების გამეორებადა შეგვიძლია: “ყრმაო, პოეტო, უღმრთო იყო შენი სიკვდილი, ვინ უწყის, რამდენი საუნჯენი დავკარგეთ ჩვენა”. ვერ მოგიფრთხილდით...

რა დაგვრჩა? რატი (ტატო) ნინუას უმშვენიერესი ლექსები და თარგმანები? ვინძლო, მათ მაინც მოვუფრთხილდეთ ღირსეულად.

27.02.05

კობა არაბული

მწარე ტკივილის შეგრძნება

საქართველო ოდითგანვე პოეტთა, ანუ “სულის მუსიკოსთა” ქვეყანა იყო: “ყველა პოეტი პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი – ორჯერ პოეტია” – ჩვენ კარგად გვახსოვს უცხოელის ნათქვამი ეს “საკრალური ფრაზა”. ...პოეზიას გენეტიკური კოდი მართავს, – პოეტს, რომელიღაც წინაპრის სული კარნახობს სიტყვას. ნიჭის ტალღა მამულეთის, ან დედულეთის ფესვებიდან მოედინება, – ცარიელ ადგილზე არაფერი იშვება, ვერც უფრთო ფრინველები ადიან ცაში!.. რატი ნინუას შემოქმედების წყაროსთვალვით შორეული გენებიდან მოდის. არაგვის ხეობაში, ფხოვის კარიბჭესთან, წმინდა ნინოს ქვა დევს – ეს ქვა პირამიდაა, საიდანაც წმინდა ნინომ პირველი სიტყვა წარმოთქვა (!) ამ ხეობაშივე ამოჩქეფენ მისივე სახელობის ანკარა წყარონი და სიწმინდეს მატებენ დიდ მდინარეებს...

ამბობენ, რომ ნინუების გვარიც ამ ხეობიდან მოდის და წმინდა ნინოს სახელთან არის დაკავშირებული. ამ “ჰიპოთეზურ” ვერსიას, მე პირადად, რატი ნინუას მთის წყაროსავით ანკარა პოეზიაც მიდასტურებს, სიხარულს იწვევს ჩემში მისი პოეტად დაბადების აქტი, ხოლო მისი უდროოდ წასვლა – მწარე ტკივილის შეგრძნებას, იმ სინანულს, რაც ქართულ სიტყვას დააკლდა და დააკლდება რატი ნინუას არყოფნით... ის წავიდა ამქვეყნიდან, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ სიყვარულის ასაკში იყო და მაინც მე წინ მიდევს მისი სამი წიგნი: “ალუბლის იალქნები” – რომელიც დაიბეჭდა მის სიცოცხლეშივე, როდესაც იგი ჯერ კიდევ თბილისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე იყო. და “ნატალი” და “სინდბად მეზღვაური”. პირდაპირ მინდა ვთქვა – აღტაცებას იწვევს მისი მრავალმხრივი ტალანტი: მისი “თეთრი ძერის ბუმბულით დაწერილი” ლექსების სინატიფე და მღელვარება. მისი ესეები და წერილები. მისი პროზაული მინიატურები. მისი თარგმანები: – ბაირონი, პუშკინი, ესენინი, ოსკარ უაილდი, ბუნინი, სლოვაკი... აქ ჩანს მის ინტერესთა დიაპაზონი, კლასიკური სულიერი სივრცის წვდომის სურვილი და უახლეს დინებათა დანახვის უნარი. სიტყვა ძნელად მოსათოკი ფენომენია, მას ბევრი ვერ ათვინიერებს; ჩვენდა სასიხარულოდ, იგი (სიტყვა) რატი ნინუას კალმის წვერზე თოვლის ფანტელის სიმსუბუქეს და ყვავილის სინაზეს იძენს: “როცა ცისფერი დიღები ყელზე იდნობენ ფანტელს”, “და ეხმარება მოლის სინაზე მიმოფანტული ცვრის რძისფერ სიცილს”, ან

“ცაში გამლხვარი ტრიალებს სული
და ანადენი მტვერი კვირტების,
აქ სიხარული დედოფლობს სრული -
გავთვალავს, თუკი დააკვირდები”.

რატი ნინუას შემოქმედებაში რამდენადაც “სიხარული დედოფლობს”, იმდენადვე ჩანს ტრაგიზმი გამჭვირვალე სიხარულის მერე, – “ვითარცა მწუხარება არის სიხარულის დასაბამი, ხოლო სიხარული შობს მწუხარებას”...

“ნეტავი მალე დამეძინოს და
ნეტავი მალე ვნახო სიზმარი” –

მე მეჩვენება, რომ ეს “სიზმარი” მისი “მომავალი დრო” და ამ დროში დანახული ლექსის სტრიქონებია, რომელსაც ფრთათეთრი ძერა უწერს... მან “დაიძინა” მხოლოდ სიზმრებისთვის და ამგვარაგი “მწარესაწუთროს” მიღმა დგომისთვის (“ჰოი, შეწუთისოფელო, ხოხნოტასავით მწარეო”. – ხალხ.)

“მე და ჩემს ლექსებს მოწყენა გველის”...
“სტროფებს ასტკივდა ხერხემლის მალი” –

ბევრი რამ ჩანს ამ სტრიქონთა ნაკადულში, და უფრორე, სულის დრამატული ფეთქვა... რატი ნინუა იმ მამულის და მიწა-წყლის ჰაერს სუნთქავს, სადაც დავით მეოთხის “გალობანი სინანულისანი” ჟღერდა მის ქვიშისფერ აბჯართან ერთად, სადაც ვაჟა-ფშაველას გველის მჭამელის (მინდიას) ტიპის გენიალური პერსონაჟები იზადებოდნენ. რატი ბუნებრივად აღებს ამ სამყაროს კარს და პირველივე ნაბიჯებს დგამს იქით, ის მშობლიური ისტორიის და საკუთარი ხილვების წიაღში დადის...

“სველმა ფურცელმა შეიწოვა ჩემი სტრიქონი”.
“ვიღაცის ლექსიც გახარებულ სხეულს იკოცნის”

დააკვირდით, მისი მხატვრული დანახვის უნარი და ლექსის სტრიქონების დაბადებით ტკბობა რა მშვენიერია. “პოეტისთვის ორი რამაა ყველაზე განუყრელი, ყველაზე სანუკვარი: პირველი – ქალაღდი, მეორე – მეგობარი, ალბათ იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან, ორივეს ერთნაირად შეუძლიათ პოეტის ნაფიქრალის გაზიარება, მისი აღბეჭდვა გულის ფიცარზე... ქალაღდი მეგობარით ერთგულია, მეგობარი კი – ქალაღდივით”... ვფიქრობ, და ვგონებ, რომ რატი ნინუას დილის ყვავილივით ნამიანი სიტყვა, აღიბეჭდება არაოდენ სუფთა ქალაღდზე და მეგობრების გულში, არამედ ყველა ქართველის (და სიტყვის ქომავის) “გულის ფიცარზე”, ვინც კი ხელში აიღებს და გადაშლის მის ლამაზ წიგნებს. რატი ნინუას არაორდინალურ შემოქმედებას მოელის ასეთივე ტიპის ლიტერატურის მკვლევარი, რომელიც თავიდან აღმოაჩენს მას და გაუცხადებს “ბურუსში ჩამირულ საზოგადოებას ჩვენი დროისას... მე პირადად, ამ “დროთა დაშლასა”, თუ უდროობის ჟამს ვერ მოვასწარი მისი მთლიანი აღქმა და ჩემი ამ “უსასრულო” წერილით მცირე ხარკს ვუხედი მის ლამაზ ხსოვნას.

12.II. 2005 წ.

ფრიდონ ხალვაში

დიდი პოეტი იწყებოდა...

(რატი ნინუას მამამ, ზურაბმა, შვილის წიგნი მაჩუქა)

ნიჭიერის პოეზია აჯანყებულია ხშირად.
იმ გასროლამ საშინელმა უკვდავებაც შეაშინა.
შორს წავიდა შვილი, ზურაბ,
წიგნი დაგიბრუნდა შვილად.

პოეტის მამას, უბრალოდ, როგორც ბათუმელს, ვიცნობ. არ ვიცოდი, რატი ნინუა მისი შვილი თუ იყო. და, აი, ამას წინათ, გამომეცნაურა იგი თბილისში. მიხარია.

ზურაბ ნინუა ბათუმის თეატრში მსახიობობდა. იგი მეუბნება, ჩემს რატისაც ძალიან უყვარდა ბათუმით. ყოველ ზაფხულს აქ ვიყავითო. (ლექსებში მართლაც ღრმადაა ზღვის სევდა, მისკენ ლტოლვა). ასე რომ, რატი სულით ბათუმელია, ზღვის შვილია.

რატი ნინუას სახელი, სამწუხაროდ, ლექსებზე მეტად, გეგონება, მისივე ხელით გასროლილმა ტყვიამ მოფინა ქვეყანას. ასეთ დღეში ვართ, – პოეტმა თავი თუ არ მოიკალი, იქნებ სამშობლომ ისე შენი სახელი ვერც გაიცნოს, გალაკტიონი ხომ ამბობდა, – “თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერისო”.

დიახ, რატის რომ ეცოცხლა, ნამდვილად დიდი პოეტი იქნებოდა (?) რაც დაგვიტოვა, ამითაც იგი ერთი მნიშვნელოვანი და გამოსაჩენია ახალ ქართულ პოეზიაში.

მის ლექსებში დიდი ფიქრებია, მოულოდნელი ხილვები და მიგნებებია, თავისთავადობაა.

წარმოიდგინეთ, მე უფრო მისმა პროზამ და პუბლიცისტიკამ გამოაცა, რად ღირს მარტო გურამ პეტრიაშვილისადმი მიძღვნილი რატის გამოკვლევა – ესე. მწიფე აზრები, მრავალნაცადი კაცის მსჯელობანი!

რატი ნინუას ნიჭის ნაშუქი სხივი, მჯერა, ქართულ კაზმულ სიტყვიერებას ოქროს სირმად ჩაეწნება.

6.02.05

ბალათერ არაბული

ჟურნალ “ნობათის” რედაქტორი

მარადიული ტკივილი

ტატო ნინუა პოეზიაში ვუნდერკინდი იყო... ის მამამისმა – ზურაბ ნინუამ, რედაქციაში 12 წლისა მოიყვანა...წავიკითხე პატარა ტატოს ნაწერები და გაცეცხული დავრჩი: ასე, გამონაკლისების გარდა, მოზრდილებიც ვერ წერდნენ: დახვეწილი ტექნიკა, გამართული რითმები, ხატოვანი აზროვნება: გარდაიცვალნენ შემოდგომის ცივი ხელები, მკვდარი ნოემბრის მტვრიან სულში აყვავდა მთვარე, ფოთლები ქრიან და ტბორავენ ქარს

გახელებით, წევს შემოდგომა... და არავინ უხუჭავს თვალებს... ჟურნალის რედკოლეგიის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, 1989 წლის "ნობათის" ერთ-ერთ ნომერში გამოვაქვეყნეთ ნორჩი პოეტის ლექსები. შთაბეჭდილება დიდი იყო: ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაში გამოჩნდა ახალი სახელი, რომელიც, თავისი ასაკის მიუხედავად, უკვე იქცევა ყურადღებას გამორჩეული, უშუალო პოეტური ხილვებით, გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული ტრაგიზმით, სამყაროს მისეული ხედვით:

მე გავფრინდები ცაში აისზე
მზეც თუ დაკოცნის დილებს სისხამთა,
ცაში გაფრენა მყუდროა ისე
განმარტოება როგორც სიზმართან...

ან კიდევ:

არ ამიღვრიოთ დაწმენდილი იდუმალება,
მე აღმღვრეველს ვუსმენ სიჩუმეს,
მე აღმღვრეველ სიჩუმეს ვუსმენ,
ვუსმენ სიჩუმეს და... მდუმარებას!..

ის ჩუმად და მოკრძალებით უსმენდა აღმღვრეველ სიჩუმეს და დაწმენდილი იდუმალების სამყაროში ცხოვრობდა მარადიული მდუმარებისკენ მომზირალი, მაგრამ... მისი სიჩუმეც აამღვრიეს შურით და გესლით, ყოველდღიური ვნებათაღელვით, რაც შემოქმედის სულზე განუკურნებელ ჭრილობებს ტოვებდა, რაც პოეტს, ღმერთის წინაშე, მაინც საკუთარ დანაშაულად და ცოდვად მიაჩნდა:

მამაო, გცოდე, არა ვარ ღირსი,
ვიწოდებოდე შენს ძედ...

ან კიდევ:

გინდა ჯვარს ეცვა და მით წაშალო
უგუნურება შენი...

ტატო ნინუა ასე შეუმჩნევლად, სიჩუმესთან და სიმარტოვესთან წილნაყარი, ლექსიდან ლექსში, ფიქრიდან ფიქრში თანდათან ემზადებოდა საკუთარი ჯვარცმისათვის და... მოხდა საბედისწერო გასროლაც:

ცა დასცქერის გმირი ბავშვის ცხედარს,
ცა დღეს მის სულს აიტაცებს ნეტარს, -
.....

მხოლოდ ტყვიით შეჩერებულ მხედარს...

ეს სტრიქონები ტატო ნინუას ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსიდანაა. ცამ მისი სპეტაკი სული აიტაცა, ხოლო ჩვენ პოეტის სულის ანარეკლებად ლამაზი ლექსები დაგვიტოვა, როგორც მარადიული ტკივილი და გახსენება...

27.02.2005 წ.

რატი ნინუას!

შენ საქართველოს ეზრდები, შვილო,
ნაზი ბუნება გამოგყოლია,
მე მომწონს შენი სამშობლოს კილო
მოგესალმები პოეტს გოლიათს.
ჩემო პატარავ, ტრფობის მიზეზი,
ეს ხომ ის არის, რაც შენგან ითქვა,
მსურს დაგილოცო უფაქიზესი
და ვაჟკაცური ქართული სიტყვა.
შენ საქართველოს ეზრდები, შვილო,
ნაზი ბუნება გამოგყოლია,
მე მომწონს შენი სამშობლოს კილო,
მოგესალმები პოეტს გოლიათს.

1986 წ. 25 V.

ბარათაშვილის ნაკვალევზე...

თითქოს განგებამ თავად ინება, რომ ტატო ნინუასათვის ეს სახელი დაენათლათ მშობლებს. როდესაც პირველად ვეზიარე მის პოეზიას, დავრწმუნდი, რომ ის მხოლოდ ხორციელად დააბიჯებდა დედამიწაზე, ხოლო მისი შეურყვნილი სული ზეციური სამყაროდან დაჰნათოდა თავად მას, მის უმანკო სახეს, გრძნობა-გონიერებას. პირველივე ტაეპიდან მივხვდი, რომ ტერენტი გრანელისეული პოეზიის ზე-სიდიადე მისთვისაც უხვად გაემეტებინა ყოვლის შემოქმედს და სხვა არაერთი ჭეშმარიტი შემოქმედივით, მისი გზაც ბედისწერით იყო განსაზღვრული. და მაინც, ძალზედ მოკლე აღმოჩნდა მისი გზა-სავალი. სამაგიეროდ, მისი დიადემურად მარტოსული ლექსების ბრწყინვით განათდა პოეზიის კაზადონი. დიახ, ის არავის ჰგავს, ის თვითნაბადია, თავად მქმედი საკუთარი პიროვნებისა და პიროვნული შემოქმედებისა, ამიტომაც შერჩება იგი ქართულ პოეზიას, ქართულ ცნობიერებას – როგორც ბრძენი ყრმა და პოეტი.

ბევრჯერ დავფიქრებულვარ მის უდროო სიკვდილზე, რასაც პასუხი ვერა და ვერ მოვუძებნე. ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ მაინც ვეჭვობ, რომ როდესაც განგება ასეთ ნიჭიერებას დააბერტყავს ადამიანს, დროზე ადრე წყვეტს მის სიცოცხლეს, რადგან ისინი, სიყრმიდანვე, ღმერთისეული სცენარის ამოცნობასაც ლამობენ... ხოლო მოკვდავთაგან არავის ძალუძს შესძახოს: სდექ, ნიჭიერებავ! შენი როლი აქ თავდება!

გურამ ბენაშვილი

„მე გაცეცხლებული ვარ ახალგაზრდა მწერალთა მიმართ იმ ინდეფერენტობით, რასაც საზოგადოება იჩენს. შეუძლებელია აღორძინდეს და იშვას ახალი თაობა ყურადღებისა და ხელშეწყობის გარეშე. ჩვენ ბრწყინვალე ახალგაზრდა მწერლები გვყავს. შეუძლებელია ნეიტრალური იყო აკა მორჩილადის, ზვიად რატიანის, თეონა ბექიშვილის, ირაკლი ჯავახაძის, გიორგი ლობჯანიძის, რატი ამაღლობელის, უდროოდ გარდაცვლილი რატი ნინუას და სხვა მრავალთა შემოქმედების მიმართ“.

გაზ. „კალმასობა“, №7, 2000 წ.

თამაზ წივწივამე

მგალობელი ჩიტის სიკვდილი!..

რატი ნინუა! –

ამ ყმაწვილი კაცის სიკვდილი, პირადად მე, მისივე უფროსი კოლეგის, პაოლო იაშვილის ტრაგიკულ ბედს მაგონებს!

ამათგან ერთმა, პაოლო იაშვილმა, საკუთარ თავსაც და თავისდროინდელ ბოლშევიკურ რეჟიმსაც ერთდროულად ესროლა თოფი!

რატი ნინუას ხელიდან გავარდნილი ტყვია კი, გარდა საკუთარი თავისა, კიდევ იმ “რაღაცას” უნდა მოხვედროდა, რომლის სახელიც არც ამჟამად ვიცით და, ვეჭვობ, ან ოდესმე გავიგოთ!.. არადა, რომ არა ქვეყანაში დატრიალებული საშინელი რეპრესიები, სიცოცხლის ხალისით თითქმის გაუმადლარი ვაჟკაცი პაოლო იაშვილი თავს არ მოიკლავდა! ასევე, ალბათ, არც ყმაწვილი რატი ნინუა მოისწრაფებდა სიცოცხლეს, თუ არა ის “რაღაც უბედურება”, რომელსაც, მასზე უფრო ნათლად, იმწუთას, ვერავინ ხედავდა!.. ერთმა თავი ადრე, 30-იან წლებში მოიკლა, მეორემ აგერ, ჩვენ თვალწინ!.. პაოლო იაშვილის შემთხვევა გასაგებია – ადამიანს სულში ჩააფურთხეს და ღირსეული კაცი, მით უმეტეს, პოეტი, ამას ვერ მოითმენდა!.. რაც შეეხება რატი ნინუას სიკვდილის ამბავს, ის მხოლოდ ჩვენთვისაა ამოუცნობი, თორემ თავისთავად უნდა ვიგულისხმოთ, რომ 23 წლის ყმაწვილ პოეტს, რომლის თვალთა არეალში უკვე მოხვედრილი იყო “ქერა გოგო და ველოსიპედი”, არც მას ექნებოდა, ამ დროისთვის, თავი სასიკვდილოდ გადადებულ!.. და, ბოლოს, უფლის ნებით, დიდმა პაოლომ მოასწრო და ქართველ მკითხველს სამარადჯამოდ დაამახსოვრა თავი!.. პატარა რატიმ კი, რომლის გამოც პირდაპირ შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ:

“ის ლექსებს წერდა, მართლა,
თავის სულივით სუფთას”...

ის მცირე ლიტერატურული მემკვიდრეობა, რის შექმნაც სიცოცხლის მოკლე მანძილზე მოასწრო, ჯერ კიდევ თავად ბავშვმა, სწორედ რომ “ობოლი ბავშვივით” დატოვა! მე ის მახარებს, რომ ამ “ობოლ ბავშვს” ანუ რატი ნინუას მცირე მოცულობის მემკვიდრეობას, პატრონები, პირველ რიგში, პოეტის მამა, გამოჩენია და ეს ყველაფერი, რაც კი დარჩა, ცალკ-ცალკე წიგნებად შეუკრავთ და მკითხველისთვის მიუწოდებიათ!.. აწ უკვე ამ პატარა

მგალობელ ჩიტს, რომლის სიკვდილშიც ყველა მის თანამედროვეს გვიდევს ბრალი, თამამად შეუძლია თავის სათაყვანო საქართველოს, მასზე ასაკით უფროსი პოეტის სიტყვებით უთხრას:

დიდი თუ არა, დამრჩება
პატარ-პატარა წიგნები, –
შენ თუ არ გემახსოვრები,
მე მაინც შენთან ვიქნები...

15. II – 2005 წ.

კლასელები იგონებენ...

*(გოგა ლომიძე, ბექა ებანოიძე, გოგა ლორია, ნიკა წილოსანი,
ირაკლი ჩაბიჩაძე, თენგი აბაშიძე, გიორგი ფესვიანიძე, ლევან ვეფხვაძე)*

...1988-89 წლებში, როცა ეროვნული მოძრაობა აზვირთდა, რატი ჩვენი კლასის ნამდვილ ლიდერად იქცა. ჯერ კიდევ 9 აპრილამდე კლასმა გადავწყვიტეთ, მიგვემართა გიმნაზიის დირექტორისთვის ქ-ნ ლიანა შეწირულისათვის, რათა პიონერთა ოთახში საბჭოთა საქართველოს დროშის ნაცვლად აღმართულიყო ეროვნული სამფეროვანი დროშა: პატ. დირექტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ჩამოიხსნას ე.წ. ბელადების და რევოლუციონერების სურათები, აგრეთვე, სსრკ და საბჭოთა საქართველოს დროშები პიონერთა ოთახის კედლებიდან. ალბათ, ეს სურათები და დროშები მთელი სკოლის მოსწავლეებს აღიზიანებს! მათ მაგივრად გაიკრას ქართული ეროვნული დროშა და ჭეშმარიტი მამულიშვილების სურათები, (VII კლასი. 1989 წ. ნოემბერი, ტექსტი შედგენილია ტატოს მიერ) ეროვნული დროშა სახლიდან რატიმ მოიტანა. ამ დროშით შევედით დირექტორთან. ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილეს. კურიოზი კი ის იყო, რომ იქ ხელი არ უხლიათ სსრკ დროშისათვის და რამდენიმე ხანს ეროვნული დროშა და სსრკ დროშა ერთად იყო აღმართული. ...ასევე 9 აპრილამდე იყო: დაჟინებით მოითხოვდნენ გვეტარებინა ყელსახვევები. მე და რატი უყელსახვევოდ შევედით გაკვეთილზე. მწარედ დაგვსაჯეს და პირდაპირ გაგვათრის გაკვეთილიდან. ეს ამბავი უცებ გახმაურდა გიმნაზიაში, რასაც მოჰყვა ჯერ ჩვენი მეგობრების, შემდეგ მთელი გიმნაზიის მხარდაჭერა - გიმნაზიის დერეფნები აივსო დახეული ყელსახვევებით... ..გვიშლიდნენ, მაგრამ ყველანაირად ვცდილობდით (მესამე სართულიდან წყლის მილსაც ჩამოვყოლივართ მთელი კლასი) და მაინც გავდიოდით მიტინგებზე. მშობლების დახმარებით შევიძინეთ და მოშიმშილეებთან მივიტანეთ სამილე ტომრები, მიგვექონდა ადუღებული წყალი, თანავუგრძნობდით... ..9 აპრილის შემდეგ რატიმ გაგვიზიარა იდეა - სკოლის წინ 9 აპრილის ხეივანი გაშენებულიყო. კვლავ ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით მიზანს მივალწიეთ. ეს ხეივანი მანამ ამშვენებდა გიმნაზიას, სანამ დაიწყებოდა სამხედრო გადატრიალება, რომელმაც მოსპო ხეივანიც, პირველი კლასიკური გიმნაზიაც და საქართველოც...

...ეროვნული მოძრაობის დღეებში ყველას ახსოვს ხეებზე აკრული ლექსები და მოწოდებები. 9 აპრილის ფოტომატიანეში შემორჩენილია სურათი, სადაც მოჩანს ხეზე გაკრული რატის მიერ შედგენილი ლოზუნგი ჩვენი კლასის სახელით... გასახსენებელი სხვაც ბევრია...

ლიანა შეწირული

პირველი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი

ბევრი კარგი პიროვნება აღიზარდა ჩვენს სკოლაში. ახალ თაობაში ერთ-ერთი გამორჩეული იყო რატი ნინუა. ჩვენ დავულოცეთ ცხოვრების გზა. პიროვნება იყო. დიდი სიყვარული შეეძლო, ყოვლისმომცველი. სიკეთით აღსავსე და გულისხმიერი. თანატოლებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი ნდობაც შეიძლებოდა და მასზე დაყრდნობაც. ერთგულება იცოდა უსაზღვრო. დიდი ადამიანური ღირსებების მატარებელი იყო. საკუთარი სათქმელი ყოველთვის ჰქონდა, მისი აზრი კი ყოველთვის მისაღები და ანგარიშგასაწევი იყო მეგობრებისთვის. დამაჯერებელი ლაპარაკი იცოდა. მიზანსწრაფული და დამოუკიდებელი ახალგაზრდა იყო. შეეძლო ლამაზი ლექსის განცდა. თვითონაც წერდა ლექსებს და მოთხრობებს. ნიჭიც ჰქონდა და ხედვაც. ზნეობრივი პიროვნება წელგამართული და პირნათელი დააბიჯებდა სკოლასა თუ უნივერსიტეტში. თანადგომაც იცოდა და თანაგრძნობაც. ყოველთვის უღალატო იყო. საკუთარი ტკივილი კი არავის გაუზიარა. უკანასკნელი ნაბიჯით ყველა გაგვაოცა. საკუთარი ნებით შეაბიჯა უსასრულობაში. საბედნიეროდ, სიკვდილი არაა ყველაფრის დასასრული. ის, ვინც ღირსეულად ცხოვრობს, გარდაცვალების შემდეგ ტოვებს აქ დასარჩენ სახელს. ერთ-ერთი ასეთია რატი ნინუაც.

2000 წ. ივნისი

ნანული რატინი

თბილისის I კლასიკური გიმნაზიის დირექტორის მოადგილე

... ეროვნული მოძრაობის აღორძინების პირველი დღეებია... 1987 წლის ნოემბერი... ილიასა და აკაკის ძეგლის წინ სტუდენტები იკრიბებიან. ძეგლის ირგვლივ სხდებიან. ეროვნული მოძრაობის ლიდერები ერთად არიან. პირველი საჯარო აქცია უმოწყალოდ დარბეულ იქნა ჩვენი მოსწავლეების თვალწინ... პატარა ტატოც ამას ხედავს... 1989 წლის აპრილი. მთავრობის სახლის წინ გამართული აქცია. მოშიმშილენი. სასწრაფო-სასწრაფოზე მოდის. გონებადაკარგულნი მიჰყავთ. მათ სხვები ცვლიან... ბავშვებს სკოლის ბუფეტთან მოშიმშილეებისთვის ცხელი წყალი მოაქვთ. ისინი გაფართოებული თვალებით უყურებენ ყველაფერს, იმახსოვრებენ. გულში იჭიდებენ. პატარა ტატოც იქ არის. ამ დღეების მონაწილეა. მის პატარა გულში პატარა საქართველოს სიყვარული გიზგიზებს. ეს აქციაც გაუგონარი სისასტიკით იქნა დარბეული. საქართველო პატივყარილია. მისი შვილების საუკეთესო ნაწილი დახოცილია, დაჭერილია ან მოწამლულია. 1990 წლის შემოდგომა. ტატო უკვე VII კლასის მოსწავლეა. მათი კლასი მოითხოვს, რომ 9 აპრილს დახოცილთა პატივსაცემად სკოლის წინ დაიდგას მემორიალი, გაკეთდეს ხეივანი. მახსოვს, თვალანთებული ბავშვები. საწადელს მიაღწი ხს. აქვე დგას ჩუმად, უსიტყვოდ ტატო. მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, თუ რა მგზნებარება ენთო ამ პატარა ყმაწვილში. რა სათქმელს, რა ცეცხლს ანდობდა მხოლოდ ლექსებსა და მამას. 11-12 წლის ტატოს პირველად მაშინ გავესაუბრე, როცა იგი

ვნახე მამასთან ერთად, რა მოწიწებით იდგა მთავრობის სახლის წინ და ათრთოლებული ხელებით სანთელს ანთებდა იმათ მოსახსენებლად, ვინც მოწამებრივი სისხლი გაიღო სამშობლოს გადასარჩენად. ... ჩემო ტატო, რა დრო გავიდა. ქართველმა ხალხმა სისხლის წვიმების და გოლგოთის რა გზა გამოიარა მას შემდეგ... ქართველთა მეწამულ ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა იმ ტრაგედიის შესახებ, რომელიც უნივერსიტეტში დატრიალდა. ნუთუ საჭიროა, კიდევ და კიდევ გავიღოთ უმანკო ახალგაზრდების სისხლი... ეს საშინელებაა, ეს შეუძლებელია, ეს არ უნდა მოხდეს! ეს ტატომ გვითხრა!

ივნისი, 2000 წ.

დინა გეგენავა

შენ გენაცვალე, შენ გენაცვალე...

„ღმერთად შეგიცანი, და კაცი ყოფილხარ!
კაცად შეგიცანი, და ღმერთი ყოფილხარ!..“

რა პაწაწინამ, 9-10 წლისამ, მხოლოდ V კლასელმა უძღვენი დავითს, დავით აღმაშენებელს. ისიც შეიცან, რომ დრო და მანძილი არ ცხრება „და სიტყვას ითხოვს!“ ასე პაწაწინამ ვაჟაც შეიცანი, ვაჟა-ფშაველა, და დაცვაც მოიწადინე: „ვინ არ მოხიბლა, არ ვიცი...“ ასე პაწაწინამ მერაბიც შეიცან, მერაბ კოსტავა და ირგვლივ მოიკითხე: „წელზე ვინ უნდა შეირტყას შენი ნახმარი მურასა, დროშა ვინ უნდა გაფინოს თეთრი ჯანღების ქულაზე!“ და ასე პაწაწინამ, მხოლოდ 10 წლისამ, ამალღებულ ლექსად იგრძენ, რომ „დილას რაღაცამ გამახარა...“ რომ ის არ იყო მათხოვარი, რომ მიუძღვენი „ეს იმ დიდ და ღრმა თვალეზიანს, ვისთვის სამოთხის მეფის სკიპტრაც კი ალალია!“... და შენ, ასე პაწაწინამ, იგრძენი უკვე და იცოდი დედამიწის უდიდესი სიბრძნე: „რომ კაცთაგანი ყოველი უფლისწულია პირველი!“ და ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, შენი თვალეზიდან იხედებოდა მზე და ჩვენ დაგზრმავდით, რადგან მზეს ადამიანები თვალეზს მხოლოდ მაშინ უსწორებენ, როცა მზე თავადაც უდგათ თვალეზში. ვერ გხედავდით! რადგან ჩვენ არ ვიცოდით კაცობრიული ერთადერთი უცოდველი სიბრძნე, რომ „კაცთაგანი ყოველი უფლისწულია პირველი!“ შენ კი შემოგვყურებდი ისეთი წმინდა, როგორც შემოგვყურებ შენი ბავშვობის წიგნის პირველი ფურცლებიდან და ვიდოდი ჩვენს შორის თავმდაბალი და არასოდეს გვტოვებდი. „მე არასოდეს არა ვარ მარტო“, — ამბობდი ადვილად და გტკიოდა ადამიანთა სევდა... ..შენ არასოდეს, არასოდეს იმსახურებდი უმცირეს შენიშვნას, უმცირეს სამღურავს. ყოველთვის გვერდით იდექი და თვალში შემოგვყურებდი მშვიდად — მზადმყოფი თავგანწირვისთვის — და აკი შემოგვწირე კიდევ უდრტვიწველად. საკუთარი მზე ჩააქრე, რომ სხვათა თვალეზში აგენტო სახილველად. მაპატიე, უფალო, ალბათ, ამას არ ერქმევა თვითმკვლელობა, ამას დაარქმევენ მომავლის ქართველნი თავგანწირვას! წერა-კითხვა პოეტმა ადამ ჩხაიძემ მასწავლა. იგი ყოველთვის ყველას, და მეც, ასე მოგვმართავდა: — შენ გენაცვალე, შენ გენაცვალე! (თქვენ გენაცვალეთ, თქვენ გენაცვალეთ) და დიდი სიხარული ეფინა სახეზე. იგი თითქმის ასი წლისა მოიყარა და ისე მიიცივალა. მე ძლიერ ვწუხვარ, რომ შენ, ასე ძვირფასს, ასე არ მოგმართავდი. რამდენიმე კვირა სულ ერთს ვიმეორებდი: — ეს რა ჰქენი, ტატო, ეს რატომ? ახლა სანთელს ვანთებ, უფალს ვესაუბრები და გვეყვები: — შენ გენაცვალე, ტატო, შენ გენაცვალე...

დოდო ტატიშვილი

პირველი კლასიკური გიმნაზიის

I-IV კლასების მასწავლებელი

1983 წლის პირველი სექტემბერია. აწკრიალდა სკოლის ზარი და ჩემს ირგვლივ შემოკრებილ პირველკლასელებს შორის ყურადღება მიიპყრო ლამაზმა, ბუნჩულა ბიჭუნამ, რომელიც დედის ხელს ჩაფრენოდა და ფართოდ გახელილი, დაკვირვებული თვალებით მომჩერებოდა. ხელი მოვკიდე, მოვეფერე და ვკითხე: — რა გქვია? — რატი, — მიპასუხა და გამიღიმა. ეს კეთილი, უშუალო ღიმილი იყო, მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე რომ ხიბლავდა მის ირგვლივ ყველას... ..მესამე-მეოთხე კლასიდან ლექსებისა და მოთხრობების წერა დაიწყო. ეს ამბავი მისი თანაკლასელებისგან გავიგე, რადგან თვითონ უპრეტენზიოსა და მოკრძალებულს, არ უნდოდა თავის გამოჩენა. როდესაც ვთხოვე, ნაწერი მაჩვენე-თქო, მორიდებით გამომიწოდა. წავიკითხე და განცვიფრებული დავრჩი — რა დიდი ფანტაზიის უნარი ჰქონდა ამ ბავშვს. თანაკლასელებს განსაკუთრებით მოსწონდათ მისი დაწერილი მოთხრობები, რომლებიც ხელიდან ხელში გადადიოდა. კითხულობდნენ ჯგუფ-ჯგუფად, კამათობდნენ, არჩევდნენ და ეხვეწებოდნენ: — ტატო, არ შეწყვიტო, განაგრძე წერაო და ისიც ჩვეული, საყვარელი ღიმილით უსრულებდა თხოვნას თავის მეგობრებს. მისი ნაწერი ყოველთვის განსაკუთრებული, თავისებური შთაგონებით გამოირჩეოდა. ქართველი კლასიკოსებიდან განსაკუთრებით უყვარდა ვაჟა-ფშაველა. მხატვრული კითხვის გაკვეთილზე ბავშვებს აუცილებლად ვუკითხავდი ვაჟას რომელიმე ლექსს. ტატო მოითხოვდა, კიდევ წავგიკითხეთო და როდესაც ლექსს ვაჟასეული, განსაკუთრებული ინტონაციით ვკითხულობდი, იგი სულგანაზული მისმენდა, შემდეგ ტექსტის ახსნას მოითხოვდა და, რა თქმა უნდა, მეც სიამოვნებით ვუსრულებდი თხოვნას... ..როდესაც ამ კლასის გამოსაშვებ მეჯლისზე მიმიწვიეს, ტატო მომიახლოვდა, მოკრძალებით გამომიწოდა ლექსების პატარა კრებული „ალუბლის იალქნები“ და მითხრა: „დოდო მასწავლებელო, ეს ჩემი პირველი წიგნია და თქვენი აზრი მაინტერესებსო“. იმ სიხარულისა და აღტაცების გადმოცემა არ შემიძლია, რაც მე მაშინ განვიცადე. ჩემს წინ პატარა ტატოს ნაცვლად ზრდასრული პოეტი იდგა. ეს ჩვენი უკანსკნელი შეხვედრა იყო... ჩემო ტატო, ჩემო საყვარელო ბავშვო, ვერ გამიგია, ასე სიცოცხლით და ენერგიით სავსეს, რამ გადაგაწყვეტინა საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა. რატომ წაართვი შენს სათაყვანებელ სამშობლოსა და ხალხს შენი სიცოცხლე, შენი ლამაზი ღიმილი. როგორ სჭირდება დღეს შენს თანამოძმეთ შენი იმედიანი სიტყვა, შენი განუმეორებელი ღიმილი. მე კი, იმედად, იმედად შენი სულისთვის, ლოცვადა დამრჩა...

თბილისი, 2000 წ. ივნისი

რატი ნინუას ხსოვნას

ვერ გიჯავრდები...
ვერ გეუბნები...
მესმის და მიტომ ჭაბუკ პოეტის.
წევხარ, სუდარის თეთრი ღრუბელი
ხელეებს გიკოცნის, როგორც მშობელი.
რიდით და კრძალვით ვჩერდები, სადაც
უხიაგ ყოფას ასე დასცინე.
მსურს შეგეყარო წამოსულს ცადაც
და მერე ბიჭებს რა დაგვაძინებს...
აქ ვიღაც თვალეებს ცრემლებით დარგავს,
ქალწულ თითებით დაშლის ყვავილებს.
გექნება ეზო და მომცრო ბან-კარს
ალუბლის მტვერი დაამარილებს...

(რატი ნინუამ უნივერსიტეტის აუდიტორიაში ტყვიით მოიკლა თავი)

ნატო ფოფხაძე

ბიჭი და სანთელი

ის მდუმარედ იდგა პატარა სასანთლეში, თავი დაეხარა და რაღაცაზე ფიქრობდა, ფიქრობდა დაუსრულებლად — და ელოდა ღამეს. მერე, როცა ცა ნელ-ნელა დაუშვებდა კიდევბზე ბინდისფერ ფარდებს, მოვიდოდა ბიჭი, აანთებდა სანთელს, მიუჯდებოდა მაგიდას და წერდა, წერდა დაუსრულებლად. ზოგჯერ შედგებოდა, ანთებულ სიგარეტს დაფერფლავდა და ისევ წერდა. სანთელი კი იდგა თავისთვის და თავზე ოქროსფერი ცეცხლი ეკიდა. ციმციმებდა სანთელი, ბავშვივით ცქმუტავდა, შეჰხაროდა თავის პატარა მოწითალო ალს, ხან იქით გადახრიდა, ხან აქეთ და ფარფატა პეპლებივით აცეკვებდა მაგიდაზე მოფენილ ჩრდილებს. იდგა სანთელი, თავზე ოქროსფერი ცეცხლი ეკიდა და... ტიროდა. ტიროდა ბედნიერებისგან — ის ხომ ენთო, ის ხომ იწვოდა... და ბიჭთან ერთად ებრძოდა ღამეს. პატარა ქარვისფერი ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა მოლიპულ ტანზე და მერე ლოლოებივით ეკიდებოდა აქეთ-იქით. იწვოდა სანთელი და არ ნაღვლობდა, რომ დღითი დღე აკლდებოდა სიცოცხლის ძვირფასი წუთები. ნელ-ნელა მიიწევდა ქვემოთ, სადაც ქარვისფრად ლივლივებდა პატარა გუბე — მისი წრფელი ცრემლების ნაჟური. არ ნაღვლობდა სანთელი, სულ არ ნაღვლობდა. ის ხომ ღამაზად იწვოდა, ღამაზად დნებოდა. და ბიჭთან ერთად ამაყად ებრძოდა დაუსრულებელ ღამეს... ცამ ნელ-ნელა აიკეცა თეთრი კალთები. რულმორეული მზე სადაც მთებს იქით მიიმალა. ისევ დაღამდა. მაგიდაზე, პატარა სასანთლეში აღარ დგას სანთელი. მხოლოდ ქარვისფერი გუბე ლივლივებს — ოღონდ გაქვავებულა იგი და აღარც ცრემლები აცვივა ზემოდან. უკვე ჩამწვარა პატარა სანთელი და ჩუმად ჩახუტებია თავისი ნაღვენთი ცრემლების ნაჟურს. სასანთლეში აღარ დგას პატარა სანთელი. იმ ღამეს აღარც ბიჭი მოსულა მაგიდასთან...

10 მაისი, 2001 წ.

მარტოსული
(რატის)

ქარი ბორიალობს ცარიელ ქუჩებში,
ხელების ფათიფურით დევნის მუქ აჩრდილებს,
უკაციურ სარკმელებს აწყდება უხეშად
და გადარეული მზერას არ აცილებს.
ირგვლივ სიჩუმეა, აღარ ჩანს არავინ,
მე თითქოს შემოვრჩი ქვეყანას ეულად.
სევდის ფანტელები თავს ვეღარ მაღავენ
და უნდათ მაქციონ მარტოსულ სხეულად.
მივდივარ, მიმყვება დღეებზე ოცნება,
მზის სხივის სურვილი და მზით ნეტარება,
ლამით ვარსკვლავები მაცვივა ლოცვებად.
მათ ღვთიურ მშვენებას რა შეედარება.
მე ვივლი, თუნდ დაღლამ მომკვეთოს მუხლები,
ან ჩემი იმედი წამართვას ეული,
ოღონდაც ვიპოვო წმინდა, ხელუხლები,
ჩემსავით დაღლილი პატარა სხეული.
ლოდინით შევცქერი ცის მრუმე კამარას,
არა ჩანს არავინ, იმედიც გაქრება.
გავყვები ბილიკებს, მთებს იქით გადავალ.
წავალ და უზომო ნაღველი გამყვება.
მე ვივლი ამაყად, მე ვივლი ეული
და ჩემს მარტოობას გავფანტავ ოცნებით.
არ მინდა დღეები მზით გადარეული,
მომეცით სამყარო და ტკბილი ლოცვები!

ავთო ბესელია

რატომ?

23 წლის ახალგაზრდამ უნივერსიტეტში თავი მოიკლა... რატომ? — ეს იყო ის კითხვა, რომლითაც რატის ნაცნობები თუ უცნობები მიმართავდნენ ერთმანეთს, რომლის პასუხი დღესაც გაურკვეველია. უცნობთაგან ბევრი გატკეპნილ გზას გაჰყვა — 23 წლის ბიჭი, თანაც პოეტი... გასაგებია, — ალბათ, უიმედოდ იყო შეყვარებული და... ზოგმა რატის მაგისტრატურაში ჩარიცხვა-არჩარიცხვას დაუკავშირა ეს ამბავი. ასეთი პასუხების არასერიოზულობა და სრული აბსურდულობა უდავოა ყველასათვის, ვინც ასე თუ ისე იცნობდა რატის, მაგრამ ვინც მას არ იცნობდა, მათგან ასეთი პრიმიტიული პასუხი არც გასაკვირია და არც საწყენი. უკანასკნელ პერიოდში ჩვენ საზოგადოებას იმდენი უბედურება

გადახდა თავს, იგი იმდენად ძალაგამოცლილი და დათრგუნულია, რომ დღესდღეობით, ძნელია მისგან რაიმეს (თუნდაც ახალგაზრდის ამგვარი თვითმკვლელობის) ღრმად განცდა, გააზრება და გაშინაარსება მოითხოვო.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც, უთუოდ, ხელი შეუწყო რატის მიერ იმ საბედისწერო გადაწყვეტილების მიღებას, სწორედ ეს იყო — ქართველი საზოგადოების ასეთი მდგომარეობა. ამის თქმა დანამდვილებით შეიძლება, რადგან რატისთვის საქართველო წარმოუდგენლად უფრო ბევრს ნიშნავდა, ვიდრე, უბრალოდ, ის ქვეყანა, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა (ამ თემაზე ხშირად ვსაუბრობდით ხოლმე, თუმცა, სანტიმენტალიზმის გარეშე, შეიძლება ითქვას „ცივად“, რომ შინაგანი „სიმბურვალე“ გაგვეწონასწორებინა). რატი პირველ სკოლაში სწავლობდა; მის თვალწინ დაიწყო ეროვნული მოძრაობის აღმავლობა. ის ამ პროცესის უშუალო მონაწილე იყო. დღევანდელი მოზარდისთვის (ან სტუდენტისთვის) ძნელია და, ალბათ, შეუძლებელიც იმ განცდის გათავისება, რომელიც ეუფლებოდა მაშინდელ მის თანატოლს, როცა იგი ხედავდა მილიციითა და საბჭოთა სამხედროებით (ე.წ. „მერვე პოლკით“) გარშემორტყმულ რამდენიმე ასეულ ახალგაზრდას, რომელთა ერთადერთი იარაღი და ჯავშანი მათი სიმათლე, მათი „რწმენა, იმედი და სიყვარული“ იყო. ხელკეტებით, რკინის ფარებითა და „კალაშნიკოვებით“ აღჭურვილ ფორმიანთა პირისპირ იდგნენ უნივერსიტეტიდან, თუ სხვა სასწავლებლებიდან ჯგუფ-ჯგუფად წამოსული ახალგაზრდები. ისინი სკანდირებდნენ „თავისუფლებას“, „საქართველოს“, მღეროდნენ ეროვნულ სიმღერებს, ხმამაღლა ამბობდნენ სიმათლეს „ბოროტების იმპერიის“ შესახებ; რუსთაველის გამზირს მათ გაახსენეს პირველად დამოუკიდებელი საქართველოს აკრძალული დროშა. ამავე დროს, ტელევიზიით, პრესით არ წყდებოდა სიცრუის ნიაღვარი. 1989 წელსაც კი, ტელევიზიით გამოდიოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, „დამსახურებული ისტორიკოსები“ და ამტკიცებდნენ, რომ 25 თებერვალი უნდა ეხეიმა საქართველოს, როგორც გასაბჭოების, ანუ „გაბედნიერების“ დღე. ერთადერთი ადგილი, სადაც მაშინ სრულ სიმათლეს ამბობდნენ 1921 წლის 25 თებერვლის შესახებ, იყო ფორმიანებით გარშემორტყმული მიტინგი. რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ლიდერი ფარისევლობდა და რომელი არა, რომელს რომელ სპეცსამსახურთან ჰქონდა კავშირი, მთავარი ისაა, რომ იქ შეკრებილი აბსოლუტური უმრავლესობა გულწრფელი იყო, მათ სიმათლე, თავისუფლება სწყუროდათ და იბრძოდნენ კიდევ მისთვის, არ უშინდებოდნენ არც მუქარას, არც დაჭერას, არც ხელკეტს, და ბოლოს, აღარც ტანკებს. ერთია, როცა იმ დღეების, იმ წლების პერიპეტიებს ფოტოსურათებით, ან ვიდეოჩანაწერით ეცნობი და სულ სხვაა, როცა ეს ყველაფერი შენ თვალწინ ხდება, როცა ამ ყველაფერს უშუალოდ განიცდი. ნუთუ შეიძლება იმ ამბების მონაწილეს დაავიწყდეს ის თრთოლვა, ის აღმაფრენა, რომელიც ეუფლებოდა მას, როცა ხედავდა, როგორ არღვევდა რკინისფარებიან, რკინისქუდებიან, ხელკეტებიან ფორმიანთა კორდონს სრულიად უიარაღო ახალგაზრდების ჯგუფი. თითქოს ცხადად, ხელშესახებად ჩანდა, როგორ მოედინებოდა სასწაულებრივი ძალა ახალგაზრდების გულებიდან, მათ თავზე მოთ მოფრიალე ქართული დროშებიდან, შავ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის დიდი, გასაოცარი სურათიდან, თითქოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სული ჩამოსულიყო ამქვეყნად და ერთიან, უძლეველ სხეულად ექცია ის ახალგაზრდები. ვინც იმ ამბების მონაწილე არყოფილა, მისთვის, ჩვეულებრივ, ყოველივე ეს მხოლოდ „პატრიოტული აღტყინებაა“, „ემოციის განმუხტვა“ და მეტი არაფერი, ზოგისთვის იქნებ მართლაც ასე იყო, მაგრამ არა ერთი და ორისთვის ხომ სწორედ ეს იყო „ქეშმარიტების მომენტი“, ადამიანების, ქართველების მიერ თავიანთი საუკეთესო თვისებების ერთიანი გამოვლენა, ქართული სულის უმშვენიერესი, დაუვიწყარი გაბრწყინება. ვიღაცისთვის ეს ზღაპარია, ილუზიაა, მაგრამ იმან რა ქნას, ვინც ეს სრულიად აშკარად ნახა, ვინც ცხადად განიცადა, იგრძნო „იმ“ სულის შეხება. განა აუტანელი სისასტიკე, უდიდესი ბოროტება არ იქნებოდა, ვინმე რომ

მისულიყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხედართან შეკრებილ მის თანამებრძოლებთან და ეთქვა მათთვის: „თქვენ ცრუობთ, ფანტაზიორობთ, ან გეჩვენებთ, თითქოს ამ ცხედარს ადრე რაინდული, მებრძოლი სული ედგა და თითქოს იგი ვაჟკაცობის სასწაულებს ახდენდა. თქვენ ყველაფერი ეს მოიგონეთ, სინამდვილეში კი ის მხოლოდ მშიშარა ყაჩაღი იყო; და თუ ეს ასე არაა, მაშინ დაგვიმტკიცეთ, გვიჩვენეთ მისი რაინდული სული, იქნებ დამალული გყავთ სადმე, ჩვენ კი მხოლოდ უმოძრაო, უსიცოცხლო გვამს ვხედავთ და ვაცხადებთ, რომ ის არამზადა და ყაჩაღი იყო“. ვისაც ეროვნული მოძრაობის აღმასვლა, ქართველთა მაშინდელი ურთიერთისობა, ურთიერთთანადგომა, ნამდვილი რაინდობა და ვაჟკაცობა არ უნახავს და არ უგრძნია, იმას როგორ უნდა დაუმტკიცო, რომ ქართველობა, სულ რაღაც 10-12 წლის წინ, ერთ-ერთი უმშვენიერესი ხალხი იყო დედამიწის ზურგზე? დღევანდელი საქართველოს, დღევანდელი ქართველობის შემყურე, ნუთუ დაიჯერებს ვინმე ამას (როგორ უნდა დაესაბუთებინა, მაგალითად, ვაჟას პოემის „უიღბლო იღბლიანის“ გმირს, საბრალოს, რომ ის ნათესავთა და თანასოფლელთა შემარცხვენილი, გადარჯულებული მათხოვარი კი არ იყო, არამედ მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული ადამიანი)? ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ხომ თავისუფლებისათვის ყველაზე გულიანად, ყველაზე რაინდულად და ლამაზად სწორედ საქართველო იბრძოდა და თითქოს მივალწიეთ კიდეც მიზანს, მაგრამ ბოლოს ყველაფერი აირია და „მართვედმა ქაოსმა“ შთანთქა. და დღეს ვუყურებთ ქალაქებს, სოფლებს, „მაგრამ ეს არ არის საქართველო“; ვისაც უნახავს „ის“ საქართველო, მან იცის, რომ ესაა მხოლოდ სულგამოცლილი გვამი „იმ“ „ცოცხალი“ საქართველოსი. რაც ყველაზე სამწუხაროა, ბევრს არც კი სჯერა, რომ „ის“ საქართველო ნამდვილად არსებობდა, რომ ამ დამახინჯებულ, ნახევრად გახრწნილ გვამს ისეთი დიდებული სული ადავსებდა და ამშვენებდა. რატომ იქცა საქართველო „უიღბლო იღბლიანად“, და თუ მართლაც „უიღბლო იღბლიანია“ იგი — როდის გამოჟონავს მისი „საფლავიდან“ ყოვლისგან მკურნავი წყარო და შეძლებს კი ამ წყაროს წყალი მომავლის განკურნებას? რატიმ „იმ“ საქართველოს, „იმ“ „უიღბლო იღბლიანს“ ერთი მცირე, სულ თერთმეტსტყვიანი ლექსი უძღვნა:

„ყოველ ახალ წელს
ჩემს ნამვის ხეზე
სათამაშოებს შორის ერთი
ჰკიდია ცრემლი“.

ახალ წელს, ჩვეულებრივ, სიხარულით, იმედით ეგებებიან. რატის ნამვის ხეზე ერთადერთი რამ იყო ნამდვილი, ცოცხალი, გულიდან მომდინარე — ცრემლის წვეთი, ყველაფერი დანარჩენი კი — „სათამაშო“, — შუშის ან პლასტმასის ლამაზად მოხატული ვარსკვლავი თუ ბურთულა (ალბათ, ასეთ ცრემლის წვეთთაგან შეგროვდება იმ ყოვლისგანმკურნავი წყაროს წყალი). გულისმომკვლელია, როცა ადამიანი, მით უმეტეს ახალგაზრდა, ცრემლით ჰხვდება ახალ წელს. ლექსის მშვიდი, აუღმღრველი ტონი მოწმობს, რომ ის ცრემლი იმპულსური, წუთიერი ტკივილისა თუ სასოწარკვეთის შედეგი კი არ იყო, არამედ ხანგრძლივი, მძიმე მწუხარების, გულში ღრმად ჩაგუბებული დიდი სევდის გამონაჟონი. იბსენის ერთ-ერთი დრამის („ტახტისთვის ბრძოლის“) გმირი, იარლ სკულე, სკალდს ეკითხება: „იატგეირ, მითხარი სკალდად როგორ იქეცი, ლექსების ხელოვნება ვინ გასწავლა? სკალდი: ამ ხელოვნებას არ სწავლობენ, ჩემო ბატონო. იარლ სკულე: არა სწავლობენ, და მაშ შენ როგორ დაეუფლე? სკალდი: მე სევდის ნიჭი შევითვისე და აი, სკალდი გახვდი“... რატი ჯერ კიდეც 12 წლის ასაკში, 1989 წელს „წააწყდა“ (როგორც თვითონ წერს) სევდას — „ზღვის სილურჯით ფერმკრთალ ავადმყოფს“ („სანთლები ლაჟვარდში“). რატისთვის უადრესად ახლობელი, ძვირფასი იყო ის რაინდული, ჰეროიკული, მართალი

სული, რომელიც თითქოს განსხეულდა იმდროინდელ საქართველოში. რატომ იხილა, შეიგრძნო და შეიცნო ამ სულის სიდიადე და მშვენიერება. მან იხილა, აგრეთვე, საქართველოს აგონია, მთელი არსებით განიცადა იმ სულის დამტანჯველი განშორება „სხეულისგან“ — გვამადქცეული საქართველოსგან. წარმოიდგინეთ, რომ თქვენმა ნათესავმა, თქვენმა სისხლმა და ხორცმა თავისუფლებისათვის, სიმართლისათვის ბრძოლაში ნამდვილი გმირობა გამოიჩინოს, თქვენ ნახოთ ეს და მთელი სულითა და გულით შეიყვართ იგი; შემდეგ კი, თქვენს თვალწინ მას წამებით ამოხადონ სული, თქვენთანვე დატოვონ და თქვენ არ შეგეძლოთ მისი დამარხვა და ყოველ დღე მის გვამს უყურებდეთ, თვეების, წლების მანძილზე. განა იოლია ამასთან შეგუება? ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ აღნიშნავენ, რომ მისთვის „ხევი“ მხოლოდ მშობლიური კუთხე როდი იყო, არამედ ამაღლებული, ღირსეული საქართველოს განსახიერება და, უფრო მეტიც, „ნამდვილი ადამიანურობის“ უკანასკნელი სამყოფელი, ჯერ კიდევ ცოცხალი (ზნეობრივ-სულიერი თვალსაზრისით) „ცოტა დედა-მიწა“ (ვახტანგ კოტეტიშვილი). ამიტომ განიცდიდა „ელგუჯას“ ავტორი ასე მტკივნეულად „ხევის მკვლელობას“. ზოგიერთს საერთოდ არ აღელვებდა და არ აღელვებს ასეთი „ამბები“, ზოგს კი არ შეუძლია გულგრილად, „შუშის თვალებით“ შეხედოს ყოველივე ამას. ბევრ ქართველს არ უნახავს, არ განუცდია თავისუფალი, უდრეკი, მართალი სული, რომელიც 80-90- იანი წლების მიჯნაზე ლაღობდა საქართველოში, ბევრმა კი, თუმცა ნახა და განიცადა, მაგრამ შემდეგ თავისივე თავი დააჯერა, რომ ეს მხოლოდ მოჩვენება იყო და ის დღეები, ის წლები უცნაური, გაუგებარი სიზმარივით დაივიწყა. რატის ასე არ შეეძლო. იმ სულმა რატის გულში ჩაუქრობელი ცეცხლი ანთო და მისი დავიწყება, მისი შინაგანი სიმხურვალის უგულუბელყოფა რატისთვის ადამიანის უწმინდეს, უმაღლეს არსზე უარის თქმას ნიშნავდა. „ის“ სული გაქრა, აღარაა საქართველოში, მაგრამ მისი ხსოვნა და კვალი დარჩა და თითქოს თვით ის, თუ მისი მონატრება ყოველ ახალ წელს, ნამდვის ხეზე, სათამაშოების გვერდით, ცრემლის სახით ეცხადებოდა რატის. რატომ თავისი ერთ-ერთი მინიატურა ასე დაასათაურა: „რომანტიკის სიკვდილი. XX საუკუნე“. ამ საუკუნის დასასრულს რატის თვალწინ გაცოცხლდა ის რაინდული სული, რომელთან ზიარებაც მისთვის უსაზღვრო ბედნიერება იყო, რომლის არილს მანამდე მხოლოდ წიგნებში ან ოცნებებში თუ ხვდებოდა (რატის მინიატურის — „სიზმრებში მცხოვრები კაცის“ გმირი ხომ თვითონ ავტორია). ქართული რაინდული სული რატისთვის, საერთოდ, ადამიანური, მსოფლიო რაინდული სულის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება იყო, რომელიც ეროვნული მოძრაობის აღმასვლამდე ვარსკვლავით მიუწვდომლად, შორეულად ჩანდა, მაგრამ თანდათან ეს „ვარსკვლავი“ სულ უფრო და უფრო მოუახლოვდა საქართველოს. რატის სული აღივსო, გაიჟღინთა მისი კამკამა ნათლით, შემდეგ კი „ვარსკვლავი“ ჩქარა, თუ ისევ თავის ხომლს დაუბრუნდა, ისევ უიმედოდ მიუწვდომელი გახდა, ხოლო მისი ნათლის მხილველთა და შემგრძნობთათვის გამთოშველ უკუნეთად იქცა აქაურობა. ეს გზა გამოიარა რატის მძიმე, დაგუბებული სევდის ზოგადადამიანურმა, ზოგადეროვნულმა „შენაკადმა“, მაგრამ ბევრად უფრო ძნელია რაიმეს თქმა პიროვნულის შესახებ. რატის ერთ-ერთი მოთხრობა („ბაჭულა“) მთავარი გმირის თვითმკვლელობით სრულდება. მოთხრობის სიუჟეტი, მოკლედ, ასე შეიძლება გადმოიცეს: პოეტური ბუნების, ფიზიკურად სუსტ მოზარდს მეზობელი ბიჭები დაამცირებენ, თანაც მისი შეყვარებულის თანდასწრებით. იმ დღიდან ბიჭი თავდაუზოგავ ვარჯიშს დაიწყებს და, როცა საკმარისად მოღონიერდება, შეურაცხმყოფელებს ანგარიშს გაუსწორებს — მათ მეთაურს სცემს. ამის შემდეგ ბიჭს უკვე სხვა თვალთ უყურებენ. იგი თვითონაც გრძნობს, რომ შეიცვალა, თითქოს რაღაც ახალი შეითვისა და, ამასთანავე, იმასაც გრძნობს, რომ რაღაც დაკარგა. ეს დანაკარგი მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, რომ იგი ზოლოს მდინარეში დაიხრჩობს თავს. რატომ? რა დაკარგა მან ასეთი ძვირფასი? — ამ კითხვაზე რაიმე გარკვეულ პასუხს არ

იმღევა მოთხრობის ავტორი. რატი ერთ ადრეულ ლექსში ამბობს, რომ მას „ფრთებთეთრი ძერა“ უწერდა ლექსებს (რატის იმ ლექსს, ეპიგრაფად, ტიციან ტაბიძის ცნობილი სიტყვები აქვს წამდღვარებული: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“). ტიციან ტაბიძე ერთგან უცნაურ ამბავს მოგვითხრობს ძერასთან დაკავშირებით: „ვიწექი დანამულ ველზე და ყურს ვუგდებდი გაღვიძებული ენგურის სიმღერას. თავზე ვეებერთელა ძერამ გადამიარა. სხვა დროს იქნებ ვერც კი შემემჩნია მისი თავზე გადაფრენა, მხოლოდ ჩემი ყურადღება მიიქცია მისმა საშინელმა წივილმა... იკლაკნებოდა ჰაერში და ისე მძლავრად სცემდა ფრთებს, თითქო მთელი ცის თალის სიმძიმე მას დასწოლიაო და უნდა როგორმე ჩამოცილოსო... და მომაგონდა მაშინ მე დედის ნაამბობი, დავაკვირდი ფრინველს და აშკარად შევამჩნიე მის კლანჭებში გველი,

რომელიც ძერას გულზე ეხვეოდა. საბრალო ძერა, გულს უშხამავდა გველი და გაცოფებული, ტანჯვისაგან გაგიჟებული მიქროდა, მიწიოდა სივრცეში, თითქო იქ ელის შველასო“ („მოლოდინში (საახალწლო ფანტაზია)“). ტიციან ტაბიძე არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რით დამთავრდა ძერისა და გველის ორთაბრძოლა. ფინალის ერთ-ერთი ვარიანტი, ალბათ, შეიძლება ასეთიც ყოფილიყო: ძერა გრძნობს, რომ ვედარ მოაშთობს გველს, მას ძალა ელევა, მაგრამ მაინც სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევს; და ბოლოს, ქარაფებს ზემოთ, წამით დაეკიდება ჰაერში, მთელ ძალ-ღონეს მოიკრებს, ბრჭყალებს რკინის მარწუხებივით საიმედოდ, უკანასკნელად მოუჭერს გველს და ფრთებმოკეცილი, თვალუწვდენელი სიმაღლიდან ტყვიასავით დაემვება უფსკრულისაკენ.

20.12.2000 წ.

თამაზ ჭყონია

მსხვერპლი ცვედან და სატანურ დროის

*...„მე ვინანიებ, მე ვინანიებ,
მე ვინანიებ — ტკბილო მამაო“
რატი ნინუა*

მრავალტანჯულ და დაღლილ მიწაზე
თვალახვეული თემიდა დადის,
თუ ტკივილები არ განვიცადეთ,
რა ქართველები ვყოფილვართ, რატი...

„თავს არ მოიკლავს...“ „ბრძოლაში მოკვდეს...“
გავიმეორებთ პოეტის ქადილს,
არავინ უწყის რა უჭირს მოძმეს,
მაშინ ვშორდებით ამ მიწას, რატი...

სული მიელტვის იდუმალ შორეთს,
წიაღს უფლისას, ოცნებას მართლის,
თავისუფლება არ ესმით მონებს,
პირუტყვებივით ცხოვრობენ, რატი...
მარად მდუმარე ვულკანებს ვგავართ,

წყვედიადს მოუცავს სხივები მნათის,
ტირილით მოვალთ და ტანჯვით წავალთ,
ნაადრევ წასვლას ვინანებთ რატი...

დარჩება ხსოვნა, ლოცვა-ვედრება,
ღვთისმშობლის კალთა და უფლის მადლი,
მსხვერპლი აბელის სიკვდილს ედრება,
კაენი დროა, აბელი რატი...

13 მაისი 2000 წ.

ზვიად მუსერიძე

აგონია

(რატი ნინუას ხსოვნას)

ჩემი ოცნების ცალავ,
ჩემი იმედის სითბოვ,
სიცოცხლეს ვეღარ ვძალავ,
მომაკვდავ წამებს გითმოვ.
გახუნებულა ხშირად,
ნასათუთები ნატვრა,
მობრუნებულა ჭირად,
ცად ვარსკვლავების დათვლა.
ვკვდები, არა მაქვს შიში,
ომით მოღალულ ტიტანს,
გადამხლეწვია ჯიში,
ფერდებციცაბო კლდიდან,
ნეტავ რის გამო ვიშვი,
ნგრევას რის გამო ვიტან?..
ჩემი ოცნების ცალავ,
ჩემი იმედის სითბოვ,
სიცოცხლეს ვეღარ ვძალავ,
დარჩენილ წამებს გითმოვ.

2000 წ.

თვითმკვლელობაზე

(რატი ნინუას ხსოვნას)

საცნაურია თვითმკვლელობის სხვადასხვა კოდი, მაგრამ რას მოგვცემს, რეალობის ვიყოთ დამჯერე, კიდევ ერთ საფლავს დაედება პირქუში ლოდი, ზედ გარდაცვლილის ვინაობას ძუნწად დაწერენ. და კიდევ ერთხელ დაირწევა სიმწრის აკვანი, თავგამოდებით დაუწყებენ ძებნას არგუმენტს, სევდით იტყვიან, ყოფილაო ბიჭი ამგვარი: ალალ-მართალი ჰქონიაო გული საგულეს. არვინ იფიქრებს, წაიყენოს მცირე ბრალდება, ობიან ტვინში განახლების ბადოს სურვილი და ყველაფერი მიცვალებულს ურცხვად ბრალდება, თურმე „არ იყო საბრძოლოველად ის აღჭურვილი“. გაიცრიცება არაერთგზის ზეცის კამარა, გაივლის ხანი, მოედება მტვერი ხსენებას, მიგატოვებენ ახლობლები ბნელის ამარა და როდის-როდის მოესწრები კვლავ გათენებას. მოდის სიკვდილი, სურს, მომარგოს მიწის ფარაჯა, აჩრდილთა გზაზე გამიყვანოს დიდი წვალებით, ო, ღმერთო, ვხედავ, უკვე ზღურბლსაც გადმოალაჯა, სახეს ვიბრუნებ, რომ არ შეხვდნენ ჩვენი თვალები. სიკვდილი მოდის, ველოდები მორჩილ ზვარაკად, ჩემმა მარჯვენამ ეს ჯალათი ძალად მოდენა, მოვკვდები, მაგრამ გადვიქცევი კეთილ არაკად, გაასპეტაკებს მსხვერპლმწიროვა ხალხს, ამოდენა. არა, არ ღირდა უღირსთათვის გაღება მსხვერპლის, რა გაასწორებს წუთისოფელს, უსწოროდ ნათალს, აქ თუკი სადმე მოიბნევა სიკეთის თესლი, ქარი წაიღებს, როგორც ოხრად დარჩენილ ნადავლს. რად ჰქენი, ძმაო, რად აქუხე უდროოდ თოფი, რად შეუნგრე ფარი ციხეს, ღვთისგან ანაგებს... მოჩირაღდნებულ ველ-მინდვრებზე ბავშვობა მორბის, რომელსაც მძაფრი ქარტეხილი გააჩანაგებს. ახლაც ყოველი ძველებურად, მწყობრად ლაგდება, შენ აღარა ხარ, აი, ფიქრი, სულის ამწეწი, მღვრიე ცხოვრებას ეს არყოფნა ისე აკლდება, ვითარცა ქვიშას, მოზღვავებულს, — რაღაც ნამცეცი. ვამბობ: „მშვიდობით“ და ცრემლნარევ სიტყვას ვამთავრებ, სიკვდილზე წერა უმძიმესი ტვირთი ყოფილა. ცოდვილ მიწაზე ხელმოცარულ წმინდანს გადარებ, ვინაც მისიით სამოთხიდან გამოხმობილა.

12.05.2000 წ.

ციური ხეთერელი

რუისის ღვთაების ტაძარში

ვჩუქნი ამ ლექსს ტატო ნინუას სახლ-მუზეუმს

მე ღვთისმშობლის წინ ვიდექი გუშინ.
მონყენილ თვალებს ვუმზერდი დიდხანს.
მან თითქოს ჩვილი ჩამიკრა გულში
და სანუგეშო სიტყვები მითხრა.

ბრწყინავდა მზეზე თამარის კალთა.
მალიდან გვირგვინს დასცემდა შუქი.
შემომცქეროდა დავითი კართან,
მეფე-პოეტის დაღლილი შუბლი.

ლოცავდა გული იმედს ივერთა,
აღმაშენებლის შრომას და გარჯას:
სული რომ ასე გამოიმეტა,
მატიანეში ღმერთკაცად დარჩა.

წმინდანთა სულებს გავუხსენ გული,
უხმო ღალადის უსმენდა მცხეთა.
კრთებოდა ჯვარი ანწყო, წარსულით
გულს ქეთევანის ცრემლი მენვეთა.

ტაძრით გამოსულს მომაცილებდა
მადლი ნეტართა, დაუსაბამო.
უფლის კურთხევას არსი მინებდა,
ტანზე მეხვია ლურჯი საღამო...

2005 წელი მაისი

გორჩა ხარანაული

...ცისკენ მიდიან

ანგელოზები ცისკენ მიდიან!
მინა ზეცისგან განაკიდეა.
ადამის მოდგმა რად
გაუნირავთ
უასაკოთა დასამხობარი?!
ქვეყანა ესე წააგავს ორმოს

სადაც პოეტის ჯიში
მოვკალით.
უნდა მერიდოთ!
გადავცდი ორმოცს,
დაგებული მაქვს ეკლის
გობანი!
დედამინაზე რა გაუჭირდათ,
ანგელოზები ცისკენ მიდიან!
დროებითია,
დროებითია,
ყმანვილთ-უმნიფართ
ჩინდრიკობანი!
ანგელოზები ცისკენ მიდიან!
ძველია,
თუმცა მაინც ახალი,
ემმა ახვარი
ქერას ფრთის გაშლის.
ძნელია!
მაგრამ
ზღვად უნდა იყო!
მზად უნდა იყო!
ყველაფრისათვის!
ანგელოზები ცისკენ მიდიან!!!

ზეზვა ქავთარამე

ეს რატი ნინუაა

საშუალო სიმაღლის. შავი, ხშირი თმით. მუქი, ღრმათვალებით. დაუდევრად ჩაცმული. აუჩქარებელი, უდარდელი სიარულის მანერით. ოდნავ ტლანქი. უბრალოა და თითქოს საგანგებოდ ცდილობს, დარჩეს შეუმჩნეველი. იქნებ ამიტომაც, რომ: ერთი შეხედვით უინტერესო და მოსაწყენი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, სინამდვილეში მასთან არასოდეს მოიწყენთ. რაც უფრო მიუახლოვდებით, გაცდებით იმდენ საინტერესოსა და საინტერესოს აღმოაჩენთ მასში. საოცრად უშუალო და კონტაქტურია. ამასთან, ძალიან კეთილი და უპრეტენზიო. ამიტომ, არასოდეს მოგივა თავში აზრად, მასთან იცრუო, გულწრფელი არ იყო. ზარმაცი გეგონებათ, სინამდვილეში იშვიათი შრომისმოყვარეა. ინდიფერენტულია თითქოს, სინამდვილეში მხოლოდ მთელი არსებით განცდაშეუძლია. ზერელე შეგრძნებები მისთვის არ არსებობს. გამოუსწორებელი მეოცნებეა. გიორგი გორთამაშვილი მას ასეც ახასიათებს: „...რატის თავისი ლამაზი, პოეტურისამყარო ჰქონდა, ის ერთ უცნაურ, მიწას მოწყვეტილ სურნელოვან ბაღში ცხოვრობდა; უნდოდა, რომ ქვეყნად მშვენიერებას და უბრალოებას ემეფა და მტკივნეულად განიცდიდა ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი ფილისტერული ძალისმომძლავრებას. მას არ შეეძლო შეგუებოდა იმ

სულიერ ფასეულობათა მსხვერველს, რაცმისთვის ადამიანური ყოფის არსი იყო. ის დღესაც, ამ სახეწაშლილ ქვეყანაში, ცხრააპრილის სუნთქვით ცოცხლობდა, იყო მაქსიმალისტი და უკომპრომისო...“მისი შეხედულებები, ზოგჯერ უჩვეულო და საკამათო (ხშირად თვითონვე რომუარყოფს ხოლმე) მის მაძიებელ ბუნებაზე მიუთითებს. მაგრამ მისი აზრები დაშეხედულებები დიდი და ხანგრძლივი ფიქრის ნაყოფია, საინტერესო და საფუძვლიანი. დაბნეული და დაუკვირვებელიაო, იტყვი, მაგრამ აქვს განსაკუთრებული უნარი, საგანებსა თუ მოვლენებში უზუსტესად შენიშნოს სწორედ ის დეტალი, ის ნიუანსი, რომელიც მათ ყველაზე მეტად ახასიათებთ, მათ არსს გამოხატავს. გაგაოცებთ უადრესად დახვეწილი იუმორით. იუმორითვე გამოხატავს თავის სუბიექტურ დამოკიდებულებებს — დადებითსაც და უარყოფითსაც. დარდიმანდ ადამიანად მოგაჩვენებთ თავს, სინამდვილეში დიდი ტკივილითაა გულგასენილი. რაც ძალიან ადარდებს, იმაზე თითქმის არასოდეს საუბრობს. საქართველოში ბოლო ათ წელს დატრიალებულ მოვლენებს „სულიერ პლანში“ იაზრებს და შემაშფოთებელ სიტყვებს წერს: „...უფალი ყოვლისშემძლე მაშინაა, როცა ჩვენი კეთილი ნებაცაა საამისოდ. თუ ჩვენ ბოროტისაკენ ვართ ნებაყოფლობით დაცნობიერად მიქცეულები, თუ აღდგომა დღეს ბარაბას ვადგამთ თავზე გვირგვინს სიხარულით, იქ სამართლიანი უფალი „უძღურია“. ძალით შეცვლა ნებისა ჩვენთვის მის კეთილ არსს ეწინააღმდეგება. ეს იცის მისმა მოწინააღმდეგემ და რაც მეტი უზნეობა იქნება საქართველოში, რაც მეტი გმობა სიწმინდისა, მით ვეღარ აღსრულდება ის, რაც საქართველოზეა დაწერილი. აი, ეს საფრთხე ემუქრება ახლა საქართველოს და მისი გაცნობიერება გვიბიძგებს სწორი ქმედებისაკენ, რათა შეძლებისდაგვარად წინ აღვუდგეთ (სულიერ პლანში) ამყველაფერს, ისევე უფლის შეწევნით და ჩვენი მხრიდან საამისო „მსხვერპლის“ გაღებით, თვითდათმობის რაღაც ხარისხით“. წერს „ფრიდრიხ ნიცშეს მონოლოგს“, რომელიც მისი მონოლოგიცაა და იმ სულიერ კირთებას ცხადყოფს, რომელიც ბედისწერად ექცა. არავინ იცის ასეთი ტკივილების ტარებას ვინ რამდენ ხანს გაუძლებს. რატის კი არ უცდია ბედისწერას გაქცეოდა. გულით იცხოვრა, გულით იფიქრა დაწერა, გულით იწამა და ეწამა, და ბოლოს... გულითვე გამოკრა ჩახმახს! ერთი ეგ იყო, სწორედ მასზე ვერ წარმოიდგენდა ვერავინ, რომ ასე გაიწირებოდა.



ამონარიდი წიგნიდან „ლამაზი ფრინველი“

*წიგნი ეძღვნება გენიალური პოეტების რატი ნინუას
და გოგა არაბულის ხსოვნას.*

წიგნის სათაურია: „ლამაზი ფრინველი“ (პოეზია, პროზა) ავტორები: სერგი ლომაძე, გიგი კვაშილავა, ლაშა გამცემლიძე, მიხეილ თუმანიშვილი, გიორგი შაიშმელაშვილი, ილია შულღიაშვილი, (ტატოს უნივერსიტეტელი მეგობრების ლექს-ჯგუფი “მირაჟის” წევრები...) გამომცემლობა “ეროვნული მწერლობა”, თბილისი 2005 წელი.

პოეზიის შვილები (წინასიტყვაობა)...

დროა სიტყვა ვთქვათ რატი ნინუსა და გოგა არაბულის შესახებაც, – სიმბოლურად ხომ სწორედამ პოეტებს, მათ ხსოვნას ეძღვნება ეს წიგნი. რატის და გოგას უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ვიცნობდი. ისინი ჯგუფ “მირაჟის” წევრები იყვნენ, და განსაკუთრებული პოეტური ძალით გამოირჩეოდნენ. ორივე ახალგაზრდულასაკში დაილუპა, მაგრამ მათი ლირიკა განუმეორებელი დარჩა. მე ვნახე რატის გარდაცვალების შემდეგ გამოსული მისი წიგნები, – შეუდარებელი, “სინდბად მეზღვაური”, და “ავფრინდებით მე და შენ”. მეორე ნაშრომში არის ცნობილიადამიანების აზრები რატის შესახებ. გამიხარდა, როცა ვნახე, რომ რატი, ბოლო – ბოლო, ყველამ აღიარა, – “ოფიციალურებმაც” და “არაოფიციალურებმაც”, ძველებმაც დაახლებმაც. განსაკუთრებით გამახარა ახალი თაობის აღიარებამ, რადგან ესაა მომავალი, ესაა ჩვენს შემდეგ მოსული ხალხი, რომელიც ადრე თუ გვიან დაგვიწერს შეფასებას. იგივე ის რატი ამადლობელი, რომელიც იყო წარმოდგენილი თავისი დიდებული სეხნიის – რატი ნინუსა წიგნში, იგივე სხვა გამორჩეული ახალგაზრდა პოეტები თუ მწერლები, რომლებიც მოვიდნენ ჩვენს შემდეგ, თუნდაც ამ წიგნის ავტორები, რომელნიც ასე ხაზგასმით ამკვიდრებენ თავიანთ თავს თანამედროვე ლიტერატურაში, შექმნიან აზრებს ძველის შესახებ. ეს იქნება სხვადასხვაგვარი აზრები, რომელთაგანაც ბოლოს მთავარი დარჩება, მომავალი, მთლიანობაში, შეაფასებს ყველაფერს. დიდი ქართული ლირიკული ტრიუმფირატი ასე გამოიყურება – ბარათაშვილი, გალაკტიონი, გრანელი. ესენი პოეზიის ევერესტებს ჰგვანან... აი, თუ სად მდებარეობს რატის და გოგას ადგილი, პოეზიის რუქაზე, ამას მომავალი დაგვანახებს. ხშირად ამბობენ: ადამიანები სიკვდილის შვილები ვართო, კი მაგრამ, შემოქმედისათვის ხომ სიკვდილიც უკვდავებაა მხოლოდ. მე ვფიქრობ ასე, - ნიკო

სამადაშვილი, შოთა ჩანტლაძე, თემურ ფირცხალაიშვილი, მერაბ და ირაკლი კოსტავები, სერგო თურმანაული, რატი და გოგა პოეზიის შვილები უფრო იყვნენ, ვიდრე სიკვდილის. ისინი დიდი პოეზიის შვილები იყვნენ, ზოგი იმათგანი, იქნებ, გენიოსიც იყო.

2005 წელი

თეთრი პოემა ექვნიება რატი ნინუას

ის მიდიოდა, მიდიოდა.....

მას უნდოდა ეპოვნა მხარე, სადაც გადაწყვეტდა სამუდამოდ დარჩენას. იგი ვერ იტანდა მანქანების ხმაურს და მრავასართულიან სახლებს, მას ყოველ ნაბიჯზე უგებდნენ მახეს, მაგრამ ის მაინც მიდიოდა...

მე მივდიოდი.

მას არ უნდოდა არც ფული და არც უკვდავება, მას მხოლოდ სიხარული სურდა! მხოლოდ დროებითი სიხარული... მაგრამ საგრძნობი, გულის სიხარული.

არ არსებობს წამი!

მე ვერ ვსაუბრობ წამებზე!

მაგრამ არ არსებობს წუთი, რომ მას არ ეფიქრა: “როგორი მოსაწყენია ყველაფერი... თითქოს ყველაფერი უაზროა...” და სწორედ ამიტომ ის მიდიოდა და მიდიოდა... არა! მიიჩქაროდა! ის მუდამ ჩქარობდა. მე ყოველთვის ვჩქარობდი ცხოვრებას .

პირველი ქალაქი

სადაც ის შევიდა შავი სახლებით იყო სავსე და ხალხიც შავად იყო შემოსილი. ადამიანები სიკვდილზე მსჯელობდნენ და ამბობდნენ, რომ სიკვდილია საწყისი ქვეყნიერების. მე მომწონს ამგვარი მსჯელობა და მომეწონა შავი ქალაქი, მაგრამ თემა არ იცვლებოდა. საშინელი ერთფეროვნება იყო. იყო შავი.

მას ყველაფერი ნელ-ნელა ბეზრდებოდა.... ეს ყველაფერი სამუდამოდ ჩამქრალ სანთელს გავდა.

- მეგობარო! - მხარზე საშინელი სიცივე ვიგრძენი. მის წინ შავთვალეა მოხუცი იდგა და შავად ანათებდა.-ეს ქალაქი მე დავაარსე და მას სიკვდილის ქალაქი ქვია, მე კი - სიკვდილი, მაგრამ გახსოვდეს: მე შემიძლია მიყვარდეს! მე შემიძლია თამაში!

მე თვალეებში ვუყურებდი მოხუცს და ვგრძნობდი ყინულის ლოლოებს, მოხუცი კი აგრძელებდა:

- ქალაქის შუაგულში ამაღლებული ადგილია, სადაც კიდეა ზარი. ვისაც აქ დარჩენა სურს იმ ზარს უნდა შემოჰკრას! მაგრამ არ უნდა იფიქროს სიკვდილზე...

ის ფიქრობდა, ფიქრობდა... და გადაწყვიტა რომ მალე მოწყინდებოდა სიკვდილის ქალაქში. როცა საზღვარს გასცდა ხმა შემოესმა:

ჩვენ მალე შევხვდებით!...

მეორე ქალაქი რომელიც

ვიხილე თეთრი სახლებით იყო სავსე და ხალხიც თეთრად იყო შესუდრული. ისინი სიცოცხლეზე მსჯელობდნენ და ამბობდნენ რომ სიცოცხლე საუკუნოა. რა მომხიბვლელია არა?!

მას უკვე გაეგო ეს სიტყვები, მაგრამ აქ მაინც სხვანაირად, უფრო მიმზიდველად ჟღერდა, ხალხი კი განაგრძობდა:

- სიცოცხლე საუკუნოა...

- სიცოცხლე საუკუნოა...

მან ამ ქალაქშიც ერთფეროვნება ნახა.

ისე, მართალი რომ გითხრათ, ეს მოთხრობაც, თუ მონოლოგიც ერთფეროვნად მიდის, მაგრამ ვერც შეედრება ამ ქალაქის ერთფეროვნებას.

- მეგობარო - მხარზე სიტბოს შეგრძნება და მის წინ თეთრთვალეა მოხუცი იდგა,

რომელსაც თეთრი ხალათი ფარავდა - ეს ქალაქი მე დავაარსე და ამას სიცოცხლის ქალაქი ვუწოდებ, ხოლო მე - სიცოცხლე მქვია. ამ ქალაქში მხოლოდ სიცოცხლის უსასრულოებაზე საუბრობენ. თუ გსურს დარჩე ჩვენთან, ქალაქის შუაგულში, ამაღლებულ ადგილას ზარია დაკიდებული.

შემოჰკარო ზარს! ოღონდ არ იფიქრო სიცოცხლეზე...

მე წამოვედი სიცოცხლის ქალაქიდან და ვიღაცამ მომამახა: ჩვენ მალე შევხვდებით!...

მესამე ქალაქი

უფერო იყო. ჩვენ ვერ გავარკვიეთ ამ ქალაქის ფერი. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მან გადაწყვიტა რომ ამ ადგილისთვის ფერადი ქალაქი დაერქმია. არავინ მოსულა მასთან და არაფერი უთქვამს. ეს იყო ქალაქი, სადაც მხოლოდ ბავშვები ცხოვრობდნენ და რომლებსაც ფერადი მაისურები ეცვათ.

ხო, მართლა, უნდა ვთქვა, ლურჯი ფერი ჭარბობდა...

მეც და ისიც დავდიოდით ამ ქალაქში და ბავშვებს ვათვალისწინებდით, რომლებიც ყურადღებას არ გვაქცევდნენ და თამაშობდნენ დაულაღავად, თან ლექსებს იძახდნენ. -

გამარჯობა, მე სიკვდილი მქვია...-ეუბნება ერთი ბავშვი მეორეს.

- მე კი სიცოცხლე ვარ.

- შეიძლება შენთან ვითამაშო?... ყველას ვეზიზღები და არავინ მიკარებს... ჯატირდა სიკვდილი.

- კარგი, ერთად ვითამაშოთ!.. და ისინი თამაშობდნენ, თან ლექსებს იძახდნენ.

- მე არავინ მეკარება, შენ კი ყველას უყვარხარ-უთხრა სიკვდილიმა... არადა, ხომ ხედავ როგორ ვგავართ ერთმანეთს, როგორი ერთნაირები ვართ. მეც ხომ შემძლება თამაში.

ვუძღვნი სიცოცხლეს

მეც შენსავით დამაქვს სევდა,
ამ ტკივილებს განა ვცნობ?!
მე სიკვდილი დამარქვეს და
სიცოცხლესთან ვმმაკაცობ

ჩემი ლანდი მალე გაქრა
და სატანის მეფობს დრო.
მე სიკვდილი მქვია, მაგრამ
სიცოცხლესთან ვმეგობრობ,

უგრძნობ სხეულს ვერვინ მითბობს,
ჩემს კანონებს მე ვიცავ,
სიკვდილი ვარ, მაგრამ თითქოს
სიცოცხლესაც შევიცავ.
სიკვდილი
მე ვუსმენდი მათ და ყველაფერს ვხვდებოდი,
მე ყველაფერს ვხვდებოდი...

ვუძღვნი სიკვდილს

მე ვარ სიცოცხლე, მაგრამ გახსოვდეს:

შენს გარეშე ჩემს ყოფნას აზრი დაეკარგებოდა. შენ რომ გაქრე ეს ისეთია, ყვავილს ფოთლები რომ დასცვივა...

შენ ნამდვილი ძმა ხარ!

შენ აგრძელებ ჩემს დაწყებულ დიდ საქმეს და არ მტოვებ ყველაზე მძიმე წუთებში, მაშინ, როცა თითქოს ყველაფერი მთავრდება, შენ იწყებ ახალ ცხოვრებას, ყველასგან დამალულს, შენ ემალები ადამიანებს! და ეხმარები მათ დამალვაში. სწორედ ამიტომ ვერ გიტანენ!... ამიტომ არ გიკარებს არავინ ჩემს გარდა, რადგან მხოლოდ დასაწყისს თუ შეუძლია იგრძნოს დასასრულის სითბო. სიცოცხლე

ლურჯი ბავშვი

გულმა იდარდა,
გულო რას შვები?!
როგორ მიყვარდა
ლურჯი ბავშვები,

შენი თვალები
გულის სიღრმეში,
დაგემალები
უცხო სივრცეში.

გულმა იდარდა,
გულო რას შვები?!
როგორ მიყვარდა
ლურჯი ბავშვები.

მე გადავწყვიტე სამუდამოდ დავრჩენილიყავი ფერად ქალაქში. მივამურე ქალაქის შუაგულს და ვნახე ზარი. სანამ შემოვკრავდი, ხმამალა დავიძახე:

- ბავშვებო!!!

- მე ვიპოვე მხარე, სადაც მინდა დავრჩე სამუდამოდ!

- ბავშვებო!!!

- მე თქვენთან ვრჩები!

და ძლიერად შემოვკარი ზარს!...

ოთახში თბილი გვამი იწვა, რომელსაც ხელში ორთქლიანი რევოლვერი ეჭირა და საფეთქლიდან სისხლი მოუსჩქეფდა...

მანანა მათიაშვილი

*ესტაფეტა მომავალ თაობას — რატი ნინუა:
„ის, რაც ჩვენ ვერ გვანადგურებს, უფრო ძლიერს გვხდის“*

*(სტატიაში გამოყენებულია რატის იუმორით შეზავებული ინტერვიუ,
რომელიც 1997 წელსაა ჩაწერილი)*

„მე ჩემი ყოფნით არ შეგაწუხებ, დაე, სხვამ კოცნოს შენი ტუჩები, სხვა გხვევდეს მკლავებს — ჩემთვის მარწუხებს, როს უცხო ალერსს გაუყუჩდები. მე ჩემი ყოფნით არ შეგაწუხებ. წარმოგიდგენთ ამ ლექსის ავტორს, ვისაც ძალიან უყვარს ფრაზა: „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ“ — თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის თარგმანის სპეციალობის III კურსის სტუდენტს რატი ნინუას. რატის, ამ ღირსშესანიშნავი ფრაზის გარდა, უყვარს: ღვინო, კრივი, ტყე და მთები, ნაცრისფერი, ნივთი და მისი წიგნი „ესე იტყოდა ზარატუსტრა“. მის სულიერ სამყაროსთან ახლოს დგას ესენინის პოეზია. უყვარს ფილმი „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, გალაკტიონის ლექსი „გრიანებს ქარი“, ანსამბლი „En vogue“ და სიმღერა „Free your mind“, არ უყვარს ყვავილები და „ეზიზღება“ სუნამოები. ცხოვრების დევიზად გაუხდია — „არასოდეს არ არის გვიან!“. ბავშვობაში მისი ოცნება იყო შერლოკ ჰოლმსობა. არა ჰყავს იდეალური ადამიანი, რადგან თვლის, რომ ასეთი არ არსებობს, თუმცა ენატრება „იდეალური სიცოცხლე იდეალურ გარემოში“(!?). სამყაროს საოცრებად მიაჩნია დედამიწა და ადამიანი, ემინია ოზონის ხერელის გაფართოებისა. ჩანს, არა მარტო ამის ემინია, არამედ დიდი პასუხისმგებლობისაც, რადგან განუსაზღვრელ უფლებებზე ამბობს, რომ მქონდეს, დაუყოვნებლივ მოვიშორებდიო. ადამიანში, უპირველესად, ნებისყოფას აფასებს, ადამიანის ტრაგედიადა სულის გაორება მიაჩნია, თვლის, რომ ადამიანს სჭირდება მოცინარის ნიღაბი, როცა ძალიან უჭირს. თავს ბედნიერად გრძნობს, როცა „რაიმე მძაფრ შეგრძნებას განვიცდი: აღტაცებას, სიცოცხლის სიყვარულს, თუნდაც სიძულვილს“. ვინაიდან, „მე ყველაზე უკეთ ვიცი, ვინ არის რატი ნინუა“, ფიქრობს, რომ ყველაზე უკეთ ხელეწიფება საკუთარი თავის შეცნობა! — სჯერა ბედისწერის, მობეზრდა ცხოვრების მდორე დინება, სწყინს ტყუილები, — აღაფრთოვანებს დათოვლილი მთების სიდიადე, უხარია, რომ არსებობს მშვენიერება, რასაც სიცოცხლის „ერთ-ერთ მთავარ აზრად“ თვლის, თავად სიცოცხლეს კი — უძვირფასეს განმად ადამიანისათვის, ხოლო სიკვდილს — აუცილებლობად. რატი თავს ვნების კაცად მიიჩნევს, ალბათ ამიტომაც არის მისი საყვარელი მსახიობი ანა ნიკოლ-სმიტი და ფიქრობს, რომ ქალი უნდა იყოს ამორძალის მსგავსი, თამამი, მტკიცე, ნებისყოფიანი, მამაკაცი — მიზანმიმართული და ცოტა უხეშიც. მისი აზრით, სიყვარული ხორცისფერია. იგი რატის „სასახლეში“ ძალიან, ძალიან ბევრჯერ მოსულა; „პირველი სიყვარული საბავშვო ბაღში იყო. მისი სახელი არ მახსოვს, არც გვარი. ქერა, ლამაზი გოგო იყო“. რატის „არავითარ შემთხვევაში“ არ შეუძლია ჩაუაროს გულგრილად ლამაზ ქალს. ხოლო საყვარელ ქალს მიუძღვნიდა საკუთარ თავს, რაც, ფიქრობს, რომ „არც თუ მცირე საჩუქარია!“ მეგობრობაში რატი გულისხმობს „ერთიანი მიზნების მქონე მონათესავე გულების ახლობლობას“, მეგობარი — „შენი სულის გაგრძელება“, სულისა, რომელიც რატის აზრით, გამჭვირვალეა. რატისავე აზრით, მასში ჩვეულებრივ ორივე საწყისია: კეთილი — 70%, ბოროტი — 30%. იგი საერთოდ არ ისწრაფვის სრულყოფილებისაკენ, არც ფანატიკური მორწმუნეა. ამბობს: „ღმერთი, ძალიან მინდა რომ იყოს“. ფიქრობს, რომ დიდწილად თავისუფალია, მაგრამ მთლად — არა. თავისუფლება დღევანდელი ახალგაზრდობის ძირითადი მახასიათებელია;

რატი ფიქრობს, რომ „თუმც ახალ თაობას ბევრი უღირსი წარმომადგენელი ჰყავს, საერთო ჯამში პერსპექტიული, ერუდირებულია; რაც მთავარია, მიზანმიმართულია და მტკიცე“.

რატის აზრით, „წარსული არის ის, რაც არ დაბრუნდება, აწმყო არის ის, რაც მალე წარსულად გადაიქცევა, მომავალი არის ის, რისი იმედიც ყველაზე მეტად მაქვს“. რატის იმის იმედიც აქვს, რომ მისი სამშობლოს სავალალო რეალობა, რომელიც „ჯერჯერობით ენგურთან იწყება და მთავრდება ბელაქანთან“, მალე გამოსწორდება. რატი ნინუა, როგორც თავად თვლის, პერიფერიული წევრია ლექს-ჯგუფ „დემონისა“, რომელსაც უნივერსიტეტის სტუდენტები შეადგენენ. ვინაიდან „დემონებს“ თავი მიაჩნიათ „პოეზიის ახალ მეფეებად“, რატის აზრს ვეკითხებით მათ შესახებ: „დემონი“ ახალგაზარდა მწერლების ჯგუფია. მე მწამს, რომ იგი ახალ სიტყვას იტყვის ქართულ პოეზიაში. რაც შეეხება ჯგუფის სახელს, მასში ვერაფერს ვხედავ მკრეხელურს. დემონი — ენერჯის ხატ-სიმბოლოა, ენერჯია კი დადებითივ არსებობს და უარყოფითიც. აქ დადებითზეა ლაპარაკი. „დემონი _____“ — ქართველი სიმბოლისტების შთამომავალია, თუმც არ არის კონტაქტური; ჯგუფი ახალია და ვფიქრობ, რომ სიტყვაც ახალი აქვთ“. ახალი, ან ახალში ყველაფერი, შეიძლება, ყოველთვის პროგრესული არ იყოს. ზოგადად, ძველშიც და ახალშიც რატისთვის მიუღებელია: „სიგიჟის, სურდოს, ბალდახინის, ავზნიანი ქალაქის, ნესტიანი ცხვირსახოცების გაიდეალება, დაცემულობის განწყობილებები, სიმახინჯის ესთეტიკა. ყველაფერი ეს არ ეთანხმება ჩემს სულს. სხვა მხრივ, დიდ პატივს ვცემ და ძალიან მიყვარს“. ახლა კი, რაც შეეხება თავად რატის შემოქმედებით მოღვაწეობას: მეორე კურსზე პირველად თარგმნა ოსკარ უაილდის ზღაპრები ციკლიდან „ბროწეულის სახლი“. თარგმანის კათედრის სამეცნიერო შემოქმედებით წრეზე ორჯერ იქნა განხილული ოსკარ უაილდის, პუშკინისა და ესენინის ლექსების რატისეული თარგმანები საკუთარ ნაწარმოებებთან ერთად (1996 წელს 18.X). გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“ (1996 წ.7.X) დაიბეჭდა ნ. მურმანიშვილის წერილი „ოსკარ უაილდის ზღაპრების ახალი ქართული თარგმანი“, სადაც ნათქვამია, რომ წრის სხდომის გადაწყვეტილებით, რატის თარგმანები უნდა დაიბეჭდოს! აქვე აღვნიშნავთ, რომ რატიზე „ნორმალურად“ მოქმედებს კრიტიკა. რაც შეეხება საკუთარ შემოქმედებასა და სტილზე რატის აზრს, იგი ამბობს: „პოეტობის არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია, სულ რამდენიმე ლექსი მაქვს დაწერილი. ვფიქრობ, რომ ლექსების წერა არ არის ჩემი მოწოდება. ეს უბრალო გატაცებაა. ჩემი ძირითადი და მთავარი მოწოდება მთარგმნელობითი საქმიანობა გახლავთ. თარგმნა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და ვაპირებ, პროფესიად გავიხადო

მომავალში. ჩემს თარგმანებში შეგნებულად მივმართავ არქაიზაციას, ძველი ქართული სიტყვების გაცოცხლების მცდელობას. ასეთი მშვენიერი სიტყვებია: „ბრპენი“, „დაფალი“, „ბაბრაბი“, „წვრილთვალა“, „კოზიმიტი“ და სხვა. ეს სიტყვები განმარტებულია საბას ლექსიკონში და დასაკარგავად არ მემეტება. ჩემი თარგმანების სპეციფიკაც იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად ვიყენებ არქაიზმებს“. თარგმანებს ავტორი საკუთარ ლირიკაზე წინ აყენებს. რატი ნინუა, როგორც უნიჭიერესი შემოქმედი, მისი პედაგოგის, დოცენტ რუსუდან ჭანტურიშვილის აღმოჩენაა, გზის პირველ დამლოცველთა შორის კი არიან ქეთევან ბურჯანაძე და ოთარ ბაქანიძე.

სალიტერატურო ჟურნალი „ადამიანი“
რუსთავი, 1997 წ.

ხატია

პირველად შემეშინდა ასე უცნაურად — არ მიპოვიხარ, თითქოს აღმოგაჩინე და უკვე დაკარგვის მეშინია არაფერია, ამასაც ავიტან, მაგრამ ეს არ მინდა, გესმის?! მინდა რომ იყო ჩემთან, უბრალოდ იყო, შენი ტკივილიანი ფიქრებით, შენი ღრმა აზრებით, ნელი ოცნებებით და კიდევ იყო... მუდამ იყო... შენი ჩაფიქრებული სახით, ჩაფიქრებული სულით და საერთოდ ჩაფიქრებული ყოფით... არ იქნები მარტო და არ ვიქნები მარტო და არ იქნება მარტო „მე“ და არ იქნება მარტო „შენ“ ვიქნებით ჩვენ... კიდევ მეტი — მინდა გიგრძნო მზედ ჩემი ცხოვრების მზედ!!! შენ ახლა ალბათ გძინავს. ღამის 3 საათი მალე შესრულდება. სამჯერ შევხვდით ჩვენ იმ დღეს ერთმანეთს და... სახელი პირველად გავიგე მაშინ, დიდი ხნის წინათ იცი, მე მკითხეს: ხომ არ იცი, ვინ არის ის? მაშინ ჩემს ცხოვრებაში ამით არაფერი შეცვლილა, უფრო სწორად მეგონა, რომ არაფერი შეცვლილა მაგრამ შეცვლილა, თურმე ყველაფერიც შეცვლილა. დიდი ხნის შემდეგ ისევ შემახსენეს შენი თავი, არა, ყველაფერი რიგზეა — ვთქვი და მაშინ გაგიცანი, გაგიცანი და გამიხარდა. და მერე მაოცებდა შენი ნაღვლიანი სახე, სახე და თვალები, თვალები, რომლებიც ასე ფარავენ სულს და თვალები, რომლებიც ასე გამოხატავენ სულს, თვალები სადღაც შორს, დედამიწის გარეთ, ან იქნებ ცხრა ცის იქით რომ იცქირებიან, თვალები და მზერა დაბინდული და მაინც წმინდა, ყველაზე წმინდა და ყველაზე წრფელი. იცი, შენ არ ჰგავხარ ჩვეულებრივ ადამიანებს და არცა ხარ ჩვეულებრივი, მაგრამ უბრალოდ ემსგავსები მათ იმით, რომ ადამიანი ხარ. დღეს ისევ შემახსენეს შენი თავი.

ბიბა – თამაზ ნინუა

ჩემს ტატოს — გმირსა და ერისშვილს!

განშორების სურვილმა ამ საწუთროსგან, უცოდველ სულისთქმამ, მარტოობამ, გაზიდინა მხრებით იესოს ჯვარი, სულიწმიდამ და სათნოების უკვდავებამ გადაგადგმევინა მწარე ნაბიჯი. გაცილებდნენ ქალწულთ ცრემლები და მათი მზერა, გაყრიდნენ გულზე ფიქრებად ცრემლით ნაქსოვ ნარცისებს. ამ დროს ჩანდა თავდავიწყებით მტირალი ყაყაჩო. ჩემი საჩუქარი აფრა დაწეწილი წამებისაგან მიეხეთქება ცოდვის ჯებირებს და შენი არსება ჩემს სამყაროში დასახლდი, როგორც ზღვის ტალღა, ზაფხულში მწყერის ჭახჭახი, შემოდგომაზე ფოთოლცვენა, ზამთრის თეთრი ფიფქები, და მწარე სიბერე. კაცი, რომელიც მუდამ იცინის, მოვესწარი მოყმის სიკვდილს და დამუნჯებას.

ოთარ სოხაძე

მსოფლიო სევდას ატარებდა ეული გული,
მძიმე ჯვრის ტვირთვა დაგაკისრა უფალმა როცა
გამორჩეულად, სხვა ღირსებით იყავ რჩეული,
და... ამ თვითგვემამ, იქ უფალიც კი გააოცა!..
მთავარანგელოსს გაუმხილე შენი ზრახვები,
ასე ღრმად როცა შემოხვედი ჩვენს გულსა შინა,
ნათელი ხატით თვით მაცხოვარს დაენახვები,
გაწმენდილ სულში შვიდ მჭმუნვარე ანგელოსს სძინავს!
იწვის სანთელი, ქერუბიმთა გალობას ვისმენთ,
მიმოდის სევდა, იკვეთება ფერისცვალება.
შეცდება მწარედ, დაიჯეროს, ეგონოს ვინმეს,
შენს ამაღლებას რომ დაარქვას გარდაცვალება!

5 აპრილი, 2001 წ

გოჩა კუჭუხიძე

„მე გავფრინდები ცაში აისზე“

ამ ცოტა ხნის წინ, მაისის ერთ დღეს, ჩვენი უნივერსიტეტის აუდიტორიაში თავი მოიკლა 23 წლის ტატო ნინუამ... ახლა ჩემს წინ დევს კრებული მისი ლექსებისა, რომლებიც ათიდან თექვსმეტ წლამდე ასაკში დაუწერია: „არაფრის დაბეჭდვა არ უნდოდა, ესენიც ძლივს დავაბეჭდინეო“ — ტატოს მამის ეს სიტყვები მაქვს ახლა აკვიატებული და ვიცი, რომ მათ სახლში კიდევ არის შემდგომ დაწერილი ლექსები, მოთხრობები, რომლებიც ახლა შეიძლება გამოვაქვეყნოთ, — ახლა ვეღარ გაგვიწევს მათი ავტორი წინააღმდეგობას... ღმერთმა გვაპატიოს, თუ ვარღვევთ ტატოს სურვილს... ის ლექსი, რომლითაც მინდა წერილის წერა დავიწყო, ამ კრებულში შეტანილი არ არის, ხელნაწერში ვნახე, ავტორს ათი წლის ასაკში დაუწერია. აი, რას წერს ათი წლის ბავშვი:

„ღამით თბილისში და მის ქუჩებში
წყვდიადი სუფევს,
ეს ცხოვრების გზა უფრო მოკლდება
და სადღაც უხვევს.
შიშისმომგვრელი ქარი ზუზუნებს,
ძვალ-რბილში ატანს;
მე ცხოვრებისგან თითქმის არაფერს,
თითქმის არაფერს მოველი ახალს...
დადუმდა ქუჩა,
ძილს მიეცა და სიზმარს ხედავს,

ეს მილია თუ
სამუდამოდ სიკვდილი ნეტავ?”

ათი წლის ბავშვი ასე წერს... შემზარავია, არა? და, როცა ამ სიტყვებს წავიკითხავთ, ჩვენ, უფროსებმა თუ შედარებით უფროსებმა, ერთი რამ უნდა ვიგრძნოთ მთელი სისავსით, — ახალ თაობაში, სხვებთან ერთად, ვეებერთელა სულიერებით სავსე ადამიანები იგრძნობიან, ვეებერთელა სულიერებით სავსე ადამიანები არიან მოსულნი ჩვენს წინაშე; თითქოს ამ ზეცადავიწყებულ, სულიერებას მოწყვეტილ, მკაცრ და მხოლოდ ხორციელებაზედა მოფიქრალ სამყაროში სულიერი სამყაროდან უზომოდ სერიოზული ადამიანები დაშვებულან დაბლა, — მიწაზე (დიდი უარყოფითის გვერდით უდიდესი სიკეთე იგრძნობა...), დაშვებულან, მაგრამ ზოგიერთ მათგანს იქნებ ადრე მოსვლია ამ სამყაროში მოსვლა, — ზოგ მათგანს უჭირს იმ მგლურ ყოფასთან შეგუება, ამა ქვეყანაზე რომ გავაბატონეთ და მაშინ, ზოგნი, ციდან მოსულნი, ისევ მიდიან უკან, უკან უნდათ წასვლა, რადგან ჩვენ, — ამ ქვეყანაზე მყოფებს, ვერ მოგვიხერხებია ისეთი გარემოს შექმნა, რომ სულიერ ადამიანებს არ გაუჭირდეთ აქ ცხოვრება, — ჩვენთან დარჩენა ისურვონ იმათ, ვისაც ჯერ არა აქვთ ფოლადის ნერვები, ვისაც სისუფთავე ენატრება ყველგან, სულიერი სისუფთავე და არა ის ჟამგადასული წესი ცხოვრებისა, რომლისგანაც განთავისუფლება ვერ მოუხერხებიათ უფროსთაგან მრავალს... ტატო ნინუას სურათს შევცქერი, — თითქოს წამით ოდნავი ირონია ჩასდგომია თვალებში, — ოღონდ კეთილი კაცის, ოდნავ სევდანარევი ირონია, რომლითაც იმქვეყნად წასასვლელად გამზადებული, ჩვენ, — ამქვეყნიურთ გადმოგვცქერის...

„ცეცხლთან ცეკვავენ კენარტანები
და ნაზ მაჯებზე ასხმულ სამაჯურთ
გააქვთ წკრიალი, როცა თვალები
უკვესავთ შავად და საალქაჯოდ.
და წითელ ცეცხლის ყურებით თვრება,
გისოსებს იქით კი უკვე ბნელა
და ყველას თვალებს ულულავს თვლემა“.

— ეს ასტრალური სამყაროს ხილვაა:

„აქ ქრის აზიის თბილი ნიავი
და ისმის მშვიდი უდაბნოს სუნთქვა,
სად ფეხშიშველა, ჩუმი სიამით
დახტის ქალწული თხელი და მუქთმა“.

ახლა სხვა სამყაროს გადავხედოთ, სადაც მხოლოდ პოეტს შეუძლია კარის შეხსნა...
ეს ცხელი უდაბნოს სამყარო აღარაა, — ამჯერად, ზამთრის თეთრ სამეუფოში შევყავართ პოეტს:

„რა მონდომებით მოხატა ჭირხლმა
ყინვის ალერსის ნაზად ამტანი
სასახლის მინა, რომელის მიღმა
ნელი მეჯლისით ბრწყინავს ზამთარი“

— და შემდეგ ვხედავთ, რომ საოცარი ამბები ტრიალებს ამ ყინულის უცნაურ ქვეყანაში:

„აშრიალეზენ აქ სპეტაკ კაბებს,
რიდეებს შშვიდი სუნთქვა ათროლოებს
და სავარძელში მეფე თვალს ნაბავს
(გარეთ ზამთარი ლოლუებს აბამს
და ქარის ხმებით წუხს სიმარტოვეს)“...

აქ, — ყინულების საუფლოში უცნაური დარბაზები წარმოუდგება პოეტის თვალს,
დარბაზები, სადაც:

„სხედან მორთული ბანოვანები,
მარაობით ღიძს იფარავენ“...

პოეტის სხვა სამყაროსაკენ გადავიხედოთ:

„სადღაც ლერწმებში სევდიანი
ტიროდა ქარი,
ნათელი ღამე, მდინარე — წყნარი,
ტოვებდა ზღაპარს ყველა სული და
ჯადოქარი,
და იფარავდა იმათ ლერწმნარი.
მდინარე იყო მოვსებული მთვარის ლიცლიცით,
ნაზი კრთომებით, ალთა ლაციცით,
ლამაზი ჭინკა წყალს არხევდა ჩუმი
სიცილით,
უფრო ლამაზი, ღამემ რაც იცის“...

ეს დემონური ხილვები როდია... პოეტს, როცა ის ძლიერია, სხვა ადამიანთაგან განსხვავებით, შეუძლია ჭინკებისა თუ ტყეში ცეცხლის პირას აცეკვებულ ალთა ხილვა, მაგრამ უკეთურ სულთა გავლენაში როდი ვარდება, — ზოგჯერ იუმორით, ქრისტესმიერი სიყვარულით შესცქერის ამ სულებს და ისე ლამაზად ალგვიწერს მათ, რომ ის სულები, რომელთა წინაშეც შიშით ძრწის ძლიერი ქრისტიანული სულის არმქონე, — აქ ღიმილის მომგვრელ არსებებად ქცეულან... ზოგჯერ თუ ჭინკებს ხედავს პოეტის თვალი, ზოგჯერ უნატიფესი სურათები ესახება მის მზერას: „ბედნიერ ზღვაზე ლაჟვარდები ცისფრად ანთია, გრილი ჰაერი გულუბრყვილოდ გამჭვირვალეა, ზღვის ფრინველები ცაში ლაღად აუფანტია, რა მსუბუქი და აღმტაცია მათი არევა. ტალღით სველდება მიმოყრილი ნაპირს ლოდები, აქ ზღვის ნიავის სუნთქვა თბილი და საამოა, ვდგავარ ნაპირზე, თითქოს ვხვდები და ველოდები — ახლა ვიღაცა თეთრი კაბით წყლიდან ამოვა“... 12 წლის პოეტი ასეთ სიტყვებს წერს:

„არ ამიმღვრიოთ დაწმენდილი იდუმალება,
მე აუმიღვრეველ სიჩუმეს ვუსმენ,
ვუსმენ სიჩუმეს და მდუმარებას...
არ ამიმღვრიოთ დაწმენდილი იდუმალება!“

1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 10 იანვრამდე პერიოდით არის დათარიღებული ლექსი, რომელიც უმანკო ბავშვის მიერ იმ წუთებში იწერებოდა, როცა გააფთრებული

უფროსი ქართველები რუსთაველის პროსპექტზე შეუბრალებლად ისროდნენ ტყვიებს:

„გუშინ მეორედ მოკლეს ილია,
მოკლეს ილია კედლებთან, სადაც
ის გაიზარდა და გაილია
ლამპრად, სანთელად, საკმევლად, დარდად...
შესარიგებლად ის ჩადგა შუა —
ახლა ყოველი ქართლის შვილია —
შუბლში ესროლეს მას და ქაშუეთს
გუშინ მეორედ მოკლეს ილია“...

აი, აფხაზეთის ომის ერთი შემზარავი სურათი: „აფხაზეთის სისხლი მეწამული წვიმდა...
და გვამები ფერწასული იწვნენ უსახელო ქიმთან... იწვნენ უსახელო კლდის ქიმთან და
თავს ქარაშოტი დაჰბლაოდაო“...

ერთგან, — 15 წლის ყმაწვილში ქართული სული ასე მოთქვამს: „თამარის ცრემლები მე
ვეღარ შემაშრა“...

ზოგჯერ შორეული მუსიკა ისმის მის ლექსში:

„სად მიაქროლებს ზამთარს
ქარი დაღალულ ფრთებით?
თეთრ და შორეულ ზართა
კვიკილში დგანან მთები“...

სხვა ლექსში ამბობს:

„სტრიქონებს შორის ზღვა ფეთქავს წყნარი,
ლაჟვარდის ქაფით სავსე სიღრმეა,
სტრიქონებს შორის თარეშობს ქარი,
ქარი, რომელიც მე არ მიხმია“...

ეს ლექსიც 12 წლის ასაკშია დაწერილი... ამავე ასაკშია დაწერილი სხვა ლექსი:

„მთვარის სიშორე მე ახლაც მტკივა,
ცრემლი ღვრის ცრემლებს... სიცივეს სცივა.
ქვითინებს სიზმრის ლურჯი ნაპირი,
გარეთ ხანმოკლე წვიმას აპირებს...
მთვარის სიშორე მე მტკივა ახლაც,
ჩუმად ლოცულობს ფიქრების ტალღა,
გარეთ გაწვიმდა მთვარის ტკივილი.“

წარმოვიდგინოთ, როგორ იწერებოდა ეს ლექსი, — განა საოცარი სურათი არ არის?
— უმანკო ბავშვი ღამეულ ცაზე მთვარეს გასცქერის და ოცნებობს ზეციურ სამშობლოზე,
ბევრი სევდისა და შინაგანი ცრემლისაგან თითქოს თავად ეს სუფთა ბავშვი ცრემლად
ქცეულა და კიდევ სდის ცრემლი; სამშობლომოცილებული თავად სიცივედ გადაქცეულა
და კიდევ სცივა... შორეული ლურჯი ნაპირიც მოჰქვითინებს თავის მოწყვეტილ შვილს და
წვიმად იღვრება ეს ტკივილი... თითქოს ზეცა და მისგან მოწყვეტილი შვილი ერთმანეთს

მისტირიანო... ანდა სხვა ლექსი ვნახოთ... წარმოვიდგინოთ, ერთ დროს ქუჩაში მიაბიჯებდა 12 წლის ბავშვი, რომლის სულშიც ასეთი სიტყვები ხშიანობდა:

„ქუჩაც ნაღვლიანია, ნელი ნაბიჯით მივუყვები მას და ვფიქრობ. გამდნარ ასფალტზე ნებივრად თვლემენ გაფოთლილი ხეების, მხიარული ადამიანების, უნაპირო ლამპიონების მწკრივთა ჩრდილები... უხალისოდ ვაბიჯებ მათ და თითქოს ვერც ვგრძნობ, დანაშაულს რომ ჩავდივარ... იქნებ ამ უხმო, ცივ ჩრდილებსაც აქვთ საკუთარი სული და ფიქრი? იქნებ უფრო სუფთები და სპეტაკებიც არიან, ვიდრე მათი პატრონები? ჩრდილის სული და ფიქრი მისი სულის და ფიქრის ანარეკლია, ვისაც ის ეკუთვნის ალბათ... აი, მივდივარ და... ტანკენარი ხეების, მოხარხარე ადამიანების ჩრდილებს მივარღვევ... თითქოს აზრადაც არ მომდიოდეს, რა დანაშაულს ჩავდივარ“... — ქუჩაში უმანკო ბავშვი იმდენად სუფთაა, რომ ასე ჰგონია, ადამიანის და ხეების ჩრდილს რომ აბიჯებს, ამით ტკივილს აყენებს მათ... 13 წლის ყმაწვილში ასე წყნარ მუსიკად ხშიანობენ სიტყვები:

„თოვს ამღვრეული ქარი,
— თებერვლის ცივი სისხლი,
სივრცეს ასველებს წყნარი სუნთქვა
რძისფერი ნისლის.
ყინვის ყვავილთა ციაგს
ფანტავს სიცივე თეთრი.
გრიგალს ღრუბელი მიაქვს,
ვით დამტვრეული ეტლი...
მკრთალი მზე მშვიდად ისმენს
ნაძვების ცისფერ დუმილს:
მტკვარი შრიალებს ისევ,
ცაა საოცრად ჩუმი...
სად მიაქროლებს ზამთარს
ქარი დაღალულ ფრთებით?
თეთრ და შორეულ ზართა
კივილში დგანან ფრთები.
ზეცა რბილია, ვრცელი,
ვით ცვარით სავსე მოლი,
ირხევა ნაძვის წელი,
მზის მკერდზე გალხვა თოვლი...
ღრუბელს ცრემლივით ედგა
თვალთა სითეთრის სხივი...
მზის ცხელ სურნელით ფეთქავს
სივრცე და ეძებს ტკივილს.
თოვს ამღვრეული ქარი, —
თებერვლის ცივი სისხლი;
ოცნებასავით წყნარი
სუნთქვა რძისფერი ნისლის“...

ერთ ლექსში ეს ბავშვი ამბობს, — ჩემმა ფიქრებმა ღმერთთან აღმიყვანეს, ცხადად ვხედავდი თეთრ ანგელოსებს და ლოცვა ვუთხარი ღმერთსო... მერე ასე ლოცულობს: „მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა, ვით ზღვის სილურჯე, წმინდა იყავნ სახელი შენი“.

(ღვთაებრივ ბავშვურობას შეუძლია მხოლოდ ასე თამამად ჩაამატოს თავისი სიტყვები

ჩვენს მთავარ ლოცვაში...) და სთხოვს უფალს, — ამ ცის ქვეშ დამიტოვეო და ესმის უფლის ალერსიანი სიტყვები:

„ჯერ შენს სამშობლოს უნდა ემსახურო“ — არ იფიქროთ, აქ რაიმე პოზასთან გვექონდეს საქმე, — ძალიან ნამდვილი გულწრფელობით სუნთქავს ყოველი სიტყვა... შემაშინებელი გულწრფელობაც კი შეიძლება ეწოდოს მას... შემაშინებელია იმიტომ, რომ გრძნობ, რა ძნელია ამ უწმინდესი სულის მქონე ბავშვის ცხოვრება იქ, სადაც ადამიანური ვნებები სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვება. ამ ცოტა ხნის წინ დაწერილ ლექსში, უფრო სწორად — ლოცვაში, ავტორი ქრისტეს ევედრება, — თუ მეც ცოდვებში უდა ჩავვარდე, — მაშინ სიკვდილი მიჯობსო... ფოლადის ნერვები სჭირდებოდა ტატოს, რათა გაეძლო ამ უსულო ყოფისათვის; რომ გადარჩენილიყო, მასთან არ მივიდოდა ცოდვა... თუმცა ძალიან გაუჭირდებოდა, რადგან ძნელია იმ ყოფაში ცხოვრება, სადაც ადამიანებს, რომელთაც ადამიანისათვის ბუნებრივი სულიერი სიმაღლე და სისპეტაკე მონატრებით, უმეტეს შემთხვევაში, გაცივებით უყურებენ თითქოს ეს სისპეტაკე თავად ღმერთისაგან არა გვექონდეს ნაბოძები...

ტატოს შეეძლო, თავის ოთახში გამოკეტილს, საათობით ბეთჰოვენი დავივალდი ესმინა... ზეციური მუსიკა ამშვიდებდა... უფალო, მიუტევე, რომ ასე გაუჭირდა გაუკუღმართებული ყოფის ატანა შენზე მეოცნებე ყმაწვილს, მიუტევე და შენს ზეციურ მუსიკას ნუ მოაკლებ მას... ...კიდევ ერთი პოეტი დაებადა საქართველოს — სამწუხაროდ, ამქვეყნიდან მისი წასვლის შემდეგ...

გაზ. „კალმასობა“ №6, 2000 წ.

გოჩა წამალაიძე

ტატო ნინუას სევდიანი ყვავილები

მართლაც რომ უდროოდ და უღმერთოდ გარდაცვლილი პოეტის, ტატო ნინუას ლექსების კრებულს რომ გავეცანი, ერთი მწერლის პირადი წერილი გამახსენდა. ეს მწერალი შვილს წერს: — აგერ უკვე ერთი თვეა შენ აქედან წახვედი, შენგან დარგული ყვავილები კი აქ დარჩნენ და უკვე აყვავდნენ. მე ვუვლი ამ ყვავილებს და შენზე ვფიქრობ... რა გისურვო? რა კარგი იქნებოდა, რომ სადაც კი შენ მიხვალ, ყველგან ყვავილებივით სტოვებდე ასეთ ფიქრს...“ ტატო ნინუამ მართლაც თავის მიერ დარგული ყვავილივით დაგვიტოვა ლექსების ეს მომცრო კრებული. სანადირო თოფის იმ ავბედით გავარდნამდე ტატო გარეგნულად ჩვეულებრივი თბილისელი სტუდენტი იყო — მიდი-მოდიოდა ქალაქის ქუჩებში, ისმენდა ლექციებს, კითხულობდა და წერდა ლექსებს... მაგრამ ამ ჩვეულებრივში, როგორც შემდგომ გამოჩნდა, რაღაც არაჩვეულებრივიც იყო... რაღაც ავბედითი ღრუბლები გროვდებოდა მის ცნობიერებაში, რაღაც ბოროტი ფრინველი ჯდებოდა მისი ბედისწერის ხეზე და აი, ერთ დღესაც ტატო ნინუამ აიღო თოფი, მივიდა უნივერსიტეტში, შევიდა ერთ ცარიელ აუდიტორიაში და საკუთარ თავს ესროლა ტყვია. მე კი ახლა მისი ლექსების კრებულს ვფურცლავ და აი, იმ მწერლის სიტყვები მახსენდება — შენ წახვედი, შენგან დარგული ყვავილები კი დარჩა. ეჰ, ჩემო ტატო, ზედმეტად ერთმნიშვნელოვანი ხომ არ გეჩვენება სიტყვა „თვითმკვლელი“? — განა იმ თოფის სასხლეტს მარტო შენი ხელი სხლეტდა? განა ამ საერთო კომმარმა და საერთო უბედურებამაც არ წაგვაშველა ხელი? — მე თუ მკითხავენ, შენც იმათ მოგკლეს, ვინც „მეორედ მოკლეს ილია“. მშვიდობით ტატო, გმადლობთ ამ კარგი ლექსებისათვის — შენგან დარგული ყვავილებისათვის!

გაზ. „ახალი ერა“, №52, 2001

„ქრის იალქანი ალუბლის სუნით“

შიდა ქართლის ღონიერსა და ლამაზ სოფელ რუისს არაერთი გამორჩეული დღე ახსოვს. მისი ხსოვნის კრიალოსანს 16 მაისიც შეემატება. ეს დღე სრულიად საქართველოს დიდ ტკივილს, ნაადრევად დაღუპული ახალგაზრდების წმინდა სახელებს ერთ დიდ თაიგულად კონავს და გაზაფხულის ამ მშვენიერ დღეს მთელს სოფელში აბნევს სიცოცხლის უკვდავების, მარადიულობის შეხსენებად. სწორედ ერთ ფიქრად და ერთ ტკივილად შესაგროვებლად მაისის თვის „თბილი სივრცე“ ახალგაზრდა პოეტის „სიზმრის ნაპირებიდან ამოფრენილმა“ „სპეტაკმა“ აფიშებმა მოჰფინა. ვინც ლექსების პატარა კრებულს „ალუბლის იალქნები“ და მის ავტორს ტატო ნინუას სიცოცხლეში იცნობდა, აუცილებლად შეჩერდებოდა ამ აფიშებთან. „ტატობა“ აერთიანებს ყველა ოჯახის, ყველა მშობლის ტკივილს. რუისს არსებობის გრძელ გზაზე არასოდეს ჰკლებია სასახელო სახელები მამულიშვილებისა, გმირებისა. ეს დღე ამ სახელების გახსენებაა, შეერთებაა, ერთადყოფნაა, თანადგომაა, ნუგეშია, ჭირისუფლობაა, ზღვარდაუდებელი რომ ვიცით ვეფხვთან მებრძოლი მოყმის ქვეყანაში. — როგორ გავგიფრინდა ტატო ნინუა — უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის თარგმანის სპეციალობის სტუდენტი; მის გაფრენას ხელი ვერავინ შეუშალა, ვერც სამეგობრომ, ვერც პროფესორ-მასწავლებლებმა, დღეს მის გენიალურობას ხმამაღლა რომ აცხადებენ. შეუდარებელი იყო ტატოს მიერ თარგმნილი პუშკინი, ესენინი, ბაირონი, შექსპირი. დღეს საკმაოდ აღარ არის, რომ ტატო ნინუას სახით დავკარგეთ უდიდესი რანგის პოეტი, მოაზროვნე, თავდაუზოგავი, ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნება. ... და კიდევ ერთი ტკივილი — უნივერსიტეტის აღზრდილმა, ნიჭიერმა და დიდებულმა პოეტმა გოგიტა არაბულმა თავისი ახალგაზრდული სიცოცხლე მტკვარს გაატანა. რაც ყველაზე სავალალოა, ბევრი მათგანი ისე განერიდა ამა სოფლის ამოებას, ქართული გენის, ქართული ჯიშის გამოხატულება — ძე და ასული არ დაუნახვებია მზისათვის.

„ცაში გაფრენასავით მყუდროა“ „სევდის ბაღის“ სანახები. აქ „ცრემლი ღვრის ცრემლებს“ ... „სიცივეს სცივა“ და „ქრის იალქანი ალუბლის სუნით“.

— ქარის ფრთებით, ქარის ფრთებით გავფრინდებით მე და შენ, ვიფრენთ სანამ დავიმსხვრევით, გავქარდებით ფრენაში...

ერთი სულის მოთქმით დაწერილი ეს ლექსი-პოეტის მშფოთვარე სულის ბოლო ამოძახილი, იხმობს სოფლის ახალგაზრდობას, ახალ თაობას, იმათ, ვინც საძირკველი უნდა ჩაუყაროს ხვალინდელი დღის შენებას, სათუთად შეინახოს სახელოვანი წინაპრების სახელები — ანტონ მროველი (IX-X ს.ს.), ლეონტი მროველი (XI ს.), გიორგი მროველი (XII-XIII ს.ს.), დიონისე ლარაბე (XVI ს.), დომენტი ავალიშვილი (XVI-XVII ს.ს.), ნიკოლოზ ორბელიანი (1672-1732 წ.წ.), იონა გედევანიშვილი (1737-1821 წ.წ.); მიეფეროს და მიესათუთოს უდროოდ დაღუპული თანასოფლელების ხსოვნას. სოფლის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა მამა გაბრიელმა დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. თითოეულმა თანასოფელელმა გამორჩეული ცხოვრება ჰქონდა, ყველა მათგანი თავისებურად მოაკლდა სოფელს და თან წაიყოლა ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის ხიბლი. ზოგი მკლავით მოაკლდა, ზოგი გონით, ზოგი ნიჭიერებით, ზოგი კალმით, ზოგი საჭრეთლით და დარჩა გაუფურჩქნელი ვაზი, მოსამკი ყანა, დაუწერელი სტრიქონი, საღებავშერეული მოღბერტი. ტატო ნინუა მათ შორისაა. სიცოცხლეში მათსავით შეიყვარა სოფელი რუისი და შეაყვარა თავი იმ ადამიანებს, რომელთა თვალწინ ჩაიქროლა მისი ბავშვობის ლამაზმა ზაფხულმა. ტატო ნინუას ბევრი დაუწერელი ლექსი დარჩა. კაკლის ხე წლებგამოვლილი სიდინჯით არხევს ხასხასაფოთლებიან ტოტებს და მაისის თბილ, მყუდრო დილას სიმშვიდისა და

მელანქოლიის რბილ ბურუსში ხვევს. უნაზესი დები — დარდიმანდი იასამნები ყვავილთა სურნელს აფრქვევენ. გივი პაპას ეზოში შემოვარდნილ ტატოს პირველი ეს კაკალი და იასამნები შეეგებებოდნენ ხოლმე. აქაურობას მონატრებული ბიჭი მთელი ზაფხული ამ კაკლის ქვეშ უნდა შეფარებოდა ხვატს, უბნის ბიჭს მისთვის ათასგვარი შეთხზული თუ წაკითხული ამბები მოეყოლა, გაზრდილიყო, დაფრთიანებულიყო. უნდა გაზრდილიყო... ამ კაკლის ხესავით ფართოდ უნდა გაეშალა მხრები, ქართული შნო და ლაზათი დასტყობოდა მთელ მის გარეგნობას, ამ იასამნებივით ლამაზ-ლამაზი, ფიქრიანი ლექსები დაეკვირტა. ამ მიწას უნდა გამოეკვება ქართლის ცხოვრების ქარტეხილებში გამოწრთობილი სულიერება, ეროვნულობა, ზეადმატი სწრაფვა უზენაესისაკენ, ნიჭიერება, სიტყვიერება; ამ მიწას უნდა ესწავლებინა უპირველესი — მამულის, ადგილის დედის — სიყვარული და ერთგულება. XI კლასში იყო ტატო ნინუა „ალუბლის იალქანი“ რომ გამოიცა. მხიარული, ღიმილიანი სახე შემოგვცქერის ფოტოდან, იმდენი სინათლე, სიცოცხლის სიყვარული, ენერჯია იფრქვევა ბუდეშური თვალებიდან, ფიქრშიც კი ვერ დაუშვებ, რომ რამდენიმე წლის მერე ეს ბიჭი შეძლებს წერტილი დაუსვას ამქვეყნად ყოფნა-ნავარდს. არ დაენანება არც „ვარდიან დილის მსუბუქი რიდით ბურვილი წყლისფერი ზეცა“, „წვიმით მორწყული მზის იის ღაწვები“, „ცვართა რძიანი ბროლის სამოსით შემოსილი უმწვანესი ბალახი“; არ დაენანება თავის მაგიდაზე გადაშლილი არც თავად წიგნი „დონ-კიხოტი“ და არც ლექსი „დონ-კიხოტი ჩემს მაგიდაზე“. მისი სული ვერც მინდვრად ექვნების ნაზმა წკრიალმა დაამშვიდა („სევდით ავსებულ სულს უმშვიდებდა მინდვრად ექვნების ნაზი წკრიალი“), ვერც რძისფერ ლაჟვარდში შეჭრილმა ფრინველებმა, მოჰგვარეს სიმშვიდე. „სტრიქონებს შორის ზღვა ფეთქავდა“, ქარი თარეშობდა, „თბილი სივრცე“, „ტკივილი, სევდა და მძაფრი გლოვა“ იდგა. ტატო ნინუასთვის ლექსების წერა სულის სიღრმიდან წამოსული ქარიშხლის ქროლვაა. სიტყვები, სტრიქონები სიცოცხლით არის სავსე. გამაფრებული ხილვები, „სიზმრადაც კვითინი“, „ფიქრების ტალღის ჩუმი ლოცვა“, „ზეცას მოდებული ქარის კვილი“, „გაწვიმებული მთვარის ტკივილი“, „ზღვაში ჩანთქმული ოცნება“, „ცრემლების ტბორი და გუბე“, „განწირული ძახილით სავსე ხომალდივით დაღუპული ფიქრები“ და დაჯერება იმისა, რომ ამ სტრიქონების ავტორი სულ რაღაც 12 წლით არის უფროსი თავის ლექსებზე, ცოტა არ იყოს, ძნელია. ასე ფიქრი და ასე წერა ხელოვნებასთან, კერძოდ, პოეზიასთან წილნაყართა ხვედრია. ყოველ დროს თავისი „ჟამთააღმწერელი“ ჰყავს, ყოველ დროს თავისი დიდგორის ომი აქვს გადასახდელი, თავისი გმირები ჰყავს, თავისი მწერლები, თავისი პოეტები ჰყავს. ტატო ნინუას პოეზიის ნაადრევად გაშლილი ყვავილი იმ დროის სუსხმა მოაზრო, საქართველოს ბევრი შვილი წამებულის გვირგვინით რომ დაამძიმა. „ალუბლის იალქანებში“ შესული ლექსები მოიცავს 1988-92 წლებს. 1989 წლის 9 აპრილით დათარიღებული ლექსი „რუსთაველის რაინდები“ სამშობლოსთვის მსხვერპლად შეწირული ლექსია. აკი თავად წერდა „ჯერ შენს სამშობლოს უნდა მისცე ლექსები მსხვერპლად“. საერთო ეროვნულმა აღტყინებამ, ერთადყოფნის, ერთადდგომის მონატრებამ „ძველისძველი ფრესკებიდან“ წამოშალა წმინდანები და აქ, რუსთაველის გამზირზე „რაინდებად“ აქცია. „ფრთათეთრ ანგელოსების თრთის გაშლილი ბანაკი. მამულის სამსხვერპლოზე ადის ხალხი ზვარაკად“. „ალუბლის იალქანი“ „ცისგანაცრებას სულსწრაფად მომლოდინე“ ტატო ნინუას ერთადერთი კრებულია მის სიცოცხლეში გამოცემული. რამდენი რამის თქმა შეძლო 16 წლის ბიჭმა, რომელსაც უყვარს „ღრუბლები, წვიმა, მშვენიერება, თავისი პატარა ქვეყანა და აღმერთებს პოეზიას“. პოეტისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, უპრეტენზიოდ ლამაზი და თავისებური სურნელი ასდის ამ პატარა ბაღის ყველა ყვავილს. ავტორის მოკრძალებული სურვილი „ვწერო იმაზე, რაც კეთილად მშვენიერია“ განგაწყობთ იმისთვის, რომ ტატოსავით სუფთამ, განწმენდილმა შეალო ამ ბაღის კარები. — რამდენ ლამაზ ხილვას, სახებას იპოვნე. ფიქრების წნულში რამდენ

ლამაზ მარგალიტს მიაგნებ. ცხელ-ყვითელი ქარები შემოგაფრქვევენ ბაგეებდამსკდარი უდაბნოს მძიმე სუნთქვას; შეიგრძნობ „უმძლავრესს სამუმის ტალღებს“; დაინახავ, როგორ „იზმანებს ცა ღამის კაბას“; გზად წააწყდები „დანამულ სევდას“, რომელსაც „ატკივდა ფიქრი“, „ტატნობის სუსხს“, რომელმაც „თბილი ფიქრები დაუთოვა“ ამ ბაღის პატრონს „აუმღვრეველ სიჩუმეს“ რომ უმენს. ტატო ნინუა გეტყვით, როგორ თოვდა ქუჩაში ცის ცრემლები და ვარსკვლავები, როგორ სტკიოდა „ღამის აყვავება“ და ახარებდა საკუთარი ფრთების „რბილი სითეთრე“. ეს ლექსები თავიდან ბოლომდე უნდა წაიკითხო, როგორც ავტორის ფიქრის, განცდის, ტკივილის ერთი სხეული. სივრცის, დროის ყადრი ტატომ ძალიან კარგად იცის. იქნებ იმიტომაც, რომ ამ სივრცესა და დროში დიდხანს ყოფნას ვერ შეძლებს. ეს ლექსების ავტორის გასაფრენად სამზადისია — „გასაფრენად რომ მოვემზადები, ოცნებებს ფრთებზე ლაღად შევისხამ“. ანგელოზი რომ დაფრთიანდება, მაშინ

„ჩემი ოცნება ლაღად ფრთებს გაშლის“ და
„მე გაფრინდები ცაში აისზე,
მზეც თუ დაკოცნის დიღებს სისხამთა,
ცაში გაფრენა მყუდროა ისე,
განმარტოება როგორც სიზმართან“.

თავად ცაში გაფრინდა. აქ, მიწაზე, ზეციური ხილვებით გამშვენიერებული, დაუმთავრებელი ნაშრომები, ჩანაწერები დატოვა.

გაზ. „ურბული“ №5, 2002 წ.

ხათუნა გიგაშვილი

ტატო ნინუა... ვფიქრობ და სევდა მეუფლება. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ტატოსთან ვმეგობრობდი. ვიგონებ იმ პერიოდს და წერა მიჭირს, — არა იმიტომ, რომგასახსენებელი არაფერია, არამედ იმის გამო, რომნიჭის გაფრთხილება, მოვლა არვიცი და გვიან ვხვდებით, რომ მეტი სითბო და თანაგრძნობაა ზოგჯერ საჭირო. ჩემი მოგონება ბავშვობასთანაა დაკავშირებული და ამიტომ უბრალო, ბავშვურ ურთიერთობას შეეხება. თუმცა ეს სამყარო ხომ წვრილმანებისგან შედგება და ყველა მნიშვნელოვანია. მინდა გავიხსენო ის დრო, როდესაც ტატო სოფელში ჩამოდიოდა და ჩემთან და ჩემს უბნელებთან მეგობრობდა. საზაფხულო არდადეგებზე მოდიოდა ტატო. ძალიან მეგობრული და გულთბილი იყო, ამიტომ გვიყვარდა და გვიხაროდა მასთან შეხვედრა. სხვადასხვა გასართობს იგონებდა, ჩამოაყალიბა საბავშვო თეატრი და წარმოდგენებს ვმართავდით მისი ხელმძღვანელობით. ერთხელ გაგვიმხილა, რომ ლექსებს წერდა და მის ლექსებს გამოთქმით ვკითხულობდით. გვამაყებოდა, რომ ასეთი ნიჭიერი მეგობარი გვყავდა. ძალიან კეთილი გული ჰქონდა. უბანში ყველას გვყავდა ველოსიპედი, ჰყავდა ტატოსაც. ვაწყობდით შეჯიბრს, ვინ უფრო სწრაფად მივიდოდა დათქმულ ადგილამდე. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრის დროს, ჩემი ძმა, ლადო, კედელს შეეჯახა და ველოსიპედის ფარი დაემტვრა. რა თქმა უნდა, ძალიან განიცადა ეს მარცხი. ტატომ მოხსნა თავის ველოსიპედს ფარი და ლადოს სთხოვა, — აიღე, მე კიდევ მაქვსო. ასეთ, თითქოს უმნიშვნელო, ურთიერთობებში მჟღავნდება ადამიანის ბუნება, მისი შინაგანი სამყაროდა ამიტომაც ტატო იმ დღის

შემდეგ კიდევ უფრო შეგვიყვარდა. ჩემს ხსოვნაში ის დარჩა ალალ, მეოცნებე ბიჭუნად. მოზრდილი ტატო მე აღარ მინახავს, რადგან სოფელში აღარ ჩამოსულა. მისი სამყარო, მისი პოეტური ბუნება ჩვენთვის, ალბათ, ძნელად გასაგები იყო და მემჯერა, ამიტომ გადავიდა მარადისობაში და უკვდავებას ეზიარა...

თამარ კაციტაძე

თსუ-ის ფილოლოგიის
ფაკულტეტის სტუდენტი

ტატო

2000 წლის მაისის ერთ ავბედით სადამოს ტელევიზორი იუწყებოდა რატი ნინუას სიცოცხლის ტრაგიკულ დასასრულს, თვითმკვლევლობას. მახსოვს, სისხლით შეღებილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორია, გაფითრებული სახეები, ბევრი ცრემლი, თავზარდაცემა და შოკი. მაშინ ეს ამბავი ამ ცხოვრებისაგან კიდევ ერთი გაქცევა მეგონა და პროტესტი ლაგამახსნილი ბედისადმი. დღევანდლობამ მეტისმეტად გაგვანებივრა ასეთი შემთხვევებით, ამიტომ ადამიანური თანაგრძობისა თუ წუხილის მიუხედავად, ვფიქრობ, მაინც ბოლომდე გაუზიარებელი, შეუცნობელი და სათანადოდ შეუფასებელი იყო ეს მოვლენა ჩემთვის, ამიტომ დროებით მიმავიწყდა ეს გარდაცვალება.

იმავე წელს მეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. ერთხელ ლექციაზე ჩვენმა ლექტორმა ქალბატონმა რუსუდან ჭანტურიშვილმა გაგვაცნო რატი ნინუას თარგმანი პუშკინის ლექსისა “მოგვი”. მაშინ მთარგმნელის სახელი არაფერს მეუბნებოდა, არც ქალბატონ რუსუდანს დასცდენია რამე. თარგმანი მეტად საინტერესო გამოდგა - სრულიად გადმოქართულებული, თითქოს დაკარგვოდა რუსული სტილი, და პუშკინისეული სევდა მთარგმნელის ემოციებს შეუცვლია სრულიად. ყველაზე მეტად სიტყვებმა გამაოცა - ადამიანი რომ უფსკრულში იჩეხება და მეორე რომ ხელს ჩავლებს საშველად, ისე ჩასჭიდებოდნენ ათასი უხილავი ხელით ერთმანეთს ეს სიტყვები და რაღაც საოცარი წუხილი მოდიოდა ამ თარგმანიდან. ასე გავიცანი პირველად მთარგმნელი რატი ნინუა. როცა ქალბატონმა რუსუდანმა მისი ვინაობა გაგვიმხილა (ტრაგიკული გარდაცვალების ჩათვლით), გული შემეკუმშა და დამენანა, გულწრფელად დამენანა, თუმცა ეს შეგრძნება გამიორმაგდა, როცა მის პოეზიას გავეცანი. ეს იყო გზააზნეული კრავის ვედრება უფლისადმი, რომ დახმარებოდა ცხოვრების უდაბნოდან თავის დაღწევაში. იგი ეუღლად ეზიდებოდა საკუთარ ჯვარცმას სინანულის ცრემლებით განზანდილი. მისი პოეზია სხვა რაა თუ არა საუბარი სიჩუმისა და სევდის ფერებით, სამშობლოს სიყვარულით, იდეალიზაცია სულ ახლო წარსულში ჩარჩენილი გმირი წინაპრებისა. მისი ცხოვრების მაგალითია ბოროტებასთან დაუზავებელი მამა. სიყვარული - სატრფოს თვალებით დაავადებაა თავად სატრფო კი ფაქიზი, როგორც დეგას ბალერინა და თითქოს მისი ხელიდან შეიცნობა ყოფიერება:

“ისფერ ღამით დარბაზში გელი...
როცა შეხვდება ხელი და ხელი...”

ამგვარად გავიცანი პოეტი ტატო. მოგვიანებით გავეცანი მის მოთხრობას “ედმონდ დანტესი” და გადავწყვიტე მეთარგმნა იგი რუსულად. წამიკითხავს: “წიგნი, მწერალსა და მკითხველს შორის გადებული ხიდიაო”, ჰოდა, იქნება მე ჩემს ხიდზე ვხვდებოდი რატის. ასეთ დროს მე ვერ ვგრძნობდი მის სამუდამო არყოფნას, პირიქით საკმარისი იყო თარგმანზე მუშაობა დამეწყო, რომ რატი თითქოს ჩემს პირდაპირ აღმოჩნდებოდა და მაოცებდა თავისი მწერლური ნიჭით, იმ წინადადებით, რომელთა თარგმნაც ზოგჯერ მიჭირდა. აი, ასე თანდათან შემოიჭრა ჩემს სამყაროში ზღაპრული რაინდივით თეთრ მერანზე ამხედრებული ტატო და თავისი შემოქმედებით წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

P.S. ეს ჩანაწერი 2001 წლის 8 აპრილს გავაკეთე ჩემს დღიურში. მაშინ ახალი დასრულებული მქონდა თარგმნა მოთხრობისა “ედმონდ დანტესი”.

ტაბატაძე ანა

თარჯიმან-რეფერენტი I კურსი,

ისევ გათენდა, გაფრინდა მერა
შენ გიზიდავდა უდაბნო ვრცელი
და სურნელება ცხელი სილისა,
გადაიფრინე მთები ოცნების,
რომ მოგენახა ბედის თილისმა.
ფიქრებს გაფანტავს ქარის ზმუილი
და დაყვილება თეთრი ძერისა,
ოცნება შენგან გამონაშუქი
ფრთებს გამოიბავს ლექსის წერისას.
სადღაც გაისმის გრუხუნნი მეხის,
დაიკლაკნება ტანი ელვისა,
ქარს მოაქვს სუნთქვა, ისმის ჭიხვინი
საბელაწყვეტილ თეთრი მერნისა.
ქაფმორეულნი დაღლილ ფლოქვებით
გაიქროლებენ ვით სიზმარები,
ჩაინთქმებიან წყვდიადის ალში,
გაიხსნებიან ცისკრის კარები.
აკიაფდება ცეცხლისფრად ზეცა,
რეკენ ზარები წმინდა სამების,
ისევ გათენდა, გაფრინდა მერა
და დაიწყება ათვლა წამების.
და დაიწყება ათვლა წამების,
როცა გაფრინდა თეთრფრთეა მერა.
ურომლისოდაც შენ ვერ შეძლებდი
ორსიტყვიანი სტრიქონის წერას.

რატი ნინუას ხსოვნას

2000 წლის ათი მაისის დღე ჩვეულებრივად დაიწყო. დილიდან იგრძნობოდა სითბო. მაისი თავის სიმშვენიერით იკავებდა კუთვნილ ადგილს. უნივერსიტეტში წასასვლელად ვემზადები. ტელეფონის ზარი... ნატოა ფოფხაძე, ჩემი ჯგუფელი...

ზარი...

- რატიმ თავი მოიკლა!..

ღმერთო!

შეწყდა წამი...

დამთავრდა ყველაფერი...

ცრემლი და ტკივილი ერთმანეთს ცვლიდა. დრო გავიდა, კიდევ ბევრი წელი გავა, ტკივილი კი დღემდე გახსნილი ჭრილობასავით მწარეა, დღემდე გვტკივა შენი არარსებობა შენს ნაცნობ-მეგობრებს, თანაკლასელებს, უპასუხოდ დარჩენილი კითხვა “რატომ” გვტკივა!.. ხშირად მახსენდება ერთი დღე, როგორც აზრიანი ფილმიდან მეხსიერებაში ჩარჩენილი ფრაგმენტი, სწორედ იმ წელს, რატის ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე, რუსთაველისკენ მივსეირნობდით მე, ნათია კასრაძე და რატი. ხალისიანი საუბრით მივაბიჯებდით ქუჩაში, ყველასა და ყველაფერზე საკუთარ აზრს გამოვთქვამდით, რატის მოსწრებული ნათქვამებზე ვმხიარულობდით. უცებ რატი რეკლამებითა და განცხადებებით გადაჭრელებულ კედელთან შეჩერდა.- რა ამაზრზენი საშინელება! - გაჯავრებით წამოიძახა.- რამოხდა? - უცებ ვერ მივუხვდი. შევხედე, რატის მართლა ეტყობოდა გაბრაზება, მზერა მისი სახიდან კედლისკენ გადავიტანე, - “გიწვევთ 5-დან 13 წლამდე პატარა გოგონებს სილამაზის კონკურსზე “პატარა ფერია 2000” - გვამცნობდა აფიშა.- განა შეიძლება ბავშვის სილამაზე გაიზომოს? როგორ? ვინ მოიგონა? განა ყველა ლამაზი არაა? - მისი აღშფოთება გავიზიარე, მაგრამ ვერაფერი ვუპასუხე, იმიტომ რომ ამ წუთამდე თურმე ამაზე არც არასოდეს მიფიქრია, არადა, ღმერთო, რა მართალი მიგნებაა! რატის ხომ შესაშური უნარი ჰქონდა, ყველაფერში აღმოეჩინა ღირებული, სხვათათვის შეუმჩნეველი, სისწორე-სიმრუდე და რაც მთავარია - მშვენიერი, ნატიფი! ყველაფერში უყვარდა მშვენიერი, ცხოვრებაც უყვარდა, მეგონა, მაგრამ... თურმე მარადისობისკენ ლტოლვა ისეთი ძლიერი ყოფილა მასში, რომ სამუდამოდ დაიმკვიდრა თავი მარადისობაში. ჩვენ კი მხოლოდ ტკივილიანი მოგონებები და მშვენიერი ალუბლის ფერი იალქნიანი ხომალდი დაგვიტოვა.

2000 წლის 10 მაისი... კალენდარს კიდევ ერთი ფურცელი მოწყდა, ბევრთათვის ალბათ ერთი ჩვეულებრივი დღე დამთავრდა, რატი ნინუასთვის კი მარადიულობა ამ დღეს დაიწყო. ღმერთმა დაგივანოს შენი საყუდელი რჩეულ მარადისობაში!



მარიამ ნოდია

თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის რატისეული განყოფილების
II კურსის სტუდენტი

ედმონ

სხეული შენთვის არის გალია,
იგი გტანჯავს და გამძიმებს ძლიერ,
წუთისოფელი წარმავალია,
წლები რბიან და შენც იცვლი იერს.
ამდენი ფიქრით გული ხუნდება,
მომოიხედავ: გარშემო ბნელა,
მაშინ ცხოვრებას, ქცეულს ხუნდებად,
დამსხვრევას უწყებ მტკიცედ და ნელა.
ოცნებობ... წაბლა მიჰქრის ჭენებით,
ქერა კულულებს აქანებს ქარი,
გინდა სიცოცხლე შენივე ნებით
დასთმო, უარყო ღვთის საჩუქარი;
სიცივე გრძნობებს ფეხით გითელავს,
თვალეში კვდება შუქი ნათელი,
ტირის ღრუბელი... ზეცა ქუხს, ელავს...
შენს ოთახში კი ბჭუტავს სანთელი.
ცივა და აღარ ისმის ხმაური,
მერე კვლავ გიპყრობს ფიქრი ჩვეული,
ზღვას უერთდები შენ, მეზღვაური,
და გიყურდება გული სნეული.

27.02.04



“შვილი ვარ ცის ნამის...”

“ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი, რადგან ვცოდე ჩემი თავის მიმართ... ღმერთო...”

* * *

დაიბადა ყველაზე ბედნიერი ადამიანი XX საუკუნეში დაბადებულთა შორის. დაიბადა და სუნთქვა დაიწყო... მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა იყო, მალევე ამოთქვა: “ვზივარ სხეულში, როგორც მყრალ გემში”. ამიტომაც აპატია ოცნებას, რომელიც ზღვას გემივით მიენდო, რომელიც ბობოქარ ტალღებს შეერთო და ჩაინთქა “ულურჯეს ზვირთთა წიაღში”. ფიქრი დაიღუპა, მაგრამ იდეა გადარჩა, ბევრიც არ უდარდია. მან იცოდა, რომ მომავალი რაღაც უკეთესს უქადდა. ის ხომ არ იყო “ჩვეულებრივი”, შესაბამისად, არც “ჩვეულებრივი” ამბებისა და ხალხის გაგება შეეძლო “არა-ჩვეულებრივის”, ეს იყო მისი უბედურებაც და ბედნიერებაც. მას წყნარი ცხოვრება სურდა, რათა ღმერთს მალე მიახლოებოდა, მაგრამ იმ “არა-ჩვეულებრივმა” არ მოასვენა... მიფრინდა ძერა და აუშალა გონება, დააწერინა უამრავი ჰაეროვანი სტრიქონი. თმაგაწეწილმა, ფრთებთეთრმა ძერამ სამუდამოდ დაიდო ბინა მასთან, მასში ჩასახლდა, ბოლოს კი დააწერინა: “რა გამომიღვეს ფიქრებს თოვლიანს, ჯერ კიდევ მწყალობს ბებერი ძერა”. ტატოს არც ქარი უხმია, მაგრამ ისიც თავისით მივიდა... აუშრიალა ფურცლები და აუბობოქრა ცხოვრება. პოეტის სიცოცხლე დიდი ქართველების ხსოვნით იყო გაჯერებული; მისთვის ძალიან ახლოებული გახდა “შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და... გალაკტიონი”, ვერ დაივიწყა დიდგორის გმირი და ლექსიც მიუძღვნა:

“ღმერთად შეგიცანი
და კაცი ყოფილხარ!
კაცად შეგიცანი
და ღმერთი ყოფილხარ!”

უკვე გაზრდილ ბავშვს თითქმის მთელი ცხოვრება ფიქრი “ტკივა”, თავის თავშივე აქვს პატარა იდეალური სამყარო მოწყობილი და იმით საზრდოობს, რომ ყველაფრის “მეფეც” თავად არის და “მგოსანიც”. “ცის ნამის” შვილს სიწყნარე იზიდავს ყველაზე მეტად და აცხადებს მტკიცედ:

“არ ამიმღვრიოთ დაწმენდილი იდუმალეობა,
მე აუმღვრეველს ვუსმენ სიჩუმეს”.

მაშ, დავაცალოთ ჩვენც... რატომ ვაფათურებთ ხელებს მის ცხოვრებაში? რატომ ვეხებით მის იდუმალეობას? რატომ არ ვაძლევთ განმარტოების საშუალებას? იმიტომ, რომ “არა-ჩვეულებრივის” ცხოვრება გვანტერესებს. ტკივილამდე გვინდა გავიგოთ, როგორ იხოცებიან “შემოდგომის ცივი ხელები”, როგორ ყვავდება “ნოემბრის მტვრიან სულში” მთვარე, როგორ წევს “თვალდახუჭული შემოდგომა” და “არავინ უხუჭავს თვალებს”. ასე ცხოვრებად ყველაფერს მხოლოდ იგი გრძნობს და აღიქვამს. მოულოდნელად მოუნდა, გაეგო რას გრძნობდა “ჩვეულებრივი” და გაზაფხული ინატრა... არ მოვიდა; ცხენი ინატრა, რათა

დასწეოდა დიდი სეხნიის მერანს და გალაკტიონის ლურჯა ცხენებს, მაგრამ მოუკვდა... ნაპირთან დადგა და თეთრკაბიანს დაუწყო ლოდინი... აი, საცაა წყლიდან ამოვა, მაგრამ... მაგრამ მას “ჩვეულებრივიც” “არა- ჩვეულებრივად” გამოუვიდა. რეალობა რომ მკაცრია, ამასაც მიხვდა და თავისი აზრი უშიშრად გადმოიტანა ქალაღზე:

“მე ცხოვრებისგან თითქმის არაფერს,
თითქმის არაფერს მოველი ახალს”.

...და მიხვდა იმასაც, რომ შიგნით რაღაცის რღვევა ეწყებოდა, რაღაც მთავარის, რაც აუცილებლად ისეთივე უნდა დარჩენილიყო, როგორც დაიბადა. ექოდ ჩაესმის ხმა: “სარკისკენ, სარკისაკენ ნუ შებრუნდები”, თუნდაც შებრუნდეს, რა უნდა დაინახოს იქ ისეთი, რაც გონებას აუმღვრევს, იგი ხომ “ცის ნამის” უცოდველი წვეთია? მაგრამ თანდათან უფრო ძლიერდება ამისი განცდა და იმეორებს: “მამაო ვცოდე... არა ვარ ღირსი შენი ძეობის... მე ვინაიებ, ტკბილო მამაო”. სადღაც შეშინდა კიდეც, როდესმე მას და მის ლექსებს არ მოეწყინათ, სულშიც “დაწმენდილი ცისარტყელა” აემღვრა და უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა ის, რაზედაც ჯერ კიდევ ბავშვობაში ფიქრობდა და ოცნებობდა, ლოცვასავით ამოთქვა: “მე გავფრინდები ცაში აისზე”. მისთვის, “ფრთოსან-თეთრ” ანგელოზისათვის, უცხო იყო ყოველგვარი ბოროტება, სხვისი დამცირება, რადგან ოდესღაც ცასთან, ღმერთთან იყო ახლოს და სხვაგვარად არ ძალუძდა.
ყველაფერი გადაწყვიტა... მაგრამ მაინც ინატრა:

“ნეტავი მალე დამემინოს და...
ნეტავი მალე ვნახო სიზმარი”.

სიზმარში ქარის ფრთები შეესხა, მეგობრად სევდა გაიხადა და გაფრენაც ინატრა, მხოლოდ გაბედვა იყო საჭირო... მხოლოდ გაბედვა... და გაბედა კიდეც, დაიჩურჩულა მხოლოდ: “ეს ძილია თუ სამუდამო სიკვდილი ნეტავ?”

გალაკტიონით დიადს აქაური სამყარო ეცოტავა, რადგან მისი გენია ვერ დაიტია და მტკიცედ გააბიჯა გალაკტიკა-უსაზღვროებაში, სადაც სინათლე ელოდა. იმაშიც დარწმუნდა, რომ სამუდამოდ ვარსკვლავებთან დაიდებდა ბინას; იმაშიც, რომ ქარის ფრთებით იფრენდა და იმაშიც, რომ დარჩებოდა იგივე სული, როგორც დაბადებისას დაჰყვა, უცოდველი და შეურყვნელი. სევდა – მეგობარს ერთხელ კიდეც შეუძახა: “...გავფრინდებით”.
“...ცაზე ლაპლაპებდა შავი მზე მეოცე საუკუნისა”.

“ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი, რადგან ვცოდე, ჩემი თავის მიმართ... ღმერთო...”

24.02.05

სოფიო ჩხატარაშვილი

თარჯიმან-რეფერენტი, I კურსი

ცხოვრებაში ყოველთვის ხდება რაღაც განსაკუთრებული, რაც ჩვენს აღტაცებას იწვევს და ეს აღტაცება, ეს შეჩერებული წამები, სამუდამოდ გვამახსოვრდება. ჩემში ესაღტაცება რატი ნინუას ლექსებმა გამოიწვია, სიზმარში რომ დაუწერია პოეტს. მისი ალუბლისფერი პოეზია ცისფერი დუმილით იჭრება მკითხველის მხედველობაში და სმენაში. როგორ შეიძლება დუმილი დაინახო და მითუმეტეს გაიგონო? რატი ყველაფერს ხედავდა და გრძნობდა. მთვარისგან რამდენად შორს იყო მაგრამ მის თვალებში სევდას მაინც ამჩნევდა. იდგა წვიმაში ფიქრებში გართული და არ სველდებოდა...

მას ყველაფერი შეეძლო. ასევე ყოვლისშემძლე “პწკარაფეთქებული” სტრიქონები დაგვიტოვა. ადამიანის სულის ასეთი სისპეტაკე არ წარმომედგინა. ჯერ კიდევ არასრულწლოვანი (ბავშვი) რატი ნინუა ფიქრობს იმაზე, რომ ჩრდილსაც შეიძლება ეტკინოს, რომ მასაც აქვს საკუთარი სული და ფიქრი, იქნებ უფრო სუფთაც კი, ვიდრე მისი პატრონია. სიტყვებს ვერ ვპოულობ საწერად და რატის პოეზიიდან ვსესხულობ. განა შეიძლება მისი ლექსების შეგრძნების შემდეგ სიტყვებს მოუყარო თავი. შევიგრძენი კი? ძნელია ბოლომდე ჩასწვდე გენიოსს...

შეუსვენებლივ ვკითხულობდი და არ მინდოდა, დამემთავრებინა. ვფურცლავდი, თან მეშინოდა, ავტორივით მგრძნობიარე სტრიქონებისთვის რამე არ მეტკინა. სტრიქონებისთვის, რომლებიც უკვდავია მათთვის ხორცშემსხმელის მსგავსად.

21.02.05

თ. გეგეშიძე

რატი ნინუას ხსოვნას

(ხომ მაპატიებთ?)

“გამხდარი ქუჩა წყლიან თვალებს ხმაურით ახელს...”

ახელს...

თვალებს ახელს ისიც... მიმოიხედავს... დაფიქრდება...

– უკაცრავად, ეს სამყაროა?

– სამყაროა! – ილიმის, ლამაზი ყოფილა სამყარო!

ალბათ, ცხოვრებაც ლამაზია... “ბედნიერ ზღვაზე ლაყვარდები ცისფრად ანთია”. ალბათ, ბედნიერია ყველა ამ სამყაროში. უსაზღვროებაა ის, რომ შესაძლებელია გარეთ გახვიდე და მიხვიდე, გული რად გიცემს ასე ძლიერად... ალბათ, “მზემ იალქნები მოაალუბლა”, ან სულაც, ზღვას გაათოვა ალუბლები. საოცარია იგრძნო, რომ შეგიძლია ფრენა, რომ ამალუბლის ძალა შეგწევს, რომ აქ სამშობლო “სალოცავ ხატად გიცვნია”, რომ აქ “სტრიქონებს შორის ნავარდობს ქარი”, რომ “სიხარული დედოფლობს სრული”... თუმც კი... ოჰ, როგორ ვერ მივხვდი აქამდე, თურმე “გაგთვალავს, თუკი დააკვირდები”, გაგთვალავს...

გამთვალა, ალბათ... როგორ, ნუთუ ეს ყველაფერი არ არის? ნუთუ ამის იქით კიდევ

არსებობს სხვა სამყარო, უფრო დიდი, უფრო მძიმე და ძნელი... – არსებობს თურმე. მაგრამ ეს სხვაა, ეს ჩემი სამყარო არაა, ეს მე არა ვარ. ოჰ, ნუთუ “მე და ჩემს ლექსებს მოწყენა გველის?” და დაიწყო ცხოვრება ნამდვილი, ნამდვილი ვისთვის? ჩემთვის თუ სხვისთვის? დაიწყო ბოროტება და განუკითხაობა, ორპირობა და მლიქვნელობა, ორომტრიალი და გზააბნეულობა, სიუცხოვე და... ტკივილი, ტკივილი, უზომო ტკივილი... ვგრძნობ... მხოლოდ მე კი არა, “დანამულ სევდას ატკივდა ფიქრი...” ამტკივდა ფიქრი. არა, მე სულ სხვაგვარი მეგონა ქვეყანა, მე სულ სხვაგვარად მოვედი მიწაზე, ნუთუ ჩამენთქა ზღვაში ოცნება? დავნაღვლიანდი... “ქუჩაც ნაღვლიანია, ნელი ნაბიჯებით მივუყვები მას და ვფიქრობ”. ახლა მე ბევრი, უზომოდ ბევრი საფიქრალი გამიჩნდა. ახლა მე სხვაგვარად, სულ სხვაგვარად მოვეუხმობ ქარებს, მხოლოდ “ჩემს ძერას” თუ გავანდობ გულისნაღებს. განვმარტოვდი... დავმარტოვდი... უსამყაროდ, ჩემი სამყაროს გარეშე. ვუხმობ იმედს, მე არ ვნებდები, ვითხოვ შველას.

“ფრთებსველო ნისლო, სადა ხარ? სადა?”

მაგრამ არაფერი, სულ არაფერი იცვლება, მე ისევ მე ვარ, სამყარო ისევ სამყაროა, ჩვენ შორის ისევ უფსკრული. “მას შემდეგ მრავალმა გვალვამ გადამკოცნა სიმშრალით ნახეთქი ცხელი ბაგეებით”... და ქუჩაც ისევ ნაღვლიანია, და მე, ყოველ ღამით “ლოცვისგან მიმქრალ თვალებით” ცრემლად ვიქცევი ახლის მოლოდინში, მზის მოლოდინში... მაგრამ მე ისევ მე ვარ, სამყარო ისევ სამყაროა და ჩვენ შორის განხეთქილება. მე ხომ ბევრს არაფერს ვითხოვდი, მხოლოდ “ღრუბლებს, წვიმას, მშვენიერებას, ჩემს პატარა ქვეყანას და პოეზიას!” მე... მეტს არაფერს... პატიებას ვთხოვ უფალს და ჩემს თავს... მე მხოლოდ წამით მივენდე ქარებს... ვერ მოგედღვინით ბოლომდე... ...

...

“არაფრისმთქმელი მდუმარება შემორჩათ რტოებს”... ფრთხილად,
“არ ამიმღვრიოთ დაწმენდილი იდუმალება”...

ხათუნა ბრეგვაძე

“არ ამიმღვრიოთ დაწმენდილი იდუმალება!”

ეს სიტყვები რატი ნინუას ეკუთვნის. დღეს ბევრს ლაპარაკობენ მასზე. უცნაურად მომხიბვლელი იყო მისი გაელვება. უცნაურად ტრაგიკული – მისი გაქრობაც. “რომ იყვავილე და გაჰქრი მერე”... ეს უკვე სხვა პოეტია. მაგრამ რა ტკვილიანი და ზუსტი ნათქვამია. “შენი დღეები, აჰა, დასრულდა”. “ჩვენს გულს სიცოცხლე ვიდრე ახარებს, დავიწყებისთვის შენ ვერ გაგწირავს. იმ წმინდა სისხლმა, რაც შენ დაღვარე. ფუჭად მიწაში ჩასვლას დასცინა”. (ბაირონი) დრო თითქოს გაჩერდა ამ ლამაზ სახლში. მეტეხის აღმართი წინათგრძნობა მიკარნახებს – ვაჟკაცად აღზრდილი ჯაბუკის ლამაზ ოჯახში მოვხვდები. იქ, სადაც ახალგაზრდა რატი (ტატო) ნინუას სიცოცხლე აღარ ფეთქავს, სანაცვლოდ მისი გამწარებული მშობლები დამხვდებიან. რა საოცრად მგრძნობიარეა სიმი, რომელიც ახალგაზრდა კაცის სიკვდილს ეხება. 10 მაისს 23 წლის რატი ნინუამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ... დღესაც არ წყდება მის ოჯახში უზარმაზარი ტრაგედიით შეძრულ გულშემატკივართა

ნაკადი. ამ ქართულ, სტუმართმოყვარე ოჯახში, ერთ დროს ყველას უხაროდა მოსვლა. აქ ხომ ერის სიყვარულის, პატიოსნების, უბრალოების და თანადგომის ნერვი ფეთქავდა და ეს იზიდავდა რატის მეგობრებსაცო, – აღნიშნა მეგობრის დედამ. ამ სამუშაო მაგიდაზე სულ ცოტა ხნის წინათ მსოფლიო ლიტერატურის კორიფეების შედეგები ეწყო სათარგმნელად გამზადებული (ან უკვე ნათარგმნი). ...ახლა კანდელი ანთია. ამ ოთახში ტატოს მაჯისცემა ფეთქავდა, სული იწვოდა და ოცნება ფრთებს ისხამდა... ...ახლა ჩარჩოდან პედანტურად ჩასმული სურათები შემოგვცქერიან. ქალბატონი ციცო სათითაოდ იღებს კარადიდან შვილის მიერ შექმნილ ნამუშევრებს. “ალუბლის იალქნები”, – ასე ეწოდება ლექსთა კრებულს, რომელიც ტატომ გამოაქვეყნა თბილისის პირველი საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასში სწავლისას. წინასიტყვაობაში ავტორი წერს – “მკითხველო, მე უცნობი ან თითქმის უცნობი ვარ თქვენთვის, მიყვარს ღრუბლები, წვიმა, მშვენიერება, ჩემი პატარა ქვეყანა და ვაღმერთებ პოეზიას. ეს მცირე წიგნი ჩემს გონებაში ნასათუთები და ნალოლიავები ბაღია და ძალიან მინდა, რომ ყველა ყვავილს ამ პატარა ბაღში უპრეტენზიოდ ლამაზი და თავისებური სურნელი ასდიოდეს. მეოცნებეობა ალბათ წიგნსაც ეტყობა და ჩემს მოკრძალებულ სურვილსაც – ვწერო იმაზე, რაც კეთილად მშვენიერია. დიდი მოწიწებით გთავაზობთ რუდუნებით ნახელავს, გთხოვთ ამ დაჩრდილულ ბაღში შემოსვლას, მის მოხილვას და ძალიან მოხარული ვიქნები, ბაღიდან გასულებს რამდენიმე წუთით მაინც თუ გაგყვებათ მისი ყვავილების უპრეტენზიო სურნელი”. უაღრესად ნიჭიერი, საკმაოდ მგრძნობიარე ყოფილა – ამას ერთხმად აღიარებენ მშობლებიც და ახლობლებიც. 12 წლის ტატოს 9 აპრილის საოცარი განცდა ჰქონია. ამ ამბის მომსწრეს იდეა გასჩენია, დირექტორთან შესულა და უთქვამს – ნება დამრთეთ, დალუპულთა უკვდავსაყოფად ობელისკი დავდგა სკოლის ეზოშიო. ტატოს ამ იდეისათვის ხორცი შეუსხამს, ობელისკი დაუდგამს... თუმცა შემდეგში დატრიალებულ ავბედით მოვლენებს ვერც ამ ობელისკმა გაუძლო. მისი საამაყო ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას წიგნის საგანძურში შეტანილია ტატოს მიერ 9 აპრილის თემაზე შექმნილი პლაკატები, ჭადრებზე მიკრული. ტატო არც ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო საღამოებისგან მდგარა შორს. 9 აპრილის გამოძახილით გამოსცა 12 წლის ტატომ ჟურნალი “იბერიელი”, სადაც ტატო გედევანიშვილის, ზურაბ ქუთათელაძისა და სხვა ფსევდონიმებით იბეჭდებოდა. დევიზი ლადო ასათიანისებურად შეურჩევია.

“ცხრა ნიჩაბი რომ ჩამარტყან ცხრაჯერ გულში,
ტანკებითაც ძალიან რო გაისარჯონ.
მხოლოდ ვიტყვი, საქართველოს სიყვარულში,
თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს”.

სწორედ მისებური განცდა ახლავს შემდგომ პერიოდსაც, როცა წერს:

“წითლობდა ატლასი... მისი სიურიცხვე
მე სულს მიწუხებდა, ხედვას მიმძიმებდა,
და მექარავნებს თვალში ზრახვაურცხვი
ვაყრიდი თბილ ქვიშას, ცრემლი ციმციმებდა”.

ვგრძობ, იმდენად ანდამატური ძალისაა ტატოს მიერ ამ თემაზე შესრულებული ლექსები, რაც უფრო სიღრმისეულად ეცნობი, მით უფრო ფსკერს ვერ იბოჭავ. საოცარია, სად ისწავლა 12 წლის ბავშვმა ასეთი ტკივილი? სწორედ იქ ვეღარ დაეტია ლექსი მის

ცრემლებით ნატკენ სულში, სწორედ აქ ასტკვიდა ფიქრი მის დანამულ სევდას, რომელმაც ხმამაღლა ათქმევინა: “არ ამიმღვრიოთ დაწმენდილი იდუმალება!”

ბავშვობიდან საოცარი განცდა იცოდაო – იხსენებს მამა. სხვისი ამბის მოსმენისა თუ ტელევიზორით გაგებულთაც შესაბამისი რეაქცია არ აყოვნებდაო. მახსენდება – ამბობს ბატონი ზურაბი – 4 წლისა იქნებოდა, სოფელში ვისვენებდით. ტელევიზორმა გვაუწყა ჰამლეტ გონაშვილის გარდაცვალების ამბავი. ის ამ დროს კაკლის ხის ქვეშ თამაშობდა. ეტყობა, ყური მოჰკრა ამ ამბავს. ბებიას დაუძახა, სთხოვა საწერ-კალამი და ქალაქი მოეტანა მისთვის. ექსპრომტად, სულ რამდენიმე წუთში შექმნა ლექსი “ჰამლეტ გონაშვილს”.

რატის სიკვდილის შემდეგ აღმოაჩინა ბატონმა ზურაბმა დაუმთავრებელი ლექსი: “სონეტი მამას”. აი, ეს სტრიქონები: “ბოროტთან ზავით ვარ შეკრული, ნელა თეთრდები, თითქოს არა ხარ შენ დაღლილი, ღიმილს არ იშორებ, მაგრამ მე ვიცი...” დანარჩენს მრავალწერტილი ამბობს. საშინელი მოსასმენი ყოფილა მამის გმინვა ამ სტრიქონების წაკითხვისას: “რომ მეგონა, არ განიცდიდა ჩემს ტკივილს, თურმე ვცდებოდი, როგორ ჩუმად უტარებია ამხელა ნაღველიო...” – იხსენებს მამა და შვილის სიკვდილში იმ უსამართლობასაც ამხელს, რასაც იგი მავანთა მიერ წლების მანძილზე განიცდიდა და ბოლოს მერაბ კოსტავას თეატრის დირექტორობიდან მისი განთავისუფლებით დამთავრდა?! მე და რატიმ 10 წლის წინათ შევქმენით ეს თეატრი და ახლა ორივენი დამარცხებულები დავრჩითო, – ბრდღვინავს ბატონი ზურაბი. საოცრად თბილს და მომფერებელს არც დედა დაუტოვებია უყურადღებოდ. სწორედ ასეთი სიყვარულით უყვარდა მას მშობლები, და (რომელიც ამჟამად ამერიკაში სწავლობს და ძმის გარდაცვალების შესახებ არ იცის), მეგობრებიც, ახლობლებიც, მშობლიური ქვეყანაც, უნივერსიტეტიც (სადაც შარშან დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტის მთარგმნელობითი ჯგუფი), იმ კოლეჯის ბავშვებიც, რომელ კოლეჯშიც ინგლისურ ენას ასწავლიდა. ამდენი სიყვარული, ამდენი დარდი და ტკივილი ალბათ ვედარ იტვირთა ცხოვრებით გამოუწრთობმა გულმა. რატის სიცოცხლე ერს, ქვეყანას და ახლობლებს სჭირდებოდა, სწორედ ერი, ქვეყანა და ახლობლები ვერ გავუფრთხილდით მას... საყოველთაო ნიჭილიზმისა და დაუნახაობის ჟამს, საყოველთაო კრიზისისა და შეჭირვების ჟამს ესტუმრა მას დიდი სასოწარკვეთა, რომელსაც ასეთი სათუთი გრძნობის ადამიანები ვერ უძლებენ. ტყვია, რომელიც უნივერსიტეტში გავარდა, მას მარტო თავის თავისთვის არ უსვრია. მან ტყვია ესროლა ჩვენს დღევანდელობას, გაუკუღმართებულ საზოგადოებას, გამაღლებულ ცხოვრებას და ათასგვარ სიბინძურეს. სწორედ ასეთმა ნიჭიერმა ახალგაზრდებმა უნდა თქვან თავისი სიტყვა ხვალინდელი საქართველოსთვის, სწორედ მათ სჭირდებათ მეტი მოფერება და გაფრთხილება. თუ დღესვე გონს არ მოვეგებით, თუკი რატის ეს ნაბიჯი გამოწვევად არ მივიჩნიეთ, ალბათ რატის ბედი დაემუქრება ხვალინდელ საქართველოს. მის მომავალს. დრო კი არ ითმენს, ხვალ უკვე შეიძლება გვიანიც იყოს.

ნათია გამყრელიძე

თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის
რატისეული განყოფილების
III კურსის სტუდენტი

* * *

“დიდხანს კალამი ვაცოდვილე...
ვტანჯე,
და ბოლოს
მუზაზე ლექსის დასაწერად
მუზასვე ვუხმე”.

რატი ნინუა

დავცქერი ცარიელ ფურცელს, რომლის შევსებაც ძალიან მიჭირს. ფიქრი, ნაღველი და ბოლოს მაინც სიცარიელე. ჩემი ასეთი მდგომარეობა თითქოს ცხოვრებას ჰგავს. განცდები, წვალება, ტკივილი და ბოლოს... ამის შემდეგ განა ღირს ცხოვრება? ამ კითხვაზე პასუხი, სამწუხაროდ, რატიმ უკვე გაგვცა. მაგრამ ჩვენ მაინც ვაგრძელებთ ცხოვრებას ცნობისმოყვარეობის გამო. რაღაცას ველით... სასაცილოა და სამწუხაროც, არა?! მომდის უამრავი აზრი, იდეა. იდეა ხომ ორგანული ქმნილებაა, რომლის დაბადება აძლევს მათ ფორმას და ეს ფორმა მოქმედებაა. სწორედ, ამ ფორმის ჩემში დაბადების მეშვეობით მინდა გადმოვცე რატისადმი ჩემი უდიდესი განცდა, ტკივილი. ვერაფერი შეავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც გულში გაწოლილა პირქუში, ბნელი უფსკრულივით. მის ფსკერზე ნიჟარებივით ფეთქავს მოგონებები. განა აზრი აქვს უფსკრულში ჩასვლასა და ნიჟარების – მოგონებების – აჩხარუნებას? აქვს. ჩვენ, მისი ახლობლები, მასზე მოგონებით ვცხოვრობთ? სწორედ თითოეულმა ჩვენგანმა არ უნდა მისცეს ამ ნიჟარებს სიკვდილის უფლება. ყველას უზომოდ უყვარდა რატი და პატივის სცემდა მას, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, საკმარისი არ აღმოჩნდა მისი შენარჩუნებისათვის. ახლა კი მისგან დარჩენილ ნიჟარებს მაინც მოვუფრთხილდეთ საკადრისად და ვეცადოთ, არ “ავუმღვრიოთ დაწმენდილი იდუმალება”. სიცოცხლე, სიკვდილი... ადამიანთა უმრავლესობას ისე აქვს ეს ორი სიტყვა შესისხლხორცებული და ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათ არ სწამთ მესამე გზის არსებობა. რატის იზიდავდა მესამე, შორეული, უხილავი. პოეზიამ ხშირად იცის სულიერი აღმაფრენა და სწორედ ამიტომ მას ასე ძლიერ უყვარდა იგი. მაგრამ ეს აღმაფრენა ხომ წამიერია; მერე ისევ ვბრუნდებით იმ ჭაობში, იმ ცოდვაში, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია. უმრავლესობა არ ცდილობს ამ ჭაობიდან ამოსვლას, არ ეძებს მესამე გზას. არც სიცოცხლე, არც სიკვდილი, მას რაღაც სხვა სურდა. და სწორედ ამ მესამე გზის ძიებას შესწირა თავი. სიტყვა “შესწირა”, არა ჩვენ მაინც ვერ ჩავწვდებით მის ფიქრს, სურვილს, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანი ყოფილა მისთვის. ჩვენ გვეჩვენება, თითქოს იგი მოკვდა. მაგრამ ეს ასე არ არის. იგი გარდაიცვალა. ამ სიტყვას კი, თუ ჩავუღრმავდებით, მივხვდებით რატის მიზანს. მას სურდა უფრო მეტი, იმ განუცდელის განცდა, რომელიც თითოეული ჩვენგანის აზროვნებაში არის თანდაყოლილი, მაგრამ გამიჯნული, გარიყული. ვმიჯნავთ იმიტომ, რომ საკუთარ თავში ვერ ვპოულობთ მისი განცდის ძალებს. ამ განუცდელის განცდის ბედნიერება ხომ რჩეულთა ხვედრია? რატიმ იცოდა, რაც მას ასე გულით სურდა და ეძებდა, ის ძალიან შორს იყო და არ შეემლო თან წაეღო თავისი სხეული. ის ხომ ძალიან მძიმეა.

“და რადგან სიტყვა უძლურია, უნდა გავკუმდე,
ნერგო შვებისა, ცათა წყალით ისევ იზარდე,
სიხარულს შენსას არ ექნება ბოლო აროდეს,
აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე!...”

სოფიო ლარცულიანი

თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის
რატისეული განყოფილების III კურსის სტუდენტი

რატი ნინუას სულიერ სამყაროში ქარი ბობოქრობდა ისევე, როგორც მის სტრიქონებს შორის. იგი თავისი ნებით არ მოუწვევია, უბრალოდ, ბედმა არგუნა. რატომ? – ეს არავინ იცის. მას სტკიოდა. – რა? სტკიოდა შიგნით, მაგრამ არ სურდა, ამით ვინმე შეეწუხებინა, ლექსებში გადმოშლიდა და თავსაც “იშიშვლებდა”. სხეული მისთვის საკანი იყო. სულს თავისუფლება სწადდა, ცხოვრება სურდა, მაგრამ არა ასეთი... უფრო სხვანაირი: თბილი, გაცისკროვნებული, მოელვარე და არა პირქუში, მოღალატური, წაბილწული, რაც ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა...

მისთვის კი ცხოვრების გზა უფრო და უფრო მოკლდებოდა და სადღაც უხვევდა... მისი სამყარო სხვა იყო – განსაკუთრებული, თვითნაბადი, სათუთი, რომელიც “რალაცამ” დაამსხვრევინა თავისივე ხელით... წაართვა იმედი და შემდეგი სიტყვები ათქმევინა:

“მე ცხოვრებისგან თითქმის არაფერს,
თითქმის არაფერს მოველი ახალს...”

– რატომ? ვინ? რამ? – დარჩა კითხვები... პასუხი მხოლოდ რატიმ იცოდა... იგი გაფრინდა, მიატოვა აქაურობა, უდიდესი ტკივილიც დატოვა და სხვა სამყაროს მიაშურა. მაინც შეძლო ბოროტ ბედთან შებრძოლება, რომელსაც სამაგიერო თავისი ფიქრებისა და ოცნებების ლექსებში გაბნევა-ჩაქსოვით გადაუხადა. მით მოახერხა უკვდავი სახის შექმნა, თავისი ნაწერების უკვდავყოფა... და სწორედ ამით შეძლო ორივე სამყაროს შერწყმობა. ორივეში გამოეცადა თავისი თავი... პირველში “სივრცე თბილი, ტკივილი, სევდა და მძაფრი გლოვა” დატოვა და გარდაისახა... მეორეში, სადაც გული მიუწევდა, ყველაზე მთავარი – სული – წაიღო...

ნინო ნანუაშვილი

რატი (ტატო) ნინუას ხსოვნას

ვზივარ მარტოკა ბნელ ოთახში ფიქრად ქცეული,
თითქოს სამყაროს მოვწყვეტილვარ, როგორც ეული.
ნაზ სანთლის ალმა, შემკრთალივით ოდნავ ცახცახა
რალაც მანიშნა და სისხლ-მარღვში შემაცახცახა
სამყაროს აღქმა მთელი სულით, მთელი არსებით
შეძლო, ქვეყანა დაინახა სავსე ავსენით,
სულ ახალგაზრდამ, ვინც ცხოვრების გემო გაიგო
და ბოროტებას ცხრაკლიტული მახე დაუგო.
რატი! ის იყო, ვინც ქართული ნიჭით ცხოვრობდა,
ვისაც უფლისგან ნაჩუქარი ჰქონდა ყოველი,
წახდა ხალისი, გადაგვარდა ერი მეფური,
თბილ გამოხედვას ეპარება სულთქმა ველური,

უმნოდ, მზაკვრულად გაიცინებს ალბათ ეშმაკი,
თუ ჩვენს მიწაზე გადაწვება შავი ვეშაპი.
ახალ თაობას ჩამინებულს სულს უფხიზლებდა,
წერდა და სწამდა სიყვარულის უსასრულობის...
თუ რომელიმე ვერ გაიგებს სიკეთის გემოს,
დაემსგავსება შემრწუნებულ, გათანგულ დემონს.
მისი ნახატი იალქნები ცას დარაჯობდნენ
და სიყვარულით, წმინდა გრძნობით სივრცეს ლოკავდნენ.
არ იქნებოდა მის დიდ სულში მრუდე ღიმილი,
არ დასცდებოდა უსამართლო, მწარე ჩივილი.
ძნელად იპოვი ქვეყანაზე მისნაირ მართალს,
და უყვარს კაცი, ამისთანა, ზეცისა მმართავს.
ის უკვდავია, მისი სული ცხოვრობს მარადის,
არ დაგივიწყებს საქართველო ცოცხლობს მანამდის!

ნინო ნანუაშვილი

ტატობა რუისში

მეგონა, მხოლოდ ზღაპარში იყო,
ასე ლამაზი სოფლის ქარგები,
როცა ვიხილე, გული დადუმდა,
ნისლს გავაყოლე ძველი დარდები.
რუისის ირგვლივ ცეკვავდნენ თითქოს,
მთები, ხელიხელ მჭიდროდ გაყრილნი
და მიდიოდნენ შავი ღრუბლები,
შორს, უიმედოდ რა გულაყრილნი.
სად დაიჭექებს, ვინ იცის ნეტავ,
სად ჩამოსკდება ღრუბელი შავი?
იქნებ მის გულშიც ცოცხლობს სიკეთე
და ამომრავებს გრიგალი ავი.
რუისის მიწას გასცილდა შორით,
მაგრამ თვალი კი ეჭირა მისკენ,
დიდება დიდი სახელოვანის,
თითქოს მიჰქროდა ლეგენდურ მთისკენ.
დღეობა იყო მაისის თვეში
და საჭიდაოს მიჰქონდა არე,
სახელი დიდი ადამიანის,
არ იჩრდილება აროდეს მალე.
რუისის ირგვლივ ცეკვავდნენ მთები,
მწვანეში იწვა სოფელი სრულად
და არც ღრუბელი შორს გარიყული,
არ უყურებდა არავის მტრულად.

რატი

იმ შენს უცნაურ თვალებს დავტირი,
შენს უკურნებელ ტანჯვაზე ვდარდობ,
სიკვდილი თოფით მოინადირე,
სისხლის ჩქეფები ჩვენს გულებს ალტობს.
გაფითრებულან შენი თითები,
გაშავებულა შენი მარჯვენა,
სურათზე ღიმილს მიატირდება
უშენობასთან მარტო დარჩენა.
კუბო სამგზისად ეხლება ქარებს,
უსასოობა სველ გულებს ათოვს...
ქარი საითკენ, სად მიგაქანებს
კუბო ალუჩებს რად გასცდა, ტატო?!
ჩამოიფხვნება საფლაგზე თიხა,
ქარის რიალი მესაზარლება...
შენი გზა ზეცით გადაიტახრა,
გმინვა დაირწა ქარში ზარებად.
შენს მიწასშერთულ სხეულს დავტირი,
ქარს დაგაშფოთებს ზეცა ნანატრი,
სიკვდილი თოფით მოინადირე,
ვიცი და მაინც არ მჯერა, რატი!

11 ივნისი

დარეჯან კერატიშვილი

ტატო ნინუას

„საზარელია დადგომა
უგრძნობელობის გზაზედა“
ვაჟა

„შენ ვერ იგუე გულცივობის მკრთალი სამოსი,
ვით დაჭრილ არწივს, შენც გდიოდა სისხლი ჩქერებად;
ამიტომ მჯერა, რომ არ იყო ძალა ისეთი,
რომელიც შენ და სულსწრაფ მერანს შეაჩერებდა.
სულ იცინოდი, იმიტომ, რომ მწარე ცრემლები
შენი არსების ცხრაკლიტულში გადაგენახა?!
ვერ შეიძელი, დამშვიდებით გეველო თბილისში
და „მათხოვარის ღრმა თვალები“ არ დაგენახა?!“

ვერ აიტანე ერის სულის დანამცეცება
და ძმების ძმებზე ასე უღვთო გადამტერება?! —
შენ დაგვანახე, რომ ამაო არის სოფელი,
როდესაც გულზე მიწა მძიმედ გადაგეყრება!
თეთრი კედლები ხომ ვაქციეთ აისბერგებად
და სიხარულით შემოვერგეთ დროს და ნიღაბებს...
სინდისის ქეჯნად ღმერთმა რატი გამოგვიგზავნა,
და მის საფლავთან ეს შავბნელი ღამეც მინათებს!..
მაგრამ რა ვუყო უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს,
ყველაფერს როგორ ვეგუებით, მხოლოდ ეს მიკვირს!..
რომ დაგვებადა, ქართველებო, მეორე ტატო,
მეორედ რატომ დავანებეთ უღმობელო სიკვდილს!!!

26 მაისი, 2000 წ.

სოფიო გულუხაიძე

ტატო — ჩემი უკანასკნელი სურვილი

მე გაზაფხულზე დავბრუნდი უკან
და შევეცდები ვიშვა მეორედ,
არა ადამად და ცოდვის შვილად,
არამედ წვიმად გაშლილ მდელოზე.
მინდა მრავალი წვეთი რომ ვიყო,
წამლად დავეცე დაგვალულ მიწას
და ეს სიკეთე წვიმისეული
ჯობდეს სიკეთის ძალს ადამისას.
ღმერთს ვთხოვ აწონოს ჩემი სული და
შესაბამისი მომცეს სხეული,
რომ არ მომიხდეს ისევ გაქცევა
და არ შევიქნა ისევ ძლეული.

11.05.02

მ. ლომთაძე

სკოლა „ლომისის“ მასწავლებელი

(სკოლა „ლომისის“ ერთი სევედიანი საღამოს გამომცხილი)

არ მაპატია

(23 წლის რატი ნინუას)

არ მაპატია

გასროლის ექომ.

შიგ გულში დამჭრა, —

დამჭრა უპიროდ,

(თავს არ ვიმართლებ,

ერთი სამიზნეც

ამაოებით ვიყავ უძირო).

არა იმიტომ,

სათვალთვალოდ გავხადე „ძერა“,

შენი „უდაბნო“ მივიჩნიე

ნამერწად — სიტყვის...

რომ დამენახა

ღრუბლიან ცაზე ელვის ნათება,

გაღღობა სისხლის

ნედლი სისხლით

წარსული სისხლის.

არ მაპატია

გასროლის ექომ,

რომ ორგულობაც მზეობდა ჩემით,

რომ ვამბობ — ერთს და ვფიქრობ — მეორეს,

ხოლო მესამეს — ვაკეთებ ნებით.

არ მაპატია

გასროლის ექომ,

შიგ გულში დამჭრა

დამჭრა უპიროდ.

თავს არ ვიმართლებ

ერთი სამიზნეც

ამაოებით ვიყავ უძირო.

ირწევა კიბე უსასრულობის,

უფლის განაჩენს ვერ ხედავს თვალი,

ვით წმინდა იყოს — მსროლელის სული,

ჯოჯოხეთისთვის მე დავრჩე მკვდარი.

26.02.01 წ.

თეა მაჭარაშვილი
ლიცეუმ „ლომისას“ XI კლასის მოსწავლე

შენ ბოროტებას სიკვდილით სძლიე

(რატი ნინუას)

ეს სინანული არ კმარა სხვისთვის,
არცა ცრემლები, ზეცა რომ ტირის...
შენდობას ითხოვ... შეგინდოს ღმერთმა
თუნდაც იმისთვის, რომ იყავ გმირი.
ძერა სტრიქონებს გადუვლის კვლავაც
და აფრინდება ფურცლიდან წიგნის,
თვითმკვლელობისთვის სინდისი სუფთა?
რა იდუმალობს სიკვდილის იქით?
შენ ვერ შესძელი ცხოვრება სხვისთვის
და გაუსწორდი ბოროტ გენიას...
შენ ბოროტებას სიკვდილით სძლიე
და სულში ხინჯი არ დაგრჩენია.
სიწმინდედ იგი გაფრინდა ზეცად,
რადგან აქ ყოფნა იყო ამაო...
თვითმკვლელობას და ულოცველობას,
კვლავ გაპატიებს ტკბილი მამაო.

გაზეთი „მზეკაბანი“, №1, 2001 წ.

გიორგი სიჭინავა

რატომ?

რატიმ მეტეორივით გაიელვა საქართველოს ცაზე, მაგრამ მეტეორისაგან განსხვავებით არ ჩამქრალა, არამედ თავისი ნათელი კვალი დატოვა სამარადჟამოდ. ეს იყო სუფთა, შეურყენელი სულის აციმციმება, ეს იყო იმ ამღვრეულ, ბნელ პერიოდში სიწმინდის გამონათება და თანაც გაფრთხილება. მე მას არ ვიცნობდი. მამამისის, ბატონ ზურაბ ნინუას ნაჩუქარი წიგნით გავიცანი იგი. წავიკითხე და გაცეცხული დარჩი... მინდა მის წამებულ სულს მივმართო: რა მალე მოგისწრია დაღვინება! რა ადრე დაბრძენებულხარ! შენს ლექსებს, შენს მინიატურებს მრავალჭირგამოვლილი, ცხოვრებაში ღრმადჩახედული კაცის ხედვა ატყვია. შენ იმ დროს წახვედი ამ ქვეყნიდან, როცა ქართველის ხელით ქართველი კვდებოდა, როცა ძმა ძმას არ ინდობდა და ცოდვის კალო ტრიალებდა საქართველოში. სხვისთვის არ გისვრია, საკუთარ თავს ესროლე! რატომ? ამ კითხვას ცალკე ვერავინ გასცემს პასუხს. მასზე მთელმა საქართველომ უნდა იფიქროს.

პოეტური შუალედი – სიცოცხლიდან სიკვდილამდე

ისე ახლოა ღმერთი და სული, ლამისაა თვალებით შეეხო და მზერის უკიდევანო არეალში მოამწყვდიო მდინარება მისი. ღრუბლის თავშალში გახვეულა ცრემლი და დარდი ატირებული ლექსებისა, რომლის მეკალმე და შემოქმედი ცაში აფრენილა და მზეს სხივად მიმატებია. მიწას არილად დამდგარი სხივნათელი თვალთახედვაა მისი, ატმის ყვავილში ჩასხმული ფერთა ლივლივი მზერითი ფუნჯგონია მისი და ურთას ზღაპრებისა და დევების ლეგენდა უბერებელ მთაზე დღემუდამდელი ღიღინიც მისი ხმაა. ეს კაცი, ეს სხივდანთებული ალამდარი – რატი (ტატო) ნინუა, ლექსად დაბადებული და პოეზიად ქმნილი. ურთას მთის რაობაზე გაამახვილებს უცილოდ მკითხველი ყურადღებას, ამიტომაც შევესიტყვები ინტერესს მისას და ვეტყვი: ნინუების ოხვამე, ანუ სალოცავი, კოლხეთის შუაგულში ამომზერავებულ ურთას მთაზე მდებარეობდა. ლაზი ნინუები, იგივე ნინუშები, რომლებიც იყვნენ დიდებული ოსტატები გემისა და სანდალის აშენებისა, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, თავიანთი გვარის ხატობას არ გამოტოვებდნენ თურმე. ნინუა პროფესიის აღმნიშვნელი გვარია. ამ გვარის წარმომადგენლები მონინუების – ფიცრის წებოთი ერთმანეთთან მიჯრის – უძველესი ოსტატები ყოფილან. იმ დროისათვის ამ საოცარი წებოს დამზადების საიდუმლობა ამ გვარის საკუთრებას წარმოადგენდა. მონინუებით აგებული გემები უფრო მეტ ხანს სძლებდნენ, ვიდრე მის გარეშე ქმნილნი. ამის შესახებ ტატომ არაფერი უწყოდა; რომ სცოდნოდა, ან ოჯახში იტყოდა, ან მეგობრებთან, ან ლექსად ჩამოასხამდა, ან სხვა ფორმით აასტრიქონებდა, მაგრამ არა! ეს ყოველივე ახლახან გაცხადდა თურქეთში მცხოვრები ლაზი ნინუებისაგან. – ჩვენ, ნინუშები, ე. ი. ნინუები ზღვისა და გემის კაცები ვართო!

როგორც უკვე ვთქვით, არ უწყოდა ტატოს გონმა ყოველივე ეს, მაგრამ გენმა იცოდა, სისხლმა იცოდა და გენეტიკურმა ძალამ, რომელიც შემდგომ ამოტალღავდა, ამოზღვარდა ტატოს “სინდბად მეზღვარად”. მიუხედავად ყველაფრისა, თუნდაც ამ “ყველაფრის” გათვალისწინებით, ადამიანი საოცრებაა. მას შეუძლია თავის თავს გაექცეს, ღმერთს თავი მიუძღვნას ან არ მიუძღვნას, სიცოცხლე აღიაროს ან არ აღიაროს, მაგრამ უმთავრესი, რომელსაც ის ვერ გაექცევა – გენია). მიწაა, ნიადაგია, რომელზედაც თავადაა ჩათესილი, ჩარგული და აღმოცენებული. ამის უარყოფა კი არარსებობაა საერთოდ. მითაჟამინდელ კოლხ-ლაზთა გენეტიკურ ხაზზე ვერტიკალურად სიარულს ტატომ ჰორიზონტზე აჭრა ამჯობინა. მას, ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, ზურგზე ხელების მიჯრით არხეინად სიარული არ შეეძლო. სხვა რა ექნა ტატოს, როცა უფლისეულ სიდიადეზე ანგელოზთა ბიბლიური ჩურჩული შეუსვენებლივ ჩაესმოდა ყურში და სულიერად გასპეტაკებულს, როგორ აეტანა წუნწუხი ესე, რომელსაც, სამწუხაროდ, ისე შეეგუა “ერი საზეპურო”, რომ პროტესტის უნარიც კი დაკარგა. ტატომ კი პირიქით, პროტესტი გამოუცხადა ყოველივე ამას, საერთოდ სიცარიელეს და, დიდი წინაპრისა არ იყოს, მთელი სამყარო დუელში გამოიწვია. დუელი შედგა, სამყარომ დაასწრო და... ფრიიი... სულს სინონიმი ვერ მოემეზნა, ანტონიმი – ადვილად და ხორცი ეწოდა. მიჰქრიან ჟამით-ჟამამდე ჟამიერი წელთა ჟამები და ებრძვიან სული და ხორცი ერთურთს. ტატოს არსში სულმა გაიმარჯვა და... ფრიიი... რატი ნინუასთან ერთი გასაუბრებაც საკმარისი იყო, რომ ღმერთთან დაღირებული მისი სულის სისპეტაკე გერწმუნა და ხმამალა თუ არ იტყოდი, გულში მაინც გეფიქრა – ეგ, ღმერთმანი, ზეადამიანიაო! ტატოს გენური უწყვეტობის მარადიულ საკითხს დავუბრუნდეთ. ტატომ, შინაგანად ზღვაც რომ იყო და მეზღვარიც, ეს ცხოვრებით დაამტკიცა. მისი სული შტორმივით ცას მიეტალდა და:

“ზღვაში ჩამენთქა ოცნება,
 ულურჯეს ზვირთთა წიაღში,
 მისი ხმა, ვით გაოცება,
 ცივმა ტალღებმა მიახშეს.
 უსასრულობა დაფერა
 ცრემლების ტბორმა და გუბემ,
 ზღვამ ზეცა გაინაპირა
 და ჩემი ფიქრიც დაღუპა,
 დაღუპა როგორც ხომალდი,
 სავსე განწირულ ძახილით,
 ფანჯრიდან სივრცე ბოლავდა
 და ზღვების ღმერთის სახელი.
 თუ დამარწყულეს ლოცვებმა,
 სანთლები ზეცას მიენთო,
 მე ვაპატიებ ოცნებას,
 ზღვას გემივით რომ მიენდო”.
 (“ზღვაში ჩამენთქა ოცნება”)

პოეტი პატიობს თავის თავს, ზღვას ყველაფერი რომ დაუთმო, ბოლომდე შეჰყვა სიღრმისკენ წამტყუებელ სივრცის მიზიდულობას. მის ძარღვებში უძველეს კოლხთა ზღვისფრადნაფერი სისხლი ტალღაობდა მიტომ. როცა რატი ნინუას “სინდბად მეზღვაური” გამოიცა, მაშინ არც მე და არც არავინ უწყოდა, საიდან – ზღვასთან ასეთი ნათესაობა. ახლა კი გამოჩნდა რატომ, როგორ, რანაირად, საიდან და...2000 წლის 10 მაისის დილას, 23 წლის ასაკში დაასრულა სიცოცხლე რატი ნინუამ. მშობლიურ უნივერსიტეტში (პაოლო იაშვილის დარად) მოიკლა თავი... უფრო სწორად, ბოროტმა სულთქმამ და გულთქმამ გაისროლეს ის საბედისწერო ტყვია. ისე, ტატო ნინუა თან-თან რომ შორდებოდა ცხოვრებისეულ სიბინძურეს და მიდიოდა, ეს მის სტრიქონებში ნათლად იკითხება: “მე ცხოვრებისგან თითქმის არაფერს, თითქმის არაფერს მოველი ახალს”. ტატო ნინუას დიალოგი უფალთან დასტურია იმისა, თუ რა ევალება შემოქმედს იმ გზაზე, რომელსაც მას განგება უწყესებს წესად და რიგად. “ჯერ შენს სამშობლოს უნდა მისცე ლექსები მსხვერპლად, მის სამსხვერპლოზე უნდა დასდო თავი – ზვარაკი და მხოლოდ შემდეგ მოიპოვებ ბედნიერებას”. და კიდევ “...ჯერ ერთან წადი... მას უნდინარ... შენი ლექსები მას ანაცვალე და მე კი გზა დამილოცნია!...” ასე მიმართავს მას ზენაარი და უმძაფრებს განწყობილებას, რომელზედაც დამოკიდებულია პოეტის დღეცა და ხვალეც. ხვალე, რომელიც ისეთი ბურუსითაა გაჯანღული, რომელზეც პაოლო იაშვილი იტყოდა:

“...დუმს სიკვდილივით დღე ხვალინდელი,
 ამო ხედვებით გამოთანგული...”

თავად ტატოს პაოლოსთან სულიერი ნათესაობა აკავშირებდა, თავისი სადიპლომო ნაშრომიც პაოლოზე გააკეთა – “პაოლო იაშვილის თარგმანის სტილისა და თავისებურებათათვის”. ერთხელ, რუსთაველზე, პაოლოზე ვსაუბრობდით ტატო, ლამა ბექაური და მე. მახსოვს, ბექაურსაც ემახსოვრება უცილოდ, ტატომ თავისებური ღიმილით, ინტერპრეტაცია რომ გაუკეთა პაოლოს ცნობილ სტრიქონებს:

“ისე დაზრდილან ჩვენი იხვები,
 რომ პეპლაობა დაიწყეს კიდევ...”

ასეთი, რადგან ირად თავისებური, სიყვარული იცოდა... უკეთილესი ადამიანი იყო რატი. ტატოს აქვს ერთი მეტად ყურადსაღები მინიატურა “რომანტიკის სიკვდილი. XX საუკუნე”. ამ მინიატურაში კვდება ოცნებებისა და სილამაზის პოეტური რაში, ცხენი, რომელიც ოთხახმით გამოექანა მეცხრამეტე საუკუნიდან, რომანტიზმი გაიმხედარა და ახლა ამ ყიამეთ უსასრულობაში გადაიჩეხა... XX საუკუნემ მოკლა...

ტატო ხომ რაში იყო, უნაგირშეუდგამი მერანი და სივრცის მხედარი, რომელიც ვერა და ვერ შეეგუა სიმადლეების, თვალმიუწვდომის დამცრობას და “ცხენი ელვის უსწრაფესად შედგა, უცებ დაეცა და მოკვდა. ცაზე ლაპლაპებდა შავი მზე მეოცე საუკუნისა” – ეს ტატოს სიტყვებია და რაა გასაკვირი, რომ სხივად გაჩენილ შემოქმედს ვერ გაეძლო მზის გაშავებისათვის, დაბნელებისათვის და უფრო მაღლა, მნათთა საბუდარისაკენ ავარდნილიყო ლექსად და ოცნებად. “ედმონდ დანტესი” ჰქვია ტატოს დიდებულ მოთხრობას. მის ბავშვურ ოცნებას სიმღერასავით გადმოჰყვა “გრაფ მონტე კრისტოს” ცისფერი, ღია თვალებით დანახული პასაჟები, რომლებიც ვერა და ვერ მოიცილა პოეტმა და პროზაულად გადმოამდინარა. ედმონდი – თავად ტატოა, ამო ცხოვრების ზიზილ-პიპილით ვერ გაკვირვებული ახალგაზრდა მეოცნებე, რომელიც წარსულის ნოსტალგიის მნათზე – ლამპის შუქზე კითხულობს და წერს, არ ესიტყვება ყოფით გაბღენძილ ვინ-ვინებს და ბუნებრივი სიდიადით პოულობს სიყვარულს. უფრო სწორედ, მასთან სიყვარული თავისი ფეხით მიდის, რადგანაც თავადაა სიყვარულისთვის ქმნილი და ამ უდიადეს გრძნობას ეწირება ბოლოს. ტატო სიყვარულს შეეწირა! ტატომ ვერ აიტანა სიყვარულის, საყვარელი სახეების ბოროტებისაკენ მზერა და წავიდა... საჩუქრად დაგვიტოვა უდიდესი ლიტერატურული მემკვიდრეობა, საფასურად არაფერი მოუთხოვია და როგორც ყველა ზნეკეთილ ადამიანს შეჰფერის, იმდენად ფართოდ გაახილა თვალები, რომ თავის თავში ვერჩატეული სამყარო იმ ფართოდ გახელილი თვალების მზერაში ჩაატია!.. ამ პატარა წერილით ტატოს გახსენება შევძელი მხოლოდ, მეტის პრეტენზია ამჟამად არცა მაქვს. ისე, ტატოს შემოქმედებას, მის პიროვნებას ერთხელაც იქნებ ჩავუღრმავდე და მოზრდილი ესსეს სახით წარვუდგინო მკითხველს. მზეს ერთხელ სხივი დაეკარგა, ის სხივი წარმომავლობით კოლხურ-ლაზური იყო. იმ სხივს, არ გაგიკვირდეთ, ტანზე ლექსები ეცვა, გულზე პოეზიის ზღვისფერი ვარდი ებნია და იმ სხივს რატი (ტატო) ნინუა ერქვა. დიახ, ტატო, რატი, ტატო ნინუა – სინდბად მეზღვაური და მითაჟამინდელი დიდოსტატი სულსა და სივრცეში მოცურავე გემთა აგებისა...

ამბროსი მელქაძე

რატი ნინუას

თავი მოიკლა. რატომ —
კითხვაზე პასუხი რჩება გაუცემელი
და სევდა გულში დაუტეველი
ოცნებას დაღვრილს სისხლისფრად ათოვს.
დამნაშავეა, ხომ რაღაც, ვიღაც,
მაგრამ არავინ არ ეძებს მიზეზს;

უსამართლობას ესროლეს იმ დღეს
და საჭიროა, რომ ესეც ითქვას.
როგორც პაოლოს,
მისი ტყვიაც აცდება მიზანს
გაურკვეველი და უთავბოლო.
არავის ვიცავ,
ერთი რამ ფაქტია —
დღეს საქართველო
მძორივით აგდია.

2000 წ.

მერი გაბრიამე

„ოღონდაც ნუ დავიღლები ამ ბწკარების წერით“...

ტატო ნინუას ლექსებს როცა კითხულობ, ძნელი დასაჯერებელია, რომ მისი ავტორი მოსწავლეა და მკითხველი სულ ორიოდე წლის წინათ შეხვდა მას. ჯერ საქართველოს რადიოთი და შემდეგ ტელევიზიითაც წარსდგა მსმენელის წინაშე, შემდეგ გაზეთ „ნერგის“ ფურცლებიდან გაესაუბრა იგი თავის თანატოლებს. ეს შეხვედრები ფეხბედნიერი გამოდგა. ტატოს ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ ბიბლიოთეკა „ნობათში“. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ რედაქციამ მკითხველთა წერილები მიიღო. და აი, ამ დღეებში „ნობათში“ კვლავ შესთავაზა საზოგადოებას ტატო ნინუას ლექსები. შვიდი წლის იყო ტატო ნინუა, პირველი ლექსი რომ დაწერა. იგი დედას მიუძღვნა.

იზრდებოდა ავტორი და ფართოვდებოდა მისი ინტერესების სფერო. მაინც, რაზე წერს ნორჩი პოეტი? სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაზე, ადამიანის ადგილზე ცხოვრებაში, დროზე, ჩვენს სახელოვან წინაპრებზე, საკუთარ მიწა-წყალზე. მის თავისუფლებაზე და ყველაფერ ამას თავის პოეტურ წარმოსახვაში უძებნის საკუთარ ფორმას და შინაარსს. სულით ხორცამდე შესძრა ბიჭუნა 9 აპრილის ტრაგედიამ. თავისუფლებისათვის დაღუპულ თანამოქალაქეებს მიუძღვნა ლექსი „რუსთაველის რაინდები“, რომელიც დაღუპულ პატრიოტთა ხსოვნისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო საღამოზე წაიკითხა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. შემდეგ ეს სულისშემძვრელი რექვიემი აჟღერდა თბილისის სომხურ თეატრში, სამგლოვიარო მესაზე. ტატოს ნიჭმა მოხიბლა თელაველებიც, როცა ლალი მიქავას „მუსიკალურ თეატრთან“ ერთად მან მონაწილეობა მიიღო 9 აპრილისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო საღამოზე თელავის სახელმწიფო თეატრში. აპრილის ტრაგედიამ ტატოს სულს მოურჩენელი იარა დააჩნია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამირს მერაბ კოსტავას მან არა მარტო ლექსი უძღვნა, არამედ დახატა კიდევ სამშობლოს ერთგული შვილის პორტრეტი. სხვათა შორის, „ნობათში“ გამოქვეყნებული ლექსების ჰონორარი ტატომ გადარიცხა მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში. და კიდევ ერთი: იგი არის ინიციატორი თბილისის I საშუალო სკოლის წინ აშენდეს 9 აპრილის სახელობის ხეივანი. მანვე მოამზადა ეს წინადადება, დახატა კიდევ თავისი ჩანაფიქრი, რომელსაც ქალაქის ხელმძღვანელობამ დაუჭირა მხარი. საქმე დაწყებულია და, ალბათ, ხორცსაც მალე შეისხამს; ტატო ნინუა თბილისის I საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეა.

ქართულ ენასა და ლიტერატურას დინა გეგენავა ასწავლის, რომელიც ტატო ნინუას კეთილი მრჩეველიცაა. გამომცემლობა „მერანი“ აპირებს გამოსცეს ტატოს ლექსების წიგნი, ასევე ისრაელში გამოვა ქართველ და ებრაელ ახალგაზრდა პოეტთა ლექსების კრებული, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან ეკა ბაქრაძე და ტატო ნინუა; ტატოს ლექსებს დაბეჭდავს ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „ალაზანი“. ...ოღონდაც ნუ დავიღლები ამ ბჭვარების წერით“... — ამბობს თავის ერთ-ერთ ლექსში ტატო ნინუა. ნურც დადლილიყოს პოეზიის ლამაზი ქვეყნისაკენ მიმავალ გზაზე ნორჩი პოეტი.

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“,
1991 წლის 16 აპრილი
(აგრეთვე დაიბეჭდა გაზ. „ნერგში“, 1992 წ. №12 და
გაზ. «Вечерний Тбилиси» - ს
1991 წ

ავთანდილ ადეიშვილი

სული მამისა

ზურაბი – პოეტი რატი (ტატო) ნინუას მამა. შვილმა საზოგადოებას აუწყა თუ ვისი გორისაა”:

“ბოროტთა ზავით ვერ შეკრულო,
ნელა თეთრდები
თითქოს არა ხარ შენ დადლილი,
დიმს არ იშორებ, მაგრამ მე ვიცი...”
(“სონეტი მამას”)

აქ დაასრულა შვილმა “მამის სონეტი”. მეც ვიცი, ვინ არის ზურაბ ნინუა, ამბოხი რომანტიკული სულის, ქეიფის – ლექსის, კრივის ორდენის, რეჟისორ-რაინდი. მთელი სიჭაბუკე საქართველოს განთავისუფლების იმედიან წარმოსახვაში გაატარა. ზურაბ ნინუა თელავის კოლორიტულმა პიროვნებამ ჯემალ ზაალიშვილმა გამაცნო და დამამეგობრა. იმ ჟამიანობისას მოგვქონდა კაცური ზნეობა, ქართული სიტყვის ხატოვნების სიყვარული, ქალისადმი ტრფობის სინატიფე და უფროსის პატივისცემა. ახლა ამას ყველაფერს საბჭოურ გადმონაშთად გვითვლიან და “ახალუხები” გვიყიჟინებენ: “დაჰბერდით სახლში ნუხართო”... აზრი ცხოვრების გაგვიუფასურდა. უაზრობიდან ქართველობის რწმენის აღორძინება თულა გამოგვიყვანს. ეს უსასრულო რომანტიზმი ზურაბ ნინუამ შვილს – ტატოს უბოძა. პოეტმა კი ღვთიური ნებით ამბოხება ლექსად შემოაჯირითა და გალაკტიონივით აზრის ცისარტყელად ჩამოფერა:

“სტრიქონებს შორის სივრცეა თბილი,
ტკივილი, სევდა და მძაფრი გლოვა,
სტრიქონებს შორის იმღვრევა – დილა
და დასველებულ ფერების გროვა.
სტრიქონებს შორის ზღვა ფეთქავს წყნარი,
ლაჟვარდი ქაფით სავსე სიღრმეა.
სტრიქონებს შორის თარეშობს ქარი,

ქარი რომელიც მე არ მიხმია.”

ტატო ნინუასათვის სიცოცხლე დაუნდობელი აღმოჩნდა და გარდაცვალებას შეუერთდა, რომ გახლეჩილი ერი გონს მოეყვანა:

“ცა დასცქერის გმირი ბავშვის ცხედარს,
ცა დღეს მის სულს აიტაცებს ნეტარს,
მიწა სამჯერ იუცხოვებს
და მეოთხედ ძლივს იგუებს,
მხოლოდ ტყვიით შეჩერებულ მხედარს”...

რატი ნინუას ამ სტრიქონებიდან ჩანს, რომ მას საკუთარი ბედისწერის წაკითხვა შეეძლო მისი ღრმა ფილოსოფიური შემოქმედება მარად სიახლის ხელოვნებაა, მისი პოეზია კლასიკური ლექსის ფორმას ეყრდნობა, მისი წყობილსტყვაობა ავანგარდისტულია...

“დამესიზმრა სულის ზეცა,
ცოცხალი და ბევრად შორი.
ცოცხალს ჰგავდა თვითონ მზეცა,
მაგრამ, ღმერთი, იყო ორი”...

აჰა, მერანი მოჰქრის, უმხედროდ ტატო ნინუას მერანი და თქარათქურით ამაღლებულ პოეზიას მოაჯირითებს...

17.03.05

ჟურნალ „ნობათის“ კონკურსის ლაურეატები
გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 15, 1994 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირში შეჯამდა ჟურნალ „ნობათის“ ლიტერატურული კონკურსის შედეგები. კონკურსში მონაწილეობა მიიღო სამოცდაოთხმა ახალგაზრდა ავტორმა რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან. ჟიურის გადაწყვეტილებით პრემიები მიენიჭა:

1. ირინე ბაქანიძეს — მოთხრობისათვის „ოდეს ღმერთები ნადირობდნენ“.
2. ტატო ნინუას — ლექსებისათვის.
3. თამარ მაისურაძეს — ლექსებისათვის.

პრემირებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ჟურნალ „ნობათის“ წლებიდან და შემდეგ წლებში.

მერი ნამორაძე

რუისელებმა „ტატობის“ დღესასწაული დააწესეს

ახალგაზრდა პოეტის, რატი (ტატო) ნინუას ტრავიკულად დაღუპვის წლისთავზე ქარელის რაიონის სოფელ რუისმა ახალგაზრდული სახალხო დღესასწაული „ტატობა“ დააწესა. ტატო სწორედ ამ სოფელში გაიზარდა. რუისელებმა ტატობის დაწესებასთან ერთად შექმნეს კულტურის ცენტრი „მოყმე“, სადაც გაერთიანდა რუისის მოსწავლე-ახალგაზრდობა. შემოქმედებითი მიზნები ფართოა — ხელოვნება, სპორტი, მეცნიერება, ლიტერატურა. „მოყმის“ საპატიო წევრებად რუისელებმა მიიწვიეს: რ.მიშველაძე, ლ. სანიკიძე, თ. წივწივაძე, გენო გალანდია, რუსუდან ჭანტურიშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, ვახტანგ ბალავაძე, ლევან თედიაშვილი და სხვები. თბილისელმა სტუმრებმა, რუისელებმა და მიმდებარე სოფლის ახალგაზრდობამ თავი მოიყარა რუისის პირველი საშუალო სკოლის ეზოში. დაათვალიერეს „მოყმისადმი“ გამოყოფილი შენობა, სადაც გამოფენილი იყო ახალგაზრდების მიერ მოწყობილი კუთხეები, სამომავლო სამუშაო გეგმა. ეახლნენ რუისის ცნობილ ეკლესიას და სანთლებიც დაანთეს. დღესასწაული მრავალჟამიერით დასრულდა.

გაზ. „ახალი თაობა“, №140, 2001 წ.

„ტატობა“ რუისში მეორედ აღნიშნეს

რუისელებმა სახალხო დღესასწაულად აქციეს „ტატობა“. მათი ღირსეული შვილის, უნიჭიერესი პოეტის და მთარგმნელის ტატო ნინუას პატივსაცემად წელს მეორედ შეხვდნენ ღვთაების ეკლესიასთან ქარელის რაიონის გემგეობის, სოფელ რუისის საკრებულოს წარმომადგენლები, თსუ-ს სტუდენტები, პოეტები, მწერლები. მამა გაბრიელმა საგანგებო ლოცვა-კურთხევა აღავლინა ყველა ახალგაზრდის, ადრე წასულის მოსახსენიებლად. სტუმრებთან შეხვედრა პირველი საშუალო სკოლის ეზოში ლექსის ზეიმით გაგრძელდა.

გაზ. „ახალი თაობა“, №142, 2002 წ.



ცრემლის ზღვაში დაკარგული ალუბლის იაღქანი ერთი კარგი ბათუმელი ბიჭის გახსენება

ქართულ პოეზიას არაერთი ახალგაზრდა პოეტის სიცოცხლე დაუკარგავს, ბედისწერისა თუ შემთხვევითობის წყალობით, თუმცა მარადისობაში გადასული მათი სახელები და პოეზია ცოცხლობს და სიყვარულის იმ მდინარეს ერთვის, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. მათ შორისაა ერთი, ძალიან ლამაზი, ნიჭიერი და მართლაც გამორჩეული, წარმოშობით ბათუმელი ბიჭი-ტატო (რატი) ზურაბის ძე ნინუა, რომლის უეცარმა სიკვდილმა თავზარი დასცა იმ ადამიანებს, რომლებიც მას იცნობდნენ და იმათაც, ვინც მას საერთოდ არ იცნობდა. არავინ იცის, რა მოხდა, ვიცით მხოლოდ ის, რომ ქართულმა პოეზიამ დაკარგა ერთი საოცრად ლამაზად ანთებული სანთელი, საქართველომ კი ერთი უმშვენიერესი შვილი, რომლის მსგავსნი, არასოდეს გვემეტება დასაკარგავად. ბევრს აღარ გვაგარძელებ და ვეცდები, ქართულ პრესაში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, წარმოვაჩინო უნიჭიერესი ახალგაზრდა პოეტის, მთარგმნელისა და მკვლევარის სახე, რომელიც უთუოდ აკლია მის ოჯახს, ახლობლებს, დღევანდელობას და საერთოდ, ჩვენს ისედაც პატარა ქვეყანას, რომლისთვისაც უდაოდ დიდი ტრაგედიაა თითოეული ღირსეული ქართველის სიკვდილი – ტატო ნინუა კი მართლაც ასეთი იყო. როცა მისი ლექსების კრებული “ალუბლის იაღქნები” იხილეს პოეზიის მოყვარულებმა, მაშინ ტატო თბილისის პირველი საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასელი გახლდათ, ასე აღინიშნა ფართო ასპარეზზე მისი პოეზიაში დაბადება, თუმცა იგი პატარაობიდანვე იყო აღიარებული, იბეჭდებოდა ჟურნა-გაზეთებში, უსაუბრიათ ტელე-რადიოშიც, დამეთანხმებით ამ ასაკში ასეთი აღიარება, რჩეულთა ხვედრია, 1992 წელს მისი ლექსები პარიზში ქართულ სათვისტომოს ჟურნალ “გუშაგში” დაიბეჭდა. ნიჭიერებით, გარეგნობითა და კეთილშობილებით გამორჩეულმა ახალგაზრდამ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისადმი მიძღვნილ საღამოებში მონაწილეობდა. ტატო იყო ძალზედ ახალგაზრდა, რომელმაც დროის მცირე მონაკვეთში ჩაატია ზოგიერთისთვის ათწლეულობით განვლილი სიცოცხლე, მისთვის გაზაფხულის ულამაზეს თვეში მოვიდა შემოდგომა, რომელიც იმდენად ბარაქიანი იყო, რომ ერთი კაცისათვის მნელად სატარებელ ტვირთს დაემსგავსა. სპეციალისტები – შექსპირის, ბაირონის, პუშკინის, ესენინის, სლოვიცკისა და სხვათა ნაწარმოებებს. ტატომ განსხვავებული ხელწერის სამეცნიერო კვლევითაც დატოვა თავისი ნაკვალევი – ქართველი მეცნიერები უმნიშვნელოვანეს ნაშრომად მიიჩნევენ ნიშნებს ფილოსოფიის რელიგიურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში ტატოს მიერ მომზადებულ ნაშრომს... და როცა მისი ოცნების ალუბლის იაღქნიანმა ხომალდმა ცრემლის ზღვაურში შეცურა, ალაპარაკდა სრულიად საქართველო: “სხვა კაცი იყო, საკუთარ ალში დაიფერლა და ადრე წასულ გენიალურ ჭაბუკთა გუნდს შეუერთდა”... წერს ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი. “და იგი კვლავაც განაგრძობს წვას იმ ხატის წინაშე – საქართველო რომელსაც ჰქვია”... მუხრან მაჭავარიანი. “ზღვაურის ხმაურში ძალზე შორს გაჰყოლია გრძნეულ იაღქნებს”... ანა კალანდაძე. “ეს ხომ მთელი საქართველოს ობოლი ცრემლია”... თამარ ჯავახიშვილი. “აჰა, მერანი მოჰქრის, უმხედროდ ტატო ნინუას მერანი და თქარათქურით ამადლებულ პოეზიას მოაჯირითებს”... ავთანდილ ადეიშვილი. “ტატოს ნიჭის ნაშუქი სხივი, მჯერა, ქართულ კაზმულ სიტყვიერებას, ოქროს სირმად ჩაეწნება”... ფრიდონ ხალვაში. “ძალზე

სჭირდება მის ხალხს ის, რაც სიკვდილს გადაურჩა”... ოტია იოსელიანი. “იგი ქართველია თხემით ტერფამდე, ღმერთმა გამოგვიგზავნა, რათა თვალნათლივ გვეხილა თუ როგორები იყვნენ დიდი საქართველოს შვილები ოდესღაც, ვამაყობ, რომ ჩემმა ერმა დაბადა რატი ნინუა”... გურამ პეტრიაშვილი. ძნელია ყველა ჩამოთვალეთ, მაგრამ ფაქტია, საქართველოში ცნობილმა მწერლებმა, პოეტებმა, თუ საზოგადო მოღვაწეებმა, თავისი წილი ცრემლით დაიტირეს ახალგაზრდა კოლეგა, რომლის ბედისწერასაც ალბათ ვერავინ შეცვლიდა... შიდა ქართლის ამ მეტად ლამაზ ისტორიულ და ფესვმაგარ სოფელ რუისში, დედით ქართლელ პოეტს ტატოს უკვდავსაყოფად, ყოველი წლის 16 მაისს აღინიშნება “ტატობა”, ნამდვილი სახალხო დღესასწაული, გივი პაპა სულხანიშვილის მიერ ნაბოძებ კარ-მიდამოში კი, სახლ-მუზეუმი დააკანონეს, შეიქმნა აგრეთვე ახალგაზრდული კულტურის კერა “მოყმე”, ქუჩას მისი სახელიც დაარქვეს ... ზღვასა და წვიმაზე უზომოდ შეყვარებული ბიჭის პოეზიის სადამოს, მისი უსაყვარლესი და მშობლიური ქალაქი – ბათუმიც უმასპინძლებს. ტატო ნინუას ხსოვნის სადამო უპირველესად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ კი, ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართება და იმედია, უდროოდ წასული პოეტის სახელის მოფერებას ბათუმელები ისეთი სიყვარულით შეძლებენ, როგორც სჩვევიათ.

გაზეთი “აჭარა” 3.08.06



„სული არწივი — ამაყი და პავსკობის ნაბჯემი“

დღეს ყოველ ნაბიჯზე ტკივილსა და გაჭირვებას შეხვდები, მაგრამ ზოგჯერ ხდება ისეთი ტრაგედია, რომელიც ყოველდღიურობისგან გაფხიზლებს. მასთან შედარებით ყველა ტკივილი ფერმკრთალდება. . .

ამ დღეებში თავისი ნებით გაგვმორდა უნიჭიერესი ახალგაზრდა რატი ნინუა. პოეტი, მთარგმნელი. მიზეზების ძიება ძნელია, მაგრამ ყოველგვარი მიზეზის გარეშე საშინელი ტრაგედიაა, როცა ნიჭიერებით გამორჩეული 23 წლის ახალგაზრდა ასე ასრულებს სიცოცხლეს. ეს ფაქტი ალბათ დააფიქრებს მის მეგობრებსა და არა მარტო რატის თაობას. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, მეგობართა მოგონებებში გავაცოცხლოთ რატი და გავაცნოთ ახალგაზრდა პოეტის შემოქმედება.

ინგა წერეთელი: რატი ჩემი მეგობარი იყო. მასზე საუბარი ძალიან მიმიძიმს, მაგრამ მინდა ამ მცირედით მაინც გამოვხატო თანაგრძნობა. რატის ხომ ბევრი არ იცნობდა, არადა ნამდვილად იმსახურებდა მეტ ყურადღებას.

ჩვენს თაობას გულგრილობასა და ინერტულობაში სდებენ ბრალს, ალბათ ნაწილობრივ მაინც სამართლიანადაც, რადგან ინერტულები მართლაც ვართ, მაგრამ არა გულგრილები. ჩვენ რომ იშვიათად გამოვხატავთ პროტესტს, არ ნიშნავს იმას, რომ არ გვადლევენ ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, უბრალოდ, ჩვენ შეგუებას ვარჩევთ. სამწუხაროდ, ბრძოლის უნარს მოკლებული თაობა ვართ. რატი არ იყო ერთ-ერთი ჩვენთაგანი. მას არ შეეძლო უბრალოდ შეგუება. ის არასოდეს ყრიდა ფარ-ხმალს, გულისტკივილს თავისი შემოქმედებით გამოხატავდა. საოცრად მგრძნობიარე იყო, ყველაფერს, რაც დღეს ხდება, ავადმყოფურად მტკივნეულად აღიქვამდა, ეს მისი საკუთარი ტკივილი იყო. როგორც ჩანს, არ შეეძლო ამ ტკივილით ცხოვრება... მისთვის აუტანელი იყო ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი სიყალბე, ფუჭი პომპეზურობა, სიცრუე. რატი სულ სხვა საქართველოზე ოცნებობდა...

რატომ? დღეს ყველას უჩნდება ეს კითხვა და მართლაც, რატომ უნდა მისულიყო ასეთ სასონარკვეთილებამდე ახალგაზრდა, უსაზღვროდ განათლებული და ნიჭიერი ბიჭი? ამაზე საუბარი ძნელია, რადგან კონკრეტული მიზეზი არ არსებობს. მაგრამ ამავე დროს არსებობს მთავარი მიზეზი და ის, ვინც რატის იცნობდა, კარგად მიხვდება, რომ მისთვის ეს მიზეზები იკმარებდა და იკმარა კიდევ.

ვნახოთ, როგორ ესაღბუნება რატის ბობოქარ სულს მის მიერ სათარგმნელად შერჩეული ბაირონის ლექსიც კი.

გაზეთი “არგო” № 29. 2000 წ.

სიცოცხლესთან ერთად იქვე სიკვდილიც იბადება

რამდენიმე დღის წინ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ედვარდ რაუპის სახელობის ბიბლიოთეკაში მოეწყო ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა პოეტის, მთარგმნელის, ლიტერატურის კრიტიკოსის, ფილოსოფოსის რატი (ტატო) წინუას სალამო, რომელსაც ესწრებოდნენ: რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ზაზა ცოტნიაშვილი, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. სალამოზე შედგა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის „იესოსადმი (ლოცვის მაგიერ)“ პრეზენტაცია გორის საზოგადოებისათვის, რომელიც ტატოს შემოქმედების შესახებ არის გადაღებული.

იგი დაიბადა 1977 წლის 27 თებერვალს თბილისში. ლექსების წერა დაიწყო 9 წლისამ. იბეჭდებოდა გაზეთებში — „ნობათი“, „ცისკარი“, „თბილისი“, „ახალგაზრდა ივერიელი“, აჭარის, თელავის გაზეთებში. რამდენჯერმე იყო მასზე სპეციალური გადაცემა რადიოთი და ტელევიზიით. 1992 წელს მისი ლექსები დაიბეჭდა პარიზის ქართული სათვისტომოს ჟურნალ „გუმბაში“. მონაწილეობდა 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებში.

შეყვარებული იყო ერზე, ბერზე, სოფელ რუისზე, ქართველობაზე, ჰამლეტ გონაშვილზე და ქართლ-კახურ იავნანაზე აიღვა ფეხი და გაიზარდა. თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც ტატო სწავლობდა, გაკეთებულია იმ ბუმბერაზი ადამიანების ფოტომუზეუმი, ვინც აქ სწავლობდა. ამ მუზეუმშივე მიუჩინეს ადგილი ტატოს სურათებს და მის წიგნებს

ტატოს დედუღეთში, შიდა ქართლის უძველეს სოფელ რუისში გახსნილია მისი მუზეუმი, ასევე პატივი მიაგეს მის ხსოვნას და მათში დააკანონეს სახალხო დღესასწაული „ტატობა.“

ასევე აღსანიშნავია თსუ-ის გამომცემლობის გენერალური დირექტორის, ბატონი ნუგზარ ნიკლაურის და ლია ბერუაშვილის უანგარო დახმარება, რომელმაც დიდი შრომისა და სიყვარულის ფასად, ტატოს 528 გვერდიანი კრებული და ერთსაათიანი ფილმი მოამზადეს და განათავსეს დედა უნივერსიტეტის ინტერნეტ-საიტზე, აპირებენ ამ კრებულის წიგნად გამოცემას. ასევე ჩაფიქრებულია ჩატარდეს ტატოს შემოქმედებითი და ხსოვნის სალამო.

სპეციალისტები დღესაც მაღალ შეფასებას აძლევენ მის მიერ თარგმნილ უაილდის, შექსპირის, ბაირონის, პუშკინის, ესენინისა და სხვათა ნაწარმოებებს. იყო შესანიშნავი რეცენზიების ავტორი, მკვლევარი, ქართველი მეცნიერები დღესაც უმნიშვნელოვანესად მიიჩნევენ ნიცშეს ფილოსოფიის რელიგიურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში ტატოს მიერ მომზადებულ მეცნიერულ ნაშრომს.

არავინ იცის რა მოხდა, ვიცით მხოლოდ ის, რომ ქართულმა პოეზიამ დაკარგა ერთი საოცრად ლამაზად ანთებული სანთელი, საქართველომ კი კარგი ქართველი, ზვარაკად შეწირული მამულიშვილი, რომლის მსგავსნიც არასდროს გვემეტება დასაკარგავად...

ქ. გორი, გაზეთი „ლომჭაბუკი“
№ 27, 6 ივლისი, 2008.წ

ტატო ნინუა

თუ წარმოდგენა არა გაქვთ
ამ გენიალურ ბიჭზე,
დროს ცუდუბრალოდ კარგავთ, —
ტატო ნინუას ნიჭზე
გესაუბრებათ კარგად
მისი ნაშრომი „ნიცმე“



თამარ შაიშმელაშვილი

რას გვიამბობენ „გადამწვარი ღრუბლები“?

„არ ამიმღვრიოთ დაწმენდილი იდუმალეზა“, — წერდა რატი (ტატო) ნინუა, ვინც 23 წლის ასაკში თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, როგორც ვაჟა იტყოდა, ერთმა ყმამ, ვინც ყველაზე მეტად სჭირდებოდა მომავალ საქართველოს. უკვე ორმოცი დღეა, იგი ჩვენს შორის აღარ არის, ორმოცი დღეა იცრემლება რატის ოჯახი, დედ-მამა, ახლობლები, მეგობრები. დარჩა მხოლოდ მისი ლექსები, მოთხრობები, თარგმანები, როგორც თვითონ ნამბობდა, ზღვას მინდობილი ოცნება, ახლა რომ გვანცვიფრებს ყველას თავისი სიდიდითა და გულწრფელობით. 12 წლის რატიმ ძალზე განიცადა 9 აპრილის ტრაგედია. ამ დღეს დაღუპულებს მანლექსი მიუძღვნა „რუსთაველის რაინდები“. მე-6 კლასელმა რატიმ სკოლის მეგობრები დარაზმა და პიონერთა ოთახში შეიყვანა. საბჭოთა დროშა ჩამოხსნა, მის მაგივრად კი ეროვნული დროშა აღმართა. ამის შემდეგ რატიმ პირველი საშუალო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლიანაშეწირულს განცხადებით მიმართა, შუამდგომლობა აღემრათ ქალაქის საბჭოსთან სკოლის 9 აპრილის ხეივანის გასაშენებლად. ქალაქის საბჭომ, მართლაც, გამოყო თანხა და სკოლის წინ ეს ხეივანი გაშენდა. არსებობს ამის ამსახველი ფოტოები, მაგრამ, სამწუხაროდ, ხეივანი თბილისის ომის დროს განადგურდა. მერე სკოლაც დაიწვა... გასაოცარია, რომ თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრის შექმნის იდეა სწორედ 13 წლის პოეტს — ტატო ნინუას ეკუთვნის. იდეის განმახორციელებელი კი მამამისი, პროფესიით რეჟისორი, მეტეხის ახალგაზრდული და ბოლოს ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის თეატრების ყოფილი დირექტორი, ბატონი ზურაბ ნინუა აღმოჩნდა... ასე დაიბადა 1990 წლის 1 ოქტომბერს მერაბ კოსტავას თეატრი, რომელმაც მიზნად დაისახა ეროვნული სულის გადარჩენისათვის ბრძოლა. რატი საოცრად თავმდაბალი იყო. უსაზღვროდ დიდი და ლამაზი სული ჰქონდა, რომელიც ისევ ივერთ დიდებას ღაღადებს, დიდებას, რომელიც კვლავაც აღდგება!

გაზ. „არგო“, №34, 2000 წ.

თამარ შაიშმელაშვილი

ამ ძვეყანაში ჩემი და შენი აღბილი არ არის, მამარჩემო...

... „მე კი გული მიკვდება, რომ ჯან-ლონით სავსე ვერ გავრკვეულვარ, რაში გამოვადგე ჩემს სამშობლოს, უმოქმედობა კი სულიერად საშინლად მტანჯავს. შეიძლება ვცდები, მაგრამ მაპატიოს ყველა ჩემმა უცნობმა და ნაცნობმა, მაპატიოს ჩემმა ბრწყინვალე ცოლ-შვილმა, იქნებ პატარა მსხვერპლად შესანიერ ბატკნად გამოვდგე ჩემი ხალხისთვის, იქნებ მართლა მოხდეს სასწაული“, წერს იგი თავის წერილში.

ილია ჩაჩანიძისგან განსხვავებით, რატი ნინუას მსგავსი ბარათი არ დაუტოვებია. 23

წლისამ უნივერსიტეტის შენობაში საკუთარ სიცოცხლეზე ხელი აღმართა. დარჩა მისი თარგმანები, მოთხრობები, ლექსების კრებული „ალუბლის იალქნები“... რატის მამა, მერაბ კოსტავას ლიტერატურული თეატრის ყოფილი დირექტორი, ბატონი ზურაბ ნინუა შვილის დაკარგვის მიზეზს ქვეყანაში შექმნილ უნუგემო ყოფაში ხედავს. ჩემნაირი და შენნაირი ადამიანების ადგილი ასეთ ქვეყანაში არ არის, მამაო, — უთქვამს მისთვის რატის. აკი წერს თავის სონეტში რატი: „დღეს სხვა დროა და სატანა თელავს გულებს წყეული“. რატის სიკვდილის შემდეგ აღმოაჩინა ბატონმა ზურაბმა დაუმთავრებელი ლექსი: „სონეტი მამას“. აი, ეს სტრიქონები: „ბოროტთან ზავით ვერ შეკრულო, ნელა ბერდები, თითქოს არა ხარ შენ დაღლილი, ღიმს არ იშორებ, მაგრამ მე ვიცი...“

დანარჩენს მრავალწერილი ამბობს. საშინელი მოსასმენი ყოფილა მამის გმინვა ამ სტრიქონების ნაკითხვისას: რომ მეგონა, არ განიცდიდა ჩემს ტკივილს, თურმე ვცდებოდი, როგორ ჩუმად უტარებია ამხელა ნალველიო... — ამბობს მამა და რატის სიკვდილში იმ უსამართლობასაც ასახელებს, რასაც იგი მავანთა მიერ წლების მანძილზე განიცდიდა და ბოლოს მერაბ კოსტავას თეატრის დირექტორობიდან მისი განთავისუფლებით დამთავრდა?!

მე და რატიმ შევქმენით ათიოდეწლის წინ ეს თეატრი და ახლა ორივენი დამარცხებული ვართ, — ამბობს ბატონი ზურაბი.

ილია ჩაჩანიძეც და რატი ნინუაც ნიჭიერი ახალგაზრდები იყვნენ, ერსა და ქვეყანას სჭირდებოდა მათი სიცოცხლე, მაგრამ ერი და ქვეყანა მათ ვერ გაუფრთხილდა... საყოველთაო კრიზისისა და გაჭირვების ჟამს ყველაზე მეტად უჭირს შემოქმედს, რომელიც ვერ ეგუება მრავალ უზნეობას და უსამართლობას და რომელსაც საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად ხელ-ფეხს უბორკავს უსახსრობა, მისი სული თითქოს ციხეშია, სურს ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრება, მაგრამ ამას ვერ ახერხებს... ამ დროს მოდის დიდი სასონარკვეთაც...

კინორეჟისორის თვითმკვლელობა იგივე მსხვერპლშენირვაა ანუ ჰეროიზმის გამოვლენა, ნინუა კი პოეტი, ღრმა პიროვნება იყო, შესაძლოა გააზრებულადაც გადადგა ეს ნაბიჯი, რადგან უიმედობის განცდამ იგი ერთიანად დაიპყრო...

გაზ. „არგო“ 2000 წ. 30 მაისი-5 ივნისი. 31



ПИСАТЬ “ПО-ДОБРОМУ ПРЕКРАСНО”

Тато Нинуа ныне стал студентом Тбилисского государственного университета, как и сотни его сверстников. Однако, часто ли на филологический приходит юноша, уже являющийся автором опубликованного сборника стихов?! (“Вишневые паруса” б “Мерани”, 1994) Стихи начал слагать с девяти лет, и не исполнилось ему еще и 12-ти, когда стихотворение его, посвященное Важа-Пшавела, было напечатано в газете “Нерги”. В 12 лет Тато создал стихотворение, в котором, думается, наиболее полно осознается им свое место в жизни и поэзии, — “Свечи в лазури”. Лирический герой, ожидающий рассвета “в холодном крике безлунной ночи”, ищет свою звезду, чтобы уединиться с ней, не зная, которая из бесчисленных — “печальная звезда” его. “:елтая ночь, проведенная с бесценной луной, сменяется рассветом, и самому неведомо, как герой оказывается близок к небесам и <огу, и молил его: “что, исцелил его зеленых гор туманы тусклые, чтобы приласкал, лишнего мыслей, ветер пречистый, чтобы смог он придать цвет каждому слову, цвет и тепло”. Творец с постускневшими от молитв глазами ответил, что на той звезде по”эт ощутил свою душу, почувствовал облегчение, утолил жажду мысли, впервые прочувствовал юность цвета, но... “...Прежде обязан Отчизне строки свои пожертвовать. Должен на Родины жертвенник голову положить. Сможешь лишь после ’э’того счастье обрести. Иди к людям, жертвуй им свой стихиб И тогда я благословлю твой путь”. То, о чем молил молодой по’эт <ога, — умение придать цвет каждому слову, яркокрасочно ощущается в каждом стихе Тато, в художественном мире которого цвет играет особую роль. Порой одна краска может стать доминирующей, как, например, в стихотворении, давшем название всему сборнику:

“Венчики парусов солнце овишнелоб
Море вишнею все усыпаноб
Солнце в море, сокрыв ланитиб
По-над водой рассыпало локоныб
Сошло в море солнце заботливо-нежноеб
Море колышит зыбь сновиденияб
Парус искрится вишневоцветныйб
Запахом вишни, душою вишни”.

Но чаще цвета таинственно мерцают, порой яркие, порой тусклые, переплетенные со звуками или тишиной, насыщенные то холодом, то теплом, “небо цвета воды”, “небо цвета земли”, “горяче-желтые ветры”, “синий берег сна”, “иссине-синие сновидения”, “голубое молчание елей”, “цветок бледноокий”, “влажное лоно тумана молочного”, “зеленая мысль земли”, “одеяние из капель молочного хрусталя”, “глубь, полная ценой лазури”, “стекло цветных люстр”, “стеклянные морозы”... О своем сокровенном желании по”эт исповедуется читателю — писать “по-доброму прекрасно”.

Газ. «Свободная Грузия»

1994 წელს „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორის, რომან მიმინოშვილის თხოვნით, ვლადიმერ სარიშვილმა თარგმნა რატის შემდეგი ლექსები: „არაფრისფერი მღუმარება“, „მე და ჩემს ლექსებს...“, „დავით აღმაშენებელს“.

Молчанье цвета ничьего

Молчанье цвета ничьего осталось этим веткам,
Осколки ветреного дня блещут, как зеркала...
Закат взорвется за горой, а пепел сдует ветром
В сиянье лунного тепла, вечернего тепла.

И мягких сумерек покой напевно в душу светит,
И, крылышками шелестя, Бог весть откуда, вдруг,
В окошко пташечка впорхнет, но в щебете-привете
Я различаю тень твою, недуг, ночной недуг...

Не волнуйте эти тайны родниковой чистоты.
Дайте слухом прикоснуться к неподвижной тишине.
Дайте слухом прикоснуться к тишине невозмутимой,
Дайте тишину послушать... И молчание мечты.

Вереницей хладной тени тени-призраки скользят,
И, обрызганы росой, думы болью пронзены,
Думы, болью пронзены и обрызганы росой,
Стих печальный этот в душу никогда не уместят...

Я не знаю – хорошо ли, что так ярок небосвод.
Все равно хочу я слушать только шепот тишины,
Слушать все равно хочу я тишины неслышный шепот,
Солнце будет ли за тучей, или облако пробьет...

Ждет эти строки лишь печаль – не королевский двор.
На дубе ветка, как змея, – вон, посмотри во двор.

Я ветерку доверил грусть. Луна взошла так рано.
Лучом сорвала пелену... Зияет в туче рана.

Я знаю, эти волны так чисты, как горный ключ,
Сейчас в мечты их обрашу – готов волшебный ключ.

Блаженный цвет долины дум слепяще бел. И зной.
Жду облаков, что в небесах сияют белизной.

Крив позвонок строфы... Снега вступают с вихрем в бой.
Все запорошило вокруг... Часов полночный бой.

Не удержать мне в сердце слез под этой звездной россыпью,
Царуют звезды надо мной, с цветов осенних росы пьют.

Та россыпь подарила мне улыбки светоч некогда...
Туман крылатый, где же ты? Неможется? Иль некогда?

На верность проверяет сны тревожным море рокотом.
Его дыхание вблизи. Где волны – голос рока там.

Ждет эти строки лишь печаль – не королевский двор,
Колышется на дубе ветвь, как змей, - взгляни во двор.

Давиду Агмашенэбели

Казался богом,
Но смертен ты.
Казался смертным,
Но ты же бог.

Твой грозен меч,
Надежен щит,
Велик твой скипетр,
Царь Давид!

Красноречив,
Красив,могуч,
Не меркнет вечной
Славы луч!

Дидгорской битвы
Ветер снова
Не утихает
И просит слова.

Казался богом,
Но смертен ты.
Казался смертным,
Но ты же бог.

Отдаленность луны и теперь отзывается болью.
Плачут слезы, морозу морозно в морозной юдоли...
Берег сна голубой, как ребенок обиженный, всхлипнет,
Скоро дождик, как манна небесная, в сад мой нахлынет.

Отдаленность луны и теперь душу колет иглою,
Тихо молятся думы, рождаясь – волна за волною,
Небо ветер обнял листопада мохнатую лапой.
Боль далекой луны... Это дождь за окошком закапал.

Журнал „Литературная Грузия“
1994 г.1-2



Уважаемые коллеги! **Искусство перевода проложило множество «мостов дружбы»** **И сейчас слово за вами...**

Наступил XXI век, время ответа на вопрос: «Быть или не быть?» Время войны и разрушений, время великого переселения народов с насиженных мест. Вот почему проповедует нам Святейший и Блаженнейший Каталикос-Патриарх всея Грузии Илия II: «Полагайтесь на Бога!» Вот почему он предупреждает нас, потомков Адама воздержаться от греха и советует любить. Вот почему он призывает нас, грузин, помнить, что «... в незапамятные времена, когда святые апостолы бросали жребий, в какую страну кому идти проповедовать, Грузия выпала Богородице, и она решила с высоких гор Кавказа вместе с грузинами молиться о спасении Грузии, т.к. мы плотью и кровью были связаны со словом Божьим, с духовностью, с Матерью Божьей, с мужеством, поэзией и песней. Именно поэтому Прометей прикован к Кавказу и его постоянно терзает воронье. Кто сосчитает беды, пережитые богоданной Грузией? Достаточно тысячелетней истории ее существования»

*«Хвала тебе, наш предок,
за то, что ты спас наш род!»*

Великий Галактион говорил: «Поэзия превыше всего!» Он знал, что Грузия всегда была родиной поэтов и колыбелью рыцарей, которые спасали родную землю, страну и ее будущее. И сегодня в Грузии рождаются поэты, рыцари и герои, которые жертвуют своей жизнью ради Родины и, к сожалению, гибнут молодыми и превращаются в ангелов.

Пожалуйста, не думайте, что мы скажем много лишнего, когда будем говорить об одном из них. Его зовут Рати (Тато) Нинуа: «Страна потеряла рыцаря, феномена, большого поэта, переводчика, гения, который в 23 года превратился в ангела и оставил нам память о своей любви и жемчужины своей поэзии...» Так его оценили в его недавно изданных книгах знаменитые мастера пера, писатели, ученые, переводчики и другие деятели культуры...

Мы обращаемся к интеллигенции, корифеям поэзии, переводчикам, молодежи России и Украины, к деятелям культуры и посольствам других государств. Надеемся, что вновь возрадится существующая между нами в прошлом мост братства и любви. Возможно, «этот маленький гений» положит начало нашим творческим, поэтическим и песенным отношениям. Тато открыл молодому грузинскому читателю поэзию таких гениев, как Пушкин, Есенин, Бунин, Байрон, Шекспир, Оскар Уайльд, которые “заговорили с нами по-грузински” и этим он еще больше сблизил наши народы, ведь для поэзии нет языковых границ, поэты объединены небесами.

Вы найдёте информацию о том, где родился и возмужал, где учился, как много значила для него Родина, село Руиси в Шида Картли, об учреждённом 16 мая ежегодном народном молодежном празднике Татооба (день Тато), о доме-музее, о его любви к городу Батуми и к штормовым волнам Чёрного моря.

С уважением от имени инициативной группы профессорско-преподавательского состава и студентов Тбилисского государственного университета им. Иване Джавахишвили:

Зезва Кавтарадзе, Георгий Гортамашвили, Георгий Ломидзе, Автандил Беселия, Бека Эбноидзе, Ника Цилосани, Ираклий Чапичадзе, Тенгиз Абашидзе, Георгий Песвианидзе, Леван Вепхвадзе, Гога Лория, Зураб Харабадзе, Лиан Битадзе...

«Поэзия превыше всего!»

Верим, соберутся поэты всех стран и спасут мир, спасут любовь и поэзию.

А село Руиси – родина поэта расскажет нам о празднике юности Татооба (день Тато), так как здесь точно знают что означают слова:

«Поэзия превыше всего! **Он наш Бог-Рати - Он**». Здесь понимают и чувствуют животворящее тепло поэзии.

P.S. Книжки Тато Нинуа “Вишнёвые паруса”, “Натали”, “Синбад мореплаватель”, “Взлетим с тобой”, “Трагедия Фридриха Ницше” можете найти:

- ◆ В библиотеке университета им. Ив. Джавахишвили.
- ◆ В парламентской библиотеке им. И.Чавчавадзе.
- ◆ В библиотеке Союза писателей Грузии.
- ◆ В библиотеке университета им. Ш.Руставели г. Батуми.
- ◆ В публичной библиотеке г. Батуми.
- ◆ В библиотеках г.Карели и села Руиси.
- ◆ В музее и библиотеке тбилисской первой средней школы (гимназии).
- ◆ В библиотеке института литературы им. Ш.Руставели.

Для более подробной информации мы даем вам

адрес: Грузия, г. Тбилиси, ул. Соломона Мудрого (бывший Метехский переулок 36), телефон: 74-74-51, 893-14-19-00

Дом-музей Тато Нинуа, с. Руиси, ул. Тато Нинуа 16, телефон: 890-35-03-61.

Банковский счет: Грузия, г.Тбилиси, ул. Пушкина 3. АО «Банк Грузии» №084911509 код №220101502 Зураб Нинуа, Цисана. Нинуа.

В АО «Банк Грузии» для перечисления долларов можно пользоваться следующими реквизитами: Please, use the following requisites to transfer USD in favor of a customer of Bank of Georgia. Банк посредник- Intermediary Bank: HSBC Bank USA SWIFT: MRMDUS33, CHIPS ABA: 0108, ABA Fedwire: 021001088. Приёмный банк -Account With Institution: Bank of Georgia 3, Pushkin St. 380007, Tbilisi, Georgia. SWIFT: BAGAG22, acc. 000304581. Приёмное лицо Beneficiary Customer: Ninua Zurab, Ninua Tsisana номер счёта Acc. No.: 01-579912424

Dear Colleagues!
Art of translation has laid a lot of « bridge of brotherhood»,
Now it is your turn to say a word...

The twenty-first century has come. It is the time to give the reply to the question “to be or not to be?” It is the time of wars and ruining, the time for people to move to other lands and desert their homes. That is why our most Saint and Blessed Catholicos-Patriarch Ilia II preaches, “In God we trust”. By this he warns us, Georgians, to remember that “... from time immemorial, when God’s apostles cast lot who and in which land was to go and preach, Georgia fell for the Saint Virgin, and she decided to pray in the high mountains with Georgians for the sake of life”, as we were linked by our flesh and blood with the God’s word, spirituality, Mother-Virgin, with ancestors, with manly courage, poetry and songs. That is why the Caucasus is chained like Prometheus and is constantly pecked by ravens and tortured by devils until the last drop of his blood flows. Who can count all the sorrows that God’s gift Georgia has endured. Thousands of years of its history are enough to prove Georgia’s endurance.

“Glory to you, our ancestor, for thou have saved our race!”

Galaktion (one of the greatest Georgian poets) wrote, “Poetry is above all” as he must have known that Georgia was the place where poets were born, it was the cradle of bards and knights, those, who saved their motherland and its future. Even today poets, knights and heroes are born and unfortunately for us since their youth they sacrifice their lives for their land’s sake. They turn into angels and guard their motherland from the Heaven.

But do not think that we will boast too much when we tell you about one of them. His name is Rati (Tato) Ninua, “The country has lost a knight, phenomenon, great poet, translator, genius, who at the age of 23 turned into angel and left us his love and pearls of his poetry.” Thus he was appreciated in his recently published books by the masters of pen, writers, scientists, translators and other cultural workers.

We appeal to the intellectuals, masters of poetry, translators, youth of Russia and Ukraine and to the cultural workers of other states. We hope the bridge of brotherhood and love will be erected to connect us. “This little genius” may start our creative, poetic and song relations. He presented Byron, Shakespeare and Oscar Wilde, who talk to us Georgians our mother tongue, to our young readers. His thesis on Friedrich Nietzsche’s philosophy was highly appreciated by philosophers appreciated by philosophers in Germany and other countries.

We are also going to tell you where this young poet and patriot was born, grew and studied, what motherland, a village of Ruisi in Shida Kartli meant for him, why the folk youth festival of Tatooba (the Day of Tato) was introduced on May, 16; about his home-museum, why he loved the Black Sea and its stormy waves.

With love on behalf of the initiative group of professors, teachers and students of Ivane Javakhishvili Tbilisi State University:

ika Tsilosani, Irakli Chapichadze, Tengiz Abashidze, Giorgi Pesvianidze, Levan Vepkhvadze,

Goga Loria, Zurab Kharabadze, Lia Bitadze

“Poetry is above all”

We believe that poets from all countries will gather together and save the tortured world,
poetry and life on the Earth!

And the village of Ruisi ☞ the land where he was born will tell you about the youth festival
Tatooba (Tato’s Day), as they surely know what the words “Poetry above all!” mean. They understand
and feel the life-giving warmth of this miracle-poetry.

For the further information:

Address:

36 Metekhi lane, Tbilisi, Georgia, phone: 74-74-51

16, Tato Ninua Str., village of Ruisi, Georgia, phone 890 350361

Bank account: 3 Pushkin Str., Tbilisi, Georgia, JSC “Bank of Georgia”, № 084911509, code №
220101502 Zurab Ninua, Tsisana Ninua



**ცაში დამწვარი შრომები
(რატი (ტატო) ნინუას შემოქმედებითი პორტრეტი)**

შვილის სიკვდილზე უფრო დიდი და მოუწლებელი ტკივილი არ არსებობს. უთუოდ ეს თავზარდამცემი, განუზომელი ტრაგედია დაედო საფუძვლად ბერძნების ულამაზეს და ამდენადვე სევდიან მითს იკაროსზე, უკიდევანო ცისკენ მიმსწრაფ მეოცნებე ჭაბუკზე, ვისაც, ლაჟვარდებში აჭრილს, გავარვარებულმა მზემ სანთლის ფრთები დაუდნო, დაუნვა და თვალშეუდგამი სიმაღლიდან დაქანებული მეტეორივით მოწყვეტილი, ზღვის წიაღში დაინთქა.

მაღე ოცი წელი შესრულდება ჩემი შვილის კატასტროფიდან და მწუხარება დღემდე არ გამწვანდება. მთელი წიგნი ვუძღვენი მის ხსოვნას („იკაროსის დაღუპვა“), მაგრამ ამან არავითარი შვება არ მაგრძნობინა. უნივერსიტეტში სწავლის დროს, თავის მოკვლამდე რამდენიმე წლით ადრე, დაწერა ჩემმა ბიჭმა, საქართველო პირაშკმული უფსკრულის პირად იმყოფებო და მაშინ ეს მის ყმანვილურ აგზნებას დავაბრალებ, რას ვიფიქრებდი თუ ამდენი საშინელებანი გველოდა.

მუდმივმა დაძაბულობამ, ირგვლივ გამეფებულმა ძარცვა-გლეჯვამ, იმედების გაცრუებამ ნერვები დაუფლითა მთელ თაობებს; ბევრმა თავი მოიკლა, უფრო მეტი ნარკომანიას შეენირა და ენირება, ათასობით საუკეთესო ახალგაზრდა კი ვერაგულად თავსმოხვეულ, ეთნოკონფლიქტებით შენიღბულ აფხაზეთის ომს ემსხვერპლა. მანამდეც კი 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ, რომელიც არაფრად არ ჭირდებოდა საქართველოს (საბჭოთა კავშირი უჩვენოდაც ინგროდა), მძიმე დალი დაასვა ჩვენს სამშობლოს, წონასწორობა, სწორი გეზი დააკარგვინა. მაღე ჭეშმარიტად აპოკალიფსური სურათების მხილველნი ვაცხდით.

გუშინდელივით მახსოვს 2000 წლის მაისის ის ავადმოსაგონარი დღე, როდესაც მთელ თბილისში საშინელი ამბავი მოედო, უნივერსიტეტის აუდიტორიაში ახალგაზრდა პოეტმა თავი მოიკლაო. სახელიც ახსენეს — რატი ნინუა. მე მას არ ვიცნობდი, მაგრამ თვით ამბავმა შემადრწუნა, სულით ხორცამდე შემძრა, იმ საბედისწერო გასროლამ ყველა ჩვენგანის გული დაკოდა. უმაღ პაოლო იაშვილის ცხოვრების ტრაგიკული ფინალი გამახსენდა, მწერალთა სასახლის მეორე სართულზე სანადირო თოფით რომ მოიკლა თავი (იგივე ტრაგედია მოჰგონებია თამაზ ნივნივაძესაც, ვინაც რატი ნინუას მოხდენილად უწოდა „მაგლობელი ჩიტი“). იმ ხანებში გავიცანი დაღუპულის მამა, რეჟისორი ზურაბ ნინუა (დღემდე არ გაუხდია შავი სამოსი), ვინც თითქმის ყოველდღე დადიოდა მწერალთა კავშირში, რომ ჩვენთან ყოფნითა და ლაპარაკით როგორმე გული მოეოხებინა. არ ვიცოდი ნუგეშის რა სიტყვები მომეძებნა ამ ცრემლგამმრალი, მკვრივად ჩადგმული ვაჟკაცის გასამხნეველად, ვისაც აღუწერელი ტანჯვა აღბეჭდვოდა სახეზე. ახლალა ვცდილობ, ჩემი მაშინდელი სინანული რაიმე ფორმით გამოვხატო, თუმცა წინასწარ ვიცი — რატი ნინუას მგლოვია რე მამასა და ჩემ თავსაც ნუხილს ვერაფრით შევუმსუბუქებ. ანკი რა მოგვასვენებს და დავგამწვიდებს, როცა სვეგამწარებულები ცხადად ვხედავთ — სიმწრით გაზრდილ ჩვენს შვილებს — საქართველოს მომავალს, ზედიზედ უმოწყალოდ ნთქავს ცხოვრების — ამ ჯოჯოხეთურად დახლართული ლაბირინთის — ჯურღმულში ჩასაფრებული ურჩხულის — მინოტავრის —

უძღვები ხახა.

ხშირად მიფიქრია — რატი ნინუასა და მისნაირ ნიჭიერ, განათლებულ, კეთილშობილ ჭაბუკებს ჰაერი არ ეყოთ, სუნთქვა გაუძნელდათ ქაოსისა და განუკითხაობის, ძმათა მკვლელი შეტაკებების საშინელ წლებში, თორემ ბუნების ყველაზე დიდ სასწაულსა და ჯილდოზე, სიცოცხლე რომ ჰქვია, არასგზით არ იტყოდნენ უარს.

* * *

რატი (ტატო) ნინუას დაღუპვიდან მეხუთე წლისთავზე გამოვიდა შედარებით მოზრდილი, მრავლისმეტყველი კრებული „ავფრინდებით მე და შენ“, რომლის ერთ-ერთი რედაქტორი გიორგი გორთამაშვილი ნინასიტყვაობაში, გაუსაძლისი დროებისაგან სულმეხუთულ პოეტზე საგანგებოდ წერს: „... იგი თვლიდა, რომ განვითარება, ტექნიცისტური პროგრესი არაფერს მატებდა ადამიანის სულს, პირიქით, აღარბეზებდა მას, რადგან ადამიანი მის მიერვე შექმნილ ნივთზე ხდებოდა დამოკიდებული“.

ვეროპასა და მთელ მსოფლიოში, კარგა ხანია, ჭეშმარიტ შემოქმედთა დიდი უმრავლესობა ამავე აზრისაა, რაშიაც არაერთხელ დავრწმუნებულვართ.

ნიგნის ნამდვილი მშვენიერებაა რატი ნინუას სადიპლომო ნაშრომი „პაოლო იაშვილისეული თარგმანის სტილისა და თავისებურებათათვის“, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, ქართველ სიმბოლისტთა, „ცისფერყანწელთა“ თავკაცის შესანიშნავ ლიტერატურულ პორტრეტს წარმოადგენს და ამკარად სცილდება სათაურში ნაგულისხმევ, თავისთავად მნიშვნელოვან პრობლემას.

უთუოდ თავისთავადი ღირებულება აქვს, სტუდენტური ვალის მოსახდელად არ გახლავთ დაწერილი რატი ნინუას საკურსო შრომა „შოთა ნიშნიანიძის პატრიოტული ლირიკა“, რომელშიც პოეზიის ცოდნის გარდა, მრავალთაგან გამორჩეული შემოქმედებისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჩანს. აქ ხაზგასმულად, თანაც საკმაოდ ბევრი არის ნათქვამი პოეტის ნიჭზე, ოსტატობაზე, მაგრამ როგორც რატი ნინუას სჩვევია, იგი არც ხარვეზებზე ხუჭავს თვალს.

უთუოდ გამართლებულია, რომ კრებულში შეტანილია რატი ნინუას ბავშვობისდროინდელი (იგი ექვსი წლიდან წერდა) ნაწერები. უმთავრესად, სათავგადასავლო ხასიათისა. ნამდვილად გასაკვირია, როგორ შესძლო თერთმეტი წლის ყმანვილმა ასე ნათლად, დახვეწილად ეწერა, რომ ერთი ბუნდოვანი, გაუმართავი წინადადებაც არსად გვხვდება. ჭარბად იგრძნობა თანდაყოლილი იუმორის გრძნობა და ხშირია უცნაური ხილვები, რაც მის სრულიად განსხვავებულ ბუნებაზე მეტყველებს.

განსაკუთრებულად მომხიბლა რატი ნინუას პოეტურმა, ფერადოვანმა დღიურებმა, რომელთაც იგი ათი წლის ასაკში წერდა (ერთ-ერთში ახსენებს მასავით ნაადრევად დაღუპულ, ასევე დიდი მომავლის მქონე ჭაბუკ ხელოვანს დათო კრანაშვილს) და ამდენ საფიქრალს აღძრავს.

ბიჭუნა ოცნებით, უსაზღვრო ფანტაზიით წარმოიდგენს იმ დღეს, როდესაც დღის სინათლეზე პირველად გაახილა თვალები. ვნახოთ რაოდენი ხალასი ნიჭი და თვითირონიაა ამ ჯერ კიდევ მცირეწლოვანი არსების უცნაურ ნააზრევში:

„ეს მოხდა 1977 წელს, 27 თებერვალს.

„ეს მოხდა“... ისე ვთქვი, თითქოს ჩემი დაბადებით რაიმე განსაკუთრებული მომხდარიყოს. დიდი არაფერი — უსასრულოდ გადაჭიმულ ოკეანეში ერთი წვეთი ჩავარდა ისე, რომ

თვით ოკეანეს სრულიად არ უგრძენია არაფერი, წარბი შეუტოკდა მხოლოდ იმ ტალღას, რომელზედაც დაეცა ეს წვეთი...

რასაკვირველია, ის დღე და მომდევნო დღეები, კვირეები არ მახსოვს, ანდა როგორ უნდა მახსოვდეს, ჩემს მეხსიერებას ნისლივით შემორჩენია ბუნდოვანი სურათები ბავშვობისა („ბავშვობაში“ ვგულისხმობ 3-4 წლის ასაკს). უფრო ნათლად ჩამრჩენია გონებაში კოჯორი, სადაც ხუთიოდე წლისა ვისვენებდი დედ-მამასთან ერთად, დანგრეული ავტობუსი, შორიდან უმწეო ჩონჩხად რომ მოჩანდა გზისპირად მიგდებული. მახსოვს მანგლისიცი, სურნელოვანი, მაღალი ტყე, მინდორზე გატარებული ბედნიერი წუთები...“

გაოცებას იწვევს იმავე ათი წლის ასაკში როგორ შესძლო ასე ფიროსმანისეული სიმსუყეით გადმოეცა თბილისის ისტორიული უბნის გაუხუნარი მშვენიერება. არც კი გჯერა, ეს მომხიბლავი სტრიქონები 1987 წლის 4 ოქტომბერს არის დაწერილი; რატი თანატოლებთან ერთად, თბილისქალაქობის ზეიმს ელოდება. ჰაერში შემოდგომის დამატრობელი ბანგი ტრიალებს:

„შემოდგომა ძველი თბილისის მიდამოებს უხდება. აღმართებზე მალე ამარიშურდებიან ყვითელი და წითელი ფერები, ჩვენს ეზოს ორი ძირი ვაზი ამშვენებს; მათი ძველი ფოთლები დაბერებული დედაკაცებივით გამოიყურებიან, ყვითლდებიან, უფერულდებიან და ბერდებიან. მტევნები დამსხვილდნენ, ჩამრგვალდნენ და ახლა სანახელისა და რთველის დანახვა ისეთი სიხარულია, როგორც ბავშვებისთვის თბილისქალაქობა, რომლის დადგომასაც აღარაფერი უკლია...“

მრავალფეროვან განყოფილებაში „მოგონებები“ არაერთ საყურადღებო მასალას ვკითხულობთ. რატი ნინუას დასტირის თანამედროვე ქართული მწერლობის პატრიარქი, ღვთიური მადლითა და ნიჭით მოსილი პიროვნება ჭაბუა ამირეჯიბი, ვისაც ენით უთქმელი ტანჯვა არგუნა აფხაზეთში მისი ვარსკვლავივით პირმშოს, დაქირავებული სნაიპერის ხელით მოკლული ირაკლი ამირეჯიბის დალუპვამ. უხუცესი მწერალი, ცოცხალი კლასიკოსი წერს:

„რატი ნინუას ლექსებმა ცრემლი მომგვარა... უზომოდ მტკივნეულია აზრი, რომ ამ საოცარი პოეზიის შემქმნელი საწუთროს ასე ადრე გაშორდა... საწუთროს, თორემ მარადისობაში მას ადგილი უკვე დამკვიდრებული აქვს - რატი (ტატო) ნინუას შემოქმედება დიდი ქართული პოეზიის ერთი მშვენიერი ფურცელია...“

სხვა კაცი იყო. „საკუთარ ალში დაიფერფლა“ და ადრე წასულ გენიალურ ჭაბუკთა გუნდს შეუერთდა“.

წრფელი სინანულით არის აღსავსე ანა კალანდაძის გამოხმაურება ნაადრევად მოცელებული უნიჭიერესი შემოქმედის დანატოვარზე. ეს სტრიქონები სამიოდე წლით ადრე დაიწერა, ვიდრე ქართული პოეზიის დედოფლის ნემტს უკვდავთა სავანე, მთაწმინდის ღვთივეკურთხეული მინა მიიბარებდა. მომაქვს პირველი აბზაცი:

„დიდი ინტერესით გავეცანი ახალგაზრდა პოეტის, რატი (ტატო) ნინუას, როგორც თავად ბრძანებს, „რუდუნებით ნახელავს“, - მის „გონებაში ნასათუთები და ნალოლიავები ბალის“ დაჩრდილულ ბილიკებს გავყევი და მოვიხილე ის „ზეციური ყვავილები“, რომელთა „თავისებური სურნელი დიდხანს გამყვება“.

უსაზღვრო მწუხარებით, სითბოთი და სიყვარულითაა გაჯერებული მოზრდილი წერილი გურამ პეტრიაშვილისა, ვისაც თავად გარდაცვლილმა უმშვენიერესი ესეე უძღვნა. გურამ პეტრიაშვილი, სრულიად სამართლიანად, ასე აფასებს ამ საშინელ მოვლენას: „ეს არ

იყო ტრაგედია, ეს იყო პროტესტი“.

გურამ პეტრიაშვილს სათუთად უფროვებია და ამოუნერია გამორჩეული სტრიქონები რატი ნინუას სხვადასხვა ლექსებიდან. ბავშვობის წმინდა ათინათი ადგას ორ სტრიქონს, ალერსიან შეხმინებას თანატოლ გოგონასთან, ვის გვერდით ყოფნაც მისთვის კეთილ მოგონებად ქცეულა. ჩვენს უხამს დროში ასე თითქმის აღარავინ წერს:

გახსოვს მანგლისი, ლურჯ ტყეში სოკო,
იები ძაფით შენაკონები?

რატი ნინუას წმინდა და ალალი ლექსი, მისი ტრაგიკული ხვედრით გულდამწვარი ქირსიუფლის უშუალოდ გაუთავისებია ჩემი სიყრმის მეგობარს, ჭაბუა ამირეჯიბის მეუღლეს, საუკეთესო პოეტსა და ღვთისმოსაობით გამორჩეულ ადამიანს თამარ ჯავახიშვილს. მინდა მოზრდილი აბზაცი მოვიტანო მისი წერილიდან („ერთი მკითხველის სიტყვა“), რათა შემოთ ნათქვამი ცხადი გახდეს: თამარს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ბარათაშვილივით „სულით ობოლი“ ჭაბუკის წინასწარმეტყველური სტრიქონი („მე ავფრინდები ცაში აისზე“) მაისის იმ მოულოდნელად დათალხულ დღეს ასე ზუსტად რომ ახდა. მართლაც შემაკრთობელია ზღაპრული პეიზაჟებით დახუნძლული, მითოსური ხილვებით განწყობილი მისტიური ლექსი „მოჯადოებული ღამე“, რომელსაც მოუხიბლავს თამარ ჯავახიშვილი. შექსპირის „მაკბეტში“ დახატული კუდიანების საუფლო გაგახსენდება, ასეთ სურათს როცა წაანყდები: „ფრთა უცივდებათ – ღამურები ქსოვენ სიბნელეს, ჭვარტლიან ქოხის სარკმელიდან კანკალებს ალი...“ ამ განწყობილებას დასაბამს აძლევს პირველივე სტროფი, რომელსაც ხსენებული წერილის აღფრთოვანება გამოუწვევია:

შედეგებული მდუმარება დაანვათ ხევებს,
ლურჯი ღამეა და გრძნეულნი ხარშავენ ფაფას.
ახლა მახინჯი გველეშაპი მთვარეს ჩაყლაპავს,
მთვარის სიცივე მუცელს ატკენს და გაახელებს“.

თამარ ჯავახიშვილისავე უტყუარ ალლოზე მეტყველებს მის მიერ ციტირებული ურით-მო ლექსი, საქართველოსათვის თავშენირული მამულიშვილების მოსაგონრად რომ არის დანერილი, გვადეღვებს და შორეულად გვახსენებს იაპონური პოეზიის შედეგებს:

ყოველ ახალ წელს
ჩემს ნაძვის ხეზე,
სათამაშოებს შორის
ერთი ჰკიდია ცრემლი...

ძალზე პოეტური და ამაღელვებელია ქართული ხალხური სიმღერების დაუცხრომელი ამაგდარის ანზორ ერქომაიშვილის ჩანახატი „ორი დიდი მგალობლის „საგოდებელი“, რომელშიც იგი რატი ნინუას პოეზიას „ბროლივით თავანკარა და ნაღველივით გულში-ჩამწვდომ დიდ სიმღერად თვლის და მის ჰანგებს ჰამლეტ გონაშვილის გამაოგნებელ ხმას აღარებს.

გაგიძნელდება არ დაეთანხმო ბატონ ანზორს, როცა იგი ამბობს:
„რატი ნინუა ამქვეყნიური რომ არ იყო, თავიდანვე ეტყობოდა. იგი სულ სხვა განზომილებაში ცხოვრობდა, სხვა დროში, სხვანაირად აზროვნებდა და იღწვოდა. ამიტომ ვერ გაუძლო ამ ცოდვილ წუთისოფელს და წინაპართა სულებს შეუერთდა

* * *

მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა რატი ნინუას პირველ პოეტურ კრებულზე „ალუბლის იალქნები“, რომელიც მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ, 17 წლისამ გამოსცა და რომლითაც იგი თავისი პოეზიის „აჩრდილულ ბაღში“ თავაზიანად გვეპატიჟება.

მართალია, აქ წარმოდგენილ ლექსებს, ალაგ-ალაგ, გამოცდილი ხელი აკლია (ეს დრო სულ მალე დადგებოდა), მაგრამ ყმანვილის ფანტაზია იმდენად თავისებური და უსაზღვროა, შეუძლებელია მკითხველი გულგრილი დატოვოს.

ძალზე შთამბეჭდავი, თავისებურია ერთ-ერთი პირველი ლექსი „უდაბნო“, სადაც, „მთვრალი ხომალდის“ დარად, ავტორი თვით უდაბნოს ალაპარაკებს:

თხემი სიცხიანი მზეს გადავუდაფნო
ჩემი უმხურვალეს ხორშაკის ხელებით,
ბაგეებდამსკდარი ვიხრჩობი - უდაბნო,
გადამშრალ ქვიშათა მტვრიანი ხველებით.

მეტად საინტერესოა პოემად განზრახული მოზრდილი ნაწარმოები („სანთლები ლაჟვრადში“), რომელიც ვარსკვლავებით მოჭედილი ცისკენ გვახედებს და კოსმიური სურათებითაა დახუნძლული. 12 წლის ავტორი აქ თავისუფალია რითმის არტახებისგან და სტრიქონები ნებიერად მიედინება. მოვიტან მხოლოდ პირველი ნაკვეთის ნაწილს, სადაც ამკარად ჩანს ნორჩი შემოქმედის უჩვეულო, თავისებური აზროვნება:

ტატნობის სუსხმა დამითოვლა თბილი ფიქრები.
მაშინ ვუცქერდი გაშლილ სივრცეს, მკერდატკივებულს,
ქუჩაში თოვდა ცის ცრემლები და ვარსკვლავები,
მტკიოდა ღამის აყვავება, სივრცის აჩრდილი
და მახარებდა ჩემი ფრთების რბილი სითეთრე.
უმთვარო ღამის ცივ კივილში შემომათენდა,
დილამ სიჩუმეს დაუკანრა ღანვისთავები.

თორმეტი წლის ასაკშივე დაუწერია თავიდან ბოლომდე დახვენილი, მედიტაციური ხასიათისა და მინორული ჟღერადობის თავისუფალი ლექსი „აჩრდილები“, სადაც ფონი საუცხოოდაა შერჩეული. ავტორთან ერთად, ჩვენც თითქოს იდუმალების გარინდულ სამყაროში მივაბიჯებთ.

ასეთსავე განცდას ბადებს მცირე უსათაურო, რომელშიც მინავლული შემოდგომის დაუვინყარი სურათია დახატული. ეს სტრიქონებიც არ გავს ბავშვის დანერილს, მაგრამ სხვა გზა არაა, ფაქტია და უნდა ვირწმუნოთ. აქ არ არის ძალად ორიგინალობა, ეს ხილვები

ბიჭუნას თავისით ეცხადებოდა. მათი გონებით წვდომა, ახსნა შეუძლებელია:

გარდაიცვალნენ შემოდგომის ცივი ხელები.
მკვდარი ნოემბრის მტვრიან სულში აყვავდა მთვარე.
ფოთლები ქრიან და ტბორავენ ტბას გახელებით.
წევს შემოდგომა... და არავინ უხუჭავს თვალებს.
ინვინ უსახელო კლდის ქიმთან.

* * *

მძლავრი ტალანტის მქონე პიროვნებებს, თუკი დასჭირდათ, ხელენიფებათ, მოღვაწეობის ერთი სფეროდან, მკვეთრად გამიჯნულ მეორე სფეროში გადაინაცვლონ და იქაც თავიანთი კვალი დასტოვონ. ასეთი მეტამორფოზები ხდება. მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ვუნდერკინდმა, ლიტერატურაზე, პოეზიაზე სამუდამოდ გულაყრილმა და აფრიკაში წასულმა არტურ რემბომ (ცხრამეტი წლისამ, მან პირწმინდად მიატოვა ლექსების წერა), რომელიც იქ ნეგოციანტი, უაღრესად სანდო, პატიოსანი მეწარმე გახდა, ოგადენის პროვინციაზე დაწერა საქმიანი, რამდენადმე მშრალი ანგარიში (ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი “მთვრალი ხომალდის” ავტორის ნახელავია). პარიზის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, რომელიც მსოფლიო სახელის სწავლულებისგან შესდგებოდა, დიდად მოიწონა ეთნოგრაფიული მასალებით მდიდარი ეს ანგარიში და 1884 წელს თავის ბიულეტენში გამოაქვეყნა.

რატი ნინუას მწუხარე ბედმა შეუძლებელია არ გაგვახსენოს, აგრეთვე, გენიალური გერმანელი ჭაბუკი, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი ოტტო ვეინინგერი, ვინაც თავისი ეპოქალური ნიგნი “სქესი და ხასიათი” ოცდასამი წლისამ დაწერა და თავიც მოიკლა. უსაზღვროდ იყო განათლებული; მუსიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და სხვათა გარდა, გამოკვეთილი ლიტერატურული ინტერესები ჰქონდა (საკმარისია გავიხსენოთ მისი უღრმესი დაკვირვებები იბსენის დრამატურგიაზე, კერძოდ “პერგიუნტზე”), ნიცშეს დარად, უყვარდა თავისი შეხედულებების აფორისტულად გამოთქმა.

ნიგნზე ბავშვობიდანვე ფანატიკურად შეყვარებული რატი ნინუა თოთხმეტი წლისა იყო, როცა ფრიდრიხ ნიცშეს ნაწერებმა და პიროვნებამ გაიტაცა (ნიცშეთი დაინტერესება საკმაოდ ხშირია ნაკითხ ჭაბუკთა შორის). იმდენად შესძრა “ზარატუსტრას” ავტორის ტრაგედია, თავისი ხანმოკლე ცხოვრების ექვსი წელი ფსიქიატრიის, მედიცინის ამ ურთულესი დარგის საფუძვლიან შესწავლას მოანდომა, გაეცნო მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერთა ნაშრომებს, ყველაფერი ნიცშეს მიუყენა, გამოსარიცხი გამორიცხა, დაავადების უფრო სარწმუნო სიმპტომები ცალკე დააჯგუფა და ორი საუკუნის წინ გარდაცვლილ დიდ ფილოსოფოსს თავისებური “დიაგნოზი” დაუსვა, რაზედაც ქვემოთ ვიტყვი, რადგან მოკლედ მაინც უნდა დავახასიათო ხანგრძლივი შრომის ნაყოფი, რატი ნინუას მეტად მნიშვნელოვანი, ძალზე საყურადღებო გამოკვლევა “ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგედია”.

ნიგნს წამძღვარებული აქვს რედაქტორის, გიორგი გორთამაშვილის მცირე წინასიტყვაობა, სადაც ლაპარაკია რატი ნინუას მიერ დახატული დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშეს ფსიქოლოგიურ პორტრეტზე, ვის არსებაშიც ძალზე საცნაურია დუალიზმი, გაორება, კეთილი და ბოროტი სანყისების მძაფრი ჭიდილი (“ნიცშე ამ ბრძოლაში

ლუციფერის მხარეს აღმოჩნდა, ეს ტრაგედიაა მისთვის”, - წერს რედაქტორი), რასაც ბოლოს მისი ცნობიერების გახლეჩა მოჰყვა, შიზოფრენიით დაავადდა.

აქვე მინდა ავღნიშნო — მშვენიერია თამარ ჯავახიშვილის “ბოლოთქმა”, რომელშიც სამაგალითო სიტოთი და სიყვარულითაა დახასიათებული რატი ნინუას ნაშრომის ღირსებები, თავდადება, ნამდვილი ჭირისუფლობა ნაადრევად დაღუპული პოეტისა, ვინც გაითავისა, უმწვავესად განიცადა “ნიცქეს სულიდან დაძრული ცოდვა”, შესძლო “ტანჯული ფილოსოფოსის სულის ხსნა”.

ბოლოთქმა ასე მთავრდება:

“რატი ნინუამ მნიშვნელოვანი რამ გვითხრა. ყოველივე ამაზე დაფიქრება კი ჩვენი ვალია”. დაფიქრება ნამდვილად ღირს.

ცნობილია, რომ ნიცქეს ავადმყოფური მიდრეკილება ჰქონდა ტანჯვისადმი; მის არსებაში ღრმად იყო, აგრეთვე, ფესვგადგმული განდიდების მანია (მაგალითად, ერთ კერძო წერილში აღნიშნავდა – გერმანულად ყველაზე უკეთ ვწერ, ვიდრე ოდესმე რომელიმე გერმანელი წერდაო). ამ მოვლენას რატი ნინუა საგანგებო თავს უძღვნის და შეგვახსენებს: „ქრისტიანული მორალის მიხედვით პირველი ცოდვა ამპარტავნებაა”.

მარტოსულობა, სხვებისაგან განდგომა ნიცქეს ბავშვობიდანვე ახასიათებდა და უტყუარ ფაქტებს ემყარება რატი ნინუას განცხადება: „მისი ფსიქიკის რღვევა დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე ის ლუესით დაავადდებოდა“. ამდენად, ნიცქეს ფსიქიკური აშლილობის მიზეზი სიფილისი არ ყოფილა; ამ უმძიმესმა ვენერიულმა დაავადებამ, რომლის მკურნალობა მეცხრამეტე საუკუნეში არ ხერხდებოდა, მას კიბოსთან ათანაბრებდნენ, მხოლოდ გაამწვავა ფილოსოფოსის შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობა. საბოლოოდ დადგენილი ფაქტია, რომ „ზარატუსტრას“ ავტორი 1889 წლის 3 იანვარს შეიშალა იტალიის ქალაქ ტურინში.

უკიდურესობამდე მიყვანილმა ინდივიდუალისტობამ ნიცქეს ისიც კი ათქმევინა – ავადმყოფობამ უდიდესი საქმე გამიკეთა, ყველა დანარჩენებისაგან გამომარჩიაო. სიცოცხლის ბოლო წლებში პირდაპირ ჯვარს ეცვა. აუტანელი თავის ტკივილები აწამებდა. ყოფილა შემთხვევები, ღებინება სამ დღე-ღამეს გაგრძელებულა და სიკვდილს ნატრობდა.

ამპარტავნება, მედიურობა სიცოცხლის არცერთ პერიოდში არ აკლდა: 1886 წლის 7 დეკემბერს ავგუსტ სტრინდბერგს წერდა – მე საკმაოდ ღონიერი ვარ საიმისოდ, რომ კაცობრიობის ისტორია ორ ნაწილად გავხლიჩოო. ესეც განუცხადებია – მე ყველაზე დიდი დიაპაზონის სული მაქვს იმათ შორის, ვისაც ევროპაში უცხოვრია და ამჟამად ცხოვრობსო. ღმერთი მკვდრად გამოაცხადა, ანტიქრისტეს სახელი დაიმკვიდრა. გასაკვირი არ იყო მისი სულიერი წყობისა და შეხედულებების პატრონი ყველაფრის გადაფასებას მოითხოვდა, ამნიცქეს გენიალობაში ძნელად თუ შეიტანს ვინმე ეჭვს, მაგრამ მისი ცალკეული ხისტი გამონათქვამები აშკარად კაცთმოძულის ნააზრევს გავს. მისთვის მიუღებელი იდეების მიმართ დაუნდობელი ნიცქე ადამიანებთან ურთიერთობისას საკვირველად დელიკატური ყოფილა. იმონმებენ ბარონ ფონ ზეიდლიცის შთაბეჭდილებას – მასზე უფრო არისტოკრატიული პიროვნება არც მინახავსო.

რატი ნინუას აზრით, ნიცქეს პიროვნებაში გამოკვეთილია ფსიქიკური გადახრის უძლიერესი სინდრომი – დეპერსონალიზაცია „ანუ „განპიროვნება“ (обезличивание). შენი „მე“-ს დაკარგვის ან დეფორმირების განცდა” (გვ. 60).

„ფრიდრიხ ნიცქეს ტრაგედიის“ საკვანძო მომენტად მიმაჩნია მესამე ნაწილის ის ადგი-

ლი, სადაც მკვლევარი წერს:

ნიცშეს უკანასკნელ ნაწარმოებში „დიონისეს დითირამბში“, რომელიც დაწერილია სულ ცოტა ხნის წინ, ვიდრე იგი ფსიქოზით დაავადდებოდა, კლასიკურადაა აღწერილი დეპერსონალიზაციური განცდები. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ პერიოდში ნიცშეს ჰქონდა მძიმე სუბიექტური დეპერსონალიზაცია, კერძოდ, ყველა თავისი გამოვლინებითა და სრული სიმპტომატიკით (გვ. 61).

ცოტა კი რატი ნინუა კიდევ უფრო მეტი დაბეჯითებით აცხადებს: „ნიცშეს უეჭველად სუბიექტურად განცდადი, ავადმყოფობად შეცნობილი დეპერსონალიზაცია ჰქონდა. სხვა-ნაირად ის მას არ დატანჯავდა და შეანუხებდა, ფილოსოფოსი კი დეპერსონალიზაციურ განცდებს კლასიკურად აღწერს თავის უკანასკნელ ნაშრომში“ (გვ. 62).

რატი ნინუას, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში საკმარისად ჩახედულს, უნდა ვენდოთ, რომ „დიონისეს დითირამბს“ ამ კუთხით (ფსიქოპათოლოგიური ნიშნების მოძებნა) მანამდე არავინ დაკვირვებია და ეს თავი, როგორც მკვლევარს, აღმოჩენად მიაჩნია. მოვუ-სმინოთ თვით მას:

„ნიცშე და დეპერსონალიზაცია, ვგონებთ, ჯერ არავის დაუკავშირებია ერთმანეთისათვის, მიუხედავად იმისა, რომ „დიონისეს დითირამბში“ სპეციალისტი ამკარად დაინახავს დეპერსონალიზაციურ სიმპტომატიკას. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ჩვენი ფსიქიატრები ნიცშეს არ კითხულობენ, ხოლო ფილოსოფოსები – ფსიქიატრიულ ლიტერატურას“.

უმთავრესი მაინც ის მგონია, რომ დიდი ცოდნისა და ანალიტიკური უნარის გარდა, წინამდებარე ნაშრომში ჩანს მისი ავტორის სამაგალითო ეთიური სახე, იშვიათი ზნეობრივი სინამდვილე და უმაღლესი ჰუმანურობა. ამიტომაც იხსენებს იგი მილომ ფორმანის გენიალურ ფილმს „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, რომელშიც სულით ავადმყოფთა საშინელი ტანჯვაა ნაჩვენები. აუღელვებლად ვერ ნაიკითხავ, რასაც რატი ნინუა წერს: „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სამყარო ორად არის გაყოფილი რკინის მავთულხლართით. აქეთ ვართ ისინი, ვინც თავს „ნორმალურებს“ ვუნოდებთ, „იქით“ კი ისინი, ვისაც გიჟები დავარქვით. ჩვენ არ გვინდა ბარიერს იქით გადახედვა, რადგან იქ გამუდმებული ტანჯვაა, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ჩვენ ვიცით: რომც გადავიხედოთ, სასიკეთოს ვერაფერს დავინახავთ. ამიტომ გვირჩევნია ისევე ჩვენი პატარ-პატარა სიამოვნებებით შევიქცოთ თავი“.

რატი ნინუას, ეტყობა, ხელთ ჩაუვარდა მისსავე პოზიციაზე მყოფი ცნობილი ფსიქიატრის ფერგიუსონის ფრიად მნიშვნელოვანი, ჰუმანური თვალთახედვით დაწერილი წიგნი „სიგიჟესთან ბრძოლა“, სულით ავადმყოფებთან, ექიმთა მხრიდან, ქრისტიანული სიყვარულით მიდგომას რომ ქადაგებს და ნათელყოფს – ამ საშინელი სწეულების დაძლევა მხოლოდ მედიკამენტებით არ შეიძლება. ხსენებული წიგნი გასული საუკუნის სამოციან წლებში გამოიცა, ვგონებ ქართულადაც ითარგმნა, მთელ მსოფლიოში დიდი გამოძახილი ჰპოვა; მინდოდა ხელახლა წამეკითხა, მაგრამ, სამწუხაროდ აღარ შემომჩნა.

ქრისტიანულ პოზიციაზე მდგომი რატი ნინუა იმ აზრისაა, რომ ღმერთმა არ აპატია ნიცშეს უდიდესი ცთომილება, სატანის მხარეს ყოფნა და სასჯელიც უმძიმესი არგუნა. მისი ხვედრი იყო „... ფსიქოზთა შორის ყველაზე ავთვისებიანი – შიზოფრენია, ხოლო შიზოფრენიულ „ჯგუფში“ ყველაზე საშინელი – ბირთვული შიზოფრენია“ (ამ დროს ადამიანი, მისი სულის ბირთვი მთლიანად ირღვევა).

„ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგედიის“ ავტორი იმედს გამოთქვამდა, რომ ოცდამეერთე საუკუ-

ნეში მეცნიერება დაადგენდა შიზოფრენიის გამომწვევ მიზეზებს. ძნელი სათქმელია, რამდენად გამართლდება ეს ვარაუდი.

ვფიქრობთ, უთუოდ სასურველია, რატი ნინუას ორიგინალურობით გამორჩეული ნაშრომი ითარგმნოს რუსულ და ევროპულ ენებზე. მას უნდა დაერთოს სპეციალისტთა საფუძვლიანი კომენტარები და მაშინ ალბათ სრულად წარმოჩინდება „ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგედიის“ უდავო მეცნიერული ღირებულება, მისი ავტორის ნოვატორული კვლევის მასშტაბები.

* * *

მე ადრე არ მითქვამს, რომ მრავალმხრივ საყურადღებო კრებული „ავფრინდებით მე და შენ“ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მოქანდაკის, ჩვენი საამაყო ხელოვანისა და პიროვნების მერაბ ბერძენიშვილის უშუალო თანადგომითაა გამოცემული და მას „უანგარო დახმარებისათვის უღრმეს მადლობას“ უხდიან რატი ნინუას ჭირისუფლები და ახლობლები. სხვაგვარი დახმარება მერაბ ბერძენიშვილისაგან, ვისაც უამრავი სამადლო საქმე გაუკეთებია, ვინ მოსთვლის რამდენი გაჭირვებულისთვის გაუმართავს ხელი, წარმოუდგენელია.

ახლახან მერაბ ბერძენიშვილს დაბადების ოთხმოცი წელი შეუსრულდა და თავისი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს თარიღს იგი მართლაც რომ ღირსეულად, არნახული, ტიტანური ძალისხმევით შეეგება (გარეგნობაც – არწივისებური გამოხედვა, ვულკანის საბერველივით ნამოზიდული მკერდი ტიტანისა აქვს) – შექმნა საკუთარი შემოქმედების გვირგვინი, რუსთაველის ყველასაგან გამორჩეული ქანდაკება, რომელშიც მთელი სიღრმითა და სიდიადითაა განსხეულებული მისი სათაყვანებელი პოეტისა და ბრძენკაცის სახე.

ამა წლის 10 ივნისს მოქანდაკის სამოთხისდარ ეზოში, ვეება სახელოსნოს წინ, მრავლად მოიყარეს თავი თბილისის თითქმის ყველა თაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა, რათა თავიანთი თვალთ ეხილათ იუბილარის ახალი შედეგრი, რომელსაც საბურველი ჩამოაცალა გენიალურობის ნიშნით აღბეჭდილმა ნორჩმა მუსიკოსმა ირმა გიგანმა. ყველა იქ მყოფმა გამოხატა აღფრთოვანება ფიქრში ნასული, ლაღად შემართული და მსუნთქავი მონუმენტური ფიგურის ხილვისას. ფრიად ამაღლვებელი იყო გამოსვლა თავად მოქანდაკისა, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე იღწვის რუსთაველის სახის გამოსაკვეთად (მრავლის მეტყველია ის ფაქტი, რომ სიჭაბუკის ჟამს მისი ბრწყინვალე სადიპლომო ნამუშევარი – რუსთაველი – მოსკოვში, ქართველთა ყოფნის ისტორიულ ადგილს ამშვენებს „ბოლშაია გრუზინსკაიაზე“).

მერაბ ბერძენიშვილმა ამ დაუფინყარ დღეს ამაყად განაცხადა – ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივინყოთ, რომ დიდი რუსთაველის შთამომავლები ვართ – მისი გენიის ნათელი საუკუნეების განმავლობაში წინ გვიძლოდა და გვასწავლიდა ყველაზე დიდ სიბრძნეს – მოყვასისათვის თავდადებას. სხვაგვარად ცხოვრება წარმოუდგენელია; თვითონაც ასეთი იყო, ამოდ როდი ათქმევინა თავისი პოემის უსაყვარლეს გმირს, სწორუპოვარ რაინდს, ავთანდილს: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოსჭამს კიტრად, ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“.


იქ მყოფთ მოგვეჩვენა, რომ სწორედ ეს ღირსსახსოვარი სიტყვები ეწერა შთაგო-

ნებით ანთებული რუსთაველის დადაფნულ შუბლს. მაშინ ისიც ვიფიქრე, რომ ეგზომ ნა-ადრევად წასულ რატი ნინუას, ვისაც არ დასცალდა ბოლომდე გაეშალა თავისი იშვიათი ნიჭი, შეცნობილი ჰქონდა, ურყევად სწამდა – იგი რუსთაველის პირდაპირი მემკვიდრე იყო და ისე იცხოვრა, როგორაც „ვეფხისტყაოსნის“ შემქნელს ესახებოდა ყველა ღირსებით შემკული ზნესრული ადამიანი.

ამ სისხლით გაჟიებული, ცოდვებით დამძიმებულ მინაზე მოარულს, თავად ცოდვილს, როცა უძირო ლაჟვარდი მოკრიალებულია და თაკარა, ცეცხლოვანი მზე ზენიტშია, ზოგჯერ, როცა მაღლა ავიხედავ, ბედისწერისაგან გამეტებული ზღაპრული ჭაბუკის ქათქათა, ცაში უღმობელი მნათობის მხურვალეებისაგან დამწვარი ფრთები მელანდება.

ცისკენ ჯიუტი ლტოლვა და ფრენაზე დაუოკებელი ოცნება მსხვერპლს ითხოვს.

25 ივნისი, 2009 წ.





თბილისის
ქართული
 სახელმწიფო
 ბიბლიოთეკა-ინფორმაციური
 ცენტრი
თბილისი



ჩემი წიგნი, შევუთხოვე შენი ლოყაობა
 შევუთხოვე შენი სხეული ჭრუბლისა მსგავსად, რად ღვთიან
 ნებსა და ნიჭს შენში. შენ ჭრუბლია და შევუთხოვე
 "უნდა შევუთხად შენს ქსოვსა სხეულისა და შევუთხოვე
 შევუთხად შენს სხეულს შენს სხეულს და შევუთხოვე
 შენს სხეულს შენს სხეულს და შევუთხოვე
 შენს სხეულს შენს სხეულს და შევუთხოვე
 სიყვარული და რა გეძინა-გოგონა

18/11 - 93



(სახე და მიზანი)

**“ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,
მერე ეს მიწა და საქართველო”**

მერაბ კოსტავა

საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელიც ეროვნული მოძრაობის აღმავლობით აღინიშნა, უძვირფასესი ფურცელია მერაბ კოსტავას თეატრის შექმნა... 1990 წლის 19 ნოემბრის გაზეთ „თბილისში“ ჟურნალისტი მზია ჭოხონელიძე აქვეყნებს სტატიას: „სცენიდან ისმოდეს მართალი სიტყვა“, რომელშიც საზოგადოებას ამცნობს: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 1 ოქტომბრის № 538 დადგენილებით შეიქმნა თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრი. იქნებ ცოტა გასაკვირიც იყოს, ამ თეატრის შექმნის იდეა ბავშვს, 13 წლის პოეტს ტატო ნინუას ეკუთვნის. 9 აპრილისა და 13 ოქტომბრის ტრაგედიათ ნორჩ შემოქმედს ბევრი ნრფელი სტრიქონი დაანერინა:

**“ეგ შენი მზერა ქორული
კავკასიონის ნისლია,
ვაზის ლერწი და სამშობლო
სალოცავ ხატად გიცვნია...”**

ამ სტრიქონებით იწყება საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი. სწორედ მაშინ, ბავშვისავე წმინდა სამყარომ დაბადა ოცნება ახალი ეროვნული თეატრის შექმნის შესახებ.

იდეის პრაქტიკული განმახორციელებელი კი მამამისი, პროფესიით რეჟისორი, მეტეხის ახალგაზრდული სახელმწიფო თეატრის დირექტორი, დარეჯანის სასახლე „საჩინოს“ ერთი მსახიობის სახელმწიფო თეატრის დამაარსებელი და ყოფილი დირექტორი (ჩვენდა საუბედუროდ, მავანისა და მავანის ჩარევით, თეატრს ვ. ანჯაფარიძის სახელი დაარქვეს... ბატონი ზურაბის სურვილი იყო სცენის დიდოსტატისა და მხატვრული კითხვის უბადლო შემსრულებლის, ბატონი სერგო ზაქარიაძის სახელი ეწოდებინათ, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ოცნება იყო — დაეარსებინა ერთი მსახიობის თეატრი, რომელსაც არ დასცალდა) ზურაბ ნინუა აღმოჩნდა...

ასე დაიბადა თბილისის მერაბ კოსტავას თეატრი, რომელმაც, შეძლებისდაგვარად, ეროვნული სულის გადარჩენისათვის უნდა იბრძოლოს... თეატრი უნდა მოეფეროს ერთიან, მთლიან, აღმავლობის გზაზე დამდგარ, ღვთით კურთხეულ საქართველოს...

ჩვენი თეატრისათვის მაინც რას ნიშნავს საქართველო?! ეს არის რაინდთა სამყარო გაფაქიზებული სულით და გასპეტაკებული გონით, თანაბარუფლებიანი საუბრისათვის და არსებობისათვის გაჩენილი, რომელიც 35 საუკუნეზე მეტია, მამა-ზეციერმა გვარგუნა ბედად: (ზუსტად კი „კავკასიის მაღალ ქედზე“ ჯერ კიდევ კაცობრიობის დასაწყისში, საიდანაც ქართველთა ისტორია იწყება...) ხევსურებსა და მოხევეებს, თუშებსა და მთიულებს, გუდამაყრელებსა და ფშავლებს, ქართლებსა და კახელებს, იმერლებს, რაჭველებსა და ლეჩხუმელებს, აჭარლებსა და იმერხეველებს, მეგრელებსა და გურულებს, სვანებსა და აფხაზებს, შიდა ქართლებსა და მესხებს, ჯავახებსა და ტაო-კლარჯელებს, ინგლოებს...

ბარე სამ საუკუნეზე მეტია, ბედის უკუღმართობის გამო, ამ სერობისაკენ მოისწრაფიან ჩვენი სისხლხორცეული ძმები — ფერეიდნელი ქართველები და თურქეთის ლაზები თუ ჭანები. მოისწრაფიან თავიანთი ენობრივი ფორმებით, გულში ჩასახუტებელი სიტყვებით, მოისწრაფიან და ამ პროცესის შეჩერება უკვე არც მაცილს ძალუძს და მით უფრო — იმპერიებს...

როდესაც ვამბობთ „საქართველოს“, „ქართულს“, იმთავითვე ყველა კუთხეს ვგულისხმობთ უკლებლივ ცალ-ცალკე და ერთად. ყველა მხარე — უბნის ადათ-წესსა და ტრადიციას, ისტორიას, ხალხურ სიბრძნეს, გმირობას, დედაშვილობას, ფოლკლორს, სიმღერას, ცეკვას, მწერლობას, სახიობას და მამულისადმი სულანთებულ მჩაბლისეულ სიყვარულს, ენასა და სარწმუნეობას... ჰოდა, თუ ეს ასეა, ჩვენმა თეატრმა, სხვა თეატრებისაგან განსხვავებით, უნდა „მოიაროს“ საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული, რომ მაყურებელს თეატრალური ენით აგრძნობინოს და დაანახოს, რა განსხვავებაა ამ კუთხეებს შორის და რა დიდი სისხლხორცეული საერთოა მათში...

თეატრი უკვე მუშაობს ავტორებთან, რომლებიც ამზადებენ პიესებს — საინგილოზე (ანზორ დოლენჯაშვილი), კახეთზე (კარლო კობერიძე), აჭარაზე (ალექსანდრე ლორია), იმერეთზე (ნოდარ შამანაძე), ქართლზე (რაფიელ მამულაშვილი). სხვა კუთხეების შესახებ ველით ავტორებს. რაც შეეხება ბატონ მერაბ კოსტავაზე შექმნილ პიესასა, რომელიც თავიდანვე იყო ჩაფიქრებული, თეატრმა თავის თავზე ვერ აიღო და გადაწყვიტა: ამ პრემიერაზე „**ნუმც რა მოგიშლია, არწივო, ბუდეი**“, გამოაცხადოს კონკურსი და გამარჯვებულ პიესაზე თეატრი დაუყოვნებლივ შეუდგება მუშაობას. პარალელურად იქმნება ცეკვისა და სიმღერის თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი ლექსო ნიკოლაძე — საქ. დამს. არტისტი). მაშასადამე თეატრმა ეტაპობრივად უნდა გაითვალისწინოს მიზანი, არსი და სახე საკუთარი ხელწერისა და ა.შ.

მოკლედ, წინ დიდი გზა და დიდი მიზნებია...

განსაკუთრებით აღსანიშნავია და გასათვალისწინებელია ისიც, რომ თეატრი შეიქმნა ისნის რ-ნში, სადაც არანაირი ქართული სერიოზული კულტურის კერა არ არსებობს (არის ერთი და ისიც სომხური), არც სამგორის რ-ნი, ვარკეთილი, ვაზისუბანი და სხვა მხარე — უბანია განებვირებული ქართული სიტყვა — კულტურით, ამიტომ საქართველოს ხელისუფლება მუდამ, რა დროც არ უნდა დაუდგეს, დიდი გულისყურით უნდა ეკიდებოდეს თეატრის ბედს... როგორც დიდი ილია ბრძანებს: „კასპის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს“...

მიუხედავად დღევანდელი ძალზე მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეო-

ბისა, თეატრი მაინც ახორციელებს საქველმოქმედო ღონისძიებებს: წყნეთის ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლიდან იშვილა 7 წლის მერაბ გელაშვილი. რამდენიმე პენსიონერს უწევს ფულად დახმარებას. თეატრის შუამდგომლობით ერთ-ერთ ფასიან უმაღლეს სასწავლებელში ჩავრიცხეთ მრავალშვილიანი, სტიქიით დაზარალებული სვანი ოჯახის წარმომადგენელი. შეფობას უწევს სოფელ დიდ ლილოს, მის მშრომელებს და სხვა...

თეატრთან არსებობს გამომცემლობა „ხატიონი“, რომლის მიერ გამოცემულ პირველ ნიგნს მალე მიიღებს ნორჩი მკითხველი. შექმნილია, აგრეთვე, სიხარულის სასახლე „თამთა“, სადაც ჩაბმულნი არიან ისნის რ-ნის და არამარტო ამ რ-ნის მოსწავლე-ახალგაზრდობა სხვადასხვა შემოქმედებით თუ სპორტულ სექციებში. ფუნქციონირებს, აგრეთვე, მცირე საწარმო „ათინათი“, რომელიც თეატრს შეძლებისდაგვარად ეხმარება ტექნიკური საქმეების მოგვარებაში და ა.შ.

თეატრის 170 თანამშრომლისა და თეატრთან არსებულ საწარმოების მუშა-მოსამსახურეების უპირველესი გადასაწყვეტი პრობლემაა ხელისუფლების დახმარებით თეატრის რეკონსტრუქციის ჩატარება, მაგრამ, პოლიტიკური ვითარების გამო, რეკონსტრუქცია ვერ დაიწყო, პროექტი და საჭირო საბუთები დღესაც ინახება მინისტრთა კაბინეტის კულტურისა და განათლების განყოფილებაში (საკითხი გადაწყვეტილი იყო და თანხაც გამოყოფილი), მოგესხენებათ, კინოდარბაზი და მისი შემოგარენი მოსაწესრიგებელია, სცენა კი თეატრისათვის ნახევარი თეატრია...

ჩვენი რეკვიზიტია: 380044 — თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი № 90, ისნის რ-ნის სოცგანვითარებისა და სააქციო კომერციული ბანკი. საანგარისწორებო ნომერია: 000601511, კოდი — 521716. მისამართი: 380044 — თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი № 94. ტელ: 74-58-55, 74-13-28.

მადლობა ისნის რ-ნის დღევანდელ ხელმძღვანელობას, მოსახლეობას, დედაქალაქის ინტელიგენციას, თავკაცებს, ხელისუფლებას, რომელმაც თეატრისათვის კრიტიკულ მემენტში დიდი საქმე გადაგვიწყვიტა დოტაციისა და სხვა კეთილი საქმეების მოგვარებით... მადლობა ყველას, ვინც გაჭირვების ჟამს გულთან მიიტანა ჩვენი თეატრის ბედი და ხელი შეუწყო ამ ლამაზ დღეს — თეატრის დაბადებას.

**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ძვირფასო მამულიშვილნო,
ღმერთი გვარავდეთ!**

P.S. ზეციერო, მიუტევე მავანთ, რამეთუ არა უწყიან ქართული ენის ზოგადასაკაცობრიო მისიისა. რამეთუ დაწერილა ოდეს: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“, რამეთუ გვინინასწარმეტყველეს გულთმისნობით: „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. ამინ!..

**„ჩემი ხატია სამშობლო
სახატე — მთლი ქვეყანა“...
აკაკი**

1990 წელი, სამხატვრო საბჭო, ოქმი №1

თეატრის პროგრამა-გეგმა, მისი სახე-ჟანრი და მიზანი დროებით შეიცვალა პოლიტიკური განუკითხაობის გამო, ამიტომ თეატრი იძულებული იყო, უმოქმედობა რომ არ დაბრალებოდა, მუშაობა დაეწყო შემდეგ პროექტზე:

პრემიერა შედგა...

გიორგი ცოცანიძე,
რაფიელ მამულაშვილი

“ნუმც რა მოგიშლია, არწივო ბუდეი”

(დრამა ერთ მოქმედებად)

დამდგმელი რეჟისორი – ზურაბ სიხარულიძე,
(რომელიც პიესაზე სამუშაოდ მოწვეულ იქნა ბოლოს...)
დამდგმელი მხატვარი – უშანგი იმერლიშვილი, საქ. დამს. მხატვარი
ლოტბარი და მუსიკალური გაფორმება - ლელა თათარაიძე
ქორეოგრაფი – ლექსო ნიკოლაძე საქ. დამს. არტისტი
კომპოზიტორი – გიორგი ჩლაიძე





ანონსი

იოსებ გრიშაშვილი

“მველი თბილისის ბოჰემა”

(ფარსი ორ აქტად)

დამდგმელი რეჟისორი – ილია მაცხოვნაშვილი, საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე

დამდგმელი მხატვარი – ზურაბ ხარაბაძე, საქ. დამს. მხატვარი.

კომპოზიტორი – გიორგი ჩლაიძე

ქორეოგრაფი – მურმან ლომთათიძე – საქ. სახ. არტისტი. ღირსების ორდენის კავალერი.

მუსიკალური გაფორმება - ნუგზარ კურცხალიასი – ღირსების ორდენის კავალერი

ანონსი

გოდერძი ჩოხელი

“ადგილის დედა”

დამდგმელი რეჟისორი – ზურაბ ნინუა

დამდგმელი მხატვარი – ზურაბ ხარაბაძე, საქ. დამს. მხატვარი.

დამდგმელი ქორეოგრაფი - მურმან ლომთათიძე – საქ. სახ. არტისტი, საერთაშორისო

ფესტივალების ლაურეატი

მუსიკალური გაფორმება - ლელა თათარაიძე

ფოლკლორისტები - ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული



ანონსი

შექსპირი
“მეფე ლირი“
(ტრაგედია ორ მოქმედებად)

დამდგმელი რეჟისორი – **ზურაბ ქაფიანიძე**, საქ. სახ. არტისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი
დამდგმელი მხატვარი – **ზურაბ ხარაბაძე**, საქ. დამს. მხატვარი
კომპოზიტორი – **გიორგი ჩლაიძე**
ბალეტმისტი – **კირა მებუკე** – საქ. დამს. არტისტი
მუსიკალური გაფორმება – **თემურ საყვარელიძის** – საქ. დამს. არტისტი

პრემიერა შედგა...

(თოჯინების თეატრი)

მაყვალა გონაშვილი

“მზის ასული“

დამდგმელი რეჟისორი – **გიორგი გამსახურდია**
დამდგმელი მხატვარი – **ზურაბ ხარაბაძე** საქ. დამს. მხატვარი
კომპოზიტორი – **თენგიზ ჯაიანი**
ქორეოგრაფი – **ალექსი ნიკოლაძე**, საქ. დამს. არტისტი
მუსიკალური გაფორმება – **ნუგზარ კურცხალიასი** – ღირსების ორდენის კავალერი
თეატრის შეფობა იკისრა და დიდი დახმარება გაგვიწია ბატონმა ვახტანგ მაღლაფერიძემ,
თოჯინების სახელმწიფო თეატრის დირექტორმა...

პრემიერა შედგა...

პოპესკუ

“ფისუნია კატაო“
(ერთ მოქმედებად)

დამდგმელი რეჟისორი – **გიორგი გამსახურდია**
დამდგმელი მხატვარი – **ზურაბ ხარაბაძე** – საქ. დამს. მხატვარი
კომპოზიტორი – **თენგიზ ჯაიანი**
ქორეოგრაფი – **ალექსი ნიკოლაძე**, საქ. დამს. არტისტი
მუსიკალური გაფორმება – **ნუგზარ კურცხალიასი** – ღირსების ორდენის კავალერი

ანონსი

**“სატირისა და იუმორის თეატრი “რია-რია”
“მოდი მნახე”**
(სატირა ერთ მოქმედებად)

ჯგუფის ხელმძღვანელი – **ჯემალ ტალახაძე**, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობი

პრემიერა შედგა...

**ინგლისურენოვანი ბავშვთა ლიტერატურულ-მუსიკალური
თეატრი – სტუდია “მერცხლები”**

ვაჟა-ფშაველა

პრემიერა შედგა...

“ჩხიკვთა ქორწილი”
(მიუზიკლი)

დამდგმელი რეჟისორი – **გივი გაჩეჩილაძე** – პროფესორი, საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე
დამდგმელი მხატვარი – **ვანო ასკურავა** – საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი

კომპოზიტორი – **რამაზ კემულარია**

ქორეოგრაფი – **ალექსი ნიკოლაძე**, საქ. დამს. არტისტი

მუსიკალური გაფორმება - **ჯემალ ტალახაძის**

პრემიერა შედგა...

**ვერიპიდე
“მედეა”**

(ტრაგედია ერთ მოქმედებად)

მედეა – **ლორინა ელერდაშვილი** – აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული არტისტი

(სპექტაკლში მონაწილეობდა თეატრის მთელი დასი...)

(სპექტაკლის პრემიერა გაიმართა რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში და თეატრის საკუთარ კედლებში).



პრემიერა შედგა...

სიმღერისა და ცეკვის ახალგაზრდული ფოლკლორული
ანსამბლი “მოცმე”

ქორეოგრაფი – თამაზ აბულაძე

ლოტბარი – ნუგზარ კურცხალია

მხატვარი – ზურაბ ხარაბაძე, საქ. დამს. მხატვარი.

სამხატვრო ხელმძღვანელი – მურმან ლომთათიძე, საქ. სახ. არტისტი, ღირსების ორდენის
კავალერი, მრავალი საერთაშორისო კონკურს-ფესტივალის ლაურეატი



ქალთა ფოლკლორული ანსამბლი

“აქედანა და შენამდე”

ხელმძღვანელი, ლოტბარი და მომღერალი – **ლელა თათარაიძე** (მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში, რომელიც ქ. პარიზში ჩართარდა

პროგრამა-გეგმაში გათვალისწინებული იყო ერთი მსახიობის თეატრის დაარსების შესახებ, რომელსაც ბატონი სერგო ზაქარიაძის სახელი უნდა დარქმეოდა...

თეატრმა შექმნა ორი მცირე საწარმო: “ათინათი“ და “ხატიონი“. რაც მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. თეატრმა იშვილა წყნეთის ბავშვთა უპატრონო სახლიდან მერაბ გელაშვილი...

წარმოდგენლად უმძიმეს მდგომარეობაში მყოფმა თეატრმა “გასვლითი“ წარმოდგენებითა და საკონცერტო პროგრამებით მოიარა მთა-თუშეთი, ქვემო და ზემო ალვანი -- იყვენენ მეცხვარეებთან იალაღებზე, თითქმის კახეთის ყველა ქალაქი და რაიონი “მოინახულეს“ და გააცნეს თეატრის “სახე“ და მისი მნიშვნელობა...

**თეატრის დაამარსებელი, დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი,
საქ. კულტ. დამს. მუშაკი, რეჟისორი ზურაბ ნინუა
(საკავშირო და რესპუბლიკური კონკურს - ფესტივალების
ლაურეატი, გამარჯვებული,
სტუდენტთა სახალხო თეატრებისა და
ხალხური შემოქმედებითი კოლექტივის
ხელმძღვანელი და რეჟისორი)**



საქართველოს განათლების სამინისტრო
ქობულისის მერიის განათლების
მთავარი სამმართველოს მიხეილ მესხის
სახელობის ოლიმპიური რეზერვის №25
საშუალო სკოლა
"ავაზა"



THE MINISTRY OF EDUCATION OF THE GEORGIA
THE MIKHEIL MESKHI N25 FOOTBALL SCHOOL
OF OLYMPIC RESERVES OF THE DEPARTMENT
OF EDUCATION OF THE MUNICIPALITY OF
TBILISI CITY
"AVAZA"

"ავაზალების" - მწერნი...

უდიდესი სიხანულთა და მწუხარებით განვიცდით „ავაზელები“ ჩვენი ყოფილი „ავაზელის“, დიდი მიხეილ მესხისთვის ტოტოს (ასე ეძახდა) ტრაგედიას. ბ-ნი მიხეილს ტოტო თავის ბავშვობას ახსენებდა და განსაკუთრებით უყვარდა. უყვარდა, როგორც „მოუსვენარი“ მინდორზე და დიდად შეყვარებული ფეხბურთზე, ჩემპიონობა — შესძახებდა ხოლმე ტოტოს ვარჯიშის დროს, როგორც „მოუსვენარი“ მინდორზე და დიდი მიხეილს, „ავაზელ“ ბავშვებზე, ხშირად სიყვარულით ახსენებდა ტოტოს და გამოარჩევდა ხოლმე როგორც დიდი მომავლის, მინდორზე მოაზროვნის მქონეს...

ამ ჩვენს პატარა წერაში განგებ, თავიდანვე არ ეახსენეთ სახელი და გვარი, ვინაიდან რაც გაგიგეთ შემზარავი იყო და დაუჭერებელი ჩვენთვის. ტოტო სხვებთან ერთად ჩვენც დაგვაცლდა. შისმა საბედისწერო „დარტქამი“ (როგორც იმ ნომერში...) მწარედ „წავაგებინა“ და ნაადრევად „თამაშიდან გამოგვითო“ „უზომოდ დაგვამწუხრა „დამარცხებულები“...

ბავშვობიდანვე გამოარჩეული ყოფილა სკოლაშიც, მეოცნებე და ღრმად ჩაფიქრებული, სულით პოეტი. გულს უერთოლებდა საგაფიცო საჭმენი გვირა წინაპართან თავის ლექსებში ეთაყვანებოდა მათ და ყოველივე ამჭვეჭნიურს, რაც კი ღვთაებრივი სიწმინდით გაციხროვნებ ულიყო. გვირა წინაპართან მიმსგავსების სურვილი სპორტისკენ უბიძგებდა და შიგლი სიცოცხლე გატაცებული იყო ფეხბურთით...

ჩვენთან 1988 წელს ვარჯიშობდა, ტოტოს უშუალო მწერთნელი იყო მალხაზ კოდანაშვილი, რომელიც დიდი სიყვარულით იგონებს მას, როგორც წესიერსა და ნიჭიერს ყოყოყოს, ბ-ნი მალხაზი ბრძანებს: „მე 77-ისებში ვმუშაობდი, ზოგჯერ 76-წლიანებშიც გაუჩვევლად ხოლმე მე და ბ-ნი მიხეილი ბავშვებს, მასთვის 1988 წელს აბრილი იყო თუ მისი, ბ-ნი მიხეილია ოთხი ბიჭი მომიყვანა მინდორზე და მითხრა ესენი შენთან ჩარიცხე და ავარჯიშე, ჩემი ახლობლები არიანო; გაგიცანი, კლასელები აღმოჩნდნენ, დღესაც მასთვის მათი გვარები, ტოტო თავისთავად, გოგა ლომიძე, ბექა ებანოიძე, ნიკა წილოსანი... ამ ბავშვებთან ერთად ვარჯიშობდნენ დღეს ყველასთვის ცნობილი ქართველი ფეხბურთელები — ლევან კობიაშვილი (კობი), ლევან ცქიტიშვილი (ცქიტო), ბესო შენგელია (პუშკინა), მამუკა მესხი (შვილი ბ-ნი მიხეილის), დათო გვაამაძე (ყოშკა), იყვნენ, რა თქმა უნდა სხვა ბავშვებიც... დღეს ეს ფეხბურთელები იცავენ საქართველოს ღირსებას, ეროვნულ ნაყრებში.

ეს პერიოდი ბავშვობის უღამაზეს მოგონებად შემორჩენია ჩვენი ტოტოს. ემაყვებოდა თურმე „ავაზელობა“. უცვლად დაბრუნებული პოეტის სულში სათუთად ახშიანებული ეს მოგონება სტრუქტურულად ქცეულა:

... აბრისის ცრმელი წრფელი და სუფთა
მე ისე მასთვის, როგორც ეღმე,
ან ქუჩის ბოლოს სხეული თუთა
და საფეხბურთო ლალი კედელი...

„ავაზელებს“ გაღაწვეტილი გვაქვს „ავაზას“ არსებობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით შექმნილი „ავაზელების“ მუზეუმი. მუზეუმში ჩვენს ტოტოს ავტოგრაფულად განსაკუთრებულ ადგილს მივუწერთ, გარდა ამისა, ვფიქრობთ მისი სახელობის ტურნირის ჩატარებასაც...

ღმერთმა დალოცოს ჩვენი „ავაზელი“ ტოტოს სახელი ფეხბურთისა და პოეზიის მიჯნაზე, ქართულ ფეხბურთშიც არის „რადიკალური“ „ავაზელობა“, სიღამაზე, რაც შესანიშნავად იცოდა, ჩვენმა საყვარელმა ტოტომ...

კვალის ნათელი და შიგის სამარადისოდ რატი (ტოტო) ნინუასი!

დირექტორი: *[Handwritten Signature]* მიხეილ მესხი (უმცროსი შვილი)
დირექტორის მოადგილე: *[Handwritten Signature]* (მერაბ გოგორიშვილი)
მწერთნელი: *[Handwritten Signature]* (მალხაზ კოდანაშვილი)



თბილისის ოლიმპიური გზადების
სპორტული ცენტრი და მიხეილ მესხის
სახელობის საფეხბურთო კლუბი

ა ვ ა ზ ა

თამაშები ჩატარდება
ოლიმპიური სისტემით
„ ა ვ ა ზ ა ს “
სტადიონზე



დასაწყისი
2002 წლის
17 ნოემბერს 11 საათზე

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

ანჟოზ, ყოფილი „ავაჯალის“,

ქვემო ნიხუას

სახელობის თანის გათავზებას

მონაწილეობან:

საპარტიველოს საფეხბურთო სპორტული სკოლების გუნდები
1989-1990

წლებში დაგადებულები

ტურნირში საპატიო ნიშნად მონაწილეია

ქარაღის რაიონის სოფელ რუისის მონაწილე

ფეხბურთელთა გუნდი

„ რ უ ი ს ი “

მისამართი: თბილისი, დიდების მასივი III კვარტალი

ტელ: 52-95-83; 52-55-11

დასტურება უფასოა

„ავეჯას“

მ ნ უ ხ რ ი . . .

უღიღესი სინანულითა და მწუხარებით განვიხილეთ
ყოფილი „ავეჯელის“ ბაბო ნინუას ბრატებიანს,
რომელმაც მნაკედ „ნაგვაგვიანა“ და ნაღკვევად
„გამოგვითიან“ თამაშიდან, რამაც უზომოდ დაგვაძნეს
და მოვლანზე „დაგვასხებელი“ მიგვაგონა...
საგელნიეროდ, უზიარა ქართულ დიდ პოეზიას, სადაც
„ავეჯელის“ ნათელი სული, სწრაფა, გაგარჯვებისაინ
ღმრლვა თან გაიყოლა...

... ამნიღვასი ენუგეთი ქმრეთი და სუფთა
მე და მახლავს მთვინე ვაფი
ან ქელის მთვინის მსუფთა თუთა
და საფხტურთაი ვაფთა ქმრეთი ...

ყაფი ნინუა

დიდავა მის „ავეჯელობას,
ნათელ სულსა და პოეზიას...




საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები



სოფელ რუისის ბავშთა ფეხბურთელთა გუნდი "რუისი".



პრიზების გადაცემის ცერემონიალი



შალვა ქორიძე

ჩემპიონია „ავაზა“

ლეგენდარული მიხეილ მესხის დირექტორობის პერიოდში „ავაზის“ მოზარდთა და ბავშვთა სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლაში მოხვედრაზე ათობით თბილისელი ჭაბუკიოცნებოდა. მათ შორის გახლდათ ფეხბურთსა და შემდგომში პოეზიაზე შეყვარებული რატი (ტატო) ნინუა. რამდენიმე წლის წინათ ახალგაზრდა პოეტი და ყოფილი ავაზელი ტრაგიკულად დაიღუპა. როგორც ცნობილია, მიხეილ მესხის სახელობის მოზარდთა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ავაზა“ (დირექტორის მოადგილე მერაბ გოგორიშვილი), თბილისის ოლიმპიური მზადების სპორტულ ცენტრს (დირექტორი გიორგი უდესიანი, დირექტორის მოადგილე ვახტანგ ფოცხიშვილი) შეუერთდა. ენერგიული ხელმძღვანელის დიდი ძალისხმევით სახე იცვალა „ავაზის“ ორივე სტადიონმა. ამასწინათ კი, ოლიმპიური მზადების ცენტრთან არსებული მიხეილ მესხის სახელობის ფეხბურთის სკოლა „ავაზას“ ინიციატივით, აქ ტატო ნინუას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა. ამ ჩინებული ასპარეზობის ორგანიზატორებმა მემორიალში სათამაშოდ 1989-1990 წელს დაბადებული რუსიელი (ტატო ნინუას დედულეთი) ჭაბუკებიც მიიწვიეს. ტატო ნინუას პირველი მემორიალის ფინალურ მატჩში „ავაზის“ პირველმა გუნდმა (მწვრთნელი — ნუგზარ ჩიტაური) ანგარიშით 2:1 დაამარცხა სოფელ რუისის პირველი საშუალო სკოლის (მწვრთნელი ვლადიმერ ბუზიაშვილი) ფეხბურთელები და მთავარი პრიზი დაისაკუთრა. მესამე ადგილზე გავიდა „ავაზა-91“-ის ფეხბურთელები (მწვრთნელი რომა მელიქიძე). გამარჯვებულებსა და ორკვირიანი მემორიალის პრიზიორებს პრიზები და ტატო ნინუას ლექსების კრებული გადაეცათ.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №283, 2002 წ.

ტატო ნინუას მემორიალი

„ავაზას“ მოზარდთა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლის სტადიონზე ამ სკოლოს ყოფილი მოსწავლის ტატო ნინუას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩატარდა მინიფეხბურთში 1989-1990 წლებში დაბადებული ჭაბუკთა გუნდების მონაწილეობით.

12 გუნდიდან ფინალში „ავაზას“ ჭაბუკმა ფეხბურთელებმა (მწვრთნელი ნუგზარ ჩიტაური) დაამარცხა სოფელ რუისის სკოლის ფეხბურთელები და ტატო ნინუას ხსოვნას თასი მოიპოვა. გამარჯვებულებს საპატიო თასი გადასცა დირექტორის მოადგილემ ბატონმა ვახტანგ ფოცხიშვილმა. მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა „ავაზა-91“-ის (მწვრთნელი რომა მელიქიძე) ფეხბურთელთა გუნდს. ტურნირის ძირითადი ორგანიზატორია თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი (დირექტორი გიორგი უდესიანი).

რედაქციისაგან: ჩვენი გაზეთისათვის ცნობილი იყო შესანიშნავი ახალგაზრდის, პოეტ ტატო ნინუას ტრაგიკული ბედი. მისი ნათელი ხსოვნის უკვდავსაყოფად სოფ.რუისში გაიხსნა კულტურის ცენტრი „მოყმე“, რომელიც ქარელის ამ ისტორიული და ხალხმრავალი სოფლის ახალგაზრდების ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიულად აღზრდის კერად იქცა. სწორედ ამ ცენტრის საქმიანობაზე მოვუთხრობთ მკითხველს „ლელოს“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.

გაზ. „ლელო“, №91, 22-25 ნოემბერი, 2002 წ.

“სევდის ბალი”

გაზეთ “თბილისის უნივერსიტეტი”-ს 2002 წლის 7 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში – “სევდის ბაღს შეველ”, ქ-ნი რუსუდან ჭანტურიშვილი წერს: ის, რაც 2000 წლის 10 მაისს დედაუნივერსიტეტში მოხდა, ყველა შეგვძრა, დაგვალონა და დაგვამწუხრა, თავი მოიკლა მეტად უნიჭიერესმა პოეტმა და მთარგმნელმა რატი (ტატო) ნინუამ, სწორედ ამ ტრაგედიამ გააჩინა იდეა შეგვექმნა თ.ს.უ-ის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი და დაგვეარსებინა “სევდის ბალი”, ამ საქმით უნივერსიტეტის რექტორატიც დაინტერესდა, მხარში დაგვიდგნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავკაცები, ბატონი თამაზ წივწივამ, ესრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის არქიტექტორი ბ-ნი არჩილ მინდიაშვილი, უნივერსიტეტის განაშენიანების გენერალური პროექტის ავტორ-ხელმძღვანელი ბ-ნი ლერი მეძმარიაშვილი, თბილისის მერია, საკრებულო, ქალაქის არქიტექტურის სამსახური, რა თქმა უნდა ქვეყნის პრეზიდენტის დავალებით და “სევდის ბაღს” უნივერსიტეტის კუთვნილი ტერიტორიიდან გამოეყო 6 ჰექტარი მიწის ფართობი. აქ შესაძლებელი იქნება “ჩაატო” სრულიად საქართველო. მისი ისტორია, სულიერება და გმირობა, უნივერსიტეტის კედლებში ასზე მეტი დაფრთიანებულის, ახალგაზრდა პოეტებისა და მწერლების შემოქმედება, რაინდობა, მათი სულის საოხად, რადგან ისინი ჭაბუკები დარჩნენ მარად, ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა... 2001 წლის 10 აგვისტოს, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს დადგენილებით დაფუძნდა – თ.ს.უ.-ის საქართველოს საზოგადოებრივი კავშირი “სევდის ბალი”, სადაც შემოგვიერთდნენ კულტურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და ა.შ. ვვიქრობთ, ყველა თაობის ახალგაზრდა პოეტების და მწერლების უკვდავსაყოფად, დავაკანონოთ, ახალგაზრდული სახალხო დღესასწაული “იარებოდა დედაი” და ყოველ მაისის თვეში სრულიად საქართველომ იზვიმოს..... მოკლედ, რას ნიშნავს “სევდის ბალი” და რას მოიცავს იგი.

თ.ს.უ-ის დაარსების დღიდან – დღემდე (გნებავთ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გაჩენიდან, რომელსაც საქართველო ჰქვია), უცნაური ბედის გამო, ადრე დატოვეს წუთისოფელი. მის კედლებში დაფრთიანებულმა ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტებმა და მწერლებმა, მაგრამ მათ მოასწრეს პოეზიის მადლს ზიარებოდნენ და ლამაზი სახელით, სისხლ-ხორცეულად შენივეთებულიყვნენ, ქცეულიყვნენ “უკვდავსულეზად”, რადგან დაგვიტოვეს კვალი ნათელი და ამალღებული ქართული სულიერება. აი, არასრული სია ამ “ანგელოზებისა”... (უნივერსიტეტელის თუ არაუნივერსიტეტელის):

ნიკოლოზ
(ტატო) ბარათაშვილი,
ლადო ასათიანი,
მირზა გელოვანი,
ტერენტი გრანელი,
სევერიან ისიანი,
გურამ რჩეულიშვილი,
გიორგი ნაფეტვარიძე,
სერგო თურმანაული,
ალექსანდრე საჯაია,
ადამ ალვანელი,
ლადო ბალიაური,
ზურაბ ჯაფარიძე,

გრიგოლ ხურციძე,
მარინე მამულაშვილი,
ლელა სიხარულიძე,
ნინო ზანგური,
ნაზი შამანაური,
ლევან დესპოტაშვილი,
მარიკა ტაბალუა,
რამაზ ბარკალაია,
თემურ გაბედავა,
ნიაზ დიასამიძე,
ჯემალ თოფურიძე,
შოთა ჩანტლაძე,
ვლადიმერ უბილავა,

კახა შარაშიძე,
ბექან ხარაიშვილი,
ნიკა ჯამბაზაშვილი,
დათო კვიციანიშვილი,
გიორგი ძიგვაშვილი,
კოტე ხიმშიაშვილი,
გიორგი ქადაგიძე,
არჩილ კიტოშვილი,
თამაზ ბამბალუა,
ირაკლი კოსტავა,
ფირუზ მაჩურიშვილი,
სტეფანე ფიცხელაური,

ნგელა გოგიბერია,
ვანლესი დაისელი
(ივანე ბაბალაძე),
ზაქრო დოლაშვილი,
ალექსანდრე უდუჩავა,
არლი თაყაიშვილი,
ქეთევან ირემაძე,
შალვა კარმელი
ვახტანგ კეკელიძე,
ყარამან კიკვაძე,
ვახტანგ ნადარეიშვილი,
სანდრო ჟღენტა,

ალექსანდრე სულავა,
ანდრო სიჭინავა,
კარლო ქილარჯიანი,
იპოლიტე შავლობაშვილი,
ია ჩხაიძე,
შალვა ჯანბერიძე,
ზურაბ ნარმანია,
მიშა კაციტაძე,
ნოდარ კვიციანი,
თენგიზ მორჩიაური,
დათო კრაწაშვილი,
დავით მურჯიკენელი,

დავით კოტეტიშვილი,
კიკნა ფშველა
ზარნაბა მელიქიშვილი,
მთისნიავე
(გრიგოლ მეგრელიშვილი),
პაატა ბულაშვილი,
გიგა დათუაშვილი,
ზურაბ ქუთათელი,
დათო ჩხაიძე,
ტატო ნინუა,
გოგიტა არაბული და ა.შ.
დათა გულუა და ა.შ.

მამასადაძე ჩვენი – ხევსურები და მოხვევები, თუშები და მთიულეები, გუდამაყრელები და ფშავლები, ქართლები და კახელები, რაჭველები და აჭარლები, ლეჩხუმელები და მესხები, სვანები და მეგრელები, იმერლები და გურულები, აფხაზები და სამაჩაბლოელები, ინგილოები და ლაზები, ჭანები და ჯავახები ე.ი. შვილები ქართული ჯიშისა და მოდგმისა... ჯერ კიდევ კაცობრიობის გარიჟრაჟზე ადამიანები ცდილობდნენ, ღრმად ჩასწვდომოდნენ სიცოცხლის მშვენიერებას, ამ ძიებაში იშვა ცეცხლის, მზის, მთვარის, ცხოველთა თუ მცენარეთა კულტი. ეს სწრაფვა ადამიანმა გამოხატა ხელოვნებაში: ბაბილონური ზიქურათი, ეგვიპტური პირამიდებით, ანტიკური მავზოლეუმებით, პანთეონებით, “სემირამიდას დაკიდული ბალებით”, ე.ი. კაცობრიობის მარადიული სწრაფვა უკვდავებისაკენ... “სევდის ბაღი”, ქართულ სინამდვილეში ამ ზოგადსაკაცობრიო იდეის უბრწყინვალეს არეალში მოიაზრება... თ.ს.უ-ისა და, საერთოდ, სტუდენტ-ახალგაზრდობის, უნივერსიტეტის კედლებში აღზრდილებისა და აღსაზრდელების სახელით, უღრმეს მადლობას ვუძღვნით ყველა იმათ, ვინც თავისი რუდუნებითა და ძალისხმევით განაპირობა “სევდის ბაღის” დაბადება... დღეს პირველი “ნათლობა” ამ იდეისა, ე.ი., ადამიანებისა, ვისთვისაც მკვირფასია ქართული სიტყვა, ლექსი და სიმღერა, ტკივილი და სინანული დედა უნივერსიტეტის აუდიტორიებში დაფრთიანებულებისა და ზეცაში უდროოდ მათი გაუჩინარებისა, რაც გამოხატავს მხურვალე მამულიშვილობისა და უკვდავი ქართული სულისა!... იმედია, ერისა და ბერის მხარში დგომით “სევდის ბაღი” შეძლებს _____ წარდგეს ფართო საზოგადოების წინაშე, რომ სრულიად საქართველომ გაისიგრძეგანოს, გაითავისოს ქართული სულის უკვდავება, უკვდავება იმ ანგლოზებისა, ერთ გუნდად რომ დაიმკვიდრეს სამარადისო სასუფეველი “სევდის ბაღში”, და დღესაც შემოგვძახიან:

“რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!..

კონკრეტულად, “სევდის ბაღი” მეტად ამალღებულია და მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისათვის, მომავალი თაობებისათვის, სულიერებისათვის, ქართველობის შენარჩუნებისათვის, გამრავლებისათვის, სიყვარულისათვის, რწმენისათვის და ა.შ.

ღმერთმა აგვიხდინოს ოცნება და ჩანაფიქრი, ამინ!..

საქართველო



ქალაქ თბილისის მერია
არქიტექტურის საქალაქო სამსახური
THE TBILISI MUNICIPALITY ARCHITECTURE SERVICES

№ 1310.02 № 6/2020

თბილისი 380002 დავით აღმაშენებლის გამზ. 89/24
Tbilisi 380002 David Agmashenebeli ave. 89/24
Tel: 95 31 26 Fax: 95 32 29

ქ. თბილისის მერიის გენერალური გეგმისა და
პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის
უფროსს ბატონ მ. ჩხაიძეს

ამასთან ერთად გიგზავნით საქართველოს საზოგადოებრივი კავშირი " სეედის ბალის" მომართვას, რომელიც ეხება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე " სეედის ბალის" მოსაწყობად განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე ხეივნისა და დენდრო პროექტის შედგენის საკითხს.

სამსახურის უფროსი
ქალაქის მთავარი არქიტექტორი -

ირაკლი ლოლაშვილი

შემს: დ. ჩხეიძე


ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირი
საქართველოს სააბრიატო



თსუ-ის საინიციატივო ჯგუფის წევრები ქალაქის მთავარ არქიტექტორთან, ბ-ნ ირაკლი ლოლაშვილთან, პროექტორ პარმენ მარგველაშვილთან, არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილთან და მხატვარ ზურაბ ხარაბაძესთან ერთად „სევდის ბაღისათვის“ გამოყოფილი ტერიტორიის დასათვალსებლად.

დავბადებუღვაი ხომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი....

ტიციან ტაბიძე



ახლოს ვიყავი ცასთან... ღმერთთან ვიყავი ახლოს,
და მას ეხმოდა ჩემი სევდა, ტყვილი ჩემი....

ტატო ნინუა

ჩვენო „ნატვრის ხე“

რედაქტორთა საბჭო, სადაც გაერთიანებულნი არიან თ.ს.უ.-ს ყოფილი პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, ფილოლოგები, ჟურნალისტები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ფოლკლორისტები, პოეტები, მწერლები, მთარგმნელები, მეცნიერები, საზოგადოების, ჰუმანიტარული ფაკულტეტებისა და „სეველის ბალის“ წარმომადგენლები, თხოვნით მიმართავს ყველას დახმარებისათვის, ვისაც ხელეწიფება და უპირველეს საზრუნავად მიიჩნევს ხელი შეუწყოს ქართული წიგნიერების, კულტურისა და სულიერების განვითარებას და წინსვლას, რათა მომავალ თაობებს წაადგეს სასიკეთოდ. აქ ჩამოთვლილი სურვილებიდან რამდენიმე მაინც რომ შესრულდეს, ვფიქრობთ ამ საშვილიშვილო, საშური საქმის კარგი დასაწყისი იქნება და ეტაპობრივად იგი აუცილებლად განხორციელდება...

1. ეს ერთტომეული, მცირე ტირაჟით გამოიცა და იგი აუცილებლად უნდა განმეორდეს, წიგნი აკრეფილია და ჩაწერილია კომპაქტდისკზე, რომელიც გამზადებულია სტამბისათვის.
2. კარგი იქნებოდა სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ერთად, პროფესორ-მასწავლებლები, გორის ინტელიგენცია, მეცენატები და ქველმოქმედები დაინტერესებულნი იყვნენ და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ან თეატრში, საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილების დახმარებით, გამართულიყო ამ კრებულის პრეზენტაცია, შემდეგ, ქარელის რ-ნში, საერთოდ შიდა ქართლის ქალაქებში და რაიონებში, ე. ი. რატი (ტატო) ნინუას დედუღეთში, რადგან, ყველაზე მეტად, წუწუნისა და უამრავი მიზეზების მოშველიების გარეშე, ჩვენს ტატოს აქ მიაგეს ის უდიდესი პატივი „დედა-შვილურ“ სიყვარულს რომ ეკადრება...
3. გაგკადნიერდებით და კვლავ მივმართავთ შიდა ქართლის მესვეურებს: სოფელ რუისში, გივი პაპა სულხანიშვილის მიერ ნაბოძები ძველი კარ-მიდამო სახლ-მუზეუმად დაკანონდა, რომელიც დამატებით მოითხოვს საამშენებლო მასალებს, ღია თეატრონის მოწყობას, გარე განათებას, დეკორატიულ გამწვანებას, ქუჩისა და მიმდებარე ტერიტორიის მოგვარება-მოწესრიგებას, რათა სამუზეუმო გარემო იყოს ყველასათვის მიმზიდველი და საკადრისი, ნებისმიერ დღესასწაულზე თუ მუზეუმის ღონისძიებაზე. ყურადსაღებია ისიც, რომ, ტურიზმის განვითარების მიზნით, საქართველოს ტურისტულმა დეპარტამენტმა, სამარშრუტო გეგმაში, კვლავ სოფელი რუისიც ჩართო; ტურისტები მოდიოდნენ ჩვენი ქვეყნიდან და იმედია, მომავალშიც ივლიან, უცხოელი ტურისტებიც ხშირი სტუმრები იქნებიან, რომლებიც გაეცნობიან სოფლის დიდ ისტორიას, უძველეს ტაძრებსა

და ეკლესიებს, ვფიქრობთ, სახლ-მუზეუმიც რომ ჩართულიყო ამ პროექტში არ უნდა ყოფილიყო ურიგო, პირიქით, საამაყოცა და სასახელოც იქნებოდა...

4. თხოვნით მიემართავთ აგრეთვე აჭარისა და ქ. ბათუმის ხელისუფლებას, დედუღეთმა დიდი გული ჩადო და ცრემლთან ერთად ჩაიხუტა, როგორც სხვა ღირსეული შვილები. სიტყვა თქვენზეა, ძვირფასო მეგობრებო, გვჯერა, როგორც ყოველთვის თქვენც მიაგებთ მისაგებს, თქვენი კუთხიდან აფრენილ ანგელოზს, რომელმაც ფრენა „შიდა ქართლში“ ისწავლა... იმედია, არც აჭარის მწერალთა კავშირი დააკლებს სიყვარულს... ძალზე სასიამოვნო იყო და გულამაჩუყებელი თქვენმა ტელევიზიამ სპეციალური გადაცემა რომ მიუძღვნა. არც პრესას გამორჩენია, ამიტომ ვიმედოვნებთ, ტატო „გვიშუამდგომლებს“ და ჩვენ შეგვძვდებით, ვითანამშრომლებთ, მანამდე გვინდა ჩვენი მოსაზრება და დიდი სურვილი გაგიზიაროთ: ხომ არ გვეფიქრა მისი საღამოს მოწყობაზე სახელმწიფო თეატრში, ან ეს ერთტომეული თქვენს სტამბაში დასტამბულიყო და უსასყიდლოდ, თურქეთში მცხოვრებ ქართველებისათვის დაგერიგებინათ... ან პატარა სამგზავრო გემისთვის მისი სახელი დაგერქმიათ, როგორც “სინდბად მეზღვაურის”, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მგზავრებს მისი დიდი შემოქმედება გაეცნოთ, რა თქმა უნდა, ფილმთან ერთად; ან გოგიტიძის ქუჩას (ბათუმში) დარქმეოდა მისი სახელი, რადგან იგი ხშირი სტუმარი იყო თავისი ბებიასი და ბაბუასი, იქნებ მოსწავლეთა პარკს...
5. ტატომ მამასთან ერთად დააარსა – მერაბ კოსტავას თეატრი, რომელიც, სამწუხაროდ, ავადსახსენებელი „მოქალაქეთა კავშირის“ განუკითხაობის დროს ყაჩაღებისა და ქურდების ჩარევით ხელში ჩაიგდეს ე.წ. „ცნობილმა სახეებმა“ და მაფიოზების „მამებმა“, რომლებიც დღესაც ანიაგებენ თეატრის უძრავ-მოძრავ ქონებას. განმკითხავი კი არავინაა. იმედია, თბილისის მერია დაიბრუნებს, აღადგენს მის კუთვნილ თეატრს და დამაარსებლებთან ერთად იხეიმებს „მკვდრეთით აღდგენის“ დღეს...
6. ჩვენ, ამ ერთტომეულის გამომცემლებს, უნივერსიტეტელებს, მეგობრებს, ლექტორებს გეგმაში გვაქვს გამოვცეთ წიგნი რატი (ტატო) ნინუას ცხოვრებაზე, მის ყოველდღიურ საქმიანობაზე, ურთიერთობაზე, ხასიათზე, სკოლაში რატომ ეძახდნენ „პატარა გენიოსს“ (მაღლობლები ვართ, სკოლის პედაგოგ-აღმზრდელებისა და დირექტორის, რომლებმაც თითქმის 200 წლის ცნობილ, განახლებულ მუზეუმში, ტატოს მიუჩინეს საკადრისი ადგილი), რითი იყო გატაცებული, რა უყვარდა და რა აღიზიანებდა, რაზე ოცნებობდა, როგორ განიცდიდა ქვეყნის სატკივარს. იგი 5 წიგნისა და ამ ერთტომეულის ავტორია. ძნელია მასზე ისაუბრო, ის ამოუცნობი ფენომენი იყო და თან გაიყოლა დაქცეული ქვეყნის ბედი... დიდმა ილია ჭავჭავაძემ, სინანულის სიტყვებით მი-

მართა ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილის ხსოვნას: „ვინ უწყს, რამდენი საუნჯე დაგვარგეთ ჩვენა“, რატი (ტატო) ნინუაზეც იგივე ითქმის...

7. ვიმედოვნებთ დედაქალაქიც „ამოიღებს ხმას“ და თავის წილ სიყვარულს გამოსატავს - „მეტყველ ბიჭზე“ და არ „დაივიწყებს“ ჩეხოვის ქუჩას, სადაც დაიბადა და გაიზარდა, ტატო ნინუას სახელს დაარქმევს, ბინას სახლ-მუზეუმად აქცევს, ალბათ, რომელიმე თეატრშიც, უნივერსიტეტის სტუდენტთა თაოსნობით საღამო ჩატარდება და ა.შ.
8. ჩვენ, ახლობლებმა, თბილისში არსებულ საელჩოებს მივმართეთ – იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, ბრიტანეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, უკრაინისა და ლატვიის. იყო შეპირებები, ეთარგმნათ თავიანთ ქვეყანაში, მაგრამ, არავინ შეგვხმიანებია, ეტყობა „დაავიწყდათ“. ვინც დაინტერესდა, ეს ჩვენი თანამემამულე, ცნობილი პოეტი და მთარგმნელი ბ-ნი რაულ ჩილაჩავა აღმოჩნდა, რომელიც უკრაინის ელჩია ლატვიაში და გვჯერა, ამ ორი ქვეყნის ენაზეც ალაპარაკდება ჩვენი ტატო...
9. ნათქვამია დაცინვას კაცი არ მოუკლავს, ო, არც ოცნებას. ვიცით, ზოგი ფანტაზიის ნაყოფად მიიღებს ჩვენს სურვილებს, ზოგი იტყვის: „რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი“. ვფიქრობთ, გულია მთავარი და სიყვარული, ასე რომ აკლია ქვეყანას და სჭირდება. დიდ გალაკტიონს თუ დავუჯერებთ:
„უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.“
10. მივმართავთ თბილისის მერიას, საკრებულოს, იქნებ კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს, საკითხი „სევდის ბაღს“ ეხება, რაც მან დიდი ძალისხმევითა და ბრძოლით ბოლომდე მიიყვანა, ეს გახლავთ ის, რომ შეჩერებული იქნა თ.ს.უ-ის მიწის ფართობის მიტაცებები, საბურთალოს პანთეონის მხრიდან, თბილისის მერიისა და საკრებულოს ჩარევის შემდეგ, გამოყოფილი იქნა 530-ათასი ლარი, კაპიტალური ღობის მშენებლობისათვის. რას ნიშნავს „სევდის ბაღი“, მოკლედ ამ ერთტომეულშიც არის აღნიშნული მაგრამ, თუ ვინმე დაინტერესდა, შეგვიძლია ვრცლად განვუმარტოთ: ჩვენეული პროექტი, დებულება, მისი არსი, უიშვიათესობა, მიზანი და დედაქალაქისათვის ძალზე მისაღები, სტუდენტებისათვის კი ყველაზე უსაყვარლესი ადგილი შეიძლება გახდეს და ა.შ.
11. დღევანდელი თ.ს.უ-ის რექტორატმა საერთოდ არც ისურვა დაგვლაპარაკებოდა. ჩვენ აქედან ვთავაზობთ იდეას, აზრს, არის თუ არა იგი ვალდებული უნივერსიტეტის დაარსების დღიდან – დღემდე 100-ზე მეტ ანგელოზს მიაგოს

პატივი, რომლებიც ამ კედლებში დაფრთიანდნენ და ქვეყანას დიდი შემოქმედება დაუტოვეს. ეს იქნება ის, რომელიც „შეავსებს“ ისედაც დიდ ისტორიას დედა-უნივერსიტეტისას, ამიტომ ძალიან კარგი იქნება და მნიშვნელოვანი, თუ პირველი კორპუსის ბაღში დაიდგმება ობელისკი 100-ზე მეტი პოეტის, მწერლის, ლიტერატორის და იმ კალმოსნების, რომლებიც ქვეყნის სიყვარულს შეეწირნენ. ამ ობელისკში უნდა „იკითხებოდეს“ და “ცოცხლდებოდეს” მათი გვარები, სახეები და “წმინდა სულები”. მთავარია ეს დიდებული წინადადება ასრულდეს, ვისაც უნდა დაივალოს, ითაოს...

ჩვენი აზრით, შეიძლება “სევდის ბაღი”, თავისი ჩანაფიქრითა და მნიშვნელობით, ვარძიის “მსგავსი” რამ იყოს, ცოტა ისეთიც, რაც დევს დებულებაში... არც ისაა გამორიცხული, სხვებმაც მიბაძონ ამ იდეას, თავად კი “სევდის ბაღელები”, სრულიად საქართველოს მოიცავს და “პოეზიას, უპირველეს ყოვლისას”...

დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ ბატონ ვაჟა ოთარაშვილს, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორსა და შესანიშნავი კრებულის „დედა ქართულ პოეზიაში“ შემდგენელსა და გამომცემელს, სადაც ტატოს ლექსიც არის შეტანილი. განსაკუთრებით აღნიშნის ღირსია ტატოს გათვალისწინება ქართული მწერლობის ანთოლოგიაში, რომლის პრეზენტაცია შედგა 2009 წლის 28 დეკემბერს, თბილისის მოსწავლე ახლგაზრდობის სარკეებიან დარბაზში.





ფოტომატიკა



პატარა ტატო - დეიდა რუსუდანთან



ერთი წლის



ტატო მშობლებთან





პირველი დღე სკოლაში



ქაშუეთის წინ




ოჯახში დაბადების დღეზე...




ტატო დედასთან, დასთან და დეიდასთან ერთად



ძმები ნინუები: ჯანიკო, თამაზი და ზურაბი



9 აპრილისადმი მიძღვნილი სამელოვიარო საღამო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ტატოს მონანილეობით. 1989 წ.



ტატო და ნატო ბათუმში



ტატო ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში (საგურამო)



ტატო სტუმრად ქალაქ თელავში მწერალ დავით კეჭერაძესთან
ოჯახში



ტატო კლასელებთან



სკოლის „ბოლო ზარის“ მაისური



ზვიად გამსახურდია



მერაბ კოსტავა



მუხრან მაჭავარიანი



უცნობი

ტატოს ნახატები (1989-91წწ.)



ბალათერ არაბული



ავტოპორტრეტი



გიორგი ხომტარია



საქართველოს დამსახურებული არტისტი,
მომღერალი
თემო საყვარელიძე





ტატო კლასელებთან ერთად მეგობრის
ქორნილში "ჯვარზე"



ტატო ფშავში



ვალერი (ვაკა) კორკელია

ნატო ნინუა



ბებია — ნინა სერაფიონის ასული
ქუთათელაძე (ქ.ხონის ყოფილი სახელმ-
ნიფო თეატრის მსახიობი, მომღერალი).




ბაბუა — ვასილი ვარლამის ძე
ნინუა.





თსუ-ის სტუდენტები
ჩარგალში ვაჟა -ფშაველას სახლმუზეუმის
ეზოში



ვაკა (ტატოს დის ქმარი) შვილთან,
ანანოსთან ერთად



ტატო კლასელებთან



უნივერსისიტეტის სტაჟიორი ფილოლოგი იტალი-
იდან, რომელსაც მასპინძლობენ ტატო ნინუა და
გიორგი გორთამაშვილი




ტატო ფშავში



ტატო კლასელებთან



ტატო და ნატო აზა ბებოსთან





მსახიობები ქეთი კილასონია,
გია ჯაფარიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ზაური ბალიაშვილი



ქარელის რაიონის გამგეობის
წარმომადგენელი



ტატოს დაწყებითი კლასის
მასწავლებელი
ქ-ნი დოდო ტატიშვილი



თსუ-ის პროფესორი
ქ-ნი რუსუდან ჭანტურიშვილი



ბ-ნი ვახტანგ ფოცხიშვილი
„ავაზას“ გენერალური
დირექტორის მოადგილე



ზაურ ბალიაშვილი საზოგადოებას ამცნობს ტატოობის დაარსების შესახებ



მწერალი ნოდარ ხვედელიძე



მწერალი კობა არაბული



პოეტი თემურ ჩალაბაშვილი





პოეტი მაცვალა გონაშვილი



მწერალი გივი სიხარულიძე და ზაურ ბალიაშვილი



მწერალი რევაზ მიშველაძე



მომღერალი ვანო ლუარსაბიშვილი



კინოოპერატორი გელა ჭანტურიშვილი





რუსელთა ინტელიგენციის ჯგუფი „ტატოლის“ წინა დღეს



პატარა რუსელები





ანსამბლი „ჩვენებურები“, ხელმძღვანელი ნუგზარ კურცხალია



სახ. ფილარმონიის მსახიობები



პატარა რუსელები



სახ. ფილარმონიის მსახიობები



ანსამბლი „თბილისი“, ხელმძღვანელები: მურმან ლომთათიძე, თამაზ აბულაძე, ნუგზარ კურცხალია



რუსელი მოსწავლე გოგონა



ანსამბლი „კელაპტარი“, ხელმძღვანელი დავით ქავთარაძე





ლელა თათარიძე



გია და თემურ ხარაბაძეები და მერაბ ჭყონია





ტატოს ბიძა — ჯემალ მენაბდიშვილი და მხატვარი ნუგზარ ჯაფარიძე



გიგი პაპა სულხანიშვილი, ვანო სულხანიშვილი და გურამ ნასყიდაშვილი



რატი (ტატო) ნინუას სახლ-მუზეუმი და მისი დამთვალიერებლები

ტატო ნინუას
 სახელმწიფო
 სახელმწიფო
სახლ-მუზეუმი
 სოფელი რუიხი
 ტატო ნინუას ქ. №16
 ☎ 8-2709361






წმინდა ესტატეს სახელობის ეკლესია სოფელ
ერთაწმინდაში



მომღერალი ლევან სამყურაშვილი რუსში



სოფელ რუსში, ღვთაების ეკლესიაში და სოფელ ერთაწმინდაში, წმინდა ესტატეს
სახელობის ეკლესიაში, სამმეტრიანი ჯვრების შებრძანება



რუისის ღვთაების ეკლესია და მამა გაბრიელი



რუისის ახალგაზრდობა, სიყვარულის გამოხატვის ნიშნად, მონაწილეობს
ჯვრის შებრძანების ცერემონიაში

**შეიწყალა უფალმ
ს უ ლ ი
გარდაცვლილისა
მონისა შენისა დიდი
პოეტი და მთარგმნელი
რატი (ტაბო) ნინუა და
მოიხსენა ყოველი
შემომენი რველნი
წმინდისა ამის
ჰ ვ ა რ ი ს ა
ამინ!**



ოთხშაბათს 21 თებერვალს

თსუ ეროვნულ ლიბერაგურათა,
ლიბერაგურულ ურთიერთობათა და
თარგმანის კათედრა და ახალგაზრდა
მწერალთა გაერთიანება მართავენ

რაგი (გაგო) ნინუას

ხსოვნის საღამოს

დასაწყისი 5 საათზე, თსუ I კორპუსი,

II სართული, 93 აუდიტორია

*თსუ ეროვნულ ლიბერაგურათა, ლიბერაგურულ ურთიერთობათა და
თარგმანის კათედრა,*

ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანება





ქ. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა მიერ ორგანიზებული „ტატოს საღამო“



ჩვენი გორისაა



დიახ, ტატო ზურაბის ძე ნინუა ბათუმელია, მაგრამ ახლა თბილისში ცხოვრობს. სწავლობს თბილისის I საშუალო სკოლაში. 27 თებერვალს ტატოს 13 წელი შეუსრულდა. წინ დიდი და საინტერესო ცხოვრების გზაა, მით უმეტეს, რომ ამ გზას პოეტური ფერების ელვარებაც ეხლება თან, რამეთუ ტატო დღეს საკმაოდ ფლობს ლექსის საიდუმლოებას. ამაში თქვენც დარწმუნდებით, თუ გადაფურცლავთ ჟურნალ „ნობათის“ ამა წლის 5-8 ნომერს. ისღა დაგვრჩენია, რომ ვუსურვოთ ტატო ნინუას პოეზიის ლამაზი ქვეყნისაკენ მიმავალი გზის მიგნება, რომლის ბილიკები ბათუმიდან დაიწყო:

„... ჯერ შენს სამშობლოს უნდა მისცე ლექსები მსხვერპლად,
მის სამსხვერპლოზე უნდა დასდო თავი – ზვარაკი,
და მხოლოდ შემდეგ მოიპოვებ ბედნიერებას,
რადგან ვალმოხდილს ცისკარიც კი განწმენდს სხივებით,
მზე აზიარებს მხურვალეებას, სიწრფელეს – მთვარე,
და მის ვარსკვლავზე ცისარტყელაც კი გაწვიმდება,
მაშინ შეიციან შენს ვარსკვლავზე შვებას უსაზღვროს
როცა შესწირავ სათნოებას ყველაფერს ძვირფასს!
ჯერ ერთან წადი... მას უნდიხარ... შენი ლექსები
მას ანცვალე და მე კი გზა დამილოცნია!...”

1989 წ. სექტემბერი
გაზ. „მაცნე“, ბათუმი № 4 (22)
28 თებერვალი 1990 წ.
პოეტი, შოთა ზოიძე



გინჯევათ



**„ქარო, ქარო, დღეს ორივეს
ფრენა გაგვაბედინა...“**

(პროგრამა ოთხ ნაწილად...)

სცენარის ავტორები:

ზეზუა ქავთარაძე, გიორგი გორთამაშვილი,
ავთანდილ ბესელია, კობა არაბული, ბუბა ხოტივარი.

(ველით ტატოს საღმოს დამფინანსებლებს, მეცენატებს, რომელბსაც სტკივათ სატკივარი
და რომელბმაც იციან ფასი ქართული სიტყვისა და მისი უკვდავებისა)

“მადლობელი ვართ გულითა...”

ძვირფასო მეგობრებო!

“რა გითხრათ, რით გაგახაროთ“... სავალალოდ და სამწუხაროდ თქვენთვისაც ცნობილია ის ავადსახსენებელი დღე, რომელმაც შეძრა და დაამწუხრა არამარტო სახელმწიფო უნივერსიტეტი, არამედ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია დედაშვილობის მადლი, ბედი მომავალი თაობისა თუ საქართველოსი...

2000 წლის 10 მაისს, პროტესტის ნიშნად თავი დადო ზვარაკად და დაგვმორდა ახალგაზრდა, 23 წლის კალმოსანმა, განსწავლულმა, პოეტმა და მთარგმნელმა რატი (ტატო) ნინუამ, რომელზეც ამბობენ და წერენ: “იგი იყო ფენომენი, გმირი, შეწირული რაინდი, დიდი პოეტი, გენიოსი“...

დიახ, ასეა ეს და ნუ მიიღებთ გადაჭარბებულ ნათქვამად ყოველივეს, დასტურად მისი ოთხი წიგნიც იკმარებდა და მისი მეცნიერულ-ფილოსოფიური ნაშრომი, გერმანელ გენიოსზე ფრიდრიხ ნიცშეზე. უნივერსიტეტში სამეცნიერო საბჭოს აღდგენის შემდეგ, პროფესორ-ბაირონისტის ქალბატონი ინესა მერაბიშვილის თაოსნობით აპირებენ ამ ნაშრომისათვის საპატიო სადოქტორო ხარისხის მინიჭებას. მის წიგნებში, არაერთი ცნობილი პოეტის, მწერლისა და მეცნიერის გამონათქვამებია დაბეჭდილი მასზე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ დიდ შემოქმედზე, პოეტზე, მთარგმნელზე და მკვლევარზე...

ტატოს დედუღეთია შიდა ქართლი, სოფელი რუისი, რომელმაც უდიდესი პატივი მიაგო მის ხსოვნას და დააკანონა: ახალგაზრდული სახალხო დღესასწაული ტატოობა, სახლ-მუზეუმი, კულტურის ცენტრი “მოყმე“, ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაარქვეს და ა.შ.

მამით იგი ბათუმელია, ამიტომ, ბათუმელები აპირებენ შემოქმედებითი ხსოვნის საღამოს მოწყობას, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში...

საქართველოს ტელევიზიამ ორჯერ, აჭარის ტელევიზიამ სამჯერ, შიდა ქართლის ტ/კ “თრიალეთმა“ 5-ჯერ მოამზადა სპეციალური გადაცემა.

ტ/კ “იმედი“-ს გენერალურმა დირექტორმა ბ-ნმა ბიძინა ბარათაშვილმა დაავალა თავის თანამშრომლებს, რომ ტატოს შესახებ დამონტაჟებულიყო და შექმნილიყო ოჯახში და სხვაგან დაგროვილი მასალების საფუძველზე – მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, რა თქმა უნდა ჩვენი დახმარებითა და ჩარევით. ფილმი შედგა, რომელსაც ჰქვია: იესოსადმი (ლოცვის მაგიერ)... არც საქართველოს საპატრიარქოს რადიო “ივერია“-სა და ტელევიზიას გამორჩენია იგი... განსაკუთრებით უდიდეს მადლობას ვუხდით ქ. გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს, სტუდენტ-ახალგაზრდობასა და ინტელიგენციას...

თქვენ არ გჭირდებათ იმის მტკიცება თუ რა მნიშვნელობა ექნება, ფრიდრიხ ნიცშეზე მცირე ტირაჟით გამოცემული წიგნის განმეორებას, დედა-უნივერსიტეტში სამეცნიერო საბჭოზე მის გატანას. ვოცნებობდით (მცირე ტირაჟით მაინც) მისი სრული კრებულის გამოცემასაც. საბედნიეროდ არიან ადამიანები, რომლებმაც იციან ფასი წიგნიერების, ახალგაზრდობის, პოეზიისა და ღირსეული მამულიშვილების. იმისიც გვჯერა, რომ სხვადასხვა დროს, ტატოს (ამჟამინდელ ერთტომეულთან ერთად), გამოცემულ წიგნების პრეზენტაცია, ან დედა-უნივერსიტეტში სამეცნიერო საბჭოზე, ან ბათუმის სახელმწიფო თეატრში შემდგარ საღამოზე მოხდება ჩვენი შეხვედრა, ან შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ან იქნებ ქუთაისში, ან თელავში...

მადლობელი ვართ — სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის, რომლის კურთხევითაც ჩვენს ტატოს მოძღვარმა „ნესი აუგო“, როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებელსა და ღირსეულ მამულიშვილს, უზომოდ შეყვარებულს ტანჯულ ქვეყნაზე.

ეს კრებული ტატოს შემოქმედებისა და შექმნილი ფილმი იესოს (ლოცვის მაგიერ) ეძღვნება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უნმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს, მისი აღსაყდარების 30 წლისთავს...

რუის-ურბნისის მიტროპოლიტ მეუფე იობის, რომელმაც ტატოს უკვდავსაყოფად რუისელების მიერ დამზადებული სამმეტრიანი ჯვარი აკურთხა და რუისის ღვთაების წმინდა ტაძარში შეაბრძანა...

სამთავისისა და ქ. გორის ეპისკოპოსის მეუფე ანდრეასი; მისი ლოცვა-კურთხევით სოფ. ერთწმინდაში წმ. ესტატეს სახელობის ეკლესიაში, ტატოს მეგობრების მიერ შებრძანებული იქნა სამმეტრიანი ჯვარი... დეკანოზ მამა გიორგი ზვიადაძეს, მამა ამირან ამირანაშვილის, რომელმაც ნესი აუგო უნმინდესისა და უნეტარესის დავალებით, ლოცვა-კურთხევით...

თბილისის I-ლი საშუალო სკოლის (გიმნაზიის) დირექციასა და პედაგოგ-აღმზრდელებს, რომლებმაც გიმნაზიის განახლებულ შენობაში მონყობილ მუზეუმში, დიდ მამულიშვილების გვერდით, ჩვენს ტატოს მიუჩინეს საპატიო ადგილი, როგორც ამ სკოლის აღზრდილს...

ღრმა პატივისცემით დედა უნივერსიტეტს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, კურსელებს, კლასელებს, კოლეგებს, საქართველოს მწერალთა კავშირს, ბატონ თამაზ წიფნივაძეს, რომლებმაც დააკანონეს თ.ს.უ-ს — საქართველოს საზოგადოებრივი კავშირი „სევდის ბაღი“...

ბავშვობაში ტატოს „ავაზელობისათვის“ დიდ მიხეილ მესხს, მერაბ გოგორიშვილს, მალხაზ კოდანაშვილს, ვახტანგ ფოცხიშვილს, გიორგი უდესიანს, მიხეილ მესხს - უმცროსს („ავაზას“ ყოფილ დირექტორს)...

გამომცემლობა „მერანს“, ბ-ნ გურამ გვერდნითელსა და თენგიზ რამიშვილს,

მხატვარ ზურაბ ხარაბაძეს, ტატოს ნიგნის „ალუბლის იაღქნების“ გამოცემისათვის – 1994 წელი...

ბატონებს: პროფესორ შადიმან ხელაძეს და ლევან ფოფხაძეს, გამომცემლობა „ჯი-სი-ა-ის“ საშუალებით ტატოს ნიგნი “ნატალის” გამოცემისათვის – 2004 წელი...

პოეტ რატი ამალლობელს ტატოს ნიგნის „სინდბად მეზღვაურის“ რედაქტორობისათვის და ბატონ ლევან გაჩეჩილაძეს დაფინანსებისათვის... (გამოიცა 2004 წელს).

ბატონ მერაბ ბერძენიშვილს, დიდ მოქანდაკესა და მამულიშვილს, ტატოს ნიგნის „ავფრინდებით მე და შენ“, უანგარო დახმარებისათვის, რომელიც დაისტამბა 2004 წელს – შ.პ.ს. „ცაიტნოტში“...

პროფესორმა შადიმან ხელაძემ, ტატოს ნიგნი „ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგედია“, სასტამბოდ მოამზადა და ბატონების შოთა მაისურაძისა და გია შერაძის დაფინანსებით წიგნად იქცა 2007 წელს...

ყოფილი „მთავარი გაზეთის“ მთავარ რედაქტორს ქალბატონ მაკა ჯანაშიას.

თსუ - ის გამომცემლობის გენერალურ დირექტორს ბატონ ნუგზარ ნიკლაურს (დღეს თუ ტატოს ერთტომეულის გამოცემით ვხარობთ ყველა ეს სიკეთე და უდიდესი მადლი გაღებულ იქნა მის მიერ. ქალბატონ ლია ბერუაშვილს ტატოს მოღვაწეობისა და ვიდეოფილმის იესოს (ლოცვის მაგიერ), მთელი მასალის ვებ-გვერდის მომზადებისათვის და თ.ს.უ-ის ინტერნეტ საიტზე განთავსებისათვის. საქართველოს პარლამენტის, ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილეს ბატონ მერაბ ვეკუას, ლევან თაქთაქიშვილს, ქეთი თომაძეს, ბატონ ვაჟა ოთარაშვილს ტატოს ერთტომეულის გამოცემისათვის.

ძვირფასო მკითხველო! ნუ გვიწყენთ თუ ოჯახს, მშობლებს, ახლობლებს, გვსურს ამ კრებულში, ინტერნეტში, მოთავსებულ ფილმთან ერთად ვახსენოთ ის ადამიანები, რომლებმაც დიდ სინანულთან ერთად სიყვარულიც გამოხატეს და „გადაგვატანინეს“ ის უბედურება, რაც ჩვენს ოჯახს დაატყდა. მხარში დაგვიდგნენ და გვეხმარებოდნენ. სწორედ ეს გახლავთ მიზეზთა მიზეზი გაღებულ სიკეთისა, ახლა მაინც მოვეფეროთ და მადლობა ვუთხრათ მათ თანადგომისათვის...

დაუნახაობა იქნებოდა ჩვენგან, არ გვეთქვა სათქმელი, მით უფრო როცა ასე უჭირს ქვეყანას, ერსა და ბერს, „რა დროს ლექსიაო მოუკვდა პატრონი“, უთქვამთ ჩინოსნებსაც და ე.წ. „პატიოსან“ ფულის მშოვნელებს, მედროვეებს...

მათმა მონდომებამ კი გაგვაოცა, როცა ქარელის რაიონის ყოფილმა გამგებელმა თენგიზ რაზმაძემ, ყოფილმა დეპუტატმა ალბერტ ინდუაშვილმა, ყო-

ფილმა განყოფილების გამგეებმა მარინე გოდერძიშვილმა და ჯულიეტა მურ-ვანიძემ, სოფლისა და რაიონის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის ყველა წევრმა, რუისმა და რუისელებმა, დიდმა და პატარამ, რუისის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ ზაური ბალიაშვილმა და პასუხისმგებელმა მდივანმა გია კავლელაშვილმა, გივი პაპა სულხანიშვილის მიერ ნაბოძებ ძველ კარ-მიდამოში დააარსეს: ტატო ნინუას სახელობის სახელმწიფო სახლ-მუზეუმი (იყო თ.ს.უ-ს რექტორატისა და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ბატონ თამაზ ნივნივაძის შუამდგომლობებიც), ახალგაზრდული სახალხო დღესასწაული „ტატოობა“, კულტურის ცენტრი „მოყმე“, ქუჩას მისი სახელიც უწოდეს და ა. შ.

სწორედ აქ, დიდი ისტორიის მქონე სოფელ რუისში, დედუღეთში აიდგა ფეხი ტატო და დავაჟკაცდა, შეიგრძნო სოფლის მადლი და დიდი სიყვარული „ქართლის მინისა“. განსაკუთრებით ამ „სწავლა-განათლებაში“ გიგანთ უბნელებმა და გალავნელებმა შეიტანეს წვლილი. ხედავდნენ თუ როგორ იზრდებოდა იგი და რითი იყო დაინტერესებული, ერთად უხდებოდათ ყოფნა სოფლის სხვადასხვა დღესასწაულზე: სოფელ ერთანმინდაში – პაატა სააკაძის „მოსა-ნახულებლად“ (რათა ტატოს ხშირად უწევდა, უყვარდა მეგობრებთან ერთად იქ სიარული...), სოფელ ნოსტეში – დიდი მოურავის „კარ-მიდამოში“, სოფელ თამარაშენში – ივანე მაჩაბლის, ჩარგალში — ვაჟა-ფშაველას, თბილისში — ნიკოლოზ ბარათაშვილის, საგურამოში — ილია ჭავჭავაძის, წერაქვში — ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმებში. „საქმეში“ ჩართული იყვნენ და აქტიურობდნენ: გივი პაპა, თამაზი, ვანო, ნოე, სულხანი, ჰამლეტი, ნუკრი, თინა, გულიკო, ეკა, თამარი, სალომე სულხანიშვილები, გურამი, ლენა, მარინე, გია, გური, მამუკა, პაპუნა, მიშიკო ნასყიდაშვილები, რეზო და თამაზი გიგაშვილები, ჯემალი და გოგიტა ბალიაშვილები, ივერი, ომარი, ტიტე, გუჯა, რამაზი, ავთანდილ გიგაშვილები, ავთანდილ რუსაშვილი, უჩა ეგნატაშვილი, თამაზი ეგნატაშვილი, დავით რაზმიაშვილი, მამუკა ბალიაშვილი, რობიზონი და მიხეილ მექვაბიძეები, ალექსანდრე ეგნატაშვილი, ზურაბი და ნუგო სვანაძეები, ელგუჯა ჯანიაშვილი, ნუგზარ სვანაძე, ზაურ ბალიაშვილი, გია კავლელაშვილი, ვიქტორ და ვიტალი მანჯგალაძეები და ა.შ. ზუსტად ამ უბანში, მეზობლებში, იზრდებოდა და ყალიბდებოდა ჩვენი ტატო, როგორც კაცი და უზომოდ მოყვარული თავისი ქვეყნისა, ისტორიისა, პოეზიისა. რუისი კი მისი უსაყვარლესი სალოცავი სოფელი იყო...

აღსანიშნავია ის მადლიცა, რომელიც დამნუხრებულ ოჯახს გაუწიეს ადამიანებმა იმ იმედითა და მოლოდინით, რომ „ბედის მწერალი“ მაინც დაულოცავდა ცხოვრების გზას და არ შეეყრებოდა ქვეყნის მოძულეებს, მოჩალიჩეებსა და კორუმპირებულ გაიძვერებს, მკვლელებს, ამხ. შევარდნაძის დამქაშებს და მის შვილობილებს, ე.წ. „დიდ ქართველებს“, „პოპულარულებს“, რომლებმაც სისხ-

ლის ფასად, ცოდვის კალო დაატრიალეს და შეინირეს პატიოსანი ოჯახები მერ-
აბ კოსტავას თეატრის 116 შტატიანი მუშაკი, ათობით თეატრის თანამშრომელს
ჩააცვეს შავები და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ...

რადგან ბოროტებამ თავისი გაიტანა და ჩვენ ვერას გავხდით პარაზიტებად
და გაიძვერებად დაბადებულებთან, რა „დააშავა“ იმ ადამიანებმა, რომლის ნი-
ნაშე დავალებულნი ვართ და ცამდე მადლობელნი, სიყვარულით გვინდა ჩამ-
ოვთვალოთ ბატონები: ზვიად გამსახურდია, ბესარიონ გუგუშვილი, თემურ
ქორიძე, გურამ პეტრიაშვილი, თენგიზ კიკაჩიშვილი, დიმიტრი ჩიტლოვი, მა-
მუკა რაზმაძე, გია ჯაფარიძე, ოთარ გამყრელიძე, აკაკი დვალისშვილი, ირაკ-
ლი ანდრიაძე, ოთარ ქვილითაია, ნოდარ ქითანავა, ჯემალ ნინუა, ვახტანგ
გოგუაძე, ნოდარ ამალლობელი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, გურამ შარაძე, ნო-
დარ ნულებისკირი, ელგუჯა ამაშუკელი, ნოდარ ანდლულაძე, ლევან სანიკიძე,
რეზო მიშველაძე, ანზორ აბრალავა, ვახტანგ გვარამია, სოსო სიგუა, ნოდარ
გრიგალაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, ირაკლი აფციაური, თამაზ ნივნივაძე,
ლექსო ნიკოლაძე, გურამ ჟვანია, ელიზბარ ჯაველიძე, ზურაბ ხარაბაძე, ნოდარ
ხვედელიძე, ამირან ხურცია, როსტომ ჩხეიძე, ანზორ კახურაშვილი, ლამარა,
მადონა, ელგუჯა კილაძეები — ეს ის ადამიანებია, სხვებთან ერთად თეატრის
დაარსებაში რომ გვეხმარებოდნენ და მისი გადარჩენა ვერანირად რომ ვერ შე-
ძლეს. რატომ? დრო იყო განუკითხაობის, წაგლეჯის, სიძულვილისა და მაფიო-
ზების პარპაშის, „მოქალაქეთა კავშირის“ ზეიმისა და ჩასაფრების...

ოჯახის დაახლოებების სახელით დიდი მადლობა გვინდა აგრეთვე ვუთხრათ
ბატონებს: მერაბ ბერძენიშვილს, შოთა ნიშნიანიძეს, რამაზ ჩხიკვაძეს, ირაკლი
აბაშიძეს, გრიგოლ აბაშიძეს, რეზო ურუშაძეს, ნოდარ ჯალალონიას, ნუგზარ
ფსუტურს, გოდერძი ჩოხელს, ბადრი კობახიძეს, აკაკი ბაქრაძეს, ჯემალ აჯი-
აშვილს, ქ ბათუმის თეატრის კორიფეებს, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის დიდ
სცენას დაამშვენებდნენ: თამარ სულხანიშვილს, ნუნუ თეთრაძეს, ნინო საკან-
დელიძეს, ნაზი კეჭაყმაძეს. ბატონებს: იუსუფ კობალაძეს, მურად ხანიკიძეს,
აკაკი მგელაძეს, გიორგი ახვლედიანს, პავლე ინწკირველს, იური ცანავას, მა-
ნუჩარ შერვაშიძეს, ვაჟა დოლიძეს, ამირან ტაკიძეს, ხასან მეგრელიძეს, იუსუფ
ზოიძეს, ხასან მიქელაძეს, ლევან ღლონტს და თეატრის ყველა იმდროინდელ
თანამშრომელს, რომლებმაც კაცად მაქციეს, შემაყვარეს სცენის „მტვერი“ და
მაზიარეს თეატრის სიყვარულს. ღმერთმა დალოცოს მათი სულები, ვინც წავი-
და ამ ქვეყნიდან და დატოვეს სახელი. შალვა მაჭავარიანს, ვახტანგ გურგენიძ-
ეს, ანტონ თავზარაშვილს, გიორგი გამსახურდიას, შალვა კაპანაძეს, ვახტანგ
ანჯაფარიძეს, სერგო გობეჯიშვილს, გივი ოდიკაძეს, გუგული ყიფიანს, თენგიზ
ჩანტლაძეს, პეტრე გრუზინსკის, ვახტანგ გოგოლაშვილს, ნოდარ ხუნწარიას,
ქართლოს კასრაძეს, გაიოზ ქართველიშვილს, ნიკოლოზ მოსეშვილს, კონო

ბადრიძეს, გურამ საღარაძეს, გიზო სიხარულიძეს, რომან მიმინოშვილს, ემზარ კვიციანიშვილს, ვლადიმერ სარიშვილს, არსენ ერემიანს, საშა სვატიკოვს, ლევან ბრეგაძეს, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს ბატონ ანზორ შარაშენიძეს და პედაგოგს ნოდარ კობერიძეს...

ჩვენ ვინ ვართ? არავინ, ერთი უბრალო რიგითი ოჯახი „მონა ღვთისა და ერისა“, რომელმაც ქვეყანას ერთადერთი ვაჟკაცი, დიდებული მამულიშვილი, პოეტი და მთარგმნელი, მკვლევარი და ფილოსოფოსი აღუზარდეთ. რომელმაც თავი დადო, ზვარაკად და შეენირა იმ კაციჭამიებს, რომლებმაც მერაბ კოსტავას თეატრი დაასამარეს, შვილი მოგვიკლეს და დაძღვნა ჩვენი სისხლით. ნუ დაინტერესდებით ამ ნურბელებით, არ ღირან, აქ, ამ წმინდა წიგნში მათი ხსენება, სრულიად უადგილოა და შეურაცხმყოფელი ყველა წესიერი ქართველისათვის...

ყველა ჩვენი მეგობრისა და კეთილისმყოფელის სახელით კვლავ უდიდეს მადლობას ვუხდით ბატონებს: ამირან გომართელს, რევაზ ხვედელიძეს, პარმენ მარგველაშვილს, ჭაბუა ამირეჯიბს, თამაზ წივნივაძეს, ოტია იოსელიანს, ლევან სანიკიძეს, რეზო მიშველაძეს, გურამ შარაძეს, გოდერძი ჩოხელს, გივი სიხარულიძეს, მერაბ ბერძენიშვილს, შოთა ნიშნიანიძეს, რამაზ ჩხიკვაძეს, გრიგოლ აბაშიძეს, ირაკლი აბაშიძეს, შოთა ზოიძეს, ფრიდონ ხალვაშს, დავით ტურაშვილს, ტრისტან მახაურს, არჩილ მინდიაშვილს, ლერი მეძმარიაშვილს, ირაკლი გეგეშიძეს, გია ტალახაძეს, გია ადეიშვილს, გიორგი გორთამაშვილს, ზეზვა ქავთარაძეს, ავთანდილ ბესელიას, თამაზ ტყემალაძეს, ბიძინა ბარათაშვილს, ზაზა გოციირელს, ზვიად ხმალაძეს, ჯემალ ინჯიას, გოჩა დალაქიშვილს, ნუგზარ მგელაძეს, ზურაბ ფირცხალაიშვილს, მუხრან კობალაძეს, ვახტანგ ღლონტს, პაატა დობნაძეს, იუზა ვასაძეს, ჯუმბერ ბერაძეს, ზურაბ ცინცაძეს, აკაკი ლეკვეიშვილს, ტარიელ მარგალიტაძეს, ჯემალ ბოლაშვილს, ბუბა ხოტივარს, გეიდარ ფალავანდიშვილს, დავით ქავთარაძეს, მიხეილ ჯოჯუას, ნუკრი კაკილაშვილს, ვახტანგ ბალავაძეს, დავით ციმაკურიძეს, სიმონ მაისურაძეს, ალექო შენგელიას, თენგიზ გაჩეჩილაძეს, გიორგი თევზაძეს, გიორგი კარბელაშვილს, გიორგი კინწურაშვილს, ვასილ კვანჭილაშვილს, გოჩა კუჭუხიძეს, დავით შათირიშვილს, ბორის სარალიძეს, ილია მუნჯიშვილს, ირაკლი ლითანიშვილს, ალექსანდრე კავთელაშვილს, ლევან ჭალოსნურს, თემურ მინაშვილს, ალექო ლორიას, მერაბ გოდერძიშვილს, გელა ჭანტურიშვილს, ანზორ დოლენჯაშვილს, სოსო ხაინდრავას, ანზორ ჩხიკვაძეს, ლევან მოქერიას, კიაზო არჯევანიძეს, ვასილი, ვახტანგი, ოთარი, გივი, გაბო, თამაზი, უჩა, ჯემალი, რამაზი, რეზო, ანზორი, ჯანიკო, შოთა, დიმიტრი, ნონა, ნინო ნინუებს, შოთა, გიორგი, ნიკოლოზ (კოლია), გივი, ნური, თამაზ, გარი, პაატა, კახა, ნინა ქუთათელაძეებს, შოთა კაკაბაძის ოჯახს, ვალერი, ლალი კორკელიების ოჯახს,

ოსმან, ასლან კაკაბაძეების დიდ ოჯახს, გიორგი, მერი, ომარი, გულიკო, ზაურ გაბეჩავების ოჯახს, დავითი, მარო, იაშა, ნოდარი დევაძეების ოჯახს, ბათუმსა და ბათუმლებს, ჯემალ მენაბდიშვილის ოჯახს, თემურ საყვარელიძის ოჯახს, თედო პაპანიძის, დიმიტრი სავიძის, გოდერძი ლონღაძის, ბადრი დავითაშვილის დიდ ოჯახებს, მიხეილ მცურავიშვილს, ზურაბ კვაჭაძეს, თემურ ანდლულაძეს, გიორგი კახნიაშვილს, თამაზ ცინცაძეს, სოსო ცინცაძეს, თემურ ქამუშაძეს, ლევან სამყურაშვილს, ვანო ლუარსაბიშვილს, ჯემალ ცხვედიანს, მურმან ლომთათიძეს, ნუგზარ კურცხალიას, თამაზ აბულაძეს, ორბი აღნიაშვილს, ჯემალ და ჯონდო ზაალიშვილებს, ავთანდილ ადეიშვილს, კარლო კობერიძეს, დავით კეჟერაძეს, ჯემალ და ედიშერ ხუციშვილებს, ფანცქალა სიდამონიშვილს, კობა, ამირან, ბალათერ, გოგიტა, ავთანდილ არაბულაძეს, ტარიელ ხალხელაურს, დავით ქავთარაძეს, ლადო მრელაშვილს, თემურ ჩალაბაშვილს, ოთარ ცეცხლაძე, გურამ სოხაძეს, ჰამლეტ ჩხენკელს, გია ჯაფარიძეს, ჯემალ ტალაბაძეს, დავით ლილუაშვილს, ნუგზარ ჯაფარიძეს, თამაზ კერატიშვილს, ვაჟა მამაიაშვილს, ნუგზარ ჩილინგარაშვილს, ირაკლი ილაშვილს, ზაურ თაბაგარს, პაატა ჩახნაშვილს, ივანე სარიშვილს, კუკური გიორგობიანს, ანზორ ახვლედიანს, ნიკო თეთრუაშვილს, გიორგი ტაბატაძეს, ჯუმბერ პატიაშვილს, გიორგი ქუთათელაძეს, ბესარიონ სვანიძეს, კუკური მჭავნაძეს, გურამ თავბერიძეს, მერაბ მახარაძეს, ჯონი ჭავჭავანიძეს, რომან ჩიჩუას, რომან ჭრელაშვილს, მურმან დარჯანიას, ბაკურ ჯმუხაძეს, ზურაბ კოპალაძეს, მიხეილ კუჭავას, მირდატი ბერძულს, თამაზ ნერუაშვილს, გიორგი ცოცანიძეს, რაფიელ მამულაშვილს, შოთა ჯაფარიძეს, ლეო ფილფანს, გივი ციციქიშვილს და ა. შ.

ღრმა პატივისცემით და სიყვარულით ქალბატონებს: ოლღა დემურია-კოსტავას, რუსუდან ბერიძეს, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, ლია ბითაძეს, ლიანა შენირულს, დოდო ტატიშვილს, ნანული რატიანს, დინა გეგენავას, მერი დადიანს, ნარგიზა ერისთავს, რუსუდან სოხაძეს, მარიკა, იაია, ლუიზა, ცისანა, რიტა პანანიძეებს, მაყვალა ქასრაშვილს, ინეზა ჭიჭინაძეს, ინესა მერაბიშვილს, თამარ ინჯიას, ქეთევან ბურჯანაძეს, რუსუდან ჭანტურიშვილს, თამარ ჯავახიშვილს, ციური ხეთერელს, ანა კალანდაძეს, თამარ მღებრიშვილს, ეთერ თათარაიძეს, მაყვალა გონაშვილს, ანიკო ბალიაშვილს, ქეთინო ნასყიდაშვილს, ლალი ჭარბაძეს, ფისო გომიაშვილს, ლელა თათარაიძეს, თინა კინწურაშვილს, ლორინა ელერდაშვილს, ქეთი კილასონიას, მარინე გოდერძიშვილს, ჯულიეტა მურვანიძეს, მადონა კეკელიას, ეკა თავხელიძეს, სოფიკო რეზრიჩენკოს, ნონა გაფრინდაშვილს, ლალი მიქავას, მანანა გოჩალეიშვილს, ნინო ჩიჩუას, დოდო ჭიჭინაძეს, ელდინო სალარაძეს, თამუნა ელიზბარაშვილს, თამუნა სალუქვაძეს, შორენა თეთრუაშვილს, ფატი ჩხეტიანს, მარინე ქარსელაძეს, ქეთი თომაძეს, აიდა აბუსერიძეს, ნათია სურგულაძეს, მანანა მიქელაძეს, ლელა ნიქარიშვილს...

პატივისცემითა და დიდი მადლიერების გრძნობით მივმართავ — ფოლკლორულ ანსამბლ „კელაპტრის“, „თბილისის“ ყველა წევრს, ხელმძღვანელობას, ყოფილ კოსტავას თეატრის მსახიობებს. ვაკე-საბურთალოს რაიონის ყოფილ გამგებელს ბატონ ავთანდილ დავითაძეს, მოადგილეს ქალბატონ ნანა ლაცაბიძეს, ტ./კ. „იმედის“, ტ./კ. „აჭარის“, ტ./კ. „თრიალეთის“, ტ./კ. „ივერიას“, ტ./კ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობას, პრესის მუშაკებს, სხვა შემოქმედებით ჯგუფებს, მეცნიერებს, პოეტებს, მწერლებს, მსახიობებს, მხატვარ ზურაბ ხარაბაძეს, კინოოპერატორ გელა ჭანტურიშვილსა და ყველას, ვინც მუშაობდა ტელეგადაცემების მომზადებაში, სტატიების წერაში, მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის დასრულებაში; რომლებიც იყვნენ და კვლავაც მოვლენ დიდი სიყვარულით სოფელ რუისში, სახალხო დღესასწაულ ტატოობაზე და სხვა მრავალ კეთილ შეხვედრებზე.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი და მლოცველი, გახარებული გამყოფოთ გვარ-მოდგმითა და აკვნებით, ქვეყნის სიყვარულითა და ბედნიერი მომავლით...

**პატივისცემითა და მადლიერებით
ცისანა და ზურაბ ნინუები
10.06.2009 წელი.**



საქართველოს სამოთხე
საბინინის გამოცემით. Рай Грузии. изд. Сабинини



„ქრისტე იშვიბის, უკლობდრია;
ქრისტე შერთი ჯანდამოვარს, მოვეგებვოდრია;
ქრისტე ქუყანასა შიდა, ამსულდებოდრია!
იხანობდინ ცანი და ჯალობდინ ქუყანათ...”

საუკუნეთა საუკუნეთასა


ამინ!

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა

თბილისი, მთავრობის საბლი

საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა
სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის
კულტურის სამინისტროს, საქართველოს
რესპუბლიკის მაგერიალური რესურსების
სამინისტროს, აბიჯისის მერიას

გაბოვთ განახორციელოთ ღონისძიებები მ. კოსტავას
სახელობის თეატრის შენობის რემონტის დროულად და
ხარისხიანად ჩატარებისადვის.


მ. გუგუშვილი



199 1 წ. „27“ აგვისტო

№ 634/6



ქალაქ თბილისის მერია

თავისუფლების მოედანი, 2
საფ. ინდექსი 380007, ტელეგრ. თბილისი, 7
ტელეფონი, 99-65-60

თარიღი 25.11.93 № 4-11/4381

№ 20.1.93 ზე 057/2


საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტი


ქ. თბილისის მ. კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური
თეატრის შენობის კომპლექსური კაპიტალური რემონტის მატერიალურ-ტექ-
ნიკური უზრუნველყოფის საკითხზე აქვენი ამა წლის 23 სექტემბრის
№657/2 დავალების პასუხად მოგახსენებთ:

თეატრის შენობის რეკონსტრუქცია დაკავშირებულია სცენისადვის
საჭირო და თეატრისადვის დამახასიათებელი სხვა აუცილებელი სპეც-
მოწყობილობის კომპლექტაციასთან.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია თეატრის რეკონსტრუქციაზე დამკვი-
დის ფუნქცია დაეკისროს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან არსე-
ბულ სპეციალიზებულ დამკვეთს. ქალაქის მერიის კამპიენებლობის სამ-
მართველოს შეუძლია დახმარების აღმოჩენა ღირებულებისადვის მხოლოდ მშე-
ნებლობის პროცესში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
პრემიერის მოადგილე

 ა. კვარაცხელია





ქალაქ თბილისის მერია

МЭРИЯ ГОРОДА ТБИЛИСИ

თავისუფლების მოედანი, 2
საფ. ინდექსი 380007, ტელეგრ. თბილისი, 7
ტელეფონი, 99-65-60

Площадь Свободы, 2
Почт. индекс 380007,
Телегр. Тбилиси 7, тел.: 99-65-60

თარიღი 14.06.94 № კეფ-4570

Дата
№ 9888 № 15.11.93

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტი

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 1-ლი ოქტომბრის № 593 დადგენილებით დიკვიდირებულ იქნა ქ. თბილისის კინოთეატრი "ისანი". საგაფხულო, საგამართო დარბაზები და მდიანად შენობა-ნაგებობა ბაღანსი-დან ბაღანსზე გადაეცა მერამ კოსტავას სახელობის მუსიკალურ თეატრს. ისნის რაიონის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა სრულიად უწყვეტილი აღ-მოჩნდა კულტურულ ცხოვრებას.

მოსახლეობამ, კინოთეატრის მუშაობის მაცურებელმა დიდი გულისტკივილი გამოუქვა ამის გამო და რამდენჯერმე კოლექტიური წერილით მიმართა გუ-ნდგომ ორგანოებს.

კინოთეატრი "ისანი" ემსახურებოდა ისნისა და კრწანისის რაიონების მრავალრიცხოვან მოსახლეობას და მუშაობდა ასრულებდა საფინანსო გეგმებს. კინოთეატრის შენობა-ნაგებობა თავისი კონსტრუქციით სავსებით შეუფერ-ბელია დრამატული თეატრის ფუნქციონირებისათვის. არ აქვს სცენა და მსახიობებისათვის საჭირო დამბარე სათავსოები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგანმეწონიდა მიგვარნია კინოთეატრის აღდგენა.

ქ. თბილისის ვიცე - მერი,
მუნიციპალიტეტის პრემიერი

კონსტატინე კაკანაძე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრობ
კ ა ბ ი ნ ე ტ ი
Кабинет Министров Республики Грузия
მინისტრობის სექტორი
СЕКТОР ДУСЕМ
№ 9888
16 11 1994
თარიღი



ბუქონი მოსხ

ბუქი ვსაფხი კომონი სიყვარული. სიყვარული
 უნდა, ვინაიდან. ამ დროს ჩი გვიყვარა ბი სიყვარული-
 ხელ, ბ-ბ ვ. ბიუნი, ავთი სიყვარული ვინაიდან,
 ეს თუთხი ვინაიდან რა რა ვინაიდან ბუქი ჩი
 აქტიური. ვინაიდან ბუქი, ყველა ყველა,
 ბუქი ბუქი ბუქი სიყვარული ბუქი ბუქი
 ბუქი სიყვარული. ვინაიდან ყველა, ვინაიდან ვინაიდან
 ბ-ბ ბუქი ბუქი ბუქი რა ბუქი ბუქი ბუქი
 ბუქი ბუქი - ბუქი ბუქი ბუქი ბუქი ბუქი.
 ბუქი ბუქი ბუქი ბუქი ბუქი ბუქი ბუქი
 ბუქი

ბუქი ბუქი
 ვინაიდან ვინაიდან
 30.06.1998



საქართველოს პარლამენტის წევრი

თბილისის მთაწმინდის რაიონის
მოსამართლეს
ბატონ ვახტანგ თალაკვაძეს

ბატონო ვახტანგ!

თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ერთგონული თეატრის „სავიზიტო ბარათში“, აღნიშნულია: „... განსაკუთრებით აღსანიშნავია და გასათვალისწინებელი ისიც, რომ თეატრი შეიქმნა ისინის რ-ნში, სადაც არანაირი ქართული სერიოზული კულტურის კერა არ არსებობდა (არის ერთი და ისიც სომხური), არც სამგორის რ-ნი, ვარკეთილი, ფონიჭალა და ვახისუბანია განებივრებული ქართული სიტყვის „ზეიმით“.

მიუხედავად დღევანდელი ძალზე მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა, თეატრი მაინც ახერხებს სპექტაკლების, საქველმოქმედო და სხვა მხატვრული საღამოების გამართვას...

სამწუხარო და სავალალოა ის ფაქტი, რომ თეატრის შექმნის დღიდან დღემდე არ წყდება ცილისწამებები, ბრალდებები, შეურაცხყოფა მის მიმართ. ჩვენი რაიონის დეპუტაცია მოწმეა ყოველივე ამისა და ცდილობს თეატრთან ერთად მოიგერიოს ყველა შემოტევა. ჩვენს რ-ნში ამ თეატრის შექმნით საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი, ამიტომ ვალდებულნი ვართ, როგორმე გადავარჩინოთ კულტურის ეს კერა და მხარში დავუდგეთ მის ხელმძღვანელობას. თეატრსაც ბევრი აუტანია და მის დამაარსებელსაც, რომელმაც მოთმინებითა და დიდი ძალისხმევით შეუძლებელი შესძლო. არასოდეს არავის თავი არ შეუნუხებია თეატრისათვის. არც არავის უკითხავს — რა უჭირდა თუ ულხინდა მას. ხელისუფლებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მათ საერთოდ არ იციან ამ თეატრის არსებობის შესახებ.

მოწმენი ვართ იმისიც, რომ თეატრის გადარჩენაზე სისტემატურმა ფიქრმა მისი თანამშრომლების შემოქმედებით „პარალიზება“ გამოიწვია. კორუფციამ და მაფიამ წალეკა ქვეყანა, უსამართლობამ და განუკითხაობამ, საუბედუროდ, კულტურის სფეროშიც შეაღწია. მაგანთა მცდელობამ, რაც შეიძლება მალე ჩაიგდოს ხელში თეატრის შენობა, ყოველგვარი ეთიკის ზღვარი გადალახა. რაც შეეხება ბ-ნ ზურაბ ნინუას, თეატრის შემქმნელს, თავგადადებულ ადამიანს, მის გარეშე წარმოუდგენელია თეატრის არსებობა, ჩვენ ვშუამდგომლობთ თქვენს წინაშე, რათა დაეხმაროთ მას ყველანაირად. ჩვენ და ინტელიგენციის მრავალმა წარმომადგენელმა ღია წერილი მივწერეთ ბ-ნ პრეზიდენტს, მაგრამ რაიმე რეალური დახმარება არ ყოფილა. რა თქმა უნდა, თუ თქვენ დაგვიდგებით მხარში, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესმება ამდენი ხნის დევნას. იმედია, კანონი იზვიემებს და აქ თქვენი ნვლილიც უდაოდ დიდი იქნება. ბ-ნი ზურაბ ნინუა უნდა აღდგეს თეატრში ძველ თანამდებობაზე.

იმედითა და პატივისცემით

ვახტანგ გოგუაძე
პროფესორი
30. XI.98

Հոգեզուտ անթմեա թաշա!
Թորո եղբայրներս ճշգրտաբար թմ աւծ,
պժտոն հոգեւոր ծածու թմ շրչիտա:
Դժկոյճոյ պատմութեա շեշեւորտ (!)
ճորտութե, Եպիսճ Եղեպնազար. Յոլ Կոնս-
տանդուլի պատմոն "շտեթման", շտեթման յոյ,
պատմութե հոյճ ճորտութե յոյճ յոյճ յոյճ
Յոյճ յոյճ յոյճ յոյճ յոյճ յոյճ յոյճ յոյճ
Յոյճ յոյճ յոյճ յոյճ յոյճ յոյճ յոյճ յոյճ
Յոյճ յոյճ յոյճ յոյճ յոյճ յոյճ յոյճ յոյճ



380018, თბილისი, რუსთაველის გამზირი 88, ტ. 99 69 51

ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტი

5-516/60-5

" 30 " " 11 " 2001წ

ბატონო შურაბ ნინუას

თბილისი,

ბატონ შურაბ ნინუას

ბატონო შურაბ,

მე შემძრა თქვენმა სულიერმა მდგომარეობამ. თქვენი განცხადება თანდართული მასალების საფუძველზე გულდასმით იქნა შესწავლილი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი შეხედულება მე დავაფიქსირე ქალბატონ ნინო ბურჯანაძისადმი ჩემს მიერ გაგზავნილ წერილში.

ბატონო შურაბ, ასევე მინდა თქვენი განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, გითხრათ როგორც ადამიანმა და არა როგორც ოფიციალურმა პირმა, რომ ბოროტება ბოროტებით არ იკურნება, მე ვეყრდნობი თქვენს მოსაზრებას და არა ამ შემთხვევაში ოფიციალურ დოკუმენტაციას. ვინ ვინ და პიროვნება, რომელიც მთელი სიცოცხლე სულიერებას ემსახურა ე.ი. ემსახურა ღმერთს, ამქვეყნიურმა სასჯელმა მისი ნებისყოფა არ უნდა გატეხოს. მე დარწმუნებული ვარ დათმენის ღვთაებრივი ნიჭი გაიმარჯვებს თქვენში და არა შურისძიების საწუთროსეული ვნება. მე მინდა გითხრათ, რომ თქვენ მართო არ ხართ უსამართლობასთან ბრძოლაში (კიდევ მინდა გაგიმეოროთ, ვეყრდნობი მხოლოდ თქვენს განწყობილებას). თქვენთან ერთად დგას უამრავი ადამიანი, რათა გამოვიდეთ სიბნელიდან და ბოლოსდაბოლოს შევბით ამოისუნთქოს ადამიანმა. ამას დიდი ძალისხმევა სჭირდება; ეს თქვენ არ გესწავლებათ, და არა "სისხლის მდინარეები". თითოეულ ჩვენთაგანს ჩვენი უვარი მიგვატეხს გოლგოთაზე და ეს უვარი დათმენით უნდა ვატაროთ, მე ამ წერილს, თანდგომის სურვილით ვწერ და არა შეგონებისათვის. თქვენ შეგონება არ გჭირდებათ, თქვენი მოღვაწეობით თავად იძლეოდით ღირსეული ცხოვრების მაგალითს. ახლა კი მინდა მოგმართოთ, უკვე როგორც ოფიციალურმა პირმა, ვინაიდან თქვენი განცხადება შეიცავს დანაშაულებრივი ხასიათის მუქარას და ცხადია, ითვალისწინებს ჩემს პასუხისმგებლობასაც, მე გთხოვთ, გაითვალისწინოთ სამართლებრივი და მორალური პასუხისმგებლობა და თქვენი უფლებების დასაცავად, მიმართოთ მხოლოდ ცივილურ, სამართლებრივ ფორმას.

პატივისცემით,
კომიტეტის თავმჯდომარე

ელენე თევდორაძე



საპარტიკო პარლამენტი
380018, თბილისი, რუსთაველის გამზირი #8, ტ. 99 69 51

ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტი

5-516/60-5

" 30 " " 11 " 2001წ

პარლამენტის თავმჯდ. მარცხ
ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

ქალბატონო ნინო,
კომიტეტში, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას რეზოლუციით შემოვიდა, კულტურის დამსახურებული მოღვაწის, რეჟისორის ბატონო ზურაბ ნინუას განცხადება. განცხადება, თანდართული მასალებით (ოცდაათი გვერდი) შევეცადეთ პასუხისმგებლობითა და გულისხმიერებით შეგვესწავლა. მართლაც, პიროვნების სულიერი ტრადიციის შემამფოთებელი ისტორია გამოისახა: თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრის ყოფილმა დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა საკუთარი სახსრებით (გაყიდა სახლი) ჩაუდგა სული თეატრს. წლების მანძილზე ეს თეატრი ქართულ კულტურას და სულიერებას ემსახურა, რისი დასტურიცაა პრესაში გამოქვეყნებული უამრავი მასალა. ამასთანავე ბატონ ზ. ნინუას გათავისუფლებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მრავალი წერილი და სხვა გამომხაურებანი საზოგადოების მხრიდან საინფორმაციო საშუალებებით (პრესა, რადიო, ტელევიზია).

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, ბატონმა ზ. ნინუამ საკუთარი სახსრებით დააარსა თეატრი საივარო კოლექტივის სახით, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების რეჟიმზე მყოფი, ზუსტად ამ სახით განვლო ყველა ინსტანცია და 1990 წლის 1 ოქტომბრიდან 538-ე დადგენილების საფუძველზე თეატრმა დაიწყო ფუნქციონირება. 1992 წლიდან კი თეატრი საბიჯეტო ერთეულად გადადის და მერიას ექვემდებარება. როგორც მუნიციპალური.

მინდა აღვნიშნო, რომ ზ. ნინუას გახდაცხადებაში ისმის სასტიკი მუქარა, იმათ მიმართ, ვინც რეჟისორის შეხედულებისამებრ, ჩამოაშორა იგი თეატრს.

ქალბატონო ნინო, მე ვერ ვპოულობ გზას, როგორ შეიძლება აცილებულ იქნას მოსალოდნელი უბედურება (მითუმეტეს ბატონი რეჟისორი მისი შეილის, პოეტისა და შემოქმედის, ტატო ნინუას სახელმწიფო უნივერსიტეტში თვითმკვლელობის ერთ-ერთ მიზეზად თეატრის გარშემო შექმნილ ვითარებას ასახელებს).

ამიტომ მინდა გაუწყობთ განმცხადებლის თხოვნა, როგორც ერთადერთი გამოსავალი: თუ ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრი გადაეცემა მწერალთა კავშირის დაქვემდებარებაში, მოხსნილი იქნება ყველა პრობლემა, რადგან ბატონი ზ. ნინუა, როგორც თავად აცხადებს არ იბრძვის თეატრში დასაბრუნებლად.

ქალბატონო ნინო, ვთხოვთ თქვენი შეხედულებისამებრ საქმის კურსში ჩააყენოთ ბატონი პრეზიდენტი. მინდა გაუწყობთ, რომ ზ. ნინუამ ორჯერ უკვე მიმართა ბატონ პრეზიდენტს განცხადებით და მისი განცხადებები კონტროლზე იყო აყვანილი. ჩემს წერილს თან ვურთავ დოკუმენტებს, სადაც გამოსატულია ამ პრობლემისადმი საზოგადოების დამოკიდებულება.

პატივისცემით,
კომიტეტის თავმჯდომარე

ელენე თევდორაძე



საპარლამენტო კავშირები

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტი

380013, თბილისი, რუსთაველის ქროსკ., პბ 8,
ტელ.: 99-80-58, 99-89-08; ფაქსი (995 32) 99-72-06

№ 6-516/60-4
10 " 01 " 2001

ქალაქ თბილისის მერს
ბატონ ვანო ზოდელავას

ბატონ ვანო,

პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ზურაბ უგანიას დაფალებით, რეკომენდირებული ვინაობის განცხადების საფუძველზე (ნ-516/60-4 03. 04. 2001) ჩვენს მიერ შესწავლილ აქნა მერაბ კოსტაყაის სახ. დრამატული თეატრის დამაარსებლის, მისი ყოფილი დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ზურაბ ნინუას განთავსულების საკითხი.

ზურაბ ნინუა მუშაობდა სხვადასხვა თეატრში. რადიო-ტელევიზიაში, შემდგომ დაარსდა მერაბ კოსტაყაის სახელობის თეატრი, რომელსაც წლებს მანამდე ხელმძღვანელობდა. მრავალი პრობლემის მიუხედავად, მან შეძლო თეატრის შენარჩუნება. მაგრამ 1998 წელს იგი განთავსულებულ აქნა თეატრიდან.

შედეგობაში ვიდებთ რა ზურაბ ნინუას დამსახურებას თეატრის დაარსებისა და ფუნქციონირების საქმეში, მიზანშეწონილად მივიჩნევთ მის ადგილს თეატრში შემოსენებულ თანამდებობებზე.

კომიტეტი შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რათა შეისწავლოთ პრობლემა და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე,
აკადემიკოსი

აქაკოპოვი ნ. ამაღლობელი



№ 12/01

2006 წლის 1 იანვარი

თბილისის მერს
ბატონ ვ. გოდუაძეს

ბატონო ვანო!

მარშან ტრაგიკულად დაიღუპა ახალგაზრდა უნიჭიერესი პოეტი რატი /ტატი/ გურამის ძე ნინუა.

სულ რაღაც 23 წელი იცოცხდა ამ ტრაგიკული ბედის მქონე შემოქმედმა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მაინც მოასწრო თავი დაუბნობებინა გემოვნებიანი და მომთხონი ქართული მკითხველისათვის. პოეტური კრებულები გამოსცა, რომელებიც უცუარი დასტურია მისი შემოქმედებითი სიმწიფისა.

ამიგომაც მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, რათა ქალაქ თბილისში მდებარე ქუჩას (მეტეხის შესახვევი) სადაც დაიბადა და გაიზარდა რატი. უწოდოს უფროდ აღსრულებული უნიჭიერესი პოეტის სახელი.

დანართი თან ახლავს.

საქართველოს მწერალთა
საერთო-ეროვნული კავშირის

თავმჯდომარე:

მ. ნიჭიძე

მ. ნიჭიძე



ქალაქ თბილისის საკრებულო
TBILISI CITY ASSEMBLY

თბილისი, 0105, თავისუფლების მოედანი 2, ტელ.: 98 29 32; 93 38 58
2, TAVISUPLEBIS SQUARE, 0105 TBILISI, GEORGIA, TEL: (+995 32) 98 29 32; 93 38 58

№ 3976

„25“ დეკემბერი 2008 წ.

მოქალაქე ზურაბ ნინუას
მცხოვრები: ჩეხოვის ქუჩა №33

ბატობო ზურაბ,

თქვენი (№3976 - 22.12.08) განცხადების პასუხად

გაცნობებთ, რომ ქუჩების სახელდების პროცესი დროებითაა შეჩერებულია. ქალაქ თბილისის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი საბჭო მუშაობს სიმბოლოებისა და ქუჩების სახელდების კრიტერიუმების შემუშავებაზე და დებულების დამტკიცებაზე, რის შემდგომაც მოხდება თქვენი წერილის განხილვა.

პატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ სამადაშვილი



† „ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის
სათხოება“ – გვიგალობეს ანგელოზებმა...



ღიღინაჲ იმხინე ქართულის ჯეღინება,
ინე აღზარდი შენ, შვილის ნყოი,
რომ მ'ინ წაჟღერეს უმშვენიერება,
ოჲან მჩინ ქველი განათორბყოი...

ა. ა. ავალიანი



ქეგო ღებ



ბზამკვლევი ПУТЕВОДИТЕЛЬ WAY PAVER

© 2008

დაინტერესდით პალატორებსა და ბატონებს!

სვენი ბეგრეასი მეგობარო, გვიჯერა, სვენი მუხევერა აუცო-
ლებლად შედეგა ისე, როგორც ეკადრება პატიოსან გულმკერ-
ვულე ბღმთისებს. თქვენ მობრძინების დიდ პატივად ჩათვლის
ამ ვნახკლევუს ბღმთული „მასპინძელი“, რომელსაც სახალხო
დღესასწაული „გაგობა“, გაგო ხინჯის საყვარელი დედუღუსი
და სახლ-მუხევესი პეგია.

2000 წლის 10 მაისს გათენებას „მის დამხელება“ მოპეგა სა-
ქართულოში, ქვეყნის საყვარულს, ფიქრსა და თენებას შეეწინა
23 წლის რაგა (გაგო) ხინჯა, ქუმბარაგა მამულამეასი, სულთი
და ხორცილი რაინდი, ვსაწყალამტობით გამოხმეველი, ეკეკეკობის
განსახეურება, განსწავლეული, დიდი პოეტი, გენიოსი, ფილოსოფი,
მწერალი, მთარგმნელი, მკვლევარი, ლიგერატურის კრიტიკოსი,
ფილოსოფოსი, პედაგოგი, დიას, ახეა და სე მთლესი ამ მეფესე-
ბებს გაღამეგებულ სათქვამად რადგან, ასე წერეს და ამხიბეს
ქართული საგვეს ცნობილი დიდობეგებე, პოეტი, მწერლე-
ბი, მეცნიერები, მეგობრები, საბედნიეროდ, მის დეგეგეგე სეით
წიგნი: „აღუბლის აღუქები“, „ჩაგადი“, „ხინძილ მეზღევერა“,
„აუფრინდები სე და მენ“, „ფრინდის ხეღეს გრადეღა“ - (ფი-
ქილოფიერ-თეოლოფიერი გამოკლევეს).

სვენი გაგოს მერანი, „გედის ხიმღერასაჟით“ გაფრინდა, წა-
ვიდა და თან გაიყოლა დედასამშობლის და სვენი ღარდი. გა-
მოსიგეგე გაღმადებელია 512 გვერდიანი კრებული, მისი ლიგე-
რატურული და მეცნიერული ხამრომები, თანამედროვე თეალით
დანახელი „ბედი ქართლისა“.. მასზე შექმნილია მხატვრულ-დო-
კუმენტური ფილმი, ყოველივე ეს განთავსებულია ქვემოთ ბღმთ-
ხულ ვებ გვერდზე:



თანვე ჯაგეხიმეღის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტი [http://www.press.tsu.](http://www.press.tsu.ge)

ge-> ელექტრონული ინგერნეტ გამოცემები ->
თანამედროვე ქართული ლიგერატურა -> პოეზია
-> რაგა (გაგო) ხინჯა, საკონტაქტო მასპინძლია:
საქართულო, თბილისი 0108, ადია ჭავჭავაძის
პრობა, №1, I კორა, პუბლიკატურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანატი, ტელ: 22-10-97; 29-03-39.



ადია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული საჯარო
ბიბლიოთეკა <http://www.nplg.gov.ge/> -> ბეჭ-
დური ბრძევი -> კოლექციამი ბრძებული ეროვე-
ლების სახე -> გვერდი: 15 -> რაგა (გაგო) ხინჯა.

საკონტაქტო მასპინძლია: საქართულო, თბილისი 0107, დიდი
გულამეღის ქ. №7, II-კორა, ტელ: 92-34-80; 93-57-43; 93-75-81, სა-
ქართულოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ჩვენი მისამართები:



საქართულო, თბილისი 0103, მეფე სოლომონ
ბრძენის ქ. №36, ტელ: 74-74-51; მობ: 893-141-900,
ცხისია, საგო, მერაბ ხინჯა, ელენი (ვაკა), საგო,
ანანი კორკლეა, ქარელის რ-ნი ხოველი რეესი,
შეა ებანი. გაგო ხინჯის ქ. №16, სახლ-მუხევესი,
ტელ: 890-350-361.

ЗАИНТЕРЕСОВАННЫЕ ДАМЫ И ГОСПОДА !

Наш дорогой друг, мы очень надеемся и верим, что наша встреча обязательно состоится, как и подобает честным и душевным людям. Для нас большая честь встретиться с вами. Народный праздник «Титооба» и Дом- музей имени Рати (Тато) Ницуа являются «хозяевами» этой встречи.

На рассвете 10 мая 2000 года в Грузии случилось нечто подобное «затмению солнца». Любовь к Родине, мысли и мечты о ней стали непреодолимой преградой в жизни «23 летнего Тато Ницуа, истинного патриота, рыцаря, большого поэта, гения, филолога, писателя, переводчика, исследователя, философа, педагога. Это не преувеличение, т.к. его творчеству была дана высокая оценка выдающимися грузинскими учеными, поэтами, писателями, друзьями. К счастью, Рати Ницуа оставил нам свои книги: «Вишнёвые паруса», «Натали», «Синдбад мореплаватель», «Взлетим я и ты», «Трагедия Фридриха Ницше» (психолого-теологическое исследование).

Подобно «лебединой песне» взлетел и исчез «Мерани» нашего Тато, и унёс с собой печаль всей Грузии. Не долгой, но насыщенной творчеством была жизнь молодого поэта. Подготовлен к печати сборник его литературных и научных трудов (512 страниц). О Рати Ницуа создан художественно-документальный фильм, который вместе со всем его творчеством размещён на ниже указанных сайтах:

Тбилисский Государственный университет им. Ив. Джавахишвили <http://www.press.tsu.ge> -> электронные издания -> современная грузинская литература-> поэзия -> Рати (Тато) Ницуа. Контактный адрес: Тбилиси 0108, Грузия, проспект Ильи Чавчавадзе № 1, корп.1, Деканат факультета гуманитарных наук, тел: 22-10-97; 29-03-39.

Национальная публичная библиотека им. Ильи Чавчавадзе <http://www.nplg.gov.ge/> -> печатный архив-> просмотр существующих в коллекции единиц -> страница: 15 -> Рати (Тато) Ницуа. Контактный адрес: Тбилиси 0107, Грузия, ул. Ладло Гудманвили № 7, II корп., тел: 92-34-80; 93-57-43; 93-75-81, Национальная библиотека Парламента Грузии.

НАШ АДРЕС:

Тбилиси 0103 , Грузия, ул. Царя Соломона Мудрого №36, тел: 74-74-51; моб: 893-141-900, Цисана, Нато, Зураб Ницуа, Валери (Вака), Нато, Анано Коркелия; с. Руиси Карельского района, Шуа убаши, ул. Тато Ницуа 16, Дом-Музей, тел. 890-350-361.

TO THE INTERESTED LADIES AND GENTLEMEN!

Our dear friend, we believe that our meeting will, by all means, be held as it is characterised to the honest and generous persons. Your coming will be considered as a great honor by "Host" mentioned in this way paver, which is called the Folk Holiday "Tatooba", Tato Ninua's favourite motherland and Museum-House.

At dawn on May 10, 2000 "solar eclipse" followed in Georgia, 23 year-old Rati (Tato) Ninua, sacrificed his life to the love, thinking and dream of his country. He was great patriot, knight with his whole spirit, handsome, embodiment of courage, educated, great poet, genius, philologist, writer, translator, researcher, reviewer of literature, philosopher, teacher; yes, it's true indeed and do not take it into consideration as an excessive saying of these estimations because the famous great masters and poets of Georgian word, the scientists and his friends so write and say about him. Fortunately, he left us five books: "Sails of Cherry", "Natali", "Sinbad sailor", "Let's fly up you and me", "Tragedy of Fridrich Nizshe"- (psychological-theologic research).

Our Tato's Pegasus, as "a song of swan" flew and went, and took with him our and our motherland's trouble. The literary and scientific works with 512 pages and "Fate of All Georgia" seen by the contemporary eye are ready to be published. The feature-documentary film is created about him and it is posted on the below mentioned internet web-site:

Ivane Javakhishvili Tbilisi State University: <http://www.press.tsu.ge> – electronic internet releases – Modern Georgian Literature – Poetry - Rati (Tato) Ninua. (Contact address: 1, Ilia Chavchavdze Ave., I Block, Tbilisi 0108, Georgia, Dean office of Faculty of Humanitarian Sciences, Tel: 22-10-97; 29-03-39).

Ilia Chavchavadze National Public Library: <http://www.nplg.gov.ge> – printed archive – see the units existing in the collection – page: 15 – Rati (Tato) Ninua. (Contact address: 7, Lado Gudiashvili str., II Block, Tbilisi 0107, Georgia, Tel: 92-34-80; 93-57-43; 93-75-81, National Library of Georgian Parliament).

OUR ADDRESS:

Georgia, Tbilisi 0103, King Solomon Brdzeni str. # 36, Tel: 74-74-51, mob: 893-141-900, Tsisana, Nato, Zurab Ninua, Valeri (Vaka), Nato, Anano Korkelia, Kareli District, Village Ruisi, Middle Ubani. Tato Ninua str. # 16, House-Museum, Tel: 890-350-361.

ძვირფასო მეგობარო!



ღრმა პატივისცემითა და ქართული სტუმარ-მასპინძლის გრადიციის გათვალისწინებით, ვთხოვთ მობრძანდეთ სახალხო დღესასწაულ „გაგობაზე“ (რა თქმა უნდა ჩვენი ორმხრივი შეთანხმებისა და შეცნობების, დიდი ქველმოქმედი ადამიანების დახმარებით...), რომ შეგადვიგრძნოთ პასუხისმგებლობა, მაღლი ძმობისა და „სული წმინდისა“. იმედია შევიკრიბებით,

„დიდ სვენაზე“-თეატრშიც, სადაც გატოს შემოქმედებითი ხსოვნის საღამო გაიმართება...

ვისაუბრებთ თუ რამ გააბოროტა ადამის მოღვმა, რა ვერ იკმარეს, რას ერჩიან ბუნების საოცრებებს, მქეფარე ნაკადულებს, ღურჯ ზღვას, წმინდა პაერსა და მოწმენდილ-მოკამკამე ცას, მგალობლებს, ქვეყანას, ისგორიას, გრადიციას, ფოლკლორს, ვიკამათით ამ წუთისოფლის ჯოჯოხეთურ „სამოთხეზე“ – გვინდა გაიბზოთ თუ რაგომ არის საქართველო ღვთისმშობლის წილხევედრა. რიდეხაც წილი ჰყარეს მიციქულებმა, ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა, საქართველო წილად ხვდა ღვთისმშობელს, რომელიც ყველაზე მახლობელი იყო ქართველური მოღვმისათვის...

კეთილო მეგობარო! მძიმეა და ძალზე მწარე დაშორდე შენს სისხლსა და ხორცს, კარგ ყრმას, ერიმვილს, ზვარაკად შეწირულ რაინდს, ჭემშარიგად უნიჭიერეს ახალგაზრდა ქართველ შემოქმედს – რაგი / გაგო / ნინეას. მისი სახელის უკვდავსაყოფად ერმა და ბერმა, დედულეთში, სოფელ რუხსში, რომელიც უზომოდ უყვარდა, დაარსა ახალგაზრდული სახალხო დღესასწაული „გაგობა“, სახლ-მუზეუმი. აგრეთვე, თბილისის I საშუალო სკოლის (გიმნაზიის) მუზეუმში, დიდ მამულიშვილების გვერდით მიუჩინეს საპაგიო ადგილი, ქ. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მწერალთა კავშირის გორის განყოფილებამ გატოს ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, არც ტ/კ „თრიალეთს“, „აჭარას“, „ივერიას“, პირველ არხს, „იმედსა“ და პრესას „გამორჩენია“ იგი. აუცილებლად მოვაწყოთ თავყრილობას „გაგობის“ დღესასწაულზე, იქ სადაც მრავალ ჭირვერამ-

გამოვლილი კავკასიის მაღალ მიწებიდან გადაშლილი, ქართული ენის უძველესი სამკვიდრებელი „ქართლის გული“, რომელსაც ოდიტგანვე სამაჩაბლო ჰქვია. რუსი ყოველთვის წარმოადგენდა ქართველ მეფეთა დიდ დახაერდენს, როცა ქვეყნის არსებობა საფრთხეში იყო. იგი საქართველოს დედაქალაქის მოვალეობასაც ასრულებდა... 1072-1083 წლებში რუსის ღვთაების ეკლესიაში გიორგი II მეფე აკურთხეს და აქედან მართავდა სამშობლოს, ხოლო პაგარა დავითი აქ მამაკამულების ოჯახში იმრდებოდა და ღვთაების ეკლესიაშიც მოუხატავდა. 16 წლის მეფე დავითმა, შემდგომში აღმაშენებლად წოდებულმა, რუს-ურბნის დიდი საერო-საეკლესიო კრება მოიწვია, რამაც თავი დაუდო „ოქროს ხანას“, მან მართლმადიდებელი ქრისტიანობა იხსნა წარწყმენდისაგან, სულერი და უშიკური განადგურებისაგან. სოფელ რუსს არაერთი დიდებული მამულიშვილი აღუზრდია ქვეყნის სადიდებლად, უღვაწიათ, რადგან „ახე წესად ჰქონდათ დადებული“...

გულით სგუმართმოყვარე, დალოყვილ რუსში. ყველას, ქართული სიგვეის, ხარწმუნოების, ენისა და მამულის დამცველებს, პაგრიოგებს, „მენიანსა თუ ჩვენთანს“. ისიც ვთქვათ რომ: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ არის ყველას მფარველი და სულის ჩამდგმელი, გვჯერა, „ისევეც დაიმრდებიან აგლეის ღვკეები“, ამირანები, პრომეთეოსები, დავით აღმაშენებლები, გიორგი ბრწყინვალეები, პააგა სააკაძეები და გამოიხსნიან მოღალატე ბოლშევიკებისა და სხვა გაძევრების მიერ გასხვისებულსა და დაფლეთილ საქართველოს, უსათუოდ აგვისდენენ ოცნებას და გააერთიანებენ სიკოფსიიდან-დარუბანდამდე გაყიდულ სამშობლოს, აღადგენენ ეროვნულ ღირსებას, ისტორიას, დედა-მშობლის ძალას, მადლიერი თაობები კი არახოდეს, არავის დაუნაწილებენ სისხლითა და მახვილით გადარჩენილ მაწებს, მამულს, „არ გასყველიან ხალხს კლდეებსა“ საეარძლებზე და ჩინ-მედლებზე.

უფალო საყვარელო! დაანათლე, გულანთებულ ქართველ ვაჟკაცებს ცისარგველების შუქის უღვარება, რათა, „ქართულის დელებმა“, აკენებში მწოლიარე ანგვლომებს დედა-მშვილური საყვარულით უმღერონ:

იაგ ნანა, ვარდო ნანა, იაგ ნანინაო,

აქ ბაგონები მობრძანდენ, იაგ ნანინაო...

ღმერთმა გააძლიეროს საქართველო, გაჯერებული დიდი დავითის „გალობანი სინანულისანის“ ლოყვითა და კურთხევით...

ამინ !

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	28
ბიოგრაფიული ნარკვევი.....	28
იესოსადმი.....	28

ლექსები

ჰამლეტ გონაშვილს.....	28
მე ლექსებს არ ვწერ... ..	28
დავით აღმაშენებელს.....	29
ვაჟას.....	29
პოეტი.....	30
ფიქრი.....	31
თელა.....	32
***.....	33
მათხოვარი.....	35
ეს შეიძლება.....	36
.....	36
მწყემსის სიმღერა.....	38
ორი რამ.....	38
***.....	39
ანგელოსი რომ.....	40
დაფრთიანდება.....	40
ახლა ღამეა.....	40
რუსთაველის რაინდები.....	41
შემოსძარცვიათ.....	42
კლდეებს ნისლები.....	42
მუზა.....	43
***.....	44
ჯადოსნური წუთი.....	45
რა გამომიღევს.....	45
ფიქრებს თოვლიანს.....	45
ძოწისფერია ზეცა.....	46
ეს ღამე მაშინ დაბრუნდებოდა.....	46
სიჩუმის ხმა.....	47
***.....	47
***.....	48
სანთლები ლაჟვარდში.....	48
ჩრდილები.....	51
და ატორტმანდა.....	52
მერაბ კოსტავას.....	53
***.....	54
ფიქრები წვიმიან ღამეში.....	55
***.....	55
წარწერა წიგნზე.....	56

„გრავი მონტე-კრისტო“.....	56
***.....	56
შორეული ზარები.....	56
***.....	57
არაფრისფერი მდუმარება.....	58
„დონ-კიხოტი“.....	58
ჩემს მაგიდაზე.....	58
ალუბლის იალქნები.....	60
მეჯლისი ზამთარში.....	61
გადამწვარი ღრუბლები.....	62
ვარძიის მონოლოგი.....	63
გაზაფხულის მუსიკა.....	63
თეთრი თოვლის სიმფონია.....	64
აფხაზეთს სისხლი მეწამული.....	65
***.....	65
მოჯადოებული დამე.....	66
ნუგზარ ფსუტურს.....	66
მიჯნური.....	67
ცხრაჯერ შევბღავლე ქარაფებს.....	68
უდაბნო.....	69
სადღაც ლერწმებში.....	72
სევდიანი ტიროდა ქარი.....	72
სალადობო.....	72
Eden.....	73
ფსალმუნი.....	74
ოქროს ქანდაკება.....	75
***.....	76
კონსტანტინე გამსახურდია—შვილს.....	77
ზვიად გამსახურდიას.....	78
ზვიად გამსახურდიას.....	79
ზვიად გამსახურდიას.....	81
სასუფეველში.....	82
ყიზლარი.....	82
უძღები შვილი.....	83
ფრიდრიხ ნიცშეს მონოლოგი.....	84
დედას.....	85
ორი მზე.....	86
„შენ ვერ მიხილავ და ნუ დამეძებ“.....	87
შენ რომ ლექსებს წერ.....	87
ქერა გოგო და ველოსიპედი.....	88
***.....	88
შენ ლამაზი ხარ.....	89
ცეკვა ჩრდილებში.....	89
დახვეწილი გემოვნების.....	90
მქონე ქალიშვილს.....	90
არ შეგაწუხებ.....	91
ზღვაში ჩამენტქა ოცნება.....	92
წარწერა გურამ.....	92
პეტრიაშვილის წიგნზე.....	92

სონეტი მამას.....	93
სტრიქონებს შორის.....	94
გ...ს.....	94
EDEN.....	95
***.....	95
მასპინძლის ქალიშვილი.....	96

მოთხრობა

ედმონდ დანტესი	114
----------------------	-----

მინიატურები

მეგლისი ზამთარში	114
უდაბნო	115
რომელი?	117
ლამაზი სისასტიკე.....	117
განაჩენის გამოტანის შემდეგ	118
სენტიმენტალი	119
სიზმრებში მცხოვრები კაცი	119
რომანტიკის სიკვდილი	120
(XX საუკუნე).....	120
მოგადობული ღამე	121

წერილები

მარადიული მეციხოვნე	122
თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის	123
ლიტერატურულ-მუსიკალური, ეროვნული თეატრი	123
პატივცემულო „ნერგის“ რედაქციავ!	124
პატ. დირექტორო!	126
ღრმად პატივცემულო ბატონო გიორგი!	126
ზვიად გამსახურდია – ლაზარეს მისტერია	127
ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ	128
საქართველოს მისტერია	133
ზვიადისტების შემორიგების შესახებ	134
მშვენიერება, სიკეთის სული და ბედნიერება	135
რომანტიზმი	136
გურამ პეტრიაშვილის პოეზია	138
ბედნიერი დღე	154
გურამ პეტრიაშვილის ზღაპრები	155

დღიურები, ფრაგმენტები

***	158
მშვენიერ დღეთა გახსენება	160
შემოდგომის ფერები	161
საინტერესო ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან	161
შედარებები და სიტყვათა შეხამებები ლექსისათვის	162
რამ გარდაქმნა ბიჭი?	164
ვინ ვიქნები მე?	164
ჩემი ბიბლიოთეკა	165
ნუ გეშინია, დედა!	165
გაზაფხული მანც მოვა	166

ზღაპრები

პეპი მონჟუს თავგადასავალი...	168
სერ მერგერის თავგადასავალი	170
ჯორჯიანო	174
დაჭრილი ვეფხვი	175

გამოკვლევა

პაოლო იაშვილისეული თარგმანის სტილისა და თავისებურებათათვის	182
შოთა ნიშნიანიძის პატრიოტული ლირიკა	201
ილია ჭავჭავაძის «განდეგილის» ძირითადი პრობლემები ფსიქოლოგიური კვლევის შუქზე	208
შინაარსი და ანალიზი	210
.....	210
ილია და მისი გმირი.....	214
წინასიტყვაობა	216
კარი პირველი	223
ნ ა წ ი ლ ი I. <i>Mania grandioza</i>	223
ნიცშეს ფილოსოფიის ემოციური საფუძველი	223
ნ ა წ ი ლ ი II.....	226
ნიცშეს ფსიქოპათოლოგია ფსიქოზამდე	226
ნ ა წ ი ლ ი III.	236
ნიცშეს «გამოქცაბული», ანუ დეპერსონალიზაცია	236
ნ ა წ ი ლ ი IV	244
შიზოფრენია	244
კარი მეორე	260
ფრიდრიხ ნიცშეს მონოლოგი.....	267
ბოლოთქმა	268

თარგმანები

ჯორჯ ბაირონი	
ის მოდის სათნო და მშვენიერი.....	272
მე და შენ დავშორდით.....	273
ჩვენ აღარ წავალთ სახეტიალოდ.....	274
მამ, შენ იტირებ ჩემს გაწვალუბას?.....	274
ძილგამკრთალთა მზე.....	275
ხსოვნანი.....	275
ჰგოდებდეთ.....	275
სულში წყვდიადია.....	276
ჩემი ოცდამეცამეტე დაბადების დღისათვის.....	277
ტომას მურს.....	277
ფრაგმენტი.....	277
ტომას მურს.....	278
ქალო ათენელო.....	278
კატალონიის დღიურიდან.....	279
გნახე, ტიროდი.....	279
აღმაფრენა გამქრალია, შვენებანი მოთავდნენ.....	280
ახალბერძნული სიმღერის თარგმანი.....	280
ეპიგრამები.....	281
ეპიტაფია უილიამ პიტისათვის.....	282
სონეტი ჯენეერასადმი.....	282
ჯონ კიტსი.....	282
ფრანგული.....	283
შენი დღეები, აჰა, დასრულდა.....	284
ოსკარ უაილდი	
ბუღბუღი და ვარდი.....	285
ჭაბუკი მეფე.....	290
ალექსანდრე პუშკინი	
გამოტყდომა.....	307
ზამთრის მწუხრი.....	308
ზამთრის გზა.....	309
ქვის სტუმარი.....	310
ლბინი შავი ჭირის ჟამს.....	331
წინასწარმეტყველი.....	338
მოგვი.....	339
სერგეი ესენინი	
კაჩალოვის ძაღლს.....	340
შაგანე.....	341
ხულიგანი.....	342
***.....	343
იულიუმ სლოვაკი	
II სონეტი.....	344
ივან ბუნინი	
ციკლიდან „მცირე მოთხრობები“.....	345
ბაზრის ქუჩაზე.....	345

განწირული სახლი.....	346
წითელი ფარნები.....	347
ხბოს თავუკა.....	348
გოჭუნები.....	349
შეხვედრა.....	349
მამლები.....	349
ჰიანჭველების ბუდე.....	349
მარია.....	350
კაციჰამია.....	350
შუადღე.....	351
მაწანწალა.....	351
ცრემლები.....	351
კაპიტალი.....	352
შუა ცხენი.....	352
წერილი.....	352
ზაფხულის დღე.....	353
მედდა.....	353
ნიკოლოზ გუმბელიოვი	
ლეჟსის თარგმანა.....	354

ტატოს შესახებ

ჩემო ტატო.....	358
თამარ გაბაიძე.....	360
ირაკლი გაბაიძე.....	360
სიყვარულით – ოლაღ დემურია – კოსტავა.....	361
მუხრან მაჭავარიანი.....	361
ანა კალანდაძე.....	361
ნოდარ ჯალაღონია.....	362
თამარ ჯავახიშვილი.....	363
ოტია იოსელიანი.....	367
ანზორ ერქომაიშვილი.....	368
ჭაბუა ამირეჯიბი.....	369
გიორგი გორთამაშვილი.....	370
ინესა მერაბიშვილი.....	375
რუსუდან ჰანტურიშვილი.....	376
ქეთევან ბურჯანაძე.....	377
თამარ ინჯია.....	377
გურამ პეტრიაშვილი.....	378
რევაზ მიშველაძე.....	382
ზინაიდა კვერენჩხილაძე.....	385
ლევან სანიკიძე.....	386
როსტომ ჩხეიძე.....	387
ეთერ თათარაიძე.....	388
ამირან არაბული.....	388
თამაზ ტყემალაძე.....	389
დათო ტურაშვილი.....	392

რატო ამადლობელი.....	392
მაყვალა გონაშვილი.....	393
კობა არაბული.....	394
ფრიდონ ხალვაში.....	396
ბალათერ არაბული.....	396
თემურ ანდლულაძე.....	398
გივი სიხარულიძე.....	398
გურამ ბენაშვილი.....	399
თამაზ წივწივაძე.....	399
კლასიკლები ივანეზენ... ..	400
ლიანა შექირული.....	401
ნანული რატიანი.....	401
დინა გეგენავა.....	402
დოდო ტატიშვილი.....	403
გოგიტა არაბული.....	404
ნატო ფოფხაძე.....	404
ავთო ბესელია.....	405
თამაზ ჭყონია.....	409
ზვიად მუსერიძე.....	410
ზვიად მუსერიძე.....	411
ციური ხეთერელი.....	412
გორა ხარანაული.....	412
ზეზვა ქავთარაძე.....	413
სერგი ლომაძე.....	415
გივი კვამილავა.....	415
მანანა მათიაშვილი.....	419
ხატია.....	421
იბა – თამაზ ნინუა.....	421
ოთარ სოხაძე.....	422
გორა წამლაძე.....	427
ქეთინო ნასყიდაშვილი.....	428
ხათუნა გიგაშვილი.....	430
თამარ კაციტაძე.....	431
ტაბატაძე ანა.....	432
ვარდი თვალაძე.....	433
მარიამ ნოდია.....	434
ჯული ბორცვაძე.....	435
სოფიო ჩხატარაშვილი.....	437
თ. გეგეშიძე.....	437
ხათუნა ბრეგვაძე.....	438
ნათია გამყრელიძე.....	441
სოფიო ლარცულიანი.....	442
ნინო ნანუაშვილი.....	442
ნინო ნანუაშვილი.....	443
შორენა ხუხუა.....	444
დარეჯან კერატიშვილი.....	444
სოფიო გულუხაძე.....	445
მ. ლომთაძე.....	446
თეა მაჭარაშვილი.....	447

გიორგი სიჭინავა	447
ლაშა გვასალია	448
ამბროსი მელქაძე.....	450
მერი გაბრიაძე.....	451
ავთანდილ ადგიშვილი	452
ჟურნალ „ნობათის“ კონკურსის ლაურეატები.....	453
მერი ნამორაძე	454
მანანა მიქელაძე.....	455
ირმა წერეთელი.....	457
ნათია მელაძე.....	458
ჯემალ ინჯია.....	459
თამარ შაიშველაშვილი.....	460
ИРАКЛИ ХИМШИАШВИЛИ	462
Молчанье прета ничьего.....	463
Давиду Агмашенэбели.....	464
Уважаемые коллеги!	
Искусство перевода проложило множество «мостов дружбы» И сейчас слово за вами.....	466
Dear Colleagues!	
Art of tranlation has laid a lot of « bridge of brotherhood»,Now it is your turn to say a word.....	468
ეზნარ კვიციანი.....	470
სახე და მიზანი	481
ავაზელების მწუხრი	491
სევდის ბალი	496
ჩვენი ნატურის ხე.....	501
ფოტომატიანე.....	505
ჩვენი გორისაა - შოთა ზოიძე	539
“მადლობელი ვარ გულითა”	541
გზამკვლევი.....	561

ყველა უფლება დაცულია

ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი, არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოკოპირის გადაღება და მაგნიტურ მატარებელზე ჩაწერა, არ შეიძლება გამოყენებულ ან გაცემულ იქნეს საავტორო უფლების მქონის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ოჯახის წევრები

ჩვენი მისამართია:

თბილისი -0103, მეფე სოლომონ ბრძენის ქ. N 36, (ყოფილი მეტეხის შესახვევი). ტელ: 74-74-51, მობ: 893 14-19-00, ცისანა, ნატო ნინუა, ნატო, ანანო, რატი, ვალერი (ვაკა) კორკელია, ქარელის რ-ნი, სოფელი რუისი — ტატო ნინუას ქ. N 16, სახლ-მუზეუმი, ტელ: 890 -35-03-61.

შ.პ.ს. „ეროვნული მწერლობა“

რატი (ტატო) ნინუა

2010 წელი

დაიბეჭდა „ეროვნული მწერლობის“

სტამბაში. მხატვრის ქ. 4

ტელ: 31-70- 47

32-73- 62

E-maile

litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

ღამით თბილისში

ღამით თბილისში და მის ქუჩებში
წყვლიანი სუფევს,
ეს ცხოვრების გზა უფრო მოკლდება
და საღვთო უხვევს.

შობისმომგვრელი ქარი ბუბუნებს,
ძვალ-ჩილიში აწანს,
მე ცხოვრებისგან თიოქმის აწაფენს,
თიოქმის აწაფენს მოველი ახალს...

დადუმდა ქუჩა,
ძილს მიეცა და სიზმარს ხედევს,
ეს ძილის თუ
სამუდამოდ სიუვდილი ნიქავ?

1987წ. 27.11



...მე ვამზნაურებსა მინათცაყდნენ ყვაყიდათ ქაყენი,
რცხთ ქაყენი მამზაყდნენ მე ვანაყენადა...

გიორგი 1989წ. ნოემბერი